შალვა ქურდაძე
ნინო ხუნაშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი

მეორე გამოცემა
(შევსებული და გადამუშავებული)

გამომცემლობა
მერიდიანი

შალვა ქურდაძე
ნინო ხუნაშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი

მეორე გამოცემა
(შევსებული და გადამუშავებული)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

მეორე გამოცემის წინათქმა

წინამდებარე გამოცემა მნიშვნელოვნად გადამუშავებული და განახლებულია. წიგნის განახლება და გადამუშავება განაპირობა მისი პირველი გამოცემიდან (2012 წელი) დღევანდელ დღემდე შემოღებულმა სხვადასხვა საკანონმდებლო ნოვაციამ. გარდა ამისა, საჭიროა სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიის შემდგომი განვითარება. ცხადია მნიშვნელოვანია მატერიალური უფლების ცოდნა. მატერიალური სამართლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ჩაწვდე პროცესის არსს, მაგრამ უფრო მეტად მნიშ-ვნელოვანია ამ უფლების სწორად განხორციელების ცოდნა,რადგან უფლების არასწორად განხორციელების შემთხვევაში, იგი დაიკარგება. უფლების სასამართლო წესით სწორად განხორციელებას უზრუნველყოფს სამოქალაქო პროცესი. ჩვენ სამოქალაქო პროცესს ვუწოდებთ სამოქალაქო სამართლის სწორ და სრულ კომენტარს.

მეორე გამოცემაში მრავალი არსებითი დებულება აისახა. წიგნი გამდიდრდა სამოქალაქო პროცესის საკითხებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებით, საერთო სასამართლოთა, განსა-კუთრებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი განმარტებებით. ამასთან,ნაშ-რომში მოცემულია პრაქტიკის კრიტიკული ანალიზი იქ,სადაც ავტორებს განსხვავებული ხედვა გააჩნიათ. წიგნს დაემატა რამდენიმე ახალი და მნიშვნელოვანი თავი თუ პარაგრაფი.

წიგნის გამოცემის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის წიგნის რედაქტორს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს ბატონ **რომან შენგელიას,** რისთვისაც ბატონ რომანს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ. მადლობა სამართლის დოქტორებს,პროფე-სორებს თამარ ზამბახიძეს,ზურაბ ძლიერიშვილს,თეიმურაზ თოდრიას,ვალერი ხრუსტალს, დავით სუხიტაშვილს,ლელა ნადიბაიძეს,რობიზონ ხურცილავას,ირმა მერებაშვილს,ასევე, ქალბატონ მაია ახალაძეს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი), სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს ქალბატონ ნონა ზარქუას,ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ მევლუდ ხათაშვილს,ივ. ჯავახიშვილის თსუ დოქ-ტორანტს ბატონ გიორგი ქურდაძეს,კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტს დავით ლობჟანიძეს, რომელთა კონკრეტული წინადადებები დაუსწრებელი გადაწყვეტილების, მტკიცებულებების, მედიაციის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გათვალისწინებულია ავტორთა მიერ. ცალკე გვსურს მადლობით აღვნიშნოთ უმცროსი კოლეგის იურისტ ნათია გოგოხიას წვლილი, რომელიც ავტორებთან ერთად ყოველდღიურად ზრუნავდა წიგნის შევსებისა და გამდიდრების ტექნიკურად უზრუნველყოფაზე და ბევრი სასარგებლო რჩე-ვაც მოგვცა. სამოქალაქო პროცესის პრობლემებზე მიძღვნილ შრომათაგან გამოირჩევა პროფესორების ვალერი ხრუსტალის, ზურაბ ძლიერიშვილის, თეიმურაზ თოდრიას, გია ლილუაშვილის,რობიზონ ხურცილავას,ირმა მერებაშვილის,ნანა ყურუას,ლალი ჯანუყაშ-ვილის,მარინე ჭყონიას და სხვათა შრომები. თანდათან იზრდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრობლემების მეცნიერული დამუშავების ინტერესი, რაც მეცნიერების ამ დარგის პოპულარობის ზრდასა და განუზომელ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

გვსურს მადლიერებით გავიხსენოთ ცნობილი ქართველი პროცესუალისტები, პროფე-სორები ნოდარ (იური) ლორთქიფანიძე, ავთანდილ კობახიძე, გია ქირია. მათი შრომები და ნააზრევი დაგვეხმარა რიგი საკითხების თაობაზე სწორი ხედვის ჩამოყალიბებაში.

ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის განვითარების და თანამედროვე სახით ჩამოყალიბების საფუძვლების ჩაყრის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თენგიზ ლილუაშვილმა.

მადლიერებით მივიღებთ ნებისმიერ საქმიან წინადადებას შემდგომი მუშაობის პროცესში გასათვალისწინებლად.

შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი

შინაარსი

თავი I 13

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება და მნიშვნელობა 13

§1. მართლმსაჯულება და სასამართლო ხელისუფლება საქართველოში 13

§2. სამართლის სუბიექტის სამოქალაქო უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის საშუალებები და ფორმები 19

§3. სამოქალაქო საპროცესო ფორმა 23

§4. სამოქალაქო სამართალწარმოების სახეები და სტადიები 26

§5. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება, საგანი და მეთოდი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის სისტემაში 29

თავი II 35

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროები 35

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს ცნება და სახეები 35

§2. სამოქალაქო საპროცესო ნორმების კლასიფიკაცია 39

§3. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ 41

§4. ანალოგია სამოქალაქო პროცესში 43

§5. სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო სამართალში 45

თავი III 50

სასამართლო მიხედულება (დისკრეცია) 50

§1. ზოგადი დებულებანი 50

§2. სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედებების განხორციელება დისკრეციის საფუძველზე – სასამართლოს უფლება თუ ვალდებულება? 52

§3. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შერჩევის უფლება: აღნიშნული უფლების დაწესების და შეზღუდვის საკანონმდებლო ხერხები 54

§4. სასამართლო დისკრეციის მიზანი 58

§5. მოტივაციის პრობლემა სასამართლო დისკრეციის გამოყენებისას 65

5.1. მოტივის დანიშნულება სასამართლო დისკრეციის გამოყენებისას 65

5.2. მოტივები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს მიერ დისკრეციის გამოყენებას ..66

5.3. მოტივების კონკურენცია სასამართლო დისკრეციის გამოყენებისას 68

§6. სასამართლო დისკრეცია და სასამართლო თვითნებობა. სასამართლო დისკრეციის კონტროლი 70

თავი IV 75

სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებანი 75

§1 ზოგადი დებულებანი 75
§2. ზოგადი და სპეციალური საპროცესო ნორმის გამოყენება სამოქალაქო სამართალწარმოებაში 76
§3. მატერიალური ნორმის გავლენა სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის თავისებურებაზე 81

თავი V 89
სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები 89
§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპის ცნება, მნიშვნელობა და სისტემა 89
§2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების შინაარსი 91
§3. სამართლებრივი (იურიდიული) აქსიომები სამოქალაქო სამართალწარმოებაში 120

თავი VI 122
სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები 122
§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება 122
§2. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის წანამძღვრები (საფუძვლები) 125
§3. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები 128

თავი VII 132
სასამართლოს შემადგენლობა. აცილება 132
§1. სასამართლოს შემადგენლობა 132
§ 2. კოლეგიური სასამართლოს მიერ საკითხების გადაწყვეტის წესი 134
§3. აცილება 136

თავი VIII 140
მხარეები სამოქალაქო პროცესში 140
§1. მხარის ცნება, იურიდიული ინტერესი პროცესში 140
§2. მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები 143
§3. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა და სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა 146
§4. საპროცესო თანამონაწილეობა 152
§5. არასათანადო მხარის შეცვლა 161
§6. საპროცესო უფლებამონაცვლეობა 167

თავი IX 173
მესამე პირები სამოქალაქო პროცესში 173
§1. მესამე პირის ცნება და სახეები 173
§2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით 176
§3. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე 182

თავი X 189
წარმომადგენლობა სასამართლოში 189
§1. სასამართლო წარმომადგენლობის ცნება, მიზნები და ნიშნები 189
§2. სასამართლო წარმომადგენლობის სახეები 192
§3. სასამართლო წარმომადგენლობის სუბიექტები 196
§4. სასამართლო წარმომადგენლის უფლებამოსილება 198

თავი XI 204
საპროცესო ვადა 204
§1. საპროცესო ვადის ცნება 204
§2. საპროცესო ვადის სახეები 205
§3. საპროცესო ვადის დენა 208

თავი XII 214
უწყებრივი ქვემდებარეობა 214
§1. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება 214
§2. სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეები 216

თავი XIII 219
განსჯადობა 219
§1. განსჯადობის ცნება და სახეები 219
§2. საქმის გადაცემა განსჯადი სასამართლოსათვის 226

თავი XIV 230
პროცესის ხარჯები 230
§1. პროცესის ხარჯების ცნება, დანიშნულება და სახეები 230
§2. სახელმწიფო ბაჟი 232
§3. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები 237
§4. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება. სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება 240
§5. სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის და მათი ანაზღაურება სახელმწიფოსათვის 244
§6. ადვოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯები 247

თავი XV 249
მტკიცება და მტკიცებულებები 249
§1. მტკიცების ცნება და მიზანი 249
§2. სასამართლო მტკიცებულებები 264
§3. მტკიცების საგანი 270

§4. ფაქტები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს (მტკიცების მოვალეობისაგან, ტვირთისაგან გათავისუფლების საფუძვლები) 274
4.1. ზოგადი დებულებები 274
4.2. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები 274
4.3. პრეიუდიციული ფაქტები 275
4.4. უდავო ფაქტები 279
4.5. მტკიცებულებითი პრეზუმფციები 279
§5. მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა 283
§6. მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტება 287
§7. მოწმის ჩვენება 294
§8. წერილობითი მტკიცებულება 302
§9. ნივთიერი მტკიცებულება 314
§10. ექსპერტის დასკვნა 319
§11 აუდიო და ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულებად გამოიყენება 331
სამოქალაქო სამართალწარმოებაში 331
§12. ფაქტების კონსტატაციის წყაროები 341

თავი XVI 343
სარჩელი 343
§1. სასარჩელო წარმოების არსი 343
§2. სარჩელის ცნება 344
§3. სარჩელის ელემენტები 346
§4. სარჩელის სახეები 354
§5. სარჩელის უფლება 359
§6. მოპასუხის უფლებების დაცვის საპროცესო საშუალებები. შეგებებული სარჩელი 362
§7. უფლებების დაცვის სასარჩელო საშუალებების განკარგვა 370
§8. სარჩელის უზრუნველყოფა 382

თავი XVII 396
სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში 396
§1. სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიის არსი და მნიშვნელობა 396
§2. სარჩელის (განცხადების) შეტანის წესი და მისი დაუცველობის შედეგები 396
§3. სარჩელის (განცხადების) შინაარსი 400
§4. სარჩელის (განცხადების) მიღება. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები. სამოქალაქო საქმის აღძვრის სამართლებრივი შედეგები 403

თავი XVIII 410
საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად 410

§1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიის მიზანი და მნიშვნელობა 410
§2. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მიერ შესრულებული მოქმედებების შინაარსი 411
§3. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა 415
§4. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის დანიშვნის წესი 416
§5. სასამართლოს მთვარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზე საქმის წარმოების დამთავრება 417

თავი XIX 419
სასამართლო შეტყობინება და დაბარება 419
§1. სასამართლო უწყება, მისი ჩაბარების წესი 419
§2. სასამართლო სხდომაზე პროცესის იმ მონაწილეთა გამოუცხადებლობის შედეგები, რომლებსაც სათანადო წესით გაეგზავნათ შეტყობინება საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ 428
§3. სასამართლოს მიერ საზღვარგარეთ მყოფ ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციებისათვის საქმის განხილვის შესახებ შეტყობინების თავისებურებანი 430

თავი XX 432
სასამართლოს მთავარი სხდომა 432
§1. სამოქალაქო საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის სტადიის მნიშვნელობა. სასამართლოს მთავარი სხდომის ჩატარების წესი 432
§2. სასამართლოს მთავარი სხდომის შემადგენელი ნაწილები 434
§3. სასამართლო ოქმი 450
§4. საქმისწარმოების შეჩერება 454
§5. სამოქალაქო საქმისწარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე 458
§6. სასამართლო მედიაცია 465
1. ზოგადად 465
2. სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება 467
3. მოდერაცია 467
4. კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით მოლაპარაკებებში მესამე პირის (შუამავლის) მონაწილეობა 468
5. მედიაცია 469

თავი XXI 472
უდავო წარმოება 472
§1. უდავო წარმოების არსი. სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები 472
§2. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა 476
§3. ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება 486

§4. ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარება ... 491
§5. ქონების უპატრონოდ ცნობა ... 498
§6. შვილად აყვანა ... 499
§7. დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება) ... 502
§8. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა ... 506
§ 9. ბავშვის მიტოვებულად აღიარება ... 512

თავი XXII ... 513
სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი ... 513
§1. ზოგადი დებულებები ... 513
§2. გამარტივებული წარმოების არსი ... 514
§3. გამარტივებული წარმოების სახეები ... 523
§4. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვის გამარტივებული წესი ... 523
§5. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი ... 536
§6. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი ... 538
§7. ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი ... 539

თავი XXIII ... 542
საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა განხილვის თავისებურებანი ... 542
§1. განქორწინების საქმეთა განხილვის თავისებურებანი ... 542
§2. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისა და ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი ... 560

თავი XXIV ... 565
წარმოება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით ანდა 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით ... 565

თავი XXV ... 570
წარმოება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის

მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით 570

თავი XXVI 572
სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში 572

თავი XXVII 574
არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი 574

თავი XXVIII 577
სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე 577

თავი XXIX 584
მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის. გამოსაყენებელი სამართლის. აღიარების. შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი 584

თავი XXX 585
პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებები 585
§1. სასამართლო დადგენილების ცნება და სახეები, სასამართლო გადაწყვეტილების არსი და მნიშვნელობა 585
§2. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო გადაწყვეტილება 588
§3. სასამართლო გადაწყვეტილების ხარვეზის აღმოფხვრა. დამატებითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების განმარტება 596
§4. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი. აღსრულების წესი 610
§6. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება 628

თავი XXXI 632
დაუსწრებელი გადაწყვეტილება 632
§1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი და მნიშვნელობა 632
§2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები და წესი 633
§3. დაუსწრებელი წარმოების წესი და დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი 639

§4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება 641
§5. სასამართლოს უფლებამოსილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისას .. 644

თავი XXXII 649
პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების და განჩინების გასაჩივრება სააპელაციო წესით 649
§1 სააპელაციო წარმოების ზოგადი დახასიათება (პრინციპები, ცნება, აპელაციის სახეები) ... 649
§2. რიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება და მისი განხორციელების წესი 652
§4. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილება 670
§5. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილებანი 674
§6. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გაუქმების საფუძვლები 676

თავი XXXIII 679
საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 679
§ 1. არსი, კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო გადაწყვეტილებისა და განჩინების გასაჩივრების ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება 679
§2. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის (წარმოების) წესი 695
§3. საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება 700
§4. გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები 706
§5. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება და მასში ასახული სამართლებრივი შეფასების სავალდებულოობა 714

თავი XXXIV 719
კერძო საჩივარი 719
§1. სასამართლოს განჩინებათა კლასიფიკაცია მათი გასაჩივრების შესაძლებლობის მიხედვით 719
§2. კერძო საჩივრის განხილვა 722

თავი XXXV 727
საქმის წარმოების განახლება 727
§1. საქმის წარმოების განახლების ცნება, მნიშვნელობა და სახეები 727
§2. ახლად აღმოჩენილი გარემოების ცნება და მისი განსხვავება ახალი გარემოებისაგან 730
§3. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები და საგანი 732
§4. სასამართლოები, რომლებიც გადასინჯავენ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ან გადაწყვეტილების ბათილობის გამო 740
§5. საქმის აღძვრის წესი 741

§6 ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საპროცესო წესი 743

თავი XXXVI 746

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საჩივრის შეტანის და საქმის წარმოების წესი 746

§1 ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს შექმნის ისტორია და ზოგადი დახასიათება 746

§2. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსადმი მიმართვის წესი 750

§3. საჩივრის მიღების და საქმის განხილვის წესი 753

§4 ადამინის უფლებათა ევროპის სასამართლოს დადგენილებათა აღსრულება 755

§5. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა მნიშვნელობა 757

დანართი 762

ავტორთა შესახებ 789

„მართლმსაჯულება, სამართლის ქმნა ერთი იმისთანა არსებითი საჭიროებაა, ურომლისოდაც ერთი დღეც არ შეუძლია იცხოვროს ქვეყანამ და ერმა, ვერა ურთიერთობა ადამიანისა, ვერა კრებული მისი, ერთ დღესაც ვერ გაძლებს უამისოდ ან როგორ უნდა გასძლოს, როცა სამართლის ქმნა ერთი იმისთანა აუცილებელი, ყოვლად ძლიერი მოქმედებაა, რომელზედაც დამყარებულია მთელი სასოება და იმედი მშვიდობის მყოფობისა, ადამიანის ღირსების, სახელის, ოჯახისა და ქონების სარჩელისა და მფარველობისა“.

ილია

თავი I

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება და მნიშვნელობა

§1. მართლმსაჯულება და სასამართლო ხელისუფლება საქართველოში

მართლმსაჯულების განხორციელება ყოველთვის სახელმწიფო სუვერენიტეტის აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება,,საქართველოს სახელით“ გამოიტანება. მხოლოდ სახელმწიფოს ხელშია მართლმსაჯულების განხორციელების აბსოლუტური მონოპოლია. სასამართლოს გარდა, სხვა არც ერთი დაწესებულება არ არის უფლებამოსილი მიიღოს სასამართლო დადგენილების ტოლფასი აქტი,რომელიც სავალდებულო იქნება შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საქართველოში მართლმსაჯულება ფუნქციონირებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად,კონსტიტუციითა და სპეციალური კანონებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გამო,განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების განხორციელებას სამოქალაქო საქმეებზე,ვინაიდან სამოქალაქო ბრუნვიდან წარმოშობილი მრავალი სამოქალაქო საქმე (დავა) სასამართლოში განიხილება.

მართლმსაჯულების, როგორც სპეციფიკური სახელმწიფო ფუნქციის განხორციელება სამოქალაქო საქმეებზე, მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს კანონების სათანადოდ შეფარდება (გამოყენება) და როგორც დარღვეული უფლების, ისე დარღვეული ბალანსის აღდგენა სამოქალაქო სამართალურთიერთობებში. ,,ცალკე პირის თუ ორგანიზაციის სამოქალაქო უფლების დაცვით სასამართლო ამკვიდრებს საერთო უფლებრივი წეს-წყობილების სიმტკიცეს,რაც,თავის მხრივ,წარმოადგენს აუცილებელ პირობას ეკონომიკური ბრუნვისა და საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. სასამართლო დაცვას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს,რომ კერძო პირთა თუ ორგანიზაციათა შეთანხმება — თუ ჩვენს შორის რაიმე სადავო შეიქმნა, სასამართლოს არ მივმართავთო,— მოკლებულია ყოველივე ძალას... მხოლოდ იქ, სადაც მართლმსაჯულება უზრუნველყოფილია,ყველას აქვს რწმენა,რომ ვერავინ გაბედავს მისი უფლების ვაგლახად შელახვას. ხოლო ასეთი რწმენა ის ნიადაგია, რომელზედაც ყოველდღე მილიონობით ხდება გარიგება, ჩნდება კრედიტი, წარმოებს მრეწველობა და ვაჭრობა. ისეთ სახელმწიფოსთან, გინდ მის მოქალაქესთან, რომლის სასამართლოს არ ენდობიან,უცხო ქვეყნის მრეწველი და ვაჭარი საქმეს არ დაიჭერენ უიმისოდ,თუ იქ ... არ უზრუნველყვეს თავისი ინტერესი“.[1] მართლმსაჯულება,როგორც ამას აღნიშნავდა თავის

[1] იხ. ს. ჯაფარიძე, სამოქალაქო პროცესი. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი, 1926, გვ. 7.

დროზე XVIII საუკუნის გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი ტოკვილი, მოწოდებულია ძალმომრეობის, ძალადობის იდეა შეცვალოს სამართლის იდეით".[1]

სამოქალაქო საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა ეხება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამის გამო კი დღეს არსებითად უნდა ამაღლდეს მართლმსაჯულების როლი ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპის განმტკიცების, სამართალდარღვევათა პრევენციის (თავიდან აცილების), კანონისადმი, ასევე პირთა უფლებების, პატივისა და ღირსებისადმი პატივისცემის დამკვიდრების საკითხში.

სამოქალაქო სამართალწარმოების ეს ამოცანები წარმატებით გადაწყდება მხოლოდ მაშინ, როცა დაცული იქნება კანონიერება, რაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

„სასამართლოს ერთადერთი მიზანია სწორად გადაწყვიტოს საქმეები. საქმე სწორად გადაწყდება, როცა სწორად და უტყუარად დადგინდება ფაქტები და მათ მიმართ ზუსტად იქნება შეფარდებული კანონი. კარგია კანონი თუ არ არის კარგი, მოცემული განაჩენისაგან სასიკეთო საზოგადოებრივ შედეგებს მივიღებთ თუ ცუდს – ყოველივე ეს არ არის სასამართლოს საქმე: არამედ მისი საქმეა – დაადგინოს ფაქტი და შეუფარდოს მას კანონი".[2]

მხოლოდ სასამართლო პროცედურების დახმარებით არის შესაძლებელი სამართლიანად დადგინდეს ფიზიკური პირის თავისუფლების ზღვარი (ფარგლები) და პასუხისმგებლობის ზღვარი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, როდესაც ეს პირი ამგვარ ურთიერთობაში იმყოფება სხვა ადამიანებთან, იურიდიულ პირებთან და სახელმწიფოსთან. საინტერესოა რომის სამართლის ისტორია და ცნობილი კლასიკური გამონათქვამები მართლმსაჯულების ფუნქციის, მისი რაობის შესახებ, რომაელი იურისტების წარმოდგენა მართლმსაჯულებაზე. მაგალითად, ისეთი, როგორიცაა: „კარგი სასამართლო, კარგი პროცესი, საერთოდ კარგი იუსტიცია – საძირკველია სახელმწიფოსი" (justitia fundamentum regnorum); „მართლმსაჯულება განამტკიცებს სუვერენულ ხელისუფლებას" (justitia firmatur solium); „**მართლმსაჯულება უნდა იყოს თავისუფალი,** ვინაიდან არაფერია იმაზე უფრო უსამართლო, ვიდრე მართლმსაჯულება, რომელიც იყიდება; **სრული** ვინაიდან მართლმსაჯულება შუა გზაზე არ უნდა გაჩერდეს; **სწრაფი,** ვინაიდან დაყოვნება (დაგვიანება) უარის ერთ-ერთი სახეა" (justitia debet esse libera, quia nihil iniquius venali justitia; plena, quia justitia non debet claudi care; et celeris, quia dilatio est quaedam negatio).

კანონმდებლობა არ იძლევა „მართლმსაჯულების განხორციელების," და საკუთრივ „მართლმსაჯულების" ტერმინთა ლეგალურ დეფინიციას, თუმცა ამ ტერმინთა არსის სწორად განმარტებას საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მართლმსაჯულების განხორციელება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების განსაკუთრებული სახეა (სახელმწიფო საქმიანობის ფორმაა). მართლმსაჯულების განხორციელება, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია შესაბამისი საქმეების გადაწყვეტასთან.

მართლმსაჯულების განხორციელებაში იგულისხმება არა მთელი სამართალწარმოება, არამედ მხოლოდ მისი ის ნაწილი, რომელიც მდგომარეობს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეთა გადაწყვეტის შედეგად სასამართლო ხელისუფლების აქტის მიღებაში, ე.ი. იმ სასამართლო აქტების მიღებაში, რომლებითაც არსებითად წყდება საქმეები. აქედან გამომდინარეობს, რომ ტერმინები – „სამოქალაქო სამართალწარმოება" და „სასამართლო პროცესი" არ წარმოადგენენ ტერმინის „მართლმსაჯულების განხორციელება" სინონიმებს.

---

[1] Токвил А. Демократия в Америке. М., 1992, გვ. 120.

[2] Владимиров Л.Е. Реформа уголовной защиты: Публичная лекция в Харьковском университете 17 января 1886 года: Читатель, 1898, N 9, გვ. 5.

„მართლმსაჯულების განხორციელების“ ცნება არ მოიცავს იმ სასამართლო აქტებს, რომლებიც, თუმცა მიღებულია (ან მიიღება) სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მაგრამ ამ აქტებით არ ხდება საქმეთა არსებითად გადაწყვეტა და მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა (დადგენა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროცესის განმავლობაში მიღებული სასამართლოს ყველა დანარჩენი აქტი შეეხება პროცედურულ (საპროცესო-სამართლებრივ) საკითხებს და „მართლმსაჯულების განხორციელების“ ცნებაში ისინი არ მოიაზრება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ სასამართლო აქტებს, რომლებითაც ხდება საქმეთა არსებითად გადაწყვეტა, მიეკუთვნება:

1) პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად და რომელიც სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით (სსსკ-ის თავი XXVII);

2) დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსსკ-ის თავი XXVI);

3) სასამართლოს ბრძანება (სსსკ-ის XXXIV[1] თავი);

4) სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი);

5) საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

„მართლმსაჯულება“ და „სასამართლო ხელისუფლება“ ერთი და იგივე ცნება არაა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სახელმწიფო ფუნქციას განეკუთვნება. მართლმსაჯულების განხორციელება იმაში მდგომარეობს, რომ მიუკერძოებლად და ობიექტურად მოხდეს სამართლის ნორმის დარღვევით გამოწვეული სხვადასხვა სოციალური დავისა და კონფლიქტის განხილვა და გადაწყვეტა. მართლმსაჯულება იურიდიული საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომლის განხორციელებაც სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლებას აქვს დაკისრებული.

სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებული სახესხვაობაა. სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაცია (მოწყობა) და კომპეტენცია თავისებურებით ხასიათდება.

სასამართლო ხელისუფლება დელეგირებული აქვს სახელმწიფოსაგან (სახელმწიფოს მიერ), სპეციალურად ამ საქმიანობისათვის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს — სასამართლოებს. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება კონკრეტული თანამდებობის პირების (მოსამართლეების) მიერ.

ამიტომ სხვა არც ერთ ორგანოსა და პირს არა აქვს უფლება განახორციელოს მართლმსაჯულება. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლედ უნდა იყოს ის, ვისაც კონსტიტუციით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიონალურ საფუძველზე ასრულებს თავის ვალდებულებებს.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარება მოითხოვს სასამართლო რეფორმის გაგრძელებას, რადგან სულ უფრო აუცილებელი ხდება სასამართლოთა საქმიანობის დახვეწა. სამართალწარმოების სფეროში რეფორმის საფუძველია სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება, რათა მან საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, რეალურად შეასრულოს სახელმწიფოში მესამე ხელისუფლების როლი. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ფორმულირებული და შემდეგ კი, ბურჟუაზიულ საფრანგეთში განვითარებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივ ცხოვრებაში რეალურად უნდა დამკვიდრდეს. ქვეყნის უზენაესი კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

ცხადია, ყველა ქვეყანაში თავისებურადაა გაგებული სასამართლო ხელისუფლების როლი,

ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად არის უზრუნველყოფილი მისი ძალა და ავტორიტეტი.

საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლში გამოხატულია კანონის უზენაესობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, ყველა ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება სწორედ ამ პრინციპის ცხოვრებაში რეალურად გატარებით უნდა მოხდეს.

ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება ფუნქციონირებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, მათ გვერდით, მისი როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა შეძლოს საჭიროების შემთხვევაში დაუპირისპირდეს მათ.

სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების მეშვეობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების ფორმათა მეშვეობით. სასამართლო ხელისუფლების განხორციელების მთავარი თავისებურება მდგომარეობს მის ვალდებულებაში ზუსტად გამოიყენოს და განმარტოს „კანონის სიტყვა და აზრი", ამასთან, ზუსტად უნდა იქნეს დაცული საპროცესო ფორმა. მოსამართლემ ზუსტად ისე უნდა გაიგოს, განმარტოს და გამოიყენოს კანონი, რა შინაარსიც (აზრიც) არის ჩადებული მასში.

საქართველოში არსებობს სასამართლო ხელისუფლების ორი შტო, ანუ საქართველოს სასამართლოების სისტემაში ორი კატეგორიის სასამართლო შედის: კონსტიტუციით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო იურისდიქციის (კომპეტენციის) სასამართლოები. უმაღლესი სასამართლო ორგანოები არიან საქართველოს უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო.

კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. ამდენად, მართლმსაჯულება სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც საერთო სასამართლოების ორგანული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად საერთო სასამართლოები ახორციელებენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური წყობილების დამცავი უმაღლესი ორგანო სასამართლო ხელისუფლებისა, მართლმსაჯულებას არ ახორციელებს და მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმა კონსტიტუციამ სასამართლო ხელისუფლების განხორციელების აღნიშნული ფორმების გარდა კიდევ „სხვა ფორმებში". მითუმეტეს, რომ კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. ამდენად, რეალურად, კონსტიტუციური კონტროლისა და მართლმსაჯულების გარდა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების „სხვა ფორმები" საქართველოში არ არსებობს.

საერთო სასამართლოები საქართველოს ერთიანი სასამართლო სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემაა, ე.ი. მათ გააჩნიათ საკუთარი მოწყობა.

მართლმსაჯულების სასურველ სიმაღლეზე დაყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ:

1) როგორ არის მოწყობილი სასამართლო ორგანოები და

2) როგორია ის წესები, რომლებიც კანონმდებელმა მათ მისცა სახელმძღვანელოდ.

კონსტიტუცია დაუშვებლად მიიჩნევს საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების (ე.ი. ისეთის, რომელიც დაარსებულია განსაზღვრული კატეგორიის საქმეებისათვის, რომელთაც აქვთ სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ან რომელთა გადაწყვეტისათვის, მათი სირთულის გამო, საჭიროა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება) შექმნას. მხოლოდ

სამხედრო სასამართლოების შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და ისიც მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.

სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების ორგანული კანონის მიღება, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემასა და ორგანიზაციას, მოსამართლის სამართლებრივ სტატუსს.

რაც შეეხება საერთო სასამართლოების სისტემას, საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია. მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში ზედამხედველობს საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით.

სასამართლო ხელისუფლების ორივე შტოს სასამართლოები ორგანიზაციულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და ისინი სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისას საპროცესო სამართლის თავიანთი წყაროებით ხელმძღვანელობენ. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის წესი განსაზღვრულია კონსტიტუციითა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანული კანონით. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სამართალწარმოების წესები განსაზღვრულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირება შეისწავლება საქართველოს კონსტიტუცური სამართლის მეცნიერებაში.

შეუძლებელია ორიოდე სიტყვით არ აღინიშნოს საქართველოში განხორციელებული სასამართლო რეფორმის შესახებ, რომლის საფუძველთა საფუძველი საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაა, რომლის V თავი მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას ეხება. კონსტიტუციის საფუძველზე საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მიღებით, შეიქმნა სასამართლოთა ახალი სისტემა, შეიცვალა უზენაესი სასამართლოს სტრუქტურაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებით არსებითად შეიცვალა სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის წესები, ასევე ერთმანეთთანაა შეხამებული კოლეგიურობის პრინციპი და ერთპიროვნული სამართალწარმოება, დასაშვებია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და სხვა.

მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, სამოქალაქო პროცესი მთლიანად შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზეა აგებული. შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობის გაზრდის ფონზე, საპროცესო კოდექსმა უარი თქვა სასამართლოს აქტიურ როლზე მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში და მტკიცების ტვირთი მთლიანად მხარეებს დააკისრა. თუმცა არსებობს გამონაკლისიც. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები საოჯახო საქმეთა განხილვისას (იხილეთ სსკ-ის 254-ე მუხლი).

სასამართლო რეფორმის კონცეფციის შესაბამისად, გათვალისწინებულია სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება სააპელაციო სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო ხელისუფლება გაძლიერდება მხოლოდ მაშინ, როცა დადებითად გადაწყდება მოსამართლეთა რეალური დამოუკიდებლობის პრობლემა. ამდენად, სასამართლოს სიძლიერე უშუალოდაა დამოკიდებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხზე.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა წარმოუდგენელია (შეუძლებელია) ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივი გარანტიების არსებობის გარეშე. ასევე შეუძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა ძლიერი და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ნამდვილად (რეალურად) და-

მოუკიდებელი სასამართლოს გარეშე.

სწორედ ამიტომ საერთო სასამართლოების ორგანულიკანონის 1-ლ მუხლში აღნიშნულია, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მოქმედებს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან (საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან) დამოუკიდებლად, ხოლო ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში (მართლმსაჯულების განხორციელების დროს) არავის წინაშე არ არის ანგარიშვალდებული. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიის განმტკიცების მიზნითაა ნაკარნახევი ასევე ქვეყნის უზენაესი კანონით დადგენილ მოსამართლეთა საქმის განხილვისაგან ჩამოცილების დაუშვებლობისა და მოსამართლეთა ხელშეუხებლობის პრინციპები.

სასამართლოს ავტორიტეტის განმტკიცების საკითხში მნიშვნელოვანია ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია სანქციები და დანაშაულად ითვლება სასამართლოს უპატივცემულობა. დანაშაულია ასევე სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა, ასევე მოსამართლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა და ა.შ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს პროცესის მონაწილეთა მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის.

აღსანიშნავია, რომ კანონის რანგში არის განსაზღვრული და გადაწყვეტილი მოსამართლის ხელფასის, სამართლებრივი და სოციალური დაცვის სხვა საკითხები (საერთო სასამართლოების ორგანული კანონის XII თავი).

ასეთი გარანტიების დაწესებას საკანონმდებლო დონეზე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაც მთავარია, სამართლებრივი რეფორმა უფრო მეტად გარანტირებულს ხდის პირთა სამართლებრივ დაცვას, რაც სწორედ სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის გარანტიების ზრდის ხარჯზე ხდება. ყველასათვის გარანტირებულია უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვა.

მისასალმებელია ასევე კანონმდებლის სწრაფვა უფლების დაცვის პროცედურების (ფორმების) გამარტივებისაკენ, პროცესის დინამიკურობისაკენ და ა.შ. ამასთან, სამოქალაქო სამართალწარმოებას სირთულეებიც ახლავს, ვინაიდან დიდია განსახილველ საქმეთა რაოდენობა, ჩნდება ახალი, რთული და აქამდე სრულიად უცნობი საქმეთა კატეგორიები, რაც ხშირად საქმის განხილვის საპროცესო ვადების დარღვევას იწვევს.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მომხდარი პროცესები გავლენას ახდენს საპროცესო მეცნიერებაზე. გაჩნდა ინტერესი საზღვარგარეთის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკისადმი. ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერების სამომავლო მიზანია სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისა და სასამართლო ხელისუფლების განმტკიცების სფეროში ყველა საკანონმდებლო სიახლის გააზრება და გაანალიზება, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაანალიზება და თანამედროვე პირობებში სამოქალაქო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

§2. სამართლის სუბიექტის სამოქალაქო უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის საშუალებები და ფორმები

სამოქალაქო უფლებათა დაცვა საქართველოში ხორციელდება დადგენილი წესით საერთო იურისდიქციის სასამართლოების,აგრეთვე არბიტრაჟებისა და სანოტარო ორგანოების მიერ[1].

საერთო იურისდიქციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესი განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ხდება სამოქალაქო საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა.

სამოქალაქო საქმეში იგულისხმება არა მხოლოდ უშუალოდ სამოქალაქო (საოჯახო, საბინაო) საქმეები, არამედ სამართალურთიერთობათა საკმაოდ ფართო სპექტრიდან გამომდინარე სხვა საქმეებიც, კერძოდ: შრომითი, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სხვა უფლებათა დაცვის (აღდგენის) შესახებ დავები (საქმეები). ამ საქმეებს ტრადიციულად სამოქალაქო საქმეები ეწოდებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად სხვადასხვაგვარი სამართალურთიერთობებიდან გამომდინარეობენ. ყველა ეს ურთიერთობა ეხება ფიზიკური და იურიდიული პირების,ასევე სახელმწიფოს სასიცოცხლოდ აუცილებელ (მნიშვნელოვან) ინტერესებს. იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია სუბიექტის სამოქალაქო უფლება სხვა პირის მხრიდან, აგრეთვე, როცა უფლება, მართალია, ჯერ კიდევ არ დარღვეულა, მაგრამ არსებობს მომავალში მისი დარღვევის საფრთხე, ხოლო დარღვეული უფლება არ არის ნებაყოფლობით აღდგენილი დამრღვევის მხრიდან, წარმოიშობა იმისი ობიექტური საჭიროება, რომ ვალდებული პირის მიმართ (საპასუხო ზომად) გამოყენებულ იქნეს უფლების დაცვის კანონიერი ზომები (ღონისძიებები). მათ უფლების დაცვის საშუალებები ეწოდებათ.

უფლების დაცვის საშუალება მატერიალური (რეგულაციური) სამართლის კატეგორიაა. სამოქალაქო უფლებათა დაცვა ხორციელდება უფლების დაცვის ისეთი საშუალებებით, როგორიცაა:

1) **უფლების აღიარება.** უფლების აღიარებით ქრება, ქარწყლდება ამა თუ იმ პირისადმი უფლების კუთვნილების ეჭვი, უფლების კუთვნილება აღარ არის საეჭვო (სადავო); მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს აღიაროს კონკრეტული ფიზიკური პირი ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად, განსაზღვრული ნივთის მესაკუთრედ. მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული ნაწარმოების ,,კვაჭი კვაჭანტირაძე'' მაგალითზე თვალნათლივ ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო უფლებათა დაცვის ამ საშუალებას. კვაჭიმ მაიზელსონის როიალი ოთხ სხვადასხვა პიროვნებას მიჰყიდა, მათ შორის ერთმა თავისი როიალი ხელმეორედ იყიდა. როცა საქმე საქმეზე მიდგა და დავა წარმოიშვა, ყველა აცხადებდა, ჩემია ეს როიალიო და ყველამ დაასაბუთა თავისი უფლება მასზე.

საკუთრების უფლების აღიარება ამა თუ იმ პირის სასარგებლოდ, სამოქალაქო სამართალწარმოების გზით ხდება.

2) **რესტიტუცია,** ანუ უფლების დარღვევამდე არსებული (პირვანდელი) მდგომარეობის აღდგენა და უფლების დამრღვევი მოქმედების ან უფლების დარღვევის საფრთხის შემქმნელი მოქმედების აღკვეთა.

---

[1] სამოქალაქო უფლების განხორციელება უდავო შემთხვევებში შესაძლებელია ადმინისტრაციული წესითაც. მაგალითად, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში შესაძლებელია მეუღლეთა განქორწინება, სხვადასხვა სახის იურიდიული ფაქტის დადგენა და ა.შ.

მაგალითად, როცა მესაკუთრე მოითხოვს სხვა პირის მიერ უკანონოდ დაკავებული საცხოვრებელი ფართის გათავისუფლებას. ამგვარი სავინდიკაციო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო ავალდებულებს მოპასუხეს გაათავისუფლოს ფართი.

3) სადავო გარიგების ბათილად ცნობა და ბათილობის შედეგების გამოყენება. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გარიგების ბათილობის შემთხვევებს.

4) უფლების თვითდაცვა. ასეთ დროს პირი არ მიმართავს სასამართლოს დასახმარებლად და მისი ჩარევის გარეშე საკუთარი მოქმედებით იცავს თავის უფლებას. თვითდაცვის გამოხატულებაა, მაგალითად, კანონისმიერი გირავნობის უფლება, ქირავნობის, საიჯარო, ნარდობის ურთიერთობებში (სამოქალაქო კოდექსის 568-ე, 596-ე, 634-ე მუხლები). თუმცა, თუ დაკავებული (დაგირავებული) ნივთის მესაკუთრე მოითხოვს მის დაბრუნებას, ის იძულებული იქნება თავისი უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართოს. უფლების თვითდაცვის კლასიკური საშუალებებია ასევე აუცილებელია მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და თვითდახმარება. უფლების დაცვის ისეთი საშუალება, როგორიც **თვითდაცვაა (თვითდახმარებაა)** იმით ხასიათდება, რომ დაინტერესებული პირი თვითონვე (დამოუკიდებლად) იღებს შესაბამის ზომებს სამართალდამრღვევი მოქმედებების აღსაკვეთად (სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლი). თვითდახმარება სამართლებრივი დაცვის ძველისძველი ფორმაა.

ძველად, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება სუსტი იყო, ადამიანი თავის უფლებას საკუთარი ძალით იცავდა, უმთავრესად, ფიზიკური შესაძლებლობის მიხედვით. შემდეგში უფლებების ამგვარი დაცვა, როგორც უვარგისი საზოგადოების მყუდროებისათვის და უიმედო თვით მოდავეთათვის, გაქრა, ვინაიდან მომრევის მომრევი არ დაილეოდა. თანამედროვე სამოქალაქო სამართალში უფლებების (ინტერესების) საკუთარი ძალით დაცვა თუ განხორციელება დაშვებულია კანონით, ცალკეულ, იშვიათ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით. უფლების დაცვის აღნიშნული ფორმა მარტივია, მაგრამ ეფექტიანი. ამასთან ერთად, თვითდაცვის (თვითდახმარების) დროს დიდია არამართლზომიერი მოქმედებების საშიშროებაც, მოსალოდნელია უკანონობა უფლების დამცველი სუბიექტის მხრიდან, რომელმაც, მაგალითად, შესაძლოა, მცდარად (არასწორად) შეაფასოს სიტუაცია ან დაიცვას ისეთი უფლება, რომელიც მას არ ეკუთვნის, ანდა მიიღოს (გამოიყენოს) კანონით გაუთვალისწინებელი ზომები. სწორედ ამიტომ არსებობს სპეციალური დათქმა სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლში, რომ თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ანუ უფლების დაცვის საშუალება მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (დარღვევის) თანაზომიერი (თანაბარი) უნდა იყოს.

თვითდაცვა მართლზომიერია კანონით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში, ესაა: აუცილებელი მოგერიება (როცა ძალადობას ძალა უპირისპირდება) და უკიდურესი აუცილებლობა (სამოქალაქო კოდექსის 116-ე და 117-ე მუხლები).

თვითდაცვისათვის ის გარემოებაა დამახასიათებელი, რომ უფლების დაცვის მიზნით შესაბამის მოქმედებებს თვით დაინტერესებული პირი ასრულებს ნორმატიულად დადგენილი რაიმე რეგლამენტის გარეშე.

5) ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრება. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საშუალებას რეალური შესრულება ეწოდება. იმ შემთხვევაში, როცა უფლების დამრღვევი ნებაყოფლობით არ ასრულებს იმ მოქმედებებს, რომლებიც მან უნდა შეასრულოს ვალდებულებიდან გამომდინარე, სასამართლო დააკისრებს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებას იძულებითი წესით.

6) ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების საფუძველი და წესი დეტალურადაა განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსით და თუ ზიანის მიმყენებელი ნებაყოფლობით არ ანაზღაურებს მას, დაზარალებულს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს მისი ანაზღაურება და მოთხოვნის დასასაბუთებლად შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინოს.

7) **პირგასამტეხლოს გადახდევინება.** პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა და იგი ასევე შეიძლება გადახდევინებულ ქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

8) **მორალური ზიანის კომპენსაცია (სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე და 1005 მუხლები).**

9) **სამართალურთიერთობათა შეცვლა და შეწყვეტა.** უფლების დაცვის ამ საშუალების განხორციელება თავისთავადაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ხანდახან საჭიროა სამართალურთიერთობათა იძულებითი (სასამართლო) წესით შეცვლა ან შეწყვეტა.

სხვა საშუალებებიც არსებობს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ხელშეკრულების დადების ვალდებულება. თითქმის ყველა ზემოაღნიშნული საშუალების (თვითდაცვის გარდა) განხორციელება, როგორც წესი, სასამართლო წესით ხდება.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი სამოქალაქო სამართალდარღვევა და იურიდიული დავა დაბრკოლებას უქმნის (აფერხებს) ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, წარმოშობს დავას უფლების შესახებ.

უფლების შესახებ დავა ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების ინდივიდუალურ იურიდიულ კონფლიქტს წარმოადგენს, რომელიც მათი ინტერესების შელახვის გამო წარმოიშობა. დავის დროს მხარეები ურთიერთდაპირისპირებული არიან, მაგრამ, რადგან ისინი თანასწორუფლებიანი არიან ურთიერთობებში, კონფლიქტი ვერ იქნება თავიდან აცილებული მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტის ნება-სურვილით. კონფლიქტი უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით ან სასამართლო წესით.

უფლების შესახებ დავა ორ შემთხვევაში წარმოიშობა: 1) როდესაც პირის უფლება დარღვეულია და 2) უფლება სადავოდ არის ქცეული. უფლების დარღვევის დროს დავის ობიექტი, როგორც წესი, ქონება ან არამატერიალური ფასეულობებია. უფლება შეიძლება დაირღვეს დანაშაულის ჩადენით, ვალდებულების დროულად შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ზიანის მიყენებით და ა.შ.

უფლების სადავოდ ქცევის დროს კი სადავო სამართალურთიერთობები გაურკვეველი, ბუნდოვანი ხდება, რის შედეგადაც ნათელი არაა მხარეთა უფლება-მოვალეობანი ურთიერთშორის, რაც ართულებს ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელებას. მაგალითად, სადავო გახდა ნაწარმოების ავტორობა, გარიგების (მათ შორის, ქორწინების) დადების ნამდვილობა და სხვ. შეცილებას ექნება ადგილი მაშინაც, როცა სასამართლოში აღიძვრება უსაფუძვლო სარჩელი.

უფლების შესახებ დავის გამიჯვნას ზემოაღნიშნული შემთხვევების მიხედვით, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, უფლების დაცვა მისი დარღვევის დროს უნდა მოხდეს რესტიტუციითა და უფლების დამრღვევი ან ისეთი მოქმედების აღკვეთით, რომელიც ქმნის უფლების დარღვევის საფრთხეს; ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრებით; ზიანის ანაზღაურებით; პირგასამტეხლოს გადახდევინებით; მორალური ზიანის კომპენსაციით და სხვა, ხოლო სადავოდ ქცევის დროს – უფლების აღიარებით ან სადავო გარიგების ბათილად ცნობით და სხვ. ე.ი. ერთ შემთხვევაში უნდა აღიძრას მიკუთვნებითი სარჩელი, მეორე შემთხვევაში – აღიარებითი სარჩელი.

უფლების დაცვის საშუალებისაგან განსხვავდება ისეთი ცნება, კატეგორია, როგორიცაა **„უფლების დაცვის ფორმა“.**

უფლების დაცვის ფორმა საპროცესო ხასიათის კატეგორიაა. უფლების დაცვის ფორმაში იგულისხმება კომპეტენტური ორგანოების კანონით განსაზღვრული საქმიანობა, რაც ხორციელდება უფლების დაცვის მიზნით, ე.ი. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათ მიმართ სამართლის ნორმათა შეფარდების, უფლების დაცვის საშუალებების განსაზღვრის, გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით.

უფლების დაცვის საშუალებების, ე.ი. იძულების განსაზღვრული ზომების (ღონისძიებათა) გამოყენება ხორციელდება არა ერთი, არამედ უფლების დაცვის რამდენიმე ფორმით; უფლების დაცვის ფორმათა მრავალგვარობა რამდენიმე ფაქტორით აიხსნება. კერძოდ: დასაცავი უფლების სპეციფიკით, მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობებისა და დასაცავი უფლებების შემეცნების სირთულით ან, პირიქით, სიმარტივით, საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესების განვითარების ხარისხით, სამართლებრივი ტრადიციებით.[1]

შელახული (დარღვეული) ან სადავო სამოქალაქო უფლებების დაცვას ახორციელებენ საერთო იურისდიქციის სასამართლოები და არბიტრაჟი, რომელსაც მხარეები საერთო წერილობითი თანხმობით ანდობენ საქმის, კერძოდ ქონებრივი დავის გადაწყვეტას.

უდავო უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის ფუნქციას კი ასრულებენ ნოტარიუსები და ის თანამდებობის პირები, რომელთაც უფლება აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედებები. მაგალითად, ნოტარიუსები ადასტურებენ გარიგებებს, იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, გასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობას, ასევე მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას.

უფლების დაცვის სხვადასხვა ფორმათა შორის წამყვან როლს თამაშობს უფლების დაცვის სასამართლო ფორმა, როგორც უნივერსალური, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით დეტალურად მოწესრიგებული ფორმა. სასამართლო ფორმა უზრუნველყოფს კანონის სწორად გამოყენების, მხარეთა შორის რეალურად არსებული უფლება-მოვალეობების დადგენის მყარ (საიმედო) გარანტიებს.

ადამიანის დარღვეული (შელახული) უფლებების დაცვა საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ, ყველაზე უფრო ეფექტიანი და ცივილიზებულია.[2]

თუ სახელმწიფო ხელისუფლება ძლიერია, იგი ყველგან და ყოველთვის თავის ერთ-ერთ მიზნად ისახავს საერთო უფლებრივი წესრიგის დაცვას. სამოქალაქო უფლებათა მფარველობა სახელმწიფოს მინდობილი აქვს განსაკუთრებული ორგანოებისათვის, რომელთაც სასამართლო ორგანოები ეწოდება, ამასთანავე, სახელმწიფო ადგენს იმ წესებს, რომლებითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საქმის განხილვის დროს და აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება.

სასამართლოთა საქმიანობა ხორციელდება დემოკრატიული საპროცესო ფორმით, რაც, პირველ ყოვლისა, ორიენტირებულია სამართლის სუბიექტების უფლებების (კანონიერი ინტერესების) დაცვაზე. ამ საქმიანობას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება ეწოდება.

მართლმსაჯულების ინსტიტუტი მოწოდებულია იმისათვის, რომ დაცულ იქნეს არა მხოლოდ სამართლის ცალკეული სუბიექტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, არამედ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელი სისტემა.[3]

სამოქალაქო სამართალწარმოება (სამოქალაქო პროცესი) ეწოდება სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესს, რომელიც განსაზღვრულია (მოწესრიგებულია) სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანებია: პირთა შელახული (დარღვეული) ან სადავო უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე სამართალდარღვევათა თავიდან აცილება (პრევენცია).

---

[1] Гражданский процесс. Учебник. Под ред. М.К. Треушникова. М., 2001, გვ. 21.

[2] Жуйков В.М., Права человека и власть закона. М., 1995, გვ. 6.

[3] Боннер А.Т. Правосудие как вид государственной деятельности. М., 1973, გვ. 3.

§3. სამოქალაქო საპროცესო ფორმა

საერთო იურისდიქციის სასამართლოებში სამოქალაქო პროცესი წარმოადგენს კანონით დადგენილ უფლების დაცვის ფორმას.

სამოქალაქო პროცესი (სამოქალაქო სამართალწარმოება) მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა და განსხვავდება იმ ორგანოთა საქმიანობის ფორმისაგან, რომლებიც სამოქალაქო საქმეებს სპეციფიკური საპროცესო ფორმით განიხილავენ. ასეთი ფორმა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობისთვისაა დამახასიათებელი.

სამოქალაქო საპროცესო ფორმის არსებითი ნიშან-თვისებაა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით განმტკიცებული მოთხოვნების სისტემა. ამ სისტემის შემადგენლობაში არის წესები, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესის მონაწილეთა წრესა და საქმიანობის წესს, მათი ყველა მოქმედების შესრულების თანმიმდევრობას, შინაარსსა და ხასიათს, აგრეთვე პასუხისმგებლობას ამ მოქმედებათა შეუსრულებლობისათვის.[1]

უფლების დაცვის სასამართლო ფორმის უპირატესობაა:

1) უფლების დაცვას ახორციელებს სპეციალური ორგანო — სასამართლო, რომელიც შექმნილია უფლების შესახებ დავის განსახილველად;

2) სასამართლო აღძრულ მოთხოვნებს წყვეტს სამოქალაქო და სამართლის სხვა დარგების ნორმათა შეფარდების (გამოყენების) საფუძველზე სამოქალაქო იურისდიქციის წესით;

3) საქმის გარემოებათა გამოკვლევა ხდება სამოქალაქო საპროცესო ფორმით დადგენილი წესით, რომელიც გარანტირებულს ხდის დავის კანონიერად და დასაბუთებულად გადაწყვეტას;

4) უფლების დაცვას ახორციელებენ მიუკერძოებელი მოსამართლეები;

5) საქმის განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ მხარეები, რომელთა შორის წამოჭრილია დავა და სხვა დაინტერესებული პირები.

ყოველივე ეს ერთობლივად ამაღლებს სასამართლო პროცედურის ეფექტიანობას.

საპროცესო ფორმა წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის თანმიმდევრულ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით განსაზღვრულ წესს, რომელიც მოიცავს გარანტიათა განსაზღვრულ სისტემას. საპროცესო ფორმის დაცვა სასამართლო დადგენილებათა კანონიერების აუცილებელი პირობაა.

საპროცესო ფორმისათვის დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური ნიშნები (პრინციპები):

1) კონსტიტუციური გარანტიები, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლის დამოუკიდებლობა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, საქვეყნოობა, მათ შორის სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელების გარანტია;

2) სამართალწარმოების მონაწილეთა საპროცესო უფლება-მოვალეობების ოპტიმალური თანაფარდობა;

3) სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები ერთობლივ შეადგენს (წარმოადგენს) საპროცესო ფორმას ფართო მნიშვნელობით; ამ ნორმებით მკაცრად და ამომწურავად განისაზღვრება და წარიმართება პროცესის სუბიექტების საქმიანობა — პროცესში დასაშვებია მხოლოდ საპროცესო კანონით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულება;

4) სამართალწარმოების უწყვეტობა;

5) სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი განსაზღვრულია (მოწესრიგებულია) მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით (სამოქალაქო საპროცესო

[1] Юридическая процессуальная форма. Теория и практика, М., 1976, გვ. 174.

სამართლის ნორმებით);

6) სასამართლოში საქმეთა განხილვის პროცედურა დეტალურადაა განსაზღვრული (იგულისხმება სასამართლოსა და პროცესის მონაწილეთა, ანუ პროცესის სუბიექტების მიერ საერთოდ, ყველა მოქმედების შესრულების თანმიმდევრობა, ამ მოქმედებათა და საპროცესო დოკუმენტების შინაარსი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით);

7) სასამართლოში დავების (სამოქალაქო საქმეთა) განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო ფორმის უნივერსალურობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, თუ რა პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა აბსოლუტურად ყველა სახის სამოქალაქო სამართალწარმოებაში და სამოქალაქო პროცესის ყველა სტადიაზე);

8) საპროცესო ფორმის იმპერატიულობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საქმეთა განხილვის წესი სავალდებულოა ყველასათვის: სასამართლოსა და პროცესის სხვა სუბიექტებისათვის და იმათთვისაც, რომლებიც უბრალოდ იმყოფებიან სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დროს, თუმცა თვითონ არ არიან საქმის უშუალო მონაწილენი — იხ. სსსკ-ის 211-ე მუხლი). საქმეთა განხილვის დადგენილი წესის (საპროცესო ნორმების) დარღვევამ შესაძლოა სხვადასხვა არასასურველი შედეგი გამოიწვიოს იმისდამიხედვით, თუ რა სახისა და ხასიათისაა აღნიშნული დარღვევა, კერძოდ: გადაწყვეტილების გაუქმება, წესრიგის დამრღვევის დაჯარიმება და 212-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა შედეგები და ა.შ.;

9) სასამართლო აკონტროლებს შესრულებულ საპროცესო მოქმედებებს;

10) სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ დამტკიცებულ და სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საშუალებებით დადგენილ ფაქტებს.

11) სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმის შედეგით) დაინტერესებულ პირებს უფლება ენიჭებათ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, თავიანთი ინტერესების დასაცავად. სასამართლოს არა აქვს უფლება ამ პირთა (რომლებიც გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე სასამართლოს შეტყობინებისამებრ) მოსმენისა და მათი მოსაზრებების (დასკვნების) განხილვის გარეშე დაადგინოს (გამოიტანოს) გადაწყვეტილება.

პროცესი ეს არის საპროცესო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული სამოქალაქო საქმის მოძრაობა ერთი სტადიიდან მეორეზე, რომლის საბოლოო მიზანია უფლების აღდგენა ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დაცვა.[1]

გამბაროვის აზრით სამოქალაქო პროცესი ეს არის სამოქალაქო უფლების იძულებითი განხორციელების წესი და წარმოადგენს იმ ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც უფლებადამცველი ორგანოების, ისე იმ პირთა მოქმედების წესს, რომლებიც სარგებლობენ ამ დაცვით ან რომლებიც ამა თუ იმ სახით ჩაბმული არიან პროცესში.[2]

გერმანელი პროცესუალისტი ბიულოვი სამოქალაქო პროცესს განიხილავდა როგორც უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობას, ე.ი. როგორც იურიდიულ ურთიერთობას.[3]

იმისათვის, რომ სასამართლოში აღიძრას სამოქალაქო საქმე, იმ პირმა, ვინც თვლის, რომ მისი უფლებები და თავისუფლებები სხვა პირის მიერ შელახულია, განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს, რომელსაც საქმის ხასიათის მიხედვით შეიძლება ვუწოდოთ სასარჩელო განცხადება ან უბრალოდ განცხადება, რომელშიც ყალიბდება მოთხოვნა, თუ რაში მდგომარეობს განმცხადებლის პრეტენზიის არსი და ამ მოთხოვნის დასაბუთება. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ფორმას (რეკვიზიტებს, ასევე განცხადება იმ

[1] Гражданский процесс. Учебник под ред. М.К. Треушникова, М., 2001, გვ. 23.

[2] Хрестоматия по гражданскому процессу. М., 1996.

[3] Хрестоматия по гражданскому процессу. М., 1996.

რაოდენობით უნდა იქნეს წარდგენილი, რამდენიც მოპასუხეა, განცხადებას უნდა ერთოდეს სხვადასხვა საბუთი და ა.შ.), მოსამართლე კი ამოწმებს, მიეკუთვნება თუ არა სასამართლოს გამგებლობას ამ სამართლებრივი ურთიერთობის განხილვა და გადაწყვეტა. თუ აღმოჩნდება, რომ მოთხოვნის დაცვა უნდა მოხდეს სასამართლო ფორმის მეშვეობით და თუ სასამართლოც კომპეტენტურია (მოთხოვნა უწყებრივად ექვემდებარება სასამართლოს და მისი განსჯადია), იგი მიიღებს განცხადებას. ასე (ამ მომენტიდან) აღიძრება სამოქალაქო საქმე და იწყება ამ საქმის სამართალწარმოება.

სასამართლო, მხარეები, პროცესის სხვა სუბიექტები (მოწმეები, ექსპერტები, თარჯიმნები, წარმომადგენლები) საქმის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში ასრულებენ მოქმედებებს (მონაწილეობენ სასამართლო სხდომაში, იძლევიან ახსნა-განმარტებებს, ჩვენებებს, შუამდგომლობენ სასამართლოსთან და ა.შ.). საქმის განხილვასთან, გადაწყვეტილების გამოტანასთან, მის გასაჩივრებასთან დაკავშირებული სასამართლოსა და პროცესის სხვა სუბიექტების ყველა მოქმედება შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მოქმედი საპროცესო კანონის ნორმების ფარგლებში და ამიტომ ეს მოქმედებები საპროცესო მოქმედებებია, რომელთა ერთობლიობაც სწორედ სამოქალაქო პროცესს (სამოქალაქო სამართალწარმოებას) წარმოადგენს.

სამოქალაქო პროცესი მოიცავს სასამართლოს, მხარეების, პროცესის სხვა მონაწილეების საპროცესო მოქმედებებს, ამ სუბიექტთა საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებს. სასამართლოსა და პროცესის სხვა სუბიექტებს, მართლმსაჯულების მიზნების მისაღწევად კანონი ანიჭებს საპროცესო უფლებებს, მაგრამ აკისრებს შესაბამის საპროცესო მოვალეობებსაც. საპროცესო უფლება-მოვალეობების განხორციელება პროცესში ხდება. მაგალითად, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელება სარჩელის შეტანით ხდება, სარჩელისაგან თავის დაცვის უფლება კი — მის წინააღმდეგ შესაგებლის შეტანით ან შეგებებული სარჩელის წარდგენით. მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებას, მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა, სათანადოდ მიაწოდოს ინფორმაცია მხარეებს სხდომის ადგილისა და დროის შესახებ. სასამართლოს, როგორც ხელისუფლების ორგანოსა და პროცესის მონაწილეთა შორის მყარდება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით წესრიგდება და ამიტომ ეს ურთიერთობები სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებია.

ამრიგად, სამოქალაქო პროცესი საპროცესო მოქმედებების, სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა საპროცესო უფლება-მოვალეობების ერთიანობაა (მთლიანობაა).

პროცესის მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი სუბიექტი სასამართლოა (როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო სასამართლო).

სასამართლოს გარდა პროცესში მნიშვნელოვანია საქმის შედეგით დაინტერესებულ პირთა საქმიანობაც. ესენი არიან მოსარჩელეები, მოპასუხეები (რომლებმაც პასუხი უნდა აგონ სარჩელზე); მესამე პირები; განმცხადებლები უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებზე. საქმის შედეგით დაინტერესებულ პირებსა და მათ წარმომადგენლებს საპროცესო კანონით უზრუნველყოფილი აქვთ პროცესის ყველა სტადიაზე აქტიური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. სასამართლომ კი, როგორც პროცესის მთავარმა მონაწილემ, არა მხოლოდ უნდა დაიცვას საპროცესო სამართლის ყველა ნორმა, არამედ მოითხოვოს და აკონტროლოს პროცესის ყველა მონაწილის მიერ ამ ნორმათა შესრულება.

სამოქალაქო პროცესი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული იმ საპროცესო მოქმედებებისა და სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობაა, რომელიც სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლოსა და სხვა სუბიექტებს შორის წარმოიშობა.

სამოქალაქო პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების თავისებურება იმაში მდგო-

მარეობს, რომ ისინი შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით დადგენილი წესითა და ფორმით, ხოლო პროცესის ყველა მონაწილეს კანონით მინიჭებული აქვს საპროცესო უფლება-მოვალეობები.

ამ საქმიანობის პროცესში მხოლოდ იმ მოქმედებების შესრულება ხდება, რომლებიც გათვალისწინებულია საპროცესო ნორმებით და ამიტომ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები ყოველთვის საპროცესო სამართალურთიერთობების ფორმით არსებობენ, ხოლო თვითონ სამოქალაქო პროცესი (სამოქალაქო სამართალწარმოება) მოქმედებებისა და სამართალურთიერთობების განუყოფელ კავშირს (სისტემას) წარმოადგენს.

ამრიგად, სასამართლოსა და პროცესის მონაწილეთა მთელი საქმიანობა ხორციელდება განსაკუთრებული ფორმით, რომელსაც საპროცესო ფორმა ეწოდება. უფლების დაცვის სამოქალაქო საპროცესო ფორმა საქმის შედეგით დაინტერესებულ პირებს დავის კანონიერად გადაწყვეტის, საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების თანასწორობის სამართლებრივ გარანტიებს უქმნის. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო ფორმა, სასამართლოს ავალდებულებს განიხილოს და გადაწყვიტოს უფლების შესახებ დავები და, ამასთან, ზუსტად დაიცვას მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები და გამოიტანოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებები, უზრუნველყოს მხარეთათვის კანონით დადგენილი საპროცესო გარანტიები.

§4. სამოქალაქო სამართალწარმოების სახეები და სტადიები

1. **სამოქალაქო სამართალწარმოების სახეები.** სამოქალაქო სამართალწარმოების სახეს ეს არის მატერიალური უფლების ან კანონიერი ინტერესის (რომლებიც დაცულ უნდა იქნეს) ხასიათითა და სპეციფიკით განსაზღვრული, გარკვეული ჯგუფის სამოქალაქო საქმეთა აღძვრის, განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესი. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სასამართლოს მიერ განსახილველ ყველა კატეგორიის სამოქალაქო საქმეს ოთხ სახედ ყოფს, კერძოდ, ესენია: 1) სასარჩელო წარმოების წესით განსახილველი საქმეები; 2) უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები; 3) გამარტივებული წესით განსახილველი საქმეები; 4) საოჯახო-სამართლებრივი საქმეები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საქმეთა წრე მეტად მრავალფეროვანია. ამითი არის გამოწვეული საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებანიც.

ამა თუ იმ კატეგორიის საქმის მატერიალურ-სამართლებრივი თავისებურება განსაზღვრავს სამართალწარმოების სპეციფიკასაც, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს (ან შესაძლებელია მოხდეს) ამ საქმისწარმოება, რაც სწორედ საფუძველია იმისა, რომ საპროცესო კოდექსში გამოიკვეთოს (გამოიყოს) ოთხი სახის სამართალწარმოება.

სამოქალაქო პროცესში ოთხი სახის სამართალწარმოების არსებობა იმით აიხსნება, რომ სასამართლოში განიხილება საქმეები, რომელთაც არსებითი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი თავისებურებები გააჩნიათ, რამეთუ სამოქალაქო საპროცესო სამართალი აწესრიგებს სხვადასხვა უფლების (თუ ინტერესის) სასამართლოში დაცვის წესს. ეს საქმეები თავიანთი მატერიალურ-სამართლებრივი ბუნებით პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამდენად, საქმეთა მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება, მთელ რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას ამ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის ფორმაზე.

სამართალწარმოების ძირითადი და ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა სასარჩელო წარმოება. სასარჩელო წესით განიხილება კერძოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეები (დავები). სასარჩელო წარმოებაში მხარეები სამართლებრივად თანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან (სამართლებრივად ისინი თანასწორნი არიან). ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სასარჩელო წარმოებაში განიხილება დავა უფლების შესახებ. ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი არსით სასარჩელო წარმოებისათვის დადგენილი წესები საერთოა ყველა დანარჩენი სახის სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის, ცხადია, იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც უდავო, გამარტივებულ და საქორწინო-საოჯახო საქმეთა განხილვას (წარმოებას) ახასიათებს. უდავო წარმოებასა (მუხლი 311-ე) და საქორწინო-საოჯახო საქმეთა წარმოებასთან (მუხლი 352-ე) დაკავშირებით ამაზე პირდაპირ არის მითითებული.

სასარჩელო წარმოება წარმოიშობა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების შესახებ დავის არსებობისას.

რაც შეეხება სამართალწარმოების მეორე სახეს – გამარტივებულ წარმოებას, აქაც განიხილება დავა უფლების შესახებ, კერძოდ, ხდება უდავო დოკუმენტებზე (მტკიცებულებებზე) დაფუძნებული უფლებების დაცვა (დაკმაყოფილება), მაგრამ სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, დავა განიხილება გამარტივებული წესით, რითაც უფრო სწრაფად ხდება უფლების დაცვა. გამარტივებული წარმოება სასარჩელო წარმოების ალტერნატიული პროცედურაა (ალტერნატიული ფორმაა), ოღონდ ხორციელდება არა ყველა სამოქალაქო საქმეზე, არამედ ამ წესით მხოლოდ საქმეთა ერთი გარკვეული ჯგუფის განხილვაა შესაძლებელი. შესაბამისად, გამარტივებული წესით განსახილველი ყველა საქმე შესაძლოა განხილულ იქნეს სასარჩელო წესით, მაგრამ სასარჩელო წესით განსახილველი არა ყველა საქმის გამარტივებულად გადაწყვეტის შესაძლებლობას უშვებს (ითვალისწინებს) კანონი. ამიტომ შესაბამისი სამართლებრივი პირობების არსებობისას, უფლების დაცვის სასარჩელო თუ გამარტივებული ფორმის (პროცედურის) არჩევა დაინტერესებული პირის დისპოზიციურ უფლებამოსილებას მიეკუთვნება. უფლებრივი დავა წყდება საოჯახო საქმეებშიც (XLIII თავი).

სასამართლო აგრეთვე განიხილავს ისეთ საქმეებსაც, რომლებშიც არ არსებობს დავა უფლების შესახებ. ასეთი საქმეები უდავო წარმოების წესით განიხილება. უდავო წარმოებაში არ არიან მხარეები, მესამე პირები, განმცხადებელი არ აყენებს იურიდიულ მოთხოვნებს. უდავო წარმოებაში სასამართლო იცავს პირთა კანონიერ ინტერესებს, რისთვისაც თავისი გადაწყვეტილებით ადგენს იურიდიულ ფაქტებს, პირთა სამართლებრივ მდგომარეობას, აგრეთვე უდავო უფლებების არსებობას ან არარსებობას, რომელთა დადასტურებისთვისაც საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ საქმეებს თავიანთი სპეციფიკის გამო უდავო წარმოების საქმეები ეწოდება, მაგრამ „უდავობა“ ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს აქ არ შეიძლება იყოს საერთოდ დავა. უდავო წარმოებაში დავა არ არის უფლების შესახებ, მაგრამ დავა შესაძლოა იყოს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების შესახებ.

2. **სამოქალაქო პროცესის სტადიები.** სასამართლოს საქმიანობა სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს, სტადიების (ეტაპების) მიხედვით განსაზღვრული თანმიმდევრობით ხორციელდება.

სამოქალაქო პროცესის სტადია ეწოდება საპროცესო მოქმედებებისა და საპროცესო ურთიერთობების სისტემას, რომელსაც გააჩნია ერთი კონკრეტული მიზანი, მაგალითად, განცხადების მიღება, საქმის მომზადება და განხილვა და ა.შ. სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიები ერთიანი სამოქალაქო სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილებია.

პირველი სტადიაა სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში. საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელით აღიძვრება, ხოლო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ

შემთხვევებში კი – განცხადებით (სსსკ-ის 177-ე მუხლი). საქმე აღიძვრება მოსამართლის მიერ სარჩელის (განცხადების) მიღებით.

საქმის აღძვრას მოსდევს მეორე სტადია – საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად. ამ სტადიის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს საქმეთა დროულად და სწორად განხილვა და გადაწყვეტა ერთ სასამართლო სხდომაზე (რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებელია).

პროცესის მესამე სტადიაა საქმის არსებითად (მთავარ სხდომაზე) განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამ სტადიაზე საქმე სასამართლო სხდომაზე წყდება არსებითად და, როგორც წესი, საქმე მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანით. ზოგიერთ შემთხვევაში პროცესი მთავრდება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე.

მეოთხე სტადიაა კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებების გასაჩივრება, ანუ აპელაცია და კასაცია. რაც შეეხება განჩინებათა გასაჩივრებას, კანონიერ ძალაში შეუსვლელი განჩინებების გასაჩივრების წესს კანონი ცალკე ითვალისწინებს (საპროცესო კოდექსის მეათე კარში). ცალკეულ შემთხვევაში დაიშვება განჩინებათა აპელაციაც. მაგალითად, აპელაციის წესით დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად საჩივრდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ (მუხლი 240-ე).

სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე მხარეებსა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს უფლება აქვთ იგი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივრონ.

თუმცა მხარეები ზოგჯერ სასამართლოს დადგენილებას არასწორად (მცდარად) მიიჩნევენ ამა თუ იმ მიზეზით, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შედეგადაც და ამიტომ ითხოვენ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტით დამთავრებული საქმისწარმოების განახლებას.

საქმისწარმოების განახლების სტადიაზე ხდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმისწარმოების განახლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები.

ეს სტადია პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება და გვხვდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა საქმე განხილულ იქნა საქმისათვის არსებითი ხასიათის (მნიშვნელობის) მქონე გარემოებების (ან მტკიცებულებების) გათვალისწინების გარეშე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქმის განხილვის მომენტშიც, მაგრამ მხარისათვის შემდეგ გახდა ცნობილი და ეს გარემოებები და მტკიცებულებები ადრევე (თავის დროზე) რომ ყოფილიყო ცნობილი მხარისათვის და წარდგენილი საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, თუმცა საქმის განხილვის დროისათვის განმცხადებლისთვის არ იყო და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო სასამართლოს აქტის მიღებას, გაუქმდა. საქმისწარმოება განახლდება ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის LII თავით გათვალისწინებული სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულ სტადიათა არსებობა იმას როდი ნიშნავს, რომ ნებისმიერი სამოქალაქო საქმის განხილვა ნებისმიერ შემთხვევაში ყველა ამ სტადიის სავალდებულო გავლით მოხდება. სამოქალაქო საქმის მოძრაობა შეიძლება დამთავრდეს, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვის სტადიაზე ან დამთავრდეს მოსამზადებელ სტადიაზევე. უფრო მეტიც, ზოგჯერ კანონში სპეციალური მითითების არსებობის გამო, შემდგომ სტადიაზე გადასვლა გამორიცხულია, მაგალითად,

365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება, ანუ საქმის განხილვა საა-პელაციო სასამართლოში დაუშვებელია, თუ მისი ღირებულება ქონებრივ-სამართლებრივ დავაში 1000 ლარს არ აღემატება. საკასაციო სასამართლოში საქმე არ განიხილება, თუ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლით დადგენილ მისი დასაშ-ვებობის პირობებს.

§5. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება, საგანი და მეთოდი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის სისტემაში

1. **სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება.** სამართლის თეორიაში, სამართლის ყველა დარგი მატერიალური (რეგულაციური) და საპროცესო (ფორმალური) სამართლის დარგებად იყოფა.

მატერიალური სამართალი იმ სამართლებრივი ნორმების სისტემაა, რომელთა დახმარე-ბითაც საზოგადოებაში ხორციელდება ადამიანთა ურთიერთობებზე ზემოქმედება პირიდა-პირი, უშუალო სამართლებრივი მოწესრიგების გზით. მატერიალური სამართლის ნორმები:

ა) განამტკიცებენ საკუთრების უფლებას, სამართლის სუბიექტებისა და ქონების იურიდიულ მდგომარეობას;

ბ) ადგენენ აღნიშნული პირების, სუბიექტების (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების) სამართლებრივ სტატუსს;

გ) აწესრიგებენ კერძოსამართლებრივ, ეკოლოგიურ, საფინანსო, საგადასახადო და სხვა ურთიერთობებს;

დ) ადგენენ უფლების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებსა და პასუხისმგებლობის ზღვარს (ფარგლებს).

მატერიალური სამართლის ნორმები განსაზღვრავენ (ადგენენ) ამ ურთიერთობების მონაწილეთა ურთიერთ უფლებებსა და მოვალეობებს.

სამოქალაქო (ეკონომიკური) ბრუნვის ნიადაგზე სამართლის სუბიექტებს შორის წარმოიშობა მრავალი უფლებრივი, უმთავრესად, კერძო ხასიათის ურთიერთობა. ამ ურთიერთობებს აგვარებს, ანუ აწესრიგებს სამოქალაქო სამართალი, რომელიც სწორედ მატერიალური სამართლის დარგებს მიეკუთვნება.

სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები მოიცავენ თითოეული ადამიანის სამოქალაქო კერძო ცხოვრების ყველა მხარეს. სამოქალაქო სამართლის მოწესრიგების სფერო განსაზ-ღვრულია სამოქალაქო კოდექსის პირველივე მუხლში.

სამოქალაქო სამართალი სამოქალაქო სამართალურთიერთობათა სუბიექტებს სხვადასხვა უფლებას ანიჭებს; კერძოდ, ქონების შეძენის, გარიგების დადების, პროფესიის არჩევის (ვთქვათ, მეუღლის მიერ) უფლებას და სხვ. მაგრამ სამოქალაქო უფლებებს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და ფასი, როდესაც ისინი დაცულია, ხელუხლებელია სხვების მხრივ.

ამიტომ მატერიალურ სამართალთან განუყოფლადაა დაკავშირებული საპროცესო სამართალი. ხშირად ამა თუ იმ ქონების, ან უფლების გამო ატყდება დავა, ხან შეცდომაზე აგებული, ხან ბოროტი განზრახვით გამოწვეული. დავას განხილვა უნდა და მართალ მხარეს გამოსარჩლება. საპროცესო სამართალი განამტკიცებს საპროცესო (პროცედუ-რულ) ფორმებს, რომელთა ფარგლებშიც ლეგიტიმურად ხდება მატერიალური უფლებების განხორციელება და დაცვა. საპროცესო დარგებს მიეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი, კონსტიტუციური პროცესი.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი იმ საპროცესო-სამართლებრივი ნორმების

სისტემაა, რომელიც სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა შორის წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები დაჯგუფებულია ინსტიტუტებად. ნორმათა ერთობლიობა სამართლის დარგად მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუ ისინი სისტემატიზებული არიან. სისტემატიზაცია უზრუნველყოფს წესრიგს სამოქალაქო იურისდიქციაში[1], გარანტირებულს ხდის სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წესით განხილვისა და გადაწყვეტის კანონიერებას, დასაბუთებულობას და დროულობას.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის სოციალური და იურიდიული მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ იგი უზრუნველყოფს კერძო უფლებების დაცვას.

უფლების დაცვა მიზანშეწონილია მაშინ, როცა უფლება ჯერ კიდევ არ დარღვეულა. ეს იმიტომ, რომ უფლება მომავალში არ იქნეს დარღვეული. უფლების დაცვა მდგომარეობს მხარეთა ურთიერთობებში არსებული იურიდიული გაურკვევლობების თავიდან აცილებაში (აღმოფხვრაში), კონკრეტული იურიდიული ფაქტების დადგენაში, რაზედაც დამოკიდებულია მომავალში ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების უფლებების განხორციელება, აგრეთვე სადავო სამართალურთიერთობის, გარიგების არსებობის აღიარება-არაღიარებაში.

სასამართლო დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც პირთა უფლებები, ისე კანონიერი ინტერესები.

პროცესის თითოეული მონაწილისათვის სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ნორმებით დადგენილია საპროცესო უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს მხოლოდ მის გამგებლობას მიკუთვნებული საქმეები. სასამართლოს აკისრია ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზე. სასამართლო აღჭურვილია სახელისუფლებო უფლებამოსილებებით პროცესის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობაში. სასამართლო ვალდებულია დაიცვას მხარეებისა და პროცესის სხვა სუბიექტების საპროცესო უფლებები.

ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროცესში, იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე, დაამტკიცონ თავიანთი მოთხოვნების საფუძველი, გააჩივრონ სასამართლოს აქტი, მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს აქტის აღსრულებაში. მხარეები სარგებლობენ უამრავი საპროცესო უფლებით და ამასთან, იმის ვალდებულებაც აკისრიათ, რომ კეთილსინდისიერად ისარგებლონ თავიანთი საპროცესო უფლებებით, გადაიხადონ სასამართლო ხარჯები, წარადგინონ მტკიცებულებები.

პროცესის თითოეული მონაწილის მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედება კანონით გათვალისწინებული საპროცესო უფლებების განხორციელებისა და მოვალეობათა შესრულების შედეგია.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ სასამართლო პროცესის მთელ მსვლელობას. სამოქალაქო პროცესის თითოეული სუბიექტისათვის ადგენენ სავალდებულო (აუცილებელი) და შესაძლებელი მოქმედებების საზღვრებს (ფარგლებს), ანუ საპროცესო ნორმები შესასრულებელი მოქმედებების საზომს წარმოადგენენ.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა სამართლებრივი მოწესრიგების ობიექტია სამოქალაქო საქმეებზე სამართალწარმოების (პროცესის) განხორციელების სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, ე.ი. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები. ეს იმით აიხსნება, რომ მართლმსაჯულების სფეროში წარმოუდგენელი და შეუძლებელია ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობების არსებობა, რომლებიც სამართლით არ არის მოწესრიგებული, რადგანაც ყველა ამ ურთიერთობას იურიდიული ფორმა გააჩნია და სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სახით არსებობს, მათი წარმოშობისა და

[1] იურისდიქცია (ლათ. jurisdictio) – სამართალწარმოება.

შეწყვეტის საკითხებს საპროცესო სამართლის ნორმები აწესრიგებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია და ამიტომ, როგორც ყველა დარგს, მასაც სამართლებრივი მოწესრიგების სპეციფიკური საგანი და მეთოდი გააჩნია, ასევე სამართლის ეს დარგი სამოქალაქო საპროცესო ნორმების სპეციფიკით ხასიათდება.

უნდა განვასხვაოთ სამოქალაქო პროცესის საგანი და სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი.

სამოქალაქო პროცესი სასამართლოს საქმიანობაა მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრული საპროცესო ფორმით მიმდინარეობს და მისი საგანია კონკრეტული სამოქალაქო საქმე.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის, როგორც სამართლის დარგის საგანია თვითონ სამოქალაქო პროცესი (სამოქალაქო სამართალწარმოება), ე.ი. სასამართლოსა და პროცესის სხვა სუბიექტების, აგრეთვე გარკვეულწილად სააღსრულებო ორგანოთა საქმიანობაც.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეთოდი ეს არის სამართლის მოცემული დარგით მოწესრიგებულ ურთიერთობებზე ზემოქმედების საშუალება, ანუ იურიდიული საშუალებების სისტემა, რომელთა საშუალებითაც (მეშვეობით) უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობებს დისპოზიციურ-ნებადართვითი მეთოდით აწესრიგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეთა აღძვრის ინიციატივა დაინტერესებულ პირებს ეკუთვნით და არა სასამართლოს. სასამართლო თავისი ინიციატივით სამოქალაქო საქმეს არ აღძრავს. სასამართლო აქტების გასაჩივრება და, როგორც წესი, მათი აღსრულება (ანუ სამოქალაქო საქმის გადასვლა ერთი სტადიიდან მეორე სტადიაზე, თუ კანონი ამას არ კრძალავს, რა თქმა უნდა) ასევე დამოკიდებულია საპროცესო სამართლის დაინტერესებული სუბიექტების ნების გამოვლენაზე.

სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურ-ნებადართვითი მეთოდი ვლინდება სამართალურთიერთობის სუბიექტთა შემადგენლობასა და სამართლებრივ მდგომარეობაში, იურიდიული ფაქტების ხასიათში, უფლება-მოვალეობებში, სანქციებში.

დისპოზიციურობა გულისხმობს უფლება-მოვალეობათა თავისუფალ განხორციელებას, მაგრამ კანონის ფარგლებში. მხარეები პროცესში თანასწორნი არიან, რადგან თანასწორი უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ.

იურიდიულ ფაქტებს[1] რომლებთანაც საპროცესო ნორმები აკავშირებენ სამართალურთიერთობების წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას, სპეციფიკა გააჩნიათ. პირველ ყოვლისა, იურიდიული ფაქტებია საპროცესო მოქმედებები, რომლებიც: 1) გათვალისწინებულია დარგობრივი კანონმდებლობით; 2) ხორციელდება საპროცესო ფორმაში; 3) ხორციელდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებში. იურიდიული ფაქტებია მოქმედებები და ხდომილებები. როგორც წესი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტისათვის აუცილებელია რამდენიმე იურიდიული ფაქტის (იურიდიული შემადგენლობის) არსებობა.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ გამოყენებულ სანქციებს, ისინი სახელმწიფო იძულების ხასიათს ატარებენ (მაგალითად, ჯარიმები და სხვა). ამასთან, სანქცია შეიძლება არც გამოიხატებოდეს სახელმწიფო იძულებაში. მაგალითად, ზემდგომი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

რაც შეეხება ნებადართვით მეთოდს, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა უმეტესობა ნებადართვითი და არა ამკრძალავი ხასიათისაა. პროცესის მონაწილეთ უფლება

---

[1] იურიდიული ფაქტების შესახებ იხილეთ: Ярков В.В. Юридические факты в механизме реализаций норм гражданского процессуального права. Екатеринбург, 1992.

აქვთ დაიკავონ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ერთი საპროცესო მდგომარეობა და შეასრულონ ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ნებადართული და გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

დაბოლოს, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა სრულყოფილებისა და განვითარების ხარისხი განსაზღვრავს სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების ამოცანათა შესრულებას საზოგადოების განვითარების თანამედროვე პერიოდში.[1] (ცხადია, იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ ეს ნორმები ზუსტად იქნება დაცული მათი შეფარდების, მათი გამოყენების პროცესში).

2. სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის სისტემაში

სამოქალაქო საპროცესო სამართალი სახელმწიფოში არსებული სამართლის მთლიანი სისტემის ელემენტია და ამიტომ ის გარკვეულწილად დაკავშირებულია სამართლის სხვა მრავალ დარგთან.

უპირველ ყოვლისა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული მატერიალური სამართლის დარგებთან (სამოქალაქო სამართალთან ფართო გაგებით), კერძოდ, სამოქალაქო სამართალთან და მის ინსტიტუტებთან, აგრეთვე შრომის სამართალთან და სხვა, იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო სამართალი უზრუნველყოფს შელახული ან სადავო სამოქალაქო უფლებების იძულებით (სასამართლო წესით) განხორციელებას, ანუ პროცესი არსებობს ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების იმ უფლების დასაცავად, რომელიც სამოქალაქო სამართალს ეყრდნობა. ასეთი უფლების შელახვა ნიშნავს სამოქალაქო სამართლის ნორმების დარღვევას, ხოლო უფლების დაცვა — ამ ნორმების აღდგენას.

აღსანიშნავია, რომ მატერიალურ სამართალში ზოგჯერ ვხვდებით სამოქალაქო საპროცესო ხასიათის ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ, მაგალითად, მტკიცების საგანს, საქმის სასამართლოსადმი უწყებრივ ქვემდებარეობას, მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს და ა.შ. სამართლის ამ დარგებს შორის თანაფარდობა (კავშირი) გასაგებია და, შესაბამისად, ეს საკითხი არ მოითხოვს განსაკუთრებულ განმარტებას, რადგანაც პროცესი ეს არის სამოქალაქო სამართლის პროცესი, ამიტომ ამბობენ, რომ პროცესი — ეს არის მატერიალური სამართლის ფორმა, რომლის მეშვეობითაც წარმოებს დარღვეული უფლებების აღდგენა და ამ გზით მათი დაცვა.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი კერძოსამართლებრივი ვალდებულებების იძულებითი წესით განხორციელების ფორმაა. იძულების განმახორციელებელი აპარატი სასამართლოა, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანის დროს, მატერიალური სამართლის ნორმებს უფარდებს კონკრეტულ ფაქტებს (ასე ვთქვათ, კონკრეტულ შემთხვევას), ანუ სასამართლო იყენებს ამ ნორმებს დავის გადაწყვეტის დროს. მატერიალური სამართლის ნორმათა დარღვევა ან მათი არასწორად გამოყენება კი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია (საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი).

სამოქალაქო პროცესის წარმოშობის ერთ-ერთი პირობაა სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე მატერიალურ-სამართლებრივი დავის არსებობა (სასარჩელო, მათ შორის, საოჯახო საქმეთა და გამარტივებულ წარმოებაში). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევას მოქმედებაში მოჰყავს სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, თუ რა თქმა უნდა, არსებობს დაინტერესებული პირის შესაბამისი მიმართვაც სასამართლოსადმი უფლების დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეშვეობით პირს აიძულებენ შეასრულოს განსაზღვრული მოქმედებები, ან თავი შეიკავოს მათი შესრულებისაგან, რათა აღდგეს არა მხოლოდ დარღვეული უფლება, არამედ კანონიერებაც.

---

[1] Лесницкая Л.Ф. Концепция развития гражданского процессуального законодательства. Концепция развития российского законодательства. М., 1998, გვ. 116-123.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თავის მხრივ, რეგულაციური სამართლის გარეშე უმიზნო იქნებოდა, რადგან სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თუ ასე შეიძლება ითქვას, ემსახურება მას და საპროცესო სამართლის ეს როლი გამოიხატება სწორედ სამოქალაქო უფლებების დაცვაში. მატერიალური სამართალი პროცესის გარეშე იქნებოდა არსებული დაცვის გარეშე, ხოლო პროცესი მატერიალური (რეგულაციური) სამართლის გარეშე იქნებოდა უსაგნო (უშინაარსო) და ამიტომ ყოველგვარ აზრს მოკლებული სოციალურ და იურიდიულ ურთიერთობებში.

მაშასადამე, სამოქალაქო პროცესი ემსახურება სამოქალაქო სამართალს. ეს უკანასკნელი – მიზანია, პროცესი – მისი სანქცია, მისი განხორციელების საშუალებაა.

მატერიალურ სამართალსა და საპროცესო სამართალს შორის კავშირი ვლინდება უშუალოდ ცალკეულ (კონკრეტულ) ინსტიტუტებსა და ნორმებში, რომლებშიც მოცემულია ზოგიერთი საპროცესო ხასიათის ნორმა. კერძოდ, რიგ შემთხვევებში მატერიალური სამართლის ნორმები ადგენენ გარიგების ფორმას და იქვე გადაწყვეტილია მტკიცებულებების შესახებ საკითხიც, რომლებითაც შეიძლება სადავო შემთხვევაში დადგინდეს მოცემული სამართალურთიერთობის წარმოშობის ფაქტი. მაგალითად: სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირი (მარტივი) ფორმით, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც, მაგრამ ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მოცემულ მაგალითში (სამოქალაქო სამართლის ნორმაში) გარიგების ფორმის საკითხი სამოქალაქო სამართლის საკითხია, ხოლო მოწმის ჩვენება და წერილობითი მტკიცებულებები – საპროცესო სამართლის საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი ასევე დაკავშირებულია კონსტიტუციურ სამართალთან, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასამართლოს ორგანიზაციისა (მოწყობისა) და საქმიანობის პრინციპები დადგენილია სამართლის ამ დარგის ნორმებით და, უპირველეს ყოვლისა კი, საქართველოს კონსტიტუციით.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის კავშირი კონსტიტუციურ სამართალთან ორ ასპექტში შეიძლება გამოვლინდეს:

1) ორივე დარგს საერთო წყაროები აქვს. მართალია, საქართველოს კონსტიტუცია კონსტიტუციური სამართლის ძირითადი წყაროა, მაგრამ კონსტიტუციური სამართლის (კონსტიტუციის) ნორმებს სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა გააჩნიათ, ვინაიდან სამოქალაქო წარმოების მოწესრიგება ხდება ამ ნორმების აუცილებელი გათვალისწინებით. კონსტიტუციაში ხომ მართლმსაჯულების განხორციელების უმნიშვნელოვანესი პრინციპებია დადგენილი. მაგალითად, სასამართლო ხელისუფლების არსებობა ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალას განაპირობებს. სასამართლოების სისტემის შესაბამისად ხდება სამოქალაქო საქმეთა გვარეობითი განსჯადობისა და სასამართლო დადგენილებათა გასაჩივრების სახეების დადგენა.[1]

სამოქალაქო პროცესის ფუნქციონირება სიცოცხლისუნარიანს ხდის კონსტიტუციურ ნორმებს, რაც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს სწორედ ამ ნორმათა სამართლებრივ ღირებულებას (მნიშვნელობას). ამიტომ ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები რეალური მხოლოდ იმიტომაა, რომ შესაძლებელია მათი სასამართლო წესით დაცვა და იძულებითი განხორციელება სამოქალაქო საპროცესო საშუალებებით.

2) საპროცესო სამართალისა და კონსტიტუციური სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს შორის არსებობს კავშირი, ამ შემთხვევაში საუბარია სასამართლო მოწყობის ინსტიტუტის შესახებ, რომელიც ადგენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მხოლოდ

[1] Савельева Т.А. Судебная власть в гражданском процессе. Саратов, 1997, გვ 42.

კანონისადმი დამორჩილების, მართლმსაჯულების მხოლოდ საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებისა და სხვა პრინციპებს. სამოქალაქო საპროცესო სამართალისა და კონსტიტუციური სამართლის ამ ინსტიტუტს სამართლის ზოგიერთი საერთო წყარო აქვს.

სახელმწიფო ბაჟის გადახდის მომწესრიგებელი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების არსებობა ასახავს ურთიერთკავშირს საფინანსო სამართალთან.[1]

სამოქალაქო საპროცესო სამართალს კავშირი აქვს მატერიალური სამართლის მთელ რიგ სხვა დარგთან, რომელთა ნორმებს სასამართლო იყენებს კონკრეტულ სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის დროს. ძალზედ მჭიდრო კავშირია სამოქალაქო საპროცესო სამართალსა და გაკოტრების (გადახდისუუნარობის) სამართალს შორის, ასევე ადმინისტრაციულ პროცესს შორის.

ბევრად უფრო ნაკლები თანაფარდობა არსებობს სამოქალაქო საპროცესო სამართალსა და სისხლის სამართალს შორის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება არაკეთილსინდისიერი მოწმეებისა და ექსპერტების მიმართ, რომელთა დანაშაულებრივი მოქმედებაც წარმოადგენს სასამართლო დადგენილებათა დროულად და კანონიერად გამოტანის დამაბრკოლებელ ფაქტორს. ასევე აღსანიშნავია, რომ პროცესის მონაწილის მიერ სამოქალაქო საქმის განხილვის დროს დანაშაულის ჩადენა, შიჩნეულია იმ სამოქალაქო საპროცესო ფაქტად, რომელიც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის სამართლის პროცესთან, ვინაიდან ორივე დარგი საპროცესო სამართლის დარგია და ორივე განსაზღვრავს მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოს — სასამართლოს საქმიანობის წესს. ორივე დარგის მიზანია უფლებრივი წესრიგის დაცვა. სამართლის ამ დარგებს, პირველ ყოვლისა, ის აერთიანებთ, რომ ისინი საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ. სამოქალაქო საპროცესო სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში თავისი არსით მსგავსი ინსტიტუტები და პრინციპები გვხვდება (მაგალითად, მტკიცება, საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციით, გადაწყვეტილებათა აპელაცია და კასაცია და ა.შ.), მსგავსებაა საპროცესო ფორმაში.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალსა და სამართლის სხვა დარგებს შორის სხვადასხვაგვარი ურთიერთკავშირის არსებობა განპირობებულია თვით სამართლის სისტუმურობით, რაც გულისხმობს მისი შემადგენელი ნაწილების (დარგებისა და ინსტიტუტების) ურთიერთკავშირს.

---

[1] Гражданский процесс. Учебник. Автор гл. Решетникова И.В., М., 2000, გვ. 13.

თავი II

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროები

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს ცნება და სახეები

სამართლის დარგი არ შეიძლება არსებობდეს თავისი გამოხატულების ფორმის გარეშე.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროებია მისი გარეგნული გამოხატულების ფორმები, ანუ სხვადასხვა დონის ის ნორმატიული აქტები, რომლებიც სამართლის მოცემული დარგის ნორმებს (საპროცესო ნორმებს) შეიცავენ.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროებისათვის დამახასიათებელია ის, რომ:

1) **სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს სამოქალაქო (მატერიალური) სამართლისგან განსხვავებით წარმოადგენენ მხოლოდ საკანონმდებლო აქტები, ანუ კანონები.** სამართლებრივ სახელმწიფოში ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სასამართლოს როლის გაძლიერება და ამაღლება მოითხოვს მისი საქმიანობის მოწესრიგებას ძირითადად, კანონებით და არა კანონქვემდებარე აქტებით. კანონქვემდებარე აქტები არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ი" პუნქტის თანახმად, მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. რა თქმა უნდა, მხარეთა შორის არსებული დავის არსებითი მხარის (მატერიალურ-სამართლებრივი მხარის) მოსაწესრიგებლად და გადასაწყვეტად შეიძლება გამოვიყენოთ კანონქვემდებარე აქტებიც, მაგრამ საპროცესო წესები, ე.ი. სასამართლოში საქმეთა განხილვის (წარმოების) წესები არ შეიძლება დგინდებოდეს და განისაზღვრებოდეს კანონქვემდებარე აქტებით.

2) საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა (და არა ავტონომიური რესპუბლიკების) განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება საპროცესო კანონმდებლობის შემუშავება და მიღება.

3) თანდათანობით ფართოვდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების შემცველი საკანონმდებლო აქტების წრე.

აღსანიშნავია, რომ ფორმალური (ანუ იურიდიული) მნიშვნელობით, სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროებია საკანონმდებლო აქტები და ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებშიც საქართველო მონაწილეობს. ეს ნორმატიული აქტები შეიცავენ სამოქალაქო საპროცესო ნორმებს და ამა თუ იმ ხარისხით აწესრიგებენ სამოქალაქო სამართალწარმოებას, იმისდა მიხედვით, თუ რა დონის ნორმატიული აქტია (იერარქიის თვალსაზრისით) თითოეული მათგანი.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროთა, ე.ი. საპროცესო ნორმების შემცველი ნორმატიული აქტების ჩამონათვალი ძალიან ვრცელია, ამიტომ მათი მექანიკური ჩამოთვლა შეუძლებელია.

იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით, ანუ იერარქიული თვალსაზრისით, საპროცესო ნორმების შემცველი წყაროები, ერთგვარ „პირამიდას" ქმნის.

ცხადია, იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალი კოდიფიცირებული სამართალია, შეიძლება ითქვას, რომ სამართლის ნებისმიერი დარგის, მათ შორის კოდიფიცირებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის საფუძველი (ბაზა) საქართველოს კონსტიტუციაა.

კონსტიტუცია არა მხოლოდ იმიტომ არის სამოქალაქო საპროცესო სამართლის

წყარო, რომ მისი მე-3 მუხლის თანახმად, საპროცესო კანონმდებლობის მიღება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და არა საქართველოში შემავალი სუბიექტების (ავტონომიების) განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება, არამედ უზენაესი კანონი მთელ რიგ საპროცესო ხასიათის ნორმებსაც (პრინციპებს) შეიცავს. მაგალითად, კონსტიტუციის 42-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს; ,,ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე"; ,,კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ. ,,არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან მისი ახლობლების საწინააღმდეგო ჩვენება". ხოლო კონსტიტუციის მე-5 თავი კი მთლიანად სასამართლო ხელისუფლებასა და მისი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს აწესრიგებს.

ნორმატიული აქტების იერარქია მოცემულია საქართველოს კანონში ,,ნორმატიული აქტების შესახებ".

საპროცესო სამართლის წყაროთა შორის მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების საქართველოს ორგანული კანონი. მასში დეტალურადაა განმტკიცებული ზოგიერთი კონსტიტუციური დებულება, რომლებიც ეხება სასამართლოთა მოწყობას, მათ სისტემას, მოსამართლეთა სტატუსს, თანამდებობაზე მათი გამწესების წესს, პროცესის ძირითად პრინციპებსა და სხვ.

სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების წესი დაწვრილებით არის მოწესრიგებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კოდექსი ისეთივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც ჩვეულებრივი, ანუ მიმდინარე კანონი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ძირითადი საკანონმდებლო აქტია სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროთა შორის. ეს იმიტომ, რომ მასში დეტალურადაა განსაზღვრული სამოქალაქო პროცესის პრინციპები, საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის წესები, მხარეები, მტკიცებულებანი, საქმის სასამართლო განხილვის წესი, გადაწყვეტილებათა გამოტანისა და სასამართლო აქტების გასაჩივრების წესი.

სამართლის წყაროებია ასევე საქართველოს კანონები ამა თუ იმ კანონში და მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, ვინაიდან ისინი, ნორმატიული აქტების კანონის თანახმად, შესაბამისი საკანონმდებლო აქტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

პროცესის წყაროებია ასევე ის კანონები, რომელთა გამოყენებაც ხდება ერთი რომელიმე სახის საპროცესო ურთიერთობის, მაგრამ არა მთელი პროცესის მოწესრიგების მიზნით. ასეთი იურიდიული მნიშვნელობისაა, მაგალითად, საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ", რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ისეთი ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ ნორმებს შეიცავს, როგორიც სახელმწიფო ბაჟია.

სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს სხვადასხვა მოცულობით აწესრიგებს და, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეულ ნორმებს შეიცავს ასევე საქართველოს კანონები ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" (რომელიც განსაზღვრავს სასამართლო აქტების აღსრულების ორგანიზაციისა და სააღსრულებო ორგანოების საქმიანობის საკითხებს), ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ", ,,არბიტრაჟის შესახებ" და სხვ.

საპროცესო ნორმებს, რომლებიც, როგორც წესი, აწესრიგებენ არა მთელი სამოქალაქო პროცესისათვის, არამედ სამოქალაქო საქმეთა ცალკეული კატეგორიისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ურთიერთობებს, შეიცავენ მატერიალური (რეგულაციური) სამართლის კანონები, განსაკუთრებით კი ეს შეიძლება ითქვას დარგობრივ კოდექსებზე, კერძოდ: შრომის კოდექსზე, სამოქალაქო კოდექსზე და სხვა, და მაშასადამე, ისინიც სამოქალაქო

საპროცესო სამართლის წყაროებია. მატერიალური სამართლის კანონებით დადგენილი ნორმები ზოგჯერ აწესრიგებენ საპროცესო საქმიანობას. სამოქალაქო კოდექსში ასეთი ნორმები მრავლადაა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას. 1012-ე მუხლში საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა განაწილდეს მტკიცების ტვირთი, როცა ადგილი აქვს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობას. 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადების დენა შეწყდება სარჩელის შეტანით; 624-ე მუხლი, რომელიც სესხის ხელშეკრულების ფორმას ეხება, მართალია, არ გამორიცხავს ზეპირი ფორმით ხელშეკრულების დადების დროს მისი ნამდვილობის დასადგენად მოწმეთა ჩვენებების გამოყენებასაც, მაგრამ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს არასაკმარისად მიიჩნევს, ამიტომ აუცილებელია სხვა მტკიცებულებებიც; 1123-ე მუხლი უკრძალავს ქმარს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინების შესახებ, ცოლის ორსულობის დროს ან, თუ ჯერ კიდევ არ არის ამოწურული (გასული) ერთწლიანი ვადა ბავშვის დაბადების მომენტიდან; 1127-1130-ე მუხლები ადგენენ (განსაზღვრავენ) განქორწინების წესს სასამართლოში; 1140-ე მუხლის თანახმად, ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია; 1190-ე მუხლი ითვალისწინებს მამობის დადგენას სასამართლო წესით; 1205-ე და 1206-ე მუხლების თანახმად, მშობლის უფლების შეზღუდვა და ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, ასევე ხდება აღდგენაც (1209-ე მუხლი); მე-12 მუხლის თანახმად, პირის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირად აღიარება მხოლოდ სასამართლოს მიერ ხდება და ა.შ. ზოგიერთი საპროცესო ნორმა დადგენილია მეწარმეთა შესახებ კანონითაც.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროებია ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, კონვენციები და შეთანხმებები, რომლებშიც საქართველო მონაწილეობს. მაგალითად, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპის კონვენცია, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული სხვა პრინციპები და ნორმები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) დადგენილია კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ საქმის განხილვისას სასამართლოს არ აქვს უფლება გამოიყენოს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონის ნორმები, რადგან ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით (შეთანხმებით) დადგენილი წესები, რომლებიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებიან. ეს განპირობებულია იმით, რომ არსებობენ ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც შეეხებიან ადამიანის ძირითად უფლებებს სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში ან შეიცავენ ზოგიერთ უნიფიცირებულ პროცედურულ წესს. ასეთ შეთანხმებებს განეკუთვნება მაგალითად **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია.** საქართველოს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება და რატიფიცირება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, დაუშვებელია. თუ ეს მაინც მოხდა, გამოყენებულ უნდა იქნეს არა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმები არამედ კონსტიტუციური დებულებები, რადგან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები (შეთანხმებები) საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სამართლის სისტემის

(სამართლებრივი სისტემის) შემადგენელი (განუყოფელი) ნაწილია, რომელშიც კონსტიტუციას უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს.

სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები მოქმედებენ (გამოიყენებიან) უშუალოდ ე.ი. არ სჭირდებათ გაშუალება რაიმე აქტით, მათ გამოსაყენებლად არ არის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი აქტის გამოცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ მისი გამოყენებისათვის საჭიროა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტის გამოცემა. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ერთად უნდა გამოვიყენოთ აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებათა განხორციელებისათვის მიღებული შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტი.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად სასამართლო სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს სხვა სახელმწიფოს მატერიალური სამართლის ნორმებსაც იყენებს.

საერთაშორისო ხელშეკრულება ეწინააღმდეგება_კონსტიტუციას, თუ ის ადგენს სამართალწარმოების ისეთ წესს, რომელიც პროცესის სუბიექტებს უფრო ნაკლებ გარანტიებს ანიჭებს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ქვეყნის კონსტიტუციით. საერთაშორისო ხელშეკრულებით უფრო მეტი გარანტიების დადგენა კი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ ნორმათა შესაბამისად მიღებულია საქართველოს კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ".

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება დადებული აქვს მაგალითად თურქეთთან, ბულგარეთთან, საბერძნეთთან.

თუ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებს შეიცავენ გამოუქვეყნებელი კანონები, მაშინ მათი გამოყენება დაუშვებელია.

თუ კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მაშინ მისი გამოყენება დაუშვებელია. ამასთან დაკავშირებით კონსტიტუციის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

სამოქალაქო პროცესის წყაროთა შორის სპეციფიკურია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც სამოქალაქო პროცესისათვის სპეციფიკური მნიშვნელობა გააჩნია. საუბარია იმაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, არ განსაზღვრავს საერთო იურისდიქციის სასამართლოებში სამართალწარმოების წესს, უშუალოდ არ აწესრიგებს პროცესს, უშუალოდ არ შეიცავს საქმის განხილვის წესებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე (რომელიც ეხება ცალკეულ საპროცესო ნორმათა კონსტიტუციურობის შემოწმებას) გამოტანილი გადაწყვეტილებით, შესაძლოა არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი კანონი (ან მისი ცალკეული დებულება), ანუ კანონმა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე იურიდიული ძალა დაკარგოს. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება აიკრძალოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება.

მაშასადამე, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო თვითონ არ ქმნის (არ იღებს) კანონებს, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი (მთლიანად) ან მისი ნაწილი (ცალკეული მისი დებულებები) კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

§2. სამოქალაქო საპროცესო ნორმების კლასიფიკაცია

სამართლის ნორმები საკანონმდებლო აქტების შინაარსს შეადგენენ. სამოქალაქო საპროცესო ნორმების კლასიფიკაციისას (სახეებად დაყოფისას) ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტების თავისებურებანი (სამოქალაქო საქმის განხილვის საპროცესო სამართლებრივი მოწესრიგების თავისებურებანი).

იურიდიული ნორმები, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შინაარსს შეადგენენ, შეიძლება დავყოთ სამი სახის ნორმებად: **რეგულაციურ, დაცვით, განზოგადებული** სახით არსებულ ნორმებად.

რეგულაციური ნორმები ის დანაწესებია, რომელთა მიზანია ურთიერთობათა მოწესრიგება პროცესის მონაწილეთათვის უფლებების მინიჭების და მათთვის მოვალეობების დაკისრების გზით.

არსებობს შემდეგი სახის რეგულაციური ნორმები:

1) **აღმჭურველი ნორმები;**
2) **მავალებელი ნორმები;**
3) **აკრძალავი ნორმები.**

აღმჭურველი ნორმები განსაზღვრავენ პროცესის სუბიექტების უფლებებს. აღმჭურველი ნორმის მაგალითია სსსკ-ის 83-ე მუხლი.

მავალებელი ნორმები აწესებენ პროცესის მონაწილეთა ვალდებულებებს. ასეთი დანაწესის მაგალითია სსსკ-ის 145-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებით დადგენილი მოწმის მოვალეობა.

აკრძალავი ნორმა კრძალავს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. აკრძალავი ნორმა დადგენილია სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით- საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

დაცვითი ნორმები აწესებენ პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის სახელმწიფო იძულების ღონისძიებებს. მაგალითად, ასეთი ნორმაა დადგენილი სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, რომლებიც აწესებენ საჯარიმო სანქციებს სასამართლოსათვის წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულების დარღვევისათვის.

განზოგადებული სახით არსებული ნორმები დამატებითი ხასიათის (არაძირითადი) ნორმებია და არ წარმოადგენენ სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის დამოუკიდებელ ნორმატიულ საფუძველს.

განზოგადებული სახით არსებული ნორმები იყოფიან სამ სახედ:

1. **ზოგადი ნორმები;**
2. **დეკლარაციული ნორმები;**
3. **დეფინიციური ნორმები.**

ზოგადი ნორმების მიზანია მოსაწესრიგებელი ურთიერთობების თავისებურებების განზოგადებული სახით დაფიქსირება. მაგალითად, სსსკ-ის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ...

დეკლარაციული ნორმები ის დანაწესებია, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სამართლის პრინციპები. ეს პრინციპები საფუძვლად უდევს ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებას ამა თუ იმ სფეროში. სსსკ-ის მრავალ ნორმაშია მითითებული სამართლებრივ პრინციპებზე (იხ. სსსკ-ის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და სხვა მუხლები).

დეფინიციური ნორმები განზოგადებული სახით განსაზღვრავენ ამა თუ იმ სამართლებრივი კატეგორიის ნიშნებს. მაგალითად სსსკ-ის 134-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს წერილობითი მტკიცებულებების დეფინიციას, ხოლო 154-ე მუხლის პირველი ნაწილი ნივთიერი მტკიცებულებების დეფინიციას.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის შესწავლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სამართლებრივი ნორმების თავისებურებების სწორად გაგებას, რომელთა მიზანიც არის სამოქალაქო პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგების უზრუნველყოფა.

ნორმატიული დანაწესის დაკონკრეტების ხარისხის მიხედვით სამართლის ნორმები იყოფა **აბსოლუტურად განსაზღვრულ** და **ფარდობითად** განსაზღვრულ ნორმებად.

აბსოლუტურად განსაზღვრული **ნორმები** ის დანაწესებია, რომლებშიც ამომწურავად არის ფორმულირებული ნორმათა მოქმედების პირობები, პროცესის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად ადგენს, თუ რა შინაარსით უნდა ჩამოყალიბდეს მოპასუხის წერილობითი პასუხი (შესაგებელი). სხვა მაგალითი: საპროცესო კანონი ამომწურავად განსაზღვრავს წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის (სსსკ-ის 134-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მოწმის დაბარების (სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილი), ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვის (სსსკ-ის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილი) შესახებ აღძრული შუამდგომლობის შინაარსს.

ფარდობითად განსაზღვრული **ნორმები** ის დანაწესებია, რომლებიც არ შეიცავენ ამომწურავ მითითებას ნორმათა მოქმედების პირობების, პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ფარდობითად განსაზღვრული ნორმების სახეებია:

1. **სიტუაციური ნორმები;**
2. **ალტერნატიური ნორმები;**
3. **ფაკულტატური ნორმები.**

სიტუაციური ნორმები პროცესის მონაწილეებს მოქმედებათა შესრულების შესაძლებლობას აძლევენ საქმის განხილვის მიმდინარეობისას წარმოშობილი კონკრეტული გარემოებებისდა მიხედვით. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება, თუკი მათი წარდგენა სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია (სსსკ-ის 120-ე მუხლი). სასამართლოს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება მაშინაც აქვს, როდესაც დასახელებული მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა ძნელია.

ალტერნატიული ნორმები პროცესის მონაწილეებს ანიჭებენ კანონში ზუსტად მითითებული რამდენიმე მოქმედებიდან (მოქმედების რამდენიმე ვარიანტიდან) ერთი ან რამდენიმე მოქმედების არჩევის შესაძლებლობას. მაგალითად სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთივე ნორმაა დადგენილი სსსკ-ის 294-ე მუხლით.

ფაკულტატური ნორმები მოქმედების შესრულების ძირითად ვარიანტთან ერთად ადგენენ მოქმედების შესრულების დამატებით ვარიანტსაც. მაგალითად, ზოგადი წესის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი მხარე ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლებს მტკიცებულების უშუალოდ მიღებასა და სასამართლოში წარდგენას, მისი შუამდგომლობით სასამართლო გამოითხოვს მტკიცებულებებს, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.

სამოქალაქო საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობის მოწესრიგების ხასიათის მიხედვით ნორმები იყოფა **იმპერატიულ** და **დის-**

პოზიციურ ნორმებად.

იმპერატიულია ისეთი ნორმები, რომლებიც შეიცავენ კატეგორიულ დანაწესს. კატეგორიული დანაწესი არ უშვებს პროცესის მონაწილის სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას. ასეთი ნორმა შეიძლება დადგენილი იყოს სასამართლოსათვისაც და მხარეთათვისაც. მაგალითად, სსსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამ დანაწესის შეუსრულებლობა გამოიწვევს საპროცესო მოქმედების შესრულების უფლების გაქარწყლებას (სსსკ-ის 63-ე მუხლი). სსსკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

დისპოზიციურია ის ნორმები, რომლებიც უშუალოდ არ განსაზღვრავენ პროცესის სუბიექტთა ქცევას და მათ ასევე სასამართლოს ანიჭებენ უფლებას იმოქმედონ საკუთარი შეხედულებებით. მაგალითად, სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. ასეთივე ხასიათის ნორმაა სსსკ-ის მე-3 მუხლი, 84-ე და 85-ე მუხლები და სხვა.

§3. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ

1. **სამოქალაქო საპროცესო ნორმის (კანონის) მოქმედება დროში.** ზოგადი წესის მიხედვით, ახლად გამოცემულ კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი ვრცელდება იმ ფაქტებისა და ურთიერთობების მიმართ, რომლებიც ამ კანონის მიღების (ძალაში შესვლის) შემდეგ წარმოიშვა. ამ ზოგადი წესიდან არის გამონაკლისი, კერძოდ, კანონს აქვს უკუძალა, თუ ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული კანონში.

სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში (სამოქალაქო სამართალში) ეს ნიშნავს, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტში, თუნდაც სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს ეს კანონი უკვე გაუქმებული ან შეცვლილი იყოს. მაშასადამე, სამოქალაქო სამართალში ცალკეულ შემთხვევებში, მაგრამ მაინც, კანონს შეიძლება მიენიჭოს უკუქცევითი ძალა.

სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების სფეროში კი საკითხი სხვაგვარად დგას და სხვაგვარად წყდება. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო ნორმების დროში მოქმედება ხასიათდება კანონის უკუძალის არარსებობით. საპროცესო კანონის ეს თავისებურება სსსკ-ის პირველივე მუხლშია გამოხატული. მაშასადამე, საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს. ამიტომ, იმისდა მიუხედავად, თუ როდის (რა დროს) აღიძრა პროცესი, ნებისმიერი საპროცესო მოქმედების შესრულების დროს სასამართლომ ის საპროცესო კანონი უნდა გამოიყენოს, რომელიც ამ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულების მომენტში არის ძალაში და ე.ი. იმ დროს მოქმედებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი კანონი მოქმედებდა საქმის აღძვრის (პროცესის წარმოშობის) მომენტში[1]. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველი კანონის შესაბამისად შესრულებული საპროცესო მოქმედებები,

[1] Lex posterior derogat priori (ლექს პოსტერიორ დეროგატ პრიორი) – უფრო გვიან მიღებული კანონით უქმდება უფრო ადრე მიღებული კანონი. ეს არის ზოგადი წესი, რომელიც ჯერ კიდევ რომაელი იურისტების მიერ იქნა ფორმულირებული.

რომლებიც შესრულებულია სამართალწარმოების წინა ეტაპებზე, მიჩნეულ უნდა იქნეს უკანონოდ. მაგალითად, მოქმედი საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლით, შემოღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი. ამ შემთხვევაში, თუ საქმე აღძრული იყო კოდექსის ძალაში შესვლამდე და ახალმა კოდექსმა მოქმედება დაიწყო ამ საქმის სასამართლოს სხდომაზე განხილვის დროს, რომელზეც არ გამოცხადდა მხარე, რომელსაც განემარტა გამოუცხადებლობის შედეგები, სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, იმის მიუხედავად, რომ საქმის აღძვრის დროს მოქმედი საპროცესო კანონი ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა. ასევე, თუ მაგალითად, საქმე განხილული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში ძველი კოდექსით, მაშინ იგი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს ახალი საპროცესო კანონის მიხედვით, თუ, რა თქმა უნდა, იგი იმ დროისათვის უკვე ამოქმედდა. სხვა მაგალითი: ვთქვათ, კანონით დადგენილი იყო გადაწყვეტილების გასაჩივრების 14 დღიანი ვადა. გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 30 ივნისს. მისი გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო 1 ივლისს. 1-ლ ივლისს ამოქმედდა ახალი საპროცესო კანონი, რომლითაც შემოღებულ იქნა გასაჩივრების 1 თვიანი ვადა. ამ შემთხვევაში გამოიყენება გასაჩივრების 14 დღიანი ვადა, რომელიც მოქმედებდა გადაწყვეტილების გამოტანის (შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულების) დროს (30 ივნისს), და, შესაბამისად, მხარეს გადაწყვეტილებით განემარტა სწორედ გასაჩივრების აღნიშნული ვადა.

სწორედ ამას ნიშნავს საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის დებულება, რომ „სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.“

ძველი საპროცესო ნორმის მოქმედების დროს წარმოშობილი დავების მიმართ მათი განხილვისა და გადაწყვეტის მომენტში მოქმედი ახალი საპროცესო კანონის (ნორმის) გამოყენების შესახებ ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი წესის არსი იმაში მდგომარეობს და იმას ეფუძნება, რომ ახალი საპროცესო ნორმა მოწოდებულია უზრუნველყოს დავის განხილვის უფრო უკეთესი წესის არსებობა, ვიდრე ეს ადრე არსებობდა.

2. საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში.

საპროცესო ნორმების სივრცეში მოქმედება დამოკიდებულია საპროცესო კანონის გამომცემი ორგანოს კომპეტენციაზე. ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლება არა აქვთ მიიღონ საპროცესო ნორმები და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოებისათვის დაადგინონ რაიმე საპროცესო წესები.

საქართველოს ყველა სასამართლოსათვის საპროცესო კანონმდებლობა ერთიანია, ანუ ისინი ერთიან საპროცესო კანონმდებლობას იყენებენ. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციას (გამგებლობას) განეკუთვნება.

3. სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოქმედება პირთა წრის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ ნიშნავს, რომ სამართლის მოცემული დარგი (მისი ნორმები) ვრცელდება:

1) კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე.

2) გარდა ამისა, ისინი მოქმედებენ უცხოელებზეც, მათ ორგანიზაციებზე, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებზე (აპატრიდებზე). უცხოელი პირები იზღუდებიან საპროცესო უფლებებში მხოლოდ მაშინ, თუ იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეებსაც ისინი წარმოადგენენ, კანონი ზღუდავს ჩვენს მოქალაქეებს შესაბამის საპროცესო უფლებებში (ეს არის ე.წ. რეტორსიები – ნაცვალგების რეჟიმი). ეს არის საპასუხო შეზღუდვები

უცხოეთის სახელმწიფოთა იმ ფიზიკური პირების, საწარმოების, ორგანიზაციების მიმართ, რომლებშიც დაშვებულია საქართველოს შესაბამისი პირების სამოქალაქო-საპროცესო უფლებების სპეციალური შეზღუდვები. მაგრამ ეს შეზღუდვები საქართველოს მხრიდან საპასუხო ხასიათისაა, რადგან სხვა შემთხვევებში ეს პირები იმავე საპროცესო უფლებებით სარგებლობენ, რაც საქართველოს შესაბამის პირებს გააჩნიათ.

§4. ანალოგია სამოქალაქო პროცესში

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში ფორმულირებული წესი უშვებს სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების გამოყენებას ანალოგიით.

კანონის გამოყენება ანალოგიით, სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული ხარვეზების დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა. მოქმედ სამართალში ხარვეზს მაშინ აქვს ადგილი, როცა ამა თუ იმ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმა 1) საერთოდ არ არსებობს ან 2) არსებობს ნორმა, მაგრამ სრულიად ბუნდოვანი და გაუგებარი ან 3) არსებობს ერთი დონის და ერთდროულად მიღებული წინააღმდეგობაში მყოფი რამდენიმე ნორმა ან 4) კანონით დადგენილია ნორმა, რომელიც არასრულია (ნაწილობრივი ხარვეზი). ხარვეზს სამართალში შეიძლება სხვადასხვა მიზეზით ჰქონდეს ადგილი: კერძოდ, ყველა იმ საპროცესო ურთიერთობის კანონით გათვალისწინება და მოწესრიგება, რომელიც კი შეიძლება წარმოიშვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს შეუძლებელია; ხარვეზის მიზეზი შეიძლება იყოს კანონმდებლის დაუდევრობა და სხვ.

სსსკ–ის მე–7 მუხლის მე–2 ნაწილი უშვებს პროცესში ანალოგიის გამოყენებას ორი ფორმით: 1) კანონის ანალოგიას; 2) სამართლის ანალოგიას. პირველ შემთხვევაში სამართალშემფარდებელი ორგანო (სასამართლო) მოცემულ ურთიერთობებზე ავრცელებს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელ კონკრეტულ იურიდიულ ნორმებს. სამართლის ანალოგიის დროს კი სამართალშემფარდებლისთვის ამოსავალია სამართლის ზოგადი საწყისები (პრინციპები) და სამართლის არსი.

კანონის ანალოგიის გამოყენება დაიშვება იმ პირობით, თუ: 1) სამოქალაქო სამართალწარმოების დროს წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები არ არის მოწესრიგებული კანონით; 2) არსებობს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა; 3) მსგავსი კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება იმ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების არსს, რომელთა მიმართაც ის გამოიყენება ანალოგიით.

მაგალითი: სსსკ-ის 299-ე მუხლის თანახმად, თამასუქისა და ჩეკის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილება მოპასუხის უფლებების შეარჩუნებით, საბოლოო გადაწყვეტილებად ითვლება გასაჩივრებისა და იძულებითი აღსრულების თვალსაზრისით. ეს ნორმა მოპასუხეს უფლებას აძლევს მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თავისი უფლებების განხორციელების მიზნით. ამასთან, მოცემულ ნორმაში არ არის მითითებული, რა ვადაში შეუძლია მოპასუხეს დამატებითი წარმოების მოთხოვნა (გადაწყვეტილების გასაჩივრება). იქიდან გამომდინარე, რომ საკითხი ეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ნორმის თანახმად საბოლოო გადაწყვეტილებად ითვლება გასაჩივრების თვალსაზრისით, კანონის ანალოგიით გამოყენებული უნდა იქნეს პირველი ინსტანციის საბოლოო (დასაბუთებული) გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის კანონით (სსსკ-ის 364-ე და 369-ე მუხლები) დადგენილი 14 დღიანი ვადა.

როდესაც საპროცესო კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი პირობების არარსებობის გამო, სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს სამართლის ანალოგია. ამ შემთხვევაში უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა ხდება მართლმ-

საჯულების განხორციელების პრინციპებიდან გამომდინარე. ეს პრინციპები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში, საერთო სასამართლოების ორგანულ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (სახელდობრ, იხ. სსსკ-ის მე-3-6, მე-8-9 და სხვა მუხლები). ქართული სასამართლო პრაქტიკა სამართლის ანალოგიას ჯერ კიდევ მაშინ იყენებდა, როდესაც მისი გამოყენების შესაძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული არ იყო. მაგალითად, სარჩელის გამოხმობის ინსტიტუტი სამართლის ანალოგიით გამოიყენებოდა სასამართლოების მიერ და მხოლოდ შემდგომში აისახა ეს ინსტიტუტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 83[1] მუხლის სახით. უზენაესმა სასამართლომ მართებულად განმარტა: სსსკ მე-3 მუხლის თანახმად მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე, რაც დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს მოსარჩელის მიერ თავის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნაზე უარის თქმით მოპასუხის მიმართ. სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე იმით, რომ მოსარჩელე დარწმუნდა მისი მოთხოვნის ფაქტობრივ, თუ სამართლებრივ დაუსაბუთებლობაში, ან კიდევ იმით, რომ მოპასუხემ საქმის განხილვის პროცესში ნებაყოფლობით დააკმაყოფილა სარჩელი.

სარჩელზე უარის თქმას სსსკ 272-ე მუხლი უკავშირებს საქმის წარმოების შეწყვეტას, ხოლო ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება, ე.ი. მხარეს ესპობა უფლება განმეორებით წარადგინოს სარჩელი სასამართლოში. ცხადია, რომ მოსარჩელე, რომელიც უარს ამბობს სარჩელზე, სასამართლოს მიერ გაფრთხილებული უნდა იყოს ასეთი შედეგის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე უარს კი არ ამბობს სარჩელზე ზემოთ აღნიშნული გაგებით, არამედ მას არ სურს დროის ამ მონაკვეთში, ამ ეტაპზე სარჩელის განხილვა და ამიტომ მოითხოვს მის უკან დაბრუნებას. ასეთი გარემოება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ გამოიყენოს სსსკ 272-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი და საქმის წარმოება შეწყვიტოს. საკასაციო სასამართლო განმარტავს: სარჩელზე უარის თქმა გულისხმობს, რომ მოსარჩელე აღარ მოითხოვს თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას სასამართლო წესით, ე.ი. მას აღარ სურს მომავალში კვლავ აღძრას სარჩელი იმავე მხრის (მხარეების) წინააღმდეგ, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელზე უარის თქმისას მოსარჩელის ნება აშკარად უნდა იყოს გამოხატული. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიერ განცხადებაში იმის მითითება, რომ პირადი მოტივით ისინი ამ ეტაპზე ვერ მიიღებდნენ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, ხსნიდნენ სარჩელს და მოითხოვდნენ მასალების დაბრუნებას, სრულებით არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მოსარჩელეებმა უარი თქვეს სარჩელზე და სამუდამოდ დაკარგეს ინტერესი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ. პირიქით, განცხადებაში მითითებული გარემოება მიუთითებდა იმაზე, რომ მოსარჩელეები სარჩელის მოხსნას და მასალების დაბრუნებას მოითხოვდნენ იმ მოტივით, რომ ცალცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარედგინათ თავიანთი სარჩელები განსჯადობით 1-ლი ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსსკ 272-ე მუხლის შესავალი ნაწილის მიხედვით სასამართლოს საქმის შეწყვეტა შეუძლია როგორც მხარეთა განცხადებით, ისე თავისი ინიციატივით, მაგრამ აღნიშნული იმას როდი ნიშნავს, რომ საქმის წარმოებით შეწყვიტა 272-ე მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე შესაძლებელია მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა შემთხვევაში ნება უნდა იყოს

მხარის მიერ აშკარად გამოხატული, ამიტომ სასამართლომ მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება ამ საფუძვლით, თუ დაადგენს, რომ მოსარჩელეს სწორედ ეს სურს – უარს ამბობს სარჩელზე და მისთვის ცნობილია სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგიც. (სუსგ. 2002 წ. №7, გვ. 1138-1142). ანალოგიის ინსტიტუტის გამოყენება უნდა დაასაბუთოს სასამართლომ.

§5. სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო სამართალში

სამოქალაქო პროცესისთვის სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობის განსაზღვრამდე, პირველყოვლისა საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის არსის გარკვევა.

თანამედროვე ქართული სამართალი იცნობს ორი სახის სასამართლო პრაქტიკას: .

1. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბებულ პრაქტიკას. ამგვარი პრაქტიკა გამოხატულია და ასახულია კონკრეტულ საქმეებზე დასახელებულ სასამართლოთა, მათ შორის მაგისტრატ სასამართლოთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში;

2. უმაღლესი სასამართლო ორგანოს (უზენაესი სასამართლოს) მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ასეთი გადაწყვეტილებები შეეხება სამართლის ნორმების განმარტებისა და გამოყენების თავისებურებებს, როდესაც სასამართლო პრაქტიკაში სამართლის ნორმები არ არის ერთმნიშვნელოვნად გაგებული და განმარტებული;

საბჭოთა პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევდნენ ასევე მესამე სახის პრაქტიკას, კერძოდ კანონმდებლობის გამოყენების, ანუ შეფარდების პრაქტიკას, რომელიც აისახებოდა ცენტრალური სასამართლო ორგანოს (უმაღლესი და შემდეგ უზენაესი სასამართლოს) განსაკუთრებულ აქტებში, რომლებშიც სასამართლო პრაქტიკა განზოგადებულად იყო ჩამოყალიბებული ქვემდგომი სასამართლოებისადმი მიცემული მითითებების სახით ამგვარი პრაქტიკა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში (1999 წლამდე) შემორჩა.

პრაქტიკის დასახელებულ სახეობათაგან ყველაზე აქტუალურია მეორე სახის სასამართლო პრაქტიკის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა. ამ საკითხს აქტუალობას სძენს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დანაწესები, კერძოდ, სსსკ-ის 391-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები, 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სხვა. ამ სახის სასამართლო პრაქტიკის იურიდიული სტატუსის განსაზღვრისას საინტერესოა გაირკვეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებშიც ასახულია სამართლის ნორმების განმარტებისა და გამოყენების თავისებურებები, წარმოადგენს თუ არა სამართლის წყაროს.

უზენაესი სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილებების გამოტანის შემდეგად ჩამოყალიბებულ პრაქტიკას არ შეიძლება ეწოდოს პრეცედენტული პრაქტიკა. ქართული სამართლებრივი სისტემისათვის სასამართლო პრეცედენტი დამახასიათებელი არ არის. საბჭოთა ეპოქაში მოქმედი კანონმდებლობა უმაღლეს სასამართლოს უფლებას აძლევდა მიეღო სახელმძღვანელო განმარტებები, ე.ი. პრაქტიკის განზოგადების შედეგად სასამართლოთათვის გამოეცა მითითებები კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე. მოქმედი კანონმდებლობით უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, მის მიერ ჩამოყალიბებულ კანონის განმარტებებს დიდი გავლენა აქვს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა საქმიანობაზე, მაგრამ ტერმინი „სახელმძღვანელო განმარტება" კანონ-

მდებლობაში არ არსებობს. ამასთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილში ასახულია დებულება, რომლის შესაბამისადაც საქმის ხელახლა დაბრუნების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება,რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. თუმცა კი, აღნიშნული დებულება კანონის „სახელმძღვანელო განმარტების ინსტიტუტისაგან სრულიად განსხვავებულ შინაარსს მოიცავს."[1] .

სსსკ-ის 391-ე, 391-ე პრიმა და სხვა მუხლებში მოცემული ნორმატიული დანაწესები ბადებს კითხვას, რა ხარისხით არის სავალდებულო უზენაესი სასამართლოს აქტებში ასახული განმარტებები ქვემდგომი სასამართლოებისათვის. აღნიშნული საკითხის გარკვევა უკავშირდება საპროცესო სამართლის წყაროსადმი უზენაესი სასამართლოს აქტების მიკუთვნება-არმიკუთვნების პრობლემას. ამასთან, საპროცესო სამართლის წყაროსადმი დასახელებული აქტების მიკუთვნება-არმიკუთვნების საკითხის გარკვევისას პრობლემის არსი იმაში კი არ მდგომარეობს გაირკვეს,რამდენად სავალდებულოა ან არ არის სავალდებულო უზენაესი სასამართლოს აქტებში ასახული განმარტებები,არამედ იმაში,ამ აქტებში მოცემული დებულებები წარმოადგენენ თუ არა სამართალწარმოების (მართლმსაჯულების) სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ რეგულატორს. სწორედ ამ ნიშნით შეიძლება განვსაზღვროთ მათი იურიდიული სტატუსი, შესაბამისად, პასუხი გავცეთ კითხვას, მიეკუთვნება თუ არა შესაბამისი აქტები სამართლის წყაროს.

უზენაესი სასამართლოს აქტებში განმარტებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და სხვა კანონების დებულებანი, ახსნილია სამართლის ცალკეული ნორმის შინაარსი. უზენაესი სასამართლო დავის როგორც მატერიალურ–სამართლებრივი მხარის, ისე საპროცესო საკითხების გადასაწყვეტად ხშირად იყენებს ანალოგიასაც კანონში ხარვეზის არსებობისას. ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნულს ადგილი აქვს კონკრეტული საქმის განხილვისა და გადაწყვეტისას. ამასთან,უზენაესი სასამართლო ქვემდგომი სასამართლოებისათვის სავალდებულო რაიმე ცალკე აქტს,რომელშიც განზოგადებული და გაანალიზებული იქნებოდა სასამართლო პრაქტიკა, არ იღებს. ამრიგად, ნორმატიული აქტებისაგან განსხვავებით, უზენაესი სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული განმარტებები არ არიან ნორმატიული ხასიათის, არ გამოიყენებიან არაერთჯერადად, არ გააჩნიათ ნორმატიული აქტის მსგავსი შესასრულებლად სავალდებულო ძალა მოსამართლეთათვის.

სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის განვითარებაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას სასამართლო პრაქტიკა იძენს ანალოგიის გამოყენების პროცესში, ე.ი. როდესაც სახეზეა კანონის ხარვეზი და შესაბამისად, სადავო საკითხი სამართლებრივად მოწესრიგებული არ არის. ხარვეზის დაძლევა სწორედ სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით ხდება. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლე (იქნება ეს პირველი ინსტანციის, აპელაციის, თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე) ასრულებს ახალი ნორმის შექმნის ფუნქციას.[21] რაც შეეხება სამოქალაქო პროცესს,სამოქალაქო საპროცესო სამართალში ხარვეზში იგულისხმება შემთხვევა,როდესაც სასამართლო წარმოების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობა არ არის მოწესრიგებული ან არასაკმარისად არის მოწესრიგებული სსსკ-ის კონკრეტული ნორმით ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სხვა წყაროში ასახული კონკრეტული ნორმით.

---

[1] აღნიშნულის შესახებ დეტალურად იხილეთ: თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ, 2007წ, გვ. 733-734, თ. თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ. 2011წ, გვ. 350.

[2] მაგალითად ეს მოსაზრებაა გატარებული პროფ. ლ. ჭანტურიას მიერ. იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2011, 77-78.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში ხარვეზის დაძლევა შესაძლებელია ანალოგიის გამოყენებით. (სსსკ-ის მე-7 მუხლი).

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართალში ხარვეზები ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს ყველაზე სტაბილურ საკანონმდებლო სისტემებშიც კი, რამეთუ ობიექტურად შეუძლებელია ყოველივე იმის გათვალისწინება, რაც სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს.

საქართველოს თანამედროვე კანონმდებლობაში მრავალი ხარვეზის არსებობა გამოწვეულია სამართლებრივი სისტემის კარდინალური შეცვლით (ცვლილებებით), საკანონმდებლო პროცესის სირთულით, კანონშემოქმედებითი საქმიანობის უსისტემობით და მრავალი სხვა მიზეზით. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკა სამართლის წყარო ხდება.

ამასთან, ისიც ფაქტია, რომ ასეთ პირობებში მოსამართლე იძულებულია კანონისა და სამართლის ანალოგიის საფუძველზე შეიმუშაოს ზოგიერთი კატეგორიის საქმის განხილვის პროცედურა.[1]

სასამართლო პრაქტიკა არ შეიძლება მივიჩნიოთ საპროცესო სამართლის წყაროდ. სასამართლოს მიერ ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს და არ შეესაბამება სასამართლო ორგანოების დანიშნულებას.

უზენაესი სასამართლოს განმარტებები, რომლებშიც დაკონკრეტებულია და დეტალურად არის ახსნილი ცალკეული საპროცესო ნორმის შინაარსი, დასაბუთებულია სამართლებრივი მოწესრიგების საკითხში არსებული ხარვეზის დაძლევა ორივე სახის ანალოგიის გამოყენებით, წარმოადგენენ მარტოოდენ სამართლის ნორმათა განმარტების და შეფარდების აქტებს. ეს ფაქტორი განსაზღვრავს ქართულ სამართლებრივ სისტემაში სასამართლო პრაქტიკის როგორც იურიდიულ, ისე ფაქტობრივ სტატუსს.

ფორმალური იურიდიული თვალსაზრისით უზენაეს სასამართლოს არ გააჩნია ნორმაშემოქმედების უფლებამოსილება. მას რომ ნორმაშემოქმედების უფლებამოსილება გააჩნდეს, ეს იქნებოდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო. კონსტიტუციით აღიარებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. კონსტიტუცია განსაზღვრავს ხელისუფლების თითოეული შტოს ფუნქციას.

რაც შეეხება საკითხის ფაქტობრივ მხარეს, აზრი იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში ორივე სახის ანალოგიის გამოყენებით ხარვეზის დაძლევისას სასამართლო პრაქტიკა ხდება სამართლის წყარო, არ არის საკმარისად დასაბუთებული.

როდესაც უზენაესი სასამართლო განმარტავს ნორმას, ასაბუთებს ამა თუ იმ სამართლებრივ შემთხვევაში კანონის ანალოგიის გამოყენების აუცილებლობას, მან უნდა დაადგინოს, რომ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, განმარტოს მისი შინაარსი საპროცესო ურთიერთობების გადასაწყვეტად ამ ნორმის გამოსადეგობის განსაზღვრის მიზნით და დაადგინოს მისი გამოყენების წესი, ამასთან ამით არ იქმნება ახალი ნორმატიული დანაწესი, არამედ მარტოოდენ ფართოვდება უკვე არსებული იურიდიული ნორმის გამოყენების სფერო.

ახალი ნორმა არ იქმნება არც სამართლის ანალოგიის გამოყენების დროს. როდესაც აუცილებელია სამართლის ანალოგიის გამოყენება და მაშასადამე, მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპიდან გამომდინარე მოქმედება, სასამართლო ამ პრინციპების შინაარსის განმარტების გზით ადგენს, შესაძლებელია თუ არა მათი გამოყენება მოცემულ სამართლებრივ შემთხვევაში. მაგრამ ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მართლმსაჯულების პრინციპი სამართლებრივი პრინციპებია, ე.ი. ფუძემდებლური იდეებია, რომლებიც განმტკიცებულია იურიდიულ ნორმებში ან გამომდინარეობენ კანონიდან. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც უზენაესი სასამართლო განმარტავს სამართლებრივ ნორმებს.

---

[1] იხ. Жуйков В. М. Проблемы гражданского процессуального права. М. 2001. 71.72

საინტერესოა სასამართლო პრაქტიკისა და სამოსამართლო სამართლის თანაფარდობის საკითხი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არის თუ არა სამოსამართლო სამართალი სასამართლო პრაქტიკის ტოლფასი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო პრაქტიკის ერთ–ერთი სახეა უზენაესი (უმაღლესი) სასამართლოს პლენუმის განმარტებების საფუძველზე ჩამოყალიბებული პრაქტიკაც. თუმცა საქართველომ უარი თქვა უზენაესი სასამართლოს პლენუმისათვის ამგვარი სავალდებულო ხასიათის რეკომენდაციების გამოცემის უფლებამოსილების მინიჭებაზე.

,,სამოსამართლო სამართალი უნდა შეიქმნას არა უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებების საფუძველზე, არამედ კონკრეტულ საკითხებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებით.''[1] პროფ. ლ. ჭანტურიას აზრით, ,,სამოსამართლო სამართალი უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად გამოცემულ მითითებებს კი არ ნიშნავს, არამედ კონკრეტული საქმეების განხილვისას ნორმის ინტერპრეტაციისა და კანონის ხარვეზის შევსების შედეგად მოსამართლის მიერ ჩამოყალიბებულ წესებს. სულ ერთია, თუ რომელი მოსამართლის მიერაა ეს წესი შემუშავებული. ცხადია, ზემდგომ სასამართლოს ყოველთვის აქვს უფლება გააუქმოს ან შეცვალოს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის გამო და ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებიც ასევე დასაბუთებული უნდა იყოს. სწორედ ასე ყალიბდება სასამართლო პრაქტიკა და არა განზოგადებების შედეგად შექმნილი ინსტრუქციებით. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება სამართლის მეცნიერების საქმეა... სასამართლო პრაქტიკის განზოგადება უზენაესი სასამართლოს მოვალეობაცაა, მაგრამ ამ გზით არ უნდა იქმნებოდეს სამოსამართლო სამართალი.''[2] საყურადღებოა, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის განმარტებები სავალდებულო იყო ყველა სასამართლოსათვის, მას ჰქონდა სამართლის წყაროს მნიშვნელობა ანალოგიურ საქმეთა განხილვისათვის (ამაზე პირდაპირ იყო აღნიშნული სასამართლო წყობილების კანონში).

რაც შეეხება სამოსამართლო სამართალს, ჩვენი აზრით, თუკი სამოსამართლო სამართალი აყალიბებს სასამართლო პრაქტიკას, მაშინ ამ გზით ჩამოყალიბებულ წესებს სამართალი არ შეიძლება ეწოდოს. თუნდაც ის არის საყურადღებო, რომ მოქმედი კანონმდებლობა მოსამართლეთა მიერ ჩამოყალიბებულ წესებს ერთნაირ მნიშვნელობას როდი ანიჭებს. მაგალითისათვის კმარა სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც თუკი ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, მაშინ იგი ,,განწირულია'' გასაუქმებლად. უფრო სწორად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველია, რაც დიდი ალბათობით ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების პირობას. ამრიგად, კანონი ერთ რანგში როდი აყენებს მოსამართლეთა მიერ ჩამოყალიბებულ წესებს, მისთვის სულერთი როდია, თუ რომელი ინსტანციის მოსამართლემ ჩამოაყალიბა ესა თუ ის წესი. სხვა საქმეა, უნდა არსებობდეს თუ არა 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტი. აქვე საინტერესოა, 391-ე მუხლის ზემოაღნიშნული დანაწესით ხომ არ ხდება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლის წყარო. ვფიქრობთ ეს ასე არ არის, რადგან უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებებისგან განსხვავებით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, მასში ასახული ყველა მითითება სავალდებულოა მხოლოდ საქმის ხელახლა განმხილველი ქვემდგომი სასამართლოსათვის. ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოსამართლეებმა, მათ შორის პირველ ინსტანციაშიც, იციან, თუ რა პრაქტიკას ამკვიდრებს უზენაესი სასამართლო, თუმცა ნებისმიერი მოსამართლე თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებისას. აღნიშნულს ისიც მოწმობს,

[1] ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2011, 79.

[2] იქვე, გვ. 81.

რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისადმი ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების განსხვავებულობა ქმნის მარტოოდენ კასაციის დაშვების საფუძველს. კრიტიკას ვერ უძლებს 391-ე მუხლის მე-5-ე ნაწილი ხვამხრივაც. იგი შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას. ერთი მხრივ კასაციის დაშვების საფუძველია სააპელაციო სასამართლოს წინააღმდეგობა უზანესი სასამართლოს პრაქტიკასთან. ამ წესის შემოღებით აზრი ეკარგება სასამართლოს დამოუკიდებლობას და სამართლის განვითარებას, რადგან ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. მეორე მხრივ, კასაციის დაშვების საფუძველია საქმის მნიშვნელობა სამართლის განვითარებისათვის. ისმის კითხვა: როგორ უნდა განვითარდეს სამართალი, თუკი კანონი მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამებოდეს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. ისიც საკითხავია, სამი მოსამართლის შემადგენლობით მიერ მიღებული გადაწყვეტილება როგორ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო პრაქტიკად, რაოდენ ავტორიტეტულნიც არ უნდა იყვნენ მოსამართლენი. არსებული პრაქტიკაც ხშირად წინააღმდეგობრივია რაც არაპროგნოზირებადს ხდის სასამართლო გადაწყვეტილებას და მხოლოდ სამართლებრივი გაურკვევლობის წყარო ხდება. სწორედ ამიტომ როგორც არასდროს დგება მეცნიერულად დასაბუთებული პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებების აღორძინების საჭიროება.

რაც შეეხება ისტორიულ ასპექტს, სამოსამართლო სამართალი გარკვეულწილად წააგავს რომის სამართალში არსებულ პრეტორულ სამართალს. პრეტორის ედიქტების „მიზანს შეადგენდა ცივილური სამართლის შემდგომი განვითარება... ჯუს ცივილე-ს ისინი შეავსებდნენ იქ, სადაც აღმოჩნდებოდა, რომ უკანასკნელს ხარვეზი ჰქონდა ან არ იყო საკმარისი."[1]

ცნობილი ქართველი მეცნიერი გიორგი ნადარეიშვილიც აღნიშნავს: „... პრეტორი თითქოს ავსებდა ცივილური სამართლის ხარვეზს."[2]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ უზენაესი სასამართლოს აქტებში ასახული დებულებანი არ წარმოადგენენ სამართლის წყაროს. უზენაესი სასამართლოს აქტებში ასახული დებულებანი აკონკრეტებენ, განმარტავენ მოქმედ სამართლებრივ ნორმებს. ამით უზენაესი სასამართლოს განმარტებანი აწესრიგებენ სამართალშეფარდებით საქმიანობას, გავლენას ახდენენ სასამართლო პრაქტიკაზე.

სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობის განსაზღვრისას უნდა დავასკვნათ, რომ: .

1. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და განმარტების ნაწილში (უზენაესი სასამართლოს განმარტებები) უზრუნველყოფენ სასამართლო პრაქტიკის ერთიანობას, ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას, სამართლის ნორმის სწორად გაგებას და გამოყენებას; .

2. სასამართლო სამართალშეფარდებითი საქმიანობის პროცესში ვლინდება მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზები; .

3. სასამართლო პრაქტიკა სამართლის ნორმათა ეფექტიანობის საზომია. სწორედ სასამართლო პრაქტიკაში აღმოჩნდება ხოლმე, რომ საჭიროა ცალკეული ნორმატიული დანაწესის სრულყოფა.

4. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება მეცნიერების მიერ, ავითარებს მეცნიერებას და პირიქით, მეცნიერება ხელს უწყობს პრაქტიკის განვითარებას. სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს სამართალშეფარდებითი საქმიანობის კანონზომიერებანი და განვითარების ტენდენციები, განისაზღვროს მისი სრულყოფის გზები.

---

[1] იხ. ჰაინრიხ დერნბურგი, პანდექტები, ტომი პირველი, ზოგადი ნაწილი, ტფილისი, 1928, გვ 47.

[2] ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ, 2009, გვ. 134

თავი III

სასამართლო მიხედულება (დისკრეცია)

Discretio est scire per legem guid sit justum
მიხედულება იმის ცოდნაა, თუ რას
გულისხმობს სამართალი სამართლიანობაში.
****

საუკეთესო ის კანონია, რომელიც ყველაზე
ნაკლებ არეალს ტოვებს მოსამართლის
თვითნებობისათვის, ხოლო საუკეთესო მოსამართლე არის ის,
ვინც ყველაზე ნაკლებად მოქმედებს საკუთარი მიხედულებით.
ფრენსის ბეკონი

§1. ზოგადი დებულებანი

კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში კონკრეტულ სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტას ხშირად ე.წ. სასამართლო მიხედულება ედება საფუძვლად. აღნიშნულის მთავარი მიზეზია საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება, რაც არსებითად ართულებს, ხოლო ზოგჯერ კი შეუძლებელს ხდის სასამართლოს მოქმედებების საკანონმდებლო წესით ე.ი აბსოლუტურად განსაზღვრული სამართლებრივი ნორმებით დეტალურად და სრულად მოწესრიგებას. ასეთი შემთხვევისაგან გამოსავალია სასამართლოს აღჭურვა მთელი რიგი სამართლებრივი საკითხების საკუთარი მიხედულებით გადაწყვეტის უფლებით. შესაბამისად, სასამართლო მიხედულება არ არის კანონიერების პრინციპის კონკურენტი. როდესაც კანონში შეუძლებელია ყველა იმ შემთხვევის დეტალური აღწერა, რომელთა არსებობის დროსაც სასამართლო იმოქმედებს და მიიღებს გადაწყვეტილებას, მას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების განხილვის დროს ენიჭება დისკრეციის განხორციელების შესაძლებლობა. ყოველი კონკრეტული შემთხვევა და სამართლებრივი საკითხი სპეციალურ მიდგომას საჭიროებს. ეს კი კანონმდებელს ყოველთვის როდი შეუძლია. ამიტომ იქ, სადაც კანონმდებელს თავად არ შეუძლია სრულად მოაწესრიგოს ყველა სამართლებრივი საკითხი, იგი მათ გადაწყვეტას სასამართლო მიხედულებაზე დამოკიდებულს ხდის. ამასთან, სასამართლოს მიხედულება უნდა განვასხვაოთ სასამართლოს თვითნებობისაგან. სასამართლოს თვითნებობისაგან დისკრეციის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის პროცესში დისკრეციის (მიხედულების) განხორციელების შესაძლებლობა გათვალისწინებულია სამართლის ნორმით. მიხედულების გამოყენებისას სასამართლო მასზე დაკისრებული უფლებებისა და მოვალეობების შესასრულებლად, ადგენს და ადასტურებს (განსაზღვრავს) სამოქალაქო პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებს.

მაგალითად, სსსკ-ის 217-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება სასამართლოს უფლებას ანიჭებს გამოიყენოს დისკრეცია (მიხედულება). დასახელებული ნორმის თანახმად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს სიტყვისთვის ანდა საქმის განხილვის თითოეული ეტაპისთვის განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.

საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში სასამართლო იყენებს მიხედულებას

განზოგადებული ცნებების დაკონკრეტებისას. ამგვარ ცნებებს უკავშირდება სამართლებრივი შედეგები. მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირების შესახებ უნდა დასაბუთდეს ისეთი უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებითაც დასტურდება მხარის ქონებრივი (მატერიალური) მდგომარეობა. სასამართლო მიხედულება ხორციელდება არა მხოლოდ მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში სწორედ ამგვარი ფაქტები შედიან), მტკიცებულებითი ფაქტების დადგენის დროს, არამედ იმ ფაქტების განსაზღვრის დროსაც, რომლებიც ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების საფუძველს წარმოადგენენ: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას ან ამგვარი ღონისძიების გაუქმებისას, საქმის განხილვის გადადებისას და ა.შ. დასახელებულ საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად საჭიროა განსაზღვრული ფაქტობრივი საფუძველი. სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის, საქმის შეწყვეტის, განცხადების განუხილველად დატოვების, საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივი საფუძვლები ჩამოთვლილია კანონში (სსსკ-ის 186-ე, 272-ე, 275-ე, 279-ე, 280-ე მუხლები). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებლად, საქმის წარმოების გადასადებად, გადაწყვეტილების აღსრულების გადასადებად, გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და საშუალების შესაცვლელად აუცილებელი გარემოებანი კანონში განზოგადებული ფორმით არის მოცემული, რაც ხშირად რამდენიმე ალტერნატივას შორის არჩევანს გულისხმობს. არჩევანის გაკეთებისას კი კონკრეტული შემთხვევის გარემოებანი უნდა იქნეს გათვალისწინებული. ყოველივე ეს უკავშირდება სასამართლო მიხედულების გამოყენებას. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფა დაიშვება ნებისმიერ ეტაპზე, საქმის ნებისმიერ სტადიაზე, თუკი უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (სსსკ-ის 191-ე მუხლი).

სსსკ-ის 263-ე მუხლი ადგენს: გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებულ ნორმებში (სსსკ-ის 191-ე და 263-ე მუხლები) კონკრეტული ფაქტები მითითებული არ არის. სასამართლო იყენებს მიხედულებას ფაქტობრივი საფუძვლის დაკონკრეტებისას საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით.

სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.[11] დასახელებული საპროცესო ნორმა სასამართლომ მიხედულების საფუძელზე უნდა გამოიყენოს კონკრეტული საქმის გარემოებების დაკონკრეტებისას.

დისკრეცია ხორციელდება სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის მტკიცებულების შეფასებისას. კანონით დადგენილია მოსამართლის უფლება თავისი მიხედულებით შეარჩიოს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებათაგან ერთ-ერთი. მაგალითად, გადადოს ან გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, შეცვალოს გადაწყვეტილების აღსრულების წესი და საშუალება (სსსკ-ის 263 მუხლი), გადაწყვეტილება მიაქციოს

[1] ეს ნორმა სწორად არ არის ფორმულირებული. მხარე მტკიცების ტვირთისაგან კი არ უნდა გათავისუფლდეს, არამედ ფაქტი უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად და მეორე მხარეს დაეკისროს დადასტურებულად ჩათვლილი ფაქტის გაქარწყლების ტვირთი.

დაუყონებლივ აღსასრულებლად (სსსკ-ის 268-ე მუხლი), შეაჩეროს საქმის წარმოება (სსსკ-ის 280-ე მუხლი) ან არ შეასრულოს დასახელებული საპროცესო მოქმედებები და ა.შ.

კანონით განსაზღვრულია გონივრულ ფარგლებში მოსამართლის მოქმედების შესაძლებლობა, კერძოდ, მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების განსაზღვრისას (სსსკ-ის 53-ე მუხლი), საპროცესო ვადების დადგენისას (სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სამოქალაქო მატერიალური სამართლის მრავალ ნორმასაც სასამართლო იყენებს სასამართლო მიხედულების საფუძველზე. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონის ანალოგიის გამოყენების შეუძლებლობისას მხარეთა უფლება-მოვალეობანი სასამართლოს მიერ განისაზღვრება სამართლის ანალოგიის გამოყენებით. სკ-ის 1168-ე მუხლი ასევე წარმოადგენს დისკრეციის გამოყენების მაგალითს. ნორმის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით... სკ-ის 1218-ე მუხლის შესაბამისად, შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. ნორმის ფორმულირება, რომლის თანახმადაც შვილები „შეიძლება გათავისუფლდნენ", ნიშნავს, რომ სასამართლო იყენებს მიხედულებას, პირველყოვლისა, დასახელებული ვალდებულებისაგან შვილების გათავისუფლების ან არგათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას, მეორე, სასამართლო დისკრეციას იყენებს სასამართლო სხდომაზე საქმის იმ გარემოებების დადგენისას, რომლებიც ადასტურებენ მშობლების მიერ მშობლის მოვალეობის შესრულებისგან თავის არიდებას ან მშობლის მოვალეობის შესრულებისგან თავის აურიდებლობას. დისკრეციის განხორციელება გულისხმობს კანონით დადგენილი რამდენიმე ალტერნატივიდან ერთ-ერთის შერჩევის შესაძლებლობას. დისკრეცია (discretio) სამოქალაქო პროცესში ძირითადად სიტუაციური სამართლებრივი ნორმების გამოყენებისას ხორციელდება.

§2. სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედებების განხორციელება დისკრეციის საფუძველზე: სასამართლოს უფლება თუ ვალდებულება?

საინტერესოა გაირკვეს რა დოზით არის დასაშვები თავისუფლება სასამართლოს საქმიანობაში. როგორც ცნობილია, სასამართლო საპროცესო ურთიერთობების სავალდებულო სუბიექტია. ერთ შემთხვევაში იგი უფლებამოსილია ე.ი აღჭურვილია ყველა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებით. მეორე შემთხვევაში იგი ვალდებულია (ყველა საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს ვალდებულებაა). ზოგი საპროცესო მოქმედების მიმართ იგი უფლებამოსილი პირია, სხვა დანარჩენი მოქმედებების მიმართ კი—ვალდებული.

განვიხილოთ თითოეული დასახელებული შემთხვევა. ყველა საპროცესო მოქმედების მიმართ სასამართლოს მიჩნევა უფლებამოსილ პირად, საკმაოდ პრობლემატურია. ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, თუ როგორ ჩამოაყალიბა კანონმდებელმა ნორმა იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით. მაგალითად, მრავალ ნორმაში არ გვხვდება ისეთი კატეგორიები, როგორიც არის „სასამართლოს შეუძლია", „სასამართლოს უფლება აქვს" და ა.შ. მთავარია ის, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას, როგორც სახელმწიფო საქმიანობის სახეს, საჯარო ხასიათი გააჩნია. სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირება და საქმიანობა მკაფიოდ და ზუსტად უნდა იყოს მოწესრიგებული, რაც გამორიცხავს ან მინიმუმამდე დაიყვანს სუბიექტურ ფაქტორს, რომელიც გარდაუვალად თან ახლავს კონკრეტული ორგანოს საქმიანობას. მეორე მიდგომას, რომლის თანახმადაც ყველა საპ-

როცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს მოვალეობაა,როგორც პირველი მიდგომის სრულიად საპირისპიროს, არსებობის გაცილებით მეტი საფუძველი აქვს. ასეთ დროს ხდება კონკრეტული სასამართლოს „თვითნებობის" თავიდან აცილება. სასამართლოს საპროცესო საქმიანობა აბსულუტურად განჭვრეტადია,რაც უთუოდ სასიკეთო ფაქტორია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისათვისაც და პირთა უფლებების დაცვისთვისაც. თუმცა კი ამას უკავშირდება პრაქტიკული ხასიათის საკითხები: სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობა თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე ყოველთვის იძლევა თუ არა საშუალებას არსებობდეს აბსოლუტურად განსაზღვრული მოწესრიგება,რომლის საფუძველზეც მიიღება სასამართლო გადაწყვეტილება და მეორე მხრივ, საერთოდ აქვს თუ არა აზრი ყველა შემთხვევაში, როცა ურთიერთობა ექვემდებარება სამართლებრივ მოწესრიგებას, არსებობდეს აბსოლუტურად განსაზღვრული მოწესრიგება?

პირველ საკითხზე პასუხის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, ობიექტურად რამდენად შეუძლია სასამართლოს დაადგინოს იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტები: მაგალითად, მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები გულისხმობს,რომ სახეზე იყოს სულიერი ტანჯვა. მაგრამ რომელი კრიტერიუმები შეიძლება იყოს (თუნდაც გარეგნულად) სულიერი ტანჯვის ფაქტის დადგენის ობიექტური კრიტერიუმები? და თუნდაც სულიერი ტანჯვის ფაქტი დადგინდეს, აშკარაა, რომ შეუძლებელია ქონებრივი ანაზღაურების აბსოლუტურად განსაზღვრული მოწესრიგება არსებობდეს,რამეთუ ყოველი ინდივიდი სულიერ ტანჯვას ინდივიდუალურად განიცდის.

ობიექტურად შეუძლებელია ამგვარ შემთხვევებში აბსოლუტურად განსაზღვრული მოწესრიგების შემოღება. რაც შეეხება მეორე კითხვაზე პასუხს,აუცილებელია გავითვალისწინოთ,რომ ცხოვრებისეული შემთხვევები ობიექტურად მრავალნაირია. ყველა მათგანის კანონით გათვალისწინება, ან კანონში ამომწურავად ჩამოთვლა შეუძლებელია. ამგვარ შემთხვევებში კანონმდებელი „რამდენადაც შეუძლია, ადგენს მეტ-ნაკლებად ზოგად, ასე ვთქვათ ყოვლისმომცველ ნორმას, ითვალისწინებს მოწესრიგების ძირითად მიმართულებებს, ხოლო უფლებათა ფარგლებისა და შინაარსის ზუსტ განსაზღვრას სასამართლოს მიანდობს".[11] მაგალითად, შეიძლება დასახელდეს სრულწლოვან შვილებს და შრომისუუნარო, დახმარების საჭიროების მქონე მშობლებს შორის საალიმენტო ურთიერთობები. ცხადია, თეორიული თვალსაზრისით, კანონმდებელს შეეძლო მოეხდინა მატერიალური მდგომარეობის დიფერენცირება და დაყოფა და განესაზღვრა მშობლებისა და შვილების მატერიალური მდგომარეობის სხვადაასხვა შემთხვევა. მაგრამ ამგვარი მოწესრიგება არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

და საერთოდაც, არ არის მიზანშეწონილი ხისტი მიდგომა, ხისტი მოწესრიგების დადგენა საქორწინო საოჯახო ურთიერთობათა მოწესრიგებისას. ამასთან, მატერიალური მდგომარეობის გარდა, არსებობენ ასევე სხვა გარემოებებიც, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეთ საალიმენტო ურთიერთობისთვის. ყოველივე აღნიშნული, კანონმდებელს აიძულებს და უბიძგებს შემოიღოს ყოვლისმომცველი ნორმა: „ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას."

აბსოლუტურად განსაზღვრული მოწესრიგება მიზანშეუწონელია სანქციების საკითხშიც. სწორედ ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, კანონმდებელი აწესებს განსაზღვრულ

---

[1] Комиссаров К.И Задачи судебного надзора в сфере гражданского судопроизводства გვ 27 მითითებულია Абушенко Д. Б. Судебное усмотрение в гражданском и арбитражном процессе, М. Норма, 2002, 43.

ჩარჩოს, საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც სასამართლოს აქვს სამართლის შეფარდების აქტის ვარირების უფლება. მაგალითად, სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს მოსამართლის განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე ოდენობით. ზოგს მიაჩნია, რომ სანქციის განსაზღვრის მომენტში სასამართლოს საქმიანობა ,,ხელოვნებას ემსგავსება.[11]

ამრიგად,არ იქნება მართებული თუ ვიტყვით,რომ საპროცესო მოქმედებათა შესრულებაზე სასამართლო უპირობოდ და მარტოოდენ ვალდებული,ან უპირობოდ და მარტოოდენ უფლებამოსილი სუბიექტია. მართალია, უმეტეს შემთხვევაში საპროცესო მოქმედებათა შესრულება სასამართლოს ვალდებულებაა, მაგრამ იმავდროულად არსებობენ ისეთი სამართლებრივი ურთიერთობები (პირველყოვლისა საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები), მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, აგრეთვე იურიდიული პასუხისმგებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; ზოგიერთი წმინდა საპროცესო ინსტიტუტის გამოყენების დროს წარმოშობილი ურთიერთობები და სხვა), რომლებშიც რიგი საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს უფლებაა.

§3. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შერჩევის უფლება: აღნიშნული უფლების დაწესების და შეზღუდვის საკანონმდებლო ხერხები

თავისუფლების (არჩევანის შესაძლებლობის) შინაარსის დახასიათებისას ყურადღება ორ ძირითად ასპექტზე უნდა გამახვილდეს: კანონმდებელი სასამართლოსათვის აწესებს განსაზღვრულ თავისუფლებას[22] და იმავდროულად ამ თავისუფლების შეზღუდვასაც. ამიტომ აუცილებელია შემდეგი ძირითადი საკითხების გამოკვეთა: რომელია ის ხერხები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სასამართლოსათვის სამართლის ნორმით განსაზღვრული თავისუფლების (არჩევანის უფლების) დადგენა. და მეორე: როგორ ზღუდავს კანონმდებელი სასამართლოს თავისუფლებას, როდესაც საუბარია ხერხებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სამართლის ნორმით სასამართლოსათვის განსაზღვრული თავისუფლების დაწესება. გარკვეული დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზოგიერთი იმ ნორმის ანალიზიდან, რომელიც სასამართლოს დიკრეციას ითვალისწინებს. შეიძლება გამოიკვეთოს სამი ხერხი, რომელთა მეშვეობითაც წესდება თავისუფლება სასამართლოსათვის. სკ-ის 1200-ე მუხლის თანახმად, შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით.

სხვა მაგალითი: სკ-ის 181-ე მუხლის შესაბამისად, თუ სადავო ნაკვეთების განაწილება იწვევს უსამართლო შედეგებს, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე საზღვარს დაადგენს სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სასამართლო მიხედულებაზე მარტივი მითითება. მარტივი სახის მითითების არსებითი ნიშანია ის,რომ ნორმაში საერთოდ არ არის დასახელებული იურიდიული ფაქტები, რომელთა საფუძველზეც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას (სასამართლო ასეთ შემთხვევაში თავად განსაზღვრავს მოცე-

---

[1] Кашатина Т. Усмотрение судьи при назначении наказания. советская юстиция 1992 N13-14, გვ14

[2] ადამიანის, პიროვნების თავისუფლებისაგან განსხვავებით, რომელსაც თავისი ინტერესების შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობა აქვს და რომელიც თავისუფალია საკუთარი საქმიანობის მიზნების არჩევისას და მეტ-ნაკლებად თავისუფალია დასახული მიზნების მიღწევის საშუალებათა არჩევის საკითხში, სასამართლოს და საერთოდ, სახელმწიფო ორგანოს, საქმიანობის მიზნები და ამ მიზნების მიღწევის საშუალებები, როგორც წესი, მკაფიოდ არის განსაზღვრული კანონით.

მული ნორმისათვის ფაქტებს, რომელთაც უნდა მიენიჭოთ იურიდიული მნიშვნელობა).

სასამართლო მიხედულებაზე მარტივი სახის მითითება გვხდება სასამართლოს წმინდა საპროცესო ხასიათის საქმიანობის მოწესრიგების დროსაც. მაგალითად, სსსკ-ის 81-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება თვითონ, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები და ა.შ., მას უფლება აქვს სასამართლოში პირადად დაიცვას თავისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები, იყოს მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი. სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით საქმეში ჩაიაბას მისი კანონიერი წარმომადგენელიც (მისთვის დახმარების აღმოსაჩენად-ხაზგასმა ჩვენია).

ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც კანონმდებელი იყენებს უფლებამოსილების მიმნიჭებელ, უფლებააღმჭურველ კატეგორიებს, როგორებიც არის "უფლება აქვს", "შეუძლია", "უფლებამოსილია" და სხვა, სახეზეა ასევე სასამართლოს დისკრეციაზე მარტივი სახის მითითება.

მეორე ხერხი, რომლის მეშვეობითაც კანონმდებელი აწესებს არჩევანის უფლებას სასამართლოსთვის, არის შეფასებითი კატეგორიების გამოყენება.

სკ-ის 1311-ე მუხლის შესაბამისად "კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით." დაკისრებული მოვალეობის შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება, შეფასებითი კატეგორიაა, რამეთუ საკანონმდებლო წესით არ არის დადგენილი ის ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისგან ბოროტად თავის არიდების განმსაზღვრელი ფაქტები. ობიექტურ კრიტერიუმებში იგულისხმება ის ფაქტები, რომლებიც კონკრეტული სახის ფაქტებია და შესაბამისად, რომელთა დადასტურებაც (დამტკიცება) შეიძლება კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებით.

მსგავსი მაგალითის დასახელება შეიძლება საპროცესო ნორმათა ანალიზის საფუძველზეც. სახელდობრ, სსსკ-ის 191-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. აღსრულების გაძნელება შეფასებითი კატეგორიაა.

ზემოთდასახლებულ საკანონმდებლო ხერხს შეფასებითი კატეგორიების გარდა განეკუთვნება ასევე ყველა სხვა კატეგორიის გამოყენებაც კანონმდებლის მიერ, რომლებიც კი სასამართლოს არ აძლევენ იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების ჩამონათვალის უშუალოდ ნორმიდან გამომდინარე მკაფიოდ განსაზღვრის შესაძლებლობას. მაგალითად, სკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ცხადია, მოცემულ ნორმაში ნახსენები "გარემოებები" არ წარმოადგენენ შეფასებით კატეგორიებს, მაგრამ ამავდროულად სახეზეა განზოგადებულად მოცემული ცნება, რომელიც კონკრეტული არ არის, რაც სასამართლოს აძლევს თავისუფლად მოქმედების საშუალებას. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, საჭიროა კანონის ისეთივე სახით გამოყენება, როგორი სახითაც ის არსებობს (თუნდაც ის არასრულყოფილი იყოს), ე.ი მისი არასრულყოფილების მიუხედავად.[1]

შეიძლება გამოიკვეთოს კომბინირებული ხერხი – შეფასებით ტერმინთან ერთად

---

[1] არც სახელმწიფო, არც მის მიერ გამოცემული კანონები არ შეიძლება გახდნენ ერთხელ და სამუდამოდ სრულყოფილნი. მაგრამ მარტოოდენ კანონისადმი უპირობოდ დამორჩილების პრინციპს შეუძლია ხელი შეუწყოს კანონის სრულყოფას.. თუ კანონი არ არის შესასრულებლად სავალდებულო, კანონის განვითარების საჭიროებაც აღარ არსებობს. Малинова И. П. Философия права (от метафизики к германевтике, Екатеринбург, 1995,57).

კანონმდებელმა გამოიყენოს უფლებამოსილების მიმნიჭებელი კონსტრუქციაც. მაგალითად, სკ-ის მე-16 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

მოცემული დებულების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შესაზღუდად აუცილებელია ორი პირობა: იმ ფაქტის დადგენა, რომ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების შედეგად ფიზიკური პირი თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს (მძიმე მატერიალური მდგომარეობა შეფასებითია) და შესაბამისად, სასამართლომ, მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ საკუთარი წარმოდგენებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფიზიკური პირის ოჯახის ფაქტობრივად არსებული მატერიალური მდგომარეობად უნდა მიიჩნიოს ან "მძიმე" ან "არამძიმე" მატერიალურ მდგომარეობად.

არსებობენ სასამართლოს მიერ დადგენილი სხვა გარემოებებიც, რომლებიც საფუძველს აძლევენ სასამართლოს განახორციელოს მოცემული ნორმით გათვალისწინებული უფლება. ამგვარი კონსტრუქცია დასახელებულ შემთხვევაში სრულიად დასაშვები და აუცილებელიც კი არის, რამეთუ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ბოროტად გამომყენებელი ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვამ ყოველთვის დადებითი გავლენა როდი შეიძლება მოახდინოს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე. მაგრამ რიგ შემთხვევებში უფლებააღმჭურვეილი კონსტრუქციების გამოყენება (როგორც სასამართლო დისკრეციაზე მარტივი სახის მითითებისას, ისე კანონმდებლის მიერ კომბინირებული ხერხის გამოყენებისას) ზედმეტიც არის და მიზანშეუწონელიც. მაგალითად, სკ-ის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით, ასევე ისეთ მდგომარეობაში, როცა პირს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი. ნორმაში სიტყვები ,,სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი", განსაზღვრავს სწორედ სასამართლოს უფლებამოსილებას. შესაბამისად მოცემული ნორმის სიტყვასიტყვით განმარტების შემთხვევაში შეიძლება დავასკვნათ, რომ მაშინაც კი, თუკი სახეზე იქნება ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტები (მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ ანდერძი, როგორც გარიგება შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით, ან ისეთ მდგომარეობაში, როცა პირს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან წარემართა იგი), ამგვარი ანდერძის ბათილად ცნობა სასამართლოს უფლებაა და არა მისი ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ დასახელებულ ნორმაში მითითებული იურიდიული ფაქტების გარდა დამატებით უნდა დადგინდეს სხვა გარემოებებიც, ანუ ნორმით გათვალისწინებული ფაქტები შეივსოს სხვა გარემოებებითაც, რომლებიც საბოლოო ჯამში სასამართლოს მისცემენ გარიგების (ანდერძის) ბათილად ცნობის შესაძლებლობას. ამგვარი დასკვნა აბსურდულია. სახელდობრ, თუკი კანონს სიტყვასიტყვით წავიკითხავთ, მაშინ ზედმეტი ყოფილა ანდერძის შედგენის მიმართ კანონით შესაბამისი წესების დადგენა, ან პირის ნამდვილი ნების არსებობა გარიგების დადებისას, თუკი კანონსაწინააღმდეგო ან ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებები მაინც შეიძლება ჩაითვალონ იურიდიულად ნამდვილ გარიგებებად, თუნდაც სადავონი გახდნენ სასამართლოში. მსგავს შემთხვევებში, სასამართლოს მიხედულება ზედმეტია, ხოლო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ზიანის მომტანიც კი. შესაბამისად, ასეთი ანდერძები უპირობოდ ბათილად უნდა ცნოს სასამართლომ. 1403-ე მუხლი ითვალისწინებს დაინტერესებული პირის უფლებას, ანდერძი სადავოდ გახადოს სასამართლო წესით. ასეთი ანდერძი ბათილია, თუკი დამტკიცდება ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტები და ამდენად, არასწორია ფორმულირება ,,სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი".

დასახელებული ნორმა არ არის სრულყოფილი. ნორმის ფორმულირებიდან გამომდინარე ერთი შეხედვით შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ მსგავსი საკანონმდებლო კონსტრუქცია დამახასიათებელია საცილო გარიგებების შესახებ ნორმებისთვის. თუმცა კი ნორმაში ისეთი უფლებააღმჭურველი კატეგორიის გამოყენება, როგორიც არის ,,შეიძლება", არ არის საკმარისი საცილო და უცილოდ ბათილი გარიგებების ერთმანეთისაგან გასამიჯნად.

უფლებააღმჭურველი კონსტრუქციის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში შეიძლება იმით აიხსნას, რომ რეალურად კანონმდებელი აწესებს არა სასამართლოს უფლებას, არამედ დაინტერესებულ პირთა უფლებას აღძრან ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი.

საკმარისია მოცემულ ნორმაში ან მსგავსი სახის ნორმებში სიტყვები ,,სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი" შევცვალოთ სიტყვებით ,,სასამართლოს მიერ მიიჩნევა ბათილად",ან სიტყვებით ,,ანდერძი ბათილია...",რომ დავრწმუნდებით,რომ სიტყვა ,,შეიძლებას" ნორმიდან ამოღება აბსოლუტურად არ ცვლის ნორმის (ნორმების) შინაარსს.

სხვა მაგალითი: სკ-ის 1181-ე მუხლის შესაბამისად, ,,დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, პატივსადები მიზეზების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს." მოცემული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი მასში იყენებს კომბინირებულ ხერხს (ამაზე მეტყველებს, ნორმაში გამოყენებული შეფასებითი კატეგორიები ,,პატივსადები მიზეზები" და ,,უკიდურესად არახელსაყრელი მდგომარეობა" და უფლებააღმჭურველი კატეგორია ,,შეუძლია"). მაგრამ ამგვარი ხერხის გამოყენება საჭირო არ იყო. ისეთი კატეგორიები, როგორებიც არის ,,პატივსადები მიზეზები" ან ,,უკიდურესად არახელსაყრელი მდგომარეობა" იმდენად არაკონკრეტულია, რომ პრაქტიკულად ნებისმიერ ფაქტს მოიცავენ, რომლებიც კი ერთობლიობაში იძლევიან საქორწინო ხელშეკრულების უკიდურესად არახელსაყრელი პირობების შეცვლის საფუძველს.

შეფასებით კატეგორიებთან ერთად ერთდროულად უფლებააღმჭურველი კონსტრუქციის გამოყენება კი გულისხმობს, რომ შესაძლოა არსებობდნენ რომელიმე სხვა გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ საქორწინო ხელშეკრულების უკიდურესად არახელსაყრელი პირობების შეცვლის შესახებ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტას, მიუხედავად იმისა, თუნდაც სახეზე იყოს (არსებობდეს) ,,პატივსადები მიზეზი". ყოველივე ცხადყოფს, რომ შეფასებით კატეგორიასთან ერთად დამატებით უფლებააღმჭურველი კონსტრუქციის გამოყენება ნორმას ხდის ბუნდოვანს. ამავე თვალსაზრისით, მკაფიოდ არ არის ფორმულირებული სსსკ-ის 65-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლის შესაბამისადაც, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუკი კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. მოცემული ნორმის სიტყვასიტყვით განმარტების შემთხვევაში შეიძლება დავასკვნათ, რომ ვადის გაშვების მიზეზების საპატიოდ ცნობის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს სრული უფლება აქვს არ აღადგინოს ვადა (უარი უთხრას განმცხადებელს ვადის აღდგენაზე).

იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დებულების ფორმულირებაზეც. ამიტომ დასახელებულ საპროცესო ნორმებში სიტყვები ,,სასამართლომ შეიძლება",,,სასამართლოს შეუძლია," მიზანშეწონილია შეიცვალოს სიტყვებით ,,სასამართლო აღადგენს," ,,სასამართლომ უნდა გამოიყენოს".

რაც შეეხება კანონმდებლის მიერ სასამართლოსთვის დაწესებული თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვის საკითხს, აქაც აუცილებელია დასახელდეს და გაანალიზდეს კონკრეტული საკანონმდებლო კონსტრუქციები, რომლებიც გარკვეულწილად ზღუდავენ

სასამართლოს არჩევანს. მაგალითად, სკ-ის 868-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს.'' ამრიგად, თუკი პროცენტის სხვაგვარი ოდენობა არ არის დადგენილი კანონით, ხოლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი და მისი სიდიდე განსაზღვრულია 868-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, სადავო შემთხვევაში სასამართლოს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის ორი კონკრეტული ვარიანტი.

სკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.'' მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი არ უთითებს კონკრეტულ ალტერნატივებზე, არამედ ადგენს გარკვეულ ზღვარს, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით დადგენილია სასამართლოს არჩევანის შესაძლებლობა, როგორც ალტერნატივის სახით, ისე გარკვეული ზღვარის დაწესებით დამრღვევის მიმართ ჯარიმის დაკისრების საკითხებში, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ე.ი. დადგენილია შერეული საკანონმდებლო კონსტრუქცია. დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, გაძევებული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს სასამართლოს არჩევანისდა მიხედვით ჯარიმა ან პატიმრობა. ამასთან, სასამართლოს ეს თავისუფლება ჯარიმის გამოყენებისას მოქცეულია განსაზღვრულ ჩარჩოში (ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აჭარბებდეს ნორმით დადგენილ ფარგლებს- ეს არის 50 დან 500 ლარამდე.)

დაბოლოს, ზოგიერთ შემთხვევაში საკანონმდებლო წესით დადგენილია მარტოოდენ ქვედა ზღვარი.

სკ-ის 413-ე მუხლის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ეს ნიშნავს, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციაზეა დამოკიდებული. მართალია მოცემული ნორმა არ შეიცავს პირდაპირ მითითებას ქვედა ზღვარზე, აშკარაა, რომ – ქვედა ზღვარს წარმოადგენს უმცირესი ნომინალის კანონიერი საგადასახდელო საშუალება.

§4. სასამართლო დისკრეციის მიზანი

სასამართლო დისკრეციის მიზანში იგულისხმება ლოკალური სამართლებრივი შედეგი, რომელიც მიიღწევა იმ კონკრეტული ნორმის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო დისკრეციას (მიხედულებას).

დისკრეციის მიზანი, პირველ ყოვლისა არის სასამართლოს მიერ სამართლებრივი ურთიერთობის დაკონკრეტება.

მაგალითი: სკ-ის 325-ე მუხლის შესაბამისად, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ—ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად ან მათი განსაზღვრა ჭიანურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

ამრიგად, თუკი ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა შორის წარმოიშობა უთანხმოება, იმ ხელშეკრულების პირობები, რომელთა შესახებაც მხარეებს გააჩნდათ უთანხმოება, განისაზღვრება სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. სასამართლო აკონკრეტებს

არასრულად მოწესრიგებულ, ან შეკვეცილი სახით არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, შესაძლოა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ე.ი. ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების უფლებები და მოვალეობები არ იყოს განსაზღვრული (სრულად ან ნაწილობრივ) კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. თუმცა კი ცნობილია ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი. სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს (ადგენს) ამ უფლება-მოვალეობებს, რითიც ნათელს ხდის სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს. ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებას პირველ ყოვლისა წარმოადგენს ის, რომ იგი არ არის აბსოლუტურად განსაზღვრული სახით მოწესრიგებული და მეორე ის, რომ სახეზე არ არის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მხარეთა შეთანხმება (ისეთ შემთხვევაში, როცა ამგვარი შეთანხმება დაშვებულია კანონით).

კერძო სამართლებრივი ნორმების დიდი უმრავლესობა მხარეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი შეხედულებით მოაწესრიგონ ერთმანეთს შორის წარმოშობილი ურთიერთობა. ამიტომ სასამართლოს მიერ სკ-ის 325-ე მუხლიდან გამომდინარე საკუთარი მიხედულების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების სავალდებულო პირობას წარმოადგენს ასეთი ნამდვილი (კანონის შესაბამისი) შეთანხმების არარსებობა მხარეთა შორის[1] (მაგალითად, შესაძლოა ერთ-ერთმა მხარემ არსებითი შეცდომის საფუძველზე დადოს ხელშეკრულება და შემდეგ, სკ-ის 325-ე მუხლის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს. ცხადია, რომ დასახელებულ შემთხვევაში სასამართლოს არ ექნება უფლება განსაზღვროს უკვე დადებული ხელშეკრულების პირობები).

ამრიგად, სასამართლო დისკრეციის ერთ-ერთი მიზანია განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე კონკრეტული სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების დაკონკრეტება.

დისკრეციის მიზანია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის (შეწყვეტის) ფაქტის შესახებ საკითხის გადაწყვეტა, ასევე კონკრეტულ სუბიექტებს შორის არსებული და სასამართლოს მიერ დადგენილი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის ნორმის განსაზღვრა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კანონმდებელი სასამართლოს ანიჭებს მარტოოდენ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის (შეწყვეტის) ფაქტის შესახებ საკითხის გადაწყვეტის უფლებას. აქ მოიაზრება ისეთი შემთხვევაც, როდესაც კანონმდებელი სასამართლოს ანიჭებს მხარეთა შორის უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობების მიმართ განსაზღვრული ნორმის გამოყენების უფლებას. მაგალითი: სსსკ-ის 138-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში საბუთების წარდგენის სიძნელისას სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს სათანადო წესით შემოწმებული ამონაწერების წარდგენა[2] ან მოახდინოს წერილობით მტკიცებულებათა დათვალიერება და გამოკვლევა მათი შენახვის ადგილზე. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საკითხი.

სკ-ის 72-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე. ამრიგად, დასახელებული (გამოსაყენებელი) მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პრინციპული საკითხი: ან ნება უნდა ჩაითვალოს არსებითი შეცდომის საფუძველზე გამოვლენილად და შესაბამისად, გარიგების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს გარიგების ბათილობის წესები, ან იმავე გარიგების მიმართ

---

[1] 325-ე მუხლი ისეთ შემთხვევებს აწესრიგებს, როცა მხარეები, მართალია, შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე, მაგრამ ზოგი პირობა ღიად დატოვეს და მისი განსაზღვრა მიანდეს ერთ-ერთ მხარეს-კრედიტორს ან მოვალეს"-ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 78.

[2] მაგალითად მხარეს დაავალოს დოკუმენტების ასლების წარდგენა.

გამოყენებული იქნება შესაბამისი ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები.

ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს არა მარტო კონკრეტული ნორმის გამოყენების საკითხს, არამედ განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსსაც (უფლებებისა და მოვალეობების მოცულობას). მაგალითი: „სკ-ის 1120-ე მუხლის შესაბამისად, სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას შვილებს, რომლებიც ალიმენტს უხდიან შრომისუუნარო მშობლებს, შეიძლება დაეკისროთ მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (მშობლების მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა)".

ცხადია, დამატებით ხარჯებში შვილების მონაწილეობის წესს და აღნიშნული ხარჯების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო შვილებისა და მშობლების მატერიალური მდგომარეობიდან და მხარეთა სხვა ყურადსაღები ინტერესებიდან გამომდინარე.

მოცემული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლომ ჯერ უნდა გადაწყვიტოს შვილებსა და მშობლებს შორის სამართლებრივი ერთიერთობის წარმოშობის საჭიროების საკითხი, რომლის ფარგლებშიც შვილებს შეიძლება დაეკისროთ დამატებითი ხარჯების გაწევის ვალდებულება, ხოლო შემდეგ (იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას)- დააკონკრეტოს შესაბამისი უფლებები და მოვალეობები.

სასამართლო დისკრეციის მიზანია უკვე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების შინაარსის შეცვლა. სამართლებრივი ურთიერთობის დაკონკრეტების შემთხვევისაგან განსხვავებით, როცა შეუძლებელია კანონიდან გამომდინარე პირდაპირ დადგინდეს უფლებები და მოვალეობები, მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობა უკვე არსებობს და განსაზღვრულია მხარეთა უფლებებიცა და მოვალეობებიც.

მაგალითი, სკ-ის 1181-ე მუხლის შესაბამისად, „დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, პატივსადები მიზეზების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს.

სხვა მაგალითი: სსსკ-ის 47-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია ფიზიკური პირის მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის გადახდისაგან აღნიშნული ფიზიკური პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ხოლო სსსკ-ის 48-ე მუხლი სასამართლოს უფლებას აძლევს სასამართლო ხარჯის გადახდა გადაავადოს ან ასეთი ხარჯი შეამციროს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის სასარგებლოდ, მათი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ცხადია, სასამართლო ხარჯის (მათ შორის სასამართლო ხარჯის კონკრეტული ოდენობის) გადახდის საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება წარმოიშობა სასამართლოს ნებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს გავლენა მოახდინოს ამგვარი ვალდებულების შინაარსზე. **სტრასბურგის სასამართლოს** გადაწყვეტილებაში საფეხბურთო კლუბი „მრეტები" საქართველოს წინააღმდეგ განმარტებულია: ევრო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი უზრუნველყოფს ყველას ჰქონდეს უფლება ნებისმიერი საჩივრით, რომელიც ეხება მის სამოქალაქო უფლებებს და მოვალეობებს მიმართოს სასამართლოს. იქ, სადაც სააპელაციო სამართალწარმოება არსებობს, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ, რომ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში განაგრძონ მე-6 მუხლის იგივე ფუნდამენტური გარანტიებით სარგებლობა სააპელაციო სასამართლოების წინაშე, როგორც ისინი სარგებლობდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოების წინაშე აქედან გამომდინარე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მომჩივანს უფლება ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი

პარაგრაფის თანახმად, მისი საქმე განხილულიყო უზენაესი სასამართლოს მიერ, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით ამ უკანასკნელის მიმართ შეიზღუდა ეს უფლება.

სასამართლომ უნდა განსაზღვროს, აღნიშნულმა შეზღუდვამ ან შეამცირა ან შეზღუდა განმცხადებლის უფლება სასამართლოზე იმდენად, რომ ამ უფლების ძირითადი არსი იქნა ხელყოფილი. ამისათვის სასამართლომ უნდა განიხილოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები, რომელებიც ამ უკანასკნელმა მიიღო თავისი დისკრე-ციული ძალაუფლების გამოყენებით, იმის დასადგენად იყო თუ არა მათი შედეგები კონვენციის შესაბამისი.

სასამართლო აცხადებს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის ხარ-ჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვ-დომობის უფლების შეზღუდვად და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან პერსე შეუსაბამოდ. თუმცა, ასეთი ხარჯების გონივრულობა უნდა შეფასდეს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, მომჩივნის უნარი გადაიხადოს ის, და სასამართლო პროცესის ეტაპი, რომელზედაც ვრცელდება ასეთი შეზღუდვა. უფრო მეტიც, შეზღუდვა სასამართლო მიმართვაზე შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული ურთიერთდამოკიდებულება პროპორციულობისა გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს, თავისი საჩივრის ღირებულების შესაბამისად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და 41-ე მუხლების თანახმად, მოეთხოვე-ბოდა მაქსიმალური ბაჟის გადახდა – 5,000 ლარის ოდენობით (2,200 ევრო) – სამარ-თალწარმოების თითოეულ ეტაპზე. ამრიგად, რადგანაც მისმა საჩივარმა მოითხოვა ორი სასამართლო ინსტანციის მიერ განხილვა, რეალური ფინანსური ტვირთი გაორმაგდა. ამრიგად, მომჩივანმა გადაიხადა 5,000 ლარის ოდენობის გადასახადი პირველ ინსტანციაში, ვინაიდან საოლქო სასამართლომ უარი უთხრა მას გადასახადის გადავადებაზე, მაგრამ ვერ შეძლო გადაეხადა იგივე თანხა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

სასამართლო ადგენს, რომ მთავრობის არგუმენტი, რომ „ყველაზე ღარიბ საფეხბურთო კლუბსაც" კი საქართველოში შეეძლო უფლება მიეცა თავისი თავისათვის ასეთი ხარ-ჯების გაღებისა ჰიპოთეტურია და არ არის გამყარებული არავითარი ფაქტებით ან მტკიცებულებით.

მთავრობის შემდეგი არგუმენტი, რომ მომჩივანს, რომელმაც მიიღო მისი სავალო თანხა დინამოს საფეხბურთო კლუბიდან, უნდა გადაედო საჭირო თანხა სასამართლო წარმოების დასაწყებად, არ არის ასევე დამაჯერებელი. ფაქტია, რომ მომჩივანი იყო გადახდისუუნარო და მისი საქმიანობა ჩაშალა იმ დროისთვის, როდესაც საქმე შევიდა უზენაეს სასამართ-ლოში და ეს უკანასკნელი სათანადოდ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. მომჩივანმა თამაშიც კი შეწყვიტა ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში იმის გამო, რომ არ შეეძლო გადაეხადა მონაწილეობის საფასური. ასეთ გარემოებებში, თუ უზენაესმა სასამართლომ, როგორც ამტკიცებს მთავრობა, მართლაც მხოლოდ ჩაიხედა მომჩივნის შემოსავლებში, მისი უყურადღებობა, გაცნობოდა კლუბის დანახარჯებს და დაუფარავ ვალებს, როგორც ჩანს იყო თვითნებური. თუ დავუშვებთ, რომ უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მომჩივნის გადახდისუუნარობის თხოვნა არ იყო საკმარისად დასაბუთებული საქმეში არსებული მა-სალებით, მას უნდა განეცხადებინა ამის თაობაზე 2004 წ. 30 იანვრის გამაფრთხილებელ გადაწყვეტილებაში და მოეწოდებინა ამ უკანასკნელისათვის, რათა მას წარედგინა საჭირო დოკუმენტები. თუმცა, მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესმა სასამართლომ ასე არ გააკეთა. უზენაესი სასამართლოს 2004 წ. 30 იანვრის სხვამხრივ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების განმარტება გაკეთდა მხოლოდ წინამდებარე

სასამართლო პროცესის მსვლელობისას მთავრობის მიერ წარდგენილ პასუხში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლ პარაგრაფზე მითითება, რომელიც როგორც მომჩივანს, ასევე მოპასუხეს აკისრებს მტკიცების თანაბარ ტვირთს შეჯიბრებითი ხასიათის სამოქალაქო ტიპის საქმეებში, უადგილოა. წინამდებარე საქმეში პრობლემა მდგომარეობს არა მხარეებს შორის დავის საკითხში, არამედ მხარესა და სასამართლო ხელისუფლებას შორის. სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავს სიტუაციებში, როდესაც სასამართლო ხელისუფალნი ჩათვლიან, რომ მხარის განცხადება გადახდისუუნარიანობის შესახებ საეჭვო ან არასაკმარისია, მათ უნდა გამოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია წარსადგენი დოკუმენტაციის მითითებით და/ან უბრძანონ წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმება.

როგორიც არ უნდა იყოს მთავრობის არგუმენტები და გამამართლებელი საბუთები, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ თავად უზენაეს სასამართლოს არ მიუთითებია, რომ მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყო საკმარისი. იგი ასევე არ შეეცადა მიეღო მომჩივნის ან კომპეტენტური უწყებებისგან გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულება. სასამართლოს გადაწყვეტილებებში ბუნდოვნად იყო აღნიშნული, რომ არ არსებობდა სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლების არავითარი საფუძველი. ასეთ გარემოებებში, უზენაესი სასამართლოს უარი მომჩივნის სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლებაზე, ყოველგვარი შესაბამისი დასაბუთების გარეშე წარმოადგენდა ამ უკანასკნელისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უსაფუძვლო შეზღუდვას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი მოითხოვდა ბაჟისაგან არა მარტო სრულ ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, არამედ ასევე გამოხატავდა სურვილს, დაეფარა ხარჯები დანაწევრებულად ან სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომჩივნის თხოვნა სასამართლო ბაჟისაგან მისი გათავისუფლების შესახებ, მართლაც რომ საკასაციო სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად იყო მიმართული. მაგრამ, სასამართლოს აზრით, როდესაც მომჩივანს უარი ეთქვა, ფინანსურ შეღავათზე ყოველგვარი დასაბუთებული მიზეზის გარეშე უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობდა ერთადერთი ინტერესით უზრუნველეყო შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში. მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ შეზ-ღუდვა წინამდებარე საქმეში იყო წმინდა ფინანსური ხასიათის, რაც არ იყო დაკავშირებული საჩივრის არსებით გარემოებებთან ან მისი წარმატების პერსპექტივასთან. ასეთი შეზღუდვა მოითხოვს განსაკუთრებულად მკაცრ ყურადღებას მართლმსაჯულების ინტერესების თვალსაზრისით.

ამ მხრივ, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ აბსტრაქტული მითითების გარდა ,,სამართალწარმოების სამართლიანი და ეფექტური ადმინისტრირების'' ცნებაზე, მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე კონკრეტული და კანონიერი მიზანი ფინანსური შეზღუდვის გასამართლებლად, რომელიც განხორციელდა მომჩივნის უფლებაზე, მისი საქმე განხილულიყო სასამართლოს მიერ. სასამართლომ, განიხილა რა მის ხელთარსებული მასალა, აღნიშნავს, რომ ბაჟი, რომლებიც დაწესდა წინამდებარე საქმეზე, არ ემსახურებოდა მეორე მხარის ლეგიტიმური ინტერესების დაცვას არაანაზღაურებადი სამართლებრივი ხარჯებისაგან ან სამართლებრივი სისტემის დაცვას არა არსებითი საჩივრისგან. მიზნებს, რომლებმაც, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, შეიძლება გაამართლონ სასამართლოზე უფლების შეზღუდვა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში სახეზე არ არის უპირატესი საზოგადო ინტერესი.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით და მთლიანად საქმის ფაქტების შეფასებით, სასამართლო ასკვნის, რომ უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო დაეცვა

სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინტერესსა, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, მომჩივნის ინტერესებს შორის დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით.

შესაბამისად, განხორციელდა სასამართლო განხილვაზე უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და კონვენციის მე-6§1 მუხლის დარღვევა. ჩვენ ვეთანხმებით ევროპის სასამართლოს განმარტებებს რამეთუ მსგავს შემთხვევებში კრედიტორს წარმოადგენს სახელმწიფო, რომელსაც ყოველთვის აქვს ბერკეტი და მექანიზმი თავის სასარგებლოდ გადაახდევინოს პირს სახ. ბაჟი, თუკი ბაჟი გადავადებული იყო და პირმა წააგო პროცესი.

დაბოლოს, დისკრეციის მიზანია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ განსაზღვრული სუბიექტის ყოფნის შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა. სასამართლო წყვეტს როგორც იმ საკითხს, ზოგადად და საერთოდ შეიძლება იყოს თუ არა პირი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ისე საკითხს, შეიძლება იყოს თუ არა პირი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. საუბარია მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რადგან მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში სასამართლოს ამგვარი უფლების განმსაზღვრელი ნორმები, დასახელებული კანონმდებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე (თავად სასამართლოა ამ ურთიერთობის სავალდებულო სუბიექტი) არ არსებობს.

ერთადერთი შემთხვევა მატერიალურ სამართალში, როცა სასამართლო თავისი მიხედულების საფუძველზე წყვეტს ზოგადად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ პირის ყოფნის შესაძლებლობის საკითხს, არის შემთხვევა, რომლის დროსაც სასამართლოს ენიჭება იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის საკითხის განხილვაში თავისუფლება. იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, წყვეტს არსებობას. კერძოდ, სკ-ის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს. მოცემულ ნორმაში საუბარია საქმიანობის აკრძალვის შესაძლებლობაზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაცია. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა საქმის გარემოებათა შეფასების შედეგად სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე. ამ მოსაზრებას განამტკიცებს დასახელებული მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, სასამართლოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა გააუქმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამართლის სუბიექტების არსებობის შეწყვეტის მაგალითად ვერ გამოდგება ინდივიდუალური მეწარმის გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევა, აგრეთვე ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის, ან გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევა. საქმე ის არის, რომ ინდმეწარმის გაკოტრებულად გამოცხადება იურიდიულ ძალას უკარგავს ინდმეწარმედ პირის რეგისტრაციის აქტს, მაგრამ სრულიადაც არ ართმევს მას, როგორც ფიზიკურ პირს შესაძლებლობას, იყოს ზოგადად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკური პირის უკვალოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადების სამართლებრივ შედეგებზე: სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა ფიზიკური პირის ქონების მიმართ, მაგრამ არა ფიზიკური პირის, როგორც სამართლის სუბიექტის მიმართ.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც უკავშირდება

პირის შესაძლებლობას იყოს რომელიმე კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი. რიგ შემთხვევაში კანონმდებელი სასამართლოს აძლევს უფლებას შეზღუდოს განსაზღვრულ პირთა უფლებები. მსგავსი ნორმები ყველაზე მეტად ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებაში გამოიყენება. მაგალითად, ზოგიერთი სამართალდარღვევის ჩადენისას კანონი სასჯელის სახით შეიძლება ითვალისწინებდეს თანამდებობის დაკავების ან პროფესიული საქმიანობის განხორციელების აკრძალვას, ანდა, როგორც ეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით არის გათვალისწინებული, ფიზიკური პირისათვის სპეციალური უფლების ჩამორთმევას (სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების, ნადირობის უფლების და სხვა უფლების ჩამორთმევას).

თუმცა სამოქალაქო კანონმდებლობისათვისაც არის ცნობილი ნორმები, რომლებიც გარკვეულწილად ზღუდავენ განსაზღვრული სუბიექტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში. მაგალითად, ეს ეხება ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირს.

საპროცესო კანონმდებლობაც შეიცავს შესაბამის ნორმებს. მაგალითად, სსსკ-ის 35-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით. 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად კი აცილების საფუძველია „სხვა ისეთი გარემოება," რომელიც ეჭვს იწვევს ასაცილებელი პირის მიუკერძოებლობაში. დასახელებული პირების აცილების საპროცესო შედეგი იქნება სწორედ ის, რომ ისინი უკვე ვეღარ შეძლებენ მოცემულ საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის მიღებას შესაბამისად ექსპერტად, თარჯიმნად, სპეციალისტად, სხდომის მდივნად.

იმ ნორმებთან ერთად, რომლებიც ზღუდავენ განსაზღვრული სუბიექტების უფლებას მონაწილეობა მიიღონ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, არსებობენ აგრეთვე ნორმებიც, რომლებიც პირიქით, უშვებენ ურთიერთობათა აღნიშნული სფეროს გაფართოების შესაძლებლობას. მაგალითად, ასეთია სკ-ის 1108-ე მუხლი, როცა გარკვეულ შემთხვევაში დაქორწინების ნებართვის გაცემა შეუძლია სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება გარკვეული კატეგორიის პირებს ანიჭებს დაქორწინების უფლებას. დაქორწინების შემთხვევაში კი აღნიშნული პირები ქმედუნარიანად ითვლებიან, აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით (სკ-ის მე-12 მუხლი).

დაბოლოს, შესაძლოა სახეზე იყოს შემთხვევა, როცა სასამართლო აქტი სხვადასხვა სუბიექტისათვის იწვევს დიამეტრალურად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს. მაგალითად, სასამართლოს მიერ შეცვლილი არასათანადო მხარე ვეღარ იქნება შესაბამისი საპროცესო ურთიერთობის სუბიექტი, ხოლო სათანადო მხარე, პირიქით, საპროცესო ურთიერთობის სუბიექტი ხდება (სსსკ-ის 84-85-ე მუხლები).

სრულიად დასაშვებია, რომ ერთი გადაწყვეტილების ფარგლებში სასამართლომ დისკრეცია გამოიყენოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ზემოაღნიშნული მიზნით. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანია ორი გარემოება: პირველ ყოვლისა, დისკრეციის მიზნების ჩამონათვალი ამომწურავია; მეორე, დისკრეციის საფუძველზე მისაღები სასამართლოს ნებისმიერი აქტი ერთ-ერთი მიზნით მაინც უნდა იქნეს მიღებული.

დისკრეციის დასახელებული მიზნები არ ეწინააღმდეგებიან და არც უნდა ეწინააღმდეგებოდნენ სამოქალაქო პროცესის მიზნებსა და ამოცანებს. ამასთან, პროცესის მიზნები და ამოცანები ზოგადი ხასიათისაა. რაც შეეხება დისკრეციის მიზნებს, მათი მეშვეობით ხდება დარღვეული უფლებების დაცვის მექანიზმის, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების დაკონკრეტება. დისკრეციის მიზნები წარმოადგენენ სამოქალაქო პროცესის მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას. სასამართლოს „ინიციატივა უფლებათა დაცვის

საკითხში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართალწარმოების პრინციპებს".[1]

საინტერესოა დისკრეციის სახეებთან დისკრეციის მიზნების თანაფარდობის საკითხი. მაგალითად, უფლებებისა და მოვალეობების დაკონკრეტებისას კანონმდებელი იყენებს დისკრეციის ყველა სახეს. სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის (შეწყვეტის) ფაქტის შესახებ საკითხის გადაწყვეტის ან სამართლის იმ ნორმის განსაზღვრის შემთხვევაში, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ კონკრეტულ სუბიექტებს შორის დადგენილი ურთიერთობების მიმართ, დასაშვებია მარტოოდენ ალტერნატიული სასამართლო მიხედულების გამოყენება. ეს იმით აიხსნება, რომ სამართლის ნორმებს შორის ყოველთვის კონკრეტული არჩევანი უნდა გაკეთდეს: შერჩეული უნდა იქნეს ან ერთი, ან მეორე. რაიმე ჩარჩოს დადგენა მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება.

უკვე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების შინაარსის შეცვლის დროს გამოიყენება სასამართლო დისკრეციის ყველა სახე, გარდა არჩევანის ისეთი მოდელისა, რომლის დროსაც კანონმდებელი აწესებს მარტოოდენ ქვედა ზღვარს, მაგრამ არ აწესებს ზედა ზღვარს.

დაბოლოს, სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილედ სუბიექტის ყოფნის შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა ხდება მარტოოდენ ალტერნატიული სასამართლო მიხედულების გამოყენებით. თუმცა აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ფაქტორი. სასამართლო მიხედულების საფუძველზე ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის საკითხის გადაწყვეტისას თავისთავად ქმედუნარიანობის საკითხის განსაზღვრა მარტოოდენ ალტერნატიული შეიძლება იყოს (ეს გამომდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი კლასიფიკაციიდან: სრული ქმედუნარიანობა, შეზღუდული ქმედუნარიანობა, ქმედუუნარობა).

§5. მოტივაციის პრობლემა სასამართლო დისკრეციის გამოყენებისას

5.1. მოტივის დანიშნულება სასამართლო დისკრეციის გამოყენებისას

მოტივის დანიშნულება იკვეთება სასამართლო მიხედულების საკანონმდებლო წესით დადგენის ხერხებში. მარტივი სახის მითითებისას ნორმაში არ მოიხსენიება იურიდიული ფაქტები, რომელთა საფუძველზეც იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მოტივის დანიშნულება ცხადია-მოცემული ნორმის გამოსაყენებლად განისაზღვროს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები. შეფასებითი კატეგორიების გამოყენების დროსაც ასეთივე დანიშნულება აქვს მოტივს. ეს აიხსნება შეფასებითი კატეგორიის გამოყენების სპეციფიკით. შეფასებითი კატეგორიის გამოყენების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია საკანონმდებლო წესით ყველა შესაძლო ცხოვრებისეული შემთხვევის გათვალისწინება, რომელიც კი ექცევა შეფასებითი კატეგორიის არსში. სასამართლო ჯერ კონკრეტულ გარემოებებს ადგენს, ხოლო შემდეგ განსაზღვრავს, შეფასებითი კატეგორიის არსი გულისხმობს თუ არა ამ გარემოებებს. როდესაც სასამართლო თავის გადაწყვეტილებას აფუძნებს ამა თუ იმ მოტივს, განსაზღვრავს, აქვს თუ არა ფაქტს იურიდიული მნიშვნელობა.

კომბინირებული ხერხის გამოყენების დროსაც იგივე დანიშნულება აქვს მოტივს. სწორედ მოტივები განსაზღვრავენ სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე რა (როგორი) გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.

---

[1] Воложанин В. П. Рассмотрение гражданских дел по инициативе суда. Проблемы применения норм гражданского процессуалъного права. Свердловск, 1986, 50.

5.2. მოტივები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს მიერ დისკრეციის გამოყენებას

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მხოლოდ რამოდენიმე ნორმაშია მითითებული კონკრეტულ მოტივზე,რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს გადაწყვეტილებას. ამასთან, ასეთი მითითება კონკრეტული ხასიათისაა, რადგან ასეთი მითითებები ორიენტირებულია სწორედ იმ ნორმათა შეფარდებაზე,რომლებშიც ისინი არიან მოხსენიებულნი. მაგალითად, სსსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში...

სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკავებული გარჩევა უფრო მიზანშეწონილია. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რამდენიმე მოსარჩელის მიერ რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღებისას, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკავებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია.

სსსკ-ის 216-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. ამავე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. სსსკ-ის 223-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო, აუცილებლობის შემთხვევაში საქმის განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე სიტყვის დასრულებისათვის მხარეს განუსაზღვრავს დროს.

სსსკ-ის 257-ე მუხლის შესაბამისად, თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით,მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

სსსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

აღსრულების გადადების (როგორც დისკრეციის საფუძველზე შესასრულებელი საპროცესო მოქმედების) მოტივი გამოკვეთილია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 31-ე მუხლში (ეს არის საგანგებო შემთხვევა, მორალის პრინციპები).

ამრიგად,დასახელებული ნორმებით გათვალისწინებულია ისეთი მოტივები,როგორებიც არის გონივრულობის, მიზანშეწონილობის, საქმის განხილვის ინტერესის კრიტერიუმები და მორალი. ამასთან, აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენება, როგორც ჩანს, ხდება სხვა კრიტერიუმებთან ერთად. ძირითადად ეს ეხება გონივრულობის კრიტერიუმს (მაგალითად, იგი გამოიყენება ისეთ კრიტერიუმებთან ერთად, როგორებიც არის „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში“, „თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია“ და სხვა). ამრიგად,მარტოოდენ გონივრულობის კრიტერიუმის გამოყენება იურიდიულ მნიშვნელობასა და აზრს დაუკარგავს გონივრულობის კრიტერიუმთან ერთად გამოსაყენებელ კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ კრიტერიუმს.

როგორც ვხედავთ, ყველა ნორმა, რომელიც კი დისკრეციას ითვალისწინებს, როდი უთითებს მოტივებზე. რაიმე ზოგად ნორმას,რომელიც მოტივად დაადგენდა განსაზღვრულ კრიტერიუმებს, საპროცესო კანონი არ შეიცავს. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ზემოთდასახელებული შემთხვევები, როცა კანონით მოტივი იყო გათვალისწინებული, სპეციალური წესებია.

მატერიალური სამოქალაქო კოდექსი კი გაცილებით ხშირად უთითებს კრიტერიუმებზე, რომლებიც დისკრეციის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღების მოტივებს წარმოადგენენ. მაგალითად, სკ-ის 181-ე მუხლის შესაბამისად, თუ სადავო ნაკვეთის განაწილება ნაკვეთებს შორის, იწვევს უსამართლო შედეგებს, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე საზღვარს დაადგენს სასამართლო. ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმია სამართლიანობა. გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმები უდევს საფუძვლად მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრას სასამართლოს მიერ (სკ-ის 413-ე მუხლი). სამართლიანობის კრიტერიუმის გამოყენებით უნდა განისაზღვროს ვალდებულების პირობები სკ-ის 325-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

გონივრულობის მოთხოვნა გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც უნდა განისაზღვროს „გონივრული ზომა", „საქმის გონივრული გაძღოლა," „გონივრული ფასი", „ინტერესების გონივრული გათვალისწინება," „გონივრული ვადა," „გონივრული მზრუნველობა" (იხ. სკ-ის 283-ე, 886-ე და სხვა მუხლები).

ამასთან, მრავალი კერძო სამართლებრივი ნორმა მსგავს კრიტერიუმზე არ უთითებს. თანაც, სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს რაიმე ზოგადი სახის დებულებას დისკრეციის გამოყენების მოტივთან დაკავშირებით.

მოტივები, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს სასამართლო დისკრეციისას, სამოქალაქო სამართალში ყველაზე მეტად გვხვდება საოჯახო სამართლის სფეროში. ესენია ბავშვების ოჯახში აღზრდის პრიორიტეტი, მათ კეთილდღეობასა და განვითარებაზე ზრუნვა, არასრულწლოვანის (ბავშვის) უფლებებისა და ინტერესების პრიორიტეტული დაცვა და სხვა.

ამასთან, ზოგჯერ კანონმდებელი მართალია ნორმაში ითვალისწინებს რამდენიმე მოტივს, მაგრამ არ აწესებს მოტივებს შორის იერარქიას, რაც პრაქტიკაში გარკვეულ პრობლემას ქმნის. მაგალითად, სკ-ის 413-ე მუხლი არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფულადი ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრისას მოითხოვს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებას. მოცემულ შემთხვევაში პრობლემას ის კი არ ქმნის, რომ დაუშვათ ზოგი სასამართლო ანაზღაურებს მორალურ ზიანს 1000 ლარის, ხოლო ზოგი- უფრო მეტი ოდენობით. ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა. პრობლემას ქმნის ის, რომ ზოგი სასამართლო პრიორიტეტს ანიჭებს გონივრულობას (და სრულიად მართებულად აკუთვნებს დაზარალებულს 1000 ლარს), ხოლო ზოგი ხელმძღვანელობს სამართლიანობით (და ასევე სრულიად მართებულად აკუთვნებს დაზარალებულს ათი ათას ლარს). საბოლოო ჯამში გამოდის, რომ თავად კანონმდებელი აწესებს ორმაგ სტანდარტს, კერძოდ: რიგითი მოქალაქისთვის მისაღებია გონივრულობის კრიტერიუმი, ხოლო საჯაროდ ცნობილი პირებისათვის—სამართლიანობის კრიტერიუმი. ამრიგად, კანონმდებელი არაპირდაპირ ამკვიდრებს საკმაოდ მოძველებულ სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც „პრივილეგია საზოგადოებისთვის სასარგებლო და პატივსაცემ წევრს ენიჭება" და მოცემული დანაწესი „კონკურენციას უწევს შედარებით მოგვიანებით დამკვიდრებულ კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს".[1]

გონივრულობისა და სამართლიანობის გარდა, გვხვდება ისეთი მოტივიც, როგორიც არის მიზანშეწონილება. შეუძლებელია დასახელებული მოტივების არსის დეტალური აღწერა. ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილება სამართლიანობის მოტივის სრულიად საწინააღმდეგო მოტივია.

ზემოთ დავასახელეთ ზოგიერთი პრიორიტეტი, რომელიც საფუძვლად ედება მიხედულებაზე დაყრდნობით საოჯახო საქმეთა გადაწყვეტას. ამიტომ, ამგვარი მიხედულების დამდგენი ნორმები უნდა განვასხვავოთ ისეთი შემთხვევებისაგან, როდესაც ნორმით მართალია

[1] Малинова И. П. Философия права (от метафизики к герменевтике). Екатеринбург, 1995,94.

დადგენილია გარკვეული პრიორიტეტი ამა თუ იმ სუბიექტისათვის, მაგრამ თავისი არსით ამგვარი ნორმები წარმოადგენენ აბსოლუტურად განსაზღვრული ჰიპოთეზის შემცველ ნორმებს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1480-ე და 1481-ე მუხლები ითვალისწინებენ ე.წ. უპირატეს უფლებებს. დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, უპირატესი მემკვიდრეობის უფლება ენიჭება ზოგიერთი კატეგორიის მემკვიდრეს ნორმებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

ცხადია, რომ უპირატესობა, რომელიც ენიჭება განსაზღვრული კატეგორიის პირებს, არანაირად არ უშვებს მიხედულების გამოყენების შესაძლებლობას, რადგან თუ სასაამართლო დაადგენს, რომ სახეზეა გარკვეული პრიორიტეტი (მაგალითად, პირი მამკვიდრებელთან ერთად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ 1 წლის მანძილზე ცხოვრობდა, ან მამკვიდრებელთან ერთად აქვს საერთო საკუთრების უფლება ქონებაზე), ვალდებულია შესაბამისი გადაწყვეტილებით დაადასტუროს უფლება–ქონების მიღების (უპირატესი მემკვიდრეობის) უფლება.

კონკრეტული პრიორიტეტების დადგენა კანონმდებელზეა დამოკიდებული, ამიტომ შესაძლებელია დროთა განმავლობაში რომელიმე პრიორიტეტმა დაკარგოს ლეგიტიმური სტატუსი, ხოლო ზოგიერთმა პირიქით, შეიძინოს ამგვარი სტატუსი. ამასთან, ესა თუ ის პრიორიტეტი შესაძლოა პირდაპირ იყოს მითითებული კანონში, შესაძლოა პრიორიტეტი არაპირდაპირ იყოს კანონით გათვალისწინებული და განსაზღვრულ პირთა უფლებების მომწესრიგებელი ნორმების სისტემური ანალიზი მიუთითებდეს ამგვარი პრიორიტეტის გათვალისწინებაზე კანონმდებლის მიერ. აღნიშნულის მაგალითია მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონმდებლობა. მომხმარებელთა უფლებებს გამყიდველთან, ასევე დამამზადებელთან შედარებით პრიორიტეტი ენიჭება. მართალია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობა აღნიშნულზე პირდაპირ მითითებას არ შეიცავს, მაგრამ კანონმდებლობის ანალიზი მეტყველებს კანონმდებლის განზრახვაზე პრიორიტეტი მიანიჭოს მომხმარებლის ინტერესებს.

მოტივი არ არის ცარიელი აბსტრაქცია. დისკრეციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა მიუთითოს კიდეც მოტივზე. ის ფაქტი, რომ კანონმდებელი ხშირ შემთხვევაში ნორმაში არ მიუთითებს მოტივებზე, სასამართლო მიხედულების სფეროს დაუშვებლად გაფართოებას განაპირობებს.

5.3. მოტივების კონკურენცია სასამართლო დისკრეციის გამოყენებისას

თუ როგორი გადაწყვეტილება იქნება მიღებული დისკრეციის საფუძველზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მოტივი დაედო საფუძვლად მის მიღებას. სხვადასხვა მოტივმა შეიძლება განაპირობოს სხვადასხვანაირი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ სამართლის ნორმა, რომელიც აწესებს მოსამართლის დისკრეციას, არ უნდა შეიცავდეს მრავალ მოტივზე მითითებას. ამ თვალსაზრისით, არამართებულია ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებშიც ერთზე მეტი მოტივია მითითებული. ამასთან, საინტერესოა, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, თუკი დისკრეციის საფუძველზე დავის გადასაწყვეტად ნორმაში ერთზე მეტი მოტივია მითითებული. ანდა მოტივი საერთოდ არ არის მოხსენიებული?

ამ თვალსაზრისით, საინტერესო მინიშნებას აკეთებს სკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი. დასახელებული ნორმის შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან

საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

აქედან გამომდინარე, როცა სახეზეა მოტივთა სიმრავლე, საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: ისეთ სუბიექტებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში, რომელთა საქმიანობის მიზანსაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის უზრუნველყოფა წარმოადგენს, წინა პლანზე, იერარქიულად ყველაზე მაღლა უნდა დადგეს მიზანშეწონილობის მოტივი, შემდეგ მას უნდა მოსდევდეს გონივრულობა, სამართლიანობა და ა.შ. ყველა სხვა შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ან გონივრულობის, ან სამართლიანობის მოტივს. ამგვარი მიდგომა ქართული სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციებსაც ასახავს და სამართლის საერთაშორისო უნიფიკაციის ძირითად მიმართულებებსაც შეესაბამება. მაგალითად საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 7.4.3. მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს შემდეგ წესს: „თუკი ზიანის ოდენობის უტყუარად დადგენა შეუძლებელია, მაშინ ზიანის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიხედულებით". დასახელებული დებულების განმარტებისას მითითებულია, რომ მოცემულ შემთხვევაში „სასამართლოს.... უფლება აქვს განსაზღვროს მიყენებული ზიანის სამართლიანი ოდენობა". ამასთან, ბრალეული სუბიექტების მიმართ სამართლებრივი სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად მარტოოდენ სამართლიანობის მოტივი უნდა იქნეს გამოყენებული.

ეს აიხსნება თავად ბრალის არსით. ბრალის ცნებაში იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის ნამდვილ ნებას. სუბიექტის ნამდვილი ნების შეფასება კი სამართლიანობის საფუძველზე ხდება. ამიტომ, თუ კანონმდებელი განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში ბრალს იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ: დავის გადაწყვეტა დამოკიდებულია სამართლიანობის კრიტერიუმის გამოყენებაზე. მაგალითისთვის შეიძლება დასახელდეს სკ-ის 406-ე, 407-ე, 415-ე და სხვა მუხლები. იმ შემთხვევაში როცა კანონმდებელი არ უთითებს განსაზღვრულ მოტივებზე, გამოყენებული უნდა იქნენ სამართლიანობის, გონივრულობის, მიზანშეწონილობის მოტივები. კონკურენციის საკითხის გადაწყვეტა ასეთ დროს უნდა ეფუძნებოდეს იმავე მიდგომას, რაც მოტივთა სიმრავლის დროს გამოიყენება.

საპროცესო სამართლის იმ ნორმებში, რომლებიც უშვებენ სასამართლო დისკრეციას როგორც წესი, გამოყენებული უნდა იქნეს მიზანშეწონილების მოტივი. პირველ ყოვლისა ეს იმით აიხსნება, რომ სასამართლო პროცედურა საკმაოდ დაწვრილებით უნდა იქნეს მოწესრიგებული, რაც გარანტიაა იმისა, რომ მხარეთა ძირითადი საპროცესო უფლებები არ დაირღვევა ან არ შეიზღუდება სასამართლო დისკრეციის გამოყენებით. ამით დაცული იქნება სამართლიანობაც.

მეორე, ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი საპროცესო საკითხის გადასაწყვეტად სასამართლო დისკრეციის საკანონმდებლო წესით დადგენის მიზანი უნდა იყოს მარტოოდენ ოპერატიული საკითხების გადაწყვეტა, თანაც მათი იმდაგვარად გადაწყვეტა, რომ აღნიშნულს გააჩნდეს წმინდა ტექნიკური ხასიათი და ამან არ უნდა შეაფერხოს პროცესის მონაწილეთა უფლებების რეალურად განხორციელება. თუმცა, ცხადია, ყოველთვის იარსებებენ ისეთი საპროცესო ნორმები, რომლებშიც აღნიშნულ მიდგომას ვერ დავიცავთ. საუბარია ნორმებზე, რომლებშიც სახელმწიფოს, აგრეთვე საქმის მონაწილე და მართლმსაჯულების დამხმარე პირთა სასარგებლოდ გათვალისწინებულია გარკვეული სახის ანაზღაურება (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით) ამ შემთხვევაში ანაზღაურებაში არ იგულისხმება მატერიალურ სამართლებრივი დავის საგანი. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წარმომადგენელის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის წაგებული მხარისათვის დაკისრების წესი. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი თავად ადგენს (ხარჯის ოდენობის განსაზღვრის მიზნით)

კონკრეტულ პრინციპს—გონივრულობას. ამავდროულად მოთხოვნა სასამართლომ გაითვალისწინოს საქმის მნიშვნელობა და სირთულე, ნიშნავს, რომ გონივრულობასთან ერთად აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული აგრეთვე სამართლიანობის პრინციპიც.

სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები, აგრეთვე 156-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები ითვალისწინებენ ჯარიმას მყარი თანხის სახით, რომელიც ეკისრება პირს მტკიცებულების არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ უფრო მართებული იქნება მოცემული და სხვა ამგვარი ნორმები სასამართლოს ანიჭებდნენ გარკვეულ თავისუფლებას ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის საკითხში. ამასთან, ასეთი თავისუფლების მინიჭების შემთხვევაშიც კი, სასამართლოს არ ექნება უფლება იმოქმედოს მიზანშეწონილების მოტივით. ეს იმიტომ, რომ თუნდაც მომავალში აღმოჩნდეს, რომ მტკიცებულებას, რომელიც არ იქნა წარმოდგენილი, არ შეეძლო გავლენა მოეხდინა მიღებულ გადაწყვეტილებაზე, პირს მაინც უნდა დაეკისროს ჯარიმა თუნდაც იმის გამო, რომ თავისი ქცევით გამოხატა უპატივცემულობა სასამართლოსადმი. ამავე დროს, შესაძლოა სახეზე იყოს ესა თუ ის გარემოება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ჯარიმის დაკისრებისას. ამრიგად, ჯარიმა (სანქცია) სამართლიანი უნდა იყოს.

§6. სასამართლო დისკრეცია და სასამართლო თვითნებობა. სასამართლო დისკრეციის კონტროლი

როგორც დისკრეციის გამოყენებისას, ისე სასამართლოს თვითნებობის დროსაც სახეზეა სასამართლოს თავისუფლება. ამასთან, სასამართლოს თვითნებობისას სახეზეა სასამართლოს თავისუფლების საკითხისადმი პრიმიტიული მიდგომა, როდესაც თავისუფლებაში გულისხმობენ სამართლებრივი მოქმედებების შესრულებისას კანონით შეუბოჭაობას. ამიტომ, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს თვითნებობისას სასამართლოს თავისუფლება პირველ ყოვლისა არ თავსდება სასამართლო დისკრეციისათვის დამახასიათებელ თავისუფლებაში (სასამართლო დისკრეციაში), მეორე- უშუალოდ არ გამომდინარეობს სასამართლოს საქმიანობის სპეციფიკიდან. სასამართლო თვითნებობა სამართლებრივი თვითნებობის სახესხვაობაა (ნაირსახეობაა). უნდა გაიმიჯნოს კანონის ფორმალური დაცვით ჩადენილი დარღვევები სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან. ამგვარი გამიჯვნის ფორმულა ჯერ კიდევ რომის სამართალში იყო ცნობილი. რომაელი იურისტი პავლე ამბობდა: „კანონს არღვევს ის, ვინც კანონით აკრძალულ ქმედებას სჩადის; კანონს არღვევს ისიც, ვინც კანონს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით იგებს და ამით გვერდს უვლის კანონის არსს...“ (D.1.3.29). ამიტომ, სასამართლო თვითნებობაში იგულისხმება სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედება, რომელიც კანონის ფორმალურ ჩარჩოში თავსდება, მაგრამ თავისი არსით ეწინააღმდეგება კანონის მიზანს.

აუცილებელია მიეთითოს ის ზღვარი, რომლის დარღვევის შემთხვევაში სასამართლო დისკრეცია გადაიზრდება სასამართლო თვითნებობაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს სამი ხერხი, რომელთა მეშვეობითაც კანონმდებელი ადგენს თავისუფლებას სასამართლოსთვის:

1) მარტივი მითითება;

2) შეფასებითი კატეგორიების გამოყენება;

3) კომბინირებული ხერხი.

მარტივი მითითების არსებითი ნიშანია ის, რომ საერთოდ არ მიეთითება ნორმაში იმ იურიდიულ ფაქტებზე, რომელთა საფუძველზეც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას.

ცხადია, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი მოელის, რომ კონკრეტული სასამართლო

ფაქტობრივ გარემოებათაგან შეარჩევს განსახილველ საქმესთან კავშირში მყოფ სწორედ იმ ფაქტობრივ გარემოებებს,რომლებიც ყველაზე უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი დისკრეციის საფუძველზე გადასაწყვეტ საკითხთან. მას შემდეგ,რაც ამა თუ იმ ფაქტს სასამართლო მიანიჭებს იურიდიულ მნიშვნელობას, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სამწუხაროდ,სასამართლოები შესაბამის საპროცესო აქტებში ყოველთვის როდი უთითებენ იმ გარემოებებზე, რომელთაც მიენიჭათ იურიდიული მნიშვნელობა დისკრეციის საფუძველზე საკითხის გადაწყვეტისას.

სასამართლო თვითნებობა იქნება იურიდიული მნიშვნელობის მინიჭება ისეთი ფაქტებისათვის, რომლებსაც ან საერთოდ არავითარი კავშირი აქვთ გადასაწყვეტ საკითხთან, ან საკითხის გადაწყვეტა ამ ფაქტებზე იმდენად ნაკლებად და უმნიშვნელოდ არის დამოკიდებული, რომ თავისთავად ამგვარი ფაქტები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საკითხის გადაწყვეტას.

მაგალითად,სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც,თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. ნორმიდან გამომდინარე,სასამართლომ მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს განსაზღვრულ ფაქტს და შესაბამისად გადაწყვიტოს მოცემული საკითხი.

საინტერესოა,რომელი ფაქტებია ყველაზე უფრო მჭიდროდ დაკავშირებული გადასაწყვეტ საკითხთან? რა შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო თვითნებობად მოცემულ შემთხვევაში? მოცემულ შემთხვევაში მთავარ კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს შესაბამისი გარემოების კავშირი სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზნებთან. აღნიშნული ინსტიტუტის მიზანი კი არის პირთა ქონებრივი უფლებების რეალური და სრული აღდგენა. ამიტომ სასამართლო თვითნებობად უნდა ჩაითვალოს ისეთი განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ,რომელიც ეფუძნება ფაქტებს,რომლებიც უპირობოდ არ გამორიცხავენ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობას (უპირობოდ ვერ ადასტურებენ სასამართლო აქტის მომავალში აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების რეალური საფრთხის არარსებობას). აღარაფერს ვამბობთ მოცემული ნორმის ისეთ განმარტებაზე სასამართლოს მიერ, რომლითაც 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დისკრეცია გაგებულია, როგორც სასამართლოს უფლება, თავისი მეხედულებით საერთოდ არ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება და არ მიუთითოს არანაირ ფაქტზე. რაც შეეხება სასამართლო თვითნებობისა და სასამართლო დისკრეციის გამიჯვნას შეფასებითი კატეგორიების გამოყენებისას, აღვნიშნავთ, რომ შეფასებითი კატეგორიების გამოყენება ხასიათდება იმით, რომ არ არსებობს ამა თუ იმ ფაქტის შეფასებითი კატეგორიისადმი მიკუთვნების კანონით დადგენილი კრიტერიუმები. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს განსაზღვრული მოტივებით და უნდა დაადგინოს, შეესაბამება თუ არა ფაქტობრივად დადგენილი გარემოება შეფასებით კატეგორიას. შეფასებითი ცნების (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ცნების) შინაარსი ხასიათდება განსაზღვრული ნიშნებით. ფაქტი კი უნდა თავსდებოდეს შეფასებითი კატეგორიის რომელიმე ნიშანში.

სასამართლო თვითნებობისა და სასამართლო დისკრეციის გამიჯვნის ამოცანა მოცემულ შემთხვევაში იმით რთულდება, რომ ზემოთ მოხსენიებულ ნიშანთაგან ზოგიერთს აქვს ცვალებადობის თვისება. ამრიგად,შეფასებითი კატეგორიების გამოყენებისას სასამართლო თვითნებობის შესახებ შეიძლება საკმაოდ აბსტრაქტულად საუბარი.

მაგალითი: სკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.სასამართლო დისკრეციის დადგენის კომბინირებული ხერხის გამოყენება მოცემულ ნორმაში („შეუსაბამოდ მაღალი" ეს არის შეფასებითი ტერმინი, ხოლო „სასამართლოს უფლება აქვს" – მარტივი მითითება) არ არის მართებული. საინტერესოა, კიდევ რა გარემოებები შეიძლება არსებობდეს (ვალდებულების დარღვევის

შედეგებთან პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობის გარდა), რომლებიც შესაძლოა გახდეს პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველი? ჩვენი აზრით, სკ-ის 420-ე მუხლის გამოსაყენებლად შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, სასამართლო ამცირებს პირგამსატეხლოს ოდენობას იმის მიუხედავად, მოპასუხე უთითებს თუ არა პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობაზე და შუამდგომლობს თუ არა მის შემცირებაზე. სკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული საკანონმდებლო კონსტრუქცია უფლებააღმჭურველ კონსტრუქციად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ – მავალებელ კონსტრუქციად. სკ-ის 420-ე მუხლში სასამართლო დისკრეცია დგინდება მარტოოდენ შეფასებითი კატეგორიის გამოყენების მეშვეობით. ამგვარი შეფასებითი კატეგორიაა „შეუსაბამოდ მაღალი". რა ნიშნები უნდა ახასიათებდეს დასახელებულ შეფასებით კატეგორიას? პირგასამტეხლოს შემცირების წესი ზედმიწევნით კონკრეტულია: პირველყოვლისა, აუცილებელია დადგინდეს პირგასამტეხლო, რომელიც მოცემული ნორმის არსიდან გამომდინარე წარმოადგენს ფულად თანხას, რომელიც მოვალემ (მოპასუხემ) უნდა გადაუხადოს კრედიტორს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიების სახით ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის; მეორე, უნდა განისაზღვროს ვალდებულების დარღვევის შედეგები. ასეთ შედეგს მიეკუთვნება მოსარჩელის მიერ მიუღებელი ქონება და ფული, განცდილი ზიანი (მათ შორის მიუღებელი შემოსავალი), სხვა ქონებრივი და არაქონებრივი უფლება, რომელთა რეალურად მიღების მოლოდინიც გააჩნდა მოსარჩელეს კანონისა და ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან, ამგვარი შედეგების პირგასამტეხლოს ოდენობასთან თანაფარდობის განსაზღვრის მიზნით აუცილებელია (სავალდებულოა) ვალდებულების დარღვევის შედეგები ფულად ეკვივალენტში გამოიხატოს (ეს მოთხოვნა იმით აიხსნება, რომ შეუძლებელია სხვადასხვაგვარად გამოხატული სიდიდეების ერთმანეთთან თანაფარდობის განსაზღვრა); მესამე, აუცილებელია შევადაროთ მიღებული სიდიდეები და თუკი პირგასამტეხლოს თანხა აღემატება ვალდებულების შეუსრულობლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგების ფულად ეკვივალენტს გადაწყდეს „შეუსაბამოდ მაღალი" პირგასამტეხლოს არსებობის საკითხი (აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ კანონმდებელი უშვებს მაღალი ოდენობის პირგასამტეხლოს, სასამართლოს დისკრეციის მეშვეობით კი უნდა განისაზღვროს არის თუ არა ამგვარი მაღალი პირგასამტეხლო „შეუსაბამო"; აღნიშნული ნიშანი კი ერთ–ერთი იმ ნიშანთაგანია, რომელიც ხასიათდება ცვალებადობის თვისებით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვითნებობა სახეზე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც: სასამართლო გვერდს უვლის პირგასამტეხლოს და მისი, როგორც ფულადი თანხის შემცირების ნაცვლად მოვალეს აკისრებს განსაზღვრული პროცენტული ოდენობის საურავს (ჯარიმას), პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის განსაზღვრის ნაცვლად ყურადღება ექცევა ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობას ან ნებისმიერ სხვა გარემოებას; პირგასამტეხლოს შედარება ხდება ფულადი ფორმით გამოხატულ ვალდებულების დარღვევის შედეგებთან; „შეუსაბამოდ მაღალ" პირგასამტეხლოდ მიიჩნევა ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგების ფულადი ეკვივალენტის ტოლი ან მასზე ნაკლები პირგასამტეხლო. საიტერესოა ზემოთ გამოკვეთილი სასამართლოს არჩევანის საკანონმდებლო კონსტრუქციების (ალტერნატიული, შერეული და სხვა) სასამართლო თვითნებობასთან თანაფარდობის საკითხი. ამგვარი კონსტრუქციები ან მკაფიოდ განსაზღვრავენ არჩევანის ფარგლებს, ან განსაზღვრავენ კონკრეტულ ვარიანტებს. ამიტომ, იმის დადგენა, გასცდა თუ არა სასამართლო მათ ფარგლებს, ნებისმიერ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე და სასამართლო თვითნებობის განსაზღვრებიდან გამომდინარე (რომლის ერთ-ერთი ნიშანია სამართლის ნორმისადმი სასამართლო აქტის ფორმალური შესაბამისობა), აუცილებელია დავასკვნათ, რომ სასამართლოს მიერ, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო კონსტრუქციების დარღვევის

შემთხვევები წარმოადგენენ სამართალდარღვევებს, რომლებიც არ ექცევიან სასამართლო თვითნებობის განსაზღვრებაში.

დაბოლოს, სამართლის ნორმასთან სასამართლო აქტის ფორმალური შესაბამისობის ნიშნის მიხედვით სასამართლო თვითნებობისაგან აუცილებელია გაიმიჯნოს ყველა ის შემთხვევა, როდესაც სასამართლო აქტი მიიღება კანონით პირდაპირ გათვალისწინებული მოტივისაგან განსხვავებული მოტივის საფუძველზე (ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლო აქტის შინაარსიდან უშუალოდ შეიძლება კონკრეტული მოტივის დადგენა, რომლითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო).

სასამართლო თვითნებობის საკითხს მჭიდროდ უკავშირდება სასამართლო დისკრეციის საფუძველზე მიღებული აქტების ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მხრიდან ლეგალური სასამართლო კონტროლის პრობლემა. ამგვარი კონტროლი რომ დასაშვებია, თუნდაც იქიდან გამომდინარეობს, რომ კანონი არ შეიცვას სპეციალურ დათქმას, რომ დისკრეციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება პირველი ინსტანციის სასამართლოს განსაკუთრებული, ექსკლუზიური კომპეტენციაა. თუმცა კი, საინტერესოა გაირკვეს, სასამართლო თვითნებობის გამოსავლენად მოცემულ შემთხვევაში რა წარმოადგენს ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მხრიდან კონტროლის უშუალო ობიექტს? ეს შეიძლება იყოს: მოტივები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო, როდესაც იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამა თუ იმ გარემოებას (იმ შემთხვევაში, როცა ეს მოტივები პირდაპირ არ აისახა სასამართლო აქტში); გარემოებები, რომელთაც მიენიჭათ იურიდიული მნიშვნელობა; დადგენილი გარემოებებისათვის დამახასიათებელი ხარისხობრივი (რაოდენობრივი) მახასიათებლების კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულ შესაძლო ვარიანტებთან თანაფარდობის მექანიზმი (გარდა იმ შემთხვევისა, როცა კონოკრეტული ვარიანტის არჩევის მექანიზმი უკვე ჩადებულია ნორმაში). იმ მოტივებზე მსჯელობისას, რომელთა საფუძველზეც ამა თუ იმ გარემოებას მიენიჭა იურიდიული მნიშვნელობა, უნდა აღინიშნოს შემდეგი: იმ შემთხვევაში, როდესაც მოტივი არ აისახა სასამართლო აქტში, ზემდგომი სასამართლო ობიექტურად მოკლებულია რეალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

შეფასების სპეციფიკა მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობს სამართლიანობის, გონივრულობის და ა.შ. შესახებ კონკრეტული სასამართლოს სუბიექტური წარმოდგენების შეფასებაში, რაც გამორიცხავს კონტროლს. კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი კონტროლი ეს არის სამართლიანობის, გონივრულობის და ა.შ. შესახებ საკუთარი („სწორი") მიხედულების თანაფარდობა ამ კატეგორიების შესახებ ქვემდგომი სასამართლოს მიხედულებასთან. განვიხილოთ დისკრეციის საფუძველზე მიღებული სასამართლო აქტის გაუქმების შესაძლებლობის საკითხი, როდესაც აღნიშნული აქტი უქმდება იმ მოტივით, რომ იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია იმ გარემოებებს, რომელთაც ამგვარი მნიშვნელობა მიანიჭა ქვემდგომმა სასამართლომ.

სასამართლო თვითნებობის საკითხის განხილვისას, ერთი მხრივ, გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ თვითნებობა სახეზეა იმ შემთხვევაში, როცა იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტებს, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ დავის საგანთან, ე.ი. სასამართლოს მიერ გადასაწყვეტ საკითხთან, ანდა სადავო საკითხის გადაწყვეტა იმდენად უმნიშვნელოდ არის დამოკიდებული ამ ფაქტებზე, რომ არ არსებობს მათი გამოყენების საფუძველი. მეორე მხრივ, თუკი მოცემულ შემთხვევაში დავუშვებთ ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მხრიდან კონტროლს, მაშინ შეიძლება გამოვიტანოთ საკმაოდ რადიკალური დასკვნა: ნორმა, რომელიც უშვებს დისკრეციის გამოყენებას, მიმართულია მხოლოდ ზემდგომი სასამართლო ინსტანციისადმი, კონკრეტული დავის განმხილველმა ყველა სხვა სასამართლომ კი უნდა გამოიყენოს არა ის ნორმა, რომელიც უშვებს დისკრეციას, არამედ

აბსოლუტურად განსაზღვრული ქცევის წესი.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის კონტროლის საკითხში დიფერენცირებული მიდგომა გამორიცხულია კანონში პირდაპირ მითითებული გარემოებების მიმართ და იმ გარემოებების მიმართ, რომელთაც მნიშვნელობა ენიჭებათ სასამართლო დისკრეციის საფუძველზე. იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებების არასწორად განსაზღვრა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აპელაციის წესით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია იმისდა მიუხედავად, ნორმაში პირდაპირ მითითებული გარემოებები განსაზღვრა სასამართლომ არასწორად, თუ ეს გარემოებები დისკრეციის საფუძველზე განსაზღვრა არასწორად. გარდა ამისა, აპელაციას უფლება აქვს რიგ შემთვხვევაში გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებებიც. შესაბამისად მას უფლება აქვს ამგვარ შემთხვევებში დაადგინოს ახალი ფაქტებიც. უფრო მეტიც, ახალი ფაქტების დადგენის უფლება აპელაციას აქვს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზეც, რომელთაც ის თავად აფასებს.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სასამართლო დისკრეციის კონტროლი სამოქალაქო პროცესში იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის ნაწილში დასაშვებია. მაშასადამე დასაშვებია სასამართლო დისკრეციის საფუძველზე მიღებული აქტების კონტროლი.

თავი IV

სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებანი

§1 ზოგადი დებულებანი

მატერიალური სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული საპროცესო ფორმასთან, საპროცესო სამართალთან, რამეთუ მატერიალური სამართლის რეალური განხორციელება პროცესის მეშვეობით ხდება. მატერიალურ სამართალს მიეკუთვნება სამართლის ის დარგები, რომელთა მომწესრეგებელ ნორმებსაც იყენებს სასამართლო სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს. მატერიალური სამართალი რეგულაციური შინაარსის მქონეა. ამიტომ მატერიალურ სამართალს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი საპროცესო ფორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მატერიალური ანუ რეგულაციური ნორმით გათვალისწინებული უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვა.

საპროცესო ფორმა კონკრეტულ სამართლებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციაში უზრუნველყოფს მარეგულირებელი ნორმის იმ მიზნის განხორციელებას, რა მიზნითაც იქნა სწორედ მიღებული მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმა.

თავისი შინაარსით პროცესი მატერიალური (რეგულაციური) ნორმის დანიშნულების ადეკვატური უნდა იყოს, ანუ ადეკვატური იმისა, რისთვისაც არის განკუთვნილი მატერიალური ნორმა, რა დანიშნულებაც აქვს მას.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი კონკრეტული სამოქალაქო საქმე, რომელიც სასამართლოს წარმოებაში იმყოფება ანუ რომელსაც იხილავს სასამართლო და რომელიც ამის გამო წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის საგანს, საჭიროებს და მოითხოვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფორმას. სამოქალაქო საქმის განხილვის წესი, პირველ ყოვლისა, მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის საერთო დებულებებით, რომლებიც ძირითადად სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია თავმოყრილი.

კონკრეტული კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურის სპეციფიკური ნიშნები და სამოქალაქო სამართალწარმოების საერთო წესები ერთიანობაში განაპირობებენ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებებს. როცა საუბარია საქმეთა დიდ ჯგუფზე, დავებზე, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს ერთი და იმავე სამართლებრივ ჭრილში და სამართლის დარგის ერთ-ერთ ინსტიტუტში შემავალი რეგულაციური ნორმების გამოყენების საფუძველზე, მაშინ ამ ნორმათა სწორად გამოყენებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს საპროცესო სპეციფიკა. რიგ შემთხვევაში კანონმდებელს ეს სპეციფიკა საკანონმდებლო დებულების რანგში აჰყავს სპეციალური საპროცესო ნორმის სახით, რომელიც ასახულია მატერიალური სამართლის კანონებში. მაგალითად, საპროცესო ხასიათის ნორმები გვხვდება სამოქალაქო, შრომის კოდექსებში და კოდიფიცირებულ თუ არაკოდიფიცირებულ სხვა საკანონმდებლო აქტში, მაგალითად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონში, მეწარმეთა კანონში და სხვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოცემულ ნორმათა (საპროცესო სამართლის ნორმები) გამოყენებაზე გავლენას ახდენს საქმის მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება, კერძოდ: მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის, ობიექტისა და შინაარსის სპეციფიკა.

სწორედ ამ ფაქტორებით ე.ი. მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების შემადგენელი ელემენტებით არის განპირობებული სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვე-

ტის საპროცესო თავისებურებები.

საქმის მატერიალურ-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე,რიგ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს და გამოიკვეთოს სასამართლო პროცედურის ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი,ე.ი. სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ,,საპროცესო თავისებურებანი.'' განსაკუთრებით საუბარია უწყებრივი ქვემდებარეობის, განსჯადობის, საქმის განხილვის ვადების, გადაწყვეტილების აღსრულების წესის თავისებურებებზე და ა.შ. საპროცესო თავისებურებები (სასამართლო პროცედურის სპეციფიკური ნიშნები) დამახასიათებელია სამართლის ამა თუ იმ დარგის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან წარმოშობილი სხვადასხვა კატეგორიის საქმისათვის. მაგალითად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობებიდან შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა სახის დავა: დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების, საპატენტო, საავტორო, მემკვიდრეობის და სხვა. ასეთი დავების განხილვასა და გადაწყვეტას ახასიათებს დავის მატერიალურ-სამართლებრივი ბუნებით განპირობებული ინდივიდუალური საპროცესო თავისებურებანი.

საქმის თავისებურება გავლენას ახდენს საქმის განხილვის ფორმაზეც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-254-579-09 აღნიშნულია: ,,მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლი არ ავალდებულებს მოსამართლეს მხარეთა თანხმობის არებობის შემთხვევაშიც კი საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის განხილვის ფორმა უნდა შეირჩეს ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებებიდან გამომმდინარე, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით''.

პრაქტიკა მოითხოვს საქმის განხილვის საპროცესო თავისებურებების აუცილებლად ცოდნას. იურისტმა უნდა შეძლოს ამ ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით. ყოველივე ეს გარდაუვალად მოითხოვს ამა თუ იმ კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების გამოვლენას და ცოდნას ამა თუ იმ კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვის დროს.

§2. ზოგადი და სპეციალური საპროცესო ნორმის გამოყენება სამოქალაქო სამართალწარმოებაში

სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურების ცოდნას აქვს დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა. ის საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ შეცდომები მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა გამოყენების დროს და ამით ხელს უწყობს სამართალწარმოების ხარისხის ამაღლებას. სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლოს ევალება გააანალიზოს საპროცესო ნორმის შინაარსი სრულად და ყოველმხრივ და განსაზღვროს სხვადასხვა შემთხვევაში მისი მოქმედების არეალი და თავისებურება.

სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებების შესწავლა შეიძლება განხორციელდეს ორი მიმართულებით: პირველ ყოვლისა, გამორკვეული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ზოგადი საპროცესო ნორმების და არასაპროცესო ნორმატიულ აქტებში ასახული სპეციალური საპროცესო ნორმების თანაფარდობის საკითხი. მეორე – უნდა გაანალიზდეს მატერიალური სამართლის ის ნორმა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე საპროცესო სამართლის ძირითადი საკითხების სწორად გადაწყვეტის მიზნით.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის შეიძლება არსებობდეს სხვადასხვაგვარი თანაფარდობა. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდ-

ექსის 1-ლ წიგნში (რომელსაც ეწოდება ,,ზოგადი დებულებანი'') ასახული ნორმები ზოგადი ნორმებია სსსკ-ის მე-2 და მე-3 წიგნებში ასახული ნორმების მიმართ, ე.ი. საერთოა მთელი პროცესისთვის. ზოგადი საპროცესო ნორმები მრავლად მოიძებნება ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეორე წიგნში მე-4 კარში, რომელსაც ეწოდება ,,სასარჩელო წარმოება.'' მაგრამ სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები საერთოა სამართალწარმოების სხვა სახეებისთვის, კერძოდ, უდავო, გამარტივებული, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე და სხვა საქმეებისთვის და გამოიყენება სამართალწარმოების ამ სახეებში, თუ მათი თავისებურება განსხვავებულ წესებს არ ითვალისწინებს. ამდენად, სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ნორმები ზოგად ნორმებს წარმოადგენს მხოლოდ იმ ნორმათა მიმართ, რომლებიც სპეციფიკურია და დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის, უდავო წარმოებისათვის, გამარტივებული წარმოებისთვის, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებისათვის. ე.ი. სსსკ-ის მხოლოდ მე-2 წიგნში ასახული ნორმებისათვის. საყურადღებოა, რომ სსსკ-ის მე-2 წიგნის მე-4 კარის ზოგიერთი დებულება შესაძლოა გამოყენებული იქნეს სააპელაციო წარმოებაშიც (იხ. სსსკ-ის 372-ე მუხლი). ჩვენი აზრით, სსსკ-ის 372-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა პირველი ინსტანციის წესების აპელაციაში შეზღუდულად გამოყენების თაობაზე, სწორედ სსსკ-ის მე-2 წიგნის მე-4 კარის წესებს შეეხება, რამეთუ 1-ლი წიგნის წესები მთლიანად გამოიყენება აპელაციაში. ნორმათა კლასიფიკაცია ზოგად და სპეციალურ ნორმებად მათი მოქმედების სფეროს მიხედვით, უშუალოდ როდია დაკავშირებული სამოქალაქო საქმეთა საპროცესო თავისებურებების კვლევასთან.

ამასთან, ნორმათა დაყოფა ზოგად და სპეციალურ ნორმებად არ ამოწურავს ამგვარ ნორმათა თანაფარდობის პრობლემას. უამრავი საპროცესო ნორმა ასახულია მატერიალური სამართლის როგორც კოდიფიცირებულ, ისე არაკოდიფიცირებულ აქტებში (შრომის, სამოქალაქო კოდექსში, მეწარმეთა კანონში და სხვ.). ისინი წარმოადგენენ სპეციალურ საპროცესო ნორმებს. ყველა სახის სამართალწარმოების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები თავმოყრილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ხოლო სპეციალური ნორმები, რომლებიც ეხება ცალკეული კატეგორიის საქმის განხილვას, ასახულია მატერიალური სამართლის კოდექსებსა და სხვა კანონებში, კერძოდ, სამოქალაქო, შრომის და სხვა კოდექსებში.

მატერიალურ სამართლებრივ აქტებში ასახული საპროცესო ნორმები წარმოადგენენ სპეციალურ ნორმებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმათა მიმართ, რომლებიც თავმოყრილია საპროცესო კოდექსის 1-ლ-363-ე მუხლებში. სწორედ ეს ნორმები და არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განთავსებული ყველა ნორმა წარმოადგენენ საერთო ნორმებს მატერიალური სამართლის კოდექსებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში ასახული ნორმების მიმართ.

საინტერესოა, რატომ წარმოადგენენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განთავსებული ნორმები ზოგად ნორმებს, ხოლო სამოქალაქო კოდექსში, შრომის კოდექსსა და სხვა მატერიალურ-სამართლებრივ აქტში განთავსებული ნორმები-სპეციალურ საპროცესო ნორმებს?

ამ კითხვას შემდეგნაირად უნდა ვუპასუხოთ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები მოქმედებენ ყველა სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს. მატერიალური სამართლის ნორმატიულ აქტებში განთავსებული საპროცესო ნორმების მოქმედების და გამოყენების სფერო კი, შეზღუდულია ამა თუ იმ კატეგორიის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფარგლებით. სპეციალური საპროცესო ნორმებით მოწესრიგებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაცილებით ვიწრო წრე ზოგად საპროცესო ნორმებთან შედარებით. თუმცა, ამ საპროცესო ნორმათა სპეციალიზაცია კონკრეტული კატეგორიის საქმის მიხედვით, კანონმდებელს საშუალებას აძლევს სრულიად გამოიყენოს

სამართლებრივი რეგულირების შესაძლებლობა და ამ ნორმათა მეშვეობით, ამა თუ იმ კატეგორიის საქმის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით (მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით), დეტალურად მოაწესრიგოს საპროცესო ურთიერთობები.

მატერიალურ-სამართლებრივ და სხვა არასაპროცესო აქტში ასახული სპეციალური ნორმები, შესაძლოა იყოს საგამონაკლისო, დამაზუსტებელი ანუ დამაკონკრეტებელი ხასიათის (ამა თუ იმ ურთიერთობას დეტალურად აწესრიგებდეს), წარმოადგენდეს შემავსებელ ნორმას, ზოგადი წესის დამატებას. ე.ი. ადგენდეს გამონაკლისს ან დამატებით წესს განსაზღვრული კატეგორიის საქმის წარმოების წესის მიმართ. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ნორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებს, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების ბუნებას. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ნორმათა მნიშვნელობა საქმეთა სწორად განხილვისათვის. მარტოოდენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განთავსებული ზოგადი ნორმების ცოდნა, ყოველთვის როდი უზრუნველყოფს საპროცესო საკითხების სწორად გადაწყვეტას. მატერიალური სამართლის ნორმატიულ აქტში ასახული სპეციალური საპროცესო ნორმა, შესაძლოა სრულიად სხვაგვარად აწესრიგებდეს ამა თუ იმ საპროცესო ურთიერთობას.

მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლში მოცემულია ზოგადი წესი, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები უწყებრივად ექვემდებარება სასამართლოს. მაგრამ შემდეგ უწყებრივი ქვემდებარეობის ეს ზოგადი წესი დაკონკრეტებულია ზოგიერთი საოჯახო-სამართლებრივი საქმის უწყებრივი ქვემდებარეობის სპეციალური წესის დადგენის გზით. უწყებრივი ქვემდებარეობის ასეთ სპეციალურ წესს განამტკიცებს მაგალითად სამოქალაქო აქტების შესახებ კანონი, რომელიც უშვებს განქორწინებას სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

მატერიალურ-სამართლებრივ აქტებში განთავსებული სპეციალური საპროცესო ნორმა შეიძლება არა მხოლოდ გამორიცხავდეს ზოგადი ნორმის მოქმედებას, არამედ აკონკრეტებდეს კიდეც მას. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმის განხილვას შეუდგება (ე.ი. საქმე აღიძვრება სასამართლოში) იმ პირის განცხადებით, ვინც მიმართავს მას თავისი უფლების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები ითვალისწინებს ასევე ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სამოქალაქო საქმე შეიძლება აღიძრას იმ პირის განცხადებით, რომელიც გამოდის თავისი სახელით სხვა პირთა უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად (მაგალითად ეს ხდება კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში და სხვა).

ზემოაღნიშნული ნორმები ზოგადი საპროცესო ნორმებია, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლოში სამოქალაქო საქმის აღძვრის უფლების მქონე პირებს.

სამოქალაქო კოდექსის 1267-ე და 1268-ე მუხლში ნათქვამია, რომ მშობელს, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს შვილად აყვანის გაუქმება სასამართლო წესით, თუ ამას არასრულწლოვანი ნაშვილების ინტერესი მოითხოვს. ამ ორგანოებს საერთოდ, კანონით ეკისრებათ არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ბავშვების უფლებათა დაცვის ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსში ასახული სპეციალური საპროცესო სამართლებრივი ნორმა აკონკრეტებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულ წესს სასამართლოს მიერ შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საქმის განხილვის დროს. იმდენად, რამდენადაც არსებობს სპეციალური სამართლებრივი ნორმა, რომელიც ადგენს იმ პირთა წრეს, რომელთა განცხადებითაც (სარჩელით) სასამართლომ უნდა განიხილოს ამ კატეგორიის

საქმეები, გამოყენებული უნდა იქნეს ზემოთ მითითებული ნორმა და არა ზოგადი ნორმა.

მატერიალურ-სამართლებრივ აქტებში ასახული სპეციალური საპროცესო ნორმები შეიძლება ადგენდნენ არა მხოლოდ სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის განსაკუთრებულ წესებს და განსაზღვრავდნენ სუბიექტებს, ანუ იმ პირთა წრეს, ვინც უფლებამოსილია აღძრას გარკვეული კატეგორიის საქმე, არამედ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა მტკიცების განსაკუთრებულ წესებსაც. კერძოდ, ცნობილია, რომ მტკიცების ზოგადი წესი ფორმულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში. ამ ნორმის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოება, რომელზეც ის ამყარებს თავის მოთხოვნას ან შესაგებელს. მაგრამ ეს ნორმა თავისი შინაარსით იმას გულისხმობს, რომ მხარეები მოექცევიან ამ ნორმით დადგენილი მტკიცების ვალდებულების განაწილების ზოგად წესში, თუ სხვა კანონებით მტკიცების სხვა წესი (102-ე მუხლისგან განსხვავებული წესი) არ არის გათვალისწინებული.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1012 მუხლი პირდაპირ შეიცავს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს: წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მას სწორედ წუნდებული პროდუქტით მიადგა. დელიქტის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების დროს კი (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი) მოქმედებს შემდეგი სპეციალური საპროცესო წესი: ზიანის მიმყენებელს ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ზიანი თავისი ბრალით არ არის მიყენებული.

სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლში მითითებულია, რომ მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისთვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისათვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.

მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის ნორმატიულ აქტებში განმტკიცებული სპეციალური საპროცესო ნორმები, შეიძლება ადგენდნენ მტკიცებულებათა დასაშვებობის და მტკიცებულებათა საკმარისობის განსაკუთრებულ წესებსაც (იხ. სამოქალაქო მუხლის კოდექსის 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 624-ე მუხლი და სხვა).

სპეციალური საპროცესო ნორმები შეიძლება აწესრიგებდნენ სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესსაც კი.

მაგალითად, შრომის კოდექსის 47-ე მუხლში ნათქვამია, რომ ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემათანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალურ მოლაპარაკებათა გზით ან სასამართლოს საშუალებით. ცხადია, შრომითი დავის (საქმის) სასამართლოში განხილვის წესი, შრომის კოდექსის გარდა, განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. ინდივიდუალური შრომითი დავის განხილვის თავისებურებანი დადგენილია ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მე-6 ნაწილით.

ამრიგად, კანონმდებელს შემოღებული აქვს სპეციალური სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ადგენს სასამართლოში შრომითი საქმეების განხილვის წესს. ამ სამართლებრივ ნორმებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ მოცემული კატეგორიის საქმეთა სწორად და სწრაფად განხილვისათვის. ამიტომ აუცილებელია მატერიალურ სამართლებრივ აქტებში ასახული სპეციალური საპროცესო ნორმების სწორად გამოყენება-შეფარდება.

ცალკეულ შემთხვევაში სპეციალური საპროცესო ნორმა, რომელიც ადგენს ამა თუ იმ კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის განსაკუთრებულ წესს, განმტკიცებულია უშუალოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლში, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულებას ეხება, განმტკიცებულია სპეციალური საპროცესო წესი, რომელიც მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის

დავის და საქმის განხილვის დროს მოქმედებს.

სპეციალური საპროცესო ნორმა შეიძლება განმტკიცებული იყოს არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, არამედ არბიტრაჟის კანონსა და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონში.

ამრიგად, მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ზოგადი საპროცესო ნორმა როდი აწესრიგებს იმ საპროცესო ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლოთა მიერ სასარჩელო წარმოების წესით სამოქალაქო საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტასთან. მატერიალურ სამართლებრივ ნორმატიულ აქტებშიც საკმაოდ დიდი დოზით არის ასახული სპეციალური საპროცესო ნორმები, რომლებიც აწესებენ (უშვებენ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განმტკიცებული საერთო ნორმებიდან გამონაკლისს და დამატებით წესს, განსაზღვრული კატეგორიის საქმეზე სამართალწარმოების წესის მიმართ. ერთობლიობაში (სისტემაში) ეს ნორმები ამა თუ იმ კონკრეტული კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებებს განაპირობებენ.

სასარჩელო წარმოების წესით განსახილველი გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს ასეთი ნორმები შეიძლება მეტ-ნაკლებად შეგვხვდეს, მაგრამ ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე მათი გამოყენება შეიძლება საერთოდ არ იყოს გათვალისწინებული კანონმდებლობით. მაგალითად, თუ განქორწინების და მშობლის უფლების ჩამორთმევის საქმეზე სპეციალური საპროცესო ნორმები საკმაოდ მრავლად გვხვდება, ვალის გადახდევინების შესახებ საქმეებზე ისინი მნიშვნელოვნად ნაკლებია, ხოლო სასარჩელო წესით განსახილველ ზოგიერთ საქმეზე ამგვარი ნორმა შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როდესაც მოსამართლე შეუდგება კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვას და შემდეგ სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღებისას მარტო დარჩება საკუთარ თავთან, მან უნდა დასვას კითხვა, არსებობს თუ არა ასეთი სპეციალური ნორმა და თუ არსებობს, მაშინ მოსამართლემ ამომწურავად უნდა განსაზღვროს ამგვარი ნორმის მოქმედების არე.

საინტერესოა, საკანონმდებლო თვალსაზრისით, რა შემთხვევაში არის დასაშვები საპროცესო ნორმების ფიქსირება არასაპროცესო ნორმატიულ აქტში?

ეს ხდება სამ შემთხვევაში, კერძოდ: 1) როდესაც ამგვარი ნორმა უკვე დაფიქსირდა საპროცესო ხასიათის ნორმატიულ აქტში; 2) როდესაც საპროცესო წესის შინაარსის გაგება შეუძლებელია შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი წესის გარეშე; 3) როდესაც ამ წესებს (ორს ან რამოდენიმეს) აქვს ერთი საფუძველი. ეს წესები გამოიყენება ერთად, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

არასაპროცესო ნორმატიულ აქტებში საპროცესო ნორმების განმტკიცება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც მათი შინაარსი შეიძლება უკეთ იქნეს გაგებული, ვიდრე ეს ფორმულირებულია საპროცესო კანონში. მაგალითად, ასეთია ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმის საპროცესო თავისებურების განმსაზღვრელი წესები. ეს ნორმები სპეციალური ნორმებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ნორმების მიმართ. ისინი განსაზღვრავენ გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებას. მოცემული სახის საპროცესო ნორმები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ამიტომ მათი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განთავსება შეუძლებელია ისე, რომ არ დაირღვეს მისი სისტემა და კომპაქტურობა. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა სახის სამართალწარმოების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები თავმოყრილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ხოლო სპეციალური ნორმები, რომლებიც ეხება ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვას, ასახულია მატერიალური სამართლის კოდექსებსა და სხვა კანონებში.

სპეციალური საპროცესო ნორმების შეტანა, ჩართვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში,

გარკვეული დოზით უარყოფით გავლენას მოახდენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა სტაბილურობაზე. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ რომ სსსკ-ის ნორმები ემსახურებიან მატერიალური სამართლის დარგებს. მატერიალური სამართალი მუდმივად განიცდის ცვლილებას. ამა თუ იმ კერძო უფლებისა და კანონით დაცული ინტერესის სასამართლო წესით დაცვის სპეციფიკის დამდგენი სპეციალური საპროცესო ნორმებიც მუდმივად იცვლებიან. ყოველივე ეს არ შეიძლება უარყოფით გავლენას არ ახდენდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა სტაბილურობაზე.

სპეციალური საპროცესო ნორმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განთავსება მიზანშეუწონელია კიდევ იმიტომაც,რომ მრავალი მათგანი განუყოფლად არის დაკავშირებული მატერიალური სამართლის ნორმებთან თავისი შინაარსით. ამ წესების შინაარსის გაგება შეიძლება სისტემაში, ერთობლიობაში, ამიტომაც ისინი მხოლოდ ერთად შეიძლება არსებობდნენ, რადგან ეს წესები გამოიყენება ერთად, ან როგორც ერთიანი წესი როგორც მატერიალური, ისე საპროცესო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

საპროცესო თავისებურების განსაზღვრა არ შემოიფარგლება მატერიალურ-სამართლებრივ და არასაპროცესო აქტებში განმტკიცებული საპროცესო ნორმების ზუსტი შინაარსისა და სხვა აზრის გარკვევა-დადგენით. არანაკლებ მნიშვნელოვანია მუშაობა სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებების განსაზღვრაზე სხვა მიმართულებითაც, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ საპროცესო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაცია „მიღებული," „მოპოვებული" იქნეს სასამართლოს მიერ განსახილველ ყოველ კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის ნორმიდან (ნორმებიდან).

§3. მატერიალური ნორმის გავლენა სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის თავისებურებაზე

საქმის განხილვის საპროცესო თავისებურებებზე გავლენას მარტოოდენ მატერიალურ სამართლებრივ აქტებში ასახული საპროცესო ნორმები როდი ახდენენ. სასამართლო მარტოოდენ ამგვარ საპროცესო ნორმათა მოძიებითა და მათი შინაარსის გარკვევით როდი უნდა დაკმაყოფილდეს. საპროცესო ხასიათის,პროცესისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიძლება იძლეოდეს სადავო საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმაც.

საპროცესო-სამართლებრივი ხასიათის საკითხის თუ პრობლემის გადაწყვეტაზე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გავლენის იგნორირება (მაგალითად საქმის მონაწილე პირთა წრის, მტკიცების საგნის, მტკიცებულებათა შესახებობისა და დასაშვებობის, მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დისპოზიციურობის თანაფარდობის განსაზღვრისას) გამოიწვევს არასწორი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, შელახავს უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს. იმის ცოდნა და გათვალისწინება, რომ მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი ნორმები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას,ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და ერთმანეთს განაპირობებენ არის სასამართლო წესით უფლების სწორად განხორციელების საწინდარი.

საპროცესო სამართლის პრინციპებისა და ინსტიტუტების შინაარსისა და მატერიალური სამართლის ნორმების ურთიერთკავშირის შესწავლა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საპროცესო ნორმების თავისებურებები.

მატერიალური სამართლის ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის ხასიათი დიდწილად განსაზღვრავს სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო

თავისებურებას.

პროცესისათვის მატერიალური სამართლის მნიშვნელობას ხაზი ესმება პრაქტიკაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებაში სსსკ-ის 92-ე მუხლის ანალიზისას საქმეზე № ას-747-700-2010 აღნიშნულია: ,,აღნიშნული ნორმის ანალიზით, საპროცესო უფლებამონაცვლეობისას მხარე ამა თუ იმ საფუძვლით გადის სადავო ურთიერთობიდან და მისი უფლებები და მოვალეობები გადადის უფლებამონაცვლეზე. ამდენად, ამ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა შეცვლა ხდება როგორც პროცესუალური ასევე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავდროულად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა უალტერნატივოდ ეფუძნება სასამართლო წესით სადავო უფლებაზე პრეტენდენტის უფლებამოსილებას, ხოლო მოვალე პირის უფლებმონაცვლის დადგენისას- ამ პირის მიერ ვალდებულების უტყუარად შეძენის ფაქტს.ამდენად,საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება მატერიალურ სამართალს,ანუ საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაიშვება იმ შემთხვევაში,თუკი მატერიალური სამართალი უშვებს უფლებამონაცვლეობას. საპროცესო უფლებამონაცვლეობა გარკვეულწილად დაკავშირებულია და ემსგავსება სათანადო მხარის ინსტიტუტს, რაც მოწესრიგებულია სსსკ-ის 84-ე და 85-ე მუხლებით. ამ საკითხთან დაკავშირებით საპროცესო კოდექსს საფუძვლად უდევს პრონციპი, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით სწორი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც დავა გადაწყდება ,,სწორად'' ჩართულ მხარეებს შორის, თუმცა ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა: საპროცესო უფლებამონაცვლეობისას მხარე ამა თუ იმ საფუძვლით გადის სადავო ურთიერთობიდან და მისი უფლებები და მოვალეობები გადადის უფლებამონაცვლეზე, ხოლო მხარის არასათანადოობა მაშინ დგინდება, როდესაც მხარეს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა უშუალოდ არ ეხება და მას ეს უფლებები არც გააჩნია. ამასთან,უდავოა,რომ სასამართლომ პირის უფლებამონაცვლედ ჩართვისას მისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებების შეძენის კანონიერებაც უნდა შეამოწმოს, რომ პროცესი მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით ,,სწორად'' განსაზღვრულმა მხარეებმა მართონ''.

მატერიალური სამართლის ნორმა მოთხოვნის საფუძველია. ,,მოთხოვნის საფუძველი წარმოადგენს კანონის დანაწესს ,,რომლის საფუძველზეც კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს მოქმედების შესრულება.[1] სხვა სიტყვებით რომ ითქვას,,,მოთხოვნის საფუძველში იგულისხმება კანონის ნორმა, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას ერთ მხარეს ანიჭებს უფლებას მეორე მხარისაგან მოითხოვოს შესრულება, მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.[2]შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრონციპებიდან გამომდინარე,მხარეები თავად განსაზღვრავენ,აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. ისინი ასევე თვითონ წყვეტენ, საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს.მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. სსსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ მოთხოვნის შინაარსი და საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ოქტომბერის გადაწყვეტილებაში

[1] იხ. მზია თოდუა, შალვა ქურდაძე, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბ.2005, 166.

[2] იხ. ჰაინ ბოელინგი,ლადო ჭანტურია,სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა. თბ. 2004, 38.

საქმე №ას-833-885-2011 აღნიშნულია: „მიზანშეწონილია, მაგრამ არაა აუცილებელი, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც– ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან შესაგებელი ემყარება, თუმცა ეს არც აუცილებელია და არც შემზღუდავი სასამართლოსათვის. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყობს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებსა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას".

ამასთან, მატერიალური ნორმა ყოველთვის როდი ახდენს გავლენას საპროცესო საკითხის გადაწყვეტაზე. საპროცესო სამართალს, საპროცესო ნორმების გამოყენებას ზოგჯერ დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და შესაბამისად, მათი გამოყენებისას მატერიალური სამართლის გათვალისწინება აღარ ხდება. საპროცესო სამართლის თავისთავადობას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ სამოქალაქო სამართალი კერძო სამართალია, ხოლო სამოქალაქო საპროცესო სამართალი – საჯარო. მაგალითად სარჩელის აღსაძვრელად სულაც არ არის საჭირო მოსარჩელეს გააჩნდეს სამოქალაქო (კერძო) უფლება, არამედ მხოლოდ საკმარისია მას გააჩნდეს საპროცესო უფლებაუნარიანობა. სასამართლო ვალდებულია განიხილოს უფლებაუნარიანი პირის მიერ შეტანილი ნებისმიერი სასარჩელო მოთხოვნა. დამოუკიდებელი საპროცესო მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. სსსკ-ის 394-ე მუხლით და 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისათვის დადგენილია საპროცესო ხასიათის მქონე საფუძვლები. დასახელებული ნორმების შემოღებით კანონმდებელმა პრიორიტეტი საპროცესო ნორმებს მიანიჭა. სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის განმაპირობებელ საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევას უნდა ჰქონდეს ადგილი გადაწყვეტილება რომ გაუქმდეს. სსსკ-ის 394-ე მუხლის არსიდან გამომდინარე კი საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა ან არასწორი გამოყენება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მან გამოიწვია საქმის არასწორად გადაწყვეტა, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუკი მას შეეძლო გამოეწვია საქმის არასწორად გადაწყვეტა. სხვა სიტყვით რომ ითქვას, 394-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევების არსებობისას ნებისმიერ შემთხვევაში საქმე არასწორად გადაწყვეტილად ითვლება. 394-ე მუხლში დასახელებულია საპროცესო დარღვევები, რომლებიც უპირობოდ, მატერიალურ-სამართლებრივი შედეგების მიუხედავად და ამ შედეგებისაგან დამოუკიდებლად იწვევენ სასამართლო აქტების გაუქმებას.

საპროცესო სამართლის ნორმათა სწორად გამოყენება მატერიალური სამართლის ნორმათა სწორად განხორციელების გარანტიაა.

დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს საპროცესო ვადების ინსტიტუტსაც.

მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი სხვადასხვა იურიდიული ფაქტის გარდა (ხელშეკრულება, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.) არის ასევე სასამართლო გადაწყვეტილება (იხ. სკ-ის 317-ე მუხლი, სსსკ-ის მე-10 მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილება საპროცესო აქტია. გადაწყვეტილების მიღება იურიდიული ფაქტია, რომელიც გავლენას ახდენს უფლება-მოვალეობის წარმოშობასა, შეცვლასა და შეწყვეტაზე. ამგვარი საპროცესო აქტის

მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებზე ,,უკუგავლენის'' ანალიზიც ადასტურებს საპროცესო სამართლის დამოუკიდებლობასა და მნიშვნელობას. დამოუკიდებელი საპროცესო მნიშვნელობა აქვთ გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლებს საქმის განახლების ინსტიტუტში. ბათილობის საფუძვლების არსებობისას სასამართლო საქმის განახლების საკითხის წყვეტს ისე, რომ არ განიხილავს საქმის მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს. ასეთ დროს სასამართლოსთვის სულერთია არსებითად სწორად არის თუ არა საქმე. დადგინდება თუ არა გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი, საქმე განახლდება.

არსებობს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის სხვადასხვა საპროცესო წესი იმისდა მიხედვით, თუ რომელი უფლების დაცვას ისახავს მიზნად სარჩელი, რომელი კანონი იცავს ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობას.

ამრიგად, ვიდრე სასამართლო სამოქალაქო საქმის განხილვას შეუდგება, აუცილებლად უნდა განსაზღვროს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა.

ამისათვის კი მნიშვნელოვანია დადგინდეს (გაირკვეს), წამოყენებული აქვს თუ არა მოსარჩელეს სამართლებრივი ხასიათის მქონე მოთხოვნა. თუ აქვს, მაშინ თავისი იურიდიული ბუნებით რომელი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს იგი (სამოქალაქო, შრომის თუ სხვა.). ამის შემდეგ, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმა. მოცემული სამართლებრივი ნორმა არის სწორედ სამართლებრივი ურთიერთობის ის მოდელი, რომლიდანაც (სამართლებრივი ურთიერთობიდან) წარმოიშვა დავა. ამ ნორმის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საქმის განხილვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი საპროცესო საკითხი.

პირველ ყოვლისა მატერიალური სამართლის კანონი უნდა გაანალიზდეს კონკრეტული საქმის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით. სასამართლოსადმი საქმის უწყებრივი ქვემდებარეობა ყოველთვის როდი დგინდება მატერიალურ-სამართლებრივ აქტებში განმტკიცებული სპეციალური ნორმებით. ბევრად უფრო ხშირად ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს უწევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11-12 მუხლებში განმტკიცებული ზოგადი ნორმების საფუძველზე.

ამ ნორმათა თანახმად, სასამართლოები ამ მუხლში ჩამოთვლილ საქმეებს განიხილავენ, თუ მათი განხილვა კანონის თანახმად, სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის. ამასთან, ქონებრივი დავა, მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად არბიტაჟს დაექვემდებაროს.

სსსკ-ის მე-12 მუხლის დანაწესი სასამართლოს ავალდებულებს პირველ ყოვლისა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა მოცემული საქმის უწყებრივი ქვემდებარეობის მომწესრიგებელი სპეციალური საპროცესო ნორმა.

მას შემდეგ, რაც მოსამართლე დარწმუნდება, რომ არ არსებობს ასეთი ნორმა, მან საქმის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში ტექსტში სსსკ) მე-11 და მე-12 მუხლებში განმტკიცებული ზოგადი დანაწესის საფუძველზე. ამ დანაწესით როდესაც ხელმძღვანელობს, სასამართლომ აუცილებლად უნდა გააანალიზოს იმ მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის მოდელი, რომლიდანაც გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნა და განსაზღვროს (დაადგინოს) მისი ხასიათი და ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების წრე. სასამართლოს დავა უწყებრივად ექვემდებარება, თუ ის სამართალურთიერთობა, რომლიდანაც გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნა, სამოქალაქო, შრომითი, ან სხვა სახის კერძო სამართალურთიერთობაა. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება უფლების შესახებ დავის სუბიექტთა შორის

არსებული ისეთი ურთიერთობა,რომელიც ეფუძნება პირთა თანასწორობას და არის კერძო ხასიათის ქონებრივი, არაქონებრივი ან პირადი ურთიერთობა.

მატერიალური სამართალურთიერთობის არჩეული მოდელის საფუძველზე უნდა განისაზღვროს პროცესის მონაწილე სუბიექტთა წრეც. მატერიალური სამართლის ნორმებზეა დამოკიდებული სათანადო მხარეების საკითხის გადაწყვეტის სპეციფიკა,ასევე საპროცესო სტატუსის საკითხის გადაწყვეტის სპეციფიკა, რომელიც პროცესში უნდა იქონიოს პირადად დაინტერესებულმა ამა თუ იმ პირმა.

მაგალითად,სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ მხარის ლეგიტიმაცია საქმეში. ეს ნიშნავს,რომ სათანადო მოსარჩელედ მიიჩნევა მოთხოვნის უფლების სავარაუდო სუბიექტი, ხოლო სათანადო მოპასუხედ—პასუხისმგებლობის სავარაუდო სუბიექტი.

იგივე დებულება ეხება საპროცესო თანამონაწილეობას. თანამონაწილეობას სამოქალაქო პროცესში განაპირობებს პირველყოვლისა სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის თავისებურება. კერძოდ, ამგვარი ურთიერთიერთობისათვის დამახასიათებელია სუბიექტთა სიმრავლე.

მაგალითად,სკ-ის 998-ე მუხლის საფუძველზე თანამონაწილეობას მოპასუხის მხარეზე განაპირობებს მატერიალური სამართლის ნორმით დადგენილი პასუხისმგებლობის ხასიათი.

სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის და მასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების მოდელის მიხედვით განისაზღვრება მესამე პირებიც პროცესში.

ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მატერიალური სამართალურთიერთობის მოდელის საფუძველზე განისაზღვრება პროცესის არა ყველა მონაწილე, არამედ მხოლოდ მხარეები, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები, თანამონაწილეები. სამოქალაქო პროცესის სხვა სუბიექტების სტატუსი მატერიალური სამართალურთიერთობების მიხედვით არ განისაზღვრება.

სადავო სამართალურთიერთობების მოდელი წარმოადგენს ბაზას სამოქალაქო საქმეზე **მტკიცების საგნის** საკითხის გადაწყვეტის დროსაც. როდესაც ხდება განსაზღვრა,თუ რომელი გარემოებები უნდა დამტკიცდეს კონკრეტულ საქმეზე,სასამართლოსათვის ამოსავალი უნდა იყოს საქმეზე გამოსაყენებელი (შესაფარდებელი) მატერიალური სამართლის ნორმა.

მტკიცების საგნის განსაზღვრის დროს განსაკუთრებული თვალთახედვით ხორციელდება მატერიალურ-სამრთლებრივი ნორმების ანალიზი. მოცემულ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ იურიდიული ფაქტების დადგენას,რომელთა არსებობის დროსაც დგება გამოსაყენებელი (შესაფარდებელი) მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული შედეგები.

მტკიცების საგანში შედის მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, ე.ი. ფაქტები,რომელთა დადგენის გარეშე საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტა შეუძლებელია და არც შეიძლება.

გამოსაყენებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე განისაზღვრება არა მხოლოდ მტკიცების საგანი, არამედ **მტკიცებულებათა დასაშვებობაც, შესახებობაც.** მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების გულდასმით ანალიზი, რომლებთანაც სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმა აკავშირებს სამართლებრივ შედეგებს, საშუალებას გვაძლევს სწორად შეფასდეს მტკიცებულებები საქმესთან მათი შესახებობის თვალსაზრისით.

სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის მოდელი საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ სარჩელის საგნისა და საფუძვლის სპეციფიკა. მატერიალური სამართალურთიერთობები გავლენას ახდენენ არა მხოლოდ სარჩელის საგნისა და საფუძვლის

განსაზღვრაზე, არამედ საერთოდ სარჩელის საგნისა და საფუძვლის ჩამოყალიბება სწორედ მატერიალური სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ხდება.

მატერიალურ სამართლებრივი ნორმები გავლენას ახდენენ მოთხოვნის იურიდიული გამართლების განსაზღვრაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმე №ას-307-292-2013 აღნიშნულია: „მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა... მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმას და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე".

დაბოლოს, მატერიალური სამართალურთიერთობა არსებით გავლენას ახდენს სასამართლოში პროცესის სხვადასხვა სტადიაზე მრავალი სხვა საკითხის გადაწყვეტაზე, მაგალითად, სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიაზე. კერძოდ, სსსკ-ის 186-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ უკვე არსებობს იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტი (გადაწყვეტილება) ან მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან მხარეთა მორიგების გამო გამოტანილი საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება.

კანონის ზემოთ აღნიშნული დებულებების გამოყენებას თავისი სპეციფიკა გააჩნია ისეთ საქმეთა აღძვრის დროს, რომლებიც განგრძობადი ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ. მაგალითად, შესაძლოა ალიმენტის საკითხი გადაწყვეტილი იყოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტით, მაგრამ თუ შეიცვლება ალიმენტის გადამხდელის ქონებრივი მდგომარეობა, შეიძლება დაისვას ერთხელ უკვე დადგენილი ალიმენტის შემცირების საკითხი და აქ უკვე სახეზე არ იქნება სარჩელის იგივეობა, რადგან შეცვლილია სარჩელის მიღების დამაბრკოლებელი ერთ-ერთი ელემენტი-სარჩელის საფუძველი.

სასარჩელო განცხადების შინაარსის თავისებურებასაც განაპირობებს აგრეთვე კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის ნორმა (ნორმები).

ამრიგად, მატერიალური სამართლის ნორმებში „დაპროგრამებული" მატერიალური სამართალურთიერთობის მოდელის სიღრმისეული ანალიზი საშუალებას იძლევა სწორად გადავწყვიტოთ სამოქალაქო საქმის აღძვრის საკითხი.

მატერიალური სამართალურთიერთობა, რომლის არსებობის ან არარსებობის დადგენაც აუცილებელია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს, არსებით გავლენას ახდენს სასამართლო განხილვისათვის სამოქალაქო საქმეთა მომზადების შინაარსზეც და ზოგჯერ საქმის მომზადების სტადიის მიზანზეც.

როგორც სსსკ-ის მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილიდან იკვეთება, მთავარ სხდომაზე განხილვისათვის სამოქალაქო საქმის მომზადების მიზანია საქმის დროულად, ე.ი. სწრაფად და სწორად განხილვისა და გადაწყვეტის უზრუნველყოფა.

სასამართლო სხდომაზე განსახილველად განქორწინების საქმეთა მომზადება სავალდებულოა. მატერიალური სამართლის ნორმის (სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლი) შესაბამისად, სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად. მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შესარიგებლად.

აქედან გამომდინარე, პროცესის ამ სტადიაზე მოსამართლის მიერ შესრულებული მოსამზადებელი ყველა მოქმედების მიზანია, როგორც წესი, ოჯახის შესანარჩუნებლად შესაბამისი პირობების შექმნა, მოდავე მხარეთა შერიგება და არა საქმის სწრაფად განხილვა და გადაწყვეტა. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება მთავარი სხდომის სტადიაზეც,

რომლის მომწესრიგებელ ნორმებშიც აგრეთვე არის ჩადებული საქმის დაჩქარების მიზანი (იხ. სსსკ-ის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსის საპროცესო თავისებურებები აგრეთვე განისაზღვრება გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის ნორმით. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი მოწესრიგებულია სსსკ-ის 249-ე მუხლით. ამასთან ერთად, სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი თითოეულ სამოქალაქო საქმეზე კონკრეტულია. გადაწყვეტილება მიიღება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი მატერიალური სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან გამომდინარე დავაზე, უფლებებსა და მოვალეობების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მატერიალური სამართლის ნორმით (ნორმებით) განმსჭვალულია მთლიანად გადაწყვეტილების შინაარსი. მატერიალური სამართლის ნორმა განსაზღვრავს გადაწყვეტილების სპეციფიკას. მატერიალური სამართლის ნორმის გათვალისწინებით ხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის ჩამოყალიბება – კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის, მოპასუხის შესაგებლის, საქმეში მონაწილე სხვა პირების ახსნა-განმარტებების გადმოცემა (ჩამოყალიბება).

მატერიალური სამართლის ნორმის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აისახება სასამართლოს მოსაზრებები მხოლოდ იმ ფაქტების შესახებ, რომელთაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს მოცემულ საქმეზე, ე.ი. რომლებიც მატერიალური სამართლის ნორმით არის გათვალისწინებული. თუ მაგალითად, განიხილება მოპასუხისთვის ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ საქმე, რომელიც მან სესხის ხელშეკრულებით მიიღო, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასეთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლომ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი დასკვნები იმის შესახებ, დადებული იყო თუ არა მხარეთა შორის ფულად თანხაზე სესხის ხელშეკრულება, რას შეადგენს ვალად აღებული ფულადი თანხის მოცულობა, დადგა თუ არა ვალდებულების შესრულების (თანხის დაბრუნების) ვადა და შესაბამისად, ასეთ დავაზე სასამართლომ არ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი დასკვნები ფაქტების შესახებ, რომლებიც ადასტურებს ვთქვათ ჩუქების ხელშეკრულების არსებობას ან სხვა რაიმე ისეთი ფაქტის შესახებ, რომლებიც არ ეხება მოცემულ საქმეს (რომლებსაც არა აქვთ სამართლებრივი მნიშვნელობა მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის).

იგივეს თქმა შეიძლება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზეც. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიუთითოს არა მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, არამედ სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური ნორმით გათვალისწინებული შედეგების მოპასუხის მიმართ გამოყენებაზეც.

როდესაც წყდება დავა ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ გაქირავებული ნივთის დაუბრუნებლობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შესახებ, გადაწყვეტილების სარეზულუციო ნაწილის შინაარსი უნდა განისაზღვროს სამოქალაქო კოდექსის 567-ე მუხლით დადგენილი ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგებით და არა მატერიალური სამართლის რომელიმე სხვა ნორმით გათვალისწინებული შედეგებით.

აქედან გამომდინარე, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებას შეუდგება, მოსამართლემ ყოველთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს მატერიალური სამართლის ნორმით გათვალისწინებული შედეგები.

გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ გამოყენებული მატერიალური სამართლის ნორმა, ამ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები და ამავე სამართლებრივი ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის ხასიათი, გავლენას ახდენს გადაწყვეტილების აღსრულების ვადასა და წესზე.

კერძოდ, ასეთი თავისებურება გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას

ალიმენტის გადახდევინების საქმეზე. აღსრულების თავისებურებასგანაპირობებს სასამართლოს მიერ განსახილველი საალიმენტო ურთიერთობის ხასიათი და ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლო განხილვის თავისებურება. ამ საქმეებზე, როგორც წესი, ალიმენტის გადახდევინება ხდება არა გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, არამედ სარჩელის აღძვრის მომენტიდან. ალიმენტის გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილება ხდება პირველ რიგში. ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები აღსრულდება დაუყოვნებლივ. დაუშვებელია გადაწყვეტილებათა აღსრულების შებრუნება, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობები განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების თავისებურებებს შრომის და სხვა დავებზეც (საქმეებზე).

აღმასრულებლის საქმიანობა გამოსახლების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისას,მოწესრიგებულია სააღსრულებო წარმოებათა კანონით. დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეთიკას. გამოსახლება, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს გამოსახლებული პირის თანდასწრებით. იძულებითი გამოსახლების შესახებ აღმასრულებელმა უნდა შეადგინოს აქტი (ოქმი),რომელსაც ხელს აწერს თვითონ, დამსწრე პირები და გამოსახლებული პირი, თუ იგი ესწრება აღსრულებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსისა (კერძო სამართლის კანონის) და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (აგრეთვე სააღსრულებო წარმოებათა კანონის)) ნორმები. მატერიალური და საპროცესო ნორმების თანაფარდობა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს. ერთი მხრივ კანონი, როგორც დროში უფრო გვიან მიღებული აქტი, შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსის ამა თუ იმ დებულების გამაუქმებლად. მაგრამ მეორე მხრივ, საპროცესო კანონი (საპროცესო სამართალი მთლიანად), არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტებს, რომლებიც განსაზღვრავს ამა თუ იმ სახელშეკრულებო და სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეთა სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებას.

ამრიგად, იმისათვის, რომ ამა თუ იმ კონკრეტული კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებები ამომწურავად გამოვავლინოთ (გამოვარკვიოთ), აუცილებელია სწორად განვსაზღვროთ სსსკ-სა და მატერიალურ-სამართლებრივ აქტებში განმტკიცებული სპეციალური საპროცესო ნორმების წრე, რომლებიც ეხება მხოლოდ მოცემული სამოქალაქო-სამართლებრივი დავის განხილვასა და გადაწყვეტას, აგრეთვე მატერიალურ სამართლებრივი აქტების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე გადავწყვიტოთ სპეციალური ნორმებით მოწესრიგებული რიგი საპროცესო ხასიათის საკითხები: საქმის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობის, მხარეების, მესამე პირების, მტკიცებულებათა შესახებობის საკითხები და მოცემული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა სხვა საკითხი.

საპროცესო თავისებურებებში არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ საპროცესო ნორმათა (სპეციალური და საგამონაკლისო, ანუ განსაკუთრებული) ერთობლიობა, სისტემა, რომლებიც დადგენილია განსაზღვრული კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტისთვის. ეს არის საპროცესო თავისებურებების ძალზედ ვიწრო გაგება.

როგორც ცნობილია, თითოეული კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტას თავისი სპეციფიკა გააჩნია. თუმცა სპეციალური და საგამონაკლისო საპროცესო ნორმები ყველა მათგანისთვის როდია დადგენილი და ყოველთვის სრულად როდი განსაზღვრავს სამართალწარმოების თავისებურებებს. მტკიცების საგნის საკითხი და სხვა საპროცესო საკითხი, რომელიც სპეციფიკურია სასარცელო წარმოების წესით განსახილველი თითოეული კატეგორიის სმოქალაქო საქმისათვის, შეიძლება სწორად გადაწყდეს მხოლოდ მატერიალური სამართლის ნორმათა სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე.

თავი V

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპის ცნება, მნიშვნელობა და სისტემა

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში იყენებენ სხვადასხვა ცნებას, განსაზღვრებას, კატეგორიას, რომლებიც შემუშავებულია ხანგრძლივი პერიოდის (დროის) განმავლობაში სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში. ასეთ სამართლებრივ კატეგორიებს მიეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები.

სიტყვა „პრინციპი" წარმოდგება ლათინურიდან და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ნიშნავს „საფუძველს", „საწყისს", ზოგად დებულებას, განყენებულ ცნებას, რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითად ამოსავალ (სახელმძღვანელო) დებულებას, სახელმძღვანელო იდეას. პრინციპების შესწავლა გვიადვილებს პროცესის შესწავლას.

ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის (პროცესის) პრინციპები წარმოადგენენ ნორმატიულად (ანუ საპროცესო სამართლებრივი ნორმების სახით) დადგენილ მის ფუნდამენტურ დებულებებს (საწყისებს), ფუძემდებლურ სამართლებრივ იდეებს, რომლებზეც აგებულია სამოქალაქო პროცესის ყველა ინსტიტუტი და რომლებიც განსაზღვრავენ პროცესის ბუნებასა და სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების მეთოდებს.

იურიდიულ ლიტერატურაში პრინციპებს ხატოვნად სამოქალაქო საპროცესო სამართლის ჩონჩხს უწოდებენ (ავდიუკოვი, გურვიჩი).

პრინციპების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უზრუნველყოფენ (გარანტირებულს ხდიან) კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოტანას და მათ აღსრულებას, კანონიერ მართლმსაჯულებას. პრინციპად შეიძლება მივიჩნიოთ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მხოლოდ ისეთი წესი, რომლის დაუცველობის, ანუ დარღვევის შემთხვევაშიც მთელი სასამართლო საქმიანობის შედეგები კონკრეტული საქმისწარმოებისას, უკანონო იქნება და გაუქმდება. პრინციპები სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა სისტემის საფუძველი, ცენტრალური ცნებები, საპროცესო კანონების მთელი სისტემის ძირითადი საწყისია.

ავდიუკოვის აზრით, სამართლებრივი პრინციპი ყოველთვის სამართლის კონკრეტულ ნორმებში უნდა იყოს განმტკიცებული ან იგი აბსტრაჰირებულ უნდა იქნეს მოქმედი სამართლის ნორმებიდან.[1] სამართლებრივი იდეა, კონცეფცია, თუ ის არ არის განმტკიცებული სამართლის ნორმაში, ანუ თუ ის არ იქცა სამართლის ნორმად, ყოველთვის იარსებებს მხოლოდ სამართლებრივი მოძღვრების, დოქტრინის სახით, ვინაიდან ის, რაც ნორმატიულად (კანონით) არ არის განმტკიცებული, არ შეიძლება ჩაითვალოს საპროცესო-სამართლებრივ პრინციპად.

სამართლის პრინციპი განსხვავდება მეცნიერული პრინციპისაგან იმით, რომ ეს ისეთი ზოგადი დებულებაა, რომელიც მოწესრიგებულია სამართლის ნორმით, ან სამართლის ნორმებით. ამასთან, სამართლის პრინციპი თვითონ სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, ნაკლებ ცვალებადია, შესაბამისად, უფრო მყარია, ვიდრე სამართლის ნორმა. სამართლის ნორმა შეიძლება შეიცვალოს მთლიანად ან ნაწილობრივ, ხოლო პრინციპი უფრო სტაბილურია.

---

[1] Советский гражданский процесс. М., 1979, გვ. 18.

პრინციპები უზრუნველყოფენ მთლიანობაში სამოქალაქო საპროცესო სამართლის სტაბილურობას, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ყოველი განახლების დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პრინციპების უკვე არსებული სისტემა და კოდექსში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ პრინციპებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო სამართალმა შესაძლოა დაკარგოს შინაგანი სტაბილურობა და სისტემურობა.

სამოქალაქო საპროცესო პრინციპი დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია და ყოველთვის განმტკიცებულია არა ერთ, არამედ რამდენიმე ნორმაში. აქედან გამომდინარე დაუშვებელია რომელიმე პრინციპის თვითნებურად შეცვლა, შემოღება ან მასზე უარის თქმა, რამეთუ ეს ყოველთვის გამოიწვევს სამართლის მოცემული დარგის არსის რადიკალურად შეცვლას.

პრინციპში აისახება პროცესის წყობა, სტრუქტურა, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურება, სამოქალაქო საპროცესო სამართლისა და მისი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების არსებითი ნიშნები, სოციალურ-იურიდიული ღირებულება (მნიშვნელობა), პრინციპებზეა აგებული სასამართლო სისტემა და მისი საქმიანობა.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებში კონცენტრირებულია კანონმდებლის შეხედულებები თანამედროვე სამართალწარმოების ხასიათისა და შინაარსის, ანუ სასამართლოების მიერ სამართლებრივი დავების (თუ უდავო წარმოების საქმეთა) განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები გამოხატულია როგორც ზოგადი შინაარსის მქონე ცალკეულ ნორმაში, ისე მთელ რიგ საპროცესო ნორმაში, რომლებითაც გარანტირებულია ამ ზოგადი სამართლებრივი მითითებების პრაქტიკაში განხორციელება. ასეთი საგარანტიო ნორმების გარეშე პრინციპი უბრალო მოწოდებად, ასე ვთქვათ, ლოზუნგად გადაიქცეოდა.

იმდენად, რამდენადაც პრინციპების წარმოშობა (დადგენა, შემოღება) ხდება საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების როლისა და მნიშვნელობის (სოციალური ღირებულების) შესახებ შეხედულებების საფუძველზე, პრინციპი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა იმისა, რომ შემდგომში უფრო განვითარდეს და სრულყოფილი გახდეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოების მიერ პირთა უფლებების სათანადოდ დაცვა.

პროცესის პრინციპების უდიდესი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ პრინციპები, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების საგანთან, მეთოდთან და ამოცანებთან ერთად, სამართლის შესაბამისი დარგის ინდივიდუალიზაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს.

ისიც აღსანიშნავია, რომ, რადგან პრინციპები გამოხატავენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანეს საწყისებს, ისინი ამოსავალ (ძირითად) საფუძვლებს წარმოადგენენ სამართლის ამ დარგის ნორმათა განმარტებისათვის, მათი არსისა (აზრისა) და მნიშვნელობის გარკვევისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითადი ნიშნების დახასიათებისას, სწორედ პრინციპებია ის ამოსავალი, საწყისი დებულებები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს ქართული სამოქალაქო პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნების შეპირისპირება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართალთან.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა პრინციპი, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, საპროცესო სამართლის ნორმებში გამოხატულია (განმტკიცებულია) სხვადასხვაგვარად. კერძოდ, ზოგი მათგანი ან კანონის ცალკეულ მუხლშია გამოკვეთილად ჩამოყალიბებული, მაგალითად, პროცესის საქვეყნოობის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის

და სხვა პრინციპები, ხოლო ზოგიერთი პრინციპი გამოხატულია ცალკეული ნორმისა თუ ინსტიტუტის შინაარსში და იმის დადგენა, თუ რომელ პრინციპთან გვაქვს საქმე, ხდება თეორიული ანალიზისა და განზოგადების გზით. მაგალითად, სსსკ-ის მე-2, მე-3, 83-ე და სხვა მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერება იკვლევს დისპოზიციურობის პრინციპის არსს.

რაც შეეხება პრინციპების სისტემის დადგენას იურიდიულ მეცნიერებაში, ეს ხდება შემეცნებითი მიზნით.

ტერმინი „სისტემა" იხმარება საგანთა და მოვლენათა ერთობლიობის, მათი ჩამონათვალის აღსანიშნავად. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში ამ ტერმინით აღინიშნება სამოქალაქო პროცესისათვის დამახასიათებელი ყველა პრინციპის ერთობლიობა, მათი რაოდენობა, ჩამონათვალი.

მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ კი, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთო სასამართლოების ორგანული კანონის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების შემდეგი სისტემა: მოსამართლეთა დანიშვნისა და არჩევითობის პრინციპი; მართლმსაჯულების მხოლოდ სასამართლოს მიერ განხორციელების პრინციპი; მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპი; კანონიერების პრინციპი; კანონისა და სასამართლოს წინაწე პირთა თანასწორობის პრინციპი; შეჯიბრებითობის პრინციპი; დისპოზიციურობის პრინციპი; მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი; სამოქალაქო პროცესის (საქმის განხილვის) საქვეყნოობის პრინციპი; სამართალწარმოების ენის პრინციპი; ზეპირობისა და წერილობითობის შეხამების პრინციპი; დავების განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლოს ერთპიროვნული და კოლეგიური შემადგენლობის შეხამების პრინციპი; უშუალობის პრინციპი.

სამართლის ნებისმიერი დარგის, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები, მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ ლოგიკურ-სამართლებრივ სისტემას ქმნის. ერთი პრინციპის არსებობა განაპირობებს მეორე პრინციპის არსებობას. მათი ურთიერთკავშირი განისაზღვრება ამ პრინციპებში გამოხატული იდეების ერთიანობით და ასევე იმით, რომ ისინი მიმართულია ერთიანი, საერთო მიზნის მიღწევისაკენ. მხოლოდ ერთად აღებული ყველა ეს პრინციპი, როგორც სისტემა, განსაზღვრავს სამოქალაქო სამართალწარმოების საჯარო ხასიათს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, აგებულია კანონიერების, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის საწყისებზე.

ერთი პრინციპის დარღვევა, მაგალითად, მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის პრინციპის დარღვევა, როგორც წესი, იწვევს მეორე პრინციპის, — კერძოდ, კანონიერების პრინციპის ან პრინციპთა მთელი ჯაჭვის (სისტემის) დარღვევას.

ზოგიერთი პრინციპი, სხვა დანარჩენი პრინციპების განხორციელების გარანტიაა. მაგალითად, სამართალწარმოების სახელმწიფო ენის პრინციპი პროცესის ყველა სხვა პრინციპის (კანონიერების, ზეპირობისა და სხვა) გარანტიაა.

§2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების შინაარსი

1. **მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ.** საქართველოში მართლმსაჯულება სამოქალაქო საქმეებზე ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მიერ კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის საწყისებზე (სსსკ-ის მე-5 მუხლი).

საერთო სასამართლოები განიხილავენ[1] და წყვეტენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს და ამიტომ, მათი საქმიანობა ყოველთვის დაკავშირებულია სახელმწიფო იძულების გამოყენების აუცილებლობასთან. ამაში კი ვლინდება სასამართლოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მას სხვა სამართალშემფარდებელ და სამართალდამცავ ორგანოთა შორის უკავია.

გარდა ამისა, სასამართლო ორგანო, საქმიანობის ორგანიზაციისა და საპროცესო ფორმის სპეციფიკის გამო, განსაკუთრებულ პირობებშია მოქცეული, რაც მას შესაძლებლობას აძლევს გაერკვეს დანაშაულის ან სამოქალაქო სამართალდარღვევის ურთულეს გარემოებებში, სწორად განმარტოს და შეუფარდოს კანონი, გამოიტანოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ყოველივე ამას, საკმაოდ დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ხაზი გაესვას სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ორგანოს როლს, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს მართლმსაჯულების ფუნქციები. იმდენად, რამდენადაც სახელმწიფომ მხოლოდ სასამართლოს დააკისრა მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქცია, კანონი კატეგორიულად უკრძალავს ყველა ორგანოს, რომელიც არ უნდა იყოს ეს, განახორციელოს სასამართლო საქმიანობა მართლმსაჯულების ფორმით და გამოიყენოს სახელმწიფო იძულების ზომები სამართალდამრღვევთა მიმართ.

აღსანიშნავია, რომ განსახილველი პრინციპის შინაარსი ძალზე ცხადად ჩანს სისხლის სამართალწარმოების მაგალითზე. კერძოდ, კონსტიტუციური დებულების თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

სამოქალაქო პროცესის სფეროში კი ეს პრინციპი ასე ნათლად (ცხადად) არ იკვეთება.

სამოქალაქო პროცესში ეს პრინციპი ვლინდება იმაში, რომ უფლების დამცველი ორგანოების (ნოტარიატის, არბიტრაჟისა და სხვ.) სისტემაში სასამართლოებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. უფლების დაცვის სასამართლო ფორმის პრიორიტეტი იმაში გამოიხატება, რომ: 1) როდესაც უფლების შესახებ დავა განიხილება რამდენიმე ორგანოს მიერ, რომელთა შორის არის სასამართლოც, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რამეთუ საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღების შემდეგ, მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს; ამასთან, თუ მხარეთა შორის დადებულია შეთანხმება ქობნებრივი დავის კონკრეტულ არბიტრაჟში განხილვის თაობაზე, მაშინ წარმოებაში შეცდომით მიღებული საქმე უნდა შეწყვიტოს სასამართლომ სსსკ-ის 272-ე მუხლის შესაბამისად. 2) თუ სახეზეა არბიტრაჟის კანონით გათვალისწინებული შემთხვევები, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხარის სარჩელი და შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ანუ კანონი სასამართლოს უფლებას აძლევს გარკვეულ შემთხვევებში შეამოწმოს არბიტრაჟის გადაწყვეტილების (საარბიტრაჟო გადაწყვეტილების) კანონიერება.

მართალია, ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმეს (ზოგიერთ სამართლებრივ საკითხს) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში იხილავს (წყვეტს) არბიტრაჟი ან სხვა ორგანო (მაგალითად, ნოტარიატი), მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორგანოები ამით მართლმსაჯულებას ახორციელებენ, ვინაიდან კონსტიტუციის თანახმად სასამართლო და მხოლოდ სასამართლოა ის ერთადერთი სახელმ-

[1] „საქმის სწორად განხილვა და გადაწყვეტა“ ნიშნავს: ა) იმ ფაქტების სწორ ცოდნას, გამორკვევასა (დადგენას) და შემოწმებას, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (უფლებას), ხოლო მოპასუხე – შესაგებელს. ბ) უტყუარად შემოწმებული (დადგენილი) იურიდიული ფაქტების მიმართ სათანადო კანონის (მატერიალური სამართლის ნორმის) ზუსტად გამოყენებას, შეფარდებას და გ) შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანას. სადავო ფაქტების დადგენა (შემოწმება) კი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულებებით.

წიფო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებული ფუნქცია. მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება ჩამოართვას ფიზიკურ პირს მისი პირადი, ასევე ქონებრივი და სხვა უფლებები.

სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის ის საპროცესი წესი, რომელიც კანონით არის განსაზღვრული (დადგენილი), მხოლოდ მართლმსაჯულებისათვის არის დამახასიათებელი. სხვა ორგანოების მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვისათვის კი ასეთი საპროცესო ფორმა არ არის დამახასიათებელი.

მართლმსაჯულების განხორციელების მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და ორგანიზაციების კანონიერი ინტერესების დაცვა.

კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება. ვერც ერთი ორგანო ვერ მიითვისებს მართლმსაჯულების ფუნქციას, რადგან ეს ფუნქცია მხოლოდ სასამართლოს ეკუთვნის. მართლმსაჯულების განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ სახელმწიფო საქმიანობის ეს სახე უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული წესის დაცვით. ეს წესი განსაზღვრულია კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით. სხვა ორგანოებმა არ უნდა დაარღვიონ (არ უნდა ხელყონ) სასამართლო კომპეტენცია და არ უნდა გადაწყვიტონ ის საქმეები, რომელთა განხილვაც კანონით მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება.

2. **მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და კანონისადმი დამორჩილება.** მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი მოსამართლის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის გარანტიაა. მოსამართლის დამოუკიდებლობის საფუძველია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს (კონსტიტუციის 84-ე მუხლი). **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** 2011 წლის 19 აპრილის №33188/08 დადენილებაში აღნიშნულია: „დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსამართლეებმა მოსახლეობის ნდობა უნდა მოიპოვონ. ამ მიზნით კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოსგან მოითხოვს დამოუკიდებლობას მისი უფლებამოსილების ფარგლებში. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა მოითხოვს პირად და ინსტიტუციონალურ დამოუკიდებლობას. პირადი და ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა საჭიროა (აუცილებელია) გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებისათვის. ამრიგად, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გულისხმობს მოსამართლეთა განწყობას (დამოკიდებულებას) საქმისადმი და ინსტიტუციონალური და ოპერატიული ღონისძიებების ერთობლიობას. პირველი ეხება მოსამართლეთა მიუკერძოებლობას, მეორე განსაზღვრავს სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობას, კერძოდ, სახელმწიფო ორგანოებთან და ზოგჯერ ორივე მათგანი განუყოფელია.

სასამართლოს დამოუკიდებლობა მოითხოვს აგრეთვე, რომ თითოეული მოსამართლე თავისუფალი იყოს გავლენისაგან არა მხოლოდ არასასამართლო ორგანოების მხრიდან, არამედ სასამართლო სისტემის ფარგლებშიც. ეს შინაგანი სასამართლო დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მოსამართლე თავისუფალი იყოს სხვა მოსამართლის და ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მითითებებისაგან და ზეწოლისაგან. იმის დასადგენად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სასამართლო დამოუკიდებლად, აუცილებელია, სახელდობრ გავითვალისწინოთ სასამართლოს წევრების დანიშვნის წესი და მათი უფლებამოსილების ვადა, გარედან ზეწოლისგან დამცავი გარანტიების არსებობდა და ის, არის თუ არა თვითონ მოსამართლე დამოუკიდებელი“.

მოსამართლის დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

კანონმდებლობით უზრუნველყოფილია მოსამართლეთა მიერ თავისი უფლება-მოვალეობების (უფლებამოსილებების) დაუბრკოლებლად და ეფექტიანად განხორციელების პირობები. სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის, ანუ მართლმსაჯულების განხორციელების დროს რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება ფაქტობრივად ორი დებულებაა, რომლებიც ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ორივე დებულება ერთიან პრინციპს შეადგენს, რამეთუ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას განაპირობებს მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, ხოლო მოსამართლეთა მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, თავის მხრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მოსამართლეები ნამდვილად დამოუკიდებელი არიან.

მოსამართლე ემორჩილება როგორც მატერიალური სამართლის, ისე საპროცესო კანონმდებლობას. ეს კი ნიშნავს, რომ მოსამართლე დამოუკიდებელია როგორც თანამდებობის პირებისაგან, ისე სხვადასხვა ორგანობისა და მათი აქტებისაგან, აგრეთვე სხვაგვარი ზეგავლენისაგან, არავის აქვს უფლება ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს; არავის არა აქვს უფლება მოსამართლეზე მოახდინოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზემოქმედება, მისცეს მოსამართლეს მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს მან კონკრეტული საქმე.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია პოლიტიკური, ეკონომიკური (სოციალური) და სამართლებრივი გარანტიებით. კერძოდ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია შემდეგი პოლიტიკური გარანტიებით: მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. ის, ვინც გამწესდება მოსამართლედ, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას. ამგვარი აკრძალვების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თავისუფალი იყოს პრაქტიკული მიზანშეწონილობის მოსაზრებებისა და პოლიტიკისაგან.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ეკონომიკური გარანტია იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლის სოციალური დაცვის გარანტიები კანონით განისაზღვრება. დაუშვებელია მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში. მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის დამთავრებისას ან საპენსიო ასაკს მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია (საერთო სასამართლოების ორიგინალი კანონის 70-ე მუხლი).

მოსამართლის მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ საყურადღებოა სერგი ჯაფარიძის სიტყვები: „მოსამართლის პირნათელი მოღვაწეობის ერთ-ერთი გარანტია არის მისი ისეთი მატერიალური მდგომარეობა, რომ იძულებული არ შეიქნეს ცოლ-შვილის სარჩენად გარეშე სამუშაო ეძიოს, ან კიდევ, — რაც ყველაზე უარესია, — ანგარების გრძნობა არ გაუჩნდეს. მოსამართლის მექრთამეობა — ეს იქნებოდა არათუ სასამართლოს გათახსირება, არამედ სახელმწიფოსათვის ძირის გამოთხრა. ამიტომ არის, რომ მოსამართლის ჯამაგირის საკითხი ყველგან იქცევს დიდ ყურადღებას“.[1]

რაც შეეხება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის იურიდიულ (სამართლებრივ) გარანტიებს, მათ მიეკუთვნება შემდეგი გარანტიები: მართლმსაჯულების განხორციელების კანონით დადგენილი წესი, მოსამართლის შეუცვლელობა, თანამდებობაზე მოსამართლის გამწესების წესი და მოსამართლისათვის შესაბამისი უფლებამოსილებების მინიჭება. მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად ს. ჯაფარიძე ამ თანამდებობაზე მისი მოწვევის წესს მიიჩნევდა, რის შესახებაც აღნიშნავდა, რომ: „რა წესით უნდა იქნეს სათანადო პირი მოწვეული მოსამართლის ადგილზე, — ამ საკითხს

[1] ს. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 28.

აქვს მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ მოსამართლის თავისუფალი სინდისი არ იქნეს შეზღუდული საქმეების გადაწყვეტის დროს რაიმე გავლენით იმ ორგანოსა თუ ხალხის მხრით, რომელმაც მოსამართლე დანიშნა ან აარჩია". ეს საკითხი ავტორს მნიშვნელოვნად მიაჩნია იმისათვის, რომ მოსამართლე არ გახდეს მისი დამნიშნავი თანამდებობის პირის "... ყურმოჭრილი აგენტი, მათი სურვილის ბრმა ამსრულებელი"[1]. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ "... საქმეების სამართლიანი გადაწყვეტისათვის საჭიროა... მოსამართლე ჩაყენებულ იქნეს ისეთ პირობებში, რომ მისი სინდისი თავისუფალი იქნეს გარეშე გავლენისაგან. უკეთუ მოსამართლეს ექნება შიში, რომ საქმის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც მას მიაჩნია სამართლიანად, ეწყინება ხელისუფლების რომელიმე გავლენიან ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელსაც შეუძლია მას ავნოს, გადააყენოს ან დააქვეითოს, ასეთ პირობებში მოსამართლე იშვიათად თუ არ გადაუხვევს სამართლიანობას. ამიტომ მოსამართლის დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების სფეროში მიჩნეულია საპროცესო სამართალში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად."[2]

მოსამართლის შეუცვლელობა ნიშნავს, რომ მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მისი უფლებამოსილების შეწყვეტა ან შეჩერება ხდება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია ასევე მთელი რიგი სხვა კონსტიტუციური გარანტიებითაც. უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა დებულება იმის შესახებ, რომ ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. ასევე უნდა ითქვას, რომ მოსამართლე ხელშეუვალია და მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის სპეციალური წესი კონსტიტუციითაა დადგენილი. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე და სხვა.

მოსამართლე არ არის ვალდებული მისცეს რაიმე ახსნა-განმარტება უკვე განხილულ ან მის წარმოებაში არსებული საქმეების ირგვლივ, აგრეთვე წარუდგინოს საქმე გასაცნობად ნებისმიერ პირს, ვინც არ უნდა იყოს ის, ეს დაიშვება მხოლოდ საპროცესო კანონით გათვალისწინებული წესით (სამოქალაქო საქმის გაცნობის უფლება აქვთ საქმის მონაწილეებსა და მათ წარმომადგენლებს. „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სახალხო დამცველს უფლება აქვს გაეცნოს სამოქალაქო საქმეს, რომლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებაც კანონიერ ძალაშია შესული).

მთელი რიგი სამართლებრივი გარანტიებია გათვალისწინებული მიმდინარე კანონმდებლობითაც. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას კოლეგიური წესით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების თუ განჩინების გამოტანის დროს, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. საპროცესო კოდექსით ასევე დადგენილია მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება და ა.შ.

მოსამართლეს უფლება აქვს გადადგეს, აკრძალულია, რომ ზემდგომმა სასამართლომ გადაწყვეტილების გაუქმების დროს ქვემდგომ სასამართლოს თავისი განჩინებით მისცეს მითითებები მტკიცებულებათა უტყუარობის ან, პირიქით, არანამდვილობის, აგრეთვე იმის შესახებ, მატერიალური სამართლის თუ რომელი ნორმა უნდა გამოიყენოს საქმის ხელახალი განხილვის დროს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს როგორც მოსამართლის, ისე მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არა აქვთ უფლება მათ მიერ გავრცელებულ

---

[1] ს. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 23.

[2] იქვე, გვ. 26.

ინფორმაციებში წინასწარ გადაწყვეტილად ჩათვალონ კონკრეტული საქმის (დავის) ამა თუ იმ შედეგით დამთავრება, კონკრეტული დავის განხილვისა და გადაწყვეტის შედეგები, ვიდრე სასამართლო არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებასა და კანონს. მაგრამ თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვის დროს სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტის დროს, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმისწარმოებას (განხილვას) და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმე შეჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. თუ კონსტიტუციის შეუსაბამო ნორმატიული აქტის შემოწმება არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს კონსტიტუციისა შესაბამისად.

დასახელებული კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მხარეების, საქმის მონაწილე სხვა პირების, აგრეთვე სასამართლოს სხდომაზე დამსწრე პირთა ისეთი ქმედება, რომელიც სასამართლოსადმი უპატივცემულობას გამოხატავს, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. მოსამართლის დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მას არ უნდა ჰქონდეს სხვა სამსახური (თანამდებობა) და არ უნდა ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად (სასყიდლიან) საქმიანობას, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა. გარდა იმისა, რომ მთელი სამუშაო დრო მოსამართლემ უნდა მოანდომოს თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას, სამსახურის შეთავსებას ადვილად შეუძლია შექმნას ისეთი ნიადაგი, როცა მოსამართლე განიცდის გარეშე გავლენას.

მოსამართლის დამოუკიდებლობის იურიდიული გარანტიაა ასევე მისი პიროვნების ხელშეუხებლობა. მოსამართლის ხელშეუხებლობა, მისი პიროვნების ხელშეუხებლობის გარდა, ვრცელდება აგრეთვე მის ბინაზე, მანქანაზე (მის ტრანსპორტზე), სამუშაო ადგილზე.

მოსამართლეს არ შეიძლება რაიმე პასუხისმგებლობა დაეკისროს მართლმსაჯულების განხორციელების დროს გამოთქმული აზრისა და მიღებული გადაწყვეტილებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ დადგინდება მისი ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში (იგულისხმება შემთხვევა, როცა მოსამართლემ ბოროტად გამოიყენა თანამდებობა).

ხელშეუხებლობის არსი ისაა, რომ ამით მოსამართლე დაცულია რაიმე ზემოქმედებისაგან, აგრეთვე ამით კანონი იცავს მოსამართლის უფლებებს, რომ ეს უფლებები არ შეილახოს მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების დროს. მოსამართლის ხელშეუხებლობა აღიარებულია საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებითაც. ეს აქტები კრძალავენ მოსამართლეზე ზემოქმედებას.

3. სასამართლოსა და კანონის წინაშე თანასწორობა. ამ პრინციპთან დაკავშირებით უსარგებლო არ იქნება რომაელ იურისტთა გამონათქვამის გახსენება, რამეთუ ხშირად ,,ყოველივე ახალი – კარგად დავიწყებული ძველია'' და ძველ დროს გამოთქმული მრავალი იდეა განსახიერებულია (ხორცშესხმულია) თანამედროვე საპროცესო კანონმდებლობაში. რომაულ სამართალში აღნიშნული პრინციპი ასე იყო ჩამოყალიბებული: leqs uno oro

omnes alloquitur – კანონი ყველას ერთნაირად (თანაბრად) ელაპარაკება.

კანონის წინაშე თანასწორობა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში.

ამ პრინციპის საწყისები მოცემულია როგორც კონსტიტუციურ, ისე სამოქალაქო სამართალში. კანონისა და სასამართლოს წინაშე სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა თანასწორობა, პირველ ყოვლისა, საზოგადოებაში პირთა სამართლებრივი სტატუსის შემადგენელი ელემენტია. აღნიშნული პრინციპი თავისი სამართლებრივი ბუნებით მომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითადი საწყისებიდან. კერძოდ, როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართალი აღიარებს (ეფუძნება) სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის იდეას (პრინციპს), საკუთრების ხელშეუხებლობას, ხელშეკრულების თავისუფლებას, დაუშვებლად მიიჩნევს კერძო საქმეებში თვითნებურ ჩარევას, აღიარებს სამოქალაქო უფლებათა დაუბრკოლებლად განხორციელების აუცილებლობას, დარღვეული უფლებების აღდგენას, მათ დაცვას სასამართლო წესით.

სასამართლოსა და კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

განსახილველი პრინციპი შესანიშნავად დაახასიათა ილია ჭავჭავაძემ. იგი ამბობდა: „ბუნება ადამიანისა, სემიტია თუ არიელი, ზანგია თუ თეთრი... ყველგან ერთი და იგივეა.“[1] და რომ “... კანონი დიდისა და პატარისათვის ერთნაირი უნდა იყოს“,[2] ე.ი. თანაბრად უნდა იქნეს გამოყენებული ყველას მიმართ.

კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობა იმითაცაა უზრუნველყოფილი, რომ ყოველი საქმე განიხილება ერთი და იმავე წესით, დადგენილია ერთი და იგივე საპროცესო ფორმა, საქმის მონაწილენი სარგებლობენ თანაბარი სამართლებრივი გარანტიებით. ყოველივე ეს კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თანაბრად დაკმაყოფილდეს ყველას კანონიერი მოთხოვნები, ვინც საქმის შედეგით არის დაინტერესებული. ყველას აქვს თანაბარი შესაძლებლობა დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოს წინაშე. **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** 2009 წლის 15 იანვრის დადგენილებაში მითითებულია: „მხარეთა თანასწორობის პრინციპი უფრო ფართო ცნების – სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის არსიდან გამომდინარე. მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს „მხარეთა სამართლიან თანასწორობას“: თითოეულ მხარეს უნდა გააჩნდეს თავისი პოზიციის ისეთ პირობებში წარდგენის გონივრული შესაძლებლობა, რომლებიც არ ჩააყენებენ მას არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მეორე მხარესთან შედარებით.“ მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაგებელის (შეპასუხების) წარდგენის შესაძლებლობა ნებისმიერი თანამდებობის პირის დასკვნებსა და მოსაზრებებზე.

სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულება ხორციელდება ყველასათვის ერთიანი სასამართლოს მიერ.

ამ პრინციპის შინაარსი, ერთი მხრივ, გულისხმობს, რომ სასამართლო სისტემა ერთიანია ყველა პირისათვის. გარდა ამისა, განსახილველი პრინციპის შინაარსში გამოხატულია ისიც, რომ სამართალი ყველასათვის ერთიანია. სამართლის ერთიანობა ნიშნავს საქართველოს კანონმდებლობის ერთიანობას, სამართლის ერთიანი სისტემის გამოყენებას მართლმსაჯულებაში.

4. მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის პრინციპი. მარტო ის ფაქტი, რომ

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 2, გვ. 379.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 1, პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით, 1937 გვ. 401.

მოსარჩელემ საქმე მოპასუხის წინააღმდეგ აღძრა, არ ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ სასამართლოს წინაშე, სანამ სიმართლე აიხსნება, ერთი მათგანი ჩაითვალოს მართალ მხარედ, ხოლო მეორე – მტყუანად. სასამართლოს თვალში ორივე ერთნაირ მდგომარეობაში უნდა იქნეს მიჩნეული: ორივეს შეუძლია შეცდეს თავისი უფლების გაგებაში ან ორივეს შეუძლია შეეცადოს უსამართლოდ დაჩაგროს მეორე მხარე. სასამართლოს დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ გამოარკვიოს სიმართლე, ხოლო ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც საქმის განხილვას (გამოკვლევას) საფუძვლად უდევს მხარეთა თანასწორობის პრინციპიც. ამიტომ მხარეთა თანასწორობა საპროცესო სამართალში მიღებულია როგორც ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი განსხვავდება მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპისაგან.

მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ბუნებიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო პროცესში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესის მქონე მხარე მონაწილეობს. მართლმსაჯულების ამოცანაა ამ ორ მხარეს შორის არსებული სამართლებრივი კონფლიქტის მოწესრიგება, დარღვეული უფლების აღდგენა. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქმის განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელმაც უნდა ცხადყოს, თუ ვინ არის მართალი მოდავე მხარეთაგან, ამიტომ კანონი მხარეებს თანაბარ საპროცესო-სამართლებრივ შესაძლებლობებს ანიჭებს პროცესში, რათა მათ შეძლონ თავიანთი სიმართლის დამტკიცება სასამართლოში. მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ პროცესის მხარეებს – მოსარჩელესა და მოპასუხეს თანაბარი საპროცესო უფლებები აქვთ მაშინ, როცა, სრულიად სხვა შინაარსის მატარებელია კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი.

მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპს საფუძვლად უდევს ის ეკონომიკური და სამართლებრივი საწყისები, რომლებიც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თანაბარ მდგომარეობაში აყენებენ.

მოცემული პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონით მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები (საშუალებები) ენიჭებათ უფლებების დაცვის საკითხში. თუ კანონი ერთ მხარეს ანიჭებს კონკრეტულ საპროცესო უფლებებს, ის ანალოგიურ უფლებებს ანიჭებს მეორე მხარესაც. თუ, მაგალითად, მოსარჩელეს ენიჭება თავისი სარჩელის საგნისა და საფუძვლის შეცვლის უფლება, შესაბამისად, მოპასუხეს მინიჭებული აქვს სარჩელის წინააღმდეგ წაყენებული შესაგებლის საფუძვლის შეცვლის უფლება, ასევე უფლება აქვს ცნოს სარჩელი, აღძრას შეგებებული სარჩელი, ამრიგად, არც ერთი მხარე არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით მეორეს მიმართ. ამასთან, მხარეებს უფლება აქვთ იყოლიონ წარმომადგენელი.

რომაელმა იურისტებმა ასე გამოხატეს ეს პრინციპი: non debet actori licere, quod reo permittiur – მოსარჩელისათვის არ უნდა იყოს ნებადართული ის, რაც არ არის ნებადართული მოპასუხისათვის. ორივე მხარეს უნდა მიენიჭოს თანასწორი შესაძლებლობა დაამტკიცოს ის ფაქტები, რაც მათ ამართლებს, შეუძლებელია ერთი მხარისათვის ნებადართული იყოს ის, რაც აეკრძალა მეორეს. მაგალითად, სასამართლო ერთი და იმავე ფაქტის გამოსარკვევად ვერ მიიღებს ერთი მხარის მოწმეებს, თუ მეორისაც არ დაუშვა.

სასამართლოს უფლება არა აქვს საქმე გადაწყვიტოს, სანამ მოპასუხეს შესაძლებლობას არ მისცემს წარუდგინოს სასამართლოს თავისი განმარტება (audiatur et altera pars – მოუსმინეთ მეორე მხარესაც). ამიტომ სასამართლო ვალდებულია ორივე მხარეს აცნობოს, თუ როდისათვის არის დანიშნული მათი საქმის განხილვა, ადგილზე დათვალიერება და სხვ.

ზოგჯერ მხარეთა თანასწორობის ზოგადი (საერთო) წესიდან თვითონ კანონით დაშვებულია გამონაკლისი. სახელდობრ, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვის გარეშე, მოპასუხის დაუბარებლად (მისი ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე) გასცეს გადახდის

ბრძანება, როდესაც მოთხოვნა დამყარებულია უდავო დოკუმენტებზე, რამეთუ იგულისხმება (პრეზუმფცირება ხდება), რომ ამ შემთხვევაში მოპასუხეს არაფერი ექნება თავის გასამართლებელი. თუმცა მოპასუხისათვის პროტესტის შეტანის უფლების მინიჭება კანონით, ისევ და ისევ მხარეთა თანასწორობაზე მეტყველებს. კანონით ასევე დაიშვება დაუსწრებელი წარმოება.

დავის განხილვის დროს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ორივე მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს, რათა სასამართლო დაეხმაროს მათ მტკიცებულებათა შეგროვებაში.

განსახილველი პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული შეჯიბრებითობის პრინციპთან, ვინაიდან მხარეთა თანასწორუფლებიანობის გარეშე არ შეიძლება იყოს შეჯიბრებითობა და, შესაბამისად, მხარეთა თანასწორუფლებიანობა, პროცესის შეჯიბრებითობის წინაპირობაა. რეალურად შეჯიბრება, მხოლოდ თანასწორუფლებიან სუბიექტებს შეუძლიათ.

5. შეჯიბრებითობის პრინციპი. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის გამომხატველი ცალკეული ასპექტი გათვალისწინებულია სსსკ-ის 83-ე, 102-ე, 127-ე, 133-ე, 134ე, 136-ე და სხვა მუხლებში. საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების მტკიცების ტვირთი ანუ ვალდებულება და ამ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები გათვალისწინებულია სსსკ-ის 102-ე, 103-ე, 127, 133-ე, 166-167-ე, 169-ე, 171-ე-173-ე, 178-ე, 201-ე, 275-ე და სხვა მუხლებით. საერთოდ შეჯიბრებითობა – ეს შედავებას, შებრძოლებასა და გამარჯვებისაკენ სწრაფვას ნიშნავს. სწორედ ასე ხდება ჩვეულებრივ სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე (კონსტიტუციის 85-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს შეჯიბრებითი ფორმით. შეჯიბრებითობა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეჯიბრებას გულისხმობს და არა თვითონ მხარეთა შორის შეჯიბრს. ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების ფორმულირება იძლევა – სამართალწარმოების განხორციელება არა მხარეთა შეჯიბრებითობის, არამედ მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

სასამართლო ხელმძღვანელობს შეჯიბრებით პროცესს და ქმნის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პირობებს სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს. ამისთვის სასამართლომ უნდა დაიცვას დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. ყოველივე ეს კი აუცილებელია სამოქალაქო პროცესის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად. სასამართლოს ეს უფლებამოსილება გამომდინარეობს პროცესის ხელმძღვანელობის პრინციპიდან. სასამართლოს მიერ ამ უფლებამოსილების განხორციელება უფლებათა სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციური უფლების (კონსტიტუციის 42-ე მუხლის) განხორციელების საპროცესო გარანტიას წარმოადგენს.

საიდან იღებს სათავეს შეჯიბრებითობის პრინციპი, რა არის ამ პრინციპის ამოსავალი წყარო? ეს არის ის, რომ სამოქალაქო პროცესის მხარეებს ურთიერთსაპირისპირო (ურთიერთსაწინააღმდეგო) მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი აქვთ სამოქალაქო პროცესში. მხარეთა საპროცესო მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მათ თავიანთი პოზიციების დაცვის ფართო შესაძლებლობები აქვთ მინიჭებული (იგულისხმება საქმის განხილვაში მათი აქტიური მონაწილეობა, უფლების დაცვის საპროცესო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა). როდესაც მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს მოპასუხის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის თხოვნით, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, მართლა ეკუთვნის თუ არა მოსარჩელეს უფლება, რომლის აღდგენასაც ის თხოულობს, დაურღვია თუ არა მოპასუხემ ეს უფლება და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც დარწმუნდება, რომ ორივე საკითხი დადებითად წყდება, უნდა შეუფარდოს კანონი და დააკმაყოფილოს მოთხოვნა. უკეთუ მაგალითად ერთი მოითხოვს მეორისაგან თანხას, უნდა აიხსნას: 1)

საიდან, რა ფაქტიდან წარმოიშვა ეს ვალი – სესხიდან, ზიანის მიყენებიდან, თუ სხვა საფუძვლიდან; 2) რით მტკიცდება ეს, მტკიცების რომელი საშუალებით; თუ გამოირკვა, რომ მოთხოვნის საფუძველი არის სესხის ხელშეკრულება, მოპასუხეს შეუძლია განაცხადოს, რომ მან უკვე გადაიხადა ვალი და ამის დასამტკიცებლად წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულება; მოსარჩელეს თავის მხრივ შეუძლია უპასუხოს, რომ ეს მტკიცებულება ყალბია ან შეეხება სულ სხვა ვალს და ასე შემდეგ. ყოველ პროცესში უნდა გამოირკვეს: ა) საქმის ფაქტობრივი მხარე, ანუ ფაქტობრივი გარემოება, ე.ი. ის ფაქტები, საიდანაც მხარეების მოთხოვნა გამომდინარეობს და ამ ფაქტების დამამტკიცებელი საბუთები და ბ) იურიდიული მხარე, ე.ი. ის, თუ რომელი კანონი მიუდგება გამორკვეულ ფაქტობრივ გარემოებას.

საქმის იურიდიული მხარის გამორკვევა, სათანადო კანონის მონახვა და შეფარდება სასამართლოს მოვალეობაა. იგულისხმება, რომ სასამართლომ (მოსამართლემ) იცის კანონები (jura novit curia). საქმის ფაქტობრივი გარემოების (ფაქტები და დამამტკიცებელი საბუთები) გამორკვევა და წარდგენა კი მხარეთა მოვალეობაა.

შეჯიბრების წესი გამოიხატება შემდეგი ფორმულით: თვითონ სასამართლო თავისი ინიციატივით არ აგროვებს მტკიცებულებებს, არამედ საქმეს წყვეტს მხოლოდ იმ ფაქტობრივი მასალის მიხედვით, რომელსაც მას წარუდგენენ მხარეები. ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ საქმის გადაწყვეტის დროს სასამართლოს უფლება არა აქვს იხელმძღვანელოს სხვა, თუნდაც მნიშვნელოვანი მტკიცებულებებით, უკეთე ეს მტკიცებულებები ნაჩვენები არ იყო მხარეთა მიერ (quod non est in actis, non est in mundo – რაც საქმეში არ არის, არც ქვეყნიერებაზე არსებობს), და მეორე ის, რომ სასამართლო ვალდებულია დაამყაროს თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ იმაზე, რაც მოთხოვნილი (მითითებული) და დამტკიცებული იყო მოდავე მხარეთა მიერ, თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს მის სინდისს (Sententia debet ferri secundum allegata et probata et non secundum conscientiam). ამრიგად, სანამ პროცესში ხდება ფაქტობრივი მასალის მოწოდება, სასამართლო პასიურია, იგი თითქოს უბრალო მაყურებელია მის წინაშე მიმდინარე ბრძოლისა. სასამართლოს აქტივობა იწყება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც იგი შეუდგება მოწოდებული მასალის შეფასებას ამა თუ იმ დასკვნისათვის.

შეჯიბრებითობის პრინციპი უზრუნველყოფს პროცესში ფაქტობრივი და მტკიცებითი მასალის თავმოყრას, რაც საჭიროა საქმის გარემოებათა დასადგენად.

შეჯიბრებითობის საწყისი მოიცავს ორ მნიშვნელოვან კომპონენტს, ორ ასპექტს: შეჯიბრებითობის პრინციპის პირველი ასპექტი შეეხება საქმის ფაქტობრივ მხარეს, ე.ი. დაკავშირებულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამტკიცების პროცესთან და ამ მიზნით მტკიცებულებათა წარდგენის, შეგროვებისა და გამოკვლევის საკითხში, საქმის მონაწილეთა და სასამართლოს მოქმედებების მოწესრიგებასთან. ხოლო მეორე ასპექტი – დაკავშირებულია სამართლის საკითხების გადაწყვეტასთან, ე.ი. მხარის იურიდიული პოზიციის არჩევასთან, დასაბუთებასა და სასამართლოში დაცვასთან. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესისაგან განსხვავებით, სამოქალაქო პროცესში არ არიან საგამოძიებო ორგანოები. ეს იმიტომ, რომ საქმის ფაქტობრივ მასალას თვითონ მხარეები უკეთ იცნობენ. ამ მასალას, როგორც წესი, თვითონ ეს პირები (მხარეები) ფლობენ. პირველ ყოვლისა სწორედ მათ ევალებათ წარმოადგინონ მტკიცებითი მასალები (მტკიცებულებები), მიუთითონ საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე. პირველ ყოვლისა თვითონ დაინტერესებულმა პირმა უნდა იზრუნოს, რომ უფლების შესახებ დავის წარმოშობის შემთხვევაში ხელთ ჰქონდეს გარიგების დადების, ვალდებულების შესრულების და ა.შ. დამადასტურებელი მტკიცებულებები. საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლები სწორედ ამაზე მიგვანიშნებენ. თუ წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის საკმარისი

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დასამტკიცებლად, მაშინ სასამართლო წინადადებას აძლევს (შესთავაზებს) მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები ან თვითონ გამოითხოვს, თვითონ აგროვებს მტკიცებულებებს მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, თუ მხარეს არ შეუძლია ამ მტკიცებულებათა წარდგენა მაგალითად ასაკის, ავადმყოფობის და სხვა ნებისმიერი გარემოების გამო, რომელიც ართულებს მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობას.

სსსკ-ის ნორმების ლოგიკური და სისტემატიკური განმარტებიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ სასამართლო ვალდებულია დაეხმაროს საქმის მონაწილე პირებს არა მხოლოდ „დამატებითი" მტკიცებულებების შეგროვებაში, არამედ ნებისმიერი მტკიცებულების შეგროვებაში, როცა მტკიცებულებათა წარდგენა ამა თუ იმ ობიექტური მიზეზით პირისათვის რთულია (იხ. სსსკ-ის 107-ე, 108-ე, 109-111-ე მუხლები). ამასთან სასამართლომ უნდა გამოითხოვოს არა ნებისმიერი მტკიცებულება, არამედ მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც პასუხობენ დასაშვებობისა და შესახებობის მოთხოვნებს (იხ. სსსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი და 104-ე მუხლი), ე.ი. სასამართლო განხილვის მიღმა რჩება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში იურიდიული მნიშვნელობის არმქონე საქმის გარემოებები. გარდა ამისა, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიხედვით მხარეებს შეუძლიათ არსებითად შეზღუდონ სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა დადგენის ფარგლები ამა თუ იმ ფაქტის ან ფაქტების აღიარების გზით. მაგრამ თუ სასამართლო ეჭვობს, რომ აღიარება მოტყუების, იძულების, მუქარის ან შეცდომის შედეგია, ფაქტის აღიარებას სამართლებრივ მნიშვნელობას აღარ მისცემს. ასეთ შემთხვევაში, მოცემული ფაქტი (ფაქტები) უნდა დამტკიცდეს საერთო წესით, საერთო საფუძველზე (იხ. სსსკ-ის 131-ე და 133-ე მუხლები). გარდა ამისა, მთელი სასამართლო წარმოება მიმდინარეობს დავის ფორმით, კანონით დადგენილი საპროცესო წესის დაცვით და მინიჭებული უფლებამოსილებებისა და შესაძლებლობების გამოყენებით. დავას აქვს შეჯიბრებითი ხასიათი, ვინაიდან თითოეული მხარე ცდილობს სასამართლოს წინაშე დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ მოთხოვნებსა (მოსარჩელის მხრიდან) თუ შესაგებელს (მოპასუხის მხრიდან), ანუ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს თავისი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის საფუძველი (იურიდიული ფაქტები). სსსკ-ის მე-4 და 103-ე მუხლებით დადგენილი წესების ადრესატები მხარეები არიან. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება არ ვრცელდება საქმის მონაწილე სხვა პირებზე და ისინი არ არიან ვალდებულნი დაამტკიცონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომლებზეც ამყარებენ თავიანთ პოზიციას. მაგალითად, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირმა უნდა დაამტკიცოს (დაასაბუთოს) თავისი მოთხოვნის საფუძველი, ვინაიდან ასეთი სახის მესამე პირს მოსარჩელის ყველა უფლება-მოვალეობა ეკისრება.

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი კი ვალდებულია დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროცესში მხარესთან მის ურთიერთობაზე. ის პირები, რომლებიც აღძრავენ სარჩელს თავიანთი სახელით სხვა პირთა უფლებების დასაცავად (მაგ., მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და სხვა) ვალდებული არიან დაამტკიცონ მოთხოვნის საფუძველი.

შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მხარეები აქტიურობენ პროცესში, თავიანთი უფლებების დაცვის მიზნით, მიუთითებენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, წარმოადგენენ მტკიცებულებებს, მონაწილეობენ მათ გამოკვლევაში, შუამდგომლობენ, აზრს გამოთქვამენ საქმის ირგვლივ მთლიანად და ამა თუ იმ ცალკეული საკითხის შესახებ, რომელიც პროცესს ეხება. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ თუ გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წარ-

მოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

შეჯიბრებითი სამოქალაქო პროცესის შესაბამისად, არა მხოლოდ მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა, არამედ მთელი სამოქალაქო პროცესი მთლიანობაში მიმდინარეობს დავის ფორმით, საქმის მონაწილეთა შეჯიბრების ფორმით სამოქალაქო სამართალწარმოების წესი იმგვარად არის მოწესრიგებული, რომ სასამართლოს მიერ ნებისმიერი საპროცესო ან მატერიალურ სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ამ საკითხის ყოველმხრივი განსჯის საფუძველზე საქმის მონაწილე ყველა პირის მიერ (იხ. სსსკ-ის 83-ე, 127-ე, 217-ე, 227-ე, 228-ე მუხლები).

აღნიშნული პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული კანონიერებისა და დისპოზიციურობის პრინციპებთან. მოცემული პრინციპი ასევე განუყოფლადაა დაკავშირებული მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის პრინციპთან, რომელიც, საერთოდ, შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველია. მხარეთა თანასწორობა შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების წინაპირობაა, ვინაიდან სწორედ მაშინ ეძლევათ მხარეებს შესაძლებლობა, მტკიცებულებებით შეებრძოლონ (შეეჯიბრონ) ურთიერთს პროცესში, როცა მათ თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვთ მინიჭებული, მხოლოდ მაშინ აქვს შებრძოლებას აზრი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, როცა მხარეები თანაბარ (ერთნაირ) სამართლებრივ პირობებში არიან ჩაყენებული და თანაბარი საპროცესო საშუალებებით სარგებლობენ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა XIX-XX საუკუნეების გამოჩენილი პროცესუალისტის ვასკოვსკის მოსაზრება: „შეჯიბრებითობის პრინციპი სასარგებლო და მიზანშეწონილი მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იყოს, თუ ორივე მოდავე მხარე თანასწორია, ერთნაირად მომზადებული და მცოდნე მოწინააღმდეგეა. ამ შემთხვევაში სასამართლოს ისღა დარჩენია, უსიტყვოდ (ჩუმად) ადევნოს თვალყური მათ ორთაბრძოლას და მიუკერძოებლად გადაწყვიტოს, თუ მათგან ვინ გაიმარჯვა. მაგრამ თუ მხარეები თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოწინააღმდეგეები არ არიან, თუ, მაგალითად, ერთ მხარეს წარმოადგენს განათლებული, ხოლო მეორეს – უმეცარი ადამიანი, ან თუ ერთ-ერთ მოდავე მხარეს ეხმარება ადვოკატი, რომელსაც საპროცესო ბრძოლის ყველა ხერხი და საშუალება დაწვრილებით აქვს შესწავლილი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამომუშავებული აქვს შესაბამისი პროფესიული ჩვევები, ხოლო მეორე მოდავე მხარე თავს იცავს პირადად (თვითონ), მოკლებულია ამგვარ ჩვევებს, პირველად გამოდის პროცესში, მაშინ შეჯიბრებითობის პრინციპი იქნება მხოლოდ ძლიერის ზეიმი სუსტზე, მდიდრისა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს დაიქირავოს კარგი ადვოკატი, ღარიბზე, რომელიც იძულებულია თავისი საქმე თვითონ აწარმოოს, ეს კი ეწინააღმდეგება სამართლიანობას.“[1] მაგრამ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ე.წ. „სუსტი მხარის“ დაცვის გარანტიები, – მაგალითად, კანონიერების პრინციპი. ასევე, თუ მხარეს არ ძალუძს წარმოადგინოს მტკიცებულება, მაშინ მისი შუამდგომლობის საფუძველზე მათ გამოითხოვს სასამართლო. სასამართლო წარმართავს შეჯიბრებითობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა თანაბარ პირობებში ყოფნა. თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვევს ადვოკატს სახელმწიფო ხარჯზე, თუ საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო მისი მონაწილეობა საქმეში მიზანშეწონილია (მუხლი 47-ე) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების დროს კანონი განსაზღვრულ როლს და ადგილს მიუჩენს სასამართლოსაც, რათა უზ-

[1] Хрестоматия по гражданскому процессу. Под ред. М.К. Треушникова. გვ. 71-72.

რუნველყოფილ იქნეს კანონიერება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში „წმინდა“,,,სრული“ შეჯიბრებითობა არ არსებობს. თვით სსსკ-ის მე-4 მუხლის (რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპს განსაზღვრავს) მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მაგალითად, საოჯახო-საქორწინო საქმეთა განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე (ანუ იგულისხმება მტკიცების საგანი) და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. ასევე, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, ანუ სასამართლო ამოწმებს განსახილველ საქმესთან წარმოდგენილ მტკიცებულებათა შესახებობას. საბოლოოდ სწორედ სასამართლო განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა. სსსკ-ის 162-ე მუხლის თანახმად კი, ექსპერტიზის დანიშვნა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზესასამართლოს თავისი ინიციატივითაც შეუძლია და სხვ. ექსპერტიზა მხოლოდ მოსამართლის განჩინების საფუძველზე შეიძლება დაინიშნოს. ყველაზე ნათლად შეჯიბრებითობის პრინციპი იკვეთება სსსკ-ის 102-ე და 103-ე მუხლებიდან გამომდინარე მტკიცების წესში. ეს მუხლები განსაზღვრავენ იმ გარემოებათა მტკიცების წესს, რომლებიც მხარეთა მოთხოვნებისა თუ შესაგებლის საფუძველს წარმოადგენენ.

სსსკ-ის 83-ე მუხლის საფუძველზე კი მხარეებს მინიჭებული აქვთ მრავალი საპროცესო უფლება და მრავალი საპროცესო შესაძლებლობა, რათა მათ ინიციატივა გამოიჩინონ პროცესში, იაქტიურონ, დაასაბუთონ თავიანთი პოზიცია და უარყონ მოწინააღმდეგის მტკიცებულებები და არგუმენტები, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სწორედ შეჯიბრებითობას სამოქალაქო პროცესში.

სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი იმ ფაქტების მტკიცების ტვირთისაგან, რომლებიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა (ანუ რომლებსაც შეიცავს ეს მტკიცებულება) და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის ხელთ არსებული წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე. ასეთივე წესია დადგენილი მაშინაც, როცა მხარე სასამართლოს მოთხოვნით არ წარადგენს მის ხელთ არსებულ ნივთიერ მტკიცებულებას (157-ე მუხლი).

თუ მხარე თავს არიდებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ გარემოებათა გამოკვლევას, რომელთა დადგენაც შესაძლებელია მხოლოდ მის ხელთ არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების მეშვეობით, მხარის ეს მოქმედება სამართალში ფასდება როგორც მხარის მიერ თავისი უფლებების ბოროტად გამოყენება (უფლებით ბოროტად სარგებლობა), ან როგორც მხარის უარი: მას არ სურს მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებით პროცესში. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს, რომ მტკიცებულებაში ასახული ცნობები საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ, მხარის მიერ აღიარებულია (მხარემ აღიარა).

სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმათა ანალიზის საფუძველზე ირკვევა ის, თუ როგორ უნდა განაწილდეს მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის. ხოლო მატერიალური სამართლის ზოგიერთი ნორმა პირდაპირ მითითებასაც შეიცავს ამის შესახებ. მაგალითად, სკ-ის 1012-ე მუხლი.

სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს (როგორც

მხარის მიერ წარდგენილს, ისე მათი შუამდგომლობით გამოთხოვილს) თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლოს სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

სასამართლოს სხდომის მთელ მიმდინარეობას შეჯიბრებითი ფორმა რომ აქვს, ვლინდება იმაშიც, რომ განსაზღვრული რიგითობაა დადგენილი პროცესზე მხარეთა გამოსვლისათვის. აგრეთვე ვლინდება მტკიცებულებათა გამოკვლევის წესში.

დაბოლოს, უდავო წარმოებისათვის შეჯიბრებითობის საწყისი არ არის დამახასიათებელი, ხოლო გამარტივებულ წარმოებაში ეს პრინციპი მოქმედებს, ოღონდ სპეციფიკური ფორმით ვლინდება.

შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარებას და ცხოვრებაში რეალურად განხორციელებას ემსახურება სამოქალაქო პროცესში წარმომადგენელთა წრის გაფართოება (სსსკ-ის 94-ე მუხლი); მტკიცებულებების ინსტიტუტი (კერძოდ გაფართოებულია მტკიცებულებების ჩამონათვალი ფაქტების კონსტიტუციის წყაროების ხარჯზე), პრაქტიკაში გამოიყენება აუდიო და ვიდეო ჩანაწერებიც; მოწმის იმუნიტეტი (141-ე მუხლი); ექსპერტიზის მომწესრიგებელი ნორმები და სხვა. შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების გარანტიაა „შეტყობინებისა და დაბარების ინსტიტუტი", ვინაიდან შეტყობინებისა და დაბარების წესის სათანადოდ მოწესრიგების გარეშე შეჯიბრებითობის იდეის ცხოვრებაში რეალურად და სრულად განხორციელება რთულია. პირველყოვლისა ყურადღება უნდა გამახვილდეს ინფორმირების ახალ წესებზე, კერძოდ, მხარეთა მოწვევა, მხარესთან დაკავშირება დასაშვებია არა მარტო უწყების გაგზავნით, არამედ ტექნიკური და სხვა საშუალებებით, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა დაფიქსირდეს ადრესატისათვის უწყების ჩაბარება. გარკვეულწილად ჯარიმების ინსტიტუტი ხდის გარანტირებულს შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელებას, რამეთუ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება დასაშვები და შესახები მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ უნდა შესრულდეს. შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელებას სპეციფიკა (თავისებურება) გააჩნია პროცესის სხვადასხვა სტადიაზე. ამ პრინციპის განხორციელება უზრუნველყოფილია იურიდიული გარანტიებით. ამ გარანტიებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აცილების ინსტიტუტს (სსსკ-ის 29-ე-36-ე მუხლები), საქმის წარმოების შეჩერებას (სსსკ-ის 279-ე-283-ე მუხლები), სარჩელის განუხილველად დატოვებას (სსსკ-ის 275-ე-278-ე მუხლები), საქმის შეწყვეტას (სსსკ-ის 272-ე-274-ე მუხლები) და სამოქალაქო საპროცესო სამართლის მრავალ სხვა ინსტიტუტსა თუ ნორმას.

6. სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელების პრინციპი. ეს პრინციპი ასახავს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას და სამოქალაქო პროცესში მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის გარანტიაა, ეს პრინციპი აგრეთვე არის მოქალაქეთა მიერ მათი მშობლიური ენით თავისუფალი სარგებლობის გარანტია. სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე – აფხაზური. იმისათვის რომ სახელმწიფო ენის არმცოდნე პირისათვის რეალურად იყოს უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, სრულად ისარგებლოს თავისი საპროცესო უფლებებით და შეასრულოს ვალდებულები, კანონი ადგენს შემდეგ წესს:

1) იმას, ვინც სახელმწიფო (სამართალწარმოების) ენა არ იცის, ენიშნება თარჯიმანი. კანონმდებლობით უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის არმცოდნე პირთა უფლება, სრულად გაეცნონ საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღონ ყველა საპროცესო მოქმედებაში (ადგილზე დათვალიერებაში, მტკიცებულებათა შეგროვებაში, წერილობით მტკიცებულებათა შესწავლაში და სხვ.) პირადად ან თარჯიმნის დახმარებით. სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირებს უფლება აქვთ თავისუფლად, ნებისმიერ სტადიაზე შეუზღუდავად

მისცენ სასამართლოს ახსნა-განმარტებები და ჩვენებები, განაცხადონ შუამდგომლობები, შეიტანონ საჩივრები მშობლიურ ენაზე, აგრეთვე ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით.

2) აღნიშნული პრინციპი იმასაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი დოკუმენტი სასამართლოს უნდა წარედგინოს სახელმწიფო ენაზე. თუ დოკუმენტი საჭიროებს სახელმწიფო ენაზე თარგმნას, იგი უნდა ითარგმნოს სახელმწიფო ენაზე, დამოწმდეს სათანადო წესით და ისე წარედგინოს სასამართლოს. გარდა ამისა, სასამართლო დოკუმენტები სამართალწარმოების ენის არმცოდნეთ უნდა ჩაბარდეთ იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მათ იციან ან მათ მშობლიურ ენაზე.

3) სასამართლო ვალდებულია განუმარტოს სამართალწარმოების ენის არმცოდნეთ, რომ მათ უფლება აქვთ ისარგებლონ პროცესში იმ ენით, რომელიც მათ იციან და თარჯიმნის მომსახურებით. იმ ენის არჩევის უფლება, რა ენაზეც პირმა უნდა მისცეს ახსნა-განმარტება სასამართლოს, მხოლოდ ამ პირს ეკუთვნის. სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს ეს საკითხი.

სსსკ-ის 213-ე მუხლის თანახმად, სასამართლო განუმარტავს თარჯიმანს მოვალეობებს, თარგმნოს სამართალწარმოების ენის არმცოდნეთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, ხოლო ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები.

4) ამ პრინციპის წყალობით, მოსახლეობის ყველა ფენისა და საქართველოში მცხოვრები ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია (ხელმისაწვდომია) მართლმსაჯულება, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ენას ფლობენ ისინი.

კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

5) თარჯიმნის მომსახურებით სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირი სარგებლობს უსასყიდლოდ, ვინაიდან თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (თარჯიმნის მომსახურება) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

მოქმედი კანონმდებლობით არ არის სავალდებულო თარჯიმანი იყოს დიპლომირებული სპეციალისტი. მთავარია ის ფლობდეს სამართალწარმოებისა და იმ პირის ენას, ვისაც ესაჭიროება თარჯიმანი.

6) სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელების პრინციპის დარღვევა განიხილება, როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა არსებითი და უხეში დარღვევა, რაც, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებას.

სამართალწარმოების ენასთან დაკავშირებული საკითხები მოქმედი კანონმდებლობით სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული. 1964 წლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა, რომ სასამართლო დოკუმენტები სამართალწარმოების ენის არმცოდნეთ ჩაბარდებათ იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მათ იციან, ან ჩაბარდებათ მათ მშობლიურ ენაზე.

7. სამოქალაქო პროცესის საქვეყნობა. *(„კარნი სასამართლოისანი გაღებულნი არიან. ხშირად შეხვიდოდე სასამართლოში და ყურს დაუგდებდე, როგორ სწარმოებს სამართალი. თუ შეიტყო, რომ მოსამართლე გონიერად მიუძღვის სამართალსა, აქე, დალოცე, წაახალისე; თუ სიმრუდე რაიმე შეატყო, თამამად გაამტყუნე; ბევრი იყვირე საზოგადოებაში, ესრედი ბეჯითი საზოგადოების ყურადღება მღვიძარედ და ფრთხილად დაიჭერს მოსამართლეთა, და აქითგან საზოგადოებას მიეცემა აღუწერელი და განუზომელი სიკეთე". – ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე)* საქვეყნობა გულისხმობს და მოითხოვს ღიაობას, გამჭირვალობას და ობიექტურობას. სამართალწარმოების ღიაობა და საქვეყნობა, საზოგადოების დროული, კვალიფიციური, ობიექტური ინფორმირება საერთო

იურისდიქციის სასამართლოთა საქმიანობის შესახებ, ხელს უწყობს სასამართლო მოწყობისა და სამართალწარმოების შესახებ საზოგადოების სამართლებრივი ინფორმირებულობის (გათვითცნობიერების) დონის ამაღლებას, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიას, აგრეთვე უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას. ღია სასამართლო განხილვა სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის გაჩენის ერთ–ერთ საშუალებას წარმოადგენს.

საქვეყნოობა სასამართლოსადმი ნდობას უკავშირდება. საქვეყნოობის პრინციპის განხორციელებაში დიდ როლს ასრულებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

სასამართლოს საქმიანობის გაშუქებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმა არსებობს:

1) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაშვება სასამართლოს შენობაში, სადაც განთავსებული უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია;

2) მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლის დასწრება ღია სასამართლო სხდომაზე;

3) მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლის დასწრება სასამართლო აქტის გამოცხადების დროს, როდესაც საქმე განხილული იქნა დახურულ სხდომაზე.

4) მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლის დასწრება მოსამართლეთა ასოციაციისა თუ კონფერენციის სხდომებზე;

5) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თხოვნით საჯარო ინფორმაციის გაცემა სასამართლოების მიერ;

6) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ან სასამართლოს კუთვნილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით სასამართლოთა საქმიანობის გაშუქება;

7) სასამართლოთა წარმომადგენლების, მოსამართლეთა გაერთიანებების ორგანოების მონაწილეობა პრეს-კონფერენციებში, ბრიფინგებსა და სხვა ღონისძიებებში;

8) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაცია სასამართლოებში;

9) სასამართლოთა საქმიანობის საუკეთესო გამშუქებლის გამოსავლენად შემოქმედებითი კონკურსების ჩატარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის და ა.შ. ამ პრინციპის განხორციელება ხდება ღია სასამართლო სხდომების ჩატარების გზით. სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ (კონსტიტუციის 85-ე მუხლი).

სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღია სხდომა დადებითად მოქმედებს როგორც მოსამართლეებზე, ისე საქმის მონაწილეებზე (მათ წარმომადგენლებზე) და სხდომაზე დამსწრე პირებზე იმ თვალსაზრისით, რომ საჯარო კონტროლი ხორციელდება, პირველ რიგში, სასამართლოს საქმიანობაზე, რათა მან დაიცვას სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საქმეთა გადაწყვეტილებას. ამ პრინციპით შესაძლებელი ხდება პირთა უფლებების სათანადოდ დაცვა, სამართალდარღვევის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა (დადგენა), სამართალდარღვევათა პრევენცია და ა.შ. მოცემული პრინციპის დაცვა კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ამ პრინციპის შინაარსი აუცილებელია განვიხილოთ ორ ასპექტში. პირველყოვლისა, პროცესის საქვეყნოობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მსურველს უფლება აქვს თავისუფლად დაესწროს სასამართლო სხდომას, იმყოფებოდეს სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დროს პროცესის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, მათ შორის ამის უფლება

აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ამ პრინციპიდან გამომდინარეობს ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების უფლება, ე.ი. ყოველივე იმისა, რაც სასამართლო სხდომის დარბაზში ხდება, აგრეთვე სტენოგრაფირებისა და აუდიო ჩაწერის უფლება. სხდომის დარბაზში მყოფებს უფლება აქვთ გააკეთონ წერილობითი შენიშვნები (ჩანაწერები) პროცესის შესახებ და მოახდინონ სასამართლო სხდომის დარბაზში ყოველივე მომხდარის ფიქსაცია. ეს შესაძლებლობა მათ შეიძლება ჩამოერთვათ მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის შემთხვევაში (მუხლი 212-ე) და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს ზემოაღნიშნულ უფლებათა შეზღუდვას მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით (საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13 მუხლი და სსსკ-ის მე-9 მუხლი). ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ფიქსაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენება გაართულებს პროცესის წარმოებას.

სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობას ეხება სსსკ-ის მე-9 მუხლი, რომლიდან გამომდინარეც, საქვეყნოობის პრინციპიდან დაიშვება გამონაკლისებიც. ამ მუხლის შესაბამისად, დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია:

1) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით, ანუ იმ მიზნით, რომ სახელმწიფო საიდუმლოება არ გახმაურდეს;

2) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში დახურული სხდომა დაიშვება იმ მიზნით, რომ არ გახმაურდეს ცნობები საქმის მონაწილეთა ცხოვრების ინტიმური მხარეების შესახებ, აგრეთვე ეს დაიშვება შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველყოფის მიზნით.

როგორც ჩანს, სამოქალაქო საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის ორი სახე არსებობს, კერძოდ:

1) ერთ შემთხვევაში, საქმე დახურულ სხდომაზე განიხილება ყველა შემთხვევაში, რადგან ამას უპირობოდ მოითხოვს კანონი და, შესაბამისად, ასეთ დროს დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა სავალდებულოა ანუ არ არის დამოკიდებული სასამართლოს შეხედულებაზე (ინიციატივაზე) ან საქმის მონაწილეთა მოთხოვნაზე და 2) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დაიშვება მხარის ან მისი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით.

მაგალითად, სსსკ-ის 350-ე მუხლის თანახმად, როდესაც უდავო წესით განიხილება შვილად აყვანის საქმე, სასამართლოს, განმცხადებლის თხოვნით, ან თავისი ინიციატივით შეუძლია განიხილოს შვილად აყვანის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე, ხოლო სსსკ-ის 351-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება.[1] ამდენად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შვილად აყვანის საქმეების უპირობოდ დახურულ სხდომაზე განხილვა არ ხდება, თუმცა კი დასაშვებია ამ საქმეთა დახურულ სხდომაზე განხილვა განმცხადებლის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით.

პროცესის საქვეყნოობის მეორე ასპექტი გულისხმობს საქმის მასალების გამოქვეყნების (გამოცხადების) შესაძლებლობას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებებით საუბარი, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინება ხელშეუხებელია. ამ უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც – კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას (კონსტიტუციის მე-20 მუხლი). გარდა ამისა, კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის პატივისა და

[1] ვფიქრობთ, ეჭვს იწვევს აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი, ვინაიდან კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება საქვეყნოდ ცხადდება.

ღირსების ხელშეუვალობა, მათი დაცვის უფლება (კონსტიტუციის მე-17 მუხლი).

მიმოწერისა თუ სატელეფონო შეტყობინებათა საიდუმლოების დაცვის მიზნით, პირადი მიმოწერა და პირადი სატელეფონო შეტყობინებანი შეიძლება განხილული და შემოწმებული იქნეს ღია სასამართლო სხდომაზე მხოლოდ იმ პირთა თანხმობით, რომელთა შორისაც ხდებოდა, ასე ვთქვათ, ინფორმაციის გაცვლა (მიმოწერა თუ სატელეფონო შეტყობინება). წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ ასეთი თანხმობა არ იქნება მიღებული, მაშინ მიმოწერა და სატელეფონო შეტყობინება განიხილება და მოწმდება დახურულ სასამართლო სხდომაზე.

კანონის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე (სსსკ-ის მე-9 მუხლი), სამოქალაქო საქმე აუცილებლად დახურულ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული, თუ საქმის განხილვა ღია სხდომაზე ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. ეს იმიტომ, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოება ეს ინფორმაციის ის სახეობაა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს სხვადასხვა სფეროში (თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში), რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარე სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებანი საქართველოს სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია, სასამართლოს უფლება აქვს საქმე განიხილოს დახურულ სხდომაზე მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის** (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, რომლებითაც გათვალისწინებულია, რომ პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული სასამართლო სხდომაზე (განხილვაზე) მთლიანად ან მის ნაწილზე მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების მოსაზრებებით, აგრეთვე, როცა ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, მკაცრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს.

რაც შეეხება სასამართლოს შენობაში, ასევე სამოქალაქო საქმის განხილვისას მისი ფოტო, კინო, ვიდეო გადაღებას, სტენოგრაფიებს და აუდიო ჩანაწერას, ეს შეიძლება განხორციელდეს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ურგანული კანონით დადგენილი წესით.

ზემოთ დასახელებული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, საცხოვრებლის ხელშეუხებლობისა და კორესპონდენციის (მიმოწერის) საიდუმლოების უფლება.

ამ უფლებების განხორციელებაში დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ჩარევა, გარდა გამონაკლისისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, არეულობებისა და დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნით, ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. რაც შეეხება სასამართლოს შენობაში, ასევე სამოქალაქო საქმის განხილვისას მის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღებას, სტენოგრაფირებას

და აუდიო ჩაწერას, ეს შეიძლება განხორციელდეს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

ზემოთ განხილულ შემთხვევებში, დახურულ სხდომაზე საქმის განხილვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელშიც მან უნდა მიუთითოს ის გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა აუცილებელია. ამ განჩინების გასაჩივრებას კანონი არ უშვებს. განჩინების გამოცხადების შემდეგ, დარბაზში მყოფი ყველა პირი, გარდა კანონით განსაზღვრული პირთა წრისა, ვალდებულია დატოვოს დარბაზი. ყველა სხვა შემთხვევაში (ანუ, როცა საქმე დახურულ სხდომაზე არ განიხილება) დაუშვებელია საზოგადოების გაყვანა დარბაზიდან, თუ ისინი წესრიგს არ არღვევენ.

კანონით განსაზღვრულია პირთა წრე, რომლებიც მონაწილეობენ დახურულ სხდომაზე საქმის განხილვაში. ესენია: მხარეები და მათი წარმომადგენლები, ხოლო თუ ეს აუცილებელია – მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები.

დახურულ სხდომაზე საქმე განიხილება სამართალწარმოების საერთო (ანუ ყველა) წესის დაცვით. ეს იმიტომ, რომ აღნიშნულ წესში (მოთხოვნაში) კანონიერების დაცვის ინტერესია ჩადებული. დახურული სხდომა არ ნიშნავს იმას, რომ არ იქნება დაცული კანონიერება. საქმე დახურულ სხდომაზე განიხილება, სასამართლოს გადაწყვეტილება კი ცხადდება საჯაროდ.

გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებამ არ უნდა გამოიწვიოს იმ ცნობების გახმაურება, რომელთა საიდუმლოების დაცვის მიზნითაც იყო მიღებული დახურულ სხდომაზე საქმის განხილვის გადაწყვეტილება. ამიტომ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობები და სხვა ცნობებიც, რომელთა გახმაურებაც კანონით იკრძალება, არ უნდა აისახოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

8. კანონიერების პრინციპი. საერთოდ კანონიერება იმ საზოგადოების ყოფის ამსახველი მდგომარეობაა, რომელშიც, პირველ ყოვლისა, არსებობს (მოქმედებს) ხარისხიანი, არაწინააღმდეგობრივი (ჰარმონიული) კანონმდებლობა და, მეორე მხრივ, სამართლის ნორმებს (კანონებს) პატივს სცემს და ასრულებს კიდეც ყველა (ხელისუფლების ორგანოები, თანამდებობის პირები, ორგანიზაციები თუ ფიზიკური პირები).[1] ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ პალხოვსკის მიერ ნათქვამ სიტყვებს, რომ: ,,არსებობენ კანონები, რომელთა დარღვევის უფლება თვით კანონმდებელსაც კი არა აქვს, ესენია – ლოგიკის კანონები".[2]

მხოლოდ ის ნორმატიული აქტი შეიძლება გახდეს მოქმედი, რომელიც იურიდიულად დახვეწილი ენითაა დაწერილი და ექვემდებარება ლოგიკის (ანუ საღი აზრის) ნორმებს (კანონებს). მიუღებელია, რომ ნორმატიული აქტის ყოველი მომდევნო სტრიქონი წინას ეწინააღმდეგებოდეს.

კანონიერების მთავარი ნიშან-თვისებაა კანონის უზენაესობა: მიღებულ კანონს თითქოსდა ასხვისებს კანონმდებელი და უკვე თავად ემორჩილება თავისავე შექმნილ კანონს. კანონიერება ეს არის ის, რაც ჩამოყალიბებულია რომის სამართალში: non rex est lex, sed lex est rex – თვითონ კანონი არის მეფე და არა მეფე კანონი. კანონიერება არის თანდაყოლილი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე კანონიერი ინტერესების დაცვა, რაც ხორციელდება კანონით დადგენილი საპროცესო წესით.

კანონის დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დარღვეული ან სადავო უფლებების სათანადო დაცვა კანონით დადგენილი საპროცესო წესით და ასევე განახორციელოს მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაც.

---

[1] Гражданский процесс Учебник под ред. М.К. Треушникова, М., 2001, გვ. 52.

[2] Пальховский А.М., О предварительном аресте неисправимых должников при вексельных взысканиях по Закону 07 марта 1879 г. М., 1879 г. გვ. 15.

სამოქალაქო პროცესი უფლების დაცვის ერთ-ერთი ფორმაა.

კანონიერების პრინციპის შინაარსი, ე.ი. ამ პრინციპის მოთხოვნა სასამართლოსთან მიმართებაში, სასამართლოს საქმიანობაში იმას ნიშნავს და იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლომ ნებისმიერი აქტის მიღებისას თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას სწორად უნდა გამოიყენოს როგორც მატერიალური (რეგულაციური) სამართლის, ისე საპროცესო სამართლის შესაბამისი ნორმები, ე.ი კანონი.

გადაწყვეტილებაში მითითებულ უნდა იქნეს,თუ რომელი კანონის საფუძველზე გადაწყდა ეს კონკრეტული დავა. სასამართლო ვალდებულია საქმე საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტოს. რაც შეეხება ჩვეულებას, მატერიალურ-სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მას მხოლოდ მაშინ გამოიყენებს, თუ იგი სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს არ ეწინააღმდეგება (სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლი).

თუ სამოქალაქო საქმის განხილვის დროს სასამართლო დაადგენს, რომ ერთმანეთს არ შეესაბამება სხვადასხვა იერარქიის მქონე ნორმატიული აქტი,მაშინ იგი გადაწყვეტილებას მიიღებს იმ სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რომელთაც უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვთ (რომლებიც იერარქიით უფრო მაღალი აქტებია). ავტონომიურ რესპუბლიკათა ნორმატიულ აქტებს სასამართლო იყენებს ავტონომიურ რესპუბლიკათა კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებით.

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული წესები.

მატერიალური სამართლის ნორმების შეფარდების საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კანონისა და სამართლის ანალოგიის საკითხი. სასამართლოს სამოქალაქო კოდექსი უფლებას აძლევს სადავო სამოქალაქო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად მიმართოს კანონის ან სამართლის ანალოგიას.

დავების განხილვა და გადაწყვეტა ხდება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. როგორც ცნობილია, ავტონომიურ რესპუბლიკებს არა აქვთ უფლება, მიიღონ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მომწესრიგებელი (საქმის განხილვის პროცედურის განმსაზღვრელი) ნორმები.

ძალზე ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელი, საქართველოს კონსტიტუცია, საერთო სასამართლოების კანონი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავდეს ყველა სამოქალაქო საპროცესო ნორმას. ამიტომ კანონიერების პრინციპის შინაარსის თვალსაზრისით (ამ შინაარსიდან გამომდინარე) აუცილებელია, მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის კანონებში (სამოქალაქო კოდექსში, შრომის კოდექსში) არსებული საპროცესო ნორმები შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებს.

კანონიერების პრინციპის განხორციელება უზრუნველყოფილია მთელი რიგი საპროცესო გარანტიებით. პირველ ყოვლისა, ეს გარანტიებია მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონებისადმი მათი მორჩილება, კანონისა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობა, პროცესის შეჯიბრებითობა, მხარეთა თანასწორუფლებიანობა, საქმის განხილვის საქვეყნოობა, საქმის განხილვის უშუალობა და ა.შ.

გარდა ამისა, კანონმდებელი იმასაც ითვალისწინებს, რომ საქმის განხილვის დროს, შესაძლოა, სასამართლომ დაუშვას შეცდომა, ამიტომ შეცდომის გამოსასწორებლად და კანონიერების აღსადგენად გათვალისწინებულია კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების სტადიები და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმისწარმოების განახლების

სტადია.

ამ პრინციპის განხორციელების სხვა გარანტიებია ასევე ის, რომ სასამართლო ვალდებულია მხარეებს აცნობოს სხდომის დრო და ადგილი; კანონი დასაშვებად მიიჩნევს მოსამართლის (სასამართლოს) აცილებას; მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; კანონი ზუსტად განსაზღვრავს სარჩელის ფორმასა და შინარსს და სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ამომწურავ ჩამონათვალს ითვალისწინებს.

კანონიერების პრინციპის გარანტიის სახით სამოქალაქო პროცესში დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილების წერილობითი ფორმა და დაწვრილებითაა განსაზღვრული მისი შინაარსი (სტრუქტურა).

სამოქალაქო პროცესის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ საქმის განხილვის შედეგად დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და მათ მიმართ სწორად იქნეს შეფარდებული (გამოყენებული) მატერიალური სამართლის ნორმა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის (რომელიც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს ეხება) მე-2 ნაწილში ფაქტობრივად მატერიალური სამართლის ნორმებზეა საუბარი და იმაზე, თუ რა შემთხვევებში ჩაითვლება დარღვეულად სწორედ მატერიალური სამართლის ნორმა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილში ცალკე საუბარია საპროცესო ნორმების დარღვევის შედეგებზე. მატერიალური სამართლის ნორმები დარღვეულად (ან არასწორად გამოყენებულად) ითვლება, თუ სასამართლომ: 1) არ გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; 2) ის კანონი გამოიყენა, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; 3) არასწორად განმარტა კანონი.

იმისათვის, რომ სწორად იქნეს კანონი გამოყენებული, უნდა დადგინდეს, თუ რის საფუძველზე წარმოიშვა, შეიცვალა და შეწყდა მხარეთა უფლება-მოვალეობები, ე.ი. უნდა დადგინდეს იურიდიული ფაქტები.

შემეცნების პროცესი მოიცავს როგორც იმ ფაქტის დადგენას, რომელსაც უკავშირდება მხარეთა უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, ისე სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტის სამართლებრივ შეფასებასაც.[1]

განხორციელებულად არ ჩაითვლება კანონიერების პრინციპი, თუ კონკრეტულ საქმეზე სასამართლომ სრულად და სწორად არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მხარეთა უფლება-მოვალეობები. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ის მტკიცებულებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. კანონით ასევე განსაზღვრულია ამ მტკიცებულებათა წარდგენის, გამოთხოვის, მათი შეფასების წესები.

კანონიერების პრინციპი სამოქალაქო პროცესში ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლომ მკაცრად უნდა დაიცვას კანონით დადგენილი საპროცესო ფორმა, ე.ი. საქმის აღძვრის, პროცესის მონაწილეთა ინფორმირების და დაბარების, საქმის მომზადების, სასამართლო სხდომის წარმართვის, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა გასაჩივრების წესი.

9. დისპოზიციურობის პრინციპი. სამოქალაქო პროცესის მიზანი არის ამა თუ იმ პირის უფლების დაცვა თუ აღდგენა, მაგრამ მხოლოდ მაშინ და იმდენად (იმ ფარგლებში), როდესაც და რამდენადაც ამას მოითხოვს უფლებამოსილი პირი. ყოველი სამოქალაქო უფლების (ფულის გადახდევინება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ვალის პატიება თუ სხვ.) განხორციელება დამოკიდებულია უფლების (მოთხოვნის) მქონე პირის სურვილზე და იმყოფება მის სრულ განკარგულებაში. როდესაც სასამართლო ერევა სამოქალაქო კონფლიქტში მხოლოდ დაინტერესებული პირის თხოვნით და ამ პირის მიერ ნაჩვენებ ფარგლებში, ამას ეწოდება დისპოზიციურობის პრინციპი.

[1] Боннер А.Т. Установление обстоятельств гражданских дел. М., 2000.

ტერმინი „დისპოზიციურობა“ ლათინურია „dispositivus“ და ნიშნავს „განკარგავ“. იურიდიულ მეცნიერებაში ტერმინი „დისპოზიციურობა“ ნიშნავს პირის შესაძლებლობას, თავისი შეხედულებით (თავისუფლად) განკარგოს უფლებები.

დისპოზიციურობის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქმის მონაწილეთ და, პირველ ყოვლისა კი, მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები და აგრეთვე ამ უფლებათა დაცვის საშუალებები.

დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად სამოქალაქო საქმის აღძვრა, სარჩელის საგნისა და საფუძვლის განსაზღვრა, გადაწყვეტილების გასაჩივრება, გადაწყვეტილების აღსრულება დამოკიდებულია მოსარჩელის ნების გამოვლინებაზე. მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის მომზადების სტადიაზე შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა (მუხლი 83-ე). მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე, გამოიხმოს სარჩელი, ხოლო, თავის მხრივ, მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს სარჩელი, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ (მე-3 და 83[1]-ე მუხლები).

დისპოზიციურობის საწყისით გამსჭვალულია მთელი სამოქალაქო სამართალწარმოება კონკრეტული სამოქალაქო საქმის აღძვრიდან დაწყებული სააღსრულებო წარმოებით დამთავრებული. მორიგება დაპირისპირებულ მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგია, ხოლო სარჩელის ცნობა დამოკიდებულია მოპასუხის პოზიციაზე. მხარეები თვითონ ირჩევენ უფლების დაცვის საშუალებებს. სასამართლო თვითონ ვერ აღძრავს სამოქალაქო საქმეს თავისი ინიციატივით, თუ დაინტერესებულმა პირმა არ მიმართა მას სარჩელით (განცხადებით).

სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება მხოლოდ მაშინ, თუ დაინტერესებული პირი გამოხატავს ამის სურვილს (ნებას). ამასთან, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორი: მართალია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი გარანტირებულს ხდის უფლებისა და თავისუფლების სასამართლო წესით დაცვას, მაგრამ კონსტიტუცია უშუალოდ არ ადგენს დაინტერესებული პირის უფლების სასამართლო წესით დაცვის რაიმე კონკრეტულ წესს. დასახელებული კონსტიტუციური უფლებიდან არ გამომდინარეობს პირის მიერ თავისი შეხედულებით უფლებისა და თავისუფლების სასამართლო წესით დაცვის ნებისმიერი საშუალების და პროცედურის არჩევის შესაძლებლობა. უფლების სასამართლო წესით დაცვის საშუალებებისა და პროცედურების თავისებურებები სამართალწარმოების ცალკეული სახისა და ცალკეული კატეგორიის საქმის მიმართ ისევ და ისევ კონსტიტუციიდან გამომდინარე დადგენილია (განსაზღვრულია) მიმდინარე კანონებით. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით დადგენილია იმ პირთა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთაც მინიჭებული აქვთ ქორწინების ბათილობის მოთხოვნის უფლება, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს რაიმე კონსტიტუციური უფლების დარღვევად.

დისპოზიციურობა სამოქალაქო პროცესში განისაზღვრება დისპოზიციურობის პრინციპის არსებობით მატერიალურ (რეგულაციურ) ურთიერთობებში, რომლებიც სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტის ობიექტს წარმოადგენენ.

მაგალითად, სამოქალაქო სამართალში ფიზიკური და იურიდიული პირები სამოქალაქო უფლებებს იძენენ და თავიანთი ნების შესაბამისად და თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ. ფიზიკური და იურიდიული პირები თავისუფლად განსაზღვრავენ (ადგენენ) თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს ხელშეკრულების დადების საფუძველზე და თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ (გაითვალისწინონ) ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა (ხელშეკრულების შინაარსი), თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს (ხელშეკრულების თავისუფლება).

კრედიტორს უფლება აქვს ვალი აპატიოს მოვალეს, რაც მხარეთა შეთანხმებით ვალ-

დებულების შეწყვეტას (სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლი) იწვევს. სამოქალაქო უფლებათა თავისებურება ის არის, რომ სუბიექტები მათ თავისუფლად განკარგავენ, ე.ი. სუბიექტები სარგებლობენ ავტონომიით, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იზღუდება კანონით. თავისი უფლების განხორციელების დროს, ყველა თავისუფალია და თვითონ პირის სურვილზეა დამოკიდებული ისარგებლებს თუ არა სამართლით მინიჭებული შესაძლებლობებით.

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები მხარეთა დისპოზიციურობისა და თანასწორობის შესახებ, მოკლებული იქნებოდა მნიშვნელობას, მათი დაცვა საპროცესო კანონით დადგენილი წესით რომ არ ხორციელდებოდეს. სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურობა წარმოადგენს სამოქალაქო მატერიალური სამართალურთიერთობებისათვის დამახასიათებელი დისპოზიციურობის საწყისის გაგრძელებას[1].

რეგულაციური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი მხარეთა მოქმედებების თავისუფლება (რომელიც მაინც კანონით დადგენილ ფარგლებშია მოქცეული), განსაზღვრავს სამოქალაქო პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის არსსაც.

ყოველ პირს ეძლევა უფლება განახორციელოს ან არ განახორციელოს საკუთარი უფლებები, უარი განაცხადოს მათზე, მოითხოვოს მათი შესრულება შესაბამისი პირებისაგან, ან შეეგუოს თავისი უფლებების დარღვევას.

პრინციპი – vigilantibunon fit injuria – ვისაც სურს განახორციელოს თავისი უფლებები, თვითონვე უნდა იზრუნოს ამაზე, გატარებულია სსსკ-ის მე-2 მუხლში, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლებების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად.

საქმის მონაწილეთა თავისუფლება მატერიალური უფლებებისა და ამ უფლებათა დაცვის საპროცესო საშუალებების განკარგვის საკითხში განპირობებულია საქართველოში პიროვნების თავისუფლებით.

საქმის მონაწილეთ აქვთ ფართო და სხვადასხვაგვარი საპროცესო უფლებამოსილებანი, მაგრამ ამ უფლებამოსილებათაგან მხოლოდ იმათ მოიცავს დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსი, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო საქმიანობის საგანთან და რომელთა განხორციელებაც გავლენას ახდენს პროცესის მოძრაობაზე (მსვლელობაზე).

დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსი მოიცავს უფლებამოსილებებს, რომლებიც დაკავშირებულია მხარეების მიერ მატერიალური სამართლით მათთვის მინიჭებული უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის საპროცესო საშუალებების განკარგვასთან.

დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსი შეიძლება ელემენტებად წარმოვადგინოთ, რის საფუძველზეც იმ საპროცესო უფლებამოსილებებს, რომლებიც დაკავშირებულია მხარეების მიერ მატერიალური უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის საპროცესო საშუალებების განკარგვასთან, უნდა მივაკუთვნოთ შემდეგი ხასიათის უფლებამოსილებანი:

1. საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თვითონ დაინტერესებული პირი იღებს გადაწყვეტილებას, შეიტანოს თუ არა სარჩელი (განცხადება) სასამართლოში, დარღვეული უფლების დასაცავად, თუ მოითმინოს უფლების დარღვევა. სასამართლოს უფლება არა აქვს თავისი ინიციატივით აღძრას სამოქალაქო საქმე, უკეთუ ამას არ მოითხოვს ის, ვისაც ეს საქმე შეეხება. ამიტომ საქმის აღსაძვრელად აუცილებელია განცხადების შეტანა. სსსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც ითხოვს უფლების (კანონიერი ინტერესის) დაცვას, ან მისი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ეს სამართლებრივი დებულება გამოხატული იყო ჯერ კიდევ რომის სამართალში – „ვერ შედგება სასამართლო

[1] ნ. ხოფერია. დისპოზიციურობა საქართველოს მოქმედი სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით. ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", – 1998.

მოსარჩელის გარეშე“ – „nemo judex sine actore“ ან „nemo invitus agere cogitur“ (სურვილის წინააღმდეგ ვერავინ მიიჩნევა მომჩივნადო). და ეს დებულება განმტკიცებულია სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილში. თავის მხრივ, მოპასუხეს უფლება აქვს წარადგინოს შესაგებელი და შეგებებული სარჩელი, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ კერძო საჩივარი.

დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ და დავა გადასაწყვეტად არბიტრაჟს გადასცენ. თუ კანონით დადგენილია ალტერნატიული განსჯადობა მიცემული სახის სარჩელისათვის, მაშინ სასამართლოს ირჩევს მოსარჩელე თავისი შეხედულებით. მხარის განცხადებით, სასამართლოს უფლება აქვს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მიიღოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

2. დაინტერესებული პირის (მოსარჩელის) ნება-სურვილზეა დამოკიდებული სასარჩელო მოთხოვნათა მოცულობის (ფარგლების) და ხასიათის განსაზღვრა. ასეთივე უფლება აქვს მოპასუხესაც, კერძოდ, მას შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი და მასში განსაზღვროს დავის საგანი, მოთხოვნის ხასიათი და მოცულობა. სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით მოსარჩელე განსაზღვრავს სარჩელის (დავის) საგანს და საფუძველს, ასევე მოთხოვნების მოცულობას. მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა. მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ერთმანეთთან დაკავშირებული, ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ. მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი, პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთბაშად (ერთდროულად) შეცვლა ნიშნავს არსებითად ახალი სარჩელის წარდგენას და ამიტომ არ დაიშვება. თითოეულმა მხარემ პროცესის სადავო ობიექტის განკარგვის უფლება ისე უნდა განახორციელოს, რომ მოწინააღმდეგის უფლებები არ შელახოს.

თუ კანონი დაუშვებდა იმას, რომ მოსარჩელეს საქმის პერსპექტივისდა მიხედვით პროცესის ნებისმიერ მომენტში ექნებოდა თავისი სასარჩელო მოთხოვნების შეცვლის შესაძლებლობა, ამითი შეილახებოდა მოწინააღმდეგე მხარის უფლებები (ინტერესები), დაირღვეოდა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ხოლო მოსარჩელეს დაუსაბუთებელი უპირატესობა მიეცემოდა მოპასუხესთან შედარებით.

დაბოლოს, სასამართლო ვერ გასცდება სასარჩელო მოთხოვნათა ფარგლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (ne eat judex ultra petita partium), მაგრამ ნაკლების მიკუთვნება შეუძლია, ან სულ უარის თქმაც.

3. თუ სამოქალაქო უფლებით აღჭურვილ პირს შეუძლია თავისი უფლება განკარგოს სასამართლოში საქმის აღძვრამდე და სასამართლოში საქმის განხილვის (პროცესის) გარეშე, მაშინ მას უფლების განკარგვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს საქმის სასამართლოში განხილვის დროსაც და მაშინაც, როცა უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება და თუნდაც, როდესაც გადაწყვეტილება მოქცეულია აღსასრულებლად. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე, ან გამოიხმოს სარჩელი. ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ. მხარეებს უფლება აქვთ საქმისწარმოება მორიგებით დაამთავრონ.

4. თუ სამოქალაქო უფლებით აღჭურვილი პირი თავისუფალია თავის არჩევანში და მასზეა დამოკიდებული დაიწყოს თუ არ დაიწყოს საქმისწარმოება სასამართლოში (მიმართოს თუ არა სასამართლოს უფლების დასაცავად), ან ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს საქმისწარმოება, იგი ასევე თავისუფლად უნდა განკარგავდეს უფლების (მოთხოვნის)

დაცვის საპროცესო საშუალებებსაც. ეს საპროცესო საშუალებები და სუბიექტის ეს უფლებამოსილებანი მოცემულია სსსკ-ის 83-ე და 83[1]-ე მუხლში. დაინტერესებულ პირზეა დამოკიდებული გაასაჩივროს თუ არა გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო წესით, უარი თქვას თავის საჩივარზე და სხვ.

გადაწყვეტილების გამოტანისა და მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ თვითონ დაინტერესებული პირი წყვეტს, მოითხოვოს თუ არა სააღსრულებო ფურცლის გამოწერა და წარადგინოს თუ არა იგი გადასახდევინებლად (აღსასრულებლად). მას უფლება აქვს უარი თქვას გადახდევინებაზე, ან მორიგება დადოს აღსრულების სტადიაზე.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს უფლება აქვთ გააუქმონ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ საჩივრის საფუძველზე და საჩივრის ფარგლებში. თავისი ხასიათით დისპოზიციურობის პრინციპი სპეციფიკური დარგობრივი პრინციპია იმიტომ, რომ მხოლოდ სამოქალაქო პროცესში შეუძლიათ მხარეებს თავისუფლად განკარგონ სადავო მატერიალური უფლება და ამ უფლების დაცვის საპროცესო საშუალებები, ე.ი. თავიანთი მოქმედებებით გავლენა მოახდინონ პროცესის მსვლელობაზე.

დისპოზიციურ უფლებათა თავისუფლად განკარგვა (განხორციელება) ზღვარდაუდებელი არ არის და ნათქვამი ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს მხარეები არ არიან ვალდებული დაიცვან კანონით დადგენილი საპროცესო ფორმალობები. **მნიშვნელოვანია ისიც, რომ დისპოზიციურ უფლებათა განხორციელება ზოგჯერ სასამართლო აქტითაც უნდა გაფორმდეს ან შესაძლოა დამოკიდებული იყოს მოწინააღმდეგე მხარის ნებაზეც.** მაგალითად, მხარეთა მორიგების ან მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლომ განჩინება უნდა გამოიტანოს საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ. ასევე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს კანონით დადგენილ ვადაში. მთავარ სხდომაზე სარჩელის გამოხმობა მოპასუხის თანხმობაზეა დამოკიდებული და ა.შ.

10. ზეპირობისა და წერილობითობის პრინციპი. სამოქალაქო პროცესი აგებულია ამ ორი საწყისის შეხამებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლო საქმეს იხილავს ზეპირად, ასევე ზეპირია პროცესი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებშიც.

სამართალწარმოება სასამართლოში ხორციელდება წერილობითობისა და ზეპირი ფორმის შეხამებით. პირველ შემთხვევაში საპროცესო მასალები სასამართლოს წარედგინება წერილობით (საპროცესო დოკუმენტების სახით), მეორე შემთხვევაში საპროცესო მასალები სასამართლოს წარედგინება ზეპირად. ერთ შემთხვევაში ხდება მხარეთა შორის წერილობითი შეჯიბრება (დოკუმენტების გაცვლა), მეორე შემთხვევაში — ზეპირი შეჯიბრება. ზეპირობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნათქვამ სიტყვას, გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო ეფუძნება მხოლოდ იმას, რაც ნათქვამი იყო საქმის განხილვისას და კამათის დროს, წერილობითობის დროს კი სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს იმის საფუძველზე, რაც გადმოცემულია დოკუმენტებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ დროს ენიჭება იმას, რაც დაწერილია.

საქმის განხილვა (სასამართლო სხდომა) მიმდინარეობს ზეპირი ფორმით. ეს ნიშნავს, რომ ყველა საპროცესო მასალა (ფაქტები და მტკიცებულებები), რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სასამართლო საქმის გადაწყვეტისას, სასამართლო სხდომაზე ზეპირი ფორმით უნდა გადმოიცეს.

მოსამართლე (თავმჯდომარე) ზეპირი ფორმით ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე იქნება განხილული. სასამართლო სხდომის მდივანი მოახსენებს (ამოწმებს) საქმის მონაწილეთა გამოცხადების საკითხს. მოსამართლე ზეპირად განუმარტავს მხარეებს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. მხარეები და პროცესის სხვა მონაწილენი ახსნა-განმარტებებსა და ჩვენებებს იძლევიან ზეპირად, რის შემდეგაც

მათი განხილვა ხდება ზეპირად, ყველა წერილობითი მასალა (მხარეთა წერილობითი განცხადებები, სასარჩელო განცხადება, წერილობითი მტკიცებულებები, ექსპერტთა დასკვნები და ა.შ.) აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს. მოსამართლე მხარეებს და მხარეები კი ურთიერთს შეკითხვებს უსვამენ ზეპირი ფორმით, რაც შეიტანება ოქმში, სასამართლო ისმენს მხარეთა პაექრობის დროს წარმოთქმულ სიტყვებს.

ზეპირობას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ზეპირი ფორმა სასამართლოსა და საქმის მონაწილეთ უადვილებს მტკიცებულებათა უშუალოდ აღქმას, აჩქარებს საქმის განხილვის პროცესს. როცა მხარეებს პირადი ურთიერთობა (კონტაქტი) აქვთ ერთმანეთთან და სასამართლოსთან, იოლდება საქმეში არსებული მტკიცებულებების აღქმა და შესაძლებელი ხდება კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. პროცესის მონაწილეთა შორის ურთიერთობის ასეთი ზეპირი ფორმა უფრო ეფექტიანს ხდის დავის გადაწყვეტის პროცესში მხარეთა შეჯიბრებას (შებრძოლებას).

პროცესის მონაწილეებთან სასამართლოს ურთიერთობა (კონტაქტი) ზეპირად უნდა ხდებოდეს, იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმით წარედგინა სასამართლოს საქმის მასალები.

რაც შეეხება წერილობით ფორმას, ზოგიერთი საპროცესო მოქმედება მხოლოდ წერილობით უნდა შესრულდეს, მაგალითად, სასარჩელო განცხადება, რომელიც ძირითადი საპროცესო დოკუმენტია, სასამართლოში შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს წერილობითი ფორმით. ამავე ფორმით შეიტანება სააპელაციო, საკასაციო და კერძო საჩივარი. და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ძალზე მნიშვნელოვანი როლი მტკიცებულებათა შორის აქვთ წერილობით მტკიცებულებებს (დოკუმენტებს). მხარეთა მორიგება წერილობითი სახით იდება. საქმის მომზადების სტადიაზე მხარეთა შორის ფაქტობრივად წერილობითი შეჯიბრება ხდება.

ზოგიერთი საპროცესო მოქმედება შეიძლება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით შესრულდეს. მაგალითად, სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებმა შუამდგომლობები შეიძლება განაცხადონ როგორც ზეპირად, ისე წერილობით. მთავარ სხდომაზე კი შუამდგომლობა სასამართლოს წერილობითი ფორმით უნდა წარუდგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებით გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე (სსსკ-ის 215-ე მუხლი). მხარეებს უფლება აქვთ სასამართლოს ზეპირად ან წერილობით წარუდგინონ შეკითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა.

11. უშუალობის პრინციპი. ზეპირი (სიტყვიერი) წარმოების წესთან დაკავშირებულია უშუალობის პრინციპი. ამასთან, ზეპირი წარმოების პრინციპი და უშუალობის პრინციპი ერთი და იგივე არ არის. მაგალითად, როდესაც საქმეში გასარკვევია, მწარეა თუ არა სადავო ფქვილი, მოსამართლეს შეუძლია ამაში დარწმუნდეს პირადად ფქვილის გასინჯვით. უშუალობა იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლომ უშუალოდ (ანუ პირველწყაროდან) უნდა აღიქვას სადავო ფაქტების გამოსავლენი ცნობები. თუ ადგილობრივ დასათვალიერებელია რაიმე, პირადად უნდა ნახოს. უშუალობის პრინციპს საფუძვლად უდევს ის იდეა, რომ, როდესაც საქმის განმხილველ სასამართლოსა და იმ წყაროს შორის, საიდანაც ცნობებია მისაღები, ამართულია ცნობების გადამცემი ინსტანციები, მაშინ შეცდომის შესაძლებლობა მით უფრო დიდია, რამდენადაც მეტია ეს ინსტანციები. როდესაც სასამართლო პირადად გამოჰკითხავს მხარეებს ან მოწმეებს, მათი სახის გამომეტყველება, კილო, ჟესტიკულაცია, ყოყმანი და ბევრი სხვა რამ, რაც თან სდევს განმარტებასა თუ ჩვენების მიცემას, ხშირად საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, სიმართლეს ამბობს თუ ცრუობს ესა თუ ის პირი. პირიქით, ასეთი ეფექტი ქრება, როდესაც, ვთქვათ, მოწმე დაკითხულია სხვა სასამართლოს მიერ და სასამართლო გაეცნობა მის ჩვენებას ოქმის საშუალებით. ეს პრინციპი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა აღქმის საშუალებებსა და მეთოდებს.

მოცემული პრინციპის თანახმად, მტკიცებულებები სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს უშუალოდ, უშუალო აღქმის საფუძველზე. მოსამართლეებმა პირადად უნდა აღიქვან საქმეში არსებული მასალები, ხოლო ეს ხელს უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო სხდომაზე შემოწმებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს. უშუალობის საწყისი შემდეგი ფორმულით შეიძლება გამოიხატოს: სასამართლომ მტკიცებულებათა პირადი გაცნობის (შემოწმების) საფუძველზე უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირველად მტკიცებულებებს ნაწარმოებ მტკიცებულებებთან შედარებით.

სასამართლო პირადად უნდა გაეცნოს მტკიცებულებებს და არა სხვა პირთა მეშვეობით.

პირველი ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვის დროს ვალდებულია უშუალოდ გამოიკვლიოს მტკიცებულებები (მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა დასკვნები, გაეცნოს წერილობით მტკიცებულებებს, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები).

უშუალობის პრინციპს, თუ მისი შინაარსიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ორი მხარე გააჩნია, კერძოდ: სუბიექტური და ობიექტური.

სუბიექტური მხრივ უშუალობა იმაში მდგომარეობს, რომ საქმის განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია პირადად, ე.ი. უშუალოდ გამოიკვლიოს მტკიცებულებები, ანუ უშუალოდ მოისმინოს მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა დასკვნები, გაეცნოს წერილობით მტკიცებულებებს, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები.

ობიექტური მხრივ უშუალობა მდგომარეობს იმაში, რომ თვითონ გამოსაკვლევი მტკიცებულებები, როგორც წესი, უნდა მომდინარეობდეს პირველწყაროდან. უშუალოდ უნდა ასახავდეს მის მიერ დადასტურებულ ფაქტებს. თუმცა დასაშვებია დოკუმენტების ასლებისა და დოკუმენტებიდან ამონაწერების წარდგენაც. ამდენად, უშუალობის პრინციპი არ კრძალავს ნაწარმოები მტკიცებულებების გამოყენებასაც, თუ არ არსებობს პირველადი მტკიცებულებები.

თუ საქმისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოლ დოკუმენტის ნაწილს, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერი აღნიშნული დოკუმენტიდან.

დოკუმენტების დედნები წარდგენილ უნდა იქნეს, როცა კანონმდებლობის თანახმად, საქმის გარემოებები მხოლოდ დედანი-დოკუმენტებით უნდა იქნეს დადასტურებული.

უშუალობის საწყისი საქმის გარემოებების შესახებ სწორი ცნობების მიღების ეფექტური საშუალებაა. სასამართლო ამ დროს უშუალო კონტაქტს ამყარებს მტკიცებულების წყაროსთან, პირადად ისმენს მხარეთა ახსნა-განმარტებებს, დაჰკითხავს მხარეებს, მოწმეებს. ამით სასამართლოს შესაძლებლობა აქვს ქმედითად, აქტიურად შეამოწმოს წარმოდგენილი მასალები. უშუალობის საწყისს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევისა და განხილვის დროს (სასამართლო პირადად კითხულობს წერილობით მტკიცებულებებს, ათვალიერებს ნივთიერ მტკიცებულებებს, შეისწავლის აღნიშნულ მტკიცებულებებს მათი ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით).

ამრიგად, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1) სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ იმ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც გამოკვლეული იყო უშუალოდ მის მიერ, სასამართლო სხდომაზე, იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ იქნება გადაწყვეტილება დასაბუთებული;

2) საქმის გარემოებათა გამოკვლევის დროს შესაბამისი მტკიცებულებები სასამართლომ უნდა მიიღოს პირველწყაროდან – უშუალო წყაროდან. სწორედ მაშინ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ობიექტური გადაწყვეტილების მიღება, როცა სასამართლომ უშუალოდ (პირადად) აღიქვა საქმისათვის აუცილებელი მტკიცებულებები.

3) სასამართლოს უნდა წარედგინოს პირველადი მტკიცებულებები, რომლებითაც პირველ რიგში უნდა ისარგებლოს სასამართლომ.

მაგრამ რაოდენ აუცილებელი და მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს უშუალობის პრინციპით სარგებლობა, ამ პრინციპის განხორციელება (დაცვა) ყოველთვის როდია შესაძლებელი. ცალკეულ შემთხვევებში მტკიცებულებათა უშუალოდ აღქმა სასამართლოს მიერ შეუძლებელი ანდა მიზანშეუწონელია. ამიტომ უშუალობის საწყისიდან კანონი უშვებს რამდენიმე გამონაკლისს. კერძოდ:

1) პირველი, როცა მტკიცებულებები სხვა ქალაქში ან რაიონშია, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, უშუალოდ (პირადად) აღიქვას (შეამოწმოს) ისინი. ამ შემთხვევაში საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია დასაბუთებული განჩინებით მტკიცებულებათა შეგროვება (შემოწმება) და უშუალოდ გამოკვლევა (მოწმის დაკითხვა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ.) დაავალოს იმ სასამართლოს, რომლისთვისაც ტერიტორიულად უფრო მოსახერხებელია, ხოლო თვითონ კი იყენებს დავალების შესრულების დროს შეკრებილ ყველა მასალასა და ოქმს (სსსკ-ის 107-ე და 108-ე მუხლები);

2) სასამართლო ზოგჯერ იყენებს დაკითხვისა და დათვალიერების ოქმებს, რომლებიც შედგენილია მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით. ამ შემთხვევაში სასამართლოს უშუალო გამოკვლევის ობიექტი ხდება მხოლოდ ოქმები (მაგალითად, დათვალიერების ოქმი), რომლებიც ქვეყნდება სასამართლოს სხდომაზე;

საქმე იმაშია, რომ სასამართლოში საქმის აღძვრამდე (საქმის განხილვა-გადაწყვეტამდე) შეიძლება შეიქმნას იმის საფრთხე, რომ საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება (მაგალითად, მოწმე მივლინებით წავა საზღვარგარეთ, რის გამოც ძნელი ან შეუძლებელი გახდება მისი დაკითხვა, ან, ვთქვათ, მალფუჭებადი საქონელი უვარგისი გახდება და ა.შ.). ამ შემთხვევაში სასამართლო იღებს ზომებს მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად, ხოლო შემდეგ სასამართლო სხდომაზე გამოიყენება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი მტკიცებულებები. ვთქვათ, მოწმეთა დაკითხვის, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების ოქმები (სსსკ-ის 109-119-ე მუხლები).

3) უშუალობის პრინციპის გატარება ზოგჯერ შეუძლებელია საკასაციო ინსტანციაში, რომელიც ამოწმებს გადაწყვეტილების (საქმის) იურიდიულ მხარეს უმთავრესად საქმეში უკვე არსებული წერილობითი მასალის მიხედვით ე.ი. შეუძლია საქმის განხილვა ზეპირი განხილვის გარეშე (სსსკ-ის 408-ე მუხლი).

12. სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა. სსსკ-ის მე-10 მუხლში ფართო გაგებითაა მოაზრებული ყველა სახის დადგენილება, რომელთაც საერთო იურისდიქციის სასამართლო იღებს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს სამართალწარმოების ყველა სახესა და ნებისმიერ ინსტანციაში. სასამართლო დადგენილება, როგორც ფართო ცნება, მოიცავს სასამართლოს (გადახდის) ბრძანებას, გადაწყვეტილებას (სსსკ-ის 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებას (284-ე მუხლი), სააპელაციო (სსსკ-ის 390-ე მუხლი) და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებას, საქმის განახლების თაობაზე მიღებულ განჩინებას; სასამართლო დადგენილებას, აგრეთვე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სხვადასხვა პროცედურული საკითხის თაობაზე მიღებული განჩინებას, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება.

„აღნიშნული მუხლის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ნორმას, ქცევის წესს, რომლის შესრულება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სავალდებულოა. ასეთი გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე მიღებული აქტის (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ნოტარიუსის მიერ ცვლილებები იყო შეტანილი სამკვიდრო მოწმობაში) გათვალისწინება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული გადასაწყვეტ

დავასთან,ასევე სავალდებულოა სასამართლოსათვის (სუსგ 2002 წ. №7,გვ. 1112)". სხვა საქმეზე კი მითითებულია:,,სსსკ-ის მე-10 მუხლით კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა და ის უნდა შესრულდეს,ე.ი. მხარეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოეშობა მისი შესრულების ვალდებულება (სუსგ 2002 წ. №2,გვ. 254-255)".

სამოქალაქო საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილების სავალდებულობა ნიშნავს,რომ ყველა სუბიექტი საქართველოს ტერიტორიაზე ვალდებულია თავისი ქცევა შეუსაბამოს სასამართლოს დასკვნებს,რომლებიც ასახულია მის მიერ გადაწყვეტილი სამართალურთიერთობის თაობაზე მიღებულ აქტში,უსიტყვოდ დაემორჩილონ მას ამ სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის დროს. დადგენილება მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხოლოდ სსსკ-ით დადგენილ შემთხვევაში და წესით (სსსკ-ის 265-ე მუხლი). ამის მხოლოდ ორი შესაძლებლობაა კანონით დადგენილი (იხილეთ სსსკ-ის 421-ე მუხლი).

თუ დაინტერესებული პირები მიმართავენ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს,მაშინ ეს ორგანოები ვალდებული არიან შეასრულონ მოქმედებები სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით განსაზღვრული უფლებების რეგისტრაციისა და გაფორმებისათვის,ხელი შეუწყონ მის შესრულებას (აღსრულებას). სასამართლოს დადგენილება მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოვალემ ნებაყოფლობით უნდა შეასრულოს,ხოლო მის მიერ ამ ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების შემთხვევაში,ის შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით.

სასამართლო დადგენილების იმ პირთათვის სავალდებულობის ფარგლები,რომლებიც არ მონაწილეობენ საქმეში,სხვადასხვაა,ამ დადგენილების სახისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საკითხის ხასიათის მიხედვით. მაგალითად,სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთრების უფლების ცნობის (აღიარების) შესახებ კონკრეტული პირის სასარგებლოდ, სავალდებულოა ყველა პირისა და ორგანოსათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ზოგჯერ მის ფარგლებს გარეთაც. საქმის გადადებისა და ახალი სასამართლო განხილვის დროის დანიშვნის შესახებ განჩინება კი საქმის მონაწილეთა გარდა სავალდებულოა თვით სასამართლოსათვის,მისი თანამდებობის პირებისა და თანამშრომლებისათვის, აგრეთვე იმ პირთათვის,რომლებიც ეხმარებიან მართლმსაჯულებას (თარჯიმანი,მოწმე და ა.შ.).

მოსამართლის,რომელიც საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს მოქმედებს შესაბამისი სასამართლოს სახელით,ყველა მოქმედება როდი ფორმდება დადგენილების სახით, თუ საპროცესო კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ეს მოქმედებები არ არის დაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივი ან იმ საპროცესო საკითხების გადაწყვეტასთან,რომლებიც გავლენას ახდენენ საქმის მოძრაობაზე,ისინი შეიძლება გაფორმდნენ წერილობითი ან სასამართლო სხდომის ოქმში შეტანილი ზეპირი განკარგულებების,მოთხოვნების,დავალებების,დაბარების და სხვა მიმართვების სახით. მაგალითად,სასამართლო განხილვიდან ყოველივე იმის ამოღება,რასაც არა აქვს კავშირი განსახილველ საქმესთან,ხორციელდება თავმჯდომარის ზეპირი განკარგულებით,რომელიც შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში (სსსკ-ის 288-ე მუხლის ,,ზ" პუნქტი). იმ პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვა,ვისთანაც ის იმყოფება,ხორციელდება სასამართლოს წერილობითი მოთხოვნით (მიმართვით).

სასამართლოს კანონიერი განკარგულებანი,მოთხოვნები,დავალებები,დაბარება და სხვა მიმართვები სავალდებულოა იმ პირთათვის,რომელთა მიმართაც ისინია მიმართული და უნდა შესრულდეს. შესაბამისი სასამართლო აქტი კანონიერი იქნება,თუ ის გამოტანილია

საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

სასამართლოს (ან მოსამართლის) აშკარად უკანონო განკარგულებანი, მოთხოვნები და სხვა მიმართვები სავალდებულო არ არის და არ უნდა შესრულდეს. მაგალითად, არ უნდა შესრულდეს მოსამართლის ზეპირი ან წერილობითი მიმართვა ბანკის ადმინისტრაციისადმი, საქმის განხილვამდე (გადაწყვეტამდე) შეაჩეროს მოპასუხის ფულად საშუალებებთან დაკავშირებული ოპერაციები, რამეთუ სარჩელის უზრნველყოფის კონკრეტული ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმის მონაწილეთა განცხადებით მხოლოდ სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (სსსკ-ის 194-ე მუხლი).

კანონებით (სისხლის, ადმინისტრაციული, საპროცესო და სხვა) გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა სასამართლო დადგენილების, კანონიერი განკარგულების, მოთხოვნის, დავალების, დაბარების და სასამართლოს სხვა მიმართვის შეუსრულებლობისათვის, რომელსაც კანონმდებელი მიიჩნევს სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოვლენის სახესხვაობად (მაგალითად, იხილეთ სსსკ-ის 212-ე მუხლი).

მხარეებმა და საქმის მონაწილე სხვა პირებმა, აგრეთვე მათმა უფლებამონაცვლეებმა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა მათი, ე.ი. ამ სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, არ შეიძლება სადავო გახადონ სხვა პროცესში. მაგრამ სხვა დაინტერესებულ პირს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმეში და მიაჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება შეეხო მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს დავის არსებითად განხილვა და გადაწყვეტა.

სხვა ქვეყნის სასამართლო დადგენილების ცნობა და აღსრულება საქართველოში ხდება, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.

§3. სამართლებრივი (იურიდიული) აქსიომები სამოქალაქო სამართალწარმოებაში

სამოქალაქო პროცესის არსს საპროცესო პრინციპებთან ერთად განსაზღვრავენ სამართლებრივი (იურიდიული) აქსიომებიც.[1] აქსიომები წარმოადგენენ ამოსავალ და უცილობელ (უდავო) ჭეშმარიტებებს, რომლებიც განმტკიცებულია საპროცესო ნორმებში.[2] ისინი თავისთავად ცხადი დებულებებია.

მათი სისწორე მრავალგზის შემოწმებული და დადასტურებულია (დამტკიცებულია) იურიდიული პრაქტიკის მიერ (იურიდიული პრაქტიკით).

აქსიომების გარეშე სამოქალაქო იურისდიქცია არსებითად გართულებული იქნება. მაგალითად, იმ აქსიომატური წესის გარეშე, რომელიც მხარეს ათავისუფლებს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების მტკიცების მოვალეობისაგან, სასამართლო შემეცნება გაუმართლებლად გადატვირთული იქნებოდა, ხოლო იმ აქსიომის გარეშე, რომელიც კრძალავს იგივეობრივი

[1] აქსიომა (ბერძნ. axióma – აღიარებული დებულება), დებულება, რომლის ჭეშმარიტება თავისთავად ცხადია, უეჭველია და დასაბუთება (ანუ მტკიცებულება) არ სჭირდება (ეს არის ამოსავალი დებულება, რომელიც მტკიცებულებების გარეშე გამოიყენება). ტერმინი „აქსიომა" არისტოტელეს ეკუთვნის. მის დროს ეს ტერმინი მეცნიერებიდან სასაუბრო ენაშიც შევიდა, როგორც თავისთავად ცხადი დებულების სინონიმი. იხ. ქსე, თბ., 1977 წ. ტ. 2, გვ. 40.

[2] Чечина Н.А. Основные направления развития науки советского гражданского процессуального права. Л., 1987, გვ. 88-90.

მოთხოვნების წარდგენას, საქმისწარმოება დინამიკურად ვერ განვითარდებოდა.

სამართლებრივი აქსიომები[1] – ეს იურიდიული მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის განსაზღვრული პოსტულატებია, რომლებიც გამოხატავენ საკაცობრიო მორალსა და სამართლიანობას. აქსიომები განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (მაგალითად, 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 106-ე მუხლის „ა" პუნქტი, 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტი და სხვ).

სამოქალაქო საპროცესო პრინციპებისაგან განსხვავებით, აქსიომები მოიცავენ სამართალწარმოების საკაცობრიო მხარეს და ზეეროვნული (ზენაციონალური) ხასიათი გააჩნიათ. მრავალი აქსიომა თანამედროვე სამართალმცოდნეობაში შევიდა იურიდიული ანდაზის სახით და ასევე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაშიც არსებობს. მაგალითად, უმოსარჩელეოდ არც მოსამართლეო; არავინ არ შეიძლება იყოს მოსამართლედ თავის საქმეში; სადაც არსებობს უფლება, იქ არსებობს მისი დაცვაც; სამართლებრივი ფორმალობები აუცილებლად უნდა იქნეს დაცული და სხვ.

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში არსებული აქსიომების დამახასიათებელი ნიშანი მათ მემკვიდრეობითობაში მდგომარეობს. მაგალითად, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის (ვალდებულების) განაწილების წესი, ცნობილი იყო 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისათვის. მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ეს წესი განმტკიცებულია 102-ე მუხლის 1-ლ ნაწილში.

---

[1] იურიდიული აქსიომების შესახებ საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული პროფ. ს. ჯორბენაძეს. იხილეთ: ს. ჯორბენაძე, იურიდიული აქსიომები. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1986. №5, გვ. 26-32.

თავი VI

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება

ადამიანთა საზოგადოების წევრებს შორის, რომელსაც ასევე სოციუმსაც უწოდებენ, არსებობს განსაზღვრული კავშირები, ურთიერთობები. ეს ურთიერთობები (კავშირები) სრულიად სხვადასხვა სახისაა – ნათესაური, მეგობრული, მეზობლური, სიყვარულიდან გამომდინარე, რელიგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ა.შ.

ზემოთ მითითებული ურთიერთობები წესრიგდება სხვადასხვა წესების, ნორმების, ობიექტური კანონზომიერებების მეშვეობით; მაგალითად, ეკონომიკური ურთიერთობები წესრიგდება ბაზრის კანონებით; მეგობრული და მეზობლური – ზნეობის ნორმებით, რელიგიური – რელიგიური პოსტულატებით, სიყვარულიდან გამომდინარე და ნათესაური ურთიერთობები – ბუნების კანონებით, მაგრამ ყველა ეს ურთიერთობა საზოგადოებრივი ურთიერთობაა.

თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგდეს იურიდიული ნორმებითაც. მაშინ ისინი უკვე სამართლებრივ ურთიერთობებად გადაიქცევა.

ურთიერთობათა ამგვარი ტრანსფორმაცია ხატოვნად ჩამოაყალიბა პროფ. იოფემ. რის მაგალითადაც მან დაასახელა ნათესაური ურთიერთობები. ნათესაურ ურთიერთობებში ყოველთვის როდი აქვთ ამ ურთიერთობათა მონაწილეებს იურიდიული უფლებები და მოვალეობები. მაგრამ შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში ამ ურთიერთობებმა, შესაძლოა, იურიდიული ელფერი შეიძინოს. მაგალითად, პაპა და შვილიშვილი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მეორე ხარისხის ნათესაობით, იურიდიულ ურთიერთობებში ერთმანეთის მიმართ არაფრით არ არიან ვალდებულნი – მათი კავშირი მხოლოდ ნათესაურ (ბუნებრივ) ხასიათს ატარებს. მაგრამ ამ ნათესაობის ფაქტმა თვითონ შეიძლება წარმოშვას ახალი, სამართლებრივი კავშირიც ამ პირებს შორის, თუ სახეზე იქნება კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებებიც, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შვილიშვილი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო პაპა და ბებია, თუ ისინი დახმარებას საჭიროებენ და მათ არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ თავისი შვილისაგან ან ერთმანეთისაგან. ამის შედეგად კი, ნათესაური ურთიერთობების მთელი კომპლექსი შეივსო ახალი სახის ურთიერთობით, რომელიც უკვე სამართლებრივ ხასიათს ატარებს. შვილიშვილს, რა თქმა უნდა, შეეძლო ისედაც დახმარებოდა მატერიალურად პაპას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ნათესაობის ფაქტს და, აქედან გამომდინარე, ზნეობრივ ვალდებულებებს, მოკლებული იქნებოდა იურიდიულ ძალას (არ ექნებოდა ასეთი ძალა) და არ ექნებოდა ის სიმტკიცე, რაც ახასიათებთ სამართლებრივ ურთიერთობებს.[1]

ამრიგად, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ როგორც კანონით, ე.ი. სამართლებრივი ნორმებით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების მქონე სუბიექტები, გარანტირებულია ამ სამართლებრივი ნორმებით და წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების ცნება და არსი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცენტრალური საკითხებია.

სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლოსა და პროცესის მონაწილეთა შორის წარმოიშობა საზოგადოებრივი ურთიერთობები. ეს ურთიერთობები

[1] Иоффе И.О. Правовые отношения по советскому гражданскому праву. М., 2000, გვ. 519-527.

მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით და სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები სამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი სახეა და ამიტომ ამ ურთიერთობებს სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები ახასიათებთ. ეს ნიშნებია: ისინი წარმოიშობა და არსებობს კონკრეტულ პირებს შორის; იურიდიულად ამაგრებს მათ მონაწილეთა ურთიერთმოქმედებებს; უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით; წარმოიშობა და არსებობს სამართლის ნორმის საფუძველზე.

რაც შეეხება საკუთრივ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებს, მათ თავისებურებებს, აქ უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება (პროცესი) საზოგადოებრივი საქმიანობის სპეციფიკური სფეროა, ამიტომ ამ სფეროში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებსაც (საპროცესო ურთიერთობებს) თავისებურება და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია, რაც შემდეგში ვლინდება:

1) სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა საფუძველზე და არსებობს მხოლოდ ორ სუბიექტს შორის, კერძოდ, ერთი მხრივ სასამართლოსა და, მეორეს მხრივ, პროცესის სუბიექტებს შორის ასეთი სქემით: სასამართლო –> მოსარჩელე, სასამართლო –> მოპასუხე, სასამართლო –> მესამე პირი, სასამართლო –> მოწმე, ექსპერტი და ა.შ.

2) როგორც ჩანს, სასამართლო საპროცესო ურთიერთობების სავალდებულო სუბიექტია. სასამართლოს გარეშე საპროცესო ურთიერთობები არ წარმოიშობა და არ შეიძლება არსებობდეს. მხარეები, მესამე პირები და პროცესის სხვა მონაწილეები (მოწმეები, ექსპერტები, თარჯიმნები, სპეციალისტები) საპროცესო ურთიერთობებში ერთმანეთთან არ იმყოფებიან, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი პროცესის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ არ ანიჭებს რაიმე უფლებებს და არ აკისრებს რაიმე მოვალეობებს. მხარეები თვით წარმომადგენელთანაც კი არ იმყოფებიან საპროცესო ურთიერთობებში (წარმომადგენელსა და მხარეს შორის წარმოიშობა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა) და იმდენად, რამდენადაც ერთმანეთის მიმართ მოდავე მხარეებს (პროცესის მონაწილეებს) არ აკისრიათ სამოქალაქო საპროცესო ვალდებულებები, კანონით არ არის გათვალისწინებული არც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის. თითოეული მხარე საპროცესო ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტია: სასამართლო –> მოსარჩელე, სასამართლო –> მოპასუხე.

საპროცესო ურთიერთობების ეს თავისებურება იმით აიხსნება, რომ მთავარი როლი სამოქალაქო პროცესის (სამართალწარმოების) ამოცანების შესრულების საკითხში სწორედ სასამართლოს აქვს მიკუთვნებული. სასამართლო ხელისუფლების ორგანოა. სწორედ სასამართლოა ვალდებული განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს საქმე (მატერიალურ-სამართლებრივი დავა). ამიტომ პროცესში სასამართლოს მიკუთვნებული აქვს ხელმძღვანელი როლი. კერძოდ: სასამართლოს მითითებები უპირობოდ სავალდებულოა სამოქალაქო პროცესის ყველა მონაწილისათვის. თავის მხრივ, მხარეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სასამართლოს აქტები, მაგრამ მათ უფლება არა აქვთ მოახდინონ ამ აქტების იგნორირება, არ შეასრულონ სასამართლოს მოთხოვნა. სასამართლო წარმართავს პროცესის ყველა მონაწილის მოქმედებას, უზრუნველყოფს მათ მიერ საპროცესო უფლება-მოვალეობათა შესრულებას, წყვეტს საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხს, გამოაქვს სასამართლო დადგენილებები. ამიტომ არის, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებს საჯარო-სამართლებრივი ხასიათი აქვთ. ეს ურთიერთობა არის, ერთი მხრივ, სახელმწიფოს (სასამართლოს სახით) და, მეორე მხრივ, იმ

პირთა ურთიერთკავშირი, რომლებმაც მიმართეს სახელმწიფოს (სასამართლოს) უფლების დასაცავად. იმდენად, რამდენადაც სასამართლო ხელისუფლების ორგანოა, მისი უფლებამოსილებანიც პროცესის სხვა მონაწილეთა და სამართლის სხვა სუბიექტთა მიმართ, ხელისუფლებით ხასიათს ატარებს. პირველ ყოვლისა, ხელისუფლებითი ხასიათით განსხვავდება საპროცესო ურთიერთობებო სამოქალაქო, შრომითი და სხვა მატერიალური ურთიერთობებისაგან, რომელთაც ახასიათებთ ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა, მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები თანასწორნი არიან ერთმანეთის მიმართ. მათ შეუძლიათ თავიანთი მოქმედებებით შეიძინონ და განახორციელონ თავიანთი უფლებები, იკისრონ ვალდებულებანი და შეასრულონ კიდეც ისინი, მაგრამ, ამასთან, ერთმანეთს არ ექვემდებარებიან.

სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში ასეთი თანასწორობა არ არსებობს, ვინაიდან ეს ურთიერთობები ხელისუფლებისა და დაქვემდებარების ურთიერთობებია. ამ ურთიერთობებში სასამართლო აღჭურვილია ხელისუფლებითი უფლებამოსილებებით, ამ ურთიერთობის სხვა სუბიექტებს კი ასეთი უფლებამოსილებანი არ გააჩნიათ. ის, რომ სასამართლო აღჭურვილია ხელისუფლებითი უფლებამოსილებით, არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს აქვს მხოლოდ უფლება, ხოლო პროცესის ყველა დანარჩენ მონაწილეს – მოვალეობები. სასამართლოს, პროცესის სხვა მონაწილეთა მიმართ მოვალეობებიც აკისრია. კანონი სასამართლოსათვისაც ადგენს ნებადართული მოქმედების ფარგლებს. მაგალითად, სასამართლო ვალდებულია მიიღოს სასარჩელო განცხადება, თუ ის კანონით დადგენილი წესითაა შეტანილი; სასამართლო ვალდებულია განიხილოს და დააკმაყოფილოს დასაბუთებული შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულებათა დართვის შესახებ და სხვ. თუმცა სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიმართ არ არის დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, არავის განკარგულებებს არ ასრულებს. ის თვითონ იძლევა განკარგულებებს. მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს ემორჩილება.

სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა საპროცესო უფლება-მოვალეობები დადგენილია საპროცესო სამართლის ნორმებით და ეს უფლება-მოვალეობები ურთიერთდაკავშირებულია.

3) სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებს მხოლოდ სამართლებრივი ხასიათი აქვს და მხოლოდ სამართლებრივი ფორმით არსებობს (შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც სამართლებრივი ურთიერთობა). ამ ნიშნით ისინი აგრეთვე განსხვავდებიან მატერიალური ურთიერთობებისაგან, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ არა მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის ფორმით, არამედ ფაქტობრივი, ე.ი. ისეთი ურთიერთობების ფორმით, რომლებიც არ არის მოწესრიგებული სამართლის ნორმებით.

საპროცესო ურთიერთობები არ შეიძლება არსებობდეს ფაქტობრივი ურთიერთობების სახით. ე.ი. ისეთი ურთიერთობების სახით, რომლებიც არ არის მოწესრიგებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით. მაგალითად, საოჯახო ურთიერთობები წარმოიშობა და არსებობს სამართლებრივი მოწესრიგებისდა მიუხედავად. საპროცესო ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ფორმის გარეშე, ხოლო არ არის გამორიცხული, საპროცესო კანონის გამოყენება ანალოგიით.

4) სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მრავალსუბიექტურობა. მაგალითად, სასარჩელო წარმოების საქმეებში სასამართლოსთან ერთად მონაწილეობენ მოსარჩელე და მოპასუხე, თანაც როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მხარეზე შეიძლება მონაწილეობდეს რამდენიმე პირი, აგრეთვე მათი წარმომადგენლები. პროცესში შეიძლება ჩაებნენ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებიც. გარდა ამისა, პროცესში შეიძლება ჩაებნენ ის პირებიც, რომლებიც დამხმარე

ფუნქციას ასრულებენ საქმეში ანდა არიან მოწმეები და ა.შ.

5) საპროცესო ურთიერთობების შემდეგი დამახასიათებელი ნიშანი არის დინამიკურობა. ეს ურთიერთობები მუდმივ მოძრაობაშია. ერთი საპროცესო ურთიერთობა ვერ წარმოიშობა ისე, თუ მას წინ არ უძღვის სხვა საპროცესო ურთიერთობა. მაგალითად, სასამართლოსა და მესამე პირს ან მოპასუხეს შორის ურთიერთობა არ შეიძლება წარმოიშვას, თუ ჯერ კიდევ არ წარმოშობილა ურთიერთობა სასამართლოსა და მოსარჩელეს შორის. ასევე, დაუშვებელია განცხადების მიღების შემდეგ, საქმის მომზადების გარეშე, პირდაპირ საქმის განხილვის დაწყება. კანონი მოითხოვს, რომ საქმე აუცილებლად მომზადდეს. ამდენად, საპროცესო ურთიერთობები თანმიმდევრულად წარმოიშობა.

6) სასამართლოს უფლება აქვს საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები დაამყაროს არა მხოლოდ პროცესის მონაწილეებთან, არამედ აგრეთვე სხვა პირებთანაც. მაგალითად, მას სარჩელით ან განცხადებით მიმართავენ პირები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმულნი პროცესში და მხოლოდ ეხლა აპირებენ ამას. ასევე, როცა აუცილებელია მტკიცებულებათა შეგროვება სხვა ქალაქში ან რაიონში, საქმის განმხილველი სასამართლო ავალებს შესაბამის სასამართლოს გარკვეული საპროცესო მოქმედებების შესრულებას. ამ შემთხვევაშიც კი სასამართლო ასრულებს ხელისუფლებით უფლებამოსილებას, რამდენადაც ეს სწორედაც რომ დავალებაა და არა თხოვნა. სასამართლო თვითონვეა ვალდებული შეასრულოს ანალოგიური სასამართლო დავალება. მას უფლება აქვს გამოითხოვოს მტკიცებულებანი არა მხოლოდ საქმის მონაწილეთაგან, არამედ აგრეთვე სხვა პირთაგანაც.

სასამართლო საპროცესო სამართალურთიერთობებს ზოგჯერ ამყარებს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებთან (მუხლი 212-ე).

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები ეს ის ურთიერთობებია, რომლებიც წარმოიშობა სასამართლოსა და პროცესის ნებისმიერ მონაწილეს შორის საპროცესო მოქმედების შესრულების დროს და მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები ეს არის ურთიერთობები ყოველთვის ორ სუბიექტს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი ყოველთვის სასამართლოა.

§2. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის წანამძღვრები (საფუძვლები)

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის (ისევე როგორც ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის) აუცილებელია სამი ურთიერთდაკავშირებული წანამძღვრის (იურიდიული პირობის) არსებობა: 1) სამართლის ნორმა; 2) პროცესის მონაწილეთა სამართალსუბიექტობა; 3) იურიდიული ფაქტები.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმის არსებობა. ნორმა საპროცესო ურთიერთობების წარმოშობის იურიდიულ ბაზას (საფუძველს) წარმოადგენს. საპროცესო ურთიერთობებს წარმოშობს მხოლოდ და მხოლოდ საპროცესო სამართლის ნორმა. მას ვერ წარმოშობს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა. ამასთან, მატერიალური სამართლის კანონი შეიძლება შეიცავდეს საპროცესო ნორმასაც. საპროცესო ნორმების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს სამართალურთიერთობა. მაგალითად, მოქმედი საპროცესო კოდექსის მიღებამდე ქართული საპროცესო სამართლისათვის არ იყო ცნობილი გამარტივებული წარმოების ინსტიტუტი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს ფულადი დავალიანების გადახდევინებას გადახდის ბრძანების საფუძველზე.

გამარტივებული წარმოების მომწესრიგებელი საპროცესო ნორმების ძალაში შესვლასთან ერთად, გაჩნდა საფუძველიც გადახდის ბრძანების მიღების (გამოცემის) მიზნით სასამართლოსა და განმცხადებელს შორის სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის წარმოშობისათვის.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებისათვის დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური ნიშნები: 1) ეს ნორმები დადგენილია მხოლოდ კანონების და არა კანონქვემდებარე აქტების სახით; 2) ისინი სამოქალაქო პროცესის მონაწილეთა ქცევის ზოგადსავალდებულო წესებია; 3) გააჩნიათ ზოგადი ხასიათი; 4) აწესრიგებს მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში წარმოშობილ სამართლებრივ მოქმედებებს და ურთიერთობებს; 5) უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების გამოყენების შესაძლებლობით და აგრეთვე იმ საპროცესო ზომების (ღონისძიებების) გამოყენების შესაძლებლობით, რომელიც არ არის დაკავშირებული სახელმწიფო იძულებასთან (მაგალითად, მხარე არ შეიძლება იძულებით იქნეს მოყვანილი პროცესზე, მაგრამ პროცესზე მისი დაუსწრებლობის შემთხვევაში მის მიმართ მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც აიძულებს მხარეს პროცესზე მონაწილეობას პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. ასევე თუ მხარე მოთხოვნის დასასაბუთებლად არ წარადგენს მტკიცებულებებს, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს, რაც აიძულებს მხარეს იაქტიუროს პროცესში და სხვა); 6) მათი ამოცანაა (მიზანია) სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების დროულად, კანონიერად (სწორად) და დასაბუთებულად განხორციელება.

საპროცესო ნორმები გაერთიანებულია სამართლებრივ ინსტიტუტებში და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ მთლიან სისტემას ქმნის. არც ერთი სამართლებრივი ნორმა არ არსებობს სხვა ნორმათაგან იზოლირებულად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ის დაკარგავდა ურთიერთობის მომწესრიგებლის თვისებას. მხოლოდ სამართლის დარგის სისტემაში, სხვა ნორმებთან ერთად ძალუძს ნორმას სრულად გამოავლინოს თავისი, როგორც საპროცესო ურთიერთობების რეგულატორის თვისება. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ თითოეული საპროცესო ურთიერთობა წესრიგდება არა ერთი საპროცესო ნორმით, არამედ ნორმათა ერთობლიობით (სისტემით).

ამასთან, მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო ნორმების საფუძველზე არ შეიძლება წარმოიშვას საპროცესო სამართალურთიერთობები. სამართლის ნორმა განხორციელებულ უნდა იქნეს კონკრეტული პირის მიერ მოქმედების შესრულებით ან ამ პირის უმოქმედობით (მაგალითად, სარჩელის აღძვრით, პროცესში შესვლით, პროცესზე გამოუცხადებლობით და ა.შ.).

მოქმედება (უმოქმედობა) მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იყოს საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი (წინაპირობა), თუ ის სამართლებრივი ხასიათისაა, ე.ი. იქცა იურიდიულ ფაქტად.

ამრიგად, საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის წანამძღვარი (საფუძველი) იურიდიული ფაქტებიცაა, ე.ი. ის ფაქტები, რომელთა არსებობას ან არარსებობას კანონი (სამართლის ნორმა) საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას, ან შეწყვეტას უკავშირებს. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ფაქტებს განსაზღვრული სპეციფიკა გააჩნიათ.

კერძოდ, იურიდიულ შედეგებს წარმოშობს არა ყველა ფაქტი, არამედ მხოლოდ სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა მოქმედებები (ან უმოქმედობა). სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობების წარმომშობ იურიდიულ ფაქტებს შორის სახეზე უნდა იყოს სასამართლოს მოქმედებაც. მაგალითად, სასარჩელო წარმოება აღიძვრება , როცა სახეზეა ისეთი იურიდიული ფაქტები, როგორიცაა მოსარჩელის მიერ სასარჩელო განცხადების შეტანა სასამართლოში და სასამართლოს მიერ საქმის აღძვრის (სარჩელის წარმოებაში მიღების) შესახებ განჩინების გამოტანა.

ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სამოქალაქო პროცესის ძირითადი სუბიექტი სასამართლოა.

ამიტომ, საპროცესო ურთიერთობათა დინამიკაში სასამართლოს მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებები ძირითადი იურიდიული ფაქტების როლს ასრულებენ. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ პროცესი შეჯიბრებით მოდელზეა აგებული, რის გამოც სასამართლო გათავისუფლებულია მტკიცებულებათა შეგროვების ვალდებულებისაგან. ამიტომ იზრდება მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებების როლი. თუმცა არც ერთი საპროცესო ურთიერთობა არ შეიძლება წარმოიშვას სასამართლოს მოქმედებების გარეშე (სასამართლოს გარეშე), იმდენად, რამდენადაც თითოეული საპროცესო ურთიერთობა ეს არის ურთიერთობა სწორედ სასამართლოსა (როგორც ამ ურთიერთობის სავალდებულო სუბიექტსა) და პროცესის ნებისმიერ სხვა მონაწილეს შორის.

ფაქტები უშუალოდ (თავისთავად) არ იწვევენ საპროცესო ურთიერთობების წარმოშობას ან შეწყვეტას, ისინი მხოლოდ იმ მოქმედებათა შესრულების საფუძველს წარმოადგენენ, რომლებიც სწორედ უშუალოდ იწვევენ სამართალურთიერთობის წარმოშობასა და შეწყვეტას, ანუ რომელთა შესრულების შედეგადაც წარმოიშობა ან შეწყდება საპროცესო ურთიერთობა. მაგალითად, ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება იწვევს საქმისწარმოების შეწყვეტას არა თავისთავად (უშუალოდ), არამედ გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ შესრულებული მოქმედების (საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანის) შედეგად. სხვა მაგალითი: მოსარჩელის გარდაცვალება თავისთავად (უშუალოდ) არ იწვევს საპროცესო უფლებამონაცვლეობას. იმისათვის, რომ სასამართლოსა და უფლებამონაცვლეს შორის წარმოიშვას საპროცესო ურთიერთობები, აუცილებელია, რომ სასამართლომ შეასრულოს საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, დაუშვას საქმიდან გასული მხარის შეცვლა უფლებამონაცვლით (ცხადია უფლებამონაცვლესაც უნდა სურდეს შესვლა პროცესში).

სამოქალაქო პროცესში იურიდიული ფაქტების თავისებურება ისიცაა, რომ ურთიერთობის წარმოშობისათვის არ არის საკმარისი ერთი იურიდიული ფაქტი, არამედ აუცილებელია იურიდიული ფაქტების ერთობლიობის არსებობა, აუცილებელია არსებობდეს ე.წ. „იურიდიული შემადგენლობა", „ფაქტობრივი შემადგენლობა", ე.ი. ფაქტების სისტემა (ჯგუფი), ამ ფაქტებიდან კი ერთ-ერთი უნდა იყოს სასამართლოს მოქმედება. იურიდიული შემადგენლობა სწორედ იმ იურიდიული ფაქტების სისტემას გულისხმობს, რომლებიც აუცილებელია იურიდიული შედეგების დადგომის, მათი წარმოშობისათვის (სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის, ან შეწყვეტისათვის). ამრიგად, იურიდიულ შედეგებს იწვევს არა ერთი ფაქტი, არამედ ფაქტების სისტემა. მაგალითად, საპროცესო ურთიერთობა სქემით: სასამართლო –> მოსარჩელე, წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ორი მოქმედება შესრულდება: მოსარჩელე შეიტანს სარჩელს სასამართლოში და ამ განცხადებას მიიღებს სასამართლო (ან უარს იტყვის მის მიღებაზე)[1].

იურიდიული ფაქტების შემადგენლობას მეცნიერებაში **იურიდიულ ტიტულსაც** უწოდებენ.

სამოქალაქო პროცესში იურიდიულ ფაქტებს მიეკუთვნება როგორც მოქმედებები, ისე ხდომილებები. იურიდიული ფაქტებია სასამართლო შეცდომები, პრეზუმფცირებული (ნავარაუდევი) ფაქტები, ვადები და ა.შ.

მრავალ იურიდიულ ფაქტს პროცესში ვარაუდის (საალბათო) ხასიათი აქვს. ასეთი ფაქტები სპეციფიკური ფაქტებია (მათი დადგენა განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება), მომავალში შესაძლებელია (მოსალოდნელია) მათი არსებობა და ამიტომ, ამ ფაქტების საფუძველზე შემდგომში შეიძლება გამოტანილ იქნეს სამართალშეფარდების აქტი. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მისაღებად საკმარისია არსებობდეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოპასუხის მოქმედების შედეგად, შესაძლოა, გაძნელდეს ან შეუძლებელი გახდეს გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნ-

[1] საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც, ვინაიდან, მოსარჩელეს უფლება აქვს კერძო საჩივარი შეიტანოს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინებაზე.

ველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება ასევე მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს.

მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, საპროცესო სამართალურთიერთობათა წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძველი არ შეიძლება გახდეს სასამართლოსა და პროცესის მონაწილეთა შორის ხელშეკრულების დადება. თუმცა შესაძლებელია ხელშეკრულების დადება თვითონ მხარეებსა და მესამე პირებს შორის (სსსკ-ის მე-3, 21-ე, 272-ე მუხლები).

რაც შეეხება ისეთ წანამძღვარს (საფუძველს), როგორიცაა სამართალსუბიექტობა, როგორც იურიდიული კატეგორია, სამართალსუბიექტობის ცნება მოიცავს ორ ელემენტს: უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას.

უფლებაუნარიანობა არის პირის უნარი (იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი), ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობები. მხოლოდ უფლებაუნარიან პირს შეუძლია იყოს პროცესის მონაწილე.

სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობისაგან განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა. საპროცესო ქმედუნარიანობა არის უნარი, პირმა თავისი მოქმედებებით (პირადად) განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმისწარმოება წარმომადგენელს. მაშასადამე, იმისათვის, რომ სუბიექტმა პირადი (თავისი) მოქმედებებით განახორციელოს საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აუცილებელია მას ჰქონდეს საპროცესო მოქმედების შესრულების უნარი (ქმედუნარიანობა).

დაწვრილებით უფლება-ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხები განხილულ იქნება იმ თავში, სადაც მხარეებზე გვექნება საუბარი, აქ კი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალსუბიექტობა ნიშნავს, რომ პროცესის სუბიექტებს ყოველთვის აქვთ საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ამ უფლება-მოვალეობათა მოცულობა და შინაარსი კი სხვადასხვაა და დამოკიდებულია პროცესში ამა თუ იმ სუბიექტის მონაწილეობის ამოცანებსა და ინტერესებზე, რომელთაც ის ასრულებს პროცესში (სამართალწარმოებაში) თავისი მონაწილეობით და რომელთა მისაღწევადაც სუბიექტი იღვწის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არ არის მიღებული სასამართლოს სამართალსუბიექტობის შინაარსის შესახებ საუბარი. სასამართლოს, როგორც საპროცესო ურთიერთობათა სუბიექტის მდგომარეობა განსაზღვრულია მართლმსაჯულების (პროცესის) კონსტიტუციური პრინციპებითა და შესაბამისი კანონმდებლობით.

§3. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები

სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტები არიან ფიზიკური პირები და ორგანიზაციები (როგორც იურიდიულ პირებად ორგანიზებული, ისე ის ორგანიზაციები, რომლებიც იურიდიული პირები არ არიან).

სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტები არიან აგრეთვე უცხოეთის მოქალაქეები და აპატრიდები (ანუ მოქალაქეობის არმქონე პირები), უცხოეთის საწარმოები და ორგანიზაციები.

ყველა ზემოაღნიშნულ პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროცესში. მყარდება რა სასამართლოსა და აღნიშნულ პირებს შორის საპროცესო ურთიერთობები, ეს პირები სასამართლოსთან ერთად ხდებიან სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერ-

თობების სუბიექტები.

ყველა სუბიექტს პროცესში თავისი მიზანი აქვს და ამის შესაბამისად პროცესში სხვადასხვა სამართლებრივ მდგომარეობას იკავებს. ყველას თავისი განსაზღვრული ადგილი უკავია მიზნისა და ამოცანის შესაბამისად, კერძოდ: მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის და ა.შ.

ამიტომ ეს სუბიექტები ერთნაირი საპროცესო უფლებებითა და მოვალეობებით როდი არიან აღჭურვილი. პროცესის ყველა მონაწილე (ყველა სუბიექტი) აღჭურვილია თავისი სტატუსის (პროცესში თავისი მდგომარეობის) შესაბამისი უფლება-მოვალეობებით.

თავიანთი საპროცესო როლის, აგრეთვე საქმის შედეგით დაინტერესების ხასიათის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფად: 1) სასამართლო; 2) საქმის მონაწილენი; 3) პირები, რომლებიც დახმარებას უწევენ სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში. 4) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ ის პირებიც, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამართალწარმოებაში. ასეთ პირებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი, ვინც საქმის განხილვის დროს ესწრებიან სასამართლო სხდომას და არ არღვევენ დადგენილ წესრიგს. საქმის განხილვის დროს წესრიგის დარღვევისათვის კი ეს პირები სასამართლომ შეიძლება დააჯარიმოს. აღნიშნულ პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრება ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში.

სასამართლო. სასამართლო პროცესის ძირითადი სუბიექტია. იგი ხელისუფლების ორგანოა და ახორციელებს მართლმსაჯულებას.

სასამართლოს ხელმძღვანელი როლი აკისრია პროცესში. პროცესის ყველა მონაწილე საპროცესო მოქმედებას ასრულებს სასამართლოს კონტროლქვეშ. ამასთან, სასამართლო ეხმარება სხვა სუბიექტებს თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელებაში. სასამართლო არსებითად განიხილავს და წყვეტს საქმეს (დავას).

სასამართლო უფლებამოსილია შეასრულოს საპროცესო მოქმედებები იმ პირობით, თუ:

1) საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობენ მოსამართლის თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესით გამწესებული მოსამართლეები.

2) თუ მოსამართლეს არა აქვს პირადი, პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება საქმის შედეგით, აგრეთვე არ არსებობს გარემოებები, რომლებიც ეჭვს იწვევენ სასამართლოს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა შორის სასამართლოს სამართლებრივი მდგომარეობა (ადგილი) რიგი თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, ამ სუბიექტების სისტემაში სასამართლოს მთავარი ადგილი უკავია. სასამართლოს მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებები ძირითადი იურიდიული ფაქტებია, რომლებიც გავლენას ახდენენ საპროცესო ურთიერთობების დინამიკაზე.

სასამართლოს მითითებები სავალდებულოა შესასრულებლად საპროცესო სამართლის ყველა დანარჩენი სუბიექტისათვის. ამრიგად, სასამართლოს სამართლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო პროცესში ხასიათდება იმით, რომ მასში გაერთიანებულია ორი თვისება: ერთი მხრივ, სასამართლო საპროცესო ურთიერთობების სუბიექტია, მეორე მხრივ, სასამართლო არის ორგანო, რომელიც აღჭურვილია ყველა იმ სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებით.[1]

სამოქალაქო პროცესში სასამართლოს სხვადასხვაგვარი სახელისუფლებო უფლებამოსილებანი მთლიანობაში მის კომპეტენციას შეადგენს, რაც სამოქალაქო პროცესში

[1] Комиссаров К.М. Применение норм гражданского процессуального права. Проблемы применения норм гражданского процессуального права. Свердловск, 1976, გვ. 15.

სასამართლოს მონაწილეობის საფუძველია. კომპეტენციით განისაზღვრება სასამართლოს სამართლებრივი სტატუსი.

სასამართლოს სახელით შეიძლება გამოვიდნენ ერთპიროვნულად საქმის განმხილველი მოსამართლე ან სასამართლოს (მოსამართლეთა) კოლეგიური შემადგენლობა, მათ შორის უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა.

სასამართლო უფლებამოსილებებს ახორციელებენ მოსამართლეები. ცალკეულ უფლებამოსილებებს სამოქალაქო პროცესში ასრულებენ შესაბამისი სასამართლოს თანამდებობის პირები, მაგალითად, მოსამართლის თანაშემწე ან სასამართლოს სხდომის მდივანი. ისინი შესაბამის მოქმედებებს ახორციელებენ იმ სასამართლოს სახელით, რომელშიც მუშაობენ ამ თანამდებობაზე. ამიტომ მათი საქმიანობა ხორციელდება სასამართლოს ან მოსამართლის ხელმძღვანელობითა და კონტროლით.

სამოქალაქო საპროცესო სამართლით დეტალურად არის მოწესრიგებული სასამართლოს საქმიანობა პროცესის ყველა სტადიაზე. ამასთან, უფლებების გარდა, კანონი სასამართლოს მოვალეობებსაც აკისრებს პროცესის მონაწილეთა წინაშე.

საქმის მონაწილენი. სუბიექტების ეს ჯგუფი სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების სხვა სუბიექტთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. საქმის მონაწილე პირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო პროცესში. მათი მოქმედებები აქტიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებზე, მთლიანობაში კი პროცესის წარმოშობაზე, შეცვლასა და შეწყვეტაზე. საქმის მონაწილენი არიან: მხარეები, მესამე პირები, განმცხადებლები უდავო წარმოების საქმეებზე, წარმომადგენლები.

რა არის სამართალწარმოების ამა თუ იმ მონაწილის საქმის მონაწილეთა ჯგუფისადმი მიკუთვნების კრიტერიუმი?

საქმის მონაწილე ყველა პირი ერთ ჯგუფში გაერთიანებულია, პირველ ყოვლისა, ისეთი კრიტერიუმის მიხედვით, როგორიც არის საქმის შედეგით იურიდიული დაინტერესება.

იურიდიული დაინტერესება საქმის შედეგით – ეს არის კანონზე დაფუძნებული მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღებასაც საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შედეგად მოელის მოცემული პირი.

იურიდიული დაინტერესება ორ მომენტს შეიცავს: 1) მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება. მაგალითად, მოსარჩელე პროცესის შემდეგ მოელის თავისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებას (მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი), ხოლო მოპასუხე – უარი ეთქვას სარჩელის (მოთხოვნის) დაკმაყოფილებაზე (მოპასუხის მატერიალური ინტერესი) და 2) საპროცესო დაინტერესება, რომ სასამართლომ განიხილოს ეს საქმე და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

სასარჩელო, გამარტივებულ და საქორწინო-საოჯახო საქმეებში მხარეებს, ხოლო უდავო წარმოებაში განმცხადებლებს აქვთ საქმის შედეგით როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო-სამართლებრივი დაინტერესება იმდენად, რამდენადაც, პროცესში მონაწილეობენ თავიანთი უფლებების (კანონიერი ინტერესების) დასაცავად. გადაწყვეტილება შეეხება მათ უფლებებსა და ინტერესებს.

გარდა ამისა, მათ ეკისრებათ მოვალეობებიც. მაგალითად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმისწარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ (სსსკ-ის 76-ე მუხლი), მხარეებს აკისრიათ აგრეთვე მთელი რიგი სხვა საპროცესო მოვალეობები.

იურიდიული დაინტერესება უნდა განვასხვაოთ ფაქტობრივი დაინტერესებისაგან, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს ნათესაურ, მეგობრულ (ან პირიქით, მტრულ), დაქვემდებარების ურთიერთობებს.

პირები, რომლებიც ეხმარებიან სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში. ეს

პირები, პროცესში თავიანთი მონაწილეობით ხელს უწყობენ (ეხმარებიან) სასამართლოს საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში, რათა საქმე სწრაფად და სწორად გადაწყდეს და სასამართლომ შეასრულოს თავისი ფუნქციები. სუბიექტების ამ ჯგუფში შედის მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი, სპეციალისტი და სხვა პირები.

საქმის მონაწილეებისაგან განსხვავებით, აღნიშნული პირები არ არიან იურიდიულად დაინტერესებული საქმის შედეგით. მათი პროცესში ჩაბმა ხდება სასამართლოს ან საქმის მონაწილეთა ინიციატივით. ეს სუბიექტები პროცესში იმ მიზნით იღებენ მონაწილეობას, რომ თავიანთი მოქმედებით ხელი შეუწყონ სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

როგორც ითქვა, ამ ჯგუფში შემავალი სუბიექტების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი არ არიან საქმის შედეგით იურიდიულად დაინტერესებულნი.

მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულებისათვის დახმარების (ხელშეწყობის) ფუნქციის შესასრულებლად მოცემულ სუბიექტებს მინიჭებული აქვთ საპროცესო უფლებები და მოვალეობები.

ამასთან, განსახილველ ჯგუფში შემავალი პირები, რაიმე არსებითი უფლებებით არ არიან აღჭურვილი. სამოქალაქო პროცესში მათი სამართლებრივი სტატუსი, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება იმ საპროცესო ვალდებულებებით, რისი შესრულებაც მათ აკისრიათ (ანუ მათ, პირველ ყოვლისა, ვალდებულებები აკისრიათ). მაგალითად, მოწმე ვალდებულია თქვას სიმართლე, თუ რა ინფორმაციაა ცნობილი მისთვის, სწორი ინფორმაცია მიაწოდოს სასამართლოს იმ საკითხების შესახებ, რომლებსაც საქმისათვის აქვთ მნიშვნელობა.

ექსპერტი ვალდებულია მოამზადოს დასკვნა იმ საკითხების საფუძველზე, რომელთა წრესაც საბოლოოდ განსაზღვრავს სასამართლო. თარჯიმანმა ზუსტად უნდა გადაუთარგმნოს პროცესზე ნათქვამი იმ სუბიექტებს, რომელთაც არ იციან სამართალწარმოების ენა. ამასთან, განსახილველ ჯგუფში შემავალ ცალკეულ პირებს საპროცესო უფლებებიც გააჩნია იმ დოზით, რაც აუცილებელია მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად. მაგალითად, ექსპერტის უფლებებზე საუბარია სსსკ-ის 168-ე მუხლში.

შეიძლება გამოვკვეთოთ სუბიექტების მეოთხე ჯგუფიც, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სუბიექტები იყვნენ. ესენი არიან ის პირები (ფიზიკური პირები, თანამდებობის პირები და იურიდიული პირები), რომლებიც ვალდებული არიან გადაუგზავნონ (წარმოუდგინონ) სასამართლოს მათ ხელთ არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები (134-136-ე და 154-156-ე მუხლები). სასამართლოს მოთხოვნის არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ პირებს დაეკისრებათ ჯარიმა. მეტიც, დაჯარიმება არ ათავისუფლებს ამ პირებს შესაბამისი ვალდებულებისაგან. ამავე ჯგუფში შედიან სხდომის დარბაზში დამსწრე პირები. წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მათ მიმართ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში გამოიყენება სსსკ-ის 212-ე მუხლით დადგენილი სანქციები. მეოთხე ჯგუფში შემავალი სუბიექტები არ მონაწილეობენ პროცესში, მათი მოქმედებები არანაირ გავლენას არ ახდენს სამართალწარმოების დინამიკაზე, მაგრამ საპროცესო კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მათ ეკისრებათ ვალდებულება სასამართლოს წინაშე.

მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხვდარი, გამამძიებელი, გამგონე, გამსინჯავი და სხვისაც მკითხველი, გონებაარჩევარებელი, დაწყნარებული, მოწმის მაძებარი უნდა იყოს, უქრთამო და ღმრთის მოშიში.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, მუხლი მე-3

თავი VII

სასამართლოს შემადგენლობა. აცილება

§1. სასამართლოს შემადგენლობა

სსსკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეები პირველი ინსტანციით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, ასევე მაგისტრატი მოსამართლეების მიერ განიხილება ერთპიროვნულად.

სამოქალაქო საქმის ერთპიროვნულად განხილვა ნიშნავს, რომ ერთპიროვნულად საქმის არსებითად განხილვის შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როდესაც მოსამართლეს მინიჭებული აქვს ცალკეული საპროცესო საკითხის, ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლება, მოსამართლე ყოველთვის სასამართლოს სახელით მოქმედებს (საუბარია შესაბამის სასამართლოზე, რომლის შემადგენლობაშიც ის ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს). მაგისტრატი მოსამართლეები ერთპიროვნულად განიხილავენ კანონით მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებს (სსსკ-ის მე-14 მუხლი). მოსამართლე საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს მაშინ, როდესაც კანონით არ არის გათვალისწინებული ამ საქმის კოლეგიური წესით განხილვა. მაგალითად, თუ სახეზე არ არის სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევა (რომლის დროსაც საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე) სამოქალაქო საქმის განხილვა სააპელაციო წესით ხორციელდება კოლეგიურად, სამი მოსამართლის მიერ (თუმცა, 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც საუბარია მოსამართლის უფლებაზე და არა ვალდებულებაზე, ერთპიროვნულად განიხილოს საქმე), რომელთაგან ერთ-ერთი თავმჯდომარეობს სხდომას. როგორც წესი, თავმჯდომარე იმავდროულად არის საქმის მომხსენებელიც, თუმცა არ არის სავალდებულო სხდომის თავმჯდომარე და მომხსენებელი კოლეგიურ შემადგენლობაში, ერთი და იგივე მოსამართლე იყოს. ამასთან, თავმჯდომარედ ყოფნა მოსამართლეს არ ანიჭებს რაიმე პრივილეგიას. საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, კოლეგიის შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი მოსამართლე დანარჩენი მოსამართლეების თანასწორი უფლებებით სარგებლობს.

საკასაციო სასამართლოში, აპელაციისაგან განსხვავებით, საქმე ყოველთვის კოლეგიურად განიხილება. საქმის კოლეგიური განხილვა ხდება როგორც საკასაციო პალატის მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში (ასეთ დროს საქმეს სამი მოსამართლე განიხილავს), ისე დიდი პალატის მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში (დიდი პალატა საქმეს 9 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს).

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას საქმე გადაეცემა განსახილველად საქმის საკასაციო წესით განმხილველი სასამართლოს მოტივირებული განჩინების საფუძველზე. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 და მე-17 მუხლებიდან გამომდინარე, დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა სამ შემთხვევაშია

დასაშვები:

1) თუ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას. მაგალითად მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობები ერთმანეთზე ისეა გადაჯაჭვული, რომ რთულია კვალიფიკაცია. 2) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას) და 3) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). ამრიგად, საუბარია განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე, რომლებიც განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას. საინტერესოა, ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში სავალდებულოა თუ არა საქმის გადაცემა დიდი პალატისათვის. განსაკუთრებით ეს კითხვა შეიძლება დაისვას ზემოთ დასახელებულ მეორე და მესამე საფუძველთან დაკავშირებით, ვინაიდან როცა გადაცემა სავალდებულოა და საკასაციო პალატამ ეს არ განახორციელა, მაშინ საქმე სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მიერ განიხილულად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული საფუძვლებით დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა სავალდებულოა. ამაზე მეტყველებს საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე–17 მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმათა ანალიზი (სსსკ–ის 412–ე მუხლის მე–2 ნაწილი, 391–ე მუხლის მე–5 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები და სხვა), რომლებითაც განსაზღვრულია კასაციის ფუნქცია – სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა. სამივე საფუძვლის შემთხვევაში სახეზეა ვითარება, როდესაც მანამდე არსებული პრაქტიკა შესაძლოა შეიცვალოს. საერთო სასამართლოების კანონის მე–17 მუხლის თანახმად, დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოსათვის. თუკი საკასაციო პალატა თავად განიხილავს საქმეს, იგი ვალდებულია იხელმძღვანელოს დიდი პალატის განმარტებით. მას არა აქვს უფლება არ გაიზიაროს ამგვარი განმარტება. თუკი არ ეთანხმება დიდი პალატის განმარტებას, მაშინ ერთადერთი საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს – საქმის გადაცემა დიდი პალატისათვის. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობისას საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა სავალდებულოა. ამასთან, ამით არ ირღვევა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის პრინციპი, ვინაიდან დიდ პალატაში საქმის განხილვისას დიდი პალატის 9 მოსამართლის შემადგენლობაში საკასაციო სასამართლოს ის სამი მოსამართლეც უნდა შედიოდეს, რომელთა განჩინებითაც გადაეცა მას საქმე.

ზემოაღნიშნული წესები (დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის საფუძვლები) ეფუძნება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის პრინციპს. დასახელებული ორგანული კანონის მე–17 მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ნებისმიერი ინსტანციის საერთო სასამართლოსათვის, თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას) მისი მოტივირებული განჩინებით საქმე გადაეცემა დიდ პალატას.

დიდი პალატა შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სხვა პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობიდან 2 წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან. როგორც ითქვა, დიდი პალატა საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით. საქმის განმხილველ შემადგენლობაში შედიან ამ საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი იმავდროულად დიდი პალატის წევრები.

კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვა არც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოირიცხება. საქმის კატეგორიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად,

მაგისტრატი მოსამართლე ცალკეული კატეგორიის საქმეებს განიხილავს. მიუხედავად ამისა, მათ შორის, მაგისტრატ მოსამართლესაც შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიურად განხილვა. სსსკ–ის მე–13 მუხლის მე–2 ნაწილის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლე შედის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში. სსსკ–ის 26–ე მუხლის თანახმად კი, იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისათვის, ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით ორ შემთხვევაში: 1) თუ საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის და 2) საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება. მოცემულ შემთხვევებში საუბარია მოსამართლის უფლებაზე და არა ვალდებულებაზე, დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა.

კოლეგიური წესით საქმის განხილვა მოტივირებული განჩინების საფუძველზე მოსამართლემ უნდა დაადგინოს მანამ, სანამ დაიწყებდეს ამ საქმის განხილვას მთავარ სხდომაზე.

ცხადია, ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით რთული საქმე, საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს – სწორედ ამით არის განპირობებული ამ საკითხის მთავარ სხდომამდე გადაწყვეტა და კოლეგიური შემადგენლობის მიერ საქმის სრულყოფილად, კარგად მომზადება უკვე მთავარ სხდომაზე განსახილველად. ერთპიროვნულად საქმის განმხილველმა მოსამართლემ კოლეგიური წესით საქმის განხილვის შესახებ განჩინება სასამართლოს თავმჯდომარეს უნდა გადასცეს, რომელიც განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას ამ საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით. სასამართლოს შემადგენლობის შესახებ წესების დარღვევა სასამართლოს გადაწყვეტილების უპირობოდ გაუქმების საფუძველია (იხ. სსსკ–ის 394–ე მუხლი).

§ 2. კოლეგიური სასამართლოს მიერ საკითხების გადაწყვეტის წესი

საქმის განხილვის დროს წამოჭრილი საკითხების კოლეგიური სასამართლოს მიერ გადაწყვეტის საპროცესო წესი განსაზღვრულია სსსკ–ის 27–ე მუხლით. საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის მოცემული ნორმის შესაბამისად გადაწყვეტის წესი, ამგვარი წესის ზუსტად დაცვა, სამოქალაქო საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტის და კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის გარანტიას (პირობას) წარმოადგენს. კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა კი, თავის მხრივ, პროცესის მიზანს შეადგენს. საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილე ნებისმიერ მოსამართლეს კანონი ერთნაირ უფლებამოსილებას ანიჭებს საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას.

მართლმსაჯულების განხორციელებისას კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეების იურიდიული თანასწორობა გამოიხატება იმაში, რომ საქმის განხილვის პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის თაობაზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად თითოეული მოსამართლის ხმას თანაბარი მნიშვნელობა აქვს.

სამოქალაქო საქმის განხილვის დროს კოლეგიური სასამართლო, ისევე როგორც საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე, თავის საპროცესო უფლება–მოვალეობებს ახორციელებს შესაბამისი საპროცესო მოქმედებების შესრულებით (ე.ი. ახორციელებს სამართლის შეფარდებას). ამასთან, იმდენად, რამდენადაც კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ ნებისმიერ მოსამართლეს მართლმსაჯულების განხორციელები-

სას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის დროს თანაბარი უფლებამოსილება აქვს, ისინი აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებენ.

ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის დროს ხმის მიცემაში მონაწილეობა კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობაში შემავალმა ყველა მოსამართლემ უნდა მიიღოს. არცერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს რომელიმე საკითხის გადაწყვეტისას ხმის მიცემისაგან. ხმის მიცემის შედეგი სპეციალური საპროცესო წესით უნდა დაფიქსირდეს (გაფორმდეს), ე.ი. უნდა აისახოს სასამართლოს შესაბამის აქტში.

უმცირესობაში მყოფ მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, უფლება აქვს საქმეზე თავისი განსხვავებული აზრი წერილობით ჩამოაყალიბოს. თუ რომელიმე მოსამართლე განსხვავებულ აზრზე დარჩა, ეს მხარეებს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების გამოცხადების დროს. სასამართლო სხდომის დარბაზში განსხვავებული აზრის შინაარსის გამოცხადება არ ხდება. საქმის განხილვის შემდეგ მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს. თუმცა სსსკ–ის 83–ე მუხლის შესაბამისად, მხარეებს უფლება აქვთ ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე საქმის ნებისმიერ მასალას, მათ შორის, განსხვავებულ აზრსაც გაეცნონ, ვინაიდან განსხვავებული აზრი უნდა დაერთოს საქმეს (განსხვავებული აზრი უნდა ჩამოყალიბდეს ცალკე არსებული დოკუმენტის სახით, მოთავსდეს ცალკე კონვერტში და დაერთოს საქმეს).[1]

განსხვავებული აზრის დაფიქსირების უფლება მოსამართლეს აქვს კოლეგიური წესით საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის, მათ შორის საპროცესო საკითხის გადაწყვეტის და არა მარტო გადაწყვეტილების არსებითად გამოტანის დროს.

მაშინაც კი, როდესაც მოსამართლე აღმოჩნდება უმცირესობაში (იმის მიუხედავად, ჩამოაყალიბებს თუ არა განსხვავებულ აზრს) იგი ვალდებულია ხელი მოაწეროს ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას. მოსამართლეს უფლება აქვს განსხვავებულ აზრში მიუთითოს, კონკრეტულად რა საკითხში არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას და საკითხის გადაწყვეტის თავისი არგუმენტი უნდა ჩამოაყალიბოს.

განსხვავებული აზრი ყალიბდება სათათბირო ოთახში. კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობაში მყოფ მოსამართლეებს სათათბირო ოთახიდან გამოსვლის უფლება აქვთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შედგება გადაწყვეტილება (ან სასამართლოს სხვა აქტი) და ჩამოყალიბდება განსხვავებული აზრი.

მოსამართლეებს არა აქვთ უფლება გაახმაურონ მსჯელობა, რომელიც მათ ჰქონდათ თათბირის დროს. თუ საკითხის გადაწყვეტა ადგილზე თათბირით ხდება და ამ საკითხის ერთხმად გადაწყვეტა მოსამართლეებმა ვერ შეძლეს, უნდა ჩაითვალოს, რომ საკითხი რთულად გადასაწყვეტია და მისი გადაწყვეტა სათათბირო ოთახში უნდა მოხდეს.

განსხვავებული აზრის უფლება მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მხოლოდ კანონისადმი მისი დამორჩილების პრინციპის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა.

ნორმა იმის შესახებ, რომ განსხვავებული აზრი დაერთვება საქმეს, მაგრამ სხდომის დარბაზში მისი შინაარსი არ გამოცხადდება, ალოგიკურია. ჯერ ერთი, თავად მხარეებს სსსკ-ის 83-ე მუხლი უფლებას აძლევს რეალურად გაეცნონ საქმის ყველა მასალას, მათ შორის განსხვავებულ აზრსაც, თუ ის საქმეში არსებობს. მეორე, სხდომის დარბაზში მყოფი პირებისათვის (დამსწრე პირთათვის) მოსამართლის განსხვავებული აზრის „გასაიდუმლოება", ეწინააღმდეგება პროცესის კოლეგიურობის პრინციპს, საქმის გადაწყვეტის საკითხში აკნინებს უმცირესობაში მყოფი მოსამართლის როლსა და მნიშვნელობას.

დაბოლოს, განსხვავებულ აზრს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ზემდგომ

---

[1] უმცირესობაში მოსამართლის ყოფნა, არ ნიშნავს, რომ განსხვავებული აზრის ჩამოყალიბება მოსამართლის ვალდებულებაა. მოსამართლე შეიძლება არ დაეთანხმოს ამა თუ იმ საკითხში უმრავლესობას ისე, რომ არ ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი.

სასამართლოს უფლება აქვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება – დასაბუთებულობის შემოწმებისას გაითვალისწინოს განსხვავებულ აზრში ასახული მოსაზრებები და არგუმენტები. ამიტომ, სამართლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პრაქტიკაში მოსამართლემ ეს უფლება ხშირად უნდა გამოიყენოს.

საყურადღებოა ისიც, რომ მართალია საპროცესო კანონი კოლეგიურობის პრინციპს სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთ ფუძემდებლურ და სახელმძღვანელო პრინციპად აღიარებს, მაგრამ იგი უშვებს ცალკეული საპროცესო მოქმედების მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად შესრულების შესაძლებლობას. თუმცა, საუბარია გამონაკლისის წესით, მხოლოდდამხოლოდ საპროცესო მოქმედებებზე. ასეთ მოქმედებებს მოსამართლე ერთპიროვნულად ასრულებს სამოქალაქო საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე ან საქმის განხილვის დაწყების ან საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ, როდესაც საპროცესო მოქმედების შესრულებაში კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი ყველა მოსამართლის მონაწილეობა არ არის საჭირო (მაგალითად, საქმის მომზადებისას) ან მიზანშეუწონელია (იხ. მაგალითად 371-ე, 373-ე, 401-ე მუხლებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების შესრულების წესი). და პირიქით, ნებისმიერი მატერიალურ-სამართლებრივი საკითხი ან კანონით გათვალისწინებული საპროცესო საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლოს მხოლოდდამხოლოდ კოლეგიურმა შემადგენლობამ.

საქმის ერთპიროვნულად განხილვა საქმის დემოკრატიულად განხილვასა და გადაწყვეტაზე უარყოფით გავლენას არ ახდენს. საქმე იმაშია, რომ სამოქალაქო საქმეს მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საერთო წესის დაცვით. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ასეთ დროს სრულად უნდა იქნეს დაცული სამოქალაქო პროცესის ყველა წესი. გარდა ამისა, სამოქალაქო საქმის ერთპიროვნულად განხილვა სამოქალაქო პროცესს ხდის უფრო ოპერატიულს, მობილურსა და ეკონომიურს. ამრიგად, სამოქალაქო საქმის ერთპიროვნული ან კოლეგიური განხილვის წესი უარყოფითად არ მოქმედებს მართლმსაჯულების განხორციელების წესზე, ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს სამოქალაქო პროცესის ყველა წესი.

§3. აცილება[1]

მოსამართლის აცილების საფუძველი (გარემოება) შეიძლება ცნობილი იყოს სასამართლო განხილვის დაწყებამდე. ასეთ შემთხვევაში აცილების საფუძველი გათვალისწინებული უნდა იქნეს მოცემული საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის ფორმირებისას. სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა შედიოდნენ ის პირები, რომელთა მიმართაც სასამართლო სხდომაზე შეიძლება დაისვას აცილების საკითხი. თუკი აცილების საფუძველი წარმოიშობა ან ცნობილი გახდება აცილების მომთხოვნი პირისათვის მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ, მაშინ აცილების განცხადება დაიშვება მხარეთა პაექრობამდე.

აცილების შუამდგომლობა არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ძალზედ ზოგადი სახით. მითუმეტეს მაშინ, როცა მხარე უთითებს „მოსამართლის არაპირდაპირ დაინტერესებაზე". მხარემ უნდა აღნიშნოს კონკრეტული გარემოებანი, რომელთა გამოც სახეზეა ე.წ. „არაპირდაპირი დაინტერესება". საქმე იმაშია, რომ აცილების შესახებ ნორმის შემოღებას განაპირობებს ე.წ. ინტერესთა კონფლიქტი.

ინტერესთა კონფლიქტში იგულისხმება შემთხვევა, რომლის დროსაც საქმის შედეგით მოსამართლის დაინტერესება (პირდაპირი ან არაპირდაპირი) გავლენას ახდენს ან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოსამართლის მიერ თავისი თანამდებობრივი მოვალეობების

[1] აცილების საკითხზე იხილეთ ასევე ნაშრომის ის თავი, რომელშიც მთავარი სხდომაა განხილული.

სათანადოდ შესრულებაზე და რომლის დროსაც წარმოიშობა ან შესაძლოა წარმოიშვას დაპირისპირება მოსამართლის პირად დაინტერესებასა და პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს შორის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს პროცესის მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა (დაზარალება).

ცხადია, დემოკრატიულ საზოგადოებაში საქმის განხილვაში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ სასამართლოსადმი ნდობის განცდა. ასეთი ნდობა შეიძლება საეჭვო გახდეს მარტოოდენ უტყუარი და საფუძვლიანი მტკიცებულებების საღუძველზე, რომლებიც ამგვარი ნდობის საპირისპირო მდგომარეობაზე მეტყველებენ (ნდობის საწინააღმდეგო ფაქტებს ადასტურებენ). აცილების მომწესრიგებელი ნორმების სახით კანონმდებელმა დაადგინა მოსამართლის აცილების მექანიზმი. კანონის თანახმად, მოსამართლე ვერ განიხილავს საქმეს და აცილებული უნდა იქნეს, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან სახეზეა გარემოებები, რომლებიც ეჭვს იწვევენ მის მიუკერძოებლობაში. შესაბამისად, საქმის განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა ივარაუდება (მოსამართლის მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრეზუმფცია) მანამ, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. ამიტომ, მაგალითად ის გარემოება, რომ მოსამართლემ ადრე (მანამდე) განიხილა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში, არ ადასტურებს მოსამართლის მიკერძოებულობას მის მიერ იმავე საქმის იმავე ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს თავდაპირველად გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

როგორც წესი, მოსამართლის აცილების საფუძველია საქმის შედეგით მისი პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება, ან სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მოსამართლის მიუკერძოებლობაში. ცხოვრებისეული მოვლენები რთული და მრავალფეროვანია. ამას ითვალისწინებს კანონმდებელი. ამიტომაც არის, რომ კანონში არ შეიძლება მოცემული იყოს მოსამართლის აცილების საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალი. ამის გამო, სსსკ-ის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტი შეიცავს პრინციპული ხასიათის მხოლოდ ზოგად ფორმულირებას. კანონმდებელი არ ცდილობს ჩამოაყალიბოს საქმის შედეგით არც პირადი პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესების, არც სხვა იმ გარემოებების ცნება, რომლებიც მოსამართლის მიუკერძოებლობის ეჭვს ბადებენ. ამრიგად, 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტში ასახული წესები წარმოადგენენ ტიპურ სიტუაციურ ნორმებს. თუმცა, იმ პირმა, ვინც მოსამართლეს განუცხადა აცილება, უნდა დაასახელოს მოცემული ნორმის გამოსაყენებლად აუცილებელი კონკრეტული ფაქტები. მაგალითად, მოსამართლე ზემოაღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით შეიძლება აცილებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე გამოთქვა საკუთარი აზრი და ამით თავისი დამოკიდებულება განსაზღვრა საქმის შედეგისადმი ან როცა საქმის შედეგი შეიძლება შეეხოს თავად მოსამართლეს ან მისი ახლობელი ადამიანის ინტერესებს.

შესაბამისად, მოსამართლის აცილების განცხადება, რომელიც არაფრით არ არის დასაბუთებული (დადასტურებული), როცა განმცხადებელს არ დაუსახელებია კონკრეტული ფაქტები, არ შეიძლება გახდეს აცილების საფუძველი.

საქმის შედეგით მოსამართლე პირადად დაინტერესებული შესაძლოა იყოს მაშინაც, როდესაც მას თვითონ პირადად აქვს კონკრეტულ საქმეში (პროცესში) მხარედ გამოსვლის უფლება, ანდა ამ საქმემ და მისმა შედეგმა შეიძლება მას მოუტანოს რაიმე სარგებელი. რაც შეეხება არაპირდაპირ დაინტერესებას, მისი განსაზღვრა და დადგენა ყოველთვის როდია შესაძლებელი. იმის დასადგენად, აქვს თუ არა მოსამართლეს არაპირდაპირი დაინტერესება, როგორც წესი, აუცილებელია გამოირკვეს და დადგინდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტი ერთობლიობაში, რომლებიდან გამომდინარეც შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ სახეზეა მოსამართლის არაპირდაპირი დაინტერესება.

მნიშვნელოვანია აცილების განცხადების გადაწყვეტის წესის საკითხი (34–ე მუხლი). განცხადება უნდა გამოქვეყნდეს სასამართლო სხდომაზე. პირველად სასამართლო მოუსმენს აცილების განცხადების ავტორს. შემდეგ – საქმის მონაწილე სხვა პირებს. იმას, ვისაც განუცხადეს აცილება, უფლება აქვს განმარტებები მისცეს სასამართლოს აცილების განცხადების ირგვლივ. ამის შემდეგ მოსამართლეები, იმ მოსამართლის გარდა, რომელსაც განუცხადეს აცილება, გადიან სათათბირო ოთახში აცილების საკითხის გადასაწყვეტად. თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური სასამართლოს მთელ შემადგენლობას, ან მის უმრავლესობას, მაშინ ყველა მოსამართლე გადის სათათბიროდ აცილების საკითხის გადასაწყვეტად.

საინტერესოა, ხომ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას სსსკ–ის 34–ე მუხლის მე–3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ აცილება განუცხადეს საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს, მაშინ აცილების საკითხს თვით ეს მოსამართლე გადაწყვეტს.

საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის 1–ლი ნაწილით, ამავე მუხლის მე-9 ნაწილით, 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დებულებები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამ დებულებათაგან გამომდინარეობს სასამართლო კონტროლის დანიშნულება. სასამართლო კონტროლი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საფუძველზე სამართლებრივი დავების გადაწყვეტის საშუალებაა. დავის განხილვა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ სამართლიანი სასამართლო განხილვის (სამართლიანი სასამართლოს) უფლების განუყოფელი ელემენტია **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროკონვენციის** მე–6 მუხლის 1–ლი პუნქტის და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის არსიდან გამომდინარე. კანონი ადგენს მოსამართლის აცილების საფუძველსა და წესის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს. მართლმსაჯულების განხორციელების ზემოთ მითითებული პრინციპების (მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა) დაცვა გარანტირებულია სამოქალაქო–საპროცესო მექანიზმებით (საშუალებებით) და პროცედურებით.

სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპი[1] პირველ ადგილზე დგას **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროკონვენციის** მე–6 მუხლის 1–ლი პუნქტის მოთხოვნათა შორის **ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს** პრეცედენტულ პრაქტიკაში. ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ „ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ სასამართლო წესით უფლებათა დაცვის ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც, პირველ ყოვლისა, სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნას პასუხობენ“ (1984 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება საქმეზე „De Cubber v. Belgium). ევროსასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ „მიუკერძოებლობა უნდა შეფასდეს სუბიექტური მიდგომის შესაბამისად. ასეთ დროს ყურადღება ექცევა მოცემული მოსამართლის პირად დამოკიდებულებას კონკრეტული საქმისადმი, მიუკერძოებლობა ასევე უნდა შეფასდეს ობიექტური მიდგომის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს, არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები მოსამართლის მიუკერძოებლობაში ნებისმიერი სახის ეჭვის გამოსარიცხად“ (1989 წლის 24 მაისის დადგენილება საქმეზე „Hauschildt V. Denmark”)

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის კონსტიტუციური პრინციპებიდან გამომდინარე, აგრეთვე იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პროცესის მხარეებს უნდა გააჩნდეთ სასამართლოსადმი ნდობის განცდა, რომელიც (ნდობა) საეჭვო შეიძლება გახდეს მარტოობენ უტყუარი და საფუძვლიანი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც აქარწყლებენ ნდობას, კანონმდებელმა სსსკ–ის 34–ე მუხლის მე–3 ნაწილში საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის აც-

[1] გამოიხატება მოთხოვნაში „mo judex in re sua“.

ილების საკითხის გადაწყვეტის ისეთი წესი დაადგინა, რომელიც პროცესის მხარის მიერ მოსამართლის მიმართ აცილების განცხადების უსაფუძვლოდ და არაკეთილსინდისიერად შეტანის შედეგად საქმის გაჭიანურების ალბათობას ამცირებს.

საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის გარანტია, ამ მოსამართლის მიმართ განცხადებული აცილების საკითხის გადაწყვეტის დროს არის მის მიერ მოტივირებული განჩინების გამოტანა (სსსკ–ის 285–ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი), რომლითაც უნდა დასაბუთდეს, რომ არ არსებობენ გარემოებები, რომლებიც მოცემული საქმის განხილვის დროს მოსამართლის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს იძლევიან. გარდა ამისა გარანტიას წარმოადგენს სასამართლო დადგენილებების (აქტების) ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ შემოწმების პროცედურები. ზემდგომი სასამართლოებისათვის ქვემდგომი სასამართლოების აქტების გაუქმების საფუძვლების გამოვლენის დროს ამოსავალი უნდა იყოს კონსტიტუციური და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები და საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად, ამგვარი პრინციპები სასამართლომ უშუალოდ უნდა გამოიყენოს (უნდა გამოიყენოს, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი). ამასთან, სასამართლოს შემადგენლობის ობიექტურობის და მიუკერძოებლობის საკითხი ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა საერთო იურისდიქციის სასამართლოს კომპეტენციაა. გარემოებათა დადგენის შემთხვევაში, რომლებიც ეჭვს იწვევენ იმ მოსამართლის მიუკერძოებლობაში, რომლის აქტებიც გააუქმა ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, არ არის გამორიცხული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სასამართლოს სხვა შემადგენლობას.[1]

[1] სსსკ-ის 385-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება 1-ლი ინსტანციის სასამართლოს. ამ ნორმაში მოცემულია ზოგადი ფორმულირება საქმის 1-ლი ინსტანციის სასამართლოსათვის (და არა ამავე სასამართლოსათვის) დაბრუნების შესახებ, რაც არ გამორიცხავს სასამართლოს სხვა შემადგენლობით საქმის განხილვის შესაძლებლობას. სსსკ-ის 412-ე მუხლის მე2- ნაწილის თანახმად კი, საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

თავი VIII

მხარეები სამოქალაქო პროცესში

§1. მხარის ცნება, იურიდიული ინტერესი პროცესში

1. **ზოგადი დებულებანი.** სასამართლოში ყოველი საქმე აღიძვრება ვინმეს მიერ და ჩვეულებრივ მიმართულია ვინმეს წინააღმდეგ. ის პირი (როგორც წესი ფიზიკური თუ იურიდიული), რომლის სახელითაც წარმოებს საქმე სასამართლოში და რომელიც დაინტერესებულია საქმის ბედით, პროცესში მხარედ იწოდება. ამიტომ მოსამართლე, მოწმე, სპეციალისტი, თარჯიმანი ან ექსპერტი, რომლებიც სხვადასხვა მიზნით იღებენ პროცესში მონაწილეობას, მხარედ ვერ ჩაითვლებიან.

მხარეები სამოქალაქო პროცესში ეწოდებათ იმ პირებს, რომელთა შორის წამოჭრილი დავა უფლების შესახებ (მატერიალურ-სამართლებრივი დავა) უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

მხარე სასარჩელო წარმოების ძირითადი მონაწილეა. მხარე ორია პროცესში, რამეთუ დავა უფლების შესახებ, უსათუოდ გულისხმობს ორ მხარეს: ერთია ის, ვინც დაიწყო საქმე, ვინც აღძრა მოთხოვნა, მეორეა ის, ვის წინააღმდეგაც არის წამოყენებული მოთხოვნა, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. პირველს ეწოდება მოსარჩელე, მეორეს – მოპასუხე, ხოლო ორივეს – მხარეები (მოდავე მხარეები).

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები ფაქტობრივად მოსარჩელის ყველა უფლებით სარგებლობენ, ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები კი ერთ-ერთ მხარეზე მონაწილეობენ.

მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე შეიძლება მრავალი პირი მონაწილეობდეს, მაგრამ ამა თუ იმ მხარეზე მონაწილეთა რაოდენობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მხარე მხოლოდ ორი იქნება პროცესში; მაგალითად, სადავო უფლება წილობრივი საკუთრების უფლებით შესაძლოა ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს. თავიანთი ინტერესების დასაცავად სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, ყველა თანამესაკუთრე ერთი მხარე – მოსარჩელე მხარე იქნება.

როგორც წესი, სადავო სამოქალაქო (მატერიალური) სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, მხარეებია პროცესში. მაგალითად, მყიდველი (რომელიც მოსარჩელედ შეიძლება მოგვევლინოს, როცა უხარისხო ნივთის მიყიდვით დაირღვა მისი ქონებრივი უფლებები) და გამყიდველი, რომელთა შორის წარმოიშვა დავა, პროცესის სუბიექტები არიან. შეიძლება გამოირკვეს, რომ მოდავე მხარეები არ არიან მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები. ამიტომ ისინი არასათანადო მხარეები იქნებიან, მაგრამ მაინც მხარეები არიან პროცესში.

მხარეები მხოლოდ სასარჩელო წარმოებისათვის როდია დამახასიათებელი. მხარეები მონაწილეობენ გამარტივებულ წარმოებაშიც. რაც შეეხებათ განმცხადებლებს უდავო წარმოების საქმეებში, ისინი სარგებლობენ მხარის ყველა უფლებით, კანონით დადგენილი ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მაგრამ უდავო წარმოებაში მონაწილე განმცხადებელს მხარე არ ეწოდება.

მხარეების ნიშნებია: 1) მხარეებს აქვთ ურთიერთსაპირისპირო იურიდიული ინტერესი; 2) მხარეებს აქვთ საქმის შედეგით იურიდიული დაინტერესება (როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო-სამართლებრივი დაინტერესება); 3) მხარეები პროცესს აწარმოებენ თავისი სახელით, ანუ პროცესში თავისი სახელით გამოდიან; 4) სასამართლო გადაწყვეტილების მიღება ხდება მხარეთა სახელზე; 5) მხარეებზე ვრცელდება გადაწყვეტილების მატე-

რიალურ-სამართლებრივი ძალა; 6) მხარეებმა უნდა გასწიონ სასამართლო ხარჯი.

როდესაც ვამბობთ, რომ მხარეები და მესამე პირები საქმის შედეგით მატერიალურ-სამართლებრივად არიან დაინტერესებულნი, ეს ნიშნავს, რომ საქმის გადაწყვეტის შედეგად ერთ-ერთმა მხარემ შესაძლოა შეიძინოს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული რაიმე სამართლებრივი სიკეთე, ხოლო მეორე მხარე კი ამ სამართლებრივ სიკეთეს კარგავს. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მხარეთა მატერიალურ უფლება-მოვალეობებზე.

დაინტერესებულ პირებად სამოქალაქო საპროცესო სამართლის თვალსაზრისით ითვლებიან ის პირები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი უფლება, თავისუფლება ან კანონიერი ინტერესი დარღვეულია ან სადავოდ არის გამხდარი. ინტერესი არის არა მხოლოდ ადამიანის ცნობიერების შედეგი, არამედ საზოგადოებაში რეალურად არსებული მოვლენა, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს. (სუსგ, 2003 №11, გვ. 3114).

მოსარჩელეს, მოპასუხესა და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს ყოველთვის პირდაპირი ინტერესი აქვთ საქმის შედეგისადმი, რამეთუ სასამართლო გადაწყვეტილება უშუალოდ მოახდენს გავლენას მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს კი არაპირდაპირი ინტერესი აქვთ, რამეთუ გადაწყვეტილება ასეთი მესამე პირის უფლება-მოვალეობებზე პირდაპირ გავლენას არ ახდენს. თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლება-მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ამიტომ ასეთი მესამე პირი იმითაა დაინტერესებული, რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მის უფლება-მოვალეობებზე და რეგრესული სარჩელი არ იქნეს შემდგომში მის წინააღმდეგ აღძრული მოპასუხის მიერ.

აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ კიდევ ერთი არსებითი გარემოება. სწორედ მხარეები, თავიანთი მოქმედებებით გავლენას ახდენენ პროცესის წარმოშობასა და მსვლელობაზე, მათ უფლება აქვთ აღძრან საქმე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მოითხოვონ საქმის შეწყვეტა. მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ გადაწყვეტილება და სხვ.

მხარეთა შორის წამოჭრილ დავას უფლების შესახებ, არსებითად იხილავს და წყვეტს სასამართლო.

საბოლოოდ იგი წყვეტს სწორედ საკითხს იმის შესახებ, არსებობს თუ არა ეს სამართალურთიერთობა (მისი შინაარსი), ეკუთვნის თუ არა მოსარჩელეს სადავო უფლება და დარღვეულია თუ არა სინამდვილეში ეს უფლება მოპასუხის მიერ, პასუხი უნდა აგოს თუ არა მან ამისათვის და რა დოზით. სარჩელის წარდგენისა და საქმის აღძვრის დროს კი არსებობს მხოლოდ პრეზუმფცია (ვარაუდი) იმისა, რომ მოსარჩელე სადავო უფლების სავარაუდო მფლობელია, რომ ეს ის პირია, რომელიც ივარაუდება სადავო უფლების (კანონიერი ინტერესის) სუბიექტად, ხოლო მოპასუხე ასეთ დროს ივარაუდება სამართლებრივი ვალდებულების სუბიექტად (სავარაუდოდ იგი ითვლება სადავო ვალდებულების მატარებლად), რომელიც სადავოდ ხდის მოსარჩელის უფლებას.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ საქმის განხილვა (პროცესი) წარმოებს მხარეთა სახელით. ასევე მხარეთა სახელით ხდება თითოეული საქმის პერსონიფიცირება.[1] სამოქალაქო საქმის პერსონიფიცირებას კი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც კანონით აკრძალულია ერთხელ უკვე გადაწყვეტილი სარჩელის განმეორებით აღძვრა და განხილვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით (იხილეთ საპროცესო კოდექსის 186-ე, 209-ე, 272-ე, 275-ე, 266-ე მუხლები).

---

[1] ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწ. II, სამოქალაქო პროცესის სუბიექტები, თბ., 2002, გვ. 50.

რაც შეეხება საქმის შედეგით საპროცესო დაინტერესებას, საპროცესო დაინტერესებაში იგულისხმება მხარის შესაძლებლობა, დაიცვას თავისი უფლებები, ასევე იგი გულისხმობს მხარის სწრაფვას, მიიღოს ხელსაყრელი გადაწყვეტილება და აღასრულოს იგი.

დაბოლოს, სსსკ-ის მე-2 და 79-ე მუხლის თანახმად, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირისაგან მიღებული განცხადების საფუძველზე[1]. ასეთ დაინტერესებულ პირებად, ანუ მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც არ არიან იურიდიული პირების სტატუსის მქონენი. მხარეებად (მოსარჩელედ და მოპასუხედ) კონკრეტული დავის მონაწილენი სამოქალაქო საქმის აღძვრის (სასამართლოს მიერ სარჩელის ან განცხადების წარმოებაში მიღების) მომენტიდან ხდებიან.

2. **მოსარჩელე.** მოსარჩელე პროცესის ის მონაწილეა, რომელიც მოითხოვს რაიმეს მიკუთვნებას, რაიმე უფლების ცნობას, მოპასუხისთვის რაიმე მოქმედების აკრძალვას. სასარჩელო წარმოება ვერ აღიძვრება, თუ მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში არ დაასახელებს მოპასუხესაც, ამიტომაა, რომ საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი მოითხოვს, მოსარჩელემ დაასახელოს არა მარტო თავისი გვარი, სახელი, არამედ მოპასუხის გვარი და სახელი. თუ მხარე იურიდიული პირია, უნდა დასახელდეს მისი სახელწოდება. მხარეთა შორის დავა უფლების შესახებ წარმოადგენს ორივე მხარის საწინააღმდეგო ინტერესების დაპირისპირებას, ბრძოლას. ამიტომ საქმე უნდა შეწყდეს, უკეთუ პროცესში ადგილი აქვს მოსარჩელისა და მოპასუხის ერთ პირში შერწყმას. ამ დროს პროცესში იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ მხარეთა შორის ისპობა ინტერესთა წინააღმდეგობა, ამ დროს სახეზე აღარ გვაქვს მხარეთა ისეთი ნიშანი, რასაც ურთიერთსაწინააღმდეგო იურიდიულ ინტერესს ვუწოდებთ. მაგალითად, მამა ედავებოდა შვილს ქონებაზე, მაგრამ საქმის განხილვისას მამა (მოსარჩელე) გარდაიცვალა და მოპასუხე მისი მემკვიდრე აღმოჩნდა. მისი ქონება მემკვიდრეობით გადავა შვილზე (მოპასუხეზე), რომელიც მემკვიდრეობის შედეგად აღმოჩნდება მოთხოვნის უფლების სუბიექტი, ან პირიქითაც შეიძლება მოხდეს შვილის გარდაცვალების შემთხვევაში. ამიტომ, ბუნებრივია, საქმისწარმოება უნდა შეწყდეს.

მოსარჩელეს აქტიური მხარე უნდა ვუწოდოთ სამოქალაქო პროცესში იმდენად, რამდენადაც სწორედ იგი აღძრავს საქმეს თავისი უფლებების (კანონიერი ინტერესების) დასაცავად.

3. **მოპასუხე.** მოპასუხე არის ის, ვისაც, შეიძლება ითქვას, თავს ესხმის მოსარჩელე, და ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მოპასუხე არის ის, ვინც, მოსარჩელის აზრით, სრულიად დაუსაბუთებლად სადავო გახადა ეს უფლება, ან ხელყო კანონით დაცული ინტერესი და ვის წინააღმდეგაც აღიძრა საქმე.

სარჩელის აღძვრის მიზეზი ხშირად თვითონ მოპასუხის მოქმედება ან უმოქმედობაა (მაგალითად, მოპასუხემ არ გაისტუმრა ვალი დადგენილ ვადაში, სადავო გახადა ავტორობა, მიაყენა ზიანი და სხვ.). თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მოპასუხემ თვითონ შეიძლება არც დაარღვიოს თავისი მოქმედებით (უმოქმედობით) მოსარჩელის უფლებები და ინტერესები, თვითონ არც ჩაიდინოს უფლების (ინტერესების) შემლახავი არავითარი მოქმედება (ან უმოქმედობა), მაგრამ ობიექტურად გახდეს სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტი (მაგალითად, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი ან მცირეწლოვანი მემკვიდრე, რომელსაც წარედგინა ანდერძის ბათილობის შესახებ სარჩელი და ა.შ.).

---

[1] სსსკ-ის მე-2 და 79-ე მუხლებში „განცხადება" ფართო გაგებით გამოიყენება და მოიცავს: სასარჩელო განცხადებას, გამარტივებული წარმოების აღძვრის მიზნით შეტანილ განცხადებას, უდავო წარმოების აღძვრის მიზნით შეტანილ განცხადებას, სააპელაციო ან საკასაციო წესით შეტანილ საჩივარს, საქმის განახლების მიზნით შეტანილ განცხადებას, საჩივარს, შუამდგომლობას.

სამოქალაქო პროცესში მოპასუხე ე.წ. პასიური მხარეა იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ აღძრავს საქმეს.

§2. მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები

1. **სამოქალაქო საპროცესო უფლებები.** სამოქალაქო საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია ორივე მხარის აქტიური მონაწილეობა. საპროცესო უფლებების გამოუყენებლობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლებები არ გამოიყენა (სუსგ 2003 წ. №3-4 გვ. 1644).

მხარეებს სამოქალაქო პროცესში მინიჭებული აქვთ ფართო საპროცესო უფლებები და მოვალეობები. საპროცესო თანასწორუფლებიანობის პრინციპი მხარეებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს პროცესის ყველა სტადიაზე საქმის აღძვრიდან დაწყებული, გადაწყვეტილების აღსრულებით დამთავრებული. ყოველ დაინტერესებულ პირს აქვს საქმის აღძვრის უფლება. მაგრამ, ამავე დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 186-ე მუხლით.

მხარეთა უფლებები იყოფა ზოგად და სპეციალურ უფლებებად. ზოგადი უფლებები ეს მხარეთა ისეთი საპროცესო უფლებებია, რომლებითაც აღჭურვილია საქმის მონაწილე ყველა პირი, მათ შორის მხარეები.

ზოგადი უფლებების შესახებ საუბარია სსსკ-ის 83-ე მუხლის 1-ლ ნაწილში და საპროცესო კოდექსის მთელ რიგ სხვა მუხლებში. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ზოგიერთ მომენტზე, კერძოდ, მხარეებს, პირველ ყოვლისა, უფლება აქვთ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საქმეში. მათ უფლება აქვთ მონაწილეობდნენ ყველა სასამართლო სხდომაზე, ესწრებოდნენ სხვადასხვა საპროცესო მოქმედების შესრულებას, გაეცნონ საქმის მასალებს. მათ შეუძლიათ გააკეთონ ამონაწერები საქმის მასალებიდან, გადაიღონ ასლები. ეს ეხება როგორც მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებს, ისე სხვა პირთა მიერ წარდგენილ მასალებსაც, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა განმარტებანი. მხარეებს უფლება აქვთ აცილება გამოუცხადონ სასამართლოს შემადგენლობას, სასამართლო სხდომის მდივანს, განაცხადონ შუამდგომლობები (მაგალითად, მტკიცებულებათა გამოთხოვის, ექსპერტიზის დანიშვნის, სარჩელის უზრუნველყოფის, საქმისწარმოების შეჩერების შესახებ და სხვ.). წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები, მოსაზრებები. ორივე მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს აქტები სათანადო წესითა და კანონით დადგენილ ვადებში, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სსსკ-ის 83-ე მუხლში მითითებულია, რომ ამ მუხლში ჩამოთვლილის გარდა, მხარეები სარგებლობენ საპროცესო კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა საპროცესო უფლებებითაც. მაგალითად, უფლებით, აწარმოონ საქმე პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, მოითხოვონ საქმისწარმოების განახლება, თუ ამისათვის სახეზეა შესაბამისი საფუძვლები. თვითონ მხარის უფლებაა, მოითხოვოს თუ არა მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება და ა.შ.

მხარეთა სპეციალური უფლებები მითითებულია სსსკ-ის მე-3 მუხლში, 21-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, 83-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში, 83[1]-ე მუხლში, 188-ე მუხლსა

და საპროცესო კოდექსის სხვა მუხლებში.

თუმცა მხარეებს თანაბარი საპროცესო უფლებები გააჩნიათ, მაგრამ დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად თითოეული მათგანი სარგებლობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციალური უფლებებით, მაგალითად, მოსარჩელეს აქვს შემდეგი სპეციალური უფლებები: თავისი შეხედულებით განსაზღვროს სარჩელის საგანი და საფუძველი, ასევე მას უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, აგრეთვე უარი თქვას სარჩელზე, გამოიხმოს სარჩელი. სსსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე თვითონ მოსარჩელე ირჩევს მოპასუხეს და მის მიმართ სარჩელის წარდგენით იწყებს საქმისწარმოებას სასამართლოში. როგორც წესი, სარჩელი უნდა წარედგინოს 1-ლი ინსტანციის სასამართლოში. სარჩელის წარდგენის წესი დადგენილია სსსკ 177-178-ე, 180-184-ე მუხლებით. თავის მხრივ, მოპასუხესაც გააჩნია სპეციალური საპროცესო უფლებები, კერძოდ, ცნოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ, აგრეთვე შეიტანოს შესაგებელი, ან აღძრას შეგებებული სარჩელი. ამდენად, მოპასუხეს კანონი ანიჭებს მოსარჩელის თანაბარ უფლებებს. მხარეთა სპეციალური უფლებაა მორიგება, რასაც ორივე მხარე ურთიერთშეთანხმებით ახორციელებს. აღნიშნული უფლებები მხარეთა განკარგვითი, ანუ დისპოზიციური უფლებებია, რომლითაც მხოლოდ მხარეები სარგებლობენ პროცესში.

სარჩელზე უარის თქმა ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უარი თქვა თავის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნაზე მოპასუხისადმი, შესაბამისად, უარი თქვა პროცესის გაგრძელებაზე. მოსარჩელეს უფლება აქვს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში თქვას უარი სარჩელზე, მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ საუბარია აღსრულების სტადიაზეც, როცა სააღსრულებო წარმოება წყდება კრედიტორის მიერ გადახდევინებაზე უარის თქმის გამო.

სარჩელის აღიარება მოპასუხის მიერ ნიშნავს, რომ ის აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნას მის მიმართ. სარჩელი მოპასუხემ, შესაძლოა, აღიაროს სრულად ან ნაწილობრივ. სარჩელის აღიარების შემთხვევაში პროცესი მაინც გაგრძელდება და სასამართლო გამოიტანს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას.

მორიგება, მხარეთა კომპრომისის გამოხატულებაა, რომლის დროსაც ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ დათმობაზე მიდის. მორიგება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტებს შორის (მოსარჩელეს, მოპასუხესა და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს შორის). მორიგებას ამტკიცებს სასამართლო, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ამოწმებს შეთანხმების პირობების ნამდვილობას, ხომ არ ეწინააღმდეგება იგი კანონს, ან ზნეობრიობის ნორმებს, ითვალისწინებს თუ არა ორივე მხარის ინტერესებს და მისი პირობები ხომ არ არღვევს მესამე პირთა კანონით დაცულ უფლებას (ინტერესს). სასამართლომ მხარეებს უნდა განუმარტოს საქმის მორიგებით დამთავრების სამართლებრივი შედეგები.

ყოველგვარი შინაარსის მქონე განცხადება, რომელიც კი ასახავს მხარეთა ნებას, რომ ურთიერთშორის არსებულ დავას მოაგვარებენ (მოაწესრიგებენ) მშვიდობიანად და ურთიერთშეთანხმებით (კანონის შესაბამისად) როდი შეიძლება ჩაითვალოს მორიგებად. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე კასატორმა წარმოადგინა მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც მხარეები აცხადებდნენ, რომ მათ შორის არსებულმა სასამართლო დავებმა, რომლებიც ხანგრძლივად გრძელდებოდა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა შპს-ს და მის ყველა პარტნიორს, რაც მიუღებელია მხარეთათვის. მოსარჩელის მხარის განცხადებით მისი მხრიდან მორიგების მიზანი იყო საზოგადოების პარტნიორებს შორის ნორმალური და კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება, რაც გამოიხატება იმაში, რომ საზოგადოების პარტნიორთა კრებამ ნორმალურად უნდა იმუშაოს, რაც ასახვას ჰპოვებს საზოგადოების საქმიანობაზე. მოსარჩელე, რომელიც მოითხოვდა თავდაპირველად მოპასუხეთა გარიცხვას

საზოგადოებიდან, აცხადებდა და თანახმა იყო, რომ მოპასუხეები ისევ დარჩენილიყვნენ საზოგადოების პარტნიორებად და მათ ჰქონოდათ სამეწარმეო რეესტრში იმ პერიოდის მდგომარეობით დაფიქსირებული წილები. მოპასუხეები აცხადებდნენ რომ მათი მხრიდან მორიგების მიზანია საზოგადოების პარტნიორებთან, თვით საზოგადოებასთან პარტნიორული და კეთილგანწყობილი ურთიერთობის არსებობა და სხვა პარტნიორებთან ერთად საზოგადოების წინაშე არსებული ფინანსური და სხვა პრობლემების გადაწყვეტა. მხარეები თანხმდებიან, რომ საზოგადოების პარტნიორები (მოპასუხე მხარე) სხვა პარტნიორებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას საზოგადოების მართვაში და მათთან ერთად, საკუთარი წილის პროპორციულად იზრუნებენ საზოგადოების წინაშე არსებული ყველა პრობლემური საკითხის გადაწყვეტაზე და მიღებული მოგების გადანაწილებაზე თითოეული პარინიორის წილის შესაბამისად. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მორიგების დამტკიცებისა და შესაბამისი განჩინების გამოტანის მომენტიდან მზად არიან იხელმძღვანელონ მორიგების აქტში მიღწეული შეთანხმებით.

საკასაციო პალატამ წარმოდგენილი განცხადება არ დააკმაყოფილა რამდენიმე გარემოების გამო, კერძოდ, მიუთითა, რომ მართალია მხარეები სასამართლოში წარმოდგენილ აქტს მიიჩნევენ მორიგების აქტად, მაგრამ თავისი შინაარსით იგი წარმოადგენს არა მორიგებას, არამედ სარჩელზე უარის თქმას. კერძოდ, მხარეთა შეთანხმება ანუ მხარეთა მორიგება არის სასამართლოში საქმის წარმოების დროს მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე და მოპასუხე ურთიერთდათმობისგზით ახლებურად განსაზღვრავენ თავიანთ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს, რის საფუძველზეც წყვეტენ თავიანთ დავას სასამართლოში. მხარეთა მორიგება სასამართლოში ორმხრივი გარიგებაა, რითაც იგი განსხვავდება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის და მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობისაგან (აღიარებისაგან), როგორც ცალმხრივი გარიგებისაგან.

განსახილველ შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ ისეთ საკითხებზე, რაც მათ, როგორც პარტნიორებს საზოგადოების წინაშედა საზოგადოების პარტნიორების მიმართ, კანონით ისედაც ეკისრებათ. ამდენად, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა საზოგადოებიდან პარტნიორების გარიცხვას წარმოადგენდა და იგი დაკმაყოფილდა ამ შემთხვევაში სახეზეა არა მორიგება, არამედ საკასაციო საჩივარიზე უარის თქმა. ამიტომ სასამართლომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საქმეზე შეწყვიტა საკასაციო საქმისწარმოება. (სუსგ 2003 წ. № 10, გვ. 2617–2618).

მხარეთა მორიგება არის გარიგების საპროცესო ფორმა, რომელიც უნდა პასუხობდეს გარიგების დადებისათვის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მხარეებს შეუძლიათ დავა მორიგებით დაამთავრონ ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც, მაგრამ ეს გარემოება არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების იურიდიული ძალა განისაზღვრება მხარეთა მიერ შემდგომში მის მიმართ განხორციელებული მოქმედებებით და შეიძლება შეიზღუდოს მხარეთა ნებაზე დაფუძნებული სხვა აქტებით.

2. **სამოქალაქო საპროცესო მოვალეობები.** სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. შესაბამისად, მათ აკისრიათ თანაბარი საპროცესო მოვალეობებიც, რომლებიც აგრეთვე იყოფა ზოგად და სპეციალურ მოვალეობებად.

საზოგადოდ მხარეები ვალდებული არიან დაიცვან სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესრიგი და უსიტყვოდ დაემორჩილონ თავმჯდომარის შესაბამის განკარგულებებს, პატივი სცენ სასამართლოს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მხარის მიმართ გამოიყენოს სანქციები, კერძოდ, თავდაპირველად მოსამართლე გააფრთხილებს, ხოლო შემდეგ გააძევებს სხდომის დარბაზიდან და სხვა.

რაც შეეხება სპეციალურ მოვალეობებს, ისინი სხვადასხვაგვარია და იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ხასიათის საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს მხარემ. მაგალითად, მოსარჩელე ვალდებულია სარჩელს დაურთოს საბუთების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა; მხარეები ვალდებული არიან აცნობონ სასამართლოს თავიანთი ადგილსამყოფელის (მისამართის) შეცვლის შესახებ; სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დაუმტკიცებლობას შესაბამისი არახელსაყრელი შედეგები მოჰყვება მხარეთათვის (სასამართლო ან დააკმაყოფილებს სარჩელს, ან უარს იტყვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე). სსსკ-ის 134-ე მე-2 ნაწილის თანახმად, წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია მიუთითოს, თუ საქმის რა მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეიძლება მის მიერ დასახელებული მტკიცებულებით და რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა. შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა უნდა მიუთითოს იმ მიზეზებზე და წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებებიც იმის დასადასტურებლად, რომ თვითონ ვერ შეძლო დამოუკიდებლად ამ მტკიცებულებათა მიღება სხვადასხვა დამაბრკოლებელ ფაქტორთა გამო; უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადასტურების დროს განმცხადებელმა განცხადებაში უნდა აღნიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება მას ამ ფაქტის დადგენა. შეიძლება დასახელდეს სხვა მაგალითებიც. სსსკ-ის 83-ე მუხლის მიზანია უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციური უფლების განხორციელება (კონსტიტუციის 42-ე მუხლი), ამ მუხლში ჩამოთვლილი უფლებებით შეუძლია ისარგებლოს სახელმწიფო ორგანომაც, როდესაც ის თავისი სახელით მიმართავს სასამართლოს სხვა პირის უფლებების დასაცავად. დასახელებული ნორმის მიზანია აგრეთვე, სამოქალაქო პროცესის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება – ეს არის სამოქალაქო საქმეთა სწორი და დროული განხილვა და გადაწყვეტა. ამისათვის პროცესი უნდა ხორციელდებოდეს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საქმის განხილვის დროს იგი ვალდებულია არსებითად გამოიკვლიოს ყველა ფაქტობრივი გარემოება და არა აქვს უფლება შემოიფარგლოს ნორმის გამოყენების ფორმალური პირობების დადგენით. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტიტუციის 42-ე მუხლით განმტკიცებული უფლება სასამართლო წესით იქნეს დაცული ნებისმიერი პირი, არსებითად დაირღვევა და შეილახება. მაგალითად, არ იქნება მართებული სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხის შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ უფლების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს, რადგან ასეთ უფლებას 83-ე მუხლი ანიჭებს ნებისმიერ მხარეს.

§3. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა და სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა

1. **სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა.** პროცესში მხარედ გამოსვლა, იქნება ეს მოსარჩელე, მოპასუხე თუ მესამე პირი, ყველას როდი შეუძლია, არამედ ამისათვის საჭიროა უფლებაუნარიანობა.

ისეთი საპროცესო კატეგორიები, როგორიც საპროცესო უფლებაუნარიანობა და საპროცესო ქმედუნარიანობაა, ისევე, როგორც ბევრი სხვა კატეგორია, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სამოქალაქო სამართალში არსებულ ანალოგიურ კატეგორიებთან.

საპროცესო უფლებაუნარიანობა აქვს ყველას, ვისაც აქვს სამოქალაქო უფლებუნარიანობა, ე.ი. უნარი, იქონიოს სამოქალაქო ულებანი, შეიძინოს ქონება, დადოს გარიგება და

სხვ. მატერიალური სამოქალაქო უფლების ცნება თავისთავად გულისხმობს ამ უფლების დაცვის შესაძლებლობასაც. ვისაც კანონით მინიჭებული აქვს სამოქალაქო უფლებანი, იმას უფლებაც აქვს, დაიცვას ეს უფლებები სასამართლოს საშუალებით.

საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა აუცილებელია მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილეთათვის მინიჭებული უფლებების დასაცავად, რამეთუ არ უნდა შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როცა მატერიალური სამართლის სუბიექტს არ აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო პროცესში (საქმის განხილვაში).

მაშასადამე, საპროცესო უფლებაუნარიანობა, ანუ პროცესში მხარის სახით მონაწილეობის უფლება აქვს ყველას იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ სამოქალაქო უფლებაუნარიანობა, მათ შორის თოთო ბავშვსა და, სულით ავადმყოფს.

ფიზიკური პირის სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და წყდება მისი გარდაცვალებით. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ფიზიკურ პირს აქვს უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (სამოქალაქო უფლებაუნარიანობა).

ამავდროულად, არ შეიძლება გავაიგივოთ სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა. საპროცესო უფლებაუნარიანობა გარკვეულწილად დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ხდება სხვადასხვა უფლებების (ინტერესების) დაცვა, რომლებიც გამომდინარეობენ სამოქალაქო, საავტორო და სხვა ურთიერთობებიდან. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები, არამედ სხვა საქმეებიც, რომლებიც წარმოიშობა მაგალითად, შრომითი და სხვა ურთიერთობებიდან. ამიტომ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას არ შეიძლება ჰქონდეს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ყველა საქმისათვის.

სამოქალაქო სამართალში მოქმედებს აქსიომა, რომ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო, საქართველოს თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი).

სსსკ-ის მე-80 მუხლის თანახმად, საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო უფლებაუნარიანობა), ე.ი. იყოს სამართლის სუბიექტი. ამდენად, ყველა ფიზიკური პირი უფლებაუნარიანია მათი ასაკის, სქესის, რასის, ფსიქიკური მდგომარეობის, ანუ ფსიქიკური უნარიანობისა (შერაცხადობისა) და სხვა კრიტერიუმების მიუხედავად.

გარდა ფიზიკური პირებისა, მხარე ან მესამე პირი სამოქალაქო პროცესში, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს იურიდიული პირი. მისი საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც იურიდიული პირი გახდება მატერიალური სამართლის სუბიექტი. სწორედ ამ მომენტიდან მას უფლება აქვს ისარგებლოს (გამოიყენოს) უფლების დაცვის საპროცესო საშუალებებით.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა წარმოიშობა და შეწყდება ერთბაშად – იურიდიული პირის რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება არ ნიშნავს იურიდიული პირის ლიკვიდაციას და იმას, რომ რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ, ყოფილ პარტნიორს ან დირექტორს არა აქვს უფლება, აწარმოოს საქმე შპს-ს ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებზე. ამის საფუძველს იძლევა მეწარმეთა კანონის 14.2 მუხლი, რომლის შესაბამისად, საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებენ დირექტორები და ხელმძღვანელი-პარტნიორები. გარდა ამისა, დასაშვებია, რომ ლიკვიდაცია განახორციელონ სხვა პირებმა, რომელთა დანიშვნის უფლებაც აქვს

სასამართლოს. საზოგადოების ლიკვიდაცია არაა ერთჯერადი აქტი, იგი პროცესია, რომელიც შეიძლება რამდენიმე წელიწადსაც კი გაგრძელდეს. აქედან გამომდინარე, დირექტორებს და ხელმძღვანელ პარტნიორებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ დაწყებულ სასამართლო განხილვაში, მორიგებით დაასრულონ დავები და საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთონ ახალ ურთიერთობებში.

ამრიგად, თუ იურიდიული პირის ლიკვიდაცია სათანადო წესით არაა დაფიქსირებული, მის ყოფილ დირექტორს უფლება აქვს იურიდიული პირის სახელით ჩაებას სამოქალაქო ურთიერთობაში.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებად (პროცესის სუბიექტებად) შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. მაგალითად, არარეგისტრირებული კავშირი ან ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა). **ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების (ამხანაგობის) მონაწილენი სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ თანამოსარჩელეებად ან თანამოპასუხეებად მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ დავებთან დაკავშირებით.**

სასამართლოში დამოუკიდებლად ვერ გამოვლენ ფილიალები და წარმომადგენლობები, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო პროცესში მხოლოდ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რომლებითაც ისინი აღჭურვილი არიან იმ ორგანოების მიერ, რომელთაც დაამტკიცეს ფილიალის ან წარმომადგენლობის დებულება.

საკითხი იმის თაობაზე, ვრცელდება თუ არა საპროცესო უფლებაუნარიანობა მხოლოდ მხარეებზე ან მესამე პირებზე, თუ ეს ცნება უფრო ფართოა და აქ მხედველობაშია აგრეთვე სხვა სუბიექტებიც (სასამართლო წარმომადგენელი და სხვა), სადავოა.[1]

საპროცესო უფლებაუნარიანობის ცნება არ არის ფართო შინაარსის მქონე ცნება და ვრცელდება მხოლოდ მხარეებსა და მესამე პირებზე (ანუ საქმის მონაწილეებზე და არა სხვა სუბიექტებზე). **საპროცესო უფლებაუნარიანობა გულისხმობს პროცესში მხარედ ყოფნის შესაძლებლობას (უფლებას) დაბადების მომენტიდან.** არც წარმომადგენელი და არც ის პირები, ვინც დამხმარე ფუნქციას ასრულებენ პროცესში, მხარედ არ ითვლებიან. მათ თავიანთი დანიშნულება აქვთ პროცესში და თავიანთი ამოცანების შესაბამისი უფლებებითა და მოვალეობებითაც სარგებლობენ.

შემთხვევითი როდია, რომ უფლებაუნარიანობის ცნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ თავშია (კარი მეორე, თავი IX) მოცემული, სადაც მხარეებზეა საუბარი.

სამეცნიერო ლიტერატურაში იყენებენ სამართალსუბიექტობის ერთიან კატეგორიასაც, რომელშიც იგულისხმება უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. თუმცა არც მოქმედ კანონმდებლობაში, არც სამოქალაქო საქმეთა განხილვის პრაქტიკაში არ გამოიყენება აღნიშნული ტერმინი. ამიტომ გამოთქმულია ეჭვი იმის თაობაზე, რომ ამ კატეგორიას დამოუკიდებელი არსებობის უფლება აქვს.[2]

2. სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტების სამართლებრივი სტატუსი უკავშირდება აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობას (სსსკ-ის 81-ე მუხლი), რომელიც განსხვავდება საპროცესო უფლებაუნარიანობისაგან. ქმედუნარიანობა გულისხმობს პირის უნარს, დამოუკიდებლად, თავისი მოქმედებით განახორციელოს (დაიცვას) სასამართლოში თავისი საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, ან დააკისროს საქმისწარმოება (უფლებამოვალეობათა განხორციელება) წარმომადგენელს (არჩეულ რწმუნებულს). საპროცესო უფლებების განხორციელება თავისი მოქმედებით (ანუ დამოუკიდებლად) გულისხმობს იმას,

---

[1] Гражданское процессуальное право России. М., 1996, изд. „Былина", გვ. 58 (Ред. М.С. Шакарян).

[2] Гражданское право. Под ред. Е.А. Суханова. 2-ое изд. М., 1998, т. 1, გვ. 116.

რომ პირს უნარი აქვს პირადად აღძრას სამოქალაქო საქმე (შეიტანოს სარჩელი), პირადად (თვითონ) განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები, პირადად მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, საქმისწარმოება დაავალოს წარმომადგენელს და ა.შ.

თოთო ბავშვსა და სულით ავადმყოფს შეუძლიათ იქონიონ სხვადასხვა უფლება, მაგრამ მათ არ შეუძლიათ თავისი ნებისყოფა გამოხატონ, თავისი უფლება განახორციელონ პირადად ან საამისო რწმუნებულის არჩევით. ასეა სამოქალაქო პროცესშიც: ვისაც ნებისყოფის გამოხატვა არ შეუძლია, იმას არც პროცესის წარმოება შეუძლია არც პირადად და არც რწმუნებულის არჩევით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო ქმედუნარიანობა ამა თუ იმ პირს იმდენად აქვს, რამდენადაც სამოქალაქო სამართალში ქმედუნარიანობა გააჩნია.

საპროცესო სამართლის თვალსაზრისით, ქმედუნარიანები არიან სრულწლოვანი ფიზიკური პირები და ქმედუნარიანები არიან ასევე იურიდიული პირები. სწორედ სრულწლოვანების მომენტიდან შეუძლიათ ფიზიკურ პირებს პირადად ან წარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობა მიიღონ პროცესში და დამოუკიდებლად (თვითონ) განკარგონ მინიჭებული უფლებები და დაკისრებული მოვალეობები. ამასთან ერთად, ამ ზოგადი წესიდან (რომ 18 წლის ასაკის მიღწევიდან იწყება სრული საპროცესო ქმედუნარიანობა) არსებობს გამონაკლისებიც, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ქმედუნარიანობა ასევე საფუძველია იურიდიული პირებისათვისაც, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ პროცესში. როგორც აღვნიშნეთ, იურიდიული პირის უფლება-ქმედუნარიანობა ერთდროულად წარმოიშობა — იურიდიული პირის რეგისტრაციის მომენტიდან. საჯარო სამართლის იურიდიულ პირთაგან მხოლოდ პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია ხდება. საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირები იქმნებიან კანონის ან პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, ხოლო საკითხი იმის შესახებ, თუ როდიდან წარმოეშობათ საპროცესო ქმედუნარიანობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: მათი ქმედუნარიანობა წარმოიშობა კანონის ან პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის მომენტიდან. თანაც, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განსხვავებით კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, რომელთაც ზოგადი უფლებაუნარიანობა ახასიათებთ, საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა სპეციალურია. მაშასადამე, იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები. ამ უფლებათა მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახისაა ესა თუ ის იურიდიული პირი. ზოგადი უფლებაუნარიანობის მქონე იურიდიული პირები აღჭურვილი არიან მრავალი სამოქალაქო უფლებით, ე.ი. მათ შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა. ზოგიერთი სახის საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს სპეციალური კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე. იმ საქმიანობის განხორციელების უფლება, რომლისთვისაც აუცილებელია ლიცენზიის მიღება, წარმოიშობა ასეთი ლიცენზიის (ნებართვის) მიღების მომენტიდან ან მასში მითითებულ დროს და წყდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, თუ რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის კატეგორიები მატერიალურ და საპროცესო სამართალში.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონში საუბარია პირთა (პროცესის მონაწილეთა) მოქმედებებზე, ამიტომ უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ხორციელდება საქმის მონაწილეთა მიერ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების შესრულებით. ამ პირთაგან ფიზიკური პირები ახორციელებენ თავიანთ საპროცესო უფლება-ქმედუნარიანობას თვითონ (დამოუკიდებლად) ან თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ხოლო ორგანიზაციები — თავიანთი ორგანოების ან წარმომადგენლების მეშვეო-

ბით (რომელთაც შესაბამისად დადასტურებული უფლებამოსილება უნდა ჰქონდეთ ხელთ).

სრული საპროცესო ქმედუნარიანობა. განვიხილოთ ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

ზოგადი წესის თანახმად, ფიზიკურ პირთა სრული საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან (სრულწლოვანებიდან). ამ ასაკის მიღწევამდე საპროცესო ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშობა, თუ არასრულწლოვანი 16 წლის ასაკიდან მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით ან, თუ ასეთი თანხმობა არ არის – სასამართლოს ნებართვით დაქორწინდება (სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლი).

ამრიგად, არასრულწლოვანს შეუძლია პირადად განახორციელოს თავისი საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები დაქორწინების მომენტიდან. ეს არის ე.წ. არასრულწლოვანის ემანსიპაციის (უფლებრივი გათანაბრების) ერთ-ერთი შემთხვევა. ამასთან, ქორწინების შედეგად შეძენილი ქმედუნარიანობა პირს უნარჩუნდება სრული მოცულობით იმ შემთხვევაშიც, თუ არასრულწლოვანი განქორწინდება 18 წლის ასაკის (სრულწლოვანების) მიღწევამდე. მაგალითად, 16 წლის პირს (თუ ის დაქორწინებულია) უფლება აქვს თვითონ აღძრას საქმე (შეიტანოს სარჩელი) ქორწინების ბათილად ცნობის (ან განქორწინების) შესახებ, წარადგინოს სარჩელი ალიმენტების გადახდევინებისა და ქონების გაყოფის შესახებ. 16 წლის ასაკიდან მას უფლება აქვს აღძრას ნებისმიერი სხვა სახის სარჩელი, რომელიც სხვადასხვა სამართალურთიერთობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს.

სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი არასრულწლოვანის ემანსიპაციის კიდევ ერთ შემთხვევას ითვალისწინებს. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს 16 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში (და არა ყოველგვარ ურთიერთობებში), იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. აღსანიშნავია, რომ ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

შეზღუდული სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა. სსსკ-ის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ ფიზიკურ პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ პირთა (ისევე როგორც ქმედუუნარო პირთა) კანონიერი წარმომადგენლები კისრულობენ (თავიანთ თავზე იღებენ) მათი სამოქალაქო საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების ტვირთს. ამასთან, სასამართლო ვალდებულია, რომ ასეთ საქმეებში თვით არასრულწლოვანებიც (შესაბამისად, შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულებიც) ჩააბას. ამდენად, 7-დან 18 წლამდე – არის შეზღუდული ქმედუნარიანობის პერიოდი. მათ უფლება აქვთ შეასრულონ სასამართლოში შესაბამისი საპროცესო მოქმედებები, თუმცა სარჩელზე უარის თქმა, მორიგება ან სარჩელის ცნობა ამ პირებს შეუძლიათ მხოლოდ თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო წესით და იმ პირობით, თუ ეს პირი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. აღნიშნულ პირს ეზღუდება ქმედუნარიანობა გარიგების დადებისას, კერძოდ არ შეუძლია ქონების განკარგვის გარიგების დადება, ხელფასის, პენსიის ან სხვა სახის შემოსავლის განკარგვა გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებისა, არაქონებრივი ხასიათის დავებში ეს პირები სრული ქმედუნარიანი

არიან და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლიათ გამოვიდნენ მხარედ. მაგალითად, განქორწინების საქმეებზე (რომელიც არ არის დაკავშირებული ქონების გაყოფასთან), პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ, მამობის დადგენისა და არაქონებრივი ხასიათის სხვა საქმეების შესახებ სარჩელებზე.

თუ მხარდაჭერის მიმღებს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, სასამართლო ვალდებულია ასეთი საქმე განიხილოს მხარდაჭერის მიმღებისა და მისი მხარდამჭერის სავალდებულო მონაწილეობით.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანს უფლება აქვს პირადად დაიცვას სასამართლოში თავისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები, იყოს მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი. ასეთ საქმეებში სასამართლოს უფლება აქვს არასრულწლოვანის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით (თავისი შეხედულებით) საქმეში ჩააბას მისი კანონიერი წარმომადგენელიც. კერძოდ, ზოგიერთი სახის სამართალურთიერთობაში (შრომითი საოჯახო და სხვა) არასრულწლოვნებს უფლება აქვთ პირადად დაიცვან სასამართლოში თავიანთი უფლებები და ინტერესები. მაგალითად, გადაუხდელი შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გადახდევინებას ითხოვს 17 წლის არასრულწლოვანი. მას უფლება აქვს თვითონ აღძრას სარჩელი დამსაქმებლის მიმართ. 14 წელს მიღწეული პირს უფლება აქვს აღძრას მშობლების უფლების ჩამორთმევის შესახებ სარჩელი. 14 წელს მიღწეული არასრულწლოვნის დაცვის უფლებას განსაზღვრავს სსსკ-ის 81-ე პრიმა მუხლი.

სსსკ-ის 81-ე მუხლის მე-4 ნაწილის წინადადება „თუ არასრულწლოვანს მინიჭებული აქვს კანონით უფლება თვითონ, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებანი და ა.შ.,– მას უფლება აქვს იყოს მხარე პროცესში“ – ფართო შინაარსის მატარებელია. ბავშვსაც აქვს უფლება დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება, ვთქვათ, იყიდოს პური, ნაყინი და ა.შ. მაგრამ კანონის ეს ნორმა არ უნდა გავიგოთ ამ შინაარსით, არამედ არასრულწლოვანს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია პირადად დაიცვას თავისი უფლებები (ინტერესები) სასამართლოში. მაგალითად, შრომითი, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებში. იმ სამოქალაქო უფლებათა განხორციელებიდან წარმოშობილ დავებში, რომელთა განხორციელებაც დამოუკიდებლად შეუძლიათ არასრულწლოვნებს, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და პირადად დაიცვან თავიანთი უფლებები (ინტერესები). მაგალითად, თუ დავა მიღებული ხელფასის განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებიდან გამომდინარეობს, ასევე სტიპენდიისა თუ სხვა შემოსავლის განკარგვას უკავშირდება. საქართველოს შრომის კოდექსის 4-ე მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. ამავე მუხლით დადგენილია გამონაკლისებიც. იმდენად, რამდენადაც 16 წელს მიღწეულ პირებს (არასრულწლოვნებს) მინიჭებული აქვთ შრომითი სამართალსუბიექტობა, შესაბამისად, მათ უნდა გააჩნდეთ საპროცესო ქმედუნარიანობაც შრომითი უფლებების (ინტერესების) დასაცავად. სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვნის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით საქმეში ჩააბას მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

მშობლები არიან თავიანთი შვილების კანონიერი წარმომადგენლები და მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოშიც გამოდიან სპეციალური უფლებამოსილებების გარეშე.

მეურვე და მზრუნველი ასევე განსაკუთრებული უფლებამოსილებების გარეშე წარმოადგენენ სამეურვეო (სამზრუნველო) პირის უფლებებსა და ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოშიც.

ამასთან, 81-ე მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნულია, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს არასრულწლოვნის და მხარდაჭერის მიმღების უფლებების დაცვის მიზნით.

ქმედუუნარობა. ქმედუუნარო ფიზიკურ პირებს (ამ კატეგორიის პირებს მიეკუთვნებიან მცირეწლოვანები 7 წლამდე), საერთოდ არ ძალუძთ გამოვიდნენ სასამართლოში მხარედ და დამოუკიდებლად აწარმოონ პროცესი. ისინი არ მონაწილეობენ პროცესში.

ყველა იმ პირის სახელით, ვისაც მოქმედების უნარი არა აქვს, მათ უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენენ (იცავენ) მათი კანონიერი წარმომადგენლები — მშობლები, მშვილებლები, მეურვეები. კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით, სასამართლოს შეუძლია საქმეში ჩაბას მცირეწლოვანიც, ანუ მცირეწლოვანის ჩაბმა საქმეში კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით, არ არის სავალდებულო და ეს დამოკიდებულია სამოსამართლო დისკრეციაზე (მოსამართლის ან სასამართლოს შეხედულებაზე).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქმედუუნარო პირმა, რომელსაც ამის უფლება არა აქვს, შეიძლება აღძრას საქმე (შეიტანოს სარჩელი). ისმის კითხვა, რა შედეგები დადგება ამ შემთხვევაში?

თუ სარჩელი შეტანილია ქმედუუნარო მხარის წინააღმდეგ, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლომ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე უნდა დანიშნოს საპროცესო წარმომადგენელი[1] და განიხილოს საქმე, თუ მისი განუხილველობა ზიანით ემუქრება მოსარჩელეს.

თუ საქმისწარმოების (ანუ განხილვის) დროს გაირკვა, რომ სარჩელი აღძრულია ქმედუუნარო მოსარჩელის მიერ, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე, მოსარჩელეს შეიძლება დაუნიშნონ საპროცესო წარმომადგენელი (საპროცესო მზრუნველი).

§4. საპროცესო თანამონაწილეობა[2]

1. საპროცესო თანამონაწილეობის ცნება და კლასიფიკაცია. ყოველთვის როდი ხდება ისე, რომ მოსარჩელედ, ანდა მოპასუხედ პროცესში გამოდის ერთი და იგივე ფიზიკური ან იურიდიული პირი. ზოგჯერ სადავო მატერიალური სამართალურთიერთობა სუბიექტთა სიმრავლით ხასიათდება. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის, მოპასუხის, ან ორივე

[1] საპროცესო წარმომადგენელი კანონისმიერი წარმომადგენლობის ერთ-ერთ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ. კითხვაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს საპროცესო წარმომადგენელი (მზრუნველი), სასამართლოს რა აქტის საფუძველზე ინიშნება იგი და რა უფლებები (უფლებამოსილება) გააჩნია, საპროცესო კოდექსის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საპროცესო წარმომადგენელი (მზრუნველი) შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვინც კი ზოგადად, სსსკ-ის 94-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება იყოს წარმომადგენელი. ამასთან, იგი ინიშნება სასამართლოს განჩინების საფუძველზე. აღნიშნული განჩინებითვე დასტურდება მისი უფლებამოსილება და მათ მსგავსად კანონიერი წარმომადგენლებისა აქვთ ყველა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, მატერიალური კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით. სსსკ-ის 97-ე მუხლის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საპროცესო წარმომადგენლად ადვოკატის დანიშვნა. სსსკ-ის 82-ე მუხლის მიზანია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფა.

[2] იხ. შ. ქურდაძე. თანამონაწილეობის ზოგიერთი საკითხი სამოქალაქო პროცესის სრულყოფისათვის. ზ. ახვლედიანის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 2004 წ.

მხარეზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირთა სიმრავლეს, ანუ მონაწილეობდეს რამდენიმე პირი. ამას ჩვენ ვუწოდებთ საპროცესო თანამონაწილეობას. სსსკ-ის 86-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება საქმეში რამდენიმე მოსარჩელის ან მოპასუხის მონაწილეობის შესახებ. ნორმის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. ასეთ სარჩელს ხელს უნდა აწერდეს ყველა მოსარჩელე. სარჩელში მითითებულ უნდა იქნეს ყველას გვარი, სახელი, ხოლო თუ იურიდიული პირია – ადგილსამყოფელი, აგრეთვე მათი წარმომადგენლები, თუ სარჩელის წარდგენა ხდება წარმომადგენლის საშუალებით. მოცემულ ნორმაში დადგენილი პირობები, რომელთა არსებობის დროსაც დაიშვება საპროცესო თანამონაწილეობა, სასამართლოს არ აძლევენ მათი თავისებურად გამოყენების შესაძლებლობას, არამედ ნორმის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როცა მას ხელს შეუწყობს დავის სწრაფად და სწორად გადაწყვეტას, ე.ი. **ნორმის მიზანია** მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზნის – დავის სწორად და სწრაფად გადაწყვეტის მიღწევის უზრუნველყოფა. მაგალითი, როცა სარჩელი რამდენიმე მოსარჩელის მიერაა წარდგენილი: სამი მენარდე ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე აშენებდა სახლს. შემკვეთმა მენარდეებს არ გადაუხადა ხელშეკრულებით შეპირებული თანხა სამუშაოს შესრულებისათვის. სამივე მენარდეს (ანუ სამ თანამოსარჩელეს) უფლება აქვთ წარუდგინონ სარჩელი (მოთხოვნა) შემკვეთს.

მეორე მაგალითი: ა-მ და ბ-მ სხეულის დაზიანება მიაყენეს გ-ს, რის შედეგადაც დაზარალებული დაინვალიდდა. ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებამ გამოიწვია მორალური და მატერიალური (ქონებრივი) ზიანის მიყენებაც გ-ისათვის, რომელსაც შეუძლია აღძრას სარჩელი ა-ს და ბ-ს (თანამოპასუხეების) წინააღმდეგ. ზიანის მიმყენებლები პროცესში თანამოპასუხეები იქნებიან.

საპროცესო თანამონაწილეობა ეწოდება ერთი და იმავე პროცესში (ერთ საქმეში) რამდენიმე მოპასუხის ან/და რამდენიმე მოსარჩელის მონაწილეობას.

საქმის განხილვაში რამდენიმე მოსარჩელის ან/და რამდენიმე მოპასუხის მონაწილეობამ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გაართულოს სამოქალაქო-სამართლებრივი დავის არსებითად განხილვა და გადაწყვეტა, ამიტომ საპროცესო თანამონაწილეობა მხოლოდ იმ შემთხვევებშია დასაშვები, როცა მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნება დავის უფრო სწრაფად და სწორად გადაწყვეტა.

საპროცესო თანამონაწილეობის მიზანია, ერთ საქმეში (ერთ პროცესში) რამდენიმე მოთხოვნის, რამდენიმე სარჩელის გაერთიანებით და მათი ერთდროულად განხილვით გაიოლდეს სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვა, უფრო სწრაფად და ეფექტიარად იქნეს დაცული პირთა უფლებები. ამდენად, საპროცესო თანამონაწილეობას, ე.ი. საქმეთა გაერთიანებას ერთ პროცესში, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ იგი პასუხობს საპროცესო ეკონომიის პრინციპს. საპროცესო ეკონომიის პრინციპზე აგებული პროცესი ნიშნავს საქმისწარმოების გამარტივებას, ხარჯებისა და დროის ეკონომიას.

თანამონაწილეობის ინსტიტუტის უპირატესობა კიდევ იმაშიცაა, რომ ერთ საქმეში ხდება მთელი მტკიცებულებითი მასალის თავმოყრა. ამ მასალებს (მტკიცებულებებს) სასამართლო აფასებს ერთობლიობაში. შესაბამისად, საპროცესო თანამონაწილეობა ხელს უწყობს სადავო საკითხების მთელი კომპლექსის (ანუ ამ დროს წამოჭრილი უამრავი ან ყველა სადავო საკითხის) გადაწყვეტისას წინააღმდეგობების, წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილებას, ერთგვაროვანი საქმეების სხვადასხვაგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობის თავიდან აცილებას.

საპროცესო თანამონაწილეობის ერთ-ერთი არსებითი დამახასიათებელი ნიშანია – რამდენიმე მოსარჩელის (ან/და მოპასუხის), ანუ ერთ მხარეზე მყოფ თანამონაწილეთა

მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების (ან მოვალეობების) თანაარსებობის შესაძლებლობა.

სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანამონაწილე დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირისაგან (სსსკ-ის 88-ე მუხლი). საპროცესო თანამონაწილეობა დაიშვება მხარის თხოვნით (ინიციატივით). სავალდებულო თანამონაწილეობის დროს თანამონაწილეობა ხდება კანონის საფუძველზე.

როგორც წესი, საპროცესო თანამონაწილეობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ეს განპირობებულია საქმის კონკრეტული გარემოებებით და ხელს შეუწყობს დავის სწორად გადაწყვეტას. სწორედ ამიტომაა, რომ საქმის მომზადების სტადიაზევე წყვეტს მოსამართლე სასამართლო პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების (თანამოსარჩელეთა ან თანამოპასუხეთა) დაშვების საკითხს (სსსკ-ის 203-ე მუხლი).

საპროცესო თანამონაწილეობა შესაძლებელია როგორც მოსარჩელის მხარეზე, როცა ერთ პროცესში გაერთიანებულია რამდენიმე პირის (რამდენიმე მოსარჩელის) მოთხოვნა (ეს მოთხოვნები არ უნდა გამორიცხავდეს ერთიმეორეს), ისე მოპასუხის მხარეზე, როცა სარჩელი წარედგინა რამდენიმე პირს. პირველ შემთხვევაში მათ ეწოდებათ საპროცესო თანამოსარჩელეები[1], რადგან მოსარჩელე მხარედ გამოდიან, ხოლო მეორე შემთხვევაში საუბარია საპროცესო თანამოპასუხეებზე, რადგან მოპასუხის მხარეზე მონაწილეობენ.

პრაქტიკაში არ არის გამორიცხული, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი დავის განხილვაში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე საპროცესო თანამონაწილეებად გამოდიოდნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

საპროცესო თანამონაწილეობის შესაძლებლობა, ხოლო რიგ შემთხვევაში აუცილებლობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, განპირობებულია დავის საგნის ხასიათით, ასევე სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის თავისებურებებით.

პროცესის მეცნიერებამ შეიმუშავა და სასამართლო პრაქტიკაში დაინერგა ის კრიტერიუმები, რომლებითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ როდის დაიშვება სამოქალაქო საქმეებზე საპროცესო თანამონაწილეობა. ამ კრიტერიუმებმა საპროცესო თანამონაწილეობის სამართლებრივი საფუძვლების (პირობების) სახით ასახვა პოვეს საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლში. საპროცესო თანამონაწილეობის კონკრეტული საფუძვლების დასახელებამდე, ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამონაწილეობის საფუძველია სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის ხასიათი, (როგორც წესი, ამ ურთიერთობებში მრავალი ვალდებული ან/და მრავალი უფლებამოსილი პირი მონაწილეობს) და მოთხოვნათა ერთგვაროვნება. თანამონაწილეობის საფუძველი შეიძლება იყოს სადავო უფლების, ან სადავო ვალდებულების კუთვნილება რამდენიმე პირისადმი.

სსსკ-ის 86-ე მუხლის თანახმად, თანამონაწილეობის საფუძვლებია, თუ:

ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;[2]

ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობენ ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი.

საპროცესო თანამონაწილეობა, პირველ ყოვლისა, მაშინ დაიშვება, როცა რამდენიმე მოსარჩელეს ან მოპასუხეს აქვთ საერთო უფლებები და მოვალეობები. ეს უფლება-მოვალეობანი წარმოადგენს სასამართლო დავის საგანს. საერთო უფლებები და მოვალეობები სასამართლო განხილვის საგანი შეიძლება იყოს მთელ რიგ სამოქალაქო საქმეებში, კერძოდ, მემკვიდრეობის საქმეებში (როცა არსებობს რამდენიმე მემკვიდრე), შრომისუუნარო მშობლების სასარგებლოდ ალიმენტების გადახდევინების შესახებ საქმეე-

[1] Жуйков В.М. Судебная защита прав граждан и юридических лиц, М., 1997, გვ. 282-283.

[2] უფრო სწორი იქნებოდა, თუ აქ დაემატებოდა სიტყვები „ან მოვალეობა“

ბში, საავტორო სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებში (როცა არსებობენ თანაავტორები) და სხვ. საერთო უფლებებისა და მოვალეობების მქონე სუბიექტები პროცესში მონაწილეობენ, შესაბამისად, თანამოსარჩელეებად ან თანამოპასუხეებად.

მეორე, საპროცესო თანამონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როცა მოსარჩელეთა ან მოპასუხეთა სხვადასხვაგვარ (სხვადასხვა ხასიათის) უფლებებსა და მოვალეობებს ერთი (საერთო) საფუძველი გააჩნიათ, ასეთ დროს მოსარჩელეთა მოთხოვნების ან მოპასუხეთა ვალდებულებების საფუძველია საერთო იურიდიული ფაქტები, მაგალითად, ერთ პროცესში შეიძლება განხილულ იქნეს ერთი და იმავე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზარალებული რამდენიმე პირის მოთხოვნა ქონების, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. თითოეული მათგანის მოთხოვნა შეიძლება იყოს სხვადასხვა: ან ქონებისათვის, ან სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ხოლო რადგან საფუძველი (იურიდიული ფაქტი) ერთია (სატრანსპორტო-საგზაო შემთხვევა), ყველა ეს პირი საქმეში მონაწილეობას მიიღებს თანამოსარჩელის სახით.

მესამე, საპროცესო თანამონაწილეობა დაიშვება, როცა რამდენიმე პირმა განაცხადა ერთგვაროვანი მოთხოვნები, თუნდაც ამ მოთხოვნათა საფუძველი სხვადასხვა იურიდიული ფაქტი იყოს; მაგალითად, ამას ადგილი შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მიმართავენ ფიზიკური პირები ბანკში არსებული მათი ფულადი ანაბრების დაბრუნების შესახებ.

რაც შეეხება თანამონაწილეობის კლასიფიკაციას, ეს ხდება ორი საფუძვლის მიხედვით: საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით.

საპროცესო-სამართლებრივი კრიტერიუმის მიხედვით განასხვავებენ სამი სახის თანამონაწილეობას იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეზე აქვს ამას ადგილი:

1) **აქტიური თანამონაწილეობა.** აქტიურია თანამონაწილეობა, როცა მოსარჩელის მხარეზე ერთდროულად მონაწილეობს რამდენიმე პირი, ანუ რამდენიმე მოსარჩელის (თანამოსარჩელის) მიერ წარდგენილია სარჩელი ერთი მოპასუხისადმი.

2) როცა მოპასუხის მხარეზე რამდენიმე პირი მონაწილეობს, ანუ, როცა ერთი მოსარჩელის მიერაა წარდგენილი სარჩელი რამდენიმე მოპასუხისადმი, ჩვენ მათ **პასიურ თანამონაწილეებს** ვუწოდებთ.

3) ერთბაშად ორივე მხარეზე თანამონაწილეობას, ანუ სარჩელის წარდგენას რამდენიმე მოსარჩელის მიერ რამდენიმე თანამოპასუხისადმი **შერეულ თანამონაწილეობას** ვუწოდებთ.

ზემოაღნიშნული გამიჯვნა პირობითია. თითოეული თანამონაწილე (ყოველი მოსარჩელე ან მოპასუხე) მეორე მხარის მიმართ პროცესში დამოუკიდებლად გამოდის. მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმის (სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის ხასიათის) მიხედვით განასხვავებენ თანამონაწილეობის ორ სახეს:

1) სავალდებულო (აუცილებელი) თანამონაწილეობა;

2) არასავალდებულო (ფაკულტატური) თანამონაწილეობა.

სავალდებულო თანამონაწილეობას ადგილი აქვს მხოლოდ სსსკ-ის 86-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხოლო ამ მუხლში აღნიშნულ დანარჩენ ორ შემთხვევაში თანამონაწილეობა ფაკულტატურ ხასიათს ატარებს.

2. **სავალდებულო თანამონაწილეობა.** სავალდებულო თანამონაწილეობა ეს არის იმ რამდენიმე მოსარჩელის ან რამდენიმე მოპასუხის თანამონაწილეობა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სამოქალაქო საქმის სწორად განხილვა და გადაწყვეტა. სავალდებულო თანამონაწილეობისას მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საკითხი სწორად იქნება გადაწყვეტილი მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განიხილავს ერთად (ერთობლივად) თანამოსარჩელეთა ყველა მოთხოვნას და ყველა თანამოპასუხის მიმართ.

სავალდებულო თანამონაწილეობა არ არის დამოკიდებული სასამართლოს, მოსარჩელის ან მოპასუხის შეხედულებაზე. ეს ხდება კანონის საფუძველზე და დამოკიდებულია მთლიანად სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის ხასიათზე.

სავალდებულო თანამონაწილეობის დროს სასამართლოს არ შეუძლია საქმის განხილვა თუნდაც ერთ-ერთი თანამონაწილის გარეშე. თანამონაწილეობა სავალდებულოა მაშინ, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ეს ურთიერთობები მრავალსუბიექტურ ხასიათს ატარებს და მათი განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია.

მაშასადამე, თანამონაწილეობა სავალდებულო იქნება და მას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დავის საგანია რამდენიმე პირის საერთო ვალდებულება ან უფლება. ასეთ დავებში სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის ხასიათი არ იძლევა შესაძლებლობას, გადავწყვიტოთ პროცესის ერთ-ერთი მონაწილის (სუბიექტის) უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საკითხი, ისე რომ, არ შევეხოთ მეორე სუბიექტის უფლება-მოვალეობებს, არ ჩავაბათ მატერიალური სამართალურთიერთობის დანარჩენი სუბიექტები პროცესში (კონკრეტულ საქმეში) მონაწილეობის მისაღებად. ვთქვათ, თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ობიექტურად შეეხოს თითოეული ვალდებული პირის ინტერესებს, ყველა ვალდებული პირი უნდა იქნეს ჩაბმული პროცესში თანამოპასუხედ. ასეთ დავაში სასამართლო დავის საგანია რამდენიმე პირის საერთო ვალდებულება. ასეთ დავებში შეუძლებელია ერთი სუბიექტის ვალდებულებების შესახებ საკითხის გადაწყვეტა, რომ არ შეეხოთ მეორის ვალდებულებებს.

სავალდებულო თანამონაწილეობას ადგილი უნდა ჰქონდეს ყველა იმ შემთხვევაში, როცა რამდენიმე მოსარჩელის მოთხოვნას ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ აღძრულ მოთხოვნას საფუძვლად უდევს საერთო უფლება ან საერთო ვალდებულება.

აუცილებელი თანამონაწილეობა დავების გადაწყვეტის სავალდებულო პირობას წარმოადგენს შემდეგ საქმეებში:

ა) საერთო (წილადი ან თანაზიარი) საკუთრების (საერთო საკუთრებაში არსებული ქონების) გაყოფის შესახებ საქმეებში;

ბ) მემკვიდრეობის საქმეებში;

გ) საავტორო და საგამომგონებლო უფლებების შესახებ საქმეებში, როცა ავტორობა ან გამოგონება რამდენიმე პირის ერთობლივი შრომის შედეგს წარმოადგენს;

დ) სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ დავებში (საქმეებში).

ე) აღწერილობის სიიდან ქონების ამორიცხვის საქმეზე (სააღსრულებო წარმოებათა კანონის 32-ე მუხლი) და სხვა.

მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებში, თუ აღძრულია სარჩელი მემკვიდრის წინააღმდეგ, ასეთი სარჩელი წარდგენილი უნდა იყოს ყველა მემკვიდრის მიმართ. მაგალითად, კრედიტორმა აღძრა სარჩელი მამკვიდრებლის ვალების გამო. აქ საქმეში (პროცესში) უნდა ჩავაბათ სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე. სხვა მაგალითი: აღიძრა სარჩელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფის შესახებ. ასეთ საქმეებში თანამოპასუხეებად უნდა ჩავაბათ ის, ვინც გაავრცელა ასეთი ცნობები (ე.ი. ავტორი, ვთქვათ, გამოქვეყნებული მასალის ავტორი, თუ დაბეჭდილი გამოქვეყნდა) და მასობრივი ინფორმაციის შესაბამისი საშუალების რედაქცია (ვთქვათ, ბეჭდვითი ორგანო). იმ შემთხვევაში, თუ რედაქცია არ არის იურიდიული პირი, საქმეში უნდა ჩავაბათ მასობრივი ინფორმაციის მოცემული საშუალების დამფუძნებელი. თუ პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობებს შეიცავს ამა თუ იმ დაწესებულების (ორგანიზაციის) მიერ გაცემული დახასიათება, მოპასუხეებად გამოვ-

ლენ, ვინც ხელი მოაწერა დახასიათებას და ის დაწესებულება (საწარმო, ორგანიზაცია), რომლის სახელითაც გაიცა დახასიათება.

სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობას ადგილი აქვს ასევე საერთო საკუთრების უფლების დაცვის შესახებ სარჩელის წარდგენის დროს. როცა თანამესაკუთრეები იცავენ საერთო საკუთრებიდან გამომდინარე თავიანთ უფლებებს (საერთო საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევაში), ასეთ დროს სარჩელის საგანს საერთო უფლება წარმოადგენს.

მესაკუთრეს შეუძლია ასევე მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ან საერთო საკუთრების (ქონების) გაყოფა. ასეთ დროს შეუძლებელია სარჩელის (მოთხოვნის) განხილვა საქმეში მონაწილეობის მისაღებად ყველა თანამესაკუთრის ჩაბმის გარეშე, ანუ სასამართლო ვერ შეძლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას, თუ საერთო საკუთრების უფლების შესახებ დავას არ განიხილავს ყველა მესაკუთრის ინტერესის გათვალისწინებით.

ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულო თანამონაწილეობის აუცილებლობა კანონის პირდაპირი მითითების საფუძველზე წარმოიშობა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. ამიტომ, თუ მშობელი წარადგენს სარჩელს თავისი სრულწლოვანი შვილის მიმართ ალიმენტების გადახდევინების შესახებ, საქმეში სასამართლომ უნდა ჩააბას თანამოპასუხეებად მოსარჩელის ყველა სრულწლოვანი შვილი, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1219-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ალიმენტის თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას, მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ. მათი ჩაბმა აუცილებელია იმისათვის, რომ დადგინდეს მოპასუხის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა მოსარჩელის ყველა სხვა შვილის შემოსავლის გათვალისწინებით.

სავალდებულო თანამონაწილეობის ყველა ამ და მრავალ სხვა შემთხვევაშიც თანამონაწილეები სადავო სამართალურთიერთობებში იმყოფებიან მოწინააღმდეგე მხარესთან და დაკავშირებული არიან ერთმანეთთან განსაზღვრული მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესებით. იმ შემთხვევაში, როცა თანამონაწილეობა სავალდებულოა, სარჩელთა განცალკევებულად განხილვა დაუშვებელია, ხოლო, თუ ამა თუ იმ მხარეზე სასამართლო არ ჩააბამს (არ დაუშვებს) თანამოსარჩელეებს ან თანამოპასუხეებს, ეს გამოიწვევს მხარეთა უფლებების დარღვევას და უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

დაბოლოს, სავალდებულო თანამონაწილეობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა თანამონაწილის ჩაბმა სამართალწარმოებაში აუცილებელია. თუმცა, სასამართლოს არა აქვს უფლება სავალდებულო თანამონაწილეობის შემთხვევაში თავისი შეხედულებით (ინიციატივით) საქმეში ჩააბას ის თანამოსარჩელეები, რომელთაც არ აღძრეს სარჩელი თავდაპირველ მოსარჩელესთან ერთად და არ მიმართეს სასამართლოს მოთხოვნის (უფლების) დასაცავად. ეს აიხსნება დისპოზიციურობის პრინციპის არსებობით სამოქალაქო საპროცესო სამართალში, რომლის შესაბამისადაც, სასამართლო სავალდებულო თანამონაწილეობის დროს პროცესში ჩააბამს მოსარჩელეებს (თანამოსარჩელეებს) მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როცა მოსარჩელემ დადგენილი წესით აღძრა სარჩელი, ე.ი. განახორციელა თავისი დისპოზიციური უფლება პროცესში მონაწილეობისა.

ამდენად, სავალდებულო თანამონაწილეობა ნიშნავს სასამართლოს ვალდებულებას კანონით გათვალისწინებული სათანადო პირობების (საფუძვლების) არსებობისას პროცესში უზრუნველყოს ყველა თანამონაწილის (მოცემულ შემთხვევაში თანამოსარჩელეთა) ჩაბმა, თუკი ისინი ამას მოისურვებენ ანუ არ უთხრას მათ უარი პროცესში ჩაბმაზე, მათი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და არა ამ პირთა ვალდებულებას, აღძრან სარჩელი თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ.

სავალდებულო თანამონაწილეობის დროს თანამოპასუხეთა პროცესში ჩაბმა ხდება მოსარჩელის ინიციატივით. სასამართლოს არა აქვს უფლება თავისი ინიციატივით ჩააბას თანამოპასუხე პროცესში. ამასთან პრაქტიკა იცნობს თანამოპასუხედ ამა თუ იმ პირის საქმეში ჩაბმის მოსარჩელისთვის შეთავაზებას ანალოგიით. საქმეზე №2ბ/631-12 (2013 წლის 25 ივლისი) სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულია: მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სავალდებულო თანამონაწილეობას. მართალია, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე მოსარჩელე თავად ირჩევს მოპასუხეს და კონკრეტული პირი მას არ მიუთითებია თანამოპასუხედ, მაგრამ მიუხედავად ამისა სასამართლო ვალდებული იყო გარკვეულობა შეეტანა აღნიშნულ საკითხში. კანონის ანალოგიით გამოყენებული უნდა ყოფილიყო სსსკ-ის 85-ე მუხლი რომლის თანახმადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ საქმეში ჩართული მოპასუხის გარდა სხვა პირიც წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს (თანამოპასუხეს). თუ მოსარჩელე არ დათანხმდებოდა სავალდებულო თანამონაწილის თანამოპასუხედ მითითებას, მაშინ სასამართლო იმავე 85-ე მუხლის მიხედვით სარჩელს არ დააკმაყოფილებდა, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში კი საქმის განხილვა არსებითად თანამოპასუხის მონაწილეობით.

3. **ფაკულტატური თანამონაწილეობა.** ფაკულტატურ (არასავალდებულო) თანამონაწილეობას ადგილი აქვს იმ საქმეებში, რომლებშიც დავის საგანია მხარეთა ერთგვაროვანი უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა მოსარჩელის მოთხოვნებს ან მოპასუხის ვალდებულებებს საერთო საფუძველი გააჩნიათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაკულტატური თანამონაწილეობა ეს არის რამდენიმე პირის თანამონაწილეობა იმ საქმეებში, რომლებშიც სახეზეა სასარჩელო მოთხოვნათა ერთგვაროვანი საგანი და საფუძველი და ეს ერთგვაროვანი მოთხოვნები ურთიერთდაკავშირებულია. ფაკულტატური თანამონაწილეობა ნაკარნახევია რამდენიმე მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სასარჩელო მოთხოვნების ერთად და დროულად განხილვის მიზანშეწონილობით. სასარჩელო მოთხოვნათა შეერთება ერთ წარმოებაში, დასაშვებია იმ შემთხვევებში, როცა მოთხოვნათა ხასიათის, მათი ურთიერთკავშირის ან იმის გამო, რომ არსებობს საერთო მტკიცებულებანი, შესაძლებელი იქნება დავის უფრო სწრაფად და სწორად გადაწყვეტა. ფაკულტატური თანამონაწილეობის დროს პირთა გაერთიანება მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, არ არის სავალდებულო. თანამოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნები ან თანამოპასუხეთა მიმართ აღძრული მოთხოვნები, დამოუკიდებელი (ცალკე) სასამართლო განხილვის საგანიც შეიძლება იყოს. მათი გაერთიანება და ერთ პროცესში განხილვა აუცილებელია საპროცესო ეკონომიის, ე.ი. საქმის სასამართლო განხილვისათვის საჭირო დროის ეკონომიისა და საქმის უფრო სწრაფად გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით.

ფაკულტატური თანამონაწილეობა ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მხარის უფლების ან მოვალეობის შესახებ საკითხი შეიძლება გადაწყდეს ცალკეც, დამოუკიდებელ პროცესში და სხვა მონაწილის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საკითხის გადაწყვეტის მიუხედავად. ფაკულტატური თანამონაწილეობის დროს სადავო მატერიალური სამართალურთიერთობა თავისი ხასიათით ისეთია რომ იძლევა საშუალებას საქმე ყოველი სუბიექტის მიმართ განხილულ იქნეს ცალკე (ცალკე პროცესში).

რამდენიმე სარჩელის ერთ წარმოებაში (ერთ წარმოებად) შეერთების შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს, თუ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე ერთგვაროვანი უფლება-მოვალეობების მქონე პირები მონაწილეობენ, სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს მიზანშეწონილობის მოსაზრებით, კერძოდ, მისთვის ამოსავალი უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები: შეუწყობს თუ არა ხელს რამდენიმე სარჩელის ერთად (ერთობლივად) განხილვა ერთ წარმოებაში კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას;

უზრუნველყოფილ იქნება თუ არა საქმისწარმოების დროისა და ხარჯების საპროცესო ეკონომია და აცილებული იქნება თუ არა ურთიერთსაწინააღმდეგო (წინააღმდეგობრივი) გადაწყვეტილებების გამოტანა თავიდან.

აღნიშნული მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნეს, თუ ერთად განსახილველად გაერთიანებული სასარჩელო მოთხოვნები ასე თუ ისე დაკავშირებულია ერთმანეთთან და სწორედ რამდენიმე სარჩელს შორის არსებული კავშირის გამო სასამართლოსათვის უფრო მარტივი (ადვილი) და ხელსაყრელია მათი ერთად განხილვა.

ფაკულტატურ თანამონაწილეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მხარეზე. საპროცესო თანამონაწილეობა ყველა იმ შემთხვევებში როდია შესაძლებელი, როცა, ვთქვათ, ერთმა მოსარჩელემ სარჩელი წარუდგინა რამდენიმე სხვადასხვა მოპასუხეს ან, როცა რამდენიმე მოსარჩელემ ერთი მოპასუხის წინააღმდეგ აღძრა სარჩელი, არამედ, ჩვეულებრივ, ფაკულტატური თანამონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როცა ეს სარჩელები (მოთხოვნები) ერთგვაროვანია და ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

მაგალითად, რამდენიმე პირი ითხოვს მშენებელთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლას, რადგან მშენებელმა დადგენილ ვადაში არ შეასრულა სამუშაო და თითოეულ მათგანს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს დამოუკიდებელი სარჩელით ხელშეკრულებიდან გასვლის და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ. მაგრამ,რადგან ამ შემთხვევაში ერთია მოპასუხე, ასევე საერთოა მტკიცების საგანი და საქმის გარემოებები, მოსარჩელეთათვის უფრო ხელსაყრელი (უკეთესი) ვარიანტი იქნება, რომ მათ, როგორც თანამოსარჩელეებმა, საერთო სარჩელით მიმართონ სასამართლოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.

ერთგვაროვანია მოთხოვნები,რომელთაც მსგავსი საფუძველი და საგანი აქვთ. მოთხოვნის საფუძველია იურიდიული ფაქტები. სარჩელის ერთგვაროვანი საგანი გულისხმობს, რომ მსგავსია ის მოქმედებები, რომელთა შესრულებასაც მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან; მაგალითად, რამდენიმე მოთხოვნა ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების შესახებ. აქ მოთხოვნები ერთგვაროვანია.

მოთხოვნები არა მხოლოდ ერთგვაროვანი უნდა იყოს,არამედ ურთიერთდაკავშირებულიც (ერთმანეთთან დაკავშირებული).

რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნას შორის კავშირი არსებობს სარჩელთა საფუძვლების ერთგვაროვნებისა და სასარჩელო მოთხოვნათა ურთიერთკავშირის დროს. სასარჩელო მოთხოვნათა შორის ურთიერთკავშირი არსებობს აგრეთვე შრომით საქმეებში დამქირავებლისაგან რამდენიმე პირისათვის შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვადასხვა გადასახდელის (ხელფასი, პრემია და სხვა) გადახდევინების დროს. სარჩელთა ერთგვაროვანი საფუძვლები შესაძლებელია არსებობდეს,მაგალითად,თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების დროს რამდენიმე მენარდემ ერთობლივი მოქმედებებით ზიანი მიაყენა შემკვეთს – ყველამ გადააცილა სამუშაოს თავისი ნაწილის შესრულების ვადა.

სავალდებულო თანამონაწილეობისაგან განსხვავებით,რომლის დროსაც თანამონაწილეები დაკავშირებული არიან საერთო სამართლებრივი ინტერესებით,ფაკულტატური თანამონაწილეობის დროს თანამოსარჩელეებს ან თანამოპასუხეებს შორის არავითარი სამართლებრივი კავშირი არ არსებობს.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ აღძრული მოთხოვნები ერთგვაროვანია და მათ შორის არსებობს ურთიერთკავშირი, მას შეუძლია დაუშვას საპროცესო თანამონაწილეობა იმ თვალსაზრისით, რომ ეს მიზანშეწონილია. მოთხოვნათა გაერთიანება (ფაკულტატური თანამონაწილეობა) დაიშვება სასამართლოს შეხედულებით. პირიქით, იმის გამო, რომ

ფაკულტატური თანამონაწილეობის ერთადერთი პირობაა ის, რომ ეს მიზანშეწონილია პრაქტიკული თვალსაზრისით, იმ შემთხვევებში, როცა გაერთიანებულია რამდენიმე პირის ისეთი სარჩელი ერთ სარჩელად ან რამდენიმე პირის წინააღმდეგ, რომელთა ერთობლივად განხილვაც კი არ ამარტივებს პროცესს, არამედ ართულებს, აძნელებს მას, აფერხებს სასამართლოს მუშაობას და უკეთუ თანამონაწილენი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ურთიერთინტერესებით (ანუ თანაზიარი, საერთო ინტერესებით), სასამართლოს უფლება აქვს არ დაუშვას თანამონაწილეობა და თითოეული მოთხოვნა ცალკე წარმოებად გამოყოს და ცალკე პროცესში (ცალ-ცალკე) განიხილოს (მუხლი 182-ე), რადგან ასეთ შემთხვევებში მოთხოვნათა (სარჩელთა) შეერთება არ შეუწყობს ხელს საქმის განხილვის დაჩქარებასა და საპროცესო ეკონომიას.

სასამართლოს უფლება აქვს თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით, ცალკეული მოთხოვნა გამოყოს დამოუკიდებელ წარმოებად მხოლოდ ფაკულტატური თანამონაწილეობის შემთხვევებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არის გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, რა მომენტამდეა შესაძლებელი სარჩელთა შეერთება თანამონაწილეობის დროს. მიგვაჩნია, რომ იმდენად, რამდენადაც ფაკულტატური საპროცესო თანამონაწილეობა ხელს უწყობს დროისა და ხარჯების ეკონომიას (დაზოგვას), მისი დაშვება მიზანშეწონილია სარჩელის აღძვრისა და საქმის მომზადების სტადიაზე.

რაც შეეხება სავალდებულო თანამონაწილეობას, სავალდებულო თანამონაწილეობის დროს თანამონაწილეთა ჩაბმა არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა საქმის ნებისმიერ მდგომარეობაში (ნებისმიერ სტადიაზე), სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

4. თანამონაწილეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ისმის კითხვა, როდესაც პროცესში მოსარჩელედ ან მოპასუხედ გამოდის რამდენიმე პირი, როგორ განისაზღვრება ურთიერთობა ერთ მხარეზე მონაწილეთა შორის?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სსსკ-ის 87-ე მუხლი. პირველ ყოვლისა, თანამონაწილენი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელი არიან საპროცესო ურთიერთობებში ერთმანეთისაგან და უფლება აქვთ შეასრულონ ნებისმიერი საპროცესო მოქმედება თავიანთი შეხედულებით. თითოეული პირის მოქმედებას პროცესში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მისთვის და გავლენას ვერ იქონიებს საქმის გადაწყვეტაზე სხვა თანამონაწილეთა მიმართ.

თანამონაწილეები სარგებლობენ ყველა იმ საპროცესი უფლებით, რომლებიც საპროცესო კოდექსით მინიჭებული აქვთ მხარეებს (იხ. მე-3, 83-ე და სხვა მუხლები). საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად (პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტად).

კანონით ამ წესიდან რაიმე გამონაკლისი არ არის დადგენილი. თითოეული თანამონაწილის დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ ერთ-ერთი თანამონაწილის მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებები არც სასარგებლოდ წაადგება, არც ზიანს მიაყენებს დანარჩენებს. ამიტომ ერთი თუ რამდენიმე თანამონაწილის რაიმე განცხადება, ან საქმის მორიგებით დამთავრება მოწინააღმდეგესთან, ვერ ავნებს სხვა თანამონაწილეებს. ერთ-ერთი თანამოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვებმაც უარი თქვეს თავიანთ მოთხოვნებზე. იმ მოსარჩელის მიმართ, რომელმაც უარი თქვა სარჩელზე, საქმისწარმოება წყდება სასამართლოს განჩინებით, სხვების მიმართ კი საქმე არსებითად განიხილება, ასეთი დასკვნა ეფუძნება სსსკ-ის 86-ე, 243-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, 272-ე, 273-ე მუხლების სისტემატიკურ განმარტებას.

ზუსტად იგივე უნდა ითქვას სარჩელის აღიარების შემთხვევაზე. მოპასუხის მიერ ერთ-ერთი მოსარჩელის მოთხოვნათა აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ მან დანარჩენების სასარჩელო მოთოვნებიც აღიარა. და ასევე, თუ ერთ-ერთმა თანამოპასუხემ ცნო სარჩელი, მაშინ ეს შეეხება მხოლოდ მას და მხოლოდ ამ მოპასუხეზე გავრცელდება.

ყველა მოსარჩელე (ისევე როგორც ყველა მოპასუხე) მიჩნეულია იმ პირად, რომელიც პროცესში ერთ მხარედ გამოდის და ერთმანეთის მიმართ მოცემული საქმის ფარგლებში არავითარი უფლებები (მათ შორის მოთხოვნის უფლება) არ გააჩნიათ.

ნებისმიერ თანამოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, ხოლო ნებისმიერ თანამოპასუხეს, თავის მხრივ, უფლება აქვს ცნოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიტანოს შესაგებელი, აღძრას შეგებებული სარჩელი სხვა თანამოპასუხეებმა თუნდაც რომ აღიარონ სარჩელი.

ამ საპროცესო უფლებების გარდა, თანამონაწილეებს დამატებით უფლება აქვთ, მაგრამ ვალდებული სულაც არ არიან, რომ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში სახეზეა სასამართლოში წარმომადგენლობის კერძო შემთხვევა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული 94-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" პუნქტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი. საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის, უნდა გაფორმდეს სსსკ-ის 96-ე მუხლით დადგენილი წესით (დანარჩენმა მოსარჩელეებმა თუ მოპასუხეებმა კანონის შესაბამისად გაფორმებული მინდობილობა უნდა გადასცენ მოცემულ თანამონაწილეს). ასეთი მინდობილობის უქონლობის შემთხვევაში თანამონაწილეს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი სახელით.

§5. არასათანადო მხარის შეცვლა

1. **სათანადო და არასათანადო მხარის ცნება.** დაბადების მომენტიდან ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამოქალაქო დავის სუბიექტი. ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ამ უფლებით სარგებლობენ როგორც საქართველოს ფიზიკური თუ იურიდიული პირები, ისე უცხოეთის ფიზიკური თუ იურიდიული პირები, ასევე აპატრიდები (მოქალაქეობის არმქონე პირები) და ა.შ. ამგვარად, პროცესში მხარედ გამოსვლისათვის საზოგადოდ საჭიროა უფლებაუნარიანობა (ნებისმიერი უფლებაუნარიანი პირი პროცესში შეიძლება იყოს მხარე), ხოლო პირადად ან რწმუნებულის საშუალებით მონაწილეობისათვის — ქმედუნარიანობა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ აბსტრაქტული უფლებაა, რადგან გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ყოველი ცალკე საქმისათვის, კონკრეტული პროცესისათვის საჭიროა, რომ მოსარჩელეს ჰქონდეს მოთხოვნის უფლება, ხოლო მოპასუხე ვალდებული იყოს პასუხი აგოს სარჩელზე. მაშასადამე, იმისათვის, რომ კონკრეტულ პროცესში (საქმეში) მიიღოს მონაწილეობა, სუბიექტს უნდა ჰქონდეს აგრეთვე კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი სწორედ მოცემული კონკრეტული საქმისადმი (რაც გამომდინარეობს სსსკ-ის მე2 მუხლის მოთხოვნიდან), ე.ი. იგი უნდა იყოს სათანადო მხარე. თუ, მაგალითად, სავინდიკაციო სარჩელი აღძრა არა თვითონ მესაკუთრემ ან ნივთის კანონიერმა მფლობელმა, არამედ მისმა შვილმა მესაკუთრის სიცოცხლეში, ასეთი სარჩელი ჩაითვლება არასათანადო მხარის მიერ აღძრულად.

სამოქალაქო პროცესის ნამდვილ მონაწილეებს სათანადო მხარეებს უწოდებენ.

არასათანადო მხარეები ეს ის პირები არიან, რომლებიც თავდაპირველად ივარაუდებოდნენ სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილეებად, მაგრამ, როგორც საქმის განხილვის შედეგად გაირკვა, ისინი არ ყოფილან სინამდვილეში ამ ურთიერთო-

ბათა მონაწილენი.

იმ ზოგადი პირობებისაგან,რომელთა დროსაც ფიზიკური თუ იურიდიული პირი შეიძლება იყოს მხარე პროცესში (ხოლო ასეთი ზოგადი პირობებია საქმის შედეგით დაინტერესება და სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობის ქონა), უნდა განვასხვაოთ პირის უნარი, მისი შესაძლებლობა, იყოს მხარე სწორედ მოცემულ კონკრეტულ პროცესში.

იმისათვის, რომ პირი იყოს სათანადო მხარე კონკრეტულ საქმეში, აუცილებელია, რომ იგი იყოს სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტი და უნდა გააჩნდეს (ან ეკისრებოდეს) მოცემული მატერიალური სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ან/და ვალდებულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე არასათანადოა მხარე იმ შემთხვევაში,თუ იგი არ არის სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ამ ნორმის საფუძველზე თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. მხარის სათანადოობის დადგენისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, თუ ვინ უნდა აგოს პასუხი სარჩელზე, ე.ი. მოთხოვნაზე.

სწორედ უფლების კუთვნილება განსაზღვრული პირისადმი ან მასზე სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის საფუძველზე დაკისრებული ვალდებულება განაპირობებს არა საერთოდ (ზოგადად) პროცესში პირის მონაწილეობის უნარს, შესაძლებლობას (რაც დამახასიათებელია სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობისათვის), არამედ მის შესაძლებლობას, იყოს მხარედ ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეში.

იმ საკითხის დადგენას და დამტკიცებას,რომ მხარე სათანადოა,ლეგიტიმაცია[1] ეწოდება. პროცესში მხარეთა ლეგიტიმაციის ვალდებულება, მოსარჩელეს ეკისრება. სწორედ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მას ეკუთვნის სადავო უფლება და რომ სწორედ მის მიერ სარჩელში მითითებული მოპასუხეა ვალდებული შეასრულოს ხელშეკრულებით ან კანონით ნაკისრი ვალდებულება. სწორედ ამიტომ, საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი, რომელიც ეხება სასარჩელო განცხადების საკითხს, მოითხოვს, რომ მოსარჩელემ დაასახელოს თავისი გვარი, სახელი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მოახდინოს თავისი ლეგიტიმაცია მოცემული საქმისადმი, რასაც **აქტიური ლეგიტიმაცია ეწოდება** და გარდა ამისა, უნდა მიუთითოს მოპასუხეზეც, როგორც უფლების დამრღვევზე, ე.ი. მოახდინოს **პასიური ლეგიტიმაცია**. ლეგიტიმაციის (დაკანონების) მიზანია დავის მონაწილეთა სუბიექტური შემადგენლობის ზუსტი განსაზღვრა, დავის სწორი იურიდიული კვალიფიკაცია. ლეგიტიმაცია უზრუნველყოფს გადაწყვეტილების გამოტანას სათანადო მხარის მიმართ (ე.ი. იმ მხარის მიმართ, რომელიც ნამდვილად არის მატერიალურ-სამართლებრივად დაინტერესებული პირი).

აქედან გამომდინარე,სათანადო მხარე პროცესში (სამოქალაქო საქმეში) არის ის ვისთან მიმართებაშიც არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ იგი, შესაძლოა, იყოს სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტი.

მხარეთა ლეგიტიმაცია ნიშნავს,რომ მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტი, რომელსაც შეუძლია წინასწარ დაარწმუნოს მოსამართლე იმაში, რომ მოსარჩელე და მოპასუხე სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტები არიან.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სუბიექტი სათანადო მხარეა. ეს ჯერ კიდევ ვარაუდია პროცესის დასაწყისში. ეკუთვნის თუ არა მოსარჩელეს სადავო უფლება, უნდა გადაწყდეს თვით პროცესში და პროცესის ბოლოს გადაწყვეტილებით.

[1] ლეგიტიმური – კანონით აღიარებული, კანონის შესაბამისი. ლეგიტიმაცია (ლათ. legitimus – კანონიერი, მართლზომიერი).

პრაქტიკულად დასაშვებია, რომ მოსარჩელე იყოს არასათანადო, ან მოპასუხეც, შესაძლოა, იყოს არასათანადო. სწორედ ამიტომ, უნდა დადგეს არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლის საკითხი.

რაც შეეხება საკითხის გარკვევას იმის შესახებ, სათანადოა თუ არა მხარე, ეს საკითხი უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ მატერიალური სამართლის ნორმების საფუძველზე. თუ საქმის განხილვის დროს გაირკვევა, რომ მოსარჩელე ანდა მოპასუხე არ არიან მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილენი, ე.ი. მოსარჩელეს არ ეკუთვნის ის უფლება, რომლის დაცვის შესახებაც მან მიმართა სასამართლოს, ანდა მოპასუხე არ წარმოადგენს მოსარჩელის მოვალეს, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს სამოქალაქო პროცესის მხარეთა შესაცვლელად შესაბამისი ზომები, ვინაიდან პროცესში (საქმეში) არასათანადო მოსარჩელის ან არასათანადო მოპასუხის მონაწილეობის შემთხვევაში კანონიერად და დასაბუთებულად ვერ გადაწყდება დავა.

სათანადო მხარე სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტია. აქედან გამომდინარე, მხარის მიჩნევა სათანადო მხარედ დამოკიდებულია იმაზე, წარმოადგენს თუ არა მხარე სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტს. ამიტომ სასარჩელო განცხადების სასამართლოში შეტანის დროს მოსამართლეს არ შეუძლია განსაზღვროს, არიან თუ არა მხარეები სათანადო და მოსამართლეს არა აქვს უფლება ასეთი საფუძვლით არ მიიღოს სარჩელი წარმოებაში. საპროცესო კოდექსი (186-ე მუხლი) არ ითვალისწინებს არასათანადო მოსარჩელისაგან განცხადების (სარჩელის) მიღებაზე უარის თქმას ან იმ სარჩელის მიღებაზე უარის თქმას, რომელიც აღძრულია არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ.

არასათანადო მხარის მაგალითი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1209-ე მუხლის თანახმად, მშობლის უფლების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით ბავშვის, ერთ-ერთი მშობლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადებით. ყველა დანარჩენ პირს, კერძოდ, ახლო ნათესავებს (დებს, ძმებს), მეზობლებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს განცხადებით მშობლის უფლების აღდგენის შესახებ, სასამართლო კი თავის მხრივ, ვალდებულია მიიღოს ასეთი განცხადება და განუმარტოს განმცხადებლებს, რომ ისინი არ არიან სათანადო მოსარჩელეები. თუ 1209-ე მუხლში გათვალისწინებული სათანადო მოსარჩელეები არ მოისურვებენ პროცესში შესვლას, საქმე მათ გარეშეც გაირჩევა, მაგრამ სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება უარყოფითი იქნება (სარჩელი არ დაკმაყოფილდება უსაფუძვლობის გამო).

სხვა მაგალითი: სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად, პირი (ფიზიკური თუ იურიდიული) ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაზარალებული უფლებამოსილი არაა უშუალოდ მუშაკისადმი (ვთქვათ მძღოლისადმი, რომლისაგანაც დაზარალდა) წარადგინოს მოთხოვნა განცდილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე. თავისი მოთხოვნა დაზარალებულს შეუძლია წაუყენოს შესაბამის ორგანიზაციას (ვთქვათ, ავტოპარკს), რომელიც სათანადო მოპასუხე იქნება.

არასათანადო მხარის შეცვლას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს როგორც სასარჩელო წარმოების, ისე არასასარჩელო წარმოების საქმეებში. მაგალითად, როცა უდავო წარმოების წესით აღძრულია საქმე პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ იმ პირის მიერ, ვისაც ამის უფლება არა აქვს, სასამართლომ, საქმისწარმოების შეწყვეტის გარეშე უნდა განიხილოს არასათანადო განმცხადებლის შეცვლის საკითხი.

მხარე სრულიად სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება აღმოჩნდეს არასათანადო მხარის მდგომარეობაში. პირველ ყოვლისა, ამ მიზეზთა შორის უნდა აღინიშნოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის სირთულე, მატერიალური სამართალურთიერთობების რთული სტრუქტურა, მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა არაერთმნიშვნელოვანი განმარტება.

ხშირად, კანონმდებლობით პირდაპირაა გათვალისწინებული, ვინ უნდა ჩაებას საქმეში სათანადო მხარედ კანონმდებლობაში პირდაპირაა მითითებული იმაზე, თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში (ურთიერთობაში) ვინ უნდა იყოს სათანადო მოსარჩელე. მაგალითი: სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლი განსაზღვრავს უფლებამონაცვლეობის საკითხს გაქირავებული ნივთის გასხვისების დროს. თუ გამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, ეს არ გამოიწვევს ხელშეკრულების მოშლას ან მის შეცვლას, არამედ შემძენი (ანუ ახალი მესაკუთრე) იკავებს გამქირავებლის ადგილს, ის ხდება გამქირავებელი და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები (ე.ი. ხელშეკრულების პირობები იგივე რჩება). ამდენად, ქირავნობიდან გამომდინარე დავის წარმოშობის შემთხვევაში სათანადო მხარე ახალი მესაკუთრე იქნება.

სხვა მაგალითი: სამოქალაქო კოდექსის 1267-ე მუხლი განსაზღვრავს, სარჩელი შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ თუ ვინ უნდა აღძრას სასამართლოში.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, თუმცა არასათანადო მხარეები არ არიან სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილენი, მიუხედავად ამისა, ისინი სამოქალაქო პროცესის სუბიექტებად გამოდიან (სამოქალაქო საპროცესო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტები არიან) და სარგებლობენ სსსკ-ით დადგენილი მხარის ყველა უფლებითა და მოვალეობით. ასე რომ არ იყოს, მაშინ ვერ წარმოიშობოდა საპროცესო ურთიერთობა სასამართლოსა და არასათანადო მხარეს შორის. თუნდაც პირი არასათანადო მხარე იყოს, ეს არ არის საფუძველი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმისათვის. სასამართლოს უფლება არა აქვს შეწყვიტოს საქმისწარმოება, არამედ ვალდებულია განიხილოს ეს საქმე არსებითად და გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელშიც დადგენილი იქნება ყველა მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი საკითხი.

სარჩელის აღძვრა არასათანადო მხარის მიერ, ან არასათანადო მხარის წინააღმდეგ ართულებს პროცესს, აფერხებს პროცესის ნორმალურად განვითარებას. ამიტომ თუ საქმის განხილვისას დადგინდება, რომ მხარე არასათანადოა (მოთხოვნა აღძრულია არასათანადო პირის მიერ, ან არასათანადო პირის წინააღმდეგ) მოსარჩელის ინიციატივით (თანხმობით) სასამართლო შეცვლის სათანადო მხარით არასათანადო მხარეს, თავდაპირველ პირს (მოსარჩელეს ან მოპასუხეს) სათანადო პირით. სსსკ-ის 84-ე და 85-ე მუხლებით დადგენილი ნორმების გამოყენება დასაშვებია საქმის ზეპირი განხილვის დროსაც, რადგან საქმის არსებითად განხილვა სწორედ ამ დროს ხდება. ამასთან, აღნიშნული ნორმა. არ არის იმპერატიული ხასიათის, სასამართლოს შეუძლია ამ ნორმით იხელმძღვანელოს და მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე ან მოპასუხე სათანადო მოსარჩელით, ან მოპასუხით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც ესა თუ ის მხარე ცნობილი იქნება არასათანადო მხარედ და მოსარჩელეს შეეთავაზება მისი შეცვლა.

სასამართლოს შეუძლია ასევე არ გამოიყენოს ამ ნორმის მოთხოვნა და ისე გადაწყვიტოს დავა.

სარჩელი სასამართლოს მიერ შეფასებული უნდა იქნეს არა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, არამედ საპროცესო სამართლებრივი ნორმებით.

სარჩელი არ კმაყოფილდება არა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე სარჩელში მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად, არამედ საპროცესო ნორმების საფუძველზე. ბუნებრივია, როდესაც მხარეს უფლება არა აქვს, მოსთხოვოს მის მიერ დასახელებულ მოპასუხეს სარჩელში მითითებული მოთხოვნის შესრულება, შეუძლებელია სასამართლომ დავის განხილვისას იმსჯელოს მატერიალურ-

სამართლებრივი ნორმების გამოყენებაზე და სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენასა თუ არდადგენის ფაქტზე, როდესაც სარჩელზე პასუხისმგებელი მხარე (ან სათანადო მოსარჩელე) რეალურად არ მონაწილეობს დავაში (სუსგ. 2005 წ, №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 165-166).

2. **არასათანადო მხარის შეცვლის წესი.** არასათანადო მხარის შეცვლა შეიძლება მოხდეს სასამართლოს ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. არასათანადო მხარეთა შეცვლა ხდება განსაზღვრული პირობების არსებობის დროს. ყველა შემთხვევაში, იმისათვის, რომ შეიცვალოს არასათანადო მოსარჩელე ან არასათანადო მოპასუხე, აუცილებელია თავდაპირველი მოსარჩელის ნება, თანხმობა, ე.ი. იმ პირისა, ვინც აღძრა საქმე სასამართლოში (თავდაპირველად მოსარჩელეში იგულისხმება როგორც სათანადო, ისე არასათანადო მოსარჩელე).

საპროცესო კანონმდებლობა იცნობს ასეთი შეცვლის ზოგად და სპეციალურ, ანუ კონკრეტულ წესებს. **ზოგადი წესებია:**

1) არასათანადო მხარე (მოპასუხე თუ მოსარჩელე) უნდა შეიცვალოს იმავე პროცესში, საქმისწარმოების შეუწყვეტლად;

2) შეცვლის შემდეგ პროცესი უნდა დაიწყოს თავიდან, საქმის მომზადების სტადიიდან. ეს იმიტომ, რომ შეცვლილ მხარეს შეეძლოს მოემზადოს საქმისათვის, წარმოადგინოს მტკიცებულებები და ა.შ.

3) შეცვლა უნდა მოხდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამიტომ, თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობდა არასათანადო მხარე, მან არასათანადო მხარის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა გააუქმოს და გადასცეს საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს; ან სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

4) არასათანადო მხარის შეცვლა (როგორც არასათანადო მოსარჩელის, ისე არასათანადო მოპასუხისა) მთლიანადაა დამოკიდებული მოსარჩელის ნებაზე, მის სურვილზე;

5) შეცვლის საკითხს სასამართლო განიხილავს ღია სხდომაზე, საქმის მონაწილე ყველა პირის მონაწილეობით, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა საკითხის გადაწყვეტას ვერ დააბრკოლებს.

ახლა შევეხოთ შეცვლის **კონკრეტულ წესებს.** ოთხი წესია მოსარჩელის მხარეზე და შეცვლის ორი წესია მოპასუხის მხარეზე:

1) თავდაპირველი (არასათანადო) მოსარჩელე თანახმაა გავიდეს პროცესიდან, ახალი (სათანადო) მოსარჩელე თანახმა უნდა იყოს რომ შევიდეს. არასათანადო მოსარჩელის თანხმობა პროცესიდან გასვლაზე ნიშნავს, რომ მან უარი თქვა სარჩელზე. თუ არასათანადო მოსარჩელე თანახმაა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, ხოლო ეს უკანასკნელი თანახმაა შევიდეს პროცესში, ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ მოხდება მხარის შეცვლა და საქმე განიხილება სათანადო მოსარჩელის მონაწილეობით. ასეთი შეცვლა ხდება სარჩელის წარდგენის გზით (სათანადო მოსარჩელის მიერ ახალი სარჩელის წარდგენით).

2) თავდაპირველი (არასათანადო) მოსარჩელე თანახმაა (მზადაა) გავიდეს პროცესიდან (საქმიდან), ხოლო სათანადო მოსარჩელეს არ სურს (არ არის თანახმა) შევიდეს პროცესში (შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე). ამ შემთხვევაში გამოდის, რომ პროცესში (საქმეში) არ არსებობს მოსარჩელე მხარე, რასაც ის შედეგი მოჰყვება, რომ სასამართლო საქმისწარმოებას შეწყვეტს 272-ე მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ (იგულისხმება არასათანადო მხარე) უარი თქვა სარჩელზე.

3) თავდაპირველი (არასათანადო) მოსარჩელე არ არის თანახმა (არ სურს) გავიდეს

პროცესიდან (შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით), ხოლო სათანადო მოსარჩელე თანახმაა (მას სურს) შევიდეს პროცესში. სათანადო მოსარჩელეს ამ შემთხვევაში უფლება აქვს აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი და მონაწილეობა მიიღოს პროცესში სსსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე როგორც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირმა. ამ შემთხვევაში, სასამართლო დაუშვებს ახალ მოსარჩელეს არა თანამოსარჩელის სახით, არამედ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სახით. მესამე პირად საქმეში ჩასაბმელად ნავარაუდებ სათანადო მოსარჩელეს სასამართლო აცნობებს იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს (ჩაებას) პროცესში და აღძრას დამოუკიდებელი მოთხოვნა. სასამართლოს უფლება არა აქვს ეს პირი პროცესში იძულებით ჩააბას. პროცესში ჩაბმის საკითხის გადაწყვეტა ახალი მოსარჩელის სურვილზეა დამოკიდებული. თუ ეს პირი თანახმა იქნება ჩაებას საქმეში მესამე პირად, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელზე მისი დაუსაბუთებლობის გამო, ხოლო მესამე პირად საქმეში ჩაბმული სათანადო მოსარჩელის მიმართ სარჩელს დააკმაყოფილებს საერთო საფუძველზე (ე.ი. შესაძლოა, მესამე პირს უარიც ეთქვას თავისი სარჩელის, ანუ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვთქვათ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო და სხვ.).

მაგალითად, აღიძრა სარჩელი ერთ-ერთი მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ. ამ პროცესში არასრულწლოვანის უფლებების დაცვისა და მისთვის აღზრდის სათანადო პირობების უზრუნველყოფის, აგრეთვე იმ მშობლის უფლებათა დაცვის მიზნით, რომელიც არ ცხოვრობს ბავშვთან ერთად, აუცილებელია, სასამართლომ აცნობოს მშობელს სასამართლო სხდომის (საქმის განხილვის) დროისა და ადგილის შესახებ და განუმარტოს, რომ მას აქვს უფლება მოითხოვოს ბავშვის მისთვის გადაცემა აღსაზრდელად.

4) თავდაპირველი (არასათანადო) მოსარჩელე არ არის თანახმა გავიდეს პროცესიდან და შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, ხოლო მესამე პირად საქმეში ჩასაბმელად ნავარაუდევი მოსარჩელე უარს იტყვის ჩაებას (შევიდეს) ამ საქმეში (პროცესში). სასამართლომ ამ შემთხვევაში მაინც უნდა განიხილოს საქმე არსებითად არასათანადო მოსარჩელის მონაწილეობით და გამოიტანოს გადაწყვეტილება, ე.ი. სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელის (მოთხოვნის) დაკმაყოფილებაზე იმის გამო, რომ არასათანადო მოსარჩელეს არა აქვს მოთხოვნის უფლება, შესაბამისად, სარჩელი უსაფუძვლოა.

არასათანადო მოპასუხის შეცვლის შემდეგი წესია კანონით დადგენილი:

1) მოსარჩელე თანახმაა შეიცვალოს თავდაპირველი (არასათანადო) მოპასუხე სათანადო მოპასუხით. სასამართლო ათავისუფლებს თავდაპირველ მოპასუხეს საქმეში მონაწილეობისაგან და პროცესში ჩააბამს ახალ (სათანადო) მოპასუხეს. ამ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება თავდაპირველი მოპასუხის შეცვლის (საქმეში მონაწილეობისაგან მისი გათავისუფლების) შესახებ და პროცესში ჩააბამს სათანადო მოპასუხეს. ასეთ დროს, გარკვეული, სასამართლოს მიერ დადგენილი დროით (პერიოდით) საქმე გადაიდება, სათანადო მოპასუხემ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მომზადება რომ მოასწროს. სათანადო მოპასუხე სარგებლობს ყველა საპროცესო უფლებით პროცესში შესვლის მომენტიდან. სათანადო მოპასუხისათვის არ არის სავალდებულო მის შესვლამდე შესრულებული საპროცესო მოქმედებები იმდენად, რამდენადაც არასათანადო მოპასუხის შეცვლის შემდეგ საქმის განხილვა სასამართლოს მიერ თავიდან იწყება. **ამასთან, იმავე პროცესში სათანადო მოპასუხის შესვლა დასაშვებია, თუ არ იცვლება მოცემული საქმის განსჯადობა.**

2) მოსარჩელე არ არის თანახმა, რომ გავიდეს (შეიცვალოს) თავდაპირველი მოპასუხე პროცესიდან. სასამართლო დატოვებს ძველ მოპასუხეს პროცესში (კანონი არ ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში სათანადო მოპასუხის ჩაბმას პროცესში მეორე მოპასუხედ).

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს არა აქვს უფლება თავდაპირველი მოპასუხე ჩამოაცილოს საქმიდან თავისი შეხედულებით, არამედ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე არსებითად.

მოსარჩელის მოთხოვნით პროცესში დარჩენილი არასათანადო მოპასუხე სარგებლობს მხარის ყველა საპროცესო უფლებით პროცესის აღძვრის მომენტიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე.

§6. საპროცესო უფლებამონაცვლეობა

1. **საპროცესო უფლებამონაცვლეობის ცნება.** პირთა შეცვლა სამოქალაქო სამართალწარმოებაში შესაძლებელია არა მხოლოდ არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლის წესით, არამედ შესაძლოა პროცესში ერთი პირის ადგილი დაიჭიროს მეორე პირმა სხვა მიზეზითაც, კერძოდ, საპროცესო უფლებამონაცვლეობის წესით. ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთი პირის (წინამორბედის) უფლება, რომელთანაც დაკავშირებულია პროცესი, გადადის მეორეზე, რომელიც იკავებს წინამორბედის საპროცესო მდგომარეობას.

სასამართლოში საქმის აღძვრის შემდეგ შეიძლება დადგეს უფლებამონაცვლეობის საფუძველზე და უფლებამონაცვლეობის შედეგად როგორც მხარის, ისე მესამე პირის შეცვლის აუცილებლობის საკითხი. საქმიდან გასული, ანუ ყოფილი მხარის (მესამე პირის) საპროცესო უფლებები და მოვალეობები ამ შემთხვევაში გადადის უფლებამონაცვლეზე. სამოქალაქო საპროცესო უფლებამონაცვლეობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარის (წინამორბედის) საპროცესო უფლებები და მოვალეობები გადადის სხვა პირზე, რომელიც მანამდე საქმეში არ მონაწილეობდა და რომელიც ხდება ამ მხარის (წინამორბედის) უფლებამონაცვლე სამოქალაქო საქმეში.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა სამოქალაქო პროცესში მხარის ან მესამე პირის შეცვლის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს.

ერთ-ერთი მხარე პროცესიდან შეიძლება გავიდეს სრულიად სხვადასხვა მიზეზით. უფლებამონაცვლით მხარის შეცვლის საფუძველია უფლებამონაცვლეობა სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ მატერიალურ სამართალურთიერთობაში.

კანონში აღნიშნულია, რომ სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (ადამიანის გარდაცვალების, იურიდიული პირის რეორგანიზაციის, მოთხოვნის დათმობის, ვალის გადაცემის) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით (რა თქმა უნდა, თუ გვყავს ასეთი უფლებამონაცვლე). უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია (დასაშვებია) პროცესის ყოველ სტადიაზე.

კანონის (საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი) ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ უფლებამონაცვლე შეიძლება იყოს არა მხოლოდ მოსარჩელე და მოპასუხე, არამედ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირიც. **მაშასადამე, საპროცესო უფლებამონაცვლეობა ესაა საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების ერთი სუბიექტიდან მეორეზე გადასვლა, უფლებამონაცვლის მიერ წინამორბედი სუბიექტის (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის) საპროცესო მდგომარეობის დაკავება.**

2. **საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები.** საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია მხარის ან მესამე პირის მატერიალური უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა სხვა პირებზე პროცესის განმავლობაში.

როგორც წესი, მხარის ან მესამე პირის შეცვლა პროცესში, მატერიალურ სამართალში,

ე.ი. სადავო მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში მომხდარი უფლებამონაცვლეობის შედეგია. ნებისმიერ სამოქალაქო საქმეში საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაიშვება უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალურთიერთობებში. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები მატერიალურ სამართალურთიერთობაში უფლებამონაცვლეობის საფუძვლების ანალოგიურია. თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალურთიერთობაში უშვებს ერთი პირის უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას მეორეზე, მაშინ შესაძლებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც. როგორც წესი, ეს ხორციელდება იმ შემთხვევებში, როცა ხდება პირთა შეცვლა ვალდებულებაში, როცა სამართლის ახალი სუბიექტი სრულად ან ნაწილობრივ კისრულობს თავისი წინამორბედის უფლებებსა და მოვალეობებს. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი იურიდიული ფაქტები:

1) **ადამიანის (ყოფილი მხარის ან მესამე პირის) გარდაცვალება.** ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილი მხარის (მოსარჩელის, მოპასუხის) მემკვიდრე (თუ ჰყავს გარდაცვლილს მემკვიდრეები) იქნება უფლებამონაცვლე, ანუ საპროცესო უფლებამონაცვლეობის წესით მემკვიდრეზე (ან მემკვიდრეებზე) გადავა ყველა მატერიალური უფლება და ვალდებულება.

2) **იურიდიული პირის რეორგანიზაცია,** რის შედეგადაც მოცემულმა იურიდიულმა პირმა შეწყვიტა არსებობა. იურიდიული პირის საქმიანობა იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება ლიკვიდირებული იურიდიული პირის უფლება-მოვალეობების სხვა პირზე უფლებამონაცვლეობის წესით გადასვლის გარეშე.

3) **მოთხოვნის დათმობა;**

4) **ვალის გადაცემა (ვალის გადაკისრება).**

უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალურთიერთობებში საქმიდან გასული მოსარჩელის შეცვლის საფუძველია ე.ი. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია, მაგრამ მოსარჩელის შეცვლა უფლებამონაცვლით მოხდება იმ პირობით, თუ მოსარჩელის უფლებამონაცვლე პროცესში შესვლის სურვილს გამოთქვამს (განაცხადებს). თუ წინამორბედი პროცესში მოპასუხედ მონაწილეობდა, მაშინ მოპასუხის უფლებამონაცვლეს პროცესში ჩააბამს სასამართლო, მოსარჩელის მოთხოვნით.

როგორც ვთქვით, საპროცესო უფლებამონაცვლეობას განსაზღვრავს უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში. სამოქალაქო (მატერიალურ) სამართალში ცნობილია ორი სახის უფლებამონაცვლეობა: 1) **უნივერსალური (ზოგადი) უფლებამონაცვლეობა,** როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის წინამორბედის ყველა სამოქალაქო უფლება და მოვალეობა. მაგალითად, მემკვიდრეობის დროს, იურიდიული პირის რეორგანიზაციის დროს და 2) **შესაძლებელია** უფლებამონაცვლეობა ცალკეულ მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობებში **(სინგულარული, ანუ კერძო მონაცვლეობა).** ამ დროს უფლებამონაცვლეობა ხდება იმ შემთხვევებში, როცა კანონით დაიშვება ცალკეულ მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა გადასვლა. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენის შემთხვევაში, ასევე მაშინ, როცა კრედიტორი უთმობს სხვა სუბიექტს თავის მოთხოვნას (მოთხოვნის დათმობა) ან, როცა ხდება ვალის გადაცემა (ვალის გადაკისრება). **რაც შეეხება საპროცესო სამართალს, პროცესში ასე არ არის. საპროცესო უფლებამონაცვლეობა ნიშნავს იმას, რომ უფლებამონაცვლეზე გადადის წინამორბედის ყველა საპროცესო უფლება-მოვალეობა.**

ამრიგად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა უნდა განვასხვავოთ უფლებამონაცვლეობისგან მატერიალურ სამართალში, სამოქალაქო საპროცესო უფლებამონაცვლეობა, სამოქალაქო მატერიალური უფლებამონაცვლეობისაგან განსხვავებით, შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადი (უნივერსალური), ვინაიდან უფლებამონაცვლე მთლიანად ცვლის წინამორბედებს და მასზე სრული მოცულობით გადადის თავისი წინამორბედის ყველა საპროცესო უფლება და მოვა-

ლეობა. არ შეიძლება სამოქალაქო პროცესში ადგილი ჰქონდეს ნაწილობრივ უფლებამონაცვლეობას.

პროცესში უფლებამონაცვლის შესვლის დროს ახალი საქმე არ აღიძვრება. საპროცესო უფლებამონაცვლეობა ხასიათდება იმით, რომ უფლებამონაცვლე აგრძელებს პროცესში წინამორბედის მონაწილეობას.

ამასთან, სასამართლო ასრულებს სხვადასხვა მოქმედებას იმისდა მიხედვით, დასაშვებია თუ არა საპროცესო უფლებამონაცვლეობა.

მას შემდეგ რაც გაირკვევა, თუ ვინ არის უფლებამონაცვლე, რომელიც ითხოვს პროცესში დაშვებას საქმიდან გასული მოსარჩელის ნაცვლად, სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი დაშვების შესახებ. უფლებამონაცვლით წინამორბედის შეცვლის (პროცეში უფლებამონაცვლის დაშვების) ასევე უფლებამონაცვლის პროცესში დაშვებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრის მეშვეობით.

პროცესიდან მოპასუხის გასვლის დროს სასამართლო მოსარჩელის შუამდგომლობით გამოიტანს განჩინებას საქმეში უფლებამონაცვლის ჩაბმის შესახებ.

რადგან საპროცესო უფლებამონაცვლეობა დამოკიდებულია იმაზე, უშვებს თუ არა სადავო მატერიალური სამართალურთიერთობა უფლებამონაცვლეობას, ამიტომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, თუ რა ხასიათისაა კონკრეტული მატერიალური სამართალურთიერთობა და მის საფუძველზე წარმოშობილი ესა თუ ის სამართლებრივი ინტერესი. უფლებამონაცვლეობის შეუძლებლობა მატერიალურ სამართალში, განაპირობებს უფლებამონაცვლეობის შეუძლებლობას პროცესში.

მაგალითად, არსებობს ისეთი პირადი ხასიათის უფლებები და მოვალეობები და კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც უფლებამონაცვლეობა (უფლებამოვალეობების ერთი პირიდან სხვებზე გადასვლა) ზოგიერთ სამართლებრივ ურთიერთობაში საერთოდ არ დაიშვება. ასე მაგალითად, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობის წესით პირადი უფლებების (ავტორობა, სახელი, პატივი, ღირსება) გადასვლა (გადაცემა). დაუშვებელია ასევე ქონებრივი უფლების მონაცვლეობა, თუ ეს უფლება დაკავშირებულია წინამორბედის პიროვნებასთან, მაგალითად, დაუშვებელია სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩოს მიღების უფლების, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების, უფლების გადაცემა (უფლებამონაცვლეზე გადასვლა). ზემოაღნიშნული საქმეების გარდა, დაუშვებელია აგრეთვე განქორწინების ან ქორწინების ბათილად აღიარების შესახებ მოთხოვნის (უფლების) მონაცვლეობა.

სკ-ის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო შეიცავს გარდაცვლილის როგორც ქონებრივი უფლებების, ისე – მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

სკ-ის 1330 მუხლის თანახმად, სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. ამავე კოდექსის 1391 მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის არაქონებრივი უფლებები, რომლებიც სამკვიდროში არ შედის, შეიძლება განახორციელონ და დაიცვან მემკვიდრეებმა კანონით გათვალისწინებული წესით.

პირადი არაქონებრივი მემკვიდრეობით არ არ გადაიცემა. გარდაცვლილი აღარ შეიძლება იყოს უფლებების და მოვალეობების სუბიექტი. მას აღარ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა.

სკ-ის მე-19 მუხლი იძლევა გარდაცვლილის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას. პირებს, ვისთვისაც გარდაცვლილის პიროვნება მნიშვნელოვანია, უფლება აქვთ მოითხოვონ გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვა და სარჩელით მიმართონ სასამართლოს (სუსგ. 2005 წ. №4, საქალაქო პროცესი, გვ. 58-59).

განხილულ შემთხვევებში (როცა დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა), სასამართლო საქმისწარმოებას წყვეტს საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რამეთუ ეს ურთიერთობები არ უშვებს უფლებამონაცვლეობას არც მატერიალურ სამართალში და შესაბამისად, არც პროცესში. თუკი სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა უშვებს უფლებამონაცვლეობას, ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაჩეროს (ვალდებულია შეაჩეროს) საქმისწარმოება (პროცესი) იმ დრომდე, სანამ საქმეში არ შევა საქმიდან გასული პირის უფლების მონაცვლე.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მატერიალური უფლებამონაცვლეობა ავტომატურად როდი იწვევს საპროცესო უფლებამონაცვლეობას. შევა თუ არა პროცესში, ეს დამოკიდებულია თვით უფლებამონაცვლის სურვილზე. თუ უფლებამონაცვლე შეიტანს განცხადებას სასამართლოში, უფლებამონაცვლედ პროცესში დაშვების თაობაზე, მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს უფლებამონაცვლეობის (უფლებამონაცვლედ შესვლის უფლების) დამადასტურებელი მოწმობაც. ამის შემდეგ კი, თუ ადამიანის გარდაცვალების ან იურიდიული პირის რეორგანიზაციის საფუძველზე საქმე შეჩერებული იყო, საქმისწარმოება განახლდება.

ვინაიდან კანონის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა წინამორბედისათვის, უფლებამონაცვლეს არა აქვს უფლება, მაგალითად, მოითხოვოს მოწმის განმეორებით დაკითხვა იმის გამო, რომ იგი უფლებამონაცვლეა. ამიტომ პროცესი თავიდან კი არ დაიწყება, არამედ გრძელდება იმ სტადიიდან, რომელზეც საქმისწარმოება შეჩერდა უფლებამონაცვლის შეცვლასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საპროცესო უფლებამონაცვლეობის წესს, საპროცესო უფლებამონაცვლეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ საქმეზე პროცესი უკვე აღიძრა.

უფლებამონაცვლეობა პროცესში შემდეგი წესით ხდება:

1) მატერიალურ სამართალში მომხდარი უნივერსალური უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, საპროცესო კანონის თანახმად, სასამართლო მოვალეა შეაჩეროს საქმისწარმოება სსსკ-ის 279-ე მუხლის შესაბამისად და 281-ე მუხლით დადგენილი ვადით;

2) სინგულარული (უფლებამონაცვლეობა ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობებში — მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა) უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში პროცესში უფლებამონაცვლის შესვლა ხდება საქმისწარმოების შეჩერების გარეშე;

3) უფლებამონაცვლემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს მატერიალურ სამართალში მისი უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ დოკუმენტი, მოთხოვნის დათმობის საბუთი);

4) მხარის გასვლის შემთხვევაში სამოქალაქო პროცესში სასამართლომ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უნდა განიხილოს ამ მხარის მისი უფლებამონაცვლით შეცვლის შესაძლებლობის საკითხი;

5) საპროცესო უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე;

6) როცა უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში დგება საქმიდან გასული მოსარჩელის უფლებამონაცვლე რამდენიმე პირის მიმართ, სასამართლომ თითოეულ მათგანს უნდა აცნობოს, თითოეულ მათგანს შეუძლია შევიდეს პროცესში, მათი პროცესში შესვლა დამოკიდებულია თითოეული მათგანის ნებაზე;

7) უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა წინამორბედისათვის. პროცესში უფლებამონაცვლის შესვლის დრო გავლენას ახდენს მისი უფლება-მოვალეო-

ბების მოცულობაზე იმდენად,რამდენადაც უფლებამონაცვლეს არა აქვს უფლება შეცვალოს ის, რასაც ადგილი ჰქონდა პროცესში მის შესვლამდე. თუ, მაგალითად, მოსარჩელემ (წინამორბედმა) ნაწილობრივ უარი თქვა სარჩელზე, მაშინ მის უფლებამონაცვლეს არ ექნება უფლება მოითხოვოს სარჩელის სრული მოცულობით დაკმაყოფილება. ან თუ, მაგალითად,წინამორბედმა უარი თქვა სარჩელზე მთლიანად,ასევე,თუ უფლებამონაცვლის შესვლამდე მხარეები მორიგდნენ,წინამორბედის მიერ შესრულებული მოქმედებები სადავო აღარ შეიძლება გახადოს უფლებამონაცვლემ, ვინაიდან ეს მოქმედებები სავალდებულო იყო წინამორბედისათვის,შესაბამისად,სავალდებულოა უფლებამონაცვლისათვისაც. უფლებამონაცვლეს არა აქვს უფლება მოითხოვოს მტკიცებულებათა ხელმეორედ შემოწმება, თუ ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობდა წინამორბედი.

გადაწყვეტილების გაუქმებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში უფლებამონაცვლეს სრული მოცულობით ექნება უფლება მოვალეობები. თუ უფლებამონაცვლეობა მოხდა კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლის შემდეგ,მაშინ უფლებამონაცვლეს უფლება აქვს მოითხოვოს გადაწყვეტილების აღსრულება,ანდა შეასრულოს მხოლოდ ისეთი მოქმედებები,რომლებიც წინამორბედს შეეძლო შეესრულებინა.

წინამორბედის შეცვლა უფლებამონაცვლით მოსარჩელის მხარეზე ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ უფლებამონაცვლე თანახმაა შევიდეს პროცესში და დაიკავოს მოსარჩელის (წინამორბედის) ადგილი. თუ უფლებამონაცვლე არ იქნება თანახმა ასეთ შეცვლაზე (პროცესში უფლებამონაცვლედ შესვლაზე), მაშინ საქმისწარმოება შეწყდება.

წინამორბედის შეცვლა კი მოპასუხის მხარეზე, ხდება მისი (უფლებამონაცვლე მოპასუხის) თანხმობის გარეშე მოსარჩელის შუამდგომლობით.

8) საპროცესო უფლებამონაცვლეობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია აღსრულების ეტაპზეც. სააღსრულებლო წარმოებათა კანონის 24-ე მუხლის და სსსკ-ის 92-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თუ აღსრულებლის ეტაპზე ერთ-ერთი მხარე შეიცვლება უფლებამონაცვლით,გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო კრედიტორის განცხადების საფუძველზე გასცემს ახალ სააღსრულებო ფურცელს შესაბამისად ახალი კრედიტორის სასარგებლოდ ან ახალი მოვალის საწინააღმდეგოდ. ამასთან, უფლებამონაცვლეობა გულისხმობს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობაში ახალი სუბიექტის შემოსვლას (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის განჩინება, საქმე №2/3080-08), ხოლო თუ უფლებამონაცვლეობა სადავო გახდა აღსრულების სტადიაზე,მაშინ ეს საკითხი პრაქტიკაში წყდება აღიარებითი სარჩელის აღძვრით, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. სასარჩელო წესით ამ საკითხის გადაწყვეტამდე სააღსრულებო წარმოება შეჩერდება. ამგვარი სარჩელის შეტანა არ იწვევს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების შეცვლას და არც გაუქმებას (სუსგ. 2003 წ. №10. გვ. 2614).

3. საპროცესო უფლებამონაცვლეობის განსხვავება არასათანადო მხარის შეცვლისაგან. როგორც ჩანს, საპროცესო უფლებამონცვლეობა პროცესში მხარეთა (მესამე პირთა) შეცვლის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. მაგრამ რამდენიმე არსებითი ნიშნით, კერძოდ,საფუძვლებითა და სამართლებრივი შედეგებით საპროცესო უფლებამონაცვლეობა უნდა განვასხვაოთ არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლისაგან:

1) საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები პროცესის განმავლობაში წარმოიშობა, ხოლო არასათანადო მხარეთა შეცვლის საფუძვლები ისეთი გარემოებებია, რომლებიც წარმოშობილი იყო სამოქალაქო პროცესის აღძვრამდე (მის დაწყებამდე);

2) საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაიშვება პროცესის ყველა სტადიაზე (გადაწყვეტილების აღსრულების დროსაც), მაშინ, როცა არასათანადო მხარის შეცვლა

დაიშვება (ხდება) მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში;

3) საპროცესო უფლებამონაცვლეობისას საქმის განხილვის ხელახლა (თავიდან) დაწყება არ ხდება, უფლებამონაცვლის შეცვლა პროცესში არ ნიშნავს ახალი პროცესის დაწყებას, როგორც ეს ხდება არასათანადო მხარის შეცვლის შემთხვევაში არამედ პროცესი განახლდება (უნივერსალური უფლებამონაცვლეობისას, რადგან ასეთ დროს შეჩერებული იყო საქმის წარმოება), ან გაგრძელდება (სინგულარული უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში) იმ სტადიიდან, რომელზეც მოხდა უფლებამონაცვლეობა. არასათანადო მხარის შეცვლის დროს კი პროცესი იწყება თავიდან (საქმის მომზადების სტადიიდან).

საპროცესო უფლებამონაცვლეობის დროს სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი მატერიალური სამართალურთიერთობა საქმიდან გასული მხარისაგან გადადის სხვა პირზე და სწორედ ამიტომ გრძელდება საქმის წარმოება.

4) საპროცესო უფლებამონაცვლეობის დროს უფლებამონცვლეს გადაეცემა წინამორბედის ყველა საპროცესო უფლებამოვალეობა. მაშინ როცა არასათანადო მხარის შეცვლის დროს სათანადო მხარეს არ გადაეცემა არასათანადო მხარის რაიმე უფლება და მოვალეობა. არასათანადო მხარე პროცესიდან გადის სწორედ იმის გამო, რომ არ არის სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტი და შესაბამისად, არც გააჩნია რაიმე კანონიერი საპროცესო უფლებები. სათანადო და არასათანადო მხარეს შორის არავითარი მატერიალურ-სამართლებრივი კავშირი არ არსებობს. სავარაუდო კავშირი (მატერიალური სამართალურთიერთობები) არსებობს ცალ-ცალკე სათანადო მხარესა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის და არასათანადო მხარესა და ასევე მოწინააღმდეგე მხარეს შორის, თუმცა ორივე ეს მატერიალური სამართალურთიერთობა ერთმანეთთან (ერთიმეორესთან) არ არის დაკავშირებული.

ამიტომ არასათანადო მხარის მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებები არ გამოიწვევს სამართლებრივ შედეგებს სათანადო მხარისათვის და ამდენად, ეს მოქმედებები მისთვის არ არის სავალდებულო. პროცესში ერთდროულად სათანადო და არასათანადო მხარის მონაწილეობის დროს, განიხილება ორი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი სადავო მატერიალური სამართალურთიერთობა.

5) საპროცესო უფლებამონაცვლეობის დროს, უფლებამონაცვლე ვერასდროს ვერ მიიღებს პროცესში მონაწილეობას წინამორბედთან ერთად, არამედ ასეთ დროს პროცესში მხოლოდ თვითონ უფლებამონაცვლე მონაწილეობს. არასათანადო მხარის შეცვლის დროს კი, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (84-ე მუხლი), სათანადო მხარესთან ერთად შეიძლება არასათანადო მხარეც მონაწილეობდეს.

საპროცესო უფლებამონაცვლეობისაგან უნდა განვასხვაოთ ზოგიერთი ისეთი შემთხვევა, როცა პირის გარდაცვალების შემდეგ, ახალი სამოქალაქო საქმის აღძვრის გზით სასამართლოში, დაინტერესებულმა პირმა შესაძლოა მიაღწიოს მისთვის აუცილებელ (საჭირო) სამართლებრივ შედეგს. მაგალითად, აღძრული იყო სარჩელი სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ. ამ საქმეში მოსარჩელის გარდაცვალების შემდეგ დაიშვება მისი პირადი უფლებების დაცვა დაინტერესებული პირების მოთხოვნით, მოსარჩელის გარდაცვალების შემდეგაც. დასახელებულ მაგალითში საპროცესო უფლებამონაცვლეობას არა აქვს ადგილი, თუმცა სამაგიეროდ მხარეს აქვს სასამართლო წესით სამართლებრივი სიკეთის დაცვის სხვა იურიდიული შესაძლებლობა. ასეთი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღწეული იქნება სამართლებრივი შედეგი.

თავი IX

მესამე პირები სამოქალაქო პროცესში

§1. მესამე პირის ცნება და სახეები

მოსარჩელისა (თანამოსარჩელეთა) და მოპასუხის (თანამოპასუხეთა) გარდა, მხარეთა შორის დავის გადაწყვეტით შეიძლება დაინტერესებული იყოს და, შესაბამისად, შესაძლებელია პროცესში მონაწილეობა მიიღოს აგრეთვე სხვა ისეთმა გარეშე პირმაც, რომლის ინტერესს საქმე შეეხება. ეს იქნება მესამე პირის მონაწილეობა.

პროცესში მესამე პირთა მონაწილეობა იმითაა განპირობებული, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამ ამ საქმეზე შეიძლება გავლენა მოახდინოს შემდგომში იმ პირთა ინტერესებსა და უფლებებზე, რომლებიც მხარეს არ წარმოადგენენ. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ მესამე პირები ეს ის პირები არიან, რომლებიც იურიდიულად დაინტერესებულნი არიან (იურიდიული ინტერესი აქვთ) დავის გადაწყვეტით (საქმის შედეგით არიან დაინტერესებულნი). მესამე პირებს ყოველთვის მატერიალური დაინტერესება აქვთ საქმის შედეგით, ასევე აქვთ საპროცესო დაინტერესებაც.

მესამე პირთა მთავარი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ ისინი არასდროს თვითონ არ აღძრავენ საქმეს, თვითონ არ იწყებენ პროცესს, არამედ ყოველთვის შედიან უკვე დაწყებულ პროცესში. თუ, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებით (მომეტებული საფრთხის წყარო) მიყენებულია ზიანი, ამ საქმეში დაინტერესებული იქნება მძღოლი, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, რამეთუ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს (რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ამ საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი), ზიანის ანაზღაურების შემდეგ უფლება აქვს რეგრესის წესით აღძრას სარჩელი მძღოლის წინააღმდეგ. სხვა მაგალითი: აღიძრა სარჩელი მეუღლეთა საერთო (ერთად შეძენილი) ქონების გაყოფის თაობაზე. ამ საქმეში შეიძლება დაინტერესებული იყოს ის პირი, რომელმაც, ვთქვათ, მეუღლეებს თავისი ქონება გადასცა დროებით სარგებლობაში, თუ მეუღლეები სასამართლოს სთხოვენ მესამე პირის ქონების გაყოფასაც.

ნახსენებ შემთხვევებში სასამართლო განხილვის საგანი იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე მატერიალური სამართალურთიერთობა იმის გამო, რომ ეს სამართალურთიერთობები განუყოფლად არიან ერთმანთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე არიან დამოკიდებული.

ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობების სუბიექტებს (მძღოლსა და იმ პირს, რომელმაც მეუღლეებს გადასცა ქონება დროებით სარგებლობაში) შეუძლიათ შევიდნენ პროცესში მესამე პირებად და ამ გზით დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები. მათ ამ საქმეში აქვთ მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება, ვინაიდან გადაწყვეტილება ამ საქმეზე შეიძლება შეეხოს მათ უფლება-მოვალეობებს.

მესამე პირთა უფლებები და ინტერესები არ ემთხვევა მხარეთა უფლებებსა და ინტერესებს. მხარეებსა და მესამე პირებს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული უფლებები და ინტერესები აქვთ.

მესამე პირს შეუძლია ჩაერთოს საქმეში სხვადასხვა სახით. პროცესში შესვლის საფუძვლების, ასევე საქმის შედეგით დაინტერესების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ორი სახის მესამე პირს: 1) მესამე პირები, რომლებიც განაცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე და 2) მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე.

კანონით დადგენილია, რომ ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე(მესამე პირები

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით).

მაგალითი: რუხაძემ თორაძეს შესანახად მიაბარა ტელევიზორი. თორაძემ ეს ტელევიზორი ათხოვა კასრაძეს, რომელმაც მოინდომა მისი მითვისება და აღარ დაუბრუნა თორაძეს. თორაძემ აღძრა სასამართლოში სარჩელი კასრაძის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვს ტელევიზორის თავის საკუთრებად ცნობასა და ნივთის უკან დაბრუნებას. რუხაძეს შეუძლია ჩაერთოს პროცესში და განუცხადოს სასამართლოს: ტელევიზორი არც თორაძის არის, არც კასრაძის, არამედ ჩემი საკუთრებაა და ვითხოვ მე მომაკუთვნოთო. ან კიდევ: გარდაიცვალა ვინმე ჩალაძე, რომლის მთელი ქონება სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მიიღო მისმა ვაჟმა გურამმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ქონება მამკვიდრებელს ანდერძით თავისი ქალიშვილი ანასათვის დაუტოვებია. მემკვიდრეთა შორის წამოიჭრა დავა სასამართლოში მთელი ქონებისა და მათ შორის მაცივრის შესახებ, რომელიც აღმოჩნდა მამკვიდრებლის მაღაზიაში, მაგრამ მისი არ იყო, არამედ მას მინდობილი ჰქონდა გასაყიდად სირბილაძის მიერ. სირბილაძეს შეუძლია ჩაერთოს საქმეში და განუცხადოს სასამართლოს: მაცივარი ჩემია და ვითხოვ ჩემს საკუთრებად ცნოთო.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო განხილვის საგანი ერთდროულად ორი დამოუკიდებელი მოთხოვნა იქნება, რომლებიც სხვადასხვა სამართალურთიერთობებიდან გამომდინარეობენ და რომლებიც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს არსებითად, კერძოდ, მემკვიდრეთა მოთხოვნა (დავა) ქონების შესახებ და მესამე პირის მოთხოვნა მაცივარზე საკუთრების უფლების ცნობისა და მაცივრის მისთვის მიკუთვნების შესახებ.

პირველ მაგალითში რუხაძე, ხოლო მეორე შემთხვევაში სირბილაძე იჭრებიან სხვის პროცესში და აცხადებენ სასამართლოს წინაშე სადავო ქონებაზე – რუხაძე მთელზე, სირბილაძე ნაწილზე – თავიანთ უფლებას, დამოუკიდებელს მოდავე მხარეთაგან. ამას ეწოდება საქმეში მესამე პირის ჩართვა დამოუკიდებელი მოთხოვნით, ანუ დამოუკიდებელი მხარის სახით.

საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს, ყოველთვის როდი აქვს დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა. ასეთი პირი საქმის შედეგით იმდენად შეიძლება იყოს დაინტერესებული, რამდენადაც მხარეთა შორის დავასთან დაკავშირებით მიღებულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება იქონიოს წინასწარ გადაწყვეტილი (პრეიუდიციული) მნიშვნელობა ასეთ პირსა და პროცესის ერთ-ერთ მხარეს შორის სამართალურთიერთობებისათვის. ამიტომაა, რომ კანონით გათვალისწინებულია დაწყებულ პროცესში დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის მონაწილეობის შესაძლებლობა. ასეთ მესამე პირს შეუძლია პროცესში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე მონაწილეობის მისაღებად დაშვება სასამართლოს თხოვოს, რადგან მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ან შეიძლება პროცესში შევიდეს მხარეთა ინიციატივით. მაგალითად, აღიძრა სარჩელი პალტოს ღირებულების ანაზღაურების შესახებ თეატრის წინააღმდეგ, რომლის გარდერობიდანაც ნივთი დაიკარგა. თეატრს უფლება აქვს იშუამდგომლოს პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირად მეგარდერობეს ჩაბმის შესახებ.

ამ საქმეში მესამე პირის სახით მოპასუხის მხარეზე მონაწილეობის მიღებაში დაინტერესებულია მეგარდერობე, რადგან, თუ თეატრი საქმეს წააგებს (ე.ი. თუ სარჩელი დაკმაყოფილდება), მოპასუხეს, რომელმაც გადაუხადა (აუნაზღაურა) მოსარჩელეს დაკარგული პალტოს ღირებულება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლება აქვს რეგრესის წესით აღძრას სარჩელი მეგარდერობეზე, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელი პირის წინააღმდეგ. ამასთან, მეგარდერობეს უფლება არა აქვს სადავო გახადოს თავდაპირველ საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი იურიდიული ფაქტები, ვინაიდან ეს ფაქტები პრეიუდიციულ ხასიათს იძენენ.

მომავალში რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა (უფლება) განსაზღვრავს სწორედ იმას, რომ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი იურიდიულად იქნება დაინტერესებული იმ საქმეში (დავაში), რომელიც თავდაპირველ მხარეებს შორის მიმდინარეობს.

სასამართლო განხილვის საგანი აქ აგრეთვე არის ორი ურთიერთდაკავშირებული მატერიალური სამართალურთიერთობა, კერძოდ, ძირითადი მოთხოვნა და მისგან ნაწარმოები სარეგრესო მოთხოვნა. გარდა ერთი საერთო ობიექტისა, ამ სამართალურთიერთობათა წარმოშობის საფუძველია საერთო იურიდიული ფაქტები. გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ ძირითად სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებაში (სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით). ეს ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის მატერიალური უფლებები არ წარმოადგენენ სასამართლო განხილვის საგანს მხარეთა შორის არსებული დავის განხილვის დროს. დაწყებულ პროცესში ასეთი მესამე პირის მონაწილეობის მიზანია კანონით გათვალისწინებული ინტერესის დაცვა.

მაშასადამე, დარღვეული ან სადავო უფლებების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციური გარანტია (პრინციპი) გულისხმობს იმას, რომ სამართლის სუბიექტებს უფლება აქვთ თავიანთი სამართლებრივი სიკეთე დაიცვან როგორც სასამართლოში სამოქალაქო საქმის აღძვრით და საქმეში მხარეთა (თანამონაწილეთა) სახით მონაწილეობით, ისე დაინტერესებული პირების სახით შესვლით უკვე დაწყებულ პროცესში და მასში მესამე პირის სახით მონაწილეობით.

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი, როგორც წესი, მოპასუხის მხარეზე მონაწილეობს, რათა თავიდან აიცილოს სარეგრესო სარჩელი. დასახელებულ მაგალითშიც ასე იყო. დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი მოსარჩელის მხარეზეც შეიძლება მონაწილეობდეს, მაგრამ ეს პრაქტიკაში იშვიათად ხდება. მაგალითად, ლეგატარი (საანდერძო დანაკისრის მიმღები) შეიძლება გამოვიდეს ანდერძისმიერი მემკვიდრის მხარეზე, რომელმაც სარჩელი აღძრა იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც არამართლზომიერად დაეუფლა სამკვიდროს. ლეგატარი ამ შემთხვევაში მოქმედებს ლეგატიდან (საანდერძო დანაკისრიდან) გამომდინარე საკუთარი უფლებების სამომავლოდ დაცვის მიზნით.

სხვა მაგალითი: კრედიტორმა მოთხოვნა დაუთმო ახალ კრედიტორს. ახალმა კრედიტორმა აღძრა სარჩელი მოვალის წინააღმდეგ. მოვალემ პროცესში სადავო გახადა მოთხოვნის ნამდვილობა. პროცესში მოსარჩელის მხარეზე მესამე პირად ჩაება თავდაპირველი კრედიტორი (ცედენტი), რადგან თავდაპირველი კრედიტორი ახალი კრედიტორის მიმართ პასუხისმგებელია მისთვის გადაცემული მოთხოვნის არანამდვილობის შემთხვევაში, ამიტომ საქმეში მისი მონაწილეობა მესამე პირად დაეხმარება მოსარჩელეს მოპასუხის წინააღმდეგ წამოყენებული მოთხოვნის დაცვაში. თუ სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ამ მოთხოვნის არანამდვილობის გამო, მოსარჩელეს უფლება აქვს რეგრესის წესით მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს (თავდაპირველ კრედიტორს).

სასამართლოსა და მესამე პირებს შორის სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლები სხვადასხვაგვარია. ერთ შემთხვევაში საფუძველია მხარეთა შორის არსებულ სადავო საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არსებობა, სხვა შემთხვევაში კი, სუბიექტი დაინტერესებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით, რამეთუ ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. თითოეული სახის მესამე პირისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირისათვის, გადაწყვეტილება დაადასტურებს განსაზღვრული უფლების არსებობას ან არარსებობას. დავის საგანზე დამოუკიდებელი

მოთხოვნის არმქონე მესამე პირისათვის გადაწყვეტილებას ექნება პრეიუდიციული მნიშვნელობა მის წინააღმდეგ რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის შემთხვევაში. რაში მდგომარეობს მესამე პირის ინსტიტუტის არსი სამოქალაქო პროცესში?

პროცესში მესამე პირთა ჩართვას ის მნიშვნელობა აქვს, რომ პროცესში მათი მონაწილეობა საშუალებას გვაძლევს ერთ საქმეში გავაერთიანოთ (თავი მოვუყაროთ) ყველა მტკიცებულება, ვინაიდან ისინი დაინტერესებული არიან მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნების დადასტურებით და შეიძლება მათ ხელთ ჰქონდეთ შესაბამისი მტკიცებულებებიც (ფაქტობრივი მონაცემები). საქმეში მესამე პირთა მონაწილეობა უზრუნველყოფს აგრეთვე სასამართლოს მიერ საქმის ყველა გარემოების უფრო სრულად გამოკვლევის (დადგენის) შესაძლებლობას და თავიდან აგვაცილებს სასამართლოს მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა გამოტანას. სასამართლოს შესაძლებლობა აქვს საქმე უფრო სამართლიანად გადაწყვიტოს ყველა დავის (მოთხოვნის) ერთდროულად განხილვით, ხოლო მესამე პირს შესაძლებლობა ეძლევა თავისი ინტერესი დროულად დაიცვას. მესამე პირთა მონაწილეობა უზრუნველყოფს პირთა უფლებებისა და ინტერესების სწრაფად დაცვას, სასამართლოში წამოჭრილი საკითხების სწრაფად გადაწყვეტას, ხელს უწყობს პროცესის ეკონომიას (დროის დაზოგვას). ერთ პროცესში ერთბაშად რამდენიმე მოთხოვნის განხილვა რიგი ფაქტორების გამო ხელსაყრელია: ორი საქმის ნაცვლად განიხილება ერთი, აღარ არის აუცილებელი ხელმეორედ დავიბაროთ სასამართლოში ერთი და იგივე პირები, მტკიცებულებათა გამოკვლევა ერთხელ ხდება, ორი გადაწყვეტილების ნაცვლად სასამართლოს გამოაქვს ერთი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მესამე პირები პროცესის ის მონაწილეები არიან, რომლებიც შედიან უკვე დაწყებულ პროცესში და იცავენ დავის საგანზე თავიანთ დამოუკიდებელ უფლებებს ან, სასამართლოს გადაწყვეტილებამ ამ საქმეზე შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ უფლება-მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

§2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

1. ცნება და ძირითადი დებულებები. დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები შედიან დაწყებულ პროცესში და პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეთა პაექრობის დაწყებამდე აღძრავენ სარჩელს დავის საგანზე დამოუკიდებელი უფლებების დაცვის მიზნით, თუ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას შეუძლია დაარღვიოს მათი უფლებები.

ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს რომ ასეთი მესამე პირის შესვლა სამოქალაქო პროცესში, სხვა არაფერია, თუ არა დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა. ზოგიერთი თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სარჩელი წარედგინება იმ პირებს, რომლებიც უკვე არიან პროცესის მონაწილენი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის შეჭრა სხვის პროცესში, რომელიც სხვა პირის მიერ არის დაწყებული. სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს მესამე პირს მოსარჩელისაგან, რადგან მოსარჩელე პროცესის ის სუბიექტია, რომელიც თავდაპირველად (თვითონ) აღძრავს პროცესს.

ამდენად, მოსარჩელისა და მოპასუხის (ასევე თანამონაწილეთა) გარდა (რომელთა შორისაც თავდაპირველად წარმოიშვა პროცესი), დავის საგანი შესაძლოა მოექცეს სხვა პირთა, ანუ მესამე პირთა უფლებებისა და ინტერესების სფეროშიც.

მაგალითად, ცოლმა აღძრა სარჩელი სასამართლოში თავისი ყოფილი ქმრის წინააღმდეგ, მუსიკალური ინსტრუმენტის მიკუთვნების შესახებ, რომელიც, მოსარჩელის მტკიცებით, მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს. მეუღლეთა შორის ატეხილი დავის შესახებ შეიტყო კულტურის სახლმა, რომელმაც აღძრა სარჩელი და სასამართლოს განუცხადა,

რომ ინსტრუმენტი კულტურის დაწესებულების საკუთრებას წარმოადგენდა. განცხადებაში კულტურის სახლმა,რომელიც მოცემულ შემთხვევაში დაწყებულ პროცესში შევიდა დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირად, აღნიშნა, რომ მოსარჩელეს კულტურის სახლში მუშაობის პერიოდში ინსტრუმენტი გადაეცა დროებით სარგებლობაში და იგი აღარ დაუბრუნებია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს,რომ დავის საგანი მარტო ქონება როდი შეიძლება იყოს, არამედ პირადი არაქონებრივი უფლებებიც, მაგალითად, მხარეები შეიძლება დავობდნენ ავტორობის უფლების გამო და ა.შ. ასეთი სახის მესამე პირმა, შესაძლოა,მიაღწიოს თავის სასარგებლოდ იმ სადავო საგნის მიკუთვნებას,რომლის გამოც დავობენ თავდაპირველი მოსარჩელე და მოპასუხე,ან მიაღწიოს თავდაპირველი მხარეების მიერ სადავოდ ქცეული უფლების აღიარებას თავის სასარგებლოდ.

პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის შესვლის საფუძველია დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არსებობა. რაც შეეხება თვითონ უფლებას დავის საგანზე, ეკუთვნის თუ არა მესამე პირს ეს უფლება, ამ საკითხს უნდა უპასუხოს სასამართლომ. გადაწყვეტილების გამოტანის დროს იგი განსაზღვრავს, ეკუთვნის თუ არა მოდავე მხარეს უფლება დავის საგანზე.

საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში მესამე პირმა უნდა წარუდგინოს თავისი მოთხოვნა იმ სასამართლოს, სადაც საქმე უკვე წარმოებს (თუნდაც საზოგადოდ მისი მოთხოვნა ამ სასამართლოს განსჯადი არ იყოს). მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა.

ამ დებულებიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

მესამე პირები სარგებლობენ კომპლექსურად მოსარჩელის ყველა საპროცესო უფლებით, მესამე პირებს აქვთ საქმის შედეგით მატერიალური და საპროცესო დაინტერესება. იმის გამო, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის შესვლა პროცესში თავისი სამართლებრივი ბუნებით ნიშნავს ამ პირის მიერ სარჩელის აღძვრას,პროცესში შესვლის შემთხვევაში მესამე პირმა სარჩელი უნდა შეიტანოს საპროცესო კოდექსის 178-ე და სხვა იმ მუხლების დაცვით, რომლებიც სარჩელის შეტანის წესს ეხება. ხაზი უნდა გაესვას როგორც თავის, ისე მეორე მხარის ლეგიტიმურობას ამ საქმისადმი, მესამე პირს აწევს სასამართლო ხარჯი, მასზე ვრცელდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ყველა მატერიალური და საპროცესო შედეგი. პროცესში მესამე პირის დაშვების შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლომ ამის შესახებ განჩინება უნდა გამოიტანოს (სსსკ-ის 203-ე მუხლი).

მას უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე, საქმე დაამთავროს მორიგებით, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნათა მოცულობა, გაასაჩივროს გადაწყვეტილება, აღძრას ნებისმიერი შუამდგომლობა და ა.შ.

მართალია,ასეთი მესამე პირი თავისი სამართლებრივი ბუნებით სხვა არაფერია,თუ არა მოსარჩელე და,შესაბამისად,მოსარჩელის უფლებებითაც სარგებლობს სრული მოცულობით, მაგრამ, ამასთან, იგი განსხვავდება თავდაპირველი მოსარჩელისაგან შემდეგი ნიშნებით:

ა) დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი ყოველთვის შედის დაწყებულ პროცესში;

ბ) მესამე პირის მოპასუხე შეიძლება თავდაპირველ მხარეთაგან იყოს ერთ-ერთი, ან ორივე მათგანი;

გ) მესამე პირის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს ისეთივე, როგორიც მოსარჩელისა (არა იგივე, არამედ ისეთივე, ანუ ანალოგიური) ან მისი მოთხოვნა ემყარებოდეს

სხვა საფუძველს;

დ) დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი და თავდაპირველი მოსარჩელე ერთად (ერთობლივად) ვერ შეიტანენ საერთო სარჩელს, რამეთუ მესამე პირსა და თავდაპირველ მოსარჩელეს ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები ამოძრავებთ სამოქალაქო პროცესში (მოსარჩელის მოთხოვნათა დაკმაყოფილება გამოიწვევს მესამე პირის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას სასამართლოს მხრიდან).

რა წესით ხდება დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირთა ჩაბმა პროცესში?

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე მუხლებით (იხილეთ 89-ე და 90-ე მუხლები) განსაზღვრავს დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირთა საქმეში ჩაბმის წესს.

რაც შეეხებათ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს, იმისათვის, რომ პროცესში შევიდეს, ასეთ მესამე პირს უნდა გააჩნდეს სარჩელის აღძვრის უფლება და უნდა დაიცვას მისი აღძვრის (შეტანის) კანონით დადგენილი წესი. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები (მუხლი 186-ე და 187-ე) და წესი მთლიანად ვრცელდება დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებზეც, 88-ე მუხლით დადგენილი სპეციფიკის გათვალისწინებით.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები ამოწმებენ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს სააპელაციო და საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სსსკ-ის 377-ე და 404-ე მუხლები). აღნიშნული სასამართლოები განიხილავენ საჩივრებს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გამოტანილია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ იქ აღძრულ სარჩელებზე (სსსკ-ის 364-ე და 391-ე მუხლები) და არა დამოუკიდებელ სარჩელებს. მესამე პირის სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით არის ჩვეულებრივი სარჩელი და ასეთი სარჩელით სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციაში მიმართვა დაუშვებელია. ამიტომ, თუ მესამე პირმა დამოუკიდებელი სარჩელით მიმართა სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს, სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის განხილვის სტადიაზე დაუშვებელია სარჩელის მიღება, შესაბამისად, იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული (სუსგ. 2005 წ. №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 175-176).

ამრიგად, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოხატავს დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირად საქმეში მონაწილეობის სურვილს, თუ სახეზე იქნება სარჩელის აღძვრის აუცილებელი წინაპირობები და თუ დაცულია სარჩელის აღძვრის კანონით დადგენილი წესი, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს მესამე პირის სარჩელი. ამავე დროს, სასამართლოს არა აქვს უფლება მესამე პირი პროცესში თავისი ინიციატივით ჩააბას, მისი თანხმობის გარეშე ან იმ შემთხვევაში თუ ეს პირი არ აღძრავს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე თავდაპირველი მხარეების წინააღმდეგ. ანუ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი საქმეში შედის თავისი ინიციატივით (ნება-სურვილით). მესამე პირის პროცესში ჩაბმის ასეთი წესის არსებობა ემყარება დისპოზიციურობის პრინციპს.

მესამე პირმა, შესაძლოა, არც იცოდეს თავდაპირველ მხარეებს შორის სასამართლოში საქმის განხილვა რომ მომდინარეობს. ამიტომ, თუ საქმის მომზადების პროცესში მოსამართლე დაადგენს, რომ სარჩელი (განსახილველი საქმე) შეეხება მესამე პირის ინტერესებს, მან უნდა შეატყობინოს მესამე პირს სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის შესახებ და ამ საქმის განხილვის დროის შესახებ და განუმარტოს პროცესში მონაწილეობის უფლება. მესამე პირი შეიძლება შევიდეს დაწყებულ პროცესში საქმის მომზადების სტადიაზე ან სასამართლოს მთავარი სხდომის (საქმის განხილვის სტადიის) დროს, მაგრამ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე. მხარეთა პაექრობის დაწყების შემდეგ კი სასამართლომ არ უნდა მიიღოს მესამე პირის სარჩელი. ასეთ შემთხვევაში მესამე პირს შეუძლია თავისი უფლებები (ინტერესები) დაიცვას საერთო წესით, ანუ აღძრას

დამოუკიდებელი სარჩელი იმ მხარის წინააღმდეგ, რომლის სასარგებლოდაც გამოვიდა გადაწყვეტილება.

პროცესში მესამე პირის შესვლის შემთხვევაში სასამართლომ უნდა განიხილოს ორი სარჩელი: თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის სარჩელი. ამის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს სასამართლოს გადაწყვეტილებაც.

მესამე პირის სარჩელი უნდა იყოს დაკავშირებული პირვანდელ მოთხოვნასთან. ეს მოთხოვნები უნდა იყოს ერთგვაროვანი. მაგალითად, მხარეებმა წამოჭრეს დავა ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ. ამ დავის შესახებ შეიტყო მესამე პირმა, წარადგინა სარჩელი მხარეთა მიმართ და მანაც მოითხოვა ამავე ნივთზე საკუთრების უფლების ცნობა. აქ მოთხოვნები ერთგვაროვანია. სხვა მაგალითი, როცა ეს მოთხოვნები არაერთგვაროვანია: „ა" მოითხოვს დამქირავებლის „ბ"-ს ბინიდან გამოსახლებასა და ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას ქირის გადაუხდელობის მოტივით. „გ" მოითხოვს პროცესში დაშვებას იმის გამო, რომ მოსარჩელემ მას მიაყენა მატერიალური ზიანი. აქ მოთხოვნები არაერთგვაროვანია, ამიტომ „გ"-ს დაშვება მესამე პირის სახით, არ შეიძლება.

კანონით დაშვებულია, რომ მესამე პირმა აღძრას სარჩელი როგორც ერთ-ერთი თავდაპირველი მხარის, ისე ორივე მხარის წინააღმდეგ.

ეს აიხსნება იმით და სარჩელის აღძვრა ორივე თავდაპირველი მხარის წინააღმდეგ ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ ორივე მხარე და პროცესში შემსვლელი მესამე პირი სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები არიან. მოცემულ შემთხვევაში სადავო მატერიალური სამართალურთიერთობების სუბიექტებია თავდაპირველი მოსარჩელე და მესამე პირი, მოპასუხე და მესამე პირი.

როცა მესამე პირი სადავოს ხდის თავდაპირველი მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებას დავის საგანზე, მოპასუხე მხარეს მესამე პირის წინაშე ფაქტობრივად თავდაპირველი მხარეები წარმოადგენენ.

ამრიგად, პროცესში სათანადო და არასათანადო მოსარჩელეთა ერთდროულად მონაწილეობის დროს, სათანადო მოსარჩელე იკავებს დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის და არა თანამოსარჩელის ადგილს.

ორივე ეს მოსარჩელე (იგულისხმება თავდაპირველი მოსარჩელე და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი) არ შეიძლება თანამონაწილე იყოს იმიტომ, რომ თანამონაწილეობის დროს ერთად (ერთობლივად) განსახილველად (ერთობლივად განხილვის მიზნით) აღძრული მოთხოვნები არ უნდა გამორიცხავდეს ერთიმეორეს, ე.ი. ერთ-ერთი აღძრული მოთხოვნათაგანის დაკმაყოფილება არ უნდა იყოს დამოკიდებული მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაზე.

სათანადო მოსარჩელე კი ივარაუდება დავის საგანზე დამოუკიდებელი უფლების სუბიექტად. პროცესში შესული სათანადო მოსარჩელის (იგულისხმება მესამე პირი) სარჩელი, არასდროს არ შეიძლება აღძრულ იქნეს თავდაპირველი (არასათანადო) მოსარჩელის სარჩელთან ერთად იმდენად, რამდენადაც ეს მათი სარჩელები (მოთხოვნები) გამორიცხავენ ერთიმეორეს, ვინაიდან სათანადო და არასათანადო მოსარჩელეს ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები ამოძრავებთ.

ამიტომ პროცესში შესული სათანადო მოსარჩელე, რომელიც მასში არასათანადო მოსარჩელესთან ერთად მონაწილეობს, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირად იწოდება. ამგვარი მესამე პირს უფლება აქვს აღძრას თავისი მოთხოვნა როგორც ორივე, ისე ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ ისე, რომ სადავო არ გახადოს მეორის ინტერესები. კანონის ამ დებულებას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარის წინააღმდეგ არის აღძრული მესამე პირის მოთხოვნა, განისაზღვრება პროცესში თავდაპირველ მხარეებსა და დავის საგანზე

დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს შორის ურთიერთობაც. მაგალითად, თუ მესამე პირმა აღძრა დამოუკიდებელი მოთხოვნა ორივე პირვანდელი მხარის წინააღმეგ, ხოლო პირვანდელმა მოსარჩელემ უარი თქვა მოპასუხის მიმართ აღძრულ სარჩელზე, მაშინ საქმის განხილვის საგანი თავდაპირველი მოსარჩელისა და მოპასუხის წინააღმდეგ მესამე პირის მიერ აღძრული სარჩელიღა იქნება.

თუ თავდაპირველი მხარეები მორიგების აქტს დაუდებენ მესამე პირს, მაშინ მორიგების სუბიექტები იქნებიან, ერთი მხრივ, თავდაპირველი მოსარჩელე, მაგრამ ამ შემთხვევაში (ანუ მორიგების დროს) ის მესამე პირის წინაშე მოპასუხის სახით (მოპასუხედ) მიიღებს მონაწილეობას მორიგებაში და თავდაპირველი მოპასუხე და, მეორე მხრივ — მესამე პირი, ასეთ შემთხვევაში, მორიგების დამტკიცება სასამართლოს მიერ საქმისწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველია.

იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი დამოუკიდებელ მოთხოვნას აღძრავს მხოლოდ თავდაპირველი მოსარჩელის წინააღმდეგ, მაშინ თავდაპირველი მოსარჩელის უარი მოპასუხის მიმართ მის მიერ აღძრულ სარჩელზე, გამოიწვევს საქმისწარმოების შეწყვეტას ამ ნაწილში და სასამართლომ, შესაბამისად, მოპასუხე უნდა გაათავისუფლოს პროცესში მონაწილეობისაგან. თავდაპირველი მოსარჩელე კი პროცესში უნდა დატოვოს მესამე პირის მოპასუხედ და განაგრძოს საქმის არსებითად განხილვა. მორიგება შეიძლება დაიდოს თავდაპირველ მოსარჩელესა და მესამე პირს შორის. ასეთ შემთხვევაში, მორიგების აქტის დამტკიცება სასამართლოს მიერ, საქმისწარმოების სრულად შეწყვეტის საფუძველია.

თუ მესამე პირი დამოუკიდებელ მოთხოვნას აღძრავს მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ, მაშინ თავდაპირველი მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა გამოიწვევს თავდაპირველად აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით დაწყებული საქმისწარმოების შეწყვეტას, მაგრამ, ამასთან, მოპასუხე ისევ დარჩება პროცესში, მაგრამ ახლა უკვე როგორც მესამე პირის მოპასუხის როლში. ასეთ შემთხვევაში, მორიგების სუბიექტები იქნებიან მოპასუხე და მესამე პირი.

დაბოლოს, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ მესამე პირის შესვლა პროცესში მთავარ სხდომაზე (საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე) თუნდაც პაექრობის დაწყებამდე საქმის განხილვის გადადებას და გაჭიანურებას გამოიწვევს იმდენად, რამდენადაც საქმის განხილვა თავიდან უნდა დაიწყოს. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ მესამე პირს თავისი სარჩელის დასასაბუთებლად დასჭირდება დამატებითი მტკიცებულებები. საეჭვოა, რომ ეს მტკიცებულებები საქმეში იყოს თავმოყრილი. ამიტომ პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის შესვლა პროცესში საქმის მომზადების სტადიაზე.

2. თანამოსარჩელეებისაგან განსხვავება. მართალია, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესამე პირებისა და მოსარჩელის საპროცესო მდგომარეობა ერთგვაროვანია (მსგავსია). დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის აღძვრით, მესამე პირი, როგორც წესი, ეხება როგორც თავდაპირველი მოსარჩელის, ისე მოპასუხის უფლებებსა და ინტერესებს. ამიტომ მესამე პირის მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, უმეტესწილად, მოპასუხედ შეიძლება გამოვიდეს ორივე მხარე. ზოგჯერ კი, მესამე პირის სარჩელი მიმართულია არა ორივე, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიმართ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მესამე პირი სპეციფიკურ ურთიერთობაში იმყოფება დავის (პროცესის) სხვა მონაწილეებთან (მხარეებთან). ამგვარი (მესამე პირის მსგავსი, მისთვის დამახასიათებელი) მდგომარეობა კი არ არის დამახასიათებელი არც მოსარჩელისა და არც მოპასუხისათვის.

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები ასევე უნდა განვასხვაოთ თანამოსარჩელეებისაგან ორი ნიშნით: 1) მესამე პირი ყოველთვის შედის დაწყებულ

პროცესში, ხოლო თანამოსარჩელეებს კი შეუძლიათ ერთდროულადაც (ერთად) აღძრან საქმე. თუმცა თანამოსარჩელეს შეუძლია შევიდეს უკვე დაწყებულ პროცესშიც. მაგალითად, აღიძრა სარჩელი ავტორობის უფლების დაცვის შესახებ და პროცესში შევიდა მოსარჩელის თანაავტორი, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე პრეტენზია არა აქვს მას თავისი თანაავტორის მიმართ.

2) თანამოსარჩელეთა მიერ აღძრული მოთხოვნები არ გამორიცხავს ერთიმეორეს, ერთ-ერთი თანამოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება ან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გავლენას არ ახდენს სხვა თანამოსარჩელეთა მოთხოვნის განხილვასა და გადაწყვეტაზე (ამ მოთხოვნის ბედზე). მოსარჩელისა და მესამე პირს მოთხოვნის საგანი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს სრული მოცულობით ან ნაწილობრივ, ანუ მოსარჩელესა და მესამე პირს შორის დავა სამართალურთიერთობის საერთო ობიექტების გამო წარმოიშობა. ამიტომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება აუცილებლად გამოიწვევს მესამე პირის სარჩელზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმას (მესამე პირის სარჩელის დაუკმაყოფილებლობას სრულად ან ნაწილობრივ) და, პირიქით, მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება ანალოგიურ შედეგებს გამოიწვევს მოსარჩელის მიმართ.

მოსარჩელესა და მესამე პირს პროცესში ურთიერთგამომრიცხავი ინტერესი აქვთ. მოსარჩელის (თანამოსარჩელის) მოთხოვნა ყოველთვის მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) წინააღმდეგ არის მიმართული. რაც შეეხება მესამე პირს, იგი ყოველთვის აღძრავს თავის სასარჩელო მოთხოვნას ან მხოლოდ თავდაპირველი მოსარჩელის წინააღმდეგ, ან ერთდროულად თავდაპირველი მოსარჩელისა და მოპასუხის წინააღმდეგ. ანუ მესამე პირი პროცესში მოსარჩელის (და თანამოსარჩელის) კონკურენტის როლში გამოდის იმდენად, რადგანაც სასამართლოში დავა პროცესის ამ სუბიექტებს შორის წარმოიშობა ერთი და იმავე ობიექტის გამო.

მესამე პირი და მოსარჩელე თავისი შინაარსით განსხვავებული მატერიალური სამართალურთიერთობების მონაწილეები არიან. თუმცა, როგორც ვთქვით, ეს ურთიერთობები წარმოშობილია ერთი საერთო ობიექტის გამო, ერთ საერთო ობიექტს შეეხება. თანამოსარჩელეები კი ერთიანი, რთული, მრავალსუბიექტური სამართალურთიერთობის მონაწილეები არიან სავალდებულო თანამონაწილეობის დროს, ან რამდენიმე, მაგრამ თავისი შინაარსით ანალოგიური (მსგავსი) მატერიალური სამართალურთიერთობების მონაწილეები არიან ფაკულტატური თანამონაწილეობის დროს. მათი მოთხოვნები არ გამორიცხავს ერთიმეორეს.

მაგალითად, მეუღლეთა შორის წარმოიშვა დავა პრივატიზებული ბინის გაყოფის შესახებ, ამ საქმეში დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სახით შევიდა მოპასუხის დედა. მან მიუთითა, რომ სადავო ბინაში ეკუთვნის წილი, რადგან წარმოადგენს პრივატიზაციის უფლების მქონე პირს და მოითხოვა ბინის 1/3-ის მიკუთვნება. ამ მაგალითში მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფის შესახებ მოსარჩელე და მოპასუხე ბინაზე თანაზიარი საკუთრების უფლებიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის საუბიექტები არიან, ხოლო მესამე პირი და თავდაპირველი მხარეები ბინაზე საერთო წილობრივი საკუთრების უფლებიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის სუბიექტები იქნებიან. თავისი შინაარსით განსხვავებული სამართალურთიერთობები ასეთ შემთხვევებში ერთმანეთთან დაკავშირებულია იმით, რომ წარმოშობილია ერთი და იმავე ობიექტის ან მისი ნაწილის გამო.

დაწყებულ პროცესში შესული პირის საპროცესო სტატუსის შესახებ საკითხის სწორი გადაწყვეტა განაპირობებს სასამართლო ხარჯების სწორად განაწილებასაც. თუ მესამე პირმა სარჩელი აღძრა მხოლოდ მოსარჩელის მიმართ და სარჩელი დაკმაყოფილდა, მაშინ მესამე პირს უფლება აქვს ხარჯების ანაზღაურება მოსარჩელისაგან მოითხოვოს. თუ

სარჩელი ორივე მხარის მიმართაა წაყენებული და დაკმაყოფილდა, ორივე მხარემ უნდა აუნაზღაუროს სასამართლო ხარჯები მესამე პირს. თუ მესამე პირმა სარჩელი აღძრა მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ, მაშინ მას სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აქვს მოპასუხისაგან სასამართლო ხარჯების ანაზღაურების უფლება.

§3. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

1. **ცნება და ძირითადი დებულებები.** დავის საგანზე (მთლიანად) ან მის ნაწილზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირები ეს ის დაინტერესებული პირები არიან, რომლებიც შედიან დაწყებულ პროცესში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, თუ სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირად დაშვების საკითხს, მესამე პირის მიერ სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, წყვეტს სასამართლო მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით (მუხლი 89-ე).

მოცემული უფლებები და მოვალეობები, რომლებზეც, სავარაუდოდ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მომავალში სასამართლო გადაწყვეტილებამ, შეადგენს მესამე პირის იურიდიულ ინტერესს სხვის პროცესში. მაგალითად, თეატრის გარდერობიდან პალტოს დაკარგვის შემთხვევაში მეგარდერობე დაინტერესებულია მონაწილეობა მიიღოს დაკარგული ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ თეატრის წინააღმდეგ მაყურებლის (პალტოს მესაკუთრის) სარჩელის საფუძველზე დაწყებულ პროცესში.

მოცემულ შემთხვევაში, მეგარდერობეს ინტერესი ეფუძნება იმას, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თეატრს უფლება აქვს რეგრესის წესით აღძრას სარჩელი მესამე პირის წინააღმდეგ და გადაახდევინოს ის თანხა, რომლის გადახდაც თავად თეატრს მოუწია სამართლო გადაწყვეტილებით, დაკარგული პალტოს მესაკუთრისათვის.

მოცემულ შემთხვევაში მეგარდერობე (მესამე პირი) მაყურებელსა (მოსარჩელესა) და თეატრს (მოპასუხეს) შორის წამოჭრილ დავაში (პროცესში) არავითარ მოთხოვნებს არ აცხადებს. არ შეიძლება აგრეთვე მეგარდერობეს წინააღმდეგ აღიძრას პალტოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რამეთუ მხარეთა შორის წამოჭრილი დავის საგანია შენახვის (მიბარების) ხელშეკრულება. ამ ურთიერთობის (ხელშეკრულების) მონაწილე კი თვითონ მეგარდერობე არ არის. თუმცა, თუ სხვის პროცესში მიიღებს მონაწილეობას და დაამტკიცებს, რომ ნივთის დაკარგვაში ბრალი არ მიუძღვის, მეგარდერობეს (მესამე პირს) ამით შეუძლია უზრუნველყოს სამომავლოდ თავისი უფლებების დაცვა. შესაბამისად, მის წინააღმდეგ რეგრესის წესით თეატრის (მოსარჩელე) მიერ აღძრული სარჩელის დაკმაყოფილებაზე თეატრს უარი ეთქმება.

ამრიგად, ამგვარი მესამე პირის დაინტერესება სხვის პროცესში სრულიად სხვაგვარია, სხვა მიზეზებით არის გამოწვეული, ვიდრე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირისა. ამიტომ ეწოდებათ მოცემულ პირებს დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები. მათ პროცესში მონაწილეობა შეუძლიათ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე.

სხვის პროცესში მონაწილეობით, დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი ეხმარება იმ მოსარჩელეს ან იმ მოპასუხეს, რომლის მხარეზეც ის გამოდის, რათა ერთ-ერთმა იმ მხარემ, რომლის მხარეზეც ეს მესამე პირი მონაწილეობს, მიაღწიოს მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, დავის გადაწყვეტას მის სასარგებლოდ. ამიტომაა, რომ ასეთი მესამე პირები ლიტერატურაში იწოდებიან დამხმარედ (მესამე პირი

დამხმარე), მაგრამ ამგვარი გამოთქმა პირობითია, რადგან პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი უფრო აქტიურია, ვიდრე, ვთქვათ, მოპასუხე. ეს იმიტომ, რომ თუ მოპასუხე წააგებს საქმეს და გადაუხდის მოსარჩელეს იმას, რასაც მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს, მაშინ წაგებულ მხარეს (ე.ი. ჭოპასუხეს) წარმოეშობა ე.წ. რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის უფლება იმ მესამე პირის მიმართ, რომელიც მონაწილეობას იღებდა პროცესში მის მხარეზე. ანუ მესამე პირი თავისი მონაწილეობით პროცესში, იცავს თავის კანონიერ ინტერესებს: ცდილობს თავიდან აიცილოს რეგრესული პასუხისმგებლობა მხარის წინაშე, გამორიცხოს სამომავლოდ თავის წინააღმდეგ მოთხოვნის აღძვრის შესაძლებლობა. მაშასადამე, მესამე პირის მონაწილეობის შემთხვევაში, მოპასუხე თითქმის არაფერს არ კარგავს. მაგალითად, მაღაზიამ მყიდველს მიჰყიდა რაიმე ნივთი. მოსარჩელემ (ქონების მესაკუთრემ) აღძრა სავინდიკაციო სარჩელი სასამართლოში და ედავება მყიდველს (მოპასუხეს) ამ ნივთზე საკუთრების უფლებას, ვთქვათ, იმის გამო, რომ ნივთი, რომელიც მყიდველის ხელშია, მას მოჰპარეს. მოპასუხე აღნიშნავს, რომ მან ეს ნივთი შეიძინა მაღაზიაში (ანუ მესამე პირისაგან). ამიტომ პროცესში ჩაბმულ უნდა იქნეს მაღაზია. იგი ჩაებმება მოპასუხის (ფაქტობრივი მფლობელის) მხარეზე (მოპასუხის ინიციატივით, ან თვითონაც შეუძლია მოითხოვოს შესვლა პროცესში) და ცდილობს იმას, რომ თავიდან აიცილოს მომავალში მოპასუხის მიერ სარეგრესო სარჩელის წარდგენა. სწორედ ამიტომ არის იგი უფრო აქტიური. მაღაზიის (მესამე პირი მოცემულ შემთხვევაში) პირდაპირი ინტერესია საქმე გადაწყდეს მყიდველის სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველი მოსთხოვს მას ზიანის ანაზღაურებას სხვისი ნივთის მიყიდვის გამო. ამიტომ მაღაზიას შეუძლია პროცესში შევიდეს მყიდველის მხარეზე მის დასახმარებლად სათანადო საბუთების საშუალებით.

ასეთი სახის მესამე პირის პროცესში დაშვების საფუძველია სარეგრესო სარჩელი (ანუ მხარის უფლება — მოსთხოვოს მესამე პირს ზიანი), მაგრამ გარდა სარეგრესო სარჩელისა, მისი საფუძველი შეიძლება იყოს გარკვეული იურიდიული ფაქტი. მაგალითად, მოპასუხეს ედავება მისი განქორწინებული მეუღლე და მოითხოვს ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტების გადახდევინებას. ამ საქმეში დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოპასუხის ბავშვმა, რომელიც მას ჰყავს პირველი ქორწინებიდან და რომელსაც უკვე უხდის იგი ალიმენტს. ბავშვის ინტერესებს, ამ შემთხვევაში, უნდა წარმოადგენდეს მისი კანონიერი წარმომადგენელი (დედა, მეურვე, მზრუნველი). ბავშვის ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ, თუკი სასამართლო სარჩელს დააკმაყოფილებს და მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტებს, მაშინ, მომავალში, მოპასუხეს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ალიმენტის ოდენობის შემცირება მესამე პირად ჩაბმულის მიმართ. ასეთ შემთხვევაში სახეზე არ არის სარეგრესო სარჩელი, მაგრამ პირს გააჩნია სხვა იურიდიული ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში ამ ბავშვის შესვლა პროცესში (საქმეში ჩაბმა) ხდება მისი (კანონიერი წარმომადგენლის) ინიციატივით.

განხილულ მაგალითებში, ერთ შემთხვევაში — მაღაზია, ხოლო მეორე შემთხვევაში — ბავშვი, ერევიან სხვის პროცესში ერთ-ერთი მხარის დასახმარებლად, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ან სხვა იურიდიული ინტერესის გამო. ასეთი ჩარევა შესაძლებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მესამე პირის ინტერესი. ვისაც ასეთი ჩარევა უნდა, მან უნდა მიმართოს სასამართლოს სათანადო თხოვნით. ეს შესაძლებელია ყოველთვის, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე პირის დაინტერესებას სხვის პროცესში შესვლით, **ობიექტური ხასიათი უნდა გააჩნდეს.** ეს ნიშნავს, რომ მისი ინტერესი უნდა ეფუძნებოდეს (ემყარებოდეს) მესამე პირის კავშირს ერთ-ერთ მხარესთან სავარაუდო

მატერიალური სამართალურთიერთობის მიხედვით.

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ატეხილი დავის გამო წარმოშობილი პროცესის გარეშე არ შეიძლება პროცესში შევიდეს მესამე პირი და, საერთოდ, არსებობდეს მესამე პირი პროცესში, ანუ პროცესში მესამე პირის არსებობა დამოკიდებულია თავდაპირველი მხარეების არსებობაზე. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ თვითონ მესამე პირსა და ერთ-ერთ მხარეს შორის არსებული სამართალურთიერთობები სრულიად დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან.

კერძოდ, ზემოთ მითითებულ მაგალითში, როცა პროცესში დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირად მონაწილეობდა მეგარდერობე, მისი პროცესში ჩაბმის საფუძველია მასსა და თეატრს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით წარმოშობილი სამართალურთიერთობა, ხოლო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სადავო ურთიერთობა კი ეფუძნება შენახვის (მიბარების) ხელშეკრულებას. თითოეული ეს სამართალურთიერთობა წარმოიშვა და არსებობს დამოუკიდებლად (ცალ-ცალკე) და არ არის დამოკიდებული ერთიმეორეზე.

თუ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი პროცესში მხოლოდ თავისი ინიციატივით შედის, დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირი პროცესში შეიძლება შევიდეს (ჩაებას) არა მარტო თავისი, არამედ ერთ-ერთი მხარის ინიციატივითაც, რისთვისაც ეს მხარე სასამართლოს მიმართავს მოტივირებული განცხადებით. ასეთი განცხადება, ანუ პროცესში მესამე პირის ჩაბმა თუ შესვლა, დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე როგორც წერილობით, ისე ზეპირი განცხადების ფორმით. ზეპირი განცხადება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. როცა მესამე პირი თავისი ინიციატივით ებმება პროცესში, მან სასამართლოში უნდა შეიტანოს წერილობითი განცხადება, რომელზედაც სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება. მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმეში მონაწილეობისათვის მესამე პირის დაშვების ან ასეთ დაშვებაზე უარის თქმის შესახებ. საქმეში (პროცესში) დამოკიდებული მოთხოვნის არმქონე მესამე პირის დაშვებაზე უარის თქმის განჩინება, გასაჩივრდება გადაწყვეტილებასთან ერთად.პროცესში დაშვების შესახებ მესამე პირის განცხადებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, თუ რა საფუძვლით ითხოვს განმცხადებელი პროცესში მესამე პირად დაშვებას.

საპროცესო კანონით დადგენილია, რომ დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირები სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები. ეს აიხსნება იმით, რომ მოცემული დავა შეეხება მათ უფლებებსა და ინტერესებს, ამიტომ მათ, მხარეთა მსგავსად, უფლება აქვთ მისცენ სასამართლოს ახსნა-განმარტება, წარადგინონ მტკიცებულებანი, განაცხადონ აცილებანი, იშუამდგომლონ (ვთქვათ, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ), შეიტანონ შესაგებელი, გამოთქვან თავიანთი დასკვნები და მოსაზრებები, გააქარწყლონ მოწინააღმდეგის დასკვნები და მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში და სასამართლო პაექრობაში (კამათში), აგრეთვე შეასრულონ სხვა საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულების უფლებაც კანონით მინიჭებული აქვთ მხარეებს. მაგრამ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის საპროცესო მდგომარეობა არ არის მოსარჩელის, მოპასუხის, თანამონაწილეთა საპროცესო მდგომარეობის მსგავსი. მათ შორის არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მხარეები ძირითადი სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტები არიან. რამდენი პირიც არ უნდა მონაწილეობდეს მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, ყველა ისინი უფლების შესახებ დავის სუბიექტები იქნებიან. თითოეული თანამოსარჩელე სამართალურთიერთობით დაკავშირებულია მოპასუხესთან, თითოეული თანამოპასუხე კი სამართალურთიერთობით დაკა-

ვშირებულია მოსარჩელესთან. თანამონაწილეთა ასეთი კავშირი სამართალურთიერთობის საფუძველზე მეორე მხარესთან, ნიშნავს, რომ მათ აქვთ ურთიერთსანაცვლო უფლებები და იურიდიული ვალდებულებები.

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები კი არ წარმოადგენენ სადავო (ანუ მატერიალური) სამართალურთიერთობის სუბიექტებს და სასამართლო წყვეტს დავას არა მათი უფლებების, არამედ მხარეთა უფლებების თაობაზე. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებამ არ შეიძლება ხელყოს (შეეხოს) მესამე პირის უფლებები, ე.ი. განსაზღვროს მათი უფლება-მოვალეობანი დავის საგანთან მიმართებაში. მესამე პირის შესვლა პროცესში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე არ ნიშნავს იმას, რომ მესამე პირი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული დავის მხარეა (თანამონაწილეა). მაგალითად, თუ მესამე პირი მონაწილეობს მოპასუხის მხარეზე, ეს მესამე პირი არ არის სამართალურთიერთობით დაკავშირებული მოსარჩელესთან, შესაბამისად, მის მიმართ არანაირი ულებები არ გააჩნია და არც მოვალეობები აკისრია. თუკი მესამე პირი მონაწილეობს მოსარჩელის მხარეზე, მას მოპასუხის მიმართ არ გააჩნია უფლებები და იურიდიული მოვალეობები იმდენად, რამდენადაც მასთან არ არის დაკავშირებული სამართალურთიერთობით.

კანონმდებელმა მას არ მიანიჭა მთელი რიგი ის საპროცესო უფლებები, რომლებიც მხარეებს აქვთ. მაგალითად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოთა პრაქტიკა დაუშვებლად მიიჩნევს ასეთი სახის მესამე პირთა საჩივრებს (მათ შორის, კერძო საჩივრებს). სწორედ ამიტომ, ჩვენ ვამბობთ, რომ, მართალია, ასეთი მესამე პირები სარგებლობენ მხარეთა ყველა საპროცესო უფლებითა და მოვალეობით, მაგრამ ამ წესიდან არის გამონაკლისებიც. კერძოდ, ასეთ მესამე პირებს არ გააჩნიათ განკარგვითი უფლებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის უფლებები, რომლებშიც შეზღუდულია მესამე პირი, განკარგვითი უფლებებია, ე.ი. მიმართულია დავის ობიექტის განკარგვაზე. უფლებათა ასეთი შეზღუდვა აიხსნება სწორედ იმით, რომ მათ არა აქვთ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა და არ არიან სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტები. ისინი სხვის პროცესში მონაწილეობენ. მესამე პირს არა აქვს უფლება შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ამ სამართალურთიერთობის ობიექტის განკარგვაზე.

კერძოდ, ამ სახის მესამე პირებს არა აქვთ უფლება გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება.

ამგვარად, კანონი დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირს არ ანიჭებს სრული მოცულობით მხარის ყველა უფლებასა და მოვალეობას (მატერიალური უფლებების განკარგვის შესაძლებლობას). ამასთან, მესამე პირები აქტიურნი არიან პროცესში და ხელს უწყობენ მხარეებს უფლებებისა და ინტერესების დაცვაში.

კანონი ადგენს მესამე პირის პროცესში მონაწილეობის საფუძვლებს. მესამე პირის პროცესში მონაწილეობის საფუძველია ის გარემოება, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე „შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ". წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პირს არ ექნება საქმეში ჩაბმის საფუძველი, ხოლო სასამართლოს კი არ ექნება მისი პროცესში მესამე პირად დაშვების საფუძველი, ე.ი. საპროცესო ინტერესთან ერთად (რომ უფლების შესახებ დავა გადაწყდეს ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ), მესამე პირს კიდევ აქვს საქმის შედეგით მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება, რომელიც განპირობებულია იმ გავლენით, რაც შეიძლება მოახდინოს გადაწყვეტილებამ მის უფლება-მოვალეობებზე. ხშირად ასეთი ინტერესი ერთ-ერთ მხარესა და მესამე პირს შორის რეგრესული ვალდებულების არსებო-

ბის შედეგია. უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლება მხარის მიერ მესამე პირის წინააღმდეგ, ხორციელდება გადახდილი ანაზღაურების ოდენობით. იმდენად, რამდენადაც თავდაპირველი სარჩელისა და შესაძლო სარეგრესო სარჩელის საფუძვლები ურთიერთდაკავშირებულია, პროცესში მესამე პირთა მონაწილეობა დიდ მნიშვნელობას იძენს და აუცილებელიცაა.

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირების პროცესში მონაწილეობა უზრუნველყოფს მთელი რიგი საპროცესო ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ: 1) მესამე პირად პროცესში ჩაბმულ პირთა მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესების დაცვას; 2) მხარეთათვის დახმარებას, რათა მათ დაიცვან თავიანთი უფლებები; 3) საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ და სრულად დადგენას; 4) სასამართლოს დროის ეკონომიას (დაზოგვას).

ვინაიდან დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტს არ წარმოადგენს, ამიტომ **სასამართლო გადაწყვეტილებით მას არ შეიძლება დაეკისროს რაიმე ვალდებულების** შესრულება. ზოგადი წესის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები მესამე პირებზე არ შეიძლება გავრცელდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების გავლენა მესამე პირთა უფლებებსა და მოვალეობებზე მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ის ფორმალური საფუძველია სარეგრესო ან სხვა ანალოგიური სარჩელის წარდგენისათვის. ასეთი სარჩელი დაინტერესებული პირის ნების გამოვლენისდა მიხედვით ერთ შემთხვევაში შეიძლება წარდგენილ იქნეს, ხოლო სხვა შემთხვევებში – არა. სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა მესამე პირთა უფლებებსა და მოვალეობებზე იმ აზრით (იმ მნიშვნელობით) უნდა გავიგოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების, რომლითაც დგინდება ესა თუ ის სამართალურთიერთობა, კანონიერი ძალა ვრცელდება მესამე პირებზე გადაწყვეტილების ისეთი თვისების შედეგად, როგორიც პრეიუდიციულობაა. ამიტომ, სარეგრესო სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მეორე პროცესში სადავო აღარ შეიძლება გახდეს მესამე პირთა მონაწილეობით გამოტანილი გადაყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართალურთიერთობები. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის იურიდიული ინტერესი სხვა პირთა შორის წამოჭრილ დავაში, მდგომარეობს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართალურთიერთობის წარმოშობის საფუძვლების იურიდიული ფაქტების დადგენაში. ამ იურიდიულ ინტერესს მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათი გააჩნია და დაცულია კანონით.

მესამე პირი დამოუკიდებლად განკარგავს თავის საპროცესო უფლებებს, ანუ იმ მხარის ნებისაგან დამოუკიდებლად, რომლის დამხმარეც იგია. თუმცა, რასაკვირველია, მესამე პირი ყოველთვის დაინტერესებულია სასამართლოს მიერ დავის იმ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტით, ვისი დამხმარეც ეს პირია (მესამე პირის საპროცესო ინტერესი).

მესამე პირთა პროცესში დაშვების საკითხი წყდება საქმის მომზადების სტადიაზე (მუხლი 203-ე); დასაშვებია მესამე პირთა ჩაბმა პროცესში სასამართლოს მთავარ სხდომაზეც (საქმის განხილვის სტადია), მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესაძლებლობა (სსსკ-ის 89-ე მუხლი), აგრეთვე სასამართლოს უფლება (და არა ვალდებულება) ასეთი მესამე პირი ჩააბას საქმეში ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით, განპირობებულია სასამართლოს მიერ პროცესის ხელმძღვანელობის პრინციპით და მაშასადამე, კონსტიტუციის 42-ე მუხლით განმტკიცებული უფლების სასამართლო წესით დაცვის უფლების განხორციელების საპროცესო გარანტიას წარმოადგენს.

სასამართლოს არა აქვს უფლება ერთდროულად განიხილოს პირვანდელი (მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ) და რეგრესული სარჩელი (ერთ-ერთი მხარისა მესამე პირის წინააღმდეგ). ეს დაუშვებელია. თავდაპირველი და სარეგრესო სარჩელის

საქმეები განხილულ უნდა იქნეს ცალ-ცალკე, რაც იმით აიხსნება, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი არ წარმოადგენს მხარეს, რომლის წინააღმდეგაც შესაძლო იქნებოდა სარჩელის წარდგენა. აღნიშნული სახის მესამე პირი თავისთვის სასამართლოსაგან არაფერს მოითხოვს და მას არ შეიძლება დაეკისროს არც პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლება წარმოიშობა მას შემდეგ, რაც ვალდებულება უკვე შესრულებულია შესაბამისი პირის მიერ. სასამართლოს მიერ იმ მესამე პირის მონაწილეობით საქმის განხილვის შემთხვევაში, რომელსაც შეიძლება წარედგინოს რეგრესული სარჩელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში ვალდებულება ჯერ კიდევ არ არის შესრულებული და მხარემ საერთოდ არც კი იცის, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო. მხარეს შეუძლია აღძრას რეგრესული სარჩელი მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილი იქნება თავდაპირველი (ძირითადი) სარჩელი. ამასთან, რეგრესული სარჩელის აღძვრის საკითხს თვითონ მხარე წყვეტს. ძირითადი და რეგრესული სარჩელების ერთდროულად განხილვის შემთხვევაში კი სასამართლოს ფაქტობრივად უნდა გადაეწყვიტა რეგრესული მოთხოვნა სასარჩელო განცხადების გარეშე, ე.ი. საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის დარვევით; დაბოლოს, თავდაპირველი და სარეგრესო სარჩელების ერთბაშად განხილვა აჭიანურებს და ართულებს პროცესს, ვინაიდან სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს როგორც თავდაპირველი სარჩელის საფუძვლის ფაქტები, ისე ის ფაქტებიც, რომლებიც საფუძვლად უდევს რეგრესულ სარჩელს. ეს ფაქტები კი თავიანთი სამართლებრივი ბუნებით არსებითად სრულიად სხვადასხვა ხასიათისაა.

2. **განსხვავება თანამონაწილეებისაგან.** ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის პროცესში შესვლის (ჩაბმის) საფუძველია ის გარემოება, რომ გადაწყვეტილებას საქმეზე „შეუძლია გავლენა მოახდინოს მის უფლება-მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ". მაგრამ ამ სახის მესამე პირების მსგავსად, პროცესში თანამონაწილეთა (თანამოსარჩელისა და თანამოპასუხის) მონაწილეობის საფუძველიც დაკავშირებულია იმასთან, რომ გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ამის გამო კი, საჭიროა განვასხვაოთ თანამონაწილის (თანამოსარჩელისა და თანამოპასუხის) სამართლებრივი მდგომარეობა, მისი სტატუსი მესამე პირის სამართლებრივი მდგომარეობისაგან. კერძოდ, უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები, რომლებიც მონაწილეობენ ერთ-ერთ მხარეზე, არ უნდა მივიჩნიოთ თანამონაწილეებად, რადგანაც ისინი სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები არ არიან. მაგალითად, თანამოპასუხე ისევე როგორც ყოველი ჩვეულებრივი მოპასუხე, უშუალოდ აგებს პასუხს სარჩელზე და იმ მოსარჩელის წინაშე, რომელთანაც ის იმყოფება სამართლებრივ ურთიერთობაში.

ის პირი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირებულია სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით, რომელსაც (მოწინააღმდეგე მხარეს) აქვს რაიმე მოთხოვნა მის მიმართ, ან შეუძლია პასუხი აგოს ამ მხარის მოთხოვნაზე, უნდა მონაწილეობდეს საქმეში თანამონაწილედ (თანამოსარჩელედ ან თანამოპასუხედ).

თანამონაწილეებისაგან განსხვავებით, მესამე პირები ყოველთვის იმყოფებიან მატერიალურ სამართალურთიერთობაში მხოლოდ იმ პირთან, რომლის მხარეზეც ისინი გამოდიან და არ არიან დაკავშირებული არანაირი მატერიალური სამართალურთიერთობებით მოწინააღმდეგე მხარესთან. მაგალითად, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მატერიალური სამართალურთიერთობა არსებობს მოსარჩელესა (დაზარალებულსა) და მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს შორის, მაგრამ არა მოსარჩელესა და ზიანის უშუალო მიმყენებელს

შორის, რომელიც საქმეში მესამე პირად მონაწილეობს. აქედან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ზიანის მიმყენებელი და მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი ერთი და იგივე პირია. ასეთ შემთხვევაში მესამე პირი მოპასუხის მხარეზე არ გვეყოლება.

შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც პროცესში შესული პირი სადავო სამართალურთიერთობის სპეციფიკის გამო პასუხს აგებს უშუალოდ მოსარჩელის წინაშე მოპასუხის მსგავსად (ანუ ისევე, როგორც მოპასუხე), მაშინ ის იქნება თანამოპასუხე. თუ პროცესში შესული პირი უშუალოდ არ არის სამართლებრივ კავშირში მოწინააღმდეგე მხარესთან, რის გამოც პასუხს არ აგებს მოსარჩელის წინაშე, მაგრამ შემდგომში შეიძლება აღმოჩნდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ რეგრესული სარჩელის გამო, მაშინ ის იქნება მესამე პირი მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები არ არიან დაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობებით მოწინააღმდეგე მხარესთან, მაშინ, როცა მხარეთა შორის ასეთი კავშირი (ურთიერთობა) უნდა არსებობდეს (თუნდაც სავარაუდო კავშირი დასაწყისში, თავდაპირველად).

სამოქალაქო პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის მონაწილეობის დროს ყოველთვის სახეზეა მხოლოდ ერთი სარჩელი, რომელიც აღძრულია მოსარჩელის მიერ მოპასუხის წინააღმდეგ და არა რამდენიმე პარალელური სარჩელი, როგორც ამას ადგილი აქვს საპროცესო თანამონაწილეობის დროს.

თავისი უფლებების განხორციელების დროს დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი პროცესში მოქმედებს დამოუკიდებლად, ე.ი. არ ათანხმებს თავის საპროცესო მოქმედებებს იმ მხარესთან, რომლის მხარეზეც ის გამოდის პროცესში.

თანამონაწილეებისაგან განსხვავებით, რომელთაც კანონი ანიჭებს განკარგვით უფლებებს (სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, მორიგება და სხვ.), დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები არ სარგებლობენ განკარგვის უფლებებით.

იმის გამო, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი არ არის თავდაპირველი მხარეებს შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტი, მას თავის სასარგებლოდ არაფერი არ შეიძლება მიეკუთვნოს და არც რაიმეს გადახდევინება (გადახდა) შეიძლება დაეკისროს. თავდაპირველ მხარესა და მესამე პირს შორის ურთიერთობის განხილვა და გადაწყვეტა ცალკე პროცესში მოხდება (მაგალითად, რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის შემთხვევაში).

ამასთან ერთად, თავდაპირველ მხარეთა შორის წამოჭრილ დავასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული (წინასწარ გადაწყვეტილი) მნიშვნელობა ექნება მესამე პირისათვის იმ შემთხვევაში, თუ სამომავლოდ დავა წარმოიშობა თავდაპირველ მხარესა და მესამე პირს შორის. ამ დავაში ერთ-ერთი მათგანი დაიჭერს მოსარჩელის ადგილს, ხოლო მეორე — მოპასუხის ადგილს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს აუცილებლად, რომ მხარეებსა (თანამონაწილეებს) და ორივე სახის მესამე პირს საერთო ნიშნებიც ახასიათებთ. ეს საერთო ნიშანია სამოქალაქო პროცესში სუბიექტური (პირადი) დაინტერესება.

ამრიგად, პროცესში დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირად სამართლის სუბიექტის დაშვების საფუძვლებია: 1) სამომავლოდ მის წინააღმდეგ რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა; 2) სხვა იურიდიული ინტერესის ქონა საქმის შედეგისადმი; 3) სამართლის სუბიექტი მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება მხოლოდ იმ პირთან, რომლის მხარეზეც იგია ჩაბმული პროცესში და ამგვარ მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება მოწინააღმდეგე მხარესთან.

თავი X

წარმომადგენლობა სასამართლოში

§1. სასამართლო წარმომადგენლობის ცნება, მიზნები და ნიშნები

1. **სასამართლო წარმომადგენლობის ცნება.** ზემოთ მითითებული იყო, რომ იურიდიული პირი ვერ შეძლებს უშუალოდ აწარმოოს საქმე და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამიტომ იურიდიული პირები ყველა შემთხვევაში საქმეებს სასამართლოში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებენ (იურიდიულ პირს სასამართლოში წარმოადგენენ მისი ორგანოები) და ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკური პირიც (მცირეწლოვნების, ქმედუუნარობის, შეზღუდულქმედუნარიანობის, ან ქმედუნარიანობის შეზღუდვის გამო) მოკლებულია საპროცესო მოქმედების უნარიანობას, ე.ი. არც პირადად არ შეუძლია აწარმოოს საქმე სასამართლოში და არც წარმომადგენლის მეშვეობით (არ შეუძლია აირჩიოს თავისი ნებით წარმომადგენელი), ცხადია, მათ მაგიერ მათ საქმეს სასამართლოში უნდა უპატრონოს სხვა ვინმემ. მაშასადამე, საჭიროა წარმომადგენელი.

საპროცესო კანონით დადგენილია, რომ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად. ქმედუუნარო პირთა საქმეებს აწარმოებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, ხოლო იურიდიული პირები, ან სხვა ორგანიზაციები საქმეებს იმ თანამდებობის პირის მეშვეობით აწარმოებენ, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს.

კანონი მხარეებს აგრეთვე იმის შესაძლებლობასაც აძლევს, რომ საქმე სასამართლოში თავის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოონ. მაგრამ საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით, არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

ამრიგად, პროცესში წარმომადგენლის მონაწილეობის აუცილებლობა სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული.

მაგრამ ასეთი შემთხვევების გარეშეც, ხშირად ამა თუ იმ პირს არ შეუძლია პირადად გამოცხადება სასამართლოში, ან შეუძლია, მაგრამ სათანადო კანონების უცოდინრობის გამო, ვერ გაუძღვება თავის საქმეს, ანუ წარმომადგენლის მონაწილეობის აუცილებლობა ხშირად გამოწვეულია დაინტერესებული პირის სურვილით, მიიღოს კვალიფიციური იურიდიული დახმარება სასამართლოში თავისი სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, ან კანონებიც რომ იცოდეს, პირადად არ ეხერხება დამშვიდებით აუხსნას სასამართლოს საქმის გარემოება. ან უბრალოდ შეიძლება არც სურდეს შეხვდეს ე.წ. „მოწინააღმდეგე მხარეს". მაშასადამე, ამ შემთხვევებშიც საჭიროა წარმომადგენელი. წარმომადგენლის მეშვეობით საქმისწარმოება პროცესის მონაწილეთათვის უფრო ხელსაყრელია. მხარე ამის წყალობით აღარ არის მოწყვეტილი თავის მუდმივ საქმიანობას. აღარ უხდება თვითონ გამოცხადება სასამართლოში, ზოგჯერ კი ამისათვის სხვა რაიონსა თუ ქალაქში წასვლა და სხვ. ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: „ავადმყოფობა, ასაკი, მოგზაურობა და მრავალი სხვა მიზეზი ხშირად ხელს უშლის მხარეს პირადად აწარმოოს საქმეები". **ამასთან არ არის აუცილებელი რაიმე ობიექტური მიზეზის არსებობა იმისათვის, რომ პირმა ისარგებლოს წარმომადგენლის დახმარებით.**

ამიტომ წარმოიშობა საპროცესო მოქმედებების შესრულების იმ სხვა პირთათვის დავალების (მინდობის) საჭიროება, რომლებიც შეცვლიდნენ პროცესის მონაწილეთ და

მათ მაგივრად აწარმოებდნენ საქმეს, ე.ი. წარმოიშობა სასამართლო წარმომადგენლობის საჭიროება, რომლითაც გვარდება პროცესში მხარის პირადად მონაწილეობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა.

წარმომადგენლობა გამოიხატება იმაში, რომ წარმომადგენელი შეასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას სასამართლოში წარმოდგენილის მაგიერ და რასაც იგი გააკეთებს მინდობილობის (რწმუნებულების) თუ კანონის ფარგლებში, სავალდებულოა წარმოდგენილი პირისათვის. წარმომადგენლობის საფუძველზე წარმომადგენელს წარმოეშობა საპროცესო უფლება-მოვალეობები. წარმომადგენელი მოქმედებს მის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით და მისი ინტერესიდან გამომდინარე.

მაშასადამე, სასამართლო წარმომადგენლობა არის ერთი პირის (წარმომადგენლის) მიერ მინდობილობის ან კანონის შესაბამისად მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე მეორე პირის, ანუ წარმოდგენილის (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის, განმცხადებლის) სახელითა და ინტერესებიდან გამომდინარე საპროცესო მოქმედებების შესრულება.

2. სასამართლო წარმომადგენლობის მიზნები და მნიშვნელობა. სასამართლო წარმომადგენლობის მიზანია ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა და ამით მათი უფლებებისა და ინტერესების სრული დაცვა. გარდა ამისა, წარმომადგენლობის ინსტიტუტი მოწოდებულია დახმარება აღმოუჩინოს სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

წარმომადგენლობა სამოქალაქო პროცესში ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. თანამედროვე პირობებში სასამართლო წარმომადგენლობის მნიშვნელობა, მთელი რიგი მიზეზების გამო, სულ უფრო იზრდება. პირველ რიგში კი იმის გამო, რომ სასამართლო გათავისუფლებულია მტკიცების მოვალეობისაგან და სამოქალაქო პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის მოდელზე. მტკიცების ტვირთი თვით მხარეებს აწევთ. ასეთ პირობებში კი იმას, ვისაც შესაბამისი სამართლებრივი (იურიდიული) ცოდნა არა აქვთ, უკიდურესად გაუჭირდება თავისი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის საფუძვლიანობის (დასაბუთებულობის) დამტკიცება. სასამართლოში საქმის წარმატებით წარმოებისათვის აუცილებელია, რომ პირმა კარგად იცოდეს სამოქალაქო კანონები და სამართალწარმოების ფორმალობები (წესები), ლოგიკურად ჩამოაყალიბოს თავისი აზრები. მაგრამ ყველას როდი აქვს შესაბამისი ცოდნა, ან ყველას როდი ახასიათებს საჭირო პროფესიული ჩვევები. სწორედ ამის გამო, ობიექტურად აუცილებელი ხდება მცოდნე და საქმისწარმოებაში გამოცდილი პირის იურიდიული დახმარება, რომელსაც არა მარტო რჩევის, იურიდიული კონსულტაციის მიცემა შეუძლია, არამედ სასამართლოში სიტყვით გამოსვლაც. მეორე ის, რომ თვითონ სამართლებრივი სისტემა სულ უფრო რთულდება და დიფერენცირდება თანამედროვე სამართლებრივ დარგებად, გაიზარდა სამართლებრივი აქტების რაოდენობაც, რაც მოითხოს სპეციალიზაციას იურისტებს შორისაც; ამიტომ კვალიფიციური იურისტის მონაწილეობის გარეშე პროცესის წარმოება პროფესიონალურ დონეზე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ და სხვა მიზეზთა გამოც აიხსნება ადვოკატურის ინსტიტუტის არსებობა თანამედროვე სამართლებრივ საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობა პრაქტიკულად ზოგჯერ სამოქალაქო პროცესში მონაწილეობისა და უფლებების დაცვის (განხორციელების) ერთადერთი ფორმაა (აუცილებელია). მაგალითად, მსჯავრდებულისათვის (თავისუფლებააღკვეთილისათვის), რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება. ეს პირები, ბუნებრივია, პირადად ვერ მიიღებენ მონაწილეობას სასამართლოში. მათ მხოლოდ სხვა პირთა (წარმომადგენელთა) მეშვეობით შეუძლიათ საქმისწარმოება (უფლებების განხორციელება და დაცვა). იგივე ითქმის ქმედუუნაროებსა და შეზღუდულქმედუნარიან პირებზეც. აქვე მიზანშეწონილია

ჩამოვაყალიბოთ შემდეგი პოზიცია საქმეში იმ პირთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომლებიც იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით: თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის სამოქალაქო საქმეში მხარედ მონაწილეობის შემთხვევაში, ასეთი პირის უფლება სასამართლოში დაასაბუთოს თავისი პოზიცია, შეიძლება განხორციელდეს სასამართლო განხილვაში მისი პირადი მონაწილეობის გარეშეც. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს არ შეიძლება წაერთვას უფლებამოსილება, საჭიროდ მიიჩნიოს სასამართლო სხდომაში განსასჯელის პირადი მონაწილეობა, რათა უშუალოდ მოისმინოს მისი ახსნა-განმარტება და ამით უზრუნველყოს კონსტიტუციის მე-40 და 42-ე, 82-ე, 83-ე, 84-ე, 85-ე და **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროკონვენციის** მე-6 და მე-13 მუხლებიდან გამომდინარე მოთხოვნების დაცვა, საქმეზე კანონიერი დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოსატანად. ასეთი პირის სამოქალაქო საქმეზე სასამართლო სხდომაში პირადი მონაწილეობის საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყველა გარემოება, მათ შორის მსჯავრდებულის კონსტიტუციური უფლებები და მიიღოს დასაბუთებული და მოტივირებული გადაწყვეტილება სასამართლო განხილვაში მსჯავრდებულის მონაწილეობის ფორმის შესახებ. იმას, ვინც მიანდო (დაავალა) წარმომადგენელს საქმისწარმოება, მარწმუნებელი ანუ წარმოდგენილი პირი ეწოდება. სასამართლო წარმომადგენლად გამოდის წარმომადგენელი, ანუ რწმუნებული, რომელსაც დავალებული (მინდობილი) აქვს სხვათა ინტერესების დაცვა.

3. სასამართლო წარმომადგენლობის განსხვავება სამოქალაქო-სამართლებრივი წარმომადგენლობისაგან. წარმომადგენლობისა და მინდობილობის ინსტიტუტები არსებობენ როგორც სამოქალაქო საპროცესო, ისე სამოქალაქო მატერიალურ სამართალში. საპროცესო (სასამართლო) წარმომადგენლობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტია. საპროცესო წარმომადგენლობასა და სამოქალაქო-სამართლებრივ წარმომადგენლობას გააჩნიათ მთელი რიგი საერთო დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან, საპროცესო წარმომადგენლობისათვის დამახასიათებელი მატერიალურ-სამართლებრივი ელემენტები არ გვაძლევენ იმის საფუძველს, რომ სასამართლოში წარმომადგენლობა მივიჩნიოთ სამოქალაქო სამართალში (სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში) წარმომადგენლობის (სამოქალაქო-სამართლებრივი წარმომადგენლობის) ერთ-ერთ სახედ, ამიტომ სასამართლო წარმომადგენლობა ზოგიერთი ნიშნით უნდა განვასხვაოთ წარმომადგენლობისაგან სამოქალაქო სამართალში. კერძოდ, სასამართლო (საპროცესო) წარმომადგენლობა განსხვავდება სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში წარმომადგენლობისაგან წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათისა და მიზნების, უფლებების მოცულობისა და ხასიათის, აგრეთვე იმ პირთა წრის მიხედვით, რომელთაც სამოქალაქო პროცესში წარმომადგენლად გამოსვლის უფლება აქვთ.

მაგალითად, სამოქალაქო-სამართლებრივი წარმომადგენლობის მიზანია სამოქალაქო უფლება-მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა წარმოდგენილი პირისათვის. სამოქალაქო სამართალში წარმომადგენელს მინიჭებული აქვს სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უფლებამოსილება წარმოდგენილი პირის სახელით. სასამართლო წარმომადგენლობის მიზანია წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვა სასამართლოში, მისთვის დახმარება საპროცესო უფლებების განხორციელებასა და საპროცესო მოვალეობების შესრულებაში. სამოქალაქო პროცესში წარმომადგენელს მინიჭებული აქვს მხოლოდ საპროცესო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება.

საპროცესო წარმომადგენლობის დროს წარმომადგენელი ასრულებს სხვადასხვა საპროცესო მოქმედებას წარმოდგენილი პირის დაცვის მიზნით. კერძოდ, სასამართლო წარმომადგენელი ამზადებს (ადგენს) მარწმუნებლის სახელით საპროცესო დოკუმენტებს,

უშუალოდ მონაწილეობს სასამართლო სხდომაში, გამოდის პროცესში ყველა საკითხთან დაკავშირებით, რაც პროცესის დროს წარმოიშობა. ამასთან, იგი შებოჭილია იმ უფლებამოსილებით, რომლითაც აღჭურვილია სასამართლოში თავისი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით და არა აქვს უფლება შეასრულოს ისეთი მოქმედებები, რაც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს. სამოქალაქო პროცესის სუბიექტად (მხარედ, მესამე პირად და ა.შ.) კვლავ მარწმუნებელი რჩება, პირადად თავისთვის პროცესის შედეგად წარმომადგენილი არაფერს არ იღებს, წინასწარ შეპირებული გასამრჯელოს (ჰონორარის) გარდა (ეს სახელშეკრულებო წარმომადგენლობის დროს), ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – წარმომადგენლობისათვის ან წარმომადგენლობის დროს გაწეული საკუთარი ხარჯების ანაზღაურებისა.

სამოქალაქო სამართალში მინდობილობა წარმომადგენელს ეძლევა მესამე პირებთან წარმომადგენლობისათვის. მინდობილობის გაცემა სავალდებულოა წერილობითი ფორმით, თუმცა მისი სანოტარო წესით დადასტურება (დამოწმება) ყოველთვის არ არის სავალდებულო. მინდობილობა სამოქალაქო სამართალში სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა იგი გაცემულია უძრავ ნივთებთან დაკავშირებით გარიგებათა დადების მიზნით ან, როცა გაცემულია ისეთი გარიგების დასადებად, რომელიც აუცილებლად სანოტარო ფორმას მოითხოვს.

სამოქალაქო პროცესში კი მინდობილობა გაიცემა არა წარმომადგენლის მიერ გარიგებათა დასადებად, არამედ მის მიერ მხოლოდ საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად. ამასთან, სასამართლოში წარმომადგენლობა ხორციელდება მხოლოდ სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

§2. სასამართლო წარმომადგენლობის სახეები

სასამართლო წარმომადგენლობა იყოფა სახეებად იურიდიული ფაქტების (ფაქტობრივი შემადგენლობის) მიხედვით, რომლებთანაც კანონი აკავშირებს ამა თუ იმ სახის წარმომადგენლობის წარმოშობას (რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძვლებს). წარმოშობის საფუძვლების (იურიდიული ფაქტების) მიხედვით წარმომადგენლობა იყოფა: 1) სახელშეკრულებო წარმომადგენლობად, რომელიც ეფუძნება წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებას; და 2) წარმომადგენლობად, რომელიც სხვა საფუძვლებიდან გამომდინარეობს. ამას მიეკუთვნება ქმედუუნაროთა და შეზღუდულქმედუნარიანთა კანონიერი წარმომადგენლობა, რომელიც ხორციელდება ამგვარ პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მათი მშობლების, შვილად ამყვანების, მეურვეებისა და მზრუნველების მიერ.

1. კანონიერი წარმომადგენლობა. ტერმინის „კანონიერი წარმომადგენლობა" არსებობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ წარმოდგენილ პირს ქმედუუნარობის, მხარდაჭერის მიღების საჭიროების ან შეზღუდული ქმედუნარიანობის გამო არ ძალუძს საკუთარი ნების გამოვლენის მეშვეობით (საკუთარი ნებით) აირჩიოს თავისთვის სასურველი წარმომადგენელი და ამიტომ წარმომადგენელს განსაზღვრავს კანონი.

კანონიერი წარმომადგენლის თაობაზე (ე.ი. ისეთი წარმომადგენლობის თაობაზე, რომელიც წარმოიშობა კანონის ძალით) შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ფიზიკურ პირებთან მიმართებაში, რომელთაც რაიმე მიზეზით არა აქვთ სასამართლოში თავიანთი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. რას ეფუძნება კანონიერი წარმომადგენლობა? კანონიერი წარმომადგენლობის საფუძველია: 1) შვილების მშობლებისაგან წარმოშობის ფაქტი, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით (სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლი); 2) შვილად აყვანის ფაქტი; 3) მეურვეობისა და მზრუნველობის და მხარდამჭერის დან-

იშვნის ფაქტი.

კანონიერი წარმომადგენელი, ისევე როგორც ნებისმიერი სასამართლო წარმომადგენელი, სრულწლოვანი და ქმედუნარიანი უნდა იყოს.

მშობლები, რომელთაც არა აქვთ ჩამორთმეული მშობლის უფლებები, თავიანთი ქმედუუნარო (შეზღუდულქმედუნარიანი) შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან ნათესაობის გამო. სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლით დადგენილია, რომ მშობლები თავიანთი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ (ანუ სპეციალურ) რწმუნებულებათა (უფლებამოსილებათა) გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის — სასამართლოშიც.

ბავშვის სახელითა და ინტერესებიდან გამომდინარე წარმომადგენლობის უფლება, როგორც წესი, თანაბრად აქვთ ორივე მშობელს, მამასა და დედას, თუ ბავშვი დაიბადა რეგისტრირებულ ქორწინებაში ან რეგისტრაციის არარსებობისას, თუ მამობა დადგენილია ნებაყოფლობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით (სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი). ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი იქნება მხოლოდ დედა, თუ არ არსებობს რეგისტრირებული ქორწინება და მამობა არ არის დადგენილი. თუ ბავშვი იშვილეს მეუღლეებმა, მაშინ ორივე შვილად ამყვანი იქნება ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი. თუ ბავშვი იშვილა ერთმა პირმა, მაშინ მისი კანონიერი წარმომადგენელი იქნება ღვიძლი მშობელი და მშვილებელი (სამოქალაქო კოდექსის 1260-ე მუხლი). ერთი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი მშობლის მიმართ ინარჩუნებს ნაშვილები უფლება-მოვალეობებს. რაც შეეხება არასრულწლოვან მშობლებს, ისინი თავიანთი შვილების კანონიერი წარმომადგენლები იქნებიან იმ შემთხვევაში, როცა 16 წლიდან არასრულწლოვანი იქორწინებს კანონით დადგენილი წესით. ამ მომენტიდან იგი შეიძენს სრულ ქმედუნარიანობას.

მშობლის უფლებაჩამორთმეული მშობლები არ შეიძლება იყვნენ თავიანთი შვილების კანონიერი წარმომადგენლები, რადგანაც ისინი ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას კარგავენ იმ შვილთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც მათ ჩამოერთვათ მშობლის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 1207-ე მუხლი).

კანონიერი წარმომადგენლობა შვილებთან მიმართებაში შეწყდება შვილების მიერ სრულწლოვანების მიღწევისას, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მშობლებს შეუძლიათ იყვნენ შვილების მხოლოდ სახელშეკრულებო წარმომადგენლები.

რაც შეეხება მეურვეებისა და მზრუნველების და მხარდამჭერების კანონიერ წარმომადგენლობას, წარმომადგენლობის ეს სახე წარმოიშობა მხარდამჭერად, მეურვედ ან მზრუნველად პირის დანიშვნის საფუძველზე (მეურვედ, მხარდამჭერად ან მზრუნველად კონკრეტული პირის დანიშვნის შესახებ შესაბამისი ორგანოს (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე).

მეურვე მხარდამჭერი და მზრუნველი განსაკუთრებული (სპეციალური) უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ სამეურვეო (სამზრუნველო) და მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებებსა და ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის — სასამართლოშიც (სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია თუ ვის და რა შემთხვევაში ენიშნება მეურვე, მხარდამჭერი და მზრუნველი.

კანონიერ წარმომადგენლობას შეეხება საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი. აქ აღნიშნულია, რომ ქმედუუნარო და შეზღუდულქმედუნარიანობის მქონე ფიზიკურ პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებმაც სასამართლოს უნდა წარუდგინონ თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კანონიერი წარმომადგენლები წარმოსადგენ პირთა სახელით ასრულებენ ყველა საპროცესო მოქმედებას, რომელთა შესრულების უფლებაც მინიჭებული აქვთ წარმომდგენთ (წარმოსადგენ პირებს), კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს კანონით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილი ფიზიკური პირი, მის წარმომადგენლად მონაწილეობს სასამართლოში ის, ვისაც გადაეცა სამართავად უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონება.

საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს გარდაცვლილის ან კანონით დადგენილი წესით გარდაცვალებულად ცნობილის მემკვიდრე, თუ მემკვიდრეობა არავის მიუღია, მემკვიდრის წარმომადგენლად გამოდის სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირი. იმდენად, რამდენადაც მემკვიდრეობის მისაღებად კანონით დადგენილია ექვსთვიანი ვადა სამკვიდროს გახსნის დღიდან, ნოტარიუსი ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად, დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან თავისი ინიციატივით იღებს სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელ ზომებს თუ სამკვიდრო მართვას საჭიროებს, აგრეთვე, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ წარდგენილია სარჩელი, სანოტარო ორგანო ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა სარჩელი აღძრეს მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებამდე, რამეთუ მმართველი არ დაინიშნება, როცა თუნდაც ერთ-ერთმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო, ან თუ დანიშნულია ანდერძის აღმსრულებელი. სამკვიდროს დაცვასა და მართვას ანდერძის აღმსრულებელი ახორციელებს სამოქალაქო კოდექსის 1415-ე მუხლის შესაბამისად. თუ მამკვიდრებლის კრედიტორები აღძრავენ სარჩელს, კანონიერი წარმომადგენლის ფუნქციას ეს პირები შეასრულებენ.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში კი, სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით (ე.ი. ამ პირის ქონება მათ გადაეცემათ).

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მოქმედების უნარიანობას მოკლებული პირების კანონიერ წარმომადგენლებს, სსსკ-ის 101-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თავიანთიმხრივ უფლება აქვთ სასამართლოში საქმისწარმოება მიანდონ ადვოკატს. მართალია, ამ მუხლში საუბარია მხოლოდ ადვოკატისათვის საქმისწარმოების მინდობაზე, მაგრამ აქ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ადვოკატი, არამედ ნებისმიერი სხვა პირიც, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი მიანდობს საქმისწარმოებას სახელშეკრულებო საფუძველზე. ამასთან, სხვისთვის საქმისწარმოების მინდობა არ ართმევს უფლებას კანონიერ წარმომადგენელს თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საქმეში.

კანონიერი წარმომადგენლების უფლებამოსილება შეიძლება დადასტურდეს იმ დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ მათ უფლებამოსილებასა და სტატუსს; კერძოდ:

მშობლებს უფლება აქვთ წარუდგინონ სასამართლოს მათ მიერ წარმოსადგენ პირთან ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ესენია: პასპორტი, დაბადების მოწმობა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტები.

შვილად ამყვანებს უფლება აქვთ სასამართლოს წარუდგინონ შვილად აყვანის (შვილების) შესახებ მიღებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი, ასევე სარო-ს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტები.

მეურვეებსა, მხარდამჭერსა და მზრუნველებს უფლება აქვთ სასამართლოს წარუდგინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი, რომლის შესაბამისადაც ისინი დანიშნული არიან სასამართლოში

მათ მიერ წარმოსადგენი პირის მეურვედ, მხარდამჭერად ან მზრუნველად (ანუ საკმარისია სასამართლოს წარუდგინონ მეურვედ, მხარდამჭერად ან მზრუნველად დანიშვნის აქტი). ამდენად, კანონიერ წარმომადგენლებს არ მოეთხოვებათ არავითარი ცალკე რწმუნებულების საბუთი.

2. ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა. უფლება, ჰყავდეს პირს საქმეზე წარმომადგენელი – პროფესიონალი იურისტი – ადვოკატი, სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

ნებაყოფლობითი, ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობა ეწოდება წარმომადგენლობას, რომელიც ეფუძნება პროცესის მხარესა და წარმომადგენლობის განმახორციელებელ პირს შორის შეთანხმებას.

წარმოდგენილ პირსა და წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის (სახელშეკრულებო წარმომადგენლობის) საფუძველია დავალების ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 709-722-ე მუხლები). ამრიგად, სახელშეკრულებო წარმომადგენლობა მხოლოდ მხარეთა შეთანხმების (დავალების) საფუძველზე წარმოიშობა, რომლის თანახმადაც ერთი მხარე (წარმოდგენილი პირი, ანუ მარწმუნებელი) ავალებს (ანდობს) მეორე მხარეს (წარმომადგენელს ანუ რწმუნებულს) თავისი საქმისწარმოებას სასამართლოში, ხოლო წარმომადგენელი თავის თავზე იღებს ამ ვალდებულების შესრულებას. უფრო ხშირად საქმისწარმოებას ანდობენ სპეციალისტს, ადვოკატს.

სასამართლოსთან წარმომადგენლის ურთიერთობა ყველა შემთხვევაში წარმომადგენლობის შესახებ საპროცესო კანონის სპეციალური ნორმებით წესრიგდება. საპროცესო კანონის 94-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების საფუძველზე მხარეების წარმომადგენლებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ: 1) ადვოკატები; 2) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის თანამშრომლები ამ ორგანიზაციებისდა ორგანოების საქმეებზე; 3) ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით; 4) სხვა ქმედუნარიანი პირები მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში ანუ ნებისმიერ შემთხვევაში, წარმომადგენელი ქმედუნარიანი პირი უნდა იყოს.

ზემოაღნიშნული ორგანოებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლად სასამართლოში შეიძლება იყოს ნებისმიერი მისი მუშაკი, რომელსაც ხელთ აქვს სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილება საქმისწარმოებაზე. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 500000 ლარს ან/და საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თავლსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება და სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, იგი მიმართავს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა (გარდა საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავისა). ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, უფლებამოსილია იმავე საქმეზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ თანამდებობის პირს ან სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც ამ დაწესებულებაში მსახურობს (სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-2 ნაწილი).ამ ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაუშვებელია აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების წარმომადგენლად პროკურატურის მუშაკის დანიშვნა. იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართვის, საქმის მასალების მოძრაობისა და წარმომადგენლის დანიშვნის წესი და ვადები განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

როგორც ვხედავთ, წარმომადგენლობა ეკისრებათ როგორც ადვოკატებს, ისე სხვა პირებსაც. ყველაზე უფრო ხშირად წარმომადგენლებად სასამართლოში ადვოკატები გამო-

დიან. მათ წამყვანი ადგილი უკავიათ წარმომადგენელთა შორის, სასამართლოში პირთა უფლებების დაცვის საქმეში. ეს არცაა შემთხვევითი, ადვოკატი ეს ის პირია, რომელსაც სპეციალური ცოდნა გააჩნია სამართლის სფეროში და აქვს სასამართლოში საქმისწარმოების პრაქტიკული გამოცდილება. უფლების დაცვა და მხარეთათვის დახმარების აღმოჩენა უფლების დაცვის საკითხში ადვოკატის პროფესიონალური საქმიანობაა. ამიტომ სწორედ ადვოკატია მოწოდებული აღმოუჩინოს პირებს კვალიფიციური სამართლებრივი დახმარება.

მართალია, მოდავე მხარეს შეუძლია საქმე სასამართლოში აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, მაგრამ საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ნიშნავს, რომ მხარეს უფლება ერთმევა თვითონაც პირადად მიიღოს მონაწილეობა საქმეში წარმომადგენელთან ერთად, კანონი სამართლის სუბიექტს საშუალებას აძლევს აირჩიოს თავისი საქმის სასამართლოში წარმოების საშუალება, კერძოდ, აწარმოოს საქმე პირადად; აწარმოოს საქმე წარმომადგენელთან ერთად; აწარმოოს საქმე წარმომადგენლის მეშვეობით ისე, რომ თვითონ არ მიიღოს მონაწილეობა პროცესში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი არ იცნობს საადვოკატო მონოპოლიას, რაც მრავალი ქვეყნის სასამართლო წარმომადგენლობისათვის არის დამახასიათებელი. ეს ნიშნავს, რომ პირს შეუძლია საქმე აწარმოოს როგორც თვითონ, ისე მისი წარმოება დაავალოს ადვოკატს.

ქმედუნარიანი პირი მაშინ იქნება წარმომადგენელი სასამართლოში, თუ მას სათანადო წესით გაფორმებული უფლებამოსილება (რწმუნებულება) ექნება ხელთ საქმის საწარმოებლად. **წარმომადგენლის მეშვეობით საქმისწარმოება სასამართლოში პროცესის ყველა მონაწილეს როდი შეუძლია, არამედ მხოლოდ მხარეებს, განმცხადებლებს (დაინტერესებულ პირებს უდავო წარმოების საქმეებზე), მესამე პირებს.**

სასამართლო წარმომადგენლობა დასაშვებია ნებისმიერი კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე და პროცესის ნებისმიერ (მათ შორის აღსრულების) სტადიაზე.

წარმომადგენელი (იქნება ეს ნებაყოფლობითი თუ კანონიერი წარმომადგენლობა) პროცესში გამოდის წარმოდგენილი პირის სახელით. სასამართლო პროცესში წარმომადგენლის მონაწილეობა ნიშნავს პროცესში მარწმუნებლის მონაწილეობასაც და წარმომადგენლის გაფრთხილება, გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, ნიშნავს მარწმუნებლის გაფრთხილებასაც, რადგან წარმომადგენელი მარწმუნებლის სახელით ასრულებს ყველა საპროცესო მოქმედებას სასამართლოში, თუ სსსკ-ის 99-ე და მე-100 მუხლების შესაბამისად წარმომადგენლობის უფლებამოსილება მას შეწყვეტილი არა აქვს. აქედან გამომდინარე წარმომადგენლის (როცა მხარე პროცესს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით) გამოუცხადებლობა იწვევს იმ შედეგს, რასაც მხარს გამოუცხადებლობა.

ფორმულა „გამოდის წარმოდგენილი პირის სახელით" მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს სასამართლო წარმომადგენლის მართლზომიერ საპროცესო მოქმედებებს, რომელსაც წარმომადგენელი ასრულებს სასამართლოში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ეს მოქმედებები წარმოშობენ განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს წარმოდგენილი პირისათვის.

§3. სასამართლო წარმომადგენლობის სუბიექტები

1. **პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში.** საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ ვინ შეიძლება იყოს მხარეების წარმომად-

გენლებად სასამართლოში, კერძოდ, ესენია:

1) ადვოკატები;[1]

2) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლები — ამ ორგანიზაციების და ორგანოების საქმეებზე;

3) ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით;

4) სხვა ქმედუნარიანი პირები, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული პირები, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ფაქტობრივად ამ მუხლში საუბარია სახელშეკრულებო წარმომადგენლობაზე. სასამართლო წარმომადგენელი, საზოგადოდ, უნდა იყოს სრული სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მქონე პირი. ფიზიკური პირის, როგორც წარმომადგენლის მიმართ ეს ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს სრულწლოვანი და, ამასთან ერთად, სრული ქმედუნარიანობის მქონეც.

2. პირები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში (სასამართლო წარმომადგენლობის შეზღუდვა). ზოგიერთ ფიზიკურ პირს არა აქვს სასამართლო წარმომადგენლის ფუნქციების განხორციელების უფლება. (სსსკ-ის 95-ე მუხლი).

ზოგადი წესის თანახმად, არასრულწლოვან, სამეურვეო და სამზრუნველო პირებს (თუ, რა თქმა უნდა, არასრულწლოვანი 16 წლის ასაკიდან არ არის დაქორწინებული ან ემანსიპირებული) უფლება არა აქვთ სასამართლოში წარმომადგენლები იყვნენ. ქორწინების რეგისტრაციის ან ემანსიპაციის მომენტიდან ეს პირები სრული ქმედუნარიანი ხდებიან როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართალში და შეუძლიათ დამოუკიდებლად (თვითონ) დაიცვან თავიანთი ინტერესები სასამართლოში. თუ საქმის განხილვის დროს არასრულწლოვანი მიაღწევს სრულწლოვანებას, მაშინ მას, აქედან გამომდინარე, უფლება აქვს თვითონ დაიცვას სასამართლოში თავისი უფლებები. არასრულწლოვანის მიერ სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობის შეძენის მომენტიდან მშობლების, შვილად ამყვანთა, მეურვეებისა და მზრუნველების, როგორც კანონიერი წარმომადგენლების უფლებამოსილებანი, წყდება. საქმიდან კანონიერი წარმომადგენლის ჩამოცილება (პროცესიდან გასვლა) ფორმდება განჩინებით.

საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში წარმომადგენლებად არ შეიძლება იყვნენ მოსამართლე, გამომძიებელი და პროკურორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი პროცესში გამოდიან კანონიერ წარმომადგენლებად, ანუ მშობლებად (მშვილებლებად), მეურვეებად, მზრუნველებად, ან შესაბამისი ორგანოს (ე.ი. შესაბამისი სასამართლოს, პროკურატურის) უფლებამოსილ პირად (წარმომადგენლებად). ასეთი წესის არსებობა აიხსნება იმით, რომ მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ სასამართლოზე თავიანთი

---

[1] ტერმინი ადვოკატი, ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს — ადვოკატუს-ადვოცო — ვიხმობ, ვიწვევ. ასე უწოდებდნენ რომაელები რესპუბლიკის პერიოდში მოდავე მხარეთა ნათესავებსა და მეგობრებს, რომლებიც თან ახლდნენ მოდავე მხარეს სასამართლოში და სხდომის მიმდინარეობის დროს აძლევდნენ მას რჩევებს. იმპერიის პერიოდში ამ სიტყვამ ის მნიშვნელობა შეიძინა, რაც დღეს აქვს მრავალ ენაში. ადვოკატი ეს არის სპეციალისტ-იურისტი და ორატორი, რომელიც მხარესთან ერთად მოქმედებს და ეხმარება მას საქმისწარმოებაში. ქართული სამართლის წყაროებით ჩვენში უძველესი დროიდანვე დასტურდება დამცველთა ინსტიტუტის არსებობა. დამცველის უძველესი ქართული სახელწოდებაა მეოხი, რაც უცხო წარმომავლობის — არაბული ვექილისა და ლათინური ადვოკატის შესატყვისია. ამ ცნების სხვა ქართული ფორმებია თანა-მოსარჩელე და მოსარჩელე. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ვაქილი" არის თანამოსარჩლე სამჯავროსა შინა ფასითა". როგორც ჩანს, ეს ტერმინებიც ყოფილა გავრცელებული ძველად ქართულ სამართალწარმოებაში. უფრო გვიანდელ წყაროებში (XVIII ს.), მაგალითად, დავით ბატონიშვილის (ბაგრატიონი) „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვაში" (გამოც. აპ. როგავასი. 1959, გვ. 346) მითითებულია დამცველის ისეთ სხვა ქართულ ფორმებზე, როგორიცაა ქომაგი და მონაცვლე კაცი.

განსაკუთრებული, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო.

სასამართლოში წარმომადგენლებად არ შეიძლება იყვნენ არც ქმედუუნარო პირები (არასრულწლოვანები ან სამეურვეო ან სამზრუნველო პირები) (94-ე მუხლიდან გამომდინარე).

სასამართლო წარმომადგენლობის შეზღუდვა დადგენილია კანონიერი წარმომადგენლებისათვისაც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1297-ე მუხლი შეეხება მეურვისა და მზრუნველის მხრიდან წარმომადგენლობის დაუშვებლობას, კერძოდ, მეურვესა და მზრუნველს, მათ მეუღლეებსა და ახლო ნათესავებს არა მარტო უფლება არა აქვთ დადონ გარიგება სამეურვეო (სამზრუნველო) პირთან, არამედ, აგრეთვე არ შეიძლება, რომ ისინი იყვნენ ამ პირის წარმომადგენლებად გარიგების დადებისას ან სასამართლოში საქმისწარმოებისას სამეურვეო (სამზრუნველო) პირსა და მეურვის ან მზრუნველის მეუღლესა და მათ ახლო ნათესავებს შორის. სასამართლოში წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს ისევე ის, ვინც ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად (94-ე მუხლი).

§4. სასამართლო წარმომადგენლის უფლებამოსილება

1. **წარმომადგენლის უფლებამოსილების მოცულობა (რწმუნებულების ფარგლები).** სასამართლო წარმომადგენლის უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოებაზე, დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი მოთხოვნების (წესების) შესაბამისად.

სასამართლოში საქმისწარმოების უფლებამოსილება წარმომადგენელს ანიჭებს მარწმუნებლის სახელით პრაქტიკულად ყველა იმ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას, რომელთა შესრულების უფლებაც აქვს თვითონ წარმოდგენილ პირს (მარწმუნებელს) იმ მოქმედებათა გარდა, რომელთა შესრულებისთვისაც კანონი მოითხოვს სპეციალურ უფლებამოსილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რწმუნებულს შეუძლია სასამართლოში შეასრულოს მხოლოდ ის, რაც მას მინდობილი აქვს მარწმუნებლისაგან, ხოლო რა აქვს მინდობილი, ეს ირკვევა რწმუნებულების (მინდობილობის) შინაარსიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში რწმუნებულის ზოგიერთი უფლება უნდა იქნეს აღნიშნული მინდობილობაში სპეციალურად, მკაფიოდ, — უამისოდ იგი არ იგულისხმება. საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი წარმომადგენელს უფლებას ანიჭებს შეასრულოს პრაქტიკულად ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთი მოქმედებებისა, რომელთა შესრულებაც დაკავშირებულია წარმოდგენილი პირის მიერ მატერიალური უფლებების ან ქონების განკარგვასთან, კერძოდ, წარმომადგენელს არა აქვს უფლება: 1) საქმე გადასცეს არბიტრაჟს (ე.ი. შეცვალოს მოცემული საქმის უწყებრივი ქვემდებარეობა); 2) განკარგოს დავის საგანი. აქ იგულისხმება სამი მომენტი, კერძოდ, არა აქვს უფლება სასარჩელო მოთხოვნაზე თქვას უარი მთლიანად ან ნაწილობრივ; ცნოს სარჩელი; შეცვალოს სარჩელის საგანი; 3) დადოს მორიგება; 4) გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება; თუ წარმომადგენელს მინიჭებული აქვს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, მაშინ მას არა აქვს უფლება უარი თქვას სააპელაციო ან საკასაციო გასაჩივრებაზე, ვინაიდან ეს უფლება მხოლოდ მხარეებს აქვთ. 5) მოითხოვოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (აქ იგულისხმება შემდეგი აკრძალვა: წარადგინოს გადასახდევინებლად სააღსრულებო ფურცელი; მიიღოს მიკუთვნებული ფული ან ქონება); 6) აღძრას სარჩელი. აქ ჩამოთვლილი თითოეული მოქმედების შესასრულებლად წარმომადგენლის უფლებამოსილება სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული (დათქმული) მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში, მაშინაც კი, როცა წარმომადგენელია ერთ-ერთი თანამონაწილე სხვა თანამონაწილეთა საქმეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმომადგენელს არა აქვს მათი შესრულების უფლება. სპეციალური დათქმა მინდობილობაში ყველა ამ

მოქმედების შესრულებაზე სწორედ იმიტომაა აუცილებელი, რომ ისინი დაკავშირებულია მარწმუნებლის მატერიალური უფლებების განკარგვასთან. სსსკ-ის 98-ე მუხლის, ასევე 368-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 396-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზანია მარწმუნებლის უფლებების დაცვა მის მიერ მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედებების განხორციელების დროს. მარწმუნებლის უფლებათა დაცვის აუცილებლობა განპირობებულია 98-ე მუხლში ასახული მოქმედებისა და უფლებამოსილების განკარგვითი ხასიათით. განკარგვითი მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ეფუძნება სამოქალაქო პროცესის იმ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელსაც დისპოზიციურობის პრინციპი ეწოდება.

მართალია, სსსკ-ის 98-ე მუხლის მე-2 ნაწილით მხარის მიერ უფლებამოსილ პირს (ე.ი. წარმომადგენელს) შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწეს, მაგრამ, ვფიქრობთ, წარმომადგენლის ამ უფლებამოსილების შესახებაც (გადანდობის უფლება) სპეციალურად უნდა აღინიშნოს მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

რაც შეეხებათ კანონიერ წარმომადგენლებს, სხვა წარმომადგენლებთან შედარებით მათ განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ. მათი უფლებების ფარგლების (მოცულობის) შესახებ საკითხის განხილვისას რამდენიმე გარემოება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, კერძოდ: კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს შეასრულოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რომელიც შეეძლო პროცესში თვითონ წარმოდგენილ პირს განეხორციელებინა, მას რომ საპროცესო ქმედუნარიანობა ჰქონოდა, სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ თვითონ შეასრულონ განსაკუთრებული (სპეციალური) უფლებამოსილების გარეშე განკარგვითი მოქმედებები, ისეთი, როგორიცაა სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა, თუმცა **მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სამოქალაქო პროცესში უმნიშვნელოვანესი განკარგვით მოქმედებების განხორციელების დროს კანონიერი წარმომადგენლები ვალდებული არიან დაიცვან მატერიალური სამართლის ნორმებით დადგენილი შეზღუდვები.** მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არა აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს — სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს იმ გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, 10 წელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას ან სხვა სავალო ვალდებულებათა გადაცემას, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას, ან რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება.

ამიტომ მორიგების დადებისას (მხარეთა მორიგებისას), სარჩელზე უარის თქმისას ან სარჩელის ცნობისას, თუ სხვა იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას, რომელიც დაკავშირებულია სამეურვეო და სამზრუნველო პირის ქონების განკარგვასთან, მეურვეებმა, მხარდამჭერმა და მზრუნველებმა უნდა დაიცვან სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლში მითითებული პირობები.

პრაქტიკაში ხშირად არაერთგვაროვნადაა გაგებული ადვოკატის უფლებამოსილების შესახებ საკითხი, როცა ადვოკატი ორდერის საფუძველზე მოქმედებს. ორდერი მხოლოდ ადასტურებს სასამართლოში ადვოკატის გამოსვლის უფლებას (რომ ადვოკატს უფლება აქვს გამოვიდეს პროცესში წარმომადგენლად). თვით ადვოკატის უფლებამოსილებებს რაც შეეხება, ადვოკატი პროცესში მონაწილეობს მარწმუნებლის წარმომადგენლად. ამიტომ, **ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორდერის საფუძველზე მოქმედ ადვოკატს იგივე უფლებამოსილებანი აქვს, რაც წარმომადგენელს პროცესში.** ორდერის საფუძველზე მოქმედი ადვოკატის უფლებამოსილებების მოცულობის (ფარგლების) შესახებ საკითხი უნდა განისაზღვროს საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად. ამიტომ, თუ მარწმუნებელს სურს მიანიჭოს

ადვოკატს სპეციალური (განკარგვითი) უფლებამოსილებანი მარტო ორდერი საკმარისი არ არის. არამედ ადვოკატს დამატებით უნდა მიეცეს მინდობილობა, რომელშიც სპეციალურად იქნება აღნიშნული (დათქმული) ადვოკატის ეს სპეციალური უფლებამოსილებანი.

წარმომადგენლის უფლებამოსილების მოცულობაზე საუბრისას შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა: იმდენად, რამდენადაც სასამართლო წარმომადგენელი საპროცესო მოქმედებებს ასრულებს მარწმუნებლის სახელითა და დავალებით, შესაბამისად რწმუნებულის უფლებამოსილებათა მოცულობაც განისაზღვრება მარწმუნებლის საპროცესო მდგომარეობით, ე.ი. იმის მიხედვით, თუ რა სახით (მოსარჩელედ, მოპასუხედ, დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირად და ა.შ.) მონაწილეობს მარწმუნებელი პროცესში. ამასთან ერთად, სასამართლო წარმომადგენლის უფლებამოსილების მოცულობა განისაზღვრება იმითაც, თუ, კერძოდ, რა უფლებამოსილებები გადასცა მას მარწმუნებელმა თავის მხრივ იმ უფლებამოსილებათაგან, რაც მას გააჩნდა.

მაშასადამე, სასამართლო წარმომადგენლის უფლებამოსილების მოცულობა დამოკიდებულია ორ ფაქტობრივ გარემოებაზე: მარწმუნებლის უფლებამოსილების მოცულობაზე და იმაზე, თუ რა უფლებამოსილებებით აღჭურვა მარწმუნებელმა რწმუნებული.

წარმომადგენლის უფლებამოსილება თავისი შინაარსის მიხედვით იყოფა ზოგად და სპეციალურ უფლებამოსილებად.

ზოგადი უფლებამოსილება ისეთი საპროცესო მოქმედებებია, რომელთა შესრულების უფლებაც ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს, რომელიც კი გამოდის მარწმუნებლის სახელით, მიუხედავად იმისა, დათქმულია თუ არა ისინი მინდობილობაში.

სპეციალური უფლებამოსილება კი ისეთი საპროცესო მოქმედებაა, რომლის შესრულების უფლებაც წარმომადგენელს მხოლოდ მაშინ აქვს, როცა ამის თაობაზე მითითებულია მინდობილობაში.

დაბოლოს, რწმუნებულს შეუძლია სასამართლოში საქმე აწარმოოს მანამდე, სანამ რწმუნებულება ძალაშია. მარწმუნებელს უფლება აქვს შეწყვიტოს (გააუქმოს) წარმომადგენლის უფლებამოსილება, ხოლო წარმომადგენელს (რწმუნებულს) – უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე (საქმისწარმოებაზე).

მარწმუნებელს (უფლებამოსილების გამცემს) უფლება აქვს საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა ან გადანდობა და შეწყვიტოს ამით წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც მან წერილობით უნდა აცნობოს სასამართლოსა და წარმომადგენელს. მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმისწარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

თავის მხრივ, წარმომადგენელს უფლება აქვს საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე (საქმისწარმოებაზე), რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე თავის მარწმუნებელს, რათა მარწმუნებელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით სასამართლო დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა. ბათილია შეთანხმება მხარეთა ამ უფლებებზე უარის შესახებ (ანუ მინდობილობის გაუქმებისა და საქმისწარმოებაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვა ცალკე შეთანხმებით, უკანონოდ ჩაითვლება).

2. **წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება და დადასტურება.** კანონიერი წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს წინაშე გამოცხადდება შეთანხმებით არჩეული წარმომადგენელი (იქნება ეს ადვოკატი თუ სხვა ქმედუნარიანი პირი), იგი არ იქნება დაშვებული სხვისი საქმის დასაცავად, უკეთუ სათანადო

რწმუნებულება თუ უფლებამოსილება არ ექნა.

იმ წარმომადგენლის უფლებამოსილება, რომელიც სასამართლოში გამოდის დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, გამოხატული უნდა იყოს მინდობილობაში (რწმუნებულებაში). რწმუნებულება (უფლებამოსილება) გაცემული და გაფორმებული უნდა იყოს კანონის შესაბამისად.

როდესაც საუბარია წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმებისა და დადასტურების საკითხზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სასამართლო წარმომადგენლის უფლებამოსილება ფორმდება და დასტურდება დოკუმენტალურად წარმომადგენლობის სახით.

ასე მაგალითად, სსსკ-ის 101-ე მუხლის თანახმად, კანონიერი წარმომადგენლები სასამართლოს წარუდგენენ თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერ წარმომადგენელთა უფლებამოსილება არ მოითხოვს (არ საჭიროებს) სპეციალურ გაფორმებას. არამედ საკმარისია ისეთი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც ადასტურებს, რომ ეს პირი კანონიერი წარმომადგენელია. კერძოდ, კანონიერი წარმომადგენლები თავიანთი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარადგენენ შემდეგ დოკუმენტებს: მშობლები წარადგენენ ბავშვების დაბადების მოწმობასა და თავიანთ პასპორტს (პირადობის მოწმობას); მშვილებლები დამატებით — შვილად აყვანის მოწმობას, შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას; მეურვეები და მზრუნველები — მეურვისა და მზრუნველის მოწმობას (დოკუმენტს, საბუთს).

თუ კანონიერი წარმომადგენელი სხვას მიანდობს (გადაანდობს) საქმისწარმოებას, მაშინ მან თავისი სახელით უნდა გასცეს ამის შესახებ მინდობილობა.

ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება ორდერით. საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში აღნიშნულ სპეციალურ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად (უფლებაგანკარგვით, ანუ დისპოზიციურ მოქმედებათა განსახორციელებლად) ადვოკატს უნდა ჰქონდეს მინდობილობა მარწმუნებლისაგან, ვინაიდან **ორდერი მხოლოდ ზოგადი უფლებამოსილებების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს მას.**

კანონმდებლობა არ კრძალავს, რომ ადვოკატმა ორდერის ნაცვლად მინდობილობის საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა პროცესში.

თანამონაწილეები მინდობილობის (დავალების) ხელშეკრულების საფუძველზე ანდობენ ერთ-ერთ თანამონაწილეს საქმისწარმოებას.

რაც შეეხებათ იურიდიულ პირებს, სსსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მინდობილობას (ასეთ მინდობლობას სანოტარო დამოწმება არ სჭირდება) ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის (იურიდიული პირის) ხელმძღვანელი ან სადამფუძნებლო დოკუმენტით ამაზე უფლებამოსილი სხვა პირი, რომლებიც ხელს აწერენ ასეთ უფლებამოსილებას და უსვამენ ამ ორგანიზაციის ბეჭედს და რომელიც თვითონ, როგორც იურიდიული პირის ორგანო, მოქმედებს ორგანიზაციის სახელით მინდობილობის გარეშე, წარმოადგენს რა იურიდიულ პირს მესამე პირებთან ურთიერთობაში და სასამართლოში. მაშასადამე, იურიდიული პირების საქმეებს სასამართლოში აწარმოებენ იურიდიული პირის ორგანოები (ესენია შესაბამისი თანამდებობის პირები — საწარმოს დირექტორი და ა.შ.). მათი უფლება, იმოქმედონ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონით (როცა საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან), წესდებით ან დებულებით. თუ საზოგადოებას ჰყავს რამდენიმე დირექტორი, საზოგადოების ინტერესების დასაცავად საკმარისია ერთ-ერთმა დირექტორმა წარმოადგინოს საზოგადოება სასამართლოში. კანონი ავალდებულებს დირექტორებს, წარმოადგინონ საზოგადოება. იურიდიული პირის სახელით საქმე სასამართლოში შეიძლება აწარმოოს მისმა წარმომადგენელმაც. იურიდიული პირების წარმომადგენლებად გამოდიან ან თვითონ თანამდებობის პირები, ან შტატიანი იურისტები,

ან ადვოკატები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ორგანიზაციებს ხელშეკრულების ან ერთჯერადი შეთანხმების საფუძველზე.

ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებიც გამოდიან როგორც იურიდიული პირის ორგანოები, სასამართლოს წარუდგენენ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის ან უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს. კერძოდ, ხელმძღვანელის უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოებაზე დასტურდება მისი სამსახურებრივი მდგომარეობის ან უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტებით, როგორიცაა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული წესდება, ამ თანამდებობაზე მისი არჩევის ოქმი ან თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანება, სამსახურებრივი მოწმობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სხვ.

3. **მინდობილობა.** პრაქტიკულად ყველა სხვა შემთხვევაში წარმომადგენლის უფლებამოსილება მინდობილობით დასტურდება.

მინდობილობა (რწმუნებულება) სპეციალური დოკუმენტია, რომელიც იძლევა ყველა საპროცესო მოქმედების, ან კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას, ასევე ნებისმიერი სამოქალაქო საქმის ან კონკრეტული საქმისწარმოების უფლებას.

სსსკ-ის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში.

ფიზიკური პირის მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ფიზიკური პირების მინდობილობები შეიძლება დამოწმდეს აგრეთვე იმ ორგანიზაციის (დაწესებულების) მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც ფიზიკური პირი სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გასცემს. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ გაცემულ მინდობილობას დაამოწმებს შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაცია. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მინდობილობათა დამოწმება შეუძლიათ ნოტარიუსთან გათანაბრებულ სხვა პირებსაც (მაგალითად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, საკონსულო დაწესებულებებსა და მათი თანამდებობის პირებს). აღნიშნული საკითხები დეტალურად მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „ნოტარიატის შესახებ" (იხ. მუხლი 42-ე).

იმან, ვისაც მიეცა მინდობილობა, პირადად უნდა შეასრულოს ის მოქმედებები, რომელთა შესრულების უფლებამოსილებაც გაჩნია (მიენიჭა). მართალია, 98-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარის მიერ უფლებამოსილ პირს, ე.ი. წარმომადგენელს შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების გადანდობა სხვა ადვოკატის ან მისი თანაშემწისათვის. მაგრამ რადგან 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება მოითხოვს, რომ წარმომადგენლის უფლებამოსილება 98-ე მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული (დათქმული) მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში, გადანდობის უფლებამოსილებაც მინდობილობით უნდა იყოს გათვალისწინებული. სხვისთვის უფლებამოსილების გადანდობისას (გადაცემისას) მან უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მარწმუნებელს და აცნობოს, თუ ვის აქვს უფლებამოსილება გადაცემული. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა უფლებამოსილების გადამცემს აკისრებს პასუხისმგებლობას იმ პირის მოქმედებისათვის, რომელსაც მან გადასცა უფლებამოსილება.

გადანდობის წესით გაცემული მინდობილობის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს იმ მინდობილობის მოქმედების ვადას, რომლის საფუძველზეც ის გაიცა. მინდობილობის შეწყვეტასთან ერთად, ძალას კარგავს გადანდობაც.

რაც შეეხება მინდობილობის გაცემის (მოქმედების) ვადას, კანონმდებლობით ამგვარი ვადა არ არის განსაზღვრული.

თუ პირს ხელთ არა აქვს მინდობილობა ან მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი სასამართლოში საქმისწარმოებაზე, იგი არ შეიძლება დაშვებულ იქნეს პროცესში წარმომადგენლად. თუ წარმომადგენელს არა აქვს სათანადო მინდობილობა (უფლებამოსილება), ანდა უფლებამოსილება არ არის სათანადოდ გაფორმებული, მაშინ წარმომადგენლის მიერ შესრულებულ საპროცესო მოქმედებებს აღნიშნული გარემოება იურიდიულ ძალას უკარგავს და სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს.

დაბოლოს, შესაძლოა, პირს კიდეც ჰქონდეს სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა ხელთ, მაგრამ სასამართლოს შეუძლია უარი განაცხადოს პროცესში იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ პირს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები. მაგრამ ის მოქმედებები, რომელიც საპროცესო წარმომადგენელმა გადაყენებამდე აწარმოვა, ძალაში რჩება (97-ე მუხლი).

თავი XI

საპროცესო ვადა

§1. საპროცესო ვადის ცნება

უდავოა, რომ სასამართლომ საქმე სამართლიანად უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ საქმის სამართლიანად გადაწყვეტას მაშინ აქვს ფასი, როდესაც ეს მოხდება თავის დროზე. **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის** მე-6 მუხლის მიხედვით, ყოველი ადამიანი მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების საფუძვლიანობის გამორკვევისას აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ (სუსგ. 2005 წ. №3, სამოქალაქო პროცესი, გვ. 4). საქმის გაჭიანურება ხშირად თავისი პრაქტიკული შედეგის მხრივ, უსამართლობის ტოლფასია. ამიტომ მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დროულად დაცვა მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სასამართლოებმა საქმეები სწრაფად უნდა განიხილონ (დარღვეული უფლება სწრაფად უნდა აღდგეს), რადგან, თუ სასამართლო გააჭიანურებს საქმის განხილვას, მაშინ შეიძლება შეილახოს ერთ-ერთი ან ორივე მხარის ინტერესები და უფლებები (ამ უფლებებმა შეიძლება დაკარგოს თავიანთი სოციალური და იურიდიული მნიშვნელობა და ღირებულება). საერთოდ, პროცესის (სამართალწარმოების) ერთ-ერთი უმთავრესი, შეიძლება ითქვას, პირველხარისხოვანი ამოცანა სამოქალაქო საქმეთა სწრაფად (დროულად) და სწორად განხილვა-გადაწყვეტაა. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას (სხვა საპროცესო საშუალებებთან ერთად) ემსახურება საპროცესო ვადების ინსტიტუტიც. საპროცესო მოქმედებების ოპერატიულად შესრულება უზრუნველყოფილია სწორედ სპეციალური ვადების დაწესებით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა როგორც სასამართლოს, ისე პროცესის ყველა სხვა მონაწილისათვის.

გარდა იმისა, რომ სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის დროულად განხილვასა და გადაწყვეტას ემსახურება საპროცესო ვადის ინსტიტუტი, მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაშიც, რომ, ერთი მხრივ, ვადების დაწესება პროცესის არაკეთილსინდისიერ მონაწილეებზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალებაა, როცა პროცესის არაკეთილსინდისიერი მონაწილე აფერხებს თავისი მოქმედებით (ან უმოქმედობით) საქმის დროულად და სწორად გადაწყვეტას, მეორე მხრივ, საპროცესო ვადების ინსტიტუტი მოწოდებულია სიცხადე შეიტანოს მხარეთა სამართალურთიერთობებში, ხელი შეუწყოს მხარეთა სამართალურთიერთობების სიმტკიცეს (მდგრადობას), ამით კი გარანტირებული გახადოს უფლების რეალურად განხორციელება.

მაგალითად, თუ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, არ განესაზღვრება გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, მაშინ იმ მხარისათვის, რომლის სასარგებლოდაცაა ეს გადაწყვეტილება მიღებული, გაურკვეველი იქნება, თუ რა მომენტიდან შეუძლია მოითხოვოს უფლების იძულებითი განხორციელება და იმ სიკეთის მიღება, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მიეკუთვნა.

სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების დროს „ვადის" კატეგორიაზე მიუთითებენ ძალზე ხშირად როგორც საპროცესო, ისე მატერიალური სამართლის ნორმები. ვადის დადგომა ან ამოწურვა (გასვლა) იურიდიული ხდომილებაა. ვადა დროის გარკვეული მონაკვეთია, რომლის დადგომას ან ამოწურვას (გასვლას) სამართლის ნორმები უკავშირებენ ამა თუ იმ სამაროთალურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

საპროცესო ვადა ეს არის კანონით გათვალისწინებული ან სასამართლოს (მოსამართ-

ლის) მიერ დადგენილი (დანიშნული) ვადა (დროის მონაკვეთი), რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება (განხილულ იქნეს სამოქალაქო საქმე, გასაჩივრდეს, ან აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება და სხვ.).

იმისდა მიხედვით, თუ პროცესის რომელი სუბიექტია კონკრეტული საპროცესო ვადის ადრესატი, ვადები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1) სასამართლოსათვის დადგენილი ვადები, ანუ ვადები, რომლის განმავლობაშიც თვითონ სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.

2) ვადები, რომლებიც დადგენილია პროცესის მონაწილეთა მიერ შესაბამისი მოქმედებების შესასრულებლად.

3) ვადები, რომლებიც დადგენილია სხვა პირთათვის, რომლებიც ვალდებული არიან შეასრულონ სასამართლოს (მოსამართლის) მითითებები ამ (მოსამართლის მიერ დანიშნულ) ვადებში.

§2. საპროცესო ვადის სახეები

საპროცესო ვადები ორი სახისაა: 1) **კანონით დადგენილი ვადები** (მაგალითად, სასამართლოს განჩინებათა და გადაწყვეტილებათა გასაჩივრების, კანონიერ ძალაში შესული განჩინებით ან გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის, იძულებითი წესით აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცლის წარდგენის, საქმის წარმოების შეჩერების, სააღსრულებო წარმოების შეჩერების ვადები და სხვ.). 2) **სასამართლოს ან მოსამართლის მიერ დადგენილი ვადები** (მაგალითად, საქმის განხილვის გადადებისას საქმის ხელახალი მოსმენის დღის დანიშვნა, მტკიცებულებათა წარმოდგენის ვადის განსაზღვრა და სხვ.). ორივე სახის საპროცესო ვადის იურიდიული ბუნება სხვადასხვაა. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კანონით დადგენილი ვადები დადგენილია (და სავალდებულოა) როგორც სასამართლოსათვის, ისე პროცესის მონაწილეთათვის და იმპერატიულ ხასიათს ატარებს. ამასთან, ვადები სასამართლოსათვის ყოველთვის კანონით დგინდება — ე.ი. ასეთი ვადები არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა და სასამართლოს შორის შეთანხმებით. ამგვარი ვადის გასვლის შემდეგ მხარეები კარგავენ უფლებას შეასრულონ ის, რისი შესრულებაც ვადის გასვლამდე შეეძლოთ, მეორე სახის ვადები კი დადგენილია მხოლოდ პროცესის მონაწილეთათვის (და იმათთვისაც, ვინც უშუალოდ არ არის საქმის მონაწილე) და ისინი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს, ანდა გაგრძელდეს თვითონ სასამართლოს მიერვე.

1. **კანონით დადგენილი საპროცესო ვადები.** კანონით დადგენილი ვადები, თავის მხრივ, იყოფა ზოგად (ანუ საერთო) და შემცირებულ (ანუ სპეციალურ) ვადებად. ზოგადი ვადა და ასევე სპეციალური ვადა გათვალისწინებულია 59-ე მუხლის მე-3 ნაწილში. ზოგადი ვადის შესახებ აქ ნათქვამია, რომ სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე ამ საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით (იგულისხმება განჩინების გამოტანა) ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, ხოლო სპეციალური ვადის შესახებ აღნიშნულია, რომ საქმეები ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვისა. ამ საქმეებზე დაუშვებელია საქმის განხილვის ვადის 5 თვემდე გაგრძელება. აღსანიშნავია, რომ საქმე

ამ ვადებში უნდა განიხილებოდეს განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან.

სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის თანახმად, როდესაც მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტის ასლები ბარდება 184-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

თუ ერთ წარმოებაში გაერთიანებულია და განსახილველია რამდენიმე მოთხოვნა, რომელთაგან ერთისათვის დადგენილია შემცირებული ვადა, ხოლო მეორესათვის ზოგადი ანუ საერთო ვადა, სასამართლომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა განიხილოს საერთო ვადაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მოთხოვნისათვის დადგენილია შემცირებული ვადა. მაგალითად, როცა იხილება განქორწინების სარჩელთან ერთად შეგებებული სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისათვის (ეს ძირითადად არასასარჩელო წარმოების საქმეებია), დადგენილია ძალზე შემოკლებული ვადები, მაგალითად, გამარტივებული წესით ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ განცხადებას სასამართლო განიხილავს განცხადების შეტანიდან 3 დღის ვადაში.

კანონი ადგენს ვადებს ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულებისთვისაც, რომლებიც სასამართლომ უნდა შეასრულოს. მაგალითად, კანონით განსაზღვრულია მხარისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის გაგზავნის ხუთდღიანი ვადა ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანიდან, ასევე განსაზღვრულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების მაქსიმალური ვადა (მუხლი 257-ე); გადაწყვეტილების განმარტების ვადები (მუხლი 262-ე); სხდომის ოქმის მიმართ შეტანილი შენიშვნების განხილვის ვადები (მუხლი 291-ე); სასამართლო ასევე ვალდებულია განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (მუხლი 193-ე).

ერთბაშად, კანონი საპროცესო მოქმედების შესრულების ვადებს უწესებს პროცესის მონაწილეებსაც. მაგალითად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადას (მუხლი 237-ე); გადახდის ბრძანების წინააღმდეგ შესაგებელის (პროტესტის) შეტანის ვადას (მუხლი 307-ე); დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით განცხადების შეტანის ვადას (261-ე მუხლი); სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის ვადას; სხდომის ოქმზე შენიშვნათა წარდგენის ვადას; საქმისწარმოების განახლების შესახებ საკითხის დასმის ვადას; აღსასრულებლად გადაწყვეტილების მიქცევის ვადას.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოსა და პროცესის მონაწილეთათვის კანონით დადგენილი საპროცესო ვადების დარღვევას სრულიად სხვადასხვაგვარი სამართლებრივი შედეგი მოჰყვება, კერძოდ: თუ კანონით დადგენილი საპროცესო ვადა დაარღვია სასამართლომ, ეს გავლენას არ მოახდენს პროცესის მსვლელობაზე, ანდა მხარის უფლებებზე, ამ ვადების დაუცველობა (დარღვევა) იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დამაბრკოლებელ ფაქტორს არ წარმოადგენს, რომელიც სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა შეასრულოს (ვთქვათ, სასამართლომ დადგენილ ვადაში არ განიხილა საქმე, ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლომ აღარ უნდა განიხილოს საქმე ამ ვადის გასვლის შემდეგ), შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე არსებითად. ნათქვამი ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ ვადაში შეუსრულებელ საპროცესო მოქმედებებზე არ ვრცელდება საპროცესო კოდექსის 63-ე, 65-ე და 66-ე მუხლებით დადგენილი წესები.

კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლის მიმართ შეიძლება მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ ზოგჯერ ის შედეგი, რაც მოსამართლის მიერ შესასრულებელ მოქმედებას უნდა მოჰყოლოდა, ვადაში მისი შეუსრულებლობის შემთხვევაშიც დამდგარად ჩაითვლება (მაგალითად, თუ 186-ე მუხლით გათვალისწინებულ 5 დღიან ვადაში სასამართლო არ გამოიტანს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინებას, სარჩელი მიღებულად უნდა ჩაითვალოს).

სულ სხვა შედეგები დადგება, თუ კანონით დადგენილ ვადებს დაარღვევენ პროცესის მონაწილენი. კერძოდ, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება (ანუ პირი კარგავს ამ მოქმედების შესრულების უფლებას) კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება (63-ე მუხლი). თუმცა საპროცესო მოქმედების შესასრულებლად კანონით დადგენილი ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა მოხდა საპატიო მიზეზით (65-ე მუხლი). აქ გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების ვადები საერთოდ არ შეიძლება აღდგენილ ან გაგრძელებულ იქნეს.

2. სასამართლოს მიერ დანიშნული ვადები. სასამართლო მაშინ განსაზღვრავს საპროცესო ვადას, თუ ვადა კანონით არ იქნება დადგენილი. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას კანონის იმ წინადადებას, რომლის თანახმადაც საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად სასამართლო ვადებს ნიშნავს საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. ასე მაგალითად, სასამართლო განსაზღვრავს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა წარმოდგენის ვადას (136-ე და 156-ე მუხლები) და ა.შ. საპროცესო ვადების ხანგრძლივობას სასამართლო განსაზღვრავს საქმის გარემოებებისა და იმ დროის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელია საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს (მხედველობაში მიიღოს) საქმის კონკრეტული გარემოებები იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ვადები იყოს უფლებამოსილი ან ვალდებული პირების მიერ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესასრულებლად გონივრული და საკმარისი.

აღსანიშნავია, რომ განსაზღვრულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების ვადის დანიშვნა საქმის მონაწილეთათვის, სასამართლოს მოვალეობასაც შეიძლება წარმოადგენდეს. მაგალითად, სასარჩელო განცხადების ხარვეზის შესავსებად სასამართლომ უნდა დანიშნოს ვადა.

საპროცესო ვადები შეიძლება დადგინდეს იმ პირთა მიმართაც, რომლებიც პროცესის მონაწილენი არ არიან, მაგრამ, რომლებიც ვალდებულნი არიან შეასრულონ მოსამართლის მითითებები, აგრეთვე სხვა სასამართლოს მიმართაც (იხ. მუხლები 107-ე, 136-ე, 156-ე და სხვ.), კერძოდ, როცა ხდება სასამართლო დავალების შესრულება, ან დანიშნულ ვადაში მტკიცებულებათა სავალდებულო წარდგენა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე; ასევე დაკარგული საწარმდგენლო დოკუმენტის (საბუთის) ხელთმქონესათვის დადგენილია ვადა, რომლის განმავლობაშიც ის ვალდებულია განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ (332-ე მუხლი).

დაბოლოს, საქმე განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს იმ (ზღვრული) ვადისა, რაც დადგენილია 59-ე მუხლის მე-3 და 59-ე მუხლის მე-3[1] ნაწილით, მათ შორის ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნების შემთხვევაშიც, თავდაპირველი გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ზოგიერთი

კატეგორიის საქმის გადაწყვეტისათვის კანონით დადგენილია უფრო შემცირებული ვადები. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ დავა უნდა განიხილოს საპროცესო კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით.

§3. საპროცესო ვადის დენა

1. **საპროცესო ვადის გამოთვლა (საპროცესო მოქმედებათა შესრულების ვადის განსაზღვრა).** საპროცესო ვადის გამოთვლას ეხება სსსკ-ის მე-60 მუხლი. ამ ნორმის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) **ზუსტი კალენდარული თარიღით.** მაგალითად, ზუსტი კალენდარული თარიღით უნდა განისაზღვროს ადგილზე დათვალიერების დღე. ზუსტი კალენდარული თარიღით ვადის განსაზღვრა აუცილებელია საქმის განხილვის გადადების შემთხვევაშიც, ვინაიდან ასეთ დროს სასამართლო ვალდებულია დანიშნოს ახალი სასამართლო სხდომის (საქმის განხილვის) დღე იმ დროის გათვალისწინებით, რაც აუცილებელია საქმის მონაწილეთა სასამართლოში დაბარებისათვის, ან მტკიცებულებათა გამოთხოვისათვის. მოცემულ შემთხვევაში ზუსტ კალენდარულ თარიღზე მიუთითებლობა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა იქნებოდა, რომლის თანახმადაც სამოქალაქო საქმის განხილვა სასამართლო სხდომაზე ხდება იმ სავალდებულო პირობით, რომ საქმის განხილვის გადადებისას ახალი სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სავალდებულოა საქმის მონაწილეთათვის შეტყობინება (იხ. სსსკ-ის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილი); ბ) **იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს.** მაგალითად, შეგებებული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე. ასევე ასეთია საქმისწარმოების შეჩერების საპროცესო ვადები, კერძოდ კი, სასამართლო შეაჩერებს საქმისწარმოებას საპროცესო კოდექსის 279-ე, 280-ე, 281-ე მუხლების შესაბამისად მანამდე, ვიდრე არ იქნება აცილებული საქმისწარმოების შეჩერების გამომწვევი ფაქტორები (მიზეზები), ან ვიდრე არ დადგება კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებები (ვთქვათ, საქმის წარმოება შეჩერდეს მანამდე, ვიდრე დადგინდება უფლებამონაცვლე, რომელიც თვითონ წყვეტს ულებამონაცვლედ პროცესში შესვლის საკითხს და ა.შ.); გ) **ან დროის მონაკვეთით.** ამ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში, კერძოდ, დღის, თვის ან წლის განმავლობაში. მაგალითად, დღედ იანგარიშება ის საპროცესო ვადა, რომელიც მითითებულია საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლში, სადაც მითითებულია, რომ შენიშვნები სხდომის ოქმის მიმართ შეიძლება წარდგენილ იქნეს 3 დღის განმავლობაში სხდომის ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. თვეებით საანგარიშებელი ვადა გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლში. აქ აღნიშნულია, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მხარისათვის ცნობილი გახდა ამ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. წლებით იანგარიშება, მაგალითად, სააღსრულებო საბუთის აღსასრულებლად წარდგენის ვადები და სხვ.

სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის, ან იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. აქედან გამომდინარე კი, მაგალითად, სამოქალაქო საქმის განხილვის ვადა გამოითვლება არა სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების მომენტიდან (დღიდან), არამედ სასარჩელო განცხადების

წარმოებაში მიღების შემდეგი (მომდევნო) დღიდან, ანუ შესაბამისი განჩინების გამოტანის დღე სათვალავში არ შედის, ისე როგორც საერთოდ არ შედის ანგარიშში არც ერთი ის გარემოება, რომლის შემდეგ ვადა იწყება (რომლითაც განსაზღვრულია ვადის დასაწყისი).

ანალოგიურია ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების ვადების გამოთვლის წესიც.

დროის მონაკვეთით (რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს ან შეიძლება შესრულდეს საპროცესო მოქმედება) განსაზღვრულ ნებისმიერ საპროცესო ვადას აქვს არა მხოლოდ დასაწყისი, არამედ ამ ვადის დინების დასასრული. აღსანიშნავია, რომ, თუ ვადის დასაწყისი ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადა დენას იწყებს ჩვეულებრივ ამ და არა უახლოესი (მომდევნო) სამუშაო დღიდან. მაგრამ, პირიქით, თუ ვადა იწურება (მთავრდება) არასამუშაო დღეს (ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს), ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე (საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სხვა შემთხვევაში უქმე და დასვენების დღე საპროცესო ვადებიდან არ ამოირიცხება, ანუ ეს ნიშნავს, რომ არასამუშაო დღეებიც (უქმე და დასვენების დღეები) ჩაითვლება მთლიან ვადაში. ამდენად, საპროცესო ვადა მიმდინარეობს უწყვეტად (საპროცესო ვადების დინებას არ წყვეტენ უქმე, სადღესასწაულო და დასვენების დღეები). საქართველოს შრომის კოდექსი განსაზღვრავს უქმე დღეებს. ამასთან, სულერთია, ვადა შაბათ-კვირას მთავრდება თუ უქმე დღეს. არასამუშაო დღეში იგულისხმება როგორც უქმე დღეები, რომლებიც შრომის კოდექსითაა განსაზღვრული, ისე შაბათ-კვირა.

წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. იმდენად, რამდენადაც იმ კალენდარული თარიღის ან მოვლენის დადგომის დღე, რომლითაც განსაზღვრულია ვადის დინების დასაწყისი, ანგარიშში არ მიიღება, ვადა დამთავრდება იმავე რიცხვში (იმ დღეს), რომელიც ვადის დინების დაწყების პირველ დღეს შეესაბამება. ე.ი. „შესაბამის რიცხვში" იგულისხმება ის კალენდარული თარიღი ან მოვლენა, რომლითაც განსაზღვრულია ვადის დასაწყისი (მაგ., სასამართლო აქტის ჩაბარების დღე და ა.შ.). მაგალითად, როგორც ითქვა, წლებით გამოსათვლელი (განსაზღვრული) ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. კერძოდ, 3-წლიანი ვადა, რომლის დინება იწყება 2005 წლის 29 ოქტომბერს, დამთავრდება 2008 წლის 29 ოქტომბერს.

მაშასადამე, წლებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დამთავრების (ამოწურვის) შესახებ კანონით დადგენილი წესი ნიშნავს, რომ წლებით განსაზღვრული საპროცესო ვადის დამთავრების თარიღის განსაზღვრისათვის, არითმეტიკულად არ უნდა გამოვითვალოთ კალენდარული დღეების საერთო რაოდენობის გასვლა (ამოწურვა), რომელიც შეადგენს, ვთქვათ, ერთწლიანი ვადის (ერთი წლის) ხანგრძლივობას, არამედ წლებით გამოსათვლელი (განსაზღვრული) ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. ანალოგიურად, თვეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დამთავრების თარიღის გამოსათვლელად არ არის საჭირო და აუცილებელი ვადის შესაბამისი თვეების კალენდარულ დღეთა რაოდენობის გამოთვლა იმდენად, რამდენადაც კანონის თანახმად, თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში, ე.ი. ვადის უკანასკნელი თვის, იმავე რიცხვში ამოიწურება, რომლიდანაც დაიწყო ვადამ დინება. მაგალითად, თუ სამთვიანი ვადის პირველი დღე 2011 წლის 11 დეკემბერია, ვადა ამოიწურება 2012 წლის 11 მარტს. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს (ანუ ისეთ თვეს, რომელზეც უწევს, ემთხვევა თვეებით განსაზღვრული საპროცესო ვადის დამთავრება), სათანადო (შესაბამისი) რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს. მაგალითად, თებერვალს არა აქვს 30 რიცხვი, ე.ი. ვადა ამოიწურება (დამთავრდება) ამ თვის ბოლო დღეს (მოცემულ შემთხვევაში თებერვლის 28-ს ან 29-ს). ასევე, მაგალითად, საპროცესო მოქმედების შესასრულებლად დადგენილი

ერთთვიანი ვადა, რომელიც დაწყებულია 31 მაისს, დამთავრდება (ამოიწურება) 30 ივნისს.

უკეთუ ვადა განსაზღვრულია დღეებით, იგი თავდება უკანასკნელ დღეს. მაგალითად, 9 ოქტომბერს მხარისათვის ჩაბარებული განჩინების გასაჩივრების 12-დღიანი ვადა დამთავრებულად ჩაითვლება 21 ოქტომბერს.

იმაზე, დროულად არის თუ არა შესრულებული ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, დამოკიდებულია კონკრეტული სამართლებრივი შედეგების დადგომა ამ მოქმედებათა შესრულებით დაინტერესებულ პირთათვის. ამიტომ, პრაქტიკული თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საპროცესო ვადის დამთავრების არა მხოლოდ დღისა და თარიღის განსაზღვრას, არამედ მნიშვნელობა აქვს დღე-ღამის დროსაც, რომლის დადგომამდეც შესაბამისი მოქმედება ითვლება დროულად შესრულებულად. ამიტომ, პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ ბოლო დღეს ვადა თავდება ვადის უკანასკნელი დღის 24 საათზე (ვადის უკანასკნელი დღე ითვლება ღამის 12 საათამდე), ანუ საპროცესო მოქმედება ითვლება ვადაში შესრულებულად, თუ ის შესრულებულია უკანასკნელი დღის 24 საათამდე (ადგილობრივი დროით). ამასთან, კანონი ითვალისწინებს საპროცესო დოკუმენტის ფოსტით ან ტელეგრაფით გაგზავნის შესაძლებლობას. ამიტომ ვადა არ შეიძლება გასულად ჩაითვალოს, თუ საჩივარი (განცხადება), საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის 24 საათამდე (ღამის 12 საათამდე). თუ, მაგალითად, ბოლო დღეს ისეთი დროა, როცა სასამართლოს სამუშაო დღე დამთავრებულია, რის გამოც ვეღარ მოასწრო სამართლის სუბიექტმა სასამართლოში დოკუმენტის (საბუთების) წარდგენა (შეტანა), შეუძლია შესაბამისი საპროცესო მოქმედება შეასრულოს ფოსტა-ტელეგრაფის მეშვეობით იურიდიული დოკუმენტების სასამართლოში გაგზავნით. ამიტომ ვადის უკანასკნელი დღის 24 საათამდე სასამართლოს არა აქვს უფლება საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლებულად მიიჩნიოს.

2. **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები.** საპროცესო ვადის (როგორც კანონით დადგენილის, ისე სასამართლოს მიერ განსაზღვრულის) გასვლის შემთხვევაში დგება საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით განსაზღვრული შედეგები. საპროცესო ვადის გასვლა, იმას, ვინც ვადა გაუშვა, უფლებას უკარგავს (უქარწყლებს) შეასრულოს შესაბამისი საპროცესო მოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საპროცესო ვადა შეიძლება გააგრძელოს ან აღადგინოს სასამართლომ. ამიტომ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

გარდა იმისა, რომ ვადის დარღვევისას ქარწყლდება საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლება, შეიძლება დადგეს სხვა სამართლებრივი შედეგიც. მაგალითად, შეუტყობინებლობის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მოთხოვნა წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ არ არის შესრულებული დანიშნულ ვადაში, სასამართლოს მიერ არასაპატიოდ მიჩნეული მიზეზით, სასამართლო ფიზიკურ პირს ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს ანდა შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს. დაჯარიმება არ ათავისუფლებს ამ პირებს მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან (სასამართლოს მიერ გამოთხოვილი წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენის მოვალეობისაგან), არამედ ეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საპროცესო სანქციების (ჯარიმის) გამოყენების საფუძველია (136-ე, 156-ე, 145-ე მუხლები).

სასამართლოც არ თავისუფლდება საპროცესო მოქმედებების შესრულების ვალდებულებისაგან, თუნდაც მან დადგენილ ვადაში არ შეასრულოს ეს მოქმედება (ანუ თუნდაც დაარღვიოს ვადა).

წარმომადგენლის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის გაშვება ნიშნავს, რომ მხარემ გაუშვა საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა.

მართალია საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ ეს მისი

უფლებაა და ამდენად, თუ საქმის განხილვაში მონაწილეობს მხარის წარმომადგენელი და არა მხარე, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე ისე, როგორც მხარის მონაწილეობის შემთხვევაში.

3. **საპროცესო ვადის შეჩერება.** კანონით გათვალისწინებულია საქმისწარმოების ან გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძვლები (სსსკ-ის 279-280-ე და საა-ღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 36-ე მუხლები). თუ საქმისწარმოება ან გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდება,ამით შეჩერდება ყველა დაუმთავრებელი საპრო-ცესო ვადაც (მუხლი 62-ე),იმდენად,რამდენადაც საქმისწარმოების (სამართალწარმოების) შეჩერების ვადის დამთავრებამდე (დასრულებამდე) არ შეიძლება შესრულდეს არავითარი საპროცესო მოქმედება. უნდა შეჩერდეს მათ შორის ის ვადებიც,რომლებიც სასამართლომ აღადგინა ან გააგრძელა საპროცესო კოდექსის 64-ე და 65-ე მუხლების შესაბამისად.

ვადების დენა შეჩერდება სასამართლოს მიერ საქმისწარმოების შეჩერების შესახებ განჩინების გამოტანით, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში საპროცესო ვადების შეჩერება დაიწყება არა საქმისწარმოების შეჩერების შესახებ განჩინების გამოტანის მომენტიდან, არამედ იმ გარემოებათა (მიზეზების) წარმოშობის მომენტიდან (დღიდან), რომლებიც საფუძვლად დაედო საქმისწარმოების შეჩერებას, ან გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას (კერძოდ, მხარის გარდაცვალების დღიდან, მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვის დღიდან და ა.შ.). ვადა შეჩერდება იმ დრომდე, სანამ არ მოისპობა შეჩერების საფუძველი. მაგალითად,სანამ აღნიშნულ შემთხვევაში პროცესში არ შევა გარდაცვლილის მონაცვლე (მემკვიდრე და სხვ.).

საპროცესო ვადების შეჩერების სხვა შემთხვევებს კანონი არ ითვალისწინებს. საქმისწარ-მოების განახლების დღიდან საპროცესო ვადის დენა განახლდება და ვადები გამოითვლება უკვე იმ წესებით, რაც მოცემულია საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილში, ე.ი. საქმისწარმოების განახლების შესახებ განჩინების გამოტანის კალენდარული თარიღის შემდგომი დღიდან. საპროცესო მოქმედებები უნდა შესრულდეს (ან შეიძლება შესრულდეს) იმ დარჩენილ ვადაში, რა ვადაც დარჩა საქმისწარმოების განახლების შემდეგ იმდენად, რამდენადაც შეჩერებული საპროცესო ვადების დენა დაიწყება არა ხელახლა, არამედ გაგრძელდება საქმისწარმოების განახლების დღიდან. მაგალითი: სასამართლომ განჩინება მხარეს ჩააბარა 9 ნოემბერს, მხარე გარდაიცვალა 12 ნოემბერს, ხოლო სასამართლომ შეაჩერა ამის გამო საქმისწარმოება 16 ნოემბერს. 12-დღიანი ვადიდან, რომელიც მხარეს ჰქონდა განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანისათვის, უკვე გავიდა მის გარდაცვალებამდე ორი დღე, რის შემდეგაც დარჩა 10 დღე, რომლის დენა შეჩერდა 12 ნოემბრიდან.

4. **საპროცესო ვადის აღდგენა და გაგრძელება.** საპატიო მიზეზით გაშვებული საპროცესო ვადა შეიძლება აღდგეს ან გაგრძელდეს. უნდა აღდგეს თუ უნდა გაგრძედეს ეს ვადა, ამ საკითხის გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდებული, კანონით დადგენილ ვადებს ეხება საქმე თუ სასამართლოს (მოსამართლის) მიერ განსაზღვრულ ვადებს. ორივე შემთხვევაში საჭიროა მხარემ დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ საპროცესო მოქმედების ვადაში შესრულება ვერ მოასწრო პატივსადები მიზეზის გამო.

სასამართლოს არა აქვს კანონით გათვალისწინებული (კანონით დადგენილი) ვადის შეცვლის უფლება. სსსკ-ის 64-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გააგრძელოს მის მიერ დანიშნული ვადა. რაც შეეხება კანონით დადგენილ ვადებს, ამგვარი ვადა შეიძლება მხოლოდ აღადგინოს სასამართლომ იმ პირობით, თუ ვადის გაშვების მიზეზს საპატიოდ ცნობს და იმ პირობით, თუ კანონით ეს დასაშვებია (მაგალითად, სსსკ-ის 307-ე მუხლი).

ვადის გაგრძელება ნიშნავს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის, რომელიც არ შესრულდა დადგენილ ვადაში, ახალი ვადის განსაზღვრას სასამართლოს მიერ.

სასამართლოს ვადის გაგრძელების შესახებ თხოვნით შეუძლია მიმართოს იმან, ვისთ-

ვისაც დანიშნული იყო ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ვადა. გაშვებული ვადა სასამართლომ თავისი ინიციატივითაც შეიძლება გააგრძელოს.

განსხვავებით კანონით დადგენილი ვადების აღდგენის წესისა, კანონით პირდაპირ არ არის დადგენილი (განსაზღვრული) ვადის გაგრძელების წესი, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ საპროცესო ვადის გაგრძელება შეიძლება განხორციელდეს სასამართლო სხდომის ჩატარების გარეშე (ანუ მხარეთათვის შეუტყობინებლად). თუ ვადა დანიშნულია სასამართლოს მიერ კოლეგიურად, ამ ვადას მოსამართლე ერთპიროვნულად ვერ შეცვლის, ვერ გააგრძელებს და, პირიქით, ვადები, რომლებიც დადგენილია (დანიშნულია) ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, შეიძლება გაგრძელდეს მის მიერვე.

საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება ის, თუ რამდენად საპატიოა ის მიზეზი, რომელთა გამოც გაშვებულია ვადა. საპატიოა მიზეზი, რომელიც შეუძლებელს ან რთულს ხდის დადგენილ ვადაში შესაბამისი მოქმედების შესრულებას (დროებითი შრომისუუნარობა, მივლინება, ოჯახური გარემოებები და ა.შ.). ეს მიზეზები უნდა ჩამოყალიბდეს საქმის მონაწილეთა განხადებებში, რომლებითაც მოთხოვნილია ვადის გაგრძელება. **ასეთი განცხადების შეტანა შესაძლებელია ვადის ამოწურვამდე.** იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ დაწესებული ვადა ამოიწურა, მაშინ ვადის გაგრძელების განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საპროცესო ვადების გაგრძელება უნდა განვასხვაოთ საპროცესო ვადების აღდგენისაგან. კერძოდ, შეიძლება აღდგენილ იქნეს კანონით დადგენილი ვადები, ხოლო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადები შეიძლება მხოლოდ გაგრძელდეს.

რაც შეეხება საპატიო მიზეზით გაშვებული კანონით დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანისა და განხილვის წესს, საერთო წესის მიხედვით, სასამართლო აღადგენს გაშვებულ საპროცესო ვადას, თუ სახეზეა ერთობლივად რამდენიმე პირობა:

1) განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოში შეაქვს იმას, ვინც გადააცილა (გაუშვა) კანონით დადგენილი საპროცესო ვადა, ან მის წარმომადგენელს;

2) ეს განცხადება შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელშიც უნდა შესრულებულიყო საპროცესო მოქმედება. ასეთ განცხადებას სასამართლო დააკმაყოფილებს, თუ ცნობს, რომ საპროცესო ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა;

3) იმ პირის მიერ ვადის გაშვების მიზეზები, ვინც შუამდგომლობს ვადის აღდგენის შესახებ, საპატიო უნდა იყოს;

4) პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რომ ერთბაშად ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად, მხარემ უნდა შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებაც, რომლის შესრულების ვადაც გასულია (რომლისთვისაც ვადას ითხოვს მხარე). მაგალითად, უნდა შეიტანოს საჩივარი, შესაგებელი (პროტესტი), წარადგინოს დოკუმენტები და მტკიცებულებები და ა.შ.

განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოს წარედგინება წერილობით. მასში მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საპროცესო მოქმედების ვადაში შეუსრულებლობა, აგრეთვე ამ მიზეზების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ სასამართლო განიხილავს მხარეთათვის შეუტყობინებლად.

ისევე, როგორც საპროცესო ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ვადის აღდგენის შემთხვევაშიც აღდგენის საფუძველია ვადის გაშვების საპატიო მიზეზების არსებობა. ამა თუ იმ მიზეზის საპატიოდ ცნობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს შეხედულებაზე (**სასამართლო დისკრეცია**). საპატიო მიზეზად ჩაითვლება სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები, რომლებიც ამომწურავი არ შეიძლება იყოს.

სასამართლო აკმაყოფილებს განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ, თუ ცნობს, რომ ვადის გაშვების მიზეზი საპატიოა, ან უარს ამბობს გაშვებული ვადის აღდგენაზე, თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საპროცესო მოქმედების დროულად შესრულების დამაბრკოლებელ ფაქტორს.

განცხადების დაკმაყოფილების დროს სასამართლომ გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ უნდა მიუთითოს განჩინებაში, რომელშიც ერთბაშად უნდა გადაწყვიტოს იმ საპროცესო მოქმედების შესახებ საკითხიც, რომლის შესრულების ვადაც აღადგინა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს საპატიო მიზეზით გაშვებული ვადის აღდგენას, სსსკ-ის 63-ე და 65-ე-69-ე მუხლების თვითნებურად გამოყენების უფლება სასამართლოს არა აქვს. დასახელებული ნორმების მიზანია სამოქალაქო პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის გარანტიების გაფართოება. გაშვებული საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობის საკითხს სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს საქმეზე დადგენილი და გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე კანონით მისთვის მინიჭებული სასამართლო მიხედულების თავისუფლების ფარგლებში. ამასთან, მოცემული უფლების განხორციელების დამატებით გარანტიას წარმოადგენს გადაცილებული საპროცესო ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა (მუხლი 65-ე).

საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა.

თავი XII

უწყებრივი ქვემდებარეობა

§1. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება

დავას უფლების შესახებ და სხვა სამართლებრივ საკითხებს (მაგალითად, ამა თუ იმ იურიდიული ფაქტის დადგენის საკითხს, პირის სამართლებრივი მდგომარეობის დადგენის საკითხს და სხვ.) წყვეტენ სხვადასხვა ორგანოები, კერძოდ, დარღვეული ან სადავო უფლების დაცვას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის შესაბამისად ახორციელებს საერთო სასამართლო, ან არბიტრაჟი.

სამართლის სუბიექტების უფლებათა დაცვის ზემოაღნიშნული ფორმების გარდა, არსებობს ე.წ. უდავო სამოქალაქო უფლებების დაცვის სანოტარო ფორმაც.

გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად უფლება აქვთ მიმართონ **ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანოებს**, თუ ამოწურულია სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ უფლების დასაცავად მიმართონ **ადამიანის უფლებათა კომიტეტს**, რომელიც შექმნილია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტისა და ამ პაქტის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე, აგრეთვე მიმართონ **ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს**, რომელსაც არაოფიციალურად სტრასბურგის სასამართლოს უწოდებენ. ყველა ეს ორგანო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მხოლოდ ის საქმეები, რომლებიც კანონით მის გამგებლობას განეკუთვნება, ე.ი. უწყებრივად ექვემდებარება მას.

იმის გამო, რომ არსებობს არა ერთი, არამედ უფლების დაცვის რამდენიმე ფორმა, საჭიროა ზუსტად განისაზღვროს და განაწილდეს, თუ რომელი დავა ან სხვა სამართლებრივი საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს ამა თუ იმ ორგანომ, ე.ი. საჭიროა განაწილდეს (განისაზღვროს) საგნობრივი კომპეტენცია (საქმეთა გამგებლობა ამ ორგანოთა მიერ).

„უწყებრივი ქვემდებარეობა" სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს სასამართლოების, არბიტრაჟის, ნოტარიატისა და სახელმწიფოს იმ სხვა ორგანოების, რომელთაც უფლება აქვთ განიხილონ და გადაწყვიტონ ცალკეული სამართლებრივი საკითხები, საგნობრივ კომპეტენციას.

ამა თუ იმ საქმის განხილვა და გადაწყვეტა, ამ საქმის ხასიათის შესაბამისად, შეიძლება კანონით მიეკუთვნებოდეს განსაზღვრული ორგანოს გამგებლობას. ამიტომ უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხის განსაზღვრისათვის იურიდიული მნიშვნელობა ექნება იმ სამართალურთიერთობათა იურიდიულ ბუნებას, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვა დავა უფლების შესახებ და სხვა ფაქტორებს.

უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება არსებითად განსხვავდება კომპეტენციის[1] ცნებისაგან, რომელიც ნიშნავს სასამართლოს ან სხვა სამართალშემფარდებელი ორგანოს უფლებამოსილებათა (უფლება-მოვალეობათა) ერთობლიობას და ფარგლებს, რომელიც ამ ორგანოს აქვს კანონით განსაზღვრული. უწყებრივ ქვემდებარეობაში კი იგულისხმება კონკრეტული საქმე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს განსაზღვრული წესით იმ ორგანოში, რომელსაც იგი უწყებრივად განეკუთვნება.

სასამართლოებთან მიმართებაში უწყებრივ ქვემდებარეობაში იგულისხმება ის სამოქა-

---

[1] კომპეტენცია (ლათ. შეკვესაბამები, მიკვესადაგები) — კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის იურიდიულად დადგენილი უფლებამოსილებების, უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მათ ადგილს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში.

ლაქო საქმეები, რომელთა განხილვისა და არსებითად გადაწყვეტის უფლებაც (უფლებამოსილება ანუ კომპეტენცია) აქვთ ამ სასამართლოებს.

როგორც ცნობილია, ყველა სამოქალაქო საქმე იყოფა სამართალწარმოების სახეებად.

აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოების თითოეული სახის უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრისათვის სხვადასხვა წესი გამოიყენება, კერძოდ: უდავო წარმოებისა და გამარტივებული წესით განსახილველი ყველა საქმე, იმდენად რამდენადაც ამ წესით განსახილველ საქმეთა მოცულობა დიდი არ არის, უშუალოდაა ჩამოთვლილი კანონში, ე.ი. კანონით ჩამოთვლილია, თუ რომელი საქმეები განიხილება უდავო და გამარტივებული წესებით (იხ. სსსკ-ის 310-ე და 312-ე მუხლი და 33-ე, 34-ე და 34^1, 34^2, 34^3 თავები).

სასარჩელო წესით განსახილველი საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობის დახასიათებისათვის კი მათი სრულად ჩამოთვლის მეთოდი საქმეთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით, არ გამოიყენება, ეს შეუძლებელია. ეს იმით აიხსნება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ ან თუნდაც რამდენიმე მუხლში (ნორმაში) ყველა სასარჩელო საქმის ჩამოთვლა, რომელიც უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება, შეუძლებელია, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მრავალფეროვნების გამო.

უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრის დროს მთავარი ორიენტირი ხელისუფლების დანაწილების პრინციპია. კერძოდ, დავების გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივა შეიძლება იყოს (ქონებრივ დავებს არბიტრაჟიც განიხილავს).

რაც შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, მისი როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა დაადგინოს (დააწესოს) უწყებრივი ქვემდებარეობის სამართლებრივი კრიტერიუმები, ასევე უფლების დაცვის კონსტიტუციური უფლების სასამართლო წესით განხორციელების მექანიზმი და სხვადასხვა სასამართლოთა კომპეტენცია, მაგრამ მას არავითარ შემთხვევაში არა აქვს უფლება უშუალოდ თვითონ გადაწყვიტოს კონფლიქტური სიტუაციები. საკანონმდებლო ხელისუფლებას (ვთქვათ, პარლამენტის კომისიას) მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ პოლიტიკური შეფასება მისცეს ამა თუ იმ მოვლენას, მაგრამ უფლება არა აქვს სამართლებრივი შეფასება მისცეს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, მიუთითოს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების კანონიერებაზე ანდა უკანონობაზე, რამეთუ მოცემული საკითხების გადაწყვეტა მიეკუთვნება სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას, ე.ი. სასამართლო უწყების გადასაწყვეტია.

ამრიგად, უწყებრივი ქვემდებარეობა არის უფლების შესახებ დავის ან სხვა იურიდიული საქმის (სამართლებრივი საკითხის) განსაზღვრული ორგანოს კომპეტენციისადმი (გამგებლობისადმი) მიკუთვნება. ამგვარი საქმეების უმრავლესობა წყდება სასამართლოების მიერ, თუმცა ზოგიერთი დავის (სამართლებრივი საკითხის) გადაწყვეტა გადაცემული აქვს სხვა ორგანოების გამგებლობას.

თითოეულ ორგანოს უფლება აქვს მხოლოდ ის საკითხები გადაწყვიტოს, რომლებიც უწყებრივად ექვემდებარება მას. უწყებრივი ქვემდებარეობა არის ერთ-ერთი პირობა, რომელზეც დამოკიდებულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლების წარმოშობა. მაგრამ უწყებრივი ქვემდებარეობა არა მხოლოდ უფლების წარმომშობი ფაქტობრივი გარემოებაა. მთელ რიგ შემთხვევებში, როცა საქმე უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს, აღნიშნული გარემოება შეიძლება იყოს უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი და უფლების შემწყვეტი იურიდიული ფაქტიც კონკრეტული სიტუაციისდა მიხედვით (იხ., მაგალითად, სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" და „დ" პუნქტები; 272-ე მუხლის „ა" და „ვ" პუნქტები). თუ მაგალითად, საერთო იურისდიქციის სასამართლოში შევიდა განცხადება ისეთ საქმეზე, რომელიც უნდა გადაწყდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, სასამართლო არ მიიღებს ასეთ სარჩელს სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა უწყებრივი ქვემდებარეობის

დარღვევა აღმოჩნდება პროცესის დაწყების შემდეგ, საქმისწარმოება უნდა შეწყდეს (272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

§2. სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეები

რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ კანონით ამომწურავად განისაზღვროს, თუ კონკრეტულად რომელი საქმეები ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად. ამიტომ არის, რომ საპროცესო კოდექსი შეიცავს ზოგად დებულებებს, თუ რა ხასიათის, რა კატეგორიის საქმეები შეიძლება განიხილოს სასამართლომ. ამ საქმეთა კატეგორიებს შეეხება საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი, ხოლო მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ კანონით სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც.

კონკრეტულად კი, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, თუ ამ საქმეთა განხილვა, კანონის თანახმად, სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის, კერძოდ, სასამართლოები განიხილავენ სასარჩელო საქმეებს, როგორიცაა:

ა) სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო (ანუ მიწის), ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები ფიზიკურ პირებს, ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

სამოქალაქო-სამართლებრივი, შრომის-სამართლებრივი თუ სხვა ურთიერთობებისადმი ამა თუ იმ ურთიერთობის მიკუთვნების, ასე ვთქვათ, გარეგნული ნიშანია ის, თუ ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები რომელ სამართლებრივ წყაროებშია მოცემული, კერძოდ: თუ სამართალურთიერთობა წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, ანდა სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი წყაროებით, ეს ურთიერთობა სამოქალაქო-სამართლებრივია (კერძო-სამართლებრივია). თუ მის მომწესრიგებელ ნორმებს შრომის კოდექსი ან შრომის სამართლის სხვა წყარო შეიცავს, ეს ურთიერთობა ჩაითვლება შრომით-სამართლებრივ ურთიერთობად და ა.შ. მაგრამ სამართლის ზოგიერთ წყაროს საერთოდ არა აქვს ნათლად გამოხატული დარგობრივი კუთვნილება. მსგავს შემთხვევებში სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის (მისი იურიდიული ბუნების) განსაზღვრისათვის ვერ დავეყრდნობით გარეგნულ ნიშანს, არამედ, ამ შემთხვევაში, უნდა გამოვიდეთ სადავო სამართალურთიერთობის ელემენტების (სუბიექტი, ობიექტი, უფლება-მოვალეობა) ანალიზიდან და ამ გზით დავადგინოთ, თუ სინამდვილეში რომელ დარგს მიეკუთვნება ეს ურთიერთობა.

კანონი ცალკე გამოყოფს საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. საპროცესო კოდექსში სამართალწარმოების ცალკე სახედაა გამოყოფილი საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება, განსაზღვრულია ამ საქმეთა წარმოების თავისებურებანი. საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი მრავალი სამართლებრივი დავა და სამართლებრივი საკითხი სასამართლო წესით წყდება. თუმცა საოჯახო უფლებათა დაცვა არასასამართლო წესითაც არის შესაძლებელი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას განქორწინება დასაშვებია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში (იხ. სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლი). სსსკ-ს მე-11 მუხლის თანახმად სასამართლოს უფლება არა აქვს განიხილოს საქმე, რომელიც კანონით სხვა ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნება.

ზოგჯერ კანონი ითვალისწინებს საოჯახო უფლებების დაცვის შესაძლებლობას სანოტარო წესით. მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

ბ) საქმეები საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს (გაერთიანებებს) შორის დავის შესახებ. აღნიშნული დავები შეიძლება წარმოიშვას როგორც ამ ორგანიზაციებს შორის,ისე ამ და სხვა ორგანიზაციებს შორის. რელიგიურ ორგანიზაციებში იგულისხმება არა მარტო მართლმადიდებლური ორგანიზაციები,არამედ ნებისმიერი კონფესია,რომელიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია და საქმიანობს საქართველოში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში საუბარია სხვადასხვა ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვაზე,ანუ ეს შეიძლება იყოს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე სასარჩელო და გამარტივებული წარმოების საქმეები. მაგრამ გარდა სასარჩელო და გამარტივებული წარმოების საქმეებისა, სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება აგრეთვე უდავო წარმოების საქმეებიც, რომლებიც ჩამოთვლილია სსსკ-ის 310-ე და 312-ე მუხლში.

გარდა ჩამოთვლილი საქმეებისა,საერთო სასამართლოებს უფლება აქვთ განიხილონ **სხვა კატეგორიის საქმეებიც**,რომლებიც (რომელთა განხილვაც) მათ კომპეტენციას მიეკუთვნება (სსსკ-ის მე-11 მუხლი),ე.ი. ისეთი საქმეები,რომლებიც კანონის შესაბამისად უწყებრივად არ ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს და არასასამართლო ორგანოებს. ასე მაგალითად, საერთო სასამართლოებს უწყებრივად ექვემდებარება მთელი რიგი წინასახელშეკრულებო დავები. კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა უკავია ბაზარზე, აკისრებს საქმიანობის ამ სფეროში ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. ამიტომ,თუ ის მხარე, რომლისთვისაც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ხელშეკრულების დადება სავალდებულოა, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ხელშეკრულების იძულებითი წესით დადების მოთხოვნით.

სასამართლოები განიხილავენ ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საქმეებს, აგრეთვე იმ საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები (აპატრიდები), საწარმოები და ორგანიზაციები.

სასამართლოების მიერ განსახილველ საქმეთაგან არბიტრაჟები განიხილავენ მხოლოდ ქონებრივ დავებს,რომლებიც არბიტრაჟს მხარეთა შეთანხმებით გადაეცემა (სსსკ-ის მე-12 მუხლი). ამდენად,არბიტრაჟის უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრისათვის კანონმდებლობით ორი კრიტერიუმი გამოიყენება (ორი კრიტერიუმი არსებობს): დავა უნდა იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი (კერძოდ კი,ქონებრივი) და მხარეთა შეთანხმება (რომელიც წერილობით ფორმდება). ასეთი საარბიტრაჟო ხელშეკრულება (შეთანხმება) ცალკეც შეიძლება გაფორმდეს (ცალკე დოკუმენტში), შეიძლება სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებაშიც აისახოს საარბიტრაჟო დათქმა. თუ ფიზიკური პირები თანხმდებიან დავის არბიტრაჟში განხილვაზე, მაშინ ეს შეთანხმება სანოტარო წესით დასტურდება.

თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ზოგადი სახით არის ფორმულირებული და მასში არ არის მითითებული, კონკრეტულად თუ რომელმა არბიტრაჟმა უნდა განიხილოს საქმე, მაშინ საქმე უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარეა. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ფორმულირებულია ალტერნატიული სახით: „განიხილოს არბიტრაჟმა ან სასამართლომ," ასეთ შემთხვევაშიც საქმე უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარეა. თუ სასამართლოში აღძრული სარჩელი შეიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე მოთხოვნას,რომელთაგან ერთ-ერთი უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარეა, ხოლო მეორე – არბიტრაჟისა, მაშინ საქმეს განიხილავს და გადაწყვეტს საერთო იურისდიქციის სასამართლო,თუკი მოთხოვნათა განცალკევება შეუძლებელია.

იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნათა განცალკევება შესაძლებელია, სასამართლო განიხილავს იმ მოთხოვნას, რომელიც უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება, ხოლო იმ მოთხოვნის ნაწილში, რომელიც უწყებრივად არბიტრაჟს ექვემდებარება, არ მიიღებს

სარჩელს. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში სასამართლომ უნდა მიუთითოს მოტივებიც (დაასაბუთოს), რომელთა საფუძველზეც მან გამოიტანა დასკვნა მოთხოვნათა განცალკევების შესაძლებლობის თუ შეუძლებლობის შესახებ.

ჩვენი აზრით საეჭვოა არბიტრაჟის ინსტიტუტის კონსტიტუციურობის საკითხი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არბიტრაჟს არ გააჩნია ფუნქციონირების კონსტიტუციური საფუძველი. კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულია მართოოდენ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება,ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან გამომდინარე,კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნორმად უნდა ჩაითვალოს არბიტრაჟის კანონის მე-9 მუხლი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2015 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად მართალია გაუქმდა სსსკ-ის 186-ე და 272-ე მუხლების ის ქვეპუნქტები,რომლებიც გამორიცხავდნენ სარჩელის სასამართლოში განხილვის შესაძლებლობას საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში და დღეს უკვე მოპასუხის ნებაზეა დამოკიდებული,შესაგებლით სადავოს გახდის თუ არა საქმის სასამართლოსადმი უწყებრივ ქვემდებარეობას (იხ. არბიტრაჟის კანონის მე-9 მუხლი), მაგრამ ეს ცვლილებები საკმარისი არ არის. აუცილებელია უარი ვთქვათ არბიტრაჟის ინსტიტუტზე. შედარებისათვის ჩვენს მოსაზრებას განამტკიცებს სამოქალაქო მატერიალური კოდექსის მე-13 და 1179-ე მუხლების დანაწესები. მე-13 მუხლი კრძალავს ქმედუნარიანობის შეზღუდვას გარიგებით. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება უფლება-ქმედუნარიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. 1179-ე მუხლი კი დაუშვებლად მიიჩნევს საქორწინო ხელშეკრულებით სასამართლოში მიმართვის უფლების შეცვლას. როგორც ცნობილია,არბიტრაჟი განიხილავს ქონებრივ დავას. საქორწინო ხელშეკრულებით განისაზღვრება მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობანი (სკ-ის 1172-ე მუხლი). მაშასადამე, მეუღლეებს შორის ქონებრივი დავის წამოჭრის შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი განიხილოს დავა. კონსტიტუციით გარანტირებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიც მოითხოვს, რომ არა მარტო მეუღლეთა, არამედ ნებისმიერი პირის უფლება იქნეს დაცული სასამართლოს წესით. **ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის** მე-6 მუხლიც ხდის გარანტირებულს სასამართლოზე უფლებას. მართალია ჩვენი მოსაზრება იმ საყოველთაოდ ცნობილ დებულებას ეწინააღმდეგება, რომლითაც არბიტრაჟი დავის განმხილველი ალტერნატიული ინსტიტუტია, მაგრამ ეს ორგანო მაშინ შეასრულებს ამგვარ ფუნქციას, თუ მას კონსტიტუციური საფუძველი შეექმნება. საარბიტრაჟო შეთანხმებით მხარის შებოჭვა და მისთვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების წართმევა, ლახავს სასამართლოზე უფლებას.

დაბოლოს,უწყებრივად არაქვემდებარე საქმის განხილვა სასამართლოს მიერ,გამოიწვევს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას (სსსკ-ის 394-ე მუხლი).

თავი XIII

განსჯადობა

§1. განსჯადობის ცნება და სახეები

1. **განსჯადობის ცნება.** სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების (სამოქალაქო საქმის აღძვრის) შესახებ გადაწყვეტილების მიმღებმა სასამართლომ სხვა საკითხებთან ერთად ერთ-ერთი უმთავრესი საკითხიც უნდა გადაწყვიტოს, კერძოდ, განსჯადობის საკითხი, ე.ი. უნდა განისაზღვროს, მოცემული საქმე არის თუ არა მოცემული კონკრეტული სასამართლოს განსჯადი, შეუძლია თუ არა ამ სასამართლოს მისი განხილვა-გადაწყვეტა.

განსჯადობის ცნება უნდა განვასხვაოთ უწყებრივი ქვემდებარეობის ცნებისაგან, კერძოდ, უწყებრივი ქვემდებარეობის შესახებ ნორმების (უწყებრივი ქვემდებარეობის ინსტიტუტის) მეშვეობით გამიჯნულია საერთო სასამართლოების კომპეტენცია სხვა იმ სასამართლოთა (და ორგანოების) კომპეტენციისაგან, რომლებსაც უფლება აქვთ განიხილონ და გადაწყვიტონ ესა თუ ის სამართლებრივი საკითხი, ანუ გამიჯნულია სხვადასხვა ორგანოთა კომპეტენცია საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის საკითხში.

განსჯადობის მომწესრიგებელი ნორმები კი განსაზღვრავენ ერთიანი სასამართლო სისტემის შიგნით ამ სისტემის კონკრეტული სასამართლოების კომპეტენციას სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის საკითხში, ანუ განსჯადობის ინსტიტუტის მეშვეობით გამიჯნულია კომპეტენცია თვითონ სასამართლოებს შორის.

სასამართლოს მიერ განცხადების წარმოებაში მიღების დროს საჭიროა საქმეთა როგორც უწყებრივი ქვემდებარეობის, ისე განსჯადობის სწორი განსაზღვრა. ამიტომ პირობა იმისა, რომ სამოქალაქო პროცესი შედგეს და დავა იქნეს განხილული, არის მოსამართლის მიერ ორი ამოცანის გადაწყვეტა:

ა) მიეკუთვნება თუ არა კონკრეტული დავის გადაწყვეტა სასამართლო გამგებლობას (უწყებრივი ქვემდებარეობა), შესაბამისად, თავდაპირველად სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მოცემული საქმე საერთოდ განხილული უნდა იქნეს სასამართლოში და არა სხვა ორგანოში. ბ) შემდეგ უნდა გაირკვეს, თუ საერთო სასამართლოების სისტემის კონკრეტულად რომელი სასამართლოა (რომელი რგოლია) ვალდებული განიხილოს მოცემული საქმე, ვთქვათ, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების რომელი სასამართლოა კომპეტენტური არსებითად გადაწყვიტოს ეს საკითხი (კონკრეტული დავა).

ამრიგად, განსჯადობა ეს არის პროცესის ინსტიტუტი (ნორმების სისტემა), რომელიც აწესრიგებს სასამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეების კონკრეტული სასამართლოს გამგებლობისადმი მიკუთვნების საკითხს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსჯადობა არის სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმის კონკრეტული სასამართლოს გამგებლობისადმი მიკუთვნება.

2. **განსჯადობის სახეები.** ძირითადი ნიშნების მიხედვით განასხვავებენ გვარეობით, ანუ საგნობრივ და ტერიტორიულ განსჯადობას. ეს უკანასკნელი თავის თავში მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის რამდენიმე სახეს, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

2.1. **გვარეობითი (საგნობრივი) განსჯადობა.** საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემას ქმნიან: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლოები (თბილისისა და ქუთაისის), საქართველოს უზენაესი სასამართლო. გვარეობითი (ანუ საგნობრივი) განსჯადობა განსაზღვრავს საერთო სასამართლოების ამ სხვადასხვა რგოლის სასამართლოთაგან, თუ კონკრეტულად რომელი რგოლის სასამართლომ უნდა განიხილოს დავა არსებითად. გვარეობითი განსჯადობის წესი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, საერთო სასამართლოს სისტემის რომელი დონის (რომელი სახის) სასამართლომ უნდა

მიიღოს საქმე პირველი ინსტანციით. გვარეობითი განსჯადობის წესი უპირობო ხასიათისაა. შესაბამისად, გამორიცხავს კანონით დადგენილი გვარეობითი განსჯადობის მხარეთა შეთანხმებით შეცვლის შესაძლებლობას.

გვარეობითი განსჯადობის მეშვეობით ხორციელდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, სააპელაციო სასამართლოების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციათა გამიჯვნა. კომპეტენციის გამიჯვნა ხდება საერთო სასამართლოების სისტემის თითოეული ამ სასამართლოს გამგებლობისადმი, დავის საგნის ხასიათის მიხედვით, კანონით განსაზღვრული გვარის საქმეთა მიკუთვნებით, ანუ **გვარეობითი განსჯადობა განისაზღვრება საქმის ხასიათით (საქმის გვარით, მისი სახეობით), ასევე დავის საგნით (მისი ოდენობით).** გვარეობითი განსჯადობის განსაზღვრის (დადგენის) ეს ორი კრიტერიუმი შეიძლება არსებობდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო არ იხილავს პირველი ინსტანციით სამოქალაქო საქმეებს.

გვარეობითი განსჯადობის ზოგადი წესი, მოქმედი საპროცესო კანონით, მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული ყველა საქმე განიხილება რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი გვარეობითი განსჯადობის წესის მიხედვით, გამიჯნულია მაგალითად, კომპენტენცია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესა და მაგისტრატ მოსამართლეს შორის (სსსკ-ის მე-13 და მე-14 მუხლები). რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და მაგისტრატი სასამართლოს განსჯადობის გამიჯვნის კრიტერიუმებია: სარჩელის ფასი და დავის მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათი. შეიძლება დასახელდეს სხვა მაგალითებიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით უარყოფილია ადრე არსებული წესი, რომლის თანახმადაც უმაღლეს სასამართლოს შეეძლო (უფლება ჰქონდა) ამოეღო (ჩამოერთვა) საქმე ნებისმიერი სასამართლოსათვის და მიეღო იგი თავის წარმოებაში პირველი ინსტანციით განსახილველად. მაშინ საქმეებს, ძირითადად, რაიონული სასამართლოები განიხილავდნენ. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ეს ნიშნავს, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვა, უკავშირდება კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვას იმ სასამართლოს მიერ, რომლის განსჯადობასაც იგი განეკუთვნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის წესები გარანტირებულს ხდის ამ კონსტიტუციური დებულების (უფლების) განხორციელებას. ძველი წესის არსებობის ფონზე კი გვარეობითი განსჯადობის ცნება თავის მნიშვნელობას კარგავდა.

2.2. ტერიტორიული განსჯადობა[1]. საქმეთა გვარის (სახის) გარდა, განსჯადობის განსაზღვრის ნიშანია აგრეთვე ტერიტორიაც, რომელზედაც ფუნქციონირებს კონკრეტული სასამართლო.

ტერიტორიული განსჯადობა ეწოდება სასამართლოებისადმი საქმეთა განსჯადობას იმ ტერიტორიისდა მიხედვით, რომელზედაც ვრცელდება მოცემული სასამართლოს საქმიანობა. საერთო სასამართლოების ორგანული კანონის 27-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ამავე კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ტერიტორიული განსჯადობის მეშვეობით შეგვიძლია განვსაზღვროთ (გავმიჯნოთ) ერთგვაროვან სასამართლოებს შორის კომპეტენცია, კერძოდ, ამ ერთგვაროვანი (სასამართლო

[1] ლიტერატურაში შეიძლება შეგეხვდეს ,,სივრცობრივი'' განსჯადობის სახელწოდებითაც.

სისტემის ერთი და იმავე რგოლის) სასამართლოებისაგან, თუ რომელი მათგანის განსჯადია მოცემული საქმე (თუ როგორ უნდა განაწილდეს ერთგვაროვან სასამართლოთა შორის საქმეები). მაგალითად, ცნობილია, რომ ყველა სამოქალაქო დავა სასამართლოს განსჯადია, მაგრამ, თუ რომელი მათგანის განსჯადია კონკრეტული საქმე (მოსარჩელის თუ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი სასამართლოსი), განისაზღვრება ტერიტორიული განსჯადობის შესახებ ნორმებით.

სამოქალაქო საქმეთა განსჯადობა დამოკიდებულია ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, რომელზედაც მოქმედებს მოცემული სასამართლო.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში ტერიტორიულ განსჯადობას რამდენიმე ქვესახედ ყოფენ, კერძოდ:

ა) სამოქალაქო საქმეთა **საერთო განსჯადობა** განისაზღვრება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილით. ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი (საერთო განსჯადობა) დადგენილია სსსკ-ის მე-15 მუხლით. ამ წესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სარჩელი წარედგინება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, საერთო განსჯადობის წესის თანახმად, სამოქალაქო საქმე მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის სასამართლოს განსჯადია, ხოლო თვითონ საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით დადგენილი წესებით.

სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

ტერიტორიული განსჯადობის წესის შესაბამისად ხდება კონკრეტული სასამართლოს განსაზღვრა, რომელსაც უნდა მიმართოს სარჩელით (განცხადებით) დაინტერესებულმა პირმა, კერძოდ, ეს იქნება რაიონული (საქალაქო) სასამართლო, თუ საქმე გვაროვნული განსჯადობის მიხედვით მიეკუთვნება სასამართლო სისტემის მოცემულ რგოლს. ამ ნორმაში ჩადებულია ინტერესის პრინციპი, კერძოდ კი: იმან, ვინც დაინტერესებულია, რომ დაიცვას თავისი უფლებები, სარჩელი უნდა წარადგინოს იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ცხოვრობს მოპასუხე.

მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება სარჩელის წარდგენის მომენტში. სარჩელის წარდგენის შემდეგ მოპასუხის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, არ ცვლის საქმის თავდაპირველ განსჯადობას.

საცხოვრებელი ადგილის დადგენა სასამართლოს მიერ არ წარმოებს. სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტის თანახმად, მოსარჩელე, თვითონაა ვალდებული სარჩელში მიუთითოს მოპასუხის მისამართი (საცხოვრებელი ადგილი).

თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, მაშინ სარჩელი სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო სსსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია სარჩელი წარადგინოს სასამართლოში მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელის მიხედვითაც. სამოქალაქო კანონმდებლობა არ განისაზღვრავს ადგილსამყოფლის ცნებას, ანუ იმას, თუ რა ითვლება პირის ადგილსამყოფლად. ვფიქრობთ, ადგილსამყოფლად უნდა ჩაითვალოს ის ადგილი, სადაც ფიზიკური პირი დროებით იმყოფება, მაშინ, როცა ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს.

თუ მოსარჩელისათვის მოპასუხის ადგილსამყოფელი (საცხოვრებელი ადგილი) უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საცხოვრებელ ადგილად არ ჩაითვლება მსჯავრებულთათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილი, ან ავადმყოფისათვის საავადმყოფო, ამიტომ ასეთი პირების მიმართ სასამართლოს

სარჩელი შეიძლება წარედგინოს უკანასკნელად ცნობილი საცხოვრებელი ადგილის ან ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

რაც შეეხება იურიდიული პირების ადგილსამყოფელის განსაზღვრას, იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის (დირექციის, გამგეობის და ა.შ.) მდებარეობის ადგილი.

იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). იურიდიული პირის სხვა ადგილსამოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფელად (სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლი). ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სარჩელის წარდგენას იურიდიული პირის ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად საქმეებზე (სსსკ-ის მე-14 მუხლი) სარჩელები (განცხადებები) სასამართლოში შეიტანება მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

რაც შეეხება არასასარჩელო წარმოების საქმეთა განსჯადობას, ზოგადი წესის თანახმად, არასასარჩელო წარმოების დროს სამოქალაქო საქმეთა განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება.

შეგებებული სარჩელი იმისდა მიუხედავად, თუ რომელი სასამართლოს განსჯადია, წარედგინება სასამართლოს პირვანდელი სარჩელის განხილვის ადგილის მიხედვით.

დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სარჩელი იმ სასამართლოს მიერ განიხილება (იმ სასამართლოს განსჯადია), რომელიც განიხილავს საქმეს, რომელშიც შედის ეს პირი.

ბ) **ალტერნატიულია განსჯადობა,** როცა საქმე შეიძლება განხილულ იქნეს კანონში მითითებული რამდენიმე სასამართლოდან ერთ-ერთ სასამართლოში (ერთ-ერთი სასამართლოს მიერ) მოსარჩელის არჩევით. განსჯადობა მოსარჩელის არჩევით (ალტერნატიული განსჯადობა) ნიშნავს, რომ საქმე (დავა) არა მხოლოდ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) სასამართლოს განსჯადია, არამედ სხვა სასამართლოს განსჯადიც შეიძლება გახდეს. სსსკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, როცა საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს (ეს მოსარჩელისათვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობაა, სამართლებრივი დავის გადასაწყვეტად რამდენიმე სასამართლოდან მიმართოს მისთვის ხელსაყრელს). მაგალითად, თამასუქის თაობაზე გამარტივებული წესით სარჩელი შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს გადახდა (თამასუქის განაღდება), ისე სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ სარჩელი ერთობლივად რამდენიმე თამასუქვალდებულის მიმართ იქნება მიმართული, მაშინ ასევე ნებისმიერ სასამართლოში ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, არც ერთ დასახელებულ სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სარჩელის მიღებაზე სსსკ-ის 186-ე მუხლის „ე" პუნქტზე მითითებით, ან იმ მოტივით, რომ შესაძლებელია საქმის განხილვა სხვა სასამართლოშიც.

ალტერნატიული განსჯადობის წესების არსი და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას დამატებითი ხელსაყრელი სამართლებრივი გარანტიები სასამართლოს არჩევის საკითხში პროცესის იმ მხარისათვის, რომელიც მოითხოვს დარღვეული, ანდა სადავო უფლების სასამართლო წესით დაცვას. ალტერნატიული განსჯადობის წესებში გათვალისწინებულია (მხედველობაშია მიღებული) განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია იმ პირთა უფლებებისა და ინტერესების უკეთ დაცვასთან, რომელთაც უფლებათა სასამართლო წესით დაცვა სჭირდებათ.

გ) განსაკუთრებულია განსჯადობა, რომელიც უშვებს განსაზღვრული კატეგორიის საქმეთა განხილვას მხოლოდ ერთ რომელიმე, კანონით ზუსტად განსაზღვრულ სასამართლოში. განსჯადობის ამ სახეს განსაკუთრებული ეწოდება იმიტომ, რომ ამ განსჯადობით დადგენილი წესები გამორიცხავენ ტერიტორიული განსჯადობის სხვა სახეების (ზოგადის, ალტერნატიულის, სახელშეკრულებოსა და სხვ.) გამოყენების შესაძლებლობას. განსაკუთებული განსჯადობის სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოს არჩევა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის ნებაზე, არამედ განსჯადი სასამართლო ზუსტად არის განსაზღვრული (დადგენილი) კანონით, ამ საქმეებიდან გამომდინარე სარჩელების აღძვრა კანონით დადგენილი სასამართლოების გარდა სხვა სასამართლოებში, დაუშვებელია (გამორიცხულია).

განსაკუთრებული განსჯადობა დადგენილია სსსკ-ის მე-16 მუხლით.[1] აქ მითითებულია, რომ სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. ეს ნორმა სრულყოფილად ფორმულირებული არ არის, რადგან არ განსაზღვრავს თუ ვის მიმართ აღიძვრება ასეთი სარჩელი. იმდენად, რამდენადაც ფილიალი არ არის დამოუკიდებელი სუბიექტი, იგულისხმება რომ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე სარჩელი სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის მიმართ. სარჩელის წარდგენის ასეთი წესი მხოლოდ იმას უკავშირდება, რომ სარჩელი უშუალოდ უნდა გამომდინარეობდეს თავად ფილიალის საქმიანობიდან. იურიდიული პირის ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით წარდგენილი სარჩელი (მოსარჩელის მოთხოვნა) შესაძლოა, სახელდობრ, ეფუძნებოდეს მოსარჩელესა და იურიდიული პირის ფილიალს შორის ხელშეკრულების დადების, შესრულების თაობაზე წარმოშობილ ურთიერთობებს და სხვა. მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი დებულებები: ა) ნორმა ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როცა საქმეზე მოპასუხეს წარმოადგენს იურიდიული პირი, ბ) იურიდიული პირის მიმართ აღძრული სარჩელი დაკავშირებული უნდა იყოს მისი ფილიალის საქმიანობასთან. ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ: ფილიალი იურიდიული პირის განცალკევებული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს სხვა ადგილსამყოფელზე, ვიდრე იურიდიული პირი და ახორციელებს იურიდიული პირის ყველა ფუნქციას, ან ფუნქციათა ნაწილს (ზოგიერთ ფუნქციას), მათ შორის წარმომადგენლობის ფუნქციას. იურიდიული პირის განცალკევებული ქვედანაყოფის სახეებია ფილიალი და წარმომადგენლობა (იხ. სკ-ის 26 და28-ე მუხლები. მეწარმეთა შესახებ კანონი). სსსკ-ის მე-16 მუხლში წარმომადგენლობა მითითებული არ არის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარე სარჩელები წარდგენილი უნდა იქნეს სასამართლოში თავად იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ფილიალების საქმიანობიდან გამომდინარე სარჩელების განსჯადობის წესი ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული წარმომადგენლობების მიმართაც, გ) მოსარჩელე ვალდებულია (და არა უფლებამოსილი) იურიდიული პირის მიმართ სარჩელი იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე აღძრას ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების დროისათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. განსაკუთრებული განსჯადობის ეს წესი თითქოსდა შეიცავს ალტერნატიული განსჯადობის შესახებ ნორმას, კერძოდ: ,,სარჩელი **შეიძლება აღიძრას**

[1] მე-16 მუხლის გარდა, განსაკუთრებული განსჯადობა გამოიყენება აგრეთვე უდავო წარმოების საქმეებზე.

საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით".

კანონით არ არის განსაზღვრული, სამკვიდროს რომელი ქონების ადგილსამყოფლის სასამართლოს შეიძლება წარედგინოს სარჩელი. ამიტომ საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენება შეიძლება გართულდეს იმ შემთხვევაში, როცა სამკვიდრო მასაში შემავალი ქონება სხვადასხვა ადგილას (ვთქვათ, სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონში) იმყოფება. მაგალითად, მამკვიდრებელს საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა სხვადასხვა ადგილას მდებარე უძრავი ქონების ობიექტები.

ვფიქრობთ, რომ მემკვიდრეობის უფლებიდან გამომდინარე, სარჩელების განსაკუთრებული განსჯადობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას ამოსავალი (მთავარი) უნდა იყოს ფიზიკურ პირთათვის უფლების დაცვის სასამართლო ფორმის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კრიტერიუმი. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რომელი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა წარედგინოს სარჩელი სასამართლოს, უნდა გავითვალისწინოთ (მხედველობაში მივიღოთ) ამ ქონების ღირებულება, მოცულობა, როლი ფიზიკური პირის მეურნეობაში, საერთოდ ის, თუ რამდენად ფასეულია ეს ქონება.

განსაკუთრებული განსჯადობის შესახებ დადგენილ ნორმათა მიზანია სსსკ-ის მე-16 მუხლში მითითებულ სამოქალაქო საქმეთა დროულად და სწორად განხილვისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა იმდენად, რამდენადაც იოლდება როგორც მტკიცებულებათა შეკრება (შეგროვება) საქმეზე, ისე პროცესის სხვა საკითხების გადაწყვეტაც, იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები დავის ყველა გარემოების გამოსარკვევად.

განსაკუთრებული განსჯადობის შესახებ დადგენილ ნორმათა მიზანია ისიც, რომ უზრუნველყოს საქმეზე იმ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, სადაც იმყოფება დავის საგანი. მაგალითად, უფრო ხელსაყრელია ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინოს ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო (სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი). მოცემული ნორმა ვრცელდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერ სარჩელზე. ამ ნორმის საფუძველზე განსჯადობის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ: ა) ხელშეკრულების შესრულების ადგილი ან ის ადგილი, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულდეს განისაზღვრება მატერიალური კანონით ან ხელშეკრულებით. მაგალითად, კანონით, კერძოდ კი სკ-ის 362-ე და 386-ე მუხლებით, განსაზღვრულია ვალდებულების შესრულების ადგილი. თუ მხარეები არ განსაზღვრავენ ვალდებულების შესრულების ადგილს, მაშინ იგი განისაზღვრება კანონით. მაგალითად, მხარეებს შეუძლიათ დათქვან ტვირთის გადაზიდვის ადგილი (სკ-ის 480-ე მუხლი), მიბარებული ნივთის დაბრუნების ადგილი (სკ-ის 772-ე მუხლი) და სხვა.

როდესაც სარჩელის განსჯადობის განსაზღვრა ხდება „ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით", მოცემული დებულების გამოყენების აუცილებელ პირობას ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების კონკრეტული ადგილი. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია სარჩელი მოპასუხის მიმართ აღძრას ხელშეკრულების რეალური შესრულების ადგილის მიხედვით, რომელიც უნდა ემთხვეოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ შესრულების ადგილს; ბ) რაც შეეხება სარჩელის განსჯადობის განსაზღვრას იმ ადგილის მიხედვით „სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო", იგი გულისხმობს კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით სარჩელის განსჯადობის განსაზღვრას.

დ) **სახელშეკრულებო (ანუ ნებაყოფლობითი) განსჯადობა** ეწოდება მხარეთა შეთანხმებით

დადგენილ განსჯადობას. სახელშეკრულებო განსჯადობა ნიშნავს, რომ მხარეებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ დაადგინონ მოცემული კონკრეტული სამოქალაქო საქმის ტერიტორიული განსჯადობა.

მხარეთათვის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის დადგენის უფლების მინიჭება მათი შეთანხმების საფუძველზე, მიზნად ისახავს მათი ინტერესების უზრუნველყოფას.

სსსკ-ის 23-ე მუხლისგან განსხვავებით, როცა საქმის გადაცემა სხვა სასამართლოსთვის ობიექტური მიზეზით არის გამოწვეული, სსსკ-ის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის გადაცემა სასამართლოსათვის გამოწვეულია სუბიექტური მიზეზით, კერძოდ, მხარეთა შეთანხმებით, მათი ნების გამოვლენით, როცა მხარეები თვლიან, რომ საქმე შეიძლება უფრო სწრაფად და სწორად იქნეს განხილული მათ მიერ შერჩეულ სასამართლოში. მხარეთა ასეთი შეთანხმება სხვათა უფლებებსა და საჯარო ინტერესებს არ ხელყოფს, ამიტომ მართლსაწინააღმდეგოდაც არ შეიძლება ჩაითვალოს.

სახელშეკრულებო განსჯადობის წესის არსებობა შეესაბამება დისპოზიციურობის პრინციპს. სხვა დისპოზიციურ უფლებამოსილებებთან ერთად, მხარეებს უფლება აქვთ თვითონ განსაზღვრონ განსჯადი სასამართლო,თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო (სსსკ-ის 21-ე მუხლი). ამ დებულების ანალიზს თუ მოვახდენთ (განსაკუთრებით ყურადღება უნდა გავამავილოთ სიტყვაზე ,,ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო''),შეიძლება ითქვას,რომ მხარეებს უფლება აქვთ შეცვალონ ტერიტორიული განსჯადობის მხოლოდ ორი ქვესახე: საერთო განსჯადობა და ალტერნატიული განსჯადობა, რაც შეეხება მე-16 მუხლით დადგენილ განსაკუთრებულ ტერიტორიულ და გვარეობით განსჯადობას, განსაკუთრებული განსჯადობა, ისევე როგორც გვარეობითი განსჯადობა, არ შეიძლება განისაზღვროს (შეიცვალოს) მხარეთა შეთანხმებით, ვინაიდან განსჯადობის ეს ორივე სახე კანონითაა პირდაპირ და უპირობოდ (ანუ ერთმნიშვნელოვნად) განსაზღვრული.

როგორც ითქვა, სახელშეკრულებო განსჯადობა უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების დაცვას, ამ ინტერესების გათვალისწინებას და ეს მართლაც ასეა, ვინაიდან მხარეებს ერთგვარი მანევრირების შესაძლებლობა ეძლევათ მოსარჩელის ან მოპასუხის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ გათვალისწინებულ იქნეს ან მოსარჩელის, ან მოპასუხის ინტერესები (ვთქვათ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქმე, დავა განიხილოს სასამართლომ მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით). შეთანხმება ფორმდება წერილობით. ამგვარი შეთანხმება განსჯადობის შესახებ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა შორის დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ერთ-ერთ ცალკე პუნქტადაც. მაგალითად, მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ, რომ ყველა დავა, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, განხილულ იქნეს განსაზღვრულ სასამართლოში. ასეთი შეთანხმება შეიძლება დაიდოს შემდგომშიც, დავის წარმოშობის დროსაც, მაგრამ სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებამდე. საერთოდ, მხარეთა შეთანხმება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს. მაგალითად, მხარეებს უფლება აქვთ განახორციელონ სატელეგრაფო შეტყობინება, საკმარისია ასევე ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა (სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლი), მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ ინფორმაციის გადაცემის სხვა საშუალებებიც და განსაზღვრონ ტერიტორიული განსჯადობა.

აშკარაა, რომ სახელშეკრულებო განსჯადობას მრავალი უპირატესობა გააჩნია მხარეთათვის, უფრო მოსახერხებელია (ხელსაყრელია) მათთვის, რამეთუ კანონით გათვალისწინებულია მათი უფლება, თვითონ აირჩიონ ტერიტორიულად უფრო მოსახერხებელი (ხელსაყრელი) სასამართლო.

ხელშეკრულება განსჯადობის შესახებ სავალდებულოა მხარეთათვის. ხელშეკრულების პირობათა შეცვლა ერთ-ერთი მხარის მიერ დაუშვებელია. კანონი არ აძლევს მხარეს

უფლებას ცალმხრივად შეცვალოს განსჯადობის შესახებ ხელშეკრულების პირობები.

კანონით ასევე გათვალისწინებულია ქონებრივი, ნივთობრივი და ოჯახური დავების განსჯადობა (მუხლები მე-17, მე-18, მე-19).

სსსკ-ის მე-18 მუხლით დადგენილი ნივთობრივი განსჯადობა ითვალისწინებს, რომ სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი, დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, ასევე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან (მათ შორის სარგებლობის წესის განსაზღვრასთან) დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება ასევე სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

მე-18 მუხლით ფაქტობრივად დადგენილია უძრავ ქონებაზე ნებისმიერი უფლების შესახებ აღძრული სარჩელის განსჯადობის წესი. თუკი სადავოა სხვადასხვა ადგილას მდებარე უძრავ ქონებაზე უფლება და მოთხოვნათა განცალკევება დაუშვებელია, მაშინ ყველა ეს მოთხოვნა განიხილება ერთ-ერთ სასამართლოში მოსარჩელის არჩევით. უძრავი ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადობის დადგენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამის მეშვეობით იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები საქმის დროულად და სწორად განსახილველად, რამეთუ იოლდება მტკიცებულებათა შეგროვება (მათი წარდგენა), ვინაიდან უძრავ ნივთებთან დაკავშირებული დოკუმენტები (მტკიცებულებები), ანუ დოკუმენტები, რომლებიც შეეხება უძრავ ნივთებს, იმყოფება (ინახება) საჯარო რეესტრის ადგილობრივ (რაიონულ, საქალაქო) სააგენტოებში, უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, ამ სააგენტოებში დღესდღეობით შექმნილია საჯარო რეესტრი. ასევე იოლდება სასამართლოს მიერ სხვადასხვა საპროცესო მოქმედების შესრულება, მაგალითად, ნივთების ადგილზე დათვალიერება და სხვა, უფრო ხელსაყრელია ამ ნივთების ადგილსამყოფელის სასამართლოსთვის. შესაბამისად, **ნორმის მიზანია** მასში ჩამოთვლილ საქმეთა კატეგორიების სწორად და დროულად განხილვისათვის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფა. ამ საქმეთა სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, რთული იქნება მათი განხილვა სხვა ადგილას (იგივე შეიძლება ითქვას განსაკუთრებულ განსჯადობაზეც – მე-16 მუხლი). ამასთან, მე-18 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესი ალტერნატიული განსჯადობის სახით არის ფორმულირებული, რადგან ამ ნორმის მიხედვით „სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.“

§2. საქმის გადაცემა განსჯადი სასამართლოსათვის

განსჯადობის შესახებ საკითხს წყვეტს მოსამართლე ერთპიროვნულად სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების დროს. თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მაშინ მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს (სსსკ-ის 186-ე მუხლი), რაზედაც გამოიტანს მოტივირებულ (დასაბუთებულ) განჩინებას, რომელშიც ვალდებულია მიუთითოს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მოსარჩელემ. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინებაზე (მათ შორის, რა თქმა უნდა, როცა არაგანსჯადობის მოტივითაა ეს განჩინება მიღებული) შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. თუკი განსჯადობის წესების დარღვევის ფაქტი აღმოჩნდება საქმის შეცდომით აღძვრის შემდეგ საქმის მომზადების სტადიაზე, ან სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაშინ დგება შემდეგი სამართლებრივი შედეგი: სსსკ-ის 23-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ საქმე უნდა გადასცეს განსახილველად სხვა სასამართლოს სათანადო განსჯადობის მიხედვით.

სამოქალაქო საქმის გადაცემა ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში, საგამონაკლისო მოვლენაა. განსჯადობის ზოგადი წესი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს (საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი). მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისგან 3000 ლარს, მაგრამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ შეამცირა მოთხოვნა 2000 ლარამდე. სსსკ-ის მე-14 მუხლის თანახმად, მართალია ქონებრივ დავას, როცა სარჩელისფასი 2000 ლარს არ აღემატება მაგისტრატი მოსამართლე იხილავს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქმე განსჯადობის წესის დაცვით არის მიღებული, მისი გადაცემა მაგისტრატი მოსამართლისთვის არ შეიძლება, შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ უნდა განიხილოს. 22-ე მუხლი ადგენს საქმის განსჯადობის შეუცვლელობის ზოგად წესს. ამ ნორმით დადგენილი დებულება ნიშნავს, რომ ზოგადი წესის მიხედვით საქმის განსჯადობის განსაზღვრაზე გავლენის მომხდენი გარემოებების შეცვლას საქმის სასამართლოს წარმოებაში მიღების შემდეგ იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. მოცემული წესი არ გამოიყენება მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების წარმოებისას სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

როგორც გამონაკლისი სსსკ-ის 22-ე მუხლიდან, შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქმის გადაცემას ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში, მაგრამ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სამოქალაქო საპროცესო ნორმებით დადგენილი წესით.

სსსკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებულია საქმის გადაცემის ორი შემთხვევა, როცა საქმის განსჯადობა იცვლება და ეს არის გამონაკლისი 22-ე მუხლიდან, კერძოდ:

1) თუ სამოქალაქო საქმე აღძრული იყო საერთო ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად სასამართლოში მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მუხლი მე-15), რადგან მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი საქმის აღძვრის დროს უცნობი იყო, ხოლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში დადგინდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი. მაშინ ასეთ შემთხვევაში მოპასუხემ, რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ არ იყო ცნობილი, უნდა მოითხოვოს (ანუ განაცხადოს შუამდგომლობა) თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოში საქმის გადაცემის შესახებ. ასეთი შუამდგომლობის არსებობის შემთხვევაში სასამართლო საქმეს გადასცემს მეორე სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2) განსჯადობის ზოგადი (საერთო) წესების დადგენისას, კანონმდებელმა, გაითვალისწინა ის გარემოებებიც, რომელთა არსებობის დროსაც მოსამართლის მონაწილეობა იმ საქმის განხილვაში, რომელიც თუნდაც მის განსჯადობას შესაძლებელია განეკუთვნებოდეს, დაუშვებელია, რამეთუ ამ გარემოებათა არსებობის გამო შეუძლებელია საქმის განხილვისას სასამართლოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. ამიტომ მოსამართლის აცილება გარდაუვალია. შესაბამისად, საქმე ერთი სასამართლოდან გადაეცემა მეორე სასამართლოს, თუ ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო, ამავე სასამართლოში შეუძლებელია მათი შეცვლა. ამ საფუძვლით საქმის სხვა სასამართლოში გადაცემა აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე უკვე მონაწილეობდა ადრე, მოცემული საქმის განხილვაში და საპროცესო კოდექსის 29-31-ე მუხლების საფუძველზე არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ხელმეორედ მის განხილვაში, ან როცა მხარე განაცხადებს მოსამართლის აცილების შესახებ და ეს განცხადება დაკმაყოფილდება.

სსსკ-ის 29-31-ე მუხლებში ჩამოთვლილი გარემოებები პროცესში მოსამართლის აცილების საფუძვლებია და, აქედან გამომდინარე, საფუძველია საქმის სხვა სასამართლოსათვის გადასაცემად. აცილების შემდეგ საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ ნორმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რეალურად განხორციელდეს უფლების

სასამართლო წესით დაცვის შესახებ კონსტიტუციური დებულება (უფლება). ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მეშვეობით. მოსამართლის აცილების შემთხვევაში საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესაძლებლობის არარსებობა კი არსებითად ნიშნავს უარს მართლმსაჯულებაზე.

საქმე სხვა სასამართლოს გადაეცემა განჩინების საფუძველზე (განჩინება საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესახებ), რომელიც არ გასაჩივრდება.

ამდენად, სხვა სასამართლოს განსახილველად საქმის გადაცემის შესაძლებლობას თუ აუცილებლობას, არ შეიძლება გამორიცხავდეს კანონი, ვინაიდან საქმის გადაცემა სხვა სასამართლოსათვის შეიძლება გამოწვეული იყოს ობიექტური მიზეზებით, რომელთა გამოც შეუძლებელია ან ძნელია საქმის განხილვა მოცემულ სასამართლოში.

აცილების გამო საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის დროს გამოიყენება სსსკ-ის 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესები.

სსსკ-ის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმე სხვა (განსჯად) სასამართლოს უნდა გადაეცეს და, ამასთან, ეს საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა იმ სასამართლოს, რომელსაც მოსარჩელე აირჩევს (ცხადია, რომელიც მისთვის ხელსაყრელი იქნება).

დაბოლოს, სამოქალაქო საქმეთა დროულად განხილვისა და გადაწყვეტის უზრუნველყოფისა და საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სსსკ-ის 24-ე მუხლით დადგენილია უპირობოდ სავალდებულო წესი სასამართლოებისათვის, რომ „დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ არ დაიშვება". ეს ნიშნავს, რომ ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნილ საქმეს წარმოებაში იღებს ის სასამართლო, რომელსაც იგი გადაეგზავნა, თუმცა კი ეს საქმე სინამდვილეში მისი განსჯადი არ იყო. ამიტომ, თუ ეს სასამართლო უარს იტყვის განსახილველი საქმის მიღებაზე, მისი ეს უარი (განჩინება) შეიძლება გასაჩივრდეს.

სსსკ-ის 21-ე მუხლის მეორე ნაწილი იმპერატიულად ადგენს საქმის განხილვაზე არაგანსჯადი სასამართლოს უფლებამოსილებას მხოლოდ აუცილებელი პირობების არსებობისას. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე, იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით, განსჯადობის შეცვლა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სსსკ-ის 186-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტისა და 187-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ არ უნდა მიიღოს მისი არაგანსჯადი სარჩელი და უნდა განუმარტოს მხარეს, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ. სარჩელის მიღების შემდეგ არაგანსჯადობის გამოვლენისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს 21-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ საქმის განხილვის შესაძლებლობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს (სუსგ 2005 წ. №3. სამოქალაქო პროცესი, გვ. 7).

რა სამართლებრივი შედეგები დგება არაგანსჯადობის შემთხვევაში? აქ უნდა აღინიშნოს, რომ არაგანსჯადი სასამართლო სსსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, შეიძლება განსჯადი გახდეს მაშინაც, თუ: 1) მოპასუხე არ იქნება წინააღმდეგი, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა

მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ 2) მოპასუხე წარმოდგენილ იქნება ადვოკატით ან 3) მიეცემა განმარტება არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას აქვს უფლება წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში (21-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საკასაციო პალატა უფლებამოსილი არ არის განიხილოს დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ და ამ წესით დაადგინოს, თუ რომელი დავა რომელი სასამართლოს განსჯადია (სუსგ. 2005 წ. №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 115).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხისაგან განსხვავებით, რომლის დარღვევის გამოც გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და რაც გასაჩივრების აბსოლუტური საფუძველია (სსსკ-ის 394-ე მუხლი), არაგანსჯადობის საკითხთან მიმართებაში საქმე სხვაგვარადაა, კერძოდ, არაგანსჯადი სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუქმდეს, როცა მოპასუხემ მოითხოვა პირველ ინსტანციაში სასამართლოს განსჯადობის შემოწმება, ე.ი. როცა მოპასუხე წინააღმდეგი იყო საქმე არაგანსჯად სასამართლოს განეხილა და წამოაყენა შესაგებელიც არაგანსჯადობის წინააღმდეგ (აღსანიშნავია, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა იწვევს სამართალწარმოების აგებას სამოქალაქო პროცესისგან განსხვავებულ პრინციპზე. მაგალითად სამოქალაქო წესით განსახილველი საქმის განხილვა ადმინისტრაციული წესით და პირიქით. ეს ნიშნავს, რომ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, ამიტომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით).

ადმინისტრაციულ დავათა განხილვის წესი არსებითად განსხვავდება სამოქალაქო დავათა განხილვის პროცედურისაგან.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს და უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებას სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლო თავისი ინიციატივით არ იღებს გადაწყვეტილებას დამტკიცებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ.

აღნიშნულის გამო, როდესაც ადმინისტრაციულ დავას იხილავს სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე, ირღვევა კანონმდებლობით დადგენილ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის უმთავრესი პრინციპი და დავა წყდება იმ აუცილებელი ნორმების გამოყენებისა და გათვალისწინების გარეშე, რაც ადმინისტრაციულ წარმოებას სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოებისაგან განასხვავებს.

საპროცესო ნორმების ამგვარ დარღვევას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. ამ შემთხვევაში სასამართლო არ იყენებს იმ საპროცესო ნორმებს, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების კანონიერებისა და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

მოპასუხეს უფლება ერთმევა სააპელაციო სასამართლოს წინაშე განსახილველად დასვას არაგანსჯადობის საკითხი, თუ ეს საკითხი არ იყო წამოყენებული მის მიერ წინა ინსტანციაში (სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-5 ნაწილი), აქედან გამონაკლისია საპატიო მიზეზის არსებობა, რის გამოც ასეთი მოთხოვნა წინა ინსტანციაში ვერ იქნა წამოყენებული.

თავი XIV

პროცესის ხარჯები

§1. პროცესის ხარჯების ცნება, დანიშნულება და სახეები

სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ფასიანია, ე.ი. მხარეები და მესამე პირები სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიან ფულად თანხებს ნებისმიერი იმ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად, რაც სასამართლომ უნდა შეასრულოს.

სამოქალაქო საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გადახდილ ფულად თანხებს სასამართლო ხარჯები ეწოდება.

სასამართლო ხარჯების ინსტიტუტის საწყისი უნდა ვეძიოთ საჯარო და კერძო სამართლად სამართლის ისტორიულ დაყოფაში. თუ სასამართლოს მიერ განსახილველი და გადასაწყვეტი საქმე შეეხებოდა საზოგადოებრივ (საჯარო) ინტერესებს, მაშინ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს სახელმწიფო თვითონ კისრულობდა; თუ კონფლიქტი წარმოიშობოდა კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში და მისი მოგვარებით (გადაწყვეტით) დაინტერესებული იყო მხოლოდ ცალკეული ინდივიდი (ადამიანები), მაშინ მათ თვითონ უნდა აენაზღაურებინათ (გადაეხადათ) სასამართლოს მიერ გაწეული სამუშაოსათვის (საქმიანობისათვის) თანხები სრულად ან ნაწილობრივ.

მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და ყველა დროში სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის დადგენილი იყო და არის სასამართლო ხარჯი,რომელიც აწევთ მხარეებს,დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს,აგრეთვე განმცხადებლებს არასასარჩელო საქმეებზე.

ამ მხრივ არც ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალია გამონაკლისი. სასამართლო ხარჯებს თანამედროვე საპროცესო სამართალში უფრო ფართო დანიშნულება აქვს, რაც სამი ძირითადი დებულებით შეიძლება გამოიხატოს:

1) სასამართლოში განცხადების შეტანის დროს სასამართლო ხარჯის გადახდის აუცილებლობა საპროცესო საშუალებაა, რომელიც შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს იმისათვის, რომ არ მოხდეს უსაფუძვლო მიმართვა სასამართლო ხელისუფლებისადმი, აგრეთვე მხარეთა უფლებების ბოროტად გამოყენება, რაც ეფექტიანი სამართლებრივი ღონისძიებაა იმ პირთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთაც ჩივილისაკენ აქვთ მიდრეკილება (მუხლი 53-ე).

2) სასამართლო ხარჯი დამატებით იურიდიულ სანქციას წარმოადგენს იმ მოვალისათვის, რომელმაც არაჯეროვნად შეასრულა, ანდა საერთოდ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. სასამართლო, რომელიც დაადგენს მოპასუხის ბრალს, თავისი გადაწყვეტილებით ახდევინებს მას როგორც ძირითად ვალს,ისე სასამართლო ხარჯს (სსსკ-ის 53-ე მუხლი).

3) სასამართლო ხარჯებით ხდება სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯების,აგრეთვე სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით განცდილი ეკონომიკური დანაკარგების ანაზღაურება.

ეს დანახარჯებია: სასამართლოს მუშაკებისათვის მისაცემი ხელფასი, სასამართლოს შენობისა და ავეჯის ამორტიზაციის ხარჯი, საკანცელარიო ხარჯი, სასამართლოში დაბარებული მოწმეების, თარჯიმნების, ექსპერტების, სპეციალისტებისათვის მისაცემი თანხები.

ფიზიკურ პირთა ერთი განსაზღვრული კატეგორიისათვის დაწესებულია შეღავათები სასამართლო ხარჯების გადახდის საკითხში (ხარჯების ანაზღაურების დროს). მაგალითად, სასამართლოს ფიზიკური პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია გაათავისუფლოს იგი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ამავე საფუძვლით სასამართლოს უფლება აქვს მხარეებს შეუმციროს სასამართლო ხარჯის ოდენობა ან

გადაუვადოს სასამართლო ხარჯების გადახდა.

შეღავათი შეეხება მოსარჩელეებსაც და განმცხადებლებსაც, რომლებიც მონაწილეობენ სოციალური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს საქმეთა კატეგორიებში. საქმეთა ეს კატეგორიები განსაზღვრულია კანონით (იხ. სსსკ-ის 46-ე მუხლი და ბაჟის კანონის მე-5 მუხლი).

ამრიგად, სასამართლო ხელისუფლების განხორციელება, ისევე როგორც საბიუჯეტო დაფინანსებით განხორციელებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა, მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს (დანახარჯებს) მოითხოვს. სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე სახელმწიფო ხარჯავს მატერიალურ სახსრებს (თანხებს). კანონით დადგენილი წესით, ამ ხარჯების ნაწილის (მათი ნაწილობრივი) დაფარვის (ანაზღაურების) ვალდებულება ეკისრებათ მხარეებს, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს, განმცხადებლებს (როგორც სასარჩელო წარმოების, ისე უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებზე), რაც (ე.ი. ანაზღაურება) ხორციელდება მათ მიერ სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდით.

სსსკ-ის 37-ე მუხლის თანახმად, პროცესის ხარჯებს შეადგენს: ა) სასამართლო ხარჯები და ბ) სასამართლოსგარეშე ხარჯები.

თავის მხრივ, სასამართლო ხარჯები შედგება სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან. სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯი.

სახელმწიფო ბაჟი არის შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებების შესრულებისა და სათანადო საბუთების (დოკუმენტების) გაცემისათვის (მათ შორის საქმის განხილვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ შესრულებული მოქმედებებისათვის). სახ. ბაჟი მხარეებს შეაქვთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე (სსსკ-ის 52-ე მუხლი).

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების მიზანია სახელმწიფოსათვის იმ ხარჯებისა (დანახარჯების) და საბიუჯეტო სახსრების ნაწილობრივი ანაზღაურება, რაც გამოიყო (რაც გამოყოფილი იყო) სასამართლოთა შენახვაზე, ანუ, რაც დაკავშირებულია სასამართლოთა საქმიანობის უზრუნველყოფასთან. გარდა ამისა, იმდენად, რამდენადაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ტვირთი აწევს არაკეთილსინდისიერ მხარეს, ანუ იმას, ვინც წააგო პროცესი, მოცემული ვალდებულება ერთგვარი პრევენტული (გამაფრთხილებელი) ფაქტორია იმათთვისაც, ვინც დაუსაბუთებლად (უსაფუძვლოდ) მიმართა სასამართლოს, ასევე მოვალეთა და სხვა ვალდებულ პირთათვის, რომელთაც აიძულებს ეს ფაქტორი, რომ ნებაყოფლობით შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები უფლებამოსილი სუბიექტების წინაშე. მაგალითად, სსსკ-ის 49-ე მუხლის თანახმად, სახბაჟის ოდენობა განახევრდება, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან.

ამ დისპოზიციურ უფლებათა განხორციელება მხარეთა მიერ მთავარ სხდომამდე კი მათ მთლიანად გაათავისუფლებს სახბაჟის გადახდისაგან.

ამდენად, სასამართლო ხარჯების გადახდევინება **საკომპენსაციო** და **პრევენციული** მიზნებით ხდება.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და გამოთვლის წესი დადგენილია საპროცესო და სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონებით და დამოკიდებულია სარჩელის (განცხადების) ხასიათსა და სარჩელის ფასზე (დავის საგნის, ანუ მოთხოვნის ღირებულებაზე).

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები ესაა ფულადი თანხები, რომელიც გადასახ-

დელია (მისაცემია) კონკრეტული საქმის განხილვის დროს გასამრჯელოდ იმ პირთათვის, რომლებმაც აღმოუჩინეს სასამართლოს დახმარება მართლმსაჯულების განხორციელებაში (ესენი არიან: ექსპერტები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმანი, ის ადვოკატი, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაუხადეს თანხები), ასევე ესაა სასამართლოსათვის იმ ხარჯების ასანაზღაურებელი ფულადი თანხები, რაც მან გასწია კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა (მუხლი 44-ე) შესრულების დროს.

სახელმწიფო ბაჟისაგან განსხვავებით, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე (ფაქტობრივად დახარჯული, გაწეული ხარჯების მიხედვით განისაზღვრება).

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

§2. სახელმწიფო ბაჟი[1]

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით სარჩელებზე (როგორც პირვანდელ, ისე შეგებებულ სარჩელზე, ასევე დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სარჩელზე), გამარტივებული წესით სასამართლო ბრძანების (ან გადახდის ბრძანების) მიღების მოთხოვნით აღძრულ (შეტანილ) განცხადებაზე, განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძვრის შესახებ, სააპელაციო, საკასაციო და კერძო საჩივრებზე, განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, განცხადებაზე საქმის წარმოების განახლების შესახებ და სხვა.

ბაჟის ორ სახეს განასხვავებენ – **მარტივსა** და **პროპორციულს**. მარტივი ბაჟი გადაიხდევინება მყარად განსაზღვრული განაკვეთების მიხედვით (ლარებსა და თეთრებში), ხოლო პროპორციული ბაჟი გამოითვლება პროცენტულად და მისი ოდენობა დამოკიდებულია სადავო თანხაზე, კერძოდ, სარჩელის თუ საჩივრის (კერძო საჩივრის) ფასზე (დავის საგნის ღირებულებაზე).

ამრიგად, სასარჩელო მოთხოვნების, ანუ სარჩელის ფასის ოდენობისდა მიხედვით განისაზღვრება სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც. **სარჩელის ფასში იგულისხმება მოსარჩელის (ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როცა შეგებებული სარჩელია აღძრული, მოპასუხის) ქონებრივი ინტერესის ფულადი გამოხატულება.**

კანონი ითვალისწინებს დავის საგნის (ანუ სარჩელის ფასის) განსაზღვრის წესს მხოლოდ ქონებრივ სამართლებრივ დავებში.

ქონებრივ მოთხოვნებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია სარჩელის ფასზე – კონკრეტულ ფულად თანხაზე. ქონებრივ დავებში სარჩელის (დავის საგნის, ანუ მოთხოვნის) ფასი (მისი ღირებულება) ორი წესით განისაზღვრება, კერძოდ, უმეტესწილად სარჩელის ფასი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის, ან გასხვისებული ქონების ღირებულების (რაც ირკვევა ქონების გასხვისების ხელშეკრულების ფასიდან) ადეკვატურია იმდენად, რამდენადაც აქ საუბარია ერთჯერადი გადახდების შესახებ.

---

[1] სახ. ბაჟის თაობაზე სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის შედეგად შემუშავებული ძირითადი პრინციპების შესახებ საინტერესო განმარტებები ასახულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს „პრაქტიკულ რეკომენდაციებში". თბილისი, დეკემბერი, 2010 წელი, გვ. 123-125, ასევე სტრასბურგის სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილებაში საფეხბურთო კლუბი მრეტები საქართველოს წინააღმდეგ.

სარჩელის ფასის გამოთვლის (განსაზღვრის) მეორე საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ დგინდება პირობითი თანხა – განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობა და გამოიყენება პერიოდული გადასახდელის გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა მიმართ.

სსსკ-ის 41-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის (სარჩელის) ფასი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელის – გადასახდელი თანხით. ბ) თუ სარჩელი აღძრულია ნივთის (ქონების) გადაცემისა თუ მიწოდების შესახებ – ამ ნივთის (ქონების) საბაზრო ღირებულებით; გ) ალიმენტის (ალიმენტი ვადიანი გადასახდელის ერთ-ერთი სახეა) გადახდევინების შესახებ სარჩელის – ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით;[1] დ) სხვა ვადიანი გასაცემისა და გადასახდელის შესახებ სარჩელის – არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში ყველა გასაცემი და გადასახდელი თანხის ერთობლიობით; ხოლო თუ გათვალისწინებულია სამ წელზე ნაკლები გადახდის ვადა, მაშინ – ამ პერიოდის განმავლობაში გადასახდელით. ე) უვადო (მაგალითად დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ) ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გადასახდელის (ამის მაგალითია სამიდღემშიო რჩენის ხელშეკრულების მიხედვით გადასახდელი) ან გასაცემის შესახებ სარჩელის – სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობით; ვ) გასაცემის ან გადასახდელის შემცირებისა თუ გადიდების (მაგალითად, გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემცირებისა თუ გადიდების) შესახებ სარჩელის – იმ თანხით, რომლითაც მცირდება ან დიდდება (იზრდება) გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში; ზ) ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის სარჩელის – დარჩენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში – გადასახდელი თანხის ერთობლიობით, ანუ ანალოგიურ დავებში შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს დავის საგნის ფასი და ასანაზღაურებელი, ანუ მოთხოვნილი თანხის ოდენობა; თ) გასაცემის ან გადასახდელის შეწყვეტის შესახებ სარჩელისა (მაგალითად, რომელიც წარდგენილია გადამხდელის მიერ, მისი მემკვიდრის მიერ) – არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობით; ი) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ მოთხოვნებში სარჩელის ფასი განისაზღვრება იმ მაქსიმალური თანხიდან გამომდინარე, რაც შეადგენს ნაგებობის ფაქტობრივ ღირებულებას სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (დროისათვის) ე.ი. განისაზღვრება უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით. კ) 4000 ლარით, თუ ქონებრივ სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა.

ამდენად, სასამართლოში სარჩელის შეტანისას მოსარჩელემ უნდა მიუთითოს სარჩელის ფასი ფულად გამოხატულებაში გადასახდელი ფულადი თანხის ოდენობიდან ან ქონების ღირებულებიდან გამომდინარე. ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელებში სარჩელის ფასი განისაზღვრება გადასახდელი თანხით, ხოლო ქონების გადაცემის შესახებ სარჩელებში – ამ ქონების საბაზრო ღირებულებით.

რაც შეეხება თვითონ სახელმწიფო ბაჟის ოდენობას, იგი როგორც ვთქვით, დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სსსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრულ ოდენობას. ამასთან, კანონით განსაზღვრულია მყარი თანხა, რასაც არც ერთ შემთხვევაში

[1] მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეები თავისუფლდებიან ბაჟის გადახდისაგან ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე, დავის საგნის ფასის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჯერ ერთი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის განსაზღვრისათვის, მეორეც პროცესის დასრულების შემდეგ მხარეთა შორის ხარჯების განაწილების საკითხის სასამართლოს მიერ გადაწყვეტისათვის.

არ უნდა აღემატებოდეს ან რაზე ნაკლებიც არ უნდა იყოს სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, რა ფასიც არ უნდა ჰქონდეს სარჩელს (იხ. სსსკ-ის 39-ე მუხლი).

სასამართლოს მიერ თავდაპირველი მოსარჩელის სხვა პირით შეცვლის დროს (რა თქმა უნდა, შეცვლა ამ მოსარჩელის თანხმობით ხდება), ეს უკანასკნელი იხდის ბაჟს საერთო საფუძველზე (საუბარია არასათანადო მოსარჩელის შეცვლაზე).

საქმიდან თავდაპირველი მოსარჩელის გასვლისა და უფლებამონაცვლით მისი შეცვლის შემთხვევაში ბაჟს იხდის უფლებამონაცვლე, თუ ის გადახდილი არ იყო თავდაპირველი მოსარჩელის მიერ.

როცა მოსამართლე ცალკე წარმოებად გამოყოფს გაერთიანებულ სასარჩელო მოთხოვნებიდან ერთ ან რამდენიმე მოთხოვნას, სარჩელის აღძვრის დროს გადახდილი ბაჟი ხელმეორედ აღარ გადაიანგარიშება და არ დაბრუნდება. ცალკე გამოყოფილი წარმოების გამო (ცალკე გამოყოფილი წარმოებისათვის) ბაჟი აღარ გადაიხდევინება ხელმეორედ.

როგორც ცნობილია, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, განუხილველად დატოვებული სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს ხელმეორედ. ამიტომ ხელმეორედ წარდგენილ იმ სარჩელზე, რომელიც ადრე განუხილველად დარჩა, ბაჟი გადაიხდევინება ხელმეორედ საერთო საფუძველზე. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ბაჟის შესახებ კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმადაც გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის-წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, აგრეთვე, როდესაც მოსარჩელე აღიარებულია ქმედუუნარო პირად. ამიტომ, როცა სარჩელის განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით ბაჟი ექვემდებარებოდა დაბრუნებას, მაგრამ არ იყო დაბრუნებული, ხელმეორედ წარდგენილ სარჩელს შეიძლება დაერთოს ბაჟის გადახდის შესახებ თავდაპირველი დოკუმენტი. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ვადა გავიდა ბიუჯეტში ბაჟის შეტანიდან (ჩარიცხვიდან).

იგივე მე-6 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესსაც, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება ეროვნული ვალუტით ბანკებში (მათ ფილიალებში), სახელმწიფო ბაჟის გადახდა (შეტანა) დასტურდება დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით, რომელსაც გასცემენ ბანკები (მათი ფილიალები). ბანკის ქვითარი ფულის მიღების (ბაჟის გადახდის) შესახებ დაერთვება სასარჩელო განცხადებას ან შესაბამის განცხადებასა თუ საჩივარს.

აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე — შესაბამისი განცხადების (საჩივრის) შეტანამდე, ასევე სასამართლოს მიერ საბუთის ასლის გაცემისას.

არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში, კანონი განსაზღვრავს მხოლოდ გადასახდელი ბაჟის ოდენობას.

შესაძლოა არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილებოდეს მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, ასეთ შემთხვევაში დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნით. ასეთს განსაკუთრებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებში, როცა განქორწინების საქმესთან (სარჩელთან) ერთად ხშირად განიხილება მეუღლეთა შორის თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის საკითხიც (მოთხოვნა).

ყურადღება გვინდა მივაქციოთ კანონის ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას, რომ არაქონებრივ დავასთან ერთად უნდა განიხილებოდეს „მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა". ამიტომ, არასწორი იქნებოდა, თუ, მაგალითად, ასეთად ჩავთვლიდით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, როცა მხარე მოითხოვს მორალური ზიანის მატერიალურ ანაზღაურებას, რომელსაც საფუძვლად უდევს არაქონებრივი უფლებების დარღვევის ფაქტი, რამეთუ ამგვარ საქმეთა განხილვის დროს აუცილებლად უნდა გავით-

ვალისწინოთ,რომ მორალური ზიანი კანონით არაქონებრივ ზიანადაა აღიარებული,მიუხედავად იმისა,რომ მისი კომპენსაცია (ანაზღაურება) ხდება ფულადი (ქონებრივი) ფორმით.

მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა უნდა განვიხილოთ როგორც არაქონებრივ-სამართლებრივი დავა. ამიტომ მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურების საქმეებში, სარჩელის ფასი არ შეიძლება განისაზღვრებოდეს მოთხოვნილი თანხით, ან სხვა მატერიალური საგნის ღირებულებით, რომლითაც უნდა ანაზღაურდეს მორალური ზიანი.

ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დავის საგნის (სარჩელის) ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ (რეალურ) ღირებულებას,დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით.

თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა (დამოუკიდებელი) **ქონებრივი** მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ სარჩელის ფასი განისაზღვრება ყველა მოთხოვნის საერთო თანხით, ანუ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება (ანუ სარჩელის ფასი).

სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სარჩელის შეტანის დროს არსებული ფასები, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას კი – საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები.

სარჩელის აღძვრის მომენტში დავის საგნის ღირებულების (სარჩელის ფასის) ზუსტად განსაზღვრის სირთულის (შეუძლებლობის) შემთხვევაში მოსამართლე სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს სარჩელის სავარაუდო ფასიდან გამომდინარე. თუ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სარჩელის საერთო თანხა (ანუ სარჩელის ფასი, სასარჩელო მოთხოვნები) იზრდება, ბაჟი გამოითვლება სარჩელის გაზრდილი ფასიდან გამომდინარე. ამიტომაა მითითებული სსსკ-ის 42-ე მუხლში, რომ სარჩელის ფასის წინასწარი განსაზღვრის შემდეგ,თუ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ზედმეტად არის გადახდილი, იგი უნდა დაბრუნდეს უკან, ხოლო, თუ სასარჩელო მოთხოვნები იზრდება, უნდა მოხდეს დამატებითი გადახდევინება (ანუ ბაჟის შევსება) სარჩელის გადიდებული ფასის შესაბამისად.

დამატებით გადახდევინება უნდა მოხდეს თუ არა შესაბამისი ოდენობით ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება სარჩელის ფასის წინასწარი განსაზღვრის შემთხვევაში, ეს საკითხი უნდა განისაზღვროს (გადაწყდეს) ,,საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად" (სსსკ-ის 42-ე მუხლი).

გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, როგორც წესი, დაბრუნებას არ ექვემდებარება. ბაჟის კანონის მე-6 მუხლი, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ითვალისწინებს გადახდილი ბაჟის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას. ბაჟი საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე,არ ბრუნდება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევებში. თუ ბაჟის კანონის მე-6 მუხლის ანალიზს მოვახდენთ,შეიძლება დავასკვნათ,რომ საქმისწარმოების შეწყვეტისას,ბაჟი ექვემდებარება დაბრუნებას,როცა საქმე შეწყვეტილია სასამართლოსადმი საქმის უწყებრივად არაქვემდებარეობის საფუძვლით,ხოლო სარჩელის განუხილველად დატოვებისას ბაჟი ექვემდებარება დაბრუნებას მთლიანად ან ნაწილობრივ,როცა სარჩელი განუხილველად არის დატოვებული იმ საფუძვლით,რომ სარჩელი (განცხადება) შეიტანა ქმედუუნარო პირმა, ხოლო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი. გარდა ბაჟის კანონის მე-6 მუხლისა, ბაჟი დაბრუნებას ექვემდებარება ასევე სამოქალაქო საპროცესო კანონის 42-ე მუხლის საფუძველზე (კერძოდ,ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება დაბრუნებას, თუ სარჩელის სავარაუდო ფასის დაზუსტების შემდეგ, რომლიდანაც გადახდილი იქნა

ბაჟი, სარჩელის საერთო თანხა შემცირდა). სახ. ბაჟი მთლიანად ექვემდებარება დაბრუნებას, როცა ადგილი აქვს სსსკ-ის 83[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას. ბაჟის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნების შემთხვევები გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის სხვა ნორმებითაც.

დასაბრუნებელი სახელმწიფო ბაჟი გაცემულ უნდა იქნეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე შესაბამისი ბიუჯეტიდან ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან. თანხა გაიცემა იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, როდესაც სასამართლოს მიერ მიღებულია (გამოტანილია) გადაწყვეტილება (იგულისხმება განჩინება) ბაჟის დაბრუნების შესახებ. შესაბამის ორგანოში შეტანილ ბაჟის დაბრუნების განცხადებას უნდა ერთვოდეს სასამართლოს შესაბამისი განჩინება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას საკითხი იმის შესახებ, უნდა გადაიხადოს თუ არა სახ. ბაჟი უფლებამონაცვლემ, რომელსაც პროცესის მსვლელობისას დაუთმეს მოთხოვნა და რომელიც კანონის თანახმად გათავისუფლებულია სახ. ბაჟის გადახდისაგან, ხოლო წინამორბედი კი კანონის თანახმად ვალდებული იყო გადაეხადა იგი (ანუ არ იყო გათავისუფლებული სახ.ბაჟის გადახდისაგან). ერთ-ერთ საქმეზე უფლებამონაცვლემ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისას კერძო საჩივარში მიუთითა, რომ გასაჩივრებული განჩინებით დარღვეულ იქნა „სახ. ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც იგი, როგორც II ჯგუფის ინვალიდი, ექვემდებარებოდა სახ. ბაჟისაგან გათავისუფლებას. მისი აზრით, საკითხის არსს არ ცვლის ის გარემოება, რომ იგი არის უფლებამონაცვლე, რადგან სახ. ბაჟის კანონის მე-5 მუხლი იმპერატიულია და მისი ძალით ინვალიდობის მქონე პირი ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება სახ. ბაჟის გადახდისაგან უპირობო გათავისუფლებას, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სსსკ 92-ე მუხლის მე-2 ნაწილი აწესრიგებს საკითხს, თუ რა მოცულობით გადადის საპროცესო ვალდებულებანი უფლებამონაცვლეზე, მაგრამ არ არეგულირებს ამ ვალდებულებებისაგან გათავისუფლების საკითხს.

საკასაციო პალატა ამ საქმეზე არ დაეთანხმა კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სსსკ 92-ე მუხლის (უფლებამონაცვლეობა) მე-2 ნაწილი აწესრიგებს საკითხს, თუ რა მოცულობით გადადის საპროცესო ვალდებულებანი უფლებამონაცვლეზე, მაგრამ არ არეგულირებს ამ ვალდებულებისაგან გათავისუფლების საკითხს. **საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმით პროცესში უფლებამონაცვლის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.**

ყველა მოქმედების შესრულების სავალდებულობა გულისხმობს, რომ უფლებამონაცვლემ უნდა განახორციელოს ყველა მოქმედება, რაც უნდა შეესრულებინა პირს, რომელიც მან შეცვალა (წინამორბედი). (ამასთან აქ იგულისხმება ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც ასე ვთქვათ „ჩავლილია". სწორედ ამიტომ ვერ მოითხოვს უფლებამონაცვლე საპროცესო მოქმედებების განმეორებას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს უფლებამონაცვლედ საქმეში მხარის შესვლის ეტაპს, რომელიც გავლენას ახდენს მისი საპროცესო უფლება-მოვალეობების სწორად განსაზღვრაზე – ხაზგასმა ავტორისეული. მაგალითად, ჯერ კიდევ იმ ეტაპზე რომ ყოფილიყო მოთხოვნა დათმობილი, როცა მართალია გადაწყვეტილება გამოტანილია, მაგრამ მისი ჩაბარების ვადა არ არის გასული, გასაჩივრების უფლება წინამორბედს არ წარმოშობია და მისთვის არც ხარვეზი დაუწესებიათ ბაჟის გადახდაზე, მაშინ ვითარება სხვაგვარი იქნება და უფლებამონაცვლე ისარგებლებს შეღავათით ბაჟში). უფლებამონაცვლეს არ აქვს უფლება შეცვალოს ის რასაც ადგილი ჰქონდა პროცესში მის შესვლამდე. შესაბამისად, 92-ე მუხლი ვერ გავრცელდება სამომავლო მოქმედებებზე, რომლებსაც უფლებამონაცვლე

საკუთარი სახელით ასრულებს.

აღნიშნული ნორმა არ მიუთითებს, რომ უფლებამონაცვლის მიმართ შეიძლება რომელიმე მოქმედების შესრულება არ იყოს სავალდებულო. მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლისათვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ მოთხოვნის დამთმობს უნდა გადაეხადა სახ. ბაჟი. მან მიიღო მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში მასზე ვერ გავრცელდება უფრო მეტი შელავათი, ვიდრე მოთხოვნის დამთმობს ჰქონდა.

ამასთან, გასათვალისწინებელია საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნაც, რომლის თანახმად სადავო ნივთის გასხვისება ან მოთხოვნის დათმობა ვერ მოახდენს გავლენას პროცესის მსვლელობაზე (სუსგ, 2003 წ. №5, გვ. 1357).

ბაჟის გადაუხდელობა სააპელაციო სასამართლოში, საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია, თუმცა არასწორია, როდესაც სასამართლო ბაჟის გადაუხდელობის გამო ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემულ ვადაშივე იღებს გადაწყვეტილების საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მხარემ ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემულ ვადაში დააყენა საკითხი ბაჟისაგან მისი გათავისუფლების შესახებ, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი განუხილველად დატოვა იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა არ გამოასწორა ხარვეზი და არ გადაიხადა სახბაჟი. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ სწორად მიუთითა თავის განჩინებაში, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აპელანტის განცხადებაზე ბაჟისაგან გათავისუფლების შესახებ და გადაეწყვიტა საკითხი, არსებობდა თუ არა მოცემულ შემთხვევაში აპელანტის ბაჟისაგან გათავისუფლების კანონიერი საფუძველი.

სასამართლოს მხოლოდ მაშინ უნდა გამოეტანა განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, როცა გავიდოდა ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა. ამიტომ, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა დაუნიშნოს აპელანტს ვადა ხარვეზის შესავსებად და თუ მიიჩნია, რომ იგი არ არის გასათავისუფლებელი ბაჟის გადახდისაგან, მხოლოდ მას შემდეგ დატოვოს სააპელაციო საჩივარი განუხილველად, როდესაც უშედეგოდ გავა ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა (სუსგ 2003 №1, გვ. 171).

§3. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები

სსსკ-ის 44-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება: ა) მოწმეების, ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის მისაცემი თანხები; ბ) თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები; გ) ადგილობრივ დათვალიერებაზე გაწეული ხარჯები; დ) მოპასუხის მოძებნის ხარჯები; ე) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; ვ) ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები; ზ) სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები; თ) სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციაზე გაწეული ხარჯები. ეს არის საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ამომწურავი ჩამონათვალი. შესაბამისად, ყველა სხვა ხარჯი, რომელიც არ არის მითითებული ამ მუხლში და გაწეულია სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ან გადაწყვეტილების აღსრულების დროს, არ განეკუთვნება სასამართლო ხარჯებს. მაგალითად, სასამართლო ხარჯს არ შეიძლება მიეთვალოს საკანცელარიო ხარჯი, ექსპერტის ან თარჯიმნისათვის გადახდილი თანხები, როცა მათ სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა განსაზღვრული მოქმედებების შესრულება, ასევე

მხარეთა ზოგიერთი ხარჯი, მაგალითად, მხარეთა და მათ წარმომადგენელთა მგზავრობის ხარჯები გაწეული სასამართლოში გამოცხადების დროს, მხარეთა მიერ საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები, საფოსტო-სატელეგრაფო მიმოწერის ხარჯები, ადვოკატის დახმარებისათვის გაწეული ხარჯები, სამუშაო დროს მხარის სასამართლოში დაბარებასთან დაკავშირებით ხელფასის ნაწილის დაკარგვით გამოწვეული ხარჯი (საუბარია განაცდურზე, იგი სასამართლოს გარეშე ხარჯს მიეკუთვნება) და ა.შ.

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ასეთი გამიჯვნა სხვა ხარჯებისაგან, იმით აიხსნება, რომ სსსკ-ის 44-ე მუხლში ჩამოთვლილი ხარჯები (საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები) სახელმწიფოს შემოსავალში (ბიუჯეტში) გადახდას (შეტანას) ექვემდებარება.

კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ. მაგალითად, საქმის განხილვისას, აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზე, იმ მოვალის მიმართ, რომელიც თავს არიდებს ფულადი თანხის გადახდას, სასამართლო აცხადებს ძებნას, წარმოიშობა სასამართლო ხარჯების გაწევის აუცილებლობაც. თუმცა ისინი წინასწარ მხარეების მიერ არ გადაიხდება. კანონით (სსსკ-ის 51-ე მუხლი) დადგენილია, რომ მოპასუხისა და მოვალის მოძებნა, როცა ეს კანონითაა გათვალისწინებული, წარმოებს ჯერ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და შემდეგ კი გადახდება შესაბამისად მოპასუხეს — სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ხოლო მოვალეს — გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

მოვალეს გადახდება აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები (51-ე მუხლის ამ წინადადებაში იგულისხმება და საუბარია ყველა მოვალეზე, ანუ მოვალეზე საერთოდ და არა მარტო იმ მოვალეზე, რომელიც იძებნებოდა).

ამდენად, მოპასუხისა და მოვალის ძებნასთან დაკავშირებულ ხარჯებს თავდაპირველად გაიღებს სახელმწიფო. შემდგომში მოვალის (მოპასუხის) მოძებნა და, შესაბამისად, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნების სრული მოცულობით ან ნაწილობრივი დაკმაყოფილება, აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, სასამართლოს განჩინების გამოტანის საფუძველია, რომლითაც სასამართლო ხარჯები გადახდება მოპასუხეს (მოვალეს) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ჩაირიცხება ბიუჯეტში) შინაგან საქმეთა ორგანოების სარჩელის საფუძველზე.

ზოგჯერ მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდისაგან. მაგალითად, საერთო სასამართლოების ორგანული კანონის თანახმად, თარჯიმნის მომსახურების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს (მე-10 მუხლი).

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა და გამოთვლის (გადახდის) პრინციპი განსხვავდება ბაჟის გამოთვლის პრინციპისაგან და ის დამოკიდებულია არა სარჩელის ფასსა და ხასიათზე, არამედ განისაზღვრება იმ ფაქტობრივი დანახარჯებით, რაც საჭიროა ექსპერტებისათვის, მოწმეებისათვის და ა.შ. მისაცემად (გადასახდელად).

სსსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯები, ანუ სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულების მთხოვნელ მხარეს. თუ ასეთი მოქმედების შესრულება მოითხოვა ორივე მხარემ, ანდა ეს ხდება სასამართლოს ინიციატივით, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

სსსკ-ის 45-ე მუხლით მოწესრიგებულია მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნებისათვის, რომელთაც სასამართლო იბარებს შესაბამისად ჩვენების მისაცემად, საექსპერტო დასკნის მისაცემად და ა.შ. ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, მათ აქვთ სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული ხარჯების

ანაზღაურების უფლება. **ნორმის მიზანია** მოცემული კატეგორიის პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა. ამ ხარჯებში იგულისხმება: 1) მგზავრობის; 2) საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯების; 3) დღიური თანხის ანაზღაურების უფლება.

მგზავრობის ხარჯში იგულისხმება მგზავრობის ღირებულება სასამართლოს ადგილსამყოფლამდე და უკან დაბრუნებისათვის საჭირო ხარჯი, რომელიც ზემოაღნიშნულ პირებს აუნაზღაურდებათ მგზავრობის დოკუმენტების (ბილეთის) საფუძველზე, მაგრამ ეს ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს მგზავრობის ღირებულებას.

საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯების ანაზღაურება და დღიური თანხის გადახდა წარმოებს იმავე წესით, როგორც დადგენილია კანონმდებლობით სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლების გარდა, კერძო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებებს (დამოუკიდებელ ექსპერტებს), ექსპერტს, თარჯიმანსა და სპეციალისტს დამატებით აქვთ გასამრჯელოს მიღების უფლებაც სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის დადებული შეთანხმების საფუძველზე. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დრო, რომელიც მათ უნდა მოანდომონ სასამართლოს დავალების შესრულებას; მასალები, რომლებიც საჭირო იქნება ამ მოვალეობის სათანადოდ შესასრულებლად და სხვ. სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის სასამართლო-საექსპერტო მომსახურების (სპეციალისტის, თარჯიმნის) ანაზღაურებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო (თანამდებობის პირი), საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებისა და ტარიფების შესაბამისად.

საერთოდ, სასამართლოში გამოცხადება, როცა პირს იბარებენ მოწმედ, ექსპერტად, თარჯიმნად, სპეციალისტად, კანონით სახელმწიფო (საზოგადოებრივი) ვალდებულების შესრულებად ითვლება. როცა ეს ვალდებულებები სრულდება სამუშაო დროს, მაშინ სასამართლოში დაბარებულ პირს გარანტირებული აქვს სამუშაო ადგილის შენარჩუნება და საშუალო ხელფასი სასამართლოში გამოცხადებასთან დაკავშირებით დახარჯული მთელი დროის განმავლობაში.

კანონით დადგენილია, რომ მუშაკებს, რომლებიც მოწმეებად არიან დაბარებული სასამართლოში, სამუშაო ადგილზე უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი; მოწმეებს, რომლებიც არ არიან შრომით ურთიერთობაში, სამუშაოდან ან ჩვეულებრივი საქმიანობიდან მოცდენისათვის ეძლევათ გასამრჯელო ფაქტობრივად დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის გათვალისწინებით.

მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნებისათვის მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელოს გადახდა, აგრეთვე ამ პირთათვის სასამართლოში გამოსაცხადებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურება წარმოებს სასამართლოს (მოსამართლის) განჩინების საფუძველზე.

თუ მხარე გათავისუფლებული იყო ხარჯების გადახდისაგან (შეტანისაგან), მაშინ ამ პირებს ანაზღაურება მიეცემათ გაწეული სამუშაოსათვის ბიუჯეტიდან.

ზემოაღნიშნული წესები ხარჯების გადახდასთან (ანაზღაურებასთან) დაკავშირებით (ანუ ის, რომ წინასწარ შეაქვთ ხარჯები მხარეებს, ე.ი. ის, რომ ყველა შემთხვევაში მხარეები ანაზღაურებენ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს) ვრცელდება ადგილობრივ დათვალიერებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიმართაც, თუ ადგილზე დათვალიერება ხდება ამ სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებს გარეთ (მუხლი 50-ე).

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია სპეციალური კანონით სააღსრულებო წარმოებათა შესახებ (იხ. ამ კანონის 38-ე და 39-ე მუხლები).

სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციის მომსახურება ანაზღაურდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი საფასურების შესაბამისად იმ პირის მიერ, რომლის შუამდგომლობითაც გამოიტანა სასამართლომ განჩინება ადგილზე დათვალიერების შესახებ ფაქტების კონსტატაციის მიზნით, ხოლო სასამართლოს ინიციატივით განხორციელებული ფაქტების კონსტატაციის შემთხვევაში – მხარეების მიერ თანაბრად.

დაბოლოს, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარე შეიძლება საერთოდ გათავისუფლდეს.

§4. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება. სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება ხდება ორი წესით: 1) როცა ამის შესახებ პირდაპირ (იმპერატიულად) მიუთითებს კანონი და 2) ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ.

საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების (ანუ ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების) გადახდისაგან გათავისუფლდება პირთა განსაზღვრული ჯგუფი ამავე მუხლში ჩამოთვლილ საქმეებზე. მაგალითად, მოსარჩელეები – ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე; მოსარჩელეები – დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე; მოსარჩელეები – დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე; მხარეები – უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად ფიზიკურ პირთათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე; მოსარჩელეები არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელზე; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მხარეები, რომლებიც იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით; მხარეები წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებისას; მოსარჩელეები საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნების თაობაზე საქმეზე სახ. ბაჟის ოდენობით; მხარეები არამართლზომიერად ჩადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის გამოყენებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც. კანონმდებლობა ადგენს სახ.ბაჟისაგან გათავისუფლების როგორც იმპერატიულ, ისე ფაკულტატურ საფუძვლებს.

მაგალითად, ბაჟის კანონის მე-5 მუხლში საუბარია შეღავათებზე სახელმწიფო ბაჟში. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სახ. ბაჟისაგან მხარის გათავისუფლების იმპერატიულ საფუძვლებს. ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ამ მუხლში საუბარია არა ყველა სახის სასამართლო ხარჯისაგან გათავისუფლებაზე (როგორც ეს მოცემულია საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლში), არამედ სასამართლო ხარჯის მხოლოდ ერთ-ერთი სახის – სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე. ამასთან, საკმაოდ ვრცელია (გაფართოებულია) სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველთა

ჩამონათვალი (იხ. ბაჟის კანონის მე-5 მუხლი).

რაც შეეხება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლებას სასამართლოს მიერ, სსსკ-ის 47-ე მუხლით დადგენილია, რომ სასამართლოს, ფიზიკური პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით თუ ფიზიკური პირი დაასაბუთებს სასამართო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაგრამ სასამართლოს უფლება არა აქვს ფიზიკური პირი (იქნება ეს მოსარჩელე თუ მოპასუხე) გაათავისუფლოს იმ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რომლებიც გადახდილ უნდა იქნენ მეორე მხარის (ერთ-ერთი მხარის) სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ **კანონში (47-ე მუხლი) საუბარია ფიზიკურ პირებზე, რაც შეეხებათ იურიდიულ პირებს, მათი გათავისუფლება ზემოაღნიშნული ხარჯების გადახდისაგან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, არ დაიშვება.**

მხარის უმუშევრობა თავისთავად ვერ გახდება ამ ნორმის გამოყენების საფუძველი. მითითებული ნორმა (სსსკ 47-ე მუხლი) სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას თავისი შეხედულებით გადაწყვიტოს ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საკითხი. მხარის მიერ წარმოდგენილი საბუთი უმუშევრობის შესახებ არ არის ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი, რადგან ქონებრივი მდგომარეობა მხოლოდ უმუშევრობით არ განისაზღვრება. საკასაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის ავტორს კმაყოფაზე ჰყავს ორი შვილი, რადგან დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორს ჰყავს მეუღლე, რომლისგანაც იღებს ფულად შემოსავალს, რაც დასტურდება საქმეში არსებული ფულადი გზავნილებით (სუსგ 2003 წ. №6, გვ. 1639-1640).

ანუ, სსსკ-ის 47-ე მუხლის 1-ლ ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახ. ბაჟისაგან გათავისუფლების სამოქალაქო საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ფაკულტატურ საფუძვლებთან (სუსგ. 2003 წ., №9. გვ. 2358-2359).

სსსკ 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს, მიუხედავად იმისა, ,,სახბაჟის" კანონით გათვალისწინებულია თუ არა პირის გათავისუფლება სახ.ბაჟის გადახდისაგან, შეუძლია იმსჯელოს პირისათვის ასეთი უფლების მინიჭებაზე. პირის გათავისუფლება სასამართლო ხარჯებისაგან სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება, მაგრამ იმ შემთხვევაში კი, როდესაც სასამართლო არ აკმაყოფილებს მხარის მოთხოვნას ზემოხსენებული უფლების გამოყენებაზე, უნდა დაასაბუთოს უარის თქმის საფუძვლები (სუსგ, 2003 წ. №9, გვ. 2272).

აღნიშნული ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და იგი არ ავალდებულებს სასამართლოს მხარე, მისი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით დაუსაბუთებლად გაათავისუფლოს ბაჟის გადახდისაგან. ე.ი. მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იყოს და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ნამდვილად უნდა დასტურდებოდეს სასამართლოში წარდგენილი საბუთებით (ხაზი ჩემია – შ. ქურდაძე) (სუსგ 2005 წ. № 3. სამოქალაქო პროცესი, გვ. 66).

თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში ქონებრივ-სამართლებრივ დავაში მონაწილე ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4%-მდე ოდენობით სახელმწიფო სალაროდან (ბიუჯეტიდან).

ცხადია, თავისი მნიშვნელობითა და სირთულით შეიძლება გამოირჩეოდეს (ხასიათდე-

ბოდეს) როგორც ქონებრივ-სამართლებრივი დავა,ისე არაქონებრივ-სამართლებრივი დავაც. ვთქვათ,სასამართლო იხილავს საოჯახო დავას მამობის დადგენასთან დაკავშირებით. ამიტომ, ამ ნორმის მოქმედება ვრცელდება როგორც ქონებრივ,ისე არაქონებრივ დავებზე. განსხვავებულია მხოლოდ არაქონებრივ დავაში მონაწილე ადვოკატის ანაზღაურების ოდენობა (იხ. 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ მუხლში არაფერია ნათქვამი სახელმწიფოს ხარჯზე მოწვეული ადვოკატისათვის გადახდილი ანაზღაურების განაწილების წესის შესახებ. არც სსსკ-ის 53-ე მუხლშია ამაზე ერთმნიშვნელოვნად მითითებული. 53-ე მუხლში მოცემულია ზოგადი ფორმულირება,რომ იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს,რომლის სასარგებლოდაც გამოვიდა გადაწყვეტილება,სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს... თუმცა ვის სასარგებლოდ დააკისრებს, აღნიშნულზე მითითებული არ არის. ცხადია,ზოგადი წესით,ეს ხარჯი მეორე მხარეს მოგებული მხარის სასარგებლოდ დაეკისრება. მაგრამ,თუკი ხარჯი მოგებულ მხარეს კი არ გაუწევია,არამედ სახელმწიფომ გასწია,მაშინ ეს ხარჯი წაგებულმა მხარემ სახელმწიფოს უნდა აუნაზღაუროს.

აღსანიშნავია,რომ ერთ-ერთი მხარის გათავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან,მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების შესახებ საკითხი წყდება სარჩელის წარმოებაში მიღების დროს,მოსამართლის მოტივირებული განჩინებით.

მოქმედი კანონმდებლობით სასამართლოს (მოსამართლეს) არა მხოლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან ფიზიკური პირის გათავისუფლების უფლება აქვს,არამედ მას უფლება აქვს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და მისი გათვალისწინებით ერთ ან ორივე მხარეს (როგორც ფიზიკურ პირს,ისე იურიდიულ პირს) გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა,ანდა შეამციროს ამ ხარჯების ოდენობა (სსსკ-ის 48-ე მუხლი).

აქ იგულისხმება მხარეთა მძიმე ქონებრივი (ფინანსური) მდგომარეობა,რაც მათ ართმევს სასამართლო ხარჯების გადახდის შესაძლებლობას. ამა თუ იმ საწარმოს ყოფნა ზარალზე,ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ისეთ ქონებრივ მდგომარეობას,რომლის გამოც მას არ შესწევს ხარჯების გადახდის უნარი. არამედ ობიექტურად ეს ქონებრივი (ფინანსური) მდგომარეობა მძიმე უნდა იყოს,რისთვისაც მხარემ უნდა წარმოადგინოს მძიმე ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულება და არა ზარალზე ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულება,რამეთუ ზარალზე ყოფნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქონებრივ (ფინანსურ) მდგომარეობას.

სსსკ 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად,სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამავე კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად სასამართლოს,მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით,შეუძლია (სასამართლოს უფლება აქვს მაგრამ ვალდებული არ არის) ერთი ან ორივე მხარეს გადაუდოს ან გაუნაწილვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა,ანდა შეამციროს ხარჯების ოდენობა.

კანონი ითვალისწინებს მხოლოდ მოქალაქის გათავისუფლებას სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ხოლო სასამართლო ხარჯების გადადება, ან ხარჯების შემცირება კანონის თანახმად შესაძლებელია ორივე მხარისათვის,ე.ი. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის“ (სუსგ 2003 წ. №5,გვ. 1351). აქედან გამომდინარე,შესაძლებელია იურიდიულ პირს გადაედოს სახ. ბაჟის გადახდა.

მართალია,ამ ნორმის მიხედვით დადგენილია,რომ მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით,სასამართლოს შეუძლია და არ არის ვალდებული მხარეს მიანიჭოს

შეღავათები, მაგრამ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მიუთითოს, რატომ იყენებს ან რატომ არ იყენებს თავის უფლებას. სასამართლომ უნდა განსაზღვროს რაში მდგომარეობს „მიზანი", რომლის გათვალისწინებით მხარეს უნდა გადაედოს ან არ გადაედოს ბაჟის გადახდა (სუსგ, 2003 წ. №7, გვ. 1736). ამდენად თუ სასამართლოს კონკრეტულ შემთხვევაში მიზანშეწონილად არ მიაჩნია სახ. ბაჟის გადახდის გადადება, მან ეს უნდა დაასაბუთოს. რამეთუ, სასამართლოს განჩინებაში ისევე, როგორც გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა (იხ. ასევე სუსგ. 2003, №11, გვ. 3172). აღნიშნული ნორმა დისპოზიური ხასიათისაა და იგი ავალდებულებს სასამართლო მხარეს, მისი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით დასაბუთებულად გაათავისუფლოს ბაჟის გადახდისაგან. ე.ი. მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იყოს და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ნამდვილად უნდა დასტურდებოდეს სასამართლოში წარდგენილი საბუთებით (სუსგ 2005 წ. №3, სამოქალაქო პროცესი, გვ. 66).

ბაჟის ოდენობის შემცირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონის მოთხოვნა ბაჟის ოდენობის ქვედა ზღვარის თაობაზე, ამიტომ ბაჟის შემცირებული ოდენობა, არ შეიძლება იყოს კანონით დადგენილ ბაჟის ქვედა ზღვარზე ნაკლები. ამგვარი ქვედა ზღვარი სხვადასხვა ოდენობისაა ინსტანციების მიხედვით.

სასამართლო ხარჯის გადახდის გადავადების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო (ან მოსამართლე) გადადებს ხარჯის გადახდის ვადას უფრო გვიანი ვადისათვის (ვადით), კერძოდ, გადავადება ხდება სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო დაინტერესებულ პირს მიენიჭება განსაზღვრული დროის განმავლობაში ხარჯების გადახდის უფლება. დრო დგინდება სასამართლოს მიერ.

დაინტერესებული მხარის მიერ განცხადება (შუამდგომლობა) სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების, ან ოდენობის შემცირების შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ასეთი მოთხოვნის დასაბუთებულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები და დოკუმენტები (ცნობები ხელფასის, პენსიის ოდენობის, არასრულწლოვანი ბავშვების ყოლის შესახებ, კერძოდ, მათი დაბადების მოწმობის ასლები, ასევე ცნობები მეუღლის შრომისუუნარობის შესახებ და ა.შ.). შესაბამისი განცხადების განხილვისას აუცილებელია სასამართლო ინდივიდუალურად მიუდგეს მხარეთა მატერიალური მდგომარეობის განსაზღვრის საკითხს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსსკ-ის 48-ე მუხლის მოთხოვნები ერთი ან ორივე მხარისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან ამ ხარჯების ოდენობის შემცირების შესაძლებლობის შესახებ.

ცხადია, თუ დაინტერესებულ პირს თავისი ქონებრივი მდგომარეობის გამო არა აქვს სასამართლო ხარჯის გადახდის ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, ამ გარემოებამ არ უნდა შეუშალოს მას ხელი განახორციელოს უფლებათა სასამართლო წესით დაცვის უფლება, რამეთუ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა კონსტიტუციასთან მოვა წინააღმდეგობაში, რომლის 42-ე მუხლი გარანტირებულს ხდის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას სასამართლო წესით. აღნიშნულის გათვალისწინებით კანონი განსაზღვრული კატეგორიის ფიზიკურ პირებს ათავისუფლებს სახ. ბაჟის გადახდისაგან. გარდა ამისა, სასამართლოს მხარის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, უფლება აქვს შეამციროს სახ. ბაჟის ოდენობა ან გადაავადოს მისი გადახდა კანონით დადგენილი წესით. ამასთან, სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე სწორედ განმცხადებელს ეკისრება იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომელთა არსებობაც სასამართლოს მისცემს უფლებას გაათავისუფლოს განმცხადებელი სახ. ბაჟის გადახდისაგან, შეამციროს სახ. ბაჟის ოდენობა ან გადაავადოს მისი გადახდა, რაც შეესაბამება შეჯიბრებითობის

საფუძველზე სამართალწარმოების განხორციელების კონსტიტუციურ პრინციპს. 49-ე მუხლის თანახმად, სახ. ბაჟის ოდენობა განახევრდება, თუ:

ა) მოსარჩელემ მთავარ სხდომაზე უარი თქვა სარჩელზე ან მოპასუხემ ცნო სარჩელი;

ბ) მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან;

თუ აღნიშნულ მოქმედებებს ადგილი ექნება მთავარ სხდომამდე მხარეები მთლიანად გათავისუფლდებიან სახ. ბაჟის გადახდისგან. კანონში მითითებული სიტყვები „სახ. ბაჟის ოდენობა ნახევრდება" ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითებს: დაუბრუნდეს მხარეს გადახდილი სახბაჟის ნახევარი.

თუ სარჩელის ცნობა ან სარჩელზე უარის თქმა სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ სახ. ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად. ზემდგომ სასამართლოებში სახ.ბაჟის გადახდისგან მთლიანად გათავისუფლება ან სახბაჟის ოდენობის განახევრება ხდება 49-ე მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახბაჟის ოდენობის ფარგლებში. სასამართლო მედიაციის პროცესში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახ. ბაჟის 70 %.

§5. სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის და მათი ანაზღაურება სახელმწიფოსათვის

დარღვეულ უფლებათა ეფექტიანად აღდგენის მექანიზმის შექმნის მიზნით და საფუძვლიანი, დასაბუთებული მოთხოვნის აღმძვრელი მხარის (მხარის, რომლის უფლებებსა და თავისუფლებებს მიადგა ზიანი) ქონებრივი ინტერესების მაქსიმალურად დაცვის პრინციპის გათვალისწინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების წესს.

სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიუთითოს სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე (სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი), საპროცესო კოდექსის 53-55-ე მუხლებით დადგენილი წესების (მოთხოვნების) გათვალისწინებით.

მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების ზოგადი წესები დადგენილია სსსკ-ის 53-ე მუხლით. ამ მუხლის სათაურიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ სასამართლო ხარჯები ნაწილდება მხოლოდ მხარეებს – მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, რომელთა შორის წამოჭრილი მატერიალურ-სამართლებრივი დავაც იყო სასამართლო განხილვის საგანი. ამასთან, სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე საკითხის გადაწყვეტის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნენ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებიც იმდენად, რამდენადაც ისინი სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა.

თუ სარჩელი აღძრულია რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, ან თუ საქმეში მონაწილეობს დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი, სასამართლო ხარჯების განაწილება ხდება ყველა ამ პირს შორის, რამეთუ პროცესში თითოეული, ყოველი მათგანი დამოუკიდებლად გამოდის.

მიყენებული ზიანისათვის ბრალეულ პირზე პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპი საფუძვლად უდევს მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, რაც გასწია როგორც სახელმწიფომ, ისე იმ მხარემაც, რომელიც არ იყო გათავისუფლებული ამ ხარჯების გადახდისაგან.

სსსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები მხარეთა შორის ნაწილდება

შემდეგი წესით:

იმ მხარის მიერ გაღებული ყველა ხარჯის,მათ შორის წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის გადახდა, რომლის სასარგებლოდაც გამოიტანა სასამართლომ გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აქედან გამომდინარე, ხარჯების ანაზღაურების უფლებას იძენს ის მხარე, რომელმაც მოიგო პროცესი და უკვე გასწია (გადაიხადა) სასამართლო ხარჯები. მხარე, რომელმაც წააგო პროცესი, აღნიშნულ ხარჯებს ანაზღაურებს ნებისმიერ შემთხვევაში.

აქედან დასკვნა,რომ კანონი ათავისუფლებს კონკრეტულ პირებს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში (მის სასარგებლოდ) სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ხოლო ურთიერთშორის მხარეები ამ ხარჯებს ანაზღაურებენ ხარჯების სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურების პრინციპის მიხედვით, ანუ ურთიერთშორის (ერთიმეორისათვის) ამ ხარჯების ანაზღაურებისაგან მხარეები (წაგებული მხარე) არ თავისუფლდებიან.

სწორედ ამიტომაა, რომ წაგებული მხარე ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა ის გათავისუფლებული იყო ბიუჯეტის სასარგებლოდ ხარჯების გადახდისაგან, ანაზღაურებს მეორე (მოგებული) მხარის სასარგებლოდ ამ ხარჯებს.

კერძოდ, თუ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს აუნაზღაურდება ყველა სასამართლო ხარჯი,რომელიც მის სასარგებლოდ გადახდება მოპასუხეს. თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მაშინ პირიქით, მას დაეკისრება მოპასუხის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება (გადახდა).

რაც შეეხება ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების უფლებას,ეს უფლება წარმოიშობა, თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ. კანონით დადგენილია, რომ, თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს შესაბამისი თანხები (ხარჯები) მიეკუთვნება (აუნაზღაურდება) სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს — სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოახდენს რა სრულ ანგარიშსწორებას მხარეთა შორის, სასამართლო მიაკუთვნებს განსხვავებას ამა თუ იმ მხარეს.

ანალოგიური წესი მოქმედებს აგრეთვე იმ სასამართლო ხარჯების განაწილების დროს, რომელიც მხარეებმა გასწიეს საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას (სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი და სხვ.). ამ შემთხვევაში უკვე ყველაფერი დამოკიდებულია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის შედეგზე. კერძოდ, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო არ დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად და შეცვლის წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის სსსკ-ის 53-ე მუხლით დადგენილი წესების მიხედვით.

თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს. ამის შესახებ მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გააფრთხილოს მოსარჩელე მისთვის სარჩელზე უარის თქმის შედეგების განმარტების დროს. თუმცა, თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას (სარჩელს) იმის გამო,რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ (ანუ, როცა სარჩელის აღძვრის შემდეგ აღიარა მოპასუხემ ეს მოთხოვნები), მაშინ მოსარჩელის შუამდგომლო-

ბით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას (გადახდას).

მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის გადაწყვეტილება მოპასუხეს დააკისროს მოსარჩლისათვის ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის კომპენსაციის ვალდებულება ეფუძნება იმას, რომ მოსარჩელემ აღძრა მართლზომიერი მოთხოვნა, რომელიც ფაქტობრივად ცნო მოპასუხემ და ნებაყოფლობით დააკმაყოფილა პროცესის მიმდინარეობისას.

ამრიგად, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტისას სასამართლო ხარჯებს მხარეთა შორის სასამართლო ანაწილებს მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ აღძრული მოთხოვნის მართლზომიერება ან არამართლზომიერება ან იმ მოპასუხის პოზიციის მართლზომიერება ან არამართალზომიერება, რომელიც უარს ამბობს მოსარჩელის მოთხოვნის ნებაყოფლობით დაკმაყოფილებაზე, გამოირკვევა სასამართლოს მიერ მხარეთა ფაქტობრივი მოქმედებებიდან გამომდინარე.

როცა მხარეები დებენ მორიგებას, მათ უფლება აქვთ თვითონ გაითვალისწინონ ორმხრივი ხელშეკრულების, ანუ მორიგების აქტის საფუძველზე სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების ურთიერთშორის განაწილების წესი. სასამართლო აღნიშნულ ხარჯებს მხარეთა შორის გაანაწილებს მათი შეთანხმების (მორიგების) შესაბამისად (სსსკ-ის 54-ე მუხლი). წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხარეებს მორიგების დროს (მორიგების აქტში) არ გაუთვალისწინებიათ სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების განაწილების წესი, სასამართლომ, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს ხარჯების განაწილების ზოგადი წესებიდან გამომდინარე (ანუ სსსკ-ის 45-ე მუხლის, 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 49-ე, 53-ე და 55-ე მუხლების გათვალისწინებით).

თუ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ ჰპოვა ასახვა ხარჯების განაწილების საკითხმა სასამართლოს დაუდევრობის გამო, მაშინ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია ეს გამოასწოროს თავისი ინიციატივით ანდა მხარეთა თხოვნით (განცხადებით) და გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სსსკ-ის 261-ე მუხლი). სასამართლო ხარჯების ანაზღაურების საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც. ამასთან, სსსკ-ის 56-ე მუხლის გაუქმებამ, რომელიც სასამართლო ხარჯების შესახებ განჩინების გამოტანას შეეხებოდა, ბევრი უხერხულობა წარმოშვა პრაქტიკაში. დღეს არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს პრაქტიკაში იმ საკითხში, თუ რა პროცედურის გამოყენებით უნდა გადაწყდეს ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. არადა სასამართლოს გადაწყვეტილების შესვლა კანონიერ ძალაში არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ სასამართლო ხარჯების საკითხის განხილვის დამაბრკოლებელ ფაქტორს. ასეთ შემთხვევაში მოცემული საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლოს განჩინების საფუძველზე ანალოგიის გამოყენების გზით. ამრიგად, განმცხადებელს არ ერთმევა თავის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის სასამართლო წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

სასამართლო ხარჯების განაწილების გარდა, კანონი ითვალისწინებს მათი ანაზღაურების წესს.

შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში სასამართლო ხარჯების განაწილების ცნების გარდა იხმარება „სასამართლო ხარჯების ანაზღაურების" ცნება. ეს ცნება გამოიყენება სახელმწიფოსათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურების მიმართ.

ასე მაგალითად, სსსკ-ის 55-ე მუხლით დადგენილია, რომ სასამართლოს მიერ საქმის

განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დროს სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზედაც მას უარი ეთქვა.

თუ მოსარჩელეც და მოპასუხეც გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს სრულად გაიღებს სახელმწიფო.

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოპასუხეს მის მოძებნასთან დაკავშირებული ხარჯები. გადახდევინება მოპასუხისაგან (მოვალისაგან) ასეთ დროს წარმოებს შინაგან საქმეთა ორგანოების სარჩელის საფუძველზე, რომლებიც ახორციელებენ მოპასუხის მოძებნას. ბაჟის კანონის მე-5 მუხლის თანახმად, შ.ს. ორგანოები ასეთ სარჩელებზე თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

§6. ადვოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს ისეთ ცნებასაც, როგორიცაა „ხარჯების ანაზღაურება". ამ ხარჯებში იგულისხმება ადვოკატის (წარმომადგენლის) დახმარების გამო გადასახდელი ხარჯები.

ადვოკატის (წარმომადგენლის) დახმარების გამო გადასახდელი ხარჯები შეადგენს ხარჯების ცალკე ჯგუფს, რომელთაც კანონი სასამართლოს გარეშე ხარჯებს უწოდებს. მართალია, სასამართლოს გარეშე ხარჯები არ მიეკუთვნება საკუთრივ სასამართლო ხარჯებს, მაგრამ ეს ხარჯები მხარეებს ეკისრებათ სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით. ამ ხარჯების ანაზღაურებით უფრო მეტადაა გარანტირებული პროცესში მხარეთა უფლებების რეალური დაცვა. მაგრამ სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან განსხვავებით, ადვოკატის მომსახურების ანაზღაურება პირდაპირაა დამოკიდებული მხარეთა ნების გამოვლენაზე. კანონის თანახმად, მხარეს უფლება აქვს საქმე სასამართლოში აწარმოოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლად მხარეს შეუძლია აირჩიოს ადვოკატი, ან სხვა ქმედუნარიანი პირი. ყველა შემთხვევაში წარმომადგენლის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურება ხდება შეთანხმების საფუძველზე – ეს არის დღეს მოქმედი ძირითადი პრინციპი.

წარმომადგენლისათვის იურიდიული დახმარების გამო გადახდილი ხარჯების ანაზღაურება იმ მხარისათვის, რომელმაც ეს ხარჯები გასწია, დამოკიდებულია კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვის შედეგზე. კერძოდ, სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით, როცა დავა ქონებრივია, ხოლო არაქონებრივ დავებში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით.

როგორც ვხედავთ, შესაბამისი თანხის ოდენობა, რომელიც გადახდევინებულ უნდა იქნეს

მეორე მხარისაგან, კანონით არ არის დაზუსტებული და მყარი თანხით განსაზღვრული (დადგენილი); ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ხარჯების ოდენობას ადგენს სასამართლო კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და გონივრულ ფარგლებში. ამიტომ, კონკრეტული თანხის განსაზღვრა, რომელიც უნდა გადახდეს მეორე (წაგებულ) მხარეს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე. ამასთან, კანონმდებელმა მკაფიოდ მონიშნა სასამართლო შეხედულების (დისკრეციის) რეალიზაციის საზღვრები. „გონივრული ფარგლები" სასამართლოსა და მხარეებს ავალდებულებს, რომ წარმომადგენლის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯების ოდენობა შეუფარდონ სარჩელის ფასს, საქმის სირთულეს, წარმომადგენლის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობას, პროცესის ხანგრძლივობას. სასამართლოს ვალდებულება, რომ იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯები, რომლის სასარგებლოდაც გამოვიდა სასამართლო აქტი, მეორე მხარეს დააკისროს გონივრულ ფარგლებში, წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სამართლებრივ საშუალებას, რომლის მიზანია წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის წაგებული მხარისათვის უსაფუძვლოდ დიდი ოდენობით დაკისრების თავიდან აცილება და ამით საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის განხორციელება, რომლის თანახმადაც „**ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები** და თავისუფლებები". სწორედ ამიტომ სსსკ-ის 54-ე მუხლის 1-ლ ნაწილში არსებითად საუბარია სასამართლოს ვალდებულებაზე დაადგინოს ბალანსი საქმის მონაწილე პირთა უფლებებს შორის. ამასთან, მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანისას, როდესაც სასამართლო ცვლის წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის ოდენობას, რომელიც წაგებულ მხარეს უნდა დაეკისროს, სასამართლოს არა აქვს მისი თვითნებურად შემცირების უფლება, მითუმეტეს, თუკი მეორე მხარე ამ ხარჯს სადავოდ არ ხდის და არ წარადგენს მტკიცებულებას, რომ მისთვის დასაკისრებელი ხარჯი მეტისმეტად დიდია. წარმომადგენლის მომსახურების ანაზღაურება შესაძლოა სადავო გახდეს წარმომადგენელსა და კლიენტს შორის. მომსახურების თანხის ოდენობის განსაზღვრისას, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნეს: საქმის სირთულე, ადვოკატის კვალიფიკაცია და გამოცდილება, კლიენტის ფინანსური მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოება, ამასთან, მომსახურების თანხა არ შეიძლება იყოს სიმბოლური. სხვა შემთხვევაში დაირღვევა სამართლიანობის კრიტერიუმი, რასაც მოცემულ შემთხვევაში მატერიალური გამოხატულება აქვს. ყველა შემთხვევაში მხარეების მიერ რეალურად უნდა იყოს გაწეული (გადახდილი) ადვოკატის (წარმომადგენლის) ხარჯი.

მოპასუხეს მაშინ აქვს ადვოკატის (წარმომადგენლის) დახმარების გამო გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება, როცა იგი სრულად ან ნაწილობრივ მოიგებს პროცესს (ე.ი. როცა მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად ან ნაწილობრივ).

ადვოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯები შეიძლება გადაახდევინონ (ამ ხარჯების ანაზღაურება დააკისრონ) მოპასუხეს მოსარჩელის მოთხოვნით, თუ მოსარჩელე მხარს აღარ უჭერს თავის სასარჩელო მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დაკმაყოფილა იგი, მაგრამ კანონში აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს ეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის აღძვრის შემდეგ, ე.ი. მაშინ, როცა მოსარჩელემ რეალურად გასწია განსაზღვრული ხარჯები (სსსკ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

თავი XV

მტკიცება და მტკიცებულებები

§1. მტკიცების ცნება და მიზანი

მტკიცებითი საქმიანობა მოქცეულია საპროცესო ჩარჩოში და ეფუძნება პროცესის საერთო პრინციპებს (შეჯიბრებითობა, უშუალობა და ა.შ.).

სასამართლოში საქმის განხილვის მიზანია სამართლის სუბიექტების უფლებებისა და ინტერესების დაცვა (აღდგენა). ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სასამართლო დაადგენს საქმის გარემოებებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს (მათ შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს).

ამიტომ სასამართლოს ამოცანაა, რომ სწორად და დროულად განიხილოს და გადაწყვიტოს სამოქალაქო საქმე. ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, როგორც ცნობილია, წარმოუდგენელია (შეუძლებელია) შემეცნების გარეშე. ჭეშმარიტების დადგენის ყოველი პროცესი არის შემეცნების პროცესი. მაგალითად, სამოქალაქო პროცესში საქმის განხილვის დროს სასამართლოს ძალისხმევა მიმართულია საქმის ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეგროვილი (საქმეზე შეკრებილი) მასალის შეფასებისაკენ. სასამართლოს საქმიანობა, რომლის მიზანია იმ ფაქტების უტყუარად გამორკვევა, დადგენა, რომლებზეც დამოკიდებულია მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტა, აგრეთვე წარმოადგენს შემეცნებითი საქმიანობის სახესხვაობას.

ამიტომ სასამართლო შემეცნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ხორციელდება საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების სწორად შეფარდების უზრუნველსაყოფად.

სასამართლოსა და მხარეთათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იურიდიული და მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებს, შესაბამისად გამოკვლეულ უნდა იქნეს მხოლოდ ასეთი ფაქტები. შემეცნებით საქმიანობაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობს სამართალწარმოების მონაწილეთა უმრავლესობა, მაგრამ მხოლოდ სასამართლოს შემეცნების შედეგებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა მართლმსაჯულების განხორციელების დროს.

მანამ, სანამ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ნამდვილად არსებობს სადავო უფლება ან კანონიერი ინტერესი, მან ზუსტად უნდა დაადგინოს ის ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება ეს უფლება ან ინტერესი.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელთაც მატერიალური სამართლის ნორმები უკავშირებს სამართლებრივ შედეგებს, როგორც წესი, წარმოიშობა და არსებობს სამოქალაქო პროცესამდე (სასამართლოში საქმის განხილვამდე), ამიტომ სასამართლო ვერ შესძლებს მათ შესახებ ცოდნის მიღებას უშუალოდ, თუ არ გამოიყენებს მტკიცებულებებს და თუ არ მიმართავს მტკიცებას.

სამოქალაქო პროცესში განასხვავებენ სასამართლო შემეცნების ორ ფორმას: **უშუალო (ანუ ემპირიული)** შემეცნებას, როცა საქმის გარემოებები მოსამართლისა და ასევე შემეცნებითი საქმიანობის სხვა სუბიექტების უშუალო აღქმის ობიექტია და **გაშუალებულს (ანუ მტკიცება)**, როცა საქმის გარემოებები არ წარმოადგენს შემეცნების სუბიექტების უშუალო აღქმის ობიექტს, არამედ ეს სუბიექტები შეიმეცნებს მათ სხვა პირთაგან მიღებული ცნობების საფუძველზე, უტყუარად დადგენილი ფაქტის (ფაქტების) საფუძველზე,

ე.ი. შეიმეცნებს სხვა მოვლენების, ფაქტების საშუალებით.

საქმის განხილვის (სასამართლო სხდომის) დროს შესრულებულ საპროცესო მოქმედებებს მოსამართლეები შეიმეცნებენ გრძნობის ორგანოებით: ისმენენ მხარეთა და მოწმეთა ჩვენებებს, აკვირდებიან მათ რეაქციას სასამართლოში მომხდართან დაკავშირებით, ათვალიერებენ სარჩელის მატერიალურ ობიექტებსა და ნივთიერ მტკიცებულებებს.

უდავოა, რომ საქმის გარემოებათა შემეცნების მოცემული ფორმა საპროცესო თვალსაზრისით ეკონომიურია იმდენად, რამდენადაც ის სწრაფია და ასეთი შემეცნების შედეგები დამაჯერებელიცაა, თუმცა მისი გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია იმის გამო, რომ სამოქალაქო საქმის კანონიერად და დასაბუთებულად განხილვისა და გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა მომხდარია სასამართლო სხდომის გარეშე და საქმის განხილვამდე დიდი ხნით ადრე (მაგალითად, გარიგების დადება, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, ზიანის მიყენება და სხვ.).

ამიტომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ეს ფაქტები და მოვლენები აღიქვას (შეიმეცნოს) უშუალოდ (ანუ პირდაპირ) გრძნობის ორგანოების დახმარებით (ემპირიულად), ვინაიდან ეს ფაქტები წარსულშია მომხდარი, რის გამოც აუცილებელია სასამართლო შემეცნების მეორე ფორმა — მტკიცება.

წარსულში მომხდარი მოვლენების შემეცნება სასამართლოს ძირითადი ამოცანაა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო შემეცნება თავისი ბუნებით უმთავრესად, უპირატესად, გაშუალებულია. ეს აიხსნება იმით, რომ შესაძლებელია მხოლოდ იმ ფაქტების უშუალო აღქმა (შემეცნება), რომლებიც არსებობენ მოცემულ მომენტში (მოცემულ დროს). წარსულის (წარსულში მომხდარი) ფაქტები კი უშუალოდ შესამეცნებლად ძნელია (ხშირად შეუძლებელი). ამასთან, სწორედ წარსულის ფაქტების შემეცნება უხდება დიდწილად სასამართლოს. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს უშუალოდ აღიქვას ზოგიერთი იურიდიული ფაქტი. მაგალითად, ადგილზე დათვალიერებით აღიქვას ოთახის მოცულობა, ოთახის განლაგება სადავო ბინაში; ნივთის თვისება და ა.შ.). ამ ფაქტების დადგენა შეუძლია მოსამართლეს მათი უშუალო აღქმით. ამავე წესით დგინდება ასევე საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობის ზოგიერთი იურიდიული ფაქტი (მხარეთა, ანდა მოწმეთა გამოუცხადებლობა სასამართლოში, მოწმის უარი ჩვენების მიცემაზე, სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა და სხვა ფაქტები).

გაშუალებულ სასამართლო შემეცნებას ეწოდება სასამართლო მტკიცება.

სამოქალაქო პროცესში სასამართლო მტკიცება წარმოადგენს სასამართლოს, საქმის მონაწილეთა და სხვა სუბიექტების საპროცესო სამართლით დეტალურად მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ ცნობების გამოკვლევა (ამ ფაქტების შესახებ სწორი ცოდნის მიღება), ანუ ფაქტების დადგენა. ეს საქმიანობა (ფაქტების დადგენა) ხორციელდება მტკიცებულებების მეშვეობით. ამ ფაქტების (ე.ი. ფაქტების, რომლებიც შეადგენს მტკიცების საგანს) დადგენაზეა დამოკიდებული მხარეთა შორის წამოჭრილი დავის არსებითად გადაწყვეტა.

ყოველგვარი მტკიცება აზრობრივი, გონებრივი საქმიანობაა და სასამართლო მტკიცება ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამასთან, მტკიცება სასამართლოში ეყრდნობა არა მხოლოდ ლოგიკის კანონებს, არამედ წესრიგდება საპროცესო ნორმებითაც, რომლებიც დეტალურად აწესრიგებენ მტკიცებულებითი საქმიანობის მთელს პროცესს.

მტკიცების დროს, ფაქტების შესახებ მიღებული ცნობების საფუძველზე, სასამართლო, კანონით ზუსტად განსაზღვრული წესით, ადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მართლმსაჯულების სწორად განსახორციელებლად. კანონი განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს, რისი დამტკიცებაა აუცილებელი, რომელი მტკიცებულებებით უნდა დამტკიცდეს ეს გარემოება

(ფაქტი) და ა.შ.

მტკიცების არსის წვდომისათვის, მისი გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ შემდეგ მომენტებს:

1) მტკიცება ესაა სასამართლოს, საქმის მონაწილეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც ფორმითა და შინაარსით იურიდიული (სამოქალაქო საპროცესო) საქმიანობაა, ვინაიდან ზუსტად, მკაფიოდ და დეტალურად არის მოწესრიგებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

2) მტკიცების ცნება განუყოფლადაა დაკავშირებული მტკიცებულებებთან, რამეთუ მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მათ საფუძველზე შეიძლება დადგინდეს განსახილველი საქმის ფაქტების შესახებ ცნობები, რადგან მხოლოდ სასამართლო ეხმარება მხარეებს მტკიცებულებათა შეგროვებაში, გამოკვლევასა და შეფასებაში, რის შედეგადაც ადგენს საქმის (განსახილველი დავის) ფაქტობრივ მხარეს.

3) სასამართლო მტკიცებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ფორმალური ლოგიკის წესები, ვინაიდან თვითონ მტკიცების პროცესი და მტკიცების პროცესის შედეგი ლოგიკურად სწორი უნდა იყოს. სასამართლო მტკიცება ერთბაშად საპროცესო და ლოგიკური საქმიანობაცაა. საპროცესო საქმიანობა ზედმიწევნით უნდა იყოს განმსჭვალული ლოგიკური აზროვნებით, თავის მხრივ, აზრობრივი საქმიანობა სასამართლო მტკიცების დროს, უნდა განხორციელდეს საპროცესო ფორმაში.

ამდენად, სასამართლო მტკიცებაში ორგანულადაა შეხამებული ორი მხარე: აზრობრივი და პრაქტიკული. მტკიცების აზრობრივი (ლოგიკური) მხარე ექვემდებარება ლოგიკური აზროვნების კანონებს. პრაქტიკული (საპროცესო) საქმიანობა, ე.ი. საქმის გარემოებათა მტკიცების მიზნით შესრულებული საპროცესო მოქმედებები ეფუძნება სამართლის ნორმებს და უნდა შესრულდეს სამართლის ნორმით დადგენილი წესების, მოთხოვნების შესაბამისად.

საპროცესო მტკიცება არ არის მხოლოდ გონებრივ ლოგიკური საქმიანობა, ან მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობა. სასამართლო მტკიცება ორი სახის საქმიანობის – ლოგიკურისა და საპროცესო საქმიანობის ერთიანობას (მთლიანობას) წარმოადგენს.

ამასთან, აუცილებლად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ლოგიკური პროცესები არ წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

ამასთან ერთად, თუ გადაწყვეტილებაში ასახული სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები არ შეესაბამება საქმის ნამდვილ გარემოებებს, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს (ასეთი გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იქნება).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლოგიკის წესების დაუცველობა გამოიწვევს მართლმსაჯულების მცდარი აქტის გამოტანას (შეცდომებს მასში) აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

სასამართლო მტკიცება იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ უნდა განისაზღვროს, თუ რომელ გარემოებებს აქვთ არსებითი მნიშვნელობა. ამისათვის კი უნდა ვიხელმძღვანელოთ მატერიალური სამართლის იმ ნორმის ჰიპოთეზითა და დისპოზიციით (მის შესაბამისად), რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული და გავითვალისწინოთ მხარეთა მიერ აღძრული მოთხოვნები და შესაგებელი.

ამრიგად, განისაზღვრება რა მტკიცების საგანი მოცემულ საქმეზე, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცება მხარეების მიერ.

შემეცნებითი პროცესი მთავრდება იმით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში აისახება სასამართლოს დასკვნები (მოსაზრებები). ეს დასკვნები ზუსტ ლოგიკურ შესაბამისობაში უნდა იყოს საქმეზე დამტკიცებულ (დადგენილ) გარემოებებთან. ამიტომ სასამართლოს შეცდომა შემეცნებითი პროცესის ამა თუ იმ ეტაპზე, გამოიწვევს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ასეთი გადაწყვეტილება კი აუცილებლად უნდა გაუქმდეს.

გარდა ამისა, მტკიცების დროს (მტკიცების პროცესში) დაუშვებელია ისეთი საპროცესო

მოქმედებების შესრულება,რომელიც ზიანს აყენებს ფიზიკური პირის სიცოცხლეს,ჯანმრთელობას,ლახავს პატივსა და ღირსებას,აგრეთვე საქმიან რეპუტაციას. სასამართლო იღებს ზომებს ფიზიკური პირის პირადი ცხოვრების შესახებ საიდუმლო ცნობების დასაცავად, აგრეთვე იმ ცნობების დასაცავად, რომელიც კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს.

საპროცესო მოქმედებათა შესრულებისას შეიძლება გამოაშკარავდეს საიდუმლო ცნობები, ამიტომ მხარეებსა და სხვა პირებს სასამართლო აფრთხილებს ამ ცნობების გახმაურებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

მტკიცებულებითი საქმიანობის შინაარსი განისაზღვრება სასამართლოსა და მხარეთა წინაშე მდგარი რამდენიმე ამოცანით. აქ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო მტკიცება შედგება რამდენიმე თანმიმდევრული სტადიისაგან:

1) მტკიცებულებათა შეგროვება, წარდგენა, გამოთხოვა, ხოლო თუ ეს აუცილებელია — მათი დაფიქსირება. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ იმას, თუ რომელი მტკიცებულებებია აუცილებელი საქმის სწორად გადასაწყვეტად, ანუ რომელი მტკიცებულებებით უნდა დადგინდეს (დამტკიცდეს) მტკიცების საგნის ფაქტები და ამ მტკიცებულებებს აგროვებენ შემდგომში სასამართლოში წარსადგენად.

კლასიკურ შეჯიბრებით პროცესში მტკიცებულებათა შეგროვება და წარდგენა ეკისრებათ მხოლოდ მხარეებსა და საქმის მონაწილე სხვა პირებს. ამიტომ სასამართლოს მხოლოდ ის როლი აკისრია, რომ დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს მტკიცებულებების შეგროვებაში. მაგალითად, სასამართლოს გამოაქვს ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების განჩინება, სასამართლო დავალების შესახებ განჩინება და ა.შ.

2) მტკიცებულებათა გამოკვლევა მტკიცებულებათა ურთიერთშეპირისპირების, მათი საფუძვლიანი ანალიზის,ახალი მტკიცებულებების მოძიების გზით და ა.შ. მტკიცებულებათა გამოკვლევა წარმოადგენს ყოველი ცალკეული მტკიცებულებისა და მათი ერთობლიობის უტყუარობის განსაზღვრას. საქმის გარემოებათა დადგენა ხდება მტკიცების რამდენიმე სხვადასხვა სახის საშუალებით. თავისებურებებით ხასიათდება თითოეული ამ მტკიცებულების გამოკვლევა.

3) მტკიცებულებათა შეფასება უმნიშვნელოვანეს და მტკიცების პროცესის საბოლოო ეტაპს (სტადიას) წარმოადგენს.

მტკიცებულებათა შეგროვებისა და წარდგენის ტვირთი (ამოცანა) უმთავრესად საქმის მონაწილეთ აწევთ, თუმცა ამ კუთხით სასამართლოც აღჭურვილია განსაზღვრული უფლებებით.

მტკიცებულებათა გამოკვლევა ხორციელდება სასამართლოს მიერ საქმის მონაწილეებთან ერთად.

რაც შეეხება მტკიცებულებათა შეფასებას, მათი შეფასება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა.

ამიტომ შეფასების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მოსამართლის მართლშეგნებას და იმ კანონს, რომელსაც მოსამართლე იყენებს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს (რომელიც ეხმარება სასამართლოს განსაზღვროს სასამართლო შემეცნების ფარგლები წარდგენილი მტკიცებულებების განკუთვნადობის თვალსაზრისით).

სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს ყოველი ცალკეული მტკიცებულების დასაშვებობას, შესახებობასა და უტყუარობას, აგრეთვე მტკიცებულებათა საკმარისობასა და ურთიერთკავშირს მათ ერთობლიობაში.

მტკიცებულებათა შეფასების შედეგები სასამართლომ აუცილებლად უნდა ასახოს გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში. მასში უნდა დასახელდეს მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები და მოტივები (მოსაზ-

რებები), რომელთა გამოც ესა თუ ის მტკიცებულება სასამართლომ საფუძვლად დაუდო თავის დასკვნებს (მოსაზრებებს), ხოლო სხვა მტკიცებულებები უარყო, აგრეთვე უნდა დასახელდეს, თუ რის საფუძველზე მიანიჭა უპირატესობა ამა თუ იმ მტკიცებულებას სხვა მტკიცებულებათა მიმართ.

სასამართლოს მიერ მტკიცებულება მიიჩნევა უტყუარ მტკიცებულებად, თუ მტკიცებულების გამოკვლევის, სხვა მტკიცებულებებთან მისი შეპირისპირების შედეგად დადგინდება (გამოირკვევა), რომ ცნობები, რომელთაც ეს მტკიცებულება შეიცავს, სინამდვილეს შეესაბამება. დოკუმენტებისა და სხვა წერილობითი მტკიცებულებების უტყუარობის შეფასების დროს სასამართლო ვალდებულია ყველა სხვა მტკიცებულების გათვალისწინებით დარწმუნდეს, რომ დოკუმენტი (საბუთი) ან სხვა წერილობითი მტკიცებულება გამომდინარეობდეს იმ ორგანოდან, რომელიც უფლებამოსილია გამოსცეს მოცემული სახის მტკიცებულება, ხელმოწერილია იმ პირის მიერ, რომელსაც უფლება აქვს დაამოწმოს დოკუმენტი ხელმოწერით, შეიცავს ყველა სხვა აუცილებელ რეკვიზიტს, რასაც უნდა შეიცავდეს მოცემული სახის მტკიცებულება.

დოკუმენტის (საბუთის) ან სხვა წერილობითი მტკიცებულების ასლების უტყუარობის შეფასების დროს სასამართლო ამოწმებს, ხომ არ მომხდარა ასლის გადაღებისას დოკუმენტის ასლის შინაარსის ცვლილება და ხომ შეესაბამება იგი ორიგინალს, რა ტექნიკური ხერხებით მოხდა ასლის გადაღება, გარანტირებულს ხდის თუ არა ასლის გადაღების პროცესი ასლისა და პირველწყაროს იგივეობას (ერთნაირობას), რა წესით იყო შენახული (დაცული) დოკუმენტის ასლი.

სასამართლოს უფლება არა აქვს დამტკიცებულად ჩათვალოს (მიიჩნიოს) ის ფაქტი, რომელიც დასტურდება მხოლოდ დოკუმენტის (საბუთის) ან სხვა წერილობითი მტკიცებულების ასლით, თუ დაკარგულია და არ გადაეცა სასამართლოს დოკუმენტის ორიგინალი, ხოლო ამ დოკუმენტის ასლები, რომლებიც წარდგენილია მოდავე მხარეთა მიერ, არ არის ერთნაირი, ერთმანეთის მსგავსი და სხვა მტკიცებულებათა მეშვეობით შუძლებელია პირველწყაროს ნამდვილი შინაარსის დადგენა.

მტკიცებულებათა უტყუარობის დადგენის გარდა, სასამართლომ უნდა განსაზღვროს მათი საკმარისობაც, ე.ი. შეიძლება თუ არა შეგროვილი მტკიცებულებების საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნა დასადგენი ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსამართლე ეცნობა სასამართლოში შესულ სარჩელს (განცხადებას) და თანდართულ წერილობით მასალებს. სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმების საფუძველზე შეიძლება გაირკვეს, თუ რომელი მტკიცებულებები უნდა იქნეს გამოყენებული მოცემული დავის გადასაწყვეტად, რამეთუ ეს ნორმები, შესაძლოა, შეიცავდეს მითითებას იმ მტკიცებულებებზე, რომლებითაც დაიშვება საერთოდ ამ ურთიერთობათა ან ცალკეული ფაქტების დადასტურება, ამა თუ იმ გარემოების დადგენა.

რაც შეეხება მტკიცებულებათა შეგროვებას, მტკიცებულებათა შეგროვების ძირითადი საშუალებებია:

1) მათი წარდგენა მტკიცების სუბიექტების მიერ (ესენია მხარეები, საქმის სხვა მონაწილენი და მათი წარმომადგენლები);

2) მათი გამოთხოვა სასამართლოს მიერ ყველასაგან, ვისთანაც მტკიცებულებები იმყოფება. ის, ვინც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე, ვალდებულია აღნიშნოს წერილობითი მტკიცებულება ან აღწეროს ნივთი (მიუთითოს კონკრეტულად რომელი დოკუმენტის გამოთხოვას ითხოვს და ვისგან და ა.შ.), მიუთითოს მიზეზები, რომელიც მათი დამოუკიდებლად მიღების დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს, დაასახელოს საფუძვლები, რომლითაც ის თვლის, რომ მტკიცებულება ინახება მოცემულ პირთან ან ორგანიზაციაში;

3) ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელ პირებზე შესაბამისი მტკიცებულების გამოთხოვის განჩინების გაცემა, რომ ამ პირებს მიენიჭოთ მტკიცებულებათა მიღებისა და სასამართლოში წარდგენის უფლება (სსსკ-ის 155-ე მუხლი);

4) სასამართლოში მოწმედ დაბარება;

5) ექსპერტიზის დანიშვნა;

6) სასამართლო დავალებების გაგზავნა მტკიცებულებათა შესაგროვებლად სხვა სასამართლოში;

7) მტკიცებულებათა უზრუნველყოფა.

მტკიცებულებათა შეგროვება, ძირითადად, საქმის მომზადების სტადიაზე მიმდინარეობს.

პირველ რიგში, მხარეებს (განმცხადებლებს) აწევთ დასადგენი ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, ანუ მტკიცების ტვირთი (ონუს პრობანდი). მხარეები, მესამე პირები, განმცხადებლები აქტიურად მონაწილეობენ მტკიცებულებათა როგორც შეკრებაში, ისე გამოკვლევაში. ე.ი. მტკიცების ძირითადი სუბიექტები არიან საქმის მონაწილენი.

მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) შემდეგი წესით ნაწილდება: თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც, როგორც საფუძველზე ის ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (ანუ ეს გარემოებები ამ მოთხოვნებისა და შესაგებლის საფუძველია).

ეს წესი ვრცელდება უდავო წარმოების საქმეში მონაწილე პირების ვალდებულებებზეც. ამ პირების მიერ მტკიცებულებების წარმოუდგენლობამ შეიძლება გამოიწვიოს მათთვის არახელსაყრელი (არასასურველი) შედეგები, რაც უზრუნვეოყოფს შეჯირებითობის პრინციპის რეალურ მოქმედებას პროცესში. მტკიცება, ძირითადად, პირველი ინსტანციის სასამართლოში ხორციელდება, თუმცა გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოშიც შეიძლება მითითებულ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები (იხ. სსსკ-ის 380-ე მუხლი).

მტკიცების სუბიექტები არიან აგრეთვე მხარეთა წარმომადგენლებიც. ისინი წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს და აქტიურად მონაწილეობენ მათ გამოკვლევაში. თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი, სასამართლო სთავაზობს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, ანდა მხარეთა შუამდგომლობით ეხმარება მათ მტკიცებულებათა შეგროვებაში. მაგალითად, ექსპერტი დასკვნას იძლევა მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ამიტომ მხარის შუამდგომლობით სასამართლო დანიშნავს ექსპერტიზას.

მტკიცების ტვირთის (ვალდებულების) განაწილებაში არსებით როლს თამაშობს პრეზუმფციები.

პრეზუმფცია ლათინური სიტყვისაგან „praesumptio“ მომდინარეობს და ნიშნავს „ვარაუდს, „გულვებას“. ესაა ვარაუდი, რომელიც უტყუარად ითვლება მანამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. ყოველგვარი გულვება, ვარაუდი არის დასკვნა, სხვა ფაქტების შესაძლო არსებობის შესახებ, რომელიც გამოიტანება ამა თუ იმ დადგენილი ფაქტის საფუძველზე. „სავარაუდოა ისეთი მტკიცება, ისეთი დასკვნა, რომელიც ფაქტებსა და მოვლენებს შორის მრავალგზის დანახულ თუ შემოწმებულ კავშირს ემყარება. პრეზუმფციული დასკვნით, ერთი ფაქტი ან მოვლენა არსებულად, დადგენილად ითვლება არაერთგზის მომხდარი ანალოგიური ფაქტებისა თუ მოვლენების საფუძველზე. პრეზუმფციულია, მაგალითად, დასკვნა, რომ, თუ წვიმის შემდეგ მზემ გამოანათა, ცაზე ცისარტყელა გაჩნდება. ეს მსჯელობა და დასკვნა ემყარება ბუნებრივ მოვლენებს შორის არაერთგზის შემჩნეულ და დანახულ კავშირს.

პრეზუმფციული დასკვნა სავარაუდოა, არ წარმოადგენს უდავო და უთუო ჭეშმარიტებას.

ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ვარაუდი არ გამართლდეს, პრეზუმფციული დასკვნა სწორი არ აღმოჩნდეს. შეიძლება წვიმაც მოვიდეს, მზემაც გამოანათოს, მაგრამ ცაზე ცისარტყელა არ გაჩნდეს. ეს გარემოება სრულებითაც არ ამცირებს პრეზუმფციული დასკვნის მნიშვნელობას. ასეთი დასკვნების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანთა ურთიერთობა, სამყაროსთან მათი კავშირი, საერთოდ, ცნობიერება და აზროვნება.

პრეზუმფციები არსებობს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სამართალშიც. სამართლებრივი პრეზუმფცია არის ნორმატიული დებულება, რომელიც არსებულად, დადგენილად მიიჩნევს ამა თუ იმ ფაქტს მანამდე, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით".[1]

,,სამართალში პრეზუმფციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. ამგვარი პრეზუმფციების არსებობა იმისთვისაა საჭირო, რომ ურთიერთობის მონაწილეები გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული"[2]. სამართალი არსებულად მიიჩნევს რაღაცას მანამ, სანამ მისი საპირისპირო არ დამტკიცებულა.

პრეზუმფცია ათავისუფლებს იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც დადგენილია პრეზუმფცია, იმ ფაქტების დამტკიცებისაგან, რომელთაც ეს მხარე ამტკიცებს (ადასტურებს).

მაგრამ პრეზუმფციის მთავარი დანიშნულებაა არა ის, რომ იგი ათავისუფლებს მხარეს მტკიცებულებათა მეშვეობით ამა თუ იმ ფაქტის დადასტურების (დამტკიცების) მოვალეობისაგან, არამედ ის, რომ მხარეთა შორის სწორად განაწილდეს მტკიცების ვალდებულება (ტვირთი).

რაც შეეხება მტკიცებულებათა გამოკვლევას, მტკიცებულებათა გამოკვლევა გულისხმობს (ნიშნავს) მათ ყოველმხრივ შესწავლას, ანალიზს სასამართლოს, საქმის მონაწილეთა და მათი წარმომადგენლების მიერ მტკიცებულებათა შესახებობის, დასაშვებობის, უტყუარობისა და საკმარისობის გამოკვლევის მიზნით.

ამ მიზნის მისაღწევად მტკიცებულებათა გამოკვლევა ხდება სხვადასხვა საშუალებით. ამ საშუალებათა გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის მტკიცებულებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, სასამართლო ისმენს მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებს, ამასთან, სასამართლოსა და საქმის მონაწილეთ შეუძლიათ შეკითხვები დაუსვან მხარეებსა და მესამე პირებს მათ ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით. მტკიცებულებებია ასევე მოწმეთა ჩვენება და ექსპერტის დასკვნა. მოწმეები და ექსპერტები იკითხებიან სასამართლოს მიერ. თუ ეს აუცილებელია, სასამართლოს შეუძლია აწარმოოს განმეორებითი დაკითხვა, აგრეთვე დააპირისპიროს მოწმეები მათ ჩვენებებში წინააღმდეგობების გამოსავლენად.

რაც შეეხება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შედეგად ან სასამართლო დავალების მეშვეობით (წესით) მიღებულ წერილობით მტკიცებულებებს (საერთოდ, წერილობით მტკიცებულებებს), საქმის მონაწილეთა წერილობით განმარტებებს, აგრეთვე წერილობით მასალებს, პროცესში ხდება წერილობით მტკიცებულებათა შესწავლა მათი ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით. რაც შეეხება ნივთიერ მტკიცებულებებს, მათ ათვალიერებს სასამართლო და გასაცნობად წარედგინებათ საქმის მონაწილეთ, მათ წარმომადგენლებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტებს. ადგილზე დათვალიერება გამოიყენება იმ მტკიცებულებათა გამოსაკვლევად, რომელთა მიტანაც სასამართლო სხდომის დარბაზში რთულია. ოქმს შეიძლება დაერთოს დათვალიერების დროს შედგენილი ან შემოწმებული გეგმები, ნახაზები, სქემები. დათვალიერებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ საქმის მონაწილე პირებმა, ხოლო თუ ეს აუცილებელია, მოწმეებმა და სპეციალისტმა (121-ე და 123-ე მუხლები).

ამრიგად, მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს ხდება მათი უშუალო აღქმა, ერთი მტკიცებულების შემოწმება სხვა მტკიცებულებების მეშვეობით, მტკიცებულებებს შორის წინააღმდე-

[1] ალ. შუშანაშვილი. უდანაშაულობის პრეზუმფცია. გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა". 1992. 24 ივლისი.

[2] ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ., 1997, გვ. 160.

გობების გამოვლენა და აღმოფხვრა, თუ ისინი არსებობს წარმოდგენილ მტკიცებულებებში.

მტკიცებულების ერთ-ერთი თვისება ისაა, რომ იგი შეიცავს ინფორმაციას მტკიცების საგანში შემავალი იურიდიული ფაქტების შესახებ. ამიტომ ასეთი მტკიცებულება იწოდება განკუთვნად მტკიცებულებად. მტკიცებულებათა განკუთვნადობის (შესახებობის) საკითხის გარკვევა ნიშნავს იმის გარკვევას, აქვს თუ არა ამ მტკიცებულებას საქმისათვის მნიშვნელობა, ანუ შეიცავს თუ არა მტკიცებულება ინფორმაციას მტკიცების საგანში შემავალი იურიდიული ფაქტის შესახებ (სსსკ-ის 104-ე მუხლი).

მტკიცებულებათა **შესახებობა** არის სასამართლოს ქცევის (მოქმედების) წესი, რომლის თანახმადაც სასამართლო მხარეებისაგან არ მიიღებს, არ გამოითხოვს, ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

შესაძლოა პროცესში წარმოდგენილ იქნეს უამრავი განკუთვნადი მტკიცებულება. მაგრამ იბადება კითხვა, ყველა ეს მტკიცებულება უნდა გამოიკვლიოს სასამართლომ თუ არა. ეს საკითხი დისკუსიის საგნად იქცა სამოქალაქო საპროცესო მეცნიერებაში. გადაწყდა, რომ ყველა მტკიცებულების გამოკვლევა არ არის საჭირო. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ დასადგენი ფაქტი გამოკვლეული მტკიცებულებებით საკმაოდ დადასტურებულია, მას შეუძლია შეწყვიტოს სხვა მტკიცებულებათა გამოკვლევა. სასამართლო განსახილველად იღებს მხოლოდ იმ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომელთაც, ასე ვთქვათ, უნარი აქვთ დაადასტურონ ან უარყონ იურიდიული ფაქტები, ეხება მოცემულ საქმეს და დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

განკუთვნადობის (შესახებობის) წესების ამოცანაა, ერთი მხრივ, საქმეში ყველა აუცილებელი (საჭირო) მტკიცებულების ჩართვა, მეორე მხრივ — ზედმეტი მტკიცებულებების ამორიცხვა. გარდა ამისა, სასამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს წესი არ გამოიყენება, თუ სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს სასამართლოს წარმოუდგენს ის მხარე, რომელმაც გაამჟღავნა იგი ან თუ ეს ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მეორე მხარეს ჰქონდა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით მიიღო და წარმოადგინა სასამართლოში.

ამრიგად, მტკიცებულებათა განკუთვნადობის (შესახებობის) წესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლომ უნდა მიიღოს და გამოიკვლიოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის განხილვა-გადაწყვეტისათვის. მტკიცებულებას მხოლოდ მაშინ აქვს საქმისათვის მნიშვნელობა, როცა ის დაკავშირებულია მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებთან, ე.ი. მოცემულ საქმეზე დასადგენ ფაქტებთან და, შესაბამისად, როცა ამგვარი კავშირის გამო ამ მტკიცებულებას შეუძლია დაადასტუროს (დაამტკიცოს) ან უარყოს ეს ფაქტები, ე.ი. მტკიცებულება უნდა შეიცავდეს ცნობებს დასადგენი იურიდიული ფაქტების შესახებ. სასამართლოს ამოცანაა, რომ საქმის მონაწილეთა მიერ წარდგენილი მთელი მტკიცებულებითი მასალიდან შეარჩიოს ის მტკიცებულებები, რომელიც საქმეს შეეხება (განეკუთვნება). სასამართლომ არ უნდა დაუშვას საქმის გადატვირთვა იმ მასალებითა და ფაქტობრივი მონაცემებით, რომელიც საქმეს არ ეხება, საქმისათვის არ არის მნიშვნელოვანი (საჭირო). აქედან გამომდინარე, მტკიცებულებათა განკუთვნადობის (შესახებობის) წესს საფუძვლად უდევს მტკიცებულების შინაარსსა და დასამტკიცებელ ფაქტებს შორის ობიექტური კავშირი.

მტკიცებულებათა შესახებობის (განკუთვნადობის) შესახებ ნორმა მიმართულია სასამართლოსადმი, ვინაიდან მხარეები მტკიცებულებათა წარდგენისას, შესაძლოა, შეცდნენ ამ მტკიცებულებათა შესახებობის შეფასებაში, ანდა შეგნებულად (განზრახ) გადაიტანონ შემეცნების ობიექტისაგან სასამართლოს ყურადღება. სასამართლო ვალდებულია მტკიცებულებათა შესახებობის (განკუთვნადობის) წესის შესაბამისად მოაწესრიგოს მტკიცებულებათა წარდგენის, გამოთხოვის, გამოკვლევის პროცესი, რათა საქმეში აუცილებელი და

საკმარისი მტკიცებულებითი მასალა დარჩეს (შეირჩეს), არ გადაიტვირთოს საქმე ფუჭი, საქმისათვის უმნიშვნელო მტკიცებულებებით.

გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ უნდა მივიჩნიოთ დასაბუთებულად, როცა მასში ასახულია მოცემული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებიც დადასტურებულია (დამტკიცებულია) სასამართლოს მიერ შემოწმებული იმ მტკიცებულებებით, რომელიც აკმაყოფილებს (შეესაბამება) კანონის მოთხოვნებს მტკიცებულებათა შესახებობის და დასაშვებობის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარანტირებულს ხდის მტკიცებულებათა განკუთვნადობის (შესახებობის) შესახებ დადგენილი წესების სწორ გამოყენებას. მაგალითად, სსსკ-ის 178-ე მუხლი მოითხოვს, რომ მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს (აღნიშნოს) გარემოებები (ანუ იურიდიული ფაქტები, რაც სარჩელის საფუძველს წარმოადგენს), რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

ასევე იმისათვის, რომ გაუადვილდეს სასამართლოს მტკიცებულებათა შესახებობის (განკუთვნადობის) განსაზღვრა, კანონი მოითხოვს, რომ ის, ვინც შუამდგომლობს დოკუმენტების, ანუ წერილობითი (134-ე მუხლის მე-3 ნაწ.) და ნივთიერი (154-ე მუხლის მე-3 ნაწილი) მტკიცებულებების გამოთხოვის, აგრეთვე ამა თუ იმ პირის მოწმედ დაშვებისა და დაკითხვის, აგრეთვე სასამართლოს მეშვეობით მოწმის გამოძახების (დაბარების) შესახებ (140-ე მუხლის მე-3 ნაწილი), ვალდებულია მიუთითოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება დადგინდეს ამ მტკიცებულებებით, ანუ მიუთითოს რომელი მტკიცებულებები ეხება, მისი აზრით, საქმეს, ასევე მიუთითოს მტკიცებულების ინდივიდუალური თავისებურებანი და ადგილსამყოფელი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების სასამართლოს მიერ შემეცნების სისრულე, ერთი მხრივ, ნიშნავს საქმეში ყველა აუცილებელი მტკიცებულების არსებობას და, მეორე მხრივ, ზედმეტი მტკიცებულებების ამორიცხვას საქმიდან. საქმისათვის მნიშვნელობის არმქონე მტკიცებულებათა მიღება სასამართლო შეცდომის განმაპირობებელი ფაქტორია.

მტკიცებულებათა შესახებობის (განკუთვნადობის) წესი მჭიდროდაა დაკავშირებული მტკიცების საგანთან. მტკიცების საგანს უნდა შეადგენდეს მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები და გარემოებები. ეს ფაქტები და გარემოებები საშუალებას გვაძლევს, რომ მათ საფუძველზე გადავწყვიტოთ დავა.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადავო მატერიალური სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე, ერთი და იმავე ფაქტს ერთ სამოქალაქო საქმეზე, შესაძლოა, ჰქონდეს მნიშვნელობა, შეეხებოდეს ამ საქმეს და, შესაბამისად, მოითხოვდეს კიდეც დამტკიცებას განკუთვნადი მტკიცებულებების მეშვეობით. სხვა, თუნდაც ერთი შეხედვით ანალოგიურ დავასთან (საქმესთან) დაკავშირებით კი ამ ფაქტს, შესაძლოა, არ ჰქონდეს მნიშვნელობა და არც საჭიროებდეს დამტკიცებას. მაგალითად, თუ მშობლის უფლების ჩამორთმევის საქმეზე სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს პიროვნების დამახასიათებელი გარემოებები და მოპასუხის ან მოსარჩელის ქცევა, ვალის გადახდევინების შესახებ სარჩელთან დაკავშირებით ამგვარი გარემოებების გამოკვლევას საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შესაბამისად, ამ ფაქტების დასასაბუთებლად წარდგენილ მტკიცებულებებს სასამართლო არ მიიღებს. ასევე, მაგალითად, საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, ამიტომ სხვა საბუთი საკუთრების უფლების დასადასტურებლად არ შეიძლება მიღებულ იქნეს.

მართალია, საქმის მასალების სისრულე საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ შეცდომები სასამართლო გადაწყვეტილებაში, მაგრამ, ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება შესაძლოა უამრავი იყოს.

ვთქვათ, ქუჩაში მომხდარი უბედური შემთხვევის მოწმე შეიძლება ათეულობით ადამიანი იყოს. აუცილებელია თუ არა ყველა შესაძლო მოწმის სასამართლოში დაბარება? სასამართლოს ამოცანაა, რომ შესაძლო მტკიცებულებათაგან გამოავლინოს ის, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული პირველად ფაქტებთან, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცებულებების რაოდენობა საკმარისი იყოს ამ ფაქტების უტყუარად (მათი უტყუარობის) დასადგენად.

დაბოლოს, მტკიცებულებათა მიუღებლობის, გამოთხოვაზე უარის თქმის, ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება.

მტკიცებულების განკუთვნადობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მტკიცებულების მეორე თვისებაც. კერძოდ, იბადება კითხვა, ყველა განკუთვნადი მტკიცებულება დასაშვებია თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში? რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, დასაშვებია მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლშია ჩამოთვლილი. ასეთია: მხარისა და მესამე პირის ახსნა-განმარტება, წერილობითი მტკიცებულება, მოწმის ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულება და ექსპერტის დასკვნა. გარდა ამისა, **დასაშვებობის საწყისს აქვს კონკრეტული შინაარსიც და იგი კავშირშია სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლებთან, რომლებიც ადგენენ გარიგების ფორმას.**

მტკიცებულებათა დასაშვებობა ითვალისწინებს შეზღუდვას მტკიცებულებათა გამოყენებაში ამა თუ იმ გარემოებათა დასადგენად. თუ მტკიცებულებათა განკუთვნადობის წესი საერთო (ზოგადი) ხასიათისაა და გამოიყენება ნებისმიერი სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, მტკიცებულებათა დასაშვებობის წესი გამოიყენება ცალკეულ საქმეებზე, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენებასთან, რომლებიც აწესრიგებენ სხვადასხვა სახის გარიგების ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მტკიცებულებათა დასაშვებობის განსაზღვრა ნიშნავს იმის გარკვევას, მიღებულია თუ არა ეს მტკიცებულება კანონით გათვალისწინებული საშუალებებით. მტკიცებულებათა დასაშვებობის წესის თანახმად, სასამართლომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები. მტკიცებულების დასაშვებობა არის კანონით წინასწარ დადგენილი შეზღუდვა მტკიცებულებათა გამოყენების საკითხში კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის პროცესში.

სასამართლო მტკიცებულებათა თეორია საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა თავისუფლად განკარგვის შეზღუდვას, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის (სიმტკიცის) ინტერესებიდან გამომდინარე (საქმის ხასიათის გათვალისწინებით ყველა მტკიცებულებით სარგებლობა და ყველა მტკიცებულების გამოყენება როდი დაიშვება).

დასაშვებობის წესი სამოქალაქო პროცესში განუყოფლადაა დაკავშირებული სამოქალაქო სამართლით დადგენილ გარიგების ფორმის დაუცველობის შედეგებთან. თუ კანონმდებელი არ დაადგენს გარიგების ფორმის შესახებ შესაბამის წესებს სამოქალაქო სამართალურთიერთობების სფეროში, მაშინ დასაშვებობის წესი სამოქალაქო პროცესში ზედმეტი იქნება. როგორც ცნობილია, კანონით დადგენილი სავალდებულო (აუცილებელი) ფორმის დაუცველობა გარიგების დადების დროს, იწვევს ამ გარიგების ბათილობას კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, უძრავი ნივთის ნასყიდობისას გარიგების წერილობითი ფორმის დაუცველობა გამოიწვევს ხელშეკრულების ბათილობას. ზოგიერთ შემთხვევაში, კანონით, შესაძლოა, პირდაპირ არც იყოს გათვალისწინებული გარიგების ბათილობა, მაგრამ კანონი მიუთითებდეს, რომ გარიგების დადებისას კონკრეტული ფორმის დაუცველობა გამოიწვევს მხარეთა მიერ ზოგიერთი მტკიცებულების გამოყენების შეუძლებლობას. გარიგების მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა მხარეებს უფლებას ართმევს, დავის წარმოშობის შემთხვევაში, დაეყრდნონ მოწმის ჩვენებებს გარიგებისა და მისი პირობების დასადასტურებლად, მაგრამ არ ართმევს უფლებას გამოიყენონ სხვა

მტკიცებულებები.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლით დადგენილია, რომ სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება სესხის ხელშეკრულება დაიდოს წერილობითი ფორმითაც. თუ ხელშეკრულება დაიდება ზეპირად, მაშინ დავის შემთხვევაში ხელშეკრულების ნამდვილობის (ფულის გადაცემის) დასადასტურებლად (დასადგენად) მარტო მოწმეთა ჩვენებები არ არის საკმარისი, აუცილებელია სხვა მტკიცებულებებიც (კერძოდ მხარის აღიარება), ასევე, სსსკ-ის 296-ე მუხლის თანახმად, თამასუქისა და ჩეკის საქმეებზე მტკიცებულებებად დაიშვება მხოლოდ დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და მხარეთა ახსნა-განმარტებები.

ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე სამოქალაქო პროცესში, მაგალითად, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების შესახებ, პირის ქმედუუნაროდ აღიარების ან გამოჯანმრთელებულის ქმედუნარიანად ცნობის შესახებ საქმეებზე სასამართლომ უნდა დაადგინოს იურიდიული ფაქტები კანონით განსაზღვრული მტკიცებულებებით, მაგრამ ამ საქმეებზე არ არის გამორიცხული სხვა მტკიცებულებათა წარდგენაც.

სამართლის ზემოაღნიშნული ნორმებით დადგენილ მტკიცებულებათა დასაშვებობის წესს გააჩნია „პოზიტიური" შინაარსი და ეს ნიშნავს, რომ კანონით დადგენილ მტკიცებულებებს მოცემულ საქმეზე გვერდს ვერ ავუვლით, ამ მტკიცებულებათა გარეშე საქმის გადაწყვეტა დაუშვებელია, ამ მტკიცებულებათა შეცვლა სხვა მტკიცებულებებით არ შეიძლება, მაგრამ, ამასთანავე, ფაქტის დადასტურებისა ან მისი უარყოფისათვის შეიძლება დამატებით სხვა მტკიცებულებათა გამოყენებაც, თუ ამას მოითხოვს საქმის კონკრეტული გარემოებები.

მტკიცებულებათა დასაშვებობის წესს, შესაძლოა, გააჩნდეს გამორიცხვითი („ნეგატიური") ხასიათის შინაარსი: მტკიცებულების დასაშვებობის წესი ნეგატიური ხასიათის შინაარსით ეწოდება კანონის (სამოქალაქო სამართლის ნორმების) ისეთ მითითებას (დანაწესს), რომელიც სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულებებიდან გამორიცხავს მოწმეთა ჩვენებებს.

„ნეგატიური" ხასიათის შინაარსის მქონე მტკიცებულებათა დასაშვებობა განისაზღვრება მხარეების მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების ფორმის დარღვევის შედეგებით.

მტკიცებულებათა დასაშვებობის წესი განმტკიცებულია სსსკ-ის 102-ე მუხლით. ამ მუხლში მითითებულია, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული სიტყვასიტყვით (პირდაპირი მნიშვნელობით), თითქოსდა კანონი დაუშვებლად მიიჩნევდეს განსაზღვრული გარემოებების დასადასტურებლად ნებისმიერი სხვა მტკიცებულების გამოყენებას, გარდა იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც პირდაპირაა მითითებული კანონში. მაგალითად, თუ გარიგება სადავო ხდება ფიქციურობის მოტივით (თვალთმაქცური გარიგება), ან იმ მოტივით, რომ გარიგება დადებულია მოტყუებით, იძულებით (ძალადობა ან მუქარა) და სისხლის სამართლის წესით დასჯადი სხვა ქმედებით, მოცემულ გარემოებათა დასადგენად დაიშვება სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებიც.

სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის პროცესში, სადაც წყდება ისეთი ფასეულობების შესახებ საკითხი, როგორიცაა ადამიანის თავისუფლება და სხვა (ზოგიერთ ქვეყანაში დამნაშავის სიკვდილით დასჯის საკითხიც), მსგავსი შეზღუდვები მტკიცებულებათა გამოყენების საკითხში, კერძოდ კი, მოწმეთა ჩვენებების გამოყენებაში, არ არსებობს (არ არის დადგენილი).

განკუთვნადობის წესისაგან განსხვავებით, დასაშვებობის წესი უფრო ვიწრო ხასიათს ატარებს. განკუთვნადობა (შესახებობა) ეხება როგორც ფაქტობრივ მონაცემებს, ისე

მტკიცებულებებსაც. შესახებობა საერთო (ზოგადი) წესია, ხოლო დასაშვებობა — მისი თავისებური დამატება. მაგალითად, მტკიცებულება შეიძლება ზოგადად შეეხებოდეს მოცემულ საქმეს (ვთქვათ, მოწმის ჩვენება), მაგრამ პროცესში მისი გამოყენება არ შეიძლება (დაუშვებელია), რამეთუ კანონი სასამართლოში ამ ფაქტის დასადასტურებლად მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებების წარდგენას ითხოვს. **დასაშვებობის წესს იმპერატიული ხასიათი გააჩნია.**

სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და 104-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე მსჯელობისას ხაზგასასმელია, რომ: მოცემული ნორმებით გათვალისწინებული სასამართლოს უფლებამოსილების განხორციელება, შეაფასოს მტკიცებულება მისი დასაშვებობისა და შესახებობის თვალსაზრისით, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს და სასამართლოს ერთ-ერთ დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. დისკრეციული უფლებამოსილებანი აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ნორმები, კანონის სხვა დებულებებთან ერთობლიობაში, რომლებიც განამტკიცებენ სასამართლოს მიერ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებების დასაშვებობის შეფასების იმპერატიულ წესს, სრულ შესაბამისობაში არიან კონსტიტუციასთან.

მტკიცებულებათა **უტყუარობა** — ეს არის მათი შესაბამისობა სინამდვილესთან. მტკიცებულებათა უტყუარობაში დარწმუნება ნიშნავს იმის გამორკვევას, სიმართლეს ამბობს თუ არა მოწმე, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ის ცნობები, რომელთაც შეიცავს დოკუმენტი, შეესაბამება თუ არა დოკუმენტის (საბუთის) ასლი დედანს და ა.შ. ამისათვის ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული მტკიცებულების გამოკვლევის პროცესში დავადგინოთ იმ წყაროს თვისებები, რომლიდანაც ის არის მიღებული, ის ვითარება (პირობები), რომელშიც მიმდინარეობდა (ხდებოდა) მისი ფორმირება, ის გარემოებები, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მის უტყუარობასა და სისრულეზე. ცნობილი იურისტი კონი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „იმისათვის, რომ განვსაზვროთ, რომ ესა თუ ის პირი სასამართლოში ამბობს ტყუილს, აუცილებელია, პირველ ყოვლისა, განვიხილოთ მისი ჩვენება არსებითად, გავითვალისწინოთ ვითარება, რომელშიც მოცემულია ჩვენება, ხოლო, რაც მთავარია, ძირითადად იმაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რა წესით შეიქმნა (ჩამოყალიბდა) იგი".[1] ამდენად, მტკიცებულების უტყუარობის საკითხის დადგენის დროს ირკვევა მტკიცებულებასა და დასადგენ ფაქტს შორის კავშირი.

მტკიცებულებების **საკმარისობა** ნიშნავს, რომ მტკიცებულებები საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ უტყუარი დასკვნა დასადასტურებელი ფაქტის არსებობის შესახებ, რისთვისაც ეს მტკიცებულებებია საქმეზე შეკრებილი (შეგროვებული). თუ ვერ გამოვიტანთ ამგვარ დასკვნას, მაშინ ეს მიუთითებს მტკიცებულებათა არასაკმარისობაზე. მაგალითად, ერთი არაპირდაპირი მტკიცებულება ყოველთვის არასაკმარისია, ვინაიდან საშუალებას იძლევა გამოვიტანოთ მხოლოდ სავარაუდო და არა უტყუარი დასკვნა დასამტკიცებელი ფაქტის შესახებ.

არასაკმარისი იქნება აგრეთვე ის მტკიცებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთმანეთს და ისინიც, რომელთა უტყუარობაც საეჭვოა (ვთქვათ, დაინტერესებული მოწმის ჩვენება, ან მხარის ის ახსნა-განმარტება, რომელიც არ არის გამაგრებული, გამყარებული სხვა მონაცემებით და ა.შ.). არასაკმარისი იქნება ის მტკიცებულებებიც, რომლებიც წარდგენილია ისეთი რთული ფაქტების დასადასტურებლად, როგორიცაა, მაგალითად, ამა თუ იმ პირის ცუდი ან პირიქით, კარგი მატერიალური მდგომარეობა, დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა (მოცულობა), თუ ეს მტკიცებულებები არ იძლევა სრულ წარმოდგენას პირის შემოსავლის წყაროს შესახებ, ან შრომითი

[1] Кони А.Ф. Дело о лжесвидетельстве в бракоразводном процессе. Собр. соч. т. 3, 1968, с. 77.

საქმიანობის გასაგრძელებლად დაზარალებულის უნარის (შესაძლებლობის) შესახებ.

არასაკმარისი მტკიცებულებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას მანამდე, სანამ მტკიცებულებათა ნაკლებობა (ზოგიერთი მტკიცებულების უქონლობა), მტკიცებულების ეს ხარვეზი არ აღმოიფხვრება დამატებითი მტკიცებულებების შეგროვებით. ამიტომ სსსკ-ის 103-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მხოლოდ შეუძლია, მაგრამ არაა ვალდებული შესთავაზოს მხარეს დამატებით მტკიცებულებათა წარდგენა.

მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება, ანუ **გამოკვლევა** სამოქალაქო პროცესის პირველ სტადიებზევე – საქმის აღძვრისა და მომზადების სტადიებზევე ხდება, მაგრამ ამ სტადიებზე მათ გამოკვლევას წინასწარი ხასიათი აქვს. გადამწყვეტი მნიშვნელობა კი ენიჭება მტკიცებულებათა გამოკვლევას სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რამეთუ მთავარი სხდომა პროცესის სწორედ ის სტადიაა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ყველა აუცილებელ საპროცესო პირობას საქმეზე შეკრებილი მასალების სრულად, ობიექტურად (მიუკერძოებლად) და ყოველმხრივ გამოსაკვლევად (შესასწავლად). ის მტკიცებულებები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ გამოკვლევის საგანს სასამართლო სხდომაზე, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

სასამართლო მტკიცების პროცესში ლოგიკის კანონების დაცვის გარეშე შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა მტკიცებულებათა შესახებობის, დასაშვებობის, უტყუარობისა და საკმარისობის შესახებ. მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს სასამართლოს დასკვნები უნდა ემყარებოდეს უტყუარ ფაქტებს. ეს დასკვნა უნდა იყოს ერთადერთი შესაძლებელი დასკვნა ამ მოცემული ფაქტებიდან გამომდინარე და გადაწყვეტილებაში ასახული სასამართლოს დასკვნები ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

მტკიცებულების ხარისხის გასარკვევად (განსაკუთრებით უტყუარობის, ასევე საკმარისობის გასარკვევად) აუცილებელია მტკიცებულება განვიხილოთ გამოკვლევის პროცესში, საქმის ყველა გარემოებასა და სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთკავშირში, უნდა მოვიცვათ მტკიცებულების ყველა კავშირი საქმის გარემოებებთან და შეკრებილ მტკიცებულებებთან. სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს და მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ ყველა პოზიტიური (დადებითი) მომენტი, რაც მოცემული მტკიცებულებისათვისაა დამახასიათებელი, არამედ უარყოფითი მომენტებიც, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მტკიცებულების უტყუარობასა და საკმარისობაზე.

მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში ხდება მათი შეფასებაც. მტკიცებულებათა შეფასება მტკიცების ერთ-ერთი ელემენტია. სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა სწორ შეფასებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

მტკიცებულებათა შეფასება ეს არის მტკიცებულებათა შესახებობის, დასაშვებობის, უტყუარობის, საკმარისობისა და მტკიცებულებებს შორის ურთიერთკავშირის არსებობის განსაზღვრა. ყოველი მტკიცებულება ფასდება ცალ-ცალკე და ყველა ერთმანეთთან კავშირში, რაც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს შეაპირისპიროს ისინი ამ მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრის მიზნით.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მტკიცებულებათა შეფასება აზროვნების აქტია, ლოგიკური ოპერაციაა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, შეფასება არ შეიძლება იყოს სამართლებრივი მოწესრიგების ობიექტი, რამეთუ აზროვნების პროცესი მიმდინარეობს არა იურიდიული, არამედ აზროვნების კანონებით.[1]

სხვა ავტორთა აზრით კი, სასამართლო მტკიცებულებათა შეფასება არა მხოლოდ ლოგიკური (აზრობრივი) ოპერაციაა, არამედ მტკიცების პროცესის შემადგენელი ელემენტია, რომელიც გარკვეულწილად მოწესრიგებულია საპროცესო სამართლის ნორმებით,

[1] Курылев С.В. Основы теории доказывания в советском правосудии. გვ. 36-37.

ანუ სამართლებრივი მოწესრიგების ობიექტს წარმოადგენს.

მართლაც, შეფასების გარეშე აზრი არა აქვს მტკიცებულებათა მიღების, შეგროვების, გამოკვლევისა და სწორი გადაწყვეტილების აღწერილობით და გამოტანის პროცესს.

მტკიცებულების შეფასებას ლოგიკური და სამართლებრივი მხარე აქვს.

მტკიცებულებათა შეფასება, როგორც ლოგიკური აქტი, ვლინდება საპროცესო მოქმედებებში და გარკვეულწილად მოწესრიგებულია სამართლებრივად. სამართლის ნორმები ადგენენ არა აზროვნების წესს, არამედ სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების პირობებსა და მიზანს, შეფასების პრინციპებს, კრიტერიუმს (იხ. სსსკ-ის 105-ე მუხლი), შეფასების შედეგების გარეგან გამოხატულებას საპროცესო დოკუმენტში (იხ. სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილი).

მტკიცებულებათა შეფასების ლოგიკური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო მტკიცების პროცესში სასამართლო და მტკიცების სხვა სუბიექტები აანალიზებენ მტკიცებულებებს, აანალიზებენ მტკიცებულებათა შესახებობასა და დასაშვებობას, მტკიცების სუბიექტები უარყოფენ მოწინააღმდეგის მოსაზრებებს.

მტკიცებულებათა შეფასების სამართლებრივი მხარე იმაში გამოიხატება, რომ ლოგიკური ოპერაციების შესრულება ხდება სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობათა სუბიექტების მიერ; შესწავლილ (გამოკვლეულ) უნდა იქნეს მხოლოდ ის ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც მიღებულია კანონით დადგენილი წესით იმ მტკიცებულებათაგან, რომლებიც უშუალოდ აღიქვა სასამართლომ; შეფასების მიზანი განსაზღვრულია კანონით; შეფასების შედეგები ყოველთვის ობიექტურად გამოიხატება შესრულებულ საპროცესო (სამართლებრივ) მოქმედებაში. ასეთი მოქმედებებს, რომლებშიც აისახება შეფასების შედეგები, შეიძლება მივაკუთვნოთ დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა, დაინტერესებულ პირთა შუამდგომლობა საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის შესახებ, მტკიცებულებათა გამოთხოვასა, მიღებაზე და გამოკვლევაზე უარის თქმა, შეფასების შედეგების ასახვა გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში.

მტკიცებულებას აფასებს როგორ სასამართლო, ისე საქმის მონაწილენი და მათი წარმომადგენლები. თითოეულ მათგანს უფლება აქვს გამოხატოს თავისი მოსაზრება შეგროვილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლოსათვის საქმის მონაწილეთა მიერ შეფასების დროს გამოთქმული მოსაზრებები არ არის სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. მაგალითად, მტკიცებულებათა სარეკომენდაციო შეფასებას შეიცავს საქმის მონაწილეთა და მათ წარმომადგენელთა მიერ პაექრობის დროს წარმოთქმული სიტყვები. ამგვარი შეფასების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არის ერთ-ერთი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების ყოველმხრივობას პროცესის ყველა დაინტერესებული მონაწილის მოსაზრების გათვალისწინებით, სასამართლო მხოლოდ ითვალისწინებს (მხედველობაში იღებს) პროცესის ყველა მონაწილის მოსაზრებას მტკიცებულებათა შეფასებასთან დაკავშირებით, მაგრამ სასამართლო არ არის ვალდებული იხელმძღვანელოს მათი მოსაზრებებით.

მტკიცებულებებს საბოლოოდ აფასებს სასამართლო სათათბირო ოთახში, რაც ნებითი აქტის — სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საფუძველია. მტკიცებულებათა საბოლოო შეფასების მიზანია ფაქტების დადგენა მოცემულ საქმეზე.

სასამართლო ცალ-ცალკე აფასებს თითოეული მტკიცებულების შესახებობას, დასაშვებობას, უტყუარობას, ხოლო ერთობლიობაში აფასებს მტკიცებულებათა შორის ურთიერთკავშირს და მტკიცებულებათა საკმარისობას. სსსკ-ის 249-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახოს მოსაზრებები, რომელთა გამოც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამავე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს საქმის გარემოებები, რომლებიც

დაადგინა სასამართლომ, აგრეთვე მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები ამ გარემოებების შესახებ. სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მტკიცებულებათა შეფასების შედეგები ასახოს გადაწყვეტილებაში, რომელშიც უნდა დაასახელოს მოსაზრებები (მოტივები), რომელთა საფუძველზეც ესა თუ ის მტკიცებულება გაიზიარა სასამართლომ თავისი დასკვნების დასასაბუთებლად, ხოლო სხვა მტკიცებულებები უარყო, აგრეთვე საფუძვლები, რომელთა გამოც ამა თუ იმ მტკიცებულებას სხვებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა. სასამართლოსათვის მტკიცებულებების შეფასების უფლებამოსილების მინიჭება და მტკიცებულებათა შეფასების შედეგების ასახვა სასამართლო გადაწყვეტილებაში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს და სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილებების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. დისკრეციული უფლებამოსილებანი აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება არ გულისხმობს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა თვითნებურად და კანონის დარღვევით შეფასების შესაძლებლობას. მტკიცებულებათა თვითნებურად და კანონდარღვევით შეფასებისაგან საქმის მონაწილე პირთა საპროცესო უფლებების დაცვის გარანტიას წარმოადგენს ზემდგომი სასამართლოების მიერ ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილი აქტების შემოწმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურები და სასამართლო აქტების გაუქმებისა და შეცვლის საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს, როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ორგანოს, მიერ ხორციელდება მტკიცებულებათა საკონტროლო შეფასება სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს.

სსსკ-ის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეიძლება მიეთითოს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები, ანუ სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია გამოიკვლიოს მხარის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულებები და დაადგინოს ახალი ფაქტები. სასამართლო მიიღებს და გამოიკვლევს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, თუ მხარეს არ შეეძლო წარმოედგინა ეს ფაქტები და მტკიცებულებები პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ამასთან, არ უნდა არსებობდეს არასაპატიო მიზეზი, რომლის გამოც მხარემ არ წარუდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს. სსსკ-ის 382-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ.

სასამართლოს შინაგანი რწმენა ყალიბდება სასამართლოს მიერ საქმის ყველა გარემოების შემეცნების (შესწავლის, გამოკვლევის) შედეგად (მის საფუძველზე).

მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენით (შინაგანი რწმენა) არ შეიძლება იყოს ანგარიშმიუცემელი შთაბეჭდილება და ინტუიციური გრძნობა, რომელიც კონტროლს არ ექვემდებარება. ის უნდა იყოს მოტივირებული (დასაბუთებული), ხოლო შეფასების მოტივებმა ასახვა უნდა პოვონ სასამართლო გადაწყვეტილებაში (მის აღწერილობით სამოტივაციო ნაწილში). მაგალითად, მტკიცებულების უარყოფის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა ახსნას, რა მოსაზრებით უარყო ეს მტკიცებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებსა და ზემდგომ სასამართლოს არ ეცოდინებათ, რა საფუძვლით მიიღო სასამართლომ ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე.

მტკიცებულებათა შეფასება ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით: 1) სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით; 2) მტკიცებულებები ფასდება ყოველმხრივ, სრულად (სრული მოცულობით) და მიუკერძოებლად (ობიექტურად);

მტკიცებულებათა შეფასების ყოველმხრივობა, სისრულე და ობიექტურობა ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთს განაპირობებს. ყოველმხრივობა გულისხმობს, რომ ამომწურავად მოხდეს მტკიცების საგანში შემავალი ყველა გარემოების შემეცნება (საუბარია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე). სისრულე არის მოთხოვნა, რომელიც დადგენილია მტკიცებულებათა გამოკვლევისადმი. სისრულე ნიშნავს, რომ საქმის გარემოებები მაშინ უნდა მივიჩნიოთ დადასტურებულად (დამტკიცებულად), თუკი სახეზე იქნება საკმარისი მტკიცებულებები. მტკიცებულებები საკმარისი უნდა იყოს გადაწყვეტილების მისაღებად (დასკვნების გამოსატანად). ობიექტურობა არის მიდგომა საქმის გარემოებათა და მტკიცებულებათა გამოკვლევისადმი. კერძოდ, მოსამართლე გარემოებათა გამოკვლევისას მიუკერძოებელი უნდა იყოს. დაუშვებელია აზრის წინასწარ შექმნა საქმეზე და ამის საფუძველზე საქმის გარემოებათა გამოკვლევა. საქმის შედეგით დაუინტერესებლობის უზრუნველყოფის მიზნით კანონი ადგენს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავს საქმეში მოსამართლის მონაწილეობას. ობიექტურობა სისრულესა და ყოველმხრივობასაც განსაზღვრავს. ე.ი. თუ დაცული იქნება ობიექტურობა, დაცული იქნება სისრულე და ყოველმხრივობაც. ობიექტური მიდგომა საშუალებას იძლევა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით შეგროვდეს მტკიცებულებები, საქმე არ წარიმართოს ცალმხრივად და საქმის გარემოებები გამოკვლეულ იქნეს ყოველმხრივ. თუ ამ სამი მოთხოვნიდან თუნდაც ერთი მათგანი დაირღვა, დადგება შესაბამისი საპროცესო შედეგი: გაუქმდება უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. 3) მტკიცებულებათა შეფასებაში სასამართლოს თავისუფლება, მისი დამოუკიდებლობა ფაქტისა და უფლების შესახებ საკითხის გადაწყვეტაში უზრუნველყოფილია შემდეგი პრინციპით (წესით): „არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა". ნებისმიერი მტკიცებულება სასამართლომ შეიძლება უარყოს ან, პირიქით, მიიღოს, თუ მტკიცებულების ობიექტური შინაარსი შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. თვით ექსპერტის დასკვნაც კი არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის, არამედ მასაც სასამართლო აფასებს საერთო წესით, მტკიცებულებათა ერთობლიობაში.

მოსამართლის შინაგანი რწმენის ფორმირებაში არსებითი (გადამწყვეტი) როლი მიეკუთვნება მოსამართლის მსოფლმხედველობას. მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი ელემენტია მართლშეგნება. ის ეხმარება სასამართლოს და საქმის მონაწილეთ სწორად გაიგონ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა აზრი, სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლება-მოვალეობანი, ცალკეული ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც მოსამართლეს უქმნის რწმენას თავისი დასკვნების სისწორეში სამართალურთიერთობათა არსებობის ან არარსებობის, მისი ხასიათის, დავის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების შესახებ.

კანონი მოითხოვს, რომ სასამართლომ განიხილოს საქმის ყველა გარემოება ერთობლიობაში და ამის საფუძველზე შეიქმნას შინაგანი რწმენა. მხოლოდ ერთობლიობაში ყველა მტკიცებულების განხილვის შემთხვევაში შეძლებს სასამართლო დარწმუნდეს იმაში, რომ განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს სინამდვილეში მართლაც ჰქონდა ადგილი.

§2. სასამართლო მტკიცებულებები

1. **სასამართლო მტკიცებულებების ცნება.** სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არის მოცემული მტკიცებულების ცნება (დეფინიცია). იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული განმარტების თანახმად კი, მტკიცებულებებია კანონით დადგენილი წესით მიღებული ცნობები ფაქტების შესახებ (ფაქტობრივი მონაცემები), რომელთა საფუძველზეც სასამართლო ადგენს იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებსა და შესაგებელს და სხვა იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას,

რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის.

ამ ცნებაში ძირითად მომენტებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი:

1) მტკიცებულებებია უმთავრესად ცნობები ფაქტების შესახებ (ანუ ნებისმიერი ფაქტობრივი მონაცემი) და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მტკიცებულებებია თვითონ ფაქტები. ეს ფაქტები შეიძლება არსებობდეს სამოქალაქო საქმის განხილვის დროს (მაგალითად, სასამართლოს მიერ ნივთიერ მტკიცებებულებად მიჩნეული საგნების თვისებები, თავისებურებანი; ადამიანის სიცოცხლე, მისი ადგილსამყოფელი პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ საქმეში ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ საქმეში).

2) მტკიცებულებითი ინფორმაცია როგორც ცნობა (მონაცემი),არ შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებლად ობიექტურ სამყაროში იმდენად,რამდენადაც სასამართლოს შეუძლია მოცემული ინფორმაციის აღქმა მხოლოდ განსაზღვრული საშუალებებით და მათი მეშვეობით. სწორედ ამიტომ მტკიცებულების ცნება მოიცავს არა მხოლოდ მტკიცებულებით ინფორმაციას,არამედ ამ ინფორმაციის შემცველ საშუალებასაც,ანუ სასამართლო მტკიცებულება – ეს არის ერთიანი ცნება, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულია ფაქტობრივი მონაცემები და მტკიცების საშუალებები, როგორც შინაარსი (რომლის ფუნქციასაც ასრულებს მტკიცებულებითი ინფორმაცია) და სასამართლო მტკიცებულების საპროცესო ფორმა.

მტკიცების საშუალებები ეს არის ფაქტობრივი მონაცემების მიღების საპროცესო კანონით გათვალისწინებული საშუალებები. 102-ე მუხლი განსაზღვრავს იმ ფორმას, რომელშიც შეიძლება მიღებულ იქნეს ფაქტობრივი მონაცემები,.

ამ ნორმით განსაზღვრული მტკიცებულებები ადასტურებენ ან უარყოფენ იურიდიული ფაქტების არსებობას.

მტკიცებულებების წყაროა ადამიანები (მხარეები, მესამე პირები, მოწმეები, ექსპერტები), დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და საგნები (ნივთიერი მტკიცებულებები, სასამართლო ექსპერტიზის ობიექტები).

3) სასამართლო მტკიცებულების სავალდებულო ნიშანია მისი მოპოვება, ფიქსირება, გამოკვლევა და შეფასება კანონით დადგენილი წესით, რომლის დარღვევა (დაუცველობა), მიუხედავად იმისა, რა მიზეზით მოხდა ეს, მიღებულ ინფორმაციას უკარგავს სასამართლო მტკიცებულების თვისებას. ამგვარი მტკიცებულება, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. მაგალითად, თუ დარღვეულია მოწმედ დაბარებული პირის დაკითხვის საპროცესო ფორმა იმით, რომ არ იქნა გაფრთხილებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისთვის, მისი ჩვენება არ ჩაითვლება საპროცესო ფორმის დაცვით მოპოვებულად, ე.ი. ვერ გამოდგება მტკიცებულებად – მოწმის ჩვენებად. ყურადსაღებია დებულება, რომ: **კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს (103-ე მუხლი) ე.ი. ვერ დაედება საფუძვლად სასამართლო გადაწყვეტილებას. კანონის დარღვევაში იგულისხმება:**

ა) ფაქტების შესახებ ცნობების მოპოვება კანონით გაუთვალისწინებელი მტკიცებულებებიდან;

ბ) ფაქტების შესახებ ცნობების მოპოვების საპროცესო წესის დაუცველობა სასამართლო სხდომაზე ან სხვადასხვა საპროცესო მოქმედების შესრულებისას;

გ) კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების ჩართვა პროცესში.

მტკიცებულებათა გამოკვლევა ხდება კანონით დადგენილი წესით. მაგალითად, ნივთიერ მტკიცებულებებს ათვალიერებს სასამართლო და წარუდგენს საქმის მონაწილეთ, მათ წარმომადგენლებს, ხოლო, როცა ეს აუცილებელია – მოწმეებს ექსპერტებს, სპეციალისტებს. პროცესის მონაწილეთ უფლება აქვთ სასამართლოს ყურადღება მიაქციონ დათვალიერებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ გარემოებას. მხარის ამგვარი განცხადება

შეტანილ უნდა იქნეს სასამართლო სხდომის ოქმში.

თუ ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება სასამართლოს ადგილსამყოფელის (შენობის) გარეთ ხდება, მაშინ ასეთ დროს შედგენილ ოქმს სასამართლო აქვეყნებს სასამართლო სხდომაზე, რის შემდეგაც დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ მისცენ ახსნა-განმარტებები.

ექსპერტთა დასკვნების გამოკვლევა იმისდა მიხედვით, იმყოფება (ესწრება) თუ არა ექსპერტი სასამართლო სხდომაზე, ორი გზით წარმოებს: თუ ექსპერტი სხდომას ესწრება, იგი უნდა დაკითხოს სასამართლომ ისეთივე წესით, როგორც იკითხება მოწმე, სხვა შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა ქვეყნდება ისევე, როგორც საქმის სხვა დოკუმენტები.

აუცილებლობის შემთხვევაში წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერების, ექსპერტიზის დანიშვნის, მოწმეთა დაკითხვის, მტკიცებულებების უზრუნველყოფის დროს, სასამართლოს შეუძლია საქმეში ჩაბას (მოიწვიოს) სპეციალისტი საკითხის გასამარტავად, კონსულტაციის გასაწევად, უშუალო ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად (ფოტოგრაფირება, გეგმებისა და სქემების შედგენა, ნიმუშების შერჩევა ექსპერტიზისათვის და სხვ.). ექსპერტისაგან განსხვავებით, სპეციალისტი სასამართლოს აძლევს მხოლოდ კონსულტაციას ზეპირი ან წერილობითი ფორმით, პროფესიული ცოდნიდან გამომდინარე, სპეციალური გამოკვლევის ჩატარების გარეშე, რასთან დაკავშირებითაც სპეციალისტი არ იქნება გაფრთხილებული, როგორც ეს ხდება ექსპერტთან მიმართებაში, ყალბი დასკვნის მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

მტკიცებულებების ანალიზის დროს სასამართლო ადგენს იურიდიული ფაქტების (გარემოებების) არსებობას ან არარსებობას. იურიდიული ფაქტი სამოქალაქო საქმის განხილვის დროს დასადგენი ფაქტია, რამეთუ იწვევს მხარეთა სადავო უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. იურიდიული ფაქტი ასაბუთებს მხარეთა მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ფაქტობრივი მონაცემები შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ ფაქტების შესახებ ცნობების სახით, არამედ აგრეთვე მტკიცებულებითი ფაქტების სახით.

ჩვეულებრივ, იურიდიული ფაქტების არსებობაში სასამართლო რწმუნდება უშუალოდ იმ ცნობების საფუძველზე, რომელიც მიღებულია სხვადასხვა მტკიცებულებით. თუმცა სასამართლო ყოველთვის როდი ფლობს ხელთ ამისათვის აუცილებელ ფაქტობრივ მონაცემებს. ამიტომ რიგ შემთხვევებში მას უწევს ჯერ არა იურიდიული ფაქტების, არამედ სხვა გარემოებების არსებობის დადგენა, რომელთაც შემდეგ იყენებს როგორც საფუძველს ლოგიკური დასკვნის გამოსატანად დასადგენი იურიდიული ფაქტების არსებობის შესახებ. ტიპური ასეთი ფაქტია ალიბი.

პირის ამა თუ იმ ადგილას განსაზღვრულ პერიოდში (დროის მონაკვეთში) ყოფნის ფაქტი ამტკიცებს ამ პირის მიერ რაიმე მოქმედების პირადად შესრულების შეუძლებლობას სხვა ადგილას, მოცემული დროის (პერიოდის) განმავლობაში (ე.წ. ალიბი).

ერთი ფაქტის არსებობის შესახებ ცოდნიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა სხვა ფაქტის (თუ ფაქტების) არსებობა-არარსებობის შესახებ. სასამართლო იკვლევს საქმის ფაქტობრივ მხარეს, ე.ი. სასამართლო მისთვის ცნობილ ფაქტებს შეაპირისპირებს საქმეზე დასადგენ სხვა ფაქტებთან და ასევე აანალიზებს იმას, თუ რა ურთიერთთანაფარდობა არსებობს ამ ფაქტებს შორის.

ამასთან, ობიექტური სინამდვილის ფაქტებს ადგილი აქვთ პროცესამდე და ამიტომ მათი შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ ფაქტების შესახებ ცნობების (მტკიცებულებების) მეშვეობით. ალიბის დროს, მაგალითად, უნდა არსებობდეს ცნობა იმის შესაძებ, თუ სად იმყოფებოდა ეს პირი სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში, რას აკეთებდა ამ დროს და რა გარემოებები გამორიცხავდა სხვა ადგილას მისი ყოფნის შესაძლებლობას, ე.ი. ალიბი,

როგორც იურიდიული ფაქტი, ჩვეულებრივ, საჭიროებს დადასტურებას მტკიცებულების მეშვეობით.

მაგალითი, როცა ალიბს აქვს ადგილი: აღიძრა სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ალიბი – მოპასუხე არ იმყოფებოდა ზიანის მიყენების ადგილას ზიანის მიყენების დროისათვის და იყო სხვაგან, ეს გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ მოპასუხეს ბრალი არ მიუძღვის ზიანის მიყენებაში. ან ბავშვის ბავარაუდო მამა იმ მომენტში (იმ დროს), რომელსაც მიეკუთვნება ბავშვის ჩასახვა, ისეთ ადგილას იმყოფებოდა, რაც გამორიცხავდა მოპასუხის ურთიერთობას, კავშირს ბავშვის დედასთან, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ის არ არის ბავშვის მამა.

მას შემდეგ, რაც მტკიცებულებათა მეშვეობით დადგინდება ალიბის უტყუარობა, ის თვითონ გამოიყენება მტკიცებულებად, რომელიც ადასტურებს დასადგენი ფაქტის არსებობას (ზემოაღნიშნულ მაგალითებში – მოპასუხის არაბრალეულობას ზიანის მიყენებაში, სისხლისმიერი კავშირის არარსებობას მოპასუხესა და ბავშვს შორის).

ალიბისმაგვარ ფაქტებს ეწოდებათ მტკიცებულებითი ფაქტები (გარემოებები). **ამიტომ სასამართლო ვალდებულია იურიდიული ფაქტების გარდა, დაადგინოს მტკიცებულებითი ფაქტებიც. ასეთი ფაქტები არ წარმოადგენს დასადგენ იურიდიულ ფაქტებს. მტკიცებულებითი ფაქტები საფუძველს იძლევა გამოვიტანოთ დასკვნა იურიდიული ფაქტების შესახებ. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ფაქტი ჯერ უნდა დამტკიცდეს, ხოლო შემდეგ თვითონ ხდება დასადგენი იურიდიული ფაქტების დადგენის საშუალება.**

ამრიგად, მტკიცებულებით ფაქტებს ორი რამ ახასიათებს, ერთი ის, რომ დამტკიცებას საჭიროებს, მეორე ის, რომ მას შემდეგ, რაც მტკიცებულებათა მეშვეობით დადგინდება მათი უტყუარობა (ვთქვათ, ალიბის უტყუარობა), მტკიცებულებითი ფაქტი თვითონ გამოიყენება მტკიცებულებად, რომელიც ადასტურებს დასადგენი ფაქტის არსებობას ან არარსებობას.

ასეთი ფაქტები ასრულებენ დამაკავშირებელი რგოლის როლს მტკიცებულებებსა და იმ იურიდიულ ფაქტებს შორის, რომლებიც მტკიცების საგანს წარმოადგენს.

2. **სასამართლო მტკიცებულებათა კლასიფიკაცია (სახეები).** სასამართლო მტკიცებულებათა კლასიფიკაცია (სახეებად დაყოფა) შესაძლებელია რამდენიმე არსებითი ნიშნით (საფუძვლით). იმ ნიშანს, რომლითაც ხორციელდება მტკიცებულებათა სახეებად დაყოფა, კლასიფიკაციის საფუძველი ეწოდება.

იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის კავშირი აქვს მტკიცებულებას დასამტკიცებელ (დასადგენ) იურიდიულ ფაქტთან, ისინი იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებებად. **პირდაპირი** ეწოდება ისეთ სასამართლო მტკიცებულებას, რომლის შინაარსსაც ერთმნიშვნელოვანი კავშირი აქვს დასამტკიცებელ ფაქტთან, ანუ პირდაპირია მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ ასახავს მტკიცების საგანში შემავალ ფაქტს. ერთმნიშვნელოვანი კავშირი (პირდაპირი მტკიცებულება) საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ ერთადერთი უტყუარი დასკვნა დასამტკიცებელი ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირდაპირი მტკიცებულებები ეწოდება ფაქტების შესახებ იმ ცნობებს (მტკიცებულების შინაარსს), რომლებიც უშუალოდ მიუთითებენ მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებზე, ამ გარემოებებთან აქვთ ერთმნიშვნელოვანი კავშირი. ამიტომ სწორედ პირდაპირი მტკიცებულებების მიმართ გამოიყენება, პირველ რიგში, შესახებობის (განკუთვნადობის) მოთხოვნები. თუ მამობის დადგენის საქმეზე მოპასუხე მიუთითებს, რომ იგი ბავშვის დაბადებამდე წლინახევრით ადრე იმყოფებოდა საზღვარგარეთ და არ ხვდებოდა ბავშვის დედას, მისი არყოფნის ფაქტი მამობის გამორიცხვის პირდაპირი მტკიცებულებაა. ამ ფაქტებს შორის შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი კავშირი და ის ატარებს უარყოფით ხასიათს – ერთი ფაქტი გამორიცხავს მეორეს.

არაპირდაპირი ეწოდება ისეთ მტკიცებულებას, რომელსაც დასამტკიცებელ ფაქტთან

არაპირდაპირი კავშირი აქვს, ანუ არაპირდაპირია ისეთი მტკიცებულება, რომელიც იძლევა მხოლოდ ვარაუდს იურიდიული ფაქტის შესახებ. არაპირდაპირი კავშირის არსებობა საშუალებას გვაძლევს მტკიცების დროს გამოვიტანოთ რამდენიმე ალბათობითი (საალბათო) დასკვნა, — არაპირდაპირი მტკიცებულება საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ მხოლოდ სავარაუდო დასკვნა საქმის გარემოებათა (დასამტკიცებელი ფაქტების არსებობის) შესახებ.

არაპირდაპირი მტკიცებულებების რაოდენობა და შემადგენლობა ყოველთვის დამოკიდებულია განსახილველი საქმის კონკრეტულ ფაქტებზე (გარემოებებზე). მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლში აღნიშნულია არაპირდაპირი მტკიცებულებები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მამობის დადგენა, კერძოდ: ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება; საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე; ან ბავშვის ერთად აღზრდა, ან რჩენა სავარაუდო მამის მიერ.

ცალკე აღებული ერთი რომელიმე ირიბი მტკიცებულება ამის გამო არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილებას. სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ სასამართლომ შეკრიბოს საკმაო ოდენობით ირიბი მტკიცებულებები და შეკრიბოს იმდენი, რამდენიც იძლევა სარწმუნო დასკვნას ამ ფაქტის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის სახით მოყვანილ მაგალითში ცალ-ცალკე აღებული ეს მტკიცებულება წარმოადგენს ირიბ მტკიცებულებას. თითოეულ მათგანზე დაყრდნობით უტყუარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, ხოლო სამივე ერთად აღებული, შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გამოტანას. თუ პირდაპირი მტკიცებულების უტყუარობა განაპირობებს დასადგენი ფაქტის უტყუარობასაც, რომელთანაც პირდაპირ მტკიცებულებას ერთმნიშვნელოვანი კავშირი აქვს, არაპირდაპირი მტკიცებულება არ უზრუნველყოფს დასადგენი ფაქტის უტყუარობას, რომლის უტყუარად დასადგენადაც აუცილებელია რამდენიმე არაპირდაპირი მტკიცებულების სისტემა.

იმდენად, რამდენადაც ცალკე აღებული ერთი ირიბი მტკიცებულების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ სავარაუდო დასკვნა ფაქტების არსებობის შესახებ, მეცნიერებამ და პრაქტიკამ შეიმუშავა მათი გამოყენების (ირიბი მტკიცებულებების მეშვეობით ფაქტების მტკიცების) წესები, რომელთა შესაბამისად:

ა) სასამართლო უპირატესობას ანიჭებს პირდაპირ მტკიცებულებებს, ხოლო ირიბ მტკიცებულებებს იყენებს მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში;

ბ) იმისათვის, რომ ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე გამოვიტანოთ უტყუარი დასკვნა, ყოველთვის საჭიროა ვიქონიოთ არა ერთი, არამედ რამდენიმე ირიბი მტკიცებულება;

გ) არც ერთი ირიბი მტკიცებულების უტყუარობამ არ უნდა გამოიწვიოს და დაუტოვოს სასამართლოს მცირედი ეჭვიც კი;

დ) არც ერთი ირიბი მტკიცებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვა მტკიცებულებებს;

ე) ერთად აღებული ყველა ირიბი მტკიცებულების საფუძველზე გამოტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი და ერთადერთი შესაძლო დასკვნა პროცესის მონაწილეთა ურთიერთობების (დასამტკიცებელი ფაქტების) შესახებ. ყველა შემთხვევაში პირდაპირიც და არაპირდაპირი მტკიცებულებაც უტყუარი უნდა იყოს და მხოლოდ ამ პირობით თუ გამოვიყენებთ მათ.

წარმოშობის საშუალებების (ხერხების) მიხედვით მტკიცებულებები იყოფა პირველად და ნაწარმოებ მტკიცებულებებად (ასლებად). **პირველადია** მტკიცებულება, რომელიც მიღებულია პირველი წყაროდან. ასეთი მტკიცებულება პირდაპირ ასახავს მტკიცების საგნის ფაქტს. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, ისეთი ფაქტობრივი მონაცემი, როგორიცაა დედანი დოკუმენტი, ხელშეკრულების ტექსტი, დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების მოწმობები, თვითმხილველი მოწმის ჩვენება, თვითონ სადავო საგანი (ნივთი) და ა.შ.

ფაქტების შესახებ მონაცემები, რომლებიც აისახება ერთ-ერთ მტკიცებულებაში (მოწმეთა ჩვენებებში, ნივთიერ თუ წერილობით მტკიცებულებებში და ა.შ.), წარმოიშობა რომელიმე

მოვლენის ან გარემოების ადამიანის შეგნებაში (ცნობიერებაში) გამოხატვის, ან შესაბამის უსულო საგანზე ასახვის გზით. ეს მტკიცებულებათა წარმოშობის თავდაპირველი (დაწყებითი) ეტაპია. საგანზე ან პირის ცნობიერებაში კვალის დამტოვი ფაქტი შემდგომში შეიძლება ნაწარმოები გზით აისახოს: იმან, ვინც უშუალოდ აღიქვა ფაქტი, შესაძლოა ამ ფაქტის შესახებ მოუთხროს სხვებს, რაიმე ამბის (შემთხვევის, მოვლენის) თვითმხილველს შეუძლია ჩაიწეროს თავისი შთაბეჭდილება დღიურში, გადმოსცეს წერილში. საგანი, რომელზეც დატოვებულია კვალი, შეიძლება ფოტოგრაფირებულ იქნეს, გადაღებულ იქნეს კინოფირზე და ა.შ.

ამრიგად, **წარმოებულია** მტკიცებულება, რომელიც მიღებულია, ასე ვთქვათ, „მეორე ხელიდან". მაგალითად, დოკუმენტის ასლი, ნივთმტკიცების ფოტოსურათი, ცნობები, რომლებიც მიღებულია იმ მოწმის ჩვენებიდან, რომელსაც უშუალოდ არ უხილავს ფაქტი, მაგრამ ამ ფაქტის შესახებ იცის სხვა პირებისაგან და სხვ.

პირველად მტკიცებულებებს უდავოდ უპირატესობა გააჩნიათ ნაწარმოებ მტკიცებულებებთან შედარებით. უშუალობის საწყისიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს პირველადი მტკიცებულებები, რადგან ივარაუდება, რომ ამ შემთხვევაში უფრო სრულად და სწორად იქნება აღქმული ფაქტი, რამეთუ პირველადი მტკიცებულება ყოველთვის პირველწყაროდან წარმოიშობა. ეს არის ნამდვილი (უტყუარი) დოკუმენტი, თუ სხვა უტყუარი მტკიცებულება. ნაწარმოები მტკიცებულება კი პირველადის საფუძველზე წარმოიშობა, მაგრამ ეს გარემოებები არ გამორიცხავს წარმოებული მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან ასეთი მტკიცებულებაც შეიძლება იყოს უტყუარი, თუმცა წარმოებული მტკიცებულებების შეფასებისას (გამოყენებისას) საჭიროა მეტი სიფრთხილე სასამართლოს მხრივ. საერთოდ კი, პირველადიც და ნაწარმოები მტკიცებულებაც უნდა შეამოწმოს სასამართლომ მათი უტყუარობის თვალსაზრისით. მაგალითად, თვითმხილველი მოწმის ჩვენება შეიძლება გადამოწმდეს, დაზუსტდეს, ზოგჯერ საქმისათვის საინტერესო ცნობები, რომლებიც გადმოცემულია, ვთქვათ, მოწმის მიერ წერილში ან დღიურში, საერთოდ ვეღარ გადამოწმდება (მოწმის გარდაცვალების შემთხვევაში). დოკუმენტის ასლი, საგნის ფოტო და ა.შ., რა თქმა უნდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოში, მაგრამ თითოეულ კერძო შემთხვევაში საჭიროა მათი გულდასმით შემოწმება.

წარმოებული მტკიცებულებების გამოყენების შემდეგი წესებია დადგენილი სასამართლო პრაქტიკაში:

ა) წარმოებული მტკიცებულება შეიძლება იყოს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია (ქსეროასლი, სადავო ნივთის ფოტოსურათი, გეგმა, ნახაზი და სხვა);

ბ) თუ უცნობია ინფორმაციის წყარო, მაშინ სახეზე არ გვექნება არც წარმოებული მტკიცებულება. მაგალითად, თუ მოწმეს არ შეუძლია მიუთითოს ცნობების მიღების წყარო, სასამართლო ვალდებულია უარყოს (არ მიიღოს) ასეთი ინფორმაცია, რადგან იგი ვერ ჩაითვლება მტკიცებულებად;

გ) რაც უფრო ბევრი შუალედური წყაროა პირველად და წარმოებულ მტკიცებულებებს შორის, რაც უფრო დაშორებულია წარმოებული მტკიცებულება პირველადისაგან, მით უფრო დიდია მისი უზუსტობის ალბათობა;

დ) პრაქტიკაში უპირატესობა ეძლევათ პირველად მტკიცებულებებს. წარმოებული მტკიცებულებები კი სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს მხოლოდ მაშინ, როცა ხელთ არა აქვს (არ არსებობენ) პირველადი მტკიცებულებები. ამიტომ სამართალწარმოებაში ერთბაშად კონკრეტულ საქმეზე პირვანდელი და წარმოებული მტკიცებულებების გამოყენებას აზრი არა აქვს და დაუშვებელია.

იმის მიხედვით, თუ რომელი წყაროდანაა მიღებული მტკიცებულება, იგი შეიძლება

დავყოთ ორ ჯგუფად: 1) **პირად მტკიცებულებებად**, ე.ი. ისეთ მტკიცებულებებად, რომელთა წყაროა ადამიანები (მხარეები, მესამე პირები, წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, დოკუმენტის შემდგენელი). მტკიცებულების წყაროში საერთოდ იგულისხმება განსაზღვრული ობიექტი ან სუბიექტი, რომელზეც ან რომლის შეგნებაშიც (ცნობიერებაში) ასახვა პოვა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა ფაქტმა. ერთ შემთხვევაში ცნობების წყაროა ადამიანი, მეორე შემთხვევაში — საგანი, ნივთი. ანუ პირადი მტკიცებულება მაშინ გვექნება სახეზე, თუ ცნობები ფაქტების შესახებ გამომდინარეობს ადამიანიდან და სასამართლომდე დაიყვანება ადამიანის მიერ. 2) თუ ცნობები ფაქტების შესახებ ასახულია მატერიალური სამყაროს საგნებზე, ნივთებზე, მაშინ სახეზე გვექნება **ნივთიერი მტკიცებულება**. პირად მტკიცებულებებს შესაბამისად მიეკუთვნება მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები და ექსპერტთა დასკვნები. ფართო გაგებით ნივთიერი მტკიცებულებებია წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები.

მტკიცებულებათა გამიჯვნას წყაროს მიხედვით (საერთოდ მტკიცებულებათა კლასიფიკაციას) დიდი მნიშვნელობა აქვს მათი საპროცესი გაფორმების, გამოკვლევისა (ანალიზის) და შეფასების მეთოდის თვალსაზრისით.

§3. მტკიცების საგანი

სამოქალაქო საქმეზე მტკიცების საგანია იურიდიული ფაქტები (გარემოებები), რომლებზეც ემყარებიან მხარეები როგორც თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლის საფუძველზე და რომლებიც უნდა დადგინდეს კანონით განსაზღვრული წესით, სამოქალაქო საქმის კანონიერად და დასაბუთებულად გადაწყვეტის მიზნით.

მტკიცების საგანს განსაზღვრავენ მხარეები მატერიალური სამართლის ნორმის საფუძველზე. მტკიცების საგანი (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების მოცულობა) პროცესის განმავლობაში (საქმის განხილვის დროს) შეიძლება, ამა თუ იმ მიზეზით შეიცვალოს, მხარის მიერ სსსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებულ ასევე სხვა დისპოზიციურ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მასზე შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსარჩელის უარმა თავისი მოთხოვნების ნაწილზე, მოსარჩელის მიერ სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლამ, მოპასუხის მიერ სარჩელის წინააღმდეგ წამოყენებული შესაგებელის საფუძვლის შეცვლამ, შეგებებული სარჩელის აღძვრამ, პროცესში მესამე პირთა შესვლამ, თანამონაწილეთა ჩაბმამ, სარჩელთა შეერთებამ ან გამოყოფამ, მორიგებამ და სხვ. ამ დისპოზიციურ უფლებათა განხორციელება იწვევს სასამართლოს მიერ გამოსაკვლევი ფაქტებისა და მტკიცებულებათა მოცულობის შეცვლას. სააპელაციო ინსტანციაში მტკიცების საგანი შეიძლება გაფართოვდეს დამატებითი მასალების წარდგენის ხარჯზე.

მტკიცების საგნის, ე.ი. იმ ფაქტებისა და გარემოებების წრის სწორად განსაზღვრას, რომლებიც უნდა დადგინდეს (გამორკვეულ იქნეს) საქმეზე, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქმის სწრაფად და სწორად გადასაწყვეტად. ასევე ეს საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ სასამართლო პროცესის გადატვირთვა ზედმეტი მასალით.

მას შემდეგ, რაც გაირკვევა ის, თუ ვინ და რომელი მტკიცებულებით უნდა ამტკიცოს, აუცილებელია იმის გარკვევაც, თუ რა უნდა დამტკიცდეს, ე.ი. აუცილებელია განისაზღვროს მტკიცების საგანი.

კანონით დადგენილია, რომ უნდა დამტკიცდეს გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღსანიშნავია, რომ მტკიცების საგანი თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ფაქტსა და გარემოებას. პირველ ყოვლისა, მტკიცების საგანი განისაზღვრება სარჩელის ან შესაგებლის საფუძვლად არსებული იურიდიული ფაქტებით. ამრიგად, ამ შემთხვევაში მტკიცების საგნის წრის განსასაზღვრად უნდა მიმართოთ მა-

ტერიალური სამართლის ნორმას. მაგალითად, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის აღძვრის დროს მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ნამდვილად დასახიჩრდა; ან, რომ მის ჯანმრთელობას მიადგა სხვა სახის დაზიანება (ზიანი); ამ ზიანის შედეგად მან დაკარგა ხელფასი (შემოსავალი), რომელიც მას ჰქონდა, ან შეეძლო აუცილებლად მიეღო (ჰქონოდა); დაზარალებული იძულებული იყო გაეღო დამატებითი ხარჯები მკურნალობისათვის, გაძლიერებული კვებისათვის, მედიკამენტების შესაძენად, პროთეზირებისათვის, მოვლისათვის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად და ა.შ.

როგორც მესაკუთრემ, ისე მფლობელმა შეიძლება დააყენოს სავინდიკაციო სარჩელი. ასეთ დროს მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფაქტები, კერძოდ, საკუთრების უფლების ან კანონისმიერი მფლობელობის ფაქტი, ასევე მოსარჩელის მფლობელობიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ ქონების გამოსვლის ფაქტი. სხვა მაგალითი: მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს შეუძლია აღძრას შესაგებელი და მიუთითოს დაუძლეველ ძალაზე ან დაზარალებულის განზრახვაზე, ან თვითონ დაზარალებულის უხეშ გაუფრთხილებლობაზე.

ამრიგად, მტკიცების საგანი განისაზღვრება სასარჩელო მოთხოვნების ან მხარეთა შესაგებელის შინაარსით (მოთხოვნებისა და შესაგებლის საფუძვლის დადგენით). თუმცა, ამით არ ამოიწურება მტკიცების საგანი, ვინაიდან მხარეთა მოთხოვნებისა და შესაგებლის საფუძვლების გარდა, აუცილებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა დადგენაც. რა გარემოებებია ეს? აქ უნდა ითქვას, რომ მტკიცების საგანში ჩართულია არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის იურიდიული ფაქტები, არამედ საპროცესო ხასიათის ფაქტებიც. მაგალითად, ნებისმიერი შუამდგომლობის აღძვრის შემთხვევაში (აცილების შესახებ, საქმისწარმოების შეჩერების შესახებ, განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ და ა.შ.), მხარეებმა უნდა დაამტკიცონ ის გარემოებები, რომლებზედაც ისინი ეყრდნობიან, როგორც თავიანთი საპროცესო მოთხოვნების საფუძველზე. ამასთან, მტკიცების საგანში შედის მტკიცებულებითი ფაქტებიც, ე.ი. ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც გამოიყენება სასამართლოში დასამტკიცებელი (დასადგენი) ფაქტების დასადგენად, თუმცა თავისთავად ეს გარემოებები (ფაქტები) რაიმე მატერიალურ-სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს.

უდავო წარმოებაში მტკიცების საგანი განისაზღვრება განმცხადებლის მოთხოვნებისა და დაინტერესებული პირების შესაგებლის საფუძვლებით. ასე მაგალითად, ზოგიერთი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის საქმეზე განმცხადებელი ვალდებულია თვითონ დასადგენი ფაქტის (პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ და ა.შ.) გარდა, დაამტკიცოს სათანადო დოკუმენტების მიღების ან დაკარგული დოკუმენტების აღდგენის შეუძლებლობის დამადასტურებელი ფაქტები. უდავო წარმოების საქმეში ჩაბმულ დაინტერესებულ პირებს, თავის მხრივ, შეუძლიათ დაამტკიცონ მათი შესაგებლის საფუძვლად არსებული ფაქტები. მაგალითად, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო პირის ქმედუუნაროდ აღიარების საქმეზე იმას, ვისი ქმედუუნაროდ აღიარების შესახებაც იხილება საქმე, შეუძლია დაამტკიცოს, რომ მიუხედავად სულით ავადმყოფობისა, ავადმყოფობის ხასიათი (ხარისხი) მას ხელს არ უშლის გაიგოს თავისი მოქმედებების მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს მათ.

სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგნის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი:

ა) მაორიენტირებელ ფუნქციას ასრულებს სასამართლო მტკიცებაში, კერძოდ, მოსამართლისა და მხარეთა შემეცნებით საქმიანობას მიმართავს იმ ფაქტების დადგენაზე, რომლებიც მტკიცების საგნის შინაარსს შეადგენენ;

ბ) განსაზღვრავს სასამართლო შემეცნების მოცულობასა და ფარგლებს;

გ) წარმოადგენს საქმეში არსებული თითოეული მტკიცებულების შესახებობის გამორკვევის (დადგენის) კრიტერიუმს (104-ე მუხლი).

მტკიცებულების შესახებობა მიუთითებს (მიანიშნებს) მტკიცებულებისა და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების ურთიერთკავშირზე.

სასამართლო მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი მიმართულია მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო მნიშვნელობით განსხვავებული (სხვადასხვაგვარი) ფაქტების დადგენისაკენ.

შეიძლება გამოვკვეთოთ ფაქტების სამი ჯგუფი, რომლებიც სასამართლო შემეცნების ობიექტს წარმოადგენენ, ანუ რომლებიც მტკიცების საგანში შედიან.

1) მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის იურიდიული ფაქტები, ანუ მხარეთა მოთხოვნის საფუძვლისა და შესაგებლის ფაქტები. მათი დადგენა აუცილებელია სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმების სწორად გამოსაყენებლად (შესაფარდებლად) და საქმის არსებითად სწორად გადასაწყვეტად. ეს ფაქტები მითითებულია სამართლის იმ ნორმათა ჰიპოთეზასა და დისპოზიციაში, რომელთა საფუძველზეც უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი მოთხოვნა.

მტკიცების საგნის მოცულობა და შინაარსი დამოკიდებულია მოდავე მხარეთა პოზიციაზეც. მაგალითად, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტს, ვალდებულია თუ არა ერთი პირი (მოვალე) გადაუხადოს მეორე პირს (კრედიტორს) განსაზღვრული ფულადი თანხა (ვალი) სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს (დაადგინოს) ჰქონდა თუ არა (დადებული იყო თუ არა) სინამდვილეში ადგილი ასეთ ხელშეკრულებას, ასევე უნდა დაადგინოს ამ ხელშეკრულების საგანი და მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების ვადები.

მტკიცების საგანში შედის როგორც დადებითი ფაქტები (მაგალითად, გარიგების დადება; ვალდებულების შესრულება და სხვ.), ისე უარყოფითი ფაქტებიც (მაგალითად, რაიმეს არარსებობა, გარიგების დაუდებლობა, არარსებობა და ა.შ.). უარყოფითი ფაქტების დადგენა უფრო რთულია, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მხარეს მათი დამტკიცების მოვალეობისაგან. ასეთი ფაქტების მტკიცება, როგორც წესი, ირიბი მტკიცებულებებით წარმოებს.

2) მტკიცებულებითი ფაქტები (ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით ჩვენ უკვე ვისაუბრეთ).

3) ფაქტები, რომელთაც მარტოოდენ საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ, ე.ი. მოცემული პროცესის წარმოშობისა და განვითარების მართლზომიერების განმსაზღვრელი საპროცესო-სამართლებრივი ფაქტები. ამ ფაქტებთან დაკავშირებულია სარჩელის აღძვრის უფლების წარმოშობა, საქმისწარმოების შეჩერების, შეწყვეტის უფლება, აგრეთვე სხვა საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლება (მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება).

სამივე ჯგუფის ნებისმიერი ფაქტი მოითხოვს დამტკიცებას სასამართლო მტკიცებულებათა მეშვეობით, ვიდრე სასამართლო მიიღებდეს ამ ფაქტს, როგორც სინამდვილეში არსებულ ფაქტს.

მტკიცების საგანი სამოქალაქო პროცესში არის არა ყველა ეს ფაქტი, არამედ მხოლოდ სარჩელის საფუძვლისა და შესაგებლის იურიდიული ფაქტები, რომელზედაც მიუთითებს მატერიალური სიმართლის ნორმა, ე.ი. მტკიცების საგანია მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტები.

მტკიცების საგნის (დასამტკიცებელი ფაქტების) აღსანიშნავად მეორე ტერმინიც გამოიყენება – „მტკიცების ფარგლები“.

მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა ნიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესს სწორი მიმართულება მიეცემა.

განსაკუთრებით რთულია სასამართლო პრაქტიკაში მტკიცების საგნის სწორად განსაზ-

ღერა ე.წ. მატერიალური სამართლის განუსაზღვრელი (ზოგადი) ნორმებით[1] მოწესრიგებული სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტის დროს (ამგვარი დისპოზიციის მქონე ნორმებს შეიძლება, მაგალითად, შევხვდეთ მშობლის უფლების ჩამორთმევის, ბავშვების აღსაზრდელად გადაცემის, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებში და სხვა დავებში), როცა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქმის კონკრეტული გარემოებები და თვითონაა მოწოდებული (სასამართლო) შეაფასოს ესა თუ ის ფაქტი ამ ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით.

სამართლის ასეთმა ნორმებმა სამოქალაქო პროცესის თეორიაში მიიღო „**სიტუაციური**" **ნორმების** სახელწოდება, რამეთუ ამ ნორმებით სამართალურთიერთობების მოწესრიგებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უკვე სასამართლოს შეხედულებას, კანონში დაფიქსირებული იმ ზოგადი გარემოებების კონკრეტიზაციას სასამართლოს მიერ, რომელთაც უკავშირდებათ სამართლებრივი შედეგები.

კანონში მითითებულია ისეთი ზოგადი იურიდიული ცნებები, როგორიცაა: „თვითონ დაზარალებულის გაუფრთხილებლობა", „მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა", „კონკრეტული ვითარება, რომლის დროსაც მიყენებულ იქნა ზიანი", „არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები", საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლო აკონკრეტებს ამ ზოგად ცნებებს, ვინაიდან ამგვარი ზოგადი ცნებები ცხოვრებაში უფრო კონკრეტულ ფაქტებში გამოვლინდება.

სასამართლო კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე ახორციელებს მართლმსაჯულებას. იგი მოწოდებულია დაადგინოს მოდავე მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები, მათი უფლება-მოვალეობები. ამისათვის კი აუცილებელია კონკრეტულ საქმეზე დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებანი. კანონის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. როგორც ჩანს, აქ ლაპარაკია ორ მომენტზე: 1) მტკიცების ტვირთზე და 2) მტკიცების საგანზე. ამრიგად, საქმის გადასაწყვეტად საჭიროა დავადგინოთ საქმის გარამოებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცების საგანში შედის ფაქტობრივი გარემოებები. მაგრამ ტერმინი „გარემოება" ზოგადი შინაარსის მატარებელია, საჭიროა კი დავადგინოთ, თუ რას ნიშნავს გარემოება. **გარემოებაში ჩვენ ვგულისხმობთ** იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საქმეზე და ერთობლივად შეადგენს მტკიცების საგანს. იმისათვის, რომ შემოვხაზოთ მტკიცების საგნის წრე, აუცილებელია მივმართოთ მატერიალური სამართლის შესაბამის ნორმას. სწორედ მატერიალური სამართლის ნორმა მიუთითებს ამა თუ იმ საქმეზე თუ რომელი ფაქტი უნდა დადგინდეს. ფაქტების წრე შეიძლება გაფართოვდეს იმის გამო, რომ პროცესში შედიან თანამონაწილეები ან კიდევ მესამე პირები, რომლებიც სხვა მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად მოითხოვენ იურიდიული ფაქტების დადგენას, მაგრამ მტკიცების საგანი შეიძლება, პირიქით, შევიწროვდეს იმის გამო, რომ პროცესიდან შეიძლება გამოვიდეს რომელიმე ზემოაღნიშნული პირი.

მტკიცების საგანში შედის სარჩელის საფუძვლის ფაქტები, მაგრამ გარდა ამისა, მოპასუხის შესაგებლის ფაქტები. როგორც ვიცით, მოპასუხის უფლების დაცვის საშუალებაა აგრეთვე შეგებებული სარჩელი. ამ სარჩელის საფუძვლის ფაქტებიც შედის მტკიცების საგანში.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მტკიცების საგანი და საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ეს უკანასკნელი უფრო ფართო ცნებაა და თავის თავში გარდა მტკიცების საგნის ფაქტებისა, შეიცავს აგრეთვე იმ ფაქტებსაც, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს.

---

[1] ზოგადი ანუ განუსაზღვრელი ნორმების (დებულებების) შესახებ დაწერილებით იხილეთ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011 წ.

§4. ფაქტები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს (მტკიცების მოვალეობისაგან, ტვირთისაგან გათავისუფლების საფუძვლები)

4.1. ზოგადი დებულებები

ფაქტი, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას, არ შედის მტკიცების საგანში, თუმცა მისი დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორი გადაწყვეტა, ვინაიდან ეს ფაქტები სარჩელის საფუძვლისა და შესაგებლის საფუძვლის ფაქტებია (სარჩელისა და შესაგებლის საფუძველს წარმოადგენენ). აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ სასამართლო შემეცნების საგანი არ ემთხვევა (არ თანხვდება) მტკიცების საგანს. სასამართლო შემეცნების საგანში შედიან ისეთი ფაქტებიც, რომლებიც დამტკიცებას არ საჭიროებენ.

სსსკ-ის 106-ე მუხლში მითითებულია ორი სახის, ორი კატეგორიის ფაქტი, რომლებიც არ საჭიროებს მტკიცებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებას, კერძოდ: 1) სასამართლოს მიერ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და 2) პრეიუდიციული (წინასწარ გადაწყვეტილი, წინასწარ დადგენილი) ფაქტები, ე.ი. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დადგენილი ფაქტები. თუმცა მათ გარდა არსებობენ ასევე უდავო ფაქტებიც, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, ასევე მტკიცებულებითი პრეზუმფციები, რომლებიც ერთ-ერთ მხარეს ათავისუფლებენ მტკიცების მოვალეობისაგან.

4.2. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ისეთი ფაქტია, რომლის არსებობის შესახებ იცის ადამიანთა ფართო წრემ, მათ შორის, საქმის განმხილველმა მოსამართლემაც, რის გამოც ასეთი ფაქტი აღარ საჭიროებს მტკიცებას. საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, თვით სასამართლო წყვეტს საკითხს, შეიძლება თუ არა ფაქტი მიჩნეულ იქნეს საყოველთაოდ ცნობილად და თუ აღიარებს მას ასეთად, მაშინ ფაქტი აღარ მოითხოვს მხარეებისაგან, რომლებიც ეყრდნობიან ამ ფაქტს, მისი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენას. ჯერ კიდევ რომაელი იურისტები აღიარებდნენ (მიიჩნევდნენ) აქსიომად ამგვარ წესს: „საყოველთაოდ ცნობილი არ საჭიროებს მტკიცებას".

საყოველთაოდ ცნობილი შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვაგვარი ფაქტი. მაგალითად, ზოგიერთი ფაქტი ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის (ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა, ფაქტი – ვთქვათ, მეორე მსოფლიო ომი, მისი დაწყებისა და დამთავრების თარიღი და სხვ.), მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი შეიძლება იყოს ადგილობრივი (ლოკალური) მნიშვნელობისაც. მაგალითად, გვალვა, მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა, რის გამოც მხარემ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ მიიჩნია ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თუ რაიმე ფაქტი საყოველთაოდაა ცნობილი ეს არ შეიძლება განპირობებულ იყოს მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრით, რომლისთვისაც ცნობილია ეს ფაქტი, არამედ ამა თუ იმ ფაქტის საყოველთაოდ ცნობილობა ფარდობითია და იმ დროზეა დამოკიდებული, რაც გავიდა მას შემდეგ, რაც ეს მოვლენა მოხდა, ასევე დამოკიდებულია განსაზღვრულ ადგილას (რაიონში, მხარეში, ტერიტორიაზე) ამ მოვლენის გავრცელებაზე, რამეთუ, რაც უფრო დიდი დრო გადის მოვლენის არსებობის მომენტიდან, მით უფრო ნაკლები საფუძველი გვაქვს მივაკუთვნოთ ეს მოვლენა საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების (ფაქტების) რიცხვს (იმ რეგიონის მოსახლეობის შემადგენლობა, რომლის

ფარგლებშიც ეს მოვლენა, ფაქტი იყო ცნობილი, იცვლება). ესა თუ ის მოვლენა, მოქმედება, რომელიც ასე თუ ისე გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე, დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა და ის, რაც საყოველთაოდ იყო ცნობილი, მაგალითად, 30 წლის წინათ, დღეს შედარებით ნაკლებად ახსოვს ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფს. დროის გასვლასთან ერთად ცნობილი მოვლენები კარგავენ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების თვისებას. ყველა მოვლენა ყოველთვის როდი რჩება მეხსიერებაში. მაგალითად, გარკვეულ პერიოდში განხორციელებული ფულის რეფორმა, რომელიც თავის დროზე საყოველთაოდ იყო ცნობილი, თანამედროვე პერიოდში ყველასათვის არაა ცნობილი და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი ფაქტები მტკიცებულებათა მეშვეობით უნდა დადგინდეს.

იმ შემთხვევაში, როცა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ცნობილია არა მთელი მსოფლიოსათვის, ან მთელი ქვეყნისათვის, არამედ ლოკალური ხასიათისაა, შემოფარგლულია განსაზღვრული ადგილით (ტერიტორიით), არ იქნებოდა სწორი მხარეთაგან მოგვეთხოვა ასეთი ფაქტების დასადასტურებლად მტკიცებულებათა სავალდებულოდ წარდგენა იმ მოტივით (საფუძვლით), რომ ფაქტი ლოკალურია და არ არის საყოველთაოდ ცნობილი, ვინაიდან ლოკალური მნიშვნელობის ფაქტები საკმაოდ ცნობილია სწორედ მოცემულ ადგილას და სასამართლოს უფლება აქვს აღიაროს ასეთი მნიშვნელობის ფაქტები საყოველთაოდ ცნობილად, რის გამოც მათ მტკიცება არ სჭირდებათ და უნდა მიუთითოს ამის შესახებ გადაწყვეტილებაში.

საყოველთაოდ ცნობილ სხვა ფაქტებს კი ლოკალურობა არ ახასიათებთ. ასეთია ნივთებისა და საგნების სხვადასხვა ფიზიკური, ქიმიური, მექანიკური, ტექნოლოგიური თვისებები და ა.შ. მაგალითად, ტანსაცმლის ქსოვილი, ჩვეულებრივ, იოლად იხევა.

ამასთან, არ შეიძლება საყოველთაოდ ცნობილად იქნეს მიჩნეული (აღიარებული) კონკრეტული ადამიანის პირადი თვისებები, ხასიათი, რამეთუ ეს არ არის ფაქტი, არამედ ეს არის სუბიექტური მოსაზრება (შეხედულება).

კანონი (106-ე მუხლი) ითვალისწინებს რა იმას, რომ ფაქტების აღიარება (მიჩნევა) საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად ფარდობითი (პირობითი) ხასიათისაა, სასამართლოს უფლებას ანიჭებს თვითონ, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, შეიძლება თუ არა, რომ მოცემული ფაქტი მივიჩნიოთ საყოველთაოდ ცნობილად. **ამასთან, სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს, რომ მან ფაქტი ასეთად აღიარა, წინააღმდეგ შემთხვევაში ზემდგომ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება, როგორც არასაკმარისად დასაბუთებული.** ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად შეიძლება აღიაროს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლომ, არამედ ზემდგომმა სასამართლომაც.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები მტკიცებას არ საჭიროებს, ანუ მხარეები არ არიან ვალდებული წარმოადგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დასადგენად, მხარეები გათავისუფლებული არიან მტკიცების მოვალეობისაგან, ტვირთისაგან იმიტომ, რომ ამ ფაქტების ნამდვილობა ნათელია, ცხადია და მტკიცება ზედმეტია.

4.3. პრეიუდიციული ფაქტები

მტკიცებულებათა შეგროვებას (მტკიცებას) არ საჭიროებენ და შესაბამისად მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლების მეორე საფუძველია **ფაქტის პრეიუდიციულობა.** რომელ ფაქტებს უწოდებენ პრეიდიციულ ფაქტებს?

პრეიუდიციულია[1] სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული

[1] პრეიუდიციულმა ფაქტებმა ეს სახელწოდება მიიღო ლათინური სიტყვიდან „praejudicio", რაც ნიშნავს „წინასწარ გადაწყვეტა", „წინასწარ დადგენა", ე.ი. მართლზომიერად გადაწყვეტილი საკითხი, რომელზედაც დამოკიდებულია შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები (გარემოებები). პრეიუდიციულობის გამო, მტკიცების საგანში აღარ შევა ფაქტები,რომლებიც უკვე დადგენილია სხვა საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილებით. ურთიერთპრეიუდიციულობით არის დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილება ერთ სამოქალაქო საქმეზე და სასამართლოს გადაწყვეტილება სხვა საქმეზე. სსსკ-ის 106-ე მუხლში მითითებულია, რომ ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს ხელახლა მტკიცება არ სჭირდება და ეს ფაქტები არ შეიძლება სადავო გახდეს სხვა სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვის დროს იგივე პირები (იგივე მხარეები) მონაწილეობენ. მაგალითად, ზიანის უშუალოდ მიმყენებლის (ვთქვათ, მძღოლის) მიმართ რეგრესის წესით სარჩელის წარდგენის დროს მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი აღარ არის ვალდებული ხელმეორედ დაამტკიცოს დაზარალებულისადმი ზიანის მიყენების ფაქტი, თუ ეს ფაქტი უკვე დადგენილია ძირითადი სარჩელის (ზიანის ანაზღაურების შესახებ) განხილვის დროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

ბოლო პერიოდში სსსკ-ის 106-ე მუხლიდან ამოღებული იქნა ის ნორმა, რომლითაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს ჰქონდა პრეიუდიციული მნიშვნელობა. ამასთან, კოდექსს დაემატა XXXIV[3] თავი, რომლის მიხედვითაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს საქმეს გამარტივებული წესით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სხვა საკითხებზე განაჩენი არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის სამოქალაქო პროცესში. თუმცა იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას საქმეზე. გამარტივებულ წარმოებაში განაჩენით ხდება დანაშაულით მიყენებული ზიანის ოდენობის (მოცულობის) პრეიუდიცირება. ანუ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ოდენობას, მის მოცულობას, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს დასკვნებს ამ საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმის გამარტივებული წესით განმხილველი სასამართლოსათვის აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა თუ ეს განსაზღვრულია განაჩენში. კანონი ხაზს უსვამს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის პრეიუდიციულობა ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებულად განხილვისას ვრცელდება ასევე ზიანის მიყენების ფაქტზე. მაგალითად, განაჩენით დადგინდა მკვლელობის ფაქტი. ამ ფაქტს აღარ სჭირდება განმეორებით (ხელმეორედ) დადგენა (დამტკიცება) მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო საქმის გამარტივებული წესით განხილვის დროს.

ამრიგად, სისხლის სამართლის საქმეს (განაჩენს) სამოქალაქო საქმეზე პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს ზიანის მიყენების ფაქტის და ზიანის ოდენობის მიმართ. განაჩენით დადგენილ ყველა სხვა ფაქტს, მათ შორის პირის პასუხისმგებლობის შესახებ საკითხსაც პრეიუდიციული (სავალდებულო) მნიშვნელობა არ გააჩნია სასამართლოსათვის სამოქალაქო პროცესში. ამიტომ, თუ პირი გათავისუფლებულია სასჯელის მოხდისაგან ამნისტიით, ეს გარემოება არ გამორიცხავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მისი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის განხილვას.

ფაქტები პრეიუდიციულ მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ და ამ მნიშვნელობას ინარჩუნებენ მანამდე, სანამ სასამართლოს აქტები არ გაუქმდება კანონით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ **ყველა ფაქტს** აქვს პრეიდიციული მნიშვნელობა და არც ერთი ეს ფაქტი აღარ უნდა დამტკიცდეს ხელახლა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, რომელშიც იგივე პირები

(მხარეები) მონაწილეობენ.

განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები ამ აქტებში ასახული ფაქტების შესახებ პრეიუდიციულ მნიშვნელობას იძენენ საქმის მონაწილე ყველა პირისა და მათი უფლებამონაცვლეებისათვის.[1] ამასთან, დაინტერესებულ პირს, ვინც თავის დროზე სასამართლომ არ ჩააბა პროცესში (საქმეში) მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ვის უფლებებსა და ინტერესებსაც ეხება გადაწყვეტილება ან განაჩენი, მითითებულ ფაქტებს არა აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა და მათ უფლება აქვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები სადავო გახადოს სხვა პროცესში. მაგალითად, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს, რომელსაც არ შეეძლო დროულად (თავის დროზე) ჩაბმულიყო პროცესში, უფლება აქვს აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი და სხვა პროცესში სადავო გახადოს მანამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები. იმას, ვინც არ იყო ჩაბმული უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ საქმეში მონაწილეობის მისაღებად, შეუძლია სადავო გახადოს დადგენილი ფაქტი სხვა პროცესში, თუ ამის აუცილებლობა წარმოიშობა სასარჩელო წარმოების წესით უფლების შესახებ დავის გადაწყვეტის დროს. სწორედ ამიტომ უსვამს კანონი ხაზს იმას, რომ პრეიუდიცია ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე (იმ მხარეებზე), რომლებიც მონაწილეობდნენ წინა (თავდაპირველ) პროცესში (საქმეში).

იმისათვის, რომ სასამართლოს ჰქონდეს პრეიუდიციული ფაქტების მტკიცების მოვალეობისაგან მხარის გათავისუფლების კანონიერი საფუძველი, მან უნდა გამოითხოვოს და მას საქმეში უნდა ჰქონდეს შესაბამისი გადაწყვეტილების ან განაჩენის ასლი, დოკუმენტები სასამართლოს ამ აქტების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ (ზემდგომი სასამართლოების განჩინება, რომლებიც ამოწმებენ განაჩენსა და გადაწყვეტილებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სააპელაციო და საკასაციო წესით).

პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტები არ საჭიროებენ მტკიცებას იმიტომ, რომ ისინი უკვე დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განაჩენით და, შესაბამისად, აღარ არსებობს არავითარი აუცილებლობა მათ ხელახლა დასადგენად, ე.ი. არ შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს (საეჭვო გახდეს) ეს ფაქტები.

სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობა განისაზღვრება მისი სუბიექტური ფარგლებით (საზღვრებით). ეს ნიშნავს, რომ პრეიუდიციულობის თვისება აქვთ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულ მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებს, თუ, ამასთან, ყველა დაინტერესებული პირი, რომელთაც გადაწყვეტილება ეხება, ჩაბმული იყო პროცესში.

ხაზი უნდა გაესვას შემდეგ მნიშვნელოვან საკითხს: მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი, სამართალწარმოების ნებისმიერ სახეში მოქმედებს. მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლება, ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს. ერთ-ერთ ასეთ საგამონაკლისო შემთხვევად კანონმდებელი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებების მტკიცების ტვირთისაგან მხარის გათავისუფლებას (სსსკ–ის 106–ე მუხლი). მტკიცების ტვირთისაგან მხარის გათავისუფლების მოცემულ საფუძველში ვლინდება პრეიუდიციულობა, როგორც სასამართლო

---

[1] არასწორად მიგვაჩნია სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის ფორმულირება. მასში სიტყვები „იგივე მხარეები“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით „იგივე პირები“, ვინაიდან „მხარის“ ცნებაში მხოლოდ მოსარჩელე და მოპასუხე მოიაზრება, მაშინ როცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება პრეიუდიციულ მნიშვნელობას იძენს, მხარეთა გარდა ასევე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირებისთვისაც მათ მიმართ რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სარეგრესო სარჩელის საფუძველზე დაწყებულ პროცესში. ამაზე მეტყველებს სსსკ-ის 89-ე მუხლი.

გადაწყვეტილების კანონიერი ძალის თვისება. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების, როგორც სასამართლო ხელისუფლების აქტის სავალდებულობას და აღსრულებადობას განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივა.

სასამართლო გადაწყვეტილებისათვის პერიუდიციული მნიშვნელობის მინიჭების მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების სტაბილურობისა და სავალდებულობის უზრუნველყოფა, სასამართლო აქტებს (კანონიერ ძალაში არსებულსა და კონკრეტულ საქმეზე მომავალში მისაღებს) შორის შესაძლო კონფლიქტის გამორიცხვა. სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა გულისხმობს, რომ ერთი საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, მანამ, სანამ ეს ფაქტები არ გაქარწყლდება სავალდებულოა სხვა სასამართლოსათვის სხვა საქმეზე სამართალწარმოების ამავე ან სხვა სახეში, თუკი ამ ფაქტებს მნიშვნელობა აქვთ მოცემული საქმის გადასაწყვეტად. ამით პრეიუდიციულობა სასამართლო აქტებს შორის წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებას წარმოადგენს და უზრუნველყოფს სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დაცვას.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციულობის თვისების მინიჭება, კანონმდებლის დისკრეციის სფეროს განეკუთვნება. კანონმდებელს უფლება აქვს სამართლებრივ სფეროში დაადგინოს და გამოიყენოს სავალდებულო სასამართლო აქტებს შორის წინააღმდეგობის გამორიცხვის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები, მაგრამ არა აქვს უფლება არ დაადგინოს მოცემული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ესა თუ ის ინსტიტუტი. პრეიუდიციის ინსტიტუტის შემოღება კი მოითხოვს კონსტიტუციურად დაცულ ისეთ ფასეულობებს (ღირებულებებს) შორის ბალანსის დაცვას, როგორებიც არის ერთი მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა და სასამართლო გადაწყვეტილებების ყოფნა ერთმანეთთან შესაბამისობაში (სასამართლო გადაწყვეტილებები ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ), და მეორე მხრივ, სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამოქალაქო პროცესის (სამართალწარმოების) შეჯიბრებითობა. ასეთი ბალანსის უზრუნველყოფა ხდება პრეიუდიციულობის მოქმედების ფარგლების, აგრეთვე პრეიუდიციულობის გაქარწყლების წესის დადგენის მეშვეობით.

ამრიგად, პრეიუდიციის ინსტიტუტი, კანონმდებლის დისკრეციის გამოხატულებას წარმოადგენს. კანონმდებელს უფლება აქვს შეარჩიოს და დაადგინოს სასამართლო წესით უფლების დაცვის კონკრეტული ფორმა და პროცედურა. პრეიუდიციის ინსტიტუტის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების, მისი სავალდებულობის და სტაბილურობის უზრუნველყოფა, სასამართლოს სხვადასხვა აქტს შორის შესაძლო კონფლიქტის გამორიცხვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეიუდიციის ინსტიტუტი გამოყენებული უნდა იქნეს მტკიცებულებათა შეფასების საკითხში სასამართლოს თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით. ეს პრინციპი კი, თავის მხრივ, გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის კონსტიტუციური პრინციპებიდან.

საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი ითვალისწინებს მტკიცების მოვალეობისაგან მხარის გათავისუფლების კიდევ ერთ საფუძველს – ესაა აღიარება. აქ აღნიშნულია, რომ ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. თუმცა 133-ე მუხლი საშუალებას აძლევს მხარეს გააქარწყლოს (უარყოს) თავისი აღიარება, თუ ეს აღიარება შეცდომის შედეგი იყო, ან განპირობებულია ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, რაც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას. მაგრამ უარყოფა (გაქარწყლება) უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

დაბოლოს, სსსკ-ის 106-ე მუხლის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს, თუმცა, პროცესის მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭებათ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებებითა და დადგენილებებით დადგენილ ფაქტებსაც. საუბარია მორიგების დამტკიცებისა და მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების შესახებ განჩინებებით დადგენილ ფაქტებზე. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. მართალია, დასახელებული სასამართლო აქტები კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ თავიანთი სამართლებრივი მნიშვნელობით უთანაბრდება სასამართლო გადაწყვეტილებას, მაგრამ ისინი სასამართლო გადაწყვეტილების ყველა თვისებას როდი იძენენ. მათ არ გააჩნიათ პრეიუდიციულობის თვისება. ამ აქტებით საქმე მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, რის შემდეგაც იგივეობრივი მოთხოვნის აღძვრა დაუშვებელია.

4.4. უდავო ფაქტები

მართალია სსსკ-ის 106-ე მუხლში იმ ფაქტებს შორის, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ, უდავო ფაქტები არ არის მოხსენიებული, თუმცა სსსკ-ის რიგი ნორმების (მაგალითად, მე-3, 106-ე, 131-ე, 201-ე და სხვა) ანალიზი ცხადყოფს, რომ უდავო ფაქტები არ შედიან მტკიცების საგანში, ე.ი. არ საჭიროებენ მტკიცებას.

უდავო ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომლებიც აღიარა მხარემ ან კიდევ არ გახადა მან სადავოდ შესაგებლის (პასუხის) წარდგენისას. სამოქალაქო პროცესის მიზანია კერძო უფლებათა დაცვა, ხოლო ამ უფლებათა თავისუფლად განკარგვა უფლების მქონე პირის დისპოზიციურ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ფაქტის აღიარება, რომელზეც დამოკიდებულია უფლების არსებობა, უფლების იურიდიული ბედის გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა. ამასთან, აღიარება მართლზომიერი უნდა იყოს, ე.ი. არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და არ უნდა არღვევდეს სხვა პირის უფლებებს. იმდენად, რამდენადაც უფლების განკარგვა სრულიად კანონიერია, აქედან გამომდინარეობს, რომ სასამართლომ არ უნდა შეამოწმოს მხარეთა მიერ აღიარებული ფაქტები. სასამართლომ ასეთი ფაქტები უნდა მიიღოს იმ სახით, რა სახითაც ისინი აღიარეს მოდავე მხარეებმა.

ამრიგად, შემდგომში შევა თუ არა მტკიცების საგანში ესა თუ ის ფაქტი, დამოკიდებულია შესაგებელზე და მხარეთა მიერ დისპოზიციური უფლებამოსილებების გამოყენებაზე.

4.5. მტკიცებულებითი პრეზუმფციები

სამოქალაქო პროცესში, როგორც წესი, ორი ურთიერთსაპირისპირო ინტერესის მქონე მხარე მონაწილეობს. თითოეულ მათგანს უფლება აქვს მოითხოვოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. შეჯიბრებითობის პრინციპისა და თავიანთი ინტერესების შესაბამისად, მხარეები საქმეს ავსებენ სასამართლო მტკიცებულებებით, ვინაიდან მიისწრაფვიან სასურველი, ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებისაკენ. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კი მხარეებს მტკიცებულებათა შეგროვებაში მათი შუამდგომლობით ეხმარება სასამართლო.

ფაქტების მტკიცების ვალდებულება ეკისრება პროცესის იმ მხარეს, რომელიც ამტკიცებს (ადასტურებს) ამ ფაქტების არსებობას და ამ ფაქტებით ასაბუთებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს. ამდენად, მტკიცების ვალდებულების განაწილების წესი შემდეგ ზოგად დებულებას ეფუძნება: მტკიცების ტვირთი ეკისრება იმას, ვინც წამოაყენებს შესაბამის

მოთხოვნას ან შესაგებელს. ეს კი უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის პრინციპის რეალურ მოქმედებას პროცესში. მტკიცების ვალდებულების მხარეებისათვის დაკისრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გააქტიუროს მხარე მტკიცებულებათა წარდგენის საკითხში, რაც პირდაპირ უწყობს ხელს სამოქალაქო პროცესში საქმის ფაქტობრივი მხარის (გარემოებების) ნათელყოფას, მათ დადგენას. მხარეებმა ხომ თვითონ უკეთ იციან საქმის გარემოებების შესახებ. კანონი რომ არ ითვალისწინებდეს ასეთ ვალდებულებას მტკიცების სუბიექტებთან მიმართებაში, მაშინ სასამართლოს უფლება აღარ ექნებოდა მხარეთაგან მოეთხოვა მტკიცებულებების წარმოდგენა.

მტკიცებულებათა წარმოდგენის ვალდებულება (მტკიცების ტვირთი), როგორც საპროცესო ვალდებულება, არა მხოლოდ მხარეებს ეკისრებათ, არამედ მტკიცების სხვა სუბიექტებსაც. ეს სუბიექტები ვალდებული არიან დაამტკიცონ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ამ წესის მოქმედება ვრცელდება პროცესის ყველა დაინტერესებულ მონაწილეზე, თუმცა 102-ე მუხლში ამის შესახებ პირდაპირ არ არის აღნიშნული. მაგალითად, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირმა, რომელიც სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებით და რომელმაც უნდა შეასრულოს მისი ყველა მოვალეობა, უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებითაც ის ასაბუთებს თავის მოთხოვნას. დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირმა კი უნდა დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებიც გავლენას ახდენს პროცესში ერთ-ერთ მხარესთან მის ურთიერთობაზე.

მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) მხარეთა შორის ნაწილდება სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ზოგადი წესისა და მატერიალური კოდექსის ნორმებში არსებული კერძო (სპეციალური) წესების საფუძველზე.

იმ მხარის უფლებების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, რომელიც ჩაყენებულია მტკიცების უფრო რთულ პირობებში, მატერიალური სამართლის ნორმები ითვალისწინებს გამონაკლისს ზოგადი წესიდან იმ მხრივ, რომ ამ ნორმებით ხდება ფაქტის დამტკიცების ან ფაქტის უარყოფის ვალდებულების არა იმ მხარეზე დაკისრება, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს (ამტკიცებს), არამედ მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება (პრეზუმფცია).

მტკიცების ზოგადი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა მატერიალური სამართლის ნორმებში არ არის სპეციალური მითითება, მტკიცების ვალდებულების, ანუ ტვირთის განაწილების შესახებ.

მტკიცების ტვირთის განაწილების პრობლემა დამახასიათებელია სამოქალაქო პროცესისათვის (სამართალწარმოებისათვის). როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცება მხოლოდ ბრალდების ორგანოების საპროცესო ვალდებულებაა. ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესისაგან განსხვავებით, რომელშიც მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც დამნაშავისათვის დანაშაულის დამტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს, სამოქალაქო პროცესში მოქმედებს პასუხისმგებლობის დაუკისრებლობის პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც, იმ ფაქტების დამტკიცების მოვალეობა, რომლებითაც დასტურდება მოპასუხის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა, ეკისრება მოსარჩელეს. თუ მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენას თავისი ინიციატივით და სასამართლოს დახმარებაც ამ მხრივ ვერ გამოიღებს შედეგს, მაშინ საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

პროცესის თითოეული მონაწილე ამტკიცებს იმას, რასაც ის მიუთითებს, რასაც ის ეყრდნობა. მოსარჩელე მიუთითებს სარჩელის საფუძვლის ფაქტებს, მოპასუხე — სარჩელის წინააღმდეგ წამოყენებული შესაგებლის ფაქტებს. სსსკ-ის 102-ე მუხლში განმტკიცებული ეს დებულება, სამართლებრივი აქსიომაა.

სასამართლო უშუალოდ ერთვება მტკიცების პროცესში შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დანიშნავს ექსპერტიზას;

ბ) თუ დავალებას მისცემს სხვა სასამართლოებს მტკიცებულებათა შეგროვების შესახებ;

გ) თუ გამოითხოვს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით;

დ) თუ გასცემს იმ პირზე,ვინც შუამდგომლობს ამა თუ იმ მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ, მოთხოვნას (მიმართვას), რათა შუამდგომლობის აღმძვრელს მიეცეს მტკიცებულებათა მიღების და სასამართლოში წარდგენის უფლება.

მტკიცების ვალდებულების (ტვირთის) განაწილებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის ზოგად წესს არსებითად ცვლის მტკიცებულებითი პრეზუმფციები. კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევაში, მტკიცების ვალდებულება, ტვირთი ნაწილდება სწორედ მტკიცებულებითი პრეზუმფიის შესაბამისად. პრეზუმფცია წარმოადგენს ისეთ ლოგიკურ ხერხს (არასრული ინდუქცია), რომლის დროსაც, დადგენილი, დამტკიცებული ფაქტებიდან გამომდინარე კეთდება ვარაუდი (დასკვნა) სხვა გარემოების (ფაქტის) არსებობის ან არარსებობის შესახებ. მტკიცებულებითი პრეზუმფციის დროს, დადგენილი (დამტკიცებული) ფაქტებიდან გამომდინარე,ივარაუდება (ვასკვნით) სხვა ფაქტების არსებობა. ამიტომ ამ ფაქტების (რომელთა არსებობაც ივარაუდება) დამტკიცება აღარ ხდება.

პრეზუმფციები მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარია. მათგან ნაწილი განმტკიცებულია კანონით (ლეგალური პრეზუმფციები). ნორმატიულ აქტებში არშესულ პრეზუმფციებს (ფაქტობრივ პრეზუმფციებს) აგრეთვე შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობა სამოქალაქო იურისდიქციაში, იმის გამო, რომ ამგვარი პრეზუმფციები მოსამართლეთა მართლშეგნების ელემენტებია.

სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელია ე.წ. მტკიცებულებითი პრეზუმფციები. მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქმის მონაწილე პირმა, რომელიც ემყარება (მიუთითებს) რა რომელიღაც პრეზუმფცირებულ ფაქტს (პრეზუმფციის მეშვეობით დადგენილი ფაქტი),არ უნდა დაამტკიცოს იგი,ხოლო იურიდიულად დაინტერესებულ სხვა პირებს უფლება აქვთ ეს ფაქტი უარყონ. ამითი თითქოსდა მტკიცების ტვირთის (onus probandi) გადანაწილება ხდება. მტკიცებულებითი პრეზუმფციები არცთუ ისე ბევრია. ყველა ასეთი პრეზუმფცია განმტკიცებულია მატერიალურ-სამართლებრივ კანონებში (სამოქალაქო კოდექსში და სხვ.).

ყველაზე უფრო ხშირად სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს გვხვდება შემდეგი სახის პრეზუმფციები:

1) **ზიანის მიმყენებლის ბრალის პრეზუმცია.** ზიანის ანაზღაურების თაობაზე წამოჭრილი დავების განხილვის დროს მოსარჩელე თუმცა მიუთითებს მოპასუხის (ზიანის მიმყენებელის) ბრალზე,არ არის ვალდებული დაამტკიცოს,რომ ზიანის მიყენებაში ბრალი მოპასუხეს (ზიანის მიმყენებელს) მიუძღვის,როგორც ეს უნდა მოეხდინა მტკიცების ზოგადი წესიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში მტკიცების კერძო (სპეციალური) წესი ცვლის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს: თვითონ ზიანის მიმყენებელია ვალდებული დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის მიყენებული მისი ბრალით, რომ არ მიუძღვის ამაში ბრალი. ზიანის მიმყენებლის ბრალი ივარაუდება მატერიალური სამართლის ნორმით დადგენილი წესის საფუძველზე. ზიანის მიმყენებლის ბრალის პრეზუმფცია ვრცელდება ყველა იმ ვალდებულებაზე, რომლებიც წარმოშობილია ზიანის მიყენების ფაქტის საფუძველზე.

2) **მოვალის ბრალის პრეზუმფცია, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან იგი არასათანადოდ (არაჯეროვნად) შეასრულა.** ამ შემთხვევაში ბრალის არარსებობა უნდა დაამტკიცოს იმან, ვინც დაარღვია ვალდებულება.

მოქმედი სამართლის მიხედვით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა

შეიძლება დაეკისროთ მხოლოდ იმ პირობით, თუ სახეზეა მათი ბრალი. ვალდებულების შეუსრულებლობის ანდა არაჯეროვანი შესრულების დროს მოვალე ივარაუდება ბრალეულ პირად და მას უფლება აქვს უარყოს ნავარაუდევი ბრალი.

3) **ფიზიკური პირის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია.** ივარაუდება, რომ ყოველი ადამიანი კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერების პრეზუმფცია არსებობს მანამდე, სანამ დადგენილი წესით დამაჯერებლად (უტყუარად) არ დამტკიცდება ის ფაქტები, რომლებიც უარყოფითად ახასიათებენ ფიზიკურ პირს. კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან გამომდინარე, იმ ინფორმაციის სისწორისა და უტყუარობის დამტკიცების ვალდებულება, რომელიც შეეხება ფიზიკური პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, ეკისრება მოპასუხეს, ანუ იმ პირებს, რომელთაც გაავრცელეს ეს ინფორმაცია (სახელის გამტეხი ცნობების გამავრცელებლის ბრალის პრეზუმფცია). მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მხოლოდ მისი პირადი არაქონებრივი უფლებების ხელმყოფი ცნობების გავრცელების ფაქტი (ანუ მხოლოდ ის რომ, ადგილი ჰქონდა მისი პირადი უფლებების შელახვას).

4) **საკუთრების პრეზუმფცია.** ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი და მოსარგებლე მისი მესაკუთრეა, სანამ ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ე.ი. სანამ დადგენილი წესით უარყოფილი არ იქნება მოცემული ვარაუდი.

5) **თავის საცხოვრებელ ადგილას ხანგრძლივად არმყოფი ფიზიკური პირის გარდაცვალების პრეზუმფცია.** თუ ადამიანი თავის საცხოვრებელ ადგილას არ იმყოფება კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტხანს და არ არსებობს ცნობები ამ ადამიანის შესახებ, მაშინ სასამართლო მოცემული პრეზუმფციის საფუძველზე და უდავო წარმოების წესით ამ პირს გარდაცვლილად ცნობს.

6) **მამობის პრეზუმფცია.** რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მშობლებისაგან დაბადებული ბავშვის დედის მეუღლე (ქმარი) ივარაუდება ამ ბავშვის მამად. ქმარს უფლება აქვს სადავო გახადოს მამობა სასამართლო წესით.

7) **კანონის ცოდნის პრეზუმფცია.** სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. კანონის ცოდნის პრეზუმფცია ყველასა და თითოეულზე ვრცელდება და არ შეიძლება პირი უთითებდეს კანონის არცოდნაზე ან მის არასათანადო გაგებაზე კანონის უცოდინრობის გამო(სუსგ 2005 წ. №3 სამოქალაქო პროცესი. გვ. 115). ამდენად, არცოდნა არგუმენტი არ არის. ამასთან, ჩვენი აზრით, სასამართლო პრაქტიკა ამ წესს შეცდომათ მიიჩნევს პრეზუმფციად. კანონის ცოდნის პრეზუმფციაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ კანონის ცოდნის ფიქციაზე. ვინაიდან პრეზუმფცია გაქარწყლებადია და შეიძლება პირმა თავი იმართლოს არ ვიცოდი კანონი და დაამტკიცოს კიდეც ეს.

სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია სხვა მტკიცებულებითი პრეზუმფციებიც. მაგალითად, სავალო დოკუმენტის არსებობა (ხელთქონა) მოვალესთან ადასტურებს ვალდებულების შეწყვეტას, სანამ სხვა რამ არ დამტკიცდება.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უკლებლივ ყველა მტკიცებულებითი პრეზუმფცია შეიძლება უარყოფილ (გაქარწყლებულ) იქნეს.

პრეზუმფცია საერთოდ როდი ათავისუფლებს სუბიექტს მტკიცების მოვალეობისაგან, არამედ განსაკუთრებული წესით გადაანაწილებს ამ მოვალეობებს, აკისრებს რა მოპასუხეს ზოგიერთი ფაქტის დამტკიცების მოვალეობას. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობს პრეზუმფციის გამოყენებისათვის აუცილებელი პირობები. მაგალითად, დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას ნამდვილად მიყენებული აქვს მატერიალური ზიანი (ზარალი) და რომ ეს ზარალი მოპასუხის მოქმედების შედეგია. ამ მომენტიდან ამოქმედებას იწყებს მოპასუხის ბრალეულობის პრეზუმცია და სწორედ მან უნდა დაამტკიცოს, რომ ზიანი მისი

ბრალით არ არის მიყენებული. პრეზუმფციას, პირველ ყოვლისა, საპროცესო მნიშვნელობა აქვს, რამეთუ იგი გადაანაწილებს მტკიცების ვალდებულებებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, პრეზუმფციის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები. თუ ზიანის მიმყენებელი (მოპასუხე) ვერ შეძლებს დაამტკიცოს ბრალის არარსებობა თავის მოქმედებებში, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, თუმცა სასამართლოს შეიძლება არც ჰქონდეს ზიანის მიმყენებლის (მოპასუხის) ბრალეულობის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები. ასეთ სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედება კანონისმიერი პრეზუმფცია. კანონით გათვალისწინებული პრეზუმფცია შეიძლება სადავო გახდეს. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სადავო გახადოს კანონის დებულების გამოყენება მოცემულ შემთხვევაში და დაამტკიცოს მისი გამოყენების დაუსაბუთებლობა.

დაბოლოს, პრეზუმფციების მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში იმაში მდგომარეობს, რომ პრეზუმფციები:

1) არა მხოლოდ ცვლის მტკიცების ვალდებულების განაწილების ზოგად წესებს, არამედ ამარტივებს მტკიცების პროცესსაც (მოპასუხისათვის უფრო ადვილია, დაამტკიცოს თავისი არაბრალეულობა, ვიდრე მოსარჩელისათვის – დაასაბუთოს სხვა პირის ბრალი);

2) ზნეობრივი საწყისი შეაქვთ სასამართლო შემეცნებაში (მამობის პრეზუმფცია, საკუთრების პრეზუმფცია და სხვ.);

3) საპროცესო შეღავათს ანიჭებენ სუბიექტებს სოციალურად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

§5. მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა

საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია უშუალოდ გამოიკვლოს მტკიცებულებები. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ უნდა მოისმინოს საქმის მონაწილის ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, მოსამართლე უნდა გაეცნოს წერილობით მტკიცებულებებს, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები.

ამიტომ, უშუალობის წესის დარღვევა, მისგან გადახვევა სასამართლო პრაქტიკაში კვალიფიცირდება როგორც სასამართლო შეცდომა, აქედან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგით.

ამასთან, კანონით დადგენილია ორი გამონაკლისი სასამართლოს ამ ვალდებულებიდან. ამ გამონაკლის შემთხვევებში სასამართლოს მიერ ხდება სამოქალაქო საქმის გარემოებათა გაშუალებული შემეცნება. საუბარია მტკიცებულებათა უზრუნველყოფასა და სასამართლო დავალებაზე.

მტკიცებულების უზრუნველყოფა (მისი ფიქსაცია საქმის სასამართლო განხილვის დაწყებამდე) წარმოადგენს ფაქტობრივი მონაცემების კანონით დადგენილი წესით ოპერატიულად ფიქსირების (განმტკიცების) ხერხს, საშუალებას, რასაც ახდენს სასამართლო მტკიცებულებად მათი გამოყენების მიზნით. ეს საშუალება გამოიყენება სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევამდე.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება, გამოწვეულია ისეთი გარემოებების არსებობით, რომელთა დროსაც მტკიცებულებები გაუჩინარების მიჯნაზეა, ანდა, როცა მათი სასამართლოში წარდგენა საქმის განხილვის მომენტში შეუძლებელი ან ძნელია.

109-ე მუხლში მითითებულია, რომ იმას, ვისაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია

სასამართლოს სთხოვოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია სასამართლოში საქმის აღძვრამდეც.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საჭიროა მაშინ, როცა, მაგალითად, ნივთიერ მტკიცებულებად გამოიყენება მალფუჭებადი პროდუქტები, რომლებიც კარგავენ გარეგნულ სახესა და თვისებებს, ხარისხს; როცა მოწმის, ვისი ჩვენებაც მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობა საფუძველს აძლევს ექიმს ივარაუდოს სიკვდილის შესაძლებლობა; როცა არსებობს ექსპერტიზის ობიექტის განადგურების ან დაკარგვის საფრთხე და სხვ.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს აქვს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მხარე სასამართლოს წარუდგენს სანოტარო წესით დამოწმებულ ე.წ. მოწმეთა ჩვენებებსა და ახსნა-განმარტებებს. ამგვარი დოკუმენტები არ მიეკუთვნება რაიმე სახის მტკიცებულებებს და მათზე დაყრდნობით დაუშვებელია გადაწყვეტილების მიღება. მითუმეტეს, რომ მოწმე ჩვენებას ზეპირად უნდა იძლეოდეს.

ოქმები და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის პროცესში შედგენილი ყველა სხვა მასალა (დოკუმენტი) გამოიყენება საქმის განხილვის დროს, ნაწარმოები წერილობითი მტკიცებულებების სახით. ისინი ცვლიან პირველად მტკიცებულებებს, როცა თვითონ პირველადი მტკიცებულებები არ შეიძლება მოვიპოვოთ და უშუალოდ გამოვიკვლიოთ საქმის განხილვის მომენტში. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად საპროცესო მოქმედებათა შესრულების დროს, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მტკიცებულებათა მიღების წესებით. ეს, მაგალითად, ნიშნავს, რომ მოწმეთა დაბარება და დაკითხვა წარმოებს საპროცესო კოდექსის 140-ე, 145-ე, 148-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებთან მიმართებაში უზრუნველყოფის ღონისძიებები (ზომები) მდგომარეობს მათ დათვალიერებასა და დათვალიერების შედეგების ფიქსაციაში.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საშუალებებია მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებების მოსმენა, მოწმეთა დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა, წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა გამოთხოვა და დათვალიერება, ადგილზე დათვალიერება.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მათი დამაგრების ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ მათ უზრუნველსაყოფად შესაბამისი მოქმედებების შესრულების დროს არ ხდება მტკიცებულებათა უტყუარობისა და საკმარისობის შეფასების საკითხების გადაწყვეტა. მაგრამ მათი შესახებობისა და დასაშვებობის საკითხები უნდა გადაწყდეს მანამ, სანამ მოსამართლე შეასრულებს შესაბამის მოქმედებებს მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა წარმოებს იმ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ვინც ფიქრობს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება. განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული. ეს განცხადება სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით. განცხადების ზეპირი ფორმით წარდგენა (საუბარია შუამდგომლობაზე) დასაშვებია სასამართლოში საქმის განხილვის დროს. მტკიცებულებათა უზრნველყოფის შესახებ ზეპირი განცხადებით აღძრული შუამდგომლობა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს (მითითებულ იქნეს): ა) მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია; ბ) გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი; გ) მიზეზები, რომლებმაც აიძულეს განმცხადებელი მიემართა სასამართლოსათვის შუამდგომლობით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ; აგრეთვე უნდა აღიწეროს (მიეთითოს) საქმე, რომლისთვისაც აუცილებელია (საჭიროა) მოცემული მტკიცებულებები, რომლებიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს; დ) მოწინააღმდეგე მხარის გვარი, სახელი და მისამართი, თუ განცხადება მტკიცე-

ბულებათა უზრუნველყოფის შესახებ შეტანილია სასამართლოში საქმის აღძვრამდე და განმცხადებელმა იცის, თუ ვინ შეიძლება იყოს მოწინააღმდეგე მხარე.

განცხადება სასამართლოში საქმის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შეიტანება იმ რაიონის (ქალაქის) ან მაგისტრატ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება უზრუნველყოფის მიზნით (მოწმის დაკითხვა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება და ა.შ. – მუხლი 110-ე).

საერთოდ კი, განცხადება შეიტანება საქმის განმხილველ სასამართლოში, ან იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის განცხადება შეიტანება არა საქმის განმხილველ სასამართლოში, ის უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს. კერძოდ, მასში უნდა აღინიშნოს სასამართლო, რომელშიც შეიტანება განცხადება, საქმის მონაწილენი, მათი მისამართები, როდის და რომელ სასამართლოში დაიწყო სამოქალაქო საქმე, რომელზედაც საჭიროა მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. **უზრუნველყოფილ შეიძლება იქნეს ნებისმიერი მტკიცებულება.**

რა წესით ხდება მტკიცებულებათა უზრუნველყოფა? მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო ადგენს ოქმს. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მიუთითებს მისი წარმოების წესსა და საშუალებებზე.

მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს, სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი სსსკ-ის 204-ე მუხლით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

მხარეებს ეცნობებათ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებას. გადაუდებელ შემთხვევაში მტკიცებულებათა უზრუნველყოფა შესაძლებელია მხარეთათვის შეუტყობინებლადაც.

ოქმები და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი ყველა მასალა გაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს. ამის შესახებ ეცნობებათ საქმის მონაწილეთ. თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მოხდა სასამართლოში საქმის აღძვრამდე, უზრუნველყოფის დროს შედგენილი ოქმი და სხვა მასალები შეინახება სასამართლოში, რომლებიც შემდგომ, მხარეთა თხოვნით, ან თვით სასამართლოს ინიციატივით გადაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს.

სასამართლო ოქმი, რომელიც შეიცავს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით მიღებულ ცნობებს (მოწმის ჩვენებას, ადგილზე დათვალიერების შედეგებს, ექსპერტთა დასკვნებს) გამოიყენება შემდგომში სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს.

სასამართლო ოქმსა და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილ მასალებს უშუალოდ იკვლევს სასამართლო სამოქალაქო საქმის არსებითად განხილვის დროს. გადაუდებელ შემთხვევებში, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად მოსამართლეს უფლება აქვს, საქმის აღძვრის შემდეგ ადგილზე დაათვალიეროს როგორც წერილობითი, ისე ნივთიერი მტკიცებულებები და დათვალიერების შედეგი დააფიქსიროს სასამართლო ოქმში.

კანონით (117-ე მუხლი) დასაშვებია მტკიცებულებათა განმეორებითი და დამატებითი უზრუნველყოფა. კერძოდ, მხარეებს, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში, უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და მიუთითონ იმ ხარვეზებზე, რომლებსაც, მათი აზრით, ადგილი ჰქონდა უზრუნველყოფის დროს. საქმის განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფა.

მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის ის, ვინც იშუამდ-

გომლა სასამართლოს წინაშე ასეთი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ, ამ ხარჯების განაწილება მოხდება სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება, ხოლო მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. რაც შეეხება სასამართლო დავალების ინსტიტუტს, ამ ინსტიტუტის გამოყენების აუცილებლობა სამოქალაქო პროცესში წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ გამოსათხოვი ან შესამოწმებელი, საქმისათვის საჭირო მტკიცებულებები სხვა ქალაქში ან რაიონშია და მათი წარმოდგენა თუ შემოწმება საქმის განმხილველ სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია. ასეთ შემთხვევაში საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია თავისი დასაბუთებული განჩინებით შესაბამის სასამართლოს (რომლისთვისაც ტერიტორიულად ეს უფრო მოსახერხებელია) დაავალოს კონკრეტული საპროცესო მოქმედებების შესრულება, ანუ მტკიცებულებათა შეგროვება (შემოწმება), მათი გამოკვლევა.

ამასთან ერთად, საქმის განმხილველმა სასამართლომ სასამართლო დავალების შესახებ სასამართლო განჩინებაში მოკლედ უნდა ჩამოაყალიბოს განსახილველი საქმის შინაარსი, დასადგენი გარემოება და ის მტკიცებულებანი, რომლებიც უნდა შეაგროვოს (შეამოწმოს) დავალების შემსრულებელმა სასამართლომ, აგრეთვე დავალების შესრულების ვადა.

სასამართლო დავალება (დავალების შესახებ განჩინების შესრულება) სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელსაც ეგზავნება იგი და უნდა შესრულდეს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. დავალების შემსრულებელი სასამართლო იკვლევს ამ მტკიცებულებებს სასამართლო სხდომაზე.

თუ საქმეზე ცალკეული მტკიცებულებების შეგროვება წარმოებდა სასამართლო დავალების საფუძველზე, ანდა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის, მათი ადგილსამყოფელის მიხედვით მოწმეთა დაკითხვის, ადგილზე დათვალიერების გზით, მაშინ ოქმები და ამ წესით შეგროვილი სხვა მასალები გამოკვლეულ უნდა იქნეს სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დროს და უნდა შეფასდეს საქმეზე შეგროვილ ყველა მტკიცებულებასთან ერთობლიობაში.

სასამართლო დავალების წესით, შესაძლებელია მხარეთა და მესამე პირთა გამოკითხვა, მოწმეთა დაკითხვა, წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება და გამოკვლევა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და სხვ.

ამასთან ერთად, არამართლზომიერია სხვა სასამართლოს დაევალოს შეაგროვოს წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულებები, გამოითხოვოს მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელის დასაბუთებულობის დამადასტურებელი მონაცემები, აგრეთვე ცნობები, რომელსაც უნდა შეიცავდეს სასარჩელო განცხადება.

რა წესით ხდება სასამართლო დავალების შესრულება?

სასამართლო დავალებას მოსამართლე ასრულებს ერთპიროვნულად. დავალების შესრულების დროს შეკრებილი ყველა მასალა დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს საქმის განმხილველ სასამართლოს. თუ სასამართლო დავალებით უნდა მოხდეს ადგილზე დათვალიერება, დავალების შემსრულებელი მოსამართლე აცნობებს მხარეებს ადგილზე დათვალიერების დროსა და ადგილს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს დათვალიერების ჩატარებას.

თუ მხარეები ან მოწმეები, რომლებმაც ახსნა-განმარტებები ან ჩვენებები მისცეს დავალების შემსრულებელ მოსამართლეს (სასამართლოს), გამოცხადდებიან საქმის განმხილველ სასამართლოში, ისინი ახსნა-განმარტებებსა და ჩვენებებს მისცემენ საერთო წესით

(108-ე მუხლი).

ოქმი და სასამართლო დავალების შესრულების წესით მიღებული ყველა სხვა მტკიცებულება (შეგროვილი მასალები), წერილობითი მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნები და ა.შ. ცხადდება საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომაზე, რის თაობაზეც სასამართლო სხდომის ოქმში კეთდება ჩანაწერი (ეს მასალები დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს საქმის განმხილველ სასამართლოში).

აღსანიშნავია, რომ, მართალია, ადგილზე დათვალიერების ჩატარების დროს საქმის მონაწილეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს შესაბამისი სასამართლო დავალების შესრულებას (108-ე მუხლი), თუმცა ეს გარემოება არ ათავისუფლებს დავალების შემსრულებელ სასამართლოს მხარეთათვის ადგილზე დათვალიერების დროისა და ადგილის შესახებ შეტყობინების ვალდებულებისაგან. ეს უნდა გაითვალისწინოს დავალების მიმცემმა სასამართლომ და ამიტომ მან დავალების შემსრულებელ სასამართლოს უნდა შეატყობინოს საქმის მონაწილეთა მისამართებიც.

§6. მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტება[1]

სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებებით სასამართლო ადგენს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

მართალია, ყველა მტკიცებულების მიმართ გამოიყენება მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების საერთო წესები, მაგრამ თითოეულ მტკიცებულებას თავისი გარკვეული სპეციფიკაც გააჩნია როგორც შინაარსის, ისე გამოყენების საპროცესო ფორმის თვალსაზრისით. ეს გარემოება კი მოითხოვს თითოეული მტკიცებულების ცალკე გამოკვლევას.

მტკიცებულებათაგან ჯერ შევეხებით მხარეთა ახსნა-განმარტებებს.

მხარის უფლება, მისცეს სასამართლოს ახსნა-განმარტება, გარანტირებული და დაცულია კანონით, მაგალითად, იმით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, თუ სასამართლომ საქმე განიხილა საქმის მონაწილე რომელიმე პირის დაუსწრებლად, რომელიც არ იყო პროცესზე მოწვეული კანონით დადგენილი წესით (რომელსაც არ აცნობა სასამართლომ სხდომის დრო და ადგილი). მხარესა და მესამე პირს სასამართლო არ აფრთხილებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ (ყალბი) ახსნა-განმარტების მიცემისათვის. ამასთან

[1] სასამართლოსათვის ახსნა-განმარტების მიცემის უფლებით მხარეთა და მესამე პირთა გარდა სარგებლობენ აგრეთვე უდავო წარმოების საქმეში მონაწილე პირებიც, რომელთა ახსნა-განმარტებებიც თავიანთი ბუნებით არსებითად არაფრით არ განსხვავდება მხარეთა ახსნა-განმარტებებისაგან. აქედან გამომდინარე, შემდგომში ნაშრომში ლაკონიურობის მიზნით საუბარი იქნება მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტებებზე. მხარეთა მაგივრად (მათ ნაცვლად) ან მათთან ერთად სასამართლოს ახსნა-განმარტება შეიძლება მისცეს მხარის წარმომადგენელმაც. ამასთან, საქმის განხილვის დროს, მართალია, არ იკრძალება ახსნა-განმარტების მიღება გარიგებითი წარმომადგენლისაგან, მაგრამ პრაქტიკაში, სსსკ-ის 127-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლოები მტკიცებულებით მნიშვნელობას ანიჭებენ და შესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად იყენებენ მხარის კანონისმიერი და არა გარიგებითი წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას, ვინაიდან დასახელებულ მუხლში ხაზი აქვს გასმული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენას სწორედ კანონისმიერი წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებით, რომლებმაც, ისევე როგორც მხარეებმა, თანამონაწილეებმა და მესამე პირებმა, ყველაზე უკეთ იციან ამ ფაქტების შესახებ, რასაც მოკლებულია გარიგებითი წარმომადგენელი. პრაქტიკის მიხედვით გარიგებით (სახელშეკრულებო) წარმომადგენელს შეუძლია მხოლოდ სამართლებრივი შეფასება მისცეს ფაქტებს. ამგვარი მიდგომა არ მიგვაჩნია მართებულ მიდგომად, რადგან არ ეფუძნება სსსკ-ის 98-ე, 127-ე, 131-ე და სხვა მუხლების სწორ ანალიზს. ამავე პარაგრაფში დასაბუთებული გვაქვს პრაქტიკის საწინააღმდეგო პოზიცია.

დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ახსნა-განმარტების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მომდინარეობს საქმის შედეგით იურიდიულად დაინტერესებული პირისაგან. თითოეული მხარე თავისთვის სასარგებლო (ხელსაყრელ) ასპექტში აშუქებს (განმარტავს) საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, აღნიშნული პირების მიერ მოწოდებული ცნობების (ახსნა-განმარტებების) უტყუარობის შემოწმების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ საქმის შედეგით ამ პირთა დაინტერესების მომენტი. სწორედ ამიტომ საპროცესო კანონი სასამართლოს ავალდებულებს გაითვალისწინოს ეს გარემოება და მხარის ახსნა-განმარტება შეამოწმოს, შეაფასოს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ახსნა-განმარტების მიცემა თანამონაწილის, მხარისა და მესამე პირის უფლებაა და არა ვალდებულება და, შესაბამისად, კანონმდებლობა იმიტომაც არ აწესებს სანქციას ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისათვის. ახსნა-განმარტების მიცემა რომ იძულებითი სანქციის გამოყენებით იყოს უზრუნველყოფილი, მაშინ დაირღვეოდა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპები.

კანონი (102-ე მუხლი) მხარის ახსნა-განმარტებას დამოუკიდებელ მტკიცებულებად აღიარებს, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა მხარის ახსნა-განმარტება ფაქტების აღიარებას, ფაქტების უარყოფას თუ რაიმე სხვა ცნობებს ფაქტების შესახებ.

სასამართლო ისმენს თანამონაწილის, მხარისა და მესამე პირის ახსნა-განმარტებებს მოსამართლის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა (შემეცნების პროცესი) სწორედ ახსნა-განმარტებებით იწყება (სსსკ-ის 127-ე მუხლი).

ამასთან, გასათვალისწინებელია სსსკ-ის 129-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ახსნა-განმარტების მიღება არ შეიძლება 1) ისეთი პირისაგან, რომელსაც თავისი ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები და მათ შესახებ მისცეს სწორი ჩვენება; 2) სასულიერო პირისაგან ისეთ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს; 3) თანამდებობის პირისგან ისეთ გარემოებებზე, რომელთა შესახებ საიდუმლოების დაცვაც მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედის, თუ იგი გათავისუფლებული არ არის ასეთი საიდუმლოების დაცვისაგან.

როდესაც საუბარია მხარეთა ახსნა-განმარტებაზე, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ ერთ-ერთ მტკიცებულებაზე, აუცილებელია, ჯერ ერთი, დავახასიათოთ მხარე, როგორც მტკიცებულების წყარო, მეორე, გავარკვიოთ, მხარეთა ახსნა-განმარტების თუ რომელი (რა) ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად.

მხარეებად სამოქალაქო პროცესში გამოდიან სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტები. მოსარჩელემ, მოპასუხემ, მესამე პირმა სხვებზე უკეთ იციან წარმოშობილი სამართლებრივი კონფლიქტის საფუძვლების შესახებ, რამეთუ, ისინი სადავო სამართალურთიერთობის მონაწილენი არიან. მხარეები შეიძლება შეცდნენ, ფაქტებს მისცენ თავიანთი ინტერპრეტაცია, თავისებურად ახსნან ისინი. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მხარე ფაქტების შესახებ მტკიცებულებითი ინფორმაციის მატარებელია (წყაროა).

მხარეებსა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს მტკიცების პროცესში ორგვარი მდგომარეობა უკავიათ, კერძოდ, ერთი მხრივ, ისინი იმ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტები არიან, რომლის გამოც წარმოიშვა დავა, იურიდიულად დაინტერესებული არიან საქმის შედეგით, ხოლო, მეორე მხრივ, მხარეები მტკიცებულებათა წყაროსაც წარმოადგენენ.

მხარეთა ახსნა-განმარტებებში აუცილებელია გამოვკვეთოთ როგორც განკარგვითი ხასიათის მოთხოვნები, ისე მხარეთა მიერ სასამართლოსათვის ახსნა-განმარტების ფორმით მიწოდებული ცნობები ფაქტების შესახებ, რომლებიც მტკიცებულებებს წარმოადგენენ.

მხარეთა ამგვარი ცნობები ფაქტების შესახებ დაკავშირებულია მტკიცების ვალდებულების განხორციელებასთან. ეს არის სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპის გამოვლენა.

მხარეები და მესამე პირები ახსნა-განმარტებებში (განცხადებებში) აყალიბებენ თავიანთ შეხედულებებს განსახილველ დავასთან (საქმესთან) დაკავშირებით, თავისებურად ხსნიან შექმნილ სიტუაციას და ასაბუთებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს. ახსნა-განმარტებებში მხარეებს (მესამე პირებს) შეუძლიათ განაცხადონ შუამდგომლობები, ჩამოაყალიბონ (დააზუსტონ) თავიანთი სასარჩელო მოთხოვნები, გაადიდონ ან შეამცირონ ისინი, შესთავაზონ მეორე მხარეს მორიგება, როგორც მატერიალური ინტერესის მქონე სუბიექტებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ (გამოთქვან) თავიანთი დასკვნები და მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხთან დაკავშირებით (საქმის ირგვლივ), სადავო გახადონ მეორე მხარის შუამდგომლობები, მოსაზრებები და დასკვნები, აგრეთვე აცნობონ სასამართლოს იურიდიული და მტკიცებულებითი ფაქტების, (საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებისა და ფაქტების) შესახებ, ე.ი. წარადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი.

მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე ან გამოხატოს მორიგების სურვილი. მოპასუხეს შეუძლია აღიაროს სარჩელი. უდავო წარმოების საქმეში მონაწილეს (დაინტერესებულ პირს) შეუძლია აღძრას უფლების შესახებ დავა და ა.შ. ხოლო კამათში გამოსვლისას, მხარეებს შეუძლიათ იმსჯელონ იმის თაობაზე, თუ სამართლის რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული, დაეთანხმონ (ან უარყონ) სხვა პირთა დასკვნებსა და მოსაზრებებს. მაგალითად მოსარჩელეს შეუძლია მიუთითოს კონკრეტულ გარემოებებზე, კერძოდ, თუ სად, როდის და ვინ მიაყენა დასახიჩრება, მოპასუხეს შეუძლია აღიაროს რაიმე ფაქტი, რომელსაც მოსარჩელე ემყარება და, თავის მხრივ, დაეყრდნოს სხვა გარემოებებს და ა.შ. ამრიგად, **მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტების შინაარსი ფართოა, მაგრამ სასამართლოსათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა მხარეთა და მესამე პირთა ყველა ახსნა-განმარტებას როდი აქვს, არამედ ასეთი მნიშვნელობა აქვს ახსნა-განმარტების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების შესახებ მონაცემებს.** ახსნა-განმარტების სწორედ ეს ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ ეს მონაცემები, ეს ცნობები შევაპირისპიროთ სხვა მტკიცებულებებით მიღებულ მონაცემებთან და კომპლექსური შეფასების შედეგად გამოვიტანოთ დასკვნა დასადგენი ფაქტის არსებობა-არარსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მხარე და მესამე პირი დაინტერესებულია საქმის შედეგით, მათი ახსნა-განმარტებები შეიძლება გამოვიყენოთ ფაქტების დასადგენად და დაექვემდებაროს ობიექტურ შემოწმებას. მხოლოდ ეს არის, რომ მხარის დაინტერესების მომენტი ავალდებულებს სასამართლოს კრიტიკულად შეამოწმოს და შეაფასოს მათი ახსნა-განმარტებები.

მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებში ასახული შესაბამისი სამართლებრივი ნორმების განმარტება, სადავო ურთიერთობათა იურიდიული კვალიფიკაცია, ემოციური ხასიათის მსჯელობანი მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

მხარეთა, თანამონაწილეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები მათი შინაარსის ხასიათის მიხედვით მოწმეთა ჩვენებების მსგავსია. ამასთან, ახსნა-განმარტებას, როგორც დამოუკიდებელ მტკიცებულებას, გარკვეული თავისებურებანი გააჩნია, კერძოდ:

1) ეს არის ყველაზე გავრცელებული მტკიცებულება. სხვა მტკიცებულებებისაგან განსხვავებით, რომლებიც კონკრეტულ პროცესში შეიძლება დაშვებულ (გამოყენებულ) იქნეს, ან არ იქნეს დაშვებული, ახსნა-განმარტების გამოყენება დასაშვებია ყოველთვის და ნებისმიერ სამოქალაქო საქმეში (ფულადი დავალიანების გადახდევინებისა და ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ მოთხოვნათა გამარტივებული წარმოების გარდა). ახსნა-განმარტება შეიძლება გამოყენებულ იქნეს

ნებისმიერი ფაქტისა და გარემოების დასადგენად. რაიმე შეზღუდვას ამ მხრივ კანონი არ აწესებს. „მტკიცებულებათა დასაშვებობის“ წესი არ ვრცელდება მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებზე. ახსნა-განმარტება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ფაქტების (გარემოებების) დასადასტურებლადაც (დასადგენად), რომლებიც დადგენილი უნდა იქნენ „გარკვეული სახის მტკიცებულებებით“ (საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

2) ახსნა-განმარტება შეიცავს პირველად ცნობებს განსახილველი საქმის შესახებ, რამეთუ სამართლებრივი კონფლიქტისა და მისი შინაარსის (არსის) შესახებ მოსამართლე იტყობს, პირველ ყოვლისა, მხარეებისა და მესამე პირებისაგან. ახსნა-განმარტება პირველადი მტკიცებულებაა, რამეთუ მოცემული სუბიექტები იმ სადავო მოქმედების, მოვლენის, შემთხვევის თვითმხილველები არიან, რომელთა არსებობაც ან არარსებობა აუცილებლად უნდა დადგინდეს კონკრეტული საქმის განხილვის დროს. გარიგებითი წარმომადგენლის ახსნა-განმარტება კი ნაწარმოები მტკიცებულებაა, რამეთუ წარმომადგენელი უშუალოდ არ აღიქვამს სადავო მატერიალურ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებულ ფაქტებს და ინფორმაცია დასადგენი ფაქტების შესახებ მისთვის ცნობილი ხდება სხვა წყაროებიდან.

3) ახსნა-განმარტება ინფორმაციის ძირითადი წყაროა საქმის შესახებ. თუ სხვა მტკიცებულებებით ხდება საქმის ცალკეული გარემოების დადგენა, საქმის რაღაც ნაწილის გაშუქება, ცალკეული მომენტების გარკვევა (დადგენა), საქმის მონაწილეებმა იციან გაცილებით უფრო მეტი საქმის ირგვლივ, რამეთუ მხოლოდ მათ აქვთ ხელთ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტი. სწორედ ამიტომ ახსნა-განმარტება მტკიცებულებათა ჩამონათვალში პირველ ნომრად არის დასახელებული. ახსნა-განმარტების გარეშე სასამართლოს ხშირად არ ძალუძს დაადგინოს (გაარკვიოს) საქმის გარემოებანი, სადავო სამართალურთიერთობის არსი.

4) ეს ისეთი მტკიცებულებაა, სადაც ყველაზე უფრო მეტადაა მოსალოდნელი ისეთი ხერხების გამოყენება, როგორიცაა საქმის მონაწილეთა ურთიერთობების დაფარვა, დამახინჯება (განზრახ თუ არაგანზრახ) და ტყუილიც (სიცრუეც) კი.

ეს თავისებურებები დამახასიათებელია მოსარჩელის, მოპასუხისა და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირთა ახსნა-განმარტებებისათვის. რაც შეეხებათ დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირთა ახსნა-განმარტებებს, ისინი, ჩვეულებრივ, შეიცავენ უფრო ლოკალურ ინფორმაციას განსახილველ კონფლიქტში მათი პირადი მონაწილეობის შესახებ.

ფაქტების შესახებ ცნობების სასამართლომდე დაყვანის საშუალების (ხერხის) მიხედვით განასხვავებენ წერილობით და ზეპირ ახსნა-განმარტებებს.

ახსნა-განმარტების წერილობითი და ზეპირი ფორმები ერთმანეთს ავსებენ. წერილობითი სახით მხარის ახსნა-განმარტებას, როგორც მტკიცებულებას, შეიცავს სასარჩელო განცხადება.

იურიდიული (საპროცესო) დაინტერესების ნიშნის მიხედვით კი მხარის ახსნა-განმარტება, ოთხ სახედ იყოფა: მტკიცება, აღიარება, შეპასუხება და უარყოფა.

მტკიცება მხარის ისეთი ახსნა-განმარტებაა, რომელიც შეიცავს იმ ფაქტების შესახებ ცნობებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მოთხოვნებსა და შესაგებელს და რომელთა არსებობაც უნდა დამტკიცდეს თვითონ იმ პირის მიერ, რომელიც ამტკიცებს (ადასტურებს) ამა თუ იმ დებულებას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ამ ფაქტების დადგენა საბოლოოდ სასამართლოს მიერ, შეესაბამება მხარისა და მესამე პირის საპროცესო ინტერესებს.

მტკიცება ახსნა-განმარტების ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული სახეა, რამეთუ ხშირად მხარე ახსნა-განმარტების დროს ამტკიცებს კიდეც თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, სწორედ ამიტომაა, რომ, თუ წერილობითი და/ან ნივთიერი მტკიცებულების

წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს იტყვის ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ ეს მტკიცებულებები მის ხელთაა, სასამართლოს უფლება აქვს მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისგან, რომელიც ამ მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მტკიცებულების წარდგენაზე (სსსკ-ის 136-ე და 157-ე მუხლები). დასახელებული მუხლების ანალიზიდან გამომდინარე, თუ ის მხარე, რომელსაც სასამართლომ ფაქტების მტკიცების ტვირთი გადააკისრა, ვერ შეძლებს ამ ფაქტების გაქარწყლებას, უარყოფას, სასამართლოს უფლება აქვს თავისი დასკვნები და მოსაზრებები მეორე მხარის ახსნა-განმარტებით დაასაბუთოს. ან კიდევ, სსსკ-ის 387-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს საჩივრის შემტანის ახსნა-განმარტებას.

მაგალითი: აღიძრა სავინდიკაციო სარჩელი და მოსარჩელე აცხადებს, რომ ნივთი უკანონოდ გამოვიდა მისი მფლობელობიდან, ხოლო მოპასუხემ სადავო გახადა სარჩელი (შეიტანა შესაგებელი) და ამტკიცებს, რომ ნივთი მას ეკუთვნის კანონიერი საფუძვლით, ვინაიდან მან ეს ნივთი მაღაზიაში შეიძინა. ამ მაგალითში სადავო ნივთის შესახებ ცნობები (როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მხრიდან დასახელებული) წარმოადგენს მტკიცებას, რამეთუ შეეხება იმ ფაქტებს, რომელთა მეშვეობითაც ერთი მხარე ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოთხოვნები, ხოლო მეორე მხარე – თავისი შესაგებელი (შეპასუხება).

სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, მხარეთა მტკიცება (ახსნა-განმარტება) მხოლოდ მაშინ შეიძლება დაედოს საფუძვლად გადაწყვეტილებას, როცა ეს ახსნა-განმარტება (მტკიცება) გამყარებულია სხვა მტკიცებულებებით, ხოლო, თუ ის ვერ (არ) დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, ამის შესახებ დასკვნა დამაჯერებლად უნდა იყოს მოტივირებული საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში.

ფაქტის აღიარება მხარის ან მესამე პირის ისეთი ახსნა-განმარტებაა, რომელიც შეიცავს იმ ფაქტების, ანუ გარემოებების დადასტურებას, რომელთა არსებობაც უნდა დაამტკიცოს მეორე მხარემ ან მესამე პირმა, რომლებიც მათზე ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.

აღიარების სუბიექტი (ის, ვისაც უფლება აქვს აღიაროს) არის მხარე და მესამე პირი.

აღიარების ობიექტია იურიდიული და მტკიცებულებითი ფაქტები. კანონში (მე-3, 91-ე, 98-ე და სხვა მუხლებში) მითითებულია მხარეების მიერ არა მხოლოდ ფაქტების, არამედ აგრეთვე სარჩელის აღიარების შესაძლებლობის შესახებ (მხარეს უფლება აქვს აღიაროს არა მარტო ფაქტი, არამედ სარჩელიც). თუმცა ასეთ შემთხვევებში კანონს მხედველობაში აქვს აღიარება არა როგორც ფაქტების დადგენის საშუალება, არამედ როგორც მხარის მიერ თავისი უფლების განკარგვის აქტი, რომელიც იმას ადასტურებს, რომ სუბიექტს აქვს ვალდებულების შესრულების სურვილი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ **განასხვავებენ სარჩელის, სამართალურთიერთობის ან/და ფაქტის აღიარებას**. ამათგან, როგორც ზემოთ ითქვა, სარჩელის (სასარჩელო მოთხოვნების) აღიარება არ არის მტკიცებულება, რამეთუ წარმოადგენს მატერიალური უფლების განკარგვის აქტს (მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ანალოგიურად). სამართალურთიერთობის ან ფაქტის აღიარება კი მტკიცებულებაა, რამეთუ ადასტურებს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომელთაც ეყრდნობა მეორე მხარე. აღსანიშნავია, რომ პირის მიერ იმ ფაქტის აღიარება, რომელსაც ეყრდნობა მეორე მხარე, ყოველთვის როდი ნიშნავს სამართალურთიერთობის აღიარებას. მაგალითად, მოპასუხემ, შესაძლოა, აღიაროს ბავშვის დაბადებამდე მოსარჩელესთან ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის ერთად

წარმართვის ფაქტი, მაგრამ არ აღიაროს თავისი მშობლიური მოვალეობები, როგორც მამამ და მიუთითოს, რომ მოსარჩელემ ბავშვი სხვა მამაკაცისგან შვა; მეორე მხრივ, მოპასუხემ შეიძლება აღიაროს სამართალურთიერთობა, მაგრამ არა იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებზეც მიუთითებს მოსარჩელე.

მხარის მიერ იმ ფაქტის აღიარება, რომელზეც მეორე მხარე აფუძნებს მოთხოვნებს ან შესაგებელს, არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის. ეს იმით აიხსნება, რომ აღიარება, ისევე როგორც მტკიცება (დადასტურება) შეიძლება ყალბი (არასწორი) აღმოჩნდეს. ამიტომ სასამართლოს უფლება აქვს აღიარებული ფაქტი დადგენილად მიიჩნიოს (აღიარება მიიღოს), თუ მას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ აღიარება შეესაბამება საქმის გარემოებებს და იგი არ არის მოტყუების, ძალადობის, მუქარის, შეცდომის ან საქმის რეალური გარემოებების დაფარვის შედეგი. აღიარების უტყუარობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს აღიარებული ფაქტები არ მიიჩნიოს დადგენილად. ასეთ შემთხვევაში მხარის მიერ აღიარებული ფაქტი უნდა დამტკიცდეს საერთო საფუძველზე.

ფაქტის აღიარებით მხარე სასამართლოს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ფაქტს ჰქონდა ან არ ჰქონდა სინამდვილეში ადგილი. მხარის მიერ ისეთი გარემოების (ფაქტის) არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, ათავისუფლებს ამ უკანასკნელს შემდგომში ამ ფაქტების დამტკიცების აუცილებლობისაგან (ვალდებულებისაგან).

ფორმის მიხედვით (თავისი ფორმით) აღიარება უნდა წარმოადგენდეს დადებით განცხადებას ფაქტის არსებობის შესახებ. თუ მხარე დუმს, ან სადავოდ არ ხდის იმ გარემოებებს (ფაქტებს), რომელთაც ამტკიცებს (ადასტურებს) ერთ-ერთი მხარე ან მესამე პირი, ეს ვერ ჩაითვლება ფაქტის აღიარებად.

მხარეს უფლება აქვს აღიაროს სარჩელის საფუძვლის ან სარჩელის წინააღმდეგ წამოყენებული შესაგებლის საფუძვლის ყველა ფაქტი (**სრული აღიარება**), ანდა აღიაროს ფაქტების მხოლოდ ნაწილი, ზოგიერთი ფაქტი და არა ყველა ფაქტი, (**ნაწილობრივი აღიარება**).

მარტივია აღიარება, რომელიც შესრულებულია კატეგორიული ფორმით, რაიმე დათქმების გარეშე. ასეთი აღიარება არ შეიცავს რაიმე დათქმას ან პირობას. მაგალითად, მოპასუხე აცხადებს, რომ: „დიახ, ფული ვისესხე“.

შესაძლებელია აღიარებას თან ახლდეს დათქმა, რომელიც აღიარების ანულირებას ახდენს (**კვალიფიციური აღიარება**). იგივე მაგალითში, შესაძლოა, მოპასუხემ ვალი აღიაროს, მაგრამ, ამასთან, განაცხადოს, რომ მან ვალდებულება (ვალი) დაფარა, გადაიხადა (დათქმა). ან კიდევ, მოპასუხე აღიარებს მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს, მაგრამ მიუთითებს, რომ ზიანის მიყენება დაზარალებულის გაუფრთხილებლობის შედეგია.

ამგვარი დათქმების შემთხვევაში, შესაბამისი ფაქტების, ანუ დათქმის (მოცემულ შემთხვევაში ვალის დაფარვის ფაქტის) სისწორის დამტკიცების (მტკიცების) ვალდებულება აკისრია ფაქტის ამღიარებელს.

სამოქალაქო პროცესში აღიარებას მოჰყვება განსაზღვრული იურიდიული შედეგი: აღიარებული ფაქტი ხდება უდავო ფაქტი, რაც ათავისუფლებს მეორე მხარეს მისი შემდგომი დამტკიცების ვალდებულებისაგან (აუცილებლობისაგან). რაც შეეხება აღიარების ფიქსაციის წესს, აღიარების აქტი შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. თუ ფაქტის აღიარება წერილობით განცხადებაშია ჩამოყალიბებული, მაშინ ის დაერთვის საქმეს.

განასხვავებენ ფაქტის აღიარების შემდეგ სახეებს:

1) **სასამართლო აღიარება**, ე.ი. თუ მხარემ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობა აღიარა სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დროს, ანუ სასამართლოს წინაშე, რის გამოც ფაქტს აღარ სჭირდება დამატებითი მტკიცებულებების მეშვეობით

დადასტურება (დამტკიცება). ამიტომ ის მხარე, რომელიც ეყრდნობა ამ ფაქტებს და, შესაბამისად, რომელიც ვალდებული იყო დაემტკიცებინა მეორე მხარის მიერ აღიარებული ფაქტი, თავისუფლდება მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან (ამ ფაქტების დამტკიცების ვალდებულებისაგან) (სსსკ-ის 131-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე). სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მხარეს უფლება აქვს საქმე სასამართლოში აწარმოოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა აისახოს კანონის შესაბამისად გაცემულ მინდობილობაში. სსსკ-ის 98-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ წარმომადგენელს აქვს საქმის გარემოებათა აღიარების უფლება და თანაც, კანონი არ მოითხოვს ამგვარი უფლების სპეციალურად მითითებას და აღნიშვნას მინდობილობაში. მხარის ან მხარის წარმომადგენლის მიერ იმ გარემოებების აღიარება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ამ უკანასკნელს ათავისუფლებს ამ გარემოებათა მტკიცების ვალდებულებისაგან. იმდენად, რამდენადაც გარემოების აღიარება მხარის ახსნა-განმარტების სახეა, სსსკ-ის 102-ე მუხლის საფუძველზე ერთ-ერთი მტკიცებულებაა. სასამართლო სსსკ-ის 102-ე, 104-ე და 105-ე მუხლებით დადგენილი წესებით წყვეტს მისი დასაშვებობისა და შესახებობის საკითხს და აღიარებას აფასებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და ურთიერთკავშირში. ამრიგად, თუკი მოპასუხის წარმომადგენელი აღიარებს მოსარჩელის მიერ სარჩელის დასაბუთებულად მოხმობილ საქმის გარემოებებს, ამგვარი აღიარების საფუძველზე სასამართლოს აქვს სარჩელის დაკმაყოფილების უფლება. ამასთან, ამგვარი აღიარება საკმარისი უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად და თავისი არსით არ უნდა წარმოადგენდეს სარჩელის აღიარებას. ეს იმიტომ, რომ სარჩელის აღიარების გამო სარჩელის დასაკმაყოფილებლად, ფაქტის აღიარებისგან განსხვავებით აუცილებელია ამის უფლება მინდობილობით ჰქონდეს მინიჭებული წარმომადგენელს. სასამართლო აღიარებად ჩაითვლება ის შემთხვევაც, როცა მხარე, თუმცა, არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ სასამართლოში გაგზავნილია და საქმეში დევს მხარის წერილობითი ახსნა-განმარტება, რაც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს უშუალოდ აღიქვას მხარის პოზიცია.

2) **სასამართლოს გარეშე (ანუ სასამართლომდე)** აღიარება ეწოდება ისეთ აღიარებას, ისეთ ცნობებს ფაქტების შესახებ, რომელიც მხარემ გამოთქვა სასამართლოს (პროცესის) გარეშე, საპროცესო ფორმის გარეშე. იმდენად, რამდენადაც ასეთ აღიარებას სასამართლო არ აღიქვამს უშუალოდ, იგი ასრულებს მხოლოდ მტკიცებულებითი ფაქტის როლს მტკიცების პროცესში, რომელიც სანამ გამოყენებული იქნება მტკიცებულებად, უნდა დამტკიცდეს იმ პირის მიერ, ვინც მას ეყრდნობა.

შეპასუხება ეს არის ახსნა-განმარტების ისეთი სახესხვაობა, როცა მხარე მოტივირებულად (დასაბუთების საფუძველზე) არ აღიარებს მეორე მხარის პოზიციას, ანუ ეს არის მეორე მხარის პოზიციის მოტივირებული უარყოფა. შეპასუხებას, როგორც მხარისა და მესამე პირის ახსნა-განმარტების დამოუკიდებელ სახესხვაობას, ადგილი აქვს მაშინ, როცა მხარეს მოჰყავს ახალი ფაქტობრივი ინფორმაცია (ფაქტები), რომლებიც უარყოფენ, აქარწყლებენ მეორე მოდავე მხარის დასკვნებსა და მოსაზრებებს.

უარყოფა წარმოადგენს სასამართლო წესით უფლების დაცვის დამოუკიდებელ საშუალებას, ხერხს, მტკიცებულებითი ინფორმაციის სახესხვაობას, რომლის დროსაც ერთი მხარე არ ეთანხმება მეორე მხარის პოზიციას ისე, რომ არ მოჰყავს რაიმე მტკიცებულება.

სამოქალაქო პროცესში მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები, საქმის გარემოებათა შემეცნების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ამიტომ სასამართლო ვალდებულია:

ა) შეატყობინოს მხარეებსა და მესამე პირებს საქმის განხილვის ადგილისა და დროის შესახებ, რათა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ საქმის განხილვას და მისცენ სასამართლოს ახსნა-განმარტებები;

ბ) მხარეთა ახსნა-განმარტების უტყუარობა შეამოწმოს სხვა მტკიცებულებებით წინააღმდეგ შემთხვევაში ახსნა-განმარტება უსაფუძვლო (დაუსაბუთებელი) იქნება.

გარდა ამისა, მხარეთა და მესამე პირთა ჩვენებების (ახსნა-განმარტებების) შეფასების დროს სასამართლომ აუცილებლად უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

გ) გაარკვიოს, გაიგოს, თუ რაში მდგომარეობს მოსარჩელის მოთხოვნათა და მოპასუხის შესაგებელის არსი, ე.ი. გაარკვიოს მათი პოზიცია განსახილველ სამოქალაქო საქმეში;

დ) ახსნა-განმარტებებში ფაქტების შესახებ ცნობები (მტკიცებულებები) გამიჯნოს სხვადასხვა ისეთი მსჯელობების, ლოგიკური დასკვნების, მოსაზრებებისა და ემოციებისაგან, რომლებიც არ შეეხება საქმეს, რომელთაც მნიშვნელობა არა აქვს განსახილველი საქმისათვის.

ე) თვალყური ადევნოს იმას, თუ რამდენად თანმიმდევრულია მხარისა და მესამე პირის ახსნა-განმარტება, ანუ ხომ არ შეიცავს ეს ახსნა-განმარტება თავის-თავში შინაგან წინააღმდეგობას, ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს.

ვ) მხარისა და მესამე პირის ახსნა-განმარტება უსათუოდ უნდა შეაფასოს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებითი ინფორმაციის (ყველა მტკიცებულების) გათვალისწინებით.

დაბოლოს, 127-ე მუხლი ითვალისწინებს ნოვაციას: მოსამართლის გადაწყვეტილებით დასაშვებია მხარისგან დისტანციური ახსნა-განმარტების მიღება ტელეფონის, ვიდეოსაშუალების ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით სხვა სასამართლოდან, ან ადმინისტრაციული ორგანოდან, ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულოების მეშვეობით, თუ შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება დაკითხვის ადგილას შესაბამისი ორგანოს მიერ.

§7. მოწმის ჩვენება

მოწმედ შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ (სსსკ-ის 140-ე მუხლი).

მოწმე პროცესის ის მონაწილეა, რომელმაც იცის განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ, რომელთა შესახებაც ვალდებულია სასამართლოს მისცეს სწორი ჩვენება. ეს ფაქტები, შესაძლოა, მოწმეს უშუალოდ ჰქონდეს აღქმული, ან მან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ იცოდეს სხვა პირთაგან.

მოწმე განსხვავდება საქმის მონაწილეთაგან იმით, რომ მას არ გააჩნია საქმის შედეგით იურიდიული დაინტერესება, იგი პროცესის იურიდიულად დაუინტერესებელი მონაწილეა.

თუმცა ასეთი სამართლებრივი ინტერესი (დაინტერესება) საქმის შედეგით, არც ექსპერტებს აქვთ, როგორც მტკიცებულებათა წყაროს. აქედან გამომდინარე, ეს ერთი ნიშანი (ინტერესის არქონა) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განვასხვაოთ მოწმე პროცესის სხვა მონაწილეთაგან.

ექსპერტისაგან განსხვავებით, მოწმე არავითარ სპეციალურ გამოკვლევას არ ატარებს. ის ფაქტების შესახებ ცნობების წყარო ხდება გარემოებათა დამთხვევის შედეგად.

მოწმე არ არის იურიდიულად დაინტერესებული პირი. თუმცა ეს გარემოება არ გამორიცხავს იმას, რომ მას ჰქონდეს საქმის გადაწყვეტის შედეგით სხვაგვარი დაინტერესება, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ერთ-ერთ მხარესთან მეგობრული, მტრული, ნათესაური ურთიერთობებით, სიმპათიითა და ანტიპათიით, სამსახურებრივი კავშირურთიერთობით.

ის ფაქტი, რომ მოწმეს შეიძლება ჰქონდეს სხვა, არაიურიდიული დაინტერესება, არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ საერთოდ არ გამოვიყენოთ ასეთი პირი მტკიცებულებათა წყაროდ (არ წარმოადგენს მოწმის ვალდებულებათა შესრულების დამაბრკოლებელ

ფაქტორს), ე.ი. სასამართლო მაინც დაჰკითხავს მას.

ამასთან, სასამართლოს მიერ ასეთი მოწმის ჩვენების გამოკვლევასა და შეფასებას თავისი სპეციფიკა გააჩნია. შემთხვევით როდი არის აღნიშნული კანონში, რომ სასამართლო არკვევს მოწმის დამოკიდებულებას საქმეში მონაწილე პირებთან (148-ე მუხლი). იმის ცოდნა, რომ მოწმეს აქვს სხვაგვარი, არაიურიდიული დაინტერესება, აუცილებელია მოწმის დაკითხვის სწორად წარმართვისა და მისი ჩვენების სწორად შესაფასებლად (ანუ ეს გარემოება გასათვალისწინებელია მოწმის ჩვენების შეფასების დროს).

მოწმეს უნდა ჰქონდეს სინამდვილის არა მხოლოდ სწორად აღქმის უნარი, არამედ იმის უნარიც, რომ აღქმული ფაქტების შესახებ მისცეს სწორი ჩვენება. ამ ნიშნის გათვალისწინებით, მოწმედ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაბარებულ და დაკითხულ იქნეს ის, ვისაც თავისი ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია ობიექტურად (სწორედ) აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება (მუხლი 141-ე). სხვა სუბიექტებისაგან მოწმე შემდეგი სპეციფიკური ნიშნებით განსხვავდება: 1) მოწმედ პროცესზე ყოველთვის ფიზიკური პირი გამოდის. ამასთან, მოწმის ასაკი არ არის შეზღუდული, ანუ, თუ სასამართლო აუცილებლად (საჭიროდ) მიიჩნევს, მოწმის სახით შეიძლება დაიკითხოს მცირეწლოვანიც, რომელსაც შეუძლია სწორად (გონივრულად) აღიქვას გარემომცველი სინამდვილის ფაქტები); 2) მოწმე იურიდიულად დაუინტერესებელი სუბიექტია. არაიურიდიული დაინტერესება (ნათესაური ურთიერთობა, მეგობრობა, მტრობა, სამსახურებრივი დამოკიდებულება და ა.შ.) არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს მოწმის სახით ჩვენების მისაცემად; 3) მოწმედ გამოდის ის, ვინც უშუალოდ აღიქვა საქმის გარემოებები.

მოწმის ჩვენება მტკიცების ძველთაძველი საშუალებაა. მის უტყუარობას განაპირობებს ადამიანის ბუნებრივი სურვილი, თქვას სიმართლე. სწორი ჩვენების მიცემა უფრო იოლია, ვიდრე სინამდვილის განზრახ დამახინჯება. ყალბი ჩვენება ყოველთვის „ლეგენდაა", რომელიც უნდა გამოიგონოს, სიცრუეზე ააგოს, ხელოვნურად შექმნას სუბიექტმა. ყალბი ჩვენება უნდა დაიმახსოვროს, ხოლო, თუ ეს აუცილებელია, უნდა გაიმეოროს პირმა ისე, რომ მის ჩვენებაში წინააღმდეგობები არ იყოს. იმ ცნობებში, რომლებითაც ხდება სინამდვილის განზრახ დამახინჯება, ვერასოდეს ვერ იქნება გათვალისწინებული და ასახული სინამდვილის ყველა ასპექტი. ამიტომ მოწმის ჩვენება მტკიცების ყველაზე გავრცელებულ საშუალებას მიეკუთვნება და მიუხედავად მისი გაყალბების (ფალსიფიკაციის) შესაძლებლობისა (განზრახვის თუ შემთხვევითი მიზეზების შედეგად), მოწმის ჩვენება შეიძლება იყოს სინამდვილის (ჭეშმარიტების) დადგენის უტყუარი საშუალება.

მოწმე სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობათა სუბიექტია და, შესაბამისად, აღჭურვილია საპროცესო უფლებებით და ეკისრება შესაბამისი ვალდებულებებიც.

მოწმედ გამოსვლა სასამართლოში არსებით დახმარებას უწევს მართლმსაჯულებას. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (145-ე მუხლი) მოწმეს ორი ძირითადი ვალდებულება აკისრია – გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება მისთვის ცნობილი საქმის გარემოებების ირგვლივ.

თუ მოწმე არ გამოცხადდება სასამართლოში არასაპატიო მიზეზით, დაჯარიმდება. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებით მოყვანაც (ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა მოწმეს მეორედ დაიბარებენ და არ გამოცხადდება). ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმე შეიძლება დაისაჯოს (დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა).

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ და გარანტირებულ იქნეს მოწმისაგან უტყუარი ჩვენების მიღება, ზოგადი წესიდან იმის შესახებ, რომ მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, კანონი ადგენს გამონაკლისებსაც, კერძოდ, მოწმედ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება

დაბარებულ და დაკითხულ იქნეს:

ა) ის, ვისაც თავისი ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია სწორედ აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება;

ბ) სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს. აქ იგულისხმება სხვადასხვა იმ რელიგიურ კონფესიათა სასულიერო პირებიც, რომელთაც გაიარეს სახელმწიფო რეგისტრაცია, რის გამოც მათ კანონით აღარ შეიძლება მოეთხოვოს ჩვენების მიცემა იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა აღსარებიდან;

გ) წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე[1] – ისეთ გარემოებებათან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულების დროს.

დ) მედიატორი ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას.

მოცემულ ნორმაში მოხსენიებული პირების მიმართ მოწმედ დაბარებისა და დაკითხვის დაუშვებლობის წესის დადგენის კრიტერიუმია მათ მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მათთვის ცნობილი ხდება საიდუმლო ინფორმაცია. საუბარია ინფორმაციაზე, რომელიც კანონის პირდაპირი მითითებიდან გამომდინარე წარმოადგენს საიდუმლოებას, რომლის გამჟღავნებაც, გახმაურება დაუშვებელია სასამართლოშიც კი იმის გამო, რომ ამგვარი საიდუმლოების გამჟღავნება უკვე თავისთავად გარდაუვალად ლახავს ისეთ კონსტიტუციურ ფასეულობებს, რომელთა დაცვის პრიორიტეტიც ყველა სხვა ფასეულობის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამ კრიტერიუმს არ პასუხობს ორგანიზაციის თანამშრომელი, რომელიც მაგალითად, მოდავე მხარესთან ერთად მუშაობს. ამის გამო, არც ერთი კანონი უპირობოდ არ კრძალავს მის მოწმედ დაკითხვას. ამასთან, ამგვარი მოწმისგან მიღებულ ჩვენებას სასამართლოსთვის არ აქვს წინასწარდადგენილი ძალა და სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის ყველა სხვა მტკიცებულების დარად და თანაბრად, მათ შორის უტყუარობის თვალსაზრისით (სსსკ-ის 105-ე მუხლი). ამრიგად, გარკვეული კატეგორიის პირთა მოწმედ დაბარებისა და დაკითხვის დაუშვებლობის შესახებ წესი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

მოწმედ შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს უნარი სწორად აღიქვას და მეხსიერებაში აღიდგინოს (გაიხსენოს) გარესამყაროს მოვლენები (სინამდვილის ფაქტები, გარემოებები). როგორც ითქვა, ფიზიკური პირის უნარს, იყოს მოწმე, კანონი არ უკავშირებს განსაზღვრული ასაკის მიღწევას, ამიტომ მოწმედ შეიძლება იყოს ბავშვიც.

არასრულწლოვანის (ბავშვის) და პირველ რიგში კი მცირეწლოვანის, როგორც მოწმის, ფსიქოლოგიური თავისებურებანი იმაში მდგომარეობს და იმით ხასიათდება, რომ არასრულწლოვანი გარესამყაროს (გარემოს) აღიქვამს არა იმდენად რაციონალურად, რამდენადაც ემოციურად. შესაბამისად, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვასაც თავისებურებანი ახასიათებს. სწორედ ამიტომაა და ამით აიხსნება, რომ მათი დაკითხვის დროს, კერძოდ, 14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვისას, ხოლო სასამართლოს შეხედულებით – 14-დან 18 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვის დროსაც, შეიძლება მოწვეულ იქნეს პედაგოგი. კანონი არ ითვალისწინებს არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს იმ სპეციალისტის მოწვევას, რომელიც ერკვევა ბავშვის ფსიქოლოგიაში (რომელიც ამ სფეროს სპეციალისტია). თუ ეს აუცილებელია, შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე მშობლები, მშვილებლები, მეურვეები ან მზრუნველები. აღნიშნულ პირებს სასამართლოს ნებართვით

[1] კანონი, კერძოდ სსსკ-ის 141-ე მუხლი არ მოიხსენიებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე მონაწილე წარმომადგენლებს (დამცველებს), რაც კანონის ერთგვარი ხარვეზია. ამ ხარვეზის შევსებამდე ანალოგიის წესით უნდა იქნეს გამოყენებული ზემოაღნიშნული ნორმა.

შეუძლიათ არასრულწლოვან მოწმეს მისცენ შეკითხვები.

მოწმე, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, დაკითხვის შემდეგ ტოვებს სასამართლო სხდომის დარბაზს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ამ მოწმის დარჩენას სხდომის დარბაზში.

რა თქმა უნდა, მოწმედ არასრულწლოვანის დაბარების დროს არ შეიძლება არ იქნეს მხედველობაში მიღებული (გათვალისწინებული) გონივრული ასაკობრივი ზღვარი (ფარგლები), რამეთუ სამყაროს სწორი აღქმა იწყება ადამიანის განვითარების განსაზღვრული ასაკიდან. ადამიანის ფსიქიკაში გარკვეული დარღვევების არსებობა, აგრეთვე ადამიანის ფიზიკური ნაკლი (ცუდი მხედველობა, სიყრუე) ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მოცემულ პირს არ შეუძლია იყოს მოწმე სასამართლოში.

თუ სასამართლოს დაებადა ეჭვი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა იყოს მოწმედ სმენა ან მხედველობადაქვეითებული პირი, აგრეთვე ფსიქიკურად დაავადებული პირი (ფსიქიკადარღვეული), მაშინ ინიშნება სასამართლო-სამედიცინო ან ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სამოქალაქო სამართალში მოწმის ჩვენება არ შეიძლება გამოვიყენოთ რაიმე გარემოების დასადასტურებლად (დასამტკიცებლად). მაგალითად, სამოქალაქო კოდექსში სპეციალურადაა ხაზგასმული (624-ე მუხლი), რომ სესხის დროს ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით. მოწმის ჩვენება ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ დამატებითი მტკიცებულება და არა ერთადერთი.

როგორც სამოქალაქო კოდექსის კომენტარშია აღნიშნული (წიგნი I, გვ. 194-ე), „მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა ზოგჯერ იწვევს გარიგების ბათილობას, ზოგჯერ კი არა... ხშირ შემთხვევებში მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა არ იწვევს გარიგების ბათილობას, თუმცა დავის შემთხვევაში მხარეებს აყენებს მოთხოვნის დაკმაყოფილების რისკის წინაშე. მოთხოვნის დასასაბუთებლად მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სხვადასხვა მტკიცებულებებს, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებს, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მხოლოდ დამატებითი მტკიცებულება და არა ერთადერთი. მაგალითად, სესხის დროს ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით. მოწმის ჩვენება შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესანახად ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად. მაგალითად, შემნახველ საკანში ან გარდერობში ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად, საგანგებო ვითარებაში შესანახად ჩაბარებული ნივთების ამოსაცნობად და ა.შ.“. მოწმეს შეუძლია დაადასტუროს გამონაკლისის წესით ესა თუ ის გარემოება, რის შესახებაც ხშირად სპეციალურადაა დათქმული (აღნიშნული) კანონში.

გარდა ამისა, საინტერესოა ე.წ. **მოწმის იმუნიტეტის** პრობლემა. მოწმის იმუნიტეტი ასევე ზღუდავს მოწმის ჩვენების გამოყენების შესაძლებლობას. იმუნიტეტი ნიშნავს ზოგიერთი კატეგორიის მოწმის უფლებას, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე სასამართლოში, ხოლო შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში, გაათავისუფლოს მოწმე ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით დადგენილია, რომ არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

კანონით შეიძლება დადგინდეს ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან მოწმის გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც (საფუძვლები).

საყურადღებოა, რომ მოწმის იმუნიტეტის ინსტიტუტი არსებობდა რომის სამართალში, რაც შემდეგი დანაწესით იყო გამოხატული: „არავინ არ შეიძლება დაბარებულ იქნეს სასამართლოში თავისი ნების საწინააღმდეგოდ ჩვენების მისაცემად სიმამრის, სიძის, მამიშვილის, გერის, ბიძაშვილის, დისწულისა და ძმისწულის და ასევე ნათესაობის ხარისხის

გათვალისწინებით, სხვა ახლო ნათესავების წინააღმდეგ[1]".

თუ ფიზიკური პირისათვის ესა თუ ის ინფორმაცია, რომელიც საიდუმლოებას შეადგენს, ცნობილი გახდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, მას უფლება არა აქვს გაახმაუროს ისინი სასამართლოში. იმ ინფორმაციის ნუსხა, რომელიც პროფესიულ საიდუმლოებას შეადგენს, საკმაოდ დიდია. მაგალითად, ასეთია საადვოკატო საიდუმლოება კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ, რაც ცნობილი გახდა ადვოკატისათვის სასამართლო წარმომადგენლობის დროს; ფიზიკურ პირთა საბანკო ანაბრების საიდუმლოება; საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოება ზოგიერთი დაავადების (ტუბერკულოზი, ვენერიული, ონკოლოგიური და ა.შ.) შესახებ; სანოტარო საიდუმლოება; საგამოძიებო საიდუმლოება წინასწარი გამოძიების მონაცემების შესახებ; ლოცმანის საიდუმლოება და სხვ.

არსებობს აგრეთვე სახელმწიფო, კომერციული, სამხედრო, დიპლომატიური საიდუმლოებანი (იხ. კონსტიტუციის 41-ე მუხლი).

საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით განმტკიცებულია დიპლომატიური წარმომადგენლების, სამთავრობო დელეგაციების წევრთა და საკონსულოს მუშაკთა იმუნიტეტი სამოქალაქო იურისდიქციის სფეროში. კერძოდ, იმუნიტეტი ნაწილობრივ ათავისუფლებს აღნიშნულ პირებს სამოქალაქო საქმეში მოწმის ფუნქციის შესრულებისაგან.

სსსკ-ის 142-ე მუხლის შესაბამისად, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ:

ა) მხარეთა მეუღლეებს; ბ) ახლო ნათესავებს – შვილებს, შვილიშვილებს, ძმებს, დებს, მშობლებს, მშვილებლებს, შვილობილებს, მზრუნველებს, მეურვეებს, ბებიებს, პაპებს; გ) პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებული არიან დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი გათავისუფლებული არ არიან ამ მოვალეობისაგან. გარდა ამისა, როგორც დავინახეთ, კონსტიტუციის თანახმად ფიზიკურ პირს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე საკუთარი თავის წინააღმდეგ. სსსკ-ის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს (აზუსტებს), თუ რა შემთხვევაში წარმოიშობა ზემოაღნიშნული უფლება, კერძოდ, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ ჩვენების მიცემა გამოიწვევს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას, ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვს ასევე პარლამენტის წევრს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

„სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანამად კი, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობს ასევე საქართველოს სახალხო დამცველი იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც საქართველოს სახალხო დამცველს. ეს უფლება მას უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

იურიდიულ ლიტერატურაში მოწმეთა ჩვენებებს მათი შინაარსის მიხედვით სამ ჯგუფად ყოფენ:

1) ცნობა-ინფორმაცია;

2) ცნობები, რომლებიც შეიცავენ მხარის მოსაზრებებს;

3) მცოდნე მოწმეთა ჩვენება.[2]

ცნობა-ინფორმაციას ჩვეულებრივ ის მოწმეები იძლევიან, რომლებმაც არ იციან, თუ რა სამართალურთიერთობებია წარმოშობილი მოდავე მხარეთა შორის. ასეთი მოწმე შემოი-

---

[1] Перетерский И.С. Дигесты Юстиана. Избранные фрагменты в переводе и с примечаниями И.С. Перетерского. М., 1984, გვ. 365.

[2] Фокина М.А. Свидетельские показания в состязательном гражданском судопроизводстве. Саратов 1996 გვ. 60.

ფარგლება სამოქალაქო საქმის სწორად გადასაწვეტად მნიშვნელობის მქონე რომელიმე ერთი ან რამდენიმე ფაქტის გადმოცემით. ასეთ ჩვენებებს იძლევიან თვითმხილველები, რომელთაც შემთხვევით შეიტყვეს, შემთხვევით გაიგეს საქმის ამა თუ იმ გარემოების შესახებ.

ჩვენების მეორე სახე ტიპურია, დამახასიათებელია იმ მოწმეთათვის, რომლებიც კარგად იცნობენ მხარეებს, ანდა ერთ-ერთ მათგანს, იციან, თუ როგორ ვითარდებოდა სადავო სამართალურთიერთობა. ხშირად ასეთი მოწმეები (ნათესავები, მეგობრები ან, პირიქით, ერთ-ერთი მხარის მტრები) ფაქტობრივად არიან დაინტერესებული საქმის შედეგით (ანუ იმით არიან დაინტერესებულნი, რომ საქმე რომელიმე მხარის სასარგებლოდ გადაწყდეს). ისინი, როგორც წესი, არ შემოიფარგლებიან რომელიმე კონკრეტული ფაქტის გადმოცემით, სასამართლოს მოუთხრობენ არა რომელიმე ერთი ფაქტის შესახებ, არამედ აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს (თვალსაზრისს), გამოთქვამენ საკუთარ აზრს, გამოაქვთ ლოგიკური დასკვნები, იძლევიან მოდავე მხარეთა დახასიათებას. ეს დასკვნები და მოსაზრებები შეიცავენ სადავო სიტუაციის შეფასებას და სხვ.

ამიტომ, მოცემულ პირთა მოსაზრებების გამიჯვნა საკუთრივ მტკიცებულებითი ინფორმაციისაგან სასამართლოსათვის ყოველთვის იოლი როდია.

მართალია, აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები ყველაზე უფრო სრულად აღწერენ სადავო სიტუაციას, საქმის ფაქტობრივ მხარეს, მაგრამ, ამასთან, დიდია საქმის გარემოებათა (ფაქტობრივი მხარის) დამახინჯების, არაობიექტური ინფორმაციით მტკიცებულებათა შეცვლის საშიშროებაც (საფრთხე).

მესამე სახის ჩვენებას სასამართლო იღებს მცოდნე მოწმეთაგან, რომელთაც პროფესიული, სპეციალური ცოდნის წყალობით ძალუძთ სასამართლოს არა მარტო შეატყობინონ (აცნობონ) ფაქტობრივი ხასიათის ინფორმაცია, არამედ მიუთითონ კონკრეტული გარემოებების მიზეზებიც და შედეგებიც. მაგალითად, მძღოლს შეუძლია დაწვრილებით და კვალიფიციურად აღწეროს (გადმოსცეს) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გარემოებები, რომლის თვითმხილველიც იყო.

ამიტომ მცოდნე მოწმე თავისი ბუნებით სპეციალისტს ჰგავს.

მოწმე ფაქტების შესახებ ცნობების წყაროა. სასამართლო მტკიცებულება კი არის ფაქტების შესახებ ცნობები, რომელთაც შეიცავს მოწმის ჩვენება; ამიტომ მოწმე და მოწმის ჩვენება სხვადასხვა ცნებებია. მოწმე მტკიცებულებათა წყაროა, ხოლო მოწმის ჩვენება — მტკიცებულება.

მოწმის ჩვენების შინაარსი ორი ნაწილისაგან (ზოგადი და სპეციალური ნაწილისაგან) შედგება. ზოგად ნაწილს მიეკუთვნება ცნობები ისეთი ფაქტების შესახებ, რომლითაც ხდება მოწმის პიროვნების, მხარეებისა და საქმისადმი მისი დამოკიდებულების (ურთიერთობის) გარკვევა. სპეციალურ ნაწილს კი მიეკუთვნება ცნობები საქმეზე დასადგენი, მტკიცებულებითი ფაქტების შესახებ, ე.ი. ის, რასაც მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს.

რა შემთხვევებში ხდება საჭირო (აუცილებელი) მოწმის დაბარება და მისგან ჩვენების მიღება სასამართლოში?

მოწმის ჩვენება საჭიროა სამ შემთხვევაში:

1) ზოგიერთი იმ ფაქტის დასადგენად, რომელთა დოკუმენტალურად განმტკიცება (დამაგრება) არ შეიძლება (მაგალითად, კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი);

2) იმ გარემოებათა (ფაქტების) დასადგენად, რომლებიც დოკუმენტალურად იყო თავის დროზე გაფორმებული, მაგრამ დოკუმენტები დაიკარგა და მათი აღდგენა შეუძლებელია (ასეთია უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ საქმეთა უმრავლესობა);

3) მტკიცებულებათა (მხარეთა ახსნა-განმარტების, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებისა და სხვ.) უტყუარობის გამოსაკვლევად (გამოსარკვევად) და შესამოწმებლად. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად მოწმის ჩვენება შეუცვლელი და ეფექტიანი

საშუალებაა სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების სიყალბის გამოსავლენად და ა.შ.

სამოქალაქო პროცესში მოწმის საპროცესო მდგომარეობა, პირველ ყოვლისა, მასზე დაკისრებული მოვალეობებით განისაზღვრება. მოწმე ვალდებულია, როცა სასამართლო დაიბარებს, გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე და მისცეს სწორი ჩვენება.

ეს ვალდებულებები უზრუნველყოფილია ისეთი იურიდიული სანქციების შეფარდების (გამოყენების) შესაძლებლობით, როგორიცაა: დაჯარიმება, სასამართლოში იძულებით მიყვანა, დაბოლოს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა (იხ. სსსკ-ის 145-ე მუხლი).

საპროცესო მოვალეობების შესრულება უზრუნველყოფს მოწმის მიერ თავისი უფლებების განხორციელებასაც.

რა უფლებებით სარგებლობს მოწმე?

პირველ ყოვლისა, მოწმეს აქვს გაწეული ხარჯების კომპენსაციის უფლება, კერძოდ, კანონით გარანტირებულია მოწმის მოვალეობის მთელი დროის განმავლობაში სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის შენარჩუნება. მოწმეებს, რომლებიც არ არიან შრომით ურთიერთობაში, სამუშაოდან ან ჩვეულებრივი საქმიანობიდან მოცდენისათვის ეძლევათ გასამრჯელო ფაქტობრივად დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობის გათვალისწინებით (45-ე მუხლი). მოწმეს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების (მგზავრობის, დაქირავების და ა.შ.) ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით (146-ე მუხლი).

მეორე ის, რომ მოწმეს, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა, უფლება აქვს მისცეს ჩვენება მშობლიურ ენაზე, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

მესამე ის, რომ მოწმე საერთოდ ჩვენებას აძლევს ზეპირად, მაგრამ მას უფლება აქვს ჩვენების მიცემის დროს ისარგებლოს წერილობითი მასალებით, ჩანაწერებით, იმ შემთხვევაში, როცა მისი ჩვენება დაკავშირებულია რაიმე ციფრობრივ (გამოთვლებთან) ან ძნელად დასამახსოვრებელ სხვა მონაცემებთან, ცნობებთან. ეს ჩანაწერები წარედგინება სასამართლოსა და საქმის მონაწილეთ და ისინი მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით (განჩინებით) შეიძლება დაერთოს საქმეს.

სამოქალაქო პროცესში მოწმეს შეუძლია ისარგებლოს სხვა უფლებებითაც, კერძოდ კი: სთხოვოს სასამართლოს (იშუამდგომლოს), რათა მან ხელმეორედ დაჰკითხოს მოწმე, აგრეთვე მოახდინოს მოწმეთა დაპირისპირება მათ ჩვენებებში წინააღმდეგობათა გასარკვევად (149-ე მუხლი); სთხოვოს სასამართლოს, რათა მან დაჰკითხოს მოწმე მის ადგილსამყოფელზე, როცა მოწმეს ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის, ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში (147-ე მუხლის „ა“ პუნქტი); მოითხოვოს დაკითხვა დახურულ სხდომაზე, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება მოწმის დაკითხვის საპროცესო წესს, ის განხილულია შესაბამის თავში, აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს.

მოწმის დაკითხვა წარმოებს ზეპირი ფორმით. მოწმის წერილობითი ჩვენება არ დაიშვება. ამიტომაც არასწორია მოწმის ახსნა-განმარტების წერილობითი სახით ჩამოყალიბება და მისთვის მტკიცებულების ძალის მინიჭება, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს პრაქტიკაში. წერილობით დაფიქსირებული მოწმის ახსნა-განმარტება 102-ე მუხლით გათვალისწინებულ არცერთ მტკიცებულებათა სახეს არ განეკუთვნება. იგი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ასევე ამავე კოდექსის 134-ე მუხლით გათვალისწინებულ წერილობით მტკიცებულებად, რადგან წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. ამასთან, 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება და-

დასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

დაკითხვის ზეპირი ფორმა იმიტომ არის შემოღებული, რომ ასეთი ფორმა ყველაზე უკეთესია, რომელიც უზრუნველყოფს მოწმისაგან ხარისხიანი ჩვენების მიღებასა და სასამართლოს მიერ ამ ჩვენების სწორ გაგებას.

მოწმე თავისუფალი თხრობით გადმოსცემს ყოველივეს (აძლევს ჩვენებას), რაც მან იცის საქმის გარემოებების (საქმის ფაქტობრივი მხარის – მოქმედებების, მოვლენების) შესახებ, რომელთა თვითმხილველიც თავად იყო, აგრეთვე იმ ფაქტების შესახებ, რომელთა არსებობა-არარსებობის თაობაზეც მისთვის ცნობილი გახდა სხვა პირთა სიტყვებიდან, ნათქვამიდან. ასეთი მტკიცებულება კი ნაწარმოები მტკიცებულება იქნება, რაც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მისი შეფასების დროს. მტკიცებულებად არ იქნება მიჩნეული მოწმის ჩვენება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს იმ წყაროს, საიდანაც მან გაიგო ამ გარემოებათა შესახებ.

მოწმის ზეპირი ჩვენების გამოკვლევის საშუალებაა მათი დაკითხვა ღია სასამართლო სხდომაზე, მხარეებისა და საქმის მონაწილე სხვა პირთა თანდასწრებით უშუალოდ სასამართლოს იმ შემადგენლობის მიერ, რომელმაც უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს საქმე.

უშუალობის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს მოწმისაგან ჩვენების მიღების შემდეგი შემთხვევები: მოწმისაგან ჩვენება შეიძლება მიღებულ იქნეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით; მოწმე შეიძლება დაჰკითხოს სასამართლომ მის ადგილსამყოფელზე, თუ მოწმეს ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში; მოწმისაგან ჩვენება შეიძლება მიიღოს სხვა სასამართლომ სასამართლო დავალების შესრულების წესით.

მოწმეები არ უნდა იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში, ამიტომ, ყველა მოწმე, რომელსაც ჯერ არ მიუცია ჩვენება, ტოვებს სასამართლო სხდომის დარბაზს. ამ ღონისძიების არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას იძლევა გამოირიცხოს მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებების გავლენა მოწმეთა ჩვენებაზე. თუ ვინმე იმყოფებოდა სხდომის დარბაზში, იგი აღარ დაიკითხება (აღარ შეიძლება დაიკითხოს) მოწმედ შემდგომში.

ყოველი მოწმე ცალკე უნდა დაიკითხოს. დაკითხული მოწმე რჩება სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დამთავრებამდე და არ შეუძლია გავიდეს დარბაზიდან სასამართლოს ნებართვის გარეშე. სასამართლო წინადადებით მიმართავს მოწმეს აცნობოს სასამართლოს თავისუფალი თხრობით ყველაფერი, რაც მისთვის პირადად ცნობილია საქმის გარემოებათა (საქმის ფაქტობრივი მხარის) შესახებ. მხოლოდ ჩვენების მიცემის შემდეგ შეიძლება მოწმისათვის შეკითხვების დასმა ჩვენების დაზუსტების, დაკონკრეტებისა და შემოწმების მიზნით. სასამართლო მოწმისათვის შეკითხვის მიცემის უფლებით სარგებლობს დაკითხვის ყველა მომენტში.

შეკითხვების დასმის თანმიმდევრობას კანონი ადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით (იხ. 148-ე მუხლის მე-4 ნაწილი). დაუშვებელია მოწმისათვის მისახვედრი შეკითხვების დასმა, როცა შეკითხვა თვითონვე შეიცავს პასუხს ან როცა შეკითხვას შეიძლება უპასუხოს პირმა მხოლოდ სიტყვებით „დიახ“, ან „არა“.

თავისებურებით ხასიათდება 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანის დაკითხვა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ამასთან, 16 წელს მიუღწეველ მოწმეს არ ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ყალბი ჩვენების მიცემისათვის, ამიტომ სასამართლო, შესაბამისად, არც აფრთხილებს 16 წლამდე მოწმეს ამ პასუხისმგებლობის შესახებ. სასამართლო მას მხოლოდ განუმარტავს ზნეობრივ მოთხოვნას, თქვას სიმართლე. გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სწორი და გულწრფელი ჩვენების მისაღებად, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს სასამართლოს წინა-

დადებით სხდომის დარბაზიდან შეიძლება რომელიმე მხარის გაყვანა, რათა დარბაზში უფროსი ადამიანის ყოფნამ გავლენა არ მოახდინოს არასრულწლოვან მოწმეზე. სხდომის დარბაზში ამ მხარის დაბრუნების შემდეგ მას უნდა ეცნობოს არასრულწლოვანი მოწმის ჩვენება და მიეცეს შესაძლებლობა დაუსვას მოწმეს შეკითხვები.

მხარის შუამდგომლობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა სსსკ-ის 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

მოწმის ჩვენების შეფასების დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, აღიქვა თუ არა ფაქტები თვითონ მოწმემ, თუ მან ფაქტების არსებობის შესახებ გაიგო სხვებისგან. სხვებისგან აღქმული (გაგებული) ინფორმაცია შეიძლება დამახინჯდეს იმ პირის მიერ, რომელმაც ის გადასცა მოწმეს. თავის მხრივ, თვითონ მოწმემ ასევე შეიძლება არასწორად აღიქვას საუბარი (ნალაპარაკევი). მოწმის ჩვენების შეფასებისას სასამართლო აანალიზებს ინფორმაციის (ცნობების) ფორმირების, მოწმის მიერ ამ ინფორმაციის დამახსოვრებისა და ინფორმაციის გადმოცემის მთელ პროცესს.

სასამართლომ მოწმის ჩვენების შეფასების დროს, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი შემდეგ საკითხებს:

1) რა თანაფარდობაშია მოწმის ჩვენება მტკიცების საგანთან;

2) დასაშვებია თუ არა მოწმის ჩვენება საქმის კონკრეტული გარემოების დასადგენად;

3) დაინტერესებულია თუ არა მოწმე საქმის შედეგით ვინმეს (რომელიმე მხარის) სასარგებლოდ;

4) აქვს თუ არა უნარი მოწმეს, ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს სასამართლოში მტკიცებულებითი ინფორმაცია (ცნობები);

5) რამდენად სრულია მოწმის ჩვენება და საკმარისია თუ არა ეს ჩვენება განსაზღვრული ცნობების ფორმირებისათვის;

6) შეესაბამება თუ არა მოწმის ჩვენება საქმეში არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს (მტკიცებულებებს).

§8. წერილობითი მტკიცებულება

სამოქალაქო პროცესში წერილობითი მტკიცებულებებია ის საგნები, რომლებიც შეიცავენ ასოებს, ნიშნებს, ციფრებს, ხაზებს და ა.შ., საიდანაც სასამართლო იღებს საქმის კანონიერად და დასაბუთებულად განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი გარემოებების შესახებ ცნობებს. ანუ მათი მეშვეობით საგნებზე გამოხატულია გარკვეული აზრები, რომლებიც შეიცავენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების შესახებ ცნობებს.

კოდექსში ჩამოთვლილია წერილობით მტკიცებულებათა ცალკეული სახეები, კერძოდ ესენია: აქტები, მაგალითად, მართლმსაჯულების აქტები (გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება), ადმინისტრაციული აქტები (გადაწყვეტილებები და დადგენილებები), სამოქალაქო რეგისტრაციის აქტები, საბუთები (დოკუმენტები), საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები (134-ე მუხლი). ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. წერილობითი მტკიცებულებებია ასევე ნახაზები, გეგმები, რუკები, სქემები, მუსიკალური ნოტები, ხელშეკრულებები, ცნობები, საქმიანი კორესპონდენცია, სხვა დოკუმენტები და ციფრული, გრაფიკული ჩანაწერის ფორმით, მათ შორის ფაქსიმილეს საშუალებით მიღებული მასალები, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული ხელმოწერით დადასტურებული ან/და დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტი ან სხვა საშუალებით (ხერხით) მიღებული მასალები, რომელიც

საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ დოკუმენტის შინაარსი.

წერილობით მტკიცებულებათა ნივთიერ საფუძველს (წყაროს) შეადგენს ნებისმიერი ფორმისა და თვისების მქონე საგნები (ხშირად ესაა ქაღალდი, ხე, მეტალი), რომლებსაც შეუძლიათ შეინარჩუნონ მასზე აღნიშნული წერილობითი ნიშნები.

წერილობითი მტკიცებულებები, პირველ ყოვლისა, საგნებია, მიუხედავად იმისა, თუ რა მასალისაგან არის დამზადებული. მაგრამ თავისთავად ეს საგნები ჯერ კიდევ როდი წარმოადგენს წერილობით მტკიცებულებებს. საგანი მტკიცებულება ხდება, როცა მასზე აღნიშნულია ასოები, ციფრები, სიმბოლოები, იეროგლიფები, სატელეგრაფო, სტენოგრაფიული, ტოპოგრაფიული და მსგავსი ნიშნები, რომლებიც გამოხატავენ იურიდიული ან მტკიცებულებითი ფაქტების შესახებ (საქმის გარემოების შესახებ) ცნობების შემცველ აზრებს (ანუ მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რითია შინაარსი გადმოცემული, არამედ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მტკიცებულება შეიცავს საქმის გარემოებების შესახებ ცნობებს).

წერილობით მტკიცებულებებში წერილობითი ნიშნების აღნიშვნის ხერხმა (საშუალებამ) საგანზე უნდა დატოვოს კვალი, ნიშანი, რომელიც ადვილი იქნება აღსაქმელად და წასაკითხად. ნიშნები შეიძლება აღინიშნოს ქიმიური საშუალებებით (ტუშით, საღებავით, მელნით) ანდა მექანიკური საშუალებებით საგნის ზედაპირის ცვლილებით, ჭრით, ტვიფარით, ამოჭრით, ამოკვეთით, დადაღვით (ამოწვით). საქმის გარემოებების დასადგენად აუცილებელი ცნობების აღქმა ხდება მოცემული ტექსტის შინაარსიდან და არა იმ საგნის თვისებიდან გამომდინარე, რომელზედაც ის არის აღნიშნული.

წერილობითი მტკიცებულება სხვადასხვა სახისაა: 1) დოკუმენტები (საბუთები); 2) აქტები; 3) საქმიანი ხასიათის წერილები; 4) პირადი ხასიათის წერილები (134-ე მუხლი).

დოკუმენტი ისეთი წერილობითი მტკიცებულებაა, რომელიც გაცემულია ან დადასტურებულია (დამოწმებულია) კომპეტენტური ორგანოს მიერ თავისი უფლება-მოვალეობების (უფლებამოსილების) ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით და რომელსაც აქვს ყველა აუცილებელი რეკვიზიტი (გაცემის თარიღი, თანამდებობის პირის ხელმოწერა, დოკუმენტის გამცემი ორგანოს ან ორგანიზაციის მითითება, დასახელება და ა.შ.). მაგალითად, ადმინისტრაციული კანონმდებლობა განსაზღვრავს ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტებს და ა.შ. ამასთან, ყველა წერილობითი მტკიცებულება როდი შეიძლება მივიჩნიოთ დოკუმენტად და არც ყველა დოკუმენტს (მაგალითად, კინოფოტოდოკუმენტი) არ შეიძლება ეწოდოს წერილობითი მტკიცებულება და, შესაბამისად, მათზე არც შეიძლება გავავრცელოთ წერილობითი დოკუმენტების გამოკვლევის საპროცესო კანონით დადგენილი რეჟიმი (წესი).

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში საყოველთაოდაა მიღებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, როგორც წესი, წერილობითი მტკიცებულების წარმოშობის (ჩამოყალიბების) პროცესი სამი სტადიისაგან შედგება: 1) სუბიექტის მიერ სინამდვილის აღქმა; 2) აღქმული ცნობების დამახსოვრება მეხსიერებაში; 3) ამ ცნობების ასახვა (დაფიქსირება) საგანზე პირობითი ნიშნების (ასოები, ციფრები, ნოტები) მეშვეობით.

წერილობითი მტკიცებულებები მრავალგვარია და ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი წარმოშობით, ფორმირების პროცესით, გარეგანი ფორმით, შინაარსით.

წერილობითი მტკიცებულებები თავიანთი ბუნებით სხვადასხვაგვარია, ამიტომ მათ კლასიფიკაციას ახდენენ: 1) წერილობითი მტკიცებულებების წარმოშობის სუბიექტის; 2) წერილობითი მტკიცებულების შინაარსის ხასიათის და 3) ფორმის; 4) ფორმირების ხერხის (საშუალების) მიხედვით (დედანი და ასლი).

სუბიექტის მიხედვით, რომლისგანაც მომდინარეობს წერილობითი მტკიცებულებები (დოკუმენტები), მათ ყოფენ ოფიციალურ და კერძო (არაოფიციალურ) წერილობით მტკიცებულებებად.

ოფიციალური წერილობითი მტკიცებულებები თავიანთი არსით დოკუმენტებია, რამეთუ

მომდინარეობს სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან და იქმნება მათ მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელების დროს. ოფიციალური წერილობითი მტკიცებულებებია მაგალითად, დაბადების მოწმობა, ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა, სამსახურში დანიშვნის ბრძანება და სხვ.

ოფიციალური წერილობითი მტკიცებულებები (დოკუმენტები) იმით ხასიათდება, რომ ისინი, პირველ ყოვლისა, გაცემული არიან უფლებამოსილი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ, მეორე, მოცემული აქტები შეესაბამებიან მათ შესადგენად კანონით დადგენილ ფორმასა და რეკვიზიტებს, მესამე, დოკუმენტის შედგენისა და გაცემის წესი განსაზღვრულია კანონით. ის აქტები, რომლებიც მომდინარეობს არაუფლებამოსილი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან, გამოცემულია კომპეტენციის დარღვევით, ყოველთვის ბათილად ჩაითვლება მთლიანად ანდა ნაწილობრივ როგორც კანონის ან სხვა ნორმატიული წყაროს საწინააღმდეგო აქტები და ეს აქტები აღარ შეიძლება დაედოს საფუძვლად სამართალურთიერთობის წარმოშობას. დაუშვებელია ამ აქტების გამოყენება წერილობით მტკიცებულებად გადაწყვეტილების დასასაბუთებლად.

არაოფიციალური (კერძო) ეწოდება წერილობით მტკიცებულებას, რომელიც მომდინარეობს ფიზიკური პირებისაგან. თუ წერილობითი მტკიცებულება მომდინარეობს ერთბაშად ორგანიზაციისა და ფიზიკური პირისაგან, მაგალითად, წერილობითი შრომითი ხელშეკრულება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაშინ ასეთი მტკიცებულება უნდა მივაკუთვნოთ ოფიციალურ წერილობით მტკიცებულებას.

შინაარსის მიხედვით წერილობითი მტკიცებულებები იყოფა ასევე ორ ჯგუფად: 1) საგანმკარგულებო წერილობითი და 2) საცნობო-საინფორმაციო წერილობითი მტკიცებულებები.

საგანმკარგულებო ეწოდება ისეთ წერილობით მტკიცებულებას,რომელიც შეიცავს ერთი ან რამდენიმე პირის (მათ შორის იურიდიული პირის),ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის ორგანოს ნების გამოვლენას,რომელიც იწვევს სამართალურთიერთობების წარმოშობას (დადგენას), შეცვლას ან შეწყვეტას. საგანმკარგულებო მტკიცებულებებია: ა) სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის ორგანოს ის აქტები, რომელთაც არ გააჩნიათ ნორმატიული ხასიათი (მაგალითად, მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოცემული ბრძანებები, ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციის გადაწყვეტილება მეურვეობის დაწესების შესახებ და ა.შ.). ბ) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აქტები (მაგალითად, მათ ხელმძღვანელთა განკარგულებანი და თანამდებობის პირთა სხვა აქტები); გ) მხარეთა შორის დადებული წერილობითი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი, მხარეთა განცხადებები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ნების გამოვლენას.

საცნობო-საინფორმაციო წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ (ასეთია სხვადასხვა სახის ცნობა, აქტი, ანგარიში, მოწმობა, სხდომის, კრების ოქმი, მოხსენებითი ბარათი, საქმიანი და პირადი (კერძო) ხასიათის წერილები, ტექნიკური დოკუმენტაცია და ა.შ.)

საცნობო-საინფორმაციო წერილობითი მტკიცებულებები შეიცავს იურიდიული ან მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების, მოვლენების აღწერას, ასევე ადასტურებს (ამტკიცებს) ამ ფაქტებს.

ცალკეულ წერილობით მტკიცებულებათა სპეციფიკა, მათი საგანმკარგულებო და საცნობო-საინფორმაციო მტკიცებულებებად დაყოფის თვალსაზრისით,იმაში მდგომარეობს, რომ წერილობითი მტკიცებულება ერთდროულად შეიძლება შეიცავდეს როგორც საგანმკარგულებო, ისე საინფორმაციო ხასიათის ცნობებს. მაგალითად, საწარმოს ხელმძღვანე-

ლის ბრძანების გამოცემის თარიღი, მისი ნომერი საინფორმაციო ხასიათისაა, მაშინ, როცა ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი გამოხატავს ხელმძღვანელის ნებას, მბრძანებლურ-საგანმკარგულებო ფაქტს.

ფორმის მიხედვით წერილობითი მტკიცებულებები შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: 1) მარტივი წერილობითი ფორმის დოკუმენტები; 2) სავალდებულო ფორმისა და შინაარსის მქონე წერილობითი მტკიცებულებები (მაგალითად: საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ შედგენილი აქტი, სამოქალაქო რეგისტრაციის აქტები, კერძოდ, დაბადების, ქორწინების რეგისტრაციის მოწმობები და სხვა); 3) სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებები საჯარო რეესტრში მათი შემდგომი რეგისტრაციის გარეშე; 4) სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებები, რომელთათვისაც საჭიროა (აუცილებელია) შემდგომი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

სანოტარო წესით დადასტურებული წერილობითი მტკიცებულებების ნამდვილობა (უტყუარობა) დადასტურებულ ან დამოწმებულ უნდა იქნეს ნოტარიუსის ან სანოტარო ფუნქციის შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირის მიერ, რომლებიც სანოტარო მოქმედებების შესრულებისას გათანაბრებული არიან ნოტარიუსთან.

როგორც წესი, წერილობითი მტკიცებულებები სასამართლოში დედანის სახით უნდა იქნეს წარდგენილი. შეიძლება წარდგენილ იქნეს სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტის (საბუთის) ასლი, თუმცა სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით მოითხოვოს დედნის წარდგენა, თუ ეს აუცილებელია. დოკუმენტების დედნები აუცილებელია, როცა საქმის გარემოებები კანონის თანახმად მხოლოდ დედანი დოკუმენტებით უნდა დადასტურდეს (ანუ, როცა საქმე დედანი დოკუმენტების გარეშე ვერ გადაწყდება), ან, როცა წარდგენილია სხვადასხვა შინაარსის ასლი. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენის მოვალეობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საყურადღებოა, რომ საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე (135-ე მუხლი). ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ასევე სსსკ-ის 105-ე მუხლისა და სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი.

აღნიშნულ ნორმათა შესაბამისად, სასამართლოს შეხედულება, რომლის საფუძველზეც საბუთის ასლს ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა, უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შეხედულებებს, უნდა იყოს ასახული გადაწყვეტილებაში.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ ჩათვალა, რომ კონტრაქტის ასლს უნდა მიენიჭოს დედნის ძალა. აღნიშნული დასკვნის საფუძვლად სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო კონტრაქტის ასლი დამოწმებულია უფლებამოსილი პირის მიერ, რაც შესაბამისად ლეგალიზებულ იქნა. დოკუმენტის დედნის ასლის დამოწმება სათანადო უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ასლს ანიჭებს ოფიციალურ ძალმოსილებას – დოკუმენტის დედნის ძალას ანუ საჯარო ძალას, ხოლო საჯარო აქტს აქვს კანონიერებისა და უტყუარობის პრეზუმფცია მანამ, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

სასამართლომ ასლს მიანიჭა დედნის ძალა, ხოლო დედნის ნამდვილობის დასადასტურებლად მიუთითა, რომ თუ ვინმემ მონტაჟი მოახდინა, მაშინ ნოტარიუსი დედანს ვერ ნახავდა და შესაბამისად, არც დაამოწმებდა. სასამართლოს აღიშნული დასკვნა საფუძვლად დაედო სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული არგუმენტები არ შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

ექსპერტების დასკვნაში მითითებულია, რომ ყველა ხელმოწერა ვ. არისტოვის გვარით ხელშეკრულებაზე შესრულებულია ვ. არისტოვის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ გამოსაკვლევი კონტრაქტის ქსეროასლი გადაღებულია კონტრაქტის ორიგინალიდან.

ექსპერტებმა დასკვნას საფუძვლად დაუდეს ის პირობა, რომ ხელმოწერა ნამდვილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ასლი, რომელიც მათ გამოიკვლიეს, გადაღებულია ნამდვილად არსებული ხელშეკრულების დედნიდან.

საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით და სასამართლო სხდომაზე დაკითხულ ექსპერტთა განმარტებებით დადგენილია, რომ არსებობს იმის ტექნიკური შესაძლებლობა, რომ ამა თუ იმ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერები და ბეჭდის ანაბეჭდები გადატანილ იქნეს სხვა შინაარსის დოკუმენტზე ისე, რომ მისი მსგავსება ორიგინალთან იდენტური იყოს, ე.ი. სანამ დედნიდან მოხდება ასლის გადაღება, შესაძლებელია დედანი კომბინირებული გზით იყოს შედგენილი და გაყალბებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სანოტარო წესით დამოწმებული ასლი თავისთავად არ ნიშნავს, რომ ასლი გადაღებულია ნამდვილი დოკუმენტიდან. ნოტარიუსი მხოლოდ ახდენს იმის შემოწმებას, რომ ასლი მასთან წარდგენილი საბუთის შესაბამისია, იგი არ ადასტურებს მასთან წარდგენილი დოკუმენტის შინაარსის ნამდვილობას და ამ დოკუმენტის ნამდვილობას არ იკვლევს.

ამდენად, სასამართლოს მიერ გაზიარებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონტრაქტის ასლი გადაღებულია კონტრაქტის ორიგინალიდან, რასაც ადასტურებს ნოტარიუსი, არ წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ დოკუმენტი, რომლის ასლიც წარმოდგენილია საქმეში, არ იყო კომბინირების გზით შედგენილი და გაყალბებული.

სსსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარე, რომლის მიერაც წარდგენილი იყო ასეთი საბუთი, ვალდებულია დაამტკიცოს ამ საბუთის ნამდვილობა. სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც დანიშნავს ექსპერტიზას ან გამოითხოვს სხვა მტკიცებულებას.

ვინაიდან მოპასუხე აცხადებდა, რომ კონტრაქტი, რომლის ქსეროასლიც საქმეშია წარმოდგენილი, ყალბია, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ კონტრაქტი არის ნამდვილი, ის არ ყოფილა გაყალბებული და კომბინირების გზით შედგენილი. ასეთი მტკიცებულება საქმის მასალებში არ არსებობს, შესაბამისად, სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი, რომ საბუთი, რომლის ასლიც წარმოდგენილია საქმეში, არ იყო კომბინირებული გზით შედგენილი. ასეთ შემთხვევაში დიდი პალატა თვლის, რომ საბუთის ასლი, როგორც მტკიცებულება, განხილული უნდა იქნეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი და მიაჩნია, რომ კონტრაქტზე მითითებული იურიდიული პირების წარმომადგენელთა ხელმოწერისა და ბეჭდების სიყალბე გავლენას ვერ მოახდენს მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების ნამდვილობაზე, რადგან გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილის ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილებიც გარეშეც.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თვლის, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სკ-ის 62-ე მუხლი, რადგან მოცემულ საქმეზე მოპასუხეს არ მოუთხოვია გარიგების ბათილად ცნობა, ე.ი. იგი საცილოს კი არ ხდის გარიგებას, არამედ აცხადებს, რომ კონტრაქტი, რომლის ასლიც წარმოდგენილია, საერთოდ არასდროს დადებულა.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ის და მოპასუხე აწარმოებდნენ ერთობლივ საქმიანობას. სასამართლოში წარდგენილი კონტრაქტის ასლის ერთ-ერთი პუნქტის

თანახმად, მისთვის საზოგადოებას გადასახდელი აქვს დივიდენდი.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის წარმოებას ადგილი არა ჰქონია. საქმის მასალებში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოდავე ორ იურიდიულ პირს შორის ერთობლივი საქმიანობის წარმოებას. ამასთან საყურადღებოა, რომ ის გარემოება, რომ მოპასუხე სასამართლოში რეგისტრირებულია 1999 წლიდან; სადავო კონტრაქტის თანახმად კი მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობა წარმოებდა 1996 წლიდან და მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს დივიდენდები 1996 წლიდან 2001 წლამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ქსეროასლის საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში განხილვით არ დასტურდება ხელშეკრულების ქსეროასლში მითითებული გარემოებები. დიდი პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი საბუთის ასლი, მართალია, მტკიცებულების სახითაა წარმოდგენილი მხარის მიერ, მაგრამ არ არის დასაბუთებული, თუ რატომ ჩათვალა იგი სასამართლომ, როგორც უტყუარი და სარწმუნო. გარდა ამისა, საქმეში არ მოიპოვება სხვა ისეთი მტკიცებულება, რომლებიც მის უტყუარობაზე მიუთითებენ და საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას დაადასტურებდნენ. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ემყარება მითითებულ საბუთის ასლს, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ შემთხვევაში სადავო ასლები წარმოდგენილი იყო მოსარჩელის მიერ, მას არ მოუთხოვია საბუთის გამორიცხვა მტკიცებულებებიდან. სასამართლომ საბუთის ნამდვილობის შემოწმების მიზნით, არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობები და წარდგენილ საბუთს შეფასება მისცა საბოლოო გადაწყვეტილებაში. დიდი პალატა თვლის, რომ სასამართლოს აღნიშნულ განჩინებებს საფუძვლად არ უდევს საპროცესო ნორმათა დარღვევა და შესაბამისად, მათი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სუსგ 2003 წ. №9, გვ. 2337-2341).

წერილობითი მტკიცებულებების კლასიფიკაციას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ სასამართლო ყურადღებას აქცევს შინაარსის, ფორმისა და იმ სუბიექტის თავისებურებებზე, რომლისგანაც მომდინარეობს მტკიცებულება, რაც ხელს უწყობს წერილობითი მტკიცებულებების უტყუარობისა და საკმარისობის შეფასების საკითხისადმი სწორ მიდგომას.

დაინტერესებულმა პირმა, შესაძლოა, სადავო გახადოს წერილობითი მტკიცებულება იმით, რომ:

ა) განაცხადოს, რომ წერილობითი მტკიცებულება ძალადაკარგული (გაუქმებული) ან ბათილია, შესაბამისად, მისი ნამდვილობა საეჭვოა, ან წერილობითი მტკიცებულება სადავო გახადოს დადგენილ ფორმასთან შეუსაბამობის გამო;

ბ) არსებითად უარყოს წერილობით მტკიცებულებაში ასახული ცნობები, ანუ წერილობითი მტკიცებულება შეიძლება სადავო გახდეს მისი შინაარსის უარყოფის გზით;

გ) განაცხადოს დავა საბუთის (დოკუმენტის) სიყალბის შესახებ.

განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალკ-ცალკე.

დოკუმენტის ნამდვილობის სადავოდ ქცევა იმაში მდგომარეობს, რომ დაინტერესებულმა პირმა უნდა დაამტკიცოს, რომ დოკუმენტი არ არის სათანადოდ (ჯეროვნად) გაფორმებული. ასეთი დოკუმენტი ბათილია და, შესაბამისად, მასში ასახული ცნობები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს არსებულად იმ ფაქტების მიჩნევას, რომელთა დასადასტურებლადაც (დასამტკიცებლად) ეს დოკუმენტი არის წარდგენილი. დოკუმენტის ბათილად მიჩნევის საფუძველი შეიძლება იყოს მისი გაცემა არაკომპეტენტური ორგანოს ან პირის მიერ, ხელმოწერის, ბეჭდის, ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერის არარსებობა და დოკუმენტის გაფორმების დროს დაშვებული ზოგიერთი სხვა ხარვეზი.

რაც შეეხება დოკუმენტის სადავოდ ქცევას არსებითად, ეს იმაში მდგომარეობს, რომ

დაინტერესებულმა პირმა უნდა დაამტკიცოს დოკუმენტის შინაარსის შეუსაბამობა სინამდვილესთან. მაგალითად, დაზარალებულს უფლება აქვს დაამტკიცოს, რომ უბედური შემთხვევა მოხდა არა მისი გაუფრთხილებლობის შედეგად, როგორც ეს მითითებულია უბედური შემთხვევის გამო შემდგარ აქტში (წერილობითი მტკიცებულება), არამედ საწარმოს ადმინისტრაციის ბრალით.

ძალაში შესული მართლმსაჯულების აქტები (სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება, დადგენილება) არ შეიძლება სადავო გახდეს შინაარსის გამო. დაინტერესებულ პირს შეუძლია მიაღწიოს მათ გაუქმებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლებით. შინაარსის თვალსაზრისით წერილობითი მტკიცებულება უნდა მომდინარეობდეს სწორედ იმ პირისაგან, რომელიც მის ავტორად ითვლება, უნდა შეესაბამებოდეს მის ნებას, ასახავდეს რეალურ სინამდვილეში მომხდარ გარემოებებსა და ფაქტებს. ამიტომ, მაგალითად, პირს შეუძლია სადავო გახადოს გაცემული ხელწერილის შინაარსი და მიუთითოს, რომ თანხის მიღების ხელწერილი შედგენილია მუქარის შედეგად.

ფორმის თვალსაზრისით, წერილობითი მტკიცებულება უნდა მომდინარეობდეს კომპეტენტური ორგანოს ან თანამდებობის პირისაგან და აკმაყოფილებდეს შესაბამისი აქტის ან იურიდიული დოკუმენტების ფორმისათვის კანონით დადგენილ ყველა სპეციალურ მოთხოვნას. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ცნობა არ არის ნამდვილი, რამეთუ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტი დიპლომია; არ არის ნამდვილი საწარმოს მიერ გაცემული ნებისმიერი ცნობა სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ამა თუ იმ პირის მიერ, რამეთუ ასეთი ცნობის გაცემა სამხედრო დაწესებულების კომპეტენციაა და ა.შ. ყველა ასეთ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს წერილობითი მტკიცებულებების უარყოფასთან დადგენილ ფორმასთან მათი შეუსაბამობის გამო. მიმოწერა ან პირადი ხასიათის რომელიმე წერილობითი მასალა (ჩანაწერები, დღიურები, აღნიშვნები, საჩუქრებზე წარწერები და ა.შ.) სასამართლოს ნებისმიერი ფორმით შეიძლება წარედგინოს.

დაბოლოს, განვიხილოთ დავა სიყალბის შესახებ. სასამართლოს მიერ წერილობითი დოკუმენტების გამოკვლევის დროს მხარეებსა და საქმის მონაწილე სხვა პირებს შორის შეიძლება წარმოიშვას დავა დოკუმენტის სიყალბის შესახებ. დავა სიყალბის შესახებ შეიძლება აღიძრას, როცა არსებობს იმის საფუძველი, რომ ვივარაუდოთ, სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტი ყალბია.

სახეზე შეიძლება იყოს წერილობითი მტკიცებულების გაყალბების სხვადასხვა ფორმა. კერძოდ, დოკუმენტი შედგენილია არა იმ პირის მიერ, ვისი სახელითაც ის არის გაცემული; ხელწერილი შედგენილია მოპასუხის სახელით, თუმცა კი ამ უკანასკნელს სინამდვილეში ფულადი თანხა ვალად არ აუღია და ხელწერილი არ შეუდგენია (არ დაუდასტურებია); შეცვლილია თარიღი; გაყალბებულია ხელმოწერა, შინაარსი ნაწილობრივაა შეცვლილი; დოკუმენტი შედგენილია იმ დაწესებულების ან იმ პირის სახელით, რომელსაც სინამდვილეში იგი არ გაუცია; გაყალბებულია შტამპი, ბეჭედი, შეცვლილია ციფრები, ამოფხეკით (ამოშლით), მინაწერის შესრულებით, შესწორებებით და სხვა ამგვარი მოქმედებებით შეცვლილია დოკუმენტის თავდაპირველი ტექსტი; ასევე, ვთქვათ, კრედიტორზე მიცემულია ხელწერილი გარკვეული ოდენობის თანხაზე, ხოლო მან მინაწერის შესრულებით მნიშვნელოვნად გაადიდა (გაზარდა) თანხა.

ყალბი დოკუმენტი სინამდვილესა და ფაქტებს ამახინჯებს.

დოკუმენტის სიყალბის შესახებ საკითხი, შეიძლება მხარემ დასვას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, სახელდობრ, როგორც საქმის მომზადების, ისე საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ყალბი საბუთი წარდგენილია ამ სასამართლო

სხდომაზე, ან თუ თავიდანვე (მთავარ სხდომამდე) წარდგენილი საბუთის სიყალბე მხარისათვის ცნობილი გახდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

მხარეს, რომელმაც წარადგინა ასეთი საბუთი, ან რომლის შუამდგომლობითაც სასამართლომ იგი გამოითხოვა, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს, რომ გამოსაკვლევი მტკიცებულებებიდან გამორიცხოს სადავო საბუთი და საქმე გადაწყვიტოს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე. თუკი ასეთი თხოვნა არ წამოყენებულა, მაშინ სასამართლო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები და იგი შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას. საბუთის სიყალბე ვლინდება (ირკვევა) სხვა მტკიცებულებების გამოკვლევის გზით, რისთვისაც შეიძლება გამოთხოვილ იქნეს სხვა მტკიცებულებები, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, ანდა დაინიშნოს ექსპერტიზა.

როგორც წესი, სასამართლო ნიშნავს ხელნაწერის ან კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას ამოფხეკის (ამოშლის), შესწორების და ა.შ. ფაქტის (ანუ გაყალბების ფაქტისა და დოკუმენტის სიყალბის) გამოსავლენად, ანდა იმისათვის, რომ გამოირიცხოს კონკრეტული პირის მიერ დოკუმენტის შესრულების ფაქტი. სიყალბის გამოსავლენად სასამართლომ შეიძლება საეჭვო დოკუმენტი შეადაროს სხვა დოკუმენტებს; შეკითხვა გაუგზავნოს დოკუმენტის გამცემ დაწესებულებას; დაიბაროს და მოწმის სახით დაჰკითხოს წერილობით მტკიცებულებაში მითითებული პირები და ა.შ. სიყალბის საბაბით ექსპერტიზის დანიშვნის დროს სასამართლოსათვის ამოსავალი უნდა იყოს ექსპერტიზის სამეცნიერო შესაძლებლობები. არის შემთხვევები, როცა დოკუმენტის სიყალბის დადგენა იოლია, თუმცა პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა ექსპერტს არ შესძლებია დასმული საკითხისათვის პასუხის გაცემა. მაგალითად, ექსპერტის წინაშე საკითხის დასმა, შეესაბამება თუ არა ა-ს მიერ ბ-ზე, გარკვეულ თანხაზე, გაცემული ხელწერილის შედგენის დრო ამ დოკუმენტზე აღნიშნულ თარიღს. ექსპერტს არ შეუძლია უპასუხოს ამ კითხვას მეცნიერულ დონეზე შემუშავებული უტყუარი მეთოდის არარსებობის გამო, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა ხელით ნაწერი ტექსტის დაწერის ხანდაზმულობის დადგენა.

სამოქალაქო საპროცესო კანონში არ არის ხელნაწერისა და იმ სხვა წერილობითი დოკუმენტების (მტკიცებულებების) ნიმუშების ამოღების წესის მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც ამოღებულ უნდა იქნეს ხელნაწერის ექსპერტიზაზე გასაგზავნად სადავო დოკუმენტთან ერთად.

ასეთ შემთხვევაში მოსამართლეები მიმართავენ სუბსიდიური (დამატებითი) წესით იმ ანალოგიური ნორმების გამოყენებას, რომლებიც აწესრიგებენ ხელნაწერის ნიმუშების ამოღების წესს სისხლის სამართლის პროცესში.

წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივითაც (137-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

137-ე მუხლით დადგენილია სასამართლოს უფლება და არა ვალდებულება შეამოწმოს განცხადება იმის შესახებ, რომ საქმეში არსებული მტკიცებულება ყალბია და ამისთვის დანიშნოს ექსპერტიზა ან შესთავაზოს მხარეებს სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა. ეს უფლება გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპიდან. ამგვარი განცხადების სასამართლოში შეტანისას, მას სასამართლო აფასებს სხვა მტკიცებულებებთან და საქმის გარემოებებთან ერთობლიობაში. გარდა ამისა, სასამართლოს აღჭურვა დასახელებული უფლებით, მას არ აძლევს 137-ე მუხლის თვითნებურად გამოყენების უფლებას, რამდენადაც, თუკი სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ეჭვი მტკიცებულებების ნამდვილობაში, ის ვალდებულია მიიღოს დასახელებული მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები. მხარეთათვის საპროცესო გარანტიას წარმოადგენს კანონით სასამართლოსათვის დაკისრებული ვალდებულება, კანონის მოთხოვნა, გამოიტანოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კანონმდე-

ბლობით გათვალისწინებული სასამართლო აქტების შემოწმების პროცედურები.

თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია, მას მტკიცებულებიდან გამორიცხავს (137-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

თუ დადასტურებულია წარდგენილი საბუთის სიყალბე, სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას და ამ დოკუმენტს მისი სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულებებით გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს (137-ე მუხლის მე-5 ნაწილი). სსსკ 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით სასამართლო მხოლოდ მაშინ გამოიტანს განჩინებას დოკუმენტის (საბუთის) სიყალბის შესახებ, თუ წარმოდგენილი საბუთის სიყალბე დადასტურებულია. საბუთის სიყალბის დადასტურება ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად. ამიტომ სანამ საქმე არსებითად არ განიხილება, რაიმე საბუთის სიყალბის დადასტურებაც ვერ მოხდება.

წერილობითი მტკიცებულება უნდა განვასხვაოთ მხარეთა ახსნა-განმარტებისაგან, მოწმეთა ჩვენებებისაგან, ექსპერტთა დასკვნისაგან, რომლებსაც ეს პირები იძლევიან წერილობითი სახით. ეს მტკიცებულებები წერილობითი სახით არსებული პირადი მტკიცებულებებია და არა წერილობითი მტკიცებულებები. მაგალითად, სასამართლო დავალების შესრულების წესით მიღებული მოწმის დაკითხვის ოქმი. სხვაგვარად რომ იყოს, მაშინ მოგვიწევდა სხვადასხვა ფაქტისა და გარემოების დადასტურების დროს მოწმის ჩვენების გამოყენების დაუშვებლობის შესახებ კანონის მოთხოვნისათვის გვერდის ავლა.

სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობით გამოითხოვოს წერილობითი მტკიცებულებები სხვა პირებისაგან, იქნებიან ისინი საქმის მონაწილენი თუ არა. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან წარადგინონ გამოთხოვილი მტკიცებულება სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. მხარისაგან შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ასევე ერთგვაროვანი (ერთი ტიპის) დოკუმენტები, კონკრეტული რეკვიზიტების მითითების გარეშე. ასეთ დროს უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ აღნიშნული დოკუმენტებით შეიძლება დადგინდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები: თავის მხრივ, წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი რა გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით და რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა. წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის განჩინებაში, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება.

თუ იმას, ვისგანაც გამოთხოვილია მტკიცებულება (საბუთი), არა აქვს მისი წარდგენის შესაძლებლობა დანიშნულ ვადაში, ანდა, თუ არა აქვს წარდგენის შესაძლებლობა საერთოდ, მაშინ ეს პირი ვალდებულია აცნობოს სასამართლოს ამის შესახებ მიზეზების მითითებით. როცა გამოთხოვილი მტკიცებულების წარდგენა არ შეუძლია პირს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, მაშინ, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია 136-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ პირებს განუსაზღვროს დამატებითი ვადა მტკიცებულებათა წარმოსადგენად.

შეუტყობინებლობის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მოთხოვნა (პირის ვალდებულება) წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ არ არის შესრულებული არასაპატიო მიზეზით, სასამართლო ფიზიკურ პირს ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს ანდა შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს. აღსანიშნავია, რომ დაჯარიმება არ ათავისუფლებს შესაბამის პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი წერილობითი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობისაგან.

წერილობითი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს შესაბამის პირებს პირველი ჯარიმის სამმაგი ოდენობით.

თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი იმ

ფაქტების მტკიცების ტვირთისაგან,რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს,რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.

თუ სასამართლოში საბუთის წარდგენა ძნელია, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს სათანადო წესით შემოწმებული ამონაწერების წარდგენა ან მოახდინოს წერილობითი მტკიცებულებების დათვალიერება და გამოკვლევა მათი შენახვის ადგილზე.

დაინტერესებულ პირს შეუძლია წარადგინოს არა მთლიანი დოკუმენტი,არამედ მხოლოდ დამოწმებული ამონაწერი მისგან მაშინაც, თუ დავის გადასაწყვეტად მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დოკუმენტის ნაწილს.

წერილობითი მტკიცებულებებია სასამართლო (მართლმსაჯულების) აქტები,საპროცესო მოქმედებათა შესრულების ოქმები,სასამართლო სხდომის ოქმები,საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ შედგენილი ოქმის დანართები (სქემები,რუკები,გეგმები,ნახაზები).

ისმის კითხვა,როგორია უცხო სახელმწიფოს დოკუმენტების აღიარების წესი?

უცხო სახელმწიფოს დოკუმენტი მიიჩნევა წერილობით მტკიცებულებად თუ მხარე არ ხდის სადავოდ (არ უარყოფს) მის ნამდვილობას (უტყუარობას) და ეს დოკუმენტი ლეგალიზებულია დადგენილი წესით.

ამასთან,საზღვარგარეთის ოფიციალურ დოკუმენტს აღიარებს სასამართლო წერილობით მტკიცებულებად ყოველგვარი მათი ლეგალიზაციის გარეშე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ყველა წერილობითი მტკიცებულებისათვის საერთოა ის,რომ მათში დაფიქსირებულია გარკვეული აზრები.

სამოქალაქო პროცესში წერილობითი მტკიცებულებით შეიძლება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი გარემოების დადგენა. წერილობითი მტკიცებულებები ყველაზე მეტად გავრცელებული მტკიცებულებებია სამოქალაქო პროცესში,რამეთუ ძირითად მტკიცებულებით ინფორმაციას სასამართლო სწორედ მოცემული მტკიცებულებებით იღებს.

თუმცა,ეს იმას როდი ნიშნავს,რომ სასამართლოში წარდგენილი აქტები,ცნობები,წერილები და სხვა დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) ყოველთვის უტყუარია. ამა თუ იმ გარემოების გამო დოკუმენტის ტექსტის ნამდვილობა შესაძლოა საეჭვო იყოს, ტექსტში ასევე შეიძლება იყოს შეგნებული უზუსტობანი,შესაძლოა სახეზე იყოს მხარეთა ურთიერთობის დამადასტურებელი გარემოებების (ფაქტების) ფალსიფიკაცია და სხვ.

მაგრამ წერილობითი მტკიცებულებების უდავო ღირსება ისაა,რომ ტექსტის ფიქსაცია ცვლის მეხსიერების (ანუ საქმის გარემოებათა ზეპირად ცოდნის) ფაქტორს,რამეთუ ის, რაც დაფიქსირებულია (ქაღალდზე,მუყაოზე,ქსოვილზე,რკინაზე და ა.შ.),არასოდეს არ იქნება დავიწყებული.

წერილობით მტკიცებულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სასამართლო სხდომის ოქმს. ამ უმნიშვნელოვანეს საპროცესო დოკუმენტს ადგენს სასამართლოს მიუკერძოებელი მუშაკი. მისი შინაარსი მოიცავს სასამართლოს მთელ საპროცესო საქმიანობას და მასში დოკუმენტალურადაა დაფიქსირებული პირადი მტკიცებულებანი (მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებანი, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა და სპეციალისტთა ზეპირი დასკვნები), აგრეთვე მხარეთა მიერ უფლებებისა და უფლებების დაცვის საპროცესო საშუალებების განკარგვის აქტები (სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, მორიგება და სხვა).

სამოქალაქო პროცესში სასამართლო ოქმის მტკიცებულებითი მნიშვნელობა და ძალა ძალიან დიდია, ვინაიდან სასამართლო ოქმსა და სასამართლოს დადგენილებებს შორის განსხვავების (წინააღმდეგობის) აღმოჩენის შემთხვევაში ზემდგომი სასამართლო ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს სწორედ სასამართლო ოქმს.

გადაწყვეტილება გაუქმდება, თუ ოქმი ბუნდოვნად, გაუგებრადაა შედგენილი (არ

იკითხება). ამიტომ როგორც ოქმი, ისე ნებისმიერი დოკუმენტი (წერილობითი მტკიცებულება) უნდა იკითხებოდეს. ასეთად კი ითვლება დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გასაგებ ინფორმაციას, კოდირებული მონაცემების გაშიფვრას (მათ ახსნასა და განმარტებას). ეს მოთხოვნა გამომდინარეობს სამართალწარმოების ზოგადი წესებიდან, რომელთა თანახმად მოსამართლემ უშუალოდ უნდა აღიქვას ის ინფორმაცია, რომელსაც მტკიცებულებათა წყარო შეიცავს.

წერილობითი მტკიცებულების ნიშნებია:

1) ინფორმაციის მატარებელი (შემცველი) შესაბამისი საგნის არსებობა (ქაღალდი, მეტალი, ხე და ა.შ.); 2) ინფორმაციის ფიქსირების შესაბამისი საშუალების არსებობა (ასოები, ციფრები, ნოტები, სიმბოლოები, პირობითი ნიშნები და ა.შ.); 3) შესაბამისი აზრების არსებობა, რომელთაც ასახვა პოვეს საგანზე, შემსრულებლის მიერ გამოყენებულ საშუალებათა მეშვეობით.

პირველ ყოვლისა, დოკუმენტებია პირთა პირადი საბუთები (პასპორტი, დიპლომი, სამხედრო ბილეთი, შრომის წიგნაკი და ა.შ.). სიტყვის ფართო გაგებით დოკუმენტად ითვლება წერილობითი ინფორმაციის ნებისმიერი სახე, მაშასადამე, აქტებიც.

პირად დოკუმენტებში კონსტატირებულია ისეთი ფაქტები, რომელიც ადამიანის პიროვნებას ახასიათებს. ასეთი ფაქტებია: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, სოციალური მდგომარეობა, განათლება, სხვა ანკეტური მონაცემები და ა.შ. ამ სახის წერილობითი მტკიცებულების თავისებურება ისაა, რომ ის, როგორც წესი, აისახება სპეციალურად დამზადებულ ბლანკზე, რომელსაც კანონით დადგენილი რეკვიზიტები (სერია, ნომერი, ბეჭედი, გერბიანი ფურცელი და ა.შ.) აქვს.

ადამიანთა პირადი მიმოწერა ასევე წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს. ის, რა თქმა უნდა, არ არის გადმოცემული რაიმე სპეციალური ფორმით, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება პირდაპირ გამოვიყენოთ იურიდიული ფაქტების დასადასტურებლად (მაგალითად, პირადი წერილი, რომლითაც პირი აღიარებს მამობას).

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ წერილობით მტკიცებულებას სასამართლოსათვის მნიშვნელობა აქვს, პირველ ყოვლისა, მასში გადმოცემული აზრების შინაარსის თვალსაზრისით. სწორედ ამით განსხვავდება წერილობითი მტკიცებულება ნივთიერი მტკიცებულებისაგან, რომელიც ფაქტებს ადასტურებს არა თავისი შინაარსით, არამედ გარეგნული იერსახით, თვისებით, ხარისხით.

კანონი წერილობით მტკიცებულებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რამეთუ რიგ შემთხვევებში მოითხოვს გარიგების დადებასა და დოკუმენტების გაფორმებას წერილობითი ფორმით და ამასთან, ადგენს, რომ, თუ მხარეები წერილობით ფორმას არ დაიცავენ, მათ უფლება ერთმევათ დავის წარმოშობის შემთხვევაში დაეყრდნონ მოწმეთა ჩვენებებს. აღსანიშნავია, რომ წერილობითი ფორმა მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა ურთიერთობებს, განამტკიცებს სამოქალაქო ბრუნვას და სამოქალაქო საქმის განხილვის დროს აიოლებს სადავო ფაქტების დადგენას.

უტყუარობის თვალსაზრისით არც ერთ მტკიცებულებას კანონი რაიმე უპირატესობას არ ანიჭებს. წერილობით მტკიცებულებებს აქვთ რიგი დადებითი თვისებები, კერძოდ, წერილობითი მტკიცებულება დაფიქსირებულია ინფორმაციის მატარებელ ამა თუ იმ საგანზე და, შესაბამისად, უფრო მყარია (საიმედოა), ვიდრე, ვთქვათ, მოწმის ჩვენება. მოწმემ შეიძლება შეცვალოს ჩვენება, გაიხსენოს ან, პირიქით, დაივიწყოს საქმის რომელიმე გარემოება.

საქმეში არსებული დოკუმენტების (საბუთები) დედნები ერთად ინახება სასამართლოში. ასეთი საბუთები, მათი წარმდგენის თხოვნით, შეიძლება დაუბრუნდეს მასვე, მაგრამ საქმეში უნდა დარჩეს მოსამართლის მიერ შემოწმებული დედანი საბუთის ასლი (139-ე მუხლი). არ შეიძლება დაბრუნდეს უფლება დამდგენი დოკუმენტის დედანი, თუ პირმა სასამართ-

ლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დაკარგა უფლება, რომლის დასადასტურებლადაც წარედგინა სასამართლოს თავის დროზე მოცემული დოკუმენტი, მაგალითად, ქორწინების მოწმობა პირის განქორწინების შემთხვევაში.

წერილობით მტკიცებულებათა გამოკვლევის საშუალება (ხერხი), ე.ი. მათში ასახული ცნობების შემეცნების (აღქმის) საშუალებაა მათი უშუალოდ წაკითხვა და ამ გზით აღქმა.

თუ წერილობითი მტკიცებულება შესრულებულია დამწერლობის საშუალებით, რომელიც ძნელი წასაკითხია სასამართლოსათვის (ვთქვათ, შესრულებულია შიფრით, ანუ საიდუმლო ანბანით, სტენოგრაფიით, საიდუმლო დამწერლობით და ა.შ.), სასამართლო იყენებს სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირს, ე.ი. ექსპერტს, ან შეიძლება საჭირო გახდეს ინფორმაციის გაშიფვრა სპეციალისტის მიერ.

წერილობითი მტკიცებულებების განხილვა და შემოწმება სასამართლო სხდომაზე (გამოკვლევა) ხდება სსსკ-ის 225-ე მუხლით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კანონით დადგენილია ფიზიკურ პირთა პირადი მიმოწერის საიდუმლოების დაცვის განსაკუთრებული საპროცესო გარანტიები. კერძოდ, ამგვარი მიმოწერა შეიძლება გამოქვეყნდეს ღია სასამართლო სხდომაზე მხოლოდ იმ პირთა თანხმობით, რომელთა შორისაც ეს მიმოწერა ხდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ასეთი თანხმობა არ არის მიღებული, მიმოწერის გამოქვეყნება და გამოკვლევა წარმოებს დახურულ სასამართლო სხდომაზე.

წერილობით მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში. მისი უტყუარობისა და საკმარისობის შემოწმების საშუალებები (ხერხები) ძირითადად იგივეა, რაც მტკიცების სხვა საშუალებებისა. შემოწმება, ძირითადად, მდგომარეობს მტკიცებულებათა ფორმირების პროცესის გამოკვლევაში იმ მიზნით, რომ დადგინდეს ის მიზეზები, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მათ უტყუარობაზე. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ წერილობითი მტკიცებულებები მომდინარეობენ გარკვეული პირებისაგან, ამიტომ მათ უტყუარობაზე, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა, რომლებზედაც დამოკიდებულია ნებისმიერი პირადი მტკიცებულების ნამდვილობა.

წერილობითი მტკიცებულების შეფასება ნიშნავს ყველა მისი თვისების გაანალიზებას მასში ასახული ცნობების სინამდვილისადმი შესაბამისობის თვალსაზრისით. ეს თვისებებია: საქმისადმი განკუთვნადობის, დასაშვებობის, უტყუარობისა და საკმარისობის ხარისხი.

რაც შეეხება წერილობითი მტკიცებულებების შეფასების მეთოდს, ეს არის მათი შედარება ერთმანეთთან და სხვა მტკიცებულებებთან ყველა ასპექტში, კერძოდ, ყურადღება ექცევა მათი წარმოშობის დროსა და პირობებს, საგნებზე ცნობების ასახვისა და შენარჩუნების ხერხს (საშუალებას), ფაქტების გადმოცემის სიღრმესა და სიზუსტეს, ცალკეულ წერილობით მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობათა არარსებობას.

მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები, აგრეთვე მოწმეთა ჩვენებები გვეხმარება, რათა დავადგინოთ და თავიდან ავიცილოთ წერილობით მტკიცებულებებში არსებული წინააღმდეგობანი, ამოვარჩიოთ მათგან ყველაზე უფრო სწორი და სარწმუნო ინფორმაცია.

წერილობით მტკიცებულებათა შეფასების დროს, პირველ ყოვლისა დოკუმენტის ფორმის შესწავლა ხდება (აქვს თუ არა რეკვიზიტები, ხელმოწერა), მხოლოდ ამის შემდეგ შეისწავლიან მის შინაარსს. საეჭვო შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, რომ დოკუმენტი მომდინარეობს სწორედ მასზე ხელმომწერი პირისაგან. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დოკუმენტში ასახული ინფორმაციის თანაფარდობა მტკიცების საგანთან, უნდა შემოწმდეს, შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია მტკიცების საგანს, აგრეთვე უნდა შემოწმდეს დოკუმენტის შინაარსის შესაბამისობა საქმეში არსებულ სხვა ცნობებთან, უნდა შევაპირისპიროთ დოკუმენტები სხვა მტკიცებულებებთან.

§9. ნივთიერი მტკიცებულება

ნივთიერი მტკიცებულებაა ნებისმიერი ის ნივთი, საგანი, რომელსაც თავისი ხარისხით, თვისებით, გარეგნული სახით, ცვლილებებით, განსაკუთრებული ნიშნებით, მასზე დატოვებული კვალით, თავისი არსებობით ან სხვა ნიშნებით შეუძლია დაადასტუროს ან უარყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იურიდიული ანდა მტკიცებულებითი ფაქტების (გარემოებების) არსებობა, ანუ იმ ფაქტებისა, რომლებიც აუცილებელია საქმის სწორად გადასაწყვეტად.

ნივთიერი მტკიცებულებების დახმარებით სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს შეუძლია დაადგინოს მიყენებული ზიანის ოდენობა (მოცულობა), მიწოდებული პროდუქციის ხარისხი, შეკვეთის შესრულების ხარისხი და ა.შ.

სრულიად სხვადასხვა საგანი შეიძლება იყოს ნივთიერი მტკიცებულება. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ნივთი ქონების განზრახ დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეში; მოპასუხის მიერ დაზიანებული საყოფაცხოვრებო ნივთები, საგნები. ნივთიერი მტკიცებულებაა მიწის ნაკვეთი, რომელზეც დატოვებულია, ვთქვათ, ნათესის განადგურების კვალი. ვალის გადახდევინების საქმეზე ნივთიერი მტკიცებულებაა, მაგალითად, ხელწერილი, რომელსაც ატყვია მასში შეტანილი შესწორების კვალი (ნიშნები), ანუ საუბარია გაყალბებულ დოკმენტზე. ნივთიერ მტკიცებულებად საქმეში, შესაძლოა, ფიგურირებდეს აგრეთვე ფოტოები, ანაბეჭდები, მაგალითად, შენობის გაყოფის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად გამოიყენება შენობის გადაკეთებამდე გადაღებული ფოტო. დოკუმენტი (საბუთი) მაშინ არის ნივთიერი მტკიცებულება, როცა ფაქტებს (გარემოებებს) ადასტურებს არა თავისი შინაარსით, არამედ გარეგნული სახით და გარეგნული ნიშნებით. მაგალითად, დაბადების მოწმობა, რომელიც ადასტურებს პირის დაბადების ფაქტსა და დროს, წერილობითი მტკიცებულებაა, მაგრამ, თუ მას ატყვია გაყალბების კვალი, მაშინ ის გადაიქცევა ნივთიერ მტკიცებულებად, რამეთუ იგი ადასტურებს გაყალბების ფაქტს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ინტერესდება ამ დოკუმენტის გარეგნული თვისებებით.

გარდა ამისა, დოკუმენტი, რომელიც ნივთიერ მტკიცებულებად უნდა იქნეს გამოყენებული, შეუცვლელია იმის გამო, რომ გააჩნია ინდივიდუალური თავისებურებანი, ხოლო წერილობითი მტკიცებულება შეიძლება შეიცვალოს სხვა მტკიცებულებით.

ნივთიერი მტკიცებულების შინაარსია ის ცნობები ფაქტების შესახებ, რომელთაც სასამართლო აღიქვამს უშუალოდ ვიზუალურად, ანდა დასახმარებლად მიმართავს ექსპერტს, რომელმაც უნდა დაადგინოს ნივთიერი მტკიცებულების შინაარსი (მაგალითად, ამოფხეკისა და ამოშლის, დოკუმენტის შესწორების, სტანდარტისადმი პროდუქციის ხარისხის შეუსაბამობის ფაქტები).

სამოქალაქო პროცესში გამოკვეთილია საგნების (ნივთების) სამი ჯგუფი, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ ნივთიერ მტკიცებულებებს:

1) სარჩელის მატერიალური ობიექტი (იგულისხმება ქონება, რომელსაც მოითხოვს მოსარჩელე, სადავო საცხოვრებელი ფართი და ა.შ.). მოცემულ შემთხვევაში მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ისეთ თვისებებს, როგორიცაა: ქონების ფასი, ხარისხი, მოცულობა, ქონების არსებობა;

2) უხარისხო პროდუქცია, გაფუჭებული ნივთები, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს სასაქონლო თვისებები და სხვ. ამ მტკიცებულებებით შეიძლება დადასტურდეს როგორც საკუთრივ მათი სამომხმარებლო ღირებულება, ასევე ის, თუ რა ინტენსივობისა იყო მოპასუხის ანდა მოპასუხის მხარეზე ჩაბმული მესამე პირის არამართლზომიერი საქმიანობა (რომლის შედეგიცაა ნივთიერ მტკიცებულებათა ამგვარი მდგომარეობა);

3) ყალბი დოკუმენტები, აგრეთვე ოფიციალური ორგანოების მცდარი აქტები.

ცხადია, კანონში არ შეიძლება იყოს მოცემული იმ საგნების (ობიექტების) ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, შეიძლება გამოვიყენოთ სამოქალაქო პროცესში. ზოგადად, ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი, რომელიც თავისი თვისებით, ხარისხითა თუ არსებობით წარმოადგენს საქმის გარემოებათა დადგენის საშუალებას.

ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება პროცესში წარმოადგენდეს საკუთრივ მტკიცებულებას და, ამასთან, როგორც მტკიცებულებას, ისე დავის ობიექტსაც.

ყველა ნივთიერი მტკიცებულება საყურადღებოა, პირველ ყოვლისა არა შინაარსით, როგორც, ვთქვათ, წერილობითი მტკიცებულება, არამედ თავისი თვისებებით (გარეგნული შესახედაობით, ცვლილებებით, არსებობით, ვინმეზე კუთვნილებით). სწორედ ამიტომ ისინი შეუცვლელია როგორც მტკიცებულება და საგულდაგულოდ უნდა იქნეს შენახული (ნივთიერი მტკიცებულება ინახება საქმეში ან საგანგებო აღწერის სიით ჩაბარდება სასამართლოს ნივთიერ მტკიცებულებათა შესანახ კამერაში – 160-ე მუხლი).

ნივთიერ მტკიცებულებებს შემდეგ შემთხვევებში აქვთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა:

1) თუ ისინი უშუალო სასამართლო შემეცნების ობიექტს წარმოადგენენ. მაგალითად, საქმის განხილვის დროს სასამართლო ათვალიერებს მხარეების მიერ წარმოდგენილ ნივთებს და უშუალოდ რწმუნდება მათ უხარისხობაში და ა.შ.;

2) თუ მათ აქვთ მტკიცებულებითი ფაქტის მნიშვნელობა (მაგალითად, ნივთის არსებობა მოპასუხის ხელთ, შესაძლოა, ადასტურებდეს სამართალდარღვევის ფაქტს);

3) თუ ისინი საექსპერტო გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენენ.

ნივთიერ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებელის დასასაბუთებლად. ის, ვინც ამა თუ იმ საგანს წარადგენს ნივთიერი მტკიცებულების სახით ან შუამდგომლობს მისი გამოთხოვის შესახებ, ვალდებულია აღნიშნოს, საქმის რა მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მან, ვინც აღძრავს შუამდგომლობას ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, არა მხოლოდ უნდა აღწეროს მოცემული ნივთი, არამედ უნდა მიუთითოს ის მიზეზებიც, რომელთა გამოც მხარემ ვერ შეძლო მათი დამოუკიდებლად და დაუბრკოლებლად მიღება, აგრეთვე საფუძველიც, თუ რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა. მოსამართლეს უფლება აქვს ასეთ დროს შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ხელზეც მისცეს მტკიცებულების გამოთხოვის განჩინება, რომლითაც ამ პირს უფლება ექნება მიიღოს გამოთხოვილი მტკიცებულება შემდგომში სასამართლოში წარმოსადგენად (ასეთი უფლების მინიჭებაზე მინიშნებულია 155-ე მუხლის ბოლო წინადადებაში).

ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის განჩინებაში, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება. ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვა ხდება სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანით.

როგორც წერილობითი მტკიცებულებების, ისე ნივთიერი მტკიცებულებების მიმართაც გათვალისწინებულია სანქციები, ანუ პირთა პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შეასრულებენ მტკიცებულებათა წარდგენის მოვალეობას. კერძოდ, საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლში აღნიშნულია, რომ, თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ ეს მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის ხელთ არსებული ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე. ამ ნორმის ანალიზიდან გამომდინარეშეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ფაქტი ასეთ შემთხვევაში დად-

გენილად ითვლება და სასამართლოს შეუძლია დაეფუძნოს შუამდგომლობის აღმძვრელი პირის ახსნა-განმარტებებს თუ მეორე მხარე ვერ შესძლებს ამ ფაქტის უარყოფას.

კანონი იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც არა აქვთ შესაძლებლობა წარადგინონ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება ან წარადგინონ იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, აკისრებს ვალდებულებას აცნობონ სასამართლოს ამის შესახებ. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია 156-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ პირებს განუსაზღვროს დამატებითი ვადა მტკიცებულებათა წარმოსადგენად. დამატებითი ვადის განსაზღვრას მაშინ აქვს აზრი, როცა შესაბამის პირს არ შეუძლია გამოთხოვილი მტკიცებულების წარდგენა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში.

შეუტყობინებლობის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მოთხოვნა ნივთის წარდგენის შესახებ არ შესრულებულა არასაპატიო მიზეზით, სასამართლო აჯარიმებს შესაბამის ფიზიკურ პირს ან იურიდიული პირის თანამდებობის პირს.

დაჯარიმება არ ათავისუფლებს აღნიშნულ პირებს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ნივთის წარდგენის მოვალეობისაგან. ნივთიერი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს ამ პირებს პირველი ჯარიმის სამმაგი ოდენობით.

სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს მხოლოდ საქმესთან დაკავშირებული ნივთიერი მტკიცებულებანი, რომლებიც თავიანთი თვისებების, ასევე მოცულობის გათვალისწინებით შეიძლება წარმოდგენილ (მიტანილი) იქნეს სასამართლოში. სასამართლოს განჩინება, რომელიც უფლებას ანიჭებს მხარეს მიიღოს ნივთიერი მტკიცებულება, გაიცემა იმ შემთხვევაში, როცა გამოთხოვილი ნივთი არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი ღირებულების საგანს და როცა მტკიცებულების გამოთხოვის ამგვარი საშუალება ხელს უწყობს (ეხმარება) სასამართლოს სწრაფად მიიღოს მტკიცებულება.

ნივთიერი მტკიცებულება, ყოველთვის როდია ხელსაყრელი (მოსახერხებელი) სასამართლო პრაქტიკაში გამოსაყენებლად. იგი შეიძლება იყოს დიდი მოცულობის, არატრანსპორტაბელური ნივთები, რომლებიც საჭიროებენ შენახვის განსაკუთრებულ რეჟიმს (იხილეთ 160-ე მუხლი). ამიტომ ისინი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უბრუნდება მფლობელს (მათ წარმდგენ პირს), ანდა გადაეცემა იმას, ვისაც სასამართლომ მიაკუთვნა უფლება ამ ნივთზე (მუხლი 161-ე).

სამოქალაქო პროცესში ასევე გათვალისწინებულია:

1) წარმოებული მტკიცებულებების ფართო სპექტრი;

2) იმ ნივთების ადგილზე დათვალიერება, რომელთა მიტანაც სასამართლოში შეუძლებელია.

ამიტომ საგნების (ნივთიერი მტკიცებულებების) ნაცვლად სასამართლო სხდომაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს მათი ფოტოები, ნახაზები, აღწერილობა (მტკიცებულება დაწვრილებით უნდა აღიწეროს, ხოლო თუ ეს აუცილებელია, ფოტოგრაფირებულ იქნეს და დაილუქოს), აუდიო, ვიდეოჩანაწერი, ნახატები, ტვიფარი, ექსპერიმენტული ნიმუშები და სხვა (160-ე მუხლი). პრაქტიკულად იმ წარმოებული მტკიცებულებების გამოყენების თვალსაზრისით, რომლებიც ცვლიან პირველად ნივთიერ მტკიცებულებებს, არ არის დადგენილი რაიმე შეზღუდვა.

ინფორმაციის მიღების, ე.ი. ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმების (გამოკვლევის) საშუალებაა მათი დათვალიერება. თუ ნივთიერ მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენა ძნელი ან შეუძლებელია, სასამართლოს, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს მათი ადგილზე დათვალიერება, რის შესახებაც გამოაქვს განჩინება. თუ საქმეს სასამართლო კოლეგიურად იხილავს, ადგილზე დათვალიერების მოვალეობა, ამ სასამართ-

ლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთ მოსამართლეს. ფაქტების კონსტატაციის მიზნით ადგილზე დათვალიერების ჩატარება სასამართლომ შეიძლება დაავალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. დათვალიერება წარმოებს დათვალიერების საერთო წესებით (იხილეთ 120-126-ე მუხლები). დათვალიერება შეიძლება წარმოებდეს როგორც სასამართლო სხდომის დარბაზში, ისე ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, თუ სიდიდის ან სხვა მიზეზით ნივთის უშუალოდ სასამართლოში მიტანა ძნელი ან შეუძლებელია. აუცილებელია მალფუჭებადი ნივთების ადგილზე დათვალიერება.

ადგილზე დათვალიერება არსებითად არაფრით არ განსხვავდება სასამართლოს სხდომის დარბაზში ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევისაგან. დათვალიერების შედეგები აისახება სასამართლო სხდომის ოქმში.

ნივთიერი მტკიცებულებები წარედგინება მხარეებს და მათ წარმომადგენლებს. მათ შეუძლიათ გაეცნონ დათვალიერების ოქმებს. მხარეებს შეუძლიათ მისცენ ახსნა-განმარტებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამ ნივთიერ მტკიცებულებათა (მათი თვისებების) თუ მათი დათვალიერების ოქმების შესახებ. ანუ სასამართლო ართმევს მხარეებს ახსნა-განმარტებებს ამ მტკიცებულებაში არსებული ფაქტობრივი მონაცემების ირგვლივ. მას შეუძლია წარუდგინოს ნივთიერი მტკიცებულება მოწმეს, თუ ეს აუცილებელია მტკიცებულებებში არსებულ წინააღმდეგობათა დასადგენად (გამოსავლენად), ანდა ფაქტების უტყუარად დასადგენად. მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს ყურადღება მიაქციონ დასათვალიერებელი მტკიცებულების ამა თუ იმ მხარეზე.

მხარეებს შეუძლიათ მთავარ სხდომაზე იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით დაინიშნოს ექსპერტიზა, როცა საჭიროა სპეციალური ცოდნა ნივთიერი მტკიცებულების შინაარსის დასადგენად, თუ ასეთი შუამდგომლობა საპატიო მიზეზით არ იყო მათ მიერ აღძრული საქმის მომზადების სტადიაზე. ასეთი შუამდგომლობა არ შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის დანიშვნა ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით სასამართლოს თავისი ინიციატივითაც შეუძლია (158-ე მუხლი).

დათვალიერების ოქმს შეიძლება დაერთოს დათვალიერების დროს შედგენილი ან შემოწმებული გეგმები, ნახაზები, სქემები, გაანგარიშებანი, დოკუმენტის ასლი, წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა ფოტოსურათები, აგრეთვე ექსპერტის დასკვნა და წერილობით ფორმაში გადმოცემული სპეციალისტის კონსულტაცია.

გამოთხოვილ ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვა ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით. საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლი ადგენს შენახვის წესს, რაც უზრუნველყოფს წარდგენილი, ანდა გამოთხოვილი ნივთების შენახვას, კერძოდ:

ნივთიერი მტკიცებულებები ინახება საქმეში ან საგანგებო აღწერის სიით ჩაბარდება სასამართლოს ნივთიერ მტკიცებულებათა შესანახ კამერაში. ნივთები, რომელთა მიტანაც შეუძლებელია სასამართლოში, ადგილზე ინახება. ისინი დაწვრილებით უნდა იქნეს აღწერილი, ხოლო თუ ეს საჭიროა – ფოტოგრაფირებული და დალუქული. სასამართლო იღებს ზომებს ნივთების უცვლელ მდგომარეობაში შესანახად.

თუ ნივთიერი მტკიცებულებაა თვითონ სადავო ქონება, მის შენახვას ხელს უწყობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება ყადაღის სახით.

წარდგენილი ან სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულებების დაბრუნების საპროცესო წესი განისაზღვრება რიგი გარემოებებით, კერძოდ: ნივთის ხარისხით, თვისებით (ვთქვათ, მალფუჭებადია), ასევე იმით, რომ ნივთი შეიძლება ამოღებული იყოს სამოქალაქო ბრუნვიდან (ოქრო, პლატინა, ვერცხლი, ალმასი), ასევე ნივთის კუთვნილებით.

მალფუჭებად პროდუქტებსა და ნივთებს დაუყოვნებლივ ათვალიერებს სასამართლო მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით (იხ. 109-119-ე მუხლები) და საქმის მომზა-

დების წესით (203-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტი), რის შესახებაც დგება ოქმი, რომელშიც დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ნივთის სასამართლოსთვის საინტერესო ფაქტობრივი მონაცემები (ნიშნები, თვისებები): ამ საპროცესო მოქმედებების შესრულების შემდეგ ნივთები უბრუნდებათ იმ პირებს, რომელთაგანაც ისინი მიიღო სასამართლომ. თუ ნივთები ვერ დაუბრუნდება მფლობელს (მალფუჭებადობის გამო), მაშინ უნდა მოხდეს მათი სარეალიზაციოდ გადაცემა. რეალიზაციის შემდეგ მფლობელს დაუბრუნდება გაყიდული ნივთების ღირებულება, ანდა იმავე ხარისხისა და გვარის (სახის) საქონელი.

სამოქალაქო საქმეში უნდა არსებობდეს ნივთების გადაცემისა და სარეალიზაციოდ მათი მიღების ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტები.

სხვა ნივთიერი მტკიცებულებები სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უბრუნდებათ მათ წარმდგენ პირებს ან გადაეცემა იმ პირს, რომელსაც სასამართლომ მიაკუთვნა უფლება ამ ნივთზე.

ნივთი, რომელიც არ შეიძლება იყოს ფიზიკური პირის მფლობელობაში, გადაეცემა სათანადო სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას. როგორც გამონაკლისი ნივთიერ მტკიცებულებათა დაბრუნების ზოგადი წესიდან, ცალკეულ შემთხვევებში ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს მიერ მისი შემოწმებისა (დათვალიერების) და გამოკვლევის შემდეგ შეიძლება საქმის დამთავრებამდე (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე) დაუბრუნდეს მის წარმდგენ პირს. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ნივთის წარმდგენი შუამდგომლობს მისი დაბრუნების შესახებ.

ნებისმიერ შემთხვევაში, ნივთიერი მტკიცებულების დაბრუნებას (მისი დაბრუნების შუამდგომლობის დააკმაყოფილებას) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ პირობით, რომ ეს ზიანს არ მიაყენებს საქმის განხილვას, ანუ ხელს არ შეუშლის მტკიცებულებათა ობიექტურ გამოკვლევას და საქმის გარემოებათა დადგენას, აგრეთვე, როცა ეს არ გახდება დამაბრკოლებელი ფაქტორი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის მათ მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესამოწმებლად.

თუ დათვალიერება სწარმოებდა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის, საქმის მომზადების ან სხვა სასამართლოს მიერ სასამართლო დავალების შესრულების წესით, მაშინ ამ გზით მიღებული ოქმები, რომლებიც თავის მხრივ, წერილობითი მტკიცებულებებია, განიხილება და მოწმდება საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომაზე სსსკ-ის 225-ე მუხლით დადგენილი წესით. ხოლო, თუ ოქმები არ განხილულა და შემოწმებულა კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს უფლება არა აქვს გადაწყვეტილებაში დაეყრდნოს (მიუთითოს) ნივთიერ მტკიცებულებებს.

ექსპერტი ის ადამიანია, რომელსაც ფიქრი არ სჭირდება,
რადგან იცის თავისი საქმე!
ფრიდრიხ რაიტი

****

ხელმოწერა განუმეორებელია, როგორც თავად ადამიანი და
ზოგჯერ ამეტყველდება იმაზე, რაზეც ადამიანი დუმს.
შტეფან ცვაიგი

§10. ექსპერტის დასკვნა

მტკიცებულებათა გამოკვლევისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესში შეიძლება აუცილებელი გახდეს ფაქტებისა და გარემოებების შესახებ ცნობების კვალიფიციური სპეციალისტებისაგან მიღება. მაგალითად, შრომისუნარიანობის დაკარგვის პროცენტი, დაზიანებული ავტომანქანის ცვეთის ხარისხი, მუსიკალურ ნაწარმოებში პლაგიატორობის, ან წარმოდგენილ დოკუმენტში სიყალბის არსებობა და ა.შ. შეიძლება დაადგინოს ექსპერტმა, ანუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელოსნობის იმ სფეროს სპეციალისტმა, რომლის ცოდნაც აუცილებელია მოცემულ კონკრეტულ საქმეში.

სამოქალაქო პროცესში ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს მცოდნე პირის (ექსპერტის) დასკვნას ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ხელოსნობის სფეროში. ამიტომ, თუ საქმის განხილვის პროცესში წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომელთა განმარტებაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ხელოსნობის სხვადასხვა სფეროში, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობითაც დანიშნოს ექსპერტიზა (162-ე მუხლი) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. სსსკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს უფლებამოსილება დანიშნოს ექსპერტიზა, გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპიდან და სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილებების გამოხატულებას წარმოადგენს. დისკრეციული უფლებამოსილებანი აუცილებელია მართლმსაჯულების განსახორციელებლად. სსსკ-ის 215-ე მუხლთან და 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან სისტემური კავშირის გათვალისწინებით, მოცემული ნორმა არ გულისხმობს და არ აძლევს სასამართლოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე თვითნებურად უარის თქმის უფლებას, თუკი იმ გარემოებებს, რომელთა დადგენასაც ითხოვს საქმის მონაწილე პირი, მნიშვნელობა აქვთ სამოქალაქო საქმის გადასაწყვეტად. სასამართლოს უფლება აქვს დააკმაყოფილოს შუამდგომლობა ან პირიქით, უარი თქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს ამგვარი უფლება უკავშირდება მხოლოდდამხოლოდ კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და გამოკვლევას და საპროცესო კანონით განეკუთვნება საერთო იურისდიქციის სასამართლოს კომპეტენციას.

მხარეს შეუძლია სასამართლოსაგან დამოუკიდებლად უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს სასამართლოში საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე. სარჩელის (შესაგებელის) წარდგენისას მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას ექსპერტის დასკვნა მხარემ შეიძლება წარმოადგი-

ნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე მისთვის ექსპერტის დასკვნის წარდგენის საჭიროება ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და ასეთი საფუძველი წარმოიშვა ამ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა საქმის მომზადების სტადიაზე. მხარის მიერ ექსპერტის დასკვნის წარმოუდგენლობა არ შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი. სასამართლოს შეუძლია მხარეს დაუნიშნოს ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად.

ექსპერტიზა არის სასამართლოს მიერ ექსპერტისათვის წარდგენილი ობიექტების გამოკვლევა (გამოკვლევის პროცესი), რომელსაც ატარებს ექსპერტი სპეციალური ცოდნისა და მეცნიერული კვლევის საფუძველზე, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ ცნობების მისაღებად. ცხადია, ექსპერტიზა ტარდება საპროცესო კანონით დადგენილი წესების დაცვით. ექსპერტიზა წარმოადგენს მეცნიერულ მეთოდს, რომლის დახმარებითაც მოსამართლე, რომელსაც არა აქვს სპეციალური ცოდნა, აანალიზებს საქმის გარემოებებს და კავშირს ამ გარემოებებს შორის. ექსპერტიზა საქმის გარემოებების საექსპერტო გამოკვლევის პროცესია.

ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება ყალიბდება საქმის ცალკეული ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევის შედეგად.

მცოდნე პირს, რომელსაც სპეციალური ცოდნა აქვს ზემოაღნიშნულ სფეროებში და რომელმაც სასამართლოს განჩინების საფუძველზე უნდა ჩაატაროს ექსპერტიზა, სასამართლო ექსპერტი ეწოდება.

სასამართლო მტკიცებულებაა არა ექსპერტიზა, როგორც მტკიცებულებათა გამოკვლევის, ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება (ხერხი), არამედ სასამართლო მტკიცებულებაა ექსპერტიზის საფუძველზე შედგენილი ექსპერტის დასკვნა.

ექსპერტის საპროცესო მდგომარეობა შეუთავსებელია სასამართლოს წევრის, პროკურორის, მოწმის, თარჯიმნის, წარმომადგენლის, სასამართლო სხდომის მდივნის მდგომარეობასთან. აღნიშნული დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება, იყოს ობიექტური.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ექსპერტს შეუძლია განმარტება მისცეს (პასუხი გასცეს) მხოლოდ ფაქტის, მაგრამ არა სამართლის საკითხებზე დასმულ კითხვებზე.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო პროცესში არსებობს დებულება, რომ: მოსამართლეებმა იციან სამართალი (ჯერ კიდევ რომაელი იურისტები ამბობდნენ: jurus cor um legas – მოსამართლეებმა იციან კანონები) და ასევე, სამართლის გარდა, იციან სხვადასხვა სფეროს ელემენტარული საკითხებიც (აქვთ ელემენტარული ცოდნა სხვადასხვა სფეროში), მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რასთან დაკავშირებითაც უფლება აქვთ დამოუკიდებლად (თვითონ) ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრი.

რაც შეეხება სპეციალურ ცოდნას, რომელშიც სასამართლოს სჭირდება განმარტება, მასში პროცესი გულისხმობს ისეთ ცოდნას, რომელიც სცილდება სამართლებრივი ცოდნის ფარგლებს, ასევე სპეციალური ცოდნა სცილდება საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების (ჭეშმარიტებების) ფარგლებს, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანთა გამოცდილებიდან და ეფუძნებიან მას.

სამოქალაქო საპროცესო კანონში არ არის მოცემული სპეციალური ცოდნის ცნება. შეიძლება მხოლოდ დასახელდეს ის სფეროები, რომლებშიც საჭიროა ამ ცოდნის გამოყენება – ესაა მეცნიერება, ხელოვნება, ტექნიკა და ხელოსნობა. ამ საკითხის გარკვევა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ექსპერტიზის ჩატარება დაფუძნებულია სწორედ სპეციალურ ცოდნაზე, რომელიც აქვს ექსპერტსა თუ ექსპერტებს. აშკარაა, რომ ყველა სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან აქვს გარკვეული

სამუშაოს გამოცდილება, როდი შეიძლება დაინიშნოს ექსპერტად. სპეციალური ცოდნის კონკრეტული მოცულობა, რომელიც უნდა ჰქონდეს ექსპერტს, დამოკიდებულია ცოდნის მოცემული დარგის სირთულის ხარისხზე და იმ კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, რომელიც საექსპერტო გამოკვლევის საგანი გახდა.

ამიტომ სპეციალურ ცოდნაში იგულისხმება პროფესიონალური ცოდნის, ჩვევებისა და ოსტატობის ისეთი ერთობლიობა, რომელიც შეძენილია სპეციალური განათლების შედეგად ან(და) მუშაობის გამოცდილების შედეგად, შეესაბამება მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელოსნობის განსაზღვრული სფეროს განვითარების თანამედროვე დონეს და საკმარისია საექსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად და კომპეტენტური დასკვნის მისაცემად სასამართლოსათვის საინტერესო საკითხების შესახებ.

სპეციალური ცოდნა არ მიეკუთვნება იმ საყოველთაოდ ცნობილ, საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ცოდნას, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული, ე.ი. სპეციალური ცოდნა ეს ის ცოდნაა, რომელსაც პროფესიონალურ დონეზე ფლობს (რომელიც პროფესიონალურ დონეზე იცის) სპეციალისტების მხოლოდ ვიწრო წრე.

საქმის განხილვის დროს ექსპერტიზა არის სპეციალისტის მიერ სასამართლოსათვის გაწეული თავისებური კონსულტაციის სახე. თუმცა მტკიცებულება მხოლოდ ექსპერტის დასკნაა. სასამართლოსა და საქმისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საექსპერტო გამოკვლევის შედეგად გამოტანილ დასკვნებს (საექსპერტო გამოკვლევის შედეგებს).

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საექსპერტო დასკვნაში:

1) აისახება პრაქტიკით დადასტურებული მეცნიერული დებულება;

2) ხდება კონკრეტული საქმის გარემოებების კონსტატაცია;

3) დადგენილი მეცნიერული კანონზომიერებიდან გამომდინარე, ექსპერტს გამოაქვს დასკვნა მოცემულ კერძო შემთხვევასთან, განსახილველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმის მასალებთან მიმართებაში.

სამოქალაქო პროცესში ექსპერტიზა ტარდება მრავალი საკითხის განსამარტავად, კერძოდ: ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი შრომისუნარიანობის ხარისხის, ფსიქიკური სრულფასოვნების განსასაზღვრად (გასარკვევად); საქონლისა და პროდუქციის ხარისხის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის განსასაზღვრად, ასევე, ვთქვათ, იმისათვის, რომ განისაზღვროს თუ რამდენად არის შესაძლებელი უძრავი ქონების ნატურით გაყოფა და ა.შ.

სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს შეიძლება დაინიშნოს სხვადასხვა სახის (სხვადასხვაგვარი) ექსპერტიზა გამოსაკვლევი ობიექტისა და იმ საკითხის მიხედვით, რომლის გადასაწყვეტადაც აუცილებელია სპეციალური ცოდნის გამოყენება. ექსპერტიზის სახეები თავიანთი ხასიათით ისეთივე სხვადასხვაგვარი და მრავალრიცხოვანია, როგორც სპეციალური ცოდნის დარგები.

ამიტომ გამოყენებული სპეციალური ცოდნის ხასიათისდა მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ექსპერტიზის სახეების მხოლოდ მიახლოებითი ჩამონათვალი, კერძოდ, ეს ექსპერტიზებია: სასამართლო სამედიცინო, სასამართლო ფსიქიატრიული, სასამართლო ფსიქოლოგიური, კრიმინალისტიკური, საქონელმცოდნეობის, ბუღალტრული, სასამართლო-საამშენებლო, ფონოსკოპიური, ლიტერატურათმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის, ვეტერინარული, ბიოლოგიური, ეკონომიკური, აგრონომიული, სამეცნიერო-ტექნიკური, ხელნაწერის, გენეტიკური (რომელსაც უწოდებენ გენოდაქტილოსკოპიას) და სხვ.

ჩატარებული ექსპერტიზის ხარისხისა და ექსპერტიზის სირულის მიხედვით განასხვავებენ დამატებით და განმეორებით ექსპერტიზას.

ექსპერტის დასკვნას სასამართლოსათვის არა აქვს სავალდებულო მნიშვნელობა, არამედ მას სასამართლო აფასებს 105-ე მუხლით დადგენილი საერთო წესით. განსა-

კუთრებული ყურადღება სასამართლომ უნდა გაამახვილოს ექსპერტის კვალიფიკაციის დონეზე, ექსპერტის ობიექტურობაზე, ექსპერტის დასკვნის შესაბამისობაზე საქმის სხვა გარემოებებთან, ექსპერტისათვის გადაცემული მასალების საკმარისობაზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად ნათელია დასმულ შეკითხვებზე ექსპერტის პასუხები.

თუ ექსპერტის დასკვნის შეფასების შედეგად გაირკვა, რომ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული, ან იგი გაურკვეველია (ბუნდოვანია), სასამართლოს უფლება აქვს თავისი ინიციატივით დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა თუ არსებობს სსსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება დაევალება იმავე ექსპერტს ან ექსპერტებს.

თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს უფლება აქვს უარყოს ექსპერტიზის დასკვნა და თავისი ინიციატივით დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს თუ არსებობს სსსკ-ის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პირობები (173-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო უარყოფს ექსპერტის დასკვნას, მხედველობაშია მისაღები საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ სასამართლოს უარი ექსპერტის დასკვნის მიღებაზე უნდა დასაბუთდეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში.

ამდენად, დამატებითი ექსპერტიზა ინიშნება იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ადრე (მანამდე) არ იყო გადაწყვეტილი ან არასრულად იყო გადაწყვეტილი, ხოლო განმეორებითი – როცა ხელახლა განიხილება ის საკითხები, რომლებზეც, მართალია, უკვე გაცემულია პასუხები, მაგრამ ექსპერტის დასკვნები არსებითად ეჭვს იწვევს. დასკვნის განმარტების ან შევსების მიზნით სასამართლოს უფლება აქვს დაჰკითხოს ექსპერტი.

თუ საქმეში არსებობს რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა, სასამართლომ შეიძლება დაიბაროს როგორც პირველადი, ისე განმეორებითი ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტები. ამასთან, რამდენიმე ექსპერტის დასკვნას შორის წინააღმდეგობის არსებობა, ყოველთვის როდი მოითხოვს განმეორებით ექსპერტიზას, არამედ სასამართლოს შეუძლია დაჰკითხოს ექსპერტები და ამ გზით მიიღოს საჭირო და აუცილებელი ახსნა-განმარტებანი, მათი დასკვნების დამატებითი დასაბუთება.

განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა მოტივირებულ უნდა იქნეს. სასამართლომ განჩინებაში უნდა მიუთითოს, თუ პირველი ექსპერტიზის რომელი დასკვნა იწვევს ეჭვს, ასევე უნდა მიუთითოს საქმის ის გარემოებები, რომლებიც არ შეესაბამება ექსპერტის დასკვნებს.

კანონი ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების წესს სპეციალურ საექსპერტო (166-ე მუხლი) ან არასაექსპერტო დაწესებულებაში (167-ე მუხლი), მაგრამ სპეციალური საექსპერტო თუ არასაექსპერტო დაწესებულება როდია ექსპერტი (ექსპერტიზის სუბიექტი). ექსპერტი (ექსპერტიზის სუბიექტი) შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი (ან ფიზიკური პირები კომპლექსური ექსპერტიზის დანიშვნის დროს), მაგრამ არა ორგანიზაციები, რამეთუ მხოლოდ კონკრეტულ პირებს აქვთ სპეციალური ცოდნა და მხოლოდ ისინი შეიძლება იყვნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტები (ანუ იკისრონ პირადი პასუხისმგებლობა საექსპერტო დასკვნის სისწორეზე) ყალბი დასკვნის შედგენის შემთხვევაში. საპროცესო თვალსაზრისით, საექსპერტო დაწესებულება მხოლოდ შესაბამის დავალებათა გამანაწილებელია ექსპერტთა შორის, რომლებიც დასკვნას ადგენენ თავიანთი სახელით და პასუხსაც აგებენ ამ დასკვნის ხარისხზე. გარდა საექსპერტო დაწესებულებათა შტატიანი თუ შტატგარეშე თანამშრომლებისა, რომელთაც საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი სასამართლოს განჩინების საფუძველზე მიანდობს ექსპერტიზის ჩატარებას, ექსპერტად შეიძლება იყოს უშუალოდ სასამართლოს მიერ დანიშნული

ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც გააჩნია დასკვნის მისაცემად საჭირო (აუცილებელი) ცოდნა. ექსპერტს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ აფრთხილებს სასამართლო, ან სასამართლოს დავალებით სასამართლო-საექსპერტო სპეციალური დაწესებულების ხელმძღვანელი, თუ ექსპერტიზას ატარებს ამ დაწესებულების სპეციალისტი.

ექსპერტის დასკვნის ობიექტურობა და უტყუარობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია ექსპერტად დასანიშნი პირის სწორად შერჩევაზე. ამიტომ ექსპერტს წაეყენება გარკვეული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ექსპერტიზის მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებას და, მეორე მხრივ, დასკვნის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. ექსპერტად დანიშნული პირი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი სპეციალური ცოდნით, ე.ი. უნდა იყოს კომპეტენტური, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ხელოსნობის განსაზღვრულ სფეროში ავტორიტეტი.

ექსპერტის დასკვნის ობიექტურობა, მიუკერძოებლობა იმითაა უზრუნველყოფილი, რომ ექსპერტად არ შეიძლება დაინიშნოს ის, ვის მიმართაც სახეზეა სსსკ-ის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული აცილების საფუძვლები.

შესაბამისად, ექსპერტიზის დანიშვნის დროს 31-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ექსპერტი აცილებულ უნდა იქნეს (საპროცესო კოდექსის 31-ე და 35-ე მუხლები). ექსპერტი აცილებულ იქნება იმ შემთხვევაშიც, როცა გამომჟღავნდება მისი არაკომპეტენტურობა. ექსპერტის დანიშვნისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს, აქვს თუ არა ექსპერტს სპეციალური ცოდნა (განათლება), შესაბამისი სპეციალობით მუშაობის სტაჟი და ზოგიერთი სხვა პირობა, რაც აუცილებელია ექსპერტიზის ცალკეული სახისათვის. მაგალითად, ნივთიერი მტკიცებულების სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზა უნდა ჩაატაროს სასამართლოს ქიმიკოსმა, რომელსაც აქვს უმაღლესი ფარმაცევტული განათლება და სპეციალური მომზადება სასამართლო ქიმიის განხრით.

ექსპერტი სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობათა სუბიექტია და კანონით მინიჭებული აქვს ის აუცილებელი საპროცესო უფლებები, რაც საჭიროა მასზე დაკისრებულ მოვალეობათა (ამოცანათა) შესასრულებლად. ეს უფლება-მოვალეობები უზრუნველყოფენ ექსპერტის მიერ გამოკვლევის სათანადოდ ჩატარებას.

თავისი ბუნებით, ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება გავუთანაბროთ მოწმის ჩვენებას. მოწმედ პირი ხდება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. მოწმის ჩვენებას მნიშვნელობა აქვს იმ ინფორმაციის თვალსაზრისით, რომელსაც ის შეიცავს დასადგენი ფაქტების შესახებ და არა რაიმე შეფასების თვალსაზრისით. ექსპერტის დასკვნა კი სასამართლოსათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, როგორც ის წყარო, რომელიც შეიცავს სპეციალისტის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და ფაქტების ანალიზს და შეფასებას. ექსპერტიზის ჩატარება, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია მტკიცებულებათა შეფასებასთან, მაგრამ ექსპერტი არა მხოლოდ ამოწმებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს, არამედ აგრეთვე აფასებს კიდეც მათ. მოწმისაგან განსხვავებით, ექსპერტი, როგორც წესი, აღიქვამს არა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს, არამედ მტკიცებულებით ფაქტებს. ექსპერტის დასკვნის ფორმირების პროცესს წინ უსწრებს ექსპერტის მიერ აღქმული და გამოკვლეული მტკიცებულებების (ექსპერტიზის ობიექტების) ფორმირების პროცესი.

რაც შეეხება კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს, ექსპერტად დანიშნული პირი ვალდებულია წარმოებაში მიიღოს სასამართლოს მიერ მისთვის დავალებული (მინდობილი) ექსპერტიზა და ჩაატაროს წარდგენილი მასალებისა და დოკუმენტების სრული გამოკვლევა; მისცეს დასაბუთებული და ობიექტური დასკვნა მის წინაშე დასმული საკითხების შესახებ და გადაუგზავნოს ეს დასკვნა ექსპერტიზის დამნიშნავ სასამართლოს; გამოცხადდეს, როცა დაიბარებს მას სასამართლო, რათა პირადად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე და უპასუხოს ჩატარებულ გამოკვლევასთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვას.

ექსპერტიზასთან დაკავშირებული გარემოებების გამოსარკვევად ექსპერტს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და დაუსვას მხარეებსა და მოწმეებს შეკითხვები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დათვალიერებასა და შემოწმებაში, აგრეთვე სთხოვოს სასამართლოს მისთვის დამატებითი მასალების წარდგენა გამოსაკვლევად. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოები უშვებენ შეცდომებს და ექსპერტებს ავალებენ მტკიცებულებების შეგროვებას. ექსპერტს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი შრომის გასამრჯელო და საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურებაც (45-ე მუხლის 1ლ-ი და მე-2 ნაწილები). 176-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ექსპერტის გასამრჯელო განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ ექსპერტის აზრით სასამართლოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ხარჯები საგრძნობლად გაიზრდება დავის საგნის ღირებულებასთან შედარებით ან დიდად გადააჭარბებს წინასწარ განსაზღვრულ ხარჯებს, ექსპერტი ვალდებულია დროულად აცნობოს ამის შესახებ სასამართლოს. თუ არასაპატიო მიზეზით ექსპერტი არ გამოცხადდება სასამართლოში ან თავს აარიდებს დასკვნის მიცემას, ანდა მისცემს ყალბ დასკვნას, მის მიმართ გამოყენებულ იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ექსპერტს უფლება აქვს უარი თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ მისთვის გადაცემული მასალები საკმარისი არ არის, ან თუ მას არა აქვს სათანადო ცოდნა (კვალიფიკაცია) დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ექსპერტი მოვალეა აღნიშნული საფუძვლებით დასკვნის მიცემაზე უარი დაწვრილებით დაასაბუთოს.

თუ ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტი გამოარკვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთ გარემოებებს, რომელთა შესახებაც მას კითხვები არ ჰქონდა დასმული, ექსპერტს უფლება აქვს თავის დასკვნაში მიუთითოს ამ გარემოებებზე. ექსპერტს უფლება აქვს იშუამდგომლოს, რათა სასამართლომ ექსპერტიზის ჩატარებაში ჩართოს სხვა ექსპერტებიც.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვით კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის არსიდან გამომდინარე სასამართლო განხილვის გონივრული ვადის დაცვის შესახებ საკითხის განხილვისას არაერთხელ აღნიშნა, რომ ექსპერტიზის ჩატარების გამო სასამართლო განხილვის გაჭიანურებისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, რამეთუ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების ვალდებულებაა უზრუნველყონ ის, რომ ექსპერტებს გადაეცეთ ყველა საჭირო ინფორმაცია. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების ვალდებულებაა აგრეთვე ექსპერტიზის ჩატარების ვადების დაცვაზე კონტროლის განხორციელება. ევროპის სასამართლო სასამართლო განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებად მიიჩნევს ექსპერტიზის არადროულად დანიშვნას, საექსპერტო ორგანიზაციებისა და დაწესებულების არადროულად შერჩევას, ექსპერტიზის ჩატარების ზედმეტად გაჭიანურებას, ექსპერტიზის ჩატარების მკაცრად დადგენილი ვადებისა და ექსპერტიზის ჩატარებაზე შესაბამისი სასამართლო კონტროლის არარსებობას, შედარებითი გამოკვლევის ჩასატარებლად ექსპერტებისათვის საჭირო მასალებისა და დოკუმენტების არადროულად წარდგენას და სხვა. ევროპის სასამართლო მიიჩნევს, რომ დასახელებული გარემოებების არსებობისას ირღვევა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სასამართლო განხილვის მეტისმეტად გაჭიანურების გამო.

სასამართლო სხდომის შესავალ ნაწილში სასამართლო განუმარტავს ექსპერტს მის უფლება-მოვალეობებს.

ექსპერტი დასკვნას იძლევა წერილობითი ფორმით.

ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს საქმის განხილვის დროს ექსპერტს მისცეს წინადადება, რომ მან ზეპირი განმარტების საფუძველზე გამოთქვას აზრი ექსპერტიზის

დასკვნის შესახებ. ზეპირი განმარტება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, წაეკითხება ექსპერტს, რომელიც ხელს აწერს მას. ექსპერტის დასკვნა უნდა შეიცავდეს წარმოებული გამოკვლევის წერილობით აღწერას, გამოკვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და დასაბუთებულ პასუხებს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე (170-ე მუხლი). სხდომაზე არგამოცხადებული ექსპერტის დასკვნას აქვეყნებს მოსამართლე.

მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით (შუამდგომლობით) ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება სასამართლო სხდომაზე. მხარეებს უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, ხოლო დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით, ექსპერტს შეკითხვები შეიძლება მისცეს როგორც მხარემ, ისე სასამართლომ.

კანონით დადგენილია ექსპერტისათვის შეკითხვების მიცემის რიგითობა, კერძოდ, თუ ექსპერტიზა მხარის ინიციატივით დაინიშნა ექსპერტს პირველად ეკითხება ის, ვინც წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა და მისი წარმომადგენელი. სასამართლოს ინიციატივით დანიშნულ ექსპერტს პირველად ეკითხება მოსამართლე, რომელსაც უფლება აქვს ექსპერტს შეკითხვები დაუსვას მისი დაკითხვის ყოველ მომენტში (171-ე მუხლი).

ექსპერტის დასკვნა სტრუქტურულად სამი ნაწილისაგან, კერძოდ, შესავალი, კვლევითი და დასკვნითი ნაწილებისაგან შედგება.

შესავალ ნაწილში აღინიშნება (მიეთითება) ექსპერტიზის დასახელება, მისი ნომერი; განმეორებითია, დამატებითი, თუ კომპლექსური ეს ექსპერტიზა; ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოს დასახელება; ცნობები ექსპერტის შესახებ; ექსპერტიზაზე მასალების შემოსვლის თარიღი; ექსპერტიზის ჩატარების, წარმოების სამართლებრივი საფუძველი; ექსპერტიზაზე შემოსული მასალების დასახელება (ანუ კონკრეტული მონაცემები გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ) და ექსპერტის მიერ გადასაწყვეტად დასმული საკითხები.

კვლევით ნაწილში აღიწერება გამოკვლევის პროცესი და მისი შედეგები. ამ ნაწილში მოცემულია დადგენილი ფაქტების მეცნიერული ახსნა-განმარტება, ის მეცნიერული დებულება, რომლიდანაც გამოდიოდა ექსპერტი დასკვნის შედგენის დროს, დაწვრილებით აღიწერება ექსპერტის მიერ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის დროს გამოყენებული მეთოდები და ტექნიკური ხერხები.

დასკვნით ნაწილში ექსპერტი აყალიბებს თავის დასკვნებს, სასამართლოს მიერ დასმულ საკითხებზე (შეკითხვებზე) პასუხებს.

ექსპერტის დასკვნის შინაარსი უნდა ასახავდეს საექსპერტო გამოკვლევის მთელ მსვლელობას, კერძოდ: საექსპერტო დათვალიერებას (გასინჯვას), შედარებით გამოკვლევას, ექსპერიმენტს, ექსპერტიზის შედეგების შეფასებასა და დასკვნებს.

ექსპერტის დასკვნას წაეყენება სამი ძირითადი მოთხოვნა, კერძოდ:

1) კვალიფიციურობა (ექსპერტის დასკვნები უნდა ემყარებოდეს შესაბამის სპეციალურ ცოდნას);

2) გარკვეულობა, ანუ განსაზღვრულობა (დასკვნები უნდა იყოს კატეგორიული, ე.ი. დაუშვებელი უნდა იყოს ექსპერტის დასკვნის სხვადასხვაგვარი განმარტება);

3) მისაწვდომობა (დასკვნა ადვილად გასაგები უნდა იყოს მოსამართლისა და საქმის მონაწილეთათვის, აგრეთვე სასამართლოში მყოფი იმ პირებისათვის, რომელთაც სპეციალური განათლება არა აქვთ).[1]

ექსპერტის დასკვნის შემდეგ სახეებს განასხვავებენ: 1) კატეგორიული (დადებითი ანუ უარყოფითი დასკვნა); 2) სავარაუდო (საალბათო) დასკვნა; 3) ითვალისწინოს როგორც მხარეების, ისე ექსპერტად დანიშნული პირის მოსაზრებებს.

თუ ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების მისაღებად აუცილებელია მოწმის

[1] Сахнова Т.В. Экспертиза в суде по гражданским делом. М. 1997 გვ. 60

დაკითხვა, სასამართლოს შეუძლია გამოიძახოს და დაკითხოს იგი ექსპერტის მონაწილეობით. მხარეებს ეცნობებათ ამის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს მოწმის დაჰკითხვას. მხედველ ექსპერტის დასკვნა წარდგენილი მონაცემების საფუძველზე დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შეუძლებლობის შესახებ.

რაც შეეხება ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების შეგროვებას, ამ მასალებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტის ჩასატარებლად საჭირო მასალების წრეს განსაზღვრავს სასამართლო, რომელსაც შეუძლია გაითვალისწინოს, როგორც მხარეების, ისე ექსპერტად დანიშნული პირის მოსაზრებები. თუ ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების მისაღებად აუცილებელია მოწმის დაკითხვა, სასამართლოს შეუძლია გამოიძახოს და დაკითხოს იგი ექსპერტიზის მონაწილეობით. მხარეებს ეცნობებათ ამის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს მოწმის დაკითხვას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ წესით დაკითხული მოწმე არ თავისუფლდება სასამართლო სხდომაზე გამოცხადებისაგან და საქმის განხილვის დროს განმეორებით დაკითხვისაგან. მოწმის დაკითხვის თაობაზე დგება ოქმი, რომელიც დაერთვის საქმეს. თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად. თუ ექსპერტიზის ობიექტი სხვა პირთანაა და ეს პირი ახორციელებს ამგვარ ქმედებებს, მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა ამ პირს სასამართლოს განჩინებით დაევალოს ექსპერტის მითითებების შესრულება (169-ე მუხლი).

ექსპერტიზის დანიშვნის განჩინებაში აღინიშნება ექსპერტიზის საგანი, რომელზეც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, მასალები, რომელიც წარედგინება ექსპერტს გამოსაკვლევად, აგრეთვე მითითებულ უნდა იქნეს ექსპერტი და საექსპერტო დაწესებულება (163-ე მუხლი). როცა ეს აუცილებელია, ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.

რა იგულისხმება ექსპერტიზის საგანში? ექსპერტიზის საგანში იგულისხმება სასამართლოს მიერ ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები, რომლებზეც საჭიროა დასკვნა. გასათვალისწინებელია, რომ მხარეებს უფლება აქვთ წარუდგინონ სასამართლოს კითხვები, რომელთა დასმაც მათ სურთ ექსპერტიზის წინაშე, რომლებიც, მათი აზრით, უნდა განმარტოს ექსპერტმა, მაგრამ საბოლოოდ ექსპერტიზის საგანს (იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა) ექსპერტიზის დანიშვნის განჩინებაში განსაზღვრავს სასამართლო.

ექსპერტის გადასაწყვეტად შეიძლება დაისვას მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათის საკითხები, რომლებიც შეეხება ფაქტების არსებობას ან არარსებობას, ამ გარემოებების წარმოშობის მიზეზებს, ფაქტებს შორის კავშირის არსებობას ან არარსებობას და ა.შ. **დაუშვებელია ექსპერტის წინაშე იურიდიული საკითხების დასმა** (ვთქვათ, ბრალეულია თუ არა მოპასუხე მომხდარ უბედურ შემთხვევაში, ვინ უნდა აგოს პასუხი, ვინ უნდა იკისროს მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისისათვის პასუხისმგებლობა და სხვ.), რამეთუ სამართლებრივ (იურიდიულ) საკითხებს განიხილავს და წყვეტს მხოლოდ მოსამართლე. სასამართლოს განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ექსპერტის მიერ გადასაწყვეტი საკითხი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და არ უნდა შეეხებოდეს საქმის გარემოებების სამართლებრივ შეფასებას. მაგალითად, არასწორი იქნება საკითხის ასეთნაირად დასმა: „არის თუ არა კონკრეტული პირი ქმედუუნარო?“ ქმედუნარიანობის საკითხი იურიდიული საკითხია და მისი გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა, ხოლო ექსპერტის წინაშე საკითხი შემდეგზე უნდა დაისვას: „შეუძლია თუ არა კონკრეტულ პირს გაიგოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს მას?“

ექსპერტის წინაშე არ შეიძლება დაისვას საკითხები, რომლებიც არ მიეკუთვნება მის

სპეციალობას. ექსპერტისათვის წაყენებული ყველა საკითხი ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს მკაფიოდ (ნათლად) და გარკვევით.

ექსპერტიზის საგანი არ უნდა ავურიოთ საექსპერტო გამოკვლევის ობიექტში; ექსპერტიზის საგანია ის საკითხები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი კი არის ნივთი, რომელზეც კვალია დარჩენილი, საგანი, დოკუმენტი, კონკრეტული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც უნდა გამოიკვლიოს ექსპერტმა. მაგალითად, საკითხი იმის თაობაზე, თუ ვინ მოაწერა ხელი სავალო ხელწერილს, დოკუმენტს (მოპასუხემ თუ სხვა ვინმემ), არის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის საგანი. საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი კი იქნება ხელწერილი, წერილებისა და პიროვნების ხელმოწერის ნიმუშები, სხვა მასალები, რომელთა შესწავლაც აუცილებელია უტყუარი დასკვნის გამოსატანად.

ექსპერტისათვის წარდგენილი მასალების სისრულე მისი დასკვნის უტყუარობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამიტომ, როცა ექსპერტის აზრით მასალები არ არის საკმარისი დასკვნის გასაკეთებლად, მას უფლება აქვს სასამართლოს სთხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ უარი თქვას დასკვნის მიცემაზე.

სამოქალაქო პროცესში სასამართლომ შეიძლება დანიშნოს **კომპლექსური ექსპერტიზა**, როცა გამოსაკვლევი საკითხი (საქმის გარემოებათა დადგენა) განეკუთვნება ცოდნის რამოდენიმე სფეროს, ანუ, როცა გარემოებათა დადგენა მოითხოვს ისეთი გამოკვლევის ჩატარებას, რომლის დროსაც საჭიროა ერთბაშად ცოდნის სხვადასხვა სფეროს გამოყენება ან სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების გამოყენება ცოდნის ერთი სფეროს ფარგლებში. როცა საჭიროა კომპლექსური ექსპერტიზა, მაშინ ინიშნება რამდენიმე სხვადასხვა სფეროს ექსპერტი მის ჩასატარებლად.

კანონის თანახმად, როცა რამდენიმე ექსპერტია დანიშნული, მათ უფლება აქვთ ურთიერთშორის მოითათბირონ და ერთი საერთო დასკვნა წარუდგინონ სასამართლოს გარემოებათა შესახებ, თუ, რა თქმა უნდა, ისინი საერთო აზრს დაადგებიან ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით. ამ შემთხვევაში ყველა ხელს აწერს ამ ერთ დასკვნას, ხოლო ის, ვინც არ ეთანხმება დანარჩენ ექსპერტებს, ადგენს ცალკე დასკვნას ყველა ან ცალკეული საკითხის შესახებ, რომლებმაც უთანხმოება გამოიწვიეს (164-ე მუხლი).

კომპლექსური ექსპერტიზის გარდა, სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს აგრეთვე **კომისიური ექსპერტიზა**, რომელიც ინიშნება ცოდნის ერთი სფეროს ორი ან მეტი ექსპერტის მიერ საქმის გარემოებათა დასადგენად. შესაბამისად, გამოიყენება სსსკ-ის 164-ე მუხლი.

ექსპერტიზის ჩატარების ადგილს განსაზღვრავს სასამართლო (სსსკ-ის 165-ე მუხლი). ამ ნორმიდან გამომდინარე, გამოკვლევის ხასიათის მიხედვით ან იმის გამო, რომ გამოკვლევის საგნის წარდგენა სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია, ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს ან უშუალოდ სასამართლოში ან სასამართლოს გარეთ.

ექსპერტის დასკვნა უნდა შეიცავდეს ჩატარებული გამოკვლევის დაწვრილებით აღწერას, გამოკვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და დასაბუთებულ პასუხებს სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებზე (170-ე მუხლი).

თუ ექსპერტიზა დანიშნა სასამართლომ (მოსამართლემ) თავისი ინიციატივით მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის სტადიაზე, სასამართლოს უფლება აქვს 280-ე მუხლის „ე" პუნქტის საფუძველზე შეაჩეროს საქმე საექსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად.

ნებისმიერ შემთხვევაში (ნებისმიერ სტადიაზე) სასამართლო ვალდებულია დაიცვას მხარეთა უფლებები. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ მხარეებს უფლება აქვთ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან იმ კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც, მათი აზრით, შეიძლება დაევალოს (მიენდოს) ექსპერტიზის ჩატარება, ე.ი. მხარეებს უფლება აქვთ შესთავაზონ სასამართლოს ექსპერტად დასანიშნი პირის კანდიდატურები, რეკომენდაცია

გაუწიონ ექსპერტად კონკრეტულ პირს. სასამართლო კი ექსპერტის შერჩევის დროს უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებები; საბოლოოდ იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინ უნდა შეირჩეს ექსპერტად, ვის (რომელ ექსპერტსა თუ საექსპერტო დაწესებულებას) მიენდოს ექსპერტიზის ჩატარება, სასამართლოს (მოსამართლის) კომპეტენციაა. მხარეები კი სარგებლობენ ექსპერტის აცილების უფლებით.

სასამართლო ნიშნავს ექსპერტს მხარეთა მიერ რეკომენდებული სპეციალისტებიდან, ანდა მისთვის ცნობილი სპეციალისტებიდან.

როგორც ითქვა, იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტიზის ჩატარება მიენდობა სპეციალურ სასამართლო-საექსერტო დაწესებულებას, კონკრეტულ ექსპერტს ნიშნავს ამ დაწესებულების ხელმძღვანელი. მიუხედავად ამისა, საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობები მოცემულ შემთხვევაში წარმოიშობა სასამართლოსა და იმ კონკრეტულ პირს შორის, რომელსაც დაევალა (მიენდო) საექსპერტო გამოკვლევის ჩატარება, მაგრამ არა სასამართლოსა და საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს შორის.

სპეციალური საექსპერტო დაწესებულების სპეციალისტების მიერ გამოკვლევების ჩატარება სასამართლოს დავალებით უნდა განვიხილოთ როგორც სასამართლო ექსპერტიზა.

ექსპერტის დასკვნის გამოკვლევა თავისი არსით არის ის საპროცესო მოქმედებები, რომელთა მიზანია სასამართლოს მიერ ექსპერტის დასკვნიდან ფაქტების შესახებ ცნობების მიღება და ამ ცნობების დაყვანა პროცესის სხვა მონაწილეებამდე, რათა მათ აღიქვან ექსპერტის დასკვნაში ასახული ცნობები. სასამართლო ვალდებულია პირადად აღიქვას ექსპერტის წერილობითი დასკვნა, რათა სწორი შეფასება მისცეს მას გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

სასამართლოსა და საქმის მონაწილეთა მიერ ექსპერტის დასკვნის პირადად და უშუალოდ აღქმის საშუალებაა ექსპერტის დასკვნის გამოქვეყნება სასამართლო სხდომაზე (171-ე მუხლი).

ექსპერტის დასკვნის გამოკვლევის დროს სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, დაცულია თუ არა მხარეთა უფლებები ექსპერტიზის დანიშვნის დროს, კერძოდ კი: მიეცათ თუ არა მათ ექსპერტის წინაშე შეკითხვების დასმის შესაძლებლობა; იცნობდნენ თუ არა ისინი დასკვნას სასამართლო სხდომამდე, როცა ექსპერტიზა დაინიშნა საქმის მომზადების სტადიაზე.

ექსპერტის დასკვნის გამოკვლევის საპროცესო წესის მიზანია ამ მტკიცებულების დეტალურად შესწავლა. დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, მისი შევსებისა და განმარტების მიზნით, ექსპერტს შეიძლება შეკითხვები დაუსვას საქმის ყველა მონაწილემ.

ექსპერტის დასკვნა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სპეციალურად ჩატარებული (წარმოებული) გამოკვლევის შედეგია. ამ დასკვნაში ასახული ფაქტების ნამდვილობის (უტყუარობის) გარანტიები საკმაოდ მაღალია (დიდია).

თუმცა ეს გარემოება იმის საფუძველს როდი გვაძლევს, რომ ექსპერტის დასკვნა „განსაკუთრებულ" მტკიცებულებად მივიჩნიოთ, რომელიც უპირობოდ უნდა გაიზიაროს სასამართლომ და რომელსაც უპირატესობა უნდა მიანიჭოს სხვა მტკიცებულებათა მიმართ. კანონი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკრძალავს მოსამართლეს იქონიოს ამგვარი შეხედულება ექსპერტის დასკვნაზე (ამ დასკვნის შეფასების დროს). კანონში ხაზგასმულია, რომ ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის არ არის სავალდებულო. მაგალითი: საზიარო უფლების გაუქმების საქმეზე ექსპერტმა დადებითი დასკვნა გამოიტანა საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობის შესახებ. ექსპერტის დასკვნაში მოცემული იყო, თუ როგორ შეიძლებოდა გაყოფილიყო მიწის ნაკვეთი და მასზე აშენებული ცხრა სხვადასხვა ნაგებობა. ეს დასკვნა ექსპერტმა შეადგინა ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ე.ი. გაყო როგორც დაკანონებული, ისე დაუკანონებელი შენობა-ნაგებობები. საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით კი სადავო მიწის ნაკვეთზე რეგისტირირებული იყო

მხოლოდ ხუთი შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ამონაწერის გაუთვალისწინებლად, მარტოოდენ ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით შეუძლებელია სადავო საკითხზე სწორი გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას, მაშინ ეს უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. ამრიგად, სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ექსპერტის დასკვნა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი მტკიცებულება არ არის განსაკუთრებული მტკიცებულება და უნდა შეფასდეს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებასთან ერთობლიობაში. სასამართლოს მიერ დასკვნის შეფასება სრულად უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

ამასთან, ექსპერტის დასკვნის შეფასების დროს სასამართლომ უნდა მიუთითოს, რას ეფუძნება ექსპერტის დასკვნები, გაითვალისწინა თუ არა ექსპერტმა ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ყველა მასალა და შესაბამისად გააანალიზა თუ არა ექსპერტმა ეს მასალები. შეამოწმოს, გამოიყენა თუ არა ექსპერტმა უახლესი მეთოდები და ჰქონდა თუ არა მას დასკვნის მისაცემად აუცილებელი მასალები.

დასკვნის შეფასების შედეგად სასამართლოს უფლება აქვს მიიჩნიოს, რომ: 1) დასკვნა სრულია და დასაბუთებული და შესაბამისად იგი საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას; 2) დასკვნა არასრულია ან გაურკვეველია და განჩინების საფუძველზე დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა; 3) დასკვნა დაუსაბუთებელია, საეჭვოა მისი სისწორე და დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა.

სასამართლოს უფლება აქვს არ დაეთანხმოს ექსპერტის დასკვნებს, არ დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და საქმე გადაწყვიტოს სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე.

კანონი ითვალისწინებს ფიცის დადებას ექსპერტის მიერ (175-ე მუხლი).

ექსპერტი ვალდებულია ექსპერტიზისათვის გამოყენებული ყველა მასალა და დოკუმენტი, დაუბრუნოს სასამართლოს ექსპერტიზის დასრულებისთანავე ან თუ სასამართლო ამას მოითხოვს, ან თუ არ ტარდება ექსპერტიზა.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა. მაგალითად, როცა უდავო წარმოების წესით იხილება საქმე ფსიქიკური აშლილობის გამო პირის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ, სასამართლო ვალდებულია დანიშნოს ექსპერტიზა, პირის ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, აგრეთვე ეს სავალდებულოა მაშინაც, როცა უნდა გადაწყდეს გამოჯანმრთელებულის ქმედუნარიანობის საკითხი. ასეთ შემთხვევებში ექსპერტის საქმეა განმარტოს, შეუძლია თუ არა პირს შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან განაგოს იგი, ხოლო ამ დასკვნის საფუძველზე კი სასამართლო გადაწყვეტს იურიდიულ საკითხს პირის ქმედუნარიანობა-ქმედუუნარობის თაობაზე. დაბოლოს, სასამართლო მტკიცების სუბიექტია სპეციალისტიც, მით უმეტეს, რომ მისი მონაწილეობა სამოქალაქო პროცესში გათვალისწინებულია კანონით (სსსკ-ის 204-ე, 214-ე, 123-ე, 124-ე და სხვა მუხლებით). სპეციალისტი თავისი სტატუსით განსხვავდება როგორც ექსპერტის, ისე მცოდნე მოწმისაგან. სპეციალისტი სპეციალური ცოდნისა და პროფესიული ჩვევების დახმარებით ავლენს და აფიქსირებს იმ ინფორმაციას, რომელთაც შეიცავს მის მიერ გამოსაკვლევი ობიექტი, აგრეთვე გამოთქვამს შეფასებით მოსაზრებებს საქმის განხილვის დროს წამოჭრილ საკითხებზე, მაგალითად, ქონების შეფასების ან დაზიანებული ნივთის რემონტის ღირებულების შესახებ.

პირი ვერ შეძლებს კომპეტენტური დასკვნის გამოტანას შესაბამისი ობიექტის დათვალიერების გარეშე, აგრეთვე თუ მას არ გააჩნია შესაბამისი სპეციალური ცოდნა.

საპროცესო ლიტერატურაში სწორადაა ყურადღება გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო პროცესში სპეციალისტის მონაწილეობის ინსტიტუტის არსებობა განპირობებულია (ნაკარნახევია) საპროცესო ეკონომიის პრინციპის მოქმედებით. სპეციალისტის მიერ სასამართლოსთვის გაწეული სამეცნიერო-ტექნიკური და საკონსულტაციო დახმარება

ოპერატიული ხასიათისაა და ხელს უწყობს სასამართლოსა და საქმის მონაწილეთა საპროცესო საშუალებებისა და ძალების ეკონომიას (ზოგავს მათ), რაც, საბოლოო ჯამში, რეალურად ამცირებს სასამართლოს წარმოებაში საქმის ყოფნის ვადებს.

სპეციალური ცოდნისა და ჩვევების გამოყენებით სპეციალისტი ეხმარება სასამართლოს იმ ნიშან-თვისებების გამოვლენაში, რომლებიც გააჩნიათ გამოსაკვლევ ნივთიერ მტკიცებულებებს და რომლებსაც, შესაძლოა, მნიშვნელობა ჰქონდეთ საქმის სწორად გადაწყვეტისთვის.

რაც შეეხება საქმეში სპეციალისტის მონაწილეობის საპროცესო ფორმებს, ანუ სასამართლოსთვის სამეცნიერო-ტექნიკური და საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენის ფორმებს, მათ მიეკუთვნება:

1) მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე, აგრეთვე ადგილზე დათვალიერების დროს;

2) სასამართლოსათვის საკონსულტაციო ხასიათის წერილობითი და ზეპირი დასკვნების წარდგენა, მაგალითად, დასკვნა ნივთის ღირებულების, მისი სამომხმარებლო თვისებების ან ტექნიკური თვისებების თავისებურებების, დაზიანებული ქონების რემონტის ღირებულების შესახებ და ა.შ.;

3) სასამართლოსთვის სამეცნიერო-საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენა ექსპერტიზის დანიშვნის დროს, აგრეთვე სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების პროცესში ექსპერტის დასკვნის შესწავლის დროს;

4) წერილობითი დასკვნის წარდგენა სააპელაციო სასამართლოში.

ამგვარი დასკვნის წარდგენა სააპელაციო სასამართლოში, განიხილება როგორც დამატებითი (ახალი) მასალების წარდგენა. ამასთან, სასამართლომ კრიტიკულად უნდა შეაფასოს სპეციალისტის დასკვნა და ცალმხრივად არ უნდა მიუდგეს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა ამგვარ დასკვნას სხვა მტკიცებულებებთან შედარებით.

სპეციალისტის დასკვნა ეფუძნება ორი კომპონენტის განუყოფელ ურთიერთკავშირს. ესენია: გამოსაკვლევი მტკიცებულება ან მატერიალური სამყაროს სხვა ობიექტი (მაგალითად, ცოცხალი პირი) და სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ცოდნით მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ხელოსნობის შესაბამის სფეროში. ასეთი ცოდნის წყალობით სპეციალისტი მის მიერ დათვალიერებული ობიექტებიდან იღებს სასამართლოსათვის საინტერესო ინფორმაციას, აგრეთვე იძლევა შესაბამის შეფასებებს (ქონების ღირებულების ან რემონტის ღირებულების შესახებ და სხვ.).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოს უნდა აინტერესებდეს არა თავისთავად პროფესიონალური ინფორმაცია, რომელიც გააჩნია სპეციალისტს, არამედ მხოლოდ შესაბამისი ობიექტების დათვალიერების შედეგად მოცემული დასკვნა სპეციალისტისა.

ამრიგად, ექსპერტისა და სპეციალისტის საქმიანობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში ხასიათდება როგორც მსგავსი, ისე არსებითი განმასხვავებელი ნიშნებით. ექსპერტად ან სპეციალისტად ხდება იმ პირთა ჩაბმა პროცესში, რომელთაც სპეციალური ცოდნა აქვთ მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკისა და ხელოსნობის შესაბამის სფეროში და ამასთან, არ არიან საქმის შედეგით იურიდიულად დაინტერესებულნი. სსსკ-ის 204-ე მუხლის 1^1 ნაწილით, სპეციალისტი შეიძლება მოწვეული იქნეს შესაბამისი დაწესებულებიდან. ამ შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებას იმის თაობაზე, თუ ამ დაწესებულების თანამშრომელთაგან რომელი უნდა გაიგზავნოს სპეციალისტად, რასაც აცნობებს სასამართლოს. ექსპერტიცა და სპეციალისტიც სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობათა სუბიექტები არიან. ისინი ეხმარებიან სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ექსპერტისა და სპეციალისტის საპროცესო მდგომარეობა ურთიერთისაგან იმით განსხვავდება, რომ მათ სხვადასხვა ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი პროცესში და მათი უფლება-მოვალეობების მოცულობაც განსხვავებულია ერთმანთისაგან; მათი საქმიანობა სხვადასხვა საპროცესო ფორმით წარიმართება; სრულიად სხვადასხვა სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ექსპერტისა და სპეციალისტის საქმიანობას.

ერთი და იმავე სამოქალაქო საქმის განხილვაში ერთბაშად მონაწილეობა შეიძლება მიიღოს როგორც სპეციალისტმა, ისე ექსპერტმა. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, თუ სპეციალისტის დასკვნები ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ ცოდნას, სასამართლოსა და საქმის მონაწილეთა ეჭვს იწვევენ. ექსპერტის დასკვნის დახმარებით აუცილებელ შემთხვევებში შეიძლება შემოწმდეს სპეციალისტის დასკვნის უტყუარობა და, პირიქით, სპეციალისტის დასკვნამ შეიძლება იქონიოს ამგვარი მნიშვნელობა ექსპერტის დასკვნის მიმართ.

§11 აუდიო და ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულებად გამოიყენება სამოქალაქო სამართალწარმოებაში

თანამედროვე პერიოდში სამოქალაქო პროცესში აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გამოყენების პრობლემა აქტუალობას იძენს, რაც განაპირობა ტექნიკის განვითარებამ. საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ბოლო რამდენიმე წელში შეტანილი ცვლილებები ნათელს ხდის იმ გარემოებას, თუ რამდენად გაიზარდა ტექნიკური საშუალებების როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებათა შესრულებაში, აღნიშნული ეხება საპროცესო მოქმედებების თაობაზე მხარეთა ინფორმირებას, მოწმეთა დაკითხვას, მხარისაგან ახსნა-განმარტების მიღებას (იგულისხმება მოწმის დისტანციური დაკითხვა, მხარისაგან ამავე წესით ახსნა-განმარტების მიღება და სხვა).

გარდაუვალია მტკიცებულებების შესახებ ნორმათა განახლებაც საინფორმაციო ტექნოლოგიების, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციის გაძლიერების, მისი დამოუკიდებლობის და შეჯიბრებითობის პრინციპზე (ეს პრინციპი პირველ ყოვლისა მხარეთა როლის და აქტიურობის გაზრდას გულისხმობს მტკიცების პროცესში) სამოქალაქო პროცესის აგების პირობებში. მტკიცების პროცესის და მტკიცებულებათა სისტემის დახვეწის საკითხში თანამედროვე ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის სრულყოფისა და განვითარების დონე, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მართლმსაჯულების დემოკრატიულობას და იმას, თუ რამდენად არის შესაძლებელი სამოქალაქო სამართალწარმოების მეშვეობით საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების რეალური დაცვა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებათა შესახებ კვლევებს.

ადამიანთა ცხოვრებაში ტექნიკის ფართოდ დანერგვა, ტექნიკის განვითარება და სამოქალაქო პროცესში სპეციალური შემეცნების გამოყენების შესაძლებლობის გაფართოება, შემეცნების ტექნიკური მეთოდების სრულყოფა განაპირობებს მტკიცებულებათა კატალოგის გაფართოების აუცილებლობას.

სინამდვილის მრავალი ფაქტის დაფიქსირება შეიძლება ფონოგრამის, ვიდეო ჩანაწერების და სხვა საშუალებების დახმარებით, თანაც ზოგჯერ ამ საშუალებებს ეძლევა ყველაზე უფრო „ძლიერი", უტყუარი მტკიცებულების ხასიათი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა, აუდიო და ვიდეო მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობაზე რაიმე დებულება არ არის მოცემული.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში დღემდე არ გამოკვლეულა აუ-

დიო და ვიდეო ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება. ამიტომ მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა სპეციფიკა აქვს აღნიშნულ მტკიცებულებებს, რა წესი უნდა იყოს დადგენილი მათი წარდგენის, ინფორმაციის ჩანაწერის პირობათა შემოწმების, ინფორმაციის ამსახველი შესაბამისი ტექნიკური საშუალებების შენახვის და დაბრუნებისათვის. აუცილებელია აგრეთვე განისაზღვროს, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ადგილი მტკიცებულებათა სისტემაში, კერძოდ, ისინი მიეკუთვნება დამოუკიდებელი, სხვა საგნობრივი მტკიცებულებებისაგან (წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებისაგან) ცალკე მდგომ, ცალკე სახის მტკიცებულებას თუ არა.

რაც შეეხება პრაქტიკას, სამოქალაქო საქმეებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკაში ცოტა ხნით ადრე მიეთითებოდა, რომ სსსკ-ის 102-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცების საშუალებების ჩამონათვალს (მტკიცებულებათა წრეს). ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ "საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქ (იგულისხმება სსსკ-ის 102-ე მუხლი) მითითებული მტკიცების ნებისმიერი საშუალება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა".[1] სხვა სამოქალაქო საქმეზე, 2010 წლის გადაწყვეტილებაში კი, უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია მტკიცებულებად აუდიო ჩანაწერის გამოყენება.[2]

საინტერესოა სასამართლოს მსჯელობა. კერძოდ, სასამართლომ ამ საქმეზე არ გაიზიარა კასატორის მსჯელობა საქმეში წარმოდგენილი აუდიოჩანაწერის (აუდიოკასეტის) დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის შესახებ. კასატორის პოზიცია ეფუძნებოდა სისხლის სამართლის საქმეზე აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის ფაქტს. სამოქალაქო საქმეთა საკასაციო პალატამ ეს საკითხი შემდეგნაირად განმარტა: სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ და განსხვავებულია მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებიც სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სისხლის სამართალში, სადაც ორივე დაპირისპირებული მხარე არ არის კერძო სამართლის სუბიექტი, გადამწყვეტია, რომ ბრალდების მხარემ ბოროტად არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება, არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები. საბოლოოდ, არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხიც სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე წესრიგდება. ამიტომ აქ ბრალდების მხარისათვის დაკისრებული მტკიცების სტანდარტი უფრო მკაცრია, ვიდრე დაცვის მხარისათვის. აღნიშნულის გამოხატულებაა ისიც, რომ სისხლის საპროცესო სამართალში ერთი და იგივე მტკიცებულება ერთ შემთხვევაში შეიძლება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვალოს, თუკი ბრალდების დასადასტურებლად გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა, თუკი განსასჯელის გამართლებას ემსახურება. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ასეთი პრობლემატიკა არ დგას, რამდენადაც აქ ურთიერთდაპირისპირებულია კერძო სამართლის სუბიექტები, რომელთაც თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები აქვთ თავის დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მიხედვით სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესით. სამოქალაქო საქმეს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ხოლო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სამოქალაქო საქმისწარმოება არ ხორციელდება. ამიტომ, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც სადავო აუდიო კასეტის მტკიცებულებად დაშვების საკითხი განსახილველ საქმეზე უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო ნორმების საფუძველზე. მოცემული აუდიო ჩანაწერი არ შეიცავს მხარეთა პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას,

[1] სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2008წ, №3, გვ. 75

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განჩინება საქმეზე №ას - 1154-1416-09

ისეთ კონფიდენციალურ ფაქტებს, რასაც დაუკავშირდებოდა მოსარჩელის სუბიექტური ინტერესი, რომ მისი საუბარი სხვა პირთათვის არ გახდეს ცნობილი[1]. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში მოცემულია აუდიოჩანაწერის განმარტებაც კერძოდ, სასამართლოს აზრით აუდიოჩანაწერი შეიძლება განიმარტოს, როგორც საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დამტკიცების საშუალება ხმის ან ხმოვანი სიგნალის სპეციალურ ტექნიკურ საშუალებაზე ფიქსაციის მეშვეობით. სასამართლომ მიუთითა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აუდიოჩანაწერს არ განიხილავს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ. მას მოიცავს ნივთიერი მტკიცებულების ცნება და განიხილება როგორც ნივთიერი მტკიცებულების ერთ-ერთი სახე. სასამართლოს აზრით საქმეში არსებული აუდიოჩანაწერი დასაშვები მტკიცებულებაა საქმეზე, რომელიც უნდა შეფასდეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და არ წარმოადგენს აღიარებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად. მოცემულ საქმეზე თანხის დაბრუნების საკითხის დასადასტურებლად საქმეში არსებული აუდიოკასეტის შეფასებამ საქმის მასალებთან ერთობლიობაში სასამართლოს მისცა სამართლებრივი დასკვნის გამოტანის საფუძველი.

ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ სსსკ-ს 102-ე მუხლი მტკიცებულებათა ამომწურავ ჩამონათვალს ადგენს და მტკიცებულების ცალკე სახედ არ გამოკვეთს აუდიო და ვიდეო მტკიცებულებებს, უზენაესმა სასამართლომ ისინი მიაკუთვნა ნივთიერ მტკიცებულებებს. ვფიქრობ, მტკიცებულებათა ამომწურავი ჩამონათვალის გამო, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ნივთიერი მტკიცებულებისადმი მიკუთვნება ხელოვნურია. ამგვარი მტკიცებულებების ცალკე სახედ გამოყოფა აუცილებელია. ამგვარ აუცილებლობას განაპიროებს აუდიო და ვიდეო მტკიცებულებების გამოყენების თავისებურება, მათი იურიდიული ბუნება (არსი), მათი ადგილი და მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში.

აუცილებელია ამ სახის მტკიცებულების პრაქტიკული მნიშვნელობის განსაზღვრა სამოქალაქო პროცესში, გარკვევა, თუ რა მნიშვნელობა აქვს აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, როგორც მტკიცებულებას სამოქალაქო სამართალწარმოებაში, არის თუ არა ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაცია მტკიცებულება, უნდა არსებობდეს თუ არა იგი სამართალწარმოებაში მტკიცების ცალკე სახედ, არის თუ არა სარწმუნო მათში ასახული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას, რა პირობების არსებობისას შეიძლება მათი გამოყენება, როგორ უკავშირდება ამ მტკიცებულებათა გამოყენებას სამოქალაქო უფლებათა განხორციელება, რა მნიშვნელობა აქვს აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს კონსტიტუციურ უფლებათა განხორციელების საქმეში.

აუდიო და ვიდეო ჩანაწერები მტკიცებულებათა დამოუკიდებელი სახეა და შესაბამისად, მოწესრიგებული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. მტკიცებულების ამ სახისათვის დამახასიათებელია მისი გამოთხოვის, გამოკვლევის, ინფორმაციის ასახვის, შენახვისა და დაბრუნების სპეციფიკური წესი.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მხარეები სთხოვენ სასამართლოს, რომ მან გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი მონაცემები, მაგრამ ეს ფაქტობრივი მონაცემები წარდგენილია კანონით გაუთვალისწინებელი ფორმით, მაგალითად ფონოგრამის ფორმით. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ფაქტების თაობაზე ცნობების მიღების მოცემულ საშუალებას არ მიიჩნევს მტკიცებულებად. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიძლება უვლიდეს გვერდს საზოგადოების სა-

[1] 2015 წლის 4 მაისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ას-1155-1101-2014 უარყოფითად წყვეტს აუდიომტკიცებულებების სამოქალაქო საქმეზე დასაშვებად მიჩნევის საკითხს, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი წინააღმდეგობრივი პრაქტიკის გამო საჭიროებს საკანონმდებლო მოწესრიგებას.

მეცნიერო-ტექნიკური განვითარების პროცესს, მითუმეტეს, რომ პრაქტიკა მათ ამკვიდრებს ცხოვრებაში.

,,ვიდეო ჩანაწერების მნიშვნელობა თანდათან იზრდება საზოგადოებისათვის. ადამიანთა უმრავლესობის შესაძლებლობაც მატულობს ჩაწერა განახორციელონ მათ გარშემო მომხდარ მოვლენათა და ქმედებათა შესახებ. ვიდეო ჩანაწერების მნიშვნელობა იზრდება სამართალშიც, ვინაიდან საზოგადოების მიერ განხორციელებული ვიდეო ჩანაწერების უმრავლესობა, ბაზისი (საფუძველი) ხდება სამოქალაქო და სისხლის სამართალში უფლებათა დაცვის კუთხით და გამოიყენება მტკიცებულებად პროცესში. ვიდეო მტკიცებულებას აქვს საიმედო მტკიცებულების ფასეულობა (ღირებულებითი მნიშვნელობა პროცესში), ვინაიდან სხვა მტკიცებულების არარსებობისას განიხილება ჭეშმარიტების დადგენის საშუალებად, ხოლო სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში ქმნის სანდო, უტყუარი, ჭეშმარიტი ვერდიქტის გამოტანის შესაძლებლობას. იმისათვის, რომ ვიდეო ჩანაწერები გამოყენებულ იქნეს საქმეზე მტკიცებულებად სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეზე ის კანონით დადგენილი წესების დაცვით უნდა იყოს მოპოვებული და კანონმდებლობის თანახმად უნდა განიხილებოდეს მტკიცების საშუალებად''.[1]

ზემოაღნიშნული მოსაზრების ავტორი ვიდეოს საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციას ყოფს წყაროების მიხედვით. ვიდეოს საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია ოთხ კატეგორიად იყოფა: 1. ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფარულ კამერებში და პოლიციის კაბინეტებსა და მანქანებში დამონტაჟებულ კამერებში; 2. მასმედიის საშუალებით გადაღებული ინფორმაცია, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენებზე; 3. მოხალისეთა, ადამიანთა მასების მიერ გადაღებული, აღბეჭდილი კადრები, რომლებიც მოვლენებსა და ქმედებებს ასახავს. ერთ-ერთი საქმე მოგებულ იქნა მოხალისის მიერ ვიდეოზე აღბეჭდილი კადრების მეშვეობით, სადაც პოლიციის მაღალჩინოსანმა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით დააპატიმრა მძღოლი, რაც მოხალისის კამერამ დააფიქსირა; 4. ფეისბუქის თუ სხვა საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია.[2]

როგორც ითქვა, ქართული სასამართლო პრაქტიკა აუდიო ჩანაწერს ნივთიერ მტკიცებულებად მიიჩნევს. აუდიო და ვიდეო ჩანაწერი არ წარმოადგენს არც წერილობით და არც ნივთიერ მტკიცებულებას, არამედ მათ სპეციფიკური იურიდიული ბუნება გააჩნიათ, რაც განსაზღვრავს კიდეც დამოუკიდებელ მტკიცებულებად მათი გამოყენების საპროცესო წესს.

ამგვარი განსხვავების დადგენა აუცილებელია აუდიო და ვიდეო ჩანაწერის, როგორც მტკიცებულების ზუსტი ბუნების გარკვევისათვის. ამ განსხვავების წარმოსაჩენად უნდა აღინიშნოს, რომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერი მიეკუთვნება საგნობრივ მტკიცებულებას იმიტომ, რომ როგორც წერილობით, ისე ნივთიერ მტკიცებულებებში მათში ინფორმაცია ასახულია მატერიალურ ობიექტზე. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, წერილობითი, ნივთიერი და აუდიო-ვიდეო მტკიცებულების საერთო თვისება (ნიშანი) მდგომარეობს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ამსახველ წყაროში (ესენია გარკვეული საგნები). თუმცა აუდიო და ვიდეო ჩანაწერის ამსახველი საგანი სპეციფიკურია. კერძოდ ამგვარი შეიძლება იყოს არა ნებისმიერი ობიექტი, როგორც ამას ადგილი აქვს ნივთიერ მტკიცებულებათა მიმართ, არამედ სპეციალურად დამზადებული მასალა (დისკი, ფირი). მოცემული სახის მტკიცებულებისათვის თავისებურებას წარმოადგენს ფორმირების პროცესი. ინფორმაციის გადაცემა ამ ინფორმაციის მატარებელ წყაროზე ხდება ტექნიკური საშუალებების დახმარებით და არა ფაქტების შესახებ ცნობების ამსახველ წყაროზე უშუალო ზემოქმედებით. აუდიო და ვიდეო ჩანაწერების შექმნის ამგვარ ტექნიკურ საშუალებად გამოიყენება ხმის

[1] Howard M. Wasserman, Article, Orwell'ss vision, "Video and the future of Civil rights enforcement"

[2] Howard M. Wasserman, დასახ. სტატია

ჩამწერი მოწყობილობები, აგრეთვე ისეთი მოწყობილობები, რომლებითაც ერთდროულად ან ცალკ-ცალკე ხდება ხმისა და გამოსახულების ჩაწერა. თუ წერილობით მტკიცებულებებში ცნობები ასახულია გრაფიკულად (ციფრებით, ასოებით, ნიშნებით და ა.შ)[1], აუდიო და ვიდეო ჩანაწერებში, როგორც წესი, ცნობები ასახულია ელექტრონული სახით და ტექნიკური საშუალებების დახმარებით. ამიტომ არის განსხვავებული ამ მტკიცებულებათა გამოკვლევის საშუალებები. კერძოდ წერილობითი მტკიცებულებებისაგან განსხვავებით, რომელში ასახული ინფორმაციაც შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობის ორგანოებით, აუდიო და ვიდეო ჩანაწერის გამოკვლევისათვის გამოიყენება ხმისა და გამოსახულების ამსახველი სპეციალური ტექნიკა (ვიდეოკამერა, მაგნიტოფონი) და მეთოდიკა. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ამ მტკიცებულების გამოსაკვლევად აუცილებელია სპეციალისტის კონსულტაციის გამოყენება, ხოლო ზოგჯერ ექსპერტის დასკვნაც. რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ «თავისი არსით აუდიო და ვიდეო ჩანაწერები ახლოს დგას უფრო წერილობით, ვიდრე ნივთიერ მტკიცებულებებთან, რამდენადაც მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს არა ინფორმაციის ამსახველ საგანს (კასეტი, დისკეტა), არამედ მასზე ასახულ ინფორმაციას».[2] აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ფორმირება შესაძლოა განხორციელდეს ტექნიკური პირობების დარღვევით, ინფორმაციის დამახინჯების მიზნით. ბუნებრივია, კანონი კრძალავს ინფორმაციის მიღებას და მტკიცებულებათა შეკრებას პიროვნებისა და იურიდიული პირის უფლებების დამრღვევი მეთოდებით. კონსტიტუცია იცავს პატივს და ღირსებას. კონსტიტუცია ყველას აძლევს უფლებას კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, პირად და ოჯახურ საიდუმლოებაზე, სატელეფონო საუბრების საიდუმლოებაზე, მიმოწერის საიდუმლოებაზე და ა.შ.

ტექნიკური საშუალებებით მტკიცებულებების ფიქსაციას ითვალისწინებს ინგლისური და ამერიკული სამართალი. მაგრამ თუ ჩანაწერები მიღებულია უკანონოდ ან საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევით, ისინი ამ საფუძვლით შეიძლება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული, მაგრამ არა იმ მიზეზით, რომ ესენი ჩანაწერებია.

ამერიკის ზოგიერთ შტატში მოსამართლეები ითხოვენ ვიდეო კასეტაზე ჩაწერილი მოწმეთა ჩვენებების წარდგენას. სამოქალაქო საქმეებში ვიდეო ჩანაწერი ამერიკულ სამართალში ჩვეულებრივ გამოიყენება: ადგილის ან ობიექტის, რომელთა სასამართლოში წარდგენაც ძნელია, მოვლენის, რომლის შედეგიც სადავოდ არის ქცეული; შემთხვევის შესახებ მხარის ვერსიის და ა.შ. დემონსტრირებისათვის.[3] ვიდეო ჩანაწერი აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერების დროს. სახელშეკრულებო დავებში შეიძლება ხელშეკრულების არასათანადოდ შესრულების ფაქტის დამტკიცება (მაგალითად, უხარისხო პროდუქციის მიწოდების ფაქტის დამტკიცება და სხვა).

აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ფორმირება, რაც მდგომარეობს სპეციალური ტექნიკური საშუალებების (ვიდეოკამერა, მაგნიტოფონი და ა.შ) დახმარებით ინფორმაციის დამაგრებაში, განსაზღვრავს სამოქალაქო პროცესში მათი გამოყენების განსაკუთრებულ პირობებსაც სხვა საგნობრივი მტკიცებულებებისაგან განსხვავებით, ე.ი. განსაზღვრავს დაინტერესებული პირების მიერ მათი წარდგენის, ამ პირთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ მათი გამოთხოვის განსაკუთრებულ პირობებსაც, თუ თვითონ მხარეებს არ შეუძლიათ მოცემული მტკიცებულებების მიღება.

ამ მტკიცებულებების (აუდიო და ვიდეო ჩანაწერების) ფორმირება შეიძლება განხ-

---

[1] Вершинин А.П. Электронный документ: правовая форма и доказательство в суде. М. 2000, გვ. 108-110

[2] В.В. Гушин. Ю. А. Дмитриев. Наследственое право и процесс, издво. Эксмо 2005

[3] Joseph G. P. Modern visual Evidence. N. Y. 1994p. 1-12 1-13

ორციელდეს ჩაწერის ნორმალური ტექნიკური პირობების დაცვით, მაგრამ შესაძლოა პირიქით, მათი ფორმირება განხორციელდეს ტექნიკური პირობების დარღვევით ინფორმაციის დასამახინჯებლად (მაგალითად, ჩანაწერის სიჩქარის გაზრდა მოხდეს ხმის ტემბრის დასამახინჯებლად).

ერთ-ერთი მოსაზრება სამოქალაქო პროცესში მტკიცებულების სახით ინფორმაციის მატარებელი ელექტრონული საგნის გამოყენების წინააღმდეგ არის მსჯელობა იმის შესახებ, რომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ფორმირების პროცესში დიდია მაკომპრომეტირებელი ცნობების შეკრების, შეგროვების, ზნეობის ნორმების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნორმების დარღვევის, საიდუმლო ჩაწერის განხორციელების, მოსასმენი მოწყობილობების დაყენების და ა.შ. "ცდუნება".

ბუნებრივია, რომ კანონი კრძალავს ინფორმაციის მიღებასა და მტკიცებულებათა შეგროვებას პირის (მათ შორის იურიდიული პირებისაც) უფლებების დამრღვევი მეთოდებით. პიროვნების ღირსებას იცავს სახელმწიფო (საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი), ყველას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და ოჯახური საიდუმლოების, სატელეფონო საუბრების საიდუმლოების უფლება. დაუშვებელია კერძო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება, აგრეთვე ისეთი ინფორმაციისა, რომელიც არღვევს პირად საიდუმლოებას, ოჯახურ საიდუმლოებას, მიმოწერის საიდუმლოებას, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და პირის სხვა შეტყობინებების საიდუმლოებას, ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში კანონის დაცვით იქნეს მიღებული და დაერთოს საქმეს. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო დანაწესების არსებობა, რაც მეტნაკლებად გარანტირებულს გახდის პირთა უფლებების დაცვას. ამიტომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერების წარდგენის, აგრეთვე მათი სასამართლოს მიერ გამოთხოვის მიმართ, დადგენილი უნდა იქნეს სპეციალური პირობები მათში ასახული ინფორმაცია სარწმუნო და კანონის დაცვით მიღებული რომ იყოს. ამასთან, სასამართლოც ვალდებული უნდა გახდეს, შეამოწმოს: 1) თუ როდის განხორციელდა ჩაწერა; 2) ვის მიერ განხორციელდა ჩაწერა; 3) რა გარემოებების არსებობისას (რა ვითარებაში) განხორციელდა ჩაწერა. აუცილებელია ამ პირობების ერთობლიობაში დაცვა. ამგვარი მოთხოვნები, უნდა დადგინდეს მხოლოდ აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მიმართ, რამეთუ ამას მოითხოვს მათი სპეციფიკა.

შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. მაგალითად, ამერიკულ სამართალში ითვლება, რომ ვიდეო ჩანაწერი უფრო სრულად ასახავს ჩვენებას, ვიდრე ხელნაწერი, რადგან საშუალებას იძლევა დავინახოთ პირის გამოსახულება, მოვისმინოთ ხმა და ა.შ. ამასთან მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს სამოქალაქო სამართალწარმოების ფედერალურ წესებში (Federal Rule of Civil Procedure) შეტანილმა ცვლილებებმა გააუქმა ვიდეო ჩანაწერის განხორციელების შესახებ სასამართლოს ნებართვის მიღების აუცილებლობა, მრავალ შტატში მოცემული წესი კვლავ მოქმედებს.[1]

აუდიო და ვიდეო ჩანაწერის განხორციელების დროს, ზოგჯერ თვითონ ჩამწერი მოწყობილობა, ავტომატურად აფიქსირებს ფირზე, დისკზე და ა.შ. ჩაწერის განხორციელების დრო შეიძლება დაფიქსირდეს მხარეთა ცალკე შეთანხმებით, მაგალითად, გარიგების დადების დროს, მოლაპარაკების პროცესის ოქმში შეტანის დროს. ის შეიძლება დადგინდეს საწარმოო დოკუმენტაციის მიხედვით, მაგალითად ორგანიზაციაში გამოცემული ბრძანებების და განკარგულებების, ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ეხება განხორციელებული მომსახურების ანაზღაურებას ხმის ჩაწერის, ვიდეო ჩაწერის გამო. იმისათვის

[1] Решетникова И.В. Доказательственное право Англии и США, Екатеринбург 1997, გვ. 137

რომ თავიდან ავიცილოთ ფარული კამერით ჩაწერა, სატელეფონო და სხვა საუბრების მოსმენა, კანონი უნდა ადგენდეს ძალზედ მნიშვნელვან პირობას – პირმა უნდა მიუთითოს, ვინ განახორციელა ჩაწერა (ჩანაწერი). ჩაწერა შეიძლება განახორციელოს სხვადასხვა პირმა, პირველყოვლისა თვითონ მხარეებმა თავიანთივე შეთანხმებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს სამართლებრივი ბაზა კერძო დეტექტიური საქმიანობის განხორციელებისთვის. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეს ინსტიტუტი, ძებნის მიზნით კერძო დეტექტივებს უფლებას აძლევს შეაგროვონ ცნობები სამოქალაქო საქმეებზე პროცესის მონაწილეებთან სახელშეკრულებო საფუძველზე.

კერძო სამძებრო საქმიანობის განხორციელების დროს დაიშვება ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გამოყენება. თუმცა ეს მოქმედებები მართლზომიერი იქნება თუ კერძო დეტექტივს ან ორგანიზაციას აქვს კერძო სამძებრო საქმიანობის ლიცენზია. ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის ამოცანებში შედის სხვა ყველაფერთან ერთად სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება. ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის განხორციელების დროს ტარდება ისეთი ღონისძიებები, როგორიც არის სატელეფონო საუბრების მოსმენა, ინფორმაციის მიღება კავშირგაბმულობის ტექნიკური არხებით (პირველი და მეორე მუხლები). იმ პირთა სატელეფონო და სხვა საუბრების მოსმენის შედეგად მიღებული ფონოგრამები და სხვა მასალები, რომელთა მიმართაც არ ყოფილა დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა, უნდა განადგურდეს დადგენილი წესით. სატელეფონო და სხვა საუბრების მოსმენა დაიშვება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც ბრალდებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც შეიძლება გააჩნდეთ აღნიშნული დანაშაულების შესახებ ცნობები. სატელეფონო და სხვა საუბრების მოსმენის შედეგად მიღებული ფონოგრამები ინახება დალუქული სახით ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მათი მოსმენის და გარეშე პირთა მიერ ტირაჟირების შესაძლებლობას. ადვოკატთა შესახებ კანონის მე-4 მუხლის თანახმად ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები.

კანონი არ შეიცავს შეზღუდვებს ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა შეგროვების დროს, მის მიერ ტექნიკური ჩამწერი მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით, ე.ი. არ შეიცავს აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სახით ფაქტების შესახებ ცნობების ფიქსაციის შეზღუდვას, თუ, ბუნებრივია, დაცული იქნება ზოგადი კონსტიტუციური წესი იმის შესახებ, რომ მტკიცებულებას არ წარმოადგენს კანონის დარღვევით მოპოვებული ინფორმაცია (კონსტიტუციის მე-2 თავი), ე.ი. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

საქმის მონაწილე პირი, რომელმაც წარადგინა მტკიცებულების სახით აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი ან იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე მისი გამოთხოვის შესახებ, ვალდებულია მიუთითოს ის პირობები, რომლებშიც ხორციელდებოდა ჩანაწერი. "ჩანაწერის პირობებში იგულისხმება მისი განხორციელების საფუძვლები, ვითარება, რომელშიც იგი ხორციელდებოდა, ფაქტების ფიქსაციით დაინტერესებულ პირთა შეთანხმების (თანხმობის) არსებობა, ჩამწერი აპარატურა, ინფორმაციის მატარებელი საგნები, რომლებზეც განხორციელდა ჩაწერა და ა.შ. მაგალითად, აუდიო ჩანაწერი ხორციელდება საჰაერო ხომალდის ფრენის დროს, რომელიმე მოვლენის ვიდეო ჩანაწერს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარეშე პირთა მიერ სამოყვარულო ვიდეოკამერის გამოყენებითაც. ცხოვრებისეული სიტუაციები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ აუდიოს და ხმის ჩანაწერის სახით მტკიცებულებათა წარდგენის დროს საჭიროა მტკიცებულებათა ფორმირების კონკრეტული ვითარების

ჩამოყალიბება (გადმოცემა)".[1] თუ დაცული და შესრულებული არ იქნება მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ ზემოთდასახელებული პირობები (ვალდებულებები), სასამართლომ არ უნდა დაურთოს საქმეს აუდიო და ვიდეო ჩანაწერები მტკიცებულების სახით და უარი უნდა თქვას მათ გამოთხოვაზე.

აუდიო და ვიდეო ჩანაწერის სასამართლო სხდომაზე გამოკვლევა უნდა დაიწყოს ისეთი საპროცესო მოქმედებით, როგორიც არის მათი შინაარსის გამოქვეყნება. ამ სახის მტკიცებულებისათვის საჭიროა მისი ამსახველი საგნიდან ინფორმაციის მიღების განსაკუთრებული ხერხის (საშუალების) ან მეთოდიკის გამოყენება. აუდიო და ვიდეო ჩანაწერის გამოკვლევის საპროცესო წესი სპეციფიკურია და განსხვავდება წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევის საპროცესო წესისაგან. კერძოდ, თუ წერილობითი მტკიცებულებები ქვეყნდება სასამართლო სხდომაზე ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება მათი სასამართლოში წარდგენის გზით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია ხდება მათი ადგილზე დათვალიერება, ამგვარი მოქმედებების მეშვეობით აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მატარებელი საგნებიდან არავითარი მტკიცებულებითი ინფორმაციის მიღება არ შეიძლება. ჩანაწერის ტექნიკური ბუნება და მისი შინაარსის ელექტრონული სახით შენახვა, როგორც წესი, გულისხმობს მტკიცებულებათა სასამართლო წესით გამოკვლევის სპეციფიკური მეთოდიკის გამოყენებასაც.

სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობის პრინციპის გათვალისწინებით, აუცილებელია, ადამიანის მხედველობითი ორგანოებისათვის სტატიკურ და უხილავ მდგომარეობაში შენახული ინფორმაციის გადატანა პროცესის ყველა მონაწილისათვის ხელმისაწვდომ აღქმის ფორმაში ისე, რომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერის შინაარსი შეჯიბრებით პროცესში გახდეს არგუმენტი მხარეთა და მათი წარმომადგენლებისათვის, ხოლო სასამართლოსთვის – გადაწყვეტილების დასაბუთების არგუმენტი. ამ სახის მტკიცებულებების შინაარსის ასახვისა და გამეორებისათვის სასამართლოსა და მხარეთა წარმომადგენლების მხოლოდ სამართლებრივი ცოდნა საკმარისი არ არის. იმისათვის, რომ განხორციელდეს ჩანაწერთა გადმოცემის თაობაზე მოქმედებები, საჭიროა სპეციალური ხმის გადმომცემი ან ინფორმაციის ვიდეოთი გადმომცემი აპარატურა (ვიდეო მაგნიტოფონი, კინოაპარატურა და ა.შ.) და გადმოცემის სწორი მეთოდიკა.

აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გადმოცემა უნდა განხორციელდეს სასამართლო სხდომის დარბაზში ან ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ სხვა სათავსში და სასამართლო სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს მტკიცებულებათა გადმომცემი წყაროს ნიშნები და ასახვის დრო.

იმ აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გადმოცემა და გამოკვლევა, რომლებიც შეიცავს პირადი ხასიათის ცნობებს, ღია სასამართლო სხდომაზე შეიძლება მხოლოდ იმ პირთა თანხმობით, რომელთაც ეხება ეს ცნობები. თუ ეს პირები ღია სასამართლო სხდომაზე ინფორმაციის გამოქვეყნებაზე თანხმობას არ განაცხადებენ, ეს მოქმედებები უნდა განხორციელდეს დახურულ სასამართლო სხდომაზე. ამდენად, ამ საკითხში სასამართლომ მთლიანად უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის მე-9 მუხლით დადგენილი წესით.

აუცილებლია ვიდეო და აუდიო ჩანაწერების დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებად ასახვა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში და შესაბამისად მათი გამოყენება სამართალწარმოებაში. აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სამართალწარმოებაში გამოყენებისას სასამართლომ უნდა დაიცვას სამართალწარმოების მონაწილე მხარეთა კონსტიტუციური უფლებები და საქმის დახურულ თუ ღია სხდომაზე განხილვისას არ უნდა გამოქვეყნ-

---

[1] Треушников М.К. Новеллы о доказательствах в гражданском судопроизводстве Росии. ვუთითებ კრებულიდან: Учёные юристи МГУ о современном праве. М. 2005г. gv. 213 aseve М. К. Треушников «Судебные доказательства». Издание третье, исправленное и дополненное. М. 2004წ. გვ. 251

დეს, არ უნდა იქნეს მოსმენილი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების შინაარსის ის მონაკვეთი, რომელიც ეხება ადამიანის ღირსებიდან და პიროვნულობიდან გამომდინარე უფლებებს მსგავსად პირადი მიმოწერისა, როგორც წერილობითი მტკიცებულების გამოქვეყნებისათვის კანონით დადგენილი წესისა. ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გამოყენება სამართალწარმოებაში უნდა ხდებოდეს კერძო უფლებების დაცვისათვის კანონით დადგენილი გარანტიების გათვალისწინებით.

აუცილებელია სპეციალური ცოდნის გამოყენება აუდიო და ვიდეო მტკიცებულების გამოკვლევისას. ობიექტურად, არც მოსამართლეს, არც სასამართლო სხდომის მდივანს, არც მხარეთა წარმომადგენლებს განსაზღვრული ტექნიკური მეთოდით აუდიო და ვიდეო ჩანაწერის გადმოცემის სამუშაოს სწორად შესრულება არ შეუძლია. მითუმეტეს, რომ მტკიცებულებათა გადმოცემის დროს ჩანაწერის რომელიმე ნაწილი შეიძლება განმეორდეს საქმეში მონაწილე პირის ან მისი წარმომადგენლის თხოვნით.

ხმის ჩანაწერის მოსმენა ან ვიდეო ჩანაწერის ნახვა შეიძლება განმეორდეს სრულად. აუდიო ვიდეო ტექნიკის სფეროში სპეციალისტის გარეშე აუდიო და ვიდეო ჩანაწერის სასამართლო სხდომაზე გადმოცემის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერში ასახული ცნობების გამორკვევის მიზნით სასამართლომ შეიძლება საქმეში ჩააბას სპეციალისტი (სსსკ-ის 204-ე მუხლი). მოცემული სახის მტკიცებულების შინაარსის გარკვევის შემდეგ სასამართლომ უნდა მოისმინოს საქმის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები, რომლებიც აისახება სასამართლო სხდომის ოქმში. ხმის ჩანაწერის, ასევე ვიდეო ჩანაწერის სხდომაზე გამოკვლევის დროს სასამართლომ, მხარეებმა ან მათმა წარმომადგენლებმა ასევე საქმის მონაწილე სხვა პირებმა სპეციალისტს შეიძლება დაუსვან შეკითხვები.

აუდიო ტექნიკის მეშვეობით ჩაწერილი ხმის და კონკრეტული ადამიანის ხმის იდენტურობის შესახებ დავისა და ეჭვის წამოჭრის დროს, ასევე ამ სახის მტკიცებულების ფალსიფიკაციის შესახებ შუამდგომლობის აღძვრის შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება დანიშნოს ექსპერტიზა. ზემოაღნიშნულ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან იკვეთება, რომ აუდიოკასეტაზე ჩაწერილი საუბრის გაშიფვრა განხორციელდა ფონოსკოპიური ექსპერტიზის საფუძველზე, რომლის დასკვნითაც დადგინდა, რომ გამოსაკვლევად წარდგენილი აუდიოკასეტა ვარგისია ექსპერტიზის ჩასატარებლად, აუდიოკასეტაზე ჩაწერილია ფონოგრამა, მისი ტექსტი დეტალურად დადგენილი და დაფიქსირებულია წერილობითი სახით. აუდიოკასეტაზე არსებული ფონოგრამის შიგნით არავითარი მონტაჟის ნიშნები არ აღინიშნება.[1]

განვიხილოთ აუდიო და ვიდეო ჩანაწერის სასამართლოს მიერ შენახვისა და დაბრუნების თავისებურებანი. სსსკ-ის 160-ე და 161-ე მუხლები განამტკიცებს ნივთიერი მტკიცებულებების შენახვისა და დაბრუნების წესს. აუდიო და ვიდეო ჩანაწერების შენახვის სპეციფიკა კი ამგვარია: ნივთიერი მტკიცებულებების შენახვისაგან განსხვავებით, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების წყარო, ე.ი. ჩანაწერების მატარებელი საგნები მათი მცირე მოცულობის გამო ყოველთვის შენახული უნდა იქნეს სასამართლოში. მათი შენახვისათვის საკმარისია სასამართლოს კანცელარიის ჩვეულებრივი სეიფები და არ არის საჭირო სპეციალური სათავსი ან შენახვის განმახორციელებელი ორგანიზაცია.

აუდიო და ვიდეო ჩანაწერის, როგორც სასამართლო მტკიცებულების სუსტი მხარე (ნაკლი) იმაში მდგომარეობს, რომ ტექნიკური ხერხებისა და საშუალებების მეშვეობით ადვილად შეიძლება მათი შინაარსის შეცვლა ან ჩანაწერის შეცვლა. შინაარსის შეცვლა შეიძლება ინფორმაციის მაგნიტურ მატარებელზე ინფორმაციის წაშლის, ჩანაწერის დამატების, ჩაწერის სხვა რეჟიმში ცნობების გადაწერის გზით და ა.შ.

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განჩინება საქმეზე №ას - 1154-1416-09

კასეტებზე, დისკებზე, ფირებზე არსებული ცნობების დამახინჯება საკმაოდ პროფესიონალურად ხდება ხოლმე და შესაბამისად, ძნელად გასარჩევია (ძნელად გამოსაცნობია ცნობების დამახინჯების ფაქტი). შესაძლო გაყალბების, ასევე აუდიო და ვიდეო ჩანაწერის შესაძლო შეცვლის წინააღმდეგ, როცა ისინი მტკიცებულებას წარმოადგენენ სამოქალაქო საქმეზე, უნდა დადგინდეს სასამართლოს ვალდებულება, შეინახოს ისინი შეუცვლელ მდგომარეობაში. ეს იქნება გაყალბების და შეცვლის წინააღმდეგ არსებული ერთ-ერთი ღონისძიება. ეს წესი, თანაბრად შეიძლება იქნეს გამოყენებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების მიმართაც.

პრაქტიკაში, ამ მოვალეობის განხორციელება უნდა მოხდეს შემდეგი წესით: ხმის ჩანაწერის და ვიდეო ჩანაწერის მტარებელი საგნები უნდა დაილუქოს და შენახულ იქნეს სასამართლოს კანცელარიაში ან მოსამართლესთან ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს ამ მტკიცებულებებთან საქმის მონაწილე პირთა, მათ წარმომადგენელთა და გარეშე პირთა დაშვებას. ამაში მდგომარეობს მათი შენახვა უცვლელ მდგომარეობაში. ამ სახის მტკიცებულებების შენახვა ყოველთვის სამოქალაქო საქმეში ხდება, ე.ი. სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდეც და მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც.

ამგვარი წესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერების პირველწყარო დაცული უნდა იქნეს საქმეში და თუ მათ წარმდგენ პირს ან ორგანიზციას ესაჭიროება ამ მტკიცებულებებში ასახული ინფორმაცია, მაშინ ამ პირთა ხარჯზე უნდა მოხდეს ჩანაწერთა ასლის გადაღება და დაინტერესებულ პირებს გადაეცეს სასამართლოს მიერ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: 1. აუდიო და ვიდეო ჩანაწერი წარმოადგენს სპეციფიკურ და დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებას მტკიცებულებათა სისტემაში, რომელიც განსხვავდება წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებისაგან;

2. აუდიო და ვიდეო ჩანაწერი წარმოადგენს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას;

3. აუდიო და ვიდეო ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება, უნდა აისახოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება;

4. საპროცესო კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს აღნიშნული სახის მტკიცებულების წარდგენის, გამოთხოვისა და გამოკვლევის სპეციალური პირობები, რომელთა დაცვის შემთხვევაში მტკიცებულება ჩაითვლება კანონის დაცვით მოპოვებულად;

5. მათი შეფასება უნდა მოხდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და მათმა გამოყენებამ არ უნდა შელახოს პირთა კერძო უფლებები, რამეთუ მათი უფლებები დაცულია სამართლის შესაბამისი დარგის კანონმდებლობით;

6. ვიდეო ჩანაწერის გამოყენება პროცესში ჩაბმული მხარის მიმართ, არ გამოიწვევს ამ მხარის ისეთი კერძო უფლებების ხელყოფას, როგორიც არის გამოსახულების უფლება და სხვა, რადგან აღნიშნული დაკავშირებულია მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან;

7. აუდიო და ვიდეო მტკიცებულებათა სასამართლო სხდომაზე გამოსაკვლევად სასამართლომ უნდა გამოიყენოს სპეციალისტისა და ექსპერტის ცოდნა, ანუ სპეციალური ცოდნა;

8. იმისათვის, რომ აუდიო და ვიდეო ჩანაწერი იყოს სარწმუნო და ჩაითვალოს კანონის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებად, აუცილებელია სასამართლომ გამოარკვიოს როდის განხორციელდა ჩაწერა; ვის მიერ განხორციელდა ჩაწერა; რა გარემოებების არსებობისას (რა ვითარებაში) განხორციელდა ჩაწერა და მხოლოდ ამის შედეგად განსაზღვროს ამ მტკიცებულების სანდოობის საკითხი;

9. იმისათვის, რომ არ მოხდეს ამ სახის მტკიცებულებათა გაყალბება და შეცვლა და

გამოირიცხოს მათთან გარეშე პირთა ადვილად დაშვების შესაძლებლობა, უნდა დადგინდეს სასამართლოს ვალდებულება, აუდიო და ვიდეო მტკიცებულებები შეინახოს უცვლელ მდგომარეობაში. შესაბამისად, აუდიო და ვიდეო მტკიცებულებების (ჩანაწერების) პირველწყარო დაცული უნდა იქნეს საქმეში, ხოლო დაინტერესებულ პირებს მათ ხარჯზე უნდა მიეცეს სასამართლოს მიერ მხოლოდ ჩანაწერთა ასლი.

§12. ფაქტების კონსტატაციის წყაროები

სსსკ-ის 102-ე მუხლში მტკიცებულების ერთ-ერთ ახალ სახედ დამატებულია ფაქტების კონსტატაციის მასალები (კონსტატაცია[1] – ფრ. Constatation, ლათ. Constat – ცნობილია, რაიმეს არსებობის ნამდვილობის მტკიცებულება, ცნობა ზუსტად დამტკიცებული, უეჭველი ფაქტის ან მოვლენის შესახებ). როგორც ცვლილებათა კანონპროექტზე დართულ განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის მიღების მიზეზია სასამართლოთა სისტემისათვის ახალი ფუნქციის – ფაქტების კონსტატაციის განხორციელების უფლების მინიჭება.

კანონპროექტის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ახალი ფუნქციის – ფაქტების კონსტატაციის განხორციელება და ამ ფუნქციასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულაცია.

ცვლილებათა ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონს დაემატა თავი XVI[2], რომელშიც დარეგულირებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ფაქტების კონსტატაციის პროცედურები.

აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს ფაქტების კონსტატაციას დაინტერესებული მხარის მიმართვის ან სასამართლო დავალების საფუძველზე. კერძოდ, სსსკ-ის 122-ე მუხლის თანახმად, ფაქტების კონსტატაციის მიზნით ადგილზე დათვალიერების ჩატარება სასამართლომ შეიძლება დაავალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ფაქტების კონსტატაცია გულისხმობს ფაქტების შესახებ მტკიცებულებების აღმოჩენას და დამაგრებას კანონით დადგენილი წესით.[2] ფაქტების კონსტატაცია გამოიყენება ისეთ გარემოებებთან მიმართებაში, რომლის აღქმა და აღწერა შესაძლებელია.

დაინტერესებულ მხარეს, რომლის მიმართვის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს ფაქტების კონსტატაციას, შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკური და იურიდიული პირი, პირთა გაერთიანება, ან ადმინისტრაციული ორგანო.

ფაქტების კონსტატაციის ხელისშემშლელ გარემოებებს წარმოადგენს ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია მოხდეს მტკიცებულების აღმოჩენა ან/და დამაგრება.[3]

აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია სპეციალური თანხმობის გარეშე განახორციელოს ფაქტების კონსტატაცია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ან/და კანონიერ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე. ასევე კერძო საკუთრებაში ან/და კანონიერ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს საჯარო მოხმარების ობიექტს. ფაქტების კონსტატაცია დასაშვებია დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

[1] სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. გამომც. „მერიდიანი", თბ., 2007 წ.

[2] სააღსრულებო წარმოებათა კანონის 91^{13} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ფაქტების კონსტატაცია გულისხმობს ფაქტობრივ-გარემოებების შესახებ არსებული მდგომარეობის ასახვას ამავე კანონით დადგენილი წესით.

[3] სააღსრულებო წარმოებათა კანონის 91^{15} მუხლის 1-ლ პუნქტის თანახმად, ფაქტების კონსტატაციის ხელშემშლელი გარემოებებია ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეუძლებელია მტკიცებულებების შეგროვება.

მტკიცებულებების დამაგრება წარმოებს აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის მიერ შედგენილ ფაქტის კონსტატაციის ოქმში. გარემოებების ზუსტად ასახვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ტექნიკური მოწყობილობები, ხოლო მიღებული მასალა დაერთვის ოქმს.

ფაქტების კონსტატაცია წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს ანაზღაურებად საქმიანობას, აღსრულების ეროვნული ბიურო დაინტერესებული მხარის ან სასამართლოს თხოვნით უზრუნველყოფს მიღებული მტკიცებულებების შენახვას. ფაქტების კონსტატაციის საფასურის ოდენობა და გადახდის პირობები, ასევე მტკიცებულებების შენახვის ვადა, განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“

თავი XVI

სარჩელი

§1. სასარჩელო წარმოების არსი

უფლების დარღვევის შემთხვევაში ან მაშინ, როცა უფლება სადავოდაა ქცეული, ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს უფლების დაცვა (აღდგენა). უფლების სასამართლო წესით დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის თანახმადაც, განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით შეუძლია (მე-2 მუხლი).

კანონით გათვალისწინებულია კონკრეტულ სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცედურაც, იმის გათვალისწინებით და იმის შესაბამისად, თუ რა ხასიათის მოთხოვნას აყენებს დაინტერესებული პირი. სასარჩელო წარმოება სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი სახეა. მოთხოვნათა უმეტესობა უფლების შესახებ დავიდან გამომდინარეობს. ამიტომ სამოქალაქო საქმეებიდან უმეტესობა სასარჩელო საქმეებია.

სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ნორმები ზოგადი ხასიათის წესებია მთლიანად სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის, რაც იმას ნიშნავს რომ, თუ კანონით არ არის გათვალისწინებული რაიმე სპეციალური გამონაკლისი ან რაიმე დამატებითი წესები, მაშინ ნებისმიერი სამოქალაქო საქმე ამ წესებით განიხილება.

უფლების დაცვის სასარჩელო ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

1) მხარის დარღვეული ან სადავო უფლებიდან გამომდინარე მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის, ე.ი. სარჩელის არსებობა, რომელიც უწყებრივად უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს.

2) უფლების შესახებ დავის არსებობა;

3) ორი, ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარის არსებობა, რომელთაც კანონი ანიჭებს თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უფლებამოსილებას.[1]

სასარჩელო წარმოების აღძვრის სამართლებრივი საშუალება სარჩელია. სარჩელი დარღვეული თუ სადავო უფლების დაცვის უმნიშვნელოვანესი საპროცესო საშუალებაა, ხოლო იმ ფორმას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ამ უფლების დაცვა, სასარჩელო ფორმა ეწოდება.

სადავო მოთხოვნებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს შესაბამისი საპროცესო ფორმის ფარგლებში, სასარჩელო მოთხოვნები ეწოდებათ.

უფლების დაცვის სასარჩელო ფორმა ყველაზე მეტად უწყობს ხელს დავების სწორად განხილვასა და გადაწყვეტას და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანას.

სასარჩელო წარმოების არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი აღიძვრება სასამართლოში სარჩელის შეტანით; მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა სისტემით; მიზნად ისახავს უფლების შესახებ დავის განხილვასა და გადაწყვეტას; მოწოდებულია გადაწყვიტოს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეები, რომლებიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობებიდან, სადაც მხარეებს თანასწორი მდგომარეობა უკავიათ და, შესაბამისად, არ იმყოფებიან ხელისუფლებადაქვემდებარების ურთიერთობებში; სასარჩელო წარმოების მიზანია კანონით გათვალისწინებული საშუალებებით, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. იმისათვის, რომ სამართლებრივი დავა სასარჩელო წესით განხილვის საგანი გახდეს, აუცილებელია, რომ მოდავე მხარეები ურთიერთთან სამართლებრივად თანასწორ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ასეთი ურთიერთობები კი

[1] Добровольский А.А. Исковая форма защиты права. М., 1965.

დამახასიათებელია კერძო სამართალს მიკუთვნებული დარგებისათვის. ამრიგად, სასარჩელო სამართალწარმოების წესით განიხილება კერძო-სამართლებრივი (სამოქალაქო-სამართლებრივი) ხასიათის დავები.

§2. სარჩელის ცნება

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს „სარჩელის" ცნებას, მაგრამ თვითონ ტერმინი „სარჩელი" ძალზე ხშირად იხმარება იურისპრუდენციაში.[1]

ცნობილი აფორიზმი „სადაც ორი იურისტია, იქ სამი აზრია" განსაკუთრებულად თვალნათლივ ვლინდება საპროცესო მეცნიერებაში სწორედ „სარჩელის" ცნების ანალიზის დროს.

მაგალითად, ზოგიერთი იურისტი მიიჩნევს, რომ სარჩელი უფლების სასამართლო წესით დაცვის საშუალებაა, ე.ი. მათი აზრით, სარჩელი არის დაინტერესებული პირის მიმართვა სასამართლოსადმი სამართლებრივი კონფლიქტის გადაწყვეტის თხოვნით, სასამართლოსადმი მიმმართველი პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.

სწორედ ამ გაგებით ამბობენ რომ სარჩელის წარდგენა საქმისწარმოების აღძვრის საფუძველია.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში მიიჩნევენ, რომ სარჩელი მოსარჩელის შუამდგომლობაა სასამართლოსადმი, მისი სამართლებრივი დაცვის შესახებ.

ზოგიერთი იურისტი კი მიიჩნევს, რომ სარჩელი არის თვითონ მოთხოვნა, უფლება, რომელიც დაუყოვნებლივ იძულებით უნდა განხორციელდეს მოვალესთან მიმართებაში. ამ გაგებით სარჩელის ცნება იხმარება როგორც მატერიალურ-სამართლებრივი კატეგორია. მაგალითად, „სავინდიკაციო სარჩელი", „ა-მ წარადგინა სარჩელი ბ-ს წინააღმდეგ".

„სარჩელის" ცნების განსაზღვრების საკითხში არსებულ აზრთა ეს სხვადასხვაობა აიხსნება არა მხოლოდ სარჩელის კატეგორიის სირთულით, არამედ აგრეთვე იურიდიული ტექნიკის არასრულყოფილებითაც, როცა მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთი და იგივე ტერმინი, გამოიყენება სხვადასხვა ცნების აღსანიშნავად. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ტერმინით „სარჩელი" აღინიშნება მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნები, ე.ი. ეს ტერმინი გამოყენებულია მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობით (მაგალითად მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი, 41-ე მუხლი, 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი, IV კარი, XXIII თავი და სხვ.)

როგორც არ უნდა განისაზღვროს სარჩელის ცნება, ერთი კია, რომ სარჩელი არსებობს იქ, სადაც სასარჩელო წარმოებაა. სარჩელის წარდგენა სასარჩელო წარმოების აღძვრის საფუძველია.

სამოქალაქო საქმისწარმოებას სასამართლო შეუდგება დაინტერესებული პირის მიერ შეტანილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე. სამოქალაქო უფლებათა დაცვა კი სასამართლოს მიერ, როგორც დავინახეთ, უფლების დაცვის სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება.

თუ რაში მდგომარეობს დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის (მოთხოვნის) არსი, ეს ჩამოყალიბებულია სასარჩელო განცხადებაში.

კერძოდ, როცა მიმართავს სასამართლოს სარჩელით, მოსარჩელე, შესაძლოა, ითხოვდეს უფლების დარღვევამდე არსებული (პირვანდელი) მდგომარეობის აღდგენას, უფლების დამრღვევი ან ისეთი მოქმედების აღკვეთას, რომელიც ქმნის უფლების დარღვევის საფრთხეს, ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრებას ან ზიანის, მათ შორის,

[1] 1 ლათ. jurisprudentia – სიტყვასიტყვით სამართლის ცოდნა, ტერმინი, რომლითაცა აღინიშნება: 1. იურიდიული მეცნიერება, სამართლის დარგთა ერთობლიობა, აგრეთვე თეორიული მოღვაწეობა სამართლის დარგში; 2. იურისტ-პრაქტიკოსთა პროფესიული საქმიანობა, სასამართლო პრაქტიკა. ქსე. ტ. 5, გვ. 282.

მორალური ზიანის ანაზღაურებას, პირგასამტეხლოს გადახდევინებას, მოსარჩელემ, შესაძლოა, მოითხოვოს უფლების აღიარება, ე.ი. ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც დაადასტურებს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის რაიმე სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, ან მოითხოვოს სამართალურთიერთობის შეწყვეტა ან შეცვლა. ამდენად, უფლების შესახებ დავა, რაც საფუძვლად უდევს სარჩელს, სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატებოდეს.

სარჩელი უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა ისეთ შემთხვევებში, როცა მხარეთა შორის წარმოიშვა მატერიალურ-სამართლებრივი დავა, ე.ი. როცა დაირღვა უფლება, ან იგი სადავოდაა ქცეული, ან არსებობს მისი დარღვევის საფრთხე. უნდა ითქვას, რომ ხშირად დარღვეული უფლების დაცვასთან (აღდგენასთან) ერთად ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ინტერესის დაცვაც. კანონში (სსსკ-ის მე-2 მუხლი) საუბარია დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დაცვის შესახებ. ამასთან, სამართლებრივი ინტერესი, დაცვის დამოუკიდებელი ობიექტიც შეიძლება იყოს. მაგალითად, მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას სასამართლოს უფლება აქვს გადაუხვიოს მათ საერთო ქონებაში წილის თანაბრობის პრინციპს ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესებიდან ან არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე.

ამასთან, სარჩელის შეტანა იურიდიული მოქმედებაა, რომლითაც აღიძვრება სასამართლოს საქმიანობა მართლმსაჯულების განსახორციელებლად. სარჩელი თავისი იურიდიული ბუნებით, საპროცესო ინსტიტუტია.

სარჩელი ეწოდება ერთი პირის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას მეორისადმი, რომელიც განიხილება საპროცესო კანონით დადგენილი წესით. სწორედ ერთი პირის მიერ მეორისადმი წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შესახებ, ანუ სასარჩელო მოთხოვნების შესახებ არაერთგზისაა მითითებული კანონში. აღსანიშნავია, რომ არც კანონში და არც სასამართლო პრაქტიკაში არაა საუბარი სარჩელის როგორც მოსარჩელის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის შესახებ.

კანონის თანახმად ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად. ასეთ მიმართვას სარჩელის წარდგენა ეწოდება.

სარჩელის ნამდვილ შინაარსს ვერ წარმოაჩენდა და არც იქნებოდა ზუსტი ცნება (განსაზღვრება), თუ ვიტყოდით, რომ სარჩელი არის მხოლოდ პროცესის აღძვრის საშუალება ან უფლების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის საშუალება. ასეთი დეფინიციის საფუძველზე ვერ გაიმიჯნება სარჩელი სხვა სახელმწიფო ორგანოებში მიმართვისაგან ან სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა სახეების (მაგალითად, უდავო წარმოების საქმეების, სადაც საქმე აღიძვრება განცხადებით) დროს სასამართლოსადმი მიმართვისაგან. სასამართლოსადმი მიმართვა სარჩელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს მეორე მხარისადმი მოთხოვნა და ასევე სასამართლოსადმი მოთხოვნა სასარჩელო წესით საქმის განხილვის შესახებ.

სასარჩელო მოთხოვნები სახეზეა მაშინ, როცა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილია დავა უფლების დარღვევის გამო, ან იმის გამო, რომ უფლება სადავოდ იქცა და მხარეებმა ვერ გადაწყვიტეს იგი სასამართლოს ჩარევის გარეშე და მას გადასცეს დავა განსახილველად და გადასაწყვეტად.

სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვას, ყოველთვის უნდა ახლდეს მოთხოვნა მოპასუხისადმი, ე.ი. უფლების დამრღვევი კონკრეტული პირისადმი. სწორედ ორი მოთხოვნის, კერძოდ, მატერიალურ-სამართლებრივი (მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი) და საპროცესო-სამართლებრივი (მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლოსადმი) მოთხოვნებისაგან შედგება სარჩელი. ერთ-ერთის გარეშე სარჩელი არ არსებობს.

სასარჩელო ფორმა მოწოდებულია იმისათვის, რომ შემოწმდეს მოსარჩელის მიერ მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის დასაბუთებულობა და თუ ეს მოთხოვნა დასაბუთებულია, დაკმაყოფილდეს იგი.

„სასარჩელო წარმოებაში ხდება ერთი პირის მიერ სხვათა წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნების შემოწმება. „სასამართლო ადგენს მოპასუხისადმი მოსარჩელის მიერ წაყენებული მოთხოვნების მართლზომიერებას". „სასარჩელო სამართალწარმოების არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემოწმდეს და საბოლოოდ დადგინდეს... ერთი პირის მიერ სხვათა მიმართ წაყენებული მოთხოვნების მართლზომიერება"

თუ მოთხოვნა არ არის დასაბუთებული, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის ანუ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უარს ამბობს არა სასამართლოსადმი მიმართვაზე, არამედ სწორედ მოსარჩელის მიერ მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რამეთუ მიმართვა უკვე განხორციელდა და სასამართლომ მიიღო სასარჩელო განცხადება, ამიტომ, თუ არ არსებობს მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი, მაშინ არ არსებობს სარჩელიც. სასამართლოში მიმართვას ვერ ვუწოდებთ სარჩელს, თუ მას თან არ ახლავს მოპასუხისადმი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნაც. სარჩელი ერთიანი ცნებაა, რომელსაც ერთდროულად ორი — მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი მხარე გააჩნია. თითოეული მათგანის გარეშე სარჩელი არ არსებობს. ორივე მხარე განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენს.

თუ სხვაგვარად განიხილება სარჩელი, მაშინ შეუძლებელი იქნება ისეთი ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნების გაგება, როგორიცაა შეგებებული სარჩელი, სარჩელის ფასი (რომელიც სწორედ მოთხოვნიდან დგინდება), სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანება ან გამოყოფა. (სსსკ-ის 178-ე, 182-ე, 188-ე მუხლები და სხვ).

ნებისმიერ დავაში მოსარჩელის მოთხოვნას სასამართლოსადმი, ყოველთვის აუცილებლად თან ახლავს მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი.

ამრიგად, სარჩელი არის საპროცესო კანონით დადგენილი წესით სასამართლოში განსახილველად და გადასაწყვეტად წარდგენილი ერთი პირის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მეორისადმი, რომელიც გამომდინარეობს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან და ეფუძნება იურიდიულ ფაქტებს.

§3. სარჩელის ელემენტები[1]

1. სარჩელის ელემენტების ცნება და სახეები. სარჩელის ელემენტები ეს მისი შემადგენელი ნაწილებია, რომლებიც სარჩელის შინაარსს შეადგენს, განსაზღვრავს მის სამართლებრივ ბუნებას და ასევე ახდენს, სარჩელის ინდივიდუალიზებას.

რაში მდგომარეობს სარჩელის ელემენტების მნიშვნელობა?

სარჩელის ელემენტები ინფორმაციას იძლევა მხარეების, ასევე მატერიალური უფლების შესახებ, რომელიც, მოსარჩელის აზრით, დაცვას საჭიროებს, სარჩელის ელემენტები ინფორმაციას გვაძლევს ასევე იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო მოსარჩელის მოთხოვნას. ასეთი ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა მოვახდინოთ თვითონ პროცესის ინდივიდუალიზებაც კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე, განვსაზღვროთ სასამართლოს საქმიანობის მიმართულება, მოცულობა (ფარგლები) და ხასიათი. მოპასუხეს შესაძლებლობა ეძლევა მოემზადოს თავისი უფლების დასაცავად, რამეთუ მისთვის ცნობილი ხდება მის წინააღმდეგ წამოყენებული მოთხოვნის ხასიათი, კერძოდ,

[1] ელემენტი — ლათ. „რისამე შემადგენელი მარტივი ნაწილი", „დამახასიათებელი თვისება რისამე შინაარსში". იხმარება სხვა მნიშვნელობითაც. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ეროტომეული, თბ., 1990, გვ. 475.

თუ საიდან გამომდინარეობს ეს მოთხოვნა და რას ეფუძნება. სარჩელის ელემენტებზეა დამოკიდებული დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის რომელი საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში და ასევე მასზეა დამოკიდებული მომავალში მისაღები სასამართლო გადაწყვეტილების ხასიათიც.

სარჩელს ორი ელემენტი აქვს: სარჩელის საგანი და საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც და ასევე სასამართლო პრაქტიკაში სწორედ სარჩელის ამ ორ ელემენტზეა მითითებული (83-ე, 178-ე მუხლები, 186-ე მუხლის „გ" პუნქტი).

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სარჩელის ელემენტების მნიშვნელობაზე და ვამბობთ, რომ მათი საშუალებით შეიძლება მოვახდინოთ სარჩელთა ინდივიდუალიზაცია, ეს ნიშნავს, რომ სარჩელის საგნისა და საფუძვლის მიხედვით ერთი სარჩელი განსხვავდება მეორისაგან. სარჩელის საგანსა და საფუძველს არსებითი მნიშვნელობა აქვთ სარჩელთა იგივეობის განსაზღვრისათვისაც. ისინი გვეხმარებიან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დაკონკრეტებაში, რის მიხედვითაც აგებულ უნდა იქნეს დაცვა სარჩელის წინააღმდეგ.

კანონში აღნიშნულია, რომ სარჩელის შეცვლა ხდება მისი საგნისა და საფუძვლის მიხედვით (83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

ამრიგად, სარჩელის ელემენტების საკითხს აქვს როგორც თეორიული, ისე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

მხარეთა შორის არსებული დავის განხილვის დროს, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოთხოვნის კანონიერება და დასაბუთებულობა და ამ კონკრეტული მოთხოვნის თაობაზე გამოტანილი შესაბამისი დასკვნა ასახოს თავის გადაწყვეტილებაში. თავის მხრივ, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი აუცილებლად უნდა დასაბუთდეს კონკრეტული ფაქტებით და ეფუძნებოდეს სამართლის შესაბამის ნორმას, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს მოცემული დავის მოსაგვარებლად.

2. სარჩელის საგანი და სარჩელის ობიექტი. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში უნდა აღნიშნოს (მიუთითოს), თუ რაში გამოიხატება უფლების დარღვევა ან რაში მდგომარეობს უფლების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესის დარღვევის საფრთხე და რას მოითხოვს იგი მოპასუხისაგან. მოსარჩელემ სასამართლოს, შესაძლოა, სთხოვოს რისამე მიკუთვნება, აღიარება თუ შეცვლა.

იმდენად, რამდენადაც უფლების შესახებ დავა ყოველთვის გულისხმობს მოპასუხისადმი მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას, კანონი მოითხოვს, რომ სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ ჩამოაყალიბოს თავისი მოთხოვნის არსი (სსსკ-ის 178-ე და 182-ე მუხლები), ანუ სარჩელში მითითებულ უნდა იქნეს მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი უფლების დარღვევის აღმოფხვრისა თუ მისი აღდგენის შესახებ და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს. სარჩელის საგანია სწორედ ის კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც მოსარჩელე უყენებს მოპასუხეს და რომელთან დაკავშირებითაც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

ერთ შემთხვევაში მოსარჩელე შეიძლება დაინტერესებული იყოს მასსა და მოპასუხეს შორის არსებული სამართალურთიერთობის არსებობის დადასტურებით, სხვა შემთხვევაში კი, პირიქით — მისი არარსებობის დადასტურებით. მაგალითად, მოსარჩელეს უფლება აქვს სასამართლოს სთხოვოს მასსა და მოპასუხეს შორის მატერიალური სამართალურთიერთობის არსებობის ფაქტის დადასტურება, რადგან ეს ფაქტი მოპასუხემ სადავოდ აქცია (მაგალითად, ავტორობის აღიარება, მამობის დადგენა, სერვიტუტის დადგენა, საკუთრების უფლების აღიარება და სხვ.). თუ მოსარჩელის მოთხოვნას დააკმაყოფილებს სასამართლო, მაშინ უდავო იქნება მოსარჩელის წინაშე მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულებაც.

მოსარჩელეს შეუძლია სასამართლოს სთხოვოს მასსა და მოპასუხეს შორის არსე-

ბული მატერიალური სამართალურთიერთობის არა მხოლოდ დადგენა, არამედ აგრეთვე შეცვლა ან შეწყვეტა (მაგალითად, ქორწინების შეწყვეტა, საერთო საკუთრების გაყოფა და სხვ.), სასამართლოსაგან მოითხოვოს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის იძულებით განხორციელება. როცა მოსარჩელე სასამართლოს სთხოვს მასსა და მოპასუხეს შორის მატერიალური სამართალურთიერთობის არსებობის ფაქტის დადგენას, ამ შემთხვევაში დავის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსარჩელე ცდილობს სამომავლოდ თავიდან აიცილოს რაიმე ვალდებულების შესრულება (გაითავისუფლოს თავი მომავალში მისი შესრულებისაგან) და ამით დაიცვას თავისი მატერიალური უფლება. მაგალითად, ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენით (აღძვრით), როცა ანდერძი მოპასუხის სასარგებლოდაა მამკვიდრებლის მიერ შედგენილი, კანონისმიერი მემკვიდრე თავის უფლებას იცავს რადგან მას სურს სამკვიდრო ქონების მიკუთვნება და პროცესის მოგების (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შემთხვევაში თავიდან აიცილებს სამკვიდრო ქონების ანდერძისმიერი მემკვიდრისათვის გაყოფის ვალდებულებას.

ზოგჯერ მოსარჩელის ინტერესების დასაცავად არ არის საკმარისი მხოლოდ მასსა და მოპასუხეს შორის კონკრეტული მატერიალური სამართალურთიერთობის არსებობის ფაქტის დადასტურება. საჭიროა აგრეთვე იურიდიული პასუხისმგებლობის ზომების მიღებაც, ანუ მოპასუხისათვის ვალდებულებების დაკისრება და, შესაბამისად, მისი იძულება, შეასრულოს მოქმედება მოსარჩელის სასარგებლოდ (მაგალითად, ალიმენტების გადახდევინება, ქონების მიკუთვნება, სამუშაოზე აღდგენა და სხვ.).

კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს უფლება აქვს თავისი გადაწყვეტილებით შეცვალოს ან შეწყვიტოს მხარეთა შორის არსებული მატერიალური სამართალურთიერთობა. ამ შემთხვევაში მხოლოდ მხარის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია მატერიალური სამართალურთიერთობის ტრანსფორმაციაზე, არ არის საკმარისი. საჭიროა სასამართლოს აქტი, ასევე სასამართლო სხდომაზე იურიდიული ფაქტების არსებობის დადგენის სპეციალური პროცედურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ პირვანდელი სახით სამართალურთიერთობა აღარ შეიძლება არსებობდეს.

ერთი სამართალურთიერთობიდან (მაგალითად, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობიდან) შეიძლება გამომდინარეობდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე მოთხოვნა. თითოეული ეს მოთხოვნა იქნება სარჩელის საგანი.

სარჩელის საგნისაგან უნდა განვასხვაოთ დავის საგანი (სადავო სამოქალაქო სამართალურთიერთობის ობიექტი), ე.წ. სარჩელის (დავის) მატერიალური ობიექტი. სარჩელის ობიექტი ეს ის მატერიალური სიკეთეა, რომლის შესახებაც აღძრულია სარჩელი და რომლის მიღებასაც მოსარჩელე ითხოვს, კერძოდ, ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ნივთი, საგანი, რომელიც საქმეში ფიგურირებს სწორედ სადავო სამართალურთიერთობის ობიექტის სახით, ფულადი თანხა, რომელიც გადაცემულ ან გადახდილ უნდა იქნეს. მაგალითად, მესაკუთრე მოითხოვს (სარჩელის საგანი) თავისი ქონების (მატერიალური ობიექტი) დაბრუნებას; გამსესხებელი (კრედიტორი) მოპასუხისაგან მოითხოვს (სარჩელის საგანი) ფულადი თანხის (მატერიალური ობიექტი) დაბრუნებას. სარჩელის საგანი შეეხება სარჩელის მატერიალურ ობიექტს. კერძოდ, როცა საუბარია სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის გადიდების (გაზრდის) ან შემცირების შესახებ, ამ შემთხვევაში იცვლება სარჩელის მატერიალური ობიექტის რაოდენობრივი მხარე და არა სარჩელის საგანი.

სარჩელის საგანთან დაკავშირებულია მოსარჩელის უფლება, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა სარჩელის შეტანის შემდეგ, მაგრამ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე (83-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ასევე ამ საკითხთანაა დაკავშირებული ისიც, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს მია-

კუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვნია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (248-ე მუხლი). ამრიგად, მოსარჩელის დისპოზიციური უფლებაა (თვითონ განკარგავს იგი ამ საპროცესო უფლებას), განსაზღვროს მოთხოვნათა მოცულობა.

სარჩელის საგანი შემდეგ ხდება სასამართლო გადაწყვეტილების საგანი.

3. სარჩელის საფუძველი. სარჩელის საფუძველია ის გარემოებები (იურიდიული ფაქტები), რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას. მოსარჩელემ ეს გარემოებები უნდა დაასახელოს სარჩელში (178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" პუნქტი). მართალია, კანონი არ ზღუდავს მოსარჩელეს, არ უკრძალავს მას, რომ სარჩელი დაასაბუთოს ნებისმიერი ფაქტით, მაგრამ საქმისათვის მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იურიდიულ ფაქტებს — იმ გარემოებებს, რომლებიც იწვევენ სამართალურთიერთობის (მხარეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობას, შეცვლას, ან შეწყვეტას, რომელთა გამოც წარმოიშვა მხარეთა შორის დავა. დანარჩენ ფაქტებს კი წმინდა ინფორმაციული ხასიათი აქვთ და გადაწყვეტილებაში არ აისახება.

იურიდიული ფაქტია, მაგალითად, ხელშეკრულების დადება, ქორწინება და მისი რეგისტრაცია, ზიანის მიყენება და სხვ. მეტწილად სარჩელს საფუძვლად უდევს რამდენიმე იურიდიული ფაქტი, რომელსაც სხვანაირად რთულ ფაქტობრივ შემადგენლობასაც უწოდებენ, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი შემადგენლობის არსებობას კანონი უკავშირებს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს.

სარჩელის საფუძვლად არსებული იურიდიული ფაქტები, როგორც წესი, უნდა ვეძებოთ სამართლის იმ ნორმის ჰიპოთეზაში, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს სასამართლოში კონკრეტული დავა.

აღსანიშნავია, რომ ყველა იურიდიული ფაქტი სარჩელის ფაქტობრივი საფუძველია. **მაგრამ სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლის გარდა, არსებობს აგრეთვე სამართლებრივი საფუძველი**. როდესაც მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს, იგი ვარაუდობს, რომ მისი უფლება დაცულ იქნება. მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საჭიროა, რომ ეს მოთხოვნა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ სამართლის შესაბამის ნორმასაც და უნდა გამომდინარეობდეს ამ ნორმისაგან. მხოლოდ იმ მოთხოვნის დაცვა შეიძლება, რომელიც ეფუძნება კანონს. ეს იმას ნიშნავს, რომ იურიდიული ფაქტების გარდა უნდა დადგინდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმაც, რომელიც სარჩელის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

ყოველი მოთხოვნა, რომელსაც კი განიხილავს სასამართლო, მიმართული უნდა იყოს ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ და უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ და იურიდიულ მონაცემებს.

ამასთან, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მხარე ვალდებულია თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მიუთითოს სამართლის კონკრეტული ნორმა, კონკრეტული კანონი. საპროცესო კოდექსი სავალდებულო წესით ამას არ მოითხოვს მხარისაგან. მხარეს ევალება მხოლოდ სარჩელის საგნისა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლის მითითება და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენაც მათ დასამტკიცებლად. რაც შეეხება კონკრეტული კანონის (ნორმის) შეფარდებას, ეს სასამართლოს საქმეა, რამეთუ პროცესში მოქმედი წესის თანახმად, მოსამართლეებმა თვითონ იციან კანონები.

ამრიგად, სარჩელის საფუძველია ის გარემოებები (იურიდიული ფაქტები), რომელთა არსებობასაც მოსარჩელე უკავშირებს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის წარმოშობას მოპასუხისადმი, რომელიც, თავის მხრივ, სარჩელის საგანია. ფაქტობრივი საფუძვლის მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი „საფუძველი" კანონში (83-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 186-ე მუხლი, 266-ე მუხლი, 272-ე მუხლი, 275-ე მუხლი).

სარჩელის ელემენტები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სარჩელის საფუძველი განსაზღვრავს სადავო სამართალურთიერთობისა და მისგან გამომდინარე მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის (სარჩელის საგნის) იურიდიულ ბუნებას. თავის

მხრივ, სარჩელის საგანი განაპირობებს სარჩელის შინაარსს: მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა შეიძლება დაცულ იქნეს მხოლოდ მიკუთვნებით, ხოლო სადავო სამართალურთიერთობის არსებობისა თუ არარსებობის დაცვა ხდება სასამართლო აღიარებით.

სარჩელის ელემენტებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ სამოქალაქო პროცესში. მაგალითად, მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს თავისი სარჩელის (მოთხოვნის) საფუძველი. მოპასუხეს კი დროულად უნდა შეატყობინონ სარჩელის საფუძვლის შესახებ, რათა მოამზადოს თავისი შესაგებელი, ე.ი. მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც უარყოფენ სარჩელის საფუძველს. ამრიგად, სარჩელის საფუძველი ის ღერძია, ის საყრდენი საფუძველია, რომლის ირგვლივაც (გარშემო) მიმდინარეობს მტკიცება მხარეების მხრიდან, რამეთუ მოსარჩელე ამტკიცებს სარჩელის საფუძვლის ფაქტებს, ხოლო მოპასუხე მათ უარყოფს (ანუ ამტკიცებს შესაგებლის ფაქტებს), სწორედ აქ დევს შეჯიბრებით პროცესში მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველი.

სარჩელის შინაარსი, მოცემული ცნების ზუსტი გაგებით, მოიცავს სარჩელის ყველა შემადგენელ ნაწილს — მის საგანსა და საფუძველს, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ არა მარტო სარჩელის ინდივიდუალიზებას ვახდენთ, არამედ ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ დავადგინოთ (გავარკვიოთ) სარჩელთა განსხვავება და იგივეობა.

4. სარჩელთა იგივეობის ან/და განსხვავების დადგენის კრიტერიუმები. როგორც უკვე აღინიშნა, სარჩელის ელემენტები სასამართლოს საშუალებას აძლევს მოახდინოს სარჩელთა ინდივიდუალიზაცია. ეს კი იმ შემთხვევებშია აუცილებელი, როცა სასამართლო წყვეტს შემდეგ საკითხს: ხომ არ არის იგივე სარჩელი უკვე მიღებული წარმოებაში სასამართლოს მიერ, ან ხომ არ იყო ეს სარჩელი წინათ (ადრე) უკვე განხილული და გადაწყვეტილი, ხომ არ გამოიტანა სასამართლომ ადრე მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგებს. აქ მითითებულია, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

ამ საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია დადგინდეს (გაირკვეს) აღძრული სარჩელის იგივეობა ადრე განხილულ მოთხოვნებთან ან იმ მოთხოვნებთან, რომლებიც უკვე იმყოფება წარმოებაში. **სარჩელები ერთნაირი იქნება, ე.ი. სარჩელთა იგივეობასთან გვექნება საქმე, თუ მათში აბსოლუტური სახით (სრულად, ზუსტად) ერთმანეთს ემთხვევა ამ სარჩელების საგანი და საფუძველი და თუ საქმეში მონაწილეობენ იგივე მხარეები.** სარჩელთა იგივეობის შემთხვევაში განცხადების განმეორებით (ხელმეორედ) მიღება და განხილვა დაუშვებელია. ამიტომაა, რომ, თუ სარჩელები იგივეობრივია, სასამართლო ვალდებულია არ მიიღოს სარჩელი (186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები); ან თუ სარჩელი შეცდომითაა მიღებული, რის გამოც საქმე შეცდომით აღიძრა, შეწყვიტოს საქმის-წარმოება (272-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი), ანდა დატოვოს სარჩელი განუხილველად (275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" ქვეპუნქტი). ერთი და იმავე საქმეზე სასამართლოსადმი მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. თუ განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო ან დაუსაბუთებელია მას გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია დადგენილი წესით, მაგრამ მას უფლება არა აქვს აღძრას სარჩელი იმავე საქმეზე. ერთი და იმავე საქმეზე ერთდროულად რამდენიმე პროცესის (პარალელური სამართალწარმოების) წარმოების შესაძლებლობა რომ იყოს დაშვებული, ეს გამოიწვევდა მართლმსაჯულების სრულ დეზორგანიზაციას. დაუშვებელია ორი ერთნაირი (იგივეობრივი) მოთხოვნით სასამართლოსადმი ერთდროული მიმართვა. იგივეობრივ დავაზე მოთხოვნის აღძვრა შეიძლება

მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ ერთ სასამართლოში. მაგალითად, სსსკ-ის მე-20 მუხლი მოსარჩელეს ანიჭებს ორი და მეტი სასამართლოდან ერთ-ერთის არჩევის უფლებას. არ არის გამორიცხული, რომ მოსარჩელეს მიმართული ჰქონდეს ერთდროულად რამდენიმე სასამართლოსადმი ერთი და იმავე მოთხოვნით ერთი და იმავე საქმეზე.

შესადარებელ სარჩელთა იგივეობა ან განსხვავება დგინდება (განისაზღვრება) სამი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ, ესენია: 1) სუბიექტი; 2) სარჩელის საგანი და 3) სარჩელის საფუძველი. როცა ყველა ეს მომენტი შესადარებელ სარჩელებში იდენტურია, სახეზეა სარჩელთა იგივეობა. იგივეობა განისაზღვრება წამოყენებული სარჩელის ელემენტების შედარებით სხვა იმ სარჩელის ელემენტებთან, რომელიც უკვე განხილული იქნა არსებითად, რასაც ადასტურებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინება, ან ის ფაქტი, რომ იგივენაირი სარჩელი იმყოფება იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში. შესადარებელი სარჩელები მიიჩნევა იგივეობრივ სარჩელებად იმ პირობით, თუ სახეზეა შესადარებელი სარჩელების ელემენტების (სამივე ელემენტის) სრული (აბსოლუტური) თანხვედრა(მსგავსება).

სუბიექტის მიხედვით (მხარე ან განმცხადებელი უდავო წარმოების საქმეში) იგივეობა შეიძლება განისაზღვროს იქიდან გამომდინარე, წარდგენილია თუ არა სარჩელი განმეორებით ერთი და იმავე პირის მიერ იმავე მოპასუხის მიმართ. თუ სარჩელები ერთიმეორეს ემთხვევა ანუ იგივეობრივია მხოლოდ საგნისა და საფუძვლის მიხედვით, მაგრამ სუბიექტებია განსხვავებული, ასეთი სარჩელები არ ჩაითვლება იგივეობრივ სარჩელებად. იგივეობას ექნება ადგილი უფლებამონაცვლეობისას, რამეთუ უფლებამონაცვლე ცვლის წინამორბედს და წინამორბედის მიერ შესრულებული ნებისმიერი საპროცესო მოქმედება მისთვის სავალდებულოა (იხ. 92-ე მუხლი). მხარეთა იგივეობას ექნება ადგილი, თუკი ისინი ასე ვთქვათ, „გაცვლიან ადგილებს", ხოლო საგანი და საფუძველი კი უცვლელი დარჩება". იმ შემთხვევაშიც იქნება სახეზე მხარეთა იგივეობა, როცა „ადგილების გაცვლა" დაკავშირებულია შემხვედრი მოთხოვნის აღძვრასთან. მაგალითად, მხარემ მოითხოვა იმ გარიგების ბათილად ცნობა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ნამდვილ გარიგებად ჩაითვალა; მხარემ სადავო გახადა მამობა, თუმცა უკვე არსებობს მამობის დადგენის გადაწყვეტილება.

სუბიექტის მიხედვით სარჩელთა იგივეობას ექნება ადგილი მაშინაც, როცა სარჩელს აღძრავს თავისი სახელით ის, ვისაც კანონით უფლება აქვს სარჩელი აღძრას სხვა პირთა ინტერესების დასაცავად, თუკი უკვე არსებობს თავად ამ პირის (სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის) მოთხოვნის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება.

სარჩელთა საგნის იგივეობას ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, როცა შეცვლილი იქნება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა ანუ სარჩელის ობიექტი, რადგან ასეთ დროს უცვლელი რჩება სარჩელის საგანი.

ერთი ალტერნატიული მოთხოვნის მეორით შეცვლა ასევე არ გამორიცხავს სარჩელის საგნის იგივეობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სსსკ–ის 83–ე მუხლის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელისათვის ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიეკუთვნება ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება. სსსკ–ის 253–ე მუხლით გათვალისწინებული წესიც, სწორედ იმიტომ აძლევს სასამართლოს ქონების მიკუთვნების ან მისი ღირებულების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, რომ ასეთ დროს უცვლელი რჩება სარჩელის საგანი).

იგივეობრივ დავად არ ჩაითვლება იმავე მხარეებს შორის არსებული დავა, თუკი შეცვლილია სარჩელის საგანი ან საფუძველი. ამასთან, სარჩელის იგივეობა უნდა განისაზღვროს სარჩელის საგნის არა მარტო ზოგადი (საერთო) ნიშნებით, არამედ პირველ ყოვლისა, სარჩელის საგნის კონკრეტული შინაარსის მიხედვით. თუკი მაგალითად მეუღლეთა საერთო

ქონების გაყოფის დროს წინა საქმეში არ ფიგურირებდა რომელიმე ნივთი (ქონება), მაშინ ამ ქონების გაყოფის შესახებ აღძრული ახალი სარჩელი და თავდაპირველი სარჩელი არ შეიძლება მივიჩნიოთ იგივეობრივ სარჩელებად.

სარჩელთა საფუძვლები არ შეიძლება მივიჩნიოთ იგივეობრივ საფუძვლებად, თუკი ახალ სარჩელს საფუძვლად უდევს ფაქტები, რომლებზეც მანამდე არ უმსჯელია სასამართლოს და არ არიან ასახულნი მანამდე გამოტანილ გადაწყვეტილებაში.

სარჩელზე უარის თქმა მართალია, ზოგადად, იწვევს სსსკ–ის 273–ე მუხლის მე–2 ნაწილით გათვალისწინებულ შედეგს (დაუშვებელია ასეთ დროს იგივეობრივი სარჩელის აღძვრა), მაგრამ სარჩელზე უარის თქმა არ ართმევს მოსარჩელეს იმავე მოთხოვნით სასამართლოსადმი განმეორებით მიმართვის უფლებას, თუკი სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც აღიძრა საქმის შეწყვეტის შემდეგ სარჩელი, კანონის ძალით გრძელდება (შენარჩუნებულია) მხარეთა შორის. მაგალითად, თუკი მოსარჩელემ უარი თქვა ალიმენტის გადახდევინების სარჩელზე, ქორწინების შეწყვეტის სარჩელზე და სხვა, ეს გარემოება არ ართმევს მოსარჩელეს იმავე სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებაც, როგორც სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, აგრეთვე უკავშირდება სარჩელთა იგივეობის დადგენას.

მორიგების (ორმხრივი განკარგვითი აქტის) დამდებ მხარეებს არა აქვთ სასამართლოსადმი განმეორებით იმავე სარჩელით მიმართვის უფლება, რომელზეც დადეს მორიგება, რადგან მორიგებით იცვლება სადავო სამართლებრივი ურთიერთობა და წყდება (მთავრდება) დავა.

მაგალითად, მხარეებს უფლება აქვთ საქმე აწარმოონ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელის ინტერესებს წარმოადგენს რწმუნებული და მას შეაქვს სარჩელი სასამართლოში, ცხადია, მხარე პროცესში იქნება ის, ვისი უფლებები და ინტერესებიც უნდა დაიცვას რწმუნებულმა, ამიტომ, თუ თვითონ მარწმუნებელი (ვისი ინტერესებიდან გამომდინარეც აღძრული იყო საქმე) შეიტანს ხელმეორედ სარჩელს, ამით სუბიექტური შემადგენლობა არ შეიცვლება და სახეზე იქნება სარჩელთა იგივეობა.

უფრო ხშირად კი ერთგვაროვანი მოთხოვნების არაერთგზისი (განმეორებითი) წარდგენა (აღძვრა) აიხსნება თვითონ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებებით, რომელიც შეიძლება ატარებდეს განგრძობად ხასიათს. ასეთი ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელებში, როგორც წესი, იცვლება ერთი ელემენტი – საფუძველი, რომლის ხარჯზეც უკვე იგივეობა აღარ არსებობს. მაშასადამე, განგრძობადი ხასიათის მქონე სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება წარმოიშვას ახალი ფაქტები, რომლებიც არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძვლის იგივეობის განსაზღვრის დროს. მაგალითად, დანიშნული ალიმენტების შესახებ სარჩელი შეიძლება აღიძრას განმეორებით, თუ აღნიშნული სარჩელის საფუძვლის ფაქტები (საქმის გარემოებები) შეიცვალა ან მათ დაემატა სხვა გარემოება, თუმცა ურთიერთობის სუბიექტები და სარჩელის საგანი იდენტური (იგივე) რჩება. (მარტო საფუძველი იცვლება მასში და, შესაბამისად, აქ იგივე აღარ არის საფუძველი).

„სარჩელის იგივეობის" ცნების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს იურიდიულ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც საკანონმდებლო წესით იკრძალება ერთი და იმავე სარჩელების განმეორებით განხილვა. ერთი და იგივე მოთხოვნის განმეორებით განხილვა იკრძალება კანონით იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ერთი და იგივე საქმეებზე ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო აქტების გამოტანა, რასაც შეუძლია დესტაბილიზაცია და ქაოსი გამოიწვიოს მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში. ამიტომ, ყველაფერთან ერთად, სარჩელთა იგივეობის

კრიტერიუმს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე ან მხარეთა მორიგების დამტკიცების განჩინება, აგრეთვე იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში იგივე სარჩელზე აღძრული საქმის ყოფნა.

ორი ან მეტი სარჩელის ელემენტების შედარების დროს, ე. ი. იგივეობის განსაზღვრის დროს, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს, როგორც სარჩელის ინდივიდუალიზაციის ელემენტს, თავისებურება ახასიათებს. თავისებურებებს განაპირობებს ის, რომ სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი შეიძლება იყოს როგორც ალტერნატიული, ისე უალტერნატივოც. სარჩელის ალტერნატიული ფაქტობრივი საფუძველი გულისხმობს რამდენიმე იურიდიული ფაქტის არსებობას (იურიდიული ფაქტების ერთობლიობას). თითოეულ ფაქტს ცალ-ცალკე შეიძლება დაუკავშიროს მატერიალური სამართლის ნორმებმა სადავო უფლების ან კანონიერი ინტერესის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის შესაძლებლობა. ამიტომ ალტერნატიული საფუძვლით აღძრული მოთხოვნა (ე. ი. სარჩელი) შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც ერთ, ისე მეორე იურიდიულ ფაქტს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ერთ-ერთი ალტერნატიული საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ალტერნატიული საფუძვლის მქონე სარჩელებს მიეკუთვნება მამობის დადგენის სარჩელი (სკ-ის 1190-ე მუხლი); ბავშვის დაბრუნების შესახებ სარჩელი; შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სარჩელი; მშობლის უფლების და მოვალეობის ჩამორთმევის სარჩელი (სკ–ის 1206-ე მუხლი); გამქირავებლის ინიციატივით ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის სარჩელი (სკ-ის 557-ე – 558-ე მუხლები) და სხვა, თუკი მოთხოვნის დასასაბუთებლად მოსარჩელე უთითებს საქმის თავდაპირველად განხილვის შემდეგ წარმოშობილ ახალ გარემოებებზე.

სარჩელის ალტერნატიული საფუძვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სარჩელის ერთ-ერთი ალტერნატიული საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სარჩელის აღძვრა სხვა ალტერნატიული საფუძვლით, რომელიც არ ყოფილა სასამართლო განხილვის საგანი, ადასტურებს იმას, რომ სახეზე არ არის შესადარებელ სარჩელთა იგივეობა, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ დასაშვებია პროცესის აღძვრა ახალი ალტერნატიული საფუძვლით. მაგალითად, თუ გამქირავებელს უარი ეთქვა ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომელიც აღძრული იქნა სკ-ის 557-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით (დამქირავებელი ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას), ეს არ ართმევს გამქირავებელს უფლებას ხელმეორედ აღძრას ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის სარჩელი მაგრამ სხვა ალტერნატიული საფუძვლით, მაგალითად იმ მოტივით, რომ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში (სკ-ის 558-ე მუხლი). სხვა მაგალითი: მშობლის უფლება-მოვალეობის ჩამორთმევის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმის გამო, რომ არ დადასტურდა მოპასუხის ნარკომანობა, დაინტერესებულ პირს არ ართმევს უფლებას ამის შემდეგ განმეორებით მიმართოს სასამართლოს ანალოგიური მოთხოვნით, მაგრამ სხვა ალტერნატიული საფუძვლით, მაგალითად ბავშვთან მოპასუხის უხეშად მოპყრობის მოტივით (სკ-ს 1206-ე მუხლი). სხვაგვარად წყდება უალტერნატივო საფუძვლის მქონე სარჩელთა გარეგნული იგივეობის საკითხი. კერძოდ, როდესაც ემთხვევა ისეთი ელემენტები, როგორიც არის საგანი, საფუძველი და მხარეები, სარჩელთა გარეგნულ იგივეობას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის ფაქტები, რომლებიც შესადარებელ სარჩელთა ფაქტობრივ საფუძველს ქმნის, არსებობდნენ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუ თავის დროზე ეს ფაქტები რაიმე მიზეზით არ იყო სასამართლო განხილვის საგანი, მაშინ დაინტერესებულ პირს არა აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს იგივეობრივი სარჩელით. მსგავს სიტუაციაში უფლება აქვს დააყენოს მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების

სააპელაციო (საკასაციო) წესით შემოწმების საკითხი (თუ გადაწყვეტილება არ შესულა ძალაში) ან მოითხოვოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო. თუკი ფაქტები, რმლებიც შეიძლება ახალი სარჩელის საფუძველი გახდეს, წარმოიშვა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მაშინ ეს ფაქტები ქმნიან სარჩელის ახალ ფაქტობრივ საფუძველს. ასეთ სიტუაციაში სასამართლოს მიერ განხილული და ხელახლა აღძრული სარჩელები არ წარმოადგენენ იგივეობრივ სარჩელებს ფაქტობრივი საფუძვლის მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ დაინტერესებულ პირს აქვს სარჩელის აღძვრის უფლება ახალი საფუძვლით.

მაგალითი: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული იქნა დასაქმებულის სარჩელი და დამსაქმებელს დაეკისრა შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გადახდა. დამსაქმებელმა დააყოვნა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება. დასაქმებულმა აღძრა მეორე სარჩელი და ამჯერად მოითხოვა დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრება მოპასუხისათვის (კანონისმიერი პროცენტი – იხ. შრომის კოდექსი). მოცემულ შემთხვევაში, დროის მონაკვეთი, რომელიც გავიდა შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გადახდევინების გადაწყვეტილების გამოტანისა და კანონიერ ძალაში შესვლიდან შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ფაქტობრივად გადახდის მომენტამდე და შრომის ანაზღაურების დაყოვნება წარმოადგენს ახალ იურიდიულ ფაქტებს და მაშასადამე, ახალ ფაქტობრივ საფუძველს, რომელსაც კანონი (შრომის კოდექსი) უკავშირებს ახალი მოთხოვნის (პროცენტის გადახდევინების) წარმოშობის უფლებას. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში დასაქმებულის მიერ აღძრული პირველი და მეორე სარჩელი არ წარმოადგენს იგივეობრივ სარჩელებს არა მხოლოდ თავიანთი საგნით, არამედ აგრეთვე ფაქტობრივი საფუძვლითაც. რამდენიმე მოთხოვნის აღძვრისას თუ სახეზეა სარჩელთა ნაწილობრივი თანხვედრა (იგივეობა), უნდა დადგინდეს, სარჩელის რომელი ნაწილი იქნეს განხილული არსებითად, და რომელ ნაწილში უნდა შეწყდეს დავა.

სარჩელის საგნის მიხედვით ხორციელდება სარჩელთა სახეებად კლასიფიკაციაც.

§4. სარჩელის სახეები

სარჩელთა დაყოფა ანუ სარჩელთა კლასიფიკაცია ხორციელდება საპროცესო მიზნის მიხედვით, ე.ი. საპროცესო-სამართლებრივი ნიშნით ან მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ხასიათის მიხედვით, ე.ი. მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნით.

აღსანიშნავია, რომ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ყველა სარჩელის საპროცესო მიზანი ერთია, კერძოდ, მოსარჩელის დარღვეული ან სადავო უფლების დაცვა, ანუ მოსარჩელის მიზანია სასამართლოსაგან დადებითი გადაწყვეტილების მიღება. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მოპასუხეს ავალდებულებს (აკისრებს) მოსარჩელის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას (ზიანის ანაზღაურებას, უკანონო მფლობელობაში არსებული ნივთის დაბრუნებას, რომლის მესაკუთრეც მოსარჩელეა და ა.შ.).

ზოგიერთი სარჩელის მიზანია სადავო სამართალურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადასტურება სასამართლო გადაწყვეტილებით. მაგალითად, სასამართლომ, შესაძლოა, მიიღოს ავტორობის აღიარების, გარიგების ბათილად ცნობის და ა.შ. გადაწყვეტილება.

ამიტომ, იმისდა მიხედვით, თუ როგორი გადაწყვეტილების გამოტანას ითხოვს მოსარჩელე, ე.ი. საპროცესო მიზნის მიხედვით სარჩელები იყოფა შემდეგ სახეებად: 1) **მიკუთვნებითი** და 2) **აღიარებითი (უფლებადამდგენი)** სარჩელები.

რაც შეეხება სარჩელთა მატერიალურ-სამართლებრივ ბუნებას, სარჩელები ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს სადავო სამართალურთიერთობისა და იმ მოთხოვნის ხასიათის მიხედვით, რომელსაც მოსარჩელე უყენებს მოპასუხეს.

სარჩელთა მატერიალურ-სამართლებრივი კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ დავის (საქმის) უწყებრივი ქვემდებარეობა და მისი სუბიექტური შემადგენლობა, აგრეთვე განვსაზღვროთ მოცემული დავის საპროცესო თავისებურებების სპეციფიკა.

განვიხილოთ სარჩელთა ზემოაღნიშნული სახეები ცალ-ცალკე.

1. **მიკუთვნებითი** სარჩელი სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია. მიკუთვნებითი სარჩელი აღიარებითი სარჩელისაგან იმით განსხვავდება, რომ მას უფრო რთული საგანი გააჩნია, რამეთუ მიკუთვნებით სარჩელში მოსარჩელე მოითხოვს არა მხოლოდ სადავო მატერიალური უფლების არსებობის ფაქტის აღიარებას (დადასტურებას), არამედ აგრეთვე იმასაც, რომ სასამართლომ აიძულოს მოპასუხე შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება (მასზე დაკისრებული მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულებანი) ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან. ანუ ამით ეკრძალება მოპასუხეს მოქმედების შესრულება იმდენად, რამდენადაც უფლების დაცვის ფორმა განისაზღვრება უფლების (რომლის დაცვასაც ითხოვს მოსარჩელე) დარღვევის ხასიათით. მიკუთვნებით სარჩელს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სადავო უფლების დარღვევის ხასიათის მიხედვით მისი დაცვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოპასუხისათვის განსაზღვრული მოქმედების შესრულების ან მისი შესრულებისაგან თავის შეკავების დაკისრებით.

მიკუთვნებითი სარჩელის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მასში ორი მოთხოვნის გაერთიანება (შეერთება) ხდება, კერძოდ, სადავო უფლების (სამართალურთიერთობის) აღიარების (დადასტურების) შესახებ მოთხოვნის გაერთიანება ხდება მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მოვალეობების (მოქმედებების) შესრულების დაკისრების შესახებ მოთხოვნასთან. სწორედ მოსარჩელის ეს საპროცესი მიზანი (რომ მოპასუხეს დააკისროს სასამართლომ თავისი ვალდებულებების შესრულება), სწორედ ეს მომენტი არის განმსაზღვრელი იმისათვის, რომ ასეთ სარჩელს ვუწოდოთ მიკუთვნებითი სარჩელი. მიკუთვნებით სარჩელთან დაკავშირებით გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველია და შეიძლება იძულებით აღსრულდეს, თუ მოპასუხე ნებაყოფლობით არ შეასრულებს სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამიტომ, მიკუთვნებით სარჩელს აგრეთვე უწოდებენ **სააღსრულებო სარჩელს**. ასეთი სარჩელის მიზანია უფლების იძულებითი წესით განხორციელება. მიკუთვნებითია, მაგალითად, სავინდიკაციო სარჩელი, დელიქტის გამო აღძრული სარჩელი, ვალისა თუ ალიმენტის გადახდევინების სარჩელი, სამუშაოს ხარვეზის (ნაკლის) გამოსწორების მოთხოვნა ნარდობის ხელშეკრულებაში და სხვ.

მოსარჩელეს მიეცემა სააღსრულებო ფურცელი იძულებითი წესით თანხის გადასახდევინებლად, ქონების დასაბრუნებლად (გამოსათხოვად), ზიანის ასანაზღაურებლად და ა.შ. მაგრამ მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს არა მხოლოდ აქტიური მოქმედების შესრულების დაკისრება მოპასუხისათვის. ზოგჯერ მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის იმ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების დაკისრებას, რომელიც ხელს უშლის მოსარჩელეს თავისი კონკრეტული უფლების განხორციელებაში (ე.ი. მოპასუხეს ეკისრება პასიური მოქმედება). მაგალითად, როდესაც სასამართლო ადგენს ცალკე მცხოვრები მშობლის იმ ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის წესს, რომელიც აღსაზრდელად მეორე მშობელს გადაეცა, სასამართლო ავალდებულებს მოპასუხეს თავი შეიკავოს ასეთი წესის დარღვევისაგან, რითაც იცავს მოსარჩელისა და ბავშვის უფლებებს.

მიკუთვნებითი სარჩელის საფუძველია იურიდიული ფაქტები, რომელთა არსებობასთანაც

დაკავშირებულია თვითონ უფლების წარმოშობა (მაგალითად, გარიგების დადების ფაქტი, ანდერძის შედგენისა და დადასტურების ფაქტი და სხვ.) და ფაქტები, რომელთა არსებობასთანაც დაკავშირებულია მოთხოვნის (სარჩელის) უფლების წარმოშობა, ე.ი. ფაქტები, რომლებითაც დასტურდება, რომ უფლება დარღვეულია (მაგალითად, ვადის გასვლა და ვალდებულების შეუსრულებლობა, საავტორო უფლებების დარღვევა და სხვ.).

2. აღიარებითი სარჩელი. აღიარებით სარჩელში მოსარჩელე მოითხოვს მასსა და მოპასუხეს შორის სადავო უფლების, ან სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის არსებობის ან არარსებობის ფაქტის აღიარებას (დადასტურებას) სასამართლოს მიერ. **ასეთ სარჩელს უფლებადამდგენ სარჩელსაც უწოდებენ.**[1]

აღიარებითი სარჩელი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი შინაარსის, რაც განისაზღვრება თვითონ მოსარჩელის მოთხოვნის ხასიათით. მაგალითად, როცა მოსარჩელე მოითხოვს მასსა და მოპასუხეს შორის მატერიალური სამართალურთიერთობის არსებობის ფაქტის დადგენას (დადასტურებას), ამას ეწოდება დადებითი (პოზიტიური) აღიარებითი სარჩელი (მაგალითად, ასეთია მამობის აღიარების სარჩელი, საკუთრების უფლების აღიარების სარჩელი, ავტორობის აღიარების სარჩელი და სხვ.). თუ მოსარჩელე მოითხოვს იმ სამართალურთიერთობის არარსებობის აღიარებას (დადასტურებას), რომლის არსებობასაც ადასტურებს მოპასუხე, ან თუ მოსარჩელე მოითხოვს, რომ ბათილად იქნეს აღიარებული ეს ურთიერთობა, ამას ეწოდება უარყოფითი (ნეგატიური) აღიარებითი სარჩელი (მაგალითად, ასეთია გარიგების ბათილად ცნობის სარჩელი, ანდერძის, ქორწინების ბათილად ცნობის სარჩელი და სხვ.).

უფლების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა შეიძლება აუცილებელი გახდეს ამ უფლების დარღვევამდე. მაგალითად, ხელშეკრულების მხარეებს სხვადასხვანაირად ესმით თავიანთი ურთიერთუფლებები და მოვალეობები, რის გამოც მათ შორის წარმოიშვა უთანხმოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უფლების დარღვევა ან ერთ-ერთი მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამიტომ, შესაძლო სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით, აღიძვრება აღიარებითი სარჩელი, რომელიც პრევენციულ როლს ასრულებს მოცემულ შემთხვევებში.

ამრიგად, აღიარებითი სარჩელი ისეთი უფლების დაცვის საშუალებაა, რომელიც არ არის დარღვეული თუმცა სადავოდ არის ქცეული. მისი დანიშნულებაა (მიზანია) თავიდან იქნეს აცილებული უფლების შესახებ დავა და მხარეებს შორის სამართალურთიერთობა არ იყოს განუსაზღვრელი. მოსარჩელის ერთადერთი მიზანია, აღიარებითი სარჩელის

[1] იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყოველთვის როცა მოსარჩელეს შეუძლია მიკუთვნებითი სარჩელით სარგებლობა, აღიარებითი სარჩელის გამოყენება დაუშვებელია, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლო პრაქტიკაში. აღიარებითი სარჩელი საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასაშვები, როცა მოსარჩელეს აქვს ამის **იურიდიული ინტერესი** (სსსკ-ის 180-ე მუხლი). ასეთი სარჩელის აღძვრის რეალური იურიდიული ინტერესი უნდა არსებობდეს აუცილებლად, რადგან როგორც სსსკ-ის 180-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, იურიდიული ინტერესის არსებობა სსსკ-ის 180-ე და 181-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელების დასაშვებობის უმთავრესი პირობაა, რაც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ასეთი სარჩელების წარმოებაში მიღების დროს. დაწვრილებით იხილეთ მზია თოდუა, შალვა ქურდაძე. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი. 2005 წ. გვ. 159-164. ამასთან, ჩვენი აზრით აღიარებითი სარჩელი ამოსაღებია საპროცესო კოდექსიდან. სარჩელთა კლასიფიკაცია დოქტრინის საქმეა და არა კანონმდებლობისა. იურიდიული ინტერესი მოსარჩელეს არა მარტო აღიარებით, არამედ მიკუთვნებით სარჩელშიც უნდა ჰქონდეს. 178-ე და 180-ე მუხლი ხშირად გამხდარა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი მოსარჩელის მიერ იურიდიული ინტერესის მიუთითებლობის მოტივით. იურიდიული ინტერესის ფორმალური მითითება სარჩელში არაფერს აძლევს სასამართლო პრაქტიკას. თავად მოსამართლეა მოვალე საქმის განხილვისას გაარკვიოს, გაარჩინა თუ არა პირს რეალური იურიდიული ინტერესი. საკმარისი იქნება კანონი ადგენდეს ნებისმიერი სახის სარჩელისათვის ერთნაირ და ერთიან რეკვიზიტებს, ამასთან იურიდიული ინტერესის მითითება სარჩელში სავალდებულო არ უნდა იყოს.

წარდგენით, მიაღწიოს თავისი უფლების აღიარებას და ამით, სამომავლოდ, მოიპოვოს უდავო უფლება. მოპასუხეს მის მიმართ აღიარებითი სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, არ ეკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულება. აღიარებითი სარჩელის დამახასიათებელი ნიშნებია:

1) აღიარებითი სარჩელის მიზანია სამართალურთიერთობის არსებობის ან არარსებობის კონსტატაცია;

2) აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებით არ აღსრულდება, თუმცა იძულებითი ძალა მას აქვს. სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტილება თავისთავად ბოჭავს, ზღუდავს მხარეებს, ავალდებულებს მათ შეასრულონ სადავო სამართალურთიერთობის არსებობიდან ან არარსებობიდან გამომდინარე ესა თუ ის მოქმედება (ქცევა).

3) აღიარებითი სარჩელი უფლების დარღვევის გამო კი არ აღიძვრება, არამედ მხოლოდ შესაძლო სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აღიარებითი სარჩელი გულისხმობს სადავო უფლების არსებობას. (შეიძლება ასეც ვთქვათ – უფლების შესახებ დავის არსებობას).

როცა უფლება-მოვალეობები განუსაზღვრელია, ან ისინი სადავოდაა ქცეული, მაშინ მოსარჩელეს უჩნდება მათი დაცვის ინტერესი, რაც ხორციელდება ამ უფლება-მოვალეობების სასამართლო წესით დადგენით ან აღიარებით. აქედან გამომდინარე უწოდებენ აღიარებით სარჩელს მეორენაირად უფლების დამდგენ სარჩელს, რამეთუ მისი აღძვრის შემთხვევაში, როგორც წესი, სასამართლოს მიზანია დაადგინოს, არსებობს თუ არა სადავო უფლება (სადავო სამართალურთიერთობა).

უფლების დამდგენი სარჩელის მიზანი არ არის მოპასუხისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება, არამედ მისი მიზანია სამართალურთიერთობის (უფლების) წინასწარ დადგენა ან ოფიციალური აღიარება, რომელსაც შემდეგ შეიძლება მოჰყვეს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა. ამიტომ აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, შესაძლოა, ჰქონდეს პრეიუდიციული მნიშვნელობა შემდგომში წარდგენილი მიკუთვნებითი სარჩელისათვის.

აღიარებითი ანუ უფლებადამდგენი სარჩელები ჯერ კიდევ რომის სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის იყო ცნობილი. რომის სამართალში აღიარებითი სარჩელის ინსტიტუტი არსებობდა **„პრეიუდიციული სარჩელის“** სახელწოდებით. „აღიარებითი სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა სარჩელი უფლების სასამართლო წესით დადასტურების შესახებ“.[1]

მიკუთვნებითი სარჩელის გადაწყვეტის დროს სასამართლო იხელმძღვანელებს სამართალურთიერთობის და ამ სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობების არსებობის შესახებ უკვე დადგენილი ფაქტით. აქედან გამომდინარე, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას პრევენციული (პროფილაქტიკური) მიზნით, რითაც მოსარჩელის სამართლებრივი სტატუსი სტაბილური ხდება. მაგალითად, მოსარჩელეს, რომელიც საერთო თანასაკუთრების მონაწილეა, შეუძლია აღძრას აღიარებითი სარჩელი და მოითხოვოს საერთო საკუთრების (ქონების) წილზე თავისი უფლების აღიარება. ამით ის თავიდან აიცილებს თანამესაკუთრეთა შესაძლო პრეტენზიებს (მოთხოვნებს) საკუთრების ამ ნაწილზე და შეიძენს თავისი წილის თავისუფლად განკარგვის (გასხვისების) უფლებას. აღიარებითი სარჩელი შეიძლება ასევე აღიძრას მოსარჩელის დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის კონკრეტული მოქმედების შესრულების დაკისრების გარეშე. მაგალითად, მამობის დადგენის სარჩელით ხდება ბავშვის დარღვეული უფლებების დაცვა, თვითონ სავარაუდო მამის ვალდებულებები კი (თუ

[1] Гордон В.М. Иски о признании. Ярославль. 1906.

მამობის ფაქტი დადგინდება), განმტკიცებულია მატერიალური სამართლის ნორმებით და მათი დადასტურება აღარ არის საჭირო სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუ შემდგომში ის, ვისი მამობაც დადგენილია სასამართლოს მიერ, თავს აარიდებს თავის მოვალეობას, არჩინოს და აღზარდოს ბავშვი, ამ პირის მიმართ შესაძლებელი იქნება ალიმენტების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა ან მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა, ე.ი. შესაძლებელი იქნება მოპასუხისათვის კონკრეტული ვალდებულებების შესრულების დაკისრება.

აღიარებითი სარჩელის საგანია მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართალურთიერთობა. აღიარებითი სარჩელის საფუძველია ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, დადებითი აღიარებითი სარჩელის საფუძველია უფლებაწარმომშობი ფაქტები, ე.ი. ფაქტები, რომელთა არსებობასაც კანონი უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობას. უარყოფითი შინაარსის მქონე აღიარებითი სარჩელის საფუძველია უფლების შემწყვეტი ფაქტები, ე.ი. ფაქტები, რომელთა გამოც (რომელთა შედეგად) მოსარჩელის მტკიცებით, სადავო სამართალურთიერთობა არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო.

აღიარებით სარჩელს საფუძვლად არ უდევს ფაქტები, რომლებიც მოსარჩელეს ანიჭებს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას, რადგან აღიარებითი სარჩელის მიზანია არა უფლების იძულებითი განხორციელება, არამედ მხოლოდ მისი აღიარება (დადგენა) სასამართლოს მიერ.

ხშირად აღიარებითი სარჩელის გაერთიანება ხდება მიკუთვნებით სარჩელთან. მაგალითად, ამას ადგილი ექნება მაშინ, როცა მოსარჩელე მოითხოვს გარიგების ბათილად ცნობას. ასეთ სარჩელში გარიგების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნასთან ერთად მხარე, შესაძლოა, მოითხოვდეს გარიგების ბათილობის შედეგების გამოყენებასაც (მოითხოვდეს გარიგებით მიღებულის, ანუ შესრულების უკან დაბრუნებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას).

ნებისმიერი სარჩელის საგნის სტრუქტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხარეთა შორის სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის არსებობის ფაქტის დადგენის გარეშე, შეუძლებელია ვალდებული პირისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების დაკისრების საკითხის გადაწყვეტა, აგრეთვე სამართალურთიერთობის შეცვლის ან შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა. აქედან გამომდინარე, დადებითი აღიარებითი სარჩელი თან ახლავს მოსარჩელის მიერ აღძრულ ყოველ მიკუთვნებით სარჩელს.

დაბოლოს, კანონმა (სსსკ-ის 181-ე მუხლი) გაითვალისწინა ე.წ. "სარჩელი ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ, რომელიც ფაქტობრივად აღიარებითი სარჩელია, მაგალითად, არსებობს (დადებულია) მხარეთა შორის ხელშეკრულება და მისი რომელიმე პუნქტის ნამდვილობა სადავოა, რაზეც დამოკიდებულია ამ ვალდებულების მომავალში შესრულება, ამიტომ მხარე მოითხოვს, რომ სასამართლომ ეხლა აღიაროს ხელშეკრულების ამ პუნქტის და ვალდებულების ნამდვილობა, რომ შემდგომში მხარეს ჰქონდეს მოთხოვნის უფლება, თუმცა ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა. თუ დადგა ვალდებულების შესრულების ვადა, მაშინ მხარემ უნდა აღძრას მიკუთვნებითი სარჩელი. გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელი ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ, აღიარებითი სარჩელია, მისი აღძვრის დროსაც, ისევე როგორც აღიარებითი სარჩელის სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობის დროს აღძვრის შემთხვევაშიც, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ აქვს ასეთი აღიარებითი სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი. ამდენად, სსსკ-ის 181-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის მიმართ გამოიყენება 180-ე მუხლით დადგენილი პირობა.

რაც შეეხება სარჩელთა კლასიფიკაციას მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნით, ე.ი. შესაბამისი სამართალურთიერთობის სახის მიხედვით, ამ ნიშნით განასხვავებენ სამოქალაქო, შრომის, მიწისა და სხვა ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელებს. მაგალითად,

სარჩელი პატივისა და ღირსების დაცვისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და ა.შ. თითოეული ეს ჯგუფი შემდგომ შეიძლება დაიყოს სამართლებრივი ინსტიტუტების მიხედვით. მაგალითად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელები იყოფა საბინაო, საავტორო, სამემკვიდრეო, ზიანის მიყენებიდან გამომდინარე სარჩელებად და სხვ.

სარჩელთა კლასიფიკაციას მატერიალურ სამართლებრივი ნიშნით არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რამეთუ გამოიყენება ცალკეული კატეგორიის საქმეებზე პრაქტიკის განზოგადების დროს. სამართადგამოყენებითი პრაქტიკის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება სამოქალაქო საქმეთა ცალკეული კატეგორიის მიხედვით, რაც მოსახერხებელია სასამართლო შეცდომების გამოსავლენად.

სარჩელთა კლასიფიკაცია მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნით, იურისტების მიერ გამოიყენება სარჩელისა და სასარჩელო წარმოების სხვადასხვა პრობლემათა გამოკვლევის დროს.

რომის სამართალი იცნობდა ასევე სავინდიკაციო და ნეგატორულ სარჩელებს. მაგალითად, იმ სარჩელს, რომელიც საკუთრების უფლებას ეფუძნება და რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს ნივთის დაბრუნებას სხვისი უკანონო მფლობელობიდან, სავინდიკაციო სარჩელი ეწოდება; ხოლო იმ სარჩელს კი, რომელიც ასევე საკუთრების უფლებას ეფუძნება, მაგრამ, რომლის აღძვრითაც მოსარჩელე მიზნად ისახავს გარეშე პირთა მხრიდან თავისი საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთას, ნეგატორული სარჩელი ეწოდება. მაგრამ, ცხადია, ასეთი დაყოფა არ მოიცავს ყველა სახის სარჩელს, თვითონ ტერმინებიც კი შემთხვევით წარმოიშვა (ხელოვნურია) და ვერ ასახავს იმ სარჩელთა არსებით ნიშნებს, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან. ამიტომ სარჩელთა ინდივიდუალიზაციის დროს მხედველობაში აუცილებლად უნდა გვქონდეს მოცემული სარჩელის საგანი და საფუძველი.

§5. სარჩელის უფლება

1. **სარჩელის უფლების ცნება.** სარჩელის უფლება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი და იურიდიულად დაინტერესებული პირის კანონით გარანტირებული შესაძლებლობაა, მიმართოს სასამართლოს მასსა და მოპასუხეს შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი დავის განხილვისა და გადაწყვეტის და დარღვეული ან სადავო უფლების (კანონიერი ინტერესის) დაცვის შესახებ თხოვნით.

სასარჩელო განცხადების მიღებასა და განხილვაზე უარის თქმა უნდა დაკვალიფიცირდეს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმად. ამიტომ ასეთი უარი მხოლოდ კანონიერ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს.

სარჩელის უფლება აქვს საქართველოს ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს. რაც შეეხება უცხოეთის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს (აპატრიდებს), უცხოეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კანონი მათაც ანიჭებს უფლებას სარჩელით მიმართონ საქართველოს სასამართლოებს. გამონაკლის შემთხვევაში, კანონი უცხოეთის სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირების საპროცესო უფლებებს (მათ შორის სარჩელის უფლებას) ზღუდავს, კერძოდ, ეს მხოლოდ მაშინ, თუ იმ სახელმწიფოში, რომლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებსაც ისინი წარმოადგენენ, კანონი ზღუდავს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების შესაბამის სამოქალაქო საპროცესო უფლებებს (ესაა ე.წ. რეტორსიები, ანუ ნაცვალგების რეჟიმი).

სარჩელის უფლება გულისხმობს (მოიცავს) ორ, ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებულ უფლებამოსილებას, კერძოდ, საპროცესო (სარჩელის აღძვრის ანუ სასამართლოსადმი

მიმართვის უფლება) და მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს (სარჩელის დაკმაყოფილების უფლება).

სარჩელის აღძვრის უფლება მოსარჩელის დამოუკიდებელი უფლებაა. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის აღძვრის უფლება არ არის დამოკიდებული იმაზე, აქვს თუ არა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილების უფლება, რამეთუ ეს საკითხი შეიძლება გამოირკვეს მხოლოდ საქმის განხილვის (მტკიცებულებათა გამოკვლევის) შედეგად. თუ მოსარჩელეს აქვს სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაც, მაშინ მისი დარღვეული თუ სადავო უფლება სათანადოდ იქნება დაცული სასამართლო წესით (მაგალითად, თუ მტკიცებულებებით დადასტურდა მოპასუხისადმი მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა, დასაბუთებულობა).

დარღვეული ან სადავო უფლების სასამართლო წესით დაცვა სწორედ სარჩელის უფლების გამოყენებით ხორციელდება. სარჩელის უფლება ეს არ არის თვით მოსარჩელის დარღვეული უფლება, არამედ ამ უფლების საპროცესო წესით, სასარჩელო ფორმით დაცვის შესაძლებლობაა.

მოსარჩელეს აქვს თუ არა სარჩელის აღძვრის უფლება, ამას სასამართლო ამოწმებს სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტის დროს. თუ მოსარჩელეს არა აქვს სარჩელის აღძვრის უფლება, მაშინ სასამართლო უარს ეტყვის მას სარჩელის მიღებაზე (არ მიიღებს სარჩელს). რაც შეეხება სარჩელის უფლების მატერიალურ მხარეს, ე.ი. სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას, ამას სასამართლო ამოწმებს და არკვევს საქმის განხილვის დროს. თუ მოსარჩელის უფლება (მოთხოვნა) დასაბუთებულია როგორც სამართლებრივი (იურიდიული), ისე ფაქტობრივი მხრივაც, მაშინ სასამართლოს უფლება აქვს დააკმაყოფილოს სარჩელი.

ამასთან, დაინტერესებულ პირს შეიძლება ჰქონდეს სარჩელის აღძვრის უფლება და იმავდროულად, არ ჰქონდეს სარჩელის დაკმაყოფილების უფლება.[1]

2. სარჩელის უფლების განხორციელება (ანუ სარჩელის აღძვრის წინაპირობები). სარჩელის უფლების განხორციელება ყოველთვის დაინტერესებული პირის ნებაზეა დამოკიდებული (მისი დისპოზიციური უფლებაა). თუმცა კანონით განსაზღვრულია სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებიც (186-ე მუხლი). საპროცესო სამართლის თეორიაში ამ საფუძვლებს განიხილავენ როგორც სარჩელის უფლების განხორციელების წინაპირობებს. სარჩელის უფლება ყველას როდი გააჩნია, არამედ მხოლოდ კონკრეტულ პირებს, კონკრეტულ საქმეზე და შესაბამისი პირობების (წინაპირობების) არსებობის შემთხვევაში.[2]

სარჩელის აღძვრის უფლება დაკავშირებულია სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობების არსებობასთან. სარჩელის აღძვრის წინაპირობები იურიდიული ფაქტებია, რომელთა არსებობას ან არარსებობას კანონი უკავშირებს კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე სარჩელის აღძვრის უფლების წარმოშობას. შესაძლოა ვთქვათ ასეც, რომ არსებობს გარემოებები (ფაქტები), რომლებიც სარჩელის უფლებას გამორიცხავენ.

განასხვავებენ სარჩელის აღძვრის ზოგად და სპეციალურ წინაპირობებს. **ყველა კატეგორიის საქმისათვის საერთო სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობებია:**

1. მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს **სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა,** ე.ი. უნარი, იყოს პროცესის მხარე. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა — ესაა ყველა

[1] სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ არსებობს თითქოსდა სარჩელის უფლება მატერიალური გაგებით და სარჩელის უფლება საპროცესო გაგებით. ეს პოზიცია დამაჯერებლად არ არის არგუმენტირებული, ვინაიდან როდესაც საუბარია სარჩელის უფლებაზე საპროცესო და მატერიალური გაგებით რეალურად ასეთ დროს, საუბარია სარჩელის აღძვრის უფლებისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლების შესახებ.

[2] Добровольский А.А., Иванова С.А., Основные проблемы исковой формы защиты права. М., 1979, გვ. 94.

ფიზიკური და იურიდიული პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლი). ფიზიკური პირი უფლებაუნარიანია დაბადების მომენტიდან. სწორედ ამ მომენტიდან იგი შეიძლება იყოს მხარე საქმეში. ამიტომ, პრაქტიკულად ამ წინაპირობას მნიშვნელობა აქვს იურიდიული პირებისათვის (მათთან მიმართებაში). თუმცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საპროცესო უფლებაუნარიანობა შეიძლება გააჩნდეთ და, შესაბამისად, მხარეებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომელთაც იურიდიული პირის სტატუსი არ გააჩნიათ (79-ე მუხლი).

რაც შეეხება მოსარჩელის ქმედუნარიანობას, ის არ წარმოადგენს სარჩელის აღძვრის წინაპირობას, რამეთუ სარჩელის აღძვრის უფლება უნარია (შესაძლებლობაა) იყოს პირი მხარედ პროცესში (მხარედ ყოფნის უფლებას, უნარს გულისხმობს) და არა უნარი (შესაძლებლობა), თვითონ განახორციელოს პირმა თავისი უფლებები. თუ პირს არა აქვს უნარი თვითონ განახორციელოს სარჩელის უფლება, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია უფლების განხორციელება სასამართლო წარმომადგენლის დახმარებით.

2. სასარჩელო განცხადება (მოთხოვნა) უწყებრივად უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს. თუ რომელი მოთხოვნების (საქმეების) განხილვა და გადაწყვეტა ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ეს განსაზღვრულია საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, რომელიც აწესრიგებს სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარების საკითხს.

უწყებრივი ქვემდებარეობის სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს სარჩელის სასამართლოს წარმოებაში მიღების საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის. საერთო იურისდიქციის სასამართლოსადმი საქმის უწყობრივი ქვემდებარეობა სამოქალაქო საქმის განხილვის აუცილებელი წინაპირობაა. იმის მიხედვით, უწყებრივად ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს, სასამართლო მიიღებს ან არ მიიღებს სარჩელს. საერთო იურისდიქციის სასამართლოსადმი საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხები კანონითაა განსაზღვრული და მოწესრიგებული (კანონით დადგენილია, თუ რომელი საქმე ექვემდებარება სასამართლო უწყებას). თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოცემული წინაპირობის შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე ეს კანონშია სიტყვასიტყვით მითითებული, ვინაიდან როდესაც საუბარია უწყებრივი ქვემდებარეობის სწორად განსაზღვრაზე, ასეთ დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მხოლოდ ის საქმეები, რომლებიც უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს, არამედ აგრეთვე ის მოთხოვნებიც, რომლებიც არასამართლებრივი ხასიათისაა.

3. არ უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; არ უნდა არსებობდეს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინება; სასამართლოს წარმოებაში არ უნდა იმყოფებოდეს საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

4. რაც შეეხება მხარეთა შორის ხელშეკრულებას (შეთანხმებას) მათ შორის წარმოშობილი ქონებრივი დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, ამგვარი შეთანხმება აღარ არის სარჩელის აღძვრის დამაბრკოლებელი ფაქტორი. სარჩელის აღძვრის შემდეგ, საქმის შეწყვეტა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის საფუძველით, მოპასუხის შესაგებელზეა დამოკიდებული (არბიტრაჟის კანონის მე-9 მუხლი).

პირველ ორ წინაპირობას სარჩელის აღძვრის უფლების დადებითი წინაპირობა ეწოდება, მესამე შემთხვევაში კი საუბარია უარყოფითი წინაპირობის (გარემოების) შესახებ, რომლის არარსებობა აგრეთვე აუცილებელია სარჩელის აღძვრის უფლების განსახორციელებლად.

სარჩელის აღძვრის უფლების ზოგადი (საერთო) წინაპირობების გარდა, არსებობს აგრეთვე სპეციალური წინაპირობები ცალკეული კატეგორიის საქმეებისათვის, რომლებიც ისეთი გარემოებებია, რომელთა დაცვაც ასევე აუცილებელია საერთო წინაპირობებთან ერთად. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის თანახმად, ცო-

ლის თანხმობა განქორწინებაზე მისი ქმრის მოთხოვნით, ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში, მოცემული კატეგორიის საქმისათვის სპეციალურ წინაპირობას წარმოადგენს.

სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობების არსებობას სასამართლო ამოწმებს სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტის დროს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი წინაპირობის არარსებობა ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელეს არა აქვს არც სარჩელის უფლება, რაც მას უფლებას ართმევს როდესმე მიმართოს სასამართლოს მსგავსი მოთხოვნებით (მაგალითად, როცა მოცემული დავა უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს, ან როცა ეს დავა ადრე უკვე გადაწყვიტა სასამართლომ). ზოგჯერ კი მხოლოდ მოცემულ მომენტშია შეუძლებელი სარჩელის უფლების განხორციელება, ამ უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების (ფაქტორების) გამო, თუმცა ასეთ შემთხვევებში არ გამოირიცხება სარჩელის უფლების განხორციელების შესაძლებლობა მომავალში, საქმის (სარჩელის) აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებების აცილების შემდეგ (მაგალითად, დავის არბიტრაჟისათვის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გაუქმება და სხვ.).

რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობათა არარსებობას?

ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ, თუ ამ წინაპირობათა არარსებობა აღმოჩნდება საქმის მომზადების ან მთავარ სხდომაზე აღძვრის დროს, მაშინ სასამართლო არ მიიღებს სარჩელს.

იმ შემთხვევაში კი, თუ ერთ-ერთი წინაპირობის არარსებობა აღმოჩნდება საქმის მომზადების ან მთავარ სხდომაზე განხილვის სტადიაზე, მაშინ საქმისწარმოება უნდა შეწყდეს შესაბამის სტადიაზე (საპროცესო კოდექსის 209-ე და 272-ე მუხლები).

§6. მოპასუხის უფლებების დაცვის საპროცესო საშუალებები. შეგებებული სარჩელი

1. **მოპასუხის შესაგებელი**. მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, საპროცესო კოდექსი, თანასწორ შესაძლებლობებს ანიჭებს პროცესის ორივე მხარეს, თავიანთი უფლებების სასამართლო წესით დასაცავად. მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპი პროცესში იმითაა უზრუნველყოფილი, რომ მოპასუხეს კანონი უფლებას აძლევს დაიცვას თავი სარჩელისაგან.

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს სარჩელი. უმეტესად, მოპასუხე არ აღიარებს სარჩელს და ცდილობს კანონით მისთვის მინიჭებული ყველა საშუალებით დაიცვას თავი მოსარჩელის მოთხოვნისაგან. პროცესი შეჯიბრებითია, ეს კი მოპასუხეს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნოს სარჩელს, მთლიანად საქმის მასალებს, შეისწავლოს მოსარჩელის ხელთ არსებული მტკიცებულებანი და მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განსაზღვროს, თუ რა პოზიცია დაიკავოს სარჩელის (მოთხოვნის) წინააღმდეგ. ცხადია, თუ მოპასუხე მოსარჩელის მოთხოვნას კანონიერად და დასაბუთებულად მიიჩნევს, უფლება აქვს ცნოს სარჩელი, ხოლო, როცა მოპასუხე განიზრახავს, რომ გააბათილოს (გააქარწყლოს) მოსარჩელის მოთხოვნა, მას შეუძლია გამოიყენოს უფლების დაცვის ორი ფორმა, კერძოდ, შესაგებელი და შეგებებული სარჩელი.

შესაგებელი (შეპასუხება) სარჩელის წინააღმდეგ წამოყენებული და შესაბამისი მტკიცებულებებით არგუმენტირებული მოსაზრებებია, რომლებზე დაყრდნობითაც მოპასუხე უარყოფს, არ ცნობს სარჩელს.

შესაგებელი თავისი ხასიათით, შეიძლება იყოს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო ხასიათისა.

საპროცესო-სამართლებრივი შესაგებელის მიზანი ყოველთვის ისაა, რომ უარყოფილ იქნეს პროცესის, საქმის აღძვრის მართლზომიერება, პროცესის გაგრძელების მიზანშეწონილობა. საპროცესო ხასიათის შესაგებელში მოპასუხე ამტკიცებს, რომ არ არის მართლზომიერი საქმის აღძვრა იმის გამო, რომ მოსარჩელეს არა აქვს სარჩელის უფლება ან მოსარჩელის მიერ დარღვეულია სარჩელის აღძვრის (შეტანის) წესი. ამიტომ, საპროცესო შესაგებელის წარდგენით, მოპასუხემ შეიძლება მიაღწიოს სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვებას ან საქმისწარმოების შეწყვეტას.

საპროცესო ხასიათის შესაგებელი ყოველთვის მიმართულია პროცესის წინააღმდეგ და ყოველთვის სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებს ეფუძნება. მაგალითად, როცა მოპასუხე მიუთითებს, რომ მოსარჩელემ დაარღვია სარჩელის აღძვრის (შეტანის) წესი, იგი კიდეც ამტკიცებს ამას და შესაძლოა მიუთითებდეს, რომ, ვთქვათ, საქმე მოცემული სასამართლოს განსჯადი არ არის, ან რომ სარჩელი (განცხადება) მოსარჩელის სახელით შეიტანა წარმომადგენელმა, რომელსაც საქმისწარმოების უფლებამოსილება არა აქვს, ან რომ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება საქმის კერძო არბიტრაჟის განსახილველად გადაცემის შესახებ და ა.შ.

გარდა ამისა, მოსარჩელეს, შესაძლოა, არ ჰქონდეს სარჩელის უფლება, ამ მხრივ მოპასუხეს შეუძლია მიუთითოს, რომ მოსარჩელე არაუფლებაუნარიანია (როცა მოსარჩელე იურიდიული პირია), საქმე უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს, ან თუმცა საქმე ზოგადად სასამართლოს ექვემდებარება უწყებრივად, მაგრამ კანონით დადგენილია სპეციალური აკრძალვა, რის გამოც ამჯერად არ შეიძლება განხილულ იქნეს ეს საქმე (მაგალითად, ქმარს, ცოლის თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება აღძრას განქორწინების საქმე ცოლის ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში), ან არსებობს იმავე სარჩელზე (იმავე საქმეზე) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სხვ. ეს ისეთი ხასიათის დარღვევებია, რომ სასამართლოს, რომელიც მოქმედებს ex officcio, რეაგირება უნდა მოეხდინა მათზე. ამასთან, მოპასუხის უფლება, მიუთითოს სასამართლოს ამ დარღვევათა არსებობაზე, სამართალწარმოებაში საპროცესო კანონიერების დამატებითი გარანტიაა.

რაც შეეხება მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს, მისი მიზანია იმ ფაქტების უარყოფა, რომლებიც სარჩელის საფუძველს წარმოადგენენ. ასეთ შესაგებელში მოპასუხე ამტკიცებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნები უკანონო და დაუსაბუთებელია, ანუ მოპასუხე უარყოფს სასარჩელო მოთხოვნებს.

ასეთი შესაგებელით მოპასუხე უარყოფს სარჩელის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ დასაბუთებულობას. ასეთი შესაგებელი ემყარება მატერიალური სამართლის ნორმას და მისი აღძვრის მიზანია ის, რომ სასამართლომ უარი უთხრას მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

კერძოდ, მოპასუხემ, შესაძლოა, უარყოს სარჩელის სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიუთითოს, რომ მოსარჩელე არასწორად ეყრდნობა კანონს, არასწორად განმარტავს მას და სხვ. მაგალითად, თუ მოსარჩელე მიუთითებს, რომ ნაყიდ ნივთს აქვს ისეთი ნაკლი, რომლის შემჩნევაც ყიდვისას შეუძლებელი იყო, მაშინ მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს შესაგებელი, რომ ამ ნაკლის დამადასტურებელი აქტი, რომელსაც მოსარჩელე ეყრდნობა, არასწორადაა შედგენილი, ან რომ ეს ნაკლი აშკარა იყო თავიდანვე, ნივთის ყიდვისას და მან ნივთის ნაკლზე მიუთითა მოსარჩელეს.

როცა მოპასუხე ამტკიცებს, რომ სარჩელი უკანონოა, იგი, როგორც წესი, მიუთითებს, რომ აღძრული მოთხოვნა არასამართლებრივი ხასიათისაა, რომ სადავო სამართალურთიერ-

თობა წარმოიშვა შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოცემამდე, რომელსაც უკუქცევითი ძალა არა აქვს, ან რომ მხარეთა შორის დადებული გარიგება კანონსაწინააღმდეგოა, მოპასუხეს ასევე შეუძლია ამტკიცოს, რომ სამართლის იმ ნორმამ, რომელიც სარჩელს უდევს საფუძვლად, ძალა დაკარგა.

სასამართლო პრაქტიკაში მოპასუხეები უმეტესად იმაზე მიუთითებენ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელია (მაგალითად, იმაზე მითითება, რომ იურიდიული შემადგენლობა არ არის სრული, მტკიცებულებები არ არის უტყუარი ან საკმარისი).

ზოგიერთ შემთხვევაში კი მოპასუხეს შესაგებელში შეუძლია კონტრარგუმენტად მოიშველიოს ისეთი იურიდიული ფაქტები, რომლებიც აქარწყლებენ მოსარჩელის უფლებას (მოთხოვნას). მაგალითად, როცა დაყენებულია ზიანის ანაზღაურების სარჩელი, მოპასუხეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ სინამდვილეში ზიანი წარმოიშვა თვითონ მოსარჩელის ბრალით (მისი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით), სხვა მაგალითი: ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის სარჩელის საპასუხოდ, მოპასუხემ შესაძლოა განაცხადოს, რომ ქორწინება აღარ შეიძლება ცნობილ იქნეს ფიქციურად, ვინაიდან სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე, მასსა და მოსარჩელეს შორის წარმოიშვა საოჯახო ურთიერთობანი და რომ რეგისტრირებულ პირებს უკვე შექმნილი აქვთ ოჯახი. ან ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნით აღძრული სარჩელის წინააღმდეგ მოპასუხე წარადგენს შესაგებელს და მიუთითებს, რომ თანხა მან უკვე გადაიხადა, ან მიუთითებს, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია.[1] მრავალი ამგვარი მაგალითი შეიძლება დასახელდეს.

ზოგჯერ მოპასუხე სადავოს ხდის მოსარჩელის მოთხოვნათა ოდენობას და მიუთითებს, რომ სარჩელის ფასი გაზრდილია. ასე მაგალითად, თუ მოვალემ ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება კრედიტორის წინაშე, კრედიტორს შეუძლია სარჩელი წარუდგინოს მას ვალდებულების მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მოვალემ არ შეასრულა.

საურავის, პირგასამტეხლოს, პროცენტის გადახდევინება, როგორც წესი, შესაძლებელია, თუ მხარეთა შეთანხმებაში არსებობს შესაბამისი მითითება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სანქციების გამოყენებაზე. მოპასუხეს შეუძლია იმითაც დაიცვას თავისი უფლებები, რომ შესაგებელის სახით სასამართლოში წარადგინოს სარჩელის უბრალო უარყოფა, ან მოითხოვოს შეგებებული მოთხოვნების ჩათვლა.

2. **შეგებებული სარჩელი**. მოპასუხეს ზოგჯერ შესაძლოა ჰქონდეს დამოუკიდებელი მოთხოვნაც მოსარჩელისადმი, რომელიც თავისი შინაარსით მოსარჩელის მოთხოვნის საპირისპიროა. ეს მოთხოვნა პროცესზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს შეგებებული სარჩელის სახით.

შეგებებული სარჩელი — ესაა მოპასუხის დამოუკიდებელი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოსარჩელისადმი, რომელსაც მოპასუხე განაცხადებს იმავე პროცესში, ამ მოთხოვნის თავდაპირველ სარჩელთან ერთად განხილვის მიზნით. **დამოუკიდებელი ხასიათის გამო, შეგებებული სარჩელი განხილული უნდა იქნეს ყველა შემთხვევაში იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველ სარჩელზე უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, იგი დარჩა განუხილველი, საქმის წარმოება მასზე შეწყდა თუ შეჩერდა.**

კანონის თანახმად (საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლი), მოპასუხეს უფლება აქვს

[1] არსებული პრაქტიკის მიხედვით, სასამართლოს არა აქვს უფლება თავისი ინიციატივით იმსჯელოს მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, რადგან ხანდაზმულობა ფაქტობრივი გარემოებაა. ამის შესახებ თავად მოპასუხე უნდა უთითებდეს. ამგვარი მიდგომა კანონმდებლობის არსის არასწორ გაგებად მიგვაჩნია. ხანდაზმულობის შესახებ ნორმები მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებია. ხოლო მატერიალური ნორმის, საერთოდ ნორმის (კანონის) გამოყენება სასამართლოს მოვალეობაა და არა უფლება. ცხადია საუბარია სასამართლოს მიერ ამ ინსტიტუტის გამოყენებაზე, ისეთ შემთხვევაში, როცა მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელს. ხანდაზმულობაზე მითითებად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც მართალია მოპასუხე არ იყენებს დასახელებულ იურიდიულ კატეგორიას, მაგრამ აცხადებს: „ახლა რაღა დროსია", „აქამდე სად იყავი" და სხვა.

მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. ამ ვადის გაშვების შემდეგ, მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე თუ საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით. საპატიო მიზეზად ჩაითვლება სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელისათვის დამახასიათებელია ის, რომ:

1) ეს არის მოპასუხის დამოუკიდებელი სარჩელი (მოთხოვნა);

2) შეგებებული სარჩელის აღძვრა ყოველთვის დაწყებულ პროცესში ხდება;

3) შეგებებული სარჩელი აღიძვრება პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვის მიზნით (პირვანდელი და შეგებებული სარჩელები ერთად განიხილება).

სამოქალაქო პროცესში შეგებებული სარჩელი, ისევე როგორც მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი, მიმართულია მოსარჩელის მოთხოვნების წინააღმდეგ. ამასთან, შეგებებული სარჩელი და მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავდება. განსხვავება ისაა, რომ შეგებებულ სარჩელში დაფიქსირებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის განხილვა და გადაწყვეტა შეიძლება არა მხოლოდ პირვანდელ სარჩელთან ერთად, არამედ ცალკეც, მისგან დამოუკიდებლად, დამოუკიდებელ პროცესში. შეგებებული სარჩელის წარდგენა მოპასუხის მიერ მისი უფრო აქტიური საპროცესო მოქმედებაა შესაგებელთან შედარებით. შესაგებელი წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, შეგებებული სარჩელი — კანონით დადგენილ ვადაში — საქმის მომზადების დამთავრებამდე.

მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის შესაგებელი დამოკიდებულია პირვანდელ სარჩელზე. შესაბამისად, იგი სარჩელისგან დამოუკიდებლად არ შეიძლება იყოს სასამართლო განხილვის საგანი.

შეგებებული სარჩელის წარდგენისას დაცულ უნდა იქნეს ყველა ის წესი და მოთხოვნა, რაც საერთოდ სარჩელის წარდგენისათვისაა კანონით დადგენილი (სსსკ-ის 189-ე მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ შეგებებული სარჩელის წარმოებაში (ანუ განსახილველად) მიღების დროს სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ უნდა არსებობდეს სარჩელის აღძვრის უფლების განხორციელების კანონით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა. გარდა ამისა, დაცულ უნდა იქნეს სარჩელის შეტანის წესი (პირობები).

იმდენად, რამდენადაც მოპასუხის სარჩელს შეგებებულს ვუწოდებთ, მოსარჩელის მოთხოვნას მოცემულ შემთხვევაში პირვანდელი მოთხოვნა უნდა ვუწოდოთ.

შეგებებულ სარჩელს მოპასუხე წარადგენს პირვანდელი სარჩელისაგან თავისი უფლებების დასაცავად. კერძოდ, შეგებებული სარჩელის წარდგენით, მოპასუხე ან აქარწყლებს (აბათილებს, უარყოფს) მოსარჩელის მოთხოვნებს ან მოითხოვს თავისი მოთხოვნების ჩათვლას.

მართალია, შეგებებული სარჩელი მოპასუხის დამოუკიდებელი მოთხოვნაა (დამოუკიდებელი სარჩელია), მაგრამ ეს სარჩელი (მოთხოვნა) გარკვეულწილად დაკავშირებული უნდა იყოს პირვანდელ სარჩელთან, ანუ შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის ურთიერთკავშირი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ რა უპირატესობა აქვს ერთ პროცესში პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვას და რატომაა ეს მიზანშეწონილი და რაში მდგომარეობს საერთოდ შეგებებული სარჩელის ინსტიტუტის არსი. კერძოდ, ძირითადი და შეგებებული სარჩელების გაერთიანება ერთად განსახილველად, პირველ რიგში, ხელსაყრელია საპროცესო ეკონომიურობიდან გამომდინარე, რამეთუ ხელს უწყობს კონკრეტულ საქმეზე საპროცესო საშუალებების ეკო-

ნომიას, პროცესის მონაწილეთა შრომის ეკონომიას, მათი ძალების დაზოგვას, ამავე დროს, ამით უფრო გარანტირებული ხდება როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის უფლებების დაცვა, ვინაიდან ეს საშუალებას იძლევა უფრო სრულად იქნეს გამოკვლეული მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები, გამოტანილ იქნეს უფრო სწორი გადაწყვეტილება და ერთ პროცესში გადაწყდეს ორი სარჩელი, ერთი საერთო გადაწყვეტილებით გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოთხოვნები (პრეტენზიები), ამით კი გამოირიცხოს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამოტანის შესაძლებლობა კონკრეტულ საქმეზე, უფრო სწრაფად განხორციელდეს მართლმსაჯულება და სხვ. მაგალითად, ხელსაყრელი და მიზანშეწონილია ერთ პროცესში ორი ფიზიკური პირის ურთიერთფულადი მოთხოვნების განხილვა და გადაწყვეტა, რომელთაგან ერთ-ერთი, მაგალითად, გამქირავებელი (ბინის მესაკუთრე) სასამართლოს სთხოვს გადახდეს დამქირავებელს ბინის ქირის დავალიანება, ხოლო მეორე, ანუ ბინის დამქირავებელი მესაკუთრისაგან ითხოვს დაქირავებული ფართის კაპიტალურ რემონტთან დაკავშირებით მის მიერ გაწეული ხარჯების გადახდევინებას.

ამიტომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეგებებული სარჩელის აღძვრა ხდება სასარჩელო მოთხოვნის ჩათვლის, შთანთქმის ან გადაფარვის მიზნით.

იმის გამო, რომ შეგებებული სარჩელის მიღება განსახილველად ნაკარნახევია პრაქტიკული მოსაზრებებით, ძირითადი და შეგებებული სარჩელების მოთხოვნები ან ერთგვაროვანი უნდა იყოს, ან აღძრული უნდა იყოს ერთი და იმავე სადავო საკითხის გამო (ერთი და იმავე სადავო საკითხთან მიმართებაში).

შეგებებული სარჩელის აღძვრის წესი და ამ წესების შესრულების რიგი (თანმიმდევრობა) გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლში.

როგორც უკვე ითქვა, შეგებებული სარჩელის წარდგენისათვის აუცილებელია, რომ იგი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული თავდაპირველ სარჩელთან და, როგორც წესი, მოპასუხის ეს მოთხოვნა მიმართულია თავდაპირველ მოთხოვნაში ჩასათვლელად, ან მოპასუხე შეიძლება მოითხოვდეს არა მხოლოდ ჩათვლას, არამედ დამატებით რაიმე მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც. სწორედ ამიტომ ამბობენ ხატოვნად ინგლისელი იურისტები, რომ შესაგებელი არის ფარი მოპასუხის ხელში, ხოლო შეგებებული სარჩელი არა მარტო ფარია, არამედ მახვილიც მოპასუხისა მოსარჩელის წინააღმდეგ.

იმდენად, რამდენადაც შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლება მოპასუხის უმნიშვნელოვანესი დისპოზიციური უფლებაა, სასამართლომ, სსსკ-ის 201-ე მუხლიდან გამომდინარე, საქმის მომზადების სტადიაზე უნდა განუმარტოს მხარეებს მათი საპროცესო უფლება-მოვალეობანი და მათ შორის შეგებებული სარჩელის წარდგენის უფლებაც და უნდა მისცეს მოპასუხეს შესაძლებლობა, უპასუხოს სარჩელს და სრულად განახორციელოს თავისი საპროცესო უფლებები.

საყურადღებოა, რომ შეგებებული სარჩელის განსჯადობის განსაკუთრებულ წესს ადგენს კანონი. კერძოდ, შეგებებული სარჩელის მიღება, მიუხედავად მისი განსჯადობისა, ხდება იმ სასამართლოში, სადაც პირვანდელი სარჩელია აღძრული (188-ე მუხლი). ეს იმიტომ, რომ საერთოდ, შეგებებული სარჩელის განსჯადობა განპირობებულია მისი კავშირით პირვანდელ სარჩელთან. ამის შედეგადაა, რომ ის წარედგინება იმ სასამართლოს, სადაც პირვანდელი სარჩელი იხილება.

პირვანდელი და შეგებებული მოთხოვნის (სარჩელის) ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამასთან, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო უარს ეუბნება მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ან შეგებებული მოთხოვნის (სარჩელის) დაკმაყოფილება იწვევს პირვანდელი სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნების

მხოლოდ შემცირებული სახით (ნაწილობრივ) დაკმაყოფილებას. დავის განხილვის პროცესში მხარეებს შეუძლიათ მორიგდნენ როგორც პირვანდელ, ისე შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს თავის წარმოებაში შეგებებული სარჩელი პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად განსახილველად, სახეზე უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული პირობები. შეგებებული სარჩელის მიღების ზოგადი პირობაა ის, რომ უნდა არსებობდეს აშკარა ურთიერთკავშირი შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის (პირვანდელი და შეგებებული მოთხოვნები ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული), რის გამოცაა სწორედ მიზანშეწონილი მათი ერთად განხილვა. თუ დაწყებულ პროცესში სასამართლო მიიღებს მოსარჩელისადმი მიმართულ მოპასუხის დამოუკიდებელ ისეთ მოთხოვნას, რომელიც არ არის დაკავშირებული პირვანდელ სარჩელთან, ეს გაართულებს სამოქალაქო საქმის განხილვას, დაარღვევს საქმისწარმოების განხილვის გონივრულ ვადებს, ხელყოფს მხარეთა და, პირველ რიგში, მოსარჩელის კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს. ამიტომ, მოსამართლე მოპასუხის შეგებებულ მოთხოვნას (სარჩელს) მიიღებს პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად მხოლოდ 189-ე მუხლით გათვალისწინებულ სამ შემთხვევაში:

1) თუ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად, ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის (გაქვითვის) საკითხები (შესაძლებლობა) მოწესრიგებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებით (იხ. სამოქალაქო კოდექსის 442-447-ე მუხლები). დასახელებულ მატერიალურ ნორმათა ანალიზი, შეგებებული სარჩელის იურიდიული ბუნების გათვალისწინებით ცხადყოფს, რომ შეგებებული სარჩელის მეშვეობით პირმა შესაძლოა მიაღწიოს თავისთვის სასურველ ისეთ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა, იგივე მოთხოვნა მას დამოუკიდებელი სარჩელით რომ აღეძრა, ე.ი. ეს მოთხოვნა დამოუკიდებლად რომ განხილულიყო. მაგალითად, როდესაც მოთხოვნა ხანდაზმულია, სამოქალაქო საქმის აღძვრა აზრს მოკლებულია. მაგრამ თუკი ხანდაზმული მოთხოვნის მქონე პირი მოპასუხე იქნება პროცესში, მას უფლება აქვს ეს თავისი მოთხოვნა მოსარჩელის მოთხოვნას დაუპირისპიროს შეგებებული სარჩელის მეშვეობით. სკ-ის 443-ე მუხლის შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ამრიგად, შეგებებული სარჩელით შესაძლებელი ხდება მკვდარი მოთხოვნის გაცოცხლება.

ჩათვლას ადგილი აქვს მაშინ, როცა ორივე სარჩელი ქონებრივი ხასიათისაა. თუ შეგებებული სარჩელის ფასი (თანხა) აღემატება პირვანდელისას, სასამართლო ახდენს მათ ურთიერთგაქვითვას, ხოლო მოსარჩელეს გადაახდევინებს მოპასუხის (შეგებებული სარჩელის აღმძვრელის) სასარგებლოდ იმ თანხას, რომლითაც მეტია მოპასუხის სასარჩელო მოთხოვნა (ანუ, რაც დააკლდა მოთხოვნათა სრულ ურთიერთგაქვითვას). ანალოგიურად იქცევა სასამართლო, თუ პირვანდელი სარჩელის ფასი მეტია, ვიდრე შეგებებული სარჩელისა და ამიტომ სასამართლო, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელეს მიაკუთვნებს იმ თანხას, რაც შეადგენს განსხვავებას სარჩელთა ფასს შორის. შესაძლოა, შეგებებული სარჩელი თავისი ოდენობით არ აღემატებოდეს პირვანდელ მოთხოვნას, ანუ ორივე მოთხოვნას (სარჩელს) ერთნაირი (თანაბარი) ფასი (ღირებულება) ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამ მოთხოვნებს გაქვითავს და, ცხადია, აღარ მიაკუთვნებს არც ერთ მხარეს რაიმე თანხას. ამრიგად, საკითხი იმის შესახებ, თავდაპირველი და შეგებებული მოთხოვნების ჩათვლა მთლიანად განხორციელდეს თუ ნაწილობრივ, უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რა ურთიერთთანაფარდობა არსებობს ამ მოთხოვნათა შორის.

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როცა შეგებებული და პირვანდელი მოთხოვნები ერთმანეთს არ აღემატება, ჩათვლის შესახებ მოთხოვნა შეიძლება მოპასუხემ დააყენოს

შეგებებული სარჩელის სახით და ამავდროულად ეს მოთხოვნა მოპასუხემ შეიძლება დააყენოს შესაგებელის (შეპასუხების) ფორმით.

ურთიერთჩასათვლელი მოთხოვნების ერთ პროცესში განხილვის შედეგად მიღწეული საპროცესო ეკონომიურობა, ვლინდება აღსრულების სტადიაზე. კერძოდ, გასაქვითი მოთხოვნების ცალ-ცალკე განხილვის შემთხვევაში ჯერ მოპასუხეს გადახდებოდა თანხა მოსარჩელის სასარგებლოდ სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, ხოლო შემდეგ მოხდებოდა ფაქტობრივად უკუგადახდევინება მოპასუხის სასარგებლოდ. იმ სარჩელების ერთად განხილვის დროს კი, რომელთა ურთიერთჩათვლაც შესაძლებელია, გაცემულ იქნება ერთი სააღსრულებო ფურცელი ერთ-ერთი გადამხდევინებლის სასარგებლოდ და აღარ იქნება საჭირო ფულადი თანხის არანაირი ურთიერთგადაცემა.

თუმცა, შეგებებული მოთხოვნის პირვანდელ სარჩელთან ერთად ერთ პროცესში განსახილველად მიღება, ამ მოთხოვნათა შესაძლო ჩათვლის მოტივით, სასამართლოს **უფლებაა** და არა მისი მოვალეობა.

2) თუ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

იმდენად, რამდენადაც პირვანდელი და შეგებებული სარჩელები შეეხება ერთ მატერიალურ ობიექტს, ისინი შეუთავსებელია და შეიძლება დაკმაყოფილდეს ან ერთი მოთხოვნა (სარჩელი), ან მეორე. მაგალითად, ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების შესახებ წამოყენებული სარჩელი და ამ სარჩელის საწინააღმდეგოდ წამოყენებული შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოპასუხე სადავოდ ხდის თავის მამობას (როცა მოპასუხე მოითხოვს შესაბამის ორგანოში ბავშვის მამად მისი ჩაწერის ბათილობას). ამ მოთხოვნათა (სარჩელთა) ერთად განხილვა აუცილებელია იმიტომ, რომ არ გადახდეს ალიმენტი იმას, ვინც არ არის ბავშვის მამა. შეგებებული სარჩელი, რომლითაც მამობა გახდა სადავო, აღიძვრება იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს ალიმენტების გადახდევინების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

სსსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეგებებული მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის საფუძვლის სრულ ან ნაწილობრივ გაბათილებაზე. თავისი ხასიათით ეს ორივე მოთხოვნა გამორიცხავს ერთმანეთს (ურთიერთგამომრიცხავია). მათი განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც ეს გამოიწვევს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა გამოტანას და პრეიუდიციულობის წესების დარღვევას. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა-თაგანი, ან ორივე მათგანი შეიძლება ატარებდეს არაქონებრივ ხასიათს (არაქონებრივი ხასიათისა იყოს).

ზემოაღნიშნული საფუძვლით აღძრული შეგებებული სარჩელების ტიპური მაგალითია ასევე განქორწინების სარჩელი და შეგებებული სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ და სხვ.

სასამართლო **ვალდებულია** მიიღოს ასეთი მოთხოვნები ერთად განსახილველად და მათ შესახებ გამოიტანოს ერთი საერთო გადაწყვეტილება.

3) კანონი უშვებს პირვანდელ და შეგებებულ სარჩელს შორის ურთიერთკავშირის სხვა შემთხვევებსაც; კერძოდ, როცა მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული – მიიჩნევს თუ არა ის, რომ მოთხოვნები ურთიერთდაკავშირებულია.

შეგებებული სარჩელის მიღების მომენტში ძნელია განვსაზღვროთ, თუ რა შედეგით დამთავრდება პროცესი, არ არის გამორიცხული პროცესის გართულება და გაჭიანურება, არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ სასამართლო დელიკატურად უნდა მი-

უდგეს სარჩელთა ასეთი გაერთიანების (ერთად განხილვის) საკითხს.

189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეგებებული სარჩელის მიღების მაგალითია ის შემთხვევები, როცა განქორწინების შესახებ სარჩელთან ერთად განიხილება მოპასუხის შეგებებული მოთხოვნები მოსარჩელისაგან ალიმენტის გადახდევინებისა და ერთად შეძენილი ქონების გაყოფის შესახებ.

ურთიერთკავშირის არსებობა პირვანდელ და შეგებებულ სარჩელებს შორის არ გამორიცხავს ამ სარჩელთა დამოუკიდებელ ხასიათს. ამიტომ, თუმცა ჩვეულებრივ პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, როგორც წესი, იწვევს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას, შესაძლებელია ისიც, რომ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი მოპასუხეს დამოუკიდებელი საფუძვლით. ასე მაგალითად, პირვანდელი სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებლობის გამო, ხოლო შეგებებული სარჩელი — სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო.

შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

თუ შეგებებული სარჩელი ართულებს პროცესს, სასამართლოს უფლება აქვს არ მიიღოს იგი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად, ხოლო თუ შეგებებული სარჩელი უკვე მიღებულია, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება ცალკე წარმოებად შეგებებული სარჩელის გამოყოფის შესახებ.

თუ დასახელებული სამი საფუძვლიდან, შეგებებული სარჩელის მიღების რომელიმე საფუძველი, რომელიმე მოთხოვნა სახეზე არ არის ან შეგებებული სარჩელი წარდგენილია 188-ე მუხლით დადგენილი ვადის გაშვების შემდეგ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად მის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამ განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება, რადგან იგი არ ართმევს კონსტიტუციურ უფლებას მოპასუხეს სასამართლო წესით დაიცვას უფლება, კერძოდ კი, წარადგინოს დამოუკიდებელი სარჩელი. ამასთან, სსსკ-ის 377-ე მუხლიდან გამომდინარე, მხარეს არ ერთმევა, არ ესპობა შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერებისა და დასაბუთებულობის სააპელაციო წესით შემოწმების შესაძლებლობა, არამედ ეს ხდება პროცესის შემდგომ ეტაპებზე, მოგვიანებით. შესაბამისად, ამგვარი განჩინების მიმართ მხარის არგუმენტები შეიძლება აისახოს საქმეზე მიღებულ სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარში. **ხოლო, თუკი სასამართლო არ მიიღებს მოპასუხის შეგებებულ სარჩელს საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული მოტივებით, მაშინ სასამართლოს განჩინება შეიძლება დამოუკიდებლად გასაჩივრდეს.**

სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს ცალ-ცალკე დასაბუთებულ დასკვნას პირვანდელ და შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით, კერძოდ, მხარის რომელი უფლება აღიარა სასამართლომ, რომელ მხარეს რა მიაკუთვნა, რომელმა მხარემ რა მოქმედება უნდა შეასრულოს და ვის სასარგებლოდ. ფაქტობრივად ეს არის ორი სხვადასხვა მოთხოვნის შესახებ გამოტანილი ერთიანი გადაწყვეტილება, როცა თითოეული მხარე იკავებს ერთბაშად მოსარჩელის და მოპასუხის მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ შეგებებული სარჩელის მისაღებად საკმარისია დასახელებული სამი პირობიდან ერთ-ერთის არსებობა.

თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ (ე.ი. მთავარ სხდომაზე, მაგრამ პაექრობის დაწყებამდე), მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება (190-ე მუხლი).

§7. უფლებების დაცვის სასარჩელო საშუალებების განკარგვა

დისპოზიციური უფლებების განკარგვით მხარეებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პროცესის მსვლელობაზე (დინამიკაზე). ამ უფლებათა განკარგვამ, შესაძლოა, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი წარმოშვას. მხარეები თავიანთი შეხედულებით განსაზღვრავენ, თუ რა საშუალებებით დაიცვან უფლებები.

დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, მხარეები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას, დაიცვან თუ არა თავიანთი დარღვეული უფლებები. მათ შეუძლიათ არა მხოლოდ ისარგებლონ ყველა საპროცესო საშუალებით თავიანთი მატერიალური უფლებების დასაცავად, არამედ განკარგონ კიდეც ეს საპროცესო საშუალებები.

შესაბამისად, მხარეებს საქმის განხილვის დროს შეუძლიათ კანონით დადგენილ ფარგლებში, განახორციელონ თავიანთი მატერიალური მოთხოვნების კორექტირება, ან საერთოდ უარი თქვან მათ დაცვაზე. კანონი ითვალისწინებს უფლების დაცვის საშუალებების განკარგვის სხვადასხვა ფორმას, კერძოდ: მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, უარი თქვას სარჩელზე, გამოიხმოს სარჩელი, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, დააზუსტოს სარჩელი. თავის მხრივ, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი, მხარეებს ასევე შეუძლიათ მორიგდნენ.

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების პირობები უნდა აისახოს სხდომის ოქმში. სარჩელზე უარის მიღებამდე ან მხარეთა მორიგების დამტკიცებამდე, სასამართლომ უნდა განუმარტოს მხარეებს შესაბამისი საპროცესო მოქმედებების სამართლებრივი შედეგები. თუ სასამართლო არ მიიღებს მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას ან არ დაამტკიცებს მორიგებას, მაშინ მან ამის შესახებ უნდა გამოიტანოს განჩინება და უნდა გააგრძელოს საქმის არსებითად განხილვა.

აღძრული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა კი სხვადასხვა გარემოების გამო შეიძლება შეიცვალოს. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს მხარეთა იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა, რამაც განაპირობა, ვთქვათ, ის, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანის დროს, მხარემ სწორად ვერ ჩამოაყალიბა თუ განსაზღვრა სარჩელის ელემენტები, ან სასამართლო განხილვის დროს გაირკვა საქმის ახალი გარემოებები, ან მხარეებმა თვითონ მოაწესრიგეს ურთიერთშორის წარმოშობილი დავა და ა.შ.

განვიხილოთ თითოეული განკარგვითი მოქმედების კონკრეტული შინაარსი.

1. **სარჩელის შეცვლა**. სსსკ-ის მე-3 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება აქვს თავისი შეხედულებით განსაზღვროს სარჩელის საგანი და საფუძველი. სასამართლოს არა აქვს უფლება შეცვალოს მოსარჩელის მიერ წამოყენებული სასარჩელო მოთხოვნების საფუძველი და საგანი. სარჩელის საგნისა და საფუძვლის შეცვლა მხოლოდ მოსარჩელეს შეუძლია. მოსარჩელის მიერ სარჩელის შეცვლა შესაძლებელია სარჩელის თავდაპირველი საგნის, საფუძვლის, ფასის, სუბიექტური შემადგენლობის შეცვლით (მისი გაზრდით ან შემცირებით).

სასამართლომ უნდა განუმარტოს მხარეს ამ განკარგვითი მოქმედებების მნიშვნელობა, რათა მხარეს თავისი არასაკმარისად გათვითცნობიერებულობის გამო არ მიადგეს ზიანი.

კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, რომელზეც მესარჩელე აფუძნებს მოთხოვნას მპასუხისადმი, სარჩელის საფუძვლის შეცვლას წარმოადგენს. სარჩელის შეცვლის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეს მისცეს სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბების დროს თავიდანვე დაშვებული შეცდომის კორექტირების შესაძლებლობა.

მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძველი შეიძლება შეიცვალოს როგორც ახალ გარემოებებზე მითითებით, რომლებიც ადასტურებენ სასარჩელო მოთხოვნებს, ისე ამ მოთხოვნათა

დასასაბუთებლად უკვე მითითებული გარემოებების (ფაქტების) დასადასტურებლად ახალი მტკიცებულებების წარდგენით, ან პირვანდელი დასაბუთებიდან ზოგიერთი გარემოების ამორიცხვით. მოსარჩელეს უფლება აქვს ამორიცხოს რაიმე ფაქტი სარჩელის საფუძვლიდან, ან შეცვალოს ერთი ფაქტი მეორით, სხვა ფაქტებით. სარჩელის საფუძვლის შეცვლის მაგალითია სამოქალაქო კოდექსის 557-ე და 558-ე მუხლები, რომელთა თანახმად, გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს, ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას, ან თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში. ხელშეკრულების ვადამდე მოშლის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის დროს, მოსარჩელემ სარჩელს საფუძვლად შეიძლება დაუდოს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული პირობა (საფუძველი), ასევე მას შეუძლია მიუთითოს სხვა პირობებზე (გარემოებებზე), როგორც იმავე სარჩელის ახალ საფუძველზე.

სარჩელის საფუძვლის შეცვლა გარდაუვალია, თუ იცვლება თვითონ სარჩელის საგანი. მაგალითად, მოსარჩელე განქორწინების ნაცვლად ითხოვს ქორწინების ბათილად ცნობას. ამ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა შეცვალოს სარჩელის საფუძველიც, რამეთუ ის გარემოებები, რომლებიც სასამართლოს შესაძლებლობას მისცეს გადაწყვიტოს მოსარჩელის ეს მოთხოვნა, სრულიად განსხვავებულია იმ გარემოებათაგან, რომლებიც განქორწინების თაობაზე აღძრული სარჩელის საფუძველს წარმოადგენს. სხვა მაგალითი: მოსარჩელემ სარჩელის საგანს დაამატა ახალი მოთხოვნა. ამ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაასახელოს დამატებით ახალი ფაქტები (გარემოებები), რომლებითაც დადასტურდება, რომ მეორე (დამატებითი) მოთხოვნა მართლზომიერია.

სარჩელის საგნის შეცვლა კი ნიშნავს მოპასუხისადმი მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შეცვლას. ასეთ დროს იცვლება თავდაპირველად მითითებული სარჩელის საგანი სხვა საგნით (მოთხოვნით), თუმცა საფუძველი იგივე რჩება (იგივე ფაქტები). სარჩელის საგანი იმ შემთხვევაში იცვლება, როცა მოსარჩელე თავდაპირველი მოთხოვნის ნაცვლად აღძრავს (განაცხადებს) ახალ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას მოპასუხისადმი, ან სარჩელის თავდაპირველ საგანს დაამატებს ახალ მოთხოვნას.

სარჩელის საგნის შეცვლით მოსარჩელე ახლებურად (ხელახლა) განსაზღვრავს თავისი უფლების დაცვის ფორმასა და მოცულობას, ვინაიდან ამ დროს იგი ან ავიწროებს (ზღუდავს) ან აფართოებს საქმის გარემოებათა გამოკვლევის ფარგლებს, იცვლება სასამართლო გადაწყვეტილების ხასიათიც. მაგალითად, მოსარჩელეს უფლება აქვს თავდაპირველად აღძრულ აღიარებით სარჩელთან გააერთიანოს მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების შესრულების დაკისრების შესახებ მოთხოვნა (მიკუთვნებითი სარჩელი) ან იმ სამართალურთიერთობის შეცვლის შესახებ მოთხოვნა, რომლიდანაც წარმოიშვა დავა. მაგალითად, ავტორობის აღიარების შესახებ სარჩელის აღძვრის შემდეგ, მოსარჩელეს შეუძლია ამ სარჩელს დაამატოს საავტორო ჰონორარის გადახდევინების მოთხოვნა, ან კიდევ, მოსარჩელეს შეუძლია საიჯარო ქირის გადახდევინების შესახებ თავდაპირველად აღძრულ მოთხოვნას დაუმატოს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა.

მოსარჩელეს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ საერთოდ შეცვალოს სარჩელის საგანი და აღძრას ახალი მოთხოვნა. მაგალითი: მყიდველს მიჰყიდეს ნაკლის მქონე ნივთი. ასეთ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია თავისი შეხედულებით მოითხოვოს: ნაკლის გამოსწორება, ან თუ საქმე გვაროვნულ ნივთს შეეხება, ნაკლის მქონე გვაროვნული ნივთის შეცვლა სათანადო ხარისხის ნივთით; მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, ან თუ არ ითხოვს იგი ნივთის ნაკლის გამოსწორებას, ან ახლით მის შეცვლას და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება თანაბარზომიერად იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად

(სამოქალაქო კოდექსის 490-492-ე მუხლები). ყველა ეს მოთხოვნა გამომდინარეობს ერთი საფუძვლიდან და შეიძლება შეიცვალოს მოსარჩელის სურვილის მიხედვით. თუმცა სარჩელის საგნის შეცვლა ყოველთვის იმ დავის ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს, რომლის განხილვაც ითხოვა მოსარჩელემ, მაგალითად, არ შეიძლება, რომ მოპასუხისაგან ალიმენტის გადახდევინების შესახებ თავდაპირველი მოთხოვნის ნაცვლად, მოსარჩელემ მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, ვინაიდან ეს უკვე ახალი სარჩელია და ის უნდა აღიძრას საერთო წესით.

ამრიგად, როცა სარჩელის საგნის შეცვლაზე ვსაუბრობთ, უნდა დავიცვათ საერთო წესი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს აქვს მატერიალური კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული მოთხოვნები მოპასუხისადმი, მაშინ ნებისმიერი ამ მოთხოვნათაგანი შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით, სსსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. თუმცა, დაუშვებელია სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთდროულად შეცვლა. კანონის თანახმად შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის ერთ-ერთი ელემენტის შეცვლა. ასეთი დასკვნა ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზიდან გამომდინარე, რომელიც მხოლოდ ალტერნატივის შესაძლებლობას ითვალისწინებს (ალტერნატივის სახით, ფორმით არის ჩამოყალიბებული). ამ ნორმის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს ან სარჩელის საფუძველი, ან მისი საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, ვინაიდან სარჩელის საფუძვლისა და საგნის ერთბაშად (ერთდროულად) შეცვლა ფაქტიურად ნიშნავს ახალი სარჩელის წარდგენას (აღძვრას), თავდაპირველი სარჩელის შეცვლას სრულიად სხვა სარჩელით, რადგან ამ შემთხვევაში მოსარჩელე უარს ამბობს თავდაპირველად აღძრულ სარჩელზე და უკვე აღძრული პროცესის ფარგლებში აცხადებს (აღძრავს) ახალ სარჩელს. ხოლო თუ მოსარჩელეს ასეთ უფლებას მივანიჭებთ, ეს მოპასუხეს უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს, რითაც დაირღვევა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, მხარეთა უფლებები.

საპროცესო კოდექსში რაიმე სპეციალური ჩანაწერი, სპეციალური ნორმა არ არსებობს, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთდროულად შეცვლის შედეგები, თუმცა უნდა დავასკვნათ, რომ სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთბაშად შეცვლის დროს სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმისწარმოება იმის გამო, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და განუმარტოს მოსარჩელეს, რომ ახალი სასარჩელო მოთხოვნის აღძვრა მას შეუძლია დამოუკიდებელ პროცესში. ამ საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველია სსსკ-ის 272-ე მუხლი. ამასთან, ის დებულება, რომ სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთბაშად შეცვლა არსებითად ახალი სარჩელის აღძვრას ნიშნავს, დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, დაუშვებელია სარჩელთა ელემენტების ერთდროულად შეცვლა, ხოლო სარჩელის საგნის შეცვლის დროს ხდება იმ გარემოებათა შესაბამისი შეცვლა, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს. მაგალითად, მოსარჩელემ აღძრა სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, ხოლო შემდეგ ამ სარჩელს დაამატა განაცდური ხელფასის გადახდევინების მოთხოვნა. ცხადია, ამ შემთხვევაში მოსარჩელემ სარჩელის საფუძველს უნდა დაამატოს ახალი გარემოებები. კერძოდ, უნდა მიუთითოს იძულებითი გაცდენის ფაქტსა და მიყენებულ ქონებრივ ზიანზე.

მოსარჩელეს უფლება აქვს თავისი შეხედულებით შეცვალოს დავის (პროცესის) მონაწილეთა შემადგენლობაც (სუბიექტური შემადგენლობა). კერძოდ, საუბარია სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე. სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლი მოსარჩელეს შესაძლებლობას აძლევს განსაზღვროს მოპასუხეთა რაოდენობა საქმეში, როცა არსებობენ სოლიდარული მოვალეები. ამავე კოდექსის 469-ე მუხლის თანახმად, სარჩელის შეტანა (აღძვრა)

თავდაპირველად ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის (მოპასუხის) მიმართ არ ართმევს მოსარჩელეს (კრედიტორს) უფლებას მოითხოვოს შემდგომში პროცესში დანარჩენ ვალდებულ პირთა ჩაბმა (შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც).

აღსანიშნავია, რომ სარჩელის ელემენტების შეცვლის უფლების გამოყენებით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სრული და კვალიფიციური დაცვა (ე.ი. ეს ხელსაყრელია მოსარჩელისათვის), მეორე მხრივ კი, ეს ხელსაყრელია სასამართლოსთვისაც საპროცესო ეკონომიურობის თვალსაზრისით, ვინაიდან სარჩელის ელემენტების შეცვლის შემთხვევაში, არ არის აუცილებელი სასამართლოში აღიძრას ახალი საქმე.

სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლა მოსარჩელის უფლებაა და არა სასამართლოსი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება თავისი ინიციატივით შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი.

სასამართლო კანონის (248-ე მუხლი) თანახმად საქმეს განიხილავს მხოლოდ იმ მოთხოვნათა ფარგლებში, რაც წამოყენებულია (აღძრულია) მოსარჩელის მიერ. ის, რომ სასამართლო საქმეს განიხილავს მოსარჩელის მიერ აღძრული მოთხოვნების ფარგლებში, ნიშნავს, რომ სასამართლომ არა აქვს უფლება გასცდეს ამ მოთხოვნებს, ანუ სარჩელის საგნის ფარგლებს და მასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის ფარგლებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელეს აგრეთვე უფლება აქვს გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა. მაგრამ მოცემული მოქმედება სარჩელის საგნის შეცვლად არ ჩაითვლება, რამდენადაც საუბარია მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნათა ოდენობის დაზუსტების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში სარჩელის საგანი და საფუძველი იგივე რჩება, იცვლება მხოლოდ სარჩელის მატერიალური ობიექტის ოდენობა. მაგალითად, მოსარჩელემ აღძრა სარჩელი და მოითხოვა ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ შემდეგ მოსარჩელემ გადაიანგარიშა მიყენებული ზარალი და მოითხოვა უფრო მეტი თანხის გადახდევინება, ვიდრე ის მანამდე მოითხოვდა.

სასარჩელო მოთხოვნათა ოდენობის შემცირების ან გადიდების უფლება მხოლოდ მოსარჩელეს (როგორც მატერიალური სამართალურთიერთობის სუბქიექტს) აქვს.

სასარჩელო მოთხოვნათა ოდენობის შეცვლით მოსარჩელე ხელახლა განსაზღვრავს თავისი უფლების დაცვის მოცულობას, ფარგლებს. ასეთი დისპოზიციური უფლებამოსილების განხორციელება შესაძლებელია მაშინ, როცა მოთხოვნა ქონებრივი ხასიათისაა. თუ მოსარჩელისათვის სარჩელის აღძვრის მომენტში რთულია საკმაო სიზუსტით განსაზღვროს სარჩელის სავარაუდო ფასი, მაგალითად, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრული სარჩელის ფასი, საქმის განხილვის დროს მას შეუძლია დააზუსტოს თავისი მოთხოვნა და გაზარდოს სარჩელის ფასი.

ზოგჯერ მოსარჩელე სარჩელის ფასს შეგნებულად ადიდებს, ზრდის, ამიტომ საქმის განხილვის დროს მოთხოვნის ოდენობა დაზუსტდება და მოსარჩელე დაასახელებს თავისი მოთხოვნის ნამდვილ ოდენობას, შესაბამისად, შეამცირებს თავდაპირველად მოთხოვნილ თანხას.

სარჩელის ელემენტების, სარჩელის ფასისა და საქმის მონაწილეთა შემადგენლობის შეცვლამ შეიძლება მოითხოვოს პროცესში ახალი მასალების წარდგენა, ასევე შესაძლოა, რომ საჭირო გახდეს მოპასუხე დამატებით მოემზადოს შეცვლილ სარჩელთან დაკავშირებით. ამიტომ კანონი (83-ე მუხლი) ადგენს, რომ, თუ სარჩელის ელემენტების შეცვლა, სარჩელში მითითებული გარემოებების და მტკიცებულებების შევსება ან სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება-გადიდება ხდება საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე, სასამართლო ვალდებულია ამის შესახებ

აცნობოს მოპასუხეს. ხოლო საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ, სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს კანონი ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის. სსსკ-ის 83-ე მუხლთან კავშირში უნდა განვიხილოთ ასევე სსსკ-ის 224-ე, 381-ე და 406-ე მუხლები.

აღსანიშნავია, რომ სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი უცვლელი რჩება, ზუსტდება ან ემატება ახალი ფაქტები, მაგრამ სარჩელის თავდაპირველი ფაქტობრივი საფუძვლის აზრი და შინაარსი არ იცვლება.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია: მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ შეუცვლია თავისი მოთხოვნის თავდაპირველი ფაქტობრივი საფუძვლის აზრი და შინაარსი. იგი სარჩელში მიუთითებდა, რომ დაირღვა მისი შრომითი უფლებები, უკანონოდ დაითხოვეს სამსახურიდან, ხოლო მთავარ სხდომაზე დაამატა, რომ მისი უფლებები შრომის წიგნაკის დაყოვნებითაც დაირღვა. ამდენად, მოსარჩელეს დავის საგანი და საფუძველი არ შეუცვლია, მოსარჩელემ დაამატა ახალი ფაქტები, შესაბამისად. გაზარდა მოთხოვნა და შრომის წიგნაკის დაყოვნებისათვის მოითხოვა ანაზღაურება (სუსგ. 2005 წ. №4. სამოქალაქო პროცესი, გვ. 96). სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ან ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება (83-ე მუხლის მე-4 ნაწილი). სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილია რა მხარის უფლება სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტების თაობაზე, მოსარჩელეს აღნიშნული შეუძლია განახორციელოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და ამისათვის მოპასუხის თანხმობა საჭირო არ არის (სუსგ 2005 წ. №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 172).

სარჩელის შეცვლა მოსარჩელის მიერ შეიძლება სხვადასხვა საპროცესო წესით გაფორმდეს. კერძოდ, თუ მოსარჩელის ნების გამოვლენა გამოხატულია სპეციალურ განცხადებაში, მაშინ ის დაერთვის საქმის მასალებს, ხოლო თუ ეს მოხდა საქმის განხილვის დროს, აისახება სასამართლო სხდომის ოქმში. თუ მოსარჩელემ შეცვალა სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდა ან შეამცირა მისი ოდენობა, ამის თაობაზე უნდა მიეთითოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში. მოსარჩელეს აღნიშნული შეუძლია განახორციელოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და ამისათვის მოპასუხის თანხმობა საჭირო არ არის (სუსგ. 2005 წ. №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 172).

2. სასარჩელო მოთხოვნათა გაერთიანება და გამოყოფა. ერთ წარმოებაში (ერთ წარმოებად) დასაშვებია რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანება. ამიტომ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ უფლების დაცვის სასარჩელო საშუალებათა განკარგვაზე და სარჩელის უფლებაზე, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზეც, რომ სარჩელის უფლება დაკავშირებულია სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანებისა და გამოყოფის შესაძლებლობასთან[1] (სსსკ-ის 182-ე მუხლი). დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე მისი თვითნებურად გამოყენება დაუშვებელია. კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ამ საქმის ყველა გარემოება.

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უფლება აქვს, რომ ერთ სარჩელში გააერთიანოს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მოთხოვნა. მაგალითად, გააერთიანოს მამობის დადგენისა და ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნები, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის კომპენსაციის მოთხოვნები (სარჩელები), ნივთზე

[1] სწორედ ამიტომაა, რომ სარჩელთა გაერთიანებისა და გამოყოფის საკითხი ზოგიერთ ნაშრომში განხილულია იქ, სადაც საუბარია სარჩელის უფლებაზე.

საკუთრების უფლების ცნობის შესახებ მოთხოვნა (სარჩელი) და უკანონო მფლობელისაგან მისი დაბრუნების (ვინდიკაციის) სარჩელი (მოთხოვნა) და ა.შ.

თუმცა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს უფლება აქვს გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია. ამდენად, მოსამართლე არ არის შებოჭილი მოსარჩელის „თავისუფალი" შეხედულებით, ერთ წარმოებაში (ერთ პროცესში) იქნეს განხილული მოსარჩელის რამდენიმე მოთხოვნა. მაგალითად, განქორწინების შესახებ სარჩელთან ერთად, აღძრულია ბავშვების სასარგებლოდ ალიმენტების გადახდევინების შესახებ მოთხოვნა, მაგრამ მეორე მხარე სადავოს ხდის მამობის (ან დედობის) შესახებ ჩანაწერს. ამ შემთხვევაში, სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა ცალკე წარმოებად უნდა გამოყოს.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნათა ერთ წარმოებად გაერთიანება, ყოველთვის როდი ხდება მათი სწრაფად განხილვის მიზნით. აღნიშნული ინსტიტუტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უფლების სასამართლო წესით დაცვის ხელმისაწვდომობა და სისრულე.

ერთმანეთთან დაკავშირებულ მოთხოვნათა (ერთგვაროვან მოთხოვნათა) ერთ წარმოებად გაერთიანება ხშირად მიზანშეწონილი და ხელსაყრელია საქმის განხილვისათვის, სასამართლოსა და მხარეთათვის და დადებით გავლენას ახდენს პროცესის მსვლელობაზე იმდენად, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო საქმე უფრო სწრაფად და სწორად, სრულყოფილად განიხილება. ხოლო საქმეთა დროულად და სწორად განხილვა და გადაწყვეტა, საქმის განხილვის დაჩქარება სამოქალაქო სამართალწარმოების (პროცესის) ერთ-ერთი ამოცანაა და გამომდინარეობს საპროცესო ეკონომიურობის პრინციპიდან. ეს დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ საპროცესო კოდექსის მე-200 და სხვა მუხლების (მაგალითად, იმავე 182-ე მუხლის) ანალიზიდან. ამით ასევე თავიდან იქნება აცილებული ერთგვაროვან საქმეებზე ურთიერთსაწინააღმდეგო (ურთიერთგამომრიცხავი) გადაწყვეტილებების გამოტანა. ამიტომ სასამართლო მაშინ გამოიტანს მოთხოვნის ცალკე წარმოებად გამოყოფის განჩინებას, როცა მოთხოვნათა გაერთიანება ხელს არ შეუწყობს ამ მიზნების განხორციელებას, ანუ როცა ეს კი არ გააიოლებს, არამედ გაართულებს სასამართლოს მუშაობას, გაართულებს საქმეს, იძულებულს გახდის სასამართლოს გამოიკვლიოს უამრავი სხვადასხვა სახის მტკიცებულება და განიხილოს და გადაწყვიტოს არაერთგვაროვანი მოთხოვნები. სასამართლომ შესაბამისი მოტივები უნდა დაასახელოს, ანუ დაასაბუთოს, თუ რატომ გამოყო მოთხოვნა ცალკე წარმოებად.

გასაერთიანებელი მოთხოვნები ხშირად ერთი და იმავე სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარეობენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ არ არის გამორიცხული ერთ პროცესში იმ რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის განხილვის შესაძლებლობაც, რომლებიც, თუმცა არ გამომდინარეობს ერთი და იმავე სადავო მატერიალური სამართალურთიერთობიდან, მაგრამ მათი ერთად განხილვის მიზანშეწონილება ნაკარნახევია საქმის კონკრეტული გარემოებებით. მაგალითად, ერთ სარჩელში შეიძლება გაერთიანდეს ქორწინების ბათილად ცნობისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნები. საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისდა მიუხედავად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები, თუ არა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ერთ სარჩელში შეიძლება გაერთიანდეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნები. მაგალითად, პატივისა და

ღირსების დაცვის სარჩელში შეიძლება გაერთიანდეს მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურების მოთხოვნა.

რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანებისა და გამოყოფის საკითხს მოსამართლე წყვეტს ერთპიროვნულად, სარჩელის მიღების დროს. სარჩელის მიღებისას სასამართლომ უნდა განუმარტოს მხარეებს, რა მოთხოვნები შეიძლება იქნეს განხილული ერთდროულად პირვანდელ მოთხოვნებთან ერთად, აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულ მოთხოვნათაგან, თითოეული ინარჩუნებს თავის დამოუკიდებელ მნიშვნელობას და, შესაბამისად, თითოეულ მათგანზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს ცალ-ცალკე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

სასარჩელო მოთხოვნები (სარჩელები) შეიძლება გაერთიანდეს მოსარჩელის (მოსარჩელეების) ინიციატივით როგორც ერთ სასარჩელო განცხადებაში, ისე სასამართლოს მიერ მხარეთა შუამდგომლობით, თუ სასამართლოში რამდენიმე საქმეა, რომლებშიც მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე მონაწილეობენ ერთი და იგივე პირები, ანდა არსებობს ერთი მოსარჩელის სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე საქმე სხვადასხვა მოპასუხისადმი ან სხვადასხვა მოსარჩელისა ერთი მოპასუხისადმი.

პირველ ყოვლისა, მოსარჩელის მიერ ერთ სარჩელში გაერთიანებული მოთხოვნები ნამდვილად უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს. თუ ასეთი კავშირი სახეზე არ არის, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ გაერთიანებული მოთხოვნების ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ.

მოსარჩელის მიერ აღძრულ მოთხოვნებს შორის კავშირი შეიძლება განპირობებული იყოს დავის საგნის თავისებურებებით. მაგალითად, განქორწინების შესახებ დავა დაკავშირებულია მეუღლეებს შორის ერთად შეძენილი ქონების გაყოფის შესახებ დავასთან, ნაკლის მქონე ნივთის (საქონლის) ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ დავა დაკავშირებულია ასეთი ნივთის (საქონლის) გაყიდვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავასთან და ა.შ.

აღძრული მოთხოვნები ერთმანეთთან შეიძლება დაკავშირებული იყოს საპროცესო თანამონაწილეობის საფუძველზე (როცა სახეზეა საპროცესო თანამონაწილეობა), ე.ი. როცა მოთხოვნათა აღძვრა ხდება ერთბაშად (ერთდროულად) რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. მაგალითად, რამდენიმე მყიდველს, რომლებმაც შეიძინეს უხარისხო საქონელი გამყიდველისაგან, შეუძლია გაერთიანდეს და სასამართლოში შეიტანონ საერთო სასარჩელო განცხადება და ამ განცხადებაში ჩამოაყალიბონ თავიანთი მოთხოვნები მოპასუხისადმი, ან კიდევ, შრომისუუნარო მშობელს, რომელსაც დახმარება სჭირდება, შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ალიმენტების გადახდევინების მოთხოვნა თავისი ყველა სრულწლოვანი შვილის მიმართ.

ერთდროულად შეიძლება იქნეს განხილული ასევე მაგალითად განქორწინების სარჩელი და საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნა, რამეთუ ასეთი მოთხოვნები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მშობლის უფლების ჩამორთმევის სარჩელთან ერთად სასამართლო განიხილავს და წყვეტს ალიმენტის გადახდევინების საკითხსაც.

კანონის თანახმად, რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღების დროს, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია.

სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს წარმოებაში არის რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია

თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზედაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

სასარჩელო მოთხოვნათა გაერთიანება განსაკუთრებით აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა სასარჩელო მოთხოვნა განუყოფლადაა დაკავშირებული პირვანდელ სასარჩელო მოთხოვნასთან და მათი ერთად განხილვა აუცილებელია. მაგალითად, მიზანშეწონილია მამობის დადგენის შესახებ მოთხოვნისა და ალიმენტების გადახდევინების შესახებ მოთხოვნის გაერთიანება, რამეთუ ალიმენტების გადახდევინების შესახებ მოთხოვნის გადაწყვეტა მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ (რა შედეგით) გადაწყდება მამობის დადგენის შესახებ მოთხოვნა.

პირობითად შეიძლება გამოიკვეთოს ორი კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც ხდება მოთხოვნათა (სარჩელთა) გაერთიანება და გამოყოფა, კერძოდ, ესენია სუბიექტი და ობიექტი. სარჩელთა გაერთიანებას სუბიექტის მიხედვით ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი და იმავე სადავო ობიექტზე მოთხოვნას წარადგენს რამდენიმე პირი, ან როცა ერთი და იმავე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით პროცესში ხდება რამდენიმე მოპასუხის ჩაბმა, ანუ სარჩელთა გაერთიანებაში სუბიექტის მიხედვით, იგულისხმება ერთ წარმოებაში სხვადასხვა პირის რამდენიმე სარჩელის გაერთიანება, რაც სხვა არაფერია, თუ არა საპროცესო თანამონაწილეობა.

სარჩელთა გაერთიანება სუბიექტის მიხედვით გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 86-ე და 182-ე მუხლებით. მაგალითად, სარჩელი შეიძლება აღიძრას რამდენიმე მოსარჩელის მიერ ერთი მოპასუხისადმი ან ერთი მოსარჩელის მიერ – რამდენიმე მოპასუხისადმი. ვთქვათ, მეიჯარე მოითხოვს საიჯარო ქირის გადახდას და იჯარით გაცემული ქონების (ფართის) გათავისუფლებას რამდენიმე მოიჯარისაგან. ეს მოთხოვნები შეიძლება აღძრულ და განხილულ იქნეს ცალ-ცალკე, მაგრამ მიზანშეწონილია მათი გაერთიანება ერთ წარმოებად.

სარჩელთა გაერთიანება სუბიექტის მიხედვით ხასიათდება პირთა სიმრავლით მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, ანდა ორივე მხარეზე ერთდროულად და, შესაბამისად, რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის არსებობით (ამ შემთხვევაში, რამდენიმე მოთხოვნა ერთმანეთთან დაკავშირებულია რამდენიმე სუბიექტის ერთიანობის, მათი გაერთიანების საფუძველზე).

უნდა გავითვალისწინოთ აღძრული მოთხოვნების ერთგვაროვნებაც, მათი კავშირი ობიექტის მიხედვით (იგულისხმება მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების ერთიანობა, მტკიცებულებების ერთიანობა).

აღსანიშნავია რომ სარჩელთა გაერთიანებას ობიექტის მიხედვით, ე.ი. სარჩელთა გაერთიანებას იმისათვის, რომ ერთ პროცესში განხილულ იქნეს დავა სხვადასხვა ობიექტთან (საგანთან) დაკავშირებით, ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთ სარჩელში (ან ერთ წარმოებაში, ერთ პროცესში) ერთიანდება რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხისადმი. ამ დროს ხდება სარჩელთა ისეთი გაერთიანება ერთ წარმოებაში, რომლის დროსაც მოსარჩელედ და მოპასუხედ გვევლინებიან ერთი და იგივე პირები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ წარმოებაში ხდება მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების გაერთიანება (ეს არის მოთხოვნების გაერთიანება ობიექტის მიხედვით).

მაგალითი: რამდენიმე დასაქმებულმა აღძრა სხვადასხვაგვარი მოთხოვნა დამსაქმებლის მიმართ (ზოგი, ვთქვათ, მოითხოვს სამუშაოზე აღდგენას, ზოგი კი – ხელფასს ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის). ამ მოთხოვნათა ერთ წარმოებად გაერთიანება არ შეიძლება,

მივიჩნიოთ მოსარჩელის მოთხოვნა. მაგალითად, მოპასუხე აღიარებს მასსა და მოსარჩელეს შორის სესხის ხელშეკრულების არსებობას, მაგრამ ამტკიცებს, რომ ის თანხა, რასაც მას მოსარჩელე სთხოვს (ედავება), მან უკვე დააბრუნა ისე, რომ მოსარჩელისაგან საპასუხოდ არ მიუღია შესრულების შესახებ ხელწერილი.

სარჩელის აღიარებას სასამართლო აფასებს საქმის მასალებთან ერთად ერთობლიობაში, სასამართლო სხდომაზე გამორკვეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

სარჩელის ცნობის შემთხვევაში პროცესი არ შეწყდება, არამედ საქმე არსებითად განიხილება და სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სარჩელის ცნობის შეფასებას. სარჩელის ცნობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დაედოს საფუძვლად სარჩელის დაკმაყოფილებას, როცა არ არსებობს ეჭვი მის მართლზომიერებაში. თუ სასამართლო არ ეთანხმება სარჩელის ცნობას, მან ეს უნდა დაასაბუთოს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მხარეთა პოზიციის სწორ კვალიფიკაციას ცალკეული კატეგორიის საქმეებზე, მაგალითად, თუ მამობის დადგენის შესახებ საქმის განხილვის დროს მოპასუხემ თანხმობა განაცხადა მამობის დადგენის შესახებ განცხადება შეიტანოს საგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ხომ არ ნიშნავს ეს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას, უნდა განიხილოს (იმსჯელოს) მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის მიღების და მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობის საკითხზე.

სარჩელის ცნობისაგან (აღიარებისაგან) უნდა განვასხვაოთ მხარის მიერ მტკიცებულებითი ფაქტის ცნობა (აღიარება). ერთი მხარის მიერ იმ ფაქტის (გარემოების) ცნობა (აღიარება), რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ზოგადი წესის მიხედვით, ათავისუფლებს ამ უკანასკნელს შემდგომში ამ ფაქტის (თუ ფაქტების) დამტკიცების მოვალეობისაგან (სსსკ-ის 131-ე მუხლი).

აღსანიშნავია ისიც, რომ სარჩელის აღიარება (ცნობა) ეს არის იმ მატერიალური უფლების განკარგვა, რომელსაც იცავს მოპასუხე. ფაქტის აღიარება ეს არის უფლების დაცვის ერთ-ერთი საპროცესო საშუალების განკარგვა.

5. მორიგება. დავის საგნის ბედი შეიძლება მორიგებით გადაწყდეს. მორიგება მხარეთა უმნიშვნელოვანესი განკარგვითი მოქმედებაა. მორიგება მოსარჩელისა და მოპასუხის შეთანხმებაა, მათ შორის წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი დავის შეწყვეტისა და ურთიერთშორის ახალი ურთიერთობების დადგენის შესახებ, რომელიც ძალას იძენს მხოლოდ სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების შემთხვევაში. მორიგების დროს მხარეები თანხმდებიან ერთმანეთისათვის მისაღებ პირობებზე.

მორიგების (ანუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების) დამტკიცებას სამართლებრივი შედეგი მოჰყვება, კერძოდ: წყდება საქმის წარმოება. მორიგებას ამტკიცებს სასამართლო თავისი განჩინებით, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს აღარ აქვთ უფლება სასამართლოს განმეორებით მიმართონ იმავე სარჩელით (მოთხოვნით) და ხელახლა წამოიწყონ საქმე.

მორიგების არსი ისაა, რომ მხარეთა მორიგების (შეთანხმების) შედეგად გადაწყდება მათ შორის წამოჭრილი დავა (სამართლებრივი კონფლიქტის თვითმოწესრიგება ხდება თვით მხარეთა მიერ). ასეთი შეთანხმების მიღწევა განსაზღვრული პირობების საფუძველზე ხდება. მორიგების პირობები შეიძლება შემოთავაზებულ იქნეს როგორც მხოლოდ მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიერ, მაგრამ უფრო ხშირად კი ეს ურთიერთშეთანხმებულია. ასეთ დროს მოსარჩელე თმობს თავისი მოთხოვნების ნაწილს, ხოლო დანარჩენ ნაწილს კი, თავის მხრივ, აღიარებს (ცნობს) მოპასუხე. ასეთი ურთიერთდათმობის შედეგად მხარეები თვითონ განსაზღვრავენ მორიგების აქტში უფლებათა მოცულობას. კერძოდ, შესაძლოა, მოსარჩელეს არ ჰქონდეს ხელთ საკმარისი მტკიცებულებანი მოთხოვნის დასადასტურე-

ბლად, ხოლო მოპასუხესთან მორიგების შედეგად მიიღოს მატერიალური სიკეთის დიდი ნაწილი, ხოლო გარკვეული წილი კი ერგოს მოპასუხეს, თუმცა კი, პროცესი ჩვეულებრივ რომ გაგრძელებულიყო, შესაძლოა, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე. იმავდროულად, მატერიალური უფლებების გარდა, მხარეები განკარგავენ თავიანთი უფლების დაცვის საპროცესო საშუალებებს, რამეთუ მორიგებით წყდება საქმისწარმოება და მორიგების დამტკიცების განჩინება, რომელიც ცვლის სასამართლო გადაწყვეტილებას (იგი არის სასამართლო გადაწყვეტილების სუროგატი), უნდა შესრულდეს (აღსრულდეს) ისევე, როგორც სასამართლოს ნებისმიერი აქტი (ე.ი. იძულებით, თუ რომელიმე მხარე არ შეასრულებს მას), სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

მორიგების ტექსტი (პირობები) მხარეებმა შეიძლება ცალკე დოკუმენტში (მორიგების აქტში) გაითვალისწინონ. ასეთ შემთხვევაში მორიგების აქტი დაერთვის საქმის მასალებს, რის თაობაზეც სხდომის ოქმში აღინიშნება, ან შეიძლება ეს პირობები შეტანილ იქნეს სასამართლო სხდომის ოქმში, თუ მხარეებმა მორიგება დადეს სასამართლო სხდომაზე.

მხარეებმა, შესაძლოა, სასამართლოს გარეშე (სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე, საქმის აღძვრამდე დადონ მორიგება, შეთანხმება).

ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ აღიძვრება საქმე იმ პირებს შორის სამართლებრივი დავის გადაწყვეტის შესახებ, რომელთაც საქმის აღძვრამდე დადეს მორიგება და თუ საქმის განხილვის პროცესში რომელიმე მხარე მიუთითებს ამ ხელშეკრულებაზე, სასამართლომ საქმის აღძვრამდე დადებული შეთანხმება (ხელშეკრულება) უნდა განიხილოს მხოლოდ როგორც საქმის ერთ-ერთი გარემოება.

ასეთი შეთანხმების, ხელშეკრულების (ანუ მორიგების) დადება საქმის სასამართლოში განხილვის დროს, ხელშეკრულების დადების იმ საერთო წესებს უნდა შეესაბამებოდეს, რომლებიც ხელშეკრულებისთვისაა (გარიგებისათვის) სამოქალაქო სამართლით დადგენილი.

მორიგების დადება შეიძლება სამოქალაქო პროცესის ნებისმიერ, მათ შორის, აღსრულების სტადიაზეც.

მორიგების სუბიექტები არიან მხოლოდ მხარეები, სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტები (მოსარჩელე, მოპასუხე და მხოლოდ ის მესამე პირი, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს დავის საგანზე).

სასამართლომ მორიგების სამართლებრივი შედეგები უნდა განუმარტოს მორიგების სუბიექტებს, ასეთი განმარტების შესახებ უნდა აღინიშნოს სხდომის ოქმში.

საყურადღებოა სსსკ-ის 218-ე მუხლი, რომელიც ავალდებულებს სასამართლოს, რომ მან ყოველნაირად შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. მაგრამ ამ დებულების გამოყენებისას სასამართლომ ერთ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება, კერძოდ, მორიგება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ხასიათის დავასთან გვაქვს ჩვენ საქმე, რამეთუ რიგ შემთხვევებში, მორიგება საერთოდ არ შეიძლება დაიდოს. **მორიგება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა (ორმხრივი გარიგებაა), ამიტომ ის კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს**. ასეთი შეთანხმების კანონიერებას აკონტროლებს სასამართლო. ამიტომ სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ყველა სამართალურთიერთობაში როდია შესაძლებელი მორიგების დადება (მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ საქმეებში). ასევე დაუშვებელია მორიგების

დამტკიცება, როცა კანონის გვერდის ავლით, მორიგების პირობების თანახმად, მხარეებს შორის ხდება ისეთი მოთხოვნების გაქვითვა, რომელთა გაქვითვაც დაუშვებელია (სკ-ის 447-ე მუხლი) და სხვა.

თუ სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობები ეხება უშუალოდ სხვა პირებსაც, მაგალითად, დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს, მათ ისევე შეუძლიათ ამ განჩინების გასაჩივრება სსსკ-ის 414-ე მუხლის საფუძველზე, როგორც იმ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება.

თუ სასამართლო უარს ეტყვის მხარეებს მორიგების დამტკიცებაზე, მან უნდა გამოიტანოს ამის თაობაზე განჩინება, რომელშიც უნდა დაასაბუთოს უარის თქმის მოტივები. ამ შემთხვევაში საქმე არსებითად განიხილება და სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება.

მორიგების დამტკიცების შემთხვევაში კი, სასამართლო საქმისწარმოებას წყვეტს იმავდროულად, ე.ი. მორიგების დამტკიცების შესახებ გამოტანილი განჩინებითვე.

§8. სარჩელის უზრუნველყოფა

„ყოველნაირ უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს
ძალა და ფასი, თუ იგი უზრუნველყოფილია“.
მიხეილ ჯავახიშვილი

1. სარჩელის უზრუნველყოფის ცნება და უზრუნველყოფის წესი. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომა (თანხის გადახდა, ნივთის გადაცემა და სხვა) დამოკიდებულია არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე, არამედ ასევე მოპასუხის (მოვალის) ნებაზე. ასეთი ნების არ არსებობის შემთხვევაში კი, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე. თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის მოვალეს აღარ ექნება ქონება, რომლის რეალიზაციითაც შესაძლებელი გახდება კრედიტორის დაკმაყოფილება, გადაწყვეტილება დარჩება აღუსრულებელი. სასამართლომ კი უნდა უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება. დასახელებულ მიზანს ემსახურება სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი. სარჩელის უზრუნველყოფა კანონით გათვალისწინებული იმ იძულებითი ზომების (ღონისძიებების) სისტემაა, რომლებსაც სასამართლო იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით, თუ არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გართულდება ან შეუძლებელი გახდება და რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოპასუხეს ეზღუდება სარჩელის მატერიალური საგნის (ობიექტის) განკარგვის უფლება, რაც თავის მხრივ, გარანტირებულს ხდის გადაწყვეტილების რეალურ აღსრულებას სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სსკ-ის 191-ე მუხლი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს, 198-ე მუხლი კი უზრუნველყოფის კონკრეტულ ღონისძიებებს. განცხადებაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს ის გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად (სსსკ-ის 191-ე მუხლი). თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის

შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველია ამ სარჩელზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გართულება ან ასეთი აღსრულების შეუძლებლობა. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ვალდებულება, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს.

საბოლოოდ საკითხი იმის შესახებ, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული წყვეტს სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე. ამდენად, განმცხადებელი ვალდებულია სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მიუთითოს არა მარტო იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება სურს, არამედ იმაზეც, თუ რატომაა აუცილებელი მის მიერ მითითებული ღონისძიების გატარება. ამასთან განმცხადებელი ნათლად და გასაგებად უნდა აყალიბებდეს სასარჩელო მოთხოვნებს მოპასუხის წინააღმდეგ, რათა სასამართლოს მიეცეს საშუალება ამ მოთხოვნათა შინაარსისა და ხასიათიდან გამომდინარე გადაწყვიტოს საკითხი სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, უზრუნველყოფის გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მარტო სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის შეუძლებლობის საშიშროებაზე, არამედ იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთება (ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მხარეს არ ევალება სარჩელში მიუთითოს მოთხოვნის იურიდიული საფუძველი. სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლის შემოწმება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვის ეტაპზე სასამართლოს არ ევალება. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი ფორმალური მიდგომა დაუშვებელია და იგი უმეტესწილად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული).

191-ე და 198-ე მუხლების მიზანია სასამართლო ქტის აღსრულების გართულების ან შეუძლებლობის დაუშვებლობა. შესაბამისად, ეს ნორმები წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილებათა რეალურად აღსრულების სამართლებრივ გარანტიას.

სსსკ 191-ე მუხლის შინაარსის მიხედვით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების მიზანია დაიცვას დავის საგანი, კერძოდ, არ დაუშვას მოვალის მიერ დავის საგნის განკარგვის შესაძლებლობა (სუსგ 2001 წ. №5, გვ. 542).

განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, თან უნდა დაერთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან საჯარო რეესტრის ცნობა, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება (სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილი). უნდა განიმარტოს, რომ ყადაღის დადება იმავდროულად ეხება მესამე

პირთა (მოპასუხის სხვა კრედიტორთა) უფლებებსა და ინტერესებსაც. ამიტომ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება არ ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხიდან გადახდევინება მოხდება პირველ რიგში, ე.ი. აღნიშნული ღონისძიების მიღებამ არ უნდა დაარღვიოს გადახდევინების ის რიგითობა, რაც სააღსრულებო წარმოებათა კანონის 82[3] მუხლითაა დადგენილი.[1]

სარჩელის უზრუნველყოფა დაიშვება საქმის ნებისმიერ მდგომარეობაში, შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მთავარია, რომ არსებობდეს მისი გამოყენების პირობა, კერძოდ: თუ ამ ღონისძიებათა განუხორციელებლობამ შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება, ვთქვათ, იმის გამო, რომ განადგურდება ან აღარ იარსებებს მომავალში დავის საგანი ან ზიანის ასანაზღაურებლად განკუთვნილი თანხა და ა.შ. რაც შეეხება განცხადების განხილვის ვადას, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას მისი შეტანიდან ერთი დღის ვადაში მოპასუხისთვის შეუტყობინებლად გადაწყვეტს სარჩელის განმხილველი სასამართლო (193-ე მუხლი). თუ უზრუნველყოფა სასამართლო სხდომაზე ხდება, მაშინ საქმის ყველა მონაწილეს, მათ შორის მოპასუხესაც შეუძლია მისცეს ახსნა-განმარტება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ თხოვნა მოსარჩელემ შეიძლება ჩამოაყალიბოს ან თვითონ სარჩელში, ან სარჩელის შეტანისას და კანცელარიაში დაფიქსირებისას ცალკე განცხადება დაურთოს სარჩელს და სარჩელთან ერთად შეიტანოს სასამართლოში, ან ამის შესახებ საქმის განხილვის დროს შეიტანოს განცხადება, ასევე მიმართოს სასამართლოს ცალკე განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, სარჩელის აღძვრამდე.

სარჩელის უზრნველყოფის საკითხის ოპერატიულად განხილვა აუცილებელია, რამეთუ მოპასუხემ, შესაძლოა, გაყიდოს, დამალოს, გააფუჭოს, გაანადგუროს დავის საგანი და ა.შ.

სსსკ 191-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რა შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობას და შესაბამისად, რატომ გახდება შეუძლებელი ან რატომ გაძნელდება გადაწყვეტილების აღსრულება. მხოლოდ აღნიშნული საკითხის გარკვევის შემდეგ არის უფლებამოსილი სასამართლო, დადებითად გადაწყვიტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა შესაძლებელია არა მხოლოდ საქმის აღძვრის შემდეგ, არამედ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში საქმის (სარჩელის) აღძვრამდეც (192-ე მუხლი). კანონით დადგენილია, რომ სარჩელის აღძვრამდე შეტანილი უზრუნველყოფის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში უზრუნველყოფის განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი ამ ვადაში არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. ამ განჩინების გამოტანა სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზეც შეუძლია. ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მომავალი სარჩელის უზრუნველყოფასაც.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი გულისხმობს სასამართლოს მიერ იმ ღონისძიებათა მიღებას, რომელიც გარანტირებულს ხდის სასარჩელო მოთხოვნათა განხორციელებას, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სარჩელის უზრუნველყოფა ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებათა დაცვის

---

[1] დაწვრილებით იხილეთ – შ. ქურდაძე, „სააღსრულებო წარმოებათა სტადიაზე წარმოშობილი დავების განხილვის თავისებურებანი". ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" №1. გვ. 60-66. 2006 წ. სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებით უნდა იყოს ნაკარნახევი სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემოღება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად,ფიზიკური და იურიდიული პირების დარღვეული ქონებრივი თუ არაქონებრივი უფლებების რეალური და სრული აღდგენა.

მოცემული ინსტიტუტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს,რომ მისი მეშვეობით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ შემთხვევებში,როცა არსებობს საშიშროება, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერად იმოქმედებს ან, როცა, საერთოდ, ამ ღონისძიებათა მიუღებლობა შეუძლებელს გახდის სასამართლო აქტის აღსრულებას.

შესაძლებელია როგორც აღიარებითი, ისე მიკუთვნებითი სარჩელის უზრუნველყოფა. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფა (უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება) შეიძლება აუცილებელი გახდეს ავტორობის უფლების აღიარების შესახებ სარჩელზე, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია მოპასუხეს აეკრძალოს ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნება მანამდე, ვიდრე არ გადაწყდება საკითხი სადავო ლიტერატურულ ნაწარმოებზე ავტორობის უფლების შესახებ.

შესაძლებელია ასევე როგორც პირვანდელი, ისე შეგებებული სარჩელის უზრუნველყოფა. იქიდან გამომდინარე, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საკითხის დროულად გადაწყვეტაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნორმას,რომლის თანახმადაც, საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მიერ შესრულებულ სხვა მოქმედებებთან ერთად, მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვიტოს ასევე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საკითხი (203-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტი). სარჩელის უზრუნველყოფა შესაძლებელია როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, თუ ასეთი ღონისძიება არ ყოფილა მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

„სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში კანონი იცავს მოპასუხის ინტერესებსაც. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხეს არ უნდა მიადგეს ზიანი და თუ მიადგება, სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში იგი უნდა ანაზღაურდეს“ (სუსგ 2001 წ. №4, გვ. 415).

როდესაც სასამართლო წყვეტს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს,მან მხედველობაში უნდა მიიღოს,რომ ამან შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოპასუხისა და სხვათა ინტერესებს,ამიტომ,ხაზგასმით უნდა აღინიშნოს,რომ სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი წყდება საქმის მონაწილეთა უფლებებისა ღონისძიება და ინტერესების გათვალისწინებით (უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფით). კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე საუბარია სსსკ-ის 199-ე მუხლში, სადაც მითითებულია, რომ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრნველყოფა. ეს იმიტომ, რომ ჯერ არ არის გარკვეული ამ დროს საქმის პერსპექტივა და არ არის ცნობილი, ნამდვილად დასაბუთებულია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა. **ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა სასამართლოს ვალდებულება კი არაა, უფლებაა. ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.**

პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია 7 დღის ვადაში განახორციელოს მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ

გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების შესახებ, რაც საჩივრდება საჩივრით.

თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო,რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში,ანდა იმის გამო,რომ სასამართლომ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რადგან ასეთი ღონისძიება მიღებული იყო სარჩელის აღძვრამდე და პირმა დადგენილ ვადაში არ აღძრა სარჩელი (192-ე მუხლი), მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მიყენებული ზარალი.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებულ უნდა იქნეს, თუ უზრუნველყოფის რა კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ (194-ე მუხლი).

სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, ე.ი. მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით (195-ე მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ განჩინების გამოტანის შემდეგ ამ განჩინების იძულებით აღსრულების აუცილებლობის შემთხვევაში აღმასრულებელს მოსარჩელემ უნდა წარუდგინოს განჩინება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად, რაც საერთო წესით ხორციელდება.

სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ განჩინებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საჩივარი (194-ე მუხლი), რომელშიც უნდა მიეთითოს:

1) სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინების ზუსტი დასახელება; 2) თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ; 3) გარემოებები, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ. ამ განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები. სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების დაუკმაყოფილებლობის განჩინებაზე ასევე შეიძლება საჩივრის შეტანა. უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც საჩივრდება საჩივრით (სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებულია სარჩელის უზრუნველყოფის შემდეგი ღონისძიებები:

1) **ყადაღის დადება** ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის საკუთრების უფლებით და არის მასთან ან სხვა პირთან (მაგალითად, ყადაღის დადება ავტომობილზე, ბინაზე, წილზე, მოძრავი და უძრავი ქონების სხვა ობიექტებზე, აგრეთვე ფულად თანხებზე, მათ შორის უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფულად თანხაზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის თვითონ მოპასუხესთან ან სხვა პირთან. საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როცა მოპასუხის ფული და სხვა ქონება იმყოფება არა მასთან, არამედ, ვთქვათ, ბანკში, სასაქონლო საწყობში და ა.შ.). არ შეიძლება სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიება გამოყენებულ იქნეს იმ ქონების მიმართ, რომელიც არ ეკუთვნის ვალდებულ პირს. ამიტომ იმ პირმა, რომელიც მოითხოვს სარჩე-

ლის უზრუნველყოფის სახით,მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადებას,უნდა წარმოადგინოს კიდეც ამ ქონების საკუთრების შესახებ შესაბამისი დოკუმენტები (მტკიცებულებები). განმცხადებლის ეს ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (მტკიცების ტვირთი). მოძრავი ქონების მიმართ კი მოქმედებს პრეზუმფცია — ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა.

მოცემული სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, სასამართლო უკრძალავს მოპასუხეს და აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, რომლებთანაც იმყოფება მოპასუხის კუთვნილი ქონება ნებისმიერი საფუძვლით (ანუ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რის საფუძველზე იმყოფება ეს ქონება მათთან), სარჩელის განხილვის პერიოდში განკარგონ ფული, ან სხვა ქონება. ამ ქონების გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება, ქირავნობით ან იჯარით გადაცემა, დაგირავება, სხვა პირთა სარგებლობაში ან მართვაში გადაცემა აღნიშნულ პირებს არ შეუძლიათ. ამასთან, როგორც წესი, ყადაღის დადება არ წარმოადგენს ყადაღადადებული ქონებით სარგებლობის დამაბრკოლებელ ფაქტორს თვითონ მესაკუთრისთვის, თუ ეს არ გამოიწვევს ქონების განადგურებას ან არ შეამცირებს მის ღირებულებას. აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ კრიტიკა ყადაღის ინსტიტუტის მიმართ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ არასწორ მიდგომასთან დაკავშირებით. კერძოდ, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლოები ყადაღის მოთხოვნით შეტანილ განცხადებას ნაწილობრივ აკმაყოფილებენ და მოპასუხეს ეკრძალება ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. ამგვარი მიდგომა ყადაღის არსის არასწორი გაგების შედეგია. ყადაღა ნივთის განკარგვის აკრძალვას ნიშნავს. განკარგვა განსხვავდება გასხვისებისაგან. განკარგვა უფრო ფართე ცნებაა და მასში მოიაზრება გასხვისების ყველა სახე, პლუს უფლებრივი დატვირთვა. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების ნაწილობრივი დაკმაყოფილებითა და ყადაღის ნაცვლად მოპასუხისათვის მხოლოდ ნივთის გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით, მოპასუხეს ეძლევა თავისუფლება ნივთი გასცეს ანუ განკარგოს იჯარით, ქირავნობით. ასეთ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელე მოიგებს პროცესს და მას ნივთი მიეკუთვნება, ან გაქირავებულ (იჯარით გაცემულ) ნივთზე მოხდება აღსრულება, კრედიტორი (ნივთის მიმღები) ხდება ნივთზე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რაც აძნელებს აღსრულებას და არღვევს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის პრინციპებს.

როდესაც სასამართლო იღებს მოპასუხის კუთვნილ ფულად თანხებზე ან სხვა ქონებაზე ყადაღის დადების გადაწყვეტილებას, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებები მოსარჩელის მოთხოვნის თანაზომიერი (თანაბარი) უნდა იყოს. ამიტომ, საბანკო ანგარიშზე არსებულ ფულად თანხებზე ან მოპასუხის ანაბარზე ყადაღის დადება ხდება სარჩელის ფასის ოდენობის გათვალისწინებით: საბანკო ოპერაციები იმ თანხებზე, რომლებიც აღემატება სარჩელის თანხას (ფასს), წარმოებს ჩვეულებრივი წესით. ანალოგიური წესითვე, თუ მოპასუხეს არ გააჩნია ფულადი სახსრები, ყადაღა ედება მის იმ ქონებას, რომლის ღირებულებაც სარჩელის ფასის თანაზომიერია. მოსარჩელემ ყადაღის დადების მოთხოვნის აღძვრისას უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები დასაყადაღებელი ქონების მოპასუხისადმი კუთვნილების შესახებ და მიუთითოს გადაწყვეტილების აღსრულების შემაფერხებელი გარემოებების არსებობის შესახებ.

2) ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო აქტის რეალურად აღსრულების და იმ პირისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, რომელიც შუამდგომლობს უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ, **სასამართლოს უფლება აქვს აუკრძალოს მოპასუხეს იმ გარკვეული მოქმედებების შესრულება, რომელიც შეეხება დავის საგანს.** მაგალითად, გამქირავებელმა არამართლზომიერად შეწყვიტა საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება, რის გამოც წარმოიშვა დავა მხარეთა შორის. სასამართლოს

უფლება აქვს მოსარჩელის (დამქირავებლის) შუამდგომლობით აუკრძალოს გამქირავებელს ამ ფართის ქირავნობის ხელშეკრულების დადება სხვა პირებთან, სასამართლო აქტის გამოტანამდე (მიღებამდე). სხვა მაგალითი: მოპასუხეს შეიძლება აეკრძალოს თავისი საბანკო ანგარიშიდან გარკვეული მიზნით ფულის გადარიცხვა, ან აეკრძალოს ტექნიკის (ვთქვათ, ტრაქტორის) ექსპლუატაცია, აგურით სახლის აშენება, მორების შეშებად დახერხვა და ა.შ.

3) მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით. საქართველოს საკონსტუტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №1/4/184,228 განმარტებულია: „აღმასრულებელი ვალდებულია აღსრულების პროცესში ითვალისწინებდეს მოვალის ინტერესებსაც. ეს კი გულისხმობს კრედიტორის ინტერესების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, პირველ რიგში მოვალის ისეთ ქონებაზე გადახდევინების მიქცევას, რაც ყველაზე ნაკლებად მტკივნეული იქნება მოვალისათვის და ვალის გასტუმრების შემდეგაც მისცემს მას ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობას. აღსრულების პროცესისადმი ამგვარი დამოკიდებულება სააღსრულებო წარმოებათა კანონის გონივრული განმარტებიდან უნდა გამომდინარეობდეს... მოქმედი კანონმდებლობა სეკვესტრს განიხილავს როგორც აუქციონის უწყინარ ალტერნატივას, როცა ქონების რეალიზაცია კი არ ხდება, არამედ მისი სამართავად გადაცემა".

ამრიგად, სეკვესტრი ხელს უწყობს მოვალის ქონების შენარჩუნებასაც, მისი საწარმოს გამოცოცხლება-გაჯანსაღებას და კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებასაც, თუკი სამართავი ობიექტი კარგ მმართველს გადაეცემა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოცემულ ნორმაში მართალია საუბარია აღმასრულებლისათვის ქონების სამართავად (სეკვესტრის სახით) გადაცემაზე, მაგრამ ჩვენი აზრით ნორმა არ უნდა იქნეს ვიწროდ გაგებული. თავის მხრივ, აღმასრულებელს უფლება აქვს მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტი.

4) მოპასუხისათვის **გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვის გარდა, სასამართლოს, ანალოგიური წესითვე, უფლება აქვს აუკრძალოს სხვა პირებს, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება, მიუხედავად იმისა, მონაწილეობენ ისინი საქმეში თუ არა.** მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს აუკრძალოს მენარდეს, რომელმაც მოპასუხესთან დადო ობიექტის (უძრავი ქონება) აშენების ხელშეკრულება, შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, თუ სასამართლოს წარმოებაშია დავა იმ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შესახებ, რომელზეც მოპასუხეს განზრახული აქვს მშენებლობის წამოწყება. როდესაც საუბარია ქონების გადაცემაზე, მოცემულ შემთხვევაში „ქონებაში" იგულისხმება არა მხოლოდ უძრავი და მოძრავი ქონების ობიექტები (უძრავ-მოძრავი ქონება), არამედ ფული, ფასიანი ქაღალდები, არამატერიალური ქონებრივი უფლებები, ანუ ყოველივე ის, რასაც ქონების ცნებაში მოიაზრებს, გულისხმობს სამოქალაქო სამართალი.

მოპასუხის მიმართ რაიმე „სხვა ვალდებულებების" შესრულების აკრძალვაში იგულისხმება, მაგალითად, მასთან ადრე დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის აკრძალვა, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი ბინის რემონტის შესრულების აკრძალვა და სხვ. **განსახილველ ნორმაში იგულისხმება აგრეთვე ის ვალდებულებებიც, რომლებიც არ გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან.**

5) ზოგჯერ ქონებაზე ყადაღის დადების დროს, როცა ქონებას ყადაღა ედება იმისათვის, რომ შემდგომში დაკმაყოფილდეს აღძრული მოთხოვნები დაყადაღებული ქონების რეალიზაციით, შეუძლებელია ერთბაშად იმის დადგენა, ეკუთვნის თუ არა მოვალეს საკუთრების უფლებით მასთან აღმოჩენილი, მასთან არსებული და დაყადაღებული ქონება. თუ შემდგომში გამოირკვევა, რომ ყადაღა დადებული აქვს კონკრეტულ ქონებას, რომელიც არ ეკუთვნის მოვალეს, **ქონების მესაკუთრეს ან უფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელს უფლება აქვს**

შეიტანოს სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ. იმდენად,რამდენადაც ასეთი ქონების რეალიზაციით შეიძლება ქონებრივი ზიანი მიადგეს მის მესაკუთრეს, რომელიც არ არის მოვალე,აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ აღძრან შუამდგომლობა სასამართლოში ამ **ქონების რეალიზაციის შეჩერების შესახებ. ამასთან, ქონების რეალიზაცია არ ჩერდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში,** ე.ი. მაშინ,როცა დანიშნულია აუქციონი. ჩვენი აზრით სააღსრულებო წარმოებათა კანონის 70-ე მუხლი გაუაზრებლად არის მითითებული სსსკ-ის 198-ე მუხლში. საქმე იმაშია,რომ 70-ე მუხლი შეეხება აუქციონს,როგორც იძულებითი აღსრულების ღონისძიებას. სსსკ-ის 198-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი განსხვავდება იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების მიზნისგან. იძულებითი აღსრულების ღონისძიებები ჩამოთვლილია სააღსრულებო წარმოებათა კანონის მე-17 მუხლში. დაუშვებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დამოკიდებული იყოს აუქციონის, როგორც იძულებითი აღსრულების ღონისძიების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხზე.

ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების სარჩელზე მოპასუხეა კრედიტორი და მოვალე, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ამ ღონისძიების ადრესატია აღმასრულებელი და ამ ღონისძიების მიზანია ის,რომ შეჩერდეს აღმასრულებლის მოქმედებები ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულებასთან დაკავშირებით,აგრეთვე სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე წარმოებული მისი მოქმედებები გადახდევინებასთან დაკავშირებით. ეს ღონისძიება გამოიყენება იმდენად რამდენადაც: ა) ასეთ დროს აღმასრულებელს აღწერილი და დაყადაღებული აქვს უკვე ქონება. სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისი ნორმების საფუძველზე; ბ) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის პროცესი უკვე დაწყებულია; გ) იმან, ვისი ქონებაც დაყადაღდა, აღძრა ყადაღისგან ქონების გათავისუფლების სარჩელი (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 32-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში,როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიების გამოყენება და გამოიტანს შესაბამის განჩინებას, დაყადაღებული ქონების რეალიზაციის განხორციელებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი (აღმასრულებელი) ვალდებულია აღასრულოს აღნიშნული განჩინება სსსკ-ის 195-ე მუხლით დადგენილი წესით. უზრუნველყოფის აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთების რეალიზაციის შეჩერების მიმართ. მაგალითად, მოვალეს კრედიტორის მიმართ დაეკისრა თანხის გადახდა და სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო მოვალის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ უძრავ ქონებას და მიმდინარეობს აღსრულება. კრედიტორისა და მოვალის მიმართ სარჩელი აღძრა მესამე პირმა და აცხადებს: დაყადაღებული ქონება წარმოადგენს სამკვიდრო ქონებას,რომელიც კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს მას და კანონის ძალით წარმოადგენს მესაკუთრეს. ითხოვს მიღებული სამკვიდროს მიკუთვნებას. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია სამკვიდროს მიმღები პირის სარჩელის უზრუნველყოფა და უძრავი ნივთის რეალიზაციის შეჩერება. აშკარაა, რომ მემკვიდრის სარჩელი დაკმაყოფილდება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში კი მას ექნება საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტის გარეშე, რაც გაუმართლებელია. სააღსრულებო წარმოებათა კანონის 32-ე მუხლი ზოგადი ნორმაა და მისი გამოყენების არეალი არ შემოიფარგლება მარტოოდენ მოძრავი ნივთებით. იგი თანაბრად ვრცელდება ნივთების ორივე სახეზე და ამ თვალსაზრისით რაიმე დიფერენცირებას არ ახდენს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია მატერიალური (კერძო) უფლების დაცვა. ამიტომ პროცესუალურ-სამართლებრივი ასპექტის

გარდა, პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რომელი მატერიალური უფლების დაცვას მოითხოვს პირი. თუკი პირს უფლება აქვს სარჩელი აღძრას მოძრავი ნივთის რეალიზაციის შეჩერების მიზნით, გაურკვეველია რატომ არ უნდა ჰქონდეს მას უფლება მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაციის შეჩერება, მით უმეტეს, სკ-ის 312-ის მუხლის შესაბამისად, მხოლოდ მანამდე მოქმედებს რეესტრის მონაცემთა მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

6) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება (ვიდრე არ გაირკვევა მისი კანონიერება).

7) ზოგიერთი კატეგორიის საქმის არსისდა მიხედვით სასამართლომ შეიძლება დაუშვას უზრუნველყოფის სპეციფიკური ღონისძიებები. კერძოდ, სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია ,,საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიმართულია კონკრეტულად იმ სარჩელის უზრუნველსაყოფად, რომელზეც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც და დაშვებულ იქნეს ერთბაშად სარჩელის უზრუნველყოფის როგორც ერთი, ისე რამდენიმე სახე, თუ მიიჩნევს, რომ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, შეუძლია გამოიყენოს ორი, სამი და სარჩელის უზრუნველყოფის მეტი ღონისძიება (მაგალითად, ყადაღა დაადოს ქონებას და აუკრძალოს მოპასუხეს ნივთით სარგებლობა).

კანონით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა გამოიყენოს აღნიშნული ღონისძიებები ეფექტიანად და ადეკვატურად საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და სადავო სამართალურთიერთობათა არსიდან გამომდინარე. ამავე მიზნებითაა ნაკარნახევი აგრეთვე ის წესიც, რაც ზემოთ აღვნიშნეთ ერთი და იმავე საქმეზე რამდენიმე ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი ითხოვდა მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის მიერ წარმოებული მზა პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვას. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნილმა უზრუნველყოფის ღონისძიებამ შესაძლოა მოპასუხეს მიაყენოს აუნაზღაურებელი ზიანი. საქმის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვით მოპასუხე ვერ გადაიხდის გადასახადებს, რის გამოც შეიძლება წარმოებამ შეწყვიტოს მუშაობა. გასათვალისწინებელია ასევე, რომ მოპასუხეს დადებული აქვს ხელშეკრულებები სხვა საწარმოებთან და ვალდებულებების შეუსრულებლობით გაიზრდება მისი დავალიანებები.

სსსკ-ის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო. მოცემული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება უნდა შეარჩიოს, რომლითაც ზიანი არ მიადგება მოპასუხეს (სუსგ 2001 წ. №4, გვ. 415).

საყურადღებოა სააღსრულებო წარმოებათა კანონის 45-ე მუხლიც, რომელიც ითვალისწინებს იმ ქონებას, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. ამავე მუხლის თანახმად, დავა გადახდევინებისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ განიხილება სასამართლო წესით. შესაბამისად, მოვალეს უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოში და სადავო

გახადოს სააღსრულებლო ფურცელი როცა იგი არ ეთანხმება გადახდევინებას, რათა სასამართლომ აღიაროს, რომ სააღსრულებო საბუთი (რომლის მიხედვითაც წარმოებს გადახდევინება), არ ექვემდებარება აღსრულებას. სასამართლოს, განსახილველი ნორმის შესაბამისად, შეუძლია შეაჩეროს გადახდევინება, რომელიც კანონით დადგენილ ვადებში უკვე დაიწყო სადავო დოკუმენტის საფუძველზე. თუ სასამართლო მოსარჩელის შუამდგომლობით გამოიყენებს უზრუნველყოფის მოცემულ ღონისძიებას, მაშინ სასამართლო აქტის გამოტანამდე (რომელიც მიღებულ უნდა იქნეს სარჩელზე სააღსრულებო დოკუმენტის სადავოდ ქცევის შესახებ) შეჩერდება უფლებამოსილი პირის მიერ აღსრულების მიზნით განხორციელებული მოქმედებები (შეჩერდება სააღსრულებო საბუთის აღსრულება).

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები (გათვალისწინებული სსსკ-ის 198-ე მუხლში) უნდა განვასხვაოთ სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათაგან (პირგასამტეხლოს, ბეს, გირაოს, იპოთეკის, დაკავების უფლების, საბანკო გარანტიის, მოვალის გარანტიის, თავდებობისაგან), საგაკოტრებო ყადაღისაგან, აგრეთვე იძულებითი აღსრულების ღონისძიებებისაგან (სააღსრულებო წარმოებათა კანონის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილი, მე-40 მუხლი და სხვა.).

მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია 198-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული აკრძალვების დარღვევით იმ პირებისაგან, რომლებმაც არ შეასრულეს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ. ეს განჩინება დაიყვანება ამ პირებამდე და აღსრულდება საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის შესაბამისად.

კოდექსში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელი ღონისძიება და რომელ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ ამა თუ იმ ღონისძიებას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს სასარჩელო მოთხოვნათა უზრუნველყოფის საკითხში, სარჩელის უზრუნველყოფის დანარჩენ ღონისძიებათა შორის და რომ სწორედ ეს ღონისძიება უპირატესად უნდა იქნეს გამოყენებული განსაზღვრული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე. როდესაც სასამართლო წყვეტს საკითხს, არსებობს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი და თუ არსებობს, რომელი ღონისძიება უნდა იქნეს შერჩეული აუცილებლად მოცემულ შემთხვევაში, ყოველთვის ითვალისწინებს საქმის კონკრეტულ გარემოებებს.

აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებებს სასამართლო იყენებს ჯერ კიდევ საქმის არსებითად განხილვამდე. ამიტომ ყოველთვის არსებობს მოპასუხისათვის ზარალის მიყენების რისკი იმის გამო, რომ თვითონ სარჩელი (განცხადება) და უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება დაუსაბუთებელი აღმოჩნდეს. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ და იგი ვალდებულია მოსარჩელის მოთხოვნების თანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებათა შერჩევისას არ არის შებოჭილი განმცხადებლის მოთხოვნის ფარგლებით. სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება უნდა შეარჩიოს, რომელითაც ზიანი არ მიადგება მოპასუხეს. მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს ყადაღა დაადოს არა მთელ ქონებას, როგორც ამას განმცხადებელი მოითხოვს, არამედ ამ ქონების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც თავისი ღირებულებით სარჩელის ფასის თანაზომიერია (თანაბარია).

ამა თუ იმ სახის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შერჩევა დამოკიდებულია მოსარჩელის მოთხოვნის ხასიათზე. რა ხასიათისაცაა მოთხოვნა, იმის შესაბამისი ღონისძიება გამოიყენება.

დასაშვებია სარჩელის როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ უზრუნველყოფა.

კანონი დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა თხოვნით, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა (გადაწყვეტა) დასაშვებია ნებისმიერ სტადიაზე (საქმისწარ-

მოების ნებისმიერ ეტაპზე). სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში საკითხის განხილვის დროისა და სხდომის ადგილის შესახებ ეცნობებათ მხარეებს, თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს აღნიშნული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლში სარჩელის უზრუნველყოფის განსაკუთრებული სახეა გათვალისწინებული. აქ აღნიშნულია, რომ ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის დროს მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე. იმდენად, რამდენადაც კანონში საუბარია მოპასუხის უფლებაზე და არა ვალდებულებაზე, სასამართლოს არა აქვს უფლება დაავალდებულოს მოპასუხე, რომ მან მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს დეპოზიტზე (სადეპოზიტო ანგარიშზე).

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების მეორით შეცვლა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველად შერჩეული უზრუნველყოფის სახე უსაფუძვლოდ ზღუდავს მოპასუხის უფლებებს.

თავის მხრივ, მოსარჩელესაც შეუძლია დააყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი იმ შემთხვევაში, როცა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც სულ პირველად (თავდაპირველად) განსაზღვრა სასამართლომ, საკმარისი არ არის ან კიდევ გაუმართლებელია. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა დაყადაღებულმა ქონებამ დაკარგა პირვანდელი ღირებულება და ამიტომ ეს ქონება ვეღარ შეასრულებს ძირითად დანიშნულებას, რამეთუ ის ვეღარ იქნება შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულების გარანტია. ამასთან, კანონში საუბარია უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების მეორეთი შეცვლაზე და არა ერთი საგნის მეორეთი შეცვლაზე. მაგალითად, მოვალე მოითხოვს ერთი დაყადაღებული ქონების ნაცვლად ყადაღის გამოყენებას სხვა ქონებაზე. ეს შესაძლებელია მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით.

სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებზე გამოტანილი ყველა განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, მის კანონიერ ძალაში შესვლამდე. გამონაკლისს წარმოადგენს სწორედ მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილი განჩინება, რომლის აღსრულებაც ჩერდება საჩივრის შეტანით (სსსკ-ის 197-ე მუხლი). ეს ნიშნავს, რომ საჩივრის გადაწყვეტამდე იმოქმედებს სასამართლოს მიერ ადრე მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება. (თავდაპირველად მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოქმედებს მანამდე, ვიდრე სასამართლო უცვლელად არ დატოვებს ახალ განჩინებას). 197-ე მუხლით დადგენილი აღნიშნული წესის არსებობა ნაკარნახევია მხარეთა ინტერესების დაცვით, იმდენად, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის განჩინებით შეიძლება დაირღვეს მხარეთა ინტერესები.

სარჩელის უზრუნველყოფის სახის შეცვლის შესახებ განჩინების გამოტანის მომენტიდან, თავდაპირველი განჩინება კარგავს ძალას და დაუყოვნებლივ აღსრულდება ახალი განჩინება.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს, ამიტომ სასამართლოს იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ასევე თუ სასამართლომ 192-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის აღძვრამდე მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მოპასუხეს უფლება

აქვს მოითხოვოს მოსარჩელისაგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება (199-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სასამართლოს უფლება აქვს თავადაც მოსთხოვოს მოსარჩელეს მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. აღნიშნული უფლება სასამართლოს მიერ გამოიყენება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან ერთად (199-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუ სასამართლო არ გამოიყენებს ამ დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაშინ მოპასუხეს შეუძლია ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა. ორივე შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოსარჩელე ვერ აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს (სუსგ 2003 წ. №9. გვ. 240). ამრიგად, ზარალის ანაზღაურება (ანაზღაურების უზრუნველყოფა) შეიძლება განხორციელდეს, როგორც სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად, ისე მის შემდეგაც.

სსსკ 199-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონი იმპერატიულად არ მოითხოვს სასამართლოსაგან მოსთხოვოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა (სუსგ 2003 წ. №6, გვ. 1549).

მოცემული ნორმის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე, ეს სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა (სუსგ 2003 წ. №7, გვ. 1857. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს არ არის საკალდებულო სსსკ 57-ე მუხლის შესაბამისად მეორე მხარის მიერ თავისი მოთხოვნის ფულადი თანხით ან ფასიანი ქაღალდით უზრუნველყოფა. ნორმაში მითითებული უზრუნველყოფის ამ სახით განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნება აუცილებელი, თუკი სასამართლო, სსსკ 199-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, საჭიროდ მიიჩნევს მეორე მხარისაგან უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებას (იქვე, გვ. 1857). კანონი (199-ე მუხლი) იმპერატიულად არ მოითხოვს სასამართლოსაგან მოსთხოვოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

მოსარჩელე მხარის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

იმ შემთხვევაში, როცა უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მოპასუხის ისეთ ქონებაზე, რომელზე უფლების წარმოშობასაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სჭირდება სახელმწიფო რეგისტრაცია, მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ განჩინება და სააღსრულებო ფურცელი (ანდაც მარტოოდენ განჩინება) ნებაყოფლობით აღსრულების მიზნით მოსარჩელის მიერ წარედგინება შესაბამის მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოს, რათა მოპასუხემ ვეღარ გაასხვისოს აღნიშნული ქონება ან სხვაგვარად არ გამოვიდეს ეს ქონება მისი მფლობელობიდან, სარგებლობიდან და განკარგვიდან (მისი საკუთრებიდან). კერძოდ, თუ ყადაღა დაედო უძრავ ქონებას, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოპასუხეს.

მოსარჩელე მხარის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე არის თქმის შემთხვევაში მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ყადაღის დადების განჩინების და სააღასრულებო ფურცლის მიღების დროს ამ დაწესებულებამ საჯარო რეესტრში უნდა შეიტანოს ჩანაწერი შესაბამის უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ. ვიდრე არ გაუქმდება უზრუნვე-

ლყოფის ღონისძიება, საჯარო რეესტრს უფლება არ ექნება განახორციელოს მოცემულ ქონებასთან დაკავშირებით დადებული გარიგების რეგისტრაცია, ამით გარანტირებული ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ამ ყადაღადადებული ქონების ხარჯზე, როცა ეს აუცილებელი იქნება.

3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება სასამართლოს გადაწყვეტილებით. 199[1] მუხლში მოცემულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძვლები. უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმებას, როგორც წესი, ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა შეიცვალა ან აღარ არსებობენ ის გარემოებები (პირობები), რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუქმდეს როგორც სასამართლოს მიერ, ისე საქმის მონაწილეთა (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი) განცხადების საფუძველზე.

199[1] მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ მასში მოცემულია ოთხი შემთხვევა, როცა სასამართლო აუქმებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო არ დააკმაყოფილებს სარჩელს, რომელიც უზრუნველყოფილი იყო, იმავე გადაწყვეტილებით უნდა გააუქმოს უზრუნველყოფის ღონისძიებაც, ამასთან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება არ გამოიწვევს სარჩელის უზრუნველყოფის დაუყოვნებლივ გაუქმებას (მაგალითად, ქონებაზე ყადაღის მოხსნას). სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიებები შენარჩუნდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. თუ სარჩელი დაკმაყოფილდა არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, მაშინ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საკითხის გადაწყვეტა საქმის კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული და მათი გათვალისწინებით ხდება.

საქმის წარმოების შეჩერება არ იწვევს სარჩელის უზრუნველყოფის სავალდებულო გაუქმებას. თუმცა, იმდენად, რამდენადაც საქმისწარმოების შეჩერება ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივი დროით ხდება, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში, სპეციალურად უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, აუცილებელია თუ არა სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიებების შენარჩუნება.

ახალი განჩინების გამოტანით სასამართლო აუქმებს სარჩელის უზრუნველყოფის მოქმედ ღონისძიებას, რითაც იგი წყვეტს თავდაპირველი განჩინების მოქმედებას (აუქმებს ამ განჩინებას). რაც შეეხება დანარჩენ სამ შემთხვევას, როცა უზრუნველყოფა უქმდება, ესაა: სარჩელის მიღებაზე უარის თქმა, სარჩელის განუხილველად დატოვება და საქმის წარმოების შეწყვეტა. თუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება, დანარჩენ სამ შემთხვევაში მიიღება განჩინება. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ინსტანციების მიხედვით შეადგენს 14 დღეს ან 21 დღეს, ხოლო სარჩელის მიუღებლობის, განუხილველად დატოვების ან საქმის შეწყვეტის განჩინებები საჩივრდება 12 დღის ვადაში. სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ სასამართლოს აქტის გასაჩივრების ვადაც განისაზღვრება შესაბამისი გადაწყვეტილების ან განჩინების გასაჩივრების ვადით. სწორედ ამას ნიშნავს 199[1] მუხლის დებულება, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

თუ სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების საკითხი არ არის გადაწყვეტილი 1991

მუხლით დადგენილი წესით,მაშინ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ცალკე,მხარის განცხადების საფუძველზე მიღებული განჩინებით. ამ განჩინების გასაჩივრება უნდა მოხდეს 5 დღის ვადაში (197-ე მუხლი). ასეთ დროს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას აუქმებს იგივე სასამართლო,რომელმაც გამოიტანა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ 197-ე მუხლში, ასევე 194-ე მუხლში საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების და სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ გამოტანილი განჩინებების გასაჩივრების წესზე. მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფის მომწესრიგებელი ნორმები არ განსაზღვრავენ სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესს. თუმცა დაუშვებელია დაინტერესებულ პირს წაერთვას ამგვარი განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა. დასახელებული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კონსტიტუციის 42-ე მუხლის საფუძველზე და 197-ე მუხლის ანალოგიით (იხ. სსსკ-ის მე-7 მუხლი). კანონი შემთხვევით როდი უშვებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებზე მიღებული ყველა განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას, რამეთუ ისინი შეეხება მხარეთა არსებით მატერიალურ ინტერესებს, თითოეულმა მათგანმა შეიძლება ზარალი განიცადოს არადროული ან სასამართლოს არამართლზომიერი მოქმედებისაგან სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში.

ამიტომაა, რომ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად და სარჩელის უზრუნველყოფით მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების მინიჭების გარეშე. ამიტომაა,რომ ამავე მიზნით, სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს, რომელიც შუამდგომლობს სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

დაბოლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების წესის მოქცევა მკაცრ ჩარჩოში ნაკარნახევია სასამართლო აქტის აღსრულების უზრუნველყოფით. უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული უფლება არარეალური და არაქმედითი იქნება, თუკი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გამოტანილი სასამართლო აქტი ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტი დროულად არ აღსრულდება. კონსტიტუციის 42-ე მუხლს შეესაბამება სსსკ-ის 199^1-ე მუხლი, რომელიც თავის შინაარსში იმ დროის მონაკვეთსაც გულისხმობს, რომლის განმავლობაშიც უნდა შენარჩუნდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონის ძიებები. კონსტიტუციის 42-ე მუხლს შეესაბამება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლიც, რომლის სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ითვალისწინებს მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებას. დასახელებული ნორმების მიზანია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის ეფექტიანი და სრული აღსრულება. გარდა ამისა, 199^1 მუხლი მოქმედი სამართლებრივი რეგულირების სისტემაში არ ხელყოფს მოსარჩელის მატერიალურ უფლებებს, როდესაც მოსარჩელე იმავდროულად წარმოადგენს უზრუნველყოფილ კრედიტორს ვალდებულებით ურთიერთობაში. მას არ ერთმევა უზრუნველყოფის საგნიდან თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება.

თავი XVII

სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში

§1. სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიის არსი და მნიშვნელობა

სარჩელმა უფლების დაცვის საპროცესო საშუალების როლი რომ შეასრულოს,ის უნდა წარედგინოს განსახილველად და გადასაწყვეტად საერთო იურისდიქციის სასამართლოს, საპროცესო კანონით დადგენილი წესით.

სსსკ-ის 186-ე და 187-ე მუხლებში მითითებულ ყველა მოქმედებას საქმის აღძვრის სტადიაზე მოსამართლე ერთპიროვნულად ასრულებს. ამიტომ იმაზე,თუ რამდენად სწორი და თანმიმდევრულია მოსამართლის მოქმედებები და გადაწყვეტილებები საქმის აღძვრის სტადიაზე, დამოკიდებულია,რეალურად განხორციელდება თუ არა დაინტერესებული პირის კონსტიტუციური უფლება სასამართლოსადმი მიმართვის საკითხში, თუ უარი ეთქმება მას უფლების სასამართლო წესით დაცვაზე.

საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით დადგენილია სპეციალური ვადა, რომლის განმავლობაშიც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სამოქალაქო საქმის აღძვრის საკითხი. კერძოდ, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ იღებს სარჩელს, თუ სახეზეა 186-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. შესაბამისად მან ამავე ვადაში უნდა გამოიტანოს სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინება. სარჩელი მიღებულად ითვლება, თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება, ანუ ამ 5-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საქმის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოტანის მომენტიდან წარმოიშობა სწორედ პროცესი კონკრეტულ საქმეზე (აღიძვრება სამოქალაქო საქმე).

საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმე სასამართლოში აღიძვრება სარჩელით ან განცხადებით. სასარჩელო წარმოების საქმე აღიძვრება სარჩელის შეტანით. არასასარჩელო წარმოების საქმეთა აღძვრა კი ხდება სასამართლოში განცხადების შეტანით.

ოთხივე სახის სამართალწარმოებაში საქმის აღძვრის სტადიის შინაარსი და მნიშვნელობა ერთნაირია. სპეციფიკურია მხოლოდ ცალკეული საპროცესო მოქმედება. სასარჩელო წარმოებაში გამოყენებელი წესები საერთოა სამართალწარმოების ყველა სახისათვის,რაც იმას ნიშნავს, რომ ეს წესები ყველა შემთხვევაში მოქმედებს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კერძოდ, არასასარჩელო წარმოების საქმეებისათვის დამახასიათებელია ცალკეული თავისებურება და ეს თავისებურება გამონაკლისია ამ საერთო წესებიდან. მაგალითად, ეს ითქმის უდავო წარმოების ზოგიერთ თავისებურებაზე (311-ე მუხლი). რაც შეეხება გამარტივებულ წარმოებას, მასში მხოლოდ ის საერთო წესები შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომლებიც გამარტივებული წარმოების ინსტიტუტის არსს არ ეწინააღმდეგებიან.

§2. სარჩელის (განცხადების) შეტანის წესი და მისი დაუცველობის შედეგები

1. **სარჩელის (განცხადების) შეტანის ცნება**. სარჩელის (განცხადების) შეტანა დაინტერესებული პირის მიერ შესრულებული იმ საპროცესო მოქმედებების ერთობლიობაა,რომელთა

მეშვეობითაც ხდება სარჩელის (არასასარჩელო წარმოების საქმეებზე – განცხადების) შეტანა სასამართლოში და აღიძვრება სამოქალაქო საქმე.

2. სარჩელის (განცხადების) შეტანის წესი. სარჩელის შეტანის უფლება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით ხორციელდება. კონსტიტუციის 42-ე მუხლის საფუძველზე კანონმდებელმა გაითვალისწინა, რომ ყოველ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად. ეს გულისხმობს, რომ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად მხოლოდ დადგენილი წესით, კერძოდ, სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. ამგვარი მოთხოვნების დაწესებით არ ირღვევა სასამართლო წესით უფლების დაცვის კონსტიტუციური უფლება. სარჩელი სასამართლოში სასარჩელო განცხადების ფორმით შეიტანება.

სარჩელის უფლების (კონკრეტულად კი სარჩელის შეტანის უფლების) განხორციელების კანონით დადგენილ წესს, თეორიაში სარჩელის შეტანის უფლების განხორციელების პირობებს უწოდებენ. მართლაც, სარჩელის უფლება შეიძლება წარმოიშვას და არსებობდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამისათვის არსებობს კანონით დადგენილი პირობები. ამასთან, ეს წინაპირობები საკმარისი არაა, არამედ საჭიროა ამ უფლების სწორად განხორციელება.

სარჩელის შეტანა უმნიშვნელოვანესი საპროცესო მოქმედებაა. სარჩელის შეტანა ნიშნავს, მიმართო სასამართლოს განცხადებით, რომ მან განიხილოს უფლების შესახებ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. სამოქალაქო საქმე რომ აღიძრას, არ არის საკმარისი მხოლოდ სარჩელის (განცხადების) შეტანა სასამართლოში (განცხადების შეტანა თავისთავად როდი იწვევს საქმის აღძვრას). სამოქალაქო საქმე რომ აღიძრას, მოსამართლემ დადებითად უნდა გადაწყვიტოს სარჩელის სასამართლოს წარმოებაში მიღების საკითხი.

თუ პირს აქვს სარჩელის შეტანის უფლება, მოსამართლემ უნდა შეამოწმოს დაცულია თუ არა ამ უფლების განხორციელების პირობები (წესი). თუ მოსამართლე დაასკვნის, რომ სარჩელის შემტანს აქვს სარჩელის შეტანის უფლება, მაშინ მან უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად სწორადაა განხორციელებული ეს უფლება, კერძოდ, დაცულია თუ არა საპროცესო კანონით დადგენილი მისი განხორციელების პირობები (წესი). მოსამართლე მიიღებს განცხადებას (სარჩელს), თუ მოსარჩელეს აქვს სარჩელის (განცხადების) უფლება და, ამასთან, შეიტანა იგი კანონით დადგენილი მოთხოვნების (პირობების) დაცვით.

მაგრამ სანამ მოსამართლე გადაწყვეტს სარჩელის მიღება-არმიღების საკითხს, სარჩელი გადის ასე ვთქვათ ფორმალური შემოწმების პროცედურას, რაც ვლინდება სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციის წესში. ეს წესი დადგენილია 183-ე მუხლით. მოცემული მუხლის თანახმად, სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შეტანისას სასამართლოს კანცელარია ახდენს სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციას და თუ სარჩელი (განცხადება) შეაქვს იურიდიულ პირს, ინდმეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს, გარდა კანონიერი წარმომადგენლისა, ან თუ სარჩელი შეიტანება იურიდიული პირის წინააღმდეგ, მოსარჩელეს (წარმომადგენელს) გადასცემს გზავნილს სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩასაბარებლად.

სარჩელი (განცხადება) არ რეგისტრირდება, თუ იგი არ აკმაყოფილებს შემდეგ ფორმალურ (და არაშინაარსობრივ) მოთხოვნებს: ა) არ არის შეტანილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სასჯელის მიერ დამტკიცებული ფორმით; ბ) მის ფორმაში არ არის აღნიშნული სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“-„დ“, „ზ“, „კ“ და „ძ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეკვიზიტები; გ) არ ერთვის სახ. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი (გარდა იმ შემთხვევევისა როდესაც შუამდგომლობების გრაფაში მითითებულია სახ. ბაჟისგან გათავისუფლების, მისი გადახდის, გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების

შუამდგომლობა)); დ) არ ერთვის თანდართული დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი; ე) არ ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი (განცხადება) შეაქვს წარმომადგენელს; ვ) არ არის ხელმოწერილი; ზ) არ არის წარმოდგენილი სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.

სარჩელის შეტანის უფლების განხორციელების პირობები განსხვავდება ამ უფლების წინაპირობებისაგან. კერძოდ, თუ არ არსებობს წინაპირობები, მაშასადამე, არ არსებობს თვითონ სარჩელის უფლება, ამიტომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ამ საფუძვლებით, საბოლოოა და მომავალში ასეთი სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვის დამაბრკოლებელ ფაქტორს (გარემოებას) წარმოადგენს. თუ არ არის დაცული სარჩელის უფლების განხორციელების (სარჩელის შეტანის) პირობები, მაშინ თვითონ სარჩელის უფლება ისევ იარსებებს და ამ პირობების დაცვის (გამოსწორების) შემთხვევაში შესაძლებელი იქნება იმავე სარჩელით სასამართლოსადმი განმეორებით მიმართვა.

კანონის შესაბამისად, სარჩელის შეტანის უფლების განხორციელების, ე.ი. **საქმის აღძვრის უფლების პირობებია:** 1) საქმის განსჯადობა; 2) საქმისწარმოების უფლებამოსილება; 3) სასარჩელო განცხადების სათანადო, ანუ წერილობითი ფორმის დაცვა; 4) სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

დაინტერესებული პირის ნებისმიერი განცხადება სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს **განსჯადობის** წესების დაცვით.

საქმის აღძვრის სტადიაზე მოსარჩელეს შეუძლია განახორციელოს თავისი უფლება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამოირჩიოს განსჯადი სასამართლო (სსსკ-ის მე-20 მუხლი). საქმის აღძვრის მომენტიდან კი ეს უფლება ქარწყლდება.

თუ მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს იმ მოტივით, რომ საქმე მოცემული სასამართლოს განსჯადი არ არის, მაშინ მან სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინებაში აუცილებლად უნდა მიუთითოს, კონკრეტულად რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს დაინტერესებულმა პირმა (187-ე მუხლი), გვაროვნული და ტერიტორიული განსჯადობის წესების მიხედვით (უნდა მიუთითოს სათანადო სასამართლო, სადაც საქმე უნდა იქნეს განხილული).

საპროცესო კანონის თანახმად, **სარჩელის უშუალოდ (დამოუკიდებლად) შეტანის უფლება გააჩნია მხარდაჭერის მიმღებსაც**. მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი ან ხელშეკრულებისმიერი წარმომადგენლები, რომლებსაც, ცხადია, იყვანენ კანონისმიერი წარმომადგენლები.

თუ საქმის განხილვის სტადიაზე დადგინდება, რომ მხარე არის მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, მაგრამ მხარდაჭერა არ მიუღია, მაშინ სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმისწარმოება (279-ე მუხლი).

მოპასუხის ქმედუუნარობა ხელს არ უშლის მოსარჩელეს მიმართოს სასამართლოს, რამეთუ ქმედუუნარო მოპასუხის უფლება-მოვალეობებს განახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო თუ მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ სასამართლომ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე უნდა დანიშნოს საპროცესო წარმომადგენელი (საპროცესო მზრუნველი) და განიხილოს საქმე, თუ მისი განუხილველობა ზიანით ემუქრება მოსარჩელეს (82-ე მუხლი).

დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიძლება შეიტანოს მხოლოდ იმან, ვისაც საქმისწარმოების უფლებამოსილება აქვს. ამიტომ, დაინტერესებული პირის სახელით განცხადების (სარჩელის) შეტანის დროს წარმომადგენელმა სარჩელთან ერთად უნდა წარმოადგინოს (სარჩელს დაურთოს) საქმისწარმოების მინდობილობა ან წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელშიც (ან რომლითაც)

დადასტურებული იქნება მისი უფლებამოსილება. ამ დოკუმენტის არარსებობა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია (186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი). თუ დაინტერესებულმა პირმა თვითონ შეიტანა სარჩელი და შემდეგ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდება მისი წარმომადგენელი,რომელიც სათანადოდ გაფორმებულ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, მაშინ იგი არ დაიშვება პროცესში.

კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილება დასტურდება პირადობის მოწმობით, პასპორტით ან სპეციალური მოწმობით. შესაბამისი დოკუმენტები სასამართლოს წარედგინება წარმომადგენლის მიერ სარჩელის (განცხადების) შეტანის მომენტში. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმომადგენელი ჩაითვლება არაუფლებამოსილ პირად და მისგან განცხადების მიღება დაუშვებელია.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, კერძოდ, მოსამართლეს არა აქვს უფლება მიიღოს სარჩელი იმისაგან, ვინც კანონის (94-ე და 95-ე მუხლები) თანახმად არ შეიძლება იყოს წარმომადგენელი სასამართლოში, თუნდაც მას სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილება გააჩნდეს.

სასარჩელო განცხადება როგორც ფორმით, ისე შინაარსით უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს (177-ე,178-ე მუხლებს) და მას უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითრები). სარჩელი (განცხადება) სასამართლოში შეიძლება შეიტანოს პირადად დაინტერესებულმა პირმა (ან მისმა წარმომადგენელმა) ან გაიგზავნოს ფოსტით.

სარჩელი უნდა შეიცავდეს საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულ აუცილებელ რეკვიზიტებს. ეს არის მინიმუმი იმ მონაცემისა, რომელიც ინფორმაციას გვაძლევს სამოქალაქო საქმის შესახებ. სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

სარჩელში მხარეთა ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაცია არ მოეთხოვება მოსარჩელეს, თუმცა შეჯიბრებითი პროცესი აიძულებს მხარეებს დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და შესაგებელი იურიდიულადაც (და არა მარტო ფაქტობრივად, როგორც ამას 102-ე მუხლი მოითხოვს).

სარჩელი და თანდართული საბუთები სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა, რაც უზრუნველყოფს მოპასუხის უფლებების სრულად დაცვას და შესაძლებლობას აძლევს მოემზადოს საქმის სასამართლო განხილვისათვის და მოსარჩელის თანაბარ მდგომარეობაში აყენებს მას, რამეთუ ამით იგებს, თუ რას მოითხოვს მისგან მოსარჩელე და შესაბამისად იცავს თავს.

ანალოგიური მოთხოვნები წაეყენება **განცხადების შინაარსს** არასასარჩელო წარმოების საქმეებზე. ამასთან, კანონი ითვალისწინებს სპეციალური ცნობების მითითების ვალდებულებას განცხადებაში. მაგალითად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს მიზანი, თუ რაში სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა (315-ე მუხლი).

კანონი მოსარჩელეს აძლევს ერთ სარჩელში რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანების უფლებას. გაერთიანებული მოთხოვნები შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც ერთი, ისე სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული ურთიერთობებიდან. თითოეულ მოთხოვნასთან დაკავშირებით ცალ-ცალკე უნდა იმსჯელოს სასამართლომ გადაწყვეტილებაში, რამეთუ ერთად განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით გაერთიანების მიუხედავად, ეს მოთხოვნები დამოუკიდებელ მნიშვნელობას ინარჩუნებენ.

რამდენიმე მოთხოვნა შეიძლება გააერთიანოს დაინტერესებულმა პირმა არასასარჩელო წარმოების საქმეებშიც. მაგალითად, უდავო წარმოების საქმეში ერთ განცხადებაში შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ მოთხოვნები

(ვთქვათ,ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენის და რჩენაზე (კმაყოფაზე) ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ მოთხოვნები).

სარჩელის შეტანის უფლების განხორციელების აუცილებელი (სავალდებულო) პირობების (სარჩელის შეტანის წესის) დაუცველობა იწვევს ისეთ სამართლებრივ შედეგს, როგორიცაა: სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმა საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის შესაბამისად;

არაგანსჯადობისა და საქმისწარმოების უფლებამოსილების უქონლობის საფუძვლებით მოსამართლის უარი სარჩელის (განცხადების) მიღებაზე, ხელს არ უშლის, რომ განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საქმეზე იმავე სარჩელით (ანუ იმავე მოთხოვნით და საფუძვლით) იმავე სუბიექტებმა, თუ აუცილებელი იქნება (აღმოიფხვრება) სარჩელის შეტანის დროს დაშვებული დარღვევა.

§3. სარჩელის (განცხადების) შინაარსი

სარჩელი (განცხადება არასასარჩელო წარმოების საქმეებზე) უნდა შედგებოდეს ოთხი ნაწილისაგან,რომლებშიც თანმიმდევრულად უნდა იყოს გადმოცემული (ჩამოყალიბებული) ყველა ის აუცილებელი ცნობა,მონაცემი,რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მოთხოვნის არსის დახასიათება. პირობითად ესაა: შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და დასკვნითი (ანუ მოთხოვნა) ნაწილები.

სარჩელის **შესავალ ნაწილში** აღინიშნება საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია. ანალოგიურ ინფორმაციას (რეკვიზიტებს) უნდა შეიცავდეს არასასარჩელო წარმოების საქმეებზე შეტანილი განცხადებაც. კერძოდ, მიუხედავად იმისა, თუ რა ხასიათის დავაა აღძრული, სარჩელში უნდა აღინიშნოს სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი, ასევე მხარეთა ზუსტი დასახელება. მოსარჩელემ (განმცხადებელმა) სარჩელში უნდა დაასახელოს თავისი სახელი, გვარი და საფოსტო მისამართი, ხოლო, თუ მოსარჩელე იურიდიული პირია, მისი სრული სახელწოდება და მისამართი (ადგილსამყოფელი) სარჩელში სახელდება მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში აღნიშნული მონაცემების მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსარჩელე ვალდებულია მოახდინოს თავისი **ლეგიტიმაცია** მოცემული საქმისადმი, რასაც აქტიური ლეგიტიმაცია ეწოდება და, გარდა ამისა, უნდა მიუთითოს მოპასუხის სახელი, გვარი და მისამართი, ხოლო, თუ მოპასუხე იურიდიული პირია, მისი სრული სახელწოდება და მისამართი (ადგილსამყოფელი), ე.ი. მოახდინოს პასიური ლეგიტიმაცია. უნდა მიეთითოს მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება). სარჩელში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები. ყველა ეს მონაცემი სავალდებულოა სუბიექტური შემადგენლობის მხრივ პროცესის გართულების შემთხვევაშიც. თუ სარჩელი (განცხადება) წარმომადგენელმა შეიტანა, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს მისი სახელი, გვარი და მისამართი. მოპასუხის სავალდებულოდ დასახელების ასპექტში ნორმის მიზანია მოსარჩელის მოთხოვნათა ინდივიდუალიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას ადრესატი არ ეყოლებოდა. ეს კი შეუძლებელს გახდიდა მის განხილვას სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, მოპასუხეს აქვს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე მართლმსაჯულების განხორციელების უფლება. ნორმის მიზანი მოპასუხის ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფაც არის. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ თავისი საცხოვრებელი ადგილის მითითების სავალდებულობას, აღნიშნულის მიუთითებლობის შემთხვევაში სასამართლო ვერ შეძლებს უზრუნველყოს სასამართლოს

კანონიერი შემადგენლობის და არა სასამართლოს თვითნებურად შერჩეული შემადგენლობის მიერ საქმის განხილვაზე მოსარჩელის უფლების განხორციელება (კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი). 178-ე მუხლი მოსარჩელისაგან მოითხოვს მოსარჩელისა და პროცესში მონაწილე ყველა პირის რეკვიზიტის დეტალურ დასახელებას. კერძოდ, ზემოაღნიშნული რეკვიზიტების გარდა, შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი. თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდმეწარმეს ან წარმომადგენელს, გარდა კანონიერი წარმომადგენლისა, იგი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

უდავო წარმოების საქმეებზე შეტანილი განცხადების შესავალი ნაწილი უნდა შეიცავდეს მხოლოდ განმცხადებლის შესახებ ინფორმაციას.

ამ რეკვიზიტების მიხედვით შეიძლება განსჯადობის სწორად განსაზღვრა და იმის შემოწმება,დაიცვა თუ არა განმცხადებელმა (მოსარჩელემ) განსჯადობის პირობა (წესები). თუ ადგილი აქვს სახელშეკრულებო,ანუ შეთანხმებით განსჯადობას (21-ე მუხლი),მაშინ სარჩელს უნდა ერთვოდეს წერილობითი შეთანხმებაც იმ სასამართლოს არჩევის შესახებ, რომელსაც მათ სურთ მიმართონ.

შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს, თუ რაში გამოიხატება მოსარჩელის უფლების, თავისუფლების ან კანონიერი ინტერესის დარღვევა, ან მათი დარღვევის საფრთხე და მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა,ანუ სარჩელის საგანი. სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი განისაზღვრება იმ სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის ხასიათით,რომლიდანაც გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნა.

სარჩელის შესავალ ნაწილში უნდა განისაზღვროს სარჩელის ფასიც,თუ მოთხოვნა ქონებრივი ხასიათისაა. განცხადებაში არასასარჩელო წარმოების საქმეებზე აღინიშნება მოთხოვნის საგანი (ვთქვათ, ეს შეიძლება იყოს კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა და სხვ.).

სასარჩელო განცხადების **აღწერილობით ნაწილში,** საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ და „ვ“ პუნქტების შესაბამისად, უნდა მიეთითოს იმ კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს მოპასუხისადმი და იმ მტკიცებულებების შესახებ,რომლებიც ამ გარემოებებს ადასტურებენ. აღწერილობითი ნაწილი არის ერთგვარი თხრობა მოთხოვნის შესახებ. „გარემოებებში“ იგულისხმება იურიდიული ფაქტები,რომლებიც საქმეზე მტკიცების საგანს შეადგენენ. ეს იურიდიული ფაქტები სარჩელის ფაქტობრივი საფუძველია (სარჩელის საფუძვლის ფაქტებია) და ამიტომ სარჩელში უნდა მიეთითოს ის კონკრეტული მტკიცებულებებიც, რომლებიც ადასტურებენ იმ გარემოებებს (იურიდიულ ფაქტებს), რომლებიც მიუთითა მოსარჩელემ თავისი მოთხოვნების დასასაბუთებლად.

აღწერილობითი ნაწილის შინაარსი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ, თუ რამდენად კანონიერია მოსარჩელის მოთხოვნა, ამიტომ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულე და სისწორე განსაზღვრავს შემდგომში საქმის ბედს, მის შედეგს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ მოსარჩელემ არ წარადგინა ყველა აუცილებელი (საჭირო) მტკიცებულება, ეს არ შეიძლება გახდეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

პროცესი შეჯიბრებითია,ამიტომ სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლის გარდა,სასურველია, ასევე მოსარჩელემ მიუთითოს სამართლებლივი საფუძველიც, ე.ი. კანონი და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ სადავო სამართალურთიერთობას და რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელის აზრით, უნდა გადაწყდეს (მოწესრიგდეს) საქმე (დავა).

რაც შეეხება არასასარჩელო წარმოების საქმეებზე შეტანილი განცხადების აღწერილობით ნაწილს, ის აგრეთვე უნდა შეიცავდეს ცნობებს იურიდიული ფაქტებისა და იმ

მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც ასაბუთებენ განმცხადებლის მოთხოვნას. აქ მხოლოდ თვით ფაქტებში მდგომარეობს სპეციფიკა (იხ. საპროცესო კოდექსის 315-ე, 318-ე, 323-ე, 338-ე მუხლები).

განცხადების აღწერილობით ნაწილში განმცხადებელი ვალდებულია მხოლოდ დაასახელოს მტკიცებულება, მიუთითოს (აღნიშნოს) ამ მტკიცებულებათა არსებობის ფაქტი და მათი მიღების წყარო. ამის გათვალისწინებით, მოსამართლე განსაზღვრავს განცხადებაში დასახელებული მტკიცებულებების შესახებობასა და დასაშვებობას, შეუპირისპირებს რა მათ იმ იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც ასაბუთებენ განმცხადებლის მოთხოვნას.

სარჩელის (განცხადების) **სამოტივაციო ნაწილი** კი ლოგიკურად გამომდინარეობს აღწერილობითი ნაწილიდან. ზოგჯერ ეს ნაწილები ერთ მთლიანობას შეადგენენ, თუ ერთდროულად ხდება ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ცნობების გადმოცემა და დაინტერესებული პირის მიერ საქმის იურიდიული კვალიფიკაცია.

განცხადების სამოტივაციო ნაწილში მოცემულია საქმის გარემოებებისა და იმ მტკიცებულებების იურიდიული შეფასება, რომლებიც გამოყენებულია დაინტერესებული პირის მიერ გადმოცემული ინფორმაციის დასადასტურებლად, ასევე აღინიშნება ის კანონი, რომლის შესაბამისადაც უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა სასამართლომ.

მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ხარისხიან ინფორმაციას შეიცავენ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები.

სარჩელის, ხოლო არასასარჩელო წარმოების საქმეებზე კი განცხადების **დასკვნითი ნაწილი**, სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტის შესაბამისად, უნდა შეიცავდეს დაინტერესებული პირის მოთხოვნას (ვთქვათ, მოთხოვნა, რომ აღდგენილ იქნეს სამუშაოზე, მოპასუხეს გადახდეს ალიმენტი, შეწყდეს ქორწინება და ა.შ.). თავის მოთხოვნაში მოსარჩელე თვითონ განსაზღვრავს, უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის რომელი ვარიანტია მისთვის უფრო მისაღები (აღიაროს სასამართლომ, თუ მიაკუთვნოს და ა.შ.). თუ მოთხოვნა ქონებრივი ხასიათისაა, მაშინ უნდა აღინიშნოს მოთხოვნილი თანხის ოდენობა ან მოთხოვნილი ქონების ღირებულება. სწორედ მოთხოვნის ქონებრივი შეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

სარჩელის (განცხადების) დასკვნით ნაწილში აისახება ასევე დაინტერესებული პირის ყველა სხვა მოთხოვნა, კერძოდ, თხოვნა სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლების შესახებ; თხოვნა, რომ გამოთხოვილ იქნეს მტკიცებულებები, მოწმედ დაბარებულ იქნენ სასამართლო სხდომაზე კონკრეტული პირები, დაინიშნოს ექსპერტიზა და სხვა.

სარჩელის (განცხადების) სავალდებულო რეკვიზიტია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა (178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ პუნქტი), რომელიც ასევე სარჩელის დასკვნით ნაწილში აისახება. სარჩელში აღნიშნულ უნდა იქნეს იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც ერთვის სარჩელს, განცხადებას (ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტი და სხვ.).

სავალდებულო დოკუმენტებია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები. როცა მოპასუხე რამდენიმეა, მაშინ სარჩელს შესაბამისი რაოდენობის ასლები უნდა ერთვოდეს (178-ე მუხლი). თუ მოსარჩელეს ეკუთვნის სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მაშინ დანართში უნდა იყოს სახ.ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი). მოცმული დებულება, 178-ე მუხლის სხვა დებულებებთან ერთად, განამტკიცებს სასამართლოსადმი მიმართვის წესს. მისი მიზანია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური მოთხოვნის რეალურად განხორციელება. ნორმის მიზანია აგრეთვე იმ დებულებების განხორციელება, რომელთა თანახმადაც აუცილებელია მტკიცებულებათა სრულად და ყოველმხრივად გამოკვლევისათვის, ფაქტობრივი გარემოებების დადგენისათვის და კანონმდებლობის სწორად გამოყენებისათვის

შესაბამისი პირობების შექმნა. მოსარჩელემ (განმცხადებელმა) შეიძლება წარადგინოს ნივთიერი მტიცებულებებიც. ასეთ შემთხვევაში განცხადება უნდა შეიცავდეს თხოვნას, რომ ეს ნივთიერი მტკიცებულებები სასამართლომ დაურთოს საქმეს, ხოლო ჩამონათვალში აღინიშნება, თუ, სახელდობრ, რა არის წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების სახით.

ის, თუ რა დოკუმენტები უნდა დაერთოს სარჩელს, განისაზღვრება საქმის ხასიათით და მოსარჩელის მიერ მოპასუხის მიმართ წაყენებულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნაზეა დამოკიდებული.

მოსამართლეს არა აქვს უფლება არ მიიღოს სარჩელი ან განუხილველად დატოვოს იგი, თუ მხარეს არ შეუძლია მტკიცებულების წარმოდგენა. თუ მხარემ ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლო მტკიცებულების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მაშინ მისი შუამდგომლობით სასამართლო თვითონ გამოითხოვს მტკიცებულებებს, ვისთანაც უნდა იყოს ისინი. ხოლო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, სარჩელში შეიძლება ჩამოყალიბდეს აგრეთვე მოსარჩელის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს და მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ სასამართლოს წარუდგინონ ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზე არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოსარჩელე თვლის, რომ საქმის განხილვისას აუცილებელი იქნება მოწმეთა ჩვენებების გამოყენებაც, მაშინ სარჩელის დასკვნით ნაწილში შეიძლება ჩამოყალიბდეს მოსარჩელის მოთხოვნა, რომ სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე დაიბაროს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები. მოსარჩელემ ზუსტად უნდა მიუთითოს ეს პირები და მათი მისამართები. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, ვინ უნდა ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად. თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მაშინ სარჩელის სავალდებულო რეკვიზიტად უნდა მეთითოს იურიდიული ინტერესი. დაბოლოს, სარჩელის სავალდებულო რეკვიზიტია მასში მოსარჩელის მოსაზრების ასახვა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

§4. სარჩელის (განცხადების) მიღება. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები. სამოქალაქო საქმის აღძვრის სამართლებრივი შედეგები

1. **სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები**. სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიაზე მოსამართლის მიერ შესასრულებელი მოქმედებების სისწორეზე ბევრი რამაა დამოკიდებული. კერძოდ, დარღვეული უფლება ან დაუცველი აღმოჩნდება საქმის აღძვრაზე დაუსაბუთებელი უარის გამო, ანდა, შესაძლოა, მოსამართლის არასწორი მოქმედების შედეგად არამართლზომიერად დაიწყოს პროცესი. პრაქტიკაში ერთიცა და მეორეც უნდა გამოირიცხოს. ამიტომ სასამართლოს ამოცანა ამ სტადიაზე სარჩელის (განცხადების) მიღების საფუძველთა შემოწმებაა. სასამართლო სარჩელს მიიღებს თავის წარმოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები. თუ ასეთი საფუძვლები არ არსებობს, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს (განცხადებას), საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული მოტივებით. სარჩელს სასამართლო მიიღებს, თუ არსებობს როგორც სარჩელის შეტანის უფლების წინაპირობები, ისე მისი

განხორციელების პირობები (ე.ი. როცა დაცულია სარჩელის შეტანის წესი). როგორც პრაქტიკაშია აღნიშნული დადგენილი წესით სარჩელის აღძვრა გულისხმობს იმგვარი ხარვეზის არარსებობას, რომლის დროსაც სასამართლოს მიერ სარჩელი არ მიიღება წარმოებაში, ან სასამართლოს მიერ რჩება განუხილველი (სუსგ 2003 წ., №8, გვ. 1998).

სარჩელის მიღებაზე უარის საფუძვლები ამომწურავია და არ შეიძლება განივრცოს. **გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას აქვს პროცესუალური და არა მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობა**. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ საქმის აღძვრის სტადიაზე, რომლის დროსაც არ ტარდება სასამართლო სხდომა მხარეთა მონაწილეობით და მარტოოდენ საპროცესო ხასიათის საკითხები წყდება, სასამართლო განსაზღვრავს სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების შინაარსს. თუმცა ამგვარი მიდგომა არ შეესაბამება სამართალწარმოების კონსტიტუციურ ბუნებას, რომლის ძალითაც მატერიალური სამართლის საკითხები უნდა გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ამიტომ დაუშვებელია განცხადების მიღებაზე ანუ სამოქალაქო საქმის აღძვრაზე უარის თქმა მოთხოვნის დაუმტკიცებლობის (მტკიცებულებათა უკმარისობის), მოთხოვნის დაუსაბუთებლობის მოტივით. სასამართლოს მიერ განცხადების მიღებაზე უარის თქმა მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლით, კერძოდ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვების მოტივით, ან იმ მოტივით, რომ მოთხოვნა ნაადრევად წარედგინა განსახილველად სასამართლოს (არ არის დამდგარი მოთხოვნის შესრულების ვადა) და სხვა საფუძვლებით (მოტივებით), რომლებიც არ არის კანონში მითითებული, მართლმსაჯულების განხორციელებაზე უკანონოდ უარის თქმას წარმოადგენს, რაც უხეშად არღვევს სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას.

სარჩელის მიღებაზე (სამოქალაქო საქმის აღძვრაზე) უარის თქმის მოტივები (საფუძვლები) შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1) სარჩელის უფლების წინაპირობები და 2) სარჩელის უფლების განხორციელების პირობები (წესი). თუ არ არსებობს სარჩელის უფლების (მისი შეტანის უფლების) განხორციელების წინაპირობები, მაშინ ობიექტურად შეუძლებელი იქნება საქმის განხილვა და პროცესი საერთოდ არ შეიძლება დაიწყოს. რაც შეეხება საფუძვლების მეორე ჯგუფს, ე.ი. როცა არ არის დაცული სარჩელის შეტანის უფლების განხორციელების წესი (პირობები), ეს არის მხოლოდ დროებითი დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც შეიძლება გამოასწოროს დაინტერესებულმა პირმა, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელია, დასაშვებია საქმის აღძვრა და განხილვა.

განვიხილოთ ეს საფუძვლები ცალ-ცალკე. სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, **მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას**. შესაძლებელი უნდა იყოს საქმის განხილვა და გადაწყვეტა სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამიტომ მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ მისი განხილვა სასამართლო უწყებას არ ექვემდებარება. უწყებრივი ქვემდებარეობა განისაზღვრება სსსკ-ის მე-11 და მე-12 მუხლებით. კერძო არბიტრაჟის კომპენტენციას მიკუთვნებული საქმეები, ანდა ისეთი საქმეები, რომლებიც კანონის შესაბამისად სხვა ორგანოს მიერ განიხილება, არ შეიძლება განხილულ იქნეს საერთო სასამართლოში და მოსამართლემ არ უნდა მიიღოს ასეთი განცხადება.

უწყებრივად არაქვემდებარეობის საფუძვლით მოთხოვნა საერთოდ არ შეიძლება იქნეს დაცული და სარჩელი არ მიიღება, როცა, ვთქვათ, სასამართლოში აღძრული მოთხოვნები არასამართლებრივი ხასიათისაა, ე.ი. როცა კანონის თანახმად (კანონში არსებული მითითების თანახმად) ან კანონმდებლობის საერთო (ზოგადი) აზრიდან (მისი მიზნებიდან და მნიშვნელობიდან) გამომდინარე, მოთხოვნა სამართლებრივად საერთოდ არ შეიძლება იქნეს დაცული სასამართლო წესით.

მაგალითად, 186-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როცა ნორმატიული აქტით დადგენილია განსაზღვრული ხასიათის, განსაზღვრული სახის სარჩელების (განცხადებების) მიღების განსაკუთრებული აკრძალვა (იხ.: სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლი).

იმის გამო, რომ საპროცესო კოდექსმა უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების ჩამონათვალი ამომწურავი გახადა, სასამართლო არ მიიღებს განცხადებას კანონით გაუთვალისწინებელი იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ.

რაც შეეხება სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი **დაკავშირებულია სასარჩელო მოთხოვნათა იგივეობის საკითხთან**. აღნიშნული საფუძვლების გათვალისწინება კანონში, განპირობებულია იმ სამართლებრივი შედეგებით, რაც სასამართლო აქტის (გადაწყვეტილების ან განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლას მოჰყვება. ეს შედეგები გათვალისწინებულია სსსკ-ის 266-ე მუხლით.

დაუშვებელია სარჩელის განმეორებით აღძვრა, თუ ეს მოთხოვნა იმავე მოთხოვნას წარმოადგენს, რაც უკვე განხილული და გადაწყვეტილია სასამართლოს მიერ. ერთი და იმავე საქმეზე სასამართლოსადმი მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. სარჩელთა იგივეობა კი დგინდება სარჩელთა ელემენტებისა (საგნისა და საფუძვლის) და დავის სუბიექტების (სუბიექტური შემადგენლობის) შეპირისპირებით. თუკი ყველა ეს მომენტი ემთხვევა (თანხვდება) ერთმანეთს, მაშინ სახეზეა მოთხოვნათა იგივეობა, ამიტომ, იმავე მოთხოვნის (სარჩელის) განსახილველად მიღება სასამართლოს მიერ დაუშვებელია. სარჩელთა იგივეობა არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ხოლო, თუ ამ მხრივ რაიმე ეჭვი არსებობს, მოსამართლე ვალდებულია მიიღოს სარჩელი და სარჩელთა იგივეობის საკითხი განიხილოს სასამართლო სხდომაზე, რომელზეც მოცემული საფუძვლით საქმე შეიძლება შეწყდეს. სარჩელთა მრავალჯერ შეტანას იწვევს, როცა სამართალურთიერთობა ხანგრძლივი ხასიათისაა ან როცა საუბარია პერიოდული გადასახდელების გადახდევინების შესახებ. ასეთ შემთხვევებში იცვლება სარჩელის ერთ-ერთი ელემენტი (საგანი ან საფუძველი). მაგალითად, ალიმენტის მიმღებმა შემდგომში შესაძლოა მოითხოვოს გადასახდელის ოდენობის გადიდება. იმ გარემოებათა შეცვლისას კი, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდული გადასახდელების გადახდის ოდენობასა და ვადებზე, თითოეულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს ახალი სარჩელი გადასახდელი თანხის ოდენობის გადიდების ან შემცირების შესახებ, გადახდების ხანგრძლივობის (ვადების) შეცვლის შესახებ.

სარჩელით სასამართლოსადმი განმეორებით მიმართვის დამაბრკოლებელი ფაქტორია ასევე ამავე სარჩელზე გამოტანილი სასამართლოს განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ, რამეთუ პირველ შემთხვევაში მოსარჩელემ უარი თქვა უფლების სასამართლო წესით დაცვაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – მხარეებმა თვითონ მოაწესრიგეს დავა.

სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით საქმისწარმოება შეწყდება თუ ზემოაღნიშნული გარემოებები საქმის განხილვის დროს გამოვლინდება.

სსსკ-ის 273-ე მუხლის შესაბამისად, იმავე სარჩელის განმეორებით წარდგენის დამაბრკოლებელი ფაქტორია ნებისმიერი განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომელიც გამოტანილია კანონით, კერძოდ კი, სსსკ-ის 272-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი საფუძვლით, და არა მხოლოდ ის განჩინება, რომელზეც საუბარია სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში.

მოსამართლე ასევე არ მიიღებს სარჩელს, **თუ დადგინდება, რომ ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით** (186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). მოცემული ნორმის მიზანია ერთი და იმავე

პირის მიერ შეტანილი იგივეობრივი განცხადებების სასამართლოების მიერ ერთდროულად განხილვის დაუშვებლობა. ხელახლა შეტანილი განცხადებისა და სასამართლოს წარმოებაში უკვე მყოფი განცხადების იგივეობა კი სასამართლომ ყოველ კონკრეტულ საქმეზე უნდა დაადგინოს ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. ამიტომ სარჩელის გაცნობის მომენტში მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სხვა სასამართლოს წარმოებაში საქმეთა არსებობის შესახებ (მაგალითად, ალტერნატიული განსჯადობის საქმეებზე). თუ საქმის განხილვის დროს სარჩელთა ელემენტები ან სუბიექტთა შემადგენლობა შეიცვლება და აღარ გვექნება სარჩელთა იგივეობა, მაშინ დაინტერესებულ პირს უფლება ექნება განმეორებით მიმართოს სასამართლოს.

სარჩელი არ მიიღება, თუ ის მოცემული სასამართლოს განსჯადი არ არის. სსსკ-ის 187-ე მუხლი მოსამართლეს ავალდებულებს თავის განჩინებაში მიუთითოს, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ. ამგვარი განმარტების მიზანია მოსარჩელისათვის ნათელი გახადოს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მან განცხადებით თავისი სადავო ან დარღვეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად. შესაბამისად ნორმის მიზანია კონსტიტუციით გარანტირებული მოსარჩელის უფლების დაცვა. კონსტიტუციიდან გამომდინარე მოსარჩელეს უფლება აქვს თავისი საქმე იმ სასამართლომ განიხილოს, რომლის განსჯადობასაც იგი განეკუთვნება. დასახელებული საკანონმდებლო დებულება მოსამართლეს არ აძლევს სარჩელის მიღებაზე თვითნებურად უარის თქმის უფლებას კანონმდებლობით დადგენილი განსჯადობის წესების საწინააღმდეგოდ.

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი აღარ არის შემთხვევა, როცა **მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება ან შეთანხმება მათ შორის წარმოშობილი დავის არბიტრაჟის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ**. ასეთ დროს შესაძლებელია მხოლოდ საქმის შეწყვეტა, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი შესაგებელში მოსარჩელე იშუამდგომლებს აღნიშნულზე (იხ. არბიტრაჟის კანონის მე-9 მუხლი). მხარეებს უფლება აქვთ არბიტრაჟის განსახილველად გადასცენ მხოლოდ ქონებრივი დავა. ხელშეკრულება (შეთანხმება) დავის გადაცემის შესახებ წერილობით იდება. ფიზიკურ პირებს შორის დადებული ხელშეკრულება (შეთანხმება) დავის არბიტრაჟის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ სანოტარო წესით დასტურდება.

სასამართლო არ მიიღებს ასევე სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია სსსკ-ის 178-ე მუხლში (გარდა ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ" და „ი" ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს სახ. ბაჟისაგან მოსარჩელის გათავისუფლების ან სახ. ბაჟის გადახდის, გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

თუ არ არსებობს სარჩელის შეტანის უფლების წინაპირობები, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თანაც მოსარჩელეს აღარ შეუძლია განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით (იმავე მოთხოვნით).

რაც შეეხება სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე", „ზ" და „თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი იმ მოთხოვნათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც წაეყენება სასამართლოსადმი მიმართვის წესს (ისინი სარჩელის შეტანის პირობებია), ამ საფუძველთა არსებობისას სასამართლოსადმი განმეორებით მიმართვის შესაძლებლობა პირს უნარჩუნდება იმ პირობით, თუ აღმოიფხვრება (აცილებული იქნება) დაშვებული შეცდომა. ამ საფუძვლებით სარჩელის მიღებაზე უარის თქმისას, მოსამართლემ, თუ ეს აუცილებელია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა წინაშე უნდა დააყენოს ქმედუუნარო პირთა უფლებების დაცვის საკითხი, დაინტერესებულ პირს განუმარტოს, თუ რომელ სათანადო სასამართლოს უნდა მიმართოს განსჯადობის წესების მიხედვით.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობა ან ბუნდოვანება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად არ შეიძლება იყოს გამოყენებული (სსსკ-ის 186-ე და 178-ე მუხლები). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით „სარჩელში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი საფუძვლები,რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას". ამ ნორმაში არაფერი არაა ნათქვამი სამართლებრივი საფუძვლების ბუნდოვანებაზე. საქმის განხილვისას მოსარჩელეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია დააზუსტოს და მიუთითოს სამართლებრივი საფუძველი. თუ სამართლებრივი საფუძველი ბუნდოვანია ან არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას,ეს შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის 2006 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების 35–ე აბზაცში საქმეზე „დონაძე საქართველოს წინააღმდეგ" (განაცხადის ნომერი 74644/01) აღნიშნა: „იმ შემთხვევაში თუკი სასამართლოებს არა აქვთ შესაძლებლობა დაასაბუთონ მხარის თითოეულ არგუმენტზე უარის თქმის მოტივაცია, ისინი არ თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან ჯეროვნად განიხილონ და პასუხი გასცენ მათ მიერ წამოყენებულ ძირითად მოთხოვნებს".

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლემ უნდა გამოიტანოს დასაბუთებული განჩინება. განჩინებაში უნდა მიეთითოს,თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებანი. სარჩელის მიუღებულობის შესახებ გამოტანილი განჩინება ჩაჰბარდება მოსარჩელეს,რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები. თუ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ,მაშინ იმის მიხედვით,თუ როგორია ეს საფუძველი,სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლები). სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (187-ე მუხლი).

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წესიც,რომელიც სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარებას ეხება. ამ ნორმის თანახმად,სსსკ-ის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს მოსამართლისთვის სარჩელის (განცხადების) გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ანდა ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ ან სასამართლო გზავნილის (სარჩელის, განცხადების და თანდართული დოკუმენტის ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე.

სარჩელის (განცხადები) მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება მოსარჩელის მიერ განჩინების ჩაბარებიდან,ხოლო ჩაუბარებლობის შემთხვევაში 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან მეორე დღეს. 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან მეორე დღეს. 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისთვის სასამართლო გზავნილის ფოსტის ან სასამართლო კურიერის მეშვეობით ჩაბარება ან მისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით მისთვის გზავნილისგადაცემიდან 2 თვის ვადაში. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სასამართლო გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით. ამდენად, მოცემული ნორმის თანახმად,მოპასუხეს სარჩელს სასამართლო კი არ უგზავნის,არამედ თავად მოსარჩელე.

თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება,სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის

საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ. სსსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი–მე-4 ნაწილებით დადგენილი წესები არ ვრცელდება სსსკ-ის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებზე, ასევეპატიმრობაში მყოფ იმ პირებზე, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის (სარჩელის, განცხადების და თანდართული დოკუმენტების ასლების) გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით. სსსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი-მე-4 ნაწილებით დადგენილი წესები შესაძლებელია გავრცელდეს ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ პირებზე, მხოლოდ მათი თანხმობის შემთხვევაში.

2. სარჩელის შეტანის[1] სამართლებრივი შედეგები. სარჩელის შეტანას და სასამართლოს მიერ მის მიღებას (სამოქალაქო საქმისწარმოების აღძვრას) იურიდიული, კერძოდ, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო ხასიათის შედეგები მოჰყვება.

მატერიალურ-სამართლებრივ შედეგებს მიეკუთვნება:

ა) სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის დღიდან (სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი);

ბ) სარჩელის აღძვრის მომენტიდან ხდება მიმდინარე ფულადი გადასახადის დაკისრება (მაგალითად, ალიმენტის დაკისრება მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან – სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლი);

გ) მოპასუხისათვის იმის შეტყობინების მომენტიდან, რომ მის მიმართ წარდგენილია სარჩელი ქონების გამოთხოვის შესახებ, სხვისი ქონების კეთილსინდისიერი მფლობელი (მოპასუხე) ვალდებულია აუნაზღაუროს მესაკუთრეს ყველა შემოსავალი (ნივთისა და უფლების ნაყოფი) რომელიც კეთილსინდისიერმა მფლობელმა მიიღო ან უნდა მიეღო სადავო ქონებიდან. ამ შემოსავალთა გადახდევინება ხდება ქონების დაბრუნების შესახებ სარჩელის აღძვრის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე).

ამასთან, სარჩელის შეტანა სასამართლოში, იურიდიული ფაქტია, რომელიც საპროცესო ურთიერთობებს წარმოშობს მოსარჩელესა და სასამართლოს შორის.

საპროცესო-სამართლებრივ შედეგებს უნდა მივაკუთვნოთ:

ა) სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან დაიწყება სამოქალაქო პროცესი (სამართალწარმოება) კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე. კერძოდ: დაინტერესებული პირები სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების მონაწილენი ხდებიან, იძენენ საპროცესო უფლება-მოვალეობებს, ანუ საქმეს მიეცემა მსვლელობა სწორედ ამ მომენტიდან. თუ სარჩელის აღძვრის ეტაპზე საპროცესო ურთიერთობა არსებობს მხოლოდ სასამართლოსა და მოსარჩელეს შორის, სამოქალაქო საქმის წარმოებაში მიღება იწვევს სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების წარმოშობას სასამართლოსა და პროცესის სხვა სუბიექტებს შორისაც. მხარეების უფლება-მოვალეობების გარდა, ამის შედეგად წარმოიშობა სასამართლოს უფლება-მოვალეობებიც. სასამართლო ვალდებული ხდება განიხილოს მხარეთა შორის არსებული დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება. მოსარჩელე და მოპასუხე სრული მოცულობით იძენენ საპროცესო უფლება-მოვალეობებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა იმისდა მიუხედავად, მიიღო თუ არა სასამართლომ სარჩელი, ვინაიდან, თუ მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, მაშინ წარმოშობილი საპროცესო სამართალურთიერთობების ფარგლებში მოსარჩელე იძენს მოსამართლის ამ მოქმედების გასაჩივრების

[1] ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ტერმინები. „სარჩელის შეტანა (აღძვრა)“ და „სამოქალაქო საქმისწარმოების აღძვრა“ (სარჩელის წარმოებაში მიღება), რადგან კანონმდებლობა მათ სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს უკავშირებს.

უფლებას. თუ მოსამართლემ მიიღო სარჩელი, მაშინ ამ მომენტიდან შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე საპროცესო ურთიერთობები სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა შორის, რომლებიც ჩაებმებიან საქმეში და რომლებსაც შეუძლიათ გაეცნონ ამ საქმის მასალებს, იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე, საქმეს დაურთონ მტკიცებულებები და ა.შ.

ბ) მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სარჩელის სასამართლოს წარმოებაში მიღების შემდეგ, მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს ამ მომენტიდან, უფლება აღარ აქვს წარადგინოს იგივე სარჩელი ამ ან სხვა სასამართლოში, ხოლო, თავის მხრივ, სასამართლო ორგანოებს ან სხვა ორგანოებს, უფლება აღარ აქვთ მიიღონ სარჩელი.

გ) სარჩელის წარმოშობაში მიღებით, დაინტერესებული პირი კარგავს შემდგომში საქმის განხილვის ადგილის არჩევის უფლებას, როცა ალტერნატიულად განსჯადი სასამართლოა გათვალისწინებული კანონით (მაგალითად, საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილი) და მხარეები კარგავენ საქმის განხილვის ადგილის არჩევის უფლებასაც, რაც გათვალისწინებულია სახელშეკრულებო განსჯადობის წესებით (სსსკ-ის 21-ე მუხლი).

თავი XVIII

საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად

§1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიის მიზანი და მნიშვნელობა

სამოქალაქო პროცესის მიზანი დარღვეული უფლების აღდგენაა, ე.ი. კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა და მისი აღსრულება. ცხადია, პროცესის მოცემული მიზნის მიღწევას სასამართლო ერთბაშად ვერ შეძლებს, თუ არ იქნება გავლილი პროცესის ეტაპები – პროცესის განვითარების სტადიები. პროცესის სტადია საპროცესო მოქმედებების სისტემაა. თითოეულ სტადიას თავისი კონკრეტული მიზანი აქვს.

საქმის მომზადების სტადიის მიზანია უზრუნველყოს საქმის დროულად და სწორად განხილვა და გადაწყვეტა, ანუ შექმნას ამისთვის აუცილებელი პირობები. ამასთან, სასურველია, რომ პირველ სასამართლო სხდომაზევე გადაწყდეს საქმე. საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლში სწორედ ასეა ჩამოყალიბებული საქმის მომზადების მიზანი. მასში მითითებულია, რომ სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღების (ე.ი. სამოქალაქო საქმის აღძვრის) შემდეგ საქმეს ამზადებს მოსამართლე, ხოლო თუ საქმე კოლეგიურმა სასამართლომ უნდა განიხილოს, მაშინ საქმეს ამზადებს ამ სასამართლოს ერთ-ერთი წევრი, რათა დაჩქარდეს მისი განხილვა და შესაძლებელი გახდეს ერთ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დამთავრება და სწორად გადაწყვეტა. მოსამართლის დავალებით, საქმე სასამართლო განხილვისათვის შეიძლება მოამზადოს მისმა თანაშემწემ.

ამ მიზნების მიღწევა ხდება მთელი რიგი იმ კერძო საკითხების გადაწყვეტით, რომლებიც შეიძლება ყოველი კონკრეტული საქმის მომზადების პროცესში წარმოიშვას. აქ უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო პროცესში საქმე აღიძვრება მხოლოდ საქმის იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც მოსარჩელემ წარადგინა. ეს მასალები კი იძლევა მხოლოდ მოცემულ საქმეზე პროცესის აღძვრის შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტის საფუძველს. თუ არ არსებობს ან არასრულია მტკიცებულებები, ან თუ განცხადება არასათანადო მოსარჩელემ შეიტანა, ეს გარემოებები სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არაა. მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალები, ყოველთვის როდია საკმარისი სასამართლო სხდომაზე დავის არსებითად გადასაწყვეტად. ამიტომ ზოგჯერ აუცილებელია ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა, ხოლო ზოგჯერ კი ახალი პირების ჩაბმა პროცესში, რაც იწვევს საქმის განხილვის გადადებას, მაგრამ ყოველივე ამის თავიდან აცილება შეიძლება, თუ მოსამართლე, თავის წარმოებაში სარჩელის მიღების შემდეგ, სასამართლოს მთავარ სხდომაზე არსებითად განსახილველად (მოსასმენად) საქმის დანიშვნამდე, მიიღებს ზომებს მტკიცებულებითი მასალის შევსების მიზნით და გადაწყვეტს სხვა აუცილებელ საკითხს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადება აუცილებელი დამაკავშირებელი რგოლია სამოქალაქო პროცესის სისტემაში საქმის აღძვრასა და მის არსებითად განხილვას შორის. შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საქმეთა მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, სასამართლო განხილვის ფუნდამენტია, მისი საფუძველია, ბაზისია. მის ხარისხზეა დამოკიდებული, საბოლოოდ თუ რა შედეგით დამთავრდება საქმის განხილვა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლოსა და მხარეთა საპროცესო საქმიანობის შინაარსის გაანალიზებისას გასათვალისწინებელია შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომლის თანახმადაც,

მტკიცების სფეროში სიმძიმის ცენტრი თვითონ მხარეებზეა გადატანილი (მტკიცების ტვირთი მხარეებს აწევთ). სასამართლოს შეუძლია მხოლოდ შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლის დასასაბუთებლად. ან თუ მხარეს საკუთარი ძალებით არ შეუძლია მტკიცებულებათა მიღება, მხარის შუამდგომლობით გამოითხოვს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს. ამიტომ სამოქალაქო საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად, არა მხოლოდ სასამართლოს მოვალეობაა, არამედ მხარეთა აქტიურობასაც გულისხმობს და მოითხოვს. თუ რომელიმე მხარე საქმის მომზადების დროს სათანადო აქტიურობას არ გამოიჩენს და არ წარმოადგენს ყველა აუცილებელ მტკიცებულებას, არ შეაგროვებს მათ, რომელთა წარდგენაც შეთავაზებულ და რეკომენდებულ იქნა მოსამართლის მიერ, მაშინ, ცხადია, ამით შემცირდება სასამართლოში მხარის წარმატების შანსები, რამეთუ თვითონ სასამართლო, სამოქალაქო პროცესის თანამედროვე იდეოლოგიის (კონცეფციის) შესაბამისად, მხარის სასარგებლოდ თავისი ინიციატივით ვეღარ იმოქმედებს. შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში კი შესაძლებელია მხარის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამრიგად, საქმის მომზადების სტადია საქმის სწორად გადაწყვეტის საფუძველია (ბაზისია).

საქმის მომზადება ყველა შემთხვევაშია სავალდებულო. საქმის მომზადების დაწყების შესახებ მიეთითება იმავე განჩინებაში, რომლითაც სარჩელი იქნა წარმოებაში მიღებული. სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინების გამოტანის მომენტიდან იწყება საქმის მომზადება. რაც შეეხება საქმის მომზადების პერიოდს (ხანგრძლივობას), საპროცესო კოდექსით განსაზღვრული არ არის, თუ რა ვადაში უნდა მოამზადოს საქმე სასამართლომ. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ საქმის მომზადება გაგრძელდება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანამდე (მუხლი 207-ე), ან 209-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით განჩინების გამოტანამდე.

§2. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მიერ შესრულებული მოქმედებების შინაარსი

მომზადების სტადიაზე შესრულებულ საპროცესო მოქმედებათა მოცულობას კონკრეტული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე და ცალკეულ საქმეთა მომზადების მეთოდიკას, თავისი სპეციფიკა აქვს, რაც განისაზღვრება სადავო სამართალურთიერთობის ხასიათით, საქმის სირთულით, მტკიცების სირთულით, ასევე სხვა გარემოებებით.[1]

შესრულებული მოქმედებების შინაარსის მიხედვით, საქმეთა მომზადება მოიცავს ყველა მოქმედებას განცხადების მიღების (საქმის აღძვრის) მომენტიდან სასამართლო განხილვამდე.

საქმის მომზადების მიზნებსა და ამოცანებს მოსამართლე ასრულებს კონკრეტული საპროცესო მოქმედებების შესრულებით.

საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლე შესაბამის დავალებებს აძლევს მოპასუხეს, კერძოდ, 201-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებელის) და თანდართული დოკუმენტების

[1] Особенности рассмотрения отдельных категорий гражданских дел. М., 1995, გვ. 23,38,77 და სხვა.

ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. სასამართლო აფრთხილებს მოპასუხესპასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. აქვე კანონით განსაზღვრულია ის, თუ რა უნდა იყოს მითითებული მოპასუხის წერილობით პასუხში. სახელდობრ: სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ პასუხი, მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი, ანუ შესაგებელი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის რეკვიზიტები; პასუხში (შესაგებელში) შესაძლოა მოპასუხემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები. თუ მოპასუხე იურიდიული პირია ან ინდმეწარმეა თავად მოპასუხე, ხოლო თუ მას ჰყავს წარმომადგენელი (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) მისი წარმომადგენელი ვალდებულია მიუთითოს ელფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი. შესაგებელში მიეთითება, ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს, თუ სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ გარემოებებს (იურიდიულ ფაქტებს) ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები (იურიდიული ფაქტები); რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ კი, ხომ არ აპირებს იგი შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას, რა შუამდგომლობები აქვს, ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა.შ.; ვინ შეიძლება ჩაებნენ პროცესში თანამონაწილეებად ან მესამე პირებად; რომელი მოწმე უნდა იქნეს დაბარებული სასამართლო სხდომაზე. ამდენად, მოპასუხე წინასწარ ეცნობა როგორც მის წინააღმდეგ აღძრულ მოთხოვნას, ისე იმ ფაქტებსაც, რაც ამ მოთხოვნის საფუძველს (დასაბუთებას) წარმოადგენს. ეს კი საქმის სწორად და სწრაფად გადაწყვეტის ერთ-ერთი პირობაა. შესაგებელს უნდა დაერთოს დოკუმენტების ნუსხა. მასში უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

შესაგებელს (პასუხს) უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ იგი შეაქვს წარმომადგენელს. შესაგებელში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. პასუხს უნდა დაერთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება შემდგომში წარმოადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხეს უფლება აქვს მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა. შესაგებელი უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს. დადგენილ ვადაში შესაგებელის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოპასუხის მიმართ მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება სსსკ-ის XXVI თავით დადგენილი წესით.

როგორც ზემოაღნიშნული წესებიდან თვალნათლივ ჩანს, საქმის მომზადების სტადიაზე მიმდინარეობს მხარეთა შორის წერილობითი საბუთების გაცვლა, ანუ მიმდინარეობს მხარეთა წერილობითი შეჯიბრება. ამ ნიშნით იგი განსხვავდება მისი მომდევნო სტადიისაგან (სასამართლოს მთავარი სხდომისაგან), რომლის დროსაც ადგილი აქვს მხარეთა შორის ზეპირ შეჯიბრებას.

გარდა ამისა, მოსამართლემ უნდა შეასრულოს საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლით

გათვალისწინებული მოქმედებები. ამ მუხლში კანონმდებელმა დააფიქსირა ძირითადი მოსამზადებელი მოქმედებების ჩამონათვალი, თუმცა, საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლის მიერ შესასრულებელი მოქმედებების ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

203-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოსამართლეს უფლებას აძლევს შეასრულოს სხვა აუცილებელი მოქმედებებიც, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას. ის, თუ რომელი კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულებაა აუცილებელი საქმის ყოველმხრივად და სრულად მოსამზადებლად განისაზღვრება სამართალწარმოების სახიდან, საქმის კატეგორიის თავისებურებიდან და საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

მოსამზადებელ მოქმედებათა შესრულება ამა თუ იმ მოცულობით, დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემობებზე. არ არის აუცილებელი (სავალდებულო), რომ კანონში ჩამოთვლილი ყველა მოქმედება შესრულდეს თითოეულ სამოქალაქო საქმეზე. მოცემული ნორმა, ისევე როგორც მრავალი სხვა ნორმა, ზოგადი, ანუ აბსტრაქტული ხასიათისაა. მის სწორად გამოსაყენებლად საჭიროა იმ ცხოვრებისეული გარემოებების გათვალისწინება, რომელთაც იურიდიული მნიშვნელობა აქვთ კონკრეტულ საქმეზე.

რთულია სამართლის ნორმაში სრული მოცულობით ყველა იმ საპროცესო მოქმედების გათვალისწინება, რომლებიც ნებისმიერი კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა მომზადების დროს შეიძლება შესრულდეს. სწორედ ამიტომაა, რომ მოსამართლეს კანონით უფლება აქვს ამა თუ იმ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე შეასრულოს სხვა საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულებაც, მისი აზრით, აუცილებელია კონკრეტული საქმის დროულად და სწორად გადასაწყვეტად.

თუ მხარეები მორიგდებიან ამ სტადიაზე, მაშინ მოსამართლემ უნდა იმოქმედოს 209-ე მუხლის შესაბამისად.

მოსარჩელეს შეუძლია ამ სტადიაზე დააზუსტოს მოთხოვნის საფუძველი, ასევე დაასახელოს დამატებითი გარემოებები.

რადგან საქმის მომზადებისას ხდება წერილობითი შეჯიბრება მხარეთა შორის, ამიტომ მათ ამ სტადიაზე არ იბარებენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინიშნება მოსამზადებელი სხდომა.

რაც შეეხება 203-ე მუხლით გათვალისწინებულ ძირითად მოსამზადებელ მოქმედებებს, ეს მოქმედებები კონკრეტულად იმაში გამოიხატება, რომ მოსამართლეს უფლება აქვს დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო, თუ ეს საჭიროა, განმარტონ კიდეც მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, ასევე წინადადება მისცეს, წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები.

მოსამართლეს შეუძლია გადაწყვიტოს პროცესში თანამონაწილეებისა (თანამოსარჩლეთა და თანამოპასუხეთა) და მესამე პირების დაშვების საკითხი. ამ დროს უნდა გაირკვეს, რომელი პირები არიან იურიდიულად დაინტერესებული საქმის შედეგით, რომლებიც არ არიან მითითებულნი სარჩელში. შესაბამის შემთხვევებში მოსამართლემ უნდა მიუთითოს მოსარჩელესა და მოპასუხეს, რომ აუცილებელია პროცესში მათ მხარეზე თანამოპასუხეთა და იმ მესამე პირთა ჩაბმა, რომლებიც არ განაცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე. პროცესში ჩაბმულ იმ მესამე პირებს, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, მოსამართლემ უნდა განუმარტოს, თუ რა შედეგები მოჰყვება მათ მიერ პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმას.

მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს პროცესში თანამოპასუხეთა ჩაბმა მოსარჩელის მოთხოვნით სავალდებულო თანამონაწილეობის შემთხვევაში, როცა მოსარჩელის მოთხოვნათა განცალკევებულად განხილვა თითოეული პირის მიმართ ცალ-ცალკე შეუძლებელია, მაგალითად, როცა საკითხი ეხება სოლიდარულ პასუხისმგებლობას დაზარალებულის

წინაშე (სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი), ან იმ საქმეებზე, როცა საკითხი ეხება მესაკუთრის ქონების ნაწილის გამოყოფას საერთო საკუთრებიდან და სხვ.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის საქმის შედეგით დაინტერესებული პირი, განისაზღვრება საქმის ხასიათითა და მისი კონკრეტული გარემოებებით. ასეთი, კერძოდ, შეიძლება იყოს ის პირი (ფიზიკური თუ იურიდიული), რომლის უფლება-მოვალეობებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სასამართლოს გადაწყვეტილებამ (მაგალითად, კანონისმიერი მემკვიდრე, როცა მემკვიდრეობაზე დავა წარმოიშვა სხვა მემკვიდრეთა შორის).

რაც შეეხებათ მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნით, ისინი, თავიანთი იურიდიული ბუნებით მოსარჩელეები არიან. ამიტომ დაუშვებელია მათი იძულებითი ჩაბმა პროცესში. დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მოსამართლეს შეუძლია მხოლოდ აცნობოს მათ პროცესის შესახებ და ასევე იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიათ გამოვიდნენ პროცესში. პროცესის შესახებ ატყობინებენ ასევე დაიტერესებულ პირებს უდავო წარმოების საქმეებზე.

სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის იურიდიული შემადგენლობისა და მისი სუბიექტების განსაზღვრით, მოსამართლეს მნიშვნელოვნად უმარტივდება იმ მტკიცებულებათა დადგენა, რომლებიც შეეხება საქმეს, აგრეთვე მტკიცების სუბიექტების დადგენა. მომზადების სტადიაზე გამოიყენება საპროცესო კოდექსის ზოგადი (საერთო) წესები მტკიცებულებების შესახებ. საქმის მომზადების სტადიაზე გამოიყენება მტკიცებლებათა დასაშვებობის და შესახებობის ნორმები.

მტკიცებულებათა შეგროვებაში მხარეთათვის ხელშეწყობისა და დახმარებისათვის, საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლო ასრულებს 203-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ შემდეგ საპროცესო მოქმედებას: მხარეთა თხოვნით (შუამდგომლობით) გამოითხოვს მტკიცებულებებს (წერილობითსა და ნივთიერს) უშუალოდ მისი მფლობელისაგან, ვისთანაც არ უნდა იყოს იგი, თუ მათი მიღება თავად მხარეებმა ვერ შეძლეს (103-ე მუხლი). ეს ნორმა შეჯიბრებითობის პრინციპის გამოხატულებაა. პროცესის შეჯიბრებითობის საწყისებზე გადასვლის მიზნით, კანონში საუბარია, რომ მხარეებმა უნდა იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ, ე.ი. მათ უნდა გამოიჩინონ აქტიურობა იმ ფაქტების დამტკიცების საკითხში, რომლებიც მათ მოთხოვნას (უფლებას) ადასტურებენ.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზე მტკიცებულებათა შეგროვების საკითხში გამოიყენება მხარეთათვის დახმარების (ხელის შეწყობის) შემდეგი მეთოდები:

ა) წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა გამოთხოვა მხარეთა შუამდგომლობით უშუალოდ მათი მფლობელისაგან, ვისთანაც არ უნდა ინახებოდეს ისინი.

ბ) წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვა, როცა განჩინება ხელზე ეძლევა დაინტერესებულ პირს ამ მტკიცებულებათა სწრაფად მისაღებად.

გ) მტკიცებულებათა გამოთხოვა სასამართლო დავალების მიცემის (გაგზავნის) გზით;

დ) მტკიცებულებათა მიღება ექსპერტიზის დანიშვნის (ჩატარების) გზით;

ე) მტკიცებულებათა მიღება ადგილზე დათვალიერების ჩატარების გზით.

სასამართლოს შეუძლია ამ სტადიაზე მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა; ასევე გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი; დაიბაროს მოწმეები, აგრეთვე ექსპერტები და სპეციალისტები სასამართლო სხდომის დღისათვის; შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ძნელი იქნება, ან გააჭიანურებს საქმის განხილვას.

სასამართლო სხდომის დღისათვის მოწმეთა დაბარების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნდა განსაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებიც მოწმედ უნდა იქნენ დაბარებული და უნდა უზრუნველყოს მათი სასამართლოში გამოცხადება.

რაც შეეხება წერილობით და ნივთიერ მტიცებულებათა ადგილზე დათვალიერებას, მას მოსამართლე აწარმოებს საქმის მომზადების სტადიაზე გადაუდებელ შემთხვევებში, საქმის მონაწილეებისათვის ადგილზე დათვალიერების დროისა და ადგილის შეტყობინებით. ადგილზე დათვალიერების შედეგები აისახება დათვალიერების ოქმში.

მოსამართლეს უფლება აქვს დანიშნოს ექსპერტიზა საქმის მომზადების სტადიაზე ყველა შემთხვევაში, როცა საქმის გარემოებებიდან და წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, აუცილებელია ექსპერტიზის დასკვნა. უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა, როცა ეს კანონითაა გათვალისწინებული (იხილეთ, მაგალითად, საპროცესო კოდექსის 324-ე და 327-ე მუხლები). საქმის მომზადების სტადიაზე მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზაც. თუმცა მას არა აქვს უფლება ამ სტადიაზე დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა, რამეთუ ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად. ექსპერტიზის დანიშვნისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საპროცესო კოდექსის 162-170-ე მუხლები. ამასთან, საქმის მონაწილეთ უნდა განემარტოთ მათი უფლება ექსპერტის წინაშე წარადგინონ კითხვები, რომლებზეც საჭიროა ექსპერტის დასკვნა (რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა).

ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშებების შედგენა და ა.შ.), სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი, რომელიც ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში, გაუწიოს მას კონსულტაცია, აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება. სპეციალისტად მოწვეულის ზეპირი კონსულტაცია შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო მისი წერილობითი პასუხები დაერთვის საქმეს.

უაღრესად მნიშვნელოვანია სსსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედგები, კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, მხარეთა მოვალეობას წარმოადგენს შეასრულონ საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მითითებები. არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა, მხარეს უფლებას ართმევს შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად (ანუ მთავარ სხდომაზე) განხილვის დროს. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია მისი მითითებების შეუსრულებლობისათვის დააჯარიმოს მხარე ანუ ამ დავალებათა (მოვალეობათა, მოთხოვნათა) არშემსრულებელ მხარეს ეკისრება შესაბამისი არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგები.

§3. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა

საპროცესო კოდექსის ის თავი, რომელიც საქმის მომზადების სტადიას ეხება, ითვალისწინებს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესაძლებლობასაც (205-ე მუხლი), მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოსამზადებელი სხდომა საქმის მომზადების სტადიის სავალდებულო ელემენტია და მისი დანიშვნა ყოველთვის აუცილებელია, არამედ მისი დანიშვნა სსსკ-ის 205-ე მუხლით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, მოსამართლის შეხედულებაზეა დამოკიდებული. კანონის თანახმად, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს საფუძველს აძლევს ივარაუდოს, რომ მხარეებმა შეიძლება საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი, ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე, თუ მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესი ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზა-

დებელი სხდომა ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება, ან ვიდეოკონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. მოსამართლესთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ხორციელდება სატელეფონო ხაზზე მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფიქსირდება ოქმის სახით. თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არაინ სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ და ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარესთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება სასამართლო უფლებამოსილია გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს. მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი, შესაძლებელია არც დაინიშნოს (არ ჩატარდეს) მოსამზადებელი სხდომა, მოსამართლემ საქმე საკმაოდ მომზადებულად მიიჩნიოს და დანიშნოს მთავარი სხდომა.

დასაშვებია მოსამზადებელ სხდომაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

მოსამართლე თავისი განჩინებით მოსამზადებელ სხდომაზევე შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე;

ბ) მხარეები მორიგდებიან. მორიგების შემთხვევაში ამავე განჩინებით სასამართლო დაამტკიცებს მორიგების პირობებს. იგივე წესი ვრცელდება სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მხარეთა მორიგებისას.

ამ საფუძვლებით საქმისწარმოების შეწყვეტას მოსდევს სსსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები.

მოსამართლე გამოიტანს სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ მოპასუხე ცნობს სარჩელს მოსამზადებელ სხდომაზე.

სსსკ-ის 205-ე მუხლის აღქმისას შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ სამოქალაქო პროცესი სსსკ-ის მიხედვით გართულებული და გაჭიანურებულია. თუმცა მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზე და ამ სხდომის ჩატარების წესი კანონმდებლის მიერ დადგენილია მთლიანობაში სამოქალაქო პროცესის დაჩქარების ინტერესიდან გამომდინარე. სსსკ-ის 205-ე და 209-ე მუხლებით გათვალისწინებულია საქმისწარმოების შეწყვეტისა და სარჩელის განუხილველად დატოვების შესაძლებლობა მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზეც. მართალია, აღნიშნულ მუხლებში პირდაპირ არაა მითითებული, მაგრამ ამავე სტადიაზე დასაშვებია საქმისწარმოების შეჩერებაც. ამ დანაწესების წყალობით სამოქალაქო პროცესი კონკრეტულ საქმეზე იკვეცება და იზოგება როგორც მხარეთა, ისე სასამართლოს დრო.

მოსამზადებელი სხდომის ჩატარებისა და საერთოდ ამ ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია მთავარ სხომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზე მხარეთა მიერ განხორციელებული განკარგვითი მოქმედებების საპროცესო წესით ფიქსირების საჭიროებით. მოსამზადებელი სხდომა წარმოადგენს მომზადების სტადიაზე ამ განკარგვითი მოქმედებების ფიქსაციის საპროცესო მექანიზმს.

§4. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის დანიშვნის წესი

საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას საქ-

მის არსებითი განხილვისათვის. ამის შესახებ საქმის არსებითად განხილვისათვის მთავარი სხდომის დანიშვნის განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. ეს იმას ნიშნავს (იმის მანიშნებელია), რომ შესრულებულია საქმის მომზადებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი მოქმედება (რომლებიც გათვალისწინებულია სსსკ 201-ე და 203-ე მუხლებში). თუ ზემდგომი სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს დააბრუნებს ხელახლა განსახილველად, მაშინ, თუ ეს აუცილებელია, საქმის მომზადება განახლდება.

როდის შეიძლება ჩაითვალოს საქმე სათანადოდ (საკმაოდ) მომზადებულად?

ეს ხდება მაშინ,როცა განსაზღვრულია საქმის მონაწილეთა შემადგენლობა,დაზუსტებულია მათი მოთხოვნები და შესაგებელი; დადგენილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტების წრე; შეგროვილია ამ ფაქტების დამადასტურებელი, ან მათი უარმყოფელი (გამაქარწყლებელი) მტკიცებულებები; მოპასუხეს გაეგზავნა სარჩელისა და მასზე თანდართული საბუთების ასლები, რითაც შესაძლებლობა მიეცა გამოეხატა თავისი პოზიცია აღძრულ მოთხოვნასთან, მის საფუძველთან დაკავშირებით. თუ მხარეები არ შეასრულებენ საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის დავალებებს და არ გამოიჩენენ სათანადო აქტიურობას, ეს გარემოება მხოლოდ მათთვის გამოიწვევს არასასურველ შედეგებს და არ შეუშლის ხელს მოსამართლეს საქმე მომზადებულად ცნოს და განჩინებით დაადგინოს მისი მოსმენა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ანუ დანიშნოს საქმის არსებითად განხილვა.

მოუმზადებელი საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად დანიშვნის თავიდან აცილების მიზნით, ზემოაღნიშნულ განჩინებაში მითითებულ უნდა იქნეს საქმის განხილვის დრო (დღე და საათი) და ადგილი, ჩატარებული მოსამზადებელი მოქმედებები, ასევე სასამართლოში საქმის მონაწილეთა გამოცხადების უზრუნველყოფის შესახებ ზომები (ღონისძიებები).

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დღეს სასამართლო იმ ვარაუდით ნიშნავს, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის.

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლო სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს, მათ შორის, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდეს ვიდეოკონფერენციის მეშვეობით.

§5. სასამართლოს მთვარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზე საქმის წარმოების დამთავრება

209-ე მუხლის საფუძველზე შესაძლებელია სამოქალაქო პროცესის დამთავრება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზე. კეროდ,მოსამართლეს შეუძლია 272-ე და 275-ე მუხლების შესაბამისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების (გარემოებების) არსებობისას, საქმისწარმოება შეწყვიტოს ან სარჩელი (განცხადება) განუხილველად დატოვოს, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

განკარგვითი მოქმედებების შესრულების ყველა აუცილებელი პირობა, რაც გათვალისწინებულია საქმის განხილვის სტადიაზე, დაცულ უნდა იქნეს საქმის მომზადების სტადიაზეც. კერძოდ,მხარეებს უნდა განემარტოთ განკარგვითი საპროცესო მოქმედებების შედეგები, ასევე, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე ან მხარები მორიგდნენ, ეს უნდა აისახოს ოქმში (თუ ეს მოხდა მოსამზადებელ სხდომაზე), ან თუ ყოველივე ეს წერილობითაა განცხადებული, მაშინ დაერთვის საქმეს და სხვ.

საქმის მომზადების სტადიაზევე საქმის დამთავრების შესახებ საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა, ამარტივებს პროცესს, პროცესი ამით აღარ ჭიანურდება, პირიქით, იგი იკვეცება კონკრეტულ საქმეზე, რაც სამართალწარმობას ხდის ოპერატიულს, რითაც იზოგება როგორც მხარეთა, ისე სასამართლოს დრო და ძალები (საშუალებები).

კანონმდებლის ასეთი პოზიცია იმით აიხსნება, რომ საქმის წარმოება, მისი მომზადება და არებითად განხილვა ხორციელდება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ხოლო იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც საქმის წარმოების შეწყვეტასთან ან სარჩელის განუხილველად დატოვებასთან არის დაკავშირებული (საქმის დამთავრება ხდება მისი არსებითად გადაწყვეტის გარეშე), არ შეეხება დავის არსს. ამიტომ აუცილებელი არ არის ამ საპროცესო მოქმედებების გადატანა საქმის განხილვის სტადიაზე (მთავარ სხდომაზე).

ამრიგად, რომ არ გაჭიანურდეს არამართლზომიერად დაწყებული პროცესი, მოსამართლეს შესაძლებლობა ეძლევა გამოასწოროს თავისი შეცდომები ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე (შეცდომაში იგულისხმება 272-ე მუხლის „ა", „ბ" და „ვ" ქვეპუნქტებითა და 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა", „ბ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გაუთვალისწინებლობა მოსამართლის მიერ, სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტისას).

საქმის მომზადების სტადიაზე საქმისწარმოების შეწყვეტა, შეწყვეტის საფუძვლებისდა მიხედვით (გათვალისწინებით), შესაძლებელია მოხდეს ოქმის შედგენით ან ამის გარეშე. თუ მაგალითად საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია ერთ-ერთი ობიექტური ხასიათის გარემოება (კერძოდ, 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა", „ე" და „ვ" ქვეპუნქტები), მაშინ ოქმის შედგენა არ არის საჭირო. ხოლო თუკი საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველია მხარეთა განკარგვითი მოქმედებები (სარჩელზე უარის თქმა ან მხარეთა მორიგება), მაშინ ამ მოქმედებების ოქმში ფიქსირებაა საჭირო.

რაც შეეხება სარჩელის განუხილველად დატოვებას საქმის მომზადების სტადიაზე 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილს „ა", „ბ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ეს ხდება ოქმის შედგენის გარეშე, რამეთუ პროცესის დამთავრება ამ საფუძვლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან (მათი ნების გამოვლენის საფუძველზე არ ხდება ეს), არამედ გამოწვეულია ობიექტური ხასიათის მიზეზებით.

როგორც აღინიშნა, მთავარ სხდომამდე მხარეები შეიძლება დაბარებულ იქნენ მხოლოდ მოსამზადებელ სხდომაზე. სხვა შემთხვევებში მხარეებს არ იბარებენ სასამართლოში საქმის მომზადების მიზნით მათი მოსაზრებების მოსასმენად. საქმის მომზადების დროს წარმოებს წერილობითი შეჯიბრება მხარეთა შორის.

მოსამართლე აგრეთვე ვალდებულია (სსსკ-ის 279-ე მუხლი), ხოლო ზოგჯერ უფლება აქვს მას (280-ე მუხლი) შეაჩეროს საქმის წარმოება საქმის მომზადების სტადიაზე. მოსამართლეს ასევე უფლება აქვს საქმის მომზადებისას აწარმოოს (შეასრულოს) სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული ზოგიერთი მოქმედება (ამასთან დაკავშირებით იხილეთ: საპროცესო კოდექსის მე-40, 46-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე მუხლები); განახორციელოს საჯარო შეტყობინება (78-ე მუხლი); გადაწყვიტოს საპროცესო უფლებამონაცვლეობის (92-ე მუხლი) და ასევე ზოგიერთი სხვა საკითხი. ამის უფლებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსამართლეს აძლევს კანონი (საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

თავი XIX

სასამართლო შეტყობინება და დაბარება

§1. სასამართლო უწყება, მისი ჩაბარების წესი

სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნის შემდეგ, დღის წესრიგში დგება პროცესის მონაწილეთათვის საქმის განხილვის დროისა (საათის) და ადგილის დროულად და კანონით დადგენილი წესით შეტყობინება.

პროცესის მონაწილეთათვის სხდომის დროისა და ადგილის შეტყობინება, სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყების (210-ე მუხლის მე-2 ნაწილი) აუცილებელი, სავალდებულო პირობაა, რამეთუ სასამართლო განხილვის (მთავარი სხდომის) დაწყებისას, უნდა დადგინდეს, განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან, ვინ გამოცხადდა, ეცნობათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ კანონის (სსსკ-ის 70-78-ე მუხლების) მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები სასარჩელო განცხადების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარების აუცილებლობის შესახებ, ჩაბარდა თუ არა საქმის ყველა მონაწილეს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება იმ ვარაუდით, რომ გონივრული ვადა ჰქონოდათ სასამართლოში დროულად გამოსაცხადებლად და საქმისათვის მოსამზადებლად. ეს ვადა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს საქმის ხასიათის, საქმის მონაწილეთა მიერ საქმის გარემოებათა ცოდნის, აგრეთვე მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით, მოემზადონ სასამართლო განხილვისათვის (ზეპირი შეჯიბრებისათვის). სასამართლო უწყებასთან ერთად მოსამართლე მოპასუხეს უგზავნის სასარჩელო განცხადებასა და თანდართული საბუთების ასლებს (72-ე მუხლი), ხოლო მოსარჩელეს კი უწყებასთან ერთად მოსამართლე უგზავნის მოპასუხის წერილობითი განცხადების (ახსნა-განამარტების) ასლს, თუ ასეთი განცხადება შემოვიდა სასამართლოში, უწყების გაგზავნის დროისათვის. 72-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ასეთი განცხადება და სასამართლოში შემოსული ყველა წერილობითი დოკუმენტის ასლი მხარეებს შეიძლება გაეგზავნოთ როგორც უწყების გაგზავნის დროისათვის (უწყების გაგზავნასთან ერთად), ისე უწყების გაგზავნამდე და ასევე მას შემდეგაც, როცა უწყება უკვე გაგზავნილია, მთავარია, რომ ეს დოკუმენტები შევიდეს სასამართლოში.

საქმის განხილვა რომელიმე მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ანუ რომელიც არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილების უპირობოდ გაუქმების საფუძველია (სსსკ-ის 385-ე მუხლის 1-ი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი და 394-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი).

პროცესის მონაწილეთათვის საქმის განხილვის დროისა და ადგილის სათანადოდ შეტყობინება ის მოქმედებაა, რომელსაც განსაკუთებული მნიშვნელობა აქვს კანონიერების პრინციპის განსახორციელებლად და მას მოსდევს მნიშვნელოვანი საპროცესო შედეგები. მაგალითად, მხოლოდ მხარის სათანადოდ ინფორმირება აძლევს მოსამართლეს უფლებას მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (საპროცესო კოდექსის 229-ე და 230-ე მუხლები) და, პირიქით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო სათანადოდ, კანონით დადგენილი წესით (233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი).

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის დადგენილებაში (საჩივარი №74286/01) მითითებულია: კანონი შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს ავალდებულებს სასამართლო სხდომაზე მხარეები მოიწვიონ სათანადო ფორმით. მხარეს

სასამართლო უწყება უნდა გაეგზავნოს ფოსტით ან ჩაბარდეს კურიერის მეშვეობით. რომელი ფორმაც არ უნდა შეირჩეს, სასამართლო უწყება შესაბამის პირს უნდა ჩაბარდეს პირადად ხელწერილით. სასამართლო სხდომის დასაწყისში სასამართლომ უნდა გაარკვიოს შესაბამისი მხარე დაბარებული იყო თუ არა სასამართლოში კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად და შემდეგ განსაზღვროს აუცილებელია თუ არა სასამართლო სხდომის გადადება. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი მხარე არ იყო დაბარებული სასამართლოში სათანადო ფორმით, სასამართლო სხდომა უნდა გადაიდოს. მხარეთა არყოფნა, მხარეთა სასამართლოში დაბარების პირობები და მხარეთა გამოუცხადებლობის მიზეზები უნდა მიეთითოს დადგენილებაში.

მოსამართლე ვალდებულია მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება იმ ანგარიშით (ვარაუდით) ჩააბაროს, რომ მხარეებმა ან მათმა წარმომადგენლებმა მიიღონ შეტყობინება და მათ ჰქონდეთ გონივრული ვადა სასამართლოში დროულად გამოსაცხადებლად და საქმისათვის (ზეპირი შეჯიბრებისათვის) მოსამზადებლად. ამდენად, უწყების ჩაბარების ვადის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ იმაში, რომ უწყება ისეთ დღესა და საათს ჩაბარდა, რაც გამორიცხავდა მხარის გამოცხადებას სასამართლოში, არამედ ისეთ ვადაში ჩაბარდა, რაც არ აძლევდა მხარეს პროცესისათვის მომზადების საშუალებას.

კანონით არ არის განსაზღვრული (დადგენილი) კონკრეტული კრიტერიუმი, თუ როდის ითვლება უწყება დროულად ჩაბარებულად. ამიტომ ეს სასამართლომ თავისი შეხედულებით უნდა განსაზღვროს საქმის ხასიათისა და სირთულის, მხარეთა საცხოვრებელი ადგილის სასამართლოს ადგილსამყოფელისაგან დაშორებულობისა და სხვა გარემოებათა მიხედვით და გათვალისწინებით[1].

ამიტომ მხარეებს უფლება აქვს სთხოვონ სასამართლოს საქმის განხილვის გადადება, თუ უწყება მათ დროულად არ ჩაბარდათ, რაც მხარეს (მის წარმომადგენელს) შესაძლებლობას ართმევს მოემზადოს საქმის განხილვისათვის.

კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე პროცესის მონაწილეთა შეტყობინებისა და დაბარებისათვის სასამართლოს სათანადო აუცილებელ ინფორმაციას აძლევს სასამართლოში შეტანილი სარჩელი, რომელშიც მითითებულია მოსარჩელის, მოპასუხისა და სხვათა მისამართები, ტელეფონები და ა.შ.

თუკი საქმის განხილვისას აუცილებელია მოწმის დაბარება, მისი მისამართი და სხვა მონაცემები ეცნობება სასამართლოს იმ მხარის მიერ, რომლის შუამდგომლობითაც იბარებენ მოწმეს.

საპროცესო კოდექსის VIII თავი ორ იურიდიულ ტერმინს იყენებს: **„შეტყობინებას“** და **„დაბარებას“**.

ტერმინი „შეტყობინება“ გამოიყენება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების მიმართ, ხოლო ტერმინი „დაბარება“ კი – მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების მიმართ.

მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს **ეცნობებათ** სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, რადგან მათ აქვთ უფლება და არა სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება. მოწმეებს, ექსპერტებს, თარჯიმნებსა და სპეციალისტებს **იბარებენ** სასამართლოში, რადგანაც მათთვის სასამართლოში გამოცხადება სავალდებულოა.

„შეტყობინებისა“ და „დაბარების“ ძირითადი ფორმა უწყებაა. უწყება უნდა შეიცავდეს კანონით განსაზღვრულ რეკვიზიტებს (72-ე მუხლი). უწყების მნიშვნელოვანი რეკვიზ-

[1] მაგალითად, დასახელებული კრიტერიუმებით განისაზღვრება ვადა უწყების ჩაბარებიდან სასამართლო სხდომამდე სსსკ-ის 295-ე მუხლის შესაბამისად გამარტივებულ წარმოებაში.

იტია ის, რომ იგი უნდა შეიცავდეს წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება და მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.[1]

მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები უწყების ნაცვლად შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ამის აუცილებლობა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში დგება, როცა მაგალითად პროცესის მონაწილის საცხოვრებელი ადგილი ძალზე დაშორებულია სასამართლოს ადგილსამყოფელისგან, ან როცა აუცილებელია პირის სასწრაფოდ დაბარება. ცხადია, ტექნიკური საშუალებით შეტყობინება დასაშვებია, მაშინ თუ შეტყობინების მიმღებს აქვს ფაქსის აპარატი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ. შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დაკავშირების სხვა საშუალებებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ შეტყობინებისა და დაბარების ფიქსირებას. ტექნიკური საშუალებით მხარეთა და სხვა პირთა ინფორმირებისას, უნდა შედგეს აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე (მოსამართლის თანაშემწე, ან მდივანი). მასში ასახვა უნდა ჰპოვოს ყველა იმ საკითხმა რომელსაც უნდა შეიცავდეს უწყება (სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), წინააღმდეგ შემთხვევაში პირი არ ჩაითვლება კანონით დადგენილი წესით ინფორმირებულად.

ტექნიკური საშუალებებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება სსსკ-ის 73-ე მუხლით დადგენილი წესით.

სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მეორე წინადადება – „ადგილის მითითება" – იმას გულისხმობს, რომ უწყებაში, რომლითაც მხარე მოიწვევა სასამართლო პროცესზე, მითითებული იყოს საქმის განხილვის ადგილზე, ანუ სასამართლოს სხდომის დარბაზზე, ამასთან თუ სასამართლოში ერთზე მეტი დარბაზია, მითითებული უნდა იქნეს დარბაზის ნომერიც. (სუსგ 2003 წ. №1, გვ. 119) (ადგილში იგულისხმება სხდომის დარბაზი, სადაც მხარეები უნდა გამოცხადდნენ).

აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს უშუალოდ სასამართლოშიც. მაგალითად, თუ ის პირები, რომელთაც სასამართლომ სავალდებულოდ უნდა შეატყობინოს საქმის განხილვის დროის შესახებ, იმყოფებიან სასამართლოს შენობაში, მაშინ ამ პირებს შეიძლება სასამართლომ შეატყობინოს საქმის განხილვის დროის შესახებ სასამართლოშივე, რასაც ისინი დაადასტურებენ თავიანთი ხელის მოწერით (73-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, 14 წლის ასაკამდე მოწმეთა დაბარება, ხოლო სასამართლოს შეხედულებით – 14-დან 18 წლის ასაკამდე მოწმეთა სასამართლო სხდომაზე დაბარება ხდება პედაგოგთან ერთად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები ან მზრუნველები, რომელთაც ეგზავნებათ სასამართლო უწყება (შეტყობინება).

207-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ უწყება უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს სამი დღისა სასამართლოს მთავარ სხდომაზე არსებითად განსახილველად საქმის დანიშვნის შესახებ განჩინების მიღებიდან.

სასამართლო უწყება ადრესატს უნდა ჩაბარდეს მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის, სადაც ფიზიკური პირი ფაქტობრივად ცხოვრობს (ხოლო თუ იურიდიული პირია – ადგილსამყოფელის) ანუ ფაქტობრივი ადგილსამყოფელის, ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედ-

[1] როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, უწყების თითოეული რეკვიზიტის დაცვას პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უწყებაში რომელიმე ნებისმიერი რეკვიზიტის არარსებობა ნიშნავს, რომ მხარე არ იყო პროცესზე მოწვეული კანონით (70-78-ე მუხლებით) დადგენილი წესით.

ვით (71-ე მუხლი).

იბადება კითხვა: თუ სარჩელი გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) საქმიანობიდან, მაშინ ვის უნდა გაეგზავნოს სასამართლო უწყება: უნდა გაიგზავნოს იგი მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის (მისამართის) მიხედვით, თუ უნდა გაიგზავნოს იურიდიული პირის მისამართზე. ჩვენი აზრით, უწყების გაგზავნა მხოლოდ ფილიალის მისამართზე, არ უნდა ჩაითვალოს სათანადო შეტყობინებად, რადგან იგი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ასეთ შემთხვევებში საქმეში უნდა არსებობდეს ინფორმაცია აგრეთვე სასამართლო უწყების იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით გაგზავნის შესახებაც, ანუ უწყება უნდა გაეგზავნოს ერთდროულად, როგორც წარმომადგენლობას (ფილიალს), ისე იურიდიულ პირსაც. იურიდიული პირის სახელზე გაგზავნილი უწყება ხელმოწერილ უნდა იქნეს იმ პირის მიერ, რომელიც აღჭურვილია უფლებამოსილებით, მიიღოს კორესპონდენციები (ექსპედიციის, კანცელარიის თანამშრომლები). იურიდიული პირის იურიდიული სამსახურისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების რაიმე სპეციალურ წესს სსსკ-ი არ ითვალისწინებს.

თუკი სასამართლო უწყება არ ჩაბარდა იურიდიულ პირს და დაბრუნდა იგი იმის აღნიშვნით, რომ მითითებულ მისამართზე არ არსებობს ეს იურიდიული პირი, ხოლო საქმის მასალებიდან არ ჩანს, თუ რომელია ადრესატის სწორი მისამართი, მაშინ მოსამართლეს შეუძლია შესთავაზოს მოსარჩელეს დოკუმენტალურად დადასტურებული მონაცემების წარმოდგენა იურიდიული პირის მისამართის შესახებ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მოქმედ საპროცესო კოდექსში იურიდიული პირისათვის უწყების ჩაბარების საკითხები არ არის საკმარისად მოწესრიგებული.

რაც შეეხება სასამართლო უწყების გაგზავნას (73-ე მუხლი), სასამართლო უწყება იგზავნება ტექნიკური საშუალებით, ფოსტით (დაზღვეული წერილით) ან დამტარებლის (ე.წ. კურიერის) მეშვეობით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გაგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული დაიცვას თანმიმდევრობა. **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** 2011 წლის 7 ივნისის დადგენილებაში (საჩივარი №28956/05) აღნიშნულია: სასამართლოში გამოცხადების შესახებ უწყების ჩაბარების მომწესრიგებელი საკანონმდებლო დებულებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მხარეთა ინფორმირების (შეტყობინების) რომელი საშუალებაც არ უნდა შეირჩეს, ეროვნული სასამართლოებს ხელთ უნდა ჰქონდეთ ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის მოსმენა უნდა გადაიდოს. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უნდა გააჩნდეთ ასეთი მტკიცებულება. საქმეში უნდა იყოს არა მარტო მხარისათვის გაგზავნილი შეტყობინების ასლი, არამედ უნდა არსებობდეს ისეთი მტკიცებულებაც, როგორიც არის ჩაბარების შესახებ შეტყობინება ან საფოსტო შტამპდასმული კონვერტი ან რაღაც მსგავსი, რომელიც ადასტურებს, რომ შეტყობინება დროულად მიიღო განმცხადებელმა. ევროსასამართლომ განმარტა კონვენციის მე-6 მუხლი და აღნიშნა: ეს მუხლი ავტომატურად როდი მოიცავს თავის თავში მხარეთათვის სასამართლო დოკუმენტების ჩაბარების განსაზღვრული ფორმების (როგორიც არის დაზღვეული წერილი) უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნას. მიუხედავად ამისა, ევროპის სასამართლო მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებისათვის პროცესის მხარე იმგვარად უნდა იქნეს დაბარებული სასამართლოში, რომ ინფორმირებული იყოს არა მარტო სხდომის ჩატარების ადგილისა და თარიღის შესახებ, არამედ აგრეთვე საკმარისი დროც ჰქონდეს, რათა მოასწროს საქმისთვის მომზადება და სასამართლოში განხილვაზე გამოცხადება. ევროპის სასამართლომ არ შეიძლება სათანადო შეტყობინებად მიიჩნიოს შეტყობინების ფორმალურად გაგზავნა, თუკი სასამართლო არ იქნება დარწმუნებული, რომ შეტყობინე-

ბას განმცხადებელი დროულად მიიღებს. ევროპის სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან იკვეთება, რომ სასამართლოებმა უნდა გაარკვიონ, სათანადოდ იყო თუ არა მხარე ინფორმირებული. და თუკი სათანადოდ არ იყო ინფორმირებული, მაშინ სხდომა უნდა გადაიდოს. შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა გონივრული ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ, რათა სათანადოდ იქნეს დაბარებული მხარე საქმის მოსმენაზე. სათანადო დაბარების პირობებში მხარეს ეძლევა მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტების მოსმენისა და მათზე თავისი მოსაზრების ზეპირი ფორმით წარდგენის შესაძლებლობა.[1] თუ პირველად გაგზავნისას ადრესატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება ადრესატს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. ადრესატისათვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება უწყების მეორე ეგზემპლარზე, რომელიც სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს. ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში უწყების ჩაბარების დროს და უწყების ჩაბარება-არჩაბარებას სასამართლოს ატყობინებს ფოსტა, კერძოდ ადრესატს ჩაბარდა უწყება თუ ადრესატი მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა. ადრესატი ხელის მოწერით დაადასტურებს წერილის მიღებას. ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას უწყების გადაცემის დრო აღინიშნება შესაბამის აქტში (იხ. სსსკ-ის 70-ე უმუხლის მე-3 ნაწილი).

თუ სამოქალაქო საქმის განხილვა გადაიდო და სხვა დროისათვის (სხვა დღისათვის) დაინიშნა, მაშინ დაბარებულ და სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ პირებს ჩაბარდებათ სასამართლოში დაბარების შესახებ უწყებები, ანდა გამოეცხადებათ ამის შესახებ ცალკე ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც დაერთვის სასამართლო სხდომის ოქმს, ამასთან, განემარტებათ მათი გამოუცხადებლობის შედეგები. გამოუცხადებელ და საქმეში ახლადჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ სსსკ-ის 70-ე -78-ე მუხლებით დადგენილი წესებით (იხ. სსსკ-ის 216-ე მუხლი).

მოსამართლეს შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას სასამართლო უწყება შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი (დასაბარებელი) პირისათვის ჩასაბარებლად. ამ შემთხვევაში ის, ვისაც სასამართლომ დაავალა უწყების მიტანა, ვალდებულია სასამართლოში დააბრუნოს მისი მეორე ეგზემპლარი უწყების მიმღების (ადრესატის) ხელმოწერით (73-ე მუხლის მე-6 ნაწილი). უწყების დროულად ჩაბარების მიზნით მხარეს შეუძლია სასამართლოს მიმართ წერილობითი განცხადების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კურიერის გადაადგილება და მისი მეშვეობით უწყების ჩაბარება. **როგორც ამ ნორმიდან ირკვევა, ასეთი წესით შეიძლება შეატყობინონ საქმის განხილვის დროის შესახებ არა მხოლოდ მხარეებს, არამედ მოწმეებს, ექსპერტებს, თარჯიმნებს, სპეციალისტებს და პროცესის სხვა მონაწილეთ.**

---

[1] ქართული სასამართლო პრაქტიკა იცავს ამ მოთხოვნას. ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია: სსსკ 73-ე მუხლი ადგენს უწყების, შესაბამისად, გზავნილის ჩაბარების წესს. აღნიშნული მუხლით სასამართლოსათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ადრესატს ნამდვილად ჩაბარდა უწყება (გზავნილი), ამასთან, სასამართლოსათვის ისიც ცნობილი უნდა იყოს, თუ როდის ჩაბარდა იგი, რადგან ჩაბარების დროს კანონი გარკვეულ იურიდიულ შედეგებს უკავშირებს. მაგალითად, ხარვეზის გამოსწორების თაობაზე განჩინების მხარისათვის ჩაბარებიდან იწყება იმ საპროცესო ვადის დინება, რომელიც სასამართლოს მიერ იქნა დანიშნული. აქედან გამომდინარე, როგორც გზავნილით (ფოსტით), ისე დამტარებლის მეშვეობით გაგზავნილი საბუთების მხარისათვის ჩაბარების თაობაზე სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, გარდა 73-ე მუხლით დადგენილი წესისა, შესაძლებელია მხარეს უშუალოდ სასამართლოში ჩაბარდეს საბუთები (უწყება), ასეთ შემთხვევაშიც დაცული უნდა იყოს ჩაბარების წესი, კერძოდ, სასამართლომ უნდა დააფიქსიროს: როდის და რომელი მტკიცებულებანი (საპროცესო დოკუმენტები) გადაეცა მხარეს. ასეთი საბუთის შედგენის საკალდებულობა გამომდინარეობს სსსკ 70-ე და 73-ე მუხლებიდან, რადგან როგორც მხარისათვის უნდა იყოს ცნობილი სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, ისე სასამართლო უნდა იყოს ინფორმირებული, რომ მხარემ უწყება (გზავნილი) ჩაიბარა.

კანონი ზუსტად განსაზღვრავს უწყების გაგზავნის, ჩაბარების წესებს და უწყების მიღებაზე უარის თქმის შედეგებს (70-ე, 71-ე, 73-75-ე მუხლები). 70-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით სასამართლო უწყების გაგზავნა გულისხმობს მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყების როგორც გაგზავნას, ასევე ჩაბარებასაც (სუსგ. 2005 წ, №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 29). კერძოდ, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით ფიზიკური პირისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება უნდა ჩაბარდეს პირადად მის მიმღებ ფიზიკურ პირს. ფიზიკური პირის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე .დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს (73-ე მუხლის მე-8 ნაწილი). ამ ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე (მეორე ნახევარზე) უწყების მიმღების ხელმოწერით. ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირში, რომელსაც უწყების მიღების უფლება აქვს იგულისხმება კორესპონდენციის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მენეჯერი, კანცელარიის მუშაკი და სხვა)[1]. უწყების ხელმოწერილი მეორე ეგზემპლარები უბრუნდება სასამართლოს, ვინაიდან სასამართლოს უნდა ჰქონდეს ხელთ უდავო მტკიცებულება ადრესატის მიერ უწყების მიღების შესახებ. შეტყობინების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს საქმეში. სწორედ ამ შემთხვევაში შეიძლება შედგეს სასამართლო სხდომა. მხოლოდ მაშინღა შეიძლება ჩავთვალოთ (მივიჩნიოთ), რომ გამოუცხადებელ პირებს სათანადო წესით ეცნობათ საქმის განხილვის დრო და ადგილი. **ხელმოწერის დროის მიხედვითვე განსაზღვრავს სასამართლო სასამართლოში დაბარებული პირისათვის უწყების ჩაბარების დროსა და დროულობას** (ანუ თუ რამდენად დროულად ჩაბარდა პირს უწყება).

თუ უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი ფიზიკური პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, მაშინ კანონი განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს უწყების მიმღები, ე.ი. თუ ვის შეიძლება ჩაბარდეს უწყება ასეთ დროს. კერძოდ, უწყება უნდა ჩაბარდეს ადრესატთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ სამუშაო ადგილის მიხედვით ბარდება უწყება – მაშინ სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას სსსკ-ის 73-ე მუხლის მე8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი საქმეში მოწინააღმდეგე მხარეებად მონაწილეობენ. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ანუ ხელი უნდა მოაწეროს თავისი და არა დასაბარებელი პირის სახელით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა 74-ე მუხლის მოთხოვნა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა მხრისათვის უწყების და სხვა დოკუმენტის ჩაბარების წესი, არ შეიძლება დარღვევით ჩაბარების დღიდან მოხდეს საპროცესო ვადის ათვლა და ამ ფაქტის საფუძველზე დავის დასრულება (სუსგ. 2005 წ, №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 27). (ანუ უწყებაზე ხელმოწერისას უნდა აღინიშნოს, თუ ვინ მიიღო უწყება), აგრეთვე ადრესატთან დამოკიდებულება (ვთქვათ, რა ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან) და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია ასეთ შემთხვევაში უწყება ად-

[1] ასეთი პირი შეიძლება იყოს დაცვის თანამშრომელიც. ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია: შპს „საქართველოს რკინიგზაში" დამკვიდრებული შიდაორგანიზაციული მოწყობა კურიერს ან ფოსტის თანამშრომელს არ აძლევდა შესაძლებლობას, განჩინების საფოსტო გზავნილი ჩაებარებინა უშუალოდ კანცელარიისათვის და როგორც წესი, აღნიშნულ გზავნილს იბარებდა დაცვის (საშვთა ბიუროს) თანამშრომელი, ამიტომ აღნიშნული თანამშრომელი უნდა მივიჩნიოთ კორესპოდენციის მიღებაზე უფლებამოსილ პირად (სუსგ. 2005 წ, №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 32). ხოლო სხვა საქმეზე კი საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განჩინების ასლის ჩაბარებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ანალოგიით (მე-7 მუხლი) უნდა გავრცელდეს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესები (სუსგ. 2005 წ, №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 34).

რესატს დაუყოვნებლივ (ანუ პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე) ჩააბაროს (74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ადრესატის არყოფნის შემთხვევაში სასამართლო უწყების ჩამბარაბელმა, უწყების მეორე ეგზემპლარზე (მეორე ნახევარზე) უნდა აღნიშნოს, სად არის წასული ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაბრუნებას.

თავისებურება ახასიათებს უწყების (განჩინების ან გადაწყვეტილების ასლის) მსჯავრდებულისათვის ჩაბარების წესს. ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია: მოცემულ შემთხვევაში მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც სასჯელს იხდის იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და არა აღნიშნული დაწესებულება. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მას უნდა ჩაბარებოდა პირადად. დაწესებულების კანცელარიისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება ასეთ შემთხვევაში არავითარ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.

ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი სასჯელაღსრულების დაწესებულების სპეციალური ნაწილის უფროსის ხელმოწერითა და დაწესებულების შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული ცნობა, რომლის თანახმად მსჯავრდებულმა სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღო გარკვეულ დღესა და საათზე, სარწმუნოდ ვერ ადასტურებს მსჯავრდებულისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ.

საქმის მასალებით არ დგინდება მსჯავრდებულის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ზუსტი თარიღი, რის გამოც სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ დარღვეულად (სუსგ. 2005 წ, №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 36-37).

ამრიგად, სსსკ-ის 74-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლო უწყების ჩაბარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, მათში მითითებული პირებისათვის ამგვარი უწყების ჩაბარების შესაძლებლობის სახით. **ნორმის მიზანია** სამოქალაქო საქმის განხილვის დაჩქარება. ამით ეს ნორმა ხელს უწყობს სამოქალაქო სამართალწარმოების ისეთი ამოცანის მიღწევას, როგორიც არის სამოქალაქო საქმის დროულად განხილვა და გადაწყვეტა.

თუ ადრესატმა ან სსსკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულმა სუბიექტმა, გარდა 75-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისისა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მაშინ უწყების მიმტანი (ჩამბარაბელი) სათანადო (შესაბამის) აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, ასევე შეუძლია შეადგინოს აქტი იმის თაობაზე, რომ ადრესატი უარს აცხადებს უწყების მიღებაზე და ხელის მოწერაზე, რომელიც უბრუნდება სასამართლოს. ადრესატის მიერ შეცდომის დაშვება ასევე აღინიშნება გზავნილზე. ერთ-ერთ საქმეზე მითითებულია: კურიერის მიერ შედგენილი აქტი იმის შესახებ, რომ მხარეს შეცდომით აქვს გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღი მითითებული, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან აღნიშნული აქტი კანონით დადგენილი წესით არ არის შედგენილი. ადრესატის მიერ შეცდომის დაშვების შემთხვევაში, კურიერს სათანადო აღნიშვნა უნდა გაეკეთებინა გზავნილზე ამ მხარის თანდასწრებით. სსსკ-ით დადგენილი წესით ყველა შემთხვევაში, მათ შორის, ადრესატის მიერ უწყების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც, უწყების მიმტანმა პირმა სათანადო აღნიშვნა უნდა გააკეთოს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება სასამართლოს (75-ე მუხლი). ამდენად, მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს სასამართლოს გზავნილის მეორე ეგზემ-

პლარი და გასაჩივრების ვადის გამოთვლა უნდა დაიწყოს ამ დოკუმენტზე მითითებული თარიღიდან (სუსგ. 2005 წ. №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 46).

აღსანიშნავია, რომ უწყების მიღებაზე ადრესატის ან სსსკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სუბიექტის უარი უთანაბრდება უწყების ჩაბარებას და ამიტომ ასეთი უარი არ წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დამაბრკოლებელ ფაქტორს (გარემოებას), ანუ ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე (75-ე მუხლი). ეს არის უწყების მიღებაზე უარის თქმის შედეგი. მოცემული ნორმის **მიზანია** პროცესის მონაწილეთა მხრიდან მათი კუთვნილი საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების აღკვეთა. ამასთან, უწყების მიღებაზე სსსკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სუბიექტის უარის შემთხვევაში სასამართლო უწყება არ ჩაითვლება მოპასუხისთვის ჩაბარებულად, თუ მას პირველად ეგზავნება უწყება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უწყება გაგზავნილი იქნა მოპასუხის მიერ პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხარეები (პროცესის მონაწილენი) და მათი წარმომადგენლები ვალდებულნი არიან სასამართლოს აცნობონ საქმისწარმოების განმავლობაში ე.ი. საქმის წარმოების დაწყების შემდეგ თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ინფორმაციის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და, რაც მთავარია, ჩაბარებულად ჩაითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს (76-ე მუხლი).

მოცემული ნორმა გულისხმობს, რომ ეს პირები ინფორმირებული უნდა იყვნენ ამგვარი საქმის სასამართლოს წარმოებაში არსებობის შესახებ და მხოლოდ მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობისას სასამართლო უწყება ან სხვა სასამართლო შეტყობინება იგზავნება სასამართლოსთვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე (ადრესატის საცხოვრებელ ადგილზე ან ადგილსამყოფელზე) და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს ან არ იმყოფებოდეს. მოცემული ნორმა არ გულისხმობს სასამართლოს მიერ მის თვითნებურად გამოყენებას. **ნორმის მიზანია** სასამართლოს მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებებისა და გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ საქმის მონაწილე პირთა დროულად ინფორმირების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუკი მოპასუხე სარჩელში მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს, სასამართლო შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს მის სამუშაო ადგილზე.

სსსკ-ის 210-ე, 215–ე და 216-ე მუხლები ითვალისწინებენ სასამართლოს ვალდებულებას გადადოს საქმის განხილვა საქმის მონაწილე რომელიმე პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რომლის მიმართაც არ არსებობს მისი სათანადოდ ინფორმირების დამადასტურებელი მტკიცებულება, აგრეთვე სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სათანადოდ ინფორმირებული პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუკი ამ პირის გამოუცხადებლობის მიზეზი საპატიო მიზეზად იქნება მიჩნეული. საპატიოა თუ არა გამოუცხადებლობის მიზეზი, ეს სასამართლომ უნდა განსაზღვროს ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, რამეთუ გამოუცხადებლობის ყველა საპატიო მიზეზის კანონით ამომწურავად გათვალისწინება შეუძლებელია. სასამართლოს მოცემული უფლებამოსილება, ისევე როგორც სსსკ-ის 76-ე მუხლით განმტკიცებული სასამართლოს უფლება, ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი ჩათვალოს სათანადოდ დაბარებულად, სათანადოდ ინფორმირებულად, გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპიდან. თუკი სასამართლოს არ ექნებოდა დასახელებული უფლებამოსილებები, შეუძლებელი გახდებოდა სასამართლოს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება და მის მიერ პროცესის ხელმძღვანელობის ფუნქციის განხორციელება. მხარეს უფლება აქვს პირადად მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში. ამ უფლების

განხორციელების გარანტიას წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ კი, სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო დადგენილებების ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ შემოწმების პროცედურები და სასამართლო დადგენილებათა გაუქმების საფუძვლები.

ანალოგიური წესია დადგენილი 78-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია (დაუდგენელია), ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. საჯარო შეტყობინების შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლო შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. **ნორმის მიზანია** მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დაუშვებელია ამ ნორმის თვითნებურად გამოყენება.

ზემოაღნიშნული ნორმები **სამართლებრივ ფიქციებს** წარმოადგენენ.[1]

ეს იმას გულისხმობს, რომ ასეთ შემთხვევებში სასამართლო გამოდის იქიდან, რომ მხარეს სასამართლო წესით ეცნობა საქმის განხილვის შესახებ, თუმცა სინამდვილეში სასამართლო უწყებას არ მიუღწევია (უწყება არ მისულა) ადრესატამდე და ეს ფაქტი ცნობილია მოსამართლისათვის. ეს არის გამონაკლისი სსსკ-ის 210-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც სასამართლოს მთავარი სხდომის დასაწყებად სავალდებულოა მხარეთათვის (საქმის მონაწილეთათვის) საქმის განხილვის შესახებ შეტყობინება. ასეთი გამონაკლისების, ასეთი ფიქციების არსებობა ობიექტურად აუცილებელია, რამეთუ სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნება უფლების შესახებ დავის განხილვა, ანუ წინააღმდეგ შემთხვევაში დაბრკოლდება (შეფერხდება) საქმის განხილვა.

ფიქციების დაწესების არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაცულ იქნეს იმ მხარის უფლებები, ვისი უფლებებიც შეიძლება შეილახოს მეორე მხარის უდისციპლინობით.

ზემოთ დასახელებული სამართლებრივი ფიქციები განკუთვნილია (მოწოდებულია) იმისათვის, რომ გადაილახოს (დაძლეულ იქნეს) საქმის მონაწილეთა საპროცესო უდისციპლინობის ნეგატიური შედეგები, რამეთუ ფიქციები წარმოადგენენ თავისებურ იურიდილ სანქციებს (სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობას) სამართალწარმოების მონაწილეთა მიმართ.

სსსკ-ის 77-ე მუხლი ითვალისწინებს უწყების ჩაბარების წესს თანამონაწილეთათვის. კერძოდ, თუ საქმისწარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, მაშინ უწყება ჩაბარდება მას, რომელიც ვალდებულია თავის მხრივ ამის თაობაზე აცნობოს

---

[1] სამართალშემოქმედების მოცემულ ხერხს (საშუალებას) ხშირად იყენებდნენ ჯერ კიდევ რომის იურისტები. სამართლებრივი ფიქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრულ იურიდიულ (სამართლებრივ) შედეგებს კანონი უკავშირებს არარსებულ ფაქტებს და ფიქციის მნიშვნელობა, მისი აზრი და არსი გამოიხატება ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „თითქოს" „ვითომ", „თითქოს ასე ყოფილიყოს", „დავუშვათ", „ვივარაუდოთ", „წარმოვიდგინოთ". ამგვარი ხერხის დახმარებით კანონმდებელი ისწრაფვის (ცდილობს) გადალახოს (დაძლიოს) მის მიერვე დადგენილი სამართლებრივი მოწესრიგების რეჟიმი. სამართლებრივი ფიქციები გამოხატულია სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომლიდან გამომდინარეც დადასტურებულად ჩაითვლება მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია თუ მეორე მხარე, არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, ფიქციას შეიცავს ასევე სსსკ-ის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და სხვა (ფიქციებთან დაკავშირებით იხილეთ: Зайцев И. Правовые фикции в гражданском процессе. // Российская Юстиция. №1, 1997.

სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის,რომელსაც მინდობილი აქვს საქმისწარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის. ამრიგად, აქ საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როცა საქმისწარმოება თანამონაწილეებმა ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდეს. აქედან გამომდინარე, თუ აღნიშნულს ადგილი არა აქვს, მაშინ უწყება ყველა თანამონაწილეს უნდა ჩაბარდეს.

თუ საქმეში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია, ამასთან საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი არა აქვს რომელიმე თანამონაწილეს, სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანისთვის ნიშნავს მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის უწყების ჩაბარებას. მოცემულ ნორმაში ჩვენი აზრით სავალდებულო თანამონაწილეობის შემთხვევა მოიაზრება.

§2. სასამართლო სხდომაზე პროცესის იმ მონაწილეთა გამოუცხადებლობის შედეგები, რომლებსაც სათანადო წესით გაეგზავნათ შეტყობინება საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ

სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოვლენისა და უფლებების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი ფორმაა საქმის მონაწილეების მიერ სასამართლოში გამოცხადებისაგან თავის არიდება.

საქმის განხილვის (სასამართლოს მთავარი სხდომის) დაწყებამდე, სასამართლოს სხდომის მდივანი ვალდებულია შეამოწმოს სასამართლოში გამოძახებული ყველა პირი თუ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. მან სასამართლოს უნდა მოახსენოს,თუ განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა,გამოუცხადებელ პირთაგან ვინ მიიღო უწყება და ვინ არ მიიღო იგი და რა მიზეზით; რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმები აიძულებენ საქმის მონაწილეთ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროცესში. მართალია, მხარე არ არის ვალდებული გამოცხადდეს პროცესზე, მაგრამ (სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში) ვალდებულია სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი და წარმოადგინოს იმის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც, რომ ეს მიზეზები საპატიოა. მართალია, საპროცესო კოდექსი პირდაპირ (სპეციალური მუხლით) არ ავალდებულებს მხარეებს, რომ წარმოადგინონ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგრამ, თუ მხარეები სასამართლოს არ წარმოუდგენენ ასეთ მტკიცებულებებს და არ შეატყობინებენ გამოუცხადებლობის მიზეზებს, ამას შესაძლოა მათთვის არახელსაყრელი შედეგები მოჰყვეს; კერძოდ, საქმის განხილვა გაგრძელდეს ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად და გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია,რომ საქმის განხილვის გადადება (მათ შორის მხარის გამოუცხადებლობის გამო) მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაშია დასაშვები (საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლი). სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამას აცნობებს გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ახლად ჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღეს აცნობებენ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სსსკ-ის 229-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუს-

წრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მოპასუხე არ მოითხოვს (არ შუამდგომლობს) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რაც იწვევს პროცესის დამთავრებას (275-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი) და რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, მაშინ სასამართლო გადადებს საქმის განხილვას, ხოლო მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში – გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე,რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით,მოსარჩელეს შეუძლია იშუამდგომლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ასეთ დროს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, რომლებსაც გაეგზავნებათ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მაშინ სასამართლო სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინებით დაამთავრებს საქმისწარმოებას (275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტი), რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

გამოუცხადებლობას უთანაბრდება და შესაბამისად გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე (232-ე მუხლი).

მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობამ, რომელიც ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, არ უნდა შეაფერხოს საქმის განხილვა და არ უნდა გამოიწვიოს მისი გადადება.

თუ მხარის წარმომადგენელი ადვოკატია (მხარე ადვოკატითაა წარმოდგენილი), მოქმედებს იგივე წესი; კერძოდ, ადვოკატის გადატვირთული სამუშაო გრაფიკი და სხვა პროცესებში ხანგრძლივი მონაწილეობა არ შეიძლება ჩაითვალოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად (ამ დებულებაში მეორე მხარის ინტერესებია გათვალისწინებული).

ამრიგად, მხარე თვითონაა ვალდებული, თუ თავისი სურვილით იყოლიებს წარმომადგენელს,უზრუნველყოს კიდეც მისი გამოცხადება სასამართლოში. მხარის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ,ისევე როგორც იმან,რომ მხარეს არ სურს პირადად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო სხდომაში,არ უნდა იქონიოს გავლენა საქმის მონაწილე სხვა პირთა უფლებებზე ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებაზე და განხილულ იქნეს მათი საქმეები სასამართლოს მიერ, შეჯიბრებით პროცესში.[1]

სსსკ-ის 145-ე მუხლის თანახმად, თუ პირი მოწმედაა დაბარებული, მაშინ იგი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში. თუ მოწმე არ გამოცხადდება სასამართლოში არასაპატიო მიზეზით,დაჯარიმდება. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებით მოყვანა (თუ მაგალითად, განმეორებით არ მოვიდა მოწმე და სხვ.).

თუ საქმეში ექსპერტიც მონაწილეობს, მაშინ იგი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში გამოძახებისთანავე. თუ ექსპერტი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სასამართლოში ,მის მიმართ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები (საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი).

მოწმის იძულებითი მოყვანის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელსაც აღასრულებს აღმასრულებელი, როგორც წესი, გამოცხადებისაგან თავის ამრიდებელი პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია სსსკ-ის 146-ე მუხლით დადგენილი მოწმის

[1] Жуйков В.М. Новое в гражданском процессуальном праве. // БВС.Р.Ф. 1996, # 3-5.

უფლება,მოითხოვოს სასამართლოში დაბარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს კი,შესაბამისად,შეუძლია დაავალოს იმას,ვინც იშუამდგომლა მოწმის დაბარება,წინასწარ გადაიხადოს მოწმის სასამართლოში დაბარებასა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში მოწმეს სასამართლო მას შემდეგ დაიბარებს,რაც მხარე შეასრულებს აღნიშნული ხარჯების გადახდის მოვალეობას.

§3. სასამართლოს მიერ საზღვარგარეთ მყოფ ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციებისათვის საქმის განხილვის შესახებ შეტყობინების თავისებურებანი

როგორც მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებითაა დადგენილი, სამართლებრივ დახმარებაში იგულისხმება იმ საპროცესო და სხვა მოქმედებების შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამდები (ხელშემკრელი) მხარეების კანონმდებლობით, კერძოდ, დოკუმენტების შედგენა, გადაგზავნა და ჩაბარება (გადაცემა).

საქართველო სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ დადებული მრავალი საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო) ხელშეკრულების მონაწილეა. სწორედ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით წესრიგდება სასამართლოებისა და ნოტარიატის ორგანოებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხები და ის, თუ რა წესით (როგორ) უნდა მიმართონ სამართლებრივი დახმარებისათვის ამ ორგანოებმა საზღვარგარეთის სახელმწიფოს იუსტიციის დაწესებულებებს (ორგანოებს), სხვა სახელმწიფოებს და, ვისი მეშვეობით, შესაბამისი დავების განხილვის დროს, რამეთუ საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა არ არსებობს ამ საკითხების მომწესრიგებელი სხვა ნორმატიული აქტი.

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განჩინება საზღვარგარეთ მყოფი მოპასუხის ინფორმირების შესახებ, საზღვარგარეთ აგზავნის არა თვითონ განჩინებას, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სასამართლო დავალებებსა და შეტყობინებებს, რომლებიც შედგენილია ნიმუშის შესაბამისად.

ზოგადი წესის მიხედვით, ყველა სასამართლო დავალება საზღვარგარეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით იგზავნება. საზღვარგარეთ ჩასაბარებელ (გადასაცემ) დოკუმენტს თან უნდა ახლდეს თარგმანი იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელსაც ეგზავნება შეკითხვა,მიმართვა (მოთხოვნა),გარდა იმ შემთხვევებისა,როცა მიმღები თანახმაა მისთვის გაგზავნილი დოკუმენტი თარგმანის გარეშე მიიღოს.

ამასთან, მაგალითად, თურქეთთან, ბულგარეთთან და საბერძნეთთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უშუალოდ უკავშირდება (ურთიერთობას ამყარებს) ამ სახელმწიფოთა შესაბამის ცენტრალურ იუსტიციის ორგანოებს.

სხვა სახელმწიფოთა იუსტიციის ორგანოები (დაწესებულებები) სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის დროს ერთმანეთს უკავშირდება (ერთმანეთთან ურთიერთობენ) დიპლომატიური წესით (დიპლომატიური არხებით); კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სასამართლო დავალებას აგზავნის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხოლო ეს უკანასკნელი საელჩოთა საკონსულო განყოფილებების მეშვეობით გადასცემს მათ დანიშნულების მიხედვით.

საზღვარგარეთ არსებულ საქართველოს ან უცხოეთის დაწესებულებებში მომუშავე საქართველოს მოქალაქეებისათვის და აგრეთვე მათთან ერთად მცხოვრები მათი ოჯახის წევრებისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყებები და სხვა დოკუმენტები იგზავნება იმ

ცენტრალური უწყებებისა და დაწესებულებების მეშვეობით, რომლებმაც ეს მოქალაქეები მიავლინეს საზღვარგარეთ სამუშაოდ.

საქართველოს მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები შეიძლება ითვალისწინებდეს სასამართლო დავალებათა შესრულების სხვადასხვა ვადას. სასამართლო დავალებათა შესრულების ვადის განმავლობაში სასამართლო უნდა დაელოდოს თავისი დავალების შესრულებას და, შესაბამისად, განსაზღვროს სასამართლო სხდომის თარიღი. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო დავალება ეგზავნება იმ სახელმწიფოს ორგანოებს, რომელიც მონაწილეობს ასეთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში, სასამართლოს დავალება საზღვარგარეთ იგზავნება არა უგვიანეს საერთაშორისო ხელშეკრულებაში მითითებული ვადისა საქმის განხილვის დღემდე.

უცხოეთის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სასამართლო და სხვა დოკუმენტების ჩაბარების წესი განისაზღვრება საქართველოს მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

საქართველო ჯერ-ჯერობით არ არის პროცესის საკითხებზე დადებული 1954 წლის ჰაგის კონვენციის მონაწილე.

თავი XX

სასამართლოს მთავარი სხდომა

§1. სამოქალაქო საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის სტადიის მნიშვნელობა.

სასამართლოს მთავარი სხდომის ჩატარების წესი

სამოქალაქო პროცესის სტადიათა შორის ცენტრალური ადგილი უკავია სასამართლო განხილვის სტადიას (მთავარ სხდომას), რამეთუ სწორედ ამ სტადიაზე პოვებს გამოხატულებას სრული მოცულობით და ნათლად მართლმსაჯულების ყველა პრინციპი. სწორედ ამ სტადიაზე ხორციელდება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნები და ამოცანები. კერძოდ, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის საფუძველზე დგინდება საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები (იურიდიული ფაქტები), რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადასაწყვეტად, კონკრეტული სამართალურთიერთობის ფარგლებში სასამართლო განსაზღვრავს, ადგენს მხარეთა იურიდიულ უფლება-მოვალეობებს (ხოლო თუ განმცხადებელია – მის კანონიერ ინტერესებს) და სახელმწიფოს სახელით გამოაქვს გადაწყვეტილება კონკრეტულ სადავო საკითხთან დაკავშირებით, ანუ საქმე წყდება არსებითად, წესრიგდება სამართლებრივი კონფლიქტი (მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა) და ხდება პირთა უფლებების აღდგენა. პრაქტიკულად, სწორედ ამ სტადიაზე ხორციელდება მართლმსაჯულება. სხვა სტადიებზე კი ან მხოლოდ საქმის მომზადება ხდება იმისათვის, რომ შემდეგ განხორციელდეს მართლმსაჯულება, ან ზემდგომი სასამართლო აკონტროლებს (ამოწმებს) საქმის განხილვის კანონიერებას და ა.შ.

პროცესის ეს სტადია სხვა სტადიათაგან განსხვავდება არა მარტო თავისი სპეციფიკური მიზნებით, არამედ მასში მონაწილე სუბიექტებითაც.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მონაწილეობენ პროცესის ის სუბიექტები, რომლებიც, როგორც წესი, სხვა სტადიებზე არ მონაწილეობენ, კერძოდ, ასეთი სუბიექტები არიან მოწმეები. რაც შეეხებათ ექსპერტებს, ისინი შეიძლება მონაწილეობდნენ ან საქმის მომზადების ან მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის სტადიაზე.

მთავარი სხდომის ჩატარების წესების თავისებურებებია: 1) სასამართლოს მთავარი სხდომის ეტაპები (სტადიები) ერთმანეთთან არის დაკავშირებული და მათ თანმიმდევრულობა ახასიათებთ; 2) სასამართლოს მთავარი სხდომის მთელ მსვლელობას (მხარეთა შეჯიბრებას) ხელმძღვანელობს სასამართლო; 3) საქმის მონაწილეთ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევისათვის; 4) სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინებები; 5) ამ სტადიაზე სრულად ვლინდება სამოქალაქო პროცესის ყველა პრინციპი; 6) სავალდებულოა სხდომის ოქმის შედგენა, რომელშიც აისახება საქმის განხილვის მთელი პროცესი. მთავარ სხდომაზე მიმდინარეობს მხარეთა შორის ზეპირი შეჯიბრება. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს (სსსკ-ის 207-ე მუხლი). ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 207-ე მუხლი არ ავალდებულებს მოსამართლეს მხარეთა თანხმობის შემთხვევაშიც კი საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, სასამართლომ საქმის განხილვის ფორმა უნდა შეარჩიოს ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით (საქა-

რთველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეზე №ას–254–579–09, 2009 წლის 30 აპრილი). მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს, მათ შორის, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდეს, ვიდეოკონფერენციის მეშვეობით.

საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სასამართლო, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას, სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს მხარეს, თუ ის არ არის კავშირში საქმესთან და ემსახურება პროცესის გაჭიანურებას ან თუ მხარე გადააცილებს სიტყვისთვის მისთვის განსაზღვრულ დროს; სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას; აუცილებლობის შემთხვევაში, საქმის განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე, სიტყვის დასრულებისათვის მხარეს განუსაზღვრავს დროს; იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს. სასამართლომ უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები, რათა საქმე (ყველა მტკიცებულება) ყოველმხრივ (სრულად და ობიექტურად) იქნეს გამოკვლეული (რისთვისაც აუცილებელია გარანტირებულ და უზრუნველყოფილ იქნეს შეჯიბრებითობის, თანასწორობის პრინციპები მტკიცების პროცესში), მხარეთა პაექრობა ზედმეტად არ გაჭიანურდეს და არ გართულდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად – ერთ სასამართლო სხდომაზე და თუ შესაძლებელია, შესვენების გარეშე. სამოქალაქო საქმის დროულად, სწრაფად განხილვა და გადაწყვეტა ნიშნავს საპროცესო მოქმედებების შესრულებისას კანონით დადგენილი ვადების დაცვას. სისწრაფე, ანუ დროულობა და სისწორე ურთიერთდაკავშირებული კატეგორიებია, რამეთუ ვადები დგინდება კანონის საფუძველზე. აღნიშნული კატეგორიების შინაარსის განსაზღვრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ევროკონვენციის მე-6 მუხლის დებულებებიც. საქმის გარემოებათა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევა კი სწორედ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ საქმის განხილვის (პროცესის წარმართვის) კანონით დადგენილ საპროცესო წესებს დაიცავს სასამართლო და პროცესის ყველა მონაწილესაც მოსთხოვს მათ დაცვას.

როგორც აღინიშნა, საქმის მონაწილეთ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევისათვის. კანონი კი მოითხოვს, რომ სასამართლო სხდომაზე დაცულ იქნეს სათანადო წესრიგი. ყველა ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას, იქნება ეს მხარე, წარმომადგენელი, მოწმე, სპეციალისტი, თარჯიმანი (ანუ პროცესის მონაწილე პირები), თუ უბრალოდ სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი პირი.

სასამართლო სხდომაზე სათანადო წესრიგის უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა აუცილებელ ღონისძიებას იღებს თავმჯდომარე (მოსამართლე) ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

სსსკ-ის 212-ე მუხლი ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს (პასუხისმგებლობას) სასამართლოს სხდომაზე წესრიგის დამრღვევთა მიმართ, მათ შორის დამრღვევის გაძევებასაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უფლებებთან ერთად პროცესის მონაწილეებსა და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ყველა პირს განსაზღვრულ ვალდებულებებსაც აკისრებს, მათ შორის სათანადო წესრიგის დაცვის ვალდებულებას. ხოლო თავმჯდომარეს, რომლის განკარგულებებიც სავალდებულოა პროცესის ნებისმიერი მონაწილისთვის და სხდომის დარბაზში მყოფი ნებისმიერი პირისთვის, აქვს წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულება. სხდომის დარბაზში წესრიგის დამრღვევი მხარის ან მისი წარმომადგენლის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევება ისეთ დამრღვევზე ზემოქმედების ერთ-ერთი ღონისძიებაა, რომელიც არ ემორჩილება თავმჯდომარის განკარგულებებს. მოცემული

ღონისძიების მიზანია წესრიგის უზრუნველყოფა ისეთ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებებით აღნიშნულის მიღწევა შეუძლებელია. გაძევება დამრღვევზე ზემოქმედების უკიდურესი ღონისძიებაა მხოლოდ, დაუშვებელია საპროცესო უფლებების რაიმე სახის თვითნებური, დაუსაბუთებელი ხელყოფა ან ამგვარადვე, გაძევებული წარმომადგენლის ნაცვლად სხვა პირის დაშვებაზე უარის თქმა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეილახება უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციური უფლება. მოცემული ნორმა გამოხატავს მარტოოდენ მხარის მიერ თავისი უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. **ნორმის მიზანია** მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების, სამოქალაქო პროცესში მონაწილე ყველა დაინტერესებული პირის უფლების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სხდომის დარბაზში მყოფი პირების მხრიდან სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის აღკვეთა.

მთელი სასამართლო განხილვის განმავლობაში სასამართლო პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტისას აფიქსირებს მხარეთა შესაბამის მოქმედებებს საპროცესო დოკუმენტებში (ოქმში), ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში მას გამოაქვს განჩინება.

მაგალითად, სასამართლოს (მოსამართლის), ექსპერტის, თარჯიმნის, სასამართლო სხდომის მდივნის აცილების საკითხები ფიქსირდება განჩინებაში (იხ. სსსკ-ის 29-36-ე, 214-ე მუხლები).

მხარეთა და მათ წარმომადგენელთა განცხადებები და შუამდგომლობები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენისა თუ გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მისი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე ანუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობის და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს (215-ე მუხლი).

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, მხარეთა მორიგება აგრეთვე ფიქსირდება სასამართლოს განჩინებაში.

როგორც აღინიშნა, სასამართლო განხილვის სტადიის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ აქ სრულად ვლინდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა პრინციპი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რამეთუ საქმის გარემოებათა სრული, ყოველმხრივი, ობიექტური გამორკვევა, მხარეთა უფლება-მოვალეობების დადგენა, შეუძლებელი იქნებოდა გარანტიათა შესაბამისი სისტემის არსებობის გარეშე.

§2. სასამართლოს მთავარი სხდომის შემადგენელი ნაწილები

სამოქალაქო საქმე სასამართლოს მთავარ სხდომაზე განიხილება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და თანმიმდევრობით. კერძოდ, საქმის განხილვის სტადია (სასამართლოს მთავარი სხდომა) შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1) მოსამზადებელი ნაწილი; 2) საქმის გარემოებათა გამოკვლევა (საქმის არსებითად განხილვა); 3) სასამართლო კამათი; 4) გადაწყვეტილების მიღება და გამოცხადება.

თითოეულ ნაწილს გააჩნია თავისი სპეციფიკური ამოცანა, თავისი შინაარსი, ადგილი სასამართლო განხილვაში და თითოეული განკუთვნილია მხოლოდ განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად. ყველა ეს ნაწილი, მართალია, გარკვეულწილად დამოუკიდებელია, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ისინი თანმიმდევრულად ცვლიან ერთიმეორეს.

1. სასამართლოს მთავარი სხდომის მოსამზადებელი ნაწილი. საქმის განხილვის (მთავარი სხდომის) მოსამზადებელი ნაწილი საპროცესო მოქმედებათა სისტემაა,რომელთა ამოცანაა გაირკვეს საქმის არსებითად განხილვის შესაძლებლობა.

მოსამზადებელ ნაწილში სასამართლოს ამოცანაა, გაარკვიოს,არსებობს თუ არა მოცემულ სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განხილვისათვის აუცილებელი პირობები. ამისათვის კი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ორი ძირითადი საკითხი:

1) შესაძლებელია თუ არა საქმე განიხილოს სასამართლოს მოცემულმა შემადგენლობამ;

2) შესაძლებელია თუ არა საქმის მოსმენა,თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა საქმის მონაწილე პირთაგან რომელიმე მხარე.

ამ საკითხების გადასაწყვეტად სასამართლო სხდომის მოსამზადებელ ნაწილში, სასამართლოს მიერ შესასრულებელი საპროცესო მოქმედებებია: 1) სასამართლოს მთავარი სხდომის გახსნა; 2) პროცესის მონაწილეთა გამოცხადების შემოწმება; 3) თარჯიმნისათვის მისი მოვალეობების განმარტება; 4) სასამართლო სხდომის დარბაზიდან მოწმეთა გაყვანა; 5) სასამართლო შემადგენლობის გამოცხადება და აცილების უფლების განმარტება; 6) საქმის მონაწილეთათვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტება; 7) სასამართლო სხდომაზე საქმის მონაწილეთა და წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; 8) სასამართლო სხდომაზე მოწმეთა და ექსპერტთა გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; 9) ექსპერტისათვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტება.

საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს სასამართლო შემოდის სხდომის დარბაზში. მოსამართლე, ხოლო თუ საქმეს იხილავს კოლეგიური სასამართლო, ამ სასამართლოს თავმჯდომარე, ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე იქნება განხილული (210-ე მუხლი). ეს ნორმა კოდექსის სხვა ნორმებთან სისტემურ კავშირში წარმოადგენს უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციური უფლების განხორციელების საპროცესო გარანტიას. შემდგომ ამისა,სასამართლოს სხდომის მდივანი ვალდებულია მოახსენოს სასამართლოს განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან თუ ვინ გამოცხადდა, ჩაბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს უწყებები 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. სასამართლომ დოკუმენტების მიხედვით უნდა დაადგინოს გამოცხადებულთა ვინაობა (მოწმეთა გარდა), აგრეთვე შეამოწმოს წარმომადგენელთა უფლებამოსილება. სასამართლო აფრთხილებს პროცესის მონაწილეებსაც და სხდომაზე დამსწრე პირებსაც წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლოს სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების თაობაზე. ამის შემდეგ მოწმეები ტოვებენ სხდომის დარბაზს. პრაქტიკაში, ამ საპროცესო მოქმედებებს ხშირად პირადად თავმჯდომარე (მოსამართლე) ასრულებს. უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (მინდობილობა, ორდერი) საქმეს უნდა დაერთოს.

გამოცხადებულთა ვინაობის გარკვევაში იგულისხმება,რომ სასამართლომ უნდა გაარკვიოს ამ პირთა გვარი, სახელი, დაბადების წელი, საცხოვრებელი და საქმიანობის (სამუშაო) ადგილი და ა.შ. თუ მხარე ფიზიკური პირია, გარდა ზემოაღნიშნულისა, საჭიროა სხვა მონაცემთა ცოდნაც,რომელთაც,შესაძლოა,ჰქონდეთ მნიშვნელობა საქმის გადაწყვეტისათვის (მაგალითად, ალიმენტების გადახდევინების შესახებ სარჩელებზე საჭიროა სასამართლომ იცოდეს მხარის ოჯახური მდგომარეობა და ხელფასის ოდენობა). თუ პროცესში წარმომადგენელი მონაწილეობს,მაშინ უნდა დადგინდეს მისი უფლებამოსილების მოცულობა და ასევე განისაზღვრება ის გარემოებებიც, რომელიც გამორიცხავს მის მონაწილეობას პროცესში (მაგ. სსსკ-ის 95-ე მუხლი).

ექსპერტთან მიმართებაში სასამართლომ უნდა გაარკვიოს მისი პროფესიონალური

კომპეტენციის დონე, ე.ი. უნდა არსებობდეს ცნობები მისი განათლების, დაკავებული თანამდებობისა და სპეციალობით მუშაობის სტაჟის შესახებ.

მოწმეთა პიროვნება ირკვევა (დგინდება) უშუალოდ თითოეული მათგანის დაკითხვის წინ (დაკითხვამდე), ამასთან, სასამართლო არკვევს საქმის მონაწილეებთან მოწმის დამოკიდებულებას (ნათესაურსა თუ სხვაგვარ ურთიერთობებს).

სხდომაზე გამოცხადებულმა მოწმეებმა მათ დაკითხვამდე უნდა დატოვონ სასამართლო სხდომის დარბაზი, რამეთუ დაუშვებელია იმ პირის მოწმედ დაკითხვა, ვინც ესწრებოდა სასამართლო სხდომას (საქმის განხილვას), ანუ იმყოფებოდა სასამართლო სხდომის დარბაზში. მოწმეებს განემარტებათ, რომ მათ გამოიძახებენ სასამართლო სხდომის დარბაზში ჩვენებათა მისაცემად. თავმჯდომარე (მოსამართლე) იღებს ზომებს, რომ სასამართლოს მიერ დაკითხულ მოწმეებს არ ჰქონდეთ ურთიერთობა იმ მოწმეებთან, რომლებიც ჯერ არ არიან დაკითხული. კანონი (149-ე მუხლი) არ გამორიცხავს მოწმის განმეორებით დაკითხვას, თუმცა მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ განმეორებითი ჩვენება მოწმემ შესაძლოა სასამართლოს მისცეს მისთვის ცნობილი სხვა მოწმეების ჩვენებების გავლენით.

თუ საქმეში მონაწილეობს სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირი, მაშინ სასამართლომ უნდა გაარკვიოს, გამოცხადდა თუ არა თარჯიმანი, რამეთუ აუცილებელია ასეთ პირს მისთვის გასაგებ (მის მშობლიურ) ენაზე ეთარგმნოს სასამართლოს ყველა მოქმედება, მხარეთა სიტყვები და ა.შ. პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხია და, ამასთან, კანონის დონეზე არ არის გადაწყვეტილი (მოწესრიგებული) საკითხი იმის შესახებ, ვინ და რა დოკუმენტის თუ დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს თარჯიმნად. სწორედ ამიტომ, სასამართლო სხდომის გახსნისას, აუცილებელია სასამართლომ გადაწყვიტოს თარჯიმნის მოწვევის საკითხი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

საქმის განხილვა თარჯიმნის გარეშე, როცა მისი მონაწილეობა აუცილებელია, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევაა და გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეცნობა თუ არა თარჯიმანს კანონით დადგენილი წესით სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ.

პროცესის მონაწილეთა გამოცხადების შემოწმების შემდეგ, მოსამართლემ, პირველ რიგში, თარჯიმანს უნდა განუმარტოს მისი მოვალეობა, თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ხოლო ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები.

სასამართლო განხილვის დაწყებისთანავე ამ მოქმედების შესრულება სასამართლოს მიერ იმით აიხსნება, რომ კანონმდებელი ისწრაფვის, რათა სრულიად გამოირიცხოს იმ არასასურველი შედეგების დადგომის შესაძლებლობა, რომლებიც, შესაძლოა, განპირობებული იყოს სამართალწარმოების ენის არცოდნით.

სასამართლო აფრთხილებს თარჯიმანს, რომ შეგნებულად არასწორი თარგმანისათვის იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით. თუ თარჯიმანი არ გამოცხადდება სასამართლოში არასაპატიო მიზეზით, ან თავს აარიდებს მოვალეობის შესრულებას, იგი დაჯარიმდება.

ამ მოქმედებათა შესრულების შემდეგ თავჯდომარე (მოსამართლე) აცხადებს სასამართლო შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, სასამართლო სხდომის მდივნად და, ამასთან, ამ პირთა პერსონიფიკაციასთან ერთად განუმარტავს მხარეებს, სსსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებულ საპროცესო უფლება-მოვალეობებს, ასევე იმას, რომ მათ შეუძლიათ განაცხადონ აცილება, თუ ასეთი აცილება,

საპატიო მიზეზით, არ იყო განცხადებული საქმის მომზადების სტადიაზე, ან თუ საქმეს იხილავს სხვა მოსამართლე, ან სასამართლოს სხვა შემადგენლობა და არა ის, რომელიც, ცნობილი იყო ამ საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს (214-ე მუხლი).

როგორც ჩანს, აცილების უფლება მხარეებს განემარტებათ ისეთი თანმიმდევრობით (ისეთ დროსა და ეტაპზე), რომ ასეთ დროს მოწმეები არ უნდა იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში. აცილების უფლება განემარტებათ მხოლოდ მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, თუკი სასამართლო ამ მოქმედებას შეასრულებდა მოწმეთა თანდასწრებით, მაშინ მხარეების მიერ დასახელებულმა აცილების საფუძვლებმა, აგრეთვე, შესაძლო უარის თქმამ განცხადებული აცილების დაკმაყოფილებაზე, შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოწმეთა ჩვენების ობიექტურობაზე. ეს რომ ასე არ მოხდეს, სწორედ ამიტომ ასრულებს სასამართლო ამ თანმიმდევრობით აღნიშნულ საპროცესო მოქმედებებს.[1]

მართლმსაჯულების (პროცესის) პრინციპები ობიექტურ მიდგომას მოითხოვს სამოქალაქო საქმეთა განხილვისადმი. კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო აქტის გამოტანის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია, რომ სამოქალაქო პროცესის მონაწილენი, რომლებსაც სახელმწიფო ანიჭებს უფლებას და აკისრებს მოვალეობას, განიხილოს და გადაწყვიტოს სამოქალაქო საქმე (მათ მიეკუთვნებიან მოსამართლეები და ზოგადად სასამართლო), ან დააფიქსირონ სასამართლო განხილვის პროცესი, საპროცესო მოქმედებები (სხდომის მდივანი), ან დიდი გავლენა იქონიონ საქმის არსებითად გადაწყვეტაზე (ექსპერტები, თარჯიმნები, სპეციალისტები), ობიექტურნი და მიუკერძოებელნი იყვნენ.

ამიტომ უდავოა, რომ **აცილების უფლება** განსაკუთრებული საპროცესო ინსტიტუტია, რომლის ერთ-ერთი მიზანია შეუქმნას მხარეებსა და სხვა პირებს იმისი რწმენა, რომ საქმე განხილული და გადაწყვეტილი იქნება ობიექტურად და მიუკერძოებლად. №2ბ/1691-09 საქმეზე მიღებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ განმარტა: „სამართლიანი სასამართლოს უფლების სტანდარტი მოითხოვს, რომ დაუშვებელია მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ მის მიმართ არ არის ნდობა. „მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება" გულისხმობს უფლებას ობიექტურად მიუკერძოებელ და ამასთანავე, ნდობით აღჭურვილ სასამართლოზე. სასამართლოს მიუკერძოებლობის დადგენისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება – სუბიექტური მხარე, არამედ ისიც, უზრუნველყოფილია თუ არა საკმარისი გარანტიები იმისათვის, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი კანონიერი ეჭვი – ობიექტური მხარე. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ თუ მხარე ისეთ კონკრეტულ ფაქტებზე მიუთითებს, რომლებიც თავისთავად (ობიექტურად) ბადებენ ეჭვს მოსამართლის მოუკერძოებლობაში, მოსამართლე ჩამოცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან... აცილების საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლის განწყობას, მის შინაგან ფსიქოლოგიურ მდგომარეობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ გადაწყვეტია, რომ მხარის მიერ მითითებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება თავისთავად ბადებდეს ეჭვს მოსამართლის მიუკერძოებლობაში."

მოსამართლისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა პირთა აცილების საფუძვლები და წესი მკაფიოდ არის განსაზღვრული კანონით.

აცილების საფუძვლების (სსსკ-ის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებში მითითებული გარემოებების) არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება (სსსკ-ის 32-ე მუხლი), ან იგი აცილებულ იქნება მხარეთა წერილობითი განცხადებით (33-ე მუხლი). რაც შეეხება ექსპერტს, თარჯიმანს, სპეციალისტსა და სხდომის მდივანს, მათ

[1] Гражданский процесс. Учебник. Под рсд. В.А. Мусина, Н.А. Чечиной, Д.М. Чечота. М., 1998, გვ. 240.

კანონი არ აკისრებს თვითაცილების განცხადების ვალდებულებას, ისინი აცილებულ იქნებიან დაინტერესებული პირების წერილობითი განცხადებით. მოსამართლე, ექსპერტი, თარჯიმანი, სპეციალისტი და სხდომის მდივანი აცილებულ იქნებიან, თუ სახეზეა რაიმე გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მათ მიუკერძოებლობაში, ვთქვათ, საქმის შედეგით პირადად, პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება, მხარესთან ან მის წარმომადგენელთან ნათესაურ კავშირში ყოფნა და ა.შ.

განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ (დასაბუთებული) უნდა იქნეს და გაცხადდეს საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე. დაგვიანებით განცხადება აცილების თაობაზე დაიშვება მხოლოდ ორ შემთხვევაში, კერძოდ, თუ აცილების საფუძველი იმისათვის, ვინც აცილებას მოითხოვს ა) ცნობილი გახდა, ან ბ) წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე (33-ე მუხლი). ამ საკითხს ეხება 214-ე მუხლიც, რომლიდან გამომდინარეც, აცილების შესახებ შემდგომი (დაგვიანებული) განცხადება დაიშვება, თუ ასეთი აცილება საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, ან თუ საქმეს იხილავს სხვა მოსამართლე ან სასამართლოს სხვა შემადგენლობა, და არა ის, რომელიც ცნობილი იყო ამ საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. ის, ვინც აცილების შესახებ შუამდგომლობს, ვალდებულია წარადგინოს მტკიცებულებები ამ შუამდგომლობის დასადასტურებლად და დაასაბუთოს, თუ რა მიზეზით ვერ შეძლო მან დროულად განეცხადებინა შუამდგომლობა აცილების შესახებ. მაგალითად, შეიძლება გამოიკვეთოს ზოგიერთი მონაწილის (ექსპერტის, თარჯიმნისა და სხვა) დაინტერესება საქმის შედეგით, რაც გამოვლინდა შემდგომში, საქმის განხილვის სტადიაზე, რომლის შესახებაც განმცხადებელმა ადრე არ იცოდა.

როგორც ჩანს, განცხადება აცილების შესახებ დაიშვება მხოლოდ წერილობითი ფორმით (33-ე მუხლი).

როცა აცილების საკითხებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სსსკ 29-ე მუხლი, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობას. ამასთან, საპროცესო კოდექსის მიხედვით, საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის შესახებ საკითხი უნდა გადაწყდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ სასამართლოში (რომელ ინსტანციაში) იხილავდა იგი ადრე ამ საქმეს. კერძოდ, თუ მოსამართლე მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა მოსამართლეს განმეორებით მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, თუ იგი პირველი ინსტანციით იხილავდა ამ საქმეს და სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება და დაუბრუნა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად? მხედველობაშია მისაღები სსსკ 412-ე მუხლიც, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნოს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას. უნდა ითქვას, **რომ სსსკ 29-ე მუხლი მოსამართლეს უკრძალავს მონაწილეობის მიღებას საქმის განხილვაში სხვა ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, ერთსა და იმავე ინსტანციის სასამართლოში არ**

კრძალავს ერთი და იმავე მოსამართლის მონაწილეობას ერთი და იგივე საქმის განხილვაში.

აღსანიშნავია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გაბათილდეს, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში, ანუ საქმის განხილვაში (422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ა'' პუნქტი), ხოლო 428-ე მუხლის თანახმად, როგორც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ისე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვაში დაუშვებელია იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელსაც კანონის მიხედვით არ უნდა მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში და იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს განცხადების განხილვისაგან.

სსსკ 394-ე მუხლის თანახმად კი, რომელშიც ჩამოთვლილია საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლები, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი გამოიტანეს იმ მოსამართლეებმა, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ.

ყურადსაღებია ასევე სსსკ 30-ე მუხლი, რომლის ანალიზიდან გამომდინარეც შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუ სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში აღმოჩნდებიან ერთმანეთის ახლო ნათესავები, მაშინ ყველა ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას და არა რომელიმე მათგანი.

29-ე და 30-ე მუხლების გარდა, მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები გათვალისწინებულია სსსკ 31-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად. ანალოგიური საფუძვლების გავრცელება დასაშვებია ასევე ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილების საკითხის გადაწყვეტისას. ექსპერტმა, ამ საფუძვლების გარდა, სსსკ 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ასევე უარი უნდა თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ მას არა აქვს სათანადო ცოდნა (კომპეტენტურობა) დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

როგორც ვხედავთ, სსსკ 31-ე მუხლი შეიცავს სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მნიშვნელოვან გარანტიებს. სასამართლო პრაქტიკაში აცილების ყველაზე უფრო ხშირი საფუძველია საქმის შედეგით პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესების ვარაუდი, ან ,,სხვა გარემოებების'' არსებობა, რომლებიც ეჭვს იწვევენ მოსამართლის ობიექტურობაში. მოსამართლე პირდაპირ შეიძლება დაინტერესებული იყოს იმ შემთხვევაში, როცა მას შეუძლია, მაგალითად, მიიღოს რაიმე უშუალო სარგებელი საქმის მისთვის ხელსაყრელად გადაწყვეტით. ,,სხვა გარემოებები'', რომელიც საფუძველს იძლევა მოსამართლის ობიექტურობაში დასაეჭვებლად, ესაა, მაგალითად, მეგობრული ან კიდევ, პირიქით, მოსამართლის მტრული ურთიერთობა ერთ-ერთ მხარესთან და ა.შ.

კანონში არ არის და ვერც იქნება ჩამოთვლილი აცილების ყველა შესაძლო საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოცემულია მხოლოდ პრინციპული ხასიათის ზოგადი ფორმულირება. იმან, ვინც განაცხადა აცილების შესახებ, უნდა დაასახელოს კონკრეტული ფაქტები, რომელიც საფუძველს იძლევა, რომ აუცილებლად გამოყენებულ იქნეს აცილების საკითხის მომწესრიგებელი ნორმები. ამ ნორმების გამოყენება, მაგალითად აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ წინასწარ, ჯერ კიდევ საქმის განხილვამდე

(გადაწყვეტამდე), გამოთქვა თავისი აზრი ამ საქმის ირგვლივ და ამითი განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება საქმის შედეგის მიმართ ან როცა საქმის შედეგი შეიძლება შეეხოს თვითონ მოსამართლეს ან მისთვის ახლობელი ადამიანების ინტერესებს. მოსამართლის აცილების საფუძველია ნათესაურ კავშირში ყოფნის ფაქტი როგორც საქმის მონაწილეებთან, ისე საქმის შედეგით დაინტერესებული რომელიმე პირის წარმომადგენელთან.

სსსკ 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ მოსამართლეები, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ მოცემული საქმის განხილვაში რომელიმე სხვა საპროცესო სახით ან ეკავათ პროცესში სხვა საპროცესო მდგომარეობა. მოცემული ნორმა კრძალავს აგრეთვე ერთდროულად მოსამართლისა და პროცესის ნებისმიერი სხვა მონაწილის ვალდებულების შესრულებას.

საპროცესო ნორმებიდან გამომდინარე, აცილების განცხადების უფლება აქვთ მხარეებს, მესამე პირებსა და წარმომადგენლებს.

თუ სასამართლო შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ მხარე დააყენებს აცილების საკითხს, მაშინ ეს საკითხი მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს სსსკ 34-ე მუხლით დადგენილი წესით. კერძოდ, აცილების განცხადების შემდეგ სასამართლომ შეიძლება მოუსმინოს საქმის მონაწილეებს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც განაცხადეს აცილება.

სასამართლო აცილების საკითხს წყვეტს ადგილზე მოთათბირებით, ან სათათბირო ოთახში.

ისმის კითხვა: რა შედეგები მოჰყვება აცილების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებას?

ამ საკითხზე პასუხს იძლევა სსსკ 34-ე მუხლი.

კანონის (სსსკ-ის 36-ე მუხლის) ანალიზი ცხადყოფს, რომ აცილების თაობაზე სასამართლო განჩინება ცალკე არ გასაჩივრდება, არამედ ის საჩივრდება სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად სსსკ-ის 377-ე და 404-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თუ აცილება არ იყო განცხადებული ან აცილების (თვითაცილების) შესახებ განცხადება არ დაკმაყოფილდა იმის გამო, რომ იგი დაუსაბუთებელია, მაშინ, ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე არკვევს, ხომ არა აქვთ მხარეებს რაიმე შუამდგომლობა ან განცხადება. შუამდგომლობებისა და განცხადებების წარდგენისა და განხილვის წესი დადგენილია საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით. მოცემული ნორმის თანახმად, შუამდგომლობა მთავარ სხდომაზე სასამართლოს წაედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლოს სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული: მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს, მხოლოდ იმ გარემოებებს, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში ასახულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი მოთხოვნები სასამართლოს ერთად წარედგინება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას. თუ მოსამართლე მიიჩნევს რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობას (მაგალითად, შუამდგომლობის მოხსნის შემდეგ კიდევ განაგრძნობს შუამდგომლობის დაყენებას), იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობის დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდფეგ სტადიაზე. მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასე შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სა-

სამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, თუ ჩაითვლება საპატიო მიზეზად. 215-ე მუხლით გათვალისწინებულ შუამდგომლობათა და განცხადებათა მოხსნის, შუამდგომლობის დაყენების უფლების ჩამორთმევის, განხილვაზე უარის თქმის, ასევე დაკმაყოფილების ან ასეთ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლომ უნდა გამოიტანოს საოქმო განჩინება.

ვფიქრობთ, რომ 215-ე მუხლით დადგენილი წესი სრულიად გამართლებულია, რამეთუ იგი პასუხობს საპროცესო ეკონომიის პრინციპს. ამასთან, იგი ხელს უშლის არაკეთილსინდისიერ მხარეს პროცესის გაჭიანურებაში, ხელს უწყობს საქმის დროულად განხილვას და მხარეებს ავალდებულებს, რომ შესაბამისი საპროცესო მოქმედებები ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე შეასრულონ.

აღსანიშნავია, რომ საქმე ყოველთვის როდი შეიძლება დამთავრდეს ერთ სხდომაზე (პირველივე სხდომაზე).

ამიტომ, ვიდრე სასამართლო საქმის განხილვას შეუდგებოდეს, მან კიდევ ერთი საკითხი უნდა გადაწყვიტოს, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა საქმის განხილვა (საქმის მოსმენა) მხარეების, მათი წარმომადგენლების გარეშე, ანუ უნდა გაირკვეს, ხომ არ არსებობს საქმის განხილვის გადადების საფუძველი. საქმის განხილვის გადადება ნიშნავს, რომ საქმის არსებითად განხილვა გადაიდება სხვა სასამართლო სხდომისათვის, რომლის დღესა და საათს ნიშნავს სასამართლო (საკმარისია საოქმო განჩინება ანუ ოქმში ამისი ფიქსირება).

აქვე უნდა ითქვას, რომ სსსკ 216-ე მუხლი, რომელიც საქმის განხილვის გადადების საკითხს ეხება, ძალზე ზოგადია და მასში აღნიშნულია, რომ საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გონივრული ვადით. ხოლო თუ საქმე გადაიდება, მაშინ ამის შემდეგ მისი განხილვა გაგრძელდება (განახლდება) დანიშნულ დღესა და დროს იმ ეტაპიდან, რომელზედაც მოხდა მისი გადადება. სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. შეიძლება დასახელდეს საქმის გადადების შემთხვევები. მაგალითად, სსსკ 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, მაშინ სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. ასევე, საქმე შეიძლება გადადოს სასამართლომ არა უმეტეს 6 თვით მაშინაც, როცა მეუღლეთა განქორწინების საქმეს იხილავს, შეიძლება სხვა უამრავი მაგალითის დასახელებაც. მაგრამ პროცესზე ამა თუ იმ მხარის გამოუცხადებლობა, ყოველთვის როდი შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი. ასეთ დროს სასამართლომ უნდა გაარკვიოს, რამდენად იყო დაცული მხარისათვის საქმის განხილვის დროისა და ადგილის შეტყობინებისას სსსკ 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული (დადგენილი) წესები.

სასამართლო სხდომაზე მხარისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შედეგი, შესაძლოა, სრულიად სხვადასხვაგვარი იყოს და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ მათი გამოუცხადებლობის რა მიზეზი არსებობს და მოეპოვება თუ არა სასამართლოს ცნობები მხარეთათვის უწყების ჩაბარების შესახებ. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა რომელიმე მხარე და არ არსებობს არანაირი ცნობა, რომ მხარეს შეატყობინეს სხდომის დრო, მაშინ საქმის განხილვა გადაიდება.

სსსკ 233-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ ,,გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით". ამ გარემოების არსებობისას სასამართლო საქმის განხილვას სხვა დროისათვის ნიშნავს, ანუ გადადებს.

გარდა ამისა, შესაძლოა, მხარეები სათანადოდაც იყვნენ გაფრთხილებული სხდომის შესახებ, მაგრამ სასამართლომ გადადოს საქმის განხილვა იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზის შედეგია. ცხადია, ამიტომ მხარეები ვალდებული

არიან, დროულად აცნობონ სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები და წარმოადგინონ მტკიცებულებებიც (ამასთან წინასწარ) ასეთი საპატიო მიზეზების არსებობის შესახებ. თუ მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი არ გამოცხადდნენ, სასამართლოს მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ გამოაქვს განჩინება, სასამართლო განხილვის გაგრძელებისა და გამოუცხადებელ პირთა მიმართ ზომების მიღების ან სასამართლო განხილვის გადადების შესახებ. სასამართლო განხილვა გაგრძელდება, თუ აღნიშნულ პირთა გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. მოწმისა და ექსპერტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ შესაბამისად სსსკ 145-ე და 168-ე მუხლებით.

რაც შეეხება თარჯიმანს, თუ პროცესზე არ გამოცხადდა იგი, როცა მართლაც ნამდვილად საჭიროა მისი იქ ყოფნა, მაშინ მის გარეშე საქმის განხილვა დაუშვებელია.

საქმის განხილვის გადადებისას სასამართლო დანიშნავს დღეს ახალი სასამართლო სხდომისათვის და ამას აცნობებს გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ხელახლა ჩაბმულ პირებს კი ახალი სასამართლო სხდომის დღეს აცნობებენ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია განიხილოს საქმე ან/და მიიღოს გადაწყვეტილება არასამუშაო დროს, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეებში.

2. საქმის არსებითად განხილვა (საქმის არსებითად განხილვის დაწყება). სსსკ 217-ე მუხლის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის დაწყებისას პირველად სასამართლო ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ საქმის მორიგებით დამთავრება, რის შემდეგაც მოსამართლე მოახსენებს სასამართლოს საქმის შესახებ. მოხსენება უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მასალებს (საქმეში არსებულ მასალებში იგულისხმება ოქმიც. როცა მაგალითად, ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, ეს შეიძლება იყოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი).

მოსამართლემ თავის მოხსენებაში მოკლედ უნდა გადმოსცეს (ჩამოაყალიბოს) სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ძირითადი გარემოებები:

ა) ვინ, ვის მიმართ და რა მოთხოვნები განაცხადა, ასევე ამ მოთხოვნათა საფუძველი (ფაქტები);

ბ) მოპასუხის წერილობითი შესაგებელი. მოსამართლემ უნდა მოახსენოს (გადმოსცეს) მისი არსი, ფაქტები, რომლებიც საფუძვლიანად დაედო მოპასუხის შესაგებელს;

გ) ფაქტები, რომლებზედაც მხარეები არ დავობენ;

დ) ფაქტები, რომლებიც სადავოა;

ე) საქმეში არსებული მტკიცებულებები.

საქმის მოხსენების არსი ისაა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქმის განხილვის საჯაროობა (საქვეყნოობა). მართალია, თვითონ მხარეები ყველაზე უკეთ იცნობენ საქმის არსს, ერთმანეთის პოზიციებს და ა.შ., რის გამოც მათ თითქოს არც სჭირდებათ საქმის გარემოებათა შეხსენება, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პროცესი ღიაა, მას (სხდომას) ესწრებიან გარეშე პირებიც, ხოლო პროცესის საქვეყნოობა იმასაც გულისხმობს, რომ დამსწრე პირებისთვისაც ცნობილი იყოს საქმის არსი და გარემოებები.

ცხადია, საქმის ნათლად და ზუსტად მოხსენება იმის საფუძველია, რომ სწორი მიმართულებით წარიმართოს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა. მოსამართლე საქმის მოხსენების შემდეგ ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ რაიმეს დამატება ან/და დაზუსტება.

მოსამართლის მიერ საქმის მოხსენების დამთავრების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა. მოსამართლე მხარეს სიტყვისათვის ან/და საქმის განხილვის თითოეული ეტაპისათვის განუსაზღვრავს დროს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.

სსსკ-ის 217-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის რიგითობას (თანმიმდევრობას): პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მოსარჩელის მოთხოვნა, რა გარემოებებს ემყარება ეს მოთხოვნა, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნებს და უარს ხომ არ ამბობს სარჩელზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვ.

შემდეგ სასამართლო მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მოპასუხის შესაგებელი, ხომ არ ცნობს სარჩელს, ან ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

საყურადღებოა სსსკ-ის 218-ე მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლომ ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ". საქმის მორიგებითი დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. მოსამართლეს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს მედიატორისათვის საქმის გადაცემის გზით დავის შეთანხმებით დასრულების შესაძლებლობა.

თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე ან მხარეები მორიგდნენ, მაშინ სასამართლომ უნდა განუმარტოს მხარეებს სარჩელზე უარის თქმის ან მორიგების სამართლებრივი შედეგები (კერძოდ, 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი, 272-ე მუხლის „ბ", „გ" და „დ" ქვეპუნქტები, ასევე „სააღსრულებო წარმოებათა" კანონის მე-2 მუხლი, რომლის თანახმადაც იძულებით აღსრულებას ექვემდებარება სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგება). ეს საკითხები სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, განჩინების გამოტანით, რითაც საქმის წარმოება შეწყდება.

რაც შეეხება მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას, ამ შემთხვევაში საქმისწარმოება არ შეწყდება, არამედ საქმე არსებითად განიხილება და სასამართლო გამოიტანს სარჩელის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას და სსსკ 49-ე და 53-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს ხარჯების მხარეთა შორის განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მორიგების შედეგად საქმისწარმოების შეწყვეტის განჩინებაში აუცილებლად უნდა იქნეს გადმოცემული ასეთი მორიგების (შეთანხმების) პირობები.

როგორც 217-ე მუხლიდან ჩანს, იგი განსაზღვრავს ახსნა-განმარტებათა მიცემის რიგითობას და მასში არ არიან მოხსენიებული წარმომადგენლები, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კანონი უკრძალავს (უფლებას ართმევს) წარმომადგენლებს სასამართლოს მისცენ ახსნა-განმარტება მარწმუნებლის ნაცვლად, მის მაგივრად, ან მასთან ერთად. სხვა საქმეა, რომ სახელშეკრულებო წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას არ შეიძლება მტკიცებულებით მნიშვნელობა ჰქონდეს, რაზეც უკვე საუბარი გვქონდა ნაშრომის იმ თავში, სადაც მტკიცებულებებია განხილული. ამ ნორმის სხვაგვარი გაგება (განმარტება) არ შეიძლება, აქ უნდა გამოვიყენოთ კანონის სისტემატიკური განმარტების ხერხი და ამიტომ კანონის განმარტებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სსსკ 93-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც მხარეებს უფლება აქვთ საქმე აწარმოონ სასამართლოში როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით, ანდა წარმომადგენელთან ერთად, ანუ საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს, პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარეთა და მესამე პირთა მაგივრად ახსნა-განმარტების მიცემა შეუძლიათ სასამართლოში მათ წარმომადგენლებსაც, რაც,

თავის მხრივ, მხარეებსა და მესამე პირებს არ ართმევს უფლებას (არ უკრძალავს მათ) მისცენ დამატებითი ახსნა-განმარტებები, ან უარი თქვან დამატებითი ახსნა-განმარტების მიცემაზე, თუ ისინი ჩათვლიან, რომ წარმომადგენლებმა სრულად, ამომწურავად და სწორად გადმოსცეს (დააფიქსირეს) მხარეთა პოზიცია ამ საქმესთან დაკავშირებით.

შესაძლოა, სასამართლო სხდომაზე გამოცხადდეს მხოლოდ ერთი მხარე. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია სასამართლომ მიიღოს ახსნა-განმარტება ამ ერთი მხარისაგან (220-ე მუხლი).

მნიშვნელოვან დანაწესს შეიცავს 219-ე მუხლი: ახსნა-განმარტების მიცემის დროს მხარეები შეზღუდული არიან წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალი გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, ახალი მტკიცებულებების წარდგენა ან ახალ გარემოებებზე მითითება არ შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ წარდგენილი მტკიცებულებების სირთულიდან ან/და მოცულობიდან გამომდინარე, მათი გაცნობა სასამართლო სხდომაზე შეუძლებელია, აგრეთვე თუ მხარე არგუმენტირებულად მიუთითებს მათ გასაქარწყლებლად მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე და სასამართლო მიიჩნევს, რომ წარსადგენ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. მსგავს შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია ითხოვოს საქმის განხილვის გადადება, რათა მოემზადოს ამ ახალი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების გასაქარწყლებლად. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში გამოიყენება 216-ე მუხლით დადგენილი წესები.

იურიდიული ფაქტების (საქმის გარემოებების) სრულად გამოკვლევისა თუ დადგენის მიზნით, კანონი მხარეებს ანიჭებს უფლებას შეკითხვები მისცენ ერთმანეთს. თითოეულ მხარეს სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე შეუძლია შეკითხვა მისცეს როგორც მოწინააღმდეგე მხარეს, ისე მის წარმომადგენელს. სასამართლო ნებართვას იძლევა მხოლოდ შეკითხვების დასმის პროცედურის დაწყების თაობაზე. კანონი მოსამართლისაგან მოითხოვს, რომ მან თვალყური ადევნოს, თუ ასე შეიძლება ითქვას, აკონტროლოს შეკითხვების მიცემის პროცესი. იმის თქმა გვინდა, რომ შეკითხვა თავისი შინაარსით უნდა შეეხებოდეს განსახილველ საქმეს, შეკითხვა არსებითი უნდა იყოს. ხოლო თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, მაშინ სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის მიჩნევა შეუსაბამოდ (შეუფერებლად) ან უადგილოდ და მისი მოხსნა შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, ანდა სასამართლოს – კოლეგიურად, როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო განიხილავს (ასეა მითითებული 221-ე მუხლში, ხოლო განსხვავებული ფორმულირებაა 127-ე მუხლის მე-2 ნაწილში). თავის მხრივ, საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს, კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარესა და მის ნებისმიერ წევრს უფლება აქვთ მხარეებს მისცენ შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებათა დასადასტურებლად (მათ დამამტკიცებელ) მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას (222 მუხლი).

მხარემ, შესაძლოა, წერილობით წარმოადგინოს ახსნა-განმარტება, აგრეთვე, შესაძლოა სასამართლომ ახსნა-განმარტება ან სხვა მტკიცებულება (ვთქვათ, მოწმის ჩვენება) მიიღოს სსსკ 107-ე და 109-ე მუხლებით დადგენილი წესით (საუბარია სასამართლო დავალებებზე, ასევე მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე). ასეთი წესით მიღებული ახსნა-განმარტებანი სხდომაზე უნდა გამოაცხადოს (გამოაქვეყნოს) სასამართლომ.

მთავარ სხდომაზე მოსარჩელის მიერ სარჩელის საგნისა თუ საფუძვლის შეცვლის, ანდა სასარჩელო მოთხოვნების გადიდების შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ 83-ე მუხლით დადგენილი წესით (იხ. 224-ე მუხლი).

თუ მთავარ სხდომაზე, თავის მხრივ, მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი და იგი მიიღო სასამართლომ, მაშინ მან უნდა იხელმძღვანელოს სსსკ 188-190-ე მუხლებით დადგენილი წესით (224-მუხლი).

მას შემდეგ კი, რაც სასამართლო მოისმენს თუ გამოაცხადებს მხარეთა ახსნა-განმარტებებს, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუალმდგომლობით ან თავისი ინიციატივით დაიწყოს საეჭვო მტკიცებულებების განხილვა და შემოწმება (გამოკვლევა), რაც, ცხადია, უნდა წარმოებდეს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ყველაზე უფრო ხშირად სასამართლოში საქმის განხილვა მოწმეთა დაკითხვით იწყება. წერილობითი მტკიცებულებების განხილვა და შემოწმება არ გულისხმობს მათი შინაარსის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებასა და წაკითხვას. მტკიცებულებათა განხილვისა და შემოწმების პროცესში, სასამართლო მიმართავს მხარეებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები სადავო მტკიცებულებების ან მასში მითითებული ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. სასამართლო საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს და საქმეში წარმოდგენილ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა (104-ე მუხლი).

მოსაზრებების წარდგენაში იგულისხმება ის, რომ მხარეებს შეუძლიათ მისცენ ახსნა-განმარტებები წერილობითი მტკიცებულებების ფორმასა თუ შინაარსთან დაკავშირებით.

მიმოწერისა და სატელეგრაფო შეტყობინებების საიდუმლოების დაცვის მიზნით, ფიზიკური პირის პირადი მიმოწერა და პირადი სატელეგრაფო შეტყობინებები, შეიძლება ღია სასამართლო სხდომაზე განხილულ და შემოწმებულ იქნეს მხოლოდ იმ პირთა თანხმობით, რომელთა შორისაც ხდებოდა ეს მიმოწერა და სატელეგრაფო შეტყობინება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ასეთი თანხმობა არ არის, მიმოწერა და სატელეგრაფო შეტყობინება განიხილება და შემოწმდება დახურულ სასამართლო სხდომაზე, რის შესახებაც სასამართლომ სპეციალური განჩინება უნდა გამოიტანოს.

საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს მხარეს უფლება აქვს განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სსსკ 137-ე მუხლით დადგენილი წესებით.

შემდეგ სასამართლო უნდა შეუდგეს ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმებას, რომელთა შემოწმებასაც თავისი სპეციფიკა აქვს. კერძოდ, ნებისმიერ შემთხვევაში, შეუძლებელია ნივთიერი მტკიცებულებების გამოქვეყნება და წაკითხვა. ნივთიერ მტკიცებულებებს მხოლოდ ათვალიერებს სასამართლო და წარუდგენს მხარეებს, ხოლო, თუ ეს აუცილებელია – ექსპერტებსა და მოწმეებს, რომელთაც შეუძლიათ სასამართლოს ყურადღება მიაპყრონ დათვალიერებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ გარემოებაზე. დათვალიერების დროს გამოთქმული შენიშვნები და განცხადებები აისახება სასამართლო სხდომის ოქმში (ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმება ხდება 158-ე მუხლით დადგენილი წესით).

თუ ნივთიერ და წერილობით მტკიცებულებათა წარდგენა სასამართლოში შეუძლებელია ამა თუ იმ მიზეზით, სასამართლოს, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია დაადგინოს მათი ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა. ადგილზე დათვალიერების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

თუ ჩატარდა ექსპერტიზა, მაშინ ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების შემდეგ სასამართლომ უნდა შეამოწმოს, გამოიკვლიოს ექსპერტის დასკვნაც (ექსპერტიზის შედეგები). რადგან ექსპერტი დასკვნას აყალიბებს წერილობითი ფორმით, დასკვნის ასეთი ფორმა განაპირობებს კიდეც მისი შემოწმების (გამოკვლევის) ხერხებსა და საშუალებებს.

კერძოდ, ექსპერტის დასკვნა მხარეთა და მათ წარმომადგენელთა თხოვნით ქვეყნდება სასამართლო სხდომაზე. დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები (171-ე მუხლი).

განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას სასამართლო ავალებს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს, რაც შეეხება დამატებით ექსპერტიზას, იგი შეიძლება ჩაატაროს იმავე ექსპერტებმა, თუმცა სსსკ 173-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ამასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

მტკიცებულებები, რომელთა განხილვა და შემოწმება მხარეებმა არ მოითხოვეს და მოსამართლემ თავისი ინიციატივით არ განახორციელა გამოკვლეულად ითვლება.

სსსკ-ის 225-ე მუხლით დადგენილი წესით საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ სასამართლო საქმის გამოკვლევას დამთავრებულად აცხადებს, რის შემდეგაც უკვე იწყება მხარეთა პაექრობა (226-ე მუხლი).

თავისი სპეციფიკა აქვს მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების განხილვას. კერძოდ, ეს საქმეები დაჩქარებული წესით განიხილება. მოსამართლის მიერ საქმის მოხსენება უნდა შეეხებოდეს მხოლოდ სადავო ფაქტობრივ გარემოებებს და სხვა (იხ. 217-ე პრიმა მუხლი).

3. **მხარეთა პაექრობა**. საქმის განხილვის (მთავარი სხდომის) ამ ნაწილის მიზანია მტკიცებულებათა გამოკვლევა-შემოწმების შედეგების შეჯამება და მხარეების მიერ შესაბამისი დასკვნების გამოტანა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. მხარეები პაექრობის დროს გამოთქვამენ და ასაბუთებენ თავიანთ დასკვნებს იმის შესახებ, თუ რომელი მტკიცებულებაა უტყუარი, საქმის რომელი გარემოება უნდა ჩაითვალოს დადგენილად და რომელი – არა, რა შინაარსის მქონეა სადავო სამართალურთიერთობა თავისი იურიდიული ბუნებით, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული (შეფარდებული) ამ სამართალურთიერთობის მიმართ და როგორ უნდა გადაწყდეს, მათი აზრით, საქმე. ბუნებრივია, მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას, მოპასუხე კი ამისი წინააღმდეგი იქნება.

პაექრობა (კამათი) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან შედგება.

კანონი (227-ე მუხლი) იმპერატიულად ადგენს პაექრობაში ორატორთა გამოსვლის რიგითობას. კერძოდ, პირველად გამოდიან მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, შემდეგ – მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. ეს ნორმა ისეა ჩამოყალიბებული, თითქოს პაექრობაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს (გამოდიოდეს) როგორც მარწმუნებელი, ისე წარმომადგენელი. სინამდვილეში კი ამ საკითხს ისინი შეთანხმებით წყვეტენ. მთავარია, რომ რომელიმე მათგანს არ წაერთვას კამათში გამოსვლის უფლება, ხოლო ორივე გამოიყენებს ამ უფლებას თუ ერთ-ერთი მათგანი – ეს მათი საქმეა.

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი და მისი წარმომადგენელი გამოდიან მხარეების შემდეგ. დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირი და მისი წარმომადგენელი კი გამოდიან იმ მოსარჩელის, ან მოპასუხის შემდეგ, რომლის მხარეზედაც მესამე პირი მონაწილეობს საქმეში.

თავისი შინაარსით პაექრობა, მხარეთა მიერ პაექრობისას წარმოთქმული სიტყვა განსხვავდება მხარეთა ახსნა-განმარტებისაგან, რომელსაც ისინი იძლევიან საქმის განხილვის დაწყებისას იმით, რომ პაექრობისას თუ საპაექრო სიტყვაში მხარეები აანალიზებენ საქმის განხილვის სტადიაზე უკვე შემოწმებულ მტკიცებულებებს. პაექრობისას მოთხოვნის (როგორც ეს ახსნა-განმარტების მიცემის დროსაა) უბრალოდ დაფიქსირება კი არ ხდება, არამედ მხარე ასაბუთებს კიდეც ამ მოთხოვნას როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი (იურიდიული) თვალსაზრისითაც.

სასამართლოს უფლება აქვს შეზღუდოს პაექრობის დროს სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობა, მაგალითად 217-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე მხარეს,

სიტყვისათვის განუსაზღვრავს დროს. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქმის სირთულისდა მიხედვით სასამართლო უფლებამოსილია მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო. 223-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად კი სასამართლო სიტყვას ჩამოართმევს მხარეს, თუ მხარე გადააცილებს სიტყვისათვის მისთვის განსაზღვრულ დროს. აუცილებლობის შემთხვევაში, საქმის განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე სიტყვის დასრულებისთვის მხარეს განუსაზღვრავს დროს. სსსკ 223-ე მუხლის მე-2 ნაწილი საქმის ყოველმხრივ გამოსაკვლევად უფლებას აძლევს სასამართლოს მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები, მათ შორის იმისთვისაც, რომ მხარეთა პაექრობა ზედმეტად არ გაჭიანურდეს და არ გართულდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად – ერთ სასამართლო სხდომაზე და თუ შესაძლებელია შესვენების გარეშე. 223-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ ასევე, შეიძლება ჩამოართვას სიტყვა ორატორს, თუ მისი სიტყვა, მისი გამოსვლა არ არის კავშირში საქმესთან და ემსახურება პროცესის გაჭიანურებას.

პაექრობაში მონაწილეთ არა აქვთ უფლება თავიანთ გამოსვლებში (სიტყვებში) მიუთითონ ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომელიც არ ყოფილა შემოწმებული სასამართლო სხდომაზე.

რეპლიკა. რეპლიკა პაექრობის მონაწილის მიერ ხელმეორე გამოსვლაში გამოხატული პასუხი, შეპასუხება, შენიშვნაა, პაექრობის დროს წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. რეპლიკას ადგილი აქვს პაექრობის ყოველი მონაწილის (მხარეებისა თუ მათი წარმომადგენლების და სხვათა) გამოსვლის შემდეგ. რეპლიკა მოკლე შეპასუხებაა, იგი ლაკონური ანალიზია იმისა, რაც ნათქვამი იყო მოწინააღმდეგე მხარის მიერ პაექრობის დროს.

კანონის თანახმად (228-ე მუხლი), მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით, ანუ პაექრობა მოიცავს მხარეთა სიტყვებსა და არა მარტო სიტყვებს, არამედ რეპლიკასაც.

რეპლიკაში მონაწილეობის (გამოსვლის) დრო კანონით არ არის შეზღუდული.

მხარეს შეუძლია რეპლიკაში გამოთქვას თავისი დამატებითი მოსაზრება (თვალსაზრისი) საქმესთან დაკავშირებით.

პაექრობის მონაწილენი რეპლიკის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ერთხელ. მხარესა და მის წარმომადგენელს შეუძლიათ უარი თქვან რეპლიკაზე (რეპლიკის უფლების გამოყენებაზე). უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის მოპასუხესა და მის წარმომადგენელს ეკუთვნით.

კანონი არ განსაზღვრავს რეპლიკათა რიგითობას, მაგრამ სასამართლოები ამ საკითხის გადაწყვეტისას რიგითობის იმ წესით სარგებლობენ (იმ წესს იყენებენ), რაც მხარეთა პაექრობისთვის არის კანონით დადგენილი.

მხარეთა პაექრობის (ანუ სიტყვებისა და რეპლიკის წარმოთქმის) შემდეგ სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად, რის შესახებაც უცხადებს სხდომის დარბაზში დამსწრე პირებს.

4. გადაწყვეტილების მიღება (გამოტანა) და მისი გამოცხადება. საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება და მისი გამოცხადება სასამართლოს მთავარი სხდომის (საქმის განხილვის) ბოლო, დამამთავრებელი ნაწილია. ამ ეტაპზე სასამართლო არსებითად წყვეტს საქმეს და მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს აცხადებს სასამართლო სხდომის დარბაზში.

სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება ღია სასამართლო სხდომაზე საქვეყნოდ იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე განხილული იყო დახურულ სასამართლო სხდომაზე (საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

გადაწყვეტილება მიიღება კანონით დადგენილი წესით. ეს წესი გარანტირებულს ხდის

არა მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას გადაწყვეტილების გამოტანისას, არამედ იგი კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელ პირობასაც წარმოადგენს.

თუ რა წესებზეა საუბარი, ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სპეციალურ სათათბირო ოთახში. ამასთან, მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი). მოსამართლეთა თათბირისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს სათათბირო ოთახში მხოლოდ ის მოსამართლე შეიძლება იმყოფებოდეს, რომელიც მოცემული საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში შედის, ანუ სათათბირო ოთახში მხოლოდ მოცემული საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა შეიძლება იმყოფებოდეს. დაუშვებელია სხვა პირთა ყოფნა სათათბირო ოთახში. ამგვარი წესის დადგენით კანონმდებელს სურს გამოირიცხოს გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლეებზე ზემოქმედება სხვა (გარეშე) პირთა მხრიდან. თავის მხრივ, მოსამართლეებს არა აქვთ უფლება გაახმაურონ მსჯელობა, რომელიც მათ ჰქონდათ თათბირის დროს (28-ე და 243-ე მუხლები).

თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. არცერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს თუნდაც რომელიმე ერთ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან. მოსამართლეები ყველა საკითხს წყვეტენ ხმათა უმრავლესობით და არცერთ საკითხზე არ შეუძლიათ მათ ნეიტრალური პოზიციის დაკავება. თავმჯდომარე ხმას მოსამართლეების შემდეგ აძლევს. თუ მოსამართლე არ ეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობითი სახით (წერილობითი ფორმით) ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვის საქმეს, მაგრამ სასამართლო სხდომის დარბაზში მისი შინაარსი არ გამოცხადდება (მაგრამ ეს მოსამართლე მაინც ვალდებულია ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას). (27-ე და 243-ე მუხლები). სსსკ 83-ე მუხლის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს და მათ შორის ამ განსხვავებულ აზრსაც. უფლებრივ დავებში დაინტერესებული პირი მიზნად ისახავს თავისი უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვას სასამართლოს მიერ სამართლებრივი კონფლიქტის ამ პირის სასარგებლოდ გადაწყვეტის გზით, ხოლო უდავო წარმოების საქმეებზე ფიზიკური პირის ან ქონების სამართლებრივი სტატუსის სასამართლო წესით დადგენის გზით. შესაბამისად, უფლებრივ დავაში მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს თავი დაიცვას დაინტერესებული პირის პრეტენზიისაგან და მიაღწიოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების გამოტანას. გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს საბოლოო დასკვნები, მის წინაშე დასმულ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია არამართლზომიერად დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვა რომ იქნეს უზრუნველყოფილი. მაგრამ ამისათვის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სსსკ-ის 244-ე მუხლში ფორმულირებული რიგი **წინასწარი საკითხებისა**.

კერძოდ, სასამართლომ უნდა გააანალიზოს და შეაფასოს მტკიცებულებები. გარდა ამისა, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა განსაზღვროს: ა) საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე თუ რომელი გარემოებაა დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, ანუ რომელი ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად და რომელი დაუდგენლად; ბ) რომელი კანონი (მატერიალური სამართლის რომელი ნორმა) უნდა იქნეს მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული ამ საქმეზე დადგენილი ფაქტების მიმართ; გ) როგორ უნდა გადაწყდეს მოცემული საქმე კანონის შესაბამისად, ანუ უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი (სრულად ან ნაწილობრივ); დ) რა წესით უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები; ე) ექვემდებარება თუ არა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბებს მოსამართლე.

თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, მაშინ გადაწყვეტილებას ჩამოაყალიბებს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან ერთ-ერთი მოსამართლე და ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დადგენაში, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე. გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას შენიშვნა უნდა გაუკეთდეს მოსამართლეთა ხელმოწერების წინ (243-ე მუხლი).

უწყვეტობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს (სსსკ 257-ე მუხლი). მოსამართლე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. გამონაკლის შემთხვევაში, განსაკუთრებით რთული საქმეების მიმართ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება შეიძლება გადადოს მოსამართლემ გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. ამდენად, , გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სასამართლომ უნდა გამოაცხადოს იმავე სხდომაზე,რომელზედაც დამთავრდა საქმის განხილვა. იმავდროულად სასამართლო აცხადებს, თუ როდის შეუძლიათ მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს გაეცნონ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას (მართლმსაჯულების აქტის სრულ ტექსტს). მოსამართლემ სარეზოლუციო ნაწილის გარდა უნდა დაწეროს გადაწყვეტილების შესავალი ნაწილიც, ხოლო ამ ორივე ნაწილის შინაარსი შემდეგ სიტყვასიტყვით უნდა იქნეს განმეორებული (გადატანილი) გადაწყვეტილების სრულ ტექსტში. გამოცხადებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ხელმოწერილ უნდა იქნეს ყველა მოსამართლის მიერ და დაერთოს საქმეს. გარდა ამ თავდაპირველი შემოკლებული შინაარსისა, საქმეს უნდა დაერთოს, რა თქმა უნდა, მეორე დოკუმენტიც, გადაწყვეტილების საბოლოო სრული ტექსტი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს.

მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ გამოცხადებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სასამართლოს მიერ დამოწმებული ასლი.

ერთ მნიშვნელოვან დეტალს გვინდა მივაქციოთ ყურადღება, კერძოდ, სსსკ 369-ე და 397-ე მუხლებიდან გამომდინარე, შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება სწორედ მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების და არა სარეზოლუციო ნაწილის გადაცემის მომენტიდან.

სხდომის დამთავრების შემდეგ მხარეებს ხელს აწერინებენ ხელწერილზე, რომლითაც ისინი ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი. ასეთ წესს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამით შეიძლება განვსაზღვროთ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დასაწყისი.

საყურადღებოა სსსკ 250-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ისინი ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას (რაც მიიღო სასამართლომ) და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, მაშინ სასამართლოს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით (რა თქმა უნდა,სასამართლომ გადაწყვეტილებაში სარეზოლუციო ნაწილთან ერთად შესავალი ნაწილიც უნდა ჩამოყალიბოს, რამეთუ 250-ე მუხლი გულისხმობს გადაწყვეტილების ჩამოყალიბებას აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილის გარეშე). თუ მხარეები უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, მხარეთა ასეთი განცხადება აისახება ოქმში, რომელსაც ისინი დაადასტურებენ თავიანთი ხელმოწერებით. მოსამართლემ უნდა ჰკითხოს მხარეებს, სურთ თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ასაჩივრებენ თუ არა მოცემულ გადაწყვეტილებას. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში შესაბამისად უნდა იქნეს

გამოყენებული საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლი.

სსსკ 257-ე მუხლის თანახმად,სხდომის თავმჯდომარე ან მოსამართლე რომელმაც გამოაცხადა გადაწყვეტილება,განმარტავს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

სხდომის თავმჯდომარე ან მოსამართლე ასევე უფლებამოსილია განუმარტოს მხარეებს გადაწყვეტილების შინაარსი და მისი გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები.

სსსკ-ის 257-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების და სასამართლოს მოტივირებული, ანუ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩამოყალიბების წესი მხარეთათვის წარმოადგენს სასამართლო წესით უფლების დაცვის კონსტიტუციური უფლების განხორციელების საპროცესო გარანტიას. დასახელებული წესი ეფუძნება სასამართლო განხილვის საქვეყნოობის პრინციპს. ამასთან, 257-ე, 259-ე და 259[1]-ე მუხლებში ასახული ნორმები არ გამორიცხავენ სასამართლო გადაწყვეტილების ასლის საქმეში მონაწილე მხარეთათვის ჩაბარების ან გაგზავნის შესაძლებლობას უშუალოდ სასამართლოს მიერ, ამ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ.

§3. სასამართლო ოქმი

სასამართლო ოქმი ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი წერილობითი საპროცესო დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს პროცესის მონაწილეების მიერ ყველა იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას (თუ შეუსრულებლობას), რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქმის განხილვის დროს. სასამართლო ოქმს იურისტები ხატოვნად ,,პროცესის სარკეს'', ,,ავადმყოფობის ისტორიას'' უწოდებენ იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ დოკუმენტშია ასახული ყველა მონაცემი იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა საქმის განხილვის დროს, მასში ასევე მოცემულია აუცილებელი ცნობები მტკიცებულებათა შესახებ, რომელთა საფუძველზეც მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება ამ საქმეზე, ასახულია ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც კი შესრულდა საქმის განხილვის დროს.

ოქმის შედგენა სავალდებულოა სასამართლოს თითოეული სხდომის, აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები. ამდენად, საქმეში აუცილებლად უნდა იყოს სხდომის ოქმი, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება (განჩინება) ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რადგან ამავე კოდექსის 288-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს სხდომის ოქმი ასახავს საქმის განხილვის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების ყველა არსებით მომენტს. კერძოდ, განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა, ჩაბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს უწყებები 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. ამდენად სხდომის ოქმი ის საპროცესო დოკუმენტია, რომელსაც ეფუძნება სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) (სუსგ 2003. 6, გვ. 1367). ერთ-ერთ საქმეზე პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო სხდომა გრძელდება სხვა დროს, მხარეები სხდომის გაგრძელების დროისა და ადგილის თაობაზე გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ, გაფრთხილება სხდომის სხვა დროს გაგრძელების შესახებ უნდა აისახოს სხდომის ოქმშიც. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს სხდომის ოქმი ამ მხრივ არასრულია (სუსგ 2003 წ. №6, გვ. 1476). ოქმს მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს (იგი მტკიცებულებაა), ამიტომ მისი შინაარსი, ფორმა და შედგენის წესი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. რაც შეეხება მის შინაარსს, იგი როგორც სსსკ-ის 288-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, დამოკიდებულია იმაზე, სასამართლოს თითოეული სხდომის ან სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების ტექნიკური საშუალებით ჩაწერა

შესაძლებელია თუ შეუძლებელი. თუ ეს შეუძლებელია მაშინ დგება ოქმი, რომელიც უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან თითოეული საპროცესო მოქმედების ყველა არსებით მომენტს, კერძოდ, სასამართლო ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) სასამართლო სხდომის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;

ბ) სასამართლო სხდომის დაწყებისა და დამთავრების დრო;

გ) საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი;

დ) საქმის დასახელება;

ე) ცნობები წარმომადგენელთა, მოწმეთა, ექსპერტთა და თარჯიმანთა გამოცხადების შესახებ;

ვ) ცნობები მხარეებისა და წარმომადგენლებისათვის მათი საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განმარტების შესახებ;

ზ) სასამართლოს განკარგულებანი და სათათბირო ოთახში გაუსვლელად (ე.ი. ადგილზე თათბირით) მიღებული განჩინებანი;

თ) მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებანი;

ი) მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტების მიერ თავიანთი დასკვნების განმარტებანი, ნივთიერ და წერილობით მტკიცებულებათა დათვალიერების მონაცემები;

კ) სასამართლო პაექრობის შინაარსი;

ლ) ცნობები გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გამოცხადების შესახებ;

მ) ცნობები გადაწყვეტილების შინაარსის, მისი გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ.

ოქმში არსებული ჩანაწერების საფუძველზე შეიძლება შემოწმდეს, შეესაბამება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ფაქტებს, რომლებიც დადგინდა (შემოწმდა) სასამართლო განხილვის დროს, გამოიტანა თუ არა გადაწყვეტილება სასამართლოს იმ შემადგენლობამ, რომელიც იხილავდა საქმეს; შესაძლებელია შემოწმდეს მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა დასკვნები და ა.შ.

დაუშვებელია ოქმში სიტყვების, წინადადებების, გამოთქმების შემოკლება. მხარეთა, მესამე პირთა, ექსპერტთა, მოწმეთა ჩვენებები იწერება პირველ პირში. ოქმში ფიქსირდება არა მხოლოდ ის, რაც ამ პირებმა თქვეს თავისუფალი თხრობის დროს, არამედ კითხვებზე პასუხებიც, რომლებიც სასამართლომ ან პროცესის სხვა მონაწილეებმა დასვეს.

ოქმში უნდა იქნეს შეტანილი (აისახოს) პროცესის მონაწილეთა ყველა განცხადებაც, აგრეთვე ყველაფერი ის, რისი ოქმში შეტანასაც ისინი ითხოვენ.

სასამართლო დავალების შესრულების დროს შედგენილი სასამართლო სხდომის ოქმი უნდა ასახავდეს ყველა იმ არსებით გარემოებას, რომლის გარკვევაც (დადგენაც) დავალებული აქვს სასამართლოს და უნდა შეიცავდეს ამომწურავ პასუხებს დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით.

თუ სასამართლოს თითოეული სხდომის ან სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების ტექნიკური საშუალებით ჩაწერა **შესაძლებელია**, დგება ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს 288-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა"–„ე" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები, აგრეთვე, მხარეთა, მათ წარმომადგენელთა, მოწმეთა და სხდომაზე მოწვეულ სხვა პირთა მონაცემები, მათი გამოსვლების დრო და ხანგრძლივობა.

რაც შეეხება ოქმის შედგენისა და გაფორმების წესს, სსსკ 289-ე მუხლის თანახმად, ოქმს ადგენს მდივანი თვით სასამართლო სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროს. თავმჯდომარემ თვალყური უნდა ადევნოს, რომ დაკითხულ პირთა ყველა ჩვენება და ახსნა-განმარტება და ყოველივე ის, რაც პრო-

ცესზე მოხდა სრულად, ზუსტად (ნათლად) და ხარისხიანად აისახოს ოქმში, დროულად შეამოწმოს და შეასწოროს ოქმი, არ დაუშვას ოქმის ისეთნაირად შედგენა, რომ შემდგომში მისი წაკითხვა და გამოყენება შეუძლებელი ან რთული გახდეს. თავის მხრივ, მდივანი ვალდებულია ოქმი შეადგინოს სრულად, ზუსტად (გასაგებად) და იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც საქმის განხილვა მიმდინარეობს. ასეთი მოთხოვნების დაწესება სწორედ იმით აიხსნება, რომ სასამართლო ოქმი ერთ-ერთი ძირითადი საპროცესო დოკუმენტია.

საქმის განხილვის დროს **როცა სასამართლოს თითოეული სხდომის ან სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების ტექნიკური საშუალებით ჩაწერა შეუძლებელია** მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის შესახებ, რომლებსაც, მათი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

ოქმი მომზადებულ და ხელმოწერილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 3 დღის განმავლობაში სხდომის დამთავრების ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ. მას ხელს აწერს მხოლოდ მდივანი, გარდა სსსკ-ის 284-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომლის დროსაც ოქმს ხელი უნდა მოაწეროს მოსამართლემ და მდივანმა, ხოლო თუ საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავდა – ამ სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა. თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია ოქმზე ხელმოწერამდე ყურადღებით წაიკითხოს იგი (შეამოწმოს თუ რამდენად სწორად და ზუსტად არის იგი შედგენილი). თუ ეს აუცილებელია, მაშინ, კანონის თანახმად, ოქმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილება, შესწორება და დამატება. ოქმში შეტანილ ყველა ცვლილებას, შესწორებასა და დამატებას უკეთდება შენიშვნა და მოწმდება ოქმზე ხელის მომწერ პირთა მიერ (ოქმს შენიშვნა უკეთდება ხელმოწერამდე).

კორექტივს თავმჯდომარის (მოსამართლის) წინადადებით შეიტანს მდივანი.

ოქმი დგება ქაღალდზე, მაგრამ რაიმე შეცდომა რომ არ მოხდეს, კანონი (290-ე მუხლი) უშვებს ოქმის ჩაწერას მაგნიტურ ფირზეც. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს მაგნიტოფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნიკური საშუალება ოქმის შესადგენად, რომელთა მეშვეობით ჩანაწერებიც ოქმს თან ერთვის. მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლო სხდომის მდივანი უზრუნველყოფს ტექნიკური ჩანაწერის ან მისი ნაწილის გაშიფვრას. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ტექნიკური ჩანაწერის ასლი ელექტრონული ფორმით, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ასლის გადაღების საფასურის გადახდევინება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ოქმი მომზადებულ და ხელმოწერილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 3 დღის ვადაში სხდომის დამთავრების ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ.

ოქმის მომზადებისა და ხელმოწერისათვის ასეთი ვადის დაწესებას დიდი მნიშვნელობა აქვს ოქმის მიმართ შენიშვნების დროულად წარდგენისათვის, რამეთუ სსსკ 291-ე მუხლის თანახმად, განმცხადებლებს მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაეცნონ ოქმს და თუ დადგინდება, რომ ოქმში არაზუსტად არის გადმოცემული ან საერთოდ არ არის ასახული ყოველივე ის, რაც სხდომაზე ხდებოდა, მაშინ იშუამდგომლონ ოქმის შეცვლის (ოქმში შესწორების შეტანის) ან ოქმში რაიმეს დამატების შეტანის შესახებ, ანუ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები (წერილობითი ფორმით) ოქმის მიმართ, მიუთითონ მის უსწორობასა და უსრულობაზე სწორედ სხდომის ოქმზე ხელმოწერის შემდეგ სამი დღის განმავლობაში.

სსსკ-ის 291-ე მუხლიდან გამომდინარე, სხდომის ოქმზე მხარის შენიშვნების სისწორე შეიძლება დადასტურდეს ნაწილობრივადაც. დანარჩენ ნაწილში კი შენიშვნები სხდომის ოქმზე არ იქნეს გაზიარებული.

შეტანილ შენიშვნებს განიხილავს საქმის განმხილველი მოსამართლე და თუ იგი

ეთანხმება შენიშვნებს, იხელმძღვანელებს სსსკ-ის 284-ე მუხლით და დაადასტურებს მათ სისწორეს თავისი განჩინებით (შენიშვნათა დაკმაყოფილების საკითხი განჩინებით წყდება), ხოლო თუ არ ეთანხმება, ასევე გამოაქვს განჩინება ამ შენიშვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. შეტანილი შენიშვნები ყველა შემთხვევაში უნდა დაერთოს საქმეს.

ერთ-ერთ საქმეზე მხარე გარდა სხდომის ოქმზე შენიშვნებისა, მიუთითებდა შენიშვნას იმის შესახებაც, რომ სასამართლო სხდომის შესახებ უწყებაში არასწორად იყო მათი მისამართი მითითებული, რის გამოც შეიძლებოდა ეს უწყება მათ არ მიეღოთ. საკასაციო პალატამ დაუშვებლად ჩათვალა, დაუშვებლად მიიჩნია და სრულიად სამართლიანადაც ამგვარი შენიშვნები, რადგან საპროცესო კოდექსი ასეთი შენიშვნის განხილვის წესს არ ითვალისწინებს. (სუსგ 2003 №9, გვ. 2387).

კანონი ავალდებულებს სასამართლოს ოქმის მიმართ შენიშვნები განიხილოს შენიშვნების შეტანიდან 5 დღის ვადაში.

მხარეებს, განმცხადებლებს, წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ შენიშვნები მთლიანი ოქმის ან მისი ნებისმიერი ნაწილის მიმართ და არა მხოლოდ იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ეხება მათ ინტერესებს.

ოქმზე შენიშვნათა წარდგენის ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ თუ ცნობს, რომ ვადა გაშვებული იყო საპატიო მიზეზის გამო.

საინტერესოა საკითხი, ოქმში უნდა აისახოს თუ არა მხარეთა მიერ გამოთქმული ის მოსაზრებები, რომლებიც მათ სხდომის გარეშე გამოთქვეს სასამართლოს მიერ მხარეთათვის მორიგების შეთავაზებისას. ერთ-ერთ საქმეზე (№2/ბ-1275-2014) მხარემ წარადგინა შენიშვნები სხდომის ოქმის ელექტრონულ ვერსიაზე და მოითხოვა ოქმში ასახულიყო მოწინააღმდეგე მხარის მიერ მორიგების ეტაპზე გამოთქმული მოსაზრებები, რომლებშიც იგი შენიშვნების წარმდგენი მხარის სასარგებლო გარემოებას აღიარებდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 20 მარტის განჩინებით აღნიშნული შენიშვნები მართებულად არ გაიზიარა და აღნიშნა: მორიგების შეთავაზებისას სასამართლო აცხადებს შესვენებას, რაც გულისხმობს, რომ მხარეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ამ დროს ანუ მორიგების შეთავაზების ეტაპზე არ აისახება, არ ფიქსირდება სხდომთა ოქმში. ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ მართალია სსსკ-ის 287-ე მუხლის თანახმად ოქმში აისახება აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესახებ. მაგრამ საუბარია სწორედაც „საპროცესო მოქმედების" შესახებ. შესვენების დროს საპროცესო მოქმედებები არ ტარდება, არ წარმოიშობა საპროცესო ურთიერთობანი. ასეთ დროს მხარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს არ შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. სხდომის გარეშე შესრულებული საპროცესო მოქმედების მაგალითია ადგილზე დათვალიერება, მტკიცებულების უზრუნველყოფა და სხვა, რა დროსაც ზემოაღნიშნული შემთხვევისგან განსხვავებით დგება ოქმი.

იმდენად, რამდენადაც საპროცესო კოდექსი სავალდებულოს ხდის ოქმის შედგენას, საქმეში ოქმის არარსებობა გადაწყვეტილების გაუქმების უპირობო საფუძველია. მართალია სსსკ 394-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველია, თუ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, მაგრამ, ოქმის არარსებობა საპროცესო სამართლის ნორმათა ისეთ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ, რასაც შედეგად ყოველთვის მოჰყვება როგორც სააპელაციო სასამართლოს, ისე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება.

§4. საქმისწარმოების შეჩერება

საქმისწარმოების შეჩერება ეს ის შემთხვევაა, როცა მოცემულ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე განუსაზღვრელი ვადით წყდება საპროცესო მოქმედებათა შესრულება.

საქმის არსებითად განხილვის დამაბრკოლებელი გარემოებები თავიანთი ხასიათით შესაძლოა იყოს ისეთი, რომ მათი წარმოშობის მომენტში არ იყოს შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ როდის აღარ იარსებებენ (როდის აღმოიფხვრებიან) ეს გარემოებები. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს არ შეუძლია გადადოს საქმის განხილვა და ზუსტად განსაზღვროს საქმის განხილვის ახალი დღე. ამიტომ კანონით განსაზღვრულ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში სასამართლომ საქმის წარმოება უნდა შეაჩეროს.

საქმისწარმოების შეჩერება – ეს არის სასამართლოს მიერ ყველა საპროცესო მოქმედების დროებითი და სრული შეწყვეტა (შეჩერება) განსახილველ საქმეზე, რაც გამოწვეულია კანონში მითითებული (კანონით დადგენილი და განსაზღვრული) ობიექტური გარემოებების დადგომით (ე.ი. ისეთი გარემოებებით, რომელთა არსებობა არ არის დამოკიდებული სასამართლოსა და მხარეებზე), რომლებიც აფერხებენ საქმის შემდგომ განხილვას და რომლებთან მიმართებაშიც შეუძლებელია განისაზღვროს, თუ როდის აღმოიფხვრება ეს გარემოებები და როდის იქნება შესაძლებელი საქმისწარმოების განახლება.

ამ შემთხვევაში, თუმცა საქმე არ არის დამთავრებული, მაგრამ იგი საქმის განხილვის განახლებამდე იხსნება წარმოებიდან.

საქმის წარმოების შეჩერება არსებითად განსხვავდება საქმის განხილვის გადადებისაგან, კერძოდ:

1) საქმისწარმოება ჩერდება განუსაზღვრელი ვადით. შეჩერების შემთხვევაში საქმე შემდგომში აღარ განიხილება მანამდე, ვიდრე არ განახლდება საქმისწარმოება. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლო ყოველთვის ვალდებულია განსაზღვროს ახალი სასამართლო განხილვის დღე. აქედან გამომდინარე, საქმის განხილვის გადადება არ წარმოადგენს შემდგომში საქმის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებას;

2) საქმისწარმოების შეჩერება იწვევს ყველა საპროცესო მოქმედების შესრულების შეწყვეტას, საქმის განხილვის გადადება კი, პირიქით, ხდება იმისათვის, რომ შესრულდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება;

3) საქმისწარმოების შეჩერება გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით, კერძოდ, საქმისწარმოების შეჩერებას განაპირობებს ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული სასამართლოსა და მხარეთა ნებაზე; საქმის განხილვის გადადება კი, როგორც წესი, გამოწვეულია სუბიექტური ხასიათის მიზეზებით;

4) შეჩერებული წარმოება რომ განახლდეს, ამისათვის აუცილებელია სპეციალური განჩინების გამოტანა. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს.

საქმისწარმოება შეჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სსსკ 279-ე და 280-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები. ამ საფუძველთა ჩამონათვალი ამომწუავია და არ შეიძლება განივრცოს.

საფუძვლების მიხედვით, საქმისწარმოების შეჩერება ორი სახისაა: 1) **სავალდებულო** და 2) **ფაკულტატური**. სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმისწარმოება, როდესაც სახეზეა ისეთი გარემოებები, რომლებიც ყოველთვის აფერხებენ საქმის შემდგომ განხილვას. ამ გარემოებათა არსებობა სასამართლოს შესაძლებლობას ართმევს სათანადოდ დაიცვას მხარეთა უფლებები. სწორედ ამიტომ უნდა შეჩერდეს საქმის წარმოება იმ დრომდე, ვიდრე ეს გარემოებები არ იქნება აცილებული.

ზოგჯერ კი, შესაძლოა, სახეზე იყოს ისეთი გარემოებები, რომლებიც საქმის წარმოების

შეჩერებას იწვევს ფაკულტატური წესით, ანუ ასეთმა საფუძვლებმა, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება არც კი შეაფერხოს საქმის შემდგომი განხილვა.

აქედან გამომდინარე, ამ გარემოებების არსებობისას სასამართლო ყოველთვის როდია მოკლებული შესაძლებლობას სათანადოდ დაიცვას საქმის მონაწილეთა უფლებები.

სსსკ 279-ე მუხლის თანახმად სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმისწარმოება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ფიზიკური პირის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს. ფიზიკური პირის გარდაცვალებას უთანაბრდება მისი გარდაცვლილად გამოცხადება. თუ სამართალურთიერთობა განუყოფლადაა დაკავშირებული გარდაცვლილის პიროვნებასთან, რის გამოც, შესაბამისად, სადავო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა, საქმე უნდა შეწყდეს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საქმის შეჩერებას არავითარი აზრი არა აქვს.

ბ) თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარე არის მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, მაგრამ მხარდაჭერა არ მიუღია. მხარდაჭერის მიმღებს (ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს) სამოქალაქო მატერიალური კოდექსი ქმედუანარიან პირად მიიჩნევს. ეს არის პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი, ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი სრულწლოვანია, ან იქორწინა 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლებამოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება. მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ამ საფუძვლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ფიზიკური პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის მე-12 და მე-14 მუხლები).

გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას, ან იმ მოსარჩელის თხოვნით, რომელიც ასეთივე ნაწილში იმყოფება. შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილად ითვლება ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს საომარ ოპერაციებში.

დ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აქ იგულისხმება არა ნებისმიერი სახის ურთიერთკავშირი საქმეებისა, არამედ მათი მხოლოდ ისეთი დამოკიდებულება, რომლის დროსაც მოცემული საქმის განხილვა საერთოდ შეუძლებელია იმ საკითხის მოწესრიგებამდე, რომელიც სცილდება (სცდება) სადავო სამართალურთიერთობის ფარგლებს (ჩარჩოებს). მაგალითი: მოსარჩელემ აღძრა სარჩელი იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ. მოპასუხემ კი აღძრა ცალკე სარჩელი იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ და ამ სარჩელის გადაწყვეტამდე მოითხოვა იმ საქმის შეჩერება, რომელზეც განიხილებოდა იპოთეკის საგნის რეალიზაციის საკითხი. მოცემულ შემთხვევაში საქმის შეჩერება მიზნად ისახავს მის გაჭიანურებას და დაუშვებელია. რაც მთავარია, მოპასუხის მიერ აღძრული სარჩელი თავისი არსით წარმოადგენს შეგებებულ სარჩელს, ე.ი. სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებას და იგი არ სცილდება სადავო მართლურთიერთობის ფარგლებს. ამ შემთხვევაში მართებული იქნება ამ ორი საქმის ერთ წარმოებად გაერ-

თიანება და არა საქმის შეჩერება. საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს და დაასაბუთოს ან გამორიცხოს კავშირის არსებობა განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს ან ორგანოს მიერ განიხილება. (სუსგ. 2005 წ. №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 92-93). საქმე №ას-415-731-09-ზე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა: „კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს „შეუძლებლობის" ცნებას ანუ რა შემთხვევა შეიძლება ქმნიდეს ისეთ ობიექტურ სირთულეს, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. „შეუძლებლობა" წარმოადგენს ისეთ ობიექტურ სირთულეს, ან დაბრკოლებას, რომელიც გულისხმობს პირველ ყოვლისა ისეთ გარემოებებს, რომლის დადგომა არის განპირობებული მართლმსაჯულების განხორციელების დამაბრკოლებელი ფაქტორებით მოცემული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, კანონმდებელი ასეთ სირთულედ მოიაზრებს მოცემული საქმის განხილვისათვის აუცილებელ ისეთ არსებით ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც წარმოადგენს სხვა სასამართლოს განხილვის საგანს და ამდენად, პროცესუალურად შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ობიექტური გარემოებების საფუძველზე სხვა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით მას შემდეგში შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას.

დასკვნის სახით უნდა ითქვას: სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით, დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით დასადგენ ფაქტებსა და სამართლებრივ ურთიერთობებს იურიდიული მნიშვნელობა აქვთ მოცემული საქმისთვის.

ე) თუ საქმეს განიხილავს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია ან კომისიის კომიტეტი.

ვ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანუ, **როდესაც საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.**

მითითებული ნორმის თანახმად სასამართლო მოვალეა შეაჩეროს საქმის წარმოება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს (თვითონ სასამართლო თუ მიიჩნევს, ამიტომ მხ-არის მიერ საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა არ არის საქმის შეჩერების საფუძველი), რომ კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. (სუსგ 2003 წ. №9, გვ. 2363).

ამ შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტი-ტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე (281-ე მუხლი), რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის თანახმად, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. იმავე კანონის 42-ე მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევებში საკონსტიტუციო სა-სამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქმის განმხილველ სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლო ასეთ შემთხვევაში საქმეს განიხილავს წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც დავის საგანი გახდა.

ზ) თუ სსსკ-ის 187[3]-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით გადაეცა მედიატორს.

სსსკ 281-ე მუხლი ადგენს (აწესრიგებს) საქმისწარმოების შეჩერების ვადებს,რა ვადითაც შეჩერდება საქმისწარმოება, თუ სახეზე იქნება სსსკ 279-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები (საფუძვლები).

რაც შეეხება საქმისწარმოების შეჩერებას ფაკულტატური წესით, სსსკ 280-ე მუხლში ჩამოთვლილია გარემოებები, რომლებიც სასამართლოს უფლებას აძლევენ თავისი ინიციატივით ან მხარეთა განცხადებით (შუამდგომლობით) შეაჩეროს სამართალწარმოება, თუ:

ა) მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად. ეს ნორმა ეხება მხოლოდ რიგითებისა და სერჟანტების შემადენლობას, რომლებიც იმყოფებიან ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში მშვიდობიან პირობებში, აგრეთვე იმათ, რომლებიც გაწვეული არიან სახელმწიფოს მიერ ისეთი მოვალეობის შესასრულებლად, როგორიცაა, მაგალითად, ექსპედიციაში სავალდებულო (აუცილებელი) მონაწილეობა, სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლა და ა.შ.

ბ) მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ (მაგალითად, საზღვარგარეთ) მივლინებაში;

გ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არა აქვს გამოცხადდეს სასამართლოში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

დ) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მოპასუხის ძებნა ხორციელდება სასამართლოს ან მოსამართლის განჩინების საფუძველზე;

ე) სასამართლომ დანიშნა ექსერტიზა.

ჩამოთვლილ შემთხვევებში საქმისწარმოება შეჩერდება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში მხარის ყოფნამდე, მის მიერ სახელმწიფო მოვალეობის შესრულებამდე, სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე, მოპასუხის მოძებნამდე ან ექსპერტიზის დამთავრებამდე, ხოლო 280-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – არაუმეტეს 2 თვის ვადით. ამ ვადის გასვლისთანავე მხარე ვალდებულია დანიშნოს წარმომადგენელი, ხოლო სასამართლო უფლებამოსილია განაახლოს საქმის განხილვა (281-ე მუხლი).

ერთი შეხედვით, საქმისწარმოების შეჩერების საფუძვლები ისე არიან ფორმულირებულნი, თითქოსდა დაკავშირებულნი არიან მხოლოდ მოსარჩელისა და მოპასუხის ინტერესებთან. სინამდვილეში კი სსსკ 279-ე და 280-ე მუხლები ვრცელდება დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებზეც, რამეთუ სსსკ 88-ე მუხლის თანახმად, ასეთი მესამე პირის საპროცესო-სამართლებრივი სტატუსი მოსარჩელის სტატუსის ანალოგიურია.

საქმისწარმოების შეჩერების შესახებ სასამართლომ განჩინება უნდა გამოიტანოს. გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქმისწარმოების შეჩერებას, უნდა დადასტურდეს (დამტკიცდეს) წერილობითი მტკიცებულებებით. იმდენად, რამდენადაც საქმისწარმოების შეჩერების შესახებ განჩინება აბრკოლებს (აფერხებს) შემდგომში საქმის განხილვას, ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (282-ე მუხლი), გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე შეჩერებულია სავალდებულო წესით სსსკ-ის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი საფუძვლით.

საქმისწარმოებას სასამართლო განაახლებს როგორც მხარეთა განცხადებით, ისე საკუთარი ინიციატივით, მაგრამ საქმისწარმოება განახლდება მხოლოდ იმ გარემოების აცილების შემდეგ, რომელმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. საქმისწარმოების განახლების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. საქმის წარმოების განახლების გარეშე სასამართლოს არა აქვს უფლება, განიხილოს საქმე და მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ე.ი. მან უნდა დაიცვას სსსკ-ის 283-ე მუხლის მოთხოვნა საქმის წარმოების განახლების შესახებ. საქმის წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა ხდება საერთო წესით, მხარეებს სასამართლო იბარებს საერთო წესით.

სსსკ 62-ე მუხლის თანახმად, საქმისწარმოების შეჩერებით შეჩერდება ყველა დაუმთავრებელი საპროცესო ვადა. ვადების შეჩერება დაიწყება იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან საპროცესო ვადის დენა განახლდება.

§5. სამოქალაქო საქმისწარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

1. **საქმის წარმოების შეწყვეტა**. როგორც წესი, სამოქალაქო საქმის არსებითად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეიტილება, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევაში სამოქალაქო საქმის განხილვა შეიძლება არც დამთავრდეს გადაწყვეტილების გამოტანით. სხვადასხვა გარემოებათა გამო საქმე შეიძლება დამთავრდეს გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმისწარმოების (პროცესის) გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე დამთავრების **ორ** ფორმას:

1) საქმისწარმოების შეწყვეტასა და

2) სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვებას.

ეს ორივე ფორმა ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით რომ სხვადასხვა ხასიათისაა საქმის წარმოების შეწყვეტისა და სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები და, გარდა ამისა, თითოეულ ამ ფორმას სხვადასხვა საპროცესო-სამართლებრივი შედეგი მოჰყვება.

საქმისწარმოება, როგორც წესი, უნდა შეწყდეს, როცა არ არსებობს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ანუ, როცა ეს უფლება არა აქვს მოსარჩელეს ან განმცხადებელს. ამიტომ საქმისწარმოების შეწყვეტის შემდეგ სრულიად დაუშვებელია ანალოგიური საქმის განმეორებით აღძვრა სასამართლოში (დაუშვებელია საქმის განახლება).

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება კი დასაშვებია მაშინ, როცა მოსარჩელეს ან განმცხადებელს აქვთ სასამართლო დაცვაზე უფლება (სასამართლოსადმი მიმართვის უფლება), მაგრამ არ იყო დაცული მხოლოდ ამ უფლების განხორციელების კანონით დადგენილი პირობები. ამიტომ სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს (განმცხადებელს) შეუძლია კვლავ მიმართოს სასამართლოს იმავე მოთხოვნით (კვლავ აღძრას სასამართლოში იგივე სარჩელი, საქმე) საერთო წესის დაცვით იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში (აღმოფხვრის შემდეგ), რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას.

ამრიგად, საქმისწარმოების შეწყვეტა საქმისწარმოების დამთავრების ფორმაა, რომელიც განპირობებულია კანონით გათვალისწინებული ისეთი გარემოებებით, რომლებიც სრულიად გამორიცხავენ იმავე სარჩელით სასამართლოსადმი განმეორებით მიმართვის შესაძლებლობას.

საქმისწარმოება შეიძლება შეწყდეს ან სარჩელი (განცხადება) დატოვებულ იქნეს განუხილველად როგორც საქმის განხილვის სტადიაზე (სასამართლოს მთავარ სხდომაზე), ისე მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების დროსაც (სსსკ 209-ე მუხლი).

სსსკ 272-ე მუხლის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით, ანდა თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმისწარმოებას, თუ:

1) საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის. საქმისწარმოების შეწყვეტა ამ საფუძვლით დასაშვებია არა მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტული დავის (საქმის) განხილვა კანონის

თანახმად სხვა უწყების ქვემდებარეა და შესაბამისად, უწყებრივად არ ექვემდებარება საერთო სასამართლოს, არამედ საქმისწარმოება იმ შემთხვევაშიც უნდა შეწყდეს, როცა მოთხოვნა ვერ იქნება განხილული კანონის პირდაპირი მითითების გამო ან როცა მოთხოვნა არასამართლებრივი ხასიათისაა, ე.ი. როცა კანონის თანახმად ან კანონის ზოგადი არსიდან და აზრიდან გამომდინარე მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ დაცვას როგორც სასამართლო წესით ისე სხვა წესით. სსსკ 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქმისწარმოება შეწყდება სასამართლოს განჩინებით. თუ საქმის წარმოება შეწყვეტილია იმის გამო, რომ საქმე კანონის თანახმად სასამართლოს არ ექვემდებარება, სასამართლო ვალდებულია განჩინებაში მიუთითოს, თუ რომელ სათანადო ორგანოს (უწყებას) უნდა მიმართოს განმცხადებელმა.

2) არ არსებობს დავის საგანი[1]. არც თეორიაში, არც პრაქტიკაში არ არის მითითებული, რა შემთხვევას გულისხმობს მოცემული საფუძველი. ჩვენი აზრით, მოცემული საფუძვლის სწორად გაგებისა და გამოყენებისათვის ამოსავალი უნდა იყოს თავად საქმის წარმოების შეწყვეტის ინსტიტუტის არსი. აღნიშნული ინსტიტუტი, როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის დამთავრების ერთ-ერთ ფორმას წარმადგენს. შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს ისეთი შემთხვევა, რომლის დროსაც მიღებული უნდა იქნეს არა გადაწყვეტილება, არამედ განჩინება საქმის შეწყვეტის თაობაზე დავის საგნის არარსებობის გამო. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანში საპროცესო ნორმა გულისხმობს სადავო მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელსაც განიხილავს სასამართლო. მაგალითად, შვილი ედავება მამას გარკვეულ ქონებას. დავის განხილვისას გარდაიცვალა მამა, რომლის მთელი ქონება მემკვიდრეობით მიიღო შვილმა როგორც ერთადერთმა მემკვიდრემ. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს კრედიტორისა და მოვალის ერთ პირში შერწყმას და შესაბამისად, საქმეც უნდა შეწყდეს.

3) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, იმავე სარჩელთან დაკავშირებით, ანუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება (მაგალითად, მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ), რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით.

სასამართლოსადმი იმავე სარჩელით მიმართვა, როცა არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით, ან არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, ან მხარეთა მორიგების შესახებ, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია (სსსკ 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი). თუ ასეთი სარჩელი (განცხადება) შეცდომით მიიღო წარმოებაში სასამართლომ, მაშინ საქმისწარმოება უნდა შეწყდეს (272-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი). ვიდრე საქმისწარმოებას შეწყვეტს, სასამართლომ უტყუარად უნდა დაადგინოს სარჩელთა იგვეობა.

4) მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე (მოთხოვნაზე);

---

[1] „დავის საგნის" კატეგორიას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება სამი მნიშვნელობა ჰქონდეს: ერთ შემთხვევაში იგი გულისხმობს მოსარჩელის მოთხოვნას და ამ აზრით სარჩელის საგნის ტოლფასი კატეგორიაა, მეორე შემთხვევაში იგი სარჩელის ობიექტს გულისხმობს (მაგალითად სსსკ-ის მე-40 და 41-ე მუხლები), მესამე შემთხვევაში იგი სადავო სამართალურთიერთობის მნიშვნელობით გამოიყენება. ზოგიერთ ნორმაში დავის საგანი სამივე დასახელებული მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად, როდესაც სსსკ-ის მე-3 მუხლი უთითებს, რომ დავის საგანს თავად მხარეები განსაზღვრავენ, იგულისხმება რომ თავად მხარე განსაზღვარავს სადავო სამართლებრივ ურთიერთობებსაც, ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთოვნასაც და მოთხოვნის მოცულობასაც, ანუ ობიექტს. სასურველია ტერმინოლოგიური გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად სამომავლოდ კანონმდებელმა გამოიყენოს ჩვეულებრივი ქართული სიტყვები: „მოთხოვნა", „სამართლებრივი ურთიერთობა" და ა.შ.

5) მხარეები მორიგდნენ. მორიგებას ამტკიცებს სასამართლო თავისი განჩინებით. მორიგებისგან უნდა განვასხვაოთ სარჩელის საგნის შეცვლა. მორიგებისას მხარეები გარკვეულ დათმობაზე მიდიან და შესაძლოა ასეთ დროს მოსარჩელემ შეამციროს თავისი მოთხოვნა (დათმოს რაღაც ნაწილი მოთხოვნისა). სარჩელის საგნის შეცვლა კი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოთხოვნის შემცირებად. სარჩელის საგნის შეცვლის შემთხვევაში აღიძვრება ახალი მოთხოვნა თავდაპირველის სანაცვლოდ და ეს ახალი მოთხოვნა შეიძლება ცალმხრივად აღიაროს შესაბამისმა პირმა.

მორიგებით საქმისწარმოება წყდება. მორიგებისგან განსხვავებით სარჩელის ცნობა არ არის საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი. ამიტომ სარჩელის საფუძვლიანობის ცნობისას (აღიარებისას) სასამართლოს არა აქვს უფლება შეწყვიტოს საქმის წარმოება, არამედ მან გადაწყვეტილებით უნდა დაამთავროს საქმე.

6) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი ფიზიკური პირის გარდაცვალების შემდეგ, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას სადავო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა. ასეთია, მხარის პიროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა. მაგალითად, სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნა, რომელიც არ არის დაკავშირებული იძულებით გაცდენილი დროისათვის ხელფასის გადახდევინებასთან, მოსარჩელის გარდაცვალების შემდეგ კარგავს რეალურ აზრს და ასეთ შემთხვევაში სამართალწარმოების (პროცესის) გაგრძელება უსაგნო ხდება (უსაგნო იქნება). საქმის წარმოება წყდება აგრეთვე, თუ ერთ-ერთ მხარედ მყოფი იურიდიული პირის ლიკვიდაცია დამთავრებულია. ეს ხდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან (სკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი). იურიდიული პირის ლიკვიდაცია იწვევს მის შეწყვეტას სხვა პირებზე უფლებამონაცვლეობის წესით უფლებისა და მოვალეობების გადასვლის გარეშე. იურიდიული პირის რეორგანიზებისას სასამართლო კი არ წყვეტს, არამედ აჩერებს საქმისწარმოებას.

7) საქმისწარმოების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, როდესაც სახეზეა 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

8) მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების განხილვისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა უარყოფითია. სსსკ-ის 363[22]-ე მუხლის შესაბამისად, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ უდავო წარმოების წესით შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით წარმოება წყდება სასამართლო განჩინებით, ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში. ეს არის შემთხვევა, როდესაც ექსპერტიზის დასკვნა როგორც მტკიცებულება საფუძვლად ედება უდავო წარმოების შეწყვეტას. ჩვენი აზრით აღნიშნული გარემოება საქმის შეწყვეტის კი არა განმცხადებლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი უნდა იყოს. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველთა ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. სსსკ-ის 272-ე მუხლში ნათქვამია, რომ საქმის წარმოება შეიძლება შეწყდეს კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, სსსკ-ის 378-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას. საქმის შეწყვეტის ინსტიტუტი გამოიყენება კასაციის სტადიაზეც. კანონით დადგენილ „სხვა შემთხვევაში“ იგულისხმება როგორც საპროცესო, ისე მატერიალური კანონით დადგენილი შემთხვევები. მაგალითად, არბიტრაჟის კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე და 272-ე მუხლებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადება აღარ არის სასამართლოს მიერ საქმის შეწყვეტის უპირობო საფუძველი. არბიტრაჟის კანონის მე-9 მუხლის თანახმად, „სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე

უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია. მოცემული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო მხოლოდ მაშინ არის ვალდებული შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუკი მხარე იშუამდგომლებს აღნიშნულზე შესაგებლის წარდგენის ვადაში. ასეთი შუამდგომლობის არარსებობისას, სასამართლო თავისი ინიციატივით საქმეს ვერ შეწყვეტს. ამრიგად, მხარის ნებისდა მიხედვით საქმე შეწყდება მაშინ, როცა **მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ ეს დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს**. სასამართლოს არა აქვს უფლება განიხილოს სასარჩელო განცხადება ისეთ საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანს წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები ითხოვენ საქმის განხილვას სასამართლოში (მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაზე), ანდა თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი ან ძალადაკარგულია.

საარბიტრაჟო შეთანხმება, ანუ შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ წერილობითი ფორმით იდება. ფიზიკურ პირთა შორის იგი სანოტარო წესით ფორმდება.

ამასთან, ყოველგვარი დავა როდი შეიძლება იქნეს განხილული არბიტრაჟში.

ამ საკითხის გადაწყვეტისას მხელველობაში უნდა მივიღოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის II თავი, რომელიც უწყებრივ ქვემდებარეობას განსაზღვრავს და, კერძოდ კი, მე-12 მუხლი, რომელიც ხაზს უსვამს (აკონკრეტებს) იმას, რომ მხარეთა შეთანხმებით არბიტრაჟს განსახილველად შეიძლება გადაეცეს ქონებრივ-სამართლებრივი ხასიათის დავა. საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება გახდეს იმ პირობით, თუ ეს შეთანხმება ეხება დავას, რომელიც უწყებრივად კონკრეტულ არბიტრაჟს ექვემდებარება, ე.ი. თუ ეს შეთანხმება შედგენილია კონკრეტული არბიტრაჟის კომპეტენციის ფარგლების (მოცულობის) გათვალისწინებით. თუ მხარეთა შეთანხმებაში მხოლოდ ზოგად დათქმაა არბიტრაჟის შესახებ ან დათქმა ალტერნატივის სახით არის ჩამოყალიბებული (ვთქვათ ასე: განიხილოს არბიტრაჟმა ან სასამართლომ), მაშინ საქმე უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარეა. ასეთია დღეს მოქმედი პრაქტიკა. მხარეებს არა აქვთ უფლება არბიტრაჟს განსახილველად გადასცენ დავები, რომლებიც არაქონებრივი ხასიათისაა (ვთქვათ, გამომდინარეობენ საოჯახო და შრომითი ურთიერთობებიდან).

არბიტრაჟის კანონის თანახმად არბიტრაჟმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში უნდა გამოიტანოს. თუ არბიტრაჟი არ გამოიტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას დადგენილ ვადაში, საარბიტრაჟო შეთანხმება გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად შეიძლება ვთქვათ, რომ როცა მხარეებმა უარი თქვეს დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაზე ან, როცა ეს ხელშეკრულება (შეთანხმება) გაუქმდა, იგი თავის მნიშვნელობას კარგავს და ვეღარ გახდება საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი.

სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის თანახმად, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე. ისმის კითხვა, თუ სასამართლომ საქმე შეცდომით მიიღო წარმოებაში, შეუძლია თუ არა შემდგომ შეწყვიტოს ამ საქმის წარმოება? მატერიალური სამართლით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ნორმა საქმისწარმოების შეწყვეტის დამოუკიდებელი საფუძველია იმდენად, რამდენადაც საპროცესო კოდექსის იმ მუხლში, რომელშიც იმპერატიულადაა ჩამოთვლილი საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები, შეწყვეტის საფუძვლად არ არის დასახელებული სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ეს შემთხვევა. ამ საფუძვლით უნდა შეწყდეს საქმისწარმოება იმ შემთხვევაშიც, როცა ბავშვი მკვდარი დაიბადა ან ვერ იცოცხლა ერთ წლამდე. მოცემულ

შემთხვევებში საქმე უნდა შეწყდეს სასამართლოსადმი მისი უწყებრივად არაქვემდებარეობის საფუძვლით.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველია, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი. კერძოდ, სსსკ 273-ე მუხლის თანახმად, საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. ვფიქრობთ, ეს ნორმა გამონაკლისს უნდა უშვებდეს და ქმარს არ უნდა ერთმეოდეს უფლება ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ იმავე სარჩელით მიმართოს სასამართლოს. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო მოწესრიგება საპროცესო კოდექსში.

საქმისწარმოების შეწყვეტის ყველა საფუძველი შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის გარემოებები (საფუძვლები), რომლებიც მოწმობენ იმას, რომ განმცხადებელს ან მოსარჩელეს არ ჰქონდა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება და განცხადება შეცდომით იყო მიღებული (272-ე მუხლის „ა", „ბ" ქვეპუნქტები).

საფუძვლების მეორე ჯგუფს შეადგენენ ის გარემოებები (საფუძვლები), რომლებიც დაკავშირებულია მხარეების მიერ განკარგვითი მოქმედებების განხორციელებასთან უკვე დაწყებულ პროცესში, რის გამოც შემდგომში საქმისწარმოება აღარ უნდა გაგრძელდეს (272-ე მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტები).

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ის შემთხვევები, როცა მხარეთაგან და სასამართლოსაგან დამოუკიდებელი მიზეზით, შეუძლებელია პროცესის გაგრძელება (272-ე მუხლის „ა"[1] და „ე"- „ე"[1] და „ვ[2]" ქვეპუნქტი) იმის გამო, რომ აღარ არსებობს პროცესის მხარე ან დავის საგანი.

საქმისწარმოების შეწყვეტას მოჰყვება უმნიშვნელოვანესი საპროცესო-სამართლებრივი შედეგები: საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია (273-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სასამართლოს განჩინებაზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ეს სწორედ იმიტომ, რომ შეწყვეტას მოჰყვება 273-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

აღსანიშნავია, რომ საქმისწარმოების შეწყვეტის ინსტიტუტი ვრცელდება უდავო წარმოების საქმეებზეც.

2. სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება. სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე სამოქალაქო საქმისწარმოების დამთავრების ის ფორმაა, რომელიც გამოწვეულია განმცხადებლის (მოსარჩელის) მიერ საქმის აღძვრის კანონით დადგენილი პირობების დაუცველობით. სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს იმისათვის, რომ მოსარჩელემ ან განმცხადებელმა განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე განცხადებით.

საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ:

1) სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით იმ პირმა შეიტანა, ვისაც არა აქვს საქმისწარმოების უფლებამოსილება. ეს წესი გამომდინარეობს დისპოზიციურობის პრინციპიდან. შესაძლოა პირს ჰქონდეს უფლება განცხადებით მიმართოს სასამართლოს თავისი სახელით „სხვისი" ინტერესების დასაცავად, მაგრამ, თუ მას ამის უფლება არა აქვს, მაშინ პირს შეუძლია ეს უმნიშვნელოვანესი საპროცესო მოქმედება მხოლოდ თვითონ დაინტერესებული სუბიექტის სახელით შეასრულოს სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილების საფუძველზე. ის, თუ ვის აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს „სხვისი" ინტერესების დასაცავად განცხადებით, დადგენილია კანონით (სსსკ 94-ე და 101-ე მუხ-

ლებით). დაუშვებელია ასეთი (94-ე და 101-ე მუხლებით გათვალისწინებული) უფლებამოსილი პირების განცხადების განუხილველად დატოვება 275-ე მუხლის საფუძველზე.

2) სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვებისა.

3) სასამართლო სხდომაზე **არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.**

4) იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

საპროცესო სამართალი გამორიცხავს ერთი და იმავე საქმესთან დაკავშირებით პარალელური სამართალწარმოების შესაძლებლობას. საქმე იმ სასამართლომ უნდა განიხილოს, რომელმაც თავდაპირველად აღძრა იგი. ნებისმიერი მცდელობა იმისა, რომ განმეორებით იქნეს წარდგენილი განცხადება დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, არამართლზომიერია და იწვევს განცხადების განუხილველად დატოვებას.

5) დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ (იხ. 83[1]-ე მუხლი.)

6) არსებობს სსსკ-ის 281-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;

7) მოსარჩელე სსსკ-ის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს ან შუამდგომლობას მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარების შესახებ;

8) სახ. ბაჟის ოდენობის შემცირების შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სახ. ბაჟის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

9) სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ მოსარჩელემ სარჩელში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების საფუძვლები სასარჩელო წარმოების საქმეებისათვის ამომწურავია. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთათვის კი გათვალისწინებულია განცხადების განუხილველად დატოვების კიდევ ერთი (სპეციალური) საფუძველი (იხ. სსსკ 311-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევები (საფუძვლები) პირობითად შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის გარემოებები, რომლებიც მოწმობენ, რომ მოსარჩელემ ან განმცხადებელმა არ დაიცვა სარჩელის (განცხადების) წარდგენის კანონით დადგენილი წესი. ეს წესი დარღვეულად ჩაითვლება, თუ სახეზეა სსსკ 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ", „ე", „თ" და „ი" ქვეპუნქტებით და 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები.

აღნიშნული შემთხვევების (ფაქტების) კონსტატაცია (ანუ ამ გარემოებების გამოვლინება) სასამართლო სხდომაზე იმას მოწმობს, რომ განცხადების მიღებისას მოსამართლემ დაუშვა შეცდომა, რომელიც უნდა გამოსწორდეს სასამართლოს მიერ სწორედ განცხადების განუხილველად დატოვების გზით.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის გარემოებები (შემთხვევები), რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის (განმცხადებლის) გამოუცხადებლობასთან (ასეთ შემთხვევაში მოპასუხე თანახმა უნდა იყოს სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების), ან ორივე მხარის გამოუცხადებლობასთან (275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" და „დ" ქვეპუნქტები). უნდა ითქვას, რომ სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით მხარეთა ან მხოლოდ მოსარჩელის გამოუცხადებლობისას სრული საფუძველია ვივარაუდოთ, რომ მხარეებმა ან მოსარჩელემ დაკარგეს საქმის (დავის) არსებითად განხილვისა და გადაწყვეტის ინტერესი, რის გამოც პროცესის (საქმისწარმოების) შემდგომი გაგრძელება

მიზანშეუწონელია. ამიტომ, როდესაც აღნიშნული საფუძვლებით ხდება სარჩელის განუხილველად დატოვება, სასამართლოს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ცნობები მხარეთათვის (ან გამოუცხადებელი მოსარჩელისათვის) სასამართლო უწყების ჩაბარების შესახებ.

თუ ასეთი მონაცემები არ არსებობს, ან თუ საქმეშია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მხარეები ან მოსარჩელე სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდნენ საპატიო მიზეზით, მაშინ სარჩელის განუხილველად დატოვება დაუშვებელია.

მხარეების ან მოსარჩელის არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში განცხადების (სარჩელის) განუხილველად დატოვება შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ საპროცესო სანქციად, რომელსაც სასამართლო იყენებს საპროცესო ნორმების დარღვევისათვის.

განცხადების განუხილველად დატოვების საფუძვლების **მესამე ჯგუფს** მიეკუთვნება ისეთი გარემოებები, რომლებიც მოწმობენ, რომ ობიექტურად შეუძლებელია განცხადების განხილვა კანონის პირდაპირი აკრძალვის გამო. მაგალითად, სსსკ 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის (წარმოიშობა) დავა უფლების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო ვალდებულია განცხადება განუხილველად დატოვოს და დაინტერესებულ პირებს განუმარტოს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი საფუძველი, რომელიც დაკავშირებულია მხარის მიერ თავისი დისპოზიციური უფლების განკარგვასთან, ესაა სარჩელის გამოხმობა, ასევე 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში საქმისწარმოება მთავრდება განჩინებით, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

დასახელებული საფუძვლებით განცხადების განუხილველად დატოვება შესაძლებელია როგორც სასამართლო განხილვის სტადიაზე, ისე საქმის მომზადების სტადიაზე (სსსკ 209-ე მუხლი).

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესით. სსსკ 278-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის სათაურია „განუხილველად დატოვებული სარჩელის განმეორებით წარდგენა" – სარჩელი განმეორებით უნდა წარედგინოს სასამართლოს.

როგორც ცნობილია, სარჩელის შეტანით წყდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დინება (სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი). თუმცა სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სსსკ-ის 277-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა, რაც გამოწვეული იყო სარჩელის შეტანით, ანულირდება, ანუ სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. შეიძლება ითქვას, რომ სარჩელის განუხილველად დატოვებით მხარეები თითქოსდა უბრუნდებიან პროცესამდე (საქმის აღძვრამდე) არსებულ მდგომარეობას (იგულისხმება, რომ თითქოს არც ყოფილიყოს შეტანილი სარჩელი).

საქმისწარმოების შეწყვეტისა და სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების ინსტიტუტი გამოიყენება საქმის როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვის დროს.

საქმისწარმოების შეწყვეტა და სარჩელის განუხილველად დატოვება განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც საფუძვლების მიხედვით, ისე საპროცესო შედეგების მიხედვით.

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება ხდება მაშინ, როცა საქმე არ შეიძლება განხილულ იქნეს ამა თუ იმ მიზეზით (საფუძვლით), მაგრამ ეს მიზეზები შეიძლება მომავალში აღმოიფხვრას. სწორედ ამის გამოა, რომ განცხადების განუხილველად დატოვება

დაინტერესებულ პირს არ ართმევს შესაძლებლობას კვლავ (განმეორებით) მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით, იმავე მოთხოვნით, იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას.

საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში კი დაინტერესებულ პირს არა აქვს უფლება განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე საქმესთან დაკავშირებით.

განჩინებანი როგორც საქმისწარმოების შეწყვეტის, ისე სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს, რამეთუ პროცესის შემდგომ გაგრძელებას აფერხებს (პროცესის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობას გამორიცხავს).

§6. სასამართლო მედიაცია[1]

1. ზოგადად

დღეისათვის მედიაცია[2] ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ეს ინსტიტუტი განსაკუთრებით ეფექტიანია იმ სახელმწიფოებში, სადაც საკანონმდებლო დონეზეა გამყარებული. მედიაციის სფეროში მუშაობენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციები. სამსახური, რომელიც მედიაციის სფეროში საქმიანობს, ლიცენზირებულია სახელმწიფო ორგანოს მიერ, ხოლო თვითონ მედიატორის პროფესია სერტიფიცირებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლო მედიაციის ინსტიტუტს. კერძოდ სსკ-ის 187-ე პრიმა მუხლის თანახმად სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით. მედიატორისათვის საქმის გადაცემა ხდება განჩინების მეშვეობით. ეს განჩინება არ საჩივრდება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი საპროცესო კანონმდებლობის ნოვაციაა, მას დიდი ხნის ისტორია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ შუამავლობა ისეთივე ხანდაზმულია, როგორც სამყარო. ამ გაგებით მედიაცია ცნობილია იმ დროიდან,როცა ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტის (დავის) ძალის გამოყენების გარეშე გადაწყვეტა და კომპრომისის ძიება მესამე პირის დახმარებით. მედიაცია (ზოგჯერ მას უწოდებენ მედიატრიქსიას – Mediatrix) ,მრავალი საუკუნეა, რაც მოდავე მხარეთა შორის მშვიდობის დამყარების საქმეს ემსახურება.[3]

---

[1] მომდინარეობს ლათინური ზედსართავისაგან medius – ორ თვალსაზრისს ან ორ მხარეს შორის შუალედური პოზიციის დაკავება, შუალედური გამოსავლის შეთავაზება, ნეიტრალურად, მიუკერძოებლად მოქმედება. იხ. K.E. Georges. Ausfurliches lateinisch – deutsches Hansworterbuch, Bd. 2. Darmstadt, 1983.

[2] მედიაციის, როგორც კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, საერთაშორისო აღიარების თარიღად მიჩნეულია 1999 წლის ვენის კონფერენცია. 2000 წლიდან მედიაცია აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, კულტურათაშორისო, სავაჭრო, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა კონფლიქტების მოსაგვარებლად. მაგალითისთვის: საერთაშორისო სამართალში მიღებულია მედიაციის სამოდელო კანონი „საერთაშორისო კომერციული მოსარიგებელი პროცედურების შესახებ" (Model Law on International Commercial Conciliation). მედიაცია, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების გზა, მითითებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 33-ე მუხლში (The parties to any dispute, the continuance of which is likely to endanger the maintenance of international peace and security, shall, first of all, seek a solution by negotiation, enquiry, mediation, conciliation, arbitration, judicial settlement, resort to regional agencies or arrangements, or other peaceful means of their own choice). 2008 წლის 21 მაისს ევროპარლამენტმა მიიღო დირექტივა „საზოგადოებრივ და კომერციულ საქმეებში მედიაციის ძირითადი ასპექტების შესახებ".

[3] J.Duss – von Werdt. Mediation in europa, Studienbrief im weiterbildenden Studium Mediation der Fern

მედიაცია კონფლიქტის გადასაწყვეტად გამართული მოლაპარაკებების ტექნიკაც არის. ამ მნიშვნელობით, მედიაცია განსაკუთრებული პროცედურაა, რომელსაც ცოტა რამ აქვს საერთო საარბიტრაჟო წარმოებასთან, სამომრიგებლო პროცედურებთან, ასევე სასამართლოების მიერ მხარეთა მორიგებასთან.

მედიაციას, ისევე, როგორც კონფლიქტების გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ საშუალებებს და მეთოდებს, დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის არსებული უთანხმოების მოსაწესრიგებლად. მედიაცია ხელს უწყობს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევას, მათ მორიგებას იმ ორგანოების ჩარევის გარეშე, რომლებსაც კანონით ან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით აქვთ დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება. ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტას არ მოსდევს კონფლიქტის ეფექტიანად და სწორად გადაწყვეტა, ვინაიდან სასამართლო პროცედურა შემდგომში მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას, ე.ი. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს ჩარევა ხდება ორმხარეს შორის არსებულ კონფლიქტში. მხარეთა მიმართ ნეიტრალური და დამოუკიდებელი მედიატორის (რომელსაც არ გააჩნია დავის გადაწყვეტის უფლებამოსილება) მონაწილეობით დავის მოგვარება კი ეფექტურია, რადგან საშუალებას იძლევა კონფლიქტი გადაწყდეს კომპრომისის საფუძველზე, იძულებისა და სასამართლოში საქმის საწარმოებლად საჭირო თანხისა და დროის ზედმეტად ხარჯვის გარეშე.

გარდა ამისა, მედიაცია მიიჩნევა იმ საქმეებისაგან სასამართლოთა განტვირთვის ერთ-ერთ საშუალებად, რომელთა წარმატებით გადაწყვეტაც შესაძლებელია სასამართლომდე და სასამართლოს გარეშე წესით. ქართული საპროცესო კანონმდებლობაც სწორედ ასეა აგებული. საპროცესო კოდექსის 187^3-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ დავებს, ანუ საქმეებს რომლებზედაც ვრცელდება სასამართლო მედიაცია. ესენია: ა) საოჯახო სამართლებრივი დავები, გარდა შვილად აყვანის, შვილად აყვანის ბათილად ცნობის, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევის საქმეებისა; ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივი დავები; გ) სამეზობლო სამართლებრივი დავები; დ) ნებისმიერი დავა მხარეთა თანხმობის შემთხვევაში (როდესაც საუბარია მხარეთა თანხმობაზე მაშინ დავა მედიატორს შეიძლება გადაეცეს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე). მოცემული ნორმის და 187-ე პრიმა მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირველ სამ შემთხვევაში შესაბამისი კატეგორიის საქმეებზე სასამართლომ თავისი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით შეიძლება გადასცეს მედიატორს საქმე. ხოლო სხვა შემთხვევებში ანუ სხვა საქმეებზე აუცილებელია ორივე მხარის თანხმობა.

რა თავისებურება ახასიათებს მედიაციას? მოკლედ რომ ითქვას, ეს არის ორი, თითქოსდა ურთიერთ საწინააღმდეგო ელემენტის კომბინაცია. ეს ელემენტებია: 1) მხარეთა სრული ავტონომია და საერთო პოზიციის შემუშავების მნიშვნელოვანი გარანტიები და 2) ურთიერთხელსაყრელი შედეგის მიღწევა. ტრადიციულ პროცედურებში, მოცემული კომპონენტები, ჩვენთვის ცნობილია, როგორც ურთიერთსაპირისპირო ცნებები: თუ დავა გადაწყდება მხარეთა სრული ავტონომიის პირობებში ე.ი რაიმე წესებისა და მესამე პირის მხრიდან დახმარების გარეშე, მყარი კონსენსუსის მიღწევის პერსპექტივა დიდი არ შეიძლება იყოს, და პირიქით, რაც უფრო გონივრულად და სამართლიანად ხდება კონფლიქტის გადაწყვეტა, მით უფრო ნაკლები დისკრეციული უფლებები რჩებათ მხარეებს.

არსებობს დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ: 1) დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ ან საარბიტრაჟოს წესით; 2) მოდერაცია; 3) მოლაპარაკებები, რომლებშიც მესამე პირი მონაწილეობს კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით. იმისათვის, რომ უკეთ იქნეს გაგებული მედიაციის არსი, მიზანშეწონილია დავის გადაწყვეტის მეთოდების დახასიათება.

Universitat Hagen. Hagen 1999

2. სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება

თუ მხარეებმა მიიღეს პრობლემის სასამართლოს მიერ განხილვის გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, რომ მათ ამით თავიანთი დისკრეციული უფლებამოსილებების დიდი ნაწილიც დათმეს. საქმე იმაშია,რომ იმისდა მიუხედავად საუბარია სასამართლოზე თუ არბიტრაჟზე სწორედ მას ეკუთვნის პროცესის წარმართვისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. სასამართლო განსაზღვრავს პროცესის დაწყებისა და დამთავრების დროს, იმას, თუ რა წესით ჩატარდეს პროცესი. სასამართლო განსაზღვრავს პროცესის შედეგს. სასამართლო გავლენას ახდენს სხდომების შინაარსზეც. ის წყვეტს, თუ რომელ საკითხებზე უნდა წარმოებდეს დისკუსია და კონფლიქტის რომელი მომენტი არ უნდა იქნეს განხილული. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მთლიანად ე.ი. იღებს მხარეებისთვის იმპერატიულ აქტს, რომლითაც მთავრდება პროცესი. ამრიგად, პროცესის წარმართვის და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებასთან ერთად სასამართლოს მინიჭებული აქვს პროცესის შინაარსზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. მოცემული უფლებამოსილების მოცულობა დამოკიდებულია პროცესის სახეობაზე.

პროცესის შინაარსზე გავლენის მოხდენის და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მოცულობასთან თანაფარდობაშია მხარეთა დამოუკიდებლობის ხარისხი. სასამართლო წარმოებაში დაინტერესებული პირების ავტონომია შედარებით მეტადაა შეზღუდული. მოცემულ შეზღუდვებს ადგენს სახელმწიფო იმპერატიულად. ხოლო როდესაც მოდავე მხარეებს შეუძლიათ დავის საგნის განკარგვა, სასამართლოს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებების იმპერატიულობა ნაკლებად არის გამოხატული. ალტერნატიული წესით დავის გადაწყვეტის დროს მხარეები ნებაყოფლობით ამბობენ უარს თავიანთი უფლებამოსილებების ნაწილზე. საქმე შესაფასებლად გადაეცემა მესამე პირს. მხარეები აღიარებენ მესამე პირის ავტორიტეტს და გამოთქვამენ სურვილს დაემორჩილონ მის აზრს. ამ მიზნით ეს ორგანო (ეს შეიძლება იყოს, შუამავალი ან ექპერტი) განსაზღვრული (დადგენილი) კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. კერძოდ: თუ სასამართლოებში გადაწყვეტილების გამოტანა ხდება დემოკრატიული წესით მიღებული კანონების გამოყენებით, არბიტრაჟებში და ექსპერტების მიერ – ეს ხდება პროფესიულ კრიტერიუმებზე და ბრუნვის ჩვეულებებზე დაყრდნობით, რომელთა საიმედოობაც გარანტირებულია გადაწყვეტილების მიმღები პირის ავტორიტეტით. პროცესის წარმართვის უფლებამოსილების მესამე პირისათვის დაკისრება დავის მონაწილეებისათვის ნიშნავს ხარისხიანი შედეგის გარანტირებას, საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების შანსების გაზრდას და ავტორიტეტული ორგანოს დახმარებით სამართლიანობის მიღწევის იმედს.

3. მოდერაცია

დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის საპირისპირო მოდელის დროს მხარეები ერთმანეთს ხვდებიან აბსოლუტურად ნებაყოფლობითი მოლაპარაკებებისათვის. ამ მიზნით მათ მიერ ხდება მოლაპარაკებებში მოდერატორად[1] მესამე პირის ჩართვა. მოდერატორის ძირითადი ფუნქციაა: თითოეულ მხარეს მისცეს სიტყვა, შეუქმნას მხარეებს საქმიანი ატმოსფერო მოლაპარაკებები უსაგნო რომ არ გახდეს და აღმოფხვრას (თავიდან აიცილოს) კონფლიქტური სიტუაციები მხარეებს შორის. მოდერატორის მონაწილეთა შორის ურთიერთობების წარმმართველი და ამ ურთიერთობებისათვის გეზის მიმცემია.[2] მოდერატორი მოლაპარაკების პროცესის მამოძრავებელი ძალაა და აკონტროლებს ამ პროცესს, რათა მონაწილეებმა ანუ მხარებმა შესძლონ ერთმანეთის პოზიციის გაგება და ჰქონდეთ

[1] მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან – moderare – „თავის შეკავება, ზომიერების დაცვა“

[2] A. Redlich. Konflikt – Moderation. Hamburg. 1997 გვ.21

თავიანთი მიზნებისა და განზრახვების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.[1]

მოდერატორს უნდა ეჭიროს თავშეკავებული, ზომიერი პოზიცია, ისე, თითქოსდა მეორეხარისხოვანი ფიგურაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი მისი მხრიდან დაძალებას, თავისი პოზიციის მხარეთათვის თავსმოხვევას, მან არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა, ზემოქმედება მხარეებზე რაიმე სახით. ამიტომ მოდერატორს მინიჭებული აქვს მოლაპარაკების პროცესის წარმოების შეზღუდული უფლებამოსილება. ამ უფლება მოსილების მოცულობა, ხშირად, ზუსტად განსაზღვრული არ არის. მოდერაციის შემთხვევაში მხარეთა ავტონომია მკვეთრად არის გამოხატული, რამდენადაც მხოლოდ მხარეთა ავტონომია განსაზღვრავს მოლაპარაკებების შინაარსს. კონფლიქტის სრულად გადაწყვეტის შანსები დამოკიდებულია მხარეთა კეთილ ნებაზე. მაგრამ მოდერაციის შემთხვევაში მხარეთა შორის მყარი შეთანხმების მიღწევის კონკრეტული პერსპექტივა არ არსებობს.

4. კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით მოლაპარაკებებში მესამე პირის (შუამავლის) მონაწილეობა

დავის გადაწყვეტის ისეთ პოლარულ (ურთიერთსაპირისპირო) ფორმებთან ერთად, როგორიც არის „მოდერაცია" და დავის გადაწყვეტის სასამართლო (საარბიტრაჟო) ფორმა, არსებობს კონფლიქტის მოწესრიგების დროს მხარეთათვის დახმარების აღმოჩენის სხვა ფორმებიც, როდესაც მხარეები ემორჩილებიან უფრო მკაცრ წესებს, ვიდრე მოდერაციის დროს, მაგრამ პროცედურის დასრულების შემდეგ სასამართლო (საარბიტრაჟო) გადაწყვეტილება როდი მიიღება. ამასთან ნეიტრალურ მესამე პირს უფლება აქვს განსაზღვროს მოლაპარაკების პროცესის უმნიშვნელოვანესი ეტაპები და აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტის გადაწყვეტის გზის მონახვაში. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ეს პირი მხარეებს წამოუყენებს წინადადებებს, მისცემს სამართლებრივი ხასიათის რჩევებს, აგრეთვე ჩამოაყალიბებს მხარეთა შესაძლო შეთანხმებას. ზოგიერთ კონსტრუქციაში დაიშვება მესამე პირის კეთილი ზეგავლენა არგუმენტირებული ან ემოციური ჩარევის ფორმით შეთანხმებაზე ჯიუტი მხარის დასაყოლიებლად, დასათანხმებლად. მოცემული მოდელი საფუძვლად უდევს პირველყოვლისა სასამართლო სხდომის დარბაზში ან ადვოკატის და ნოტარიუსის ბიუროში (ოფისში) მორიგებას. შუამავლებს ასეთ შემთხვევებში ყველაზე უფრო ხშირად პროფესიონალი იურისტები წარმოადგენენ. მათი მონაწილეობის დროს საუბარია არა მხოლოდ მოლაპარაკებების მოდერაციაზე, არამედ თავიანთი მოქმედებებით ისინი მხარეთა მოლაპარაკებებისათვის ქმნიან კვალიფიციურ საფუძველს. შუამავლების ძირითადი ამოცანაა მხარეთათვის დახმარების აღმოჩენა შეთანხმების მიღწევის დროს. მაგრამ ამ ძირითადი ამოცანის შესასრულებლად შუამავლებს არ გააჩნიათ სპეციალური ცოდნა. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პირები აწარმოებენ შუამავლობას ინტუიტიურად, საკუთარი გამოცდილების გამოყენებით. მოლაპარაკებების წარმოების დროს ანალოგიურად მოქმედებს წესი იმის შესახებ, რომ შუამავლების წარმატება მით უფრო მოსალოდნელი იქნება, რაც უფრო ძლიერად მოახდენს იგი მოლაპარაკებების პროცესზე გავლენას (აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კონფლიქტის გადაწყვეტის გზის მონახვაში) და რაც უფრო ნაკლებად დაუტოვებს მხარეებს თავისუფალ ნებას.[2]

---

[1] K. Klebert. E.Schrader. W.G. Straub. Moderations Methode. Hamburg, 1994 გვ.8

[2] Медиация в нотариальной практике. М 2009 გვ.7

5. მედიაცია

სხვაგვარად არის საქმის ვითარება მედიაციის დროს. მედიაციის შემთხვევაში აღარ მოქმედებს ზემოთ უკვე აღნიშნული შემდეგი ფორმულა: " ან ავტონომია, ან მოთხოვნების სამართლიანი დაკმაყოფილება". მედიაციის პროცედურის დროს მხარეებს არა მარტო უნარჩუნდებათ თავიანთი უფლებამოსილებების დიდი ნაწილი მოლაპარაკებების წარმოებისას, არამედ იმავდროულად ეძლევათ მათთვის მისღები ვარიანტით კონფლიქტის გადაწყვეტის დიდი შანსიც.

მედიატორის საპროცესო უფლებამოსილებების მოცულობა ამომწურავად ზუსტად განისაზღვრება. ეს ნიშნავს, რომ არც მეტი, არც ნაკლები, მედიატორს ზუსტად ის საპროცესო უფლებამოსილებები გააჩნია, რომლებიც მას მხარეებმა მიანიჭეს. მას არა აქვს არც განსჯის, არც მორიგების, არც დასკვნების გამოტანის, არც შეფასების უფლება, მას არა აქვს არავითარი გადაწყვეტილების მიღების უფლება, რომელიც კი შეიძლება შეეხოს გადასაწყვეტ პრობლემას[1]. მედიატორის ვალდებულებაში ასევე არ შედის მხარეთათვის მათი პრობლემის გადაწყვეტის პროექტის წარდგენა; მედიატორი თან ახლავს მხარეებს კონფლიქტის აღმოფხვრის (თავიდან აცილების) გზაზე მაგრამ ასე ვთქვათ არ მიუძღვის მათ ამ გზაზე. მას შეუძლია ინფორმაციის შეგროვება, მისი განზოგადება, ჩანანიშნის შესრულება, პერსპექტივის აღნიშვნა, შესაბამისი ატმოსფეროს შექმნა, მაგრამ მას არა აქვს უფლება ზეგავლენა მოახდინოს მორიგების პროცესზე საკუთარი პოზიციის მეშვეობით (იმის შესახებ თუ როგორ უნდა მორიგდნენ მხარეები). მხარეებმა უნდა აღმოფხვრან კონფლიქტი თვითონ, თავიანთი პოზიციის ფარგლებში. ამ შემთხვევაში კონფლიქტის მხარეები მედიაციის დროს ინარჩუნებენ ავტონომიას მაღალი ხარისხით. მედიატორი თავის ნებას კი არ ახვევს მხარეებს, არამედ დავის გადაწყვეტა საბოლოო ჯამში მხარეთა მიერ ერთობლივად გამოვლენილი ნების (თანხვედრი ნების) შედეგია. ეს უჩენს მხარეებს რწმენას, რომ მოლაპარაკების შედეგები ზუსტად ასახავს მათ ნებას. გარდა ამისა, მედიაციის ფარგლებში მიღწეული კონსენსუსი შეიძლება ეხებოდეს მხარეთა პირად ურთიერთობებსაც. კონსენსუსი შეიძლება მოიცავდეს ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებაც შესაძლოა არასდორს ჰქონოდათ საუბარი მხარეებს, იურიდიული პროცედურების გამოყენებით რომ განხილულიყო მათი საქმე, რაც მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების სიმყარეს განაპირობებს.

ამრიგად, მედიაცია დავის გადაწყვეტის სხვა ფორმებთან შედარებით იმითი იგებს, რომ უპირატესობა ასეთ დროს ენიჭება მხარეთა შორის მორიგების მიღწევის ავტონომიურ ფორმას. მაგრამ ავტონომია თავისთავად როდი არის მედიაციის წარმატების რეცეპტი, რადგან დავის ის მონაწილეები, რომლებიც მოლაპარაკების წესებს არ იცავენ და ყოველგვარ ზღვარს გადადიან, ძალზედ იშვიათად ერიდებიან კონფლიქტის ესკალაციას და ქცევის იმავე მოდელს მისდევენ, რომელიც მათ აირჩიეს ჯერ კიდევ მოლაპარაკებების დაწყებამდე. ამ სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელია მარტოოდენ მესამე პირის ჩართვით და მისთვის მხოლოდდამხოლოდ პროცესის წარმართვის უფლებამოსილების გადაცემით, როგორც ეს ხდება მოდერაციის დროს. პირიქით, თუ მხარეებმა მიმართეს მედიატორს, ეს მეტყველებს იმ გარემოების სასარგებლოდ, რომ მიუხედავად მხარეთა ნების თავისუფლებისა, ისინი მზად არიან ერთმანეთს შეხვდნენ მოლაპარაკების მიზნით.

მედიაციის პროცედურის წარმატება მდგომარეობს მის განსაკუთრებულ გაფორმებაში. მედიაციის ფორმალური სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ ყველა შესაძლო შედეგიდან ის ხელს უწყობს ყველაზე ხელსაყრელი შედეგის დადგომას: მხარეთა ერთიანი

[1] ეს არ ნიშნავს, რომ მას საერთოდ არ აქვს გადაწყვეტილებების მიღების უფლება, კერძოდ: პროცესის მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში დასაშვებია და სასურველიც კი.

მყარი თვალსაზრისის შემუშავებას. მედიატორი არ ახდენს პირდაპირ გავლენას დავის შინაარსზე, ის ახდენს მხოლოდ პროცესის ორგანიზებას. მედიატორი აღადგენს კავშირს მოდავე მხარეთა შორის, ხელს უწყობს მათ ურთიერთგაგებას რის შედეგადაც იზრდება, მატულობს მხარეთა კრეატიულობა და საერთო (ერთიანი) პოზიციის მონახვის მზაობა და ყველა შესაძლო შედეგიდან წინა პლანზე გამოდის ყველაზე უფრო ოპტიმალური გადაწყვეტილება. ამის პირობაა არჩეული პროცედურის, მედიაციის პრინციპების ზუსტად დაცვა და მოლაპარაკების წარმოების სპეციალური ტექნიკის გამოყენება.

ზოგადად თუ ვიტყვით მედიაციის ყველა სახე ერთი და იმავე სქემაზეა აგებული. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობს. მედიაციის სახეების განსხვავებას განაპირობებს სპეციალიზაცია, კონკრეტული საქმის გარემოებები, მედიატორის პირადი სტილი. ამიტომ დოქტრინალურად იმის ჩამოყალიბება, თუ ზუსტად როგორ უნდა განხორციელდეს ან მიმდინარეობდეს მედიაცია, შეუძლებელია. თუმცა არსებობს ისეთი მინიმალური მოთხოვნები, როგორიც არის მაგალითად მედიატორის ნეიტრალურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც მხარეებს უნდა გააჩნდეთ. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ მედიატორს არ გააჩნია საქმეზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება (სსსკ-ის 187[7]-ე მუხლის თანახმად თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მხარეთა მორიგების დამტკიცების განჩინება სასამართლოს გამოაქვს და არა მედიატორს). აგრეთვე უნდა არსებობდეს ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო ელემენტები, როგორიც არის ნებაყოფლობითობა, ინფორმირებულობა და დავის გადაწყვეტის შედეგისადმი გააზრებული დამოკიდებულება. ზემოთხსენებულ კრიტერიუმთაგან თუ სახეზე არ იქნება ერთი ან ორი კრიტერიუმი, მედიაციის შესახებ უკვე საუბარი არ შეიძლება იყოს, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში კიდევ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ სახეზეა „მოლაპარაკებები მედიაციის ელემენტებით".

ზოგადი წესის მიხედვით მედიაციაში შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი ეტაპები: 1) წინასწარი სტადია: მედიაციის პროცედურის დაწყება და ორგანიზება, საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად „გამოსადეგია" მედიაციის პროცედურა დავის გადასაწყვეტად. 2) სადამფუძნებლო სტადია: პროცედურის შესახებ ინფორმირებული მხარეები დებენ მედიაციის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებას; 3) ძირითადი სტადია: პრობლემის გადაწყვეტა ცალკეულ საკითხებზე; 4) დასკვნითი სტადია: შეთანხმების მიღწევა, საბოლოო ნორმების (წესების) განსაზღვრა.

თავისთავად ცხადია, რომ მედიაციის პროცედურა შეიძლება მიმდინარეობდეს სხვა სქემითაც. გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ ყველა ძირითადი სტადია ერთმანეთს მოსდევს ლოგიკურად დადგენილი თანმიმდევრობით.

ამდენად მედიაცია ეს არის კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის არსებული პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტის პროცესი. საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო მედიაციის ვადას. ეს არის 45 დღე, მაგრამ არანაკლებ ორი შეხვედრისა. ამასთან 187[5]-ე მუხლი დისპოზიციური ნორმაა, რადგან აღნიშნული ვადის გაგრძელების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმავე ვადით, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში. კანონი განსაზღვრავს სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგებსაც (187[6] მუხლი) კანონით დადგენილია მედიაციის პროცედურის კიდევ ერთი თავისებურება – ეს არის მისი კონფიდენციალურობა. მედიატორს არა აქვს უფლება გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მხარეს და მის წარმომადგენელს არა აქვს უფლება გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით,

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი (187[8] მუხლი). სხვა შემთხვევებში მხარეთა მორიგებისაგან განსხვავებით მედიაციის ფარგლებში მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. იქიდან გამომდინარე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მედიატორის, როგორც შუამავალის მიუკერძოებლობა კანონი ითვალისწინებს მედიატორის აცილებას სსსკ-ის 31 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით (187[4] მუხლი). თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, მოსარჩელეს შეუძლია წარმოადგინოს სარჩელი საერთო წესების დაცვით.

ჩვენი აზრით, ეს ნორმა არასწორად არის ჩამოყალიბებული, ვინაიდან სასამართლო მედიაცია ამოქმედდება სწორედ სარჩელის შეტანის და საქმის აღძვრის შემდეგ. ამიტომ დავაზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მოსარჩელეს აღარ სჭირდება სარჩელის ხელმეორედ წარდგენა, არამედ საქმე უნდა გაგრძელდეს უკვე შეტანილ სარჩელზე.

თავი XXI

უდავო წარმოება

§1. უდავო წარმოების არსი. სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები

1. **უდავო წარმოების არსი**. უდავო წარმოების წესით განიხილება ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმე. ეს საქმეები ხასიათდება იმით, რომ მათი განხილვისას არ არსებობს უფლების შესახებ დავა. უდავო წარმოების ინსტიტუტის გამოყენება საჭიროა მაშინ, როცა უნდა დადასტურდეს იმ იურიდიული ფაქტების (მოქმედებების, ხდომილებების, მდგომარეობის) არსებობა ან არარსებობა, რომლებზეც დამოკიდებულია პირთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. უდავო წარმოების წესით ასევე დასტურდება უდავო უფლების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე განისაზღვრება ფიზიკური პირის სამართლებრივი სტატუსი.

უდავო წარმოების საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით ხდება რა სამართლებრივი განუსაზღვრელობისა და სამართლებრივი უზუსტობის აღმოფხვრა, ამ წესით (ამ საქმეებზე) გამოტანილი გადაწყვეტილება მომავალში ხელს უწყობს სამართლებრივი კონფლიქტების თავიდან აცილებას. სწორედ ამით ემსახურება უდავო წარმოება პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

2. **უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან**. უდავო წარმოების საქმეები განსხვავდება სასარჩელო წარმოების საქმეებისაგან. ეს განსხვავებები ჩანს როგორც სამართალწარმოების ამ სახის სამართლებრივ ბუნებაში, ისე მისი ზოგადი (საერთო) საპროცესო თავისებურებების ხასიათშიც, აგრეთვე უდავო წარმოების წესით განსახილველი თითოეული კატეგორიის საქმის ინდივიდუალურ თავისებურებებში.

უფლების შესახებ დავის არარსებობა განსაზღვრავს უდავო წარმოების საპროცესო ფორმის სპეციფიკურ ნიშნებს. უდავო წარმოება სასარჩელო წარმოებისაგან, პირველ რიგში განსხვავდება იმით რომ აქ არ არსებობს დავა უფლების შესახებ და, აქედან გამომდინარე, შესაბამისად, არ არსებობენ არც ურთიერთსაპირისპირო იურიდიული ინტერესების მქონე მოდავე მხარეები (მოსარჩელე და მოპასუხე). უდავო წარმოება არასასარჩელო, ცალმხრივი წარმოებაა. თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას წარმოიშობა დავა უფლების შესახებ (ვთქვათ, დაინტერესებული პირები განაცხადებენ დავას უფლების შესახებ ან თუ თვით სასამართლო დაასკვნის, რომ ფაქტის დადგენა გარდუვალად დაკავშირებულია სასამართლო წესით სამოქალაქო უფლების შესახებ დავის გადაწყვეტასთან), ეს გამოიწვევს შეტანილი განცხადების განუხილველად დატოვებას, ხოლო დაინტერესებულ პირებს განემარტებათ (შეეთავაზებათ), რომ მათ უფლება აქვთ საერთო წესით სარჩელით მიმართონ სასამართლოს (სსსკ 311-ე მუხლი). იმას, ვინც საქმეს აღძრავს უდავო წარმოების წესით, განმცხადებელი ეწოდება. სარჩელისაგან განსხვავებით განცხადება არ არის მიმართული კონკრეტულად რომელიმე პირის მიმართ, ვინაიდან უდავო წარმოებაში განმცხადებელი არ მოითხოვს დარღვეული ან სადავო უფლების დაცვას. თუ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება აისახოს სხვა პირთა უფლებებზე, მაშინ ეს პირები უდავო წარმოებაში (პროცესში) დაინტერესებულ პირებად მიიღებენ მონაწილეობას. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ შეასრულონ სსსკ 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები. ასეთ დაინტერესებულ პირებად უდავო წარმოებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ ფიზიკურმა პირებმა, საფინანსო ორგანოებმა, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა და ა.შ. უდავო წარმოების საქმეებში არ მონაწილეობენ მესამე პირები. რადგან უდავო წარმოებაში არ წყდება (არ განიხილება)

დავა უფლების შესახებ, არ გვყავს არც მხარეები და რადგან არ არსებობს არც სარჩელი, ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ უდავო წარმოებაში არ გამოიყენება ტიპური სასარჩელო ინსტიტუტები, როგორიცაა: სარჩელის ცნობა ან სარჩელზე უარის თქმა, მორიგების დადება, სარჩელის უზრუნველყოფა, შეგებებული სარჩელის აღძვრა, მხარეთა შეცვლა და ა.შ. იმავდროულად, არ არის გამორიცხული, რომ უდავო წარმოების წესით საქმის აღძვრის მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს რამდენიმე პირმა, რომელთაც საერთო ინტერესები აკავშირებთ (თანამონაწილეობა).

უდავო წარმოების საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადასტურებული განმცხადებლის უფლებების შესახებ სხვა პირთა მიერ დავის აღძვრის დამაბრკოლებელ ფაქტორს. თავისებურებით ხასიათდება მოცემული კატეგორიის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება და სასამართლოს მიერ უდავო წარმოების საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. პროცესის მთელი რიგი პრინციპი (დისპოზიციურობა, შეჯიბრებითობა, მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობა და სხვ.) უდავო წარმოებაში ვლინდება არასრული სახით, რამეთუ, როგორც ითქვა, უდავო წარმოებაში არ გამოიყენება მორიგება, სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტები, მაგრამ მთლიანობაში მოცემული კატეგორიის საქმეები განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით, კანონით დადგენილი ან კონკრეტული საქმისწარმოების სპეციფიკით განპირობებული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.

უდავო წარმოების წესით განიხილება ისეთი სამოქალაქო საქმეები, რომლებზეც აუცილებელია სასამართლო წესით იმ იურიდიული ფაქტების ან გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომლებზეც დამოკიდებულია ფიზიკურ პირთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. მაგალითად, ფიზიკური პირი მიმართავს სასამართლოს განცხადებით ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ, რამეთუ მოცემული ფაქტის დადგენა მას სჭირდება სამკვიდროს მისაღებად.

სამართლებრივი მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი იურიდიული ფაქტების საფუძველზე, რომლებიც ეჭვს არ იწვევენ. მაგალითად, პენსიის უფლების განხორციელებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუ დადგენილია დაინტერესებული პირის ასაკი, მისი შრომითი სტაჟი, ინვალიდობა და ა.შ. სამკვიდროს მისაღებად საჭიროა გარკვეული ხარისხის ნათესაური კავშირის ფაქტის ცოდნა და ა.შ. შესაბამისი ფაქტების კონსტატაცია შესაძლებელია ორი წესით, კერძოდ, ადმინისტრაციული (მათ შორის სანოტარო) და სასამართლო წესით. ცხადი ფაქტები, ე.ი. უშუალოდ შესაბამისი ორგანოს წინაშე შესრულებული ან ოფიციალური დოკუმენტებით დადასტურებული ფაქტები, შეიძლება დადასტურდეს ადმინისტრაციული წესით (ბავშვის დაბადება, გარდაცვალების ფაქტი, ქორწინების რეგისტრაცია, განქორწინება და ა.შ.). ისეთი ფაქტები, რომლებიც არ არის ცხადი, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომლებიც ან საერთოდ არ ექვემდებარება ოფიციალურ რეგისტრაციას (კმაყოფაზე, რჩენაზე ყოფნა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ყოფნა და ა.შ.), ანდა ისეთი ფაქტები, რომლებიც არ დასტურდება ოფიციალური დოკუმენტებით მათი დაკარგვის გამო (ქორწინების ფაქტი, უფლებადამდგენი დოკუმენტების კუთვნილების ფაქტები), დასტურდება სასამართლო წესით, რამეთუ მოითხოვს იმ მტკიცებულებათა გამოკვლევას, რომლებიც ადასტურებენ შესაბამის ფაქტს. თუ სასარჩელო წარმოებაში შესაბამისი იურიდიული ფაქტის დადგენა აუცილებელია უფლების დასაცავად, უდავო წარმოებაში განმცხადებლის ინტერესი შემოიფარგლება ფაქტის კონსტატაციით. ფაქტიდან გამომდინარე უფლებების შესახებ საკითხი კი გადაწყდება და განიხილება უდავო წარმოების ფარგლებს მიღმა.

სწორედ ეს გარემოება, რომ განმცხადებელს უდავო წარმოებაში არა აქვს უფლების დაცვის ინტერესი, განაპირობებს უდავო წარმოებაში უფლების შესახებ დავის არარსებობას.

თუმცა ის, რომ უდავო წარმოებაში შეუძლებელია უფლების შესახებ დავის განხილვა და გადაწყვეტა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სამართალწარმოების ამ სახისათვის საერთოდ უცხოა „დავა". ცალკეულ შემთხვევაში უდავო წარმოებაშიც შეიძლება განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს დავები, თუმცა უდავო წარმოებაში ასეთ შემთხვევებში სახეზე იქნება არა დავა უფლების, არამედ დავა, თვითონ ფაქტის შესახებ. მაგალითად, აღიძრა საქმე პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ. ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად სასამართლოში უნდა ჩაებას თვით შეზღუდულქმედუნარიანად ასაღიარებელი პირი და მას უფლება აქვს სადავო გახადოს, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების ფაქტები. ასევე პირის ქმედუუნაროდ აღიარების საქმეზე ეს პირი შეიძლება დაბარებულ იქნეს სასამართლო სხდომაზე, თუ ეს შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ხოლო სასამართლოში ამ პირს შეუძლია სადავო გახადოს განმცხადებლის მოთხოვნა (სსსკ 325-ე მუხლი) და ა.შ.

დასადგენი ფაქტი შეიძლება სადავო გახდეს იმ შემთხვევებშიც, როცა ფაქტის დადგენისას წარმოიშობა უთანხმოება (აზრთა სხვაობა) ფაქტის შესახებ მოწმეებს, დაინტერესებულ პირებს და ა.შ. შორის. ამრიგად, უდავო წარმოება ხასიათდება „უფლების შესახებ დავის" არარსებობით, მაგრამ არ გამორიცხავს დავას იურიდიული ფაქტების არსებობის შესახებ. უდავო წარმოების წესით ასევე განიხილება სამოქალაქო საქმეები, რომლებზეც აუცილებელია დადასტურდეს უდავო უფლების არსებობა ან არარსებობა (საქმეები დაკარგულ ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ). მოცემული კატეგორიის საქმეებზე სასამართლო წყვეტს არა მხოლოდ ფაქტის საკითხს, არამედ უფლების საკითხსაც. ასეთ შემთხვევებში უფლების დაცვა ვერ განხორციელდება სასარჩელო წესით, რამდენადაც სახეზე არ არის დავა უფლების შესახებ და დაინტერესებული პირი არავის არ უყენებს არავითარ მოთხოვნებს.

უდავო წარმოების წესით ასევე განიხილება საქმეები, რომლებზეც სასამართლო ადგენს ფიზიკური პირის სამართლებრივ სტატუსს, კერძოდ, ერთ შემთხვევაში ფიზიკური პირი ცხადდება ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიმღებად ან შეზღუდულქმედუნარიანად, სხვა შემთხვევებში – ცხადდება გარდაცვლილად ან ხდება უგზო-უკვლოდ დაკარგულად მისი აღიარება.

უდავო წარმოების საქმეებში შესაძლებელია დავა იმ ფაქტის შესახებ, რომელიც საჭიროებს სასამართლო დადასტურებას, რამეთუ სასამართლოს მიერ დასადგენი ფაქტი ყოველთვის როდი არის ცხადი და ამიტომ ხშირად ამ ფაქტის არსებობის მიმართ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები. ყველა მსგავს შემთხვევაში სასამართლო უნდა დარწმუნდეს ფაქტების არსებობაში ან არარსებობაში მის ხელთ არსებული მტკიცებულებების შემოწმებისა და შეპირისპირების, დაინტერესებულ პირთა მსჯელობებსა და მოსაზრებებში წინააღმდეგობათა გამოვლენის გზით. ამრიგად, უდავო წარმოებაში შესაძლებელია, რომ ადგილი ჰქონდეს დავას ფაქტის შესახებ და ფაქტის არსებობა ან არარსებობა უნდა დაადგინოს სასამართლომ, თუ დავა ფაქტის შესახებ არ გადაიზარდა უფლების შესახებ დავაში.[1]

უდავო წარმოების ზემოაღნიშნული სპეციფიკა განაპირობებს ინტერესების დაცვის განსაკუთრებული საშუალებების გამოყენებას, აგრეთვე სასამართლო პროცედურის თავისებურებებს სამართალწარმოების ამ სახეში.

3. უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები. უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს: 1) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ; 2) ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და ფიზიკური

[1] Чечот Д.М. Неисковые производства. გვ. 19. Добровольский А.А. Иванова С.А. Основные проблемы исковой формы защиты права. М., 1979, გვ. 151-154

პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ; 3) დაკარგულ საწარმოდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ (გამოწვევითი წარმოება); 4) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ; 5) შვილად აყვანის შესახებ; 6) ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ. უდავო წარმოების საქმეთა სპეციალურ კატეგორიას წარმოადგენს ასევე საქმეები მხარდაჭერის გაუქმების შესახებ (თუ მანამდე იგი აღიარებული იყო მხარდაჭერის მიმღებად ან შეზღუდულქმედუნარიანად). თუმცა ეს საქმეები არ არის ჩამოთვლილი საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში, ისინი უდავო წარმოების საქმეთა ცალკე, დამოუკიდებელ კატეგორიას წარმოადგენენ.

უდავო წარმოების საქმეებს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების (პროცესის) ზოგადი (საერთო) წესებით უდავო წარმოების მომწესრიგებელი ნორმებით დადგენილი ცვლილებებისა და დამატებების (თავისებურებების) გათვალისწინებით. სამოქალაქო პროცესისათვის საერთო პრინციპები, კერძოდ, შეჯიბრებითობა, დისპოზიციურობა, უშუალობა – გამოიყენება უდავო წარმოებაშიც. უდავო წარმოების საქმეებიც განიხილება სამოქალაქო პროცესის იმავე სტადიების გავლით (საქმის აღძვრა, მისი მომზადება, საქმის განხილვა და ა.შ.), როგორც სასარჩელო წარმოების საქმეები. უდავო წარმოების საქმეებზე ვრცელდება მტკიცების, ოქმის შედგენის, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის და ა.შ. ზოგადი (საერთო) წესები. ამასთან, უდავო წარმოებას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანიც, რაც მას განასხვავებს სამართალწარმოების სხვა სახეებისაგან. სპეციფიკურია უდავო წარმოების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

კანონის (სსსკ-ის 364-ე მუხლის) მოთხოვნა, რომ გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ მხარეებს და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებს, ვერ გავრცელდება იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ უდავო წარმოების წესით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, რადგან ასეთი სახის წარმოების დროს არ მონაწილეობენ მხარეები, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და თანამონაწილეები, ამიტომ იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ ამ ფაქტის დადგენით შეილახა მისი უფლება.

თუ დაინტერესებულმა პირმა იურიდიული ფაქტის შესახებ შეიტყო სასამართლომ მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მას უფლება აქვს, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, თუ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის შესული კანონიერ ძალაში.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მისი ბათილად ცნობის შესახებ. თუ გაშვებულია ბათილად ცნობის შესახებ განცხადების შეტანის ვადა, დაინტერესებულ პირს ამავე საკითხთან დაკავშირებით შეუძლია მიმართოს სასამართლოს საერთო სასარჩელო წარმოების წესით. ამასთან, სსსკ 422 და 423-ე მუხლების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ ვერ დაედება საფუძვლად გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლებას, რადგან ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია უდავო წარმოების წესით, სადაც არ არიან ურთიერთდაპირისპირებული მხარეები, ხოლო სსსკ 106-ე მუხლის თანახმად, დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

განცხადების განხილვისას სასამართლო ვალდებულია, იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ აცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ დროულად განახორციელონ სსსკ 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით მინიჭებული უფლებები

და მოითხოვონ საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა.

სასამართლოებმა მტკიცედ უნდა დაიცვან სსსკ 313-ე და 315-ე მუხლების მოთხოვნები, რომელთა თანახმად იურიდიული ფაქტის დადგენა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთის სხვა წესით მიღება შეუძლებელია. ამასთან, იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების შეუძლებლობას. ასეთი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების განხილვა დაუშვებელია. ასევე იხილეთ ანალოგიური შინაარსის გადაწყვეტილება (სუსგ 2002 წ. №5 გვ. 737-739) (2002 წ. №12, გვ. 2325-2329).

§2. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა

როგორც ცნობილია, პირადი და ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა დამოკიდებულია გარკვეული, კანონში მითითებული იურიდიული ფაქტების არსებობაზე ან არარსებობაზე, ამიტომ ისეთი საქმეების სწორად განხილვას, რომლებიც ეხება ფიზიკურ პირთა არსებით ინტერესებს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ერთი მხრივ, ამ საქმეთა სწორი განხილვა უზრუნველყოფს ამ ინტერესების დაკმაყოფილებას, მეორე მხრივ, ამით თავიდან იქნება აცილებული შემდგომში ამა თუ იმ დაინტერესებული პირის მიერ შეღავათების ან სხვა ქონებრივი სარგებლის არასწორად მიღება.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა ხდება სასარჩელო წარმოების გზით და უდავო წარმოების წესით. სასამართლო წესით საქმის განხილვა შეუძლებელია იურიდიული ფაქტების დადგენის გარეშე. **მაგრამ სასარჩელო წარმოებაში ფაქტების დადგენა წარმოებს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის მიზნით** და ეს კი უფლების შესახებ მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტის წინაპირობაა (წანამძღვარია). უდავო წარმოებაში კი იურიდიული ფაქტების დადგენა სასამართლო განხილვის (პროცესის) საბოლოო მიზანია. ხოლო შესაბამისი სამართლებრივი შედეგები დგება ავტომატურად, სასამართლო პროცესის ფარგლებს მიღმა.

მოცემული ფაქტები უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტებით (სხვადასხვა სახის მოწმობით, ცნობით, სამოქალაქო აქტების ჩანაწერებით და ა.შ.). თუმცა არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტით მისი დაკარგვის, განადგურების, აღდგენის შეუძლებლობის გამო ან სხვა მიზეზით. ასეთ შემთხვევებში დაპროცესო კანონით გათვალისწინებულია იურიდიული ფაქტების დადგენის სასამართლო წესი (იხ. საპროცესო კოდექსის 312-316-ე მუხლები).

რაც შეეხება იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ საქმეთა აღძვრას, სსსკ 312-ე მუხლში ჩამოთვლილი იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ განცხადებით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. მაგრამ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ და განიხილოს იგი უდავო წარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულ იქნება გარკვეული პირობები, კერძოდ, თუ:

ა) კანონის თანახმად ასეთი ფაქტები წარმოშობს იურიდიულ შედეგებს (იწვევს ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობას, შეცვლას ან მოსპობას).

ბ) ფაქტის დადგენა არ არის დაკავშირებული უფლების შესახებ დავის გადაწყვეტასთან.

გ) განმცხადებელს სასამართლოს გარდა არა აქვს ფაქტის დადგენის სხვა შესაძლე-

ბლობა (მას არ შეუძლია მიიღოს ან აღადგინოს სხვა გზით, სხვა წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტები).

316-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, უდავო წარმოების საქმეთაგან იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებს განიხილავს მოსამართლე ან სასამართლოს შესაბამისი მოხელე სსსკ-ის 311-ე მუხლით დადგენილი წესებით. ჩვენი აზრით, აღნიშნული ნორმა იმ ნაწილში რომლითაც მოსამართლის გარდა ასევე „მოხელესაც" ეძლევა საქმის განხილვის უფლება, ანტიკონსტიტუციურია. დაუშვებელია მოსამართლის გარდა მართლმსაჯულებას ახორციელებდეს ისიც, ვინც არ არის მოსამართლედ გამწესებული.

განცხადების მიღების დროს მოსამართლე ამოწმებს, აქვს თუ არა განმცხადებელს ფაქტის დადგენის იურიდიული ინტერესი, რამეთუ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებიც კანონის თანახმად წარმოშობს იურიდიულ შედეგებს (იწვევს პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა". ამდენად, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას, რომელთაც სამართლებრივად რაიმე იურიდიული შედეგი, უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა მოჰყვება და უფლების გარეშე მარტოოდენ ფაქტის დადგენა დაუშვებელია. ამიტომ კოდექსის 315-ე მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ განცხადებაში იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა.

იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში იმ მიზანზე მითითითება, რისთვისაც განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა სჭირდება, წარმოადგენს სასამართლოს მიერ განცხადების წარმოებაში მიღებისა და განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მართლა უკავშირებს თუ არა კანონი დასადგენ ფაქტს იმ შედეგს, რომლის დადგომაც განმცხადებელს სურს. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენით განმცხადებელის მიზანი ვერ იქნება განხორციელებელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო თუ განმცადებლის მიზნის მიუღწევლობა განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ გაირკვევა, დატოვოს იგი განუხილველად, თანახმად ამავე კოდექსის 275-ე მუხლისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისათვის აუცილებელ პირობად ითვალისწინებს ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას. ამასთან, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში პირს არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ დაუსაბუთებელი მითითებით, რომ სხვა წესით ვერ შეძლო ამ ფაქტის დადგენა, რადგან კოდექსის 315-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ განცხადებასთან ერთად „წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას".

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე, 315-ე მუხლების მოთხოვნებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 20 თებერვლის განჩინება განმარტავს (საქმე 3კ/271-02). კოდექსის 315-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცებულებას შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა იურიდიული პირების ცნობები, რომ მათ ასეთი ფაქტის დადასტურების უფლებამოსილება

არ გააჩნიათ ან ფაქტს იმის გამო ვერ დაადასტურებენ, რომ განადგურდა შესაბამისი ჩანაწერები, საარქივო მასალები, დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტის დამადასტურებელი ცნობის გაცემა, თუ არ არის დაცული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლის მოთხოვნა განცხადებაზე სათანადო მტკიცებულებების დართვის შესახებ, რაც უხეში პროცესუალური დარღვევაა და ასეთი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების განხილვა დაუშვებელია. - (იხ. სუსგ, 2002, №5, სამოქ. გვ. 737-739).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე სასამართლოს მოვალეობა და დაინტერესებულ პირთა პროცესუალური უფლებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებითაც არის განმარტებული (საქმე №3 კ/661-02). იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლო ვალდებულია, უდავო წარმოების შესახებ შეატყობინოს საკარაუდოდ დაინტერესებულ ყველა პირს და პროცესუალურად მისცეს მათ საშუალება, დროულად განაცხადონ თავიანთი დაინტერესებისა და საქმის სასარჩელო წესით განხილვის შესახებ. ამ მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში, თუ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დაინტერესებულ პირთათვის (რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტის დადგენით მათი უფლება შეილახა) ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მათ უფლება აქვთ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრონ სააპელაციო წესით, მოითხოვონ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, ხოლო თუ გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ უკვე კანონიერ ძალაშია შესული, დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მიმართონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტის საფუძველზე და მოითხოვონ ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებანი 2001-2002 წწ. გვ. 69-76).

თუ დაინტერესებული პირი მიმართავს სასამართლოს და მოითხოვს იურიდიული მნიშვნელობის არამქონე ფაქტის დადგენას (ანუ თუ განმცხადებელს არა აქვს იურიდიული ინტერესი), სასამართლომ უარი უნდა უთხრას მას განცხადების მიღებაზე. თუ ასეთ განცხადებას შეცდომით მიიღებს სასამართლო და დაიწყებს საქმის განხილვას, მაშინ უნდა შეწყვიტოს საქმისწარმოება. სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვთ და შესაბამისად დაუშვებელია სასამართლოს ეთხოვოს მრავალი სხვადასხვა სახისა და ხასიათის (ხარისხის) ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენა, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულის (დებსა და ძმებს, მშობლებსა და შვილებს, ბებიებსა (პაპებს) და შვილიშვილებს) გარდა და სხვ.

იმავდროულად, მაგალითად, კანონი არ ითვალისწინებს დასა და ძმას შორის ნათესაური კავშირის ფაქტის ოფიციალურ რეგისტრაციას, ამიტომ აუცილებლობის შემთხვევაში დაინტერესებული პირები სასამართლოს გარდა სხვა ვერც ერთ ორგანოს ვერ მიმართავენ. განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადება შეაქვს რამდენიმე პირს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი სხვადასხვა ადგილას აქვთ, მაშინ განცხადება შეიტანება სასამართლოში ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მათი არჩევით.

იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადება უნდა შეესაბამებოდეს სსსკ 177-ე (გარდა იმ მოთხოვნისა, რომ შეესაბამებოდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით) და 178-ე მუხლების მოთხოვნებს, ამასთან 178-ე მუხლში მითითებული

ჩვეულებრივი რეკვიზიტების გარდა, განცხადებაში მითითებულ უნდა იქნეს:

ა) ამ ფაქტის დადგენის მიზანი; ბ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო დოკუმენტების მიღების ანდა დაკარგული დოკუმენტების (საბუთების) აღდგენის შეუძლებლობას. (სსსკ-ის 313-ე მუხლი). აგრეთვე, იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები კომპეტენტური ორგანოების მიერ განმცხადებლისათვის უფლებადამდგენი დოკუმენტების გაცემის საფუძველია, განცხადებაში უნდა მიეთითოსყველა საჭირო ინფორმაცია, რომელსაც კი კანონი მოითხოვს მოცემულ დოკუმენტში შესატანად (სსსკ-ის 315-ე და 316-ე მუხლები). შესაბამისად, მამობის დადგენის სახელმწიფო რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოში შეტანილ განცხადებაში უნდა აისახოს ის მონაცემები, რომლებიც სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლის საფუძველზე მიეთითება მამობის დადგენის სააქტო ჩანაწერის შესრულებისას.

მოცემული ნორმა ითვალისწინებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისათვის აუცილებელ პირობებს. ნორმის შესაბამისად, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მარტოოდენ მაშინ როცა განმცხადებელს სხვა წესით არ შეუძლია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტების მიღება ან დაკარგული დოკუმენტის აღდგენა შეუძლებელია.

ფაქტის დადგენის მიზნის მითითება იმისთვისაა აუცილებელი, რომ სასამართლომ განცხადების მიღების დროს განსაზღვროს მოცემული (დასადგენი) ფაქტის იურიდიული მნიშვნელობა და ასევე დაინტერესებულ პირთა წრეც. თუ განცხადებაში არ იქნება მითითებული სასამართლოსადმი განმცხადებლის მიმართვის მიზანი, ეს ჩაითვლება განცხადების შინაარსისადმი წარმოებული მოთხოვნის დარღვევად და სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს სსსკ 186-ე მუხლი.

საქმის აღძვრის დროს უნდა დადგინდეს, რომ განმცხადებელს არა აქვს სხვა შესაძლებლობა მიიღოს ან აღადგინოს იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი დაკარგული დოკუმენტები (საბუთები).

გარდა კონკრეტული ფაქტის დადგენის მიზნის მითითებისა, განცხადებას აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოცემული (დასადგენი) ფაქტის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტების (საბუთების) მიღების ან აღდგენის შეუძლებლობას (სსსკ-ის 313-ე მუხლი). აგრეთვე, იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები კომპეტენტური ორგანოების მიერ განმცხადებლისათვის უფლებადამდგენი დოკუმენტების გაცემის საფუძველია, განცხადებაში უნდა მიეთითოს ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელსაც კი კანონი მოითხოვს მოცემულ დოკუმენტში შესატანად (სსსკ-ის 315-ე და 316-ე მუხლები). შესაბამისად, მაგალითად, მამობის დადგენის სახელმწიფო რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოში შეტანილ განცხადებაში უნდა აისახოს ის მონაცემები, რომლებიც სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მიეთითება მამობის დადგენის სააქტო ჩანაწერის შესრულებისას. სსსკ-ის 313-ე მუხლი ითვალისწინებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისათვის აუცილებელ პირობებს. მოცემული ნორმის შესაბამისად, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მარტოოდენ მაშინ, როცა განმცხადებელს სხვა წესით არ შეუძლია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტის მიღება ან დაკარგული დოკუმენტის აღდგენა შეუძლებელია.

ასეთი მტკიცებულებები შეიძლება იყოს, მაგალითად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შეტყობინება სააქტო ჩანაწერის არარსებობის შესახებ, დაკარგული სააქტო ჩანაწერის აღდგენაზე წერილობითი უარი მისი აღდგენის შეუძლებლობის გამო და სხვ.

სსსკ-ის 313-ე მუხლისა და სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 83-ე და 84-ე მუხლების მიზანია სასამართლოს მიერ განსახილველად ისეთ საქმეთა მიღების გამორიცხვა, რომლებიც არ ექვემდებარებიან განხილვას და გადაწყვეტას უდავო წარმოების წესით. ამ თვალსაზრისით, 313-ე მუხლი სამოქალაქო აქტების კანონის დასახელებულ მუხლებთან ერთად, არ არღვევს სასამართლო წესით უფლების დაცვის კონსტიტუციურ უფლებას. ეს ნორმები განმცხადებლისათვის არ წარმოადგენენ დამაბრკოლებელ ფაქტორს კანონით გათვალისწინებული იმ მოთხოვნის შესრულების შემდეგ, რომ განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის კომპეტენტური ორგანოს შეტყობინება პირველადი ან აღდგენილი სააქტო ჩანაწერის არარსებობის შესახებ და სხვა ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს (თუკი ერთხელ ამ მიზეზით უარი ეთქვა) შესაბამისი ფაქტის სახელმწიფო რეგისტრაციის დასადგენად. იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებს სასამართლო განიხილავს ღია სასამართლო სხდომაზე განმცხადებლისა და საქმის შედეგით დაინტერესებული ყველა ფიზიკური პირისა და შესაბამისი ორგანიზაციების (სოციალური დაცვის, საგადასახადო ორგანოების და ა.შ.) მონაწილეობით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ზოგიერთი იურიდიული ფაქტის დადგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გარეშე წესით, კერძოდ, უდავო წარმოება არ შეიძლება გამოვიყენოთ დაბადების ან გარდაცვალების ფაქტის (ხდომილებები) დასადგენად და ა.შ. რამდენადაც, სპეციალური ნორმატიული აქტებით პირდაპირაა გათვალისწინებული მათი დადგენა ადმინისტრაციული წესით (სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ).

საქმის განხილვის დროს სასამართლო დეტალურად ამოწმებს საქმეზე წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას, ისმენს განმცხადებლისა და საქმის შედეგით დაინტერესებულ პირთა ახსნა-განმარტებებს. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებზე სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ან სხვა ორგანოებში, ვერ შეცვლის ამ ორგანოების მიერ გასაცემ დოკუმენტებს, არამედ მხოლოდ მათი მიღების (ასეთი რეგისტრაციისა და გაფორმებისათვის) საფუძველია.

სპეციფიკურია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. კერძოდ, როცა ეს გადაწყეტილება სასამართლოს შესაბამისმა მოხელემ გამოიტანა, იგი შეიძლება გასაჩირდეს იმავე სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით, მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

სსსკ 312-ე მუხლით გათვალისწინებულია უდავო წარმოების წესით დასადგენი ფაქტების დახურული, ამომწურავი ჩამონათვალი.

სასამართლოებს უფლება არა აქვთ ამ მუხლში ჩამოთვლილის გარდა დაადგინონ სხვა ფაქტები.

1. **პირთა ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენა**. განსაზღვრული ხარისხის ნათესაური ურთიერთობები გარკვეული პირობების არსებობისას იურიდიულ შედეგებს წარმოშობს. მოცემული ფაქტი უნდა დადგინდეს სასამართლო წესით ყველა შემთხვევაში, როცა ის უშუალოდ წარმოშობს იურიდიულ შედეგებს (მაგალითად, თუ ასეთი ფაქტის დადგენა განმცხადებელს სჭირდება კანონიერი მემკვიდრეობის გზით სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, საგადასახადო შეღავათის მისაღებად. მაგალითად, საგადასახადო კოდექსის თანახმად, განსაზღვრული რიგის მემკვიდრეები თავისუფლდებიან გადასახადის გადახდისაგანსამკვიდროს მიღებისას. მსგავს შემთხვევებში თავად სამკვიდრო მოწმობის მიღება შეიძლება არც იყოს პრობლემა. ვთქვათ ქონება ეანდერძა პირს. სამკვიდრო მოწმობაში აღინიშნება თუ მემკვიდრეთა რომელ რიგს მიეკუთვნება ანდერძის-

მიერი მემკვიდრე,თუ ის შედის კანონისმიერ მემკვიდრეთა რომელიმე რიგშიც. ცხადია,ანდერძის საფუძველზე სამკვიდროს მიღების დროს ზოგადად მნიშვნელობა არა აქვს პირი მამკვიდრებლის ნათესავი იქნება თუ გარეშე პირი,მაგრამ როგორც ვთქვით ნათესაობის ხარისხს საგადასახადო კუთხით აქვს მნიშვნელობა. აღნიშნულ ფაქტს სასამართლო ადგენს მაშინ, როცა ნათესაური ურთიერთობები ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შესაბამისი დოკუმენტებით. ყველაზე ხშირად ნათესაური ურთიერთობების დადგენა აუცილებელი ხდება სამკვიდროზე უფლების მისაღებად.

ჩვეულებრივ, განმცხადებელი ასეთ საქმეებზე ითხოვს მასსა და სხვა პირს შორის ნათესაური კავშირის არსებობის დადგენას, მაგრამ კანონი არ კრძალავს სხვა პირთა შორის ნათესაური ურთიერთობების დადგენას, თუ ეს გავლენას ახდენს განმცხადებლის სამართლებრივ მდგომარეობაზე. მაგალითად,განმცხადებლის თხოვნით შეიძლება დადგინდეს, რომ მისი გარდაცვლილი ქმარი გარდაცვლილი მამამთილის შვილია. ეს გადაწყვეტილება კანონიერი საფუძველი გახდება სამკვიდრო მოწმობის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ნათესაობის ყოველგვარი ხარისხი როდი წარმოშობს იურიდიულ შედეგებს. ამიტომ სასამართლოებისათვის სამკვიდროს მიღების მიზნით ნათესაური კავშირის დადგენის დროს ამოსავალი უნდა იყოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ნათესავთა წრე.

განსახილველი კატეგორიის საქმეების განხილვის დროს სასამართლომ საქმეში მონაწილეობის მისაღებად უნდა ჩააბას დაინტერესებული პირები.

მთავარ სხდომაზე სასამართლო ამოწმებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც, განმცხადებლის აზრით, ადასტურებენ ნათესაური კავშირის არსებობის ფაქტს. ასეთ საქმეებზე მტკიცებულებებად გამოიყენება დოკუმენტები, პირადი მიმოწერა, მოწმეთა ჩვენებები.

ნათესაური კავშირის არსებობის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში სასამართლომ უნდა მიუთითოს, ნათესაობის როგორი ხარისხი არსებობს განმცხადებელსა და შესაბამის პირს შორის, ხოლო, თუ საქმე ეხება კანონისმიერი მემკვიდრეობის მეორე ან ნებისმიერ მომდევნო რიგის მემკვიდრეთა ნათესაური კავშირის დადგენას, სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობენ პირველი ან ნებისმიერი წინა რიგის შესაბამისი მემკვიდრეები, რამეთუ წინა რიგის თუნდაც ერთი მემკვიდრის არსებობა, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გამორიცხავს მორიგი რიგის მემკვიდრეთა მოწვევას სამკვიდროს მისაღებად, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსგავსი საქმეების განხილვის დროს სასამართლოს მიერ.

2. პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა. აუცილებელია განიმარტოს თუ რა იგულისხმება კმაყოფაზე ყოფნაში. კმაყოფაზე ყოფნაში იგულისხმება ერთი პირის მატერიალური დახმარება მეორისადმი, რაც მუდმივ ხასიათს ატარებს და არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს. კმაყოფაზე ყოფნას (გარდაცვლილის კმაყოფაზე პირის ყოფნის ფაქტის დადგენას) სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მარჩენალის დაკარგვით (სიკვდილით) გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმეებში (სკ-ის 1006-ე მუხლი), სამკვიდროდან სარჩოს (ალიმენტის) მოთხოვნის საქმეებში (სკ-ის 1338-ე მუხლი). *გაკოტრების ადრე მოქმედი კანონი საინტერესო წესს ადგენდა. კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენას სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდა გაკოტრების სამართლისთვისაც, რომლის* მიხედვით პირს რომელიც მოვალის კმაყოფაზე იმყოფებოდა, გაკოტრების მასიდან უნდა მიეღო მინიმალურად აუცილებელი შესანახი თანხა (გაკოტრების ადრე მოქმედი კანონის მე-19 მუხლის "ა" ქვეპუნქტი).

კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი არ ექვემდებარება რეგისტრაციას,ამიტომ შეიძლება აუცილებელი გახდეს მისი სპეციალური დადგენა.

პირის გარდაცვლილის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით.

ასეთი დოკუმენტების არარსებობის ან მათი აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ან როცა შესაბამისი ორგანო უარს ამბობს კმაყოფაზე ყოფნის შესახებ დოკუმენტების გაცემაზე, მოცემული ფაქტი შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით.

სასამართლო წესით კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა დაიშვება მაშინაც, როდესაც არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც უარყოფს აღნიშნული ფაქტის არსებობას. აქედან გამომდინარე, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ფიზიკური პირი არსებული მონაცემებით გარდაცვლილის კმაყოფაზე არ იმყოფება, ვერ დააბრკოლებს საქმის აღძვრას და გავლენას არ მოახდენს მის არსებითად გადაწყვეტაზე, ანუ კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის სასამართლო წესით დადგენის შესაძლებლობა ასეთ შემთხვევებში არ გამოირიცხება. მოცემულ შემთხვევაში კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა.

კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა მაშინაც შეიძლება, როცა შრომისუუნარო პირს აქვს სხვა შემოსავლები, თუ ეს შემოსავლები არ არის არსებობის ძირითადი წყარო.

განცხადების წარმოებაში მიღების დროს მოსამართლემ, პირველ ყოვლისა, უნდა გაარკვიოს, აქვს თუ არა მოცემულ შემთხვევაში კმაყოფაზე ყოფნას იურიდიული მნიშვნელობა. კმაყოფაზე ყოფნის იურიდიული ხასიათი დამოკიდებულია კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის მიზანზე (ეს მიზანი შეიძლება იყოს სამკვიდროდან სარჩოს (ალიმენტის) მოთხოვნა მომავალში, ან ზიანის ანაზღაურება მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებით).

მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მიზნით კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის ან სარჩოს (ალიმენტის) მიღების მიზნით ამავე ფაქტის დადგენის დროს, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ კანონის თანახმად ზიანის ანაზღაურების უფლება ან სარჩოს (ალიმენტის) მიღების უფლება არ არის დაკავშირებული არც ნათესაური კავშირის არსებობასთან სარჩენსა და მარჩენალს შორის, არც მარჩენალის კმაყოფაზე (რჩენაზე) ყოფნის ვადასთან. კმაყოფაზე ყოფნის ვადას მნიშვნელობა არა აქვს.

3. მამობის დადგენის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის ფაქტების დადგენა. სკის თანახმად, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, ქორწინებისა და განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ფაქტებს აქვთ იურიდიული მნიშვნელობა. მაგრამ ზოგჯერ მათი არსებობა ეჭვის ქვეშ დგება, ხოლო აღდგენა შეუძლებელია (არქივი განადგურებულია სტიქიური უბედურების, ხანძრის დროს და ა.შ.). ამ შემთხვევაში შესაბამისი მოქმედების (ქორწინების და ა.შ.) რეგისტრაციის ფაქტი შეიძლება დაადგინოს სასამართლომ უდავო წარმოების წესით. ამ საქმეთა აღძვრა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, როცა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს არ ძალუძთ გასცენ შესაბამისი დოკუმენტის დუბლიკატი არქივის დაკარგვის გამო, ანუ, როცა შესაბამისი ჩანაწერი არ არის დაცული სარო-ში. ამიტომ სასამართლომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს დოკუმენტის (შესაბამისი ჩანაწერის) მიღების (ვთქვათ, არქივის დაკარგვის გამო) ან აღდგენის (როცა სარო უარს ეუბნება განმცხადებელს ჩანაწერის აღდგენაზე) შეუძლებლობის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება.

აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია არა ქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის და სხვა ფაქტების დადგენის შესახებ, არამედ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში მათი რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ.

313-ე მუხლში იმპერატიულად არის აღნიშნული, რომ სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში. სამოქალაქო

კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად ქალისა და მამაკაცის ქორწინების დამადასტურებელ ერთადერთ სამართლებრივ საბუთს წარმოადგენს ქორწინების რეგისტრაცია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, ამიტომ ქორწინების იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენას მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს თუ მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ და დაეკარგათ ქორწინების მოწმობა და მას სხვა გზით ვერ აღადგენენ.

სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის თანახმად მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

აღნიშნული კანონის ნორმა შესაძლებელია გამოვიყენოთ სასარჩელო წესით საქმის წარმოებისას. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის წესით მამობის დადგენას და დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანას კანონი არ ითვალისწინებს.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, ასეთი საქმეების აღძვრა დაიშვება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ჩანაწერი შეიძლება აღდგეს მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

თუ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს მიმართა მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ, მაშინ მეორე მეუღლე უნდა ჩაებას საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირად. თუ დაინტერესებულ პირად საქმეში ჩაბმული მეუღლე უარყოფს რეგისტრაციის ფაქტს, ეს ვერ დააბრკოლებს უდავო წარმოების წესით საქმის განხილვას. ეს იქნება დავა ფაქტის და არა უფლების თაობაზე, რომლის შესახებაც საუბარია სსსკ 311-ე მუხლში. თუკი ქორწინების რეგისტრაციის შესახებ დავა გადაიზრდება უფლების შესახებ დავაში, საქმე განიხილება სასარჩელო წარმოების წესით.

4. სასამართლო ახდენს უფლების დამდგენი საბუთის[1] განმცხადებლისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენას, თუ მასში მითითებული სახელი მამის სახელი ან გვარი არ ემთხვევა პასპორტის ან დაბადების მოწმობის მონაცემებს.

ფიზიკურ პირებს აქვთ იურიდიული (სამართლებრივი) მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა დოკუმენტი (განათლების შესახებ დოკუმენტები, ანდერძი და ა.შ.), ხოლო ზოგჯერ შეიძლება სახეზე იყოს სსსკ 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. მსგავს შემთხვევებში აუცილებელია სასამართლო წესით იმ ფაქტის დადგენა, რომ შესაბამისი უფლების დამდგენი დოკუმენტი ეკუთვნის მოცემულ პირს. რა შეიძლება იყოს აღნიშნულის მიზეზი? სხვადასხვაობა შეიძლება იყოს შეცდომის ან პირად მონაცემებში მოგვიანებით შეტანილი ცვლილებების შედეგი, როცა ცვლილების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი დაკარგულია. ზოგიერთი ადამიანი იცვლის გვარს, ზოგჯერ კი ესა თუ ის პირი სხვადასხვა სახის ცნობასა და სხვა დოკუმენტში იწოდება შეკვეცილი ან შეცვლილი სახელით ან მამის სახელით და ა.შ. არის შემთხვევები, როცა დოკუმენტის გაცემისას დაშვებულია შეცდომები, ვთქვათ, პირი რომელიც პასპორტის მიხედვით არის გიორგი გოგიჩაშვილი, იღებს უფლებადამდგენ დოკუმენტს, რომელშიც ის გიორგი გოგიჩაიშვილად იწოდება და ა.შ. ამიტომ სასამართლომ უნდა დაადგინოს დოკუმენტებში შეცდომები, რომლებიც უკვე ვეღარ გამოსწორდება მოცემული დოკუმენტის გამცემი ორგანოს მიერ.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა მოითხოვოს განმცხადებლისაგან მტკიცებ-

---

[1] უფლების დამდგენი დოკუმენტით (საბუთით) დასტურდება, რომ ფიზიკურ პირს აქვს გარკვეული უფლებები და პრივილეგიები. მაგალითად, დიპლომი, რომელიც ადასტურებს სასწავლებლის დამთავრებას, გარკვეულ უფლებებს ანიჭებს დიპლომის მქონე პირს.

ულებათა წარდგენა იმის შესახებ, რომ უფლებადამდგენი დოკუმენტი ეკუთვნის მას და რომ შესაბამის ორგანოს, რომელმაც თავის დროზე გასცა დოკუმენტი, არ შეუძლია შეიტანოს მასში შესაბამისი შესწორება. (ანუ იმის შესახებ, რომ შეუძლებელია შესაბამისი შესწორების შეტანა სხვა გზით). საქმეს უნდა დაერთოს შესაბამისი დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ ცნობა, ან ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ორგანოებს არ შეუძლიათ გასცენ ახალი დოკუმენტი ან შეიტანონ მასში შესწორება. კერძოდ, სასამართლო ადასტურებს ფიზიკური პირისადმი დიპლომის და სხვა დოკუმენტების, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პირად დოკუმენტებს, კუთვნილებას.

სასამართლოში (სასამართლო წესით) არ შეიძლება განხილულ იქნეს საქმეები (განცხადებები) პირისადმი (განმცხადებლისადმი) პასპორტის, პროფკავშირის ბილეთის, სამხედრო ბილეთის, სამხედრო მოსამსახურის პირადობის მოწმობის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების მიერ გაცემული მოწმობების კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რამეთუ მოცემული დოკუმენტები პირადი ხასიათისაა და არ წარმოადგენენ უფლების დამდგენ დოკუმენტებს. სასამართლო წესით არ შეიძლება განხილულ იქნეს ასევე (ანუ სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება) მედლით ან ორდენით დაჯილდოების შესახებ გაცემული დოკუმენტების კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ შეტანილი განცხადება. ზემოაღნიშნულ ყველა დოკუმენტში არსებული შეცდომები და უზუსტობა შეიძლება გამოსწორდეს (აღმოიფხვრას) მათი გამცემი ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ, ე.ი. ადმინისტრაციული წესით. იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანოები უარს იტყვიან დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე, განმცხადებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით. მაგალითად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის კანონის შესაბამისად მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერში დაშვებული შეცდომების გამოსწორება ხდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების მიერ. სარ-ოს უარი ჩანაწერის გამოსწორებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

დაუშვებელია:

ა) დოკუმენტის კუთვნილების ფაქტის ნაცვლად იმ პირთა იგივეობის დადგენა, რომლებიც სხვადასხვაგვარად (სხვადასხვანაირად) იწოდებიან სხვადასხვა დოკუმენტში. მაგალითად, გადაწყვეტილებაში მითითება, რომ გიორგი გოგიჩაშვილი და გოგიჩაიშვილი გიორგი – ერთი და იგივე პირია. ასეთი ფორმულირება არასწორია (დაუშვებელია), რამდენადაც ასეთი გვარი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა პირს. სწორი ფორმულირებაა და უნდა ჩაიწეროს გადაწყვეტილებაში, რომ „დიპლომი (ან ნებისმიერი სხვა ცნობა თუ უფლებადამდგენი დოკუმენტი) გაცემული გიორგი გოგიჩაიშვილზე, ვთქვათ, 2004 წლის 27 აგვისტოს ეკუთვნის გიორგი გოგიჩაშვილს“.

ბ) დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტის დადგენა თვით ამ დოკუმენტის კუთვნილების ფაქტის ნაცვლად. მაგალითად, „დადგენა იმისა, რომ გიორგი გოგიჩაშვილი 1999-2004 წლებში სწავლობდა გარკვეულ უმაღლეს სასწავლებელში“. ასეთი ფორმულირება მცდარი იქნება.

უფლებადამდგენი დოკუმენტების კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს: დოკუმენტის განმასხვავებელი ნიშნების აღნიშვნას, მითითებას (დასახელება, ვის მიერ და ვის სახელზეა გაცემული, გაცემის თარიღი, ნომერი და ა.შ.), იმ პირის სახელი, მამის სახელი და გვარი (პასპორტის ან დაბადების მოწმობის მიხედვით), რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი.

5. **მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენა,** როცა განმცხადებელს არ აქვს საჭირო დოკუმენტები სანოტარო წესით ამ ფაქტის დასადასტურებლად.

ამრიგად, მოცემული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადება სასამართლოს მიერ შეიძლება

განხილულ იქნეს უდავო წარმოების წესით, თუ სანოტარო მოქმედების შემსრულებელმა ორგანომ უარი უთხრა განმცხადებელს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმის გამო, რომ განმცხადებელს არა აქვს ის დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია (საჭიროა) სანოტარო წესით მემკვიდრეობის უფლების (მემკვიდრეობის მიღების ფაქტის) დასადასტურებლად, ანდა ასეთი დოკუმენტები არასაკმარისია.

მოცემულ შემთხვევაში საუბარია ისეთი დოკუმენტების უქონლობის შესახებ, როგორიცაა: შემნახველი სალაროს წიგნაკი, როგორც ფასიანი ქაღალი და შესაბამისად ქონება, რომელიც გაცემული იყო მამკვიდრებელზე; იმავე მისამართზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელზეც მამკვიდრებელი ცხოვრობდა და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მემკვიდრეობის უფლების (სამკვიდროს მიღების ფაქტის) დადასტურება.

თუ სათანადო დოკუმენტები არსებობს და ისინი წარდგენილია, ამ დოკუმენტებით დგინდება ნათესაური კავშირიც მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის მაგრამ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარი იყო ნათქვამი, მაშინ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი. ანუ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს არა მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ განცხადებით, არამედ გაასაჩივროს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი[1] და მოითხოვოს შესაბამისი მოქმედების შესრულების ნოტარიუსისთვის დაკისრება (სამკვიდრო მოწმობის გაცემა).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე და 312-ე მუხლები არ ითვალისწინებს სამემკვიდრეო ვადის გაგრძელების თაობაზე განცხადების განხილვას უდავო წარმოების წესით. საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად უდავო წარმოების წესით შეიძლება განხილულ იქნეს განცხადებები მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ.

6. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების შეტანა და განხილვა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს მიზანი, ე.ი. მისი სამართლებრივი შედეგები განმცხადებლისათვის. მიზანზე დამოკიდებულია ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის განსაზღვრა, სასამართლოსადმი დავის უწყებრივი ქვემდებარეობა, დაინტერესებულ პირთა წრის განსაზღვრა. ზოგჯერ ის, რომ ფაქტს სამართლებრივი ხასიათი აქვს, აშკარაა (ცხადია) და საქმის აღძვრის დროს სპეციალური დათქმა და შემოწმება საჭირო არ არის. მაგალითად, ეჭვს არ იწვევს განმცხადებლის სამართლებრივი ინტერესი, როცა მას სურს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა და სხვ. ასეთი აშკარა (ცხადი) სამართლებრივი შედეგების გარდა, ფაქტის დადგენას შეიძლება მოჰყვეს ისეთი შედეგები, რომელთა წინასწარ გათვალისწინება საქმის აღძვრისა და გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში შეუძლებელია, ვინაიდან არც განმცხადებელსა და არც სასამართლოს არ ძალუძთ განსაზღვრონ ფაქტიდან გამომდინარე ყველა შედეგი (ყველა შესაძლო მოსალოდნელი შედეგი) იმის გამო, რომ იმ მომენტში ასე აშკარად, ასე ცხადად არ იკვეთებოდა (არ ჩანდა) ეს შედეგები.

განცხადებას, როგორც წესი, უნდა დაერთოს სასამართლოს გარეშე წესით ფაქტის დადგენის შეუძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. გამონაკლისია საქმეები, რომლებშიც კანონით არ არის გათვალისწინებული ფაქტის ოფიციალური დადასტურება, რადგან არ ხდება მათი ოფიციალური რეგისტრაცია (მაგალითად, დებსა და ძმებს შორის

[1] ნოტარიუსის უარი სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გასაჩივრდეს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით პროფ. დ. სუხიტაშვილის მოსაზრებას, რომ „სანოტარო მოქმედების ან მის შესრულებაზე უარის თქმის გასაჩივრების შესაძლებლობა ჩიხშია მოქცეული" – იხ. დ. სუხიტაშვილი საქართველოს სანოტარო სამართალი. თბ., 2002 წ. გვ. 106.

ნათესაური კავშირის). მიზნის გარდა, განცხადებაში უნდა აღინიშნოს შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები (სსსკ 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტი).

საქმის მომზადების სტადიაზე მოსამართლე ასრულებს სსსკ 203-ე მუხლით გათვალისწინებულ მოქმედებებს.

სასამართლოს მთავარი სხდომა წარმოებს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით, სსსკ 36-ე–მე-40 და42-ე თავებით დადგენილი ცვლილებებისა და დამატებების (თავისებურებების) გათვალისწინებით.

განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება თუ რომელი ფაქტი დადგინდა.

თუ აუცილებელია ფაქტის დადასტურება ოფიციალური დოკუმენტებით, გადაწყვეტილება გაფორმების უპირობო სამართლებრივი საფძველია, მაგრამ არ ცვლის მას (სსსკ 316-ე, 320-ე მუხლები). სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სავალდებულოა იმ ორგანოებისათვის, რომლებიც არეგისტრირებენ ასეთ ფაქტებს ან აფორმებენ იმ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობიან ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით.

§3. ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება

1. **განცხადების შეტანა.** მოცემული კატეგორიის საქმეთა წარმოების სამართლებრივი მიზნები და შედეგები იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის მსგავსია. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის მიზანია, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა და არა შესაბამისი იურიდიული უფლების შესახებ დავის გადაწყვეტა. ამიტომ მოცემული კატეგორიის საქმეებში განმცხადებელი არ აცხადებს რაიმე მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას, რის გამოც არ გვყავს არც მოპასუხე. ამასთან, მათ შორის არსებობს განსხვავებაც.

ძირითადი განსხვავება მდგომარეობს სასამართლოს დასკვნების უტყუარობის ხარისხში. მაგალითად, ნათესაური კავშირის (როგორც იურიდიული ფაქტის) დადგენა ნიშნავს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. დასკვნები კი უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ უტყუარია მხოლოდ გარკვეული ადგილისა და გარკვეულ პირთა მიმართ. სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი იმყოფება სხვა ადგილას. იმდენად, რამდენადაც გარდაცვლილად გამოცხადება ეფუძნება უგზო-უკვლოდ დაკარგვას, მისთვისაც ასევე დამახასიათებელია პირობითობა (ფარდობითობა), ე.ი. ამ შემთხვევაში გარდაცვალება დადგენილი არ არის, ის მხოლოდ ივარაუდება.

მოცემული კატეგორიის საქმეთა მნიშვნელობა ძალზე დიდია, რამეთუ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე პირის ხანგრძლივად არყოფნამ ისეთ შემთხვევებში, როცა მისი ადგილსამყოფელი უცნობია, შესაძლოა ხელყოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულთან გარკვეული სამართალურთიერთობებით არიან დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, აღნიშნული უფლებების (ინტერესების) დასაცავად კანონი ითვალისწინებს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესაძლებლობას. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება მხოლოდ სასამართლო წესითაა შესაძლებელი.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადების შეტანა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასეთი დაინტერესებული პირები არიან ფიზიკური პირები (მეუღლე, ნათესავები, კრედიტორი), აგრთვე ორგანიზაციები

(მეურვეობის ორგანოები და ა.შ.). განცხადება სასამართლოში შეიტანება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსსკ 317-ე მუხლი). სსსკ 317-ე მუხლში საუბარია მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ განცხადების შეტანაზე თავისი საცხოვრებლის მიხედვით. თუ განმცხადებელი იურიდიული პირია, განცხადება სასამართლოში შეიტანება მისი ორგანოს (ადმინისტრაციის) ადგილსამყოფელის მიხედვით.

განცხადებაში აუცილებლად უნდა მეთითოს, თუ რა მიზნით (რისთვის) არის აუცილებელი განმცხადებლისათვის პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება, აგრეთვე განცხადებაში უნდა ჩამოყალიბდეს გარემოებები, რომლებიც დაადასტურებენ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვას, ანდა გარემოებები, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს სიკვდილს უქადდნენ, ან გარემოებები, რომლებიც საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ მისი გარდაცვალება გარკვეული უბედური შემთხვევისაგან.

განცხადებაში აღინიშნება (მეთითება) უგზო-უკვლოდ დაკარგვის ვადა, განმცხადებლის მიერ მიღებული ზომები პირის მოსაძებნად. საქმის მომზადების სტადიაზე შეიძლება დაზუსტდეს დაინტერესებულ პირთა წრე, სასამართლო შეტყობინებას უგზავნის საქმის მონაწილეთ, თუ აუცილებელია დამატებითი შეკითხვები იგზავნება უგზო-უკვლოდ დაკარგულის სავარაუდო (შესაძლო) ადგილსამყოფელის მიხედვით.

თუ განმცხადებელი არ მიუთითებს მოცემული კატეგორიის საქმეთა წარმოების მიზანს, ეს იქნება განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

სასამართლოსადმი მიმართვის მიზნის მითითება, პირველ ყოვლისა, საშუალებას გვაძლევს შემოწმდეს, აქვს თუ არა განმცხადებელს იურიდიული ინტერესი; მეორე მხრივ, ეს გვეხმარება განვსაზღვროთ დაინტერესებულ პირთა წრე, რომლებიც უნდა ჩაერთვნენ საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც წესი, მოცემული კატეგორიის საქმეებზე განცხადება შეიტანება (საქმე აღიძვრება) განქორწინების მიზნით (უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება) ან ქორწინების შეწყვეტის მიზნით (გარდაცვლილად გამოცხადება). ამ საქმეთა აღძვრა ხდება აგრეთვე სამკვიდროს (გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში) ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონებიდან სარჩოს მიღების, ვალის გადახდის მოთხოვნის მიზნით (იხ. სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლი) და სხვ. (მაგ.: გარდაცვლილად გამოცხადებულის პირადი უფლებების დაცვის მიზნით-იხ. სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი).

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის ქონება, თუ ეს აუცილებელია მუდმივად მის სამართავად სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცემა კანონისმიერ მემკვიდრეებს მინდობილი საკუთრების სახით. მაგრამ სამოქალაქო კოდექსის ამ ნორმის გამოყენებამ შესაძლოა პრობლემა შექმნას ისეთ შემთხვევებში, როცა კანონისმიერი მემკვიდრეები არ არიან.

2. განცხადების განხილვის წესი და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა. ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ საქმეებს განიხილავს მოსამართლე ან სასამართლოს შესაბამისი მოხელე სსსკ-ის 311-ე მუხლით დადგენილი წესებით. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების პირობები (საფუძვლები) განსაზღვრულია მატერიალური სამოქალაქო კოდექსით.

როდესაც დარწმუნდება ძებნის უშედეგობასა და ფიზიკური პირის შესახებ ცნობების არარსებობაში მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მატერიალური კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. ამ ფაქტს მოჰყვება მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები: განქორწინების შესაძლებლობა გამარტივებული წესით; ქონებაზე მეურვეობის დაწესება, სარჩოს მიღების უფლება და ა.შ.

სამოქალაქო მატერიალური კოდექსი განსაზღვრავს ასევე ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადების კანონიერ საფუძველს. ექსტრემალურ გარემოებებში პირის გაუჩინარების დროს, რომელიც მას სიკვდილს უქადდა (წყალდიდობა, მიწისძვრა, ავიაკატასტროფა და ა.შ.), სასამართლოს უფლება აქვს პირი გამოაცხადოს გარდაცვლილად ექვსი თვის გასვლის შემდეგ. უგზო-უკვლოდ დაკარგვა სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით, უფლებას აძლევს სასამართლოს პირი გარდაცვლილად გამოაცხადოს მხოლოდ საომარი მოქმედების (ომის) დამთავრების დღიდან ორი წლის გასვლის შემდეგ. საჭირო არ არის წინასწარ ჯერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება. პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესაძლებლობა არ წარმოადგენს უგზო-უკვლოდ დაკარგულად მისი აღიარების დამაბრკოლებელ ფაქტორს, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, ამა თუ იმ შესაძლებლობის გამოყენების არჩევა განმცხადებლის უფლებაა.

ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც იწვევს ფიზიკური სიკვდილი, ე.ი. ქორწინების შეწყვეტას, სამკვიდროს გახსნას და სხვ.

პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ საქმისწარმოების საპროცესო წესი პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ საქმისწარმოების საპროცესო წესის მსგავსია.

იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის აღიარების ან გარდაცვლილად მისი გამოცხადების შესახებ საქმეთა განხილვის დროს პირის გარდაცვალების ან ცოცხლად ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არსებობს, უგზო-უკვლოდ დაკარგვისა და გარდაცვლილად პირის გამოცხადების ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს დასკვნას საფუძვლად უდევს ცოცხლად პირის ყოფნის ვარაუდი (პრეზუმფცია) ან მისი გარდაცვალების ვარაუდი.

საქმის (განცხადების) წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო იწყებს საქმის მომზადებას, რისთვისაც ხელმძღვანელობს როგორც სსსკ 319-ე მუხლით, ისე სსსკ 203-ე მუხლით დადგენილი საერთო (ზოგადი) ნორმებით იმ ზომით, რა დოზითაც ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ უდავო წარმოებაში. საქმის მომზადება სავალდებულოა და თუ ეს წესი დარღვეულია, მაშინ შესაძლოა ამან გამოიწვიოს დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა. საქმის მომზადებისას მოსამართლემ საქმეში უნდა ჩააბას მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებული პირი; მიიღოს ზომები იმ მტკიცებულებათა შესაკრებად, რომლებიც დაადასტურებენ პირის არყოფნას თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

დაინტერესებულ პირთა ჩაბმა საქმეში მონაწილეობის მისაღებად იმითაა განპირობებული, რომ პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან მისი გამოცხადება გარდაცვლილად წარმოშობს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს არა მხოლოდ განმცხადებლისათვის, არამედ სხვა პირთათვისაც.

სსსკ 319-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადებისას სასამართლო არკვევს, თუ რომელ პირებს შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, აგრეთვე გამოჰკითხავს სათანადო ორგანოებს დაკარგული პირის შესახებ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. იმ პირებში, რომლებსაც შეუძლიათ სასამართლოს მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, იგულისხმებიან ნათესავები, თანამშრომლები და სხვა, ხოლო სათანადო ორგანოებში იგულისხმება მუნიციპალიტეტები, პოლიციის ორგანოები, რომელთაც შეუძლიათ მიაწოდონ სასამართლოს დაკარგულის შესახებ მათ ხელთ არსებული ცნობები. მანამ, სანამ მოსამართლე არ მიიღებს პასუხს მის ყველა შეკითხვაზე შესაბამისი ორგანოებიდან, არ უნდა დაინიშნოს სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა.

მოქმედი საპროცესო კანონით არ არის გადაწყვეტილი საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როცა უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონებას ემუქრება დაკარგვის, დაზიანების ან გაფუჭების საფრთხე. არც საპროცესო და არც მატერიალური კანონი არ ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, აუცილებლობის შემთხვევაში მინდობილ საკუთრებად უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონების გადაცემას.

მთავარ სხდომაზე სასამართლო ისმენს განმცხადებლის, დაინტერესებულ პირთა ახსნა-განმარტებებს, იკვლევს წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაჰკითხავს მოწმეებს. თუ საქმის განხილვისას დადგინდება იმ პირის ადგილსამყოფელი (საცხოვრებელი ადგილი) რომლის მიმართაც აღძრულია საქმე უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, შესაბამის მოთხოვნასაც საფუძველი გამოეცლება. თუ განმცხადებელი უარს იტყვის აღძრულ მოთხოვნაზე, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად მისი გამოცხადების შესახებ, სასამართლო 272-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყვეტს საქმისწარმოებას. თუ განმცხადებელი უარს არ იტყვის თავის მოთხოვნაზე და არც გამოიხმობს განცხადებას მაშინ სასამართლო არსებითად განიხილავს საქმეს და გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც უარს ეტყვის მას უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად პირის აღიარებაზე (განცხადების დაკმაყოფილებაზე).

როგორც აღინიშნა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის ასაღიარებლად სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ეს პირი თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არ იმყოფება ორი წლის განმავლობაში და არ არსებობს ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ორწლიანი ვადა დენას იწყებს უგზო-უკვლოდ დაკარგულის შესახებ უკანასკნელი ცნობების მიღების დღიდან. თუ უკანასკნელი ცნობების მიღების თარიღის ზუსტად დადგენა შეუძლებელია, უგზო-უკვლოდ დაკარგვის დასაწყისად ითვლება იმ თვის პირველი რიცხვი, რომელიც მოსდევს იმ თვეს, რომელშიც მიღებული იყო უკანასკნელი ცნობები უგზო-უკვლოდ დაკარგულის შესახებ, ხოლო თუ შეუძლებელია იმ თვის დადგენა, რომლის განმავლობაშიც მიღებული იყო ცნობები — მომდევნო წლის პირველი იანვარი. ანალოგიური წესითვე ხდება გარდაცვლილად გამოცხადების ვადის გამოთვლა და მისი დასაწყისის ათვლა. თუ ფიზიკური პირი არ იმყოფება თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ხუთ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არსებობს ცნობები ამ დროის განმავლობაში სხვა ადგილას მისი ყოფნის შესახებ (თუმცა კი ამჟამინდელი კონკრეტული ადგილსამყოფელი ფიზიკური პირისა უცნობია), სასამართლოს არა აქვს საფუძველი პირის გარდაცვლილად გამოსაცხადებლად.

კანონით დადგენილ შემთხვევებში პირის გარდაცვლილად გამოცხადება ხდება შემცირებულ ვადებში (6 თვის განმავლობაში). ვთქვათ პირი უკვალოდ დაიკარგა (დაიღუპა) ავიაკატასტროფის დროს. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს ამოცანაა, რომ მიიღოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, ნამდვილად იმყოფებოდა იმ სატრანსპორტო საშუალების მგზავრთა შორის, რომელმაც კატასტროფა განიცადა.

ექვსთვიანი ვადის დენის დასაწყის მომენტად უნდა ჩაითვალოს უბედური შემთხვევის დღე ან ის დღე, როცა მოხდა ის გარემოება, რომელიც პირს სიკვდილს უქადდა. ასეთ გარემოებებს სასამართლო ადგენს დოკუმენტების ან მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, რაც შეეხება საომარი მოქმედებების დროს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვას და ამის საფუძველზე მის გარდაცვლილად გამოცხადებას, საომარი მოქმედებების დამთავრების დღე უნდა დადგინდეს შესაბამისი სამხედრო ორგანოების ცნობით. მაგალითად, იმ ფიზიკურ პირთა მიმართ, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ საომარი მოქმედებების დროს, მათ ახლობლებს შეუძლიათ დააყენონ საკითხი დაკარგულთა გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედებების დამთავრების ვადა ოფიციალუ-

რად დადგინდება. იმ შემთხვევაში, თუ პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რაც მას სიკვდილს უქადდა, სასამართლოს შეუძლია სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

ორივე ამ კატეგორიის საქმეთა განხილვა მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანით.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ უნდა მიუთითოს: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი; მისი დაბადების წელი და ადგილი; უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილი; უგზო-უკვლოდ დაკარგვის დასაწყისი და ფიზიკური პირის გარდაცვალების თარიღი, თუ ის ცნობილია.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ფიზიკური პირი გამოცხადებულია გარდაცვლილად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ განახორციელოს გარდაცვალების რეგისტრაცია. კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებულის გარდაცვალების რეგისტრაციის დროს, გარდაცვალების დროდ გარდაცვალების სააქტო ჩანაწერში მიეთითება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი.

თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია გარკვეულ დროს პირის გარდაცვალების ფაქტი, მაშინ გარდაცვალების სააქტო ჩანაწერში ჩაიწერება სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული თარიღი.

სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ამ საქმეებზე, შეიძლება გასაჩივრდეს იმავე სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

3. **უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის ან გარდაცვლილად გამოცხადებულის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შედეგები**. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული ფიზიკური პირის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას (სსსკ 321-ე მუხლი). კანონში (321-ე მუხლი) არ არის მითითებული, რა წესით, რა კონკრეტული პროცედურის დაცვით უნდა მოხდეს ახალი გადაწყვეტილების გამოტანა. ცხადია, რომ 321-ე მუხლში აღნიშნულ „წინანდელ გადაწყვეტილებაში" იგულისხმება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება. ამიტომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს საპროცესო ნორმათა სისტემატიკური განმარტების საფუძველზე. კერძოდ, სსსკ 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და შემთხვევებში.

საპროცესო კოდექსით კი (421-ე მუხლი) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმისწარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ორი შემთხვევა – გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში უნდა მოხდეს საქმისწარმოების განახლება. მაგრამ ეს არ არის ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შემთხვევა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება უდავო წარმოებას, რომელშიც მხარეები არ არიან, ხოლო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა კი მხოლოდ მხარეს შეუძლია, არამედ მსგავს შემთხვევებში ხდება ახალი (და არა ახლადაღმოჩენილი) გარემოების გამო ახალი განაცხადის შეტანა. სასამართლო აახლებს საქმისწარმოებას და გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება იმავე წარმოებაში, რომელშიც ფიზიკური პირი აღიარებული იყო უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოცხადდა გარდაცვლილად, თვითონ ფიზიკური პირის განცხადების, აგრეთვე იმ დაინტერესებულ პირთა განცხადების საფუძველზე, რომელთა ინიციატივითაც იქნა განხილული ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან მისი გარ-

დაცვლილად გამოცხადების საქმე. აქ ფაქტობრივად ადგილი აქვს წინანდელი საქმის განხილვის გაგრძელებას და ახალი საქმის აღძვრა საჭირო არ არის.

სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა მანამდე გამოტანილი გადაწყვეტილება, მინდობილ საკუთრებად გადაცემული ქონების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გარდაცვალების აქტის ჩანაწერის ანულირების საფუძველია (სსსკ 321-ე მუხლი). სხვა შედეგები გათვალისწინებულია მატერიალური სამოქალაქო კოდექსით. კერძოდ, უფლებამოსილ პირს დაბრუნების დროის მიუხედავად უფლება აქვს მოითხოვოს თავისი იმ შენარჩუნებული ქონების დაბრუნება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცათ სხვა პირებს. ის ქონება, რომელიც სასყიდლიანი გარიგებით გადავიდა (გადაეცა) სხვა პირთა საკუთრებაში, ბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ შემძენისათვის ცნობილი იყო, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული მესაკუთრე ცოცხალია. თუ ქონება მემკვიდრეობის უფლებით გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ მესაკუთრეს უბრუნდება ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა, გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ.

§4. ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარება

1. **ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება.** ფიზიკური პირის ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების სამართლებრივ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვას, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა მისი სამართლებრივი სტატუსის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამიტომაა, რომ არავის არ შეიძლება შეეზღუდოს ქმედუნარიანობა ან წაერთვას იგი, თუ არა კანონით დადგენილი წესით და შემთხვევებში. კანონი კი ითვალისწინებს (თუ სახეზე იქნება შესაბამისი პირობები) ფიზიკური პირის მხარდაჭერის მიმღებად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებას სასამართლოს მიერ, რაც შესაძლებელია მხოლოდ უდავო წარმოების წესით.

ქმედუნარიანობის შეზღუდვა, პირველ ყოვლისა, იცავს ალკოჰოლიკის ან ნარკომანის რჩენაზე (კმაყოფაზე) მყოფ პირთა უფლებებს. ამავე დროს, აღნიშნული ღონისძიება ეხმარება ფიზიკურ პირს თავი დააღწიოს დამღუპველ ჩვევას, ე.ი. იცავს მის ჯანმრთელობასაც და მის უფლებებსაც.

ქმედუნარიანობის შეზღუდვის ეს წესი გამოიყენება სრულწლოვანი ფიზიკური პირების მიმართ. სრულწლოვანების მიღწევამდე კი მათი ქმედუნარიანობა კანონითაა შეზღუდული (იხილეთ სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები). არასრულწლოვანებიც იყენებენ ბოროტად ალკოჰოლს, ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ასეთ შემთხვევებში კანონიერ წარმომადგენელთა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა შუამდგომლობით სასამართლოს უფლება აქვს არასრულწლოვნს ჩამოართვას თავისი შემოსავლების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება (სამოქალაქო კოდექსი). აქედან გამომდინარე, ისედაც (ამის გარეშეც) შეზღუდული ქმედუნარიანობა მოზარდისა, კიდევ უფრო მეტად იზღუდება.

ქმედუნარიანობის შეზღუდვის შედეგები იმაში გამოიხატება, რომ შეზღუდულ ქმედუნარიანებს უწესდებათ მზრუნველობა და სასამართლო ფიზიკურ პირს ართმევს მზრუნველის თანხმობის გარეშე ისეთი მოქმედებების განხორციელების უფლებას, როგორიცაა: გაყი-

დოს, აჩუქოს, უანდერძოს, გაცვალოს, იყიდოს ქონება, აგრეთვე დადოს ქონების განკარგვის სხვა გარიგებები, წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების გარდა; უშუალოდ თვითონ მიიღოს ხელფასი, პენსია და სხვა სახის შემოსავლები (საავტორო ჰონორარი, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის მიღებული თანხა, ყოველგვარი სახის დახმარება და ა.შ.).

იმდენად, რამდენადაც ქმედუნარიანობის შეზღუდვა ან მხარდაჭერის მიმღებად პირის აღიარება ეხება პიროვნების არსებით უფლებებსა და ინტერესებს, კანონის თანახმად საქმის აღძვრის უფლება აქვს პირთა და ორგანიზაციების შეზღუდულ წრეს, ხოლო შეზღუდულქმედუნარიანად პირის აღიარების საქმეზე განმცხადებელი თავისუფლდება საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საქმის აღძვრის უფლების მქონე პირთა და ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რომელიც დადგენილია სსსკ 363^{8}-ე მუხლით, ამომწურავია, კერძოდ, ამ მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქმე ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ, შეიძლება აღძრან მისმა ოჯახის წევრებმა, ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა. ხოლო სსსკ-ის 363^{14}-ე მუხლის შესაბამისად, საქმე ფიზიკური პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ სასამართლოში შეიძლება აღძრან აგრეთვე ზემოაღნიშნულ პირთა და ორგანიზაციათა გარდა კანონიერმა წარმომადგენლებმა და ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა (მაგალითად, სამკურნალო) დაწესებულებებმაც, ასევე თვით მხარდაჭერის მიმღებმა.

იმ პირთა, რომლებიც ეძალებიან ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ოჯახის წევრებს მიეკუთვნებიან: მეუღლე, სრულწლოვანი შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები, შრომისუუნარო სარჩენი (კმაყოფაზე მყოფი) ადამიანები, **რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ და ეწევიან საერთო მეურნეობას**. ცალკე მცხოვრებ ოჯახის წევრებს უფლება არა აქვთ აღძრან პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ საქმე, რამეთუ ასეთად ასაღიარებელის ყოფაქცევა (საქციელი) არ აყენებს მათ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი მარტო ცხოვრობს (არა აქვს ოჯახი), საქმე შეზღუდულქმედუნარიანად მისი აღიარების შესახებ აგრეთვე არ შეიძლება აღიძრას.

პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვთ მეუღლეს, სრულწლოვან შვილებს, მშობლებს, შრომისუუნარო სარჩენ (კმაყოფაზე მყოფ) პირებს, რომლებიც ცხოვრობენ მასთან და ეწევიან საერთო მეურნეობას.

თუ განცხადება შეიტანა იმან, ვისაც ამის უფლება არა აქვს, მოსამართლემ სსსკ 186-ე მუხლის შესაბამისად, არ უნდა მიიღოს განცხადება და განჩინებაში უნდა განმარტოს, თუ რომელი დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება აღიძრას მოცემული საქმე. იმ პირის ოჯახის სრულწლოვანი წევრები, რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ შეეხება ამ პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესახებ საქმის აღძვრა, პროცესში მონაწილეობენ განმცხადებლებლად როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი თვითონ მიმართავენ სასამართლოს, ისე იმ შემთხვევაშიც, როცა საქმეში ისინი ერთვებიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ასევე ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების მიერ მათ ინტერესებში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით.

იმ პირის ინტერესების დაცვის, რომლის მიმართაც ისმება საკითხი მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ, აგრეთვე საქმის გარემოებათა უფრო სრულად და სწრაფად გამორკვევის მიზნით სსსკ 363^{8}-ე და 363^{14}-ე მუხლებით დადგენილია მოცემული საქმის ტერიტორიული განსჯადობა, რომლის შესაბამისადაც განცხადება ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ შეიტანება სასამართლოში მოცემული ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის (ადგილსამყოფელის) მიხედვით, თუ მხარდაჭერის მიმღებად ასაღიარებელი ან ალკოჰოლის

ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად მომხმარებელი პირი მასშია მოთავსებული.

შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების განცხადებაში აუცილებლად უნდა დასახელდეს გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირი რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს თავის ოჯახს, ასევე ის მტკიცებულებებიც, რომლებიც ადასტურებენ პირის მიერ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების გარემოებებს (ფაქტებს) და ასევე, რომლითაც დადასტურდება ამ პირის ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ასეთ მტკიცებულებებად გამოიყენება მოწმეთა ჩვენებები, პოლიციის აქტები, ადმინისტრაციის აქტები სამუშაოსაგან პირის ჩამოცილების შესახებ იმის გამო, რომ იგი სამუშაოზე ნასვამი ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში გამოცხადდა, ოჯახის შემოსავლების შესახებ დოკუმენტები, ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ დოკუმენტები, აგრეთვე სხვა მტკიცებულებები.

მხარდაჭერის მიმღებად აღიარების განცხადებაში კი უნდა აღინიშნოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ მყარ ფსიქიკურ, გონებრივ, ინტელექტუალურ დარღვევებს, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. უნდა დასახელდეს შესაბამისი მტკიცებულებებიც, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ მითითებულ გარემოებებს და იმ ფაქტს, რომ პირს აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი, ინტელექტუალური დარღვევები. ასეთი მტკიცებულებებია ავადმყოფობის ისტორიის ამონაწერი, რომელიც გაცემულ უნდა იქნეს დადგენილი წესით, ცნობა ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებში პირის ყოფნის შესახებ, მოწმეთა ჩვენებები.

განმცხადებელმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფსიქიატრის, ფსიქოლოგისა და სოციალური ექსპერტიზის დასკვნები პირის ფსიქიკური მდგომარეობისა და სოციალური ადაპტაციის შესახებ არსებობის შემთხვევაში, ე.ი. მაშინ, როცა ასეთი ექსპერტიზები ჩატარებულია.

განმცხადებელთა გარდა, რომლებიც აღძრავენ საქმეს, შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარების საქმეში მონაწილეობის მისაღებად ერთვებიან „დაინტერესებული პირებიც". ესენი, პირველ ყოვლისა, არიან პირები, რომელთა სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის მიზნითაც აღძრულია საქმე. ამ პირებს საქმეში აქვთ პირდაპირი მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება, რამეთუ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება პირდაპირ აისახება მათ სამართლებრივ მდგომარეობაზე.

საქმის გარემოებათა სრულად და ობიექტურად გამოკვლევის მიზნით, კანონი ავალდებულებს სასამართლოს განიხილოს შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების საქმე (განცხადება) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე თავად იმ პირის სავალდებულო მონაწილეობით, რომლის წინააღმდეგაც არის ეს საქმე აღძრული. თუ აღძრულია საქმე ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, ის პირი, ვის მიმართაც (ვის წინააღმდეგაც) აღძრულია საქმე მისი მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ, ჩაებმება საქმეში (დაიბარებენ სასამართლო სხდომაზე) მონაწილეობის მისაღებად „დაინტერესებულ პირად", თუ ეს შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით (სსსკ 325-ე მუხლი). ეს საკითხი უნდა გადაწყდეს საქმის მომზადების სტადიაზე. აქაც სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა, რაც განპირობებულია მათ მიერ ფიზიკურ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის სახელმწიფოებრივი ფუნქციის განხორციელებით.

დასკვნა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ფიზიკურ პირი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე დაბარებულ იქნეს სასამართლოში და მისცეს ახსნა-განმარტება საქმეზე, შეიძლება შეადგინოს ექსპერტმა. თუ პირი სამკურნალოდ იმყოფება სტაციონარში, მაშინ მისი მხარდაჭერის მიმღებად აღიარების საქმის განხილვა წარმოებს

მისი მონაწილეობის გარეშე. თუ სასამართლომ არ უზრუნველყო საქმეში იმ ორგანოთა და პირთა მონაწილეობა (არ ჩააბა ისინი), რომელთა მონაწილეობაც სავალდებულოა მოცემული კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს, ეს გარემოება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

თუ პირი, რომელიც ბოროტად იყენებს (ეძალება) ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს, თავს აარიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ეს გარემოება არ დააბრკოლებს საქმის არსებითად განხილვას (გადაწყვეტას). ფიზიკურ პირთა იძულებით მოყვანას სასამართლო სხდომაზე კანონი არ ითვალისწინებს. თუ პროცესის მსვლელობისას განმცხადებელი უარს იტყვის თავის მოთხოვნებზე, მაშინ ის შეიძლება შეცვალოს სხვა უფლებამოსილმა პირმა ზემოთჩამოთვლილ პირთაგან. ანუ სსსკ 363[8]-ე მუხლში მითითებულ სხვა პირებს ასეთ შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს განცხადებით იმავე ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესახებ იმავე საფუძვლებით. ამ დროს ხდება თავისებური შეცვლა ერთი სათანადო მონაწილისა მეორე ასევე სათანადო მონაწილით. არ არის გამორიცხული, რომ სასამართლოს მიმართოს რამდენიმე უფლებამოსილმა პირმაც. ამასთან, ვინც არ უნდა აღძრას საქმე, სამართალდამრღვევის ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი პროცესში მონაწილეობას მიიღებს განმცხადებლის სახით, ვინაიდან პროცესი წარმოებს (მიმდინარეობს) მათ საერთო ინტერესებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვის გაერთიანება რომელიმე სხვა სასარჩელო ან არასასარჩელო მოთხოვნასთან, კერძოდ, დაუშვებელია ერთდროულად მხარდაჭერის მიმღებად შეზღუდვისა და ალიმენტების გადახდევინების საქმეთა განხილვა (გადაწყვეტა).

შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებით მოსამართლე იწყებს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს როგორც საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლით, ისე 363[20]-ე მუხლით. შეზღუდულქმედუნარიანად პირის აღიარების შესახებ საქმის მომზადება, ძირითადად, მდგომარეობს საქმის მონაწილე პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვაში. უნდა დადგინდეს, თუ რომელ მოწმეს შეუძლია მისცეს ჩვენება იმ პირის ყოფაქცევის თაობაზე, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე. აუცილებელია საქმეს დაერთოს პოლიციის ორგანოთა აქტები და სხვა საჭირო დოკუმენტები.

მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმეზე მოსამართლის მიერ შესასრულებელი ერთ-ერთი მოსამზადებელი მოქმედებაა ექსპერტიზის დანიშვნა „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ინდივიდუალური შეფასებისათვის. განმცხადებელს უფლება აქვს საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლოს წარუდგინოს მის მიერ მოწვეული ექსპერტის დასკვნა მხარდაჭერის მიმღებად ასაღიარებელი პირის ფსიქიკური მდგომარეობის თაობაზე. ფსიქიატრიული ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს, თუ არსებობს საკმაო, სარწმუნო (დამაჯერებელი) მონაცემები პირის ფსიქიკური აშლილობის შესახებ. ასეთი მონაცემების საკმარისობა შეიძლება დადგინდეს, თუ არსებობს შესაბამისი დოკუმენტები, მაგალითად, ცნობა თანდაყოლილი გონებრივი ნაკლის, ფსიქიატრთან აღრიცხვაზე ყოფნის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებში პირის ყოფნის შესახებ და ა.შ.

თუ სასამართლო დაასკვნის, რომ არ არსებობს საკმარისი მონაცემები პირის ფსიქიკური აშლილობის შესახებ, მაშინ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა არ უნდა დაინიშნოს. **პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა.** საქმეში ფსიქიატრიული ექსერტიზის აქტის არარსებობა გადაწყვეტილების გაუქმების უპირობო საფუძველია. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ, აშკარად თავს არიდებს საექსპერტო შემოწმებას, სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შუამდგომლობით

შეუძლია სასამართლო სხდომაზე **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე ამ პირის ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით** გამოიტანოს განჩინება ექსპერტიზისათვის პირის იძულებით გაგზავნის შესახებ. ე.ი. ექსპერტიზაზე იძულებით გაგზავნის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად (იხ. 363[20]-ე მუხლი).

განჩინება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მიიღება სსსკ-ის 207-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით. პროცესის მონაწილეთ საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობებათ დადგენილი წესით.

იმ შემთხვევაში, როცა ის პირი, ვის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, თავს აარიდებს სასამართლოში გამოცხადებას, უარს ამბობს უწყების მიღებაზე და ა.შ. სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს მის გარეშეც (მის დაუსწრებლად), რამეთუ კანონის თანახმად, უწყების მიღებაზე უარის თქმა არ წარმოადგენს საქმის განხილვის დამაბრკოლებელ ფაქტორს.

სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას სასამართლო არკვევს ნამდვილად ეძალება და ბოროტად და სისტემატურად იყენებს თუ არა პირი ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს და ნამდვილად აყენებს თუ არა ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, ასევე არკვევს ოჯახის შემადგენლობაში შრომისუუნარო სარჩენი პირების (კმაყოფაზე მყოფთა) არსებობას.

სასამართლო განხილვისას ოჯახის სრულწლოვანი წევრი იმ პირისა, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, შესაძლოა, მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვის წინააღმდეგი იყოს. მოცემულ შემთხვევაში, თუ ოჯახის რომელიმე წევრი იმ საქმის განხილვის წინააღმდეგი იქნება, რომელიც დაწყებულია ოჯახის სხვა წევრის განცხადებით, ეს გარემოება ვერ გახდება საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი. საქმის შეწყვეტა მხოლოდ სსსკ 272-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებშია დასაშვები.

თუ ფიზიკური პირი ან მისი წარმომადგენელი სადავოდ გახდის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძვლებს, ეს არ დააბრკოლებს საქმის განხილვას უდავო წარმოების წესით, ვინაიდან მოცემული კატეგორიის საქმეებზე სასარჩელო წარმოება კანონით არ არის გათვალისწინებული. ამ საქმეთა სპეციფიკა გამორიცხავს მორიგების შესაძლებლობასაც. კანონი არ ითვალისწინებს სავალდებულო წესით სასამართლო სხდომაზე ექსპერტის დაბარებას. თუმცა იმ შემთხვევებში, როცა სასამართლოსთვის საეჭვოა (არსებობს ამ ეჭვის საფუძველი) ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობა და განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა იმ პირს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე მისი მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, შეუძლია მისცეს ჩვენება და ხდება მისი გამოძახება სასამართლოში, სასამართლო სხდომაზე ექსპერტის მონაწილეობა აუცილებელია. სასამართლო ამოწმებს ყველა მასალას, რაც საქმეშია და გამოაქვს გადაწყვეტილება. პირის შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარების საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საერთო საფუძველზე სააპელაციო, ხოლო შემდეგ საკასაციო წესით. ქმედუნარიანობის შეზღუდვის ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მეურვის ან მზრუნველის ან მხარდამჭერის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტის საფუძველია. მეურვესა და მზრუნველს ევალება სამეურვეო და სამზრუნველო პირის მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების დადებაზე კონტროლის განხორციელება, ასევე მათი ინტერესების წარმომადგენლობა სასამართლოში.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირი აღიარებულია შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდამჭერის მიმღებად, წარმოადგენს შეზღუდულქმედუნარიანისათვის მზ-

რუნველის, ხოლო მხარდამჭერის მიმღებისათვის – მხარდამჭერის დანიშვნის საფუძველს.

თუ აღარ არსებობს პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარების სსსკ 363[9]-ე ან 363[15]-ე მუხლებით დადგენილი საფუძვლები, მაშინ შეიძლება აღიძრას ქმედუნარიანობის აღდგენის საქმე.

2. **ფიზიკური პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარება**. ასეთად შეიძლება აღიარონ ის, ვისაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ასეთ პირად შეიძლება აღიარონ 18 წელს მიღწეული პირი, ან ქორწინების შედეგად ემანსიპირებული პირი.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის წარმოება რიგი თავისებურებებით ხასიათდება: მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საფუძველს ობიექტური ხასიათი აქვს, ეს არის თანდაყოლილი გონებასუსტობა, ან ფსიქიკური (სულიერი) ავადმყოფობა, რომლებიც ხელს უშლის პირს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულ და ეფექტიან მონაწილეობაში. საქმის მომზადების თავისებურებაა სავალდებულო წესით ექსპერტიზის დანიშვნა. ექსპერტიზაზე გავლისაგან თავის არიდება სასამართლოს უფლებას აძლევს გამოიტანოს განჩინება ექსპერტიზაზე პირის იძულებით გაგზავნის შესახებ. ფსიქიატრიული დაწესებულების აღრიცხვაზე პირის ყოფნა, ავადმყოფობის ისტორია, სტაციონარულ მკურნალობაზე ყოფნა, ვერ შეცვლის ექსპერტიზის დასკვნას. დაინტერესებული პირის სასამართლო სხდომაზე დაბარება და მასში მონაწილეობა დამოკიდებულია ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ამ საკითხის გადაწყვეტა ხდება ექიმთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შედეგია ის, რომ მას უწესდება (ენიშნება) მხარდაჭერა. პირის აღიარება მხარდაჭერის მიმღებად, ზოგადი წესის მიხედვით, მას არ ართმევს უფლებათა პირადად განხორციელების შესაძლებლობას. მხარდამჭერმა შესაძლოა მთლიანად, სრული მოცულობით შეცვალოს მხადაჭერის მიმღები სამოქალაქო-სამართლებრივ ბრუნვაში. შესაძლოა ისიც, რომ მხარდამჭერმა იგი ჩაანაცვლოს განსაზღვრულ სფეროში. სსსკ-ის 363[15]-ე მუხლის თანახმად, პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.

3. **ქმედუნარიანობის აღდგენა (პირის აღიარება ქმედუნარიანად)**. პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარება, უდავო წარმოების საქმეთა დამოუკიდებელი, ცალკე კატეგორიაა. პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარება ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება უვადო არაა, რამეთუ მხარდაჭერის მიმღები, შეიძლება გამოჯანმრთელდეს, ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო იმან, ვინც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს, შეცვალოს თავისი ყოფაქცევა. ამიტომ, თუ ამას სასამართლო დაადგენს, აუცილებელი გახდება ფიზიკური პირის სამართლებრივი სტატუსის აღდგენა სრული მოცულობით. იმ პირის მიმართ შეზღუდვების გაუქმება ვინც ადრე შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად იყო აღიარებული, ხორციელდება დამოუკიდებელ (ცალკე) პროცესში დაინტერესებულ პირთა განცხადებით და ეს საქმე განიხილება სამართალწარმოების საერთო წესებით.

შეზღუდულქმედუნარიანობის ან მხარდაჭერის გაუქმების განცხადება შეიტანება სსსკ 363[23]-ე, 363[14]-ე, 363[8]-ე და 363[12]-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელმა სასამართლომ გამოიტანა მანამდე გადაწყვეტილება პირის

მხარდაჭერის მიმღებად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ (კერძოდ, ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ იგი მოთავსებული იყო ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით). ამრიგად, ეს განცხადება აუცილებლად იმ სასამართლომ როდი უნდა განიხილოს (ეს კანონით არაა სავალდებულო), რომელმაც გამოიტანა პირის მხარდაჭერის მიმღებად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების გადაწყვეტილება. ამ საქმეთა განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

შეზღუდულქმედუნარიანობის გაუქმების ან მხარდაჭერის გაუქმების განცხადება შეაქვთ სსსკ 363^{12}-ე და 363^{23}-ე მუხლებში მითითებულ პირებს და დაწესებულებებს.

მოცემულ შემთხვევაში საუბარია ახალი საქმის-წარმოების აღძვრის შესახებ და არა ადრე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განსხვავებით ისეთი შემთხვევისაგან, როცა უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული გამოჩნდება ან მისი ადგილსამყოფელი აღმოჩნდება (სსსკ 321-ე მუხლი).

ამგვარი განცხადების განხილვის წესი დადგენილია კანონით (სსსკ 363^{12}-ე და 363^{23}-ე მუხლები). კანონი ითვალისწინებს, რომ შეზღუდვების გაუქმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის საფუძვლები, რომელთა გამოც პირი აღიარეს მხარდაჭერის მიმღებად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღარ არსებობს (სამოქალაქო კოდექსის 14-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საქმეს უნდა დაერთოს გადაწყვეტილების ასლი, რომლითაც ფიზიკური პირი თავის დროზე აღიარებული იყო მხარდაჭერის მიმღებად. შეზღუდვების გაუქმების საკითხის გადაწყვეტის დროს ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა, რამეთუ შეზღუდვების გაუქმება, მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზეა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს საერთო წესით, სასამართლოს განჩინებით (სსსკ 163-ე მუხლი).

თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარდაჭერის მიმღები გამოჯანმრთელდა ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რის შედეგადაც აღარ არსებობს მხარდაჭერის გაგრძელების საფუძველი, სასამართლო გამოიტანს გამოჯანმრთელებული პირისათვის მხარდაჭერის გაუქმების გადაწყვეტილებას.

მოცემული კატეგორიის საქმეზე ძირითადი მტკიცებულებაა ექსპერტიზის დასკვნა. გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება ამ პირზე დაწესებული მხარდაჭერა.

შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების გაუქმების საქმის აღძვრის პირობაა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებულმა შეწყვიტა ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება. შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების გაუქმების თაობაზე საქმის აღძვრა იმ შემთხვევაშიცაა შესაძლებელი, როცა შეზღუდულქმედუნარიანის ოჯახმა არსებობა შეწყვიტა (მაგალითად, განქორწინების, გარდაცვალების, ოჯახის გაყოფის და ა.შ. შედეგად) და, აქედან გამომდინარე, აღარ არსებობს ამ პირის ვალდებულება გაიღოს სარჩო (სახსრები, თანხა) ოჯახის შესანახად.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით (საქმის მასალებით) უნდა დასტურდებოდეს, რომ შეზღუდულქმედუნარიანმა ნამდვილად შეწყვიტა ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება. საქმე განიხილება სამოქალაქო პროცესის საერთო წესით, ყველა დაინტერესებულ პირს იბარებენ სხდომაზე. თუ განცხადებაში მითითებული გარემოებები დადასტურდება საქმის მასალებით, სასამართლო გამოიტანს ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების გაუქმებისა და ამ პირის ქმედუნარიანად აღიარების გადაწყვეტილებას.

მხარდაჭერის გაუქმების გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან მხარდაჭერა და სხვა შეზღუდვები (მაგალითად, საარჩევნო უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები) უქმდება. ქმედუნარიანობის აღდგენა ან მხარდაჭერის

გაუქმება ნიშნავს არა სასამართლო შეცდომის გამოსწორებას, არამედ საქმის ხელახლა გადაწყვეტას (განხილვას) არსებითად, შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებით.

§5. ქონების უპატრონოდ ცნობა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 341-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ სასამართლოში **უდავო წარმოების წესით შეიძლება განხილულ იქნეს მოძრავი ნივთის უპატრონოდ ცნობის საქმე.**

უპატრონო მოძრავი ნივთის ცნება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილში. მოცემული ნორმიდან გამომდინარე მოძრავი ნივთი უპატრონოდ ითვლება, თუკი უწინდელი მესაკუთრე საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით ნივთის მფლობელობას მიატოვებს. ამდენად, უპატრონოა მოძრავი ნივთი, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე ან რომლის მესაკუთრეც არ არის ცნობილი, ან ნივთი რომელზე საკუთრების უფლებაზეც მესაკუთრემ უარი თქვა. **უპატრონო ქონება არ უნდა გავაიგივოთ უყაირათოდ შენახულ ქონებასთან, როცა მესაკუთრე არ იღებს ზომებს იმ ქონების შესანახად, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ საზოგადოებრივ ფასეულობას (რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს).** ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე შეიძლება დაავალდებულონ სასარჩელო წარმოების გზით, სათანადოდ ისარგებლოს ამგვარი ქონებით.

უპატრონო მოძრავ ქონებას მიეკუთვნება: მიტოვებული ნივთები, ნაპოვარი (სკ-ის 191ე მუხლი), უმეთვალყურეო ცხოველები (პირუტყვი), განძი (სკ-ის 192-ე მუხლი). უპატრონო მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენა შესაძლებელია, თუ სახეზე იქნება მატერიალური სამოქალაქო კანონით (სამოქალაქო კოდექსის ზემოთმითითებული მუხლები) პირდაპირ დადგენილი პირობები ანდა შეძენითი ხანდაზმულობის შესახებ წესების საფუძველზე (სკ-ის 165-ე მუხლი).

იმისათვის, რომ მოძრავი ნივთი საკუთრებად იქცეს, ამით დაინტერესებულმა პირმა უნდა განახორციელოს გარკვეული მოქმედებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს ნივთი საკუთრებად იქცა. ამისათვის იმან, ვინც დაეუფლა მოძრავ ნივთს, განცხადება უნდა შეიტანოს სასამართლოში ამ ნივთის უპატრონოდ ცნობის შესახებ.

მოძრავი ნივთის უპატრონოდ ცნობის განცხადებაში უნდა მიეთითოს კონკრეტული ნივთი, კერძოდ, თუ რომელი ნივთი (ქონება) უნდა ცნოს სასამართლომ უპატრონოდ, უნდა აღიწეროს ამ ქონების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, წარმოდგენილ უნდა იქნეს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მესაკუთრის მიერ ქონების მიტოვებას ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარეშე (ანუ მტკიცებულება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ქონების მესაკუთრის დადგენა), აგრეთვე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი დაეუფლა ქონებას (ნივთს), ამასთან, ისეთ ქონებას, რომლის მითვისებაც კანონით არ იკრძალება და არ ირღვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა (ვთქვათ, არ ირღვევა უფლებამონაცვლის უფლებები).

საქმის მომზადების დროს მოსამართლე არკვევს, თუ ვის (მესაკუთრეს, ქონების ფაქტობრივად მფლობელს და სხვ.) შეუძლია სასამართლოს მიაწოდოს ცნობები ქონების კუთვნილების (მისი მესაკუთრის) თაობაზე, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან, კერძოდ, ნივთის კუთვნილების შესახებ ცნობების მიღების მიზნით მოსამართლემ შეიძლება გაგზავნოს შეკითხვა სხვადასხვა ორგანიზაციაში, საქმის გარემოებებისდა მიხედვით, აგრეთვე შესაბამის თანამდებობის პირებთან. თუ ეს აუცილებელია, მოსამართლე აგზავნის შეკითხვას მესაკუთრის შესაძლო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ აღმოჩნდება სავარაუდოდ უპატრონო ქონების მესაკუთრე ან მისი უფლე-

ბამონაცვლე (რომლებიც თავიანთ თავს ჩათვლიან ამ ნივთის მესაკუთრედ), ანუ თუ კანონით დადგენილ სამთვიან ვადაში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, ეს გამოიწვევს განცხადების განუხილველად დატოვებას — სსსკ 311-ე მუხლის საფუძველზე და სასამართლო განმცხადებელს განუმარტავს უფლებას იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე, შეიტანოს აღიარებითი სარჩელი საერთო საფუძველზე.

საქმე განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე სამოქალაქო პროცესის საერთო წესებით. სხდომაზე იბარებენ განმცხადებელს და დაინტერესებულ პირებს.

ნივთის კუთვნილების შესახებ ცნობების მიღების მიზნით, განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას (პუბლიკაცია — სსსკ 339-ე მუხლი), რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ; ბ) განმცხადებლის ვინაობას; გ) უპატრონოდ გამოსაცხადებელი ქონების აღწერას; დ) მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია იმ ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში პუბლიკაციის დღიდან. სასამართლომ შეიძლება დაიბაროს მოწმეებიც — პირები, რომლებიც მოწმენი არიან უპატრონო ქონების აღმოჩენისა და რომლებიც მონაწილეობდნენ ქონების აღწერის აქტის შედგენაში.

სასამართლო უსმენს განმცხადებელს, იკვლევს (ამოწმებს) საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას (აღწერის აქტის არსებობას და ა.შ.); დაჰკითხავს მოწმეებს. იმ შემთხვევაში, როცა არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ მოცემულ ნივთს არ ჰყავს მესაკუთრე, ან მესაკუთრე არ არის ცნობილი, ანდა არსებობენ ფაქტობრივი მფლობელები, რომლებიც სათანადოდ სარგებლობენ ასეთი ნივთით, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას აღძრული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე (ანუ თუ დაადგენს), რომ მოძრავ ნივთს ნამდვილად არ ჰყავს მესაკუთრე, ან მისი მესაკუთრე უცნობია, ან ნივთი მიატოვა მესაკუთრემ ამ ნივთზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარეშე, მაშინ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ამ ქონებას (341-ე მუხლი).

დაუშვებელია უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის, ან გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონების უპატრონოდ ცნობა, რამეთუ ამ პირთა ქონება ან მინდობილ საკუთრებად გადაეცემათ მათ კანონისმიერ მემკვიდრეებს, ან საერთო წესით გადადის მემკვიდრეობით.

ქონების უპატრონოდ ცნობა არ ართმევს მესაკუთრეს შესაძლებლობას ნივთზე თავისი უფლებები სადავო შემთხვევაში დაიცვას სასარჩელო წესით.

§6. შვილად აყვანა

1. **შვილად აყვანის განცხადების შეტანა**. კანონით დადგენილია შვილად აყვანა უდავო წარმოების წესით. სასამართლო წესით შვილად აყვანის მიზანია ბავშვის, აგრეთვე მოცემული საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაზრდა.

განცხადება შვილად აყვანის შესახებ სასამართლოში შეაქვს მშვილებელს **ალტერნატიული განსჯადობის წესით**, კერძოდ, მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის (ან ადგილსამყოფელის) მიხედვით (სსსკ 349-ე და შვილად აყვანისა და მინდობილობით აღზრდის შესახებ კანონის მე-20 მუხლი). ამასთან, თუ მშვილებელი

(შვილად აყვანის მსურველი) საქართველოს მოქალაქეა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ან თუ მშვილებელია უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქის შვილად აყვანა, სასამართლოს უნდა მიმართონ შვილად ასაყვანის საცხოვრებლის (ადგილსამყოფელის) მიხედვით.

მატერიალური სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, თუ ვის მიმართ დაიშვება ან არ დაიშვება შვილება, ვინ შეიძლება იყოს ან არ იყოს მშვილებელი. შვილად აყვანასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განსაზღვრულია სპეციალური კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" (შემდგომში კანონი).

შვილად აყვანის განცხადებაში მითითებულ უნდა იქნეს მონაცემები შვილად ასაყვანისა (იგულისხმება ბავშვის, შვილად ასაყვანის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, დაბადების თარიღი, ანუ მონაცემები ბავშვის ასაკის შესახებ, ცნობები მისი მშობლების შესახებ, ჰყავს თუ არა დები და ძმები) და მშვილებლის (მშვილებლების) შესახებ (იგულისხმება მშვილებლის (მშვილებლების) გვარი, სახელი, მამის სახელი, მათი საცხოვრებელი ადგილი), აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს. შვილად აყვანის განცხადებაში განმცხადებელს (განმცხადებლებს) შეუძლია აგრეთვე სასამართლოს სთხოვოს შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველყოფა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საერთო წესით ნაშვილებს უნარჩუნდება მისი გვარი, სახელი და მამის სახელი. თუმცა მშვილებლის თხოვნით ნაშვილებს შეიძლება შეეცვალოს სახელი, მამის სახელი, გვარი და შეიძლება მიეკუთვნოს მშვილებლის გვარი, აგრეთვე მშვილებლის მიერ მითითებული სახელი. ნაშვილების გვარის, სახელისა და მამის სახელის შეცვლის შესახებ მიეთითება მისი შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში (სკ-ის 1257-1258-ე მუხლები).

შვილად აყვანის საიდუმლოების (კონფიდენციალურობის) უზრუნველყოფის მიზნით მშვილებელს შეუძლია სასამართლოს სთხოვოს ნაშვილების დაბადების თარიღის შეცვლის შესახებ (არა უმეტეს ერთი თვისა, ე.ი. შეიძლება იგი ერთი თვით ადრე ან გვიან გატარდეს დაბადებულად (კანონის 23-ე მუხლი), აგრეთვე სთხოვოს სასამართლოს ბავშვის დაბადების ადგილის შეცვლა. სასამართლომ უნდა მიუთითოს ამის შესახებ გადაწყვეტილებაში (სკ-ის 1264-ე მუხლი).

მშვილებელთა თხოვნით (ასეთი თხოვნა უნდა იყოს დაყენებული განცხადებაში) სასამართლოს შეუძლია მიიღოს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ნაშვილების მშობლებად მშვილებელთა ჩაწერის გადაწყვეტილებაც (კანონის 23-ე მუხლი). ანუ მშვილებლის (მშვილებელთა) სურვილით სასამართლო შეიტანს შესაბამის ცლილებებს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში. 10 წლის ასაკს მიღწეული ნაშვილების მიმართ ასეთი ჩანაწერის შესატანად აუცილებელია მისი თანხმობა (სკ-ის 1258-ე მუხლი და კანონის 23-მუხლი). ასეთი ჩანაწერის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებაში. მშობლებად არ შეიძლება მშვილებლები ჩაეწერონ, როცა რაიმე ობიექტური მიზეზის გამო სასამართლო უარს ამბობს ნაშვილების ადრინდელი გვარის გამოცვლაზე.

სსსკ-ის 350-ე მუხლში მოცემულია მინიმუმი იმ დოკუმენტებისა, რომელიც უნდა ერთვოდეს განცხადებას, ეს არის:

1) მეუღლის თანხმობა, როცა ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს;

2) გასაშვილებელი ბავშვის მშობლების თანხმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

განმცხადებლის (განმცხადებელთა) გარდა საქმეში ჩაბმულ უნდა იქნეს აუცილებლად

ის ბავშვიც, რომლის შვილებაზეცაა საუბარი და რომლის აზრიც აუცილებლად უნდა მოისმინოს და გაითვალისწინოს (მხედველობაში მიიღოს) სასამართლომ. მაგალითად. 10 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის შვილად ასაყვანად აუცილებელია მისი თანხმობა. ხოლო ნაშვილების სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლა დაიშვება მხოლოდ მისი თანხმობით (სამოქალაქო კოდექსის 1255-ე მუხლი და 1257-ე მუხლი).

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, თუ საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმული დაინტერესებული პირები აღძრავენ დავას შვილად აყვანის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ 311-ე მუხლით, კერძოდ, თუ საქმის განხილვისას აღიძვრება დავა უფლების შესახებ, სასამართლო განუხილველად დატოვებს განცხადებას და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს საერთო წესით სარჩელის აღძვრის უფლებას. „უფლების შესახებ დავაში," ამ შემთხვევაში, იგულისხმება დავა „შვილად აყვანის უფლების შესახებ". თუ დაინტერესებულ პირს თვითონ სურს ბავშვის შვილება და წინააღმდეგია განმცხადებლის მიერ ბავშვის შვილებისა, ასეთი დავა უნდა გადაწყდეს სასარჩელო წარმოების წესით. თუ დაინტერესებული პირი თვითონ არ აპირებს ბავშვის შვილებას, მაგრამ წინააღმდეგია მოცემული კონკრეტული განმცხადებლის (მაგალითად, უცხოელის) მიერ ბავშვის შვილებისა, მაშინ დაინტერესებული პირის ასეთი განცხადება (დავა) არ გამოიწვევს 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შედეგებს (ასეთ შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს ეს ნორმა). შვილად აყვანის გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ (სკ-ის 1242-ე მუხლი).

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შვილად აყვანის დასკვნას წარუდგენს შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. ანუ დადებით შემთხვევაში ეს არის დასკვნა იმის შესახებ, რომ შვილად აყვანა დასაბუთებულია (გამართლებულია) და შეესაბამება ნაშვილების ინტერესებს (კანონის მე-18 მუხლი).

საპროცესო კანონით (350-ე მუხლი) დადგენილია, რომ სასამართლოს განმცხადებლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია, თუ ეს აუცილებელია, გამოითხოვოს სხვა დოკუმენტებიც (მტკიცებულებები), რომლებიც შეიცავენ შვილად აყვანის საქმისათვის აუცილებელ ცნობებს.

ამასთან, სასამართლოების მხრიდან მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შვილად აყვანის დროს გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს მიღებული, თუ მამამ შეიტანა განცხადება მამობის დადგენის შესახებ – აღნიშნულ შემთხვევებში სასამართლომ განაცხადება განუხილველად დატოვოს სსსკ 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და განიხილოს მამობის დადგენის სარჩელი. მამობის დადგენის საქმეზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირად შეიძლება ჩაებას განმცხადებელი (მომავალი მშვილებელი) საერთო საფუძველზე, რამეთუ სწორედ ამ სარჩელის განხილვა გახდა სასამართლოს მიერ შვილად აყვანის განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება მამობის დადგენის სარჩელი, მაშინ ამ მესამე პირს უფლება აქვს განმეორებით მიმართოს სასამართლოს განცხადებით შვილად აყვანის თაობაზე.

2. შვილად აყვანის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. შვილად აყვანის ბათილად ცნობა.

აუცილებელია შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველყოფა, ამიტომ სასამართლო განმცხადებლის თხოვნით, ან თავისი ინიციატივით შვილად აყვანის საქმეს განიხილავს დახურულ სასამართლო სხდომაზე (350-ე მუხლი).

აკრძალულია ბავშვის შვილად აყვანა მშვილებლის სასამართლო სხდომაში მონაწილეობის გარეშე. სასამართლო პროცესს უნდა ესწრებოდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი. საპატიო მიზეზის არსებობისას სასამართლო სხდომა

შეიძლება გაიმართოს ერთ-ერთი მშვილებლის მონაწილეობით (კანონის 21--ე მუხლი).

შვილად აყვანის განცხადების არსებითად განხილვის შემდეგ (შვილად აყვანის განცხადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში), სასამართლოს გამოაქვს განცხადების დაკმაყოფილების გადაწყვეტილება ან მთლიანად, ან ნაწილობრივ ეუბნება უარს მშვილებელს (მშვილებლებს) ბავშვის შვილად აყვანის, ბავშვის მშობლად (მშობლებად) სააქტო ჩანაწერში მათი ჩაწერის, აგრეთვე ბავშვის დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლის შესახებ მათი თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კანონით (სსსკ 351-ე მუხლი) დადგენილია,რომ შვილად აყვანა ნამდვილია სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. შვილად აყვანის ნამდვილობის მომენტის განსაზღვრას უაღრესად დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ამ მომენტის განსაზღვრა ნიშნავს, რომ, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს შვილად აყვანის თხოვნას (განცხადებას), მაშინ მშვილებლის (მშვილებელთა) და ნაშვილების ურთიერთუფლებები და მოვალეობები (ეს უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლით) წარმოიშობა შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის მიზნით, კანონით (სსსკ 351-ე მუხლი) დადგენილია, რომ შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება. ჩვენი აზრით, აღნიშნული დებულება ანტიკონსტიტუციურია, რამეთუ კონსტიტუციის თანახმად სასამართლოს აქტები ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება.

სასამართლო ვალდებულია შვილად აყვანის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების ასლი), რომელშიც მეთითება ნაშვილებისა და მშვილებლის (მშვილებელთა) შესახებ ყველა მონაცემი, რაც აუცილებელია სარო-ში შვილად აყვანის რეგისტრაციისათვის, მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 5 დღის განმავლობაში აცნობოს (გადაუგზავნოს) შვილად აყვანის სახელმწიფო რეგისტრაციისათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ამ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით (351-ე მუხლი). ასეთი გადაწყვეტილების დარეგისტრირება ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, შვილად აყვანის ბათილად ცნობა ასევე სასამართლო წესით ხდება. თუმცა იმის გამო, რომ შვილად აყვანის ბათილობის საკითხის დაყენება თავისთავად უკვე ნიშნავს დავის არსებობას, შვილად აყვანის ბათილობის საქმის განხილვა უნდა მოხდეს სასარჩელო წარმოების წესებით, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით.

§7. დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება)

საპროცესო კანონი ითვალისწინებს ორი სახის დაკარგულ ან განადგურებულ დოკუმენტზე (ფასიან ქაღალდზე) უფლებების აღდგენას სასამართლო წესით, უდავო წარმოების ფარგლებში – ესაა საწარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქაღალდები.

თუ რა და რა სახის ფასიანი ქაღალდი არსებობს, ეს მითითებულია სამოქალაქო კოდექსში. მათ მიეკუთვნება თამასუქი, ჩეკი, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდი.

სამოქალაქო ბრუნვაში საორდერო ან საწარმდგენლო დოკუმენტების არსებობა მათ

მფლობელებს უქმნის ამ დოკუმენტებზე უფლებების აღდგენის იურიდიულ ინტერესს მათი დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში.

საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ეს ის დოკუმენტია, რომლითაც (რომლის მიხედვითაც) ნებისმიერ პირს შეუძლია მოითხოვოს მასში გამოხატული უფლებების განხორციელება.

ფასიანი ქაღალდის დაკარგვა შესაბამისი უფლების დაკარგვის ტოლფასია. ზოგადი (საერთო) წესით, საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის მფლობელის ინტერესების დაცვა მისი დაკარგვის შემთხვევაში სასარჩელო წესით ხორციელდება, ე.ი. უკანონო მფლობელს წარედგინება შესაბამისი დოკუმენტის დაბრუნების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

გამოწვევითი წარმოების (ე.ი. ამ საქმეთა უდავო წარმოების წესით განხილვის) მიზანია უფლებების აღდგენა მხოლოდ ისეთ საწარმდგენლო, აგრეთვე საორდერო ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც დაკარგულია ან გაუვარგისებულია და ამის გამო (ამის შედეგად) დაკარგეს ძალა.

ამრიგად, საწარმდგენლო და საორდერო ფასიან ქაღალდებზე უფლებათა აღდგენის წესი გამოიყენება როგორც ამ დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევაში, ისე იმ შემთხვევაშიც, როცა დოკუმენტებმა დაკარგეს საგადამხდელო ნიშნები არაჯეროვნად (არასათანადოდ) შენახვის შედეგად ან რაიმე სხვა მიზეზით.

საორდერო ფასიანი ქაღალდით დადასტურებული უფლებები შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც მასში დასახელებულ პირს, ისე სხვა პირსაც, რომელიც კანონიერმა მფლობელმა დანიშნა ამ ქაღალდის მიხედვით უფლებამოსილ პირად.

ფასიანი ქაღალდის (ტექსტში შემდგომში დოკუმენტი) დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში პირს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს და სთხოვოს დაკარგული ან განადგურებული დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადება და მათზე უფლების აღდგენა (სსსკ 328-ე მუხლი). მაგ. სკ-ის 794-ე მუხლის თანახმად, სასაწყობო ან საგირავნო მოწმობის დაკარგვისას ან მოსპობისას მის კანონიერ მფლობელს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობა და მის ნაცვლად ახალი მოწმობის გაცემა. სასამართლო ამ განცხადებას განიხილავს განსაკუთრებული (იგულისხმება უდავო) წარმოების წესით. სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შემნახველი ხელახლა გასცემს სასაწყობო ან საგირავნო მოწმობას.

სხვა მაგალითი: სკ-ის 804-ე მუხლის თანახმად, როდესაც დაზღვევის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემს სადაზღვევო საზღაურს, თუ დამზღვევი წარუდგენს სადაზღვევო მოწმობას და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ გაირკვა, რომ დამზღვევს დაკარგული აქვს სადაზღვევო მოწმობა ან განადგურდა იგი, სადაზღვევო კომპანიას უფლება აქვს უარი განუცხადოს დამზღვევს სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე იქამდე, სანამ უდავო წარმოების წესით ძალადაკარგულად არ გამოცხადდება დაკარგული ან განადგურებული სადაზღვევო მოწმობა.

დოკუმენტის დაკარგვაში უნდა ვიგულისხმოთ დოკუმენტის არარსებობა ან დოკუმენტის მიერ საგადამხდელო ნიშნების დაკარგვა შენახვის შედეგად ან სხვა მიზეზებით (მაგალითად, დოკუმენტზე წაშლილია შესაბამისი ჩანაწერი და სხვ.). **განმცხადებელს უფლება აქვს მხოლოდ ამ ორი დოკუმენტის მიმართ დააყენოს უფლების აღდგენის საკითხი.**

სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველია დოკუმენტის დაკარგვა ან გაფუჭება (დაზიანება), რის შედეგადაც საკრედიტო დაწესებულება უარს ამბობს აწარმოოს ოპერაციები საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის მიხედვით. ასე მაგალითად, დოკუმენტი შესაძლოა დასველდეს, დაძველდეს (გაცვდეს), დაიხეს და ა.შ.

გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსის 917-ე მუხლიც, რომლის თანახმად, თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დაზიანების გამო უვარგისი გახდა მიმოქცევისათვის, მაგრამ ამასთან დოკუმენტის შინაარსისა და არსებითი განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობა ჯერ კიდევ შესაძლებელია, მფლობელმა სასამართლოს კი არ უნდა მიმართოს ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, არამედ მას შეუძლია მოითხოვოს ახალი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დაზიანებული დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ.

უნდა დავაზუსტოთ,რომ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის მიხედვით გადახდაზე უარის თქმა არ უნდა მივიჩნიოთ დავად უფლების შესახებ, რამეთუ ასეთ დროს, მოთხოვნათა სადავოდ ქცევა არ ხდება, უარი მხოლოდ მეანაბრის მიერ თავისი უფლებების განხორციელებისა და დადასტურების დადგენილი ფორმის დარღვევის შედეგია. აღნიშნული კატეგორიის საქმის განსჯადობა განისაზღვრება საბუთის (დოკუმენტის) გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით (328-ე მუხლი).

აღსანიშნავია, რომ განცხადება დაკარგული დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადებისა და მასზე უფლებების აღდგენის შესახებ სასამართლოში შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლისათვის უცნობია ამ დოკუმენტის ხელთმქონე. თუ დაკარგული დოკუმენტის ხელთმქონე ცნობილია, მაშინ განმცხადებელმა უნდა შეიტანოს სარჩელი ქონების გამოთხოვის შესახებ.

სსსკ 178-ე მუხლში მითითებული ჩვეულებრივი რეკვიზიტების გარდა, განცხადებაში მოცემული უნდა იყოს დაკარგული ან განადგურებული საბუთის (დოკუმენტის) განმასხვავებელი ნიშნები,დოკუმენტის გამცემი დაწესებულების სახელწოდება,აგრეთვე გადმოცემულ უნდა იქნეს გარემოებები,თუ რა გარემოებებში დაიკარგა ან განადგურდა დოკუმენტი.

დაზიანების შემთხვევაში განცხადებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტის დარჩენილი ნაწილი.

იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი ითხოვს უფლების აღდგენას ისეთ დოკუმენტზე, რომელმაც დაკარგა საგადამხდელო ნიშნები, მან განცხადებას უნდა დაურთოს ეს დოკუმენტი, განცხადებაში უნდა მიუთითოს ის მიზეზები, რომელთა გამოც დოკუმენტი გაუვარგისდა.

რა თავისებურებებით ხასიათდება მოცემული კატეგორიის საქმეთა მომზადება?

იმდენად, რამდენადაც დაკარგული დოკუმენტის ხელთმქონე უცნობია, მოსამართლე განცხადების მიღების შემდეგ (ანუ საქმის მომზადების) სტადიაზე გამოიტანს განჩინებას საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის (მაგალითად, აკრძალვა საკრედიტო დაწესებულებისათვის) წარმოების აკრძალვის, აგრეთვე განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში დოკუმენტის ხელთმქონის სასამართლოში მოწვევის შესახებ შეტყობინების პუბლიკაციის თაობაზე (აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდება „გამოწვევითი წარმოება“).

აღნიშნული წესის არსი ისაა, რომ დაკარგულ დოკუმენტზე უფლებების აღდგენის შესახებ საქმის აღძვრის თაობაზე შეტყობინების პუბლიკაცია (გამოქვეყნება) გაზეთში, იძლევა წამოწყებული სასამართლო წარმოების (პროცესის) შესახებ დაკარგული დოკუმენტის ხელთმქონის ინფორმირების საშუალებას.

სსსკ 331-ე მუხლის შესაბამისად,ადგილობრივ პრესაში განხორციელებული პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს: ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ; ბ) განმცხადებლის დასახელებასა (სახელი, გვარი) და მის საცხოვრებელ ადგილს; გ) საბუთის (დოკუმენტის) დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს; დ) დოკუმენტის ხელთმქონეს ეძლევა წინადადება და განესაზღვრება ვადა სასამართლოში ამ დოკუმენტზე თავისი უფლებების შესახებ განცხადებისათვის, რაც შეადგენს სამ თვეს პუბლიკაციის დღიდან. პუბლიკაციის შემდეგ სასამართლოს შეუძლია

განიხილოს დაკარგული დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი მხოლოდ 3- თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ. იმ დოკუმენტის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაცაა განცხადებული, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და, ამასთან, წარადგინოს დოკუმენტის დედანიც (სსსკ 332-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ დაკარგული დოკუმენტის ხელთმქონე დროულად, ანუ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე გამოცხადდება სასამართლოში და შეიტანს განცხადებას, სასამართლო იმ პირის განცხადებას, ვინც დაკარგა საბუთი, განუხილველად დატოვებს. ერთბაშად სასამართლო დაადგენს ვადას (არა უმეტეს 2 თვისა), რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აეკრძალება აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა, ხოლო დაინტერესებულ პირთა დავა ფასიან ქაღალდზე უფლების შესახებ გადაწყდება საერთო სასარჩელო წესით. ამის თაობაზე სსსკ 333-ე მუხლში მითითებულია, რომ განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას, აღძრას სარჩელი საერთო წესით დოკუმენტის ხელთმქონის წინააღმდეგ საბუთის გამოთხოვის შესახებ (ანუ საუბარია სავინდიკაციო სარჩელის აღძვრის თაობაზე), ხოლო საბუთის ხელთმქონეს – მის უფლებას განმცხადებლისაგან მოითხოვოს აკრძალვის ღონისძიებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. რაც შეეხება განცხადების განუხილველად დატოვებას, ამ საკითხის მოსმენა ხდება ღია სასამართლო სხდომაზე და მიღებული გადაწყვეტილება აისახება სასამართლოს განჩინებაში, რომლის გამოტანაც ხორციელდება სსსკ 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.

თუ ადგილობრივ გაზეთში შესაბამისი შეტყობინების პუბლიკაციის დღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დოკუმენტის ხელთმქონე არ გამოცხადდება სასამართლოში (არ შემოვა მისგან სსსკ 332-ე მუხლში მითითებული განცხადება), მაშინ სასამართლო შეუდგება საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვას. სასამართლო სხდომაზე დაიბარებს განმცხადებელსა და დოკუმენტის გამცემი ორგანოს წარმომადგენელს. ამდენად, თუ არ იქნა აღძრული დავა დოკუმენტზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო, თუ დარწმუნდება, რომ განმცხადებლის მოთხოვნა დასაბუთებულია, აკმაყოფილებს მას და გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ძალადაკარგულად აცხადებს დაკარგულ დოკუმენტს და აღადგენს უფლებას დაკარგულ დოკუმენტზე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე განმცხადებელს წარმოეშობა ანაბრის ან ძალადაკარგულად გამოცხადებული საბუთის ნაცვლად ახალი საბუთის (ფასიანი ქაღალდის) მიღების უფლება. მანამდე გაცემული დოკუმენტი ძალას კარგავს და ამ დოკუმენტით მიმართვა საკრედიტო დაწესებულებისადმი აღარ შეიძლება.

იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტის ხელთმქონე სასამართლოში გამოცხადდება სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვამდე, სასამართლომ მისი მოთხოვნით უნდა განიხილოს გაშვებული ვადის აღდგენის საკითხი, რის შემდეგაც, იმ პირის მიერ შეტანილი განცხადება, რომელმაც დაკარგა დოკუმენტი, განუხილველად უნდა დატოვოს (თუ, რა თქმა უნდა, სასამართლო დააკმაყოფილებს ვადის აღდგენის მოთხოვნას), ხოლო დაინტერესებულ პირებს განემარტებათ მათი უფლება, მოითხოვონ საქმის (დავის) განხილვა სასარჩელო წესით (სსსკ 333-ე მუხლი).

მოცემული კატეგორიის საქმე განიხილება სამოქალაქო პროცესის საერთო წესებით. საქმის განხილვის ადგილისა და დროის შესახებ სათანადოდ ინფორმირებული პირების გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე ვერ შეაფერხებს საქმის განხილვას. დოკუმენტის ხელთმქონის გამოუცხადებლობა კანონით დადგენილ სამთვიან ვადაში თავისთავად იმას როდი ამტკიცებს, რომ დაკარგული დოკუმენტი ნამდვილად განმცხადებელს ეკუთვნის.

ამიტომ სასამართლომ საფუძვლიანად უნდა შეამოწმოს ის მტკიცებულებები, რომლებითაც შეიძლება დაკარგულ დოკუმენტზე განმცხადებლის უფლების დადასტურება. თუ საბუთის ხელთმქონეს, რომელსაც რაიმე მიზეზით დროულად არ განუცხადებია თავისი უფლება ამ დოკუმენტზე, სურს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მაშინ მას დაკარგული საბუთის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, უფლება აქვს აღძრას სარჩელი იმ პირის მიმართ, რომლის სასარგებლოდაც აღიარებულია დაკარგულ დოკუმენტზე უფლება, ანუ რომელსაც დაკარგული დოკუმენტის ნაცვლად მიენიჭა ახალი საბუთის მიღების უფლება, ქონების უსაფუძვლოდ შეძენის ან დაზოგვის შესახებ. მოცემული სარჩელის განხილვა მოხდება საერთო წესით სასარჩელო წარმოების ფარგლებში. დოკუმენტის ხელთმქონის უფლებები და ინტერესები შეიძლება დაცულ იქნეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში.

§8. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა უდავო წარმოების საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება. მოცემული კატეგორიის საქმისათვის დამახასიათებელია უდავო წარმოებისთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიც არის მოთხოვნის უდავობა და საქმეში ერთი მხრის – განმცხადებლის არსებობა. სწორედ ამან განაპირობა მოცემული საქმის განხილვის წესის მომწესრიგებელი ნორმების განთავსება უდავო წარმოების კარში (იხ. კარი მეექვსე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში).

351^1–351^6–ე მუხლებით მოწესრიგებულია დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის საკითხი. საქმის წარმოებაში იგულისხმება პროცესუალური და სხვა დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო, გამარტივებული, უდავო წარმოების, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების წარმოების წესით განხილული კონკრეტული სამოქალაქო საქმის მასალებს შეადგენდა. საქმის წარმოების ზოგიერთი დოკუმენტი (გადაწყვეტილება, საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება, სასამართლოს სხვა შემაჯამებელი, საბოლოო დადგენილება), წარმოადგენს საქმის მონაწილე პირების მატერიალური სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს. სხვა დოკუმენტები კი (სასამართლო სხდომის ოქმი, ექსპერტის დასკვნა, მტკიცებულების სახით წარდგენილი დოკუმენტი და ა. შ.) შეიძლება შეიცავდეს პროცესის მონაწილეთათვის მნიშვნელოვან ცნობებს, ამიტომ პროცესის მონაწილე პირებს შეიძლება სურდეთ ამ დოკუმენტების მიღება (მოპოვება). მაგრამ სხვადასხვა მიზეზით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ობიექტური ხასიათის მიზეზი (რომელიც არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე, მაგალითად, წყალდიდობა, ხანძარი და სხვა), ისე სუბიექტური ხასიათის მიზეზი (დაუდევრად შენახვა, განზრახი მოქმედება (უმოქმედობა), საქმის წარმოების გასაღების განადგურება დოკუმენტების შენახვის ვადის გასვლის გამო და სხვა), საქმის წარმოება შეიძლება დაიკარგოს და საქმიდან საჭირო დოკუმენტის მიღება შეუძლებელი გახდეს.

დაკარგული საქმისწარმოების აღდგენის ინსტიტუტი სამოქალაქო საქმის მონაწილე პირებს საშუალებას აძლევს უდავო წარმოების წესით აღადგინონ დაკარგული საქმის წარმოების დოკუმენტები, რომლებიც მათ ესაჭიროებათ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად. ამასთან, აღდგენა შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს როგორც მთლიან დაკარგულ საქმის წარმოებას, ისე დაკარგული საქმის წარმოების ნაწილს (სხვა სიტყვებით რომ ითქვას, შეიძლება აღდგეს როგორც მთლიანი დაკარგული საქმის წარმოება, ისე დაკარგული საქმის წარმოების

ნაწილი). მოთხოვნას, თუ რა მოცულობით უნდა აღდგეს დაკარგული საქმის წარმოება განსაზღვრავს უშუალოდ განმცხადებელი. რა წარმოადგენს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის აუცილებელ პირობას? დაკარგული საქმის წარმოება უნდა აღდგეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ის დამთავრებული იყო:

1) სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებით ან

2) საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანით.

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადებით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ საქმის მონაწილე პირებს (მხარეებს). კანონი (351^1–ე მუხლი) ასეთ უფლებას არ აძლევს იმ პირებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საქმეში, თუნდაც მათი უფლებები და კანონური ინტერესები იყოს დარღვეული სასამართლო დადგენილებებით. არც სასამართლოს აქვს უფლება თავისი ინიციატივით აღადგინოს დაკარგული საქმის წარმოება.

გასათვალისწინებელია, რომ საქმის წარმოების დაკარგვის მიზეზი, არ ახდენს გავლენას დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადების სასამართლოს მიერ მიღების საკითხის გადაწყვეტაზე. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის პროცედურა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს პროცესის მონაწილეთა იმ მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად (აღსადგენად), რომლებიც არ არის ასახული საპროცესო დოკუმენტებში.

351^2-ე მუხლი განსაზღვრავს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ საქმის განსჯადობას.

თუ სასამართლოს მიერ განხილულ სამოქალაქო საქმეზე მიღებული იყო გადაწყვეტილება, ხოლო შემდგომში საქმის მასალები დაიკარგა, მაშინ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის განცხადება შეიტანება იმ სასამართლოში, რომელმაც არსებითად განიხილა საქმე და მიიღო გადაწყვეტილება. აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ გადაწყვეტილება არსებითად შეიძლება მიიღოს (გამოიტანოს) არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლომ, არამედ სააპელაციო და საკასაციო სასამართლომაც. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადება შეტანილ იქნეს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში.

თუ სასამართლოს მიერ განხილულ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ იქნა საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება, მაშინ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადება შეიტანება ასეთი განჩინების გამომტან სასამართლოში. საქმის წარმოების შეწყვეტის უფლება აქვს როგორც პირველი, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ საქმის განსჯადობის საკითხიც იმისდა მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ რომელი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება. ამგვარი წესის არსებობა განპირობებულია იმით, რომ სწორედ გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოს აქვს მაქსიმალური შესაძლებლობა მცირე დანახარჯებით განახორციელოს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ საქმის მომზადება და არსებითად განხილვა. ამგვარი შესაძლებლობა კი იმით არის უზრუნველყოფილი, რომ მათ არქივში ინახება ჟურნალები, კარტოთეკები, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის დროს.

351^2-ე მუხლი უშვებს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადების შეტანის შესაძლებლობას გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლოს უფლებამონაცვლესთანაც. თუ ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების განხორციელების შედეგად ან სხვა მიზეზით დავაზე გადაწყვეტილების არსებითად გამომტანი სასამართლო ან ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა საქმის წარმოების

შეწყვეტის განჩინება ლიკვიდირებული ან რეორგანიზებულია, მაშინ განცხადება შეიტანება იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციასაც მიეკუთვნება ლიკვიდირებულ ან რეორგანიზებული სასამართლოს იურისდიქციაში ლიკვიდაციამდე ან რეორგანიზაციამდე მყოფი (არსებული) ტერიტორია. თუ დაკარგული საქმის წარმოება არ არის დამთავრებული, განცხადება შეიტანება იმ სასამართლოში, რომლის წარმოებაშიც არის ეს საქმე.

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადება უნდა პასუხობდეს როგორც სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 178-ე მუხლით დადგენილ ზოგად მოთხოვნებს, ისე 351[3]-ე მუხლით დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას, რა მიზნით ესაჭიროება განმცხადებელს დაკარგული მასალების აღდგენა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-1015-952-2010 განმარტებულია: „დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სწორედ განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაუკარგავს საქმის განხილვის ინტერესი... ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე... დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის მიზანი შეიძლება იყოს დაუმთავრებელი საქმის წარმოების გაგრძელების ინტერესი, მაგრამ ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ დაინტერესებულმა პირმა არ უნდა დაკარგოს საქმის წარმოების გაგრძელების პროცესუალური შესაძლებლობა".

განცხადებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქმის განმხილველი სასამართლოს სრული დასახელება, იმ სასამართლოს დასახელება, რომელმაც დაკარგულ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება ან საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება (მიზანშეწონილია მიეთითოს სასამართლოს თანამშრომელთა შესახებაც, რომლებიც მონაწილეობდნენ სასამართლო განხილვებში დაკარგულ საქმესთან დაკავშირებით – ესენია მოსამართლე, მდივანი და სხვა). ასეთი ინფორმაციის არსებობა და მისი მითითება განცხადებაში, ვფიქრობთ გაუადვილებს სასამართლოს საქმის მომზადებას განსახილველად.

მითითება იმის შესახებ, თუ დაკარგული საქმის წარმოების რა ნაწილის (ანუ სახელდობრ რომელი დოკუმენტების) აღდგენას მოითხოვს განმცხადებელი და რა მიზნით ესაჭიროება განმცხადებელს დაკარგული მასალების აღდგენა, საშუალებას აძლევს სასამართლოს განსაზღვროს, რა მოცულობით (მთლიანად, სრულად თუ ნაწილობრივ) უნდა აღდგეს დაკარგული წარმოება და ხელს უწყობს სასამართლოს მოამზადოს საქმე განსახილველად.

განცხადებაში უნდა მიეთითოს იმ გარემოებებზე, რომლებმაც აღნიშნული საქმის მასალების დაკარგვა გამოიწვია. ცხადია აქ იგულისხმება საქმის წარმოების დაკარგვის გარემოებების შესახებ სასამართლოსთვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რაც ცნობილია განმცხადებლისთვის.

კანონი მოითხოვს განცხადებაში საქმესთან დაკავშირებული დაწვრილებითი ინფორმაციის მითითებას. აქ შეიძლება განმცხადებელმა მიუთითოს: რა სახის სასამართლო დადგენილება იყო მიღებული სასამართლოს მიერ – გადაწყვეტილება თუ საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება, საქმეში რა საპროცესო მდგომარეობა (სტატუსი) ეკავა განმცხადებელს, საქმის მონაწილე პირთა შემადგენლობა, მათი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, არსებობს თუ არა დაკარგული საქმის წარმოების დოკუმენტების ასლები, სად იმყოფება დოკუმენტების ასლები (ან მათ შესახებ ინფორმაცია მაინც უნდა მიეთითოს).

განცხადებას უნდა დაერთოს შენარჩუნებული დოკუმენტები ან არსებობის შემთხვევაში მათი დამოწმებული ასლები, რომლებიც აქვს განმცხადებელს და რომლებსაც კავშირი აქვს საქ მესთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ არის დადასტურებული დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამდენად, არ არის სავალდებულო, რომ განცხადებაზე დართული დოკუმენტების ასლები დადასტურებული იყოს დადგენილი წესით.

განცხადებაზე თანდართული დოკუმენტი (დოკუმენტის ასლი) შეიძლება იყოს: სა-

სამართლო სხდომაზე წერილობითი მტკიცებულების სახით წარდგენილი ხელწერილი, ხელშეკრულება, ცნობა, წერილი და სხვა; სასამართლოს საპროცესო დოკუმენტები (ოქმი, განჩინება, გადაწყვეტილება და სხვა); სასამართლო აქტების გასაჩივრებასთან დაკავშირებული დოკუმენტები (კერძო საჩივარი, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, მათ წინააღმდეგ შეტანილი შესაგებელი) და საქმესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტი. თუ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტი ან მისი ასლი იმყოფება სხვა პირის ხელში, მაშინ აუცილებელია ამ პირთა და მათ ხელთ არსებული დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია (ცნობები) ეცნობოს სასამართლოს და სასამართლოს წინაშე დადგეს სასამართლოს მიერ ამ დოკუმენტების გამოთხოვის და მათი საქმეზე დართვის შუამდგომლობა.

საყურადღებოა, რომ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ საქმის წარმოების საპროცესო წესი არ ითვალისწინებს იმ იურიდიულ შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყვეს განცხადების შინაარსისადმი წაყენებული მოთხოვნების (178-ე მუხლი და 351[3]–ე მუხლი) დარღვევას. მაგალითად, დაკარგული მასალების აღდგენის მიზნის მიუთითებლობა დაუშვებელია. საქმე ისაა, რომ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა იმ პირს, ვინც მონაწილეობდა საქმეში, ესაჭიროება აღნიშნულ საქმეში არსებული დოკუმენტის (დოკუმენტების) გამოსაყენებლად თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. მაგალითად, პირს ესაჭიროება განქორწინების გადაწყვეტილების წარდგენა საროში განქორწინების მოწმობის მისაღებად; იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელიც მტკიცებულებად ფიგურირებდა საქმეში, ესაჭიროება სხვა სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეში; შემაჯამებელი (საბოლოო) სასამართლო დადგენილების წარდგენა ესაჭიროება იმ სასამართლოში საქმის წარმოების განახლების განცხადების საკითხის გადასაწყვეტად, რომელმაც შეაჩერა საქმე; სააღსრულებო ფურცლის მიღება ესაჭიროება სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად და ა. შ. ამიტომ თუ განცხადების შინაარსისადმი წაყენებული მოთხოვნებია დარღვეული, სასამართლომ უნდა იმოქმედოს სსსკ-ის 186-ე მუხლის დანაწესით, უნდა დადგეს სსსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები.

განცხადებაზე უნდა იქნეს თუ არა სახ. ბაჟი გადასახდელი, ეს საკითხი იმისდა მიხედვით წყდება, საქმე განმცხადებლის ბრალით დაიკარგა თუ არა. თუ საქმე განმცხადებლის ბრალით არის დაკარგული, მაშინ განცხადებას უნდა დაერთოს სახ. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის მომწესრიგებელი ნორმები უშვებს როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი დაკარგული საქმის წარმოების აღდგენას. ამიტომ 351[4]-მუხლით დადგენილი განცხადების განხილვის წესი ერთიანია დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის ნებისმიერი შემთხვევისათვის. მოცემული ნორმის თანახმად, განცხადებას დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლო განიხილავს მხარეთა დასწრებით, თუმცა ერთ–ერთი ან ორივე მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინიციატივით ამ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვევს პირებს, რომლებსაც შეუძლიათ სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია საქმის წარმოების აღდგენის შესახებ. სასამართლოს უფლება აქვს ასევე გამოითხოვოს ინფორმაცია სათანადო ორგანოებისაგან.

საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო პროცესის დარჩენილი მასალებით, ასევე მხარეთა მოთხოვნებით ან სხვა პირთა დოკუმენტებით, რომლებიც მათ გადაეცათ სასამართლო პროცესის მასალების დაკარგვამდე, აგრეთვე იმ დოკუმენტებისა და მასალების დამოწმებული ასლებით, რომლებიც საქმეს შეეხება. საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ სასამართლოს განსახილველად წარუდგინონ მათ მიერ მომზადებული იმ გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც უნდა განახლდეს.

აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს რომ ზოგიერთი დოკუმენტი, რომელიც მიღებულია საბოლოო ფორმით და კავშირი აქვს საქმესთან (დაკარგულ სასამართლო წარმოებასთან), მაგალითად დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი, ეგზავნება მხარეს მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში (235–ე მუხლი). ზოგიერთი დოკუმენტის ასლის მიღების უფლება კი (მაგალითად გადაწყვეტილებისა), მხარეს აქვს საქმის მასალებიდან (259–ე მუხლი). 139–ე მუხლი ითვალისწინებს წერილობითი მტკიცებულებების დაბრუნების შესაძლებლობას, ხოლო 161–ე მუხლი – ნივთიერი მტკიცებულებების დაბრუნების შესაძლებლობას მათი წარმდგენი პირებისათვის. საქმესთან კავშირში მყოფი დოკუმენტი შეიძლება იყოს სასამართლოს აქტები, ნოტარიუსის, ადვოკატის და სხვა პირთადა ორგანოთა მიმართვები და ამ მიმართვებზე პასუხები; ექსპერტიზის აქტები, ცნობები, სასამართლო შეტყობინებები და სხვა.

კანონის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს მოწმეებად დაკითხოს პირები, რომლებიც ესწრებოდნენ საპროცესო მოქმედებების შესრულებას და, საჭიროების შემთხვევაში, ის პირებიც, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო სხდომას, როცა იხილებოდა ის საქმე, რომლის მასალებიც დაიკარგა (351[7] მუხლი). საქმის უშუალო მონაწილე პირების გარდა, დაკარგულ საქმის წარმოებაში საპროცესო მოქმედებების შესრულებას შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც ეხმარებიან სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, ესე იგი მოწმეები, სპეციალისტი თარჯიმანი, ექსპერტი, ადვოკატი, მხარეთა წარმომადგენლები, სასამართლო სხდომის მდივანი და სხვა. მოწმედ შეიძლება დაიკითხოს იმ საქმის განმხილველი მოსამართლე (მოსამართლეები), რომლის წარმოებაც დაკარგულია.

როდესაც სასამართლოს მიერ შეკრებილია საკმარისი მასალა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დაკარგული გადაწყვეტილების ან საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინების აღსადგენად, სასამართლო აღადგენს მათ (351[5]-ე მუხლი) სავალდებულო წესით. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას აღნიშნული შემაჯამებელი სასამართლო დადგენილებების სავალდებულო წესით აღდგენის მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ სწორედ მათთან არის დაკავშირებული საქმის მონაწილე პირთა უფლებისა და კანონიერი ინტერესების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. მოცემული მოთხოვნა უნდა შესრულდეს დაკარგული საქმის წარმოების არა მხოლოდ სრულად აღდგენისას, არამედ მისი იმ ნაწილში აღდგენის შემთხვევაშიც, რომლის აღდგენასაც ითხოვს განმცხადებელი.

მიუხედავად იმისა, სრული მოცულობით იქნა აღდგენილი დაკარგული საქმის წარმოება თუ ნაწილობრივ, ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ან სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ ისინი მიღებული იყო სასამართლოს მიერ, ექვემდებარება სავალდებულო აღდგენას შესაბამისი საფუძვლის არსებობისას.

რაც შეეხება სასამართლოს იმ დადგენილებას, რომლითაც ხდება დაკარგული სასამართლო გადაწყვეტილების ან საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინების აღდგენა, ეს არის განჩინება (351[5]-ე მუხლი). დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის განჩინება უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს განჩინებისთვის კანონით დადგენილ ზოგად მოთხოვნებს (იხ. 285-ე მუხლი) და მხოლოდ მოცემული განჩინებისთვის დადგენილ განსაკუთრებულ მოთხოვნებს.

კანონის (351[5]-ე მუხლი) თანახმად, დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის განჩინებაში უნდა მიეთითოს იმ გადაწყვეტილების ან განჩინების შინაარსი, რომლითაც დაკარგული საქმის წარმოება იყო დამთავრებული. განჩინებაში ასევე უნდა აღინიშნოს, რა საპროცესო მოქმედებები სრულდებოდა დაკარგული საქმის წარმოების დროს.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, დაკარგული გადაწყვეტილების ან საქმისწარმოების შეწყვეტის განჩინების აღდგენის განჩინების აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს სასამართლოსთვის წარდგენილი და დაკარგული საქმის მონაწილე ყველა პირის

მონაწილეობით სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული (შემოწმებული) კონკრეტულად რომელი მონაცემების საფუძველზე თვლის სასამართლო დადგენილად აღდგენილი სასამართლო აქტის შინაარსს. ასეთი მონაცემი შეიძლება იყოს სასამართლო პროცესის (საქმის წარმოების) დარჩენილი (შენარჩუნებული) მასალები, დოკუმენტები, მათი ასლები, საქმის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა ჩვენებები. თუ აღსადგენ სასამართლო გადაწყვეტილებაზე გამოტანილი იყო უსწორობის ან აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორების განჩინება, გადაწყვეტილების განმარტების განჩინება, დამატებითი გადაწყვეტილება, ან მიღეული იყო სასამართლო აქტები ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ, მაშინ დაკარგული გადაწყვეტილების აღდგენა უნდა მოხდეს შესაბამისი (ზემოთდასახელებული) სასამართლო დადგენილებების გათვალისწინებით.

როდესაც სასამართლო განიხილავს დაკარგული წარმოების აღდგენის განცხადებას, სასამართლო ასეთ დროს არ წყვეტს საქმეს არსებითად და არ აფასებს იმ სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნების სისწორეს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება დაკარგულ საქმის წარმოებაზე. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ საქმეზე მიღებული განჩინების აღწერილობით ნაწილში მიეთითება, თუ რომელი მტკიცებულებები იქნა გამოკვლეული განცხადების განხილვის პროცესში, რომელი გარემოებები დამტკიცდა, სასამართლოს დასკვნები ამ გარემოებების დამტკიცების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა საპროცესო მოქმედებები სრულდებოდა დაკარგული საქმის წარმოებისას.

351[6]-ე მუხლის თანახმად, დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას დაკარგული სასამართლო წარმოების აღდგენის შესახებ. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია აღძრას სარჩელი საერთო წესით.

მოცემული ნორმა ზოგადი სახით არის ფორმულირებული. ამიტომ დასაზუსტებელია, რა იგულისხმება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შეუძლებლობაში, რაც დაკარგული სასამართლო წარმოების აღდგენის შესახებ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია. ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს:

1) შეკრებილი მასალების არასაკმარისობა დაკარგულ სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებული სასამართლო დადგენილების ზუსტად აღსადგენად და

2) სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის ვადის გასვლა.

როდესაც საქმის წარმოება წყდება იმ საფუძვლით, რომ შეკრებილი მასალა არ არის საკმარისი, სასამართლო განუმარტავს საქმის მონაწილე პირებს, რომ უფლება აქვთ აღძრან სარჩელი საერთო წესით. სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სარჩელის მიღებაზე სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. იმ მოტივით, რომ არსებობს იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ხოლო ასეთი სარჩელის მიღების შემდეგ სასამართლოს არა აქვს უფლება შეწყვიტოს საქმისწარმოება სსსკ–ის 272–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას კანონმდებელი იმიტომ აძლევს დაინტერესებულ პირს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შედეგად განმცხადებელს ერთმევა შესაძლებლობა დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ საქმის განხილვის წესით, რომლის აღდგენასაც იმედოვნებდა განცხადების შეტანისას.

როდესაც სასამართლო წყვეტს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესაძლებლობის საკითხს ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების მიზნით, მისთვის ამოსავალი უნდა იყოს სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის ვადები. ეს ვადები გამოითვლება სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შეს-

ვლის დღიდან ან იმ ვადის დამთავრების დღიდან, რომელიც დადგენილ იქნა სასამართლო აქტის აღსრულების გადადებისას ან განაწილვადებისას, ანდა სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადის (გაშვებული ვადის) აღდგენის შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან (საქმე ისაა, რომ აღსრულების ვადა საპროცესო ვადაა და ისევე შეიძლება აღდგეს, როგორც კანონით დადგენილი საპროცესო ვადა), ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო აქტი ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას – სასამართლო აქტის გამოტანის დღის მომდევნო დღიდან.

დაბოლოს, როგორც დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე, ისე დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში დაკარგული სასამართლო წარმოების აღდგენის შესახებ საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინებაზე დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა. კერძო საჩივრის განხილვა კი ამგვარი საჩივრების განხილვისათვის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით ხდება (იხ. 414-420-ე მუხლები).

§ 9. ბავშვის მიტოვებულად აღიარება

უდავო წარმოების საქმეთა კიდევ ერთ კატეგორიას ბავშვის მიტოვებულად აღიარების საქმ მიეკუთვნება (სსსკ-ის 310-ე მუხლი). კანონმდებელმა ბავშვის მიტოვებულად აღიარების საქმის უდავო წარმოების წესით განხილვა რომ გაითვალისწინა, ამ საქმეთა წარმოების კონკრეტული პროცედურა არ დაადგინა. ამიტომ აანალოგიით გამოყენებული უნდა იქნეს განცხადების უდავო წარმოების წესით შეტანისათვის დადგენილი წესები და უდავო წარმოების საქმეზე შეტანილი განცხადების შინაარსისადმი წაყენებული ზოგადი მოთხოვნები. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ბავშვის მიტოვებულად აღიარების წინაპირობები. კერძოდ, სკ-ის 1193[1]-მუხლის თანახმად, ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლო წესით, თუ: ა) ნაპოვნი ბავშვი აღმოჩენიდან 6 კვირის ვადაში შესაბამისმა ორგანოებმა ვერ დაადგინეს ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა; ბ) დადგინდა ნაპოვნი ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა, მაგრამ ვერ ხერხდება მშობლის (მშობლების) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წარდგენა ან მასთან (მათთან) სხვაგვარად დაკავშირება ან/და ის (ისინი) თავს არიდებს (არიდებენ)) მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას; გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მშობლისათვის (მშობლებისათვის) შეთავაზებული პრევენციის ან რეინტეგრაციის ღონისძიებების მიუხედავად, მშობელი (მშობლები) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას (ბავშვი მიატოვა (მიატოვეს) ან განაცხადა (განაცხადეს) მისი მოტივების თაობაზე), თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მიტოვებულად აღიარებულ ბავშვს სახელი და გვარი ეძლევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (სკ–ის 1194–ე და 1195–ე მუხლები).

არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად (სკ–ის 1275–ე მუხლი).

თავი XXII

სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი

§1. ზოგადი დებულებები

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლამდე, უფლების შესახებ დავა სასამართლოში ერთიანი საპროცესო წესით განიხილებოდა. კერძოდ, მოთხოვნის დასაბუთებულობის ხარისხის, ასევე დავის ხასიათის მიუხედავად, საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა სასარჩელო წესით ხდებოდა. თუმცა, მაშინაც არსებობდა და დღესაც არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა საქმის განხილვისას სასარჩელო წარმოებისათვის დამახასიათებელი ყველა ფორმალური წესის გამოყენება, არა მხოლოდ ზედმეტია, არამედ აგრეთვე მიზანშეუწონელიც, ვინაიდან ეს აჭიანურებს უფლების დაცვას. არა და აუცილებელია უფლების ოპერატიულად დაცვა, გარდა ამისა, ყველა ფორმალობის სრული დაცვა სასამართლოებსაც გადატვირთავს ხოლმე. პროცესის გამარტივება ისეთ შემთხვევაში, როცა განმცხადებლის (მოსარჩელის) მოთხოვნის დასაბუთებულობა ეჭვს არ იწვევს, რადგან დოკუმენტალურადაა იგი დადასტურებული, ხოლო მოპასუხეს არ შეუძლია უარყოს ეს მოთხოვნა ზრდის უფლების დაცვის ეფექტიანობას, უმსუბუქებს სასამართლოს სამუშაოს.

„სამოქალაქო საპროცესო ფორმა საჭიროებს, რომ იგი მოყვანილი იქნეს დღესდღეობით არსებულ სამართლის რეალიებთან ლოგიკურ თანაფარდობაში (შესაბამისობაში)“.[1]

კანონმდებელმა შემოიღო „გამარტივებული წარმოება“, რითაც შესაძლებელი გახადა თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების გამარტივებულად განხილვა; სასამართლო ბრძანების გამოცემა, როდესაც დაყენებულია ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ მოთხოვნა; აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეთა განხილვა; ცალკეული დელიქტით (ესაა დანაშაული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვა.

თავიდანვე უნდა ითქვას ისიც, რომ გამარტივებული წარმოების შემოღება არ იყო გამოწვეული მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოებაში შექმნილი დროებითი სირთულეებით. ამა თუ იმ სახელმწიფოში წარმოშობილი დროებითი ეკონომიკური სიძნელეები უფრო საბაბია, ვიდრე სამოქალაქო საპროცესო ფორმის გამარტივების მიზეზი. საქმეთა განხილვის გამარტივების აუცილებლობას განაპირობებს ისეთი ძირითადი მიზეზი, როგორიცაა სახელმწიფოსა და საზოგადოების ბუნებრივი სწრაფვა სამოქალაქო სამართალწარმოების დინამიურობისაკენ.

სამოქალაქო პროცესის დინამიურობა გულისხმობს სამოქალაქო სამართალწარმოების მეშვეობით სამოქალაქო უფლებების მაქსიმალურად სწრაფად დაცვის შესაძლებლობას, მაგრამ ამასთან, სწრაფი მართლმსაჯულება შეხამებული უნდა იყოს უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მაღალეფექტიანობასთან. სამართალწარმოება შეცვლილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს უნდა შეესაბამებოდეს. პროცესის გამარტივება მისი დინამიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა. სხვა საშუალებებს კი შეიძლება მივაკუთვნოთ მოსამართლეთა შტატების გაზრდა; სასამართლო სისტემის დაფინანსების გაზრდა; სასამართლოთა ტექნიკური აღჭურვა; სამართალში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და სხვ.

~~პროცესის დინ~~ამიურობისაკენ სწრაფვა ბოლო დროს განსაკუთრებით გაძლიერდა, თვითონ

[1] იხ. Савельева Т. А. Реформируемый гражданский процесс. / Вестник Саратовской государственной академии права. 1998 г. №1, 39.

საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიურობის გაზრდისა და სამართლებრივი დავების რაოდენობის მომრავლების გამო. საპროცესო ფორმის გამარტივება არ ნიშნავს პროცესის პრიმიტიულ გამარტივებას, რომელსაც მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია, არამედ საჭიროა მოფიქრებული, გონივრული გამარტივება, პროცესის დახვეწილი დინამიზაცია, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს არა უბრალოდ სასამართლოთა განტვირთვას იმ შემთხვევებში, როცა ეს დასაშვებია, არამედ ყველა დაინტერესებული პირის უფლებისა და კანონიერი ინტერესის მაქსიმალურად სწრაფად დაცვას, რომლის დროსაც უფლებების დაცვა უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ეფექტიანი, თანაც მკაცრად უნდა იყოს დაცული კანონიერების პრინციპი. გარდა ამისა, საჭიროა პროცესის გაიაფება,[1] თუ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება საზიანო საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ რომის სამართალი იცნობდა ფულისა და ქონების, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე იძულებითი გადახდევინების შემთხვევებს. მაგალითად, უფლების დაცვა ხორციელდებოდა პრეტორის ინტერდიქტების გამოცემის გზით, რომელიც წარმოადგენდა მოქალაქეთა ინტერესების შემლახავი და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ პრეტორის განკარგულებას.

გამარტივებული წარმოების ანალოგიურ ინსტიტუტებს იცნობს გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, პოლონეთის, რუსეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართალი.

§2. გამარტივებული წარმოების არსი

სადავო არ უნდა იყოს, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვის რთული პროცედურა, ზოგჯერ აჭიანურებს დარღვეული უფლების აღდგენას, რაც იწვევს არასასურველ შედეგებს, კერძოდ: ჭიანურდება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, ხშირად კი, საერთოდ, შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება იმის გამო, რომ მოვალეს ქონება და ფულადი სახსრები აღარ გააჩნია, ასევე ჭიანურდება აღსრულება მოვალის ძებნისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო.

იბადება კითხვა: რას წარმოადგენს თავისი არსით გამარტივებული წარმოება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, ფორმალური თვალსაზრისით, სრულიად აშკარა არის ხოლმე მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების უდავობა, რასაც ადგილი აქვს მაშინ, როცა მოსარჩელის (განმცხადებლის) მოთხოვნები დასაბუთებულია სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, ხოლო ვალდებულ პირს (მოპასუხეს) არ შეუძლია ამ მოთხოვნების წინააღმდეგ წამოაყენოს რაიმე დასაბუთებული, საფუძვლიანი შესაგებელი. მაგალითად, ისეთი ფასიანი ქაღალდი, როგორიც თამასუქია, თუ ის გაცემულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უდავოდ ადასტურებს გადახდის აუცილებლობას.

ამასთან, ხშირია შემთხვევები, როცა მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს კრედიტორის დასაბუთებულ (უდავო) მოთხოვნას, ნაკისრ ვალდებულებას, რის გამოც, მხარეთა შორის წარმოიშობა დავა. ამიტომ აუცილებელი ხდება იძულებითი გადახდევინების მექანიზმის ამოქმედება. გამარტივებული წარმოება სწორედ ამ მატერიალურ-სამართლებრივი დავების გადაწყვეტის გამარტივებული პროცედურაა. ასეთ შემთხვევებში, სამართალწარ-

[1] არსებობს კარგად ნაცნობი დებულება: „იაფი იუსტიცია არ არის ეფექტიანი იუსტიცია.“ ეს მართლაც ასეა, თუმცა სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ამ დებულების არსებითად დაზუსტებაა საჭირო, კერძოდ, შემდეგნაირად: „იაფი იუსტიცია – ყოველთვის როდი არის ეფექტიანი იუსტიცია.“ შეიძლება ითქვას ასეც: ძვირადღირებული იუსტიცია არ არის ყოველთვის ეფექტიანი იმის გამო, რომ ზოგჯერ მისი გაძვირების აუცილებლობა არ არსებობს.“

მოების გამარტივების მიზნით, დაშვებულია სასამართლოს მიერ გამარტივებული წესით გადაწყვეტილების ან სასამართლო ბრძანების გამოტანა, გამარტივებული წარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებისდა მიხედვით. სწორედ ამ აქტების მიღებით მთავრდება გამარტივებული წარმოების საქმეთა განხილვა. სასამართლოს აღნიშნული აქტები ეფუძნება დოკუმენტების საფუძველზე დადგენილ იურიდიულ ფაქტებს.

საქმისწარმოების გამარტივებული სამართლებრივი პროცედურა მთლიანად განპირობებულია მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების იურიდიული ბუნებით. გამარტივებული წარმოება კრედიტორის უფლებებისა და ინტერესების დაცვის სპეციფიკური ფორმაა. გამარტივებულ წარმოებაში კრედიტორი ეყრდნობა იმ დოკუმენტებს, რომლებიც ასაბუთებენ მოვალის მიმართ წაყენებული მოთხოვნის უდავობას. სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში გამარტივებულ წარმოებას სრულიად სამართლიანად უწოდებენ „დოკუმენტალურ წარმოებას“.

გამარტივებული წარმოების შემოღება განპირობებულია სხვადასხვა წინაპირობებით (წანამძღვრებით):

1) წერილობითი დოკუმენტალური მტკიცებულებები საშუალებას გვაძლევენ გავამარტივოთ პროცესუალური საქმიანობა, რამდენადაც მათ სხვა მტკიცებულებებთან შედარებით უტყუარობის ხარისხის გათვალისწინებით, უტყუარობის თვალსაზრისით, მეტი მტკიცებულებითი ძალა გააჩნიათ. დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა უზრუნველყოფილია მისი ობიექტური ფორმით. ასეთი დოკუმენტი უშუალოდ ადვილად აღსაქმელია. ინფორმაცია, რომელსაც ის შეიცავს, შეიძლება აღქმული იქნეს წაკითხვის ან გამოცხადების (გამოქვეყნების) გზით.

2) მატერიალური სამართალურთიერთებების სპეციფიკა, რომელიც გვაიძულებს საპროცესო ფორმის გამარტივებას, მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვრებაში ხშირია ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები, რაც აიძულებს მატერიალური სამართალურთიერთობების მონაწილეებს ხშირად მიმართონ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად. სასამართლოსადმი მიმართვის ტენდენცია იზრდება, ვინაიდან ეს განპირობებულია არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისებით, არამედ აგრეთვე კერძოსამართლებრივი ურთიერთობების განვითარების კანონზომიერებებით.

გამარტივებული წარმოების ინსტიტუტის წარმოშობის წინაპირობებისაგან უნდა განვასხვაოთ ის პირობები, რომლებიც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრავენ სადავო სამართალურთიერთობის გამარტივებული წესით გადაწყვეტის შესაძლებლობას. ამ პირობებს უნდა მივაკუთვნოთ:

1) მოთხოვნათა განსაკუთრებული ხასიათი (ეს მოთხოვნები წარმოიშობა ისეთი ტიპის სამართალურთიერთობებიდან რომლებშიც გვყავს კრედიტორი და მოვალე და ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების გამარტივებულად განხილვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით);

2) განმცხადებელს (მოსარჩელეს) ხელთ აქვს დასაშვებად მიჩნეული წერილობითი მტკიცებულებები (დოკუმენტები);

3) მოსარჩელის (კრედიტორის) მიერ სარჩელში (განცხადებაში) გამოხატული ნება, რომ საქმე განხილულ იქნეს გამარტივებულად (ამ საკითხზე მოპასუხის თანხმობას, ანუ მხარეთა შეთანხმებას საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს).

ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე იმას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, გამარტივებულ წარმოებასთან მიმართებაში, გამოიყენება ტერმინი „უდავობა“.

მაგრამ აქ აუცილებელია გავარკვიოთ, ჯერ ერთი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერება რას გულისხმობს „უფლების შესახებ დავის“ ცნებაში, და, მეორე, რა მნიშვნელობით (რა გაგებით) იხმარება ტერმინი „უდავობა“ სპეციალურ ლიტერატურაში,

გამარტივებულ წარმოებასთან მიმართებაში.

სამართლის თეორიაში ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა ადგილი „უფლების შესახებ დავამ", როგორც დამოუკიდებელმა სამართლებრივმა ცნებამ, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში. მოცემული მოვლენის სპეციფიკის კვლევა და მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავება სპეციალური იურიდიული მეცნიერებების საგანს განეკუთვნებიან.[1] სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში „უფლების შესახებ დავის" ცნების თაობაზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს.

ზოგიერთი მეცნიერი „უფლების შესახებ დავის" საკითხზე საუბრისას ასკვნის, რომ უფლების შესახებ დავა წარმოადგენს მხარეთა შეხედულებებს შორის უთანხმოებას, მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.[2]

კოჟუხარი უფლების შესახებ დავას მიიჩნევს უფლებებთან და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შეხედულებების არათანხვედრის გარეგნულ გამოხატულებად, ან როცა ასეთი არათანხვედრა არსებობს სამართალურთიერთობის ან მისი შინაარსის არსებობის (არარსებობის) გამო, ასეთი არათანხვედრით გამოწვეულ მათ ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებად.[3]

ზოგიერთი მეცნიერი იზიარებს ამ აზრს და მიიჩნევს, რომ უფლების შესახებ დავა სხვა არაფერია, თუ არა უთანხმოება უფლებებისა და მოვალეობების არსებობასთან დაკავშირებით ან სამართალურთიერთობის, ან მისი შინაარსის არსებობის (არარსებობის) გამო მხარეთა შორის შეხედულებათა არათანხვედრის გარეგნული გამოვლინება და ამ არათანხვედრით გამოწვეული მათი ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება.[4]

თანაც, დავის წარმოშობისათვის სულაც არ არის აუცილებელი მოვალემ აქტიური მოქმედებით გახადოს სადავო კრედიტორის უფლება, არამედ საკმარისია მის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა (თავის არიდება). თავის მხრივ, თავის არიდება შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. თუმცა, ყველა შემთხვევაში, უფლების შესახებ დავის არსებობისათვის აუცილებელია ნებისმიერი ფორმით გარეგნულად გამოხატული შეუთანხმებლობა სამართლებრივ შეხედულებებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ლიტერატურაში გამოიკვეთა უფლების შესახებ დავის შემდეგი ნიშნები:

1) წარმოიშობა სამოქალაქო პროცესის აღძვრამდე;

2) თავის თავში, როგორც წესი მოიცავს, თვითრეგულირების შესაძლებლობას;

3) აქტიური მხარე არ არის უფლებამოსილი თავისი კონტრაგენტის წინააღმდეგ გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებები (იგულისხმება იძულებითი ღონისძიებების გამოყენების უფლების არქონა სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე).

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში გამარტივებული წარმოება ხასიათდება მოვალესა და კრედიტორს შორის უფლების შესახებ დავის არსებობით.

კრედიტორსა და მოვალეს შორის უთანხმოება შეიძლება სხვადასხვა ფორმით არსებობდეს, კერძოდ:

1) მოვალე ღიად ამბობს უარს ვალის დაბრუნებაზე;

2) მოვალე, რომელმაც იცის კრედიტორის მოთხოვნის შესახებ, დუმს, მაგრამ ვალს

[1] იხ. Тарусина Н. Н. О теоретических предпосылках исследования понятия «спор о праве» (проблемы защиты субъективных прав и советское гражданское судопроизводство). Ярославль., 1981 г. 58.

[2] იხ. Кожухар А. Н. Наличие спора о праве, как предпосылка права на предъявление иска. Кишинев. , 1970 г. 19., Побирченко И. Г. Хозяйственная юрисдикция. Киев., 1973. 11-25. , Чечот Д. М. Судебная защита субъективных прав и интересов. Сов. гос. и право. 1967 г. №8 48.

[3] იხ. Кожухар А. Н. დასახ. ნაშრ., 23.

[4] იხ. Черёмин М. А. Приказное производство в Российском гражданском процессе. М 2001. 65.

არ აბრუნებს;

3) მოვალე ეთანხმება კრედიტორის მოთხოვნას, აღიარებს თავის ვალდებულებას, მაგრამ მას სხვადასხვა მიზეზით არ ასრულებს.

სამივე შემთხვევაში ადგილი აქვს მხარეების სამართლებრივ შეხედულებებს შორის არათანხვედრის გარეგნულ გამოვლინებას.

პირველ შემთხვევაში ეს არათანხვედრა ვლინდება შედარებით უფრო ცხადად: როგორც მოქმედებებში ან უმოქმედობაში, ისე სიტყვიერი ფორმით; მეორე შემთხვევაში დავა ვლინდება მხოლოდ მოვალის მოქმედებებში ან უმოქმედობაში, კრედიტორის მოთხოვნის საპასუხოდ შეასრულოს ვალდებულებანი (დააბრუნოს ლიზინგის საგანი, ან შეასრულოს თამასუქიდან, ან ჩეკიდან გამომდინარე პრეტენზია, აანაზღაუროს ზიანი და სხვა); მესამე შემთხვევაში სახეზეა აგრეთვე მოვალის მოქმედება ან უმოქმედობა, მაგრამ ამას კიდევ ემატება მოვალის ფორმალური თანხმობა, შეასრულოს თავისი ვალდებულებები კრედიტორის წინაშე, თუმცა რეალურად მოვალე არ ასრულებს ამ ვალდებულებებს.

სამივე შემთხვევაში, კრედიტორი, მტკიცებულებების საფუძველზე მიმართავს სასამართლოს დარღვეული (შელახული) ან სადავო უფლების დასაცავად. განხილულ შემთხვევებში კრედიტორის უფლება ყოველთვის ირღვევა (ვალდებულება არ არის შესრულებული), ხოლო უფლება სადავო ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მოვალის სიტყვებიდან და მოქმედებიდან გამომდინარეობს არა უბრალოდ ის, რომ მას, ვთქვათ, არ სურს დააბრუნოს ვალი, არამედ, როცა მოვალე აცხადებს, რომ არ არსებობს თვით რაიმეს დაბრუნების (შესრულების) ვალდებულება.

გამარტივებული წარმოების, ისევე როგორც სასარჩელო წარმოების მიზანია სამართლებრივი კონფლიქტის, მატერიალური სამართალურთიერთობის მხარეთა შორის წარმოშობილი დავის მოწესრიგება. მაგრამ სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, გამარტივებული წარმოების მიზანია ასეთი კონფლიქტის გამარტივებული ფორმით გადაწყვეტა — მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლებების რეალური დაცვის დაჩქარებისა და საპროცესო ეკონომიის მიზნით.

გამარტივებული წესით განიხილება დავა უფლების შესახებ. ამიტომ აუცილებელია განიმარტოს იმ ავტორთა პოზიციაც, ვისაც გამარტივებული წარმოება უდავო წარმოებად მიაჩნია.

როგორც ჩანს, ასეთი მიდგომა გამოწვეულია იმით, რომ სიტყვა „უდავობა" მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება. ასე მაგალითად, ვოლოჟანინი ახასიათებს სააღსრულებო წარწერის ინსტიტუტს, ავლებს პარალელს ამ ინსტიტუტსა და გადახდის ბრძანების ინსტიტუტს შორის და მსჯელობს „სადავო უფლების უდავო წესით, ე.ი. დავის არსებითად განხილვის გარეშე" დაცვის შესახებ.[1] ამ ციტატიდან ჩანს, რომ ავტორი განასხვავებს „უფლების სადავობას" და „უდავო წესს". „სადავობას" იგი განაკუთვნებს მატერიალური სამართლის სფეროში არსებულ ურთიერთობებს და მასში გულისხმობს, მატერიალური უფლების შესახებ დავას. „უდავო წესი" ნიშნავს მატერიალურ-სამართლებრივი დავის გადაწყვეტის პროცესუალურ წესს. შემდეგ ვოლოჟანინი მიუთითებს იმაზე, რომ სიტყვა „უდავობა" შეიძლება სამგვარი მნიშვნელობით გამოიყენებოდეს: ჯერ ერთი, როგორც მატერიალური უფლების შესახებ დავის არარსებობა; მეორე, როგორც პროცესუალური წარმოების გამარტივებულობა და მესამე იმ მნიშვნელობით, რომ საქმე უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს.

სიტყვა „უდავობის" ასეთი მრავალი მნიშვნელობით გამოყენება იწვევს სწორედ ზოგიერთ გაუგებრობას, როცა საუბარია გამარტივებული წარმოების შესახებ. აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ პროცესის ეს სახე უდავოა მხოლოდ იმ გაგებით, რომ იგი

[1] იხ. Воложанин В. П. Несудебные формы разрешения гражданско-правовых споров. 1974.

გამარტივებულ წარმოებას წარმოადგენს, არ შეიცავს სასამართლო განხილვის სტადიას ან შეკვეცილია ეს სტადია. მაგრამ გამარტივებულ წარმოებაში მონაწილეობენ მხარეები და ამ მხარეთა შორის არსებობს მატერიალური უფლების შესახებ დავა.

სწორედ ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით არგუნოვს, რომელიც გამარტივებული წესით განსახილველ საქმეებს მიაკუთვნებს უდავო წარმოების საქმეთა კატეგორიას. მისი აზრით: გამარტივებული წარმოების საქმეები, უნდა მივიჩნიოთ უდავო წარმოების საქმეთა კატეგორიად და მისი მომწესრიგებელი ნორმები უნდა განვათავსოთ საპროცესო კოდექსში უდავო წარმოების თავში." ავტორის აზრით, „ის გარემოება, რომ გამარტივებულ წარმოებაში გვყავს მოპასუხე და ივარაუდება უფლების შესახებ დავის არსებობა, არ ეწინააღმდეგება უდავო წარმოების კონცეფციას, მის სამართლებრივ ბუნებას, რამდენადაც მოპასუხის და უფლების შესახებ დავის არსებობა უდავო წარმოებაშიც ივარაუდება".[1]

მხარეთა, როგორც პროცესის მონაწილეების ცნება, რომელთა შორის დავაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, გამოიყენება გამარტივებული წარმოების მხარეებთან დაკავშირებითაც.[2]

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ კრედიტორი და მოვალე გამარტივებულ წარმოებაში მხარეთა საპროცესო სტატუსით სარგებლობენ. სამოქალაქო პროცესში მხარეები ის პირები არიან, რომელთა შორისაც არსებობს მატერიალურ-სამართლებრივი დავა. მეორე, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, გამომდინარე იქიდან, რომ გამარტივებული წესით განსახილველი საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს სასარჩელო წესითაც, გამარტივებული წარმოების მონაწილეებზე უნდა გავრცელდეს სასარჩელო წარმოების წესები, გარდა იმ წესებისა, რომლებიც არ შეესაბამებიან გამარტივებული წარმოების სპეციფიკას. ამიტომ გამარტივებული წარმოების მონაწილეების მიმართ უნდა გამოვიყენოთ პროცესის მხარეების ცნება, ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი აღჭურვილი არიან სასარჩელო წარმოების მხარეთა უფლებებითა და მოვალეობებით, გამარტივებული წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით.

საპროცესო კანონი ითვალისწინებს ოთხი სახის გამარტივებულ წარმოებას. ოთხივე კატეგორიის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ საერთო სახელწოდების ქვეშ არის მოქცეული, გამარტივებულად, თუმცა კანონით დადგენილი სხვადასხვა წესით განიხილება.

მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში გამარტივებული წარმოების შემოღება დროული, მიზანშეწონილი და პრაქტიკულად გამართლებულია. ძველი საპროცესო კოდსექსით დადგენილი პროცედურა გამონაკლისის გარეშე ითვალისწინებდა, ყველა საქმისათვის პროცესის სავალდებულო სტადიების გავლას, ერთნაირ პროცედურას ყველა კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვისათვის. სამოქალაქო საქმის ხასიათისა და სირთულის, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსისა და ხასიათის მიუხედავად, გამოიყენებოდა საქმის განხილვის ერთნაირი წესები. საჭიროება კი მოითხოვდა საპროცესო ფორმის გამარტივებას. ეს გასაგებიცაა, რადგან ზოგიერთი კატეგორიის საქმის (მოთხოვნის) განხილვა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეს, ვინაიდან ფაქტობრივი გარემოებები და იურიდიული ურთიერთოებები აქ ადვილად დგინდება განსაზღვრული მტკიცებულებების მეშვეობით.

დავის განხილვისა და გადაწყვეტის გამარტივებული ფორმა განსაზღვრული სპეციფიკით ხასიათდება. საპროცესო კოდექსში საქმის მოსმენის გამარტივებულმა პროცედურამ სასარჩელო წარმოების გვერდით დაიმკვიდრა ადგილი. ის, ასე ვთქვათ, ალტერნატიული პროცედურაა, ოღონდ ხორციელდება მხოლოდ განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაკავშირე-

---

[1] იხ. Аргунов В. Н. „Судебный приказ и исполнительная надпись~ Российская юстиция, №7, 1996 г.

[2] იხ. М. А.Черёмин. დასახ. ნაშრ., 68.

ბით. გამარტივებული წესით საქმეებს განიხილავენ იგივე მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობენ სასარჩელო წესით საქმის განხილვაში. სსსკ-ის მე-14 მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ გამარტივებული წარმოების საქმე შეიძლება დაექვემდებაროს როგორც მაგისტრატი მოსამართლის, ისე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას. გამარტივებული წარმოების წესით საქმე შეიძლება განხილულ იქნეს დაინტერესებული პირის ნების საფუძველზე, ტრადიციული სასამართლო განხილვის ნაცვლად, თუ, რა თქმა უნდა, სახეზე იქნება ის მოთხოვნები, რომელთა მიმართაც დასაშვებია გამარტივებული წარმოების წესების გამოყენება.

გამარტივებული წარმოების პრინციპებია: საქმის განხილვის დაჩქარებულობა, სიმარტივე, ეკონომიურობა და უფლების დაცვის უზრუნველყოფა.

სიმარტივე უზრუნველყოფილია საქმის მომზადების და ზოგჯერ მთავარი სხდომის (საქმეის ზეპირი განხილვის) სტადიის არარსებობით, ხოლო როცა კანონით გათვალისწინებულია სასამართლო სხდომა, საქმის მოსმენისა და მტკიცებულებათა წარდგენის წესები მოქნილი და გამარტივებულია. უარყოფილია შეჯიბრებითი პროცესისათვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი. მაგალითად, თამასუქისა და ჩეკის საქმეებზე დაუშვებელია შეგებებული სარჩელის წარდგენა და სხვ.

დაჩქარებულობა უზრუნველყოფილია სასარჩელო პროცესისათვის დამახასიათებელი მრავალი ფორმალობისა და იმ მექანიზმების არარსებობით, რომლებიც მოპასუხეს მისცემდნენ პროცესის გაჭიანურების შესაძლებლობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო უფლებათა სასამართლო წესით დაცვის რეალურობა პირდაპირ კავშირშია საქმის განხილვის ვადებთან, ვინაიდან სასამართლო განხილვის გაჭიანურება მუდმივი ინფლაციის პირობებში უფლების დაცვას ხდის არაეფექტიანს, ხოლო არცთუ იშვიათად – ფორმალურს. რაც უფრო შემცირებული იქნება საქმის განხილვის ვადები, მით უფრო სწრაფად იქნება დაცული უფლება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გამარტივებული წარმოების მომწესრიგებელი ნორმები თამასუქის და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების მიმართ არ ითვალისწინებენ, თუ სარჩელის შეტანიდან რა ვადაში უნდა იქნეს განხილული საქმე გამარტივებული წესით. ცხადია, ასეთ დროს გამოყენებულ უნდა იქნეს საქმის განხილვის საერთო ვადები, თუმცა, თუ ჩვენ ვსაუბრობთ საქმის განხილვის გამარტივებაზე, უფლებათა სწრაფად აღდგენაზე, ვფიქრობთ, კანონმა ამ საქმეთა კატეგორიის მიმართ უნდა გაითვალისწინოს გამარტივებული წესით საქმის განხილვის სპეციალური ვადები, ამასთან, ბევრად უფრო შემცირებული, ვიდრე ეს დადგენილია სასარჩელო წარმოების დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი ეკარგება უფლების დაცვის გამარტივებულ და ოპერატიულ ფორმას.

ეკონომიურობა მდგომარეობს იმაში, რომ თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე გადაიხდევინება შედარებით უფრო მცირე ბაჟი, ვიდრე ეს დაწესებულია სასარჩელო წარმოების წესით სარჩელის შეტანის შემთხვევაში (იხ. სსსკ-ის 39-ე მუხლი). თუ გამარტივებული წარმოების საქმე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი გახდება მაშინ ბაჟის ოდენობა განახევრდება (იხ. სსკ-ის 39-ე მუხლი).

პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ძირითადი ამოცანაა გამარტივებულ სამართალწარმოებაში, ისევე, როგორც სამართლაწარმოების ნებისმიერ სახეში.

სწორედ ეს ძირითადი პრინციპები, რომელთაც ეფუძნება გამარტივებული წარმოება, განსაზღვრავენ საქმეთა განხილვის პროცესუალურ თავისებურებებსაც. ეს თავისებურებებია: ამ საქმეების განსჯადობა, სარჩელის (განცხადების) წარდგენა და საქმის აღძვრა, საქმის განხილვა და ბრძანების (გადაწყვეტილების) გამოტანა, ასევე ამ აქტების გასაჩივრება.

მოცემული საქმეების განსჯადობა შეზღუდულია. კერძოდ, გამარტივებული წესით შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ზემოაღნიშნული ოთხი კატეგორიის სამოქალაქო-სამართლებრივი საქმე. ე.ი. გამარტივებული წესით საქმის განხილვა დაიშვება მხოლოდ

სამოქალაქო საპროცესო კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. მოთხოვნათა ეს ჩამონათვალი არ შეიძლება განივრცოს მოსამართლის შეხედულებით. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ გამარტივებული წარმოების გამოყენებისა და სასამართლოს შესაბამისი აქტის გამოცემისათვის კანონმდებელი პირველ პირობად ადგენს განმცხადებლის მოთხოვნის შინაარსს. კერძოდ, ეს მოთხოვნები ატარებენ ქონებრივ ხასიათს (თამასუქიდან და ჩეკიდან გამომდინარე პრეტენზიები, ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ მოთხოვნები, აქციათა სავალდებულო მიყიდვის მოთხოვნა, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა). სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნებზე ეს წესები არ ვრცელდება. სარჩელის თანხა არ არის შეზღუდული. ამასთან, თანხის ოდენობა და გამარტივებული წესით განსახილველი საქმის კატეგორია (სახე) გავლენას ახდენს საქმის გვარეობით განსჯადობაზე (იხ. სსსკ-ის მე-14 მუხლი). საქმის კონკრეტული გვარის (სახის) და მოთხოვნის ღირებულების მიხედვით, გვარეობითი განსჯადობიდან გამომდინარე გამარტივებული წარმოების საქმეს განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე ან რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

სარჩელის (განცხადების) წარდგენასა და საქმის აღძვრას გამარტივებული წესით, რიგი თავისებურებანი აქვს, კერძოდ, იმისათვის, რომ საქმე განხილულ იქნეს გამარტივებული წესით, განმცხადებლის ნებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა (გამარტივებული წარმოების წესით საქმის განხილვის თხოვნა უნდა მიეთითოს სარჩელში (განცხადებაში). განმცხადებელს საქმის გამარტივებულად განხილვის მოთხოვნის უფლება აქვს სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული იმ მოვალის ბრალის პრეზუმფციიდან გამომდინარე, რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ან კანონით დადგენილ ვადაში განსაზღვრული ვალდებულებები, არ შეასრულა კრედიტორის სასარგებლოდ აუცილებელი მოქმედებები. მოვალის ბრალის პრეზუმფციის დროს ივარაუდება, რომ უფლებამოსილი პირის მოთხოვნა უდავოა, სწორედ ამიტომ ხდება მიზანშეწონილი, რომ მარტივი წესით ვაიძულოთ მოვალე შეასრულოს ვალდებულება. მოვალის ბრალის პრეზუმფცია შეიძლება უარყოფილ იქნეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე ინიციატივა უნდა მომდინარეობდეს თვითონ ვალდებული პირისაგან, რომელსაც კანონი უფლებას ანიჭებს მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თამასუქისა და ჩეკის საქმეებზე, ან შეიტანოს კერძო საჩივარი, როცა მიღებულია ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანება და სხვა. სწორედ ამ წესებით ხორციელდება მოვალეთა (მოპასუხეთა) უფლებების დაცვა გამარტივებულ წარმოებაში.

გამარტივებული წარმოების შემოღება მიზნად ისახავს უზრუნველყოს მნიშვნელოვანი რაოდენობის სამოქალაქო საქმეთა სწრაფი განხილვა სასამართლოს მიერ, რითაც ხელი უნდა შეუწყოს დარღვეული უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების ეფექტიანად დაცვის უზრუნველყოფას.

ამ ინსტიტუტის არსი სქემატურად შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად: რთული პროცედურის გარეშე, მხოლოდ დოკუმენტებისა (წერილობითი მტკიცებულებების) და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, სასამართლო პასუხს იძლევა აღძრული მოთხოვნის შესახებ და გამოსცემს შესაბამის აქტს (გადაწყვეტილებას ან ბრძანებას).

დაბოლოს, შესაძლოა კრედიტორს ეკუთვნოდეს კანონით გათვალისწინებული უფლებები და ხელთ ჰქონდეს ის დოკუმენტებიც, რომლებიც ადასტურებენ ამ მოთხოვნების უდავობას, მაგრამ იგი არ არის ვალდებული მიმართოს სასამართლოს განცხადებით (ან სარჩელით) გამარტივებული წარმოების შესახებ. აღნიშნული საკითხი კრედიტორის შეხედულებაზეა დამოკიდებული. მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს სასარჩელო განცხადებით და მოითხოვოს საქმის განხილვა საერთო (სასარჩელო) წესით. ასეთი განცხადების მიღებასა და საერთო წესით საქმის განხილვაზე უარის თქმა დაუშვებელია. ამდენად, პროცესში გაფართოებულია დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედება და განმცხადებელს (მოსარჩელეს)

ენიჭება თავისი უფლებების დაცვის ალტერნატიული შესაძლებლობა. კერძოდ, მას თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია მოითხოვოს სასამართლოსაგან უფლების დაკმაყოფილება საერთო ან გამარტივებული წესით. გამარტივებული წესით მიღებული ბრძანება აღსრულებადობის მიხედვით არ განსხვავდება სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან.

ამდენად, გამარტივებული წარმოება სასარჩელო (ჩვეულებრივი) წარმოების ალტერნატიული პროცედურაა, რადგან არ აღიძვრება კრედიტორის (მოსარჩელის) შესაბამისი განცხადების გარეშე.

გამარტივებული წარმოება სასარჩელო წარმოების ალტერნატიულ წარმოებად იქნა აღიარებული ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის კანონმდებლობაში. ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, გერმანიის სამართალწარმოებაში გამარტივებული წარმოება აღიძვრება მოსარჩლის ინიციატივით. თანაც, ამ შემთხვევაში უფლების დაცვის ამა თუ იმ წესის არჩევა, არ ახდენს გავლენას მხარის ინტერესების (უფლებების) დაცვის ხასიათსა და მოცულობაზე. საკუთარი უფლების დაცვის გზების არჩევის უფლება აღიარებულია სასამართლოსადმი მიმმართველი პირის დისპოზიციურ უფლებად, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

მატერიალური სამართალურთიერთობების მონაწილეები თავისუფლები არიან თავიანთი მოქმედების არჩევაში, თუ ეს არ არღვევს კანონის ნორმებს, სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ეს ეხება დარღვეული ან სადავო უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხერხებისა და საშუალებების არჩევის შესაძლებლობასაც. სამართალწარმოების (გამარტივებულის ან სასარჩელოს) არჩევის უფლება მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი დისპოზიციურობიდან გამომდინარე მხოლოდ და მხოლოდ იმის უფლებაა, ვინც სასამართლოს მიმართავს თავისი უფლებების დასაცავად. მოსარჩლეს (კრედიტორს) აქვს უფლება მოითხოვოს ვალის დაბრუნება ან არ მოითხოვოს ეს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს უფლების დასაცავად ან არ მიმართოს. სასამართლოსადმი მიმართვისას კრედიტორს აქვს უფლება განსაზღვროს, საქმის გადაწყვეტის რომელი გზა არის მისთვის ყველაზე მეტად მისაღები: თუ ის მიიჩნევს, რომ მოვალისადმი თავისი მოთხოვნები საკმარისად დასაბუთებულია და არ გამოიწვევს მოვალის მხრიდან რაიმე სერიოზული შესაგებლის წამოყენებას, მაშინ მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება გამარტივებული წარმოება, რამდენადაც იგი იძლევა დროისა და საშუალებების ეკონომიის შესაძლებლობას; თუკი აუცილებელია წარმოდგენილი დოკუმენტების უფრო რთული იურიდიული ექსპერტიზა, მტკიცებულებები არ არის საკმარისი და არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ მოვალე შემდგომშიც სადავოს გახდის მოთხოვნებს, მაშინ საქმის განხილვა სასარჩელო წესით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, ვინაიდან იგი მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას.

გამარტივებულ წარმოებასთან დაკავშირებით დისპოზიციურობის პრინციპის შესახებ მსჯელობისას, ორ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

პირველი, სასამართლოსადმი საქმის გამარტივებულად განხილვის მოთხოვნით მიმართვა დისპოზიციურობის გამოვლენაა მატერიალურ-სამართლებრივი გაგებით. ეს გამოიხატება დაინტერესებული პირის მიერ თავისი უფლების სასამართლო წესით დაცვის ფორმის არჩევაში, მისთვის უპირატესობის მინიჭებაში სხვა ფორმებთან შედარებით.

მეორე, სარჩელით (განცხადებით) მიმართვა საქმის გამარტივებულად განხილვის შესახებ, დისპოზიციურობის გამოვლენაა ფორმალურ-პროცესუალური გაგებით (უფლების დაცვის საპროცესო საშუალების განკარგვა, უფლების დაცვის საშუალებების არჩევა). ეს გამოიხატება სასარჩელო ან გამარტივებული წარმოების, როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოში დავის გადაწყვეტის გზების არჩევაში. წარმოების არჩევა დისპოზიციურობის გამოვლენაა ფორმალურ-პროცესუალური გაგებით იმიტომ, რომ ასეთი არჩევა

განსაზღვრავს პროცესუალური დაცვის ამა თუ იმ საშუალებებით შემდგომ სარგებლობას, რაც განსხვავდება სასარჩელო და გამარტივებულ წარმოებაში.

გამარტივებული წარმოების სტადიების თავისებურებებიდან გამომდინარე შეიძლება დასახელდეს მათი კონკრეტული სპეციფიკა, რითაც ისინი განსხვავდებიან სასარჩელო წარმოების სტადიებისაგან, კერძოდ:

1) გამარტივებული წარმოების სტადიების მიმდინარეობა შეკვეცილია დროის თვალსაზრისით (მხოლოდ თამასუქისა და ჩეკის საქმეებზე მხარეთა შეტყობინების სტადია შეიძლება მცირედით გაჭიანურდეს იმ შემთხვევაში, როცა უწყება ბარდება არა სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით).

2) ამ სტადიებისათვის დამახასიათებელია სიმარტივე, ვინაიდან შედგება არც თუ ისე მრავალრიცხოვანი საპროცესო მოქმედებებისაგან.

3) ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ საქმის გამარტივებული წარმოებაში არ წარმოებს პროცესუალურ მოქმედებათა ოქმი.

4) ზოგიერთი სახის გამარტივებულ წარმოებაში არ არსებობს სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა სახეებისათვის დამახასიათებელი სტადიები, კერძოდ: საქმის მომზადება სასამართლო განხილვისათვის, სასამართლო განხილვა (აღნიშნული სტადიები ზოგიერთი სახის გამარტივებულ წარმოებაში არ არსებობს, ხოლო ზოგჯერ კი იგი შეკვეცილია (მაგალითად, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვისას, მოპასუხეს განესაზღვრება ვადა შესაგებლის წარმოსადგენად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს, ე.ი. შეკვეცილია საქმის მომზადების სტადია). რამდენადაც გამარტივებული წარმოება ძირითადად მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ზოგიერთი სახის გამარტივებულ წარმოებაში არ არსებობს სააპელაციო და საკასაციო წესით გადაწყვეტილებათა გასაჩივრების სტადიები.

ამრიგად, შეიძლება გამოვყოთ გამარტივებული წარმოებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც მის არსს განსაზღვრავს:

1. სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით ეს არის გამარტივებული სამოქალაქო სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში;

2. გამარტივებული წარმოება მოსარჩელის (განმცხადებლის) უფლებებისა და ინტერესების დაცვის სპეციფიკური ფორმაა, რომლის დროსაც მოსარჩლე ეყრდნობა ისეთ წერილობით მტკიცებულებებს (დოკუმენტებს), რომლებსაც გააჩნიათ უტყუარობის მაღალი ხარისხი და მიმართულია იმ მხრის წინააღმდეგ, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება;

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოება ხასიათდება იმით, რომ, თუ განიხილება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე გამარტივებული წესით აღძრული საქმე, მაშინ საქმის განხილვისას არ იბარებენ მოპასუხესა და განმცხადებელს და, შესაბამისად, არ ხდება მათი ახსნა-განმარტებების მოსმენა, ამდენად, მასში არ არსებობს სასამართლო განხილვის სტადია, ხოლო დანარჩენი საქმეების გამარტივებული წესით განხილვა ხასიათდება საქმის მომზადების და ზეპირი განხილვის სტადიების მნიშვნელოვანი შეკვეცით.

აღნიშნული ინსტიტუტი გამარტივებული და შეკვეცილი პროცედურაა სასარჩელო პროცედურასთან შედარებით, განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაკავშირებით სასარჩელო წარმოების ალტერნატიული პროცედურაა, რომელიც ეფუძნება უტყუარ წერილობით მტკიცებულებებს, მიზნად ისახავს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას რიგი ვალდებულებების იძულებითი შესრულების უზრუნველყოფის გზით. ამგვარი პროცედურების გამოყენების შესაძლებლობას განაპირობებს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების იურიდიული ბუნება, რომლებთან დაკავშირებითაც გამარტივებულად შეიძლება გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება, ან სასამართლოს ბრძანება.

§3. გამარტივებული წარმოების სახეები

გამარტივებული წესით განსახილველი ყველა კატეგორიის საქმე შეიძლება განხილულ იქნეს სასარჩელო წესით, მაგრამ მოსარჩელის (განმცხადებლის) არა ყოველგვარი მოთხოვნის გამარტივებულად განხილვაა დასაშვები. „არსებითად, გამარტივებულ წარმოებაში საუბარია გამარტივებული წარმოების საქმეთა ჯგუფის შესახებ, რომელთაც გააჩნიათ იმ დოკუმენტის სამართლებრივი ბუნებით განსაზღვრული საერთო ნიშნები და თავისებურებანი, რომლის საფუძველზეც ხდება მოთხოვნის აღძვრა“.[1]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს მოთხოვნათა ოთხ ჯგუფს, რომლებიც გამარტივებული წესით განიხილებიან:

1) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელები;

2) ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ საქმეები.

3) აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეები;

4) ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი გამარტივებული წარმოების ოთხ განსხვავებულ სახეს ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ საქმეთა კატეგორიების შესაბამისად.[1]

§4. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვის გამარტივებული წესი

1. თამასუქიდან და ჩეკიდან გამომდინარე საქმეების გამარტივებული წესით აღძვრისა და წარმოების თავისებურებები. ფასიანი ქაღალდი სამოქალაქო სამართალურთიერთობების განსაკუთრებული ობიექტია, ნივთების განსაკუთრებული სახესხვაობაა, რომელთაც თამასუქიც და ჩეკიც მიეკუთვნება.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა აწესრიგებს როგორც თამასუქის, ისე ჩეკის გაცემის, თავდებობის, გადახდის, გამოყენების, პრეტენზიების წარდგენის წესსა და სხვა საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ თამასუქიდან და ჩეკიდან გამომდინარე მოთხოვნების გამარტივებული წესით განხილვას მრავალი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს. ქართულ სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებულ გამარტივებული წარმოების ამ სახეს კი თავისი ანალოგი მოეძებნება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის მიხედვიდაც გამარტივებულად განიხილება დოკუმენტების საფუძველზე აღძრული საქმეები, ხოლო თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ საქმეებზე ვრცელდება დოკუმენტების პროცესის წესები, თუ თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული მოთხოვნების განხილვის რაიმე განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს კანონი, ვინაიდან სათამასუქო პროცესი, დოკუმენტების საფუძველზე აღძრული პროცესის ერთ-ერთ ქვესახეობადაა მიჩნეული.[2]

თამასუქის კანონის შესაბამისად, თამასუქი ფასიანი ქაღალდია. იგი დოკუმენტია, რომლითაც მისი გამცემი კისრულობს უპირობო ვალდებულებას, გადაიხადოს თამასუქში მითითებული თანხა პირადად, ან სხვას ავალებს მის გადახდას. თამასუქი ადასტურებს ქონებრივ უფლებებს, რომელთა განხორციელება ან გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მისი წარდგენისას. თამასუქის გადაცემით სხვა პირზე გადადის თამასუქით დადასტურე-

[1] Аргунов В.Н. Приказное производство, Учебник гражданского процеса. под.ред. Треушникова М.К.М. 2001. 347.

[2] იხ. Leo Rosenberg-Karl Heinz Schwab. Zivilprozedrecht München 1981. 995.

ბული ყველა უფლება ერთობლიობაში. ეს არის ფორმალური დოკუმენტი და ამიტომ, თუ დოკუმენტს აკლია თამასუქის კანონით დადგენილი რომელიმე რეკვიზიტი, მათ შორის სიტყვა „თამასუქი", გარდა ამ კანონითვე გათვალისწინებული შემთხვევისა, თამასუქის ძალა არა აქვს.

თამასუქი ადასტურებს აბსტრაქტულ ვალდებულებას, ე.ი. განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას, რომლის წინაღმდეგაც არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს სხვა ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი.

თამასუქი სავალო ვალდებულების სახესხვაობაა და მისი საგანი ყოველთვის ფულია.[1] შესაბამისად, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული მოთხოვნა (სარჩელის საგანი) შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ გარკვეული ფულადი თანხის გადახდას. თამასუქი წერილობითი სავალო ვალდებულებაა და იგი უდავო უფლებას ანიჭებს იმას, ვისზეც ის არის გამოწერილი (თამასუქის მფლობელს), მოითხოვოს მოვალისაგან თამასუქში აღნიშნული ფულადი თანხის გადახდა (განაღდება) იმ ვადის ამოწურვისთანავე, რა ვადითაც ის არის გამოწერილი (ანუ ვალდებულების ვადის ამოწურვისთანავე). ასეთი ვალდებულების დამახასიათებელი ნიშნებია მისი აბსტრაქტულობა და უდავობა. თამასუქის აბსტრაქტულობა გამოიხატება იმაში, რომ მასში არ არის მითითებული ის გარემოებები (საფუძველი), რამაც სინამდვილეში გამოიწვია სავალო ვალდებულების არსებობა. თამასუქში მითითებულ ვადაში ფულადი თანხის მიღებაზე თამასუქის მფლობელის უფლება უდავოა და იგი არ შეიძლება სადავო გახდეს (უარყოფილ იქნეს) იმაზე მითითებით, რომ თვითონ კრედიტორმა არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი მოვალის (მსესხებლის) წინაშე. თამასუქი მარტივი და უპირობო ფულადი ვალდებულებაა, რამდენადაც მისი გამცემი უპირობო ვალდებულებას კისრულობს, გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვას ავალებს მის გადახდას.

დადგენილ ვადაში, თამასუქის გაუნაღდებლობის შემთხვევაში, თამასუქის გამცემისაგან ფულის გადახდევინება იძულებითი წესით წარმოებს ნოტარიუსის მიერ თამასუქის პროტესტის შედგენის შემდეგ.

თუ თამასუქის გამცემი სხვას ავალებს თამასუქში ნაჩვენები თანხა გადაუხადოს თამასუქში მითითებულ პირს, ასეთ თამასუქს ეწოდება გადასაპირებელი თამასუქი (ტრატი). თუ თამასუქის გამცემი კისრულობს ვალდებულებას თვითონ გადაიხადოს თამასუქში მითითებული თანხა ასეთ თამასუქს ეწოდება მარტივი (სოლო თამასუქი).

თამასუქის საფუძველზე გადახდისას დაცულ უნდა იქნეს განსაზღვრული წესები. კერძოდ, თამასუქის გამცემი, ინდოსანტი (რომელმაც გადასცა იგი ინდოსამენტით, ე. ი. რომელმაც წააწერა თამასუქზე) და სხვა ვალდებული პირები (მაგალითად, ავალისტი, ანუ თავმდები, რომელმაც ხელი მოაწერა), ვალდებულებას კისრულობენ გადაიხადონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე უარს იტყვის გადამხდელი. ამიტომ, ვიდრე ამ პირების მიმართ რაიმე მოთხოვნას წარადგენდეს, თამასუქის მფლობელმა უნდა გაარკვიოს, როგორ აპირებს მოიქცეს გადამხდელი. ამ მხრივ, მან შემოწმება უნდა აწარმოოს ორ სტადიად.

პირველი სტადია მდგომარეობს იმაში, რომ გადახდის ვადის დადგომამდე (გასვლამდე) თამასუქის მფლობელმა უნდა მიმართოს (წარუდგინოს თამასუქი) გადამხდელს (ანუ ტრასანტს) და მოითხოვოს მისი თანხმობა ან უარი გადახდაზე, ე. ი. მოითხოვოს, აქცეპტირება გაუკეთოს გადახდას და მიუთითოს მისი წარმოების (აქცეპტირების) თარიღი. გადახდაზე ან მის დათარიღებაზე სრული ან ნაწილობრივი უარისას აუცილებელია ამ გარემოების ფიქსაცია სათანადო წესით შედგენილ აქტში, ე. ი. პროტესტში, რათა უარის თქმის ფაქტმა არ გამოიწვიოს ეჭვი სათამასუქო ვალდებულების ვალდებულ სუბიექტებში.

მეორე სტადია დგება იმ შემთხვევაში, როცა გადამხდელი, რომელმაც მოახდინა

[1] იხ. რ. შენგელია. საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები. ნაწ. II. 1993. 145.

აქცეპტირება და დაათარიღა იგი, თავს არიდებს გადახდას. გადახდაზე უარის თქმა დაფიქსირებულ უნდა იქნეს პროტესტში, რადგანაც იმ თამასუქზე, რომელიც არ არის გაპროტესტებული გადაუხდელობის გამო, პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ გადამხდელს, რომელმაც თამასუქის აქცეპტირება მოახდინა. უნდა აღინიშნოს, რომ თამასუქის კანონის თანახმად, თამასუქის გადახდაზე ან აქცეპტებაზე უარი „ოფიციალური" ოქმით (პროტესტის აქტით) უნდა იყოს დადასტურებული. ნოტარიატისა (38-ე მუხლი) და თამასუქის კანონმდებლობიდან გამომდინარე, პროტესტს ასრულებს ნოტარიუსი.

თამასუქის ბრუნვის სისტემის ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია სათამასუქო სამართლურთიერთობის სუბიექტთა უფლებების რეალურად დაცვის შესაძლებლობის არსებობაზე, მათი დარღვევის შემთხვევაში. თამასუქის პროტესტია სწორედ სათამასუქო სამართლურთიერთობათა სუბიექტების უფლებების დაცვის ერთ-ერთი საშუალება.

თამასუქის პროტესტი სანოტარო მოქმედებაა, რომელიც ოფიციალურად ადასტურებს იმ ფაქტებს, რომლებთანაც თამასუქის კანონმდებლობა აკავშირებს განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების დადგომას, რაც ფორმდება პროტესტის აქტის შედგენით და მისი მიზანია სათამასუქო ვალდებულების სუბიექტთა უფლებების დაცვა. **კერძოდ, ასეთი იურიდიული ფაქტი არის გადამხდელის უარი, გადაიხადოს დადგენილ ვადაში, თამასუქის აქცეპტებაზე უარი და სხვ.**[1] თამასუქის პროტესტის შესრულება აუცილებელი პირობაა ინდოსანტებისა და ავალისტებისათვის თამასუქიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

თამასუქის პროტესტის უფლება გააჩნიათ სათამასუქო სამართლურთიერთობათა სუბიექტების ორ კატეგორიას. პირველ მათგანს მიეკუთვნება თამასუქის მფლობელი. მეორე კატეგორიაა წარმწერები (ხელმომწერი), რომლებმაც გაანაღდეს (გადაიხადეს) თამასუქის თანხა. თამასუქის კანონის თანახმად (მუხლი 38-ე), ყველა პირი, რომელმაც გამოწერა თამასუქი, მოახდინა მისი აქცეპტება, ინდომირება ან იკისრა სათამასუქო თავდებობა, სოლიდარულად პასუხისმგებელია თამასუქის მფლობელის წინაშე. მფლობელს შეუძლია აღძრას სარჩელი ზემოაღნიშნული ყველა პირის მიმართ, ან თითოული მათგანის მიმართ ცალ-ცალკე, ან ყველას მიმართ ერთად, ვალდებულებათა რიგითობის დაუცველად (ნებისმიერი თანამიმდევრობით). ასეთივე უფლება აქვს თამასუქის თითოეულ ხელმომწერს, რომელმაც თამასუქის თანხა გადაიხადა. შესაბამისად, ასეთ წარმწერს აქვს პროტესტის წარდგენის უფლება ყველა წინამორბედი წარმწერის მიმართ ნებისმიერი თანმიმდევრობით, ან ყველას მიმართ ერთდროულად. აქცეპტებაზე უარის ან გადაუხდელობის გამო პროტესტის წარდგენის ვალდებულებისაგან თამასუქის მფლობელის გათავისუფლება შეუძლია თამასუქის გამცემს, ინდოსანტს ან თავდებს, თუ ის დოკუმენტზე წააწერს „დაბრუნდეს ხარჯების გარეშე", „პროტესტს არ ექვემდებარება" ან თანაბარი მნიშვნელობის სხვა სიტყვებს და ხელსაც მოაწერს. ასეთი დათქმა არ ათავისუფლებს მფლობელს დადგენილ ვადაში თამასუქის წარდგენისა და შეტყობინების გაგზავნის ვალდებულებისაგან.

კანონით გათვალისწინებულია პროტესტის რამდენიმე სახე, მაგრამ უფრო დიდი პრაქტიკული მნიშნელობა აქვს თამასუქის გადახდასა და აქცეპტებაზე უარის თქმის პროტესტს.

თამასუქის გადაუხდელობასა და აქცეპტებაზე უარის პროტესტი წარმოებს ნოტარიუსის მიერ, მხოლოდ თამასუქის გადამხდელისათვის წარდგენის შემდეგ. თამასუქის აქცეპტებასა და მის გადახდაზე უარის დადასტურებისა და პროტესტის შესრულებისათვის ნოტარიუსმა უნდა გაარკვიოს თამასუქის აქცეპტებასა და გადახდაზე წარდგენა რამდენად სწორად იყო შესრულებული თამასუქის მფლობელის მიერ. თამასუქის აქცეპტისათვის წარდგენა და აქცეპტის შესრულება ნიშნავს, რომ გადამხდელმა თამასუქი მიიღო გადასახდელად დადგენილ ვადაში და თანახმაა გადაიხადოს, რასაც დაადასტურებს ხელმოწერით.

[1] იხ. Белов В. А. Практика вексельного права. М. 1998 г. 50.

თამასუქის შესახებ კანონის მე-17 და მე-18 მუხლებიდან გამომდინარე, თამასუქის გამცემს შეუძლია თამასუქზე მიუთითოს, რომ გასანაღდებლად წარდგენამდე სავალდებულოა მისი აქცეპტისათვის წარდგენა ან თამასუქში მის აქცეპტებზე არაფერი მიეთითოს. პირველ შემთხვევაში თამასუქის მფლობელი ვალდებულია თამასუქის გასანაღდებლად წარდგენამდე ის გადამხდელს წარუდგინოს აქცეპტისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში, ე. ი. როცა თამასუქის აქცეპტების აუცილებლობა არ არის დადგენილი, თამასუქის აქცეპტებისათვის წარდგენის საჭიროებას გადაწყვეტს თვით თამასუქის მფლობელი. ამჯერად მის ნებაზეა დამოკიდებული, წარადგინოს თუ არა იგი აქცეპტისათვის.

როცა თამასუქის აქცეპტისათვის წარდგენა სავალდებულოა, თამასუქის გამცემს შეუძლია განსაზღვროს თამასუქის აქცეპტისათვის წარდგენის ვადა ან საერთოდ არ მიეთითოს ამის შესახებ.

ცალკეულ შემთხვევაში თამასუქი შეიძლება საერთოდ არ ექვემდებარებოდეს აქცეპტისათვის წარდგენას, კერძოდ, როცა თამასუქის გამცემი მიუთითებს, რომ თამასუქი არ ექვემდებარება აქცეპტებას.

თამასუქი შეიძლება გაიცეს გადასახდელად შემდეგი ვადების გათვალისწინებით:

1. წარდგენისთანავე;
2. წარდგენიდან განსაზღვრული დროის განმავლობაში;
3. გაცემიდან განსაზღვრული დროის განმავლობაში;
4. განსაზღვრულ დღეს.

იმ თამასუქს, რომელშიც გადახდის სხვაგვარი ვადაა მითითებული, ძალა არა აქვს. აქედან გამომდინარე, თამასუქის გამცემს არა აქვს უფლება, თამასუქის გადახდისათვის სხვაგვარი ვადები დააწესოს.

თამასუქის გამცემს მისი წარდგენისთანავე გადახდის, ანუ თამასუქის დაუყოვნებელი გადახდის პირობა შეუძლია დაადგინოს, გარდა იმ თამასუქისა, რომელიც უნდა გადაიხადოს მესამე პირმა ან გადასახდელია სხვა ადგილას, არა თამასუქის გამცემის ადგილსამყოფელის მიხედვით, ან, თუ თამასუქი ექვემდებარება გადახდას წარდგენიდან განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

თამასუქის გამცემს შეუძლია დაადგინოს ასევე თამასუქის გადახდისათვის წარდგენის ვადა (აქცეპტის წარდგენის ვადა). ხშირად ეს ვადა განპირობებულია თვით თამასუქის გადახდისათვის დაწესებული ვადით. მაგალითად, თამასუქის კანონის 30-ე მუხლის თანახმად, თუ თამასუქი გადახდილი უნდა იყოს წარდგენისთანავე, თამასუქი გადასახდელად წარდგენილ უნდა იქნეს გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში.

თამასუქის გამცემს უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს თამასუქის აქცეპტისათვის, ან მისი გადახდისათვის წარდგენის ვადა. ინდოსანტებს ამ ვადების მხოლოდ შემცირების უფლება აქვთ და, ამასთან, ხშირად ინდოსანტის მიერ ვადის შემცირება უშუალოდ მათზე ვრცელდება და არა თამასუქის გამცემზე (მუხლი მე-19).

თამასუქი შეიძლება წარდგენილ იქნეს გადასახდელად ან თვითონ თამასუქის მფლობელის მიერ, ან მესამე პირის მიერ. თუმცა გაუგებარია ის, თუ კონკრეტულად რა მოქმედებები უნდა შეასრულონ ამ პირებმა თამასუქის გადამხდელისადმი წარსადგენად: პირადად მიუტანონ მას თამასუქი, ფოსტით გააგზავნონ და ა. შ. ამასთან, თამასუქის ერთადერთი ეგზემპლარი არ შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით ან ჩაბარდეს გადამხდელს, რამდენადაც ამ შემთხვევაში კრედიტორს შეიძლება დაეკარგოს სავალო დოკუმენტი.

თამასუქის აქცეპტებაზე ან გადახდაზე უარის გამო, თამასუქის მფლობელმა პროტესტის შესახებ განცხადება უნდა წარუდგინოს ნოტარიუსს. თამასუქის გადაუხდელობის გამო შესრულებული პროტესტი არის ნოტარიუსის მიერ იმის დადასტურება, რომ მთავარი მოვალისაგან გადახდა არ შემოსულა დადგენილ ვადაში.

თამასუქის პროტესტის შესახებ თამასუქის მფლობელის განცხადების მიღებისთანავე ნოტარიუსი გადამხდელს ან დომიცილიანტს (გადასაპირებელი თამასუქის შემთხვევაში მესამე პირი, ან თავდებობით გათვალისწინებული მესამე პირი) წარუდგენს მოთხოვნას თამასუქის განაღდების ან აქცეპტის შესახებ.

თუ გადამხდელი (დომიცილიანტი) გაანაღდებს თამასუქს, ნოტარიუსი თამასუქზე გააკეთებს სპეციალურ წარწერას იმის შესახებ, რომ გადასახდელი და სხვა თანხები (მაგალითად, პროცენტები) მიღებულია და მას პროტესტის გარეშე გადასცემს გადამხდელს. თუ გადამხდელმა გასანაღდებელ თამასუქზე გააკეთა აღნიშვნა აქცეპტის შესახებ, თამასუქი დაუბრუნდება მის მფლობელს პროტესტის გარეშე.

თუ ნოტარიუსი მოთხოვნაზე – გადამხდელმა გაანაღდოს თამასუქი, ან შეასრულოს აქცეპტი, გადამხდელისაგან (დომიცილიანტისაგან) მიიღებს უარს, ეს უარი ნოტარიუსის მიერ დადასტურებულ უნდა იქნეს „ოფიციალური ოქმით", ანუ თამასუქის პროტესტის აქტით.

თამასუქის აქცეპტზე უარის შემთხვევაში პროტესტი უნდა გაფორმდეს არა უგვიანეს თამასუქის სააქცეპტოდ წარდგენის ვადის მეორე დღეს.

აქცეპტებაზე უარის გამო პროტესტის განცხადების შემთხვევაში სავალდებულო აღარ არის თამასუქის გადასახდელად წარდგენა და პროტესტის შესრულება (წარდგენა) თამასუქის გადაუხდელობის გამო (თამასუქის კანონის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

ნოტარიუსი მის მიერ შედგენილ თამასუქის გაუნაღდებლობის პროტესტის აქტს გადასცემს თამასუქის მფლობელს. თუ გადამხდელის ადგილსამყოფელი უცნობია, ნოტარიუსი თამასუქის განაღდების ან აქცეპტის შესრულების შესახებ პროტესტს ასრულებს მოთხოვნის წაყენების გარეშე. ნოტარიუსმა ამის შესახებ შესაბამისი აღნიშვნა უნდა გააკეთოს პროტესტის აქტში. **თამასუქის გადახდასა და აქცეპტზე უარის თქმის დადასტურების ერთადერთი მტკიცებაა თამასუქის პროტესტი.**[1]

პროტესტის შესასრულებლად თამასუქის მიღების დღეს ნოტარიუსი გადამხდელს წაუყენებს თამასუქის გადახდის (ან აქცაპტის) შესახებ მოთხოვნას. თუ გადამხდელი გადაიხდის თამასუქს, ნოტარიუსი პროტესტის გარეშე დაუბრუნებს თამასუქს გადამხდელს წარწერით, რომ გადასახდელი და სხვა ნარგები (კუთვნილი) თანხები მიღებულია. თუ გადამხდელი უარს ამბობს გადაიხადოს (გაანაღდოს), ან მიიღოს თამასუქი გასანაღდებლად (აქცეპტისათვის), ან არ გამოცხადდება იგი სანოტარო ბიუროში, ნოტარიუსი ადგენს თამასუქის გადაუხდელობის ან აქცეპტებაზე (გასანაღდებლად მიღებაზე) უარის პროტესტის შესახებ აქტს, აგრეთვე აღნიშნავს თამასუქის გადაუხდელობის (გაუნაღდებლობის) ან აქცეპტებაზე (გასანაღდებლად მიღებაზე) უარის გამო პროტესტის შესახებ თვით თამასუქზე.

რაც შეეხება ნოტარიუსის მიერ თამასუქის გადახდის ან აქცეპტის მოთხოვნის წარდგენის წესს, ეს შეიძლება შემდეგში მდგომარეობდეს:

ნოტარიუსი თამასუქის პროტესტის შესასრულებლად მიღების დღეს წარუდგენს მოთხოვნას გადამხდელს (თამასუქის გამცემს) პირადად ან/და წერილობით. მოთხოვნა შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით, ტელეგრაფით, აგრეთვე გადაეცეს ტელეფაქსით და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული მოთხოვნის ფიქსირებას. ზოგ შემთხვევებში ნოტარიუსს შეუძლია პირადად გამოცხადდეს გადამხდელთან და წარადგინოს გადახდის მოთხოვნა წერილობით. ნოტარიუსს პასუხი შეიძლება მიეცეს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. გადამხდელს (თამასუქის გამცემს) შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ უარი უთხრას ნოტარიუსს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, არ მისცეს მასზე პასუხი, ან რამენაირად წინააღმდეგობა გაუწიოს ნოტარიუსს, რათა მან

[1] დ. სუხიტაშვილი, საქართველოს სანოტარო სამართალი. 2002. 196.

გადამხდელთან პირადი გამოცხადებისას, განუცხადოს მას მოცემული მოთხოვნა.

გაპროტესტებული თამასუქი, პროტესტის შესახებ აქტთან ერთად, ჩაბარდება თამასუქის მფლობელს ან სხვა უფლებამოსილ პირს.

თუ გადამხდელის ადგილსამყოფელი არ არის ცნობილი, თამასუქის პროტესტი სრულდება გადახდის ან აქცეპტის შესახებ მოთხოვნის წაყენების გარეშე, შესაბამისი აღნიშვნით პროტესტის შესახებ აქტში და სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის რეესტრში.

ნოტარიუსი პროტესტის აქტში მიუთითებს, რომ თამასუქის შესახებ კანონის 38-ე მუხლის საფუძველზე აპროტესტებს თამასუქის გადაუხდელობას. ნოტარიუსი პროტესტის აქტს თამასუქთან ერთად გადასცემს თამასუქის მფლობელს.

ამრიგად, თამასუქის პროტესტის შესრულება გამოიხატება ნოტარიუსის მიერ გადამხდელისათვის თამასუქის გასანაღდებლად მოთხოვნის წარდგენისა და უარის მიღების შემთხვევაში პროტესტის აქტის შედგენაში.

თამასუქის პროტესტის შესრულებას მრავალ ქვეყანაში ენიჭებოდა და ენიჭება დიდი მნიშვნელობა.

მაგალითად, ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, თამასუქის საფუძველზე, სასამართლო წესით გადახდა შეიძლება დაეკისროთ თამასუქის მიხედვით ვალდებულ პირებს, მათ შორის გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტანტს და მარტივი თამასუქის გამცემს მხოლოდ იმ პირობით, თუ შესრულებულია თამასუქის პროტესტი.

ჰოლანდიაში სასამართლო წესით გადახდევინება შეიძლება დაეკისროს ვალდებულ პირს ასევე გაუპროტესტებელი თამასუქის საფუძველზეც, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო განიხილავს სარჩელს გაპროტესტებული თამასუქის საფუძველზე გადახდის შესახებ, გამოიყენება განსაკუთრებული სათამასუქო პროცესი, რომელიც ჩვეულებრივი სამართალწარმოებისგან განსხვავდება საქმის განხილვის დაჩქარებული პროცედურითა და გადახდევინების გამარტივებული წესით. ასეთი პროცედურა გაპროტესტებული თამასუქის მფლობელს მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს, კერძოდ, იგი აღარ არის ვალდებული, რომ წარადგინოს სასამართლოში სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ გადაუხდელობას, გარდა პროტესტის აქტისა; ასევე შესაძლებლობას აძლევს მას მოითხოვოს მოვალის მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება.

არგენტინასა და ესპანეთში გაპროტესტებულ თამასუქს სააღსრულებო დოკუმენტის ძალა აქვს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს აღარავითარი დამატებითი გადაწყვეტილება აღარ არის საჭირო თამასუქის საფუძველზე გადახდევინებისათვის.[1]

ფულადი თანხის გადახდევინება გაპროტესტებული თამასუქის საფუძველზე დაიშვება ასევე რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად. კერძოდ, გაპროტესტებული თამასუქის საფუძველზე მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას. ბრძანების გამოცემის შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) ნოტარიუსის მიერ შედგენილი პროტესტის აქტი;

ბ) გაპროტესტებული თამასუქი.

გაპროტესტებული თამასუქის საფუძველზე ბრძანების გამოცემის შესახებ განცხადების მიღებისას, მოსამართლემ უნდა დაადგინოს, პროტესტის შესრულება რამდენად შეესაბამება კანონს. თუ იგი დაადგენს, რომ პროტესტის შესრულებისას კანონის ესა თუ ის ნორმა დაირღვა, მან უარი უნდა უთხრას კრედიტორს განცხადების მიღებაზე (თუ დარღვევა აღმოჩნდა განცხადების შეტანის სტადიაზე), ან უარი უნდა თქვას ბრძანების გამოცემაზე (თუ დარღვევა აღმოჩნდა განცხადების მიღების შემდეგ). პირველ შემთხვევაში უარი შეიძლება ეთქვას იმ მოტივით, რომ არ არის წარდგენილი ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღძრულ მოთხოვნას, ხოლო მეორე შემთხვევაში კი იმ მოტივით, რომ იკვეთება

[1] იხ. Иванов Д. Л. Вексель. Серия „Международный банковский бизнес~. М., 1994 г. 64.

დავა უფლების შესახებ, რომელიც არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. ეს იმიტომ, რომ კანონის დარღვევით გაპროტესტებული თამასუქი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ დოკუმენტად, რომელიც ადასტურებს რომ თამასუქის მფლობელს უდავო მოთხოვნა აქვს მოვალისადმი. ორივე შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნა, მისი სურვილის შესაბამისად, შეიძლება განხილულ იქნეს სასარჩელო წესით.

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალს, საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს, რომ თუ მოსარჩელე მოითხოვს თამასუქიდან გამომდინარე პრეტენზიის გამარტივებულად განხილვას, გაპროტესტებული თამასუქი უნდა წარადგინოს მან სარჩელთან ერთად თუ გაუპროტესტებელი. ცხადია, გაპროტესტებულ და გაუპროტესტებელ თამასუქს თამასუქის გამცემისათვის ერთნაირად სავალდებულო ძალა გააჩნია, მაგრამ იბადება კითხვა, გამარტივებული წესით გადაწყვეტილების გამოტანა გაპროტესტებული თამასუქის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს?

ვფიქრობთ, სანოტარო წესით შედგენილი პროტესტის აქტი აუცილებელი პირობაა საქმის გამარტივებულად განხილვისათვის. საქმე ისაა, რომ თამასუქის პროტესტის შესრულებით, ნოტარიუსი ადასტურებს: იმ ფაქტს, რომ გადამხდელი უარს ამბობს გადაიხადოს ვადაში; ფაქტს რომ გადამხდელი უარს ამბობს თამასუქის აქცეპტზე; ფაქტს რომ გადამხდელი უარს ამბობს მიუთითოს თამასუქის საფუძველზე გადახდის წარმოების თარიღი. გაპროტესტებული თამასუქი გადაეცემა (ჩაბარდება) თამასუქის მფლობელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს და წარმოადგენს გამარტივებული წესით გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ამასთან, კრედიტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და გამარტივებული წარმოების ნაცვლად მოითხოვოს საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა. ასეთ დროს საქმეს სასამართლო განიხილავს იმისდა მიუხედავად, გაპროტესტებულია თუ არა თამასუქი.

თამასუქის კანონის 37-ე მუხლის თანახმად, თამასუქის მფლობელს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი ინდოსანტს (ე. ი. იმას, ვინც წააწერა თამასუქზე), თამასუქის გამცემსა და სხვა ვალდებულ პირებს შემდეგ შემთხვევებში:

1. გადახდის ვადის დადგომისას;
2. გადაუხდელობისას;
3. გადახდის ვადის დადგომამდე იმ შემთხვევებში;

ა) როდესაც უარი იყო ნათქვამი თამასუქის მთელი თანხის ან მისი ნაწილის აქცეპტებზე;

ბ) როდესაც მოვალის გადახდისუნარიანობა საეჭვოა, მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა მან თამასუქის აქცეპტება, თუ მან შეაჩერა თავისი გადასახადების შეტანა, რაც არაა დადასტურებული სასამართლო წესით, ან როდესაც იძულებითი გადახდევინებისათვის მიქცევამ შედეგი არ გამოიღო;

გ) როდესაც საეჭვოა იმ თამასუქის გამცემის გადახდისუნარიანობა, რომელიც აქცეპტებას არ ექვემდებარება.

ასეთი სარჩელების გამარტივებულად განხილვა ხასიათდება ზოგიერთი თავისებურებით. ეს თავისებურებებია:

1) მოსარჩლემ თვითონ, თავისი სურვილით უნდა აირჩიოს, რა გზით მოითხოვოს უფლების დაცვა. აქედან გამომდინარე, სპეციფიკურია გამარტივებული წარმოების საქმის აღძვრა. კერძოდ, ეს ხდება სარჩელის შეტანით. სარჩელი უნდა შეიცავდეს განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქმე გამარტივებულად იქნეს განხილული. სსსკ-ის 292-ე მუხლის თანახმად, თუ თამასუქის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღძრულ იქნება თამასუქიდან გამომდინარე პრეტენზიები და სარჩელში მითითებულ იქნება, რომ საქმის განხილვა მოხდეს გამარტივებული წესით, მაშინ გამოიყენება სსსკ-ის XXXIII თავში გათვალისწინებული წესები.

როგორც უკვე აღინიშნა (მუხლი 37-ე), როგორც წესი, თამასუქიდან და ჩეკიდან გამომდინარე სარჩელი მიმართულია ტრასანტის, ტრასატის, ინდოსანტის ან თამასუქის თავდების მიმართ. ის, თუ რა შეუძლია მოითხოვოს თამასუქის მფლობელმა სარჩელის წარდგენისას, განსაზღვრულია თამასუქის კანონის 42-ე მუხლით. კერძოდ, მას სარჩელის წარდგენისას შეუძლია მოითხოვოს გადახდა: ა) არააქცეპტებული ან გადაუხდელი თამასუქის თანხისა პროცენტებითურთ, თუ ასეთი გათვალისწინებული იყო; ბ) პროცენტებისა, 6% ოდენობით, რაც გადახდის ვადიდან გადაიანგარიშება; გ) პროცენტის, ასევე შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებული და სხვა ხარჯები; დ) საურავისა, თამასუქის თანხის 3% ოდენობით, რაც გამოიანგარიშება გადახდის ვადიდან.

სათამასუქო პრეტენზიასთან XXXIII თავის მიხედვით არ გვექნება საქმე იმ შემთხვევაში, როცა მხარეები თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების (საქმეების) განხილვისას დაობენ იმის შესახებ, თუ ვინ გაანაღდა თამასუქი.

ამდენად, სასარჩელო განცხადების შეტანა ხდება ისეთივე წესით, როგორც ეს სასარჩელო წარმოებაშია გათვალისწინებული, ამასთან, აღნიშნული ნორმა (სსსკ-ის 292-ე მუხლი), სსსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, სადაც სარჩელის შინაარსზეა საუბარი, განსაკუთრებულ წინაპირობასაც ითვალისწინებს, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, თვითონ განსაზღვროს საქმისწარმოების ფორმა. მან უნდა მოითხოვოს, რომ სწორედ გამარტივებულად იქნეს საქმე განხილული და უნდა მიუთითოს მოპასუხეც.

გარდა ამისა, საპროცესო ეკონომიურობიდან გამომდინარე, ასევე იმის გამო, რომ ამგვარ პროცესში მტკიცება წარმოებს დოკუმენტების წარდგენის მეშვეობით, კანონი მოსარჩელის ვალდებულებად ხდის სასარჩელო განცხადებასთან ერთად დოკუმენტების (საბუთების) წარმოდგენას, ვინაიდან თამასუქიდან და ჩეკიდან გამომდინარე ყოველი პრეტენზია დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტებით. კერძოდ, სარჩელს თან უნდა დაერთოს თამასუქის ასლი. კანონი არ მოითხოვს, რომ ასლი დამოწმებული იყოს. მაგრამ საქმის სასამართლო სხდომაზე ზეპირი განხილვის დროს მოსარჩელემ თამასუქი დედნის სახით უნდა წარმოადგინოს.

თამასუქის საფუძველზე აღძრული პროცესის მიზანს წარმოადგენს ის, რომ მოსარჩელემ (თამასუქის მფლობელმა) სწრაფად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, გამარტივებული წესით გადაწყვეტილების გამოტანის გზით, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებას მიეკუთვნება.[1]

ვინაიდან გამარტივებული წარმოება — ეს დაჩქარებული წარმოებაა, ამ წესით საქმის განხილვას ის სპეციფიკა გააჩნია, რომ მოსარჩელის მატერიალური უფლებების შესახებ საკითხი ნაკლებ საფუძვლიანად შეისწავლება (მოწმდება), ვიდრე ამას ადგილი აქვს სასარჩელო წარმოებაში. სწორედ ამიტომაა, რომ საქმის განხილვა მთავრდება გადაწყვეტილების დათქმით. მხოლოდ საქმის დამატებითი წარმოება მთავრდება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანით.[2] შესაბამისად, მოპასუხე უფლებამოსილია, ის პრეტენზიები, რომლებიც მან, ასე ვთქვათ, „წინასწარ წარმოებაში" ვერ წამოაყენა, დამატებით წარმოებაში საქმის განხილვისას განაცხადოს. აღნიშნულს ადგილი ექნება მაშინ, როცა „წინასწარი წარმოება"[3] გაგრძელდება. ამდენად, შესაძლებელია, მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ერთ და იმავე ინსტანციაში კორექტირება.

თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმის გამარტივებულად განხილვის არსი

---

[1] იხ. Christoph Paulus. Zivilprozeßrecht. 1996. 188.

[2] იხ. Baumbach /Lauterbach /Albers /Hartmann. Zivilprozeßordnung. Band I München 2000 1548-1562.

[3] პირობითად, საქმის განხილვის იმ ნაწილს, რომელიც გამარტივებული წესებით მიმდინარეობს და დათქმული გადაწყვეტილების გამოტანით მთავრდება, ჩვენ „წინასწარ წარმოებას" ვუწოდებთ.

იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ასეთი წესით საქმის განხილვა დასაშვებია, მაშინ საქმის ზეპირი მოსმენისას და გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო შემოიფარგლება სარჩელის საფუძვლით (სასამართლო ამ დროს ეყრდნობა მხოლოდ დოკუმენტებს, ანუ წერილობით მტკიცებულებებსა და მხარეთა ახსნა-განმარტებებს), გადაწყვეტილება გამოდის მოპასუხის უფლებების შენარჩუნების დათქმით, რომელსაც მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ თავისი უფლებების სრულად განხორციელება შეუძლია მხოლოდ საქმის დამატებით წარმოებაში. მოსარჩელე სასამართლოსგან იღებს დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებას (იხ. 268-ე მუხლი). მაგრამ აღნიშნული პროცესის შედეგი მაინც წინასწარი (დროებითი) ხასიათისაა (სსსკ-ის 299-ე მუხლიდან გამომდინარე), თუ, რა თქმა უნდა, მოპასუხე უარყოფს სარჩელს, მაგრამ ეს შედეგი საბოლოო იქნება, თუ მოპასუხე დროულად არ გაასაჩივრებს დათქმულ გადაწყვეტილებას, ან უარს იტყვის გასაჩივრებაზე, ან მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდება.

გამარტივებული წარმოების მიზანი, კერძოდ კი, საქმისწარმოების დაჩქარება, ვლინდება შეგებებული სარჩელის აღძვრის აკრძალვაში, აგრეთვე იმაში, რომ თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების შეერთება სხვა პრეტენზიების გამო აღძრულ სარჩელებთან დაუშვებელია. გარდა ამისა, აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს დოკუმენტალური მტკიცებულებები, რადგან საქმის განხილვის ერთ-ერთი საპროცესო წინაპირობაა სარჩელში მითითებული ფაქტების დასაბუთება დოკუმენტებით.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს შეუძლია არა მარტო გამარტივებული წარმოების, როგორც მისთვის მისაღები პროცესის სახეობის არჩევა, არამედ უარის თქმაც თავის არჩევანზე. გამარტივებულ წარმოებაზე უარის თქმა მოსარჩელეს შეუძლია მოპასუხის თანხმობის გარეშე, რა შემთხვევაშიც საქმე სასარჩელო (საერთო) წესით იქნება განხილული. კერძოდ, სსსკ-ის 297-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მოპასუხის თანხმობის გარეშე შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება პროცესის არჩევის საკითხში და უარი თქვას გამარტივებული წესით საქმის განხილვაზე ამ საქმის ზეპირი განხილვის დამთავრებამდე, ანუ, ვიდრე სასამართლო გამოიტანდეს გადაწყვეტილებას. ეს დებულება, ერთი მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი საპროცესო ეკონომიურობის საკითხს შეესაბამება. გამარტივებული წესით საქმის განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში საქმე მაინც რჩება სამართალწარმოებაში თავისი პროცესუალური და მატერიალური შედეგებით. კერძოდ, მანამდე შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ძალაში რჩება. ეს ეხება, მაგალითად, აღიარებასა და მტკიცებულებათა განხილვას. ასევე ძალაში რჩება განსჯადობასთან, აცილებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები და სხვ.

ცხადია, ამ დროს მოსარჩელე უარს ამბობს სასამართლოსადმი თავის თხოვნაზე, რომ გამარტივებულად იქნეს საქმე განხილული, მაგრამ აღნიშნულ დებულებაში სრულიადაც არ იგულისხმება სარჩელზე უარის თქმა[1], ამდენად, არ არის საჭირო მოპასუხის თანხმობაც. აღნიშნული მოქმედება მოსარჩელისა, სარჩელზე უარის თქმად რომ ჩაითვალოს, მაშინ საქმე უნდა შეწყდეს, ხოლო მოსარჩელეს სამუდამოდ მოესპობა სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა იმავე საგანზე, იმავე საფუძვლით და იმავე მხარეებს შორის. ნორმის ამგვარი განმარტება (297-ე მუხლის) კი დაუშვებელია.

2) სარჩელები თამასუქის თაობაზე შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს გადახდა, ისე სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (ალტერნატიული განსჯადობა). თუ სარჩელი მიმართულია ერთობლივად რამდენიმე თამასუქვალდებულის მიმართ, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს გადახდა,

[1] იხ. Baumbach /Lauterbach /Albers /Hartmann. Zivilprozeßordnung. Band I München 2000 1552-1553.

ისე ნებისმიერ სასამართლოში ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 294-ე მუხლი შეიცავს განსაკუთრებულ დებულებას, რომლის თანახმადაც იმას, ვინც თამასუქის მიხედვით არის კრედიტორი, უადვილდება სარჩელის წარდგენა იმით, რომ საერთო და განსაკუთრებული განსჯადობის გარდა (იხ. სსსკ-ის მე-15-მე-16 მუხლები), მას შეუძლია სარჩელი წარადგინოს გადახდის ადგილის მიხედვით: სარჩელი შეიძლება გახდეს როგორც გადახდის ადგილის სასამართლოს განსჯადი, ასევე შეიძლება ადგილი ჰქონდეს საერთო და განსაკუთრებულ განსჯადობასაც. განსჯადობის სხვა წესები, ვიდრე ამ მუხლითაა გათვალისწინებული, გამორიცხულია.

აღსანიშნავია, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია გადახდის ადგილი, ირკვევა თვითონ თამასუქის ტექსტიდან, რადგან თამასუქის კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, გადახდის ადგილი თამასუქის სავალდებულო რეკვიზიტია. არსებობს გადახდის მხოლოდ ერთი ადგილი.

თუ ადგილი აქვს საპროცესო თანამონაწილეობას, ე. ი. სარჩელი რამდენიმე მოპასუხისადმია მიმართული, მაშინ იგი ნებისმიერი თანამონაწილის (მოპასუხის) საცხოვრებელი ადგილის სასამართლოს განსჯადად მიიჩნევა. სასამართლოს არჩევა ასეთ შემთხვევაში მოსარჩლის უფლებას განეკუთვნება.

3) პროცესის დაჩქარებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო სხდომაზე მოწვევის ვადები. სსსკ-ის 294-ე მუხლი შეიცავს უწყების ჩაბარებასთან დაკავშირებით ორ განსხვავებულ წესს, კერძოდ: მხარეებს უწყება უნდა ჩაბარდეთ იმ ანგარიშით, რომ სასამართლო სხდომის დაწყებამდე დარჩეს არანაკლებ 24 საათი, თუ უწყების ჩაბარება ხდება სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო, თუ უწყების ჩაბარება სხვა ადგილას ხდება, მაშინ ეს ვადა განისაზღვრება მინიმუმ სამი დღით.

4) სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, აღნიშნული სახის პროცესში განსაკუთრებით მნიშნელოვანია მტკიცებულებათა შეზღუდვის საკითხი. თამასუქისა და ჩეკის საქმეებზე მტკიცებულებების წარდგენის პროცესი გამარტივებულია. შეზღუდულია დასაშვებ მტკიცებულებათა წრე. სსსკ-ის 296-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულებებად დაიშვება მხოლოდ დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და მხარეთა ახსნა-განმარტებები, კერძოდ, მათი აღიარება. აღნიშნული დებულების არსი მდგომარეობს საქმის განხილვის დაჩქარებასა და გამარტივებაში. აღიარება უდავო გარემოებაა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მხარე აღიარებს მას შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე. იმისათვის, რომ აღიარებას მოჰყვეს იურიდიული შედეგები და აღიარებული ფაქტი გახდეს უდავო, აუცილებელია მისი მიღება სასამართლოს მიერ.

აუცილებელია, რომ სარჩელი დასაბუთდეს დოკუმენტებით, რაც სწორედ ამგვარი პროცესის წინაპირობაა. მოთხოვნის დასაბუთებისათვის (დამტკიცებისათვის) საჭირო ყოველგვარი ფაქტი უნდა დადასტურდეს დოკუმენტით. მხარეთა მოსმენა (მათი ახსნა-განმარტებები) დოკუმენტური მტკიცების ნაწილს წარმოადგენს.

ცხადია, დოკუმენტური დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით. სარჩელის დასაბუთებისათვის აუცილებელი (სარჩელში მითითებული) ფაქტები, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სხვა ფაქტები და მოპასუხის პრეტენზიები შესაძლოა დამტკიცებულ იქნეს მხოლოდ დოკუმენტებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოთხოვნის ფაქტობრივი ნაწილი, ფაქტობრივი მხარე უნდა დასაბუთდეს დოკუმენტებით (წერილობითი მტკიცებულებებით). ამაში იგულისხმება 293-ე და 296-ე მუხლების საფუძველზე წარმოსადგენი დოკუმენტები. ამდენად, დოკუმენტებით დასაბუთება გულისხმობს წერილობითი დოკუმენტების წარდგენას. დოკუმენტური დადასტურება შესაძლოა განხორციელდეს ორიგინალის (დედნის) წარდგენით. თუ საჭირო მტკიცებულებანი არ იქნა, ან სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი მოსარჩელის მიერ, მაშინ

სარჩელის დაკმაყოფილებაზე მას უარი ეთქმება. მაგალითად, მოსარჩელემ დოკუმენტით უნდა დაამტკიცოს (დაასაბუთოს) მის სასარგებლოდ მოთხოვნის (უფლების) დათმობა (ცესია). როცა საქმე ეხება თავდებობას (თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნას), უნდა დასაბუთდეს ასევე მთავარი (ძირითადი, პირველადი) ვალი. ცხადია, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ასევე საპროცესო ქმედუნარიანობას, პროცესის წინაპირობებსა და სხვა, არ სჭირდება დადასტურება.

დოკუმენტური დადასტურება ორ მომენტს გულისხმობს: ერთი მხრივ, ეს ნიშნავს კანონის მოთხოვნას, რომ დოკუმენტები უნდა იქნეს წარმოდგენილი, მეორეს მხრივ კი იგი პროცესის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს[1], ვინაიდან დოკუმენტების გარეშე აღნიშნული პროცესი არ შეიძლება არსებობდეს.

დოკუმენტური დადასტურებისათვის საკმარისად მიიჩნევა მხოლოდ წერილობითი დოკუმენტები (მტკიცებულებები). ასევე, როგორც დოკუმენტები, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სათანადო ოქმებში დაფიქსირებული მხარეთა ახსნა-განმარტებები.

რაც შეეხება იმ სხვა მოთხოვნებს (პროცენტები, ხარჯები და ა. შ.), რომლებიც ჩვეულებრივ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, საჭიროა პროცესზე დამტკიცდეს მათი გადახდის აუცილებლობა.

5) გამარტივებული წარმოების განსახილველი სახის თავისებურება ასევე იმაში მდგომარეობს, რომ საპროცესო კოდექსი შეიცავს აკრძალვას როგორც მოსარჩელისათვის, ისე მოპასუხისათვის. იმაზეა საუბარი, რომ არ შეიძლება თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების შეერთება სხვა პრეტენზიების გამო აღძრულ სარჩელებთან. დაუშვებელია აგრეთვე „წინასწარ წარმოებაში" შეგებებელი სარჩელის აღძვრა. ამ წესის არსებობა სრულიად გამართლებულია, ვინაიდან შეესაბამება გამარტივებული წარმოების არსს. ამ აკრძალვის არარსებობის შემთხვევაში პროცესი გართულდებოდა.

დამატებით წარმოებაში შეგებებელი სარჩელი დასაშვებია. გამარტივებულ წარმოებაში დასაშვებია ორივე სახის მესამე პირის მონაწილეობა.

6) მართალია, თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელის გამარტივებულად განხილვას აქვს მხოლოდ წინასწარი ხასიათი, ვინაიდან საქმის დამატებით წარმოებაში შესაძლოა გამოვლინდეს მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობა, მაგრამ გამარტივებულად საქმის განხილვის შედეგად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლის დაუყოვნებლივ აღსრულებაც შესაძლებელია.

2. **სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა და საქმის დამატებითი წარმოება.** გამარტივებული წარმოების მომწესრიგებელი ნორმები გარკვეულ უფლებებს ანიჭებენ მოპასუხესაც.

შესაძლოა გამარტივებულ წარმოებაში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს იმის გამო, რომ იგი ვერ დასაბუთდა შესაბამისი მტკიცებულებებით. მაგრამ, თუ გადაწყვეტილება კანონიერად იქნება გამოტანილი, ეს არ გამორიცხავს მოთხოვნის განხილვას ჩვეულებრივი (სასარჩელო) წესით. თუ სარჩელი აკმაყოფილებს კანონის ყველა მოთხოვნას და იგი დასაბუთებულია, შეესაბამება გამარტივებული წარმოების წინაპირობებსა და თავისებურებებს, მაშინ გამოტანილ იქნება გადაწყვეტილება მოპასუხის საწინააღმდეგოდ. ასეთი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი მაშინაც, რაცა მოპასუხე მის წინააღმდეგ აღძრულ მოთხოვნას აღიარებს. ყველა შემთხვევაში, როცა მოპასუხე საქმის ზეპირი განხილვისას სარჩელში დაყენებულ პრეტენზიებს უარყოფს, ე. ი. განაცხადებს ამ პრეტენზიების საწინააღმდეგოდ, ან მისი უფლებების დათქმაზე, მის წინააღმდეგ გამოტანილ იქნება დათქმული გადაწყვეტილება, ე. ი. გადაწყვეტილება მისი უფლებების დათქმით (შენარჩუნებით).

ამ დებულებათა მიზანია ის, რომ გამარტივებული წარმოების თავისებურების გამო, უფლების დაცვის შეზღუდული საშუალებების მქონე მოპასუხის უფლებები იქნეს დაცული

[1] იხ. Leo Rosenberg-Karl Heinz Schwab. Zivilprozeßrecht München 1981. 997

და ამით მიღწეული იქნეს სამართლიანობა აღნიშნული სახის პროცესში. კერძოდ, თუ საპროცესო ეკონომიურობიდან გამომდინარე, მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი იყო დათქმული გადაწყვეტილება, ამჯერად მოპასუხეს უნდა მიენიჭოს უფლება, ასე ვთქვათ, პასუხი გასცეს მოსარჩელეს, კანონით დაშვებული საშუალებებით.

გადაწყვეტილების დათქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოპასუხის პრეტენზიები და განსაკუთრებით მის მიერ მოთხოვნის უარყოფა, გადაწყვეტილების გამოტანისას წინასწარ წარმოებაში არ იქნება გათვალისწინებული და მიიჩნევა დაუსაბუთებლად და აღნიშნული საკითხები შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ დამატებით წარმოებაში. ფორმალური თვალსაზრისით კი, ასეთი წესით გამოტანილი გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნება სამართლიანად და საბოლოო გადაწყვეტილებად გასაჩივრებისა და იძულებითი აღსრულების თვალსაზრისით.[1]

მოპასუხეს უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს, გამარტივებულ წარმოებაში აღძრული უსაფუძვლო სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ წამოაყენოს თუ არა ცალკეული შესაგებელი, თუ სრულად დაიცვას თავი.

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 299-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს, რომელიც უარყოფს მის წინააღმდეგ წამოყენებულ მოთხოვნას, ყველა შემთხვევაში მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი, შეუძლია მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თავისი უფლებების განხორციელების მიზნით. ამდენად, გადაწყვეტილების დათქმა გულისხმობს შემდგომში, დამატებითი წარმოების ფარგლებში მოთხოვნათა განხილვის შესაძლებლობას, რა დროსაც ხდება სწორედ უფლებების განხორციელება მოპასუხის მიერ.

ასეთი პირობა (დათქმა), თვითონ სასამართლოს მიერ, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. სასამართლო ამგვარ პირობას განსაზღვრავს როგორც დამატებით წარმოებაში უფლებების განხორციელების დათქმას. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება უფლებების განხორციელების დათქმით სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

გადაწყვეტილება მოპასუხის უფლებების შენარჩუნებით, საბოლოო გადაწყვეტილებად ითვლება გასაჩივრებისა და იძულებითი აღსრულების თვალსაზრისით. ასე რომ, გარეგნულად (ფორმალურად) მას გააჩნია სამართლებრივი ძალა. ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების სპეციალურ ვადებს, რისთვისაც ვადებთან მიმართებაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების საერთო წესებით. რაც შეეხება იძულებით აღსრულებას, იგი არ შეჩერდება მანამდე, ვიდრე არ დასრულდება საქმის დამატებითი წარმოება. წინააღმდეგ შემთხვევაში თამასუქის თაობაზე აღძრული საქმის გამარტივებული განხილვა აზრს დაკარგავდა. დამატებით წარმოებაში დათქმული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, მოსარჩელე ვალდებული ხდება აანაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მიადგა მოპასუხეს დათქმული გადაწყვეტილების აღსრულების ან ასეთი აღსრულებისათვის ხელის შემშლელი ქმედების შედეგად (ანუ ამ გადაწყვეტილების აღსრულების თავიდან აცილების ცდით).

რაც შეეხება საქმის დამატებით წარმოებას, თუ მოპასუხე წარადგენს დასაბუთებულ შესაგებელს, რომლითაც დამაჯერებლად უარყოფს მოსარჩელის მოთხოვნის მართალზომიერებას, სასამართლო დაადგენს საქმის განხილვას დამატებით წარმოებაში და თუ დამატებით წარმოებაში საქმის განხილვისას გამოვლინდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, მაშინ დათქმული გადაწყვეტილება უქმდება, მოსარჩლეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე და სასამართლოს ხარჯებიც შესაბამისად უნდა განაწილდეს (ე.ი. მასვე დაეკისრება). მოსარჩელეს დაეკისრება იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც განიცადა მოპასუხემ გადაწყვეტილების აღსრულების გამო. მოპასუხეს შეუძლია ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა წამოაყენოს თამასუქის თაობაზე აღძრული

[1] იხ. Leo Rosenberg-Karl Heinz Schwab. Zivilprozeßrecht München 1981. 1000.

დავის სასამართლო განხილვის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის უფლებების დათქმით, დავას ტოვებს სასამართლო წარმოების სფეროში (მუხლი 300-ე).

დამატებითი წარმოება „წინასწარი წარმოების" გაგრძელებაა. იგი წინასწარ წარმოებასთან ერთად ქმნის ერთ მთლიან პროცესს.

ჩვენი აზრით, დამატებით წარმოებას შეიძლება ვუწოდოდ სასარჩელო (ჩვეულებრივი) წარმოება, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში დამატებითი წარმოება ხორციელდება ფაქტობრივად სასარჩელო წარმოების ფორმით და იმ შეზღუდვების გარეშე, რაც „წინასწარი წარმოებისათვის" (გამარტივებული წარმოებისათვის) არის დადგენილი (კერძოდ, დასაშვებია შეგებებული სარჩელისა და ნებისმიერი მტკიცებულების წარდგენა).

დამატებითი წარმოება გამარტივებული წარმოების გაგრძელებას წარმოადგენს, ვინაიდან დავა რჩება სასამართლო წარმოების სფეროში.

დამატებით წარმოებაში „წინასწარი წარმოების" გავლენა იმაში გამოიხატება, რომ იგი ძირეულად ინარჩუნებს თავის მთლიან ძალას, კერძოდ, ძალაში რჩება შესრულებული საპროცესო მოქმედებები, მაგალითად, დამატებით წარმოებაში უცვლელი რჩება დავის საგანი, თუმცა სარჩელის შეცვლა ან მისი გავრცობა დასაშვებია საერთო წესით, კერძოდ, იმ პრეტენზიით, რომელიც უკვე მთავარ (ძირითად) პროცესზე იქნა აღძრული, მაგრამ რომელიც გამარტივებულ წარმოებაში უარყოფილ იქნა მისი მიუღებლობის გამო. უცვლელი რჩება მხარეთა როლები, განსჯადობა, საქმის წარმოების ყველა სამართლებრივი და პროცესუალური შედეგი, ასევე არ არის გამორიცხული საქმე განიხილოს იმავე მოსამართლემ, რომელიც „წინასწარ წარმოებაში" მონაწილეობდა. ისეთი საკითხი, როგორიცაა, მაგალითად, დოკუმენტის აღიარება, კვლავაც ძალაში რჩება მანამ, სანამ მხარეები შეძლებენ წარმოადგინონ ახალი მტკიცებულებები. მოპასუხე მაგალითად, უფლებამოსილია დამატებით წარმოებაში გააპროტესტოს სარჩელში მითითებული ფაქტები, ძალაში რჩება გამარტივებულად საქმის განხილვის დასაშვებობა და სხვ.

თუ დამატებით წარმოებაში არ გამოცხადდა ერთ-ერთი მხარე, მაშინ, შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ წესები.

დამატებითი წარმოება იწყება დათქმული გადაწყვეტილების გამოცხადებით. დამატებითი წარმოების მიზანია, რომ საქმე, რომელიც „არასრულყოფილად" იქნა განხილული წინასწარ წარმოებაში, დამატებით წარმოებაში სრულყოფილად იქნეს განხილული და დათქმული გადაწყვეტილების ნაცვლად, საბოლოო გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი.

დამატებითი წარმოების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება ჩვეულებრივ, სააპელაციო წესით.

ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ თამასუქის თაობაზე აღძრული საქმის გამარტივებულად განხილვის თავისებურებანი. რაც შეეხება ჩეკს, „ჩეკის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, იგი დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდია, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებებისადმი, გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა. ჩეკი სახელობითი ფასიანი ქაღალდია. ჩეკთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მონაწილეობს სამი პირი, კერძოდ: მისი გამცემი, ვისაც აქვს ჩეკის გაცემის უფლება; მიმღები, ვის სახელზედაც არის გაცემული ჩეკი და გამნაღდებელი, ვინც უნდა გასცეს ჩეკში მითითებული ფული (საბანკო დაწესებულება).[1]

ჩეკის კანონის 31-ე მუხლი განსაზღვრავს ჩეკის გაუნაღდებლობასთან დაკავშირებული პრეტენზიის საფუძვლებს, კერძოდ, ჩეკის მფლობელს შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს ინდოსანტს, ჩეკის გამცემს ან ჩეკით ვალდებულ სხვა პირებს, თუ დროულად წარდგენილი ჩეკი არ განაღდებულა და განაღდებაზე უარი დადასტურებულია: 1) ოფიციალური

[1] იხ. ა. კობახიძე. სამოქალაქო სამართალი (ზოგადი ნაწილი). თბ., 2001, 256.

აქტით (პროტესტით); 2) გადამხდელის დათარიღებული წარწერით იმ ჩეკზე, რომელშიც მითითებულია ჩეკის წარდგენის თარიღი; 3) საანგარიშსწორებო დაწესებულების დათარიღებული განცხადებით იმის შესახებ, რომ ჩეკი დროულად იყო წარდგენილი, მაგრამ არ განაღდებულა.

ამავე კანონის 36-ე მუხლის თანახმად, ჩეკის მფლობელს სარჩელის წარდგენით შეუძლია მოითხოვოს განაღდება: 1) ჩეკის გადაუხდელი თანხისა; 2) სარგებლისა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოდენობით ჩეკის გასანაღდებლად წარდგენის დღიდან; 3) ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია პროტესტთან ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამოწმებასთან, ასევე შეტყობინების გაგზავნასთან.

ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოება, შინაარსობრივად, რაიმე განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა. ამ საქმეთა წარმოების წესი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, შეესაბამება თამასუქის თაობაზე აღძრული საქმის გამარტივებულად განხილვის წესს, ამიტომ, სსსკ-ის 301-ე მუხლს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს და იგი მიუთითებს, რომ, თუ მოთხოვნები წამოყენებულია ჩეკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს მთლიანად იგივე წესი, რაც თამასუქის თაობაზე აღძრული საქმეების წარმობისათვისაა კანონით დადგენილი.

§5. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი

განმცხადებელი შეიძლება მოითხოვდეს ნივთის (ლიზინგის საგნის) გამარტივებულად დაბრუნებას.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს ამ საქმეებზე გამოაქვს სასამართლო ბრძანება, რომელიც ლიზინგის ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს. ამასთან, ლიზინგის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.

განმცხადებლის (კრედიტორის) მოთხოვნა შეზღუდულია მხოლოდ ლიზინგის საგნის გამოთხოვის შესაძლებლობით. სსსკ-ის მე-14 მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ განცხადებას განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე, „მოთხოვნის ფასის", ანუ გამოსათხოვი ქონების ღირებულების მიუხედავად. გამარტივებული წარმოების აღნიშნული სახის დაწყების საფუძველია განცხადება, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს სასამართლოს მიერ ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღებას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

კანონი განსაზღვრავს, თუ რა მონაცემები უნდა იყოს აღნიშნული ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ განცხადებაში (მუხლი 309^2-ე). ამ მოთხოვნათა დაუცველობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, მათ შორის მისი 309^2-ე მუხლის მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას განცხადების მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და განმცხადებელს დაუბრუნებს განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. სასამართლოს ამ განჩინებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა (309^4-ე მუხლის მე-2

ნაწილი).

როგორც ვხედავთ, ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი ითვალისწინებს ისეთ საპროცესო ინსტიტუტს, როგორიც განცხადების უმოძრაოდ დატოვებაა.

რაც შეეხება თვითონ განცხადებას, მასში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) სასამართლოს დასახელება;

ბ) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელებები;

გ) განმცხადებლის მოთხოვნა;

დ) ვალდებულება, რომლის საფუძველზედაც წამოყენებულია მოთხოვნა;

ე) წამოყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საქმის განხილვის დაჩქარებულობა პროცესის ამ სახეში უზრუნველყოფილია იმით, რომ მოსამართლე განცხადებას ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განიხილავს სასამართლოში მისი შეტანიდან 3 დღეში.

თავისებურებით ხასიათდება აღნიშნული საქმის განსჯადობაც. სსსკ-ის 309 3-ე მუხლი შეიცავს არა განსჯადობის რაიმე სპეციალურ წესს, არამედ მასში არის ზოგადი მითითება, რომ განცხადება ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე სასამართლოში შეიტანება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. განსჯადობის განსაზღვრისას უნდა გამოვიყენოთ სსსკ მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადება, რომლის თანახმადაც არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება.

განცხადებაში მითითებულ უნდა იქნეს წამოყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება (სსსკ-ის 309[2]-ე მუხლი). კანონი, როგორც ჩანს, საკმარისად მიიჩნევს მარტივი წერილობითი ფორმის მქონე მტკიცებულების წარდგენას. მთავარია, რომ აღძრული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება ასაბუთებდეს წაყენებულ მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ ასაბუთებს წაყენებულ მოთხოვნას, მას გამოაქვს განჩინება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

თუ განცხადება აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას და, ამასთან, წარდგენილია განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც ასაბუთებს წაყენებულ მოთხოვნას, სასამართლო განცხადებას მიიღებს წარმოებაში და გამოიტანს ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანებას, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. მასში მითითებულ უნდა იქნეს ასევე მისი გასაჩივრების წესი და ვადა.

ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე მიღებული ბრძანების გასაჩივრებას თავისებურებები გააჩნია. კერძოდ, სსსკ-ის 414-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე. მაგრამ გარდა განჩინებებისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სწორედ ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების გასაჩივრებას კერძო საჩივრის მეშვეობით. თუმცა, კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას.. ამასთან, მითითება ბრძანების კერძო საჩივრით გასაჩივრებაზე მიანიშნებს მისი მხოლოდ ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობაზე ზემდგომ სასამართლოში. ასეთ დროს მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული კერძო საჩივრის შეტანისა და განხილვისათვის სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლებით დადგენილი წესები.

§6. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეები გამარტივებული წარმოების საქმეთა ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს. ამ საქმეთა წარმოების წესით განიხილება სააქციო საზოგადოების აქციონერის განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. განცხადება დასაშვები რომ იყოს აქციონერს აქციათა შეძენის შედეგად საკუთრებაში უნდა ჰქონდეს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 95%-ისა. ამგვარ აქციონერს კანონმდებელი უწოდებს მყიდველს. მყიდველის განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს წარედგინება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ. ამგვარ განცხადებაზე გადაიხდევინება სახ. ბაჟი. განცხადება უნდა პასუხობდეს 3099-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ სპეციალურ მოთხოვნებს. კერძოდ სასამართლოს დასახელებას მყიდველის და მისი წარმომადგენლის დასახელებას, განმცხადებლის მოთხოვნას, მტკიცებულებას რომლითაც დასტურდება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება განცხადების შეტანამდე 1 თვით ადრე მაინც, რეესტრის მწარმოებელი პირის მისამართს, თარიღს (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი).

309[10] მუხლი ამ საქმეებზე ადგენს გვარეობითი განსჯადობის წესს რომლის მიხედვითაც მყიდველის განცხადებას განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები, მყიდველის იურიდიული მისამართის შესაბამისად. ამ საქმეთა წარმოებისას თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთსაქართველოს ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია-დასავლეთსაქართველოს.

შეკვეცილია ცალკეული სტადია მოცემულ საქმეებზე. კერძოდ ეს ეხება საქმის აღძვრის სტადიას. მოსამართლე აქციათა სავალდებულო მიყიდვის განცხადების შეტანიდან სამი დღის ვადაში იხილავს მისი წარმოებაში მიღების საკითხს. თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ განცხადება არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, მათ შორის მისი 309[9] მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ და განმცხადებელს დაუბრუნებს განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. ეს განჩინებასაჩივრდება კერძო საჩივრით. შეკვეცილია საქმის განხილვის სტადიაც. სახელდობრ მყიდველის განცხადების წარმოებაში მიღების განჩინებაში სასამართლო განსაზღვრავს დროს ზეპირი მოსმენისათვის და მხარეებს დაუყონებლივ აცნობებს სხდომის დროსა და ადგილს. აქციონერს (ასეთ აქციონერს ეწოდება დაინტერესებული პირი), რომლის აქციების გამოსყიდვასაც მოითხოვს მყიდველი უწყებასთან ერთად ეგზავნება განცხადებისა და თანდართული მასალების ასლები და განესაზღვრება ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის. თუ დაინტერესებულ პირთა რაოდენობა ორზე მეტია ისინი ვალდებული არიან დანიშნონ წარმომადგენელი. სასამართლო მყიდველის განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს განცხადების წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. განცხადება განიხილება სასამართლო სხდომაზე. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის გადაწყვეტილება მაშინ მიიღება როდესაც აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. წინააღმდეგ

შემთხვევაში სასამართლო იღებს მყიდველის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინებას. ამ პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან ამოწმებს სასამართლო. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა დადგინდეს აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასი და თარიღი (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარი მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი), სასამართლომ აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს: ამ აქციების ღირებულება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები, საზოგადოების აქტივები (მათ შორის საწარმოს რეზერვები, საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები. აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენის მიზნით სასამართლო მყიდველის განცხადების წარმოებაში მიღებიდან 7 დღის ვადაში ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას (309[12] მუხლი). დამოუკიდებელმა ექსპერტმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს გამოსყიდვის ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის შერჩევის დროს სასამართლო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებები. მხარეებს უფლება აქვთ შესთავაზონ სასამართლოს დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ თუ ვის მიენდოს გამოსყიდვის ანგარიშის შედგენა, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი. დასაშვებია ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის აცილება სსსკ-ის 35-ე მუხლით დადგენილი საფუძვლით. საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საჩივრდება მისი გამოტანიდან არაუგვიანეს 14 დღისა მხოლოდ სააპელაციო წესით. ეს ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ საჩივრდება. სააპელაციო წესით საქმის განხილვის ვადაა 1 თვე. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. კანონში არაფერია ნათქვამი მყიდველის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების წესზე, რაც მიუთითებს ამ საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმების არასრულყოფილებაზე.

§7. ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი

გამარტივებული წესით დასაშვებია დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის აღძვრა. მოსარჩელე ვალდებულია ზიანის ანაზღაურების შესახებ გამარტივებული წესით შეტანილ სარჩელს დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამნხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმიონისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. მოცემული საქმეების გამარტივებულად განხილვას განაპირობებს სწორედ ზემოაღნიშნული კანონიერ ძალაში შესული აქტების არსებობა, რომლებითაც საბოლოოდ არის დადგენილი ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთან, ასეთი აქტები შეიძლება შეიცავდნენ მიყენებული ზიანის გაანგარიშებასაც. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული აქტები არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას,

მაშინ სარჩელს შეიძლება დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა. ეს ნიშნავს, რომ ზიანის ოდენობა შეიძლება დადგინდეს, როგორც უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტით, ისე კანონით დასაშვები ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით. რაიმე სპეციფიკურობით არ ხასიათდება მოცემულ საქმეთა გასჯადობა, ვინაიდან კანონის თანახმად ზიანის ანაზღაურების სარჩელი სასამართლოში შეიტანება სსსკ-ით დადგენილი წესით (იგულისხმება ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი). შეკვეცილია საქმის აღძვრის სტადია, ვინაიდან სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს მოსამართლე წყვეტს სარჩელის შეტანიდან სამი დღის ვადაში. შეტანილი სარჩელის შინაარსი უნდა პასუხობდეს სსსკ-ით დადგენილ საერთო მოთხოვნებს (178-ე მუხლს). თუ იგი არ აკმაყოფილებს სსსკ-ით დადგენილ მოთხოვნებს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მოსარჩელეს დაუბრუნებს სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. ეს განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით. სარჩელის მიღების შემდეგ მოსამართლე სარჩელს და თანდართული დოკუმენტების ასლებს დაუყოვნებლივ უგზავნის მოპასუხეს სსსკ-ის 201-ე მუხლით დადგენილი წესით. შეკვეცილია მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენის ვადაც, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შვიდ დღეს. დაჩქარებულია საქმის განხილვა. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების სარჩელი გამარტივებულად განიხილება შემცირებულ ვადაში. ეს არის ერთი თვე სარჩელის წარმოებაში მიღებიდან. ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (309[20]-ე მუხლი). ეს ნიშნავს, რომ ზიანის მიყენების ფაქტის მიმართ ზემოაღნიშნული აქტებს აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-937-880-2012 განმარტებულია: გამარტივებული წესით საქმის განხილვა, სასარჩელო წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას, თუმცა გამარტივებული წარმოების თავისებურება ისაა, რომ საქმე დაჩქარებულად და მარტივად განიხილება. ამ წესით განსახილველ საქმეთა კატეგორია ზუსტად არის განსაზღვრული და იგი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს, ანუ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, სარჩელი ამ წესით საქმის განხილვაზე მხარემ უნდა წარადგინოს და, შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, საქმე გამარტივებული წესით აწარმოოს. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მხარის მოთხოვნა, საქმე სასარჩელო წარმოებით განიხილება და საერთო საპროცესო ვადები ვრცელდება. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი გამარტივებული წესით განხილვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენი, რომელიც ზიანის მიყენებას ადასტურებს. ამ შემთხვევაში სასამართლოს აღარ უწევს ზიანის მიყენების ფაქტის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის გამოკვლევა. ყველა აღნიშნული გარემოება განაჩენით დასტურდება. ვინაიდან სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლის გამოსაკვლევ საკითხთა წრე მცირდება, ასევე მცირდება საქმის განხილვის ვადაც. მოცემული ტიპის დავების გამარტივებული წესით განხილვა, პირველ რიგში, საქმის საპროცესო კოდექსით დადგენილი სპეციალური ვადების ფარგლებში განხილვას გულისხმობს.

ვინაიდან ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები, ისევე როგორც სსსკ-ის მე-5 კარით გათვალისწინებული სხვა საქმეები, შესაძლოა განხილული იქნეს როგორც გამარტივებული, ისე სრული სასარჩელო წარმოების გზით, საქმის

განმხილველმა სასამართლომ საპროცესო დოკუმენტებში, პირველ რიგში კი სხდომის ოქმში, ზუსტად უნდა მიუთითოს წარმოების ფორმა, ამასთან, ყველა საპროცესო მოქმედება კანონით დადგენილ შემჭიდროვებულ ვადაში უნდა შესრულდეს.

დაბოლოს, სპეციფიკურია მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესიც. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება შვიდი დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. ეს ნიშნავს, რომ დასაშვებია გადაწყვეტილების მხოლოდ ერთხელ გასაჩივრება სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება. ამასთან, მოცემული წარმოების მომწესრიგებელი ნორმები არ განსაზღვრავს, თუ საიდან უნდა აითვალოს გასაჩივრების შვიდდღიანი ვადა. მოცემულ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ საბოლოო გადაწყვეტილების აპელაციის წესით გასაჩივრებისათვის დადგენილი საერთო წესებით.

თავი XXIII

საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

§1. განქორწინების საქმეთა განხილვის თავისებურებანი

კონსტიტუციის 36-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. ეს ნიშნავს რომ, საქართველოში ოჯახს იცავს სახელმწიფო, რაც ფუძემდებლური მომენტია საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების დროს.

განსახილველი სახის სამართალურთიერთობათა მოწესრიგების ამოსავალი საწყისები (პრინციპები) მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსში, რომლის მე-5 წიგნი მთლიანად საოჯახო სამართალს ეკუთვნის. ეს პრინციპები პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობენ კონსტიტუციის იმ დებულებებიდან, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

საოჯახო ურთიერთობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეიძლება გამოიკვეთოს ამ ურთიერთობათა რამდენიმე თავისებურება კერძოდ: 1) საოჯახო ურთიერთობათა სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები; 2) საოჯახო სამართალურთიერთობები წარმოიშობა სპეციფიკური იურიდიული ფაქტებიდან: ქორწინება, ნათესაობა, დედობა, მამობა, შვილებზე მეურვეობა და მზრუნველობა, საოჯახო უფლება-მოვალეობები შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ისეთ იურიდიული ფაქტებიდან, როგორიცაა: საქორწინო ხელშეკრულება, ალიმენტის ოდენობის შესახებ შეთანხმება და სხვა; 3) საოჯახო ურთიერთობები, როგორც წესი, განგრძობადი ხასიათისაა[1]; 4) საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მის მონაწილეთა ინდივიდუალიზაცია (მოცემულ ურთიერთობებში სხვა პირებით მათი შეცვლის შეუძლებლობა, მათ შორის ოჯახის სხვა წევრებით). აქედან გამომდინარე, საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები განუსხვისებელია, ისინი წარმოადგენენ როგორც უნივერსალური უფლებამონაცვლეობის წესით, ისე მხარეთა შეთანხმებით გადაუცემელ უფლება-მოვალეობებს. შეუძლებელია მათი გაყიდვა, ჩუქება, მემკვიდრეობით გადაცემა და ა.შ.; 5) საოჯახო ურთიერთობები შინაარსობრივად წარმოადგენს, პირველ რიგში, ქონებრივ ურთიერთობებს. ამასთან, საოჯახო სამართალში ქონებრივი ურთიერთობები ყოველთვის უშუალოდაა დაკავშირებული პირადთან და გამომდინარეობს მისგან.[2]

საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგება ხდება შემდეგი პრინციპების შესაბამისად: 1) ქალისა და მამაკაცის ქორწინების ნებაყოფლობითობა; 2) მხოლოდ სარო-ში რეგისტრირებული ქორწინების აღიარების პრინციპი; 3) განქორწინების თავისუფლების პრინციპი; 4) ოჯახში მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა; 5) ბავშვების ოჯახში აღზრდა და მათ კეთილდღეობასა და განვითარებაზე ზრუნვა; 6) ოჯახის წევრთა უფლებებისა და ინტერესების პრიორიტეტულად დაცვის უზრუნველყოფა; 7) ერთქორწინების ანუ მონოგამიის პრინციპი. ამ პრინციპებში ასახულია საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ მეუღლეთა შორის საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით რეგისტრირებული ქორწინება. „ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის აქტის მნიშვნელობა იმაში

---

[1] ამ თავისებურებას პროცესისათვის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნათა (სარჩელთა) იგივეობის საკითხის სწორად განსაზღვისათვის. განგრძობად ურთიერთობაში ხშირად იცვლება ფაქტობრივი საფუძველი, ე.ი. გარემოებები, რის გამოც სარჩელთა იგივეობაც აღარ გვაქვს.

[2] შ. ჩიკვაშვილი. საოჯახო სამართალი, თბ., 2000, გვ. 16-17

მდგომარეობს, რომ მამაკაცისა და ქალის კავშირი იძენს საზოგადოებრივ აღიარებას და დაცვას სახელმწიფოს მხრიდან, როგორც კანონის შესაბამისად განხორციელებული მოქმედება".[1] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ საოჯახო ურთიერთობათა სპეციფიკა და პრინციპები მატერიალურ სამართალში, განაპირობებენ ამ ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვის თავისებურებებს სამოქალაქო საპროცესო სამართალში.

განვიხილოთ განქორწინების საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებანი, რასთან დაკავშირებითაც უნდა ითქვას, რომ, თუ სახელმწიფო ზემოაღნიშნულ პრინციპებს შორის პირველ ადგილზე აყენებს ქორწინების (ქალისა და მამაკაცის კავშირის) ნებაყოფლობას, მაშინ სახელმწიფომ უნდა აღიაროს მეუღლეთა უფლებაც ნებაყოფლობით, ვინმეს ჩარევის გარეშე გადაწყვიტონ განქორწინების საკითხი. ქორწინება ოჯახის საფუძველია, რომლის დანიშნულება, პირველ ყოვლისა, არის ბავშვების აღზრდა და მათ მომავალზე ზრუნვა, რაც არ შეიძლება არ შედიოდეს საზოგადოების ინტერესებში. ამიტომ როგორც დაქორწინების პირობები, ისე განქორწინების საფუძვლებიც არ შეიძლება ითვლებოდეს თავად მეუღლეთა კერძო ინტერესად და საქმედ. ამით აიხსნება სწორედ ის, რომ სახელმწიფო დღემდე ინარჩუნებს უფლებას მკაფიოდ განსაზღვროს (დაადგინოს) ის გარემოებანი, რომელთა არსებობის დროსაც შესაძლებელია განქორწინება, საკანონმდებლო დონეზე ადგენს იმ ორგანოებს, რომელთაც შეუძლიათ მეუღლეთა განქორწინება და განსაზღვრავს (აწესრიგებს) განქორწინების წესსა და პირობებსაც.

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ქორწინება წყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად. აღნიშნულ შემთხვევებში ქორწინება წყდება ავტომატურად შესაბამისი პირობის დადგომის მომენტიდან, კერძოდ: ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ამ ზოგადი წესიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის სამისდღემშიო კავშირია.

თუმცა ქორწინება შეიძლება შეწყდეს მეუღლეთა სიცოცხლეში განქორწინებით ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის, აგრეთვე სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად აღიარებული მეუღლის მხარდამჭერის განცხადებით.

განქორწინების საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა. სამოქალაქო კოდექსში ახლებურადაა მოწესრიგებული საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში მომწიფებული მრავალი პრობლემა, მათ შორის ამ ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების უწყებრივ ქვემდებარეობასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობიდან საროს გადაეცა გამგებლობაში უდავო განქორწინების საქმეები.

როგორც სამოქალაქო კოდექსშია აღნიშნული, განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში — საროში. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსი, ძირითადად (პირველ რიგში), ითვალისწინებს განქორწინების ადმინისტრაციულ წესს, და მხოლოდ სადავო შემთხვევებში განიხილება განქორწინების საქმე საერთო იურისდიქციის სასამართლოში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის მიზნით, დიდ პრივილეგიას ანიჭებს მეუღლეებს ნების თავისუფლად გამოვლენის საკითხში, რათა მეუღლეებმა უკონფლიქტოდ გადაწყვიტონ მათი ქორწინების შემდგომი ბედის საკითხი.

განქორწინება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

[1] იხ. ჩიკვაშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 22.

განქორწინების საკითხის მიკუთვნება სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის გამგებლობისადმი, ე.ი. მისი განხილვა ადმინისტრაციული წესით, საერთო წესის თანახმად, შემდეგი პირობების ერთობლიობაზეა დამოკიდებული:

1) ორივე მეუღლის ურთიერთთანხმობის არსებობა განქორწინებაზე;

2) არ უნდა ჰქონდეთ დავა.

ამ წესით განქორწინების შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ ის როლი აკისრია, რომ შეამოწმოს ამ პირობების არსებობა და მოახდინოს განქორწინების რეგისტრაცია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანოს არა აქვს უფლება გამოარკვიოს და შეამოწმოს განქორწინების მიზეზები.

განქორწინებაზე ორივე მეუღლის თანხმობის არსებობა გამოხატულ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით ერთობლივი, ან ცალ-ცალკე განცხადების შეტანით, თუ საპატიო მიზეზით ერთ-ერთ მეუღლეს ან ორივე მეუღლეს არ შეუძლია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში გამოცხადება ერთობლივი განცხადების შესატანად. ამასთან, ასეთი განცხადება დამოწმებული უნდა იყოს სათანადო წესით (სათანადო იქნება მაგალითად, განცხადების დამოწმება ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ).

ზემოაღნიშნული ორი პირობის დადგენისა და შესაბამისი დოკუმენტებით მათი დადასტურების დროს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინებას. თუმცა, თუ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციამდე ერთ-ერთი მეუღლე, რომელმაც შეიტანა განცხადება, შეცვლის თავდაპირველ გადაწყვეტილებას, მაშინ განქორწინება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით. სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლით დადგენილი წესი („თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა“) იმპერატიული ხასიათისაა. თუმცა კანონის თანახმად, თუ ერთ-ერთი მეუღლე, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის განქორწინების წინააღმდეგი, თავს არიდებს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინებას, მაშინ განქორწინება მოხდება სასამართლო წესით. აქ მხედველობაშია (იგულისხმება) ისეთი შემთხვევები, როცა ერთ-ერთი მეუღლე უარს ამბობს ერთობლივი განცხადების ან ცალკე განცხადების შეტანაზე, თუ მას არ შეუძლია პირადად გამოცხადება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთობლივი განცხადების შესატანად, თავს არიდებს შესაბამის ორგანოში განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის გამოცხადებას და სხვ.

საერთო წესის გარდა, კანონი საქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ, ითვალისწინებს გამონაკლისის წესით განქორწინებას სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით. ეს დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე: 1) სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად; 2) სასამართლოს მიერ აღიარებულია მხარდაჭერის მიმღებად; 3) დანაშაულისათვის მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლის ვადით.

ამ შემთხვევებში სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურმა მხოლოდ უნდა შეამოწმოს კანონში მითითებული შესაბამისი გარემოებების არსებობა.

ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მეუღლე ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, უნდა დადასტურდეს ამის თაობაზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რისთვისაც საკმარისია საროში შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების ასლის წარდგენა.

ერთ-ერთი მეუღლის მხარდაჭერის მიმღებად აღიარება აგრეთვე უნდა დადასტურდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ასლის წარდგენით. მხარდაჭერის მიმღებად ცნობისაგან უნდა განვასხვაოთ შეზღუდულქმედუნარიანად ცნობა, რომელიც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წესის გამოყენების (შეფარდების) საფუძველს. შეზღუდულქმედუნარიანთა მიმართ, აგრეთვე შეზღუდულქმედუნარიანთა მიერ

აღძრულ სარჩელებზე განქორწინება ხდება საერთო წესით.

დანაშაულის ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის მისჯა არანაკლებ სამი წლის ვადით დასტურდება შესაბამის სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლის ასლიც უნდა წარედგინოს საროს (შემდგომში შემოკლებით „სტს"). შესაბამისად, თუ განაჩენი ჯერ კიდევ არ შესულა კანონიერ ძალაში, მაშინ განქორწინება საროს მეშვეობით დაუშვებელია.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ კანონმდებელი არ ზღუდავს მეორე მეუღლის უფლებას, მიმართოს შესაბამისი განცხადებით (შეიტანოს შესაბამისი განცხადება), რაიმე ვადით მეორე მეუღლის გასამართლების მომენტიდან. აღნიშნული გარემოებების არსებობის დროს განქორწინების მოცემული საგამონაკლისო წესი, გათვალისწინებულია მხოლოდ იმ მეუღლისათვის, რომელიც თავისუფალი დარჩა. თუ განქორწინების საკითხს აყენებს სასამართლოს მიერ არანაკლებ სამი წლის ვადით თავისუფლებააღკვეთილი მეუღლე, მაშინ განქორწინება ხდება საერთო წესით, ე.ი. საერთო იურისდიქციის სასამართლოში, თუ ორივე მეუღლე თავისუფლებააღკვეთილია არანაკლებ სამი წლის ვადით, მაშინ განქორწინება აგრეთვე მოხდება სასამართლო წესით.

იმ მეუღლის, რომელიც მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლის ვადით, თანხმობა განქორწინებაზე საჭირო არ არის. თუმცა მას მაინც უნდა ეცნობოს საროში განქორწინების შესახებ განცხადების შემოსვლის თაობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ განქორწინება სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის მსჯავრდების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლის ვადით, განქორწინების გამარტივებული წესი დაუშვებელია სამ წელზე ნაკლები ვადით მსჯავრდების შემთხვევაში.

ზოგიერთი ავტორის აზრით, დაუშვებელია განქორწინება სტს-ს მეშვეობით, თუ არანაკლებ სამი წლის ვადით მსჯავრდებული მეუღლე, მეორე მხარის მიერ განცხადების შეტანის მომენტში სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე პირობით ვადამდე გათავისუფლებულია; სასჯელისაგან გათავისუფლებულია ავადმყოფობის გამო; სასჯელისაგან გათავისუფლებულია გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის ვადების ამოწურვის გამო; სასჯელისაგან გათავისუფლებულია ამნისტიის ან შეწყალების გამო. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონი თავისუფლად დარჩენილი მეუღლის განცადებით საროს მეშვეობით განქორწინების შესაძლებლობას უკავშირებს მხოლოდ არანაკლებ სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების ფაქტს, რაიმე დათქმის გარეშე (უპირობოდ).

ამრიგად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განქორწინების ადმინისტრაციულ წესს შეიძლება თამამად ვუწოდოთ სარეგისტრაციო წესი.

განქორწინება (და შესაბამისად განქორწინების რეგისტრაცია, განქორწინების მოწმობის გაცემა სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ) წარმოებს შესაბამისი განცხადების შეტანის დღიდან სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის კანონით დადგენილი ვადის ამოწურვისთანავე.

სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ განქორწინების რეგისტრაციის, აგრეთვე განქორწინების მოწმობის გაცემის წესი განისაზღვრება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის" კანონით. ეს კანონი საერთოა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ყველა აქტის რეგისტრაციისათვის.

განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის და, შესაბამისად, განქორწინების მოწმობის გაცემისათვის, „სახელმწიფო ბაჟის" კანონის შესაბამისად გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი.

განქორწინება სასამართლო წესით. სასამართლო წესით განქორწინება დასაშვებია 1) თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა;

2) თუ ერთ-ერთი მეუღლე არ არის თანახმა განქორწინებაზე;

3) თუ ერთ-ერთი მეუღლე, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის განქორწინების წინააღმდეგი, თავს არიდებს სააგენტოს ტერიტორიული სამსახურში განქორწინებას.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში განქორწინების საქმეს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით სარჩელის საფუძველზე იმ თავით დადგენილი წესებით, რომელიც საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს განსაზღვრავს (აწესრიგებს). ის, რომ კანონმდებელმა ცალკე დაადგინა (დააწესა) ამ საქმეთა განხილვის თავისებურებანი, ბუნებრივია, რამეთუ საოჯახო ურთიერთობათა თავისებურებანი, მათ შორის ისეთი, როგორიცაა ამ ურთიერთობათა უაღრესად პირადული და განგრძობადი ხასიათი, თავის დაღს ასვამს განქორწინების საქმეთა განხილვის თავისებურებებს საერთო იურისდიქციის სასამართლოებში.

განქორწინების საქმეთა აღძვრის თავისებურებანი. როგორც სამოქალაქო პროცესის ნებისმიერი სხვა სტადია, სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიაც შედგება გარკვეულ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობისაგან, რომელთა შესრულებაც ხდება მხოლოდ ამ სტადიაზე. ეს მოქმედებებია:

1) სასარჩელო განცხადების შეტანა სასამართლოში, დაინტერესებული პირის მიერ;

2) მოსამართლის მიერ ისმის შემოწმება არის თუ არა დაცული სასარჩელო განცხადების ფორმისა და შინაარსის მიმართ წაყენებული მოთხოვნები განმცხადებლის მიერ.

3) მოსამართლის მიერ იმის შემოწმება, არის თუ არა დაცული სასარჩელო განცხადების წარდგენის (შეტანის) წესი განმცხადებლის მიერ;

4) მოსამართლის მიერ სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღება, ე.ი. სამოქალაქო საქმის აღძვრა.

განქორწინების საქმის აღძვრის უფლების მქონე პირები. სსსკ 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით. ამ შემთხვევაში მთავარია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვა. მოცემული ზოგადი ნორმა ვრცელდება განქორწინების საქმეებზეც.

განქორწინების საქმეებზე მხარეებს წარმოადგენენ მეუღლეები. კანონის თანახმად ქორწინება შეიძლება შეწყდეს განქორწინებით ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადებით. ეს სრულიად ბუნებრივი წესია, რამეთუ თვითონ ქორწინება ეფუძნება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, შესაბამისად, განქორწინების საკითხიც მხოლოდ მათზე შეიძლება იყოს დამოკიდებული.

რა თქმა უნდა, მოსარჩელე განქორწინების საქმის აღძვრის ინიციატორია.

როგორ წყდება საკითხი იმ შემთხვევებში, როცა ერთ-ერთი მეუღლე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად მხარდაჭერის მიმღებადაა ცნობილი. რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში არ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ინიციატივა მომდინარეობს მეორე მეუღლისაგან. კითხვას ბადებს ის, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ქორწინებით ირღვევა მხარდაჭერის მიმღები მეუღლის უფლებები და კანონიერი ინტერესები, ხოლო მეორე მეუღლე არ იჩენს ადმინისტრაციული წესით განქორწინების ინიციატივას.

ამ შემთხვევაში მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების შინაარსზეა დამოკიდებული განქორწინების ინიციატორი იქნება თუ არა მხარდაჭერის მიმღები მეუღლე. კანონის თანახმად მას უფლება აქვს თვითონ, დამოუკიდებლად განახორციელოს მინიჭებული უფლებები და დაიცვას ისინი სასამართლოში, ე.ი. მას აქვს სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა, თუკი სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებულია, რომ მას შეუძლია ნების გამოხატვა სამართლებრივ ურთიერთობაში. კანონის თანახმად, მათ უფლებებსა და ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები – მხარდამჭერები. ამიტომ ქორწინება შეიძლება შეწყდეს განქორწინებით სასამართლოს

მიერ მხარდაჭერის მიმღებად აღიარებული მეუღლის მიმართ, მეუღლის განცხადებით მაშინ, როცა სასამართლოს მიერ განქორწინება შეიძლება განხორციელდეს მისი მხარდამჭერის განცხადებით, რადგან იგი ახორციელებს კანონიერ უფლებებს. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინება შეუძლია მოითხოვოს ერთობლივად როგორც იმ მეუღლემ, რომელიც არ არის აღიარებული მხარდაჭერის მიმღებად, ისე მხარდაჭერის მიმღებად აღიარებულმა მეუღლემაც, თუკი სასამართლოს გადაწყვეტებიდან გამომდინარე, მას შეუძლია განქორწინებაზე ნების გამოვლენა.

არ არის გამორიცხული შემთხვევები, როცა მხარდაჭერის მიმღები მეუღლის მხარდამჭერად ინიშნება მისი მეუღლე, რომელიც ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებებს და, შესაბამისად, არ აღძრავს განქორწინების საქმეს. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემულ შემთხვევაში ჯერ უნდა გაუქმდეს ასეთი მეუღლის მხარდაჭერა, შემდეგ მხარდაჭერის მიმღებ მეუღლეს უნდა დაენიშნოს სხვა მხარდამჭერი, რომელსაც, თავის მხრივ, შეუძლია განქორწინების საქმის აღძვრის ინიცირება. თვითონ მეუღლეებისა და მხარდაჭერის მიმღები მეუღლის მხარდამჭერის გარდა, კანონი სხვას არავის ანიჭებს განქორწინებაზე განცხადების შეტანის უფლებას.

განქორწინების საქმის აღძვრის უფლებას დაინტერესებული პირი ახორციელებს სასამართლოში სარჩელის აღძვრით. საპროცესო კანონი გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს სასარჩელო განცხადების ფორმისა და შინაარსის მიმართ. ეს მოთხოვნები საერთოა თითქმის ყველა განცხადებისათვის, ნებისმიერ სამოქალაქო საქმეზე. ეს მოთხოვნები დადგენილია სსსკ 177-ე და 178-ე მუხლებით. თუმცა სარჩელს (განცხადებას) გარკვეული კატეგორიის საქმეებზე თავისებურებები ახასიათებს, რაც გამოწვეულია ამ საქმეთა სამართლებრივი მოწესრიგების სპეციფიკით. ეს ეხება განქორწინების საქმეებსაც.

განქორწინების შესახებ შეტანილი სასარჩელო განცხადების შინაარსის თავისებურებანი. სარჩელში მიეთითება სარჩელის საგანი — განქორწინება. შეიძლება მითითებულ იქნეს სხვა სასარჩელო მოთხოვნებიც, რომლებიც აღძრულია განქორწინების სარჩელთან ერთად განხილვის მიზნით, თუ ეს მოთხოვნები გამომდინარეობს საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებიდან.

განქორწინების სარჩელის შინაარსის თავისებურებები ფაქტობრივად აისახება სარჩელის აღწერილობით ნაწილში, კერძოდ, მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს გარემოებები, რომლებზეც ის აფუძნებს თავის მოთხოვნებს და მტკიცებულებები, რომლებიც ამ გარემოებებს ადასტურებენ, ე.ი. უნდა მიუთითოს სარჩელის (მოთხოვნის) ფაქტობრივი საფუძველი. კერძოდ, სავალდებულოა მიეთითოს სად და როდის არის რეგისტრირებული ქორწინება; უნდა მიეთითოს განქორწინების მოტივები.

სხვა მოთხოვნების აღძვრა, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს ერთ წარმოებაში განქორწინების სარჩელთან ერთად, ართულებს სასარჩელო განცხადების აღწერილობითი ნაწილის შინაარსს, რამეთუ ასეთ შემთხვევაში სარჩელში უნდა მიეთითოს ის გარემოებები, რომლებითაც საბუთდება ეს მოთხოვნები და მიეთითოს მათი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც.

სასარჩელო განცხადების დასკვნით ნაწილში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოსარჩელის მოთხოვნა განქორწინებაზე, აგრეთვე სხვა მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს განქორწინების სარჩელთან ერთად. გარდა ამისა, სასარჩელო განცხადების ამ ნაწილში მოსარჩელემ შეიძლება დააყენოს საპროცესო ხასიათის მოთხოვნა, მაგალითად, სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების, ან მისი გადახდის გადავადების შესახებ.

სარჩელს უნდა დაერთოს ქორწინების მოწმობა, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ხელფასისა და მეუღლის სხვა სახის შემოსავლების შესახებ დოკუმენტი (თუ აღძრულია

ალიმენტების გადახდევინების შესახებ მოთხოვნა) და სხვა აუცილებელი დოკუმენტები, ასევე საერთო ქონების შესახებ მტკიცებულებები, თუ სასარჩელო მოთხოვნა ეხება მეუღლეთა დავას ქონების გაყოფის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ავალდებულებს მოსარჩელეს, რომ მან სასარჩელო განცხადებას თან დაურთოს სარჩელში მითითებული (თავისი სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი) დოკუმენტები (მტკიცებულებები).

განქორწინების საქმის უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმის აღძვრის სტადიაზე, რამეთუ ამაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღების საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

როგორც ცნობილია, მხოლოდ სარჩელის წარდგენის ფაქტი სასამართლოში არ არის საკმარისი სამოქალაქო საქმის აღსაძვრელად და ამ საქმის განხილვის დასაწყებად. ამისათვის აუცილებელია მოსამართლის მიერ სარჩელის მიღება წარმოებაში და საქმის აღძვრის განჩინების გამოტანა. სასამართლო სარჩელს არ მიიღებს მხოლოდ სსსკ 186-ე მუხლით დადგენილი საფუძვლებით. განვიხილოთ მოცემული საფუძვლების გამოყენების თავისებურებები განქორწინების სარჩელებთან მიმართებაში.

სასამართლო არ მიიღებს სარჩელს (სსსკ 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი), თუ სარჩელი არ ექვემდებარება უწყებრივად საერთო სასამართლოს. კანონის ამ დებულებაში იგულისხმება **სამი** პირობა. კერძოდ:

1) თუ განცხადება უწყებრივად არ ექვემდებარება საერთო იურისდიქციის სასამართლოს.[1] შესაბამისად, მოცემული გარემოების არსებობის ან არარსებობის საკითხის გადასაწყვეტად მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს განქორწინების საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის შესახებ წესებით, რომლებიც დადგენილია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებით. ბუნებრივია, თუ მოსამართლე განცხადების შინაარსიდან გამოარკვევს, რომ სახეზეა გარემოებები, რომლებიც საშუალებას იძლევა ერთმნიშვნელოვნად გადავწყვიტოთ საკითხი იმის შესახებ, რომ განქორწინება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული წესით, მაშინ ის არ მიიღებს სარჩელს და განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას, მიმართოს საროს (მაგალითად, როცა პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულადაა აღიარებული).

თუ განქორწინების სარჩელი აღძრულია იმ პირის მიმართ, რომლის ადგილსამყოფელი უცნობია და მის საცხოვრებელ ადგილზე ორი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ, სასამართლო განუმარტავს მოსარჩელეს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების წესს; მაგრამ, თუ მეუღლეს არ სურს მიმართოს სასამართლოს მეორე მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ განცხადებით, სასამართლოს არა აქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის უფლება სსსკ 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

2) თუ კანონმდებლობით დადგენილია შეზღუდვა (აკრძალვა) რომელიმე მოთხოვნის აღძვრაზე. სწორედ განქორწინების მოთხოვნის მიმართ არის დადგენილი ასეთი შეზღუდვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. მაგალითად, კანონის თანახმად ქმარს ცოლის თანხმობის გარეშე არა აქვს განქორწინების საქმის აღძვრის უფლება ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში (სკ-ის 1123-ე მუხლი). ეს დებულება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როცა ბავშვი მკვდარი დაიბადა ან გარდაიცვალა ერთი წლის ასაკის მიღწევამდე. თუ ორსულობა შეწყდა ანუ აღმოიფხვრა განქორწინების დაუშვებლობის გარემოება, მაშინ დასაშვებია განქორწინება ცოლის თანხმობის გარეშე.

---

[1] განცხადება (სარჩელი) უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს მაშინაც, როცა მოთხოვნა არასამართლებრივი ხასიათისაა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი არ უკავშირებს განქორწინების საქმის აღძვრაზე ასეთ აკრძალვას მამისა და მისი მეუღლის ბავშვის (მათ შორის, მომავალი ბავშვის) სისხლით ნათესაობის არსებობას, რამეთუ ამ შემთხვევაში მოქმედებს მამობის პრეზუმფცია. ამ საკითხის გადაწყვეტაზე აგრეთვე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, მშობელთაგან (ან სხვა პირთაგან) ვისთან იმყოფება ერთ წლამდე ასაკის ბავშვი.

სამოქალაქო კოდექსის მოცემული ნორმა ზღუდავს მხოლოდ ქმრის უფლებას აღნიშნული გარემოებების არსებობისას, ცოლს ასეთ შემთხვევებში სრული მოცულობით უნარჩუნდება განქორწინების საქმის ნებისმიერ დროს აღძვრის უფლება.

თუ მოსამართლემ თავის დროზე არ მიიღო ქმრის სარჩელი მოცემული საფუძვლით (186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი), ეს არ გახდება დამაბრკოლებელი ფაქტორი მოსარჩელისათვის, რათა მან განმეორებით მიმართოს სასამართლოს განქორწინების სარჩელით (მოთხოვნით), თუ შემდგომში აღარ იარსებებს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები. ასეთი თავისებურება, პირველ ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ საქორწინო-საოჯახო სამართალურთიერთობები განგრძობადი ხასიათისაა.

3) თუ განმცხადებელს არა აქვს სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა. მოცემული პირობა განქორწინების საქმეებზე არ გამოიყენება, რამეთუ საპროცესო კოდექსის თანახმად ფიზიკური პირები საპროცესო უფლებაუნარიანი არიან დაბადების მომენტიდან და არ შეიძლება შეიზღუდონ მასში.

განქორწინების შესახებ სასარჩელო განცხადება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა განცხადება, რომელსაც კი შეიტანს დაინტერესებული პირი, უნდა წარედგინოს განსჯად სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო არ მიიღებს სასარჩელო განცხადებას, ამასთან, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს სასამართლო, რომლის განსჯადიცაა ეს განცხადება (საქმე), ანუ, რომელსაც უნდა მიმართოს განმცხადებელმა.

განქორწინების საქმეთა განსჯადობა. გვაროვნული განსჯადობის მიხედვით, ამ საქმეთა განხილვა ხდება მაგისტრატი მოსამართლის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განქორწინების მოთხოვნას ახლავს მეუღლეებს შორის დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე. ასეთ დროს საოჯახო სამართლებრვი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის განხილვა ხდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში.

რაც შეეხება განქორწინების საქმეთა ტერიტორიულ განსჯადობას, აღნიშნული (და საერთოდ ოჯახური დავების განსჯადობა) მოწესრიგებულია (დადგენილია) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური (მე-19) მუხლით. ამ მუხლით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, განქორწინების სარჩელი უნდა აღიძრას სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს, მიუხედავად იმისა, მეუღლეები ერთად ცხოვრობენ თუ ცალ-ცალკე. თუ მეუღლეებს სარჩელის შეტანის დროისთვის ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნიათ, სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს მოპასუხედ აღნიშნულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ იმას, ვინც მოპასუხედ უნდა დასახელდეს, არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზემოაღნიშნული განსჯადობის წესებით განიხილება იმ პირთან განქორწინების საქმეებიც, რომლებიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით. მაგრამ აქ მხედველობაშია ისეთი შემთხვევები, როცა პირი მსჯავრდებულია სამ წელზე ნაკლები ვადით, ე.ი. როცა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საროში განქორწინების გამარტივებული წესი. თუ მეუღლეებს არ ჰქონდათ ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი, მაშინ სარჩელი წარდგენილ

უნდა იქნეს მსჯავრდებამდე პირის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მართალია, ოჯახური დავების განსჯადობა სსსკ მე-19 მუხლითაა დადგენილი, მაგრამ ამ საქმეთა განსჯადობის განსაზღვრა მხოლოდ ამ ნორმით როდი ამოიწურება. მაგალითად, განქორწინების სარჩელი შეიძლება აღიძრას იმ პირის მიმართ, რომლის საცხოვრებელი ადგილიც უცნობია. ასეთ შემთხვევაში სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსსკ მე-15 მუხლი).

თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით განხილულ იქნეს სასამართლოში მისი საცხოვრებლის მიხედვით, ამასთან, ანალოგიურ ნორმაში, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობაც, რომლის გამოც მას არ შეუძლია მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოში გამოცხადება, რაც ასევე ცალკე საფუძველია საქმის მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსახილველად.

განქორწინების საქმეებზე სასამართლო არ მიიღებს ასევე სარჩელს, თუ იმავე დავაზე (ე.ი. დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანსა და იმავე საფუძვლით) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ (186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი).

აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება „ავტომატურად" თქვას უარი განქორწინების სარჩელის მიღებაზე, თუ, ვთქვათ, ადრე ერთ-ერთ მეუღლეს უარი განუცხადა განქორწინებაზე ან ადგილი ჰქონდა სარჩელზე უარის თქმას. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები იგივე პირები (მეუღლეები) არიან და დავის (სარჩელის) საგანიც (განქორწინების მოთხოვნა) ემთხვევა, იგივეობა ფაქტობრივად აღარ გვაქვს სახეზე სარჩელის ისეთი საფუძვლის შეცვლის გამო, როგორიცაა დროის პერიოდი. ეს აიხსნება საქორწინო-საოჯახო სამართალურთიერთობების განგრძობადი ხასიათით.

განქორწინების საქმეზე დაუშვებელია მხარეთა შორის მორიგების დადება, რამეთუ ზოგადი წესის მიხედვით, არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნებზე არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ურთიერთდათმობებს, რასაც წარმოადგენს სწორედ თავისი ბუნებით (არსით) მორიგება.

რაც შეეხება სსსკ 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ", „ვ", „ზ", „თ" ქვეპუნქტებში მითითებულ საფუძვლებს, ისინი განქორწინების სარჩელების მიმართ გამოიყენებიან რაიმე ცვლილებისა და თავისებურების გარეშე.

განქორწინების საქმეთა მომზადების თავისებურებანი. საოჯახო საქმეთა მომზადების ერთ-ერთი თავისებურება დადგენილია სსსკ 354-ე მუხლით, რომლის თანახმადაც სასამართლოს მატერიალური ნორმების გათვალისწინებით შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს საქმეზე დასადგენ გარემოებათა (ანუ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების) წრე მოცემული საქმის გადაწყვეტის მიზნით, ანუ თვითონ დაადგინოს მტკიცების საგანი საქმეზე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ და რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს (გარემოებებს). მოცემული ნორმა წარმოადგენს სასამართლოს მიერ საოჯახო საქმეთა სწორად განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო გარანტიას და სსსკ-ის 244-ე და 249-ე მუხლებთან სისტემურ კავშირში, რომლებიც სასამართლოს ავალდებულებენ მიიღოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნაზე, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მიუთითოს სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები ამ გარემოებების შესახებ და მოსაზრებები რომელთა გამოც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, არ გულისხმობს და არ უშვებს ნორმის თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას. მოცემული ნორმა

სასამართლოს მიერ პროცესის ხელმძღვანელობის პრინციპიდან გამომდინარეობს და კონსტიტუციის 42-ე მუხლის განხორციელების გარანტიას წარმოადგენს.

ამასთან, სსსკ-ის 354-ე მუხლის განვრცობა და ყველა კატეგორიის საოჯახო საქმეთა განხილვისას გამოყენება არ იქნებოდა მართებული. მაგალითად, საერთო ქონების გაყოფისას, მითუმეტეს როცა პროცესიც რთულდება და მესამე პირი აცხადებს დამოუკიდებელ პრეტენზიას ქონებაზე, სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ იმოქმედებს და ვერ გამოითხოვს მტკიცებულებებს. შესაბამისად, საჭიროა 354-ე მუხლის შეზუდვითი განმარტება. მართალია დასახელებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა უფრო ფართოა, მაგრამ ნორმის მოქმედების არეალი შედარებით ვიწრო უნდა იყოს და ძირითადად ეს ნორმა საოჯახო საქმეებზე მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრება ბავშვთა უფლებები, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციიდან თუ სხვა აქტებიდან გამომდინარე. საერთაშორისო კონვენციები ავალდებულებენ სასამართლოს საქმის გარემოებები თავად დაადგინოს ბავშვის უკეთესი და უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, სასამართლო წყვეტს ცალკეულ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მოცემული საქმის თავისებურებების გამო (მაგალითად, საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა სასარჩელო მოთხოვნათა გაერთიანება ან გამოყოფა, შეგებებული სარჩელის მიღება).

ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: ზოგადად საქმის მომზადების მიზანია დაჩქარდეს საქმის განხილვა და შესაძლებელი გახდეს ერთ სასამართლო სხდომაზე განხილვის დამთავრება (მუხლი 200). მაგრამ როცა საუბარია განქორწინების საქმეზე, ასეთ დროს საქმის დაჩქარება არ შეიძლება იყოს საქმის მომზადების მიზანი. ამ საკითხში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მატერიალური სამართლის ნორმაც (იხ. სკ-ის 1127-ე მუხლი), რომელიც საშუალებას აძლევს სასამართლოს გადადოს საქმის განხილვა არაუმეტეს 6 თვის ვადით, მეუღლეთა შერიგების მიზნით.

განქორწინების საქმის მონაწილენი. საქმის მონაწილე პირების შემადგენლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, განქორწინების საქმესთან ერთად აღძრულია თუ არა სხვა მოთხოვნებიც, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს განქორწინების საქმესთან ერთად ერთ პროცესში.

თუ, მაგალითად, აღძრულია მხოლოდ განქორწინების მოთხოვნა, მაშინ საქმის მონაწილეთა შემადგენლობა მოიცავს და განისაზღვრება მხოლოდ მეუღლეებით, როგორც სადავო სამართალურთიერთობის მხარეებით. თუ განქორწინების სარჩელი აღძრა მხარდაჭერის მიმღები მეუღლის მხარდამჭერმა, მაშინ არც ამით იცვლება საქმის მონაწილე პირთა შემადგენლობა, რამეთუ მეურვე გამოდის ქმედუუნარო მეუღლის სახელით და ინტერესის დასაცავად. ამ შემთხვევაში მოსარჩელეა ქმედუუნარო მეუღლე, ხოლო მეურვე – მისი კანონიერი წარმომადგენელი.

თუ განქორწინების სარჩელთან ერთად აღძრულია სხვა მოთხოვნებიც, მაშინ, შესაძლოა, საქმის მონაწილეთა შემადგენლობა გაფართოვდეს, მაგალითად, თუ აღძრულია დავა შვილების (ბავშვების) შესახებ (ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ), მაშინ საქმეში მონაწილეობის მისაღებად, შესაძლოა, ჩაებას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც ვალდებულია გამოიკვლიოს ბავშვისა და მშობლების საცხოვრებელი (საბინაო) პირობები, რომელთაც პრეტენზია აქვთ ბავშვის აღზრდაზე, აგრეთვე იგი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს გამოკვლევის აქტი და მასზე დაფუძნებული დასკვნა აღძრული დავის შესახებ. ბავშვების შესახებ დავაში ასევე შეიძლება ჩაებას საბავშვო ბაღის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და ა.შ.

სასარჩელო მოთხოვნათა გაერთიანება და გამოყოფა განქორწინების საქმეში, შეგებებული სარჩელის აღძვრა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს „სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად". ეს ნორმა უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის 182-ე მუხლთან კავშირში, რომლიდან გამომდინარეც მოსარჩელეს შეუძლია თავისი ინიციატივით ერთ სასარჩელო განცხადებაში გააერთიანოს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მოთხოვნა. შესაბამისად, განქორწინების მოთხოვნასთან ერთად შეიძლება აღძრულ იქნეს მხოლოდ საქორწინო-საოჯახო სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნები და ეს მოთხოვნები დაკავშირებულ უნდა იქნეს განქორწინების სარჩელთან. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სსსკ 355-ე მუხლში მითითებული მოთხოვნები: ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე შრომისუუნარო მეუღლისათვის, რომელსაც დახმარება სჭირდება, მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ; შვილების მიმართ მშობელთა ზრუნვის შესახებ, ანუ შვილების აღზრდაში იმ მშობლის მონაწილეობის წესის განსაზღვრის შესახებ, რომელიც ცალკე ცხოვრობს; მცირეწლოვანი ბავშვის (კანონის ამ სიტყვების ნაცვლად, ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა ჩაწერილიყო „არასრულწლოვანი ბავშვის" რადგან მატერიალური სამოქალაქო კოდექსის თანახმად მცირეწლოვანი უფრო ვიწრო ცნებაა და მოიცავს 7 წლამდე ასაკის პირს) შენახვის (მისთვის ალიმენტის გადახდის) ვალდებულება; ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის და სხვ. გარდა ამ მუხლში მითითებული მოთხოვნებისა, განქორწინების სარჩელთან ერთად შეიძლება აღიძრას მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის შესახებ მოთხოვნა, ასევე საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილობის მოთხოვნა, რამეთუ ასეთი მოთხოვნები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. განქორწინების სარჩელთან ერთად შეიძლება განხილულ იქნეს ქორწინების ბათილად ცნობის სარჩელი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოთხოვნის დაყენება შესაძლებელია ქორწინების განმავლობაშიც, ანუ ამ მოთხოვნათა გადაწყვეტა და შესაბამისი ურთიერთობების განსაზღვრა შესაძლებელია მეუღლეთა განქორწინების გარეშეც, უფრო სწორედ, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

თითოეული ზემოჩამოთვლილი მოთხოვნა მოპასუხე მეუღლემ შეიძლება აღძრას შეგებებული მოთხოვნის (შეგებებული სარჩელის) სახით. თუ ეს მოთხოვნები უკვე აღძრული არ არის მოსარჩელის მიერ, მაშინ მოსამართლე იღებს მათ სსსკ 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობით (თუ შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად, აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება). შესაძლებელია მოსამართლემ ზოგი შეგებებული მოთხოვნა მიიღოს 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობით (თუ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას).

მაგალითად, თუ მოსარჩელემ აღძრა არასრულწლოვანი ბავშვების სასარგებლოდ ალიმენტების გადახდევინების მოთხოვნა, მაშინ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი (მოთხოვნა) ამ ბავშვის აღსაზრდელად მისთვის გადაცემის შესახებ. ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ასევე შეგებებული სარჩელის აღძვრა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის მამის ან დედის ჩანაწერის სადავოდ ქცევის (ბათილად ცნობის) თაობაზე. ორივე ამ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება სრულიად გამორიცხავს ალიმენტების გადახდევინების სარჩელის (მოთხოვნის) დაკმაყოფილებას.

გარდა ამისა, სასამართლოს უფლება აქვს ერთ წარმოებაში განქორწინების სარჩელთან ერთად განიხილოს მოპასუხის შეგებებული სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ. ასეთი მოთხოვნის მიღების პირობა ისაა, რომ ქორწინების ბათილად ცნობის სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხავს თავად განქორწინების მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

როცა განქორწინების სარჩელთან ერთად აღძრულია ბავშვების სასარგებლოდ ალიმენტების გადახდევინების მოთხოვნა, მაგრამ მეორე მხარე სადავოს ხდის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის დედის ან მამის შესახებ ჩანაწერს, სასამართლომ უნდა განიხილოს (იმსჯელოს ამაზე) აღნიშნული მოთხოვნების განქორწინების საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფის საკითხი იმ მიზნით, რომ ცალკე წარმოებაში ერთად იქნეს განხილული ეს მოთხოვნები. მოსამართლეს უფლება აქვს ცალკე წარმოებად გამოყოს ეს საქმე, თუ ცნობს, რომ ასეთი მოთხოვნების ცალკე განხილვა უფრო მიზანშეწონილია (სსსკ 182-ე მუხლი). მაგალითად, თუ მხარეთა შუამდგომლობით მოსამართლის მიერ დანიშნულია ბიოლოგიური ექსპერტიზა, მაშინ ნამდვილად მიზანშეწონილია განქორწინების საქმის განხილვა თანმხლები მოთხოვნების გარეშე.

არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნის აღძვრისას შეიძლება გამოირკვეს, რომ ბავშვი იმყოფება მესამე პირებთან, რომლებიც უკანონოდ ამყოფებენ მას თავისთან და არ სურთ მისი გადაცემა მშობლებისათვის. ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა განუმარტოს მათ ბავშვის აღზრდის შესახებ დამოუკიდებელი მოთხოვნის აღძვრის უფლება. თუ მესამე პირები აღძრავენ ასეთ მოთხოვნას, მაშინ სასამართლოს უფლება აქვს ბავშვების შესახებ დავა ცალკე წარმოებად გამოყოს.

თუ განქორწინების სარჩელთან ერთად აღძრულია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნაც, მაშინ აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა ქონების გაყოფა ეხება მესამე პირთა ინტერესებს, მოსამართლემ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მოცემული მოთხოვნა ცალკე წარმოებად უნდა გამოყოს (სკ-ის 1130-ე მუხლი). ამრიგად, კანონმდებელი ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად ეკიდება განქორწინების საქმეებში მესამე პირთა მონაწილეობის საკითხს. ეს სრულიად გასაგებიცაა. როდესაც სასამართლო წყვეტს (იხილავს) განქორწინების სარჩელს, მათ შორის იმ მოთხოვნებთან ერთად, რომელთა აღძვრაც მასთან ერთად შესაძლებელია, სასამართლო იყენებს საოჯახო სამართლის ნორმებს. განქორწინების პროცესში მესამე პირთა დაშვების შემთხვევაში სასამართლოს მოუწევდა სხვადასხვა სამართალურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვა და გადაწყვეტა, რაც გაართულებდა სასამართლოს მუშაობას.

მტკიცების საგანი განქორწინების საქმეებზე. განქორწინების საქმეთა მომზადების სტადიაზე სასამართლო განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რამეთუ მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრაზე იქნება დამოკიდებული საქმის არსებითად სწორად განხილვა.

მტკიცების საგნად მიჩნეულია:

ა) სარჩელის საფუძვლის ფაქტები, ე.ი. ფაქტები, რომლებსაც, როგორც თავისი მოთხოვნების საფუძველს, ემყარება მოსარჩელე;

ბ) შესაგებლის ფაქტები, ე.ი. ფაქტები, რომლებსაც, როგორც მოსარჩელის მიერ აღძრული მოთხოვნების წინააღმდეგ წამოყენებული შესაგებლის საფუძველს, ემყარება მოპასუხე;

გ) სხვა ფაქტები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

მტკიცების საგანს მოსამართლე განსაზღვრავს მატერიალური სამართლის იმ ნორმებიდან გამომდინარე, რომლითაც წესრიგდება სადავო სამართალურთიერთობა. განქორწინების საქმეთა მიმართ ეს ნიშნავს, რომ მოსმართლემ მტკიცების საგანი უნდა განსაზღვროს იმ ნორმების საფუძველზე, რომლებიც სასამართლოში განქორწინების წესს აწესრიგებს.

განქორწინების ყველა საქმისათვის საერთოა: ქორწინების ფაქტი, განქორწინებაზე მეუღლეთა ურთიერთთანხმობის არარსებობის ფაქტი. სხვა ფაქტები მტკიცების საგანში შედის საქმის კონკრეტული გარემოებებისდა მიხედვით. გარდა ამისა, მტკიცების საგანი, ბუნებრივია, გართულდება, თუ რომელიმე მეუღლე აღძრავს ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს განქორწინების სარჩელთან ერთად.

საოჯახო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძირითად

პრობლემას მტკიცების საგნის განსაზღვრისას მოსამართლე აწყდება იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი მეუღლე არ არის განქორწინებაზე თანახმა. იმდენად, რამდენადაც სარჩელის აღძვრის შემდეგ განქორწინებაზე მოპასუხის თანხმობისას სასამართლოს არა აქვს უფლება გამოარკვიოს განქორწინების მოტივები, ეს მოტივები არ უნდა შევიდეს მტკიცების საგანში. თუ სარჩელის აღძვრის შემდეგაც არ არსებობს მოპასუხის თანხმობა განქორწინებაზე, მაშინ მტკიცების საგანში უნდა შევიდეს ის ფაქტები, რომლებითაც დასტურდება შემდგომში მეუღლეთა ერთად ცხოვრებისა და ოჯახის შენარჩუნების შეუძლებლობა. შესაბამისად, მტკიცების საგანში შევა ის კონკრეტული ფაქტები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს განქორწინების მოთხოვნას. ასეთი კონკრეტული ფაქტი შეიძლება იყოს ლოთობა, ნარკომანობა, ხანგრძლივი დროის (პერიოდის) განმავლობაში მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება, ღალატი, სხვა პირთან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში ყოფნის ფაქტი და ა.შ. სასამართლომ ასევე უნდა გაარკვიოს, აქვს თუ არა შესაგებელი მოპასუხეს სარჩელის წინააღმდეგ და რა მტკიცებულებებით დასტურდება იგი. შესაბამისად, მათი არსებობის დროს, მტკიცების საგანში შედის შესაგებლის ფაქტები.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლემ, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელ გარემოებებს აქვთ საქმისათვის მნიშვნელობა, უნდა განუმარტოს მხარეებს (მეუღლეებს), რომ თითოეულმა მათგანმა უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც, როგორც საფუძველზე, ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ მიზნით მოსამართლემ მხარეებს უნდა განუმარტოს, რა მტკიცებულებებით შეუძლიათ მეუღლეებს მათ მიერ მითითებული გარემოებების დადასტურება. მოსამართლემ მხარეებს უნდა განუმარტოს აგრეთვე, რომ საპატიო მიზეზით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის შეუძლებლობის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ დასახმარებლად შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს.

მოსამართლე მას შემდეგ რაც ცნობს, რომ მან ყველა მოსამზადებელი მოქმედება შეასრულა, სსსკ-ის 207-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით დანიშნავს საქმეს სასამართლო სხდომაზე განსახილველად, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს საქმის განხილვის ადგილისა და დროის შესახებ. ამასთან, მოსამართლემ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოს ორივე მეუღლის გამოცხადება სასამართლო სხდომაზე. სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ არ ეცნობება მხოლოდ ქმედუუნარო მეუღლეს, რომლის ინტერესების დასაცავადაც განცხადება შეიტანა მისმა მეურვემ. თვით ქმედუუნარო მეუღლის მეურვეს აუცილებლად უნდა ეცნობოს მთავარი სხდომის ადგილისა და დროის შესახებ.

მთავარ სხდომაზე განქორწინების საქმის განხილვის თავისებურებანი. სსსკ 352-ე მუხლის თანახმად, საქორწინო და საოჯახო საქმეების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები იმ დამატებების (თავისებურებების) გათვალისწინებით, რა თავისებურებებიც საოჯახო საქმეთა განხილვისთვისაა ამავე კოდექსის შესაბამისი თავით დადგენილი. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ წესში" იგულისხმება სამოქალაქო საქმეთა განხილვის საერთო (სასარჩელო წარმოებით დადგენილი) წესი, რომელიც სრულად კი არ ვრცელდება საოჯახო საქმეთა მიმართ, არამედ ვრცელდება შესაბამისი თავით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ საქორწინო-საოჯახო სამართალურთიერთობათა თავისებურებებმა არ შეიძლება ასახვა არ ჰპოვოს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ზოგიერთ სპეციფიკაზე, ანუ საქორწინო-საოჯახო სამართალურთიერთობათა თავისებურებანი ვლინდება საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებში (სპეციფიკაში). ზოგიერთ თავისებურებას საქმის განხილვის საერთო წესიც კი ითვალისწინებს და არა მხოლოდ უშუალოდ XLIII თავი. მხედველობაში გვაქვს სსსკ-ის 2171 მუხლი, რომელიც მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესუალურ თავისებურებას ეხება.

განქორწინების საქმის განხილვის ვადები. სსსკ 59-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, განქორწინების საქმე, ისევე როგორც ნებისმიერი სამოქალაქო საქმე სასამართლომ უნდა განიხილოს არა უგვიანეს ორი თვის განმავლობაში განცხადების მიღების დღიდან. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც განქორწინების სარჩელთან ერთად აღძრულია ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნის განხილვისათვის დაწესებულია (გათვალისწინებულია) შემცირებული (ერთთვიანი) ვადა.

მთავარი სხდომის ჩატარების წესი. ზოგადი წესის თანახმად, ყველა სასამართლოში ყველა სამოქალაქო საქმე განიხილება ღია სხდომაზე. თუმცა სსსკ მე-9 მუხლი ითვალისწინებს დახურულ სხდომაზე საქმის განხილვის შესაძლებლობას სასამართლოს მოტივირებული განჩინების საფუძველზე საქმის მონაწილეთა ცხოვრების ინტიმური მხარეების შესახებ ცნობების გახმაურების თავიდან აცილების მიზნით. სწორედ განქორწინების საქმეებზე შეიძლება რეალურად წარმოიშვას ამის აუცილებლობა, რამეთუ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები, პირველ ყოვლისა, პირადული (პირადი) ხასიათისაა.

დახურულ სხდომაზე ამ საქმეთა განსახილველად მხარეებმა (ან ერთ-ერთმა მათგანმა) მოტივირებული შუამდგომლობით უნდა მიმართონ სასამართლოს.

სასურველია, რომ განქორწინების საქმე ორივე მეუღლის თანდასწრებით განიხილებოდეს, რამეთუ საოჯახო ურთიერთობათა პირადი ხასიათი სასამართლოს ავალდებულებს საქმის გარემოებების შესახებ მოისმინოს ორივე მეუღლის აზრი. ამასთან, განქორწინების საქმეებზე არ არის გამორიცხული ამ საქმეთა დაუსწრებელი წარმოების წესით განხილვის შესაძლებლობა. მით უმეტეს, რომ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთ-ერთი მეუღლე შეგნებულად არ ცხადდება სასამართლო სხდომაზე, რამეთუ არ სურს მეორე მეუღლესთან შეხვედრა და სხვ.

მტკიცება განქორწინების საქმეებზე. სარჩელის აღძვრის შემდეგ განქორწინებაზე მოპასუხის თანხმობის არსებობისას სასამართლო ახდენს განქორწინებას განქორწინების მოტივების გამორკვევის გარეშე. ფაქტობრივად ამ შემთხვევაში სასამართლოს ისეთივე როლი აკისრია, როგორიც სტს-ს. სასამართლომ არ უნდა გამოარკვიოს განქორწინების მიზეზები, შესაბამისად, მას არ შეუძლია გამოიყენოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად, რამეთუ გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლომ არ იცის მეუღლეთა უთანხმოების მიზეზები, მისთვის ძნელი იქნება ამ მიზეზების თავიდან აცილების შესაძლებლობის განსაზღვრა. განქორწინება ხდება სასამართლოში მხოლოდ იმიტომ, რომ სარჩელის აღძვრამდე მოპასუხე თავს არიდებდა განქორწინებას.

ასეთ შემთხვევებში სასამართლოს ამოცანაა გამოარკვიოს, მიაღწიეს თუ არა მეუღლეებმა შეთანხმებას იმის თაობაზე, თუ მეუღლეთაგან რომელთან იცხოვრებენ არასრულწლოვანი შვილები და რა წესით და ოდენობით გადახდება მათ სასარგებლოდ ალიმენტი ცალკე მცხოვრებ მეუღლეს. თუ მეუღლეებმა წარადგინეს ასეთი შეთანხმება, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მისი შესაბამისობა შვილების ინტერესებთან. თუ შეთანხმება შეესაბამება არასრულწლოვანი შვილების ინტერესებს, სასამართლო ამტკიცებს მას თავისი გადაწყვეტილებით. თუ შეთანხმება მიღწეული არ არის ან წარდგენილი შეთანხმება ეწინააღმდეგება შვილების ინტერესებს, მაშინ სასამართლო ვალდებულია თვითონ გადაწყვიტოს ეს საკითხები მთავარ სხდომაზე და გამოიტანოს მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილება.

ამ მიზნით მთავარ სხდომაზე ხდება ქორწინების მოწმობის, ბავშვების დაბადების მოწმობის, შვილების შესახებ წერილობითი შეთანხმების, მხარეთა მატერიალური მდგომარეობის შესახებ ცნობის, ბავშვისა და მშობლების საცხოვრებელი პირობების გამოკვლევის (შემოწმების) აქტების, დავასთან დაკავშირებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის, მშობელთა პიროვნების დამახასიათებელი დოკუმენტებისა და მხარეთა მიერ

წარდგენილი სხვა წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა.

ეს დოკუმენტები შეიძლება გამოკვლეულ იქნეს განქორწინების ყველა საქმეზე იმ მეუღლეთა შორის, რომელთაც ჰყავთ საერთო არასრულწლოვანი შვილები.

თუ არ არსებობს განქორწინებაზე ერთ-ერთი მეუღლის თანხმობა, მაშინ სასამართლოს სხვა როლი ეკისრება, ვინაიდან კანონმდებელი ადგენს მხოლოდ განქორწინების ზოგად საფუძველს – სასამართლომ უნდა დაასკვნას, რომ შემდგომში მეუღლეთა ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. ერთი მხრივ, ეს სრულიად გასაგებიცაა, რამეთუ ცხოვრებისეული სიტუაციები იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია ამომწურავად განისაზღვროს განქორწინების საფუძვლები, მეორე მხრივ კი, მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, სასამართლოსათვის საკმარისი არ უნდა იყოს. ყოველივე ეს სასამართლოს აკისრებს დიდ პასუხისმგებლობას, რამეთუ სასამართლო დასკვნამ ოჯახის შენარჩუნების შეუძლებლობის ან, პირიქით, იმის შესახებ, რომ მეუღლეთა შორის უთანხმოება დროებითია, შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს მეუღლეთა და მათი საერთო არასრულწლოვანი შვილების შემდგომ ბედზე. ბუნებრივია, რომ საქმის სწორად განსახილველად ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ოჯახში არსებული უთანხმოების ნამდვილი მიზეზების დადგენა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევის დროს სასამართლო არ უნდა დასჯერდეს ერთ რომელიმე მტკიცებულებას, რადგან მოცემული კატეგორიის საქმეებზე კანონმდებელი არ ადგენს შეზღუდვებს ამ სფეროში. პრაქტიკაში მოსამართლეები, როგორც წესი, სჯერდებიან მხოლოდ წერილობით მტკიცებულებებს და მხარეთა ახსნა-განმარტებებს. თუმცა ასეთ საქმეებზე სრულიად მართებულია მოწმეთა ჩვენებების, ექსპერტთა დასკვნების გამოყენება. მაგალითად, ლოთობის, სასტიკად მოპყრობის, ღალატის, ცალ-ცალკე ხანგრძლივად ცხოვრების, სხვა ოჯახის შექმნის ფაქტების დადასტურება შესაძლებელია ნათესავების, მეგობრებისა და მეუღლეთა ნაცნობების ჩვენებებით. შვილების ყოლის შეუძლებლობის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით.

სასამართლო განხილვის გადადება განქორწინების საქმეებზე. განქორწინების საქმეთა თავისებურებანი ამ შემთხვევაში ისაა, რომ საქმის განხილვის გადადების საკითხი წესრიგდება არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგადი ნორმებით (იხილეთ სსსკ 216-ე მუხლი), არამედ აგრეთვე სამოქალაქო (საოჯახო) სამართლის ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 1127 მუხლი), თუმცა კი ეს საკითხი წმინდა საპროცესო ხასიათისაა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სარჩელის აღძვრის შემდეგ განქორწინებაზე მოპასუხე მეუღლის თანხმობის არსებობისას სასამართლო იღებს განქორწინების გადაწყვეტილებას განქორწინების მოტივების გამორკვევის გარეშე. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს არა მხოლოდ უფლება არა აქვს გამოარკვიოს მეუღლეთა განქორწინების მოტივები, არამედ აგრეთვე შესაბამისად არა აქვს უფლება ზომები მიიღოს მათ შესარიგებლად, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, „შეიჭრას" მათს კერძო ცხოვრებაში.

სამოქალაქო კანონის თანახმად, განქორწინების საქმის განხილვისას, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე არ არის განქორწინებაზე თანახმა, სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად. სასამართლოს მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს საქმის განხილვის გადადების უფლება, რისთვისაც სასამართლო მეუღლეებს უნიშნავს შესარიგებელ ვადას ექვსი თვის ფარგლებში, რაც ფორმდება სასამართლოს განჩინებით. ასეთი განჩინების გასაჩივრება არ შეიძლება, რამეთუ იგი არ წარმოადგენს განქორწინების საქმის განხილვის დამაბრკოლებელ ფაქტორს (ანუ არ აფერხებს საქმის შემდგომ მოძრაობას).

ბუნებრივია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლომ ყველა შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს განქორწინებაზე ერთ-ერთი მეუღლის თანხმობა, უნდა დანიშნოს შესარიგებელი ვადა. სასამართლოს ეს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვის

პროცესში დაასკვნის,რომ მეუღლეთა შორის უთანხმოების მიზეზები დროებითი ხასიათისაა და შეიძლება აღმოიფხვრას. ყოველ ცალკეულ შემთხვევებში სასამართლომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით და ერთობლიობაში ყველა მტკიცებულების შეფასების გზით. როდესაც სასამართლო გადადებს განქორწინებისა და შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების საქმის განხილვას მეუღლეთა შერიგების მიზნით, მან უნდა გამოარკვიოს, მონაწილეობს თუ არა მოპასუხე შვილების რჩენაში. თუ სასამართლო დაადგენს,რომ მოპასუხე არ ასრულებს ამ ვალდებულებას,მას უფლება აქვს სსსკ 355-ე მუხლის შესაბამისად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მიიღოს დროებითი განკარგულება (განჩინების სახით) საქმის საბოლოო განხილვამდე მოპასუხისაგან ალიმენტების დროებითი გადახდევინების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი ადგენს მხოლოდ მაქსიმალურ ვადას მეუღლეთა შესარიგებლად, მინიმალურს კი არ უთითებს. ეს შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს განქორწინების კონკრეტული მიზეზებისდა მიხედვით განსაზღვროს გონივრული ვადა მეუღლეთა შესარიგებლად. საქმის გარემოებების მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს მეუღლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით გადადოს საქმის განხილვა რამდენჯერმე, მაგრამ საბოლოოდ დროის პერიოდი, რომელიც მიეცემათ მეუღლეებს შესარიგებლად, არ უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადას.

მხარეთა თხოვნით, მეუღლეთა შესარიგებლად დანიშნული ვადა შეიძლება შემცირდეს. თუმცა ამისათვის მხარეებმა უნდა აცნობონ სასამართლოს იმ მიზეზების შესახებ,რომელთა გამოც ისინი მიზანშეწონილად არ თვლიან შესარიგებელი ზომების შემდგომ გამოყენებას ან შერიგების მიზანს მიღწეულად მიიჩნევენ. თუ სასამართლო მხარეთა მიერ მითითებულ მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს,ის დააკმაყოფილებს შუამდგომლობას,რის თაობაზეც გამოიტანს მოტივირებულ განჩინებას. ამის შემდეგ სასამართლო გააგრძელებს განქორწინების საქმის არსებითად განხილვას, ან შეწყვეტს საქმის წარმოებას.

თუ შესარიგებლად დანიშნულ ვადაში მეუღლეები შერიგდებიან და ამის თაობაზე აცნობებენ სასამართლოს,იგი შეწყვეტს საქმისწარმოებას 272-ე მუხლის საფუძველზე („თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე"). ამ შემთხვევაში არ შეიძლება საქმისწარმოების შეწყვეტა იმ საფუძვლით,რასაც ჩვენ მხარეთა მორიგებას ვუწოდებთ,რამეთუ მეუღლეთა შერიგება და მორიგება სხვადასხვა ცნებებია. ასე მაგალითად,თუ მხარეთა მორიგება უნდა დაამტკიცოს სასამართლომ, მეუღლეთა შერიგებისას ეს საჭირო არ არის.

თუ შესარიგებლად დანიშნული ვადის ამოწურვისას (დამთავრებისას) ორივე ან ერთ-ერთი მეუღლე (იგულისხმება მოსარჩელე) არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, შესაძლებელია სარჩელის განუხილველად დატოვების კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გამოყენება (სსსკ 275-ე მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტები). ეს გარემოებები ადასტურებენ იმას, რომ მოსარჩელემ ან ორივე მხარემ დაკარგა ინტერესი დავის მიმართ და შესაბამისად, დავის არსებითად განხილვას აზრი აღარა აქვს.

თუ შესარიგებლად დანიშნული ვადა ისე გავიდა, რომ მეუღლეები ვერ შერიგდნენ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება. საბოლოო გადაწყვეტილებას ცოლქმრული ურთიერთობების შენარჩუნების ან მათი შეწყვეტის შესახებ მაინც მეუღლეები იღებენ, რამეთუ ეს მათი პირადი საქმეა. თუ მოსამართლე დარწმუნდება შესაბამისი გარემოებების არსებობაში, ის დაამთავრებს საქმის განხილვას და გამოიტანს გადაწყვეტილებას არსებითად, აღძრული მოთხოვნების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების საქმეებზე. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად ფაქტობრივად სასამართლოს არ შეუძლია არ დააკმაყოფილოს განქორწინების სარჩელი. განქორწინების საქმეებზე

შეიძლება შეწყდეს საქმისწარმოება, თუ შესარიგებელმა ზომებმა შედეგი გამოიღო ან განცხადება შეიძლება დარჩეს განუხილველად, თუ მეუღლეები არ გამოცხადდებიან სასამართლო სხდომაზე ან განქორწინების მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, თუ სარჩელის აღძვრის შემდეგ მოპასუხე მეუღლე თანახმა არის განქორწინებაზე ან შესარიგებელი ზომები უშედეგო აღმოჩნდა. ეს სრულიად ცივილიზებული მიდგომაა განქორწინების საკითხის გადაწყვეტისადმი და შეესაბამება ქალისა და მამაკაცის ქორწინებისა და განქორწინების ნებაყოფლობის პრინციპს.

განქორწინების საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი და ეფუძნებოდეს სასამართლო სხდომაზე ყოველმხრივ შემოწმებულ მტკიცებულებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში მითითებულ უნდა იქნეს მეუღლის ქორწინებამდელი გვარი, თუ ეს გვარი მეუღლემ შეიცვალა დაქორწინებისას.

განქორწინების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის თავისებურებები, ძირითადად, ეხება აღწერილობით და სარეზოლუციო ნაწილებს. მაგალითად, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხე მეუღლე არ იყო განქორწინებაზე თანახმა, უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი მეუღლეებს შორის არსებული უთანხმოების მიზეზები, რომელთა გამოც სასამართლო თვლის, რომ შემდგომში მეუღლეთა ერთად ცხოვრება შეუძლებელია და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, ანუ აღწერილობით ნაწილში მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს მეუღლეთა ერთად ცხოვრებისა და ოჯახის შენარჩუნების შეუძლებლობის შესახებ თავისი დასკვნა.

თუ განქორწინების სარჩელთან ერთად განხილული იყო სხვა მოთხოვნებიც, მაშინ აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს თანმხლებ მოთხოვნებზე სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გარემოებები, აგრეთვე მტკიცებულებები, რომელთაც ემყარება სასამართლოს დასკვნები. მაგალითად, თუ სასამართლო განიხილავს მხარეთა მიერ წარდგენილ შეთანხმებას ბავშვების შესახებ დავაზე და დაასკვნის, რომ ის ეწინააღმდეგება არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესებს, მაშინ მან აღწერილობით ნაწილში უნდა მიუთითოს ის გარემოებები, რომელთა გამოც სასამართლო თვლის, რომ შეთანხმება ეწინააღმდეგება ბავშვების ინტერესებს და უნდა დასახელდეს ის მტკიცებულებებიც, რომლებიც ადასტურებენ სასამართლოს დასკვნას ამის შესახებ.

განქორწინების სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნებს მხარეთა ყველა მოთხოვნის შესახებ, რომლებიც აღძრულ იქნა განქორწინების სარჩელთან ერთად განხილვის მიზნით. გარდა ამისა, გადაწყვეტილების მოცემულ ნაწილში უნდა აღინიშნოს ის ცნობები, რომლებიც აუცილებელია საროში განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის, კრებულ: ქორწინების რეგისტრაციის თარიღი; საქმეო ჩანაწერის ნომერი; იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც დაარეგისტრირა ქორწინება; მეუღლეთა გვარები, რომლებიც მიეთითება ქორწინების მოწმობის შესაბამისად.

სსსკ 356-ე მუხლის თანახმად, განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებით, სასამართლო, თუ ამას მოითხოვენ მხარეები სარჩელით, გადაწყვეტს: ა) ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვის; ბ) ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების; გ) ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის გადაცემის; დ) ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის მატერიალური დახმარების გაწევის (რჩენის); ე) მეუღლეთა ურთიერთრჩენის საკითხებს.

განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობისა და მათი შედეგების შესახებ გამოაქვს ერთიანი გადაწყვეტილება. თუ სასამართლო ცალკე გამოყოფს ქორწინების საქმეებიდან

გამომდინარე სხვა საქმეებს, მაშინ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვისა და ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხზე გამოაქვს განჩინება. ასეთი განჩინების მიმართ დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა (356-ე მუხლი).

საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების გამო. სსსკ-ის 353-ე მუხლით გათავლისწინებულია საოჯახო საქმეთა განხილვის კიდევ ერთი თავისებურება – ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქმე უნდა შეწყდეს.

ეს წესი მარტოოდენ განქორწინების საქმეებს როდი შეეხება. მაგალითი: პირველი ინსტანციის სასამართლომ მეუღლის სარჩელის საფუძველზე მიიღო ქორწინების შეწყვეტის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაში მოსარჩელე გარდაიცვალა. მოპასუხე მეუღლემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით და აღნიშნულს მოტივად დაუდო ის, რომ თუკი ქორწინების შეწყვეტის გადაწყვეტილება გაუქმდებაო, მე, როგორც გარდაცვლილი მოსარჩელის მეუღლე და მემკვიდრე, სამკვიდროზე ჩემი უფლების განხორციელებას შევძლებო. ჩვენ არ შევეხებით მოცემული საქმის მატერიალურ მხარეს. საპროცესო კუთხით, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს აპელაციის უფლება ვერ მოესპობა, რამეთუ მოსარჩელე გარდაიცვალა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. უხარვეზო სააპელაციო საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, ეს საჩივარი სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიღოს, შემდეგ გააუქმოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ და შეწყვიტოს საქმის (და არა სააპელაციო) წარმოება სარჩელზე. სხვა მაგალითი: მეუღლე მოითხოვდა ქორწინების დამაბრკოლებელი პირობების (სკ-ის 1120-ე მუხლი) დარღვევით გაფორმებული ქორწინების ბათილად ცნობას და საქმის განხილვისას გარდაიცვალა. ცხადია, საქმე შეწყდება. ეს იმიტომ, რომ დასახელებულ შემთხვევებში დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა, მაგრამ სკ-ის 1143-ე მუხლის შესაბამისად, ასეთი საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება მეუღლეთა გარდა აქვთ იმ პირებსაც, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ ქორწინებით (მაგალითად, შვილს, როგორც მემკვიდრეს პირველი ქორწინებიდან). ე.ი. მართალია საქმე შეწყდა და უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია, მაგრამ შემდგომში შეიძლება აღიძრას ცალკე სარჩელი სხვა დაინტერესებული პირის მიერ იმავე მოთხოვნით. მაგრამ ამგვარი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით.

განქორწინების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების თავისებურებები. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება საროში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან (მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წიგნში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან) და არა სასამართლოს მიერ განქორწინების გადაწყვეტილების გამოტანის ან მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

სასამართლოში განქორწინება ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ამ შემთხვევაში სახელმწიფო რეგისტრაცია ადასტურებს განქორწინებას და საბოლოოდ წყვეტს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს. ამიტომ რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრაცია და განქორწინების მოწმობის მიღება არ შედის იმ იურიდიული ფაქტების შემადგენლობაში, რომლებიც აუცილებელია ქორწინების შეწყვეტისათვის (განქორწინებისათვის). მიუხედავად ამისა, ყოფილი მეუღლეებისათვის განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციას საროში, სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ განქორწინების მოწმობის აღებამდე მათ უფლება არა აქვთ ხელახლა დაქორწინდნენ.

განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულდება ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნით არა უგვიანეს სამი წლის გან-

მავლობაში კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლის დღიდან, საროში რეგისტრაციის საშუალებით.

გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული სახ. ბაჟი (რომლის ოდენობაც განისაზღვრება სახ. ბაჟის კანონის შესაბამისად) განქორწინების საროში რეგისტრაციისათვის. სახელმწიფო ბაჟის კანონის შესაბამისად განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის, მათ შორის მოწმობის გაცემისათვის, განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი. სახ. ბაჟის გადახდის ფაქტი დასტურდება საროში შეტანილ განცხადებაზე თანდართული ქვითრით. განქორწინების გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო თუ საჭიროდ მიიჩნევს რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

§2. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისა და ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი (1158-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსით შემოღებულია ქორწინების განმავლობაში ერთობლივად შეძენილი ქონების ორი სამართლებრივი რეჟიმი — კანონისმიერი და სახელშეკრულებო. კანონი მეუღლეებს (პირებს, რომელთაც აქვთ ქორწინების მიზანი) ანიჭებს ერთ-ერთი სამართლებრივი რეჟიმის არჩევის უფლებას. ქონების კანონისმიერი რეჟიმი მოქმედებს, თუ საქორწინო კონტრაქტით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამრიგად, თვითონ მეუღლეთა უფლებაა, საკუთარი ინტერესებიდან და კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებებიდან გამომდინარე, ორმხრივად (ერთობლივი შეხედულებით) განსაზღვრონ თავიანთი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, შესაბამისად, უარი თქვან (მთლიანად ან ნაწილობრივ) კანონმდებლის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტზე.

მეუღლეთა ქონების კანონისმიერ რეჟიმზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ ზოგადი წესის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი თანასაკუთრებაა.

მოცემული დებულებიდან კანონით დადგენილია ზოგი გამონაკლისი, კერძოდ, კანონით განსაზღვრულია, თუ რომელი ქონება ჩაითვლება მეუღლეთა ინდივიდუალურ ქონებად. ასეთია უსასყიდლო გარიგებებით (ჩუქებით, მემკვიდრეობით, პრივატიზებით) მიღებული ქონება ქორწინების განმავლობაში და სხვ. ქონების გაყოფისას სასამართლოს შეუძლია მეუღლეთა ცალკე ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ქონება აღიაროს თითოეულის საკუთრებად, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა შორის არ მომხდარა განქორწინება კანონით დადგენილი წესით, მაგრამ ფაქტობრივად მათ შორის საოჯახო ურთიერთობები (ქორწინება) შეწყვეტილია (იხ. სკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საქორწინო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 1158-1170-ე მუხლები.

მეუღლეთა ქონების სახელშეკრულებო რეჟიმი წარმოადგენს მათ შორის შეთანხმებით დადგენილ ყველა ან ცალკე აღებული იმ მოძრავი და(ან) უძრავი ქონების, ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების ფლობის, სარგებლობისა და(ან) განკარგვის წესს, რომლებიც შეძენილია რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის პერიოდში. ასეთი რეჟიმი წესრიგდება საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) ნორმებით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თავისთავად ის, რომ მეუღლეებს დადებული აქვთ საქორწინო ხელშეკრულება, არ გამორიცხავს მეუღლეთა შორის დავის წარმოშობის შესაძლებლობას ერთად შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისა და ქონების გაყოფის შესახებ, რისთვისაც მეუღლეებს უფლება აქვთ მიმართონ ნოტარიუსს, ან სასამართლოს. რიგ შემთხვევებში ქონებრივი უფლებების განხორციელების მიზნით მეუღლეები მიმართავენ (მაგ. საქორწინო კონტრაქტის დასადებად) სანოტარო ორგანოს.

უწყებრივი ქვემდებარეობა. საერთო ქონების გაყოფის დროს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ორ შემთხვევას: ერთი, როცა მეუღლეები შეთანხმდნენ ქონების გაყოფის კონკრეტულ ვარიანტზე და, პირიქით, როცა მეუღლეთა შორის არსებობს დავა.

მოძრავი ქონების, რომელიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას, ნებაყოფლობითი გაყოფა არ წარმოადგენს მეუღლეთათვის რაიმე სირთულეს, რამეთუ ასეთი გაყოფა ხდება რაიმე დამატებითი პროცედურის გარეშე.

რეგისტრაციას დაქვემდებარებული სხვა მოძრავი და უძრავი ქონების გასაყოფად აუცილებელია მხარეთა ნების გამოვლენის წერილობით გაფორმება. მაგალითად, თუ წილის (ქონების ნაწილის) განსაზღვრის ობიექტია უძრავი ქონება, მეუღლეებმა გარიგება წერილობით უნდა დადონ, მათ ასევე შეუძლიათ მიმართონ ნოტარიუსს საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის მისაღებად. ორივე შემთხვევაში საერთო ქონება შესაბამის ნაწილებად იყოფა მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. როცა შეთანხმება (აქტი) გაყოფის შესახებ ფორმდება ხელშეკრულების ფორმით სანოტარო ბიუროში, თითოეულ მეუღლეს მიეცემა მეუღლეთა თანასაკუთრებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა. ამასთან, გამორიცხება წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის შესაძლებლობა, თუ საქორწინო ხელშეკრულებით დადგენილია ქონების ისეთი რეჟიმი, რაც განსხვავდება თანასაკუთრების კანონისმიერი რეჟიმისაგან.

თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, მაშინ წილის განსაზღვრა და ქონების გაყოფა მოხდება სასამართლო წესით. იმის გათვალისწინებით, რომ კანონის შესაბამისად მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა შესაძლებელია როგორც ქორწინების პერიოდში, ისე განქორწინების შემდეგაც ნებისმიერი მხარის მოთხოვნით (სკ-ის 1164-ე მუხლი), მოსამართლეს არა აქვს უფლება არ მიიღოს სარჩელი იმ მოტივით, რომ მეუღლეთა შორის არსებობს ქორწინება.

განსჯადობა. თუ დავის საგანია ერთად შეძენილი მოძრავი ქონების გაყოფა, მაშინ საქმე განხილულ უნდა იქნეს განსჯადობის საერთო წესებით, ე.ი. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსსკ მე-15 მუხლი). უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების (უძრავი ქონების გაყოფის) სარჩელები შეიძლება ქონების (ნივთების) ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სასამართლოს განსჯადი გახდეს (მე-18 მუხლი). თუ გასაყოფია უძრავი ქონების ორი ან მეტი ობიექტი, მაშინ დაუშვებელია მოცემული კატეგორიის საქმეთა გამოყოფა და საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ ერთ-ერთი მათგანის ადგილსამყოფელის მიხედვით.

შეგებებული სარჩელი ქონების გაყოფის შესახებ, მიუხედავად მისი განსჯადობისა, წარედგინება სასამართლოს თავდაპირველი სარჩელის, კერძოდ, განქორწინების სარჩელის განხილვის ადგილის მიხედვით.

საქმის მომზადება. სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანება ერთ წარმოებაში დასაშვებია იმ შემთხვევებში, როცა მოთხოვნათა ხასიათის, მათი ურთიერთკავშირის, საერთო მტკიცებულებების არსებობის გამო საქმე (დავა) უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება. ამიტომ საერთო ქონების გაყოფის საქმეებში დაუშვებელია მორალური ზიანის ანაზღაურების, ალიმენტების გადახდევინებისა და სხვა ამგვარი მოთხოვნების განხილვა.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, განქორწინების დროს სასამართლო ვალდებულია მეუღლეთა (ან ერთ-ერთი მათგანის) მოთხოვნით მოახდინოს მათ საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა. თუ ქონების გაყოფა შეეხება მესამე პირთა ინტერესებს,

სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვს გამოყოს მოცემული მოთხოვნა ცალკე წარმოებად (სკ-ის 1130-ე მუხლი).

აღნიშნული საქმის სწორად განხილვის მიზნით, საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლომ უნდა განსაზღვროს იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებების წრე (მტკიცების საგანი) და დააყენოს ისინი განსახილველად, თუნდაც მხარეებს რომელიმე მათგანზე არ ჰქონდეთ მითითება (სსსკ-ის 354-ე მუხლი).

ქონების გაყოფის საქმეებზე მტკიცების საგანია შემდეგი ფაქტები: 1) მხარეთა ყოფნა რეგისტრირებულ ქორწინებაში; 2) განქორწინება ან საოჯახო ურთიერთობების შეწყვეტა რეგისტრირებული ქორწინების დროს; 3) ერთად შეძენილი ქონების შემადგენლობა (ანუ რა ქონება აქვთ მეუღლეებს) და ღირებულება (ფასი) 4) საქორწინო ხელშეკრულების ან საერთო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმების არსებობა; 5) სხვა გარემოებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ქონების სამართლებრივი რეჟიმის, მეუღლეთა წილების განსაზღვრისა და გარკვეული ქონების ამა თუ იმ მხარისათვის გადაცემის შესახებ საკითხის გადაწყვეტისათვის.

კანონით არ არის დადგენილი მოცემული კატეგორიის საქმეებში რაიმე პრეზუმფციები მხარეთა შორის მტკიცების ვალდებულების განაწილების საკითხში. ამიტომ აქ მოქმედებს მტკიცების ზოგადი წესი (102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

მხარეთა ყოფნა რეგისტრირებულ ქორწინებაში აუცილებელი პირობაა მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების საერთო ქონებად აღიარებისათვის. ქონების გაყოფის შესახებ დავა იმ პირთა შორის, რომლებსაც საოჯახო ურთიერთობები აქვთ დამყარებული ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, უნდა გადაწყდეს საერთო წილობრივი საკუთრების და არა მეუღლეთა თანასაკუთრების მომწესრიგებელი ნორმებით. (წესებით) ამდენად, თუ მხარეებს შორის იურიდიულად არ არის ქორწინება გაფორმებული, მათ შორის წარმოშობილ სადავო სამართალურთიერთობებზე საქორწინო საოჯახო კანონმდებლობა არ ვრცელდება (საოჯახო სამართლის შესაბამისი ნორმებით ეს სადავო ურთიერთობები არ წესრიგდება), ხოლო შეძენილი ქონება ამ პირებს შეიძლება ეკუთვნოდეთ საერთო საკუთრების უფლებით. ამიტომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ, შესაძლოა, მხარეებს ქონება ეკუთვნოდეთ საერთო საკუთრების უფლებით, მაგრამ თავისთავად ეს გარემება არ არის საფუძველი საერთო ქონებაში ამ პირთა წილების თანაბრობის ასაღიარებლად. იმ მიზნით, რომ განისაზღვროს, თუ სინამდვილეში რომელ მხარეს რა წილი აქვს საერთო საკუთრებაში, სასამართლომ უნდა დაადგინოს ქონების ღირებულება, გამოარკვიოს, რა გარემოებებშია იგი შეძენილი, ხელფასის, ფულადი სახსრებისა და შრომის რა ნაწილი ჩადო თითოეულმა მხარემ ქონების შესაძენად, მასალების შესაძენად და ა.შ.

რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რისთვისაც მან უნდა წარადგინოს ქორწინების მოწმობის დედანი.

იმის მტკიცების ტვირთი, თუ რა ქონება იქნა შეძენილი ერთობლივად ქორწინების პერიოდში, ასევე მოსარჩელეს აწევს. სარჩელში მან უნდა მიუთითოს ქონების დასახელება, მისი დამახასიათებელი ნიშნები (სახელწოდება, სხვა ინდივიდუადური ნიშნები, რომლებიც კონკრეტულ ობიექტს გამოარჩევს სხვა ობიექტებისაგან), ადგილსამყოფელი, ღირებულება, როდის, ვის მიერ და რა საფუძვლითაა იგი შეძენილი.

იმის დასადასტურებლად (დასამტკიცებლად), რომ მეუღლეებს აქვთ გარკვეული ქონება საერთო საკუთრებაში, მოსარჩელემ შეიძლება წარადგინოს წერილობითი მტკიცებულებები, კერძოდ, უფლებადამდგენი დოკუმენტები – ნასყიდობის, გაცვლის ხელშეკრულებები, საკუთრების უფლების მოწმობა, სასამართლო გადაწყვეტილებისა და მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების ასლი, საჯარო რეესტრის ამონაწერი უძრავ ქონებაზე უფლების კუთვნილების შესახებ, გასაყოფი ქონების აღწერის აქტები. მოძრავ

ნივთებზე საკუთრების უფლების დასადგენად დამატებით შეიძლება ასევე გამოვიყენოთ მოწმის ჩვენება და სხვ.

გასაყოფი ქონების ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო დავის შემთხვევაში – სასამართლოს მიერ, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის საბაზრო ფასებიდან გამომდინარე. ქონების ნამდვილი საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, მოსამართლემ საქმის მომზადების წესით უნდა დანიშნოს ექსპერტიზა (სსსკ 162-ე, 203-ე მუხლები). თუ მოპასუხე მიუთითებს, რომ მასსა და მოსარჩელეს შორის შედგა ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმება, მაშინ მოცემული გარემოების დასამტკიცებლად მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს ქონების გაყოფის შესახებ წერილობითი შეთანხმება ან სანოტარო წესით დამოწმებული საქორწინო კონტრაქტი (ხელშეკრულება).

კანონის თანახმად მეუღლეებს თანაბარი წილი აქვთ საერთო ქონებაში. თუმცა მათი წილი შესაძლებელია იყოს განსხვავებულიც კანონით გათვალისწინებულ სპეციალურ შემთხვევებში და მეუღლეთა შორის არსებული საქორწინო ან სხვა სახის ხელშეკრულებით. წილთა თანაბრობის პრინციპი გამოიყენება მხოლოდ საერთო ქონების მიმართ და არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც თითოეულ მეუღლეს ეკუთვნის ინდივიდუალური საკუთრების უფლებით.

ქონების გაყოფისას სასამართლოს უფლება აქვს გადაუხვიოს წილთა თანაბრობის პრინციპს, გაითვალისწინოს რა არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესები და\ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები, კერძოდ, თუ ერთ-ერთი მეუღლე შრომისუუნაროა ან მეორე მეუღლე საერთო ქონებას ხარჯავდა (ფლანგავდა) ოჯახის ინტერესების საზიანოდ. ამასთან, სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილებაში აღნიშნოს მეუღლეების წილთა თანაბრობის საწყისიდან (პრინციპიდან) გადახვევის მოტივები.

აუცილებლად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ერთ-ერთი მეუღლის წილის გაზრდა საერთო ქონებაში შესაძლებელია მხოლოდ მათი საერთო ქონების ხარჯზე.

არცთუ იშვიათად საერთო ქონების გაყოფა ნატურით სასამართლოს მიერ განსაზღვრული მეუღლეთა წილების ოდენობის (მოცულობის) შესაბამისად შეუძლებელია. ზოგადი წესის მიხედვით, სასამართლოს ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს ერთ-ერთ მეუღლეს გადასცეს ქონება, რომლის ღირებულება აღემატება მის კუთვნილ წილს, მეორე მეუღლეს კი მიაკუთვნოს შესაბამისი ფულადი ან სხვა კომპენსაცია. თუმცა მოცემული დებულება უნდა გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმების გათვალისწინებით. კერძოდ, თუ თანამესაკუთრე არ არის თანახმა მიიღოს კომპენსაცია, სასამართლოს არა აქვს უფლება მოუსპოს (წაართვას) მას საერთო ქონებაზე საკუთრების უფლება, მისი ნების (მისი სურვილის) საწინააღმდეგოდ. ამდენად, მეუღლეთა წადილი უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ. აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საკუთრების უფლება აღიარებული და დაცულია კანონით. მესაკუთრე თავისი შეხედულებისამებრ ფლობს, სარგებლობს და განკარგავს კუთვნილ ქონებას. საკუთრების უფლების ჩამორთმევა (შეწყვეტა) მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ დაუშვებელია, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. როდესაც მხარე დავის გადაწყვეტის დროს მისთვის ფულადი კომპენსაციის მიკუთვნების წინააღმდეგია და მხოლოდ ქონების ნატურით გაყოფაზეა თანახმა, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილება მეუღლისათვის მისი ნების საწინააღმდეგოდ მისი კუთვნილი ნახევრისათვის ფულადი კომპენსაციის მიკუთვნების შესახებ, მისი კანონიერი უფლებების დარღვევაა და უნდა გაუქმდეს.

საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ნატურით გაყოფის ან ამ ქონებიდან წილის ნატურით გამოყოფის შეუძლებლობა არ უსპობს (არ ართმევს) თანამესაკუთრეს უფლებას, მოითხოვოს ასეთი ქონებით სარგებლობის წესის განსაზღვრა, თუ ასეთი წესი არ არის დადგენილი მხარეთა შეთანხმებით.

ზოგჯერ აშკარად შეუძლებელია ქონების ნატურით გაყოფა (ვთქვათ, საცხოვრებელი სახლის, ბინის და სხვ). ასეთ შემთხვევაში, თუ მხარე თანახმაა უარი თქვას ამ ქონებაში მის წილზე, რომლის ნატურით გამოყოფაც შეუძლებელია, მაშინ ის ამის სანაცვლოდ მიიღებს ფულად ან სხვაგვარ კომპენსაციას. თუ მხარე ამაზე არ არის თანახმა, მაშინ მას უფლება აქვს აღძრას სარჩელი (შეცვალოს ქონების ნატურით გაყოფის მოთხოვნა) სადავო ქონებით სარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ. ქონების ნატურით გაყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ქონების გაყიდვა, რის შემდეგაც ამონაგები განაწილდება მხარეთა შორის წილის შესაბამისად (იხ. სკ-ის 964-ე მუხლი). მოცემული კატეგორიის საქმეთა მომზადების სტადიაზე მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს საქმეში მესამე პირთა ჩაბმის (დაშვების) საკითხიც (სსსკ 203-ე მუხლი).

ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფის საქმეებში შეიძლება ჩაებას მესამე პირი როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნით, ისე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშეც. მესამე პირთა დაშვების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ამ პირებს შესაძლოა, თავის მხრივ, საკუთარი მოთხოვნები ჰქონდეთ სადავო ქონებაზე, აგრეთვე სამართლებრივად დაკავშირებულნი იყვნენ მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან.

მესამე პირთა დაშვების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, როცა, მაგალითად, მოდავე მხარე (მეუღლე) გასაყოფი ქონების შემადგენლობის შემცირებისა და შემდგომში ფაქტობრივად ამ ქონების თავისად დანარჩუნების მიზნით მიუთითებს, რომ ნივთები ეკუთვნით თავის ახლობლებს (მშობლებს, და-ძმებს და სხვა). მოცემული გარემოების ყოველმხრივი შემოწმება შეუძლებელია საქმეში ნათესავების მონაწილეობის გარეშე. ამიტომ სასამართლომ უნდა შეატყობინოს მათ საქმისწარმოების შესახებ და განუმარტოს მათი უფლება, აღძრან სარჩელი მოდავე მეუღლეთა მიმართ საკუთრების უფლების ცნობის შესახებ (ეს იქნება მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით).

სასამართლოს გადაწყვეტილება. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი, დასაბუთებული, სრული უნდა იყოს და არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას მისი აღსრულების დროს. ის ყველა აღძრულ მოთხოვნაზე ამომწურავ პასუხს უნდა იძლეოდეს.

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საერთო ქონების გაყოფის დროს სასამართლო განსაზღვრავს, რა ქონება უნდა გადაეცეს თითოეულ მეუღლეს. მოცემული საკითხის გადაწყვეტის დროს ამოსავალი უნდა იყოს მხარეთა ყურადსაღები ინტერესები, კერძოდ: მეუღლის კმაყოფაზე (რჩენაზე) არასრულწლოვანი ბავშვის ყოფნა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე ის, რომ მეუღლე საჭიროებს ამ კონკრეტულ ქონებას და სხვა გარემოებები.

როდესაც სასამართლო წყვეტს ქონებით სარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნას ნატურით მისი გაყოფის შეუძლებლობისას, ის ითვალისწინებს სარგებლობის ფაქტობრივად უკვე არსებულ წესს, რომელიც, შესაძლოა, ზუსტად არც შეესაბამებოდეს საერთო საკუთრების უფლებაში მეუღლეთა წილებს, ითვალისწინებს ასევე იმას, თუ რომელი ქონება ესაჭიროება თითოეულ მესაკუთრეს და ამ ქონებით ერთობლივად სარგებლობის რეალურ შესაძლებლობას.

სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მიკუთვნებული ნივთის ზუსტ აღწერას, კერძოდ: დასახელება, ადგილსამყოფელი (უძრავი ნივთების), მოცულობა, ფერი, მისი სხვა ინდივიდუალური ნიშნები. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული აუცილებელი გახდეს გადაწყვეტილების განმარტება მისი აღსრულების დროს (სსსკ 262-ე მუხლი).

დაუშვებელია კანონის მოთხოვნის იგნორირება გადაწყვეტილებაში ნატურით მიკუთვნებული ქონების ღირებულების მითითების შესახებ (სსსკ 253-ე მუხლი), რამეთუ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების დროს ესა თუ ის ქონება შესაძლოა არ აღმოჩნდეს.

თავი XXIV

წარმოება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით[1] ანდა 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით

ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩადენის გზით მიღებული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის ნორმატიულ ბაზას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გარდა ქმნის **„ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენცია"** (შემდგომში ტექსტში ევროპის კონვენცია); „ევროსაბჭოს კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ" (სტრასბურგი 1990 წელი); ევროსაბჭოს კონვენცია „სამოქალაქო სამართლის კორუფციის" შესახებ (სტრასბურგი 1999); ევროსაბჭოს კონვენცია „სისხლის სამართლის კორუფციის" შესახებ (სტრასბურგი 1990); გაეროს კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" (პალერმო 2000 წელი); გაეროს კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ" (ვენა 2002 წელი) და სხვა.

ევროპის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით, არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი ქონება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოთხოვს და იმ პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით.

ამასთან, დასახელებული ნორმა არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც მას მიაჩნია აუცილებლად ქონების გამოყენებაზე კონტროლის განსახორციელებლად საერთო ინტერესების შესაბამისად, ან გადასახადების გადახდის და სხვა შესატანების და ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. კონვენციით უზრუნველყოფილი სხვა არსებითი მუხლების მსგავსად, სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ქონებით სარგებლობის უფლების განხორციელება ან შეუძლია პიროვნებას ჩამოართვას ქონება „საზოგადოებრივ ინტერესებში და სამართლით გათვალისწინებული პირობების დაცვით", მას შეუძლია აამოქმედოს ისეთი კანონები, რომლებიც აუცილებელია ქონებით სარგებლობაზე კონტროლის განსახორციელებლად საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ან იმ მიზნით რომ უზრუნველყოს სხვადასხვა გადასახადის და მოსაკრებლის ამოღება. ამდენად, დასახელებული მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს გააჩნია თავისუფლად მოქმედების ფართე არეალი. ევროპის სასამართლო „ქონების დაუბრკოლებლად სარგებლობის" შესახებ დებულების განმარტებისას ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონების ჩამორთმევასა და მის გამოყენებაზე კონტროლის დაწესებას. საქმეთა განხილვის დროს ევროპის სასამართლო მოითხოვს სათანადო წონასწორობის დაცვას საზოგადოების ინტერესებსა და პიროვნების ფუნდამენტურ უფლებებს შორის და აღნიშნავს, რომ ქონების ჩამორთმევის, მის სარგებლობაზე შეზღუდვების დაწესებისა და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში სამართლიანობა მოითხოვს, შესაბამის დაზარალებულ ფიზიკურ პირებს მიეცეთ უფლება გაასაჩივრონ ხელისუფლების გადაწყვეტილებები ქონების ჩამორთმევის ან მის

[1] მოცემული მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისათვის.

სარგებლობაზე კონტროლის დაწესების ან კომპენსაციის თაობაზე. კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნები უზრუნველყოფენ „სამართლიან ბალანსს" საზოგადოების ინტერესებს და კერძო პირთა უფლებებს შორის. ამასთან ზომები, რომლებითაც „საზოგადოებრივ ინტერესებში" ხდება საკუთრების ჩამორთმევა, უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზნებს, მათი გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს გონივრული შესაბამისობა მიზანსა და საშუალებებს შორის.

საზოგადოებრივი აუცილებლობის არსებობა თავად საზოგადოების მიერ განისაზღვრება (დგინდება) იმ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია საკუთრების უფლების შეზღუდვა, თუმცა უნდა არსებობდეს „გონივრული საფუძველი" და დაცულ იქნეს პროპორციულობა სახელმწიფო და კერძო ინტერესებს შორის.

ლეგიტიმური სოციალური, ეკონომიკური ან სხვა პოლიტიკის შესაბამისად განხორციელებული ქონების ჩამორთმევა შეიძლება პასუხობდეს „საზოგადოებრივ ინტერესებს" იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზოგადოება პირდაპირ არ იყენებს ჩამორთმეულ ქონებას.

ამრიგად, სსსკ-ის XLIV[1] თავით გათვალისწინებული წარმოება სრულიად პასუხობს ჩვენი საზოგადოების და სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

კონკრეტულად უნდა ითქვას, რომ სსსკ-ის 356[1]-ე მუხლში მოცემულია ტერმინთა ვრცელი ჩამონათვალი. ამ ნორმით განსაზღვრულია თითოეული ტერმინის შინაარსი. ეს ტერმინებია: რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი, თანამდებობის პირი, ადამიანით მოვაჭრე, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით ან/და 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირი, ქურდული სამყაროს წევრი, ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, რეკეტირთან, თანამდებობის პირთან, ქურდული სამყაროს წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დასახელებული მუხლებით მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირი, რეკეტული ქონება, თანამდებობის პირის ქონება, ქურდული სამყაროს წევრის ქონება, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ქონება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით ან/და 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონება, უკანონო ქონება, დაუსაბუთებელი ქონება.

საყურადღებოა, რომ თითოეული ამ ტერმინის მნიშვნელობა (შინაარსი) განსაზღვრულია სწორედ სსსკ-ის XLIV[1] თავის მიზნებისათვის. ამდენად, თუ სახეზე არ იქნება თითოეული მათგანისათვის კანონით განსაზღვრული ნიშნები, მაშინ არ შეიძლება ვისაუბროთ აღნიშნული თავით გათვალისწინებული წარმოების აღძვრის წინაპირობებზე.

356-ე2 მუხლი განსაზღვრავს, თუ ვინ არის სათანადო მოპასუხე მოცემულ საქმეებში (დასახელებული ნორმის მე-2 – მე-7 ნაწილები). ამასთან, მოცემული ნორმა არ განსაზღვრავს სათანადო მოსარჩელეს. მასში მხოლოდ მითითებულია, რომ სარჩელის აღძვრის უფლება გააჩნია პროკურორს. თუმცა ცხადია, რომ პროკურორი მხოლოდ სახელმწიფოს (ან კანონიერი მესაკუთრის) წარმომადგენელია, ვინაიდან იგი სარჩელს აღძრავს სახელმწიფოს (ან კანონიერი მესაკუთრის) ინტერესების დაცვის მიზნით. 356-ე5 მუხლის თანახმად, ქონების რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიული შედეგები დგება სწორედ სახელმწიფოსთვის ან კანონიერი მესაკუთრისთვის. ამდენად, პროკურორი არ შეიძლება ჩაითვალოს მოსარჩელედ. სამოქალაქო პროცესში პროკურორის მონაწილეობის საფუძველია კანონის პირდაპირი მითითება. სარჩელის წარდგენით საქმის აღძვრის შემთხვევაში პროკურორი არ იკავებს მხარის მდგომარეობას (მხარეს არ წარმოადგენს). იმდენად, რამდენადაც პროკურორს კანონი აძლევს სარჩელის შეტა-

ნის უფლებას, პროკურორი სწორედ ამ ფორმით მონაწილეობს სამოქალაქო პროცესში. სახელმწიფო ან კანონიერი მესაკუთრე, რომლის ინტერესების დასაცავადაც გამოდის პროკურორი, იკავებს მოსარჩელის მდგომარეობას, ხოლო პირი ვის, წინააღმდეგაც აღძრა პროკურორმა სარჩელი, იკავებს მოპასუხის მდგომარეობას.

პროკურორი მსგავს შემთხვევებში იკავებს მხოლოდ „საპროცესო მოსარჩელის" მდგომარეობას და ამიტომ ის სრული მოცულობით სარგებლობს მოსარჩელის ყველა საპროცესო უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა საპროცესო მოვალეობა. მაგრამ მის მიმართ არ შეიძლება აღიძრას შეგებებული სარჩელი, იგი სარჩელზე არ იხდის სახ. ბაჟს. მას არ შეუძლია დადოს მორიგება. პროკურორის მიერ შეტანილი სასარჩელო განცხადებაუნდა პასუხობდეს სსსკ-ის 178-ე მუხლით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

მოსამართლე ქონებას ცნობს რეკეტულად, თუ საქმის წარმოების პროცეში, სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე გაირკვა, რომ ქონება მიღებულია რეკეტის შედეგად, იგი წარმოადგენს შემოსავალს რეკეტის შედეგად მიღებული ქონებიდან, შეძენილია რეკეტიდან მიღებული შემოსავლით, ან არ არსებობს რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის ქონების მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება.

მოპასუხის ქონებას მოსამართლე ცნობს უკანონოდ, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე, სასამართლომ გამოარკვია, რომ ქონება ან ამ ქონების შეძენისათვის საჭირო საშუალებები მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდება მტკიცებულებათა წარდგენის და მტკიცების ტვირთის განაწილების წესი მოცემულ საქმეებზე. კერძოდ, როდესაც საუბარია ქონების რეკეტულად ცნობაზე, მოსარჩელეა ვალდებული სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების რეკეტულობის შესახებ. მოსარჩელე ასევე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობის შესახებ (356^3-ე მუხლი).

რაც შეეხება ქონების დაუსაბუთებლად ცნობას, მოსამართლე მოპასუხის ქონებას ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ (356^3-ე მუხლი). ამდენად, ქონების არარეკეტულობის, კანონიერების, ან დასაბუთებულობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება.

პროკურორის მიერ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით XLIV[1] თავი ითვალისწინებს მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების წესს (356^4-ე მუხლი). ამდენად, მოცემული თავი, საერთო წესებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებას ქონებაზე ყადაღის დადების სახით. ყადაღის გამოყენების საფუძველია მონაცემების არსებობა, რომ მოპასუხის მფლობელობაში არსებულ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ, ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ. ჩვენი აზრით, ამ ნორმაში ჯობდა კანონმდებელს გასხვისების ნაცვლად გამოეყენებინა ტერმინი განკარგვა, რადგან თავისი არსით ყადაღა არის განკარგვის აკრძალვა. განკარგვა უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე გასხვისება. აღსანიშნავია, რომ იმ მონაცემების არსებობისას, რომლებიც ყადაღის გამოყენების საფუძველია, კანონი პროკურორს ავალდებულებს განცხადებით მიმართოს სასამართლოს ქონებაზე, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე (უფრო ზუსტი

იქნებოდა კანონმდებელს აქ საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებზე ყადაღის დადებაზე გაემახვილებინა ყურადღება, ვინაიდან თავად ანგარიშის დაყადაღება გულისხმობს ბრუნვის გაჩერებას აღნიშნულ ანგარიშზე) ყადაღის დადების თაობაზე.

თუ სასამართლომ 356[3]-ე მუხლის შესაბამისად ქონება ცნო რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, დგება 356[5]-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული შედეგები, კერძოდ: ასეთი ქონება მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთვევაში – სახელმწიფოს. მესამე პირში, ანუ კანონიერ მესაკუთრეში იგულისხმება ნებისმიერი ის პირი ან მისი უფლებამონაცვლე, ვისი საკუთრების ხელყოფაც მოხდა მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედების გამო. მაგალითად, რეკეტის შედეგად წაერთვა წილზე ან სხვა ქონებაზე საკუთრების უფლება. თუ ქონების რეკეტულობა, უკანონობა ან დაუსაბუთებლობა ნაწილობრივ დასტურდება, მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს გადაეცემა მოპასუხის ქონების ის ნაწილი, რომლის არარეკეტულობას, კანონიერებას ან დასაბუთებულობას მოპასუხე სასამართლო წესით ვერ დაადასტურებს.

როდესაც შეუძლებელია რეკეტული, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების პირვანდელი მდგომარეობით კანონიერი მესაკუთრისათვის ან სახელმწიფოსათვის დაბრუნება, მოპასუხეს დაეკისრება ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის გადახდა (3565-ე მუხლი). მოცემულ ნორმაში იგულისხმება არა საერთოდ ქონების ნატურის სახით დაბრუნების შეუძლებლობა, არამედ ქონების პირვანდელი მდგომარეობით დაბრუნების შეუძლებლობა. ამდენად, შესაძლებელია ქონება საერთოდ აღარ არსებობდეს მოპასუხის ხელში, ან არსებობდეს, მაგრამ არა პირვანდელი სახით (მაგალითად დაზიანებულია, შეიძინა კეთილსინდისიერმა შემძენმა და სხვა). ორივე შემთხვევაში მოპასუხეს ეკისრება ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის გადახდა. ნორმაში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად როგორ უნდა იქნეს განსაზღვრული ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხა. ასეთ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელია ქონების ღირებულების განსაზღვრა (ექსპერტის დასკვნა და სხვა). ამასთან, იგულისხმება ქონების საბაზრო ღირებულების ეკვივალენტური თანხა საქმის განხილვის (გადაწყვეტილების გამოტანის) დროისათვის.

სასამართლოს გადაწყვეტილება რეკეტული, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თავისებურებით ხასიათდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ამ საქმეებზე. კერძოდ, ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული სქმეების განხილვისას, როდესაც გამოცხადდა მოპასუხის ძებნა, არ გამოიყენება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი. ასეთ დროს გამოიყენება სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების (შეტყობინების) სსსკ-ის VIII თავით დადგენილი წესი. სპეციფიკურია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესიც: მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში. მხარეს უფლება აქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე მხარის ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ან საკონსულო წესით. ე.ი. საერთო წესით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისაგან განსხვავებით, რომელიც ითვალისწინებს მისი გადასინჯვის (კორექტირების) შესაძლებლობას იმავე სასამართლოს მიერ, რომელმაც ეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა XLIV[1] თავით გათვალისწინებულ საქმეებზე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო (საკასაციო) წესით.

დაბოლოს, კანონი განსაზღვრავს XLIVI თავით გათვალისწინებულ საქმეებზე სარჩელის აღძვრის ვადას. კერძოდ, ქონების ჩამორთმევის სარჩელის აღძვრის უფლება პროკურორს აქვს 10 წლის ვადაში მოპასუხის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან (356[2]-ე მუხლი). მართალია მოცემულ ნორმაში საუბარია ,,სარჩელის აღძვრის'' უფლებაზე, მაგრამ კანონი არ ითვალისწინებს ამ ვადის გასვლის შემდეგ სარჩელის აღძვრის პროცესუალურ შედეგებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ კანონი გულისხმობს არა თავისთავად სარჩელის აღძვრის დამაბრკოლებელ ფაქტორს ვადის სახით, არამედ სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამდენად, 10 წლიანი ვადის გასვლა სარჩელის აღძვრისა და სასამართლოს მიერ მისი წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი ფაქტორი კი არ არის, არამედ მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

თუ სასამართლო დაადასტურებს, რომ მოპასუხის მფლობელობაშია უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება და სასამართლო პროცესის მსვლელობისას რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით ან/და 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები, პროკურორი იწყებს სისხლის სამართლებრივ დევნას მის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში სამართალწარმოება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (356[7]-ე მუხლი). ეს ნიშნავს, რომ მოპასუხეს ქონება ჩამოერთმევა სისხლის სამართალწარმოების და არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

თავი XXV

წარმოება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით

მოცემულ წარმოებაში საუბარია მხოლოდ იმ საქმეების განხილვაზე, რომლებიც აღძრულია პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად (შემდგომში ტექსტში დაკავშირებული პირი) ცნობის თაობაზე. საქმის აღძვრის მიზანია დაკავშირებული პირის ქონებაზე აღსრულების მიქცევა, ვინაიდან ვერ ხერხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. კერძოდ, 3569-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 6 თვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. მოსამართლე პირს ცნობს დაკავშირებულ პირად, თუ სათანადო მტკიცებულლებათა შეფასების საფუძველზე გაირკვა, რომ არსებობს ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები (აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება პირი დაკავშირებულ პირად). მოსარჩელე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან მოპასუხის კავშირს.

კანონი განსაზღვრავს აღნიშნული წარმოების (სარჩელის დაკმაყოფილების) იურიდიულ შედეგებს. კერძოდ: დაკავშირებულ პირად ცნობა იწვევს მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის გადახდევინების (ქონების ჩამორთმევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში – ეკვივალენტური ღირებულების ქონების ჩამორთმევის ან თანხის გადახდევინების) აღსრულების მიქცევას დაკავშირებული პირის ქონებაზე. ეს ნიშნავს, რომ თუ მსჯავრდებულ პირს გადაწყვეტილებით ჩამოერთვა აკრძალული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ქონება და ვერ ხერხდება მის მიმართ აღსრულება, მაშინ დაკავშირებულ პირს ჩამოერთმევა ეკვივალენტური ღირებულების ქონება, ხოლო თუ ამგვარი ქონება არ არსებობს, მაშინ მოხდება თანხის გადახდევინება. ამასთან, დაკავშირებული პირის ქონებაზე აღსრულების მიქცევა, არ გამორიცხავს მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო წესით პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც მსჯავრდებულ პირს, ისე დაკავშირებულ პირს.

თუ არსებობს მონაცემები დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებული ქონების გადამალვაზე ან დახარჯვაზე, ანდა სხვაგვარად გასხვისებაზე, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს მიმართოს განცხადებით ამ ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე.

დაკავშირებულ პირად ცნობის საქმეების განხილვისას, როდესაც გამოცხადდა დაკავშირებული პირის ძებნა, არ გამოიყენება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ'' ქვეპუნქტი.

მხარეს (იგულისხმება ერთ-ერთი მხარე),რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში. მხარეს უფლება აქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე მხარის ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ან საკონსულო წესით. დაკავშირებული პირის ძებნის გამოცხადების შემთხვევაში (356[11]-ე მუხლი) გამოიყენება სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების (შეტყობინების) სსსკ-ის VIII-ე თავით დადგენილი წესი.

თავი XXVI

სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში

ქონებრივი დავა მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა განიხილოს არბიტრაჟმაც. ამდენად, საარბიტრაჟო პროცედურა, ქონებრივ დავებთან მიმართებაში, სასამართლო პროცედურის ალტერნატივაა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა უშვებს ამგვარ ალტერნატიულ პროცედურას, საქმის განხილვა არბიტრაჟში არ შეიძლება გარკვეული დოზით არ კონტროლდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან. ეს აუცილებელია არბიტრაჟის უკანონო ქმედებებისაგან საარბიტრაჟო დავის მონაწილე მხარეთა უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ამით არის განპირობებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების არსებობა რომლებიც საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში სასამართლოს მონაწილეობის საკითხს აწესრიგებს (კარი მეშვიდე1). აღნიშნული კარი აერთიანებს ისეთ თავებს, როგორიც არის არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებანი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და სააღსრულებლო ფურცლის გაცემა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება.

არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეები განიხილება სსსკ-ის საერთო ნორმებით დადგენილი წესებით მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

356^{13}-ე მუხლის თანახმად სასამართლო განიხილავს არბიტრაჟთან დაკავშირებულ ისეთ საქმეებს, როგორიც არის: არბიტრაჟის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მტკიცებულებათა მოპოვებასა და მოწმის დასწრების უზრუნველყოფაში სასამართლოს დახმარების შესახებ, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობის, აღსრულებისა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესახებ, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა საქმეებს. ამავე დროს დასახელებული ნორმა ადგენს გვარეობითი განსჯადობის წესს, ე.ი. ადგენს ზემოაღნიშნული სახის საქმეთაგან თუ რომელი ექვემდებარება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოში ან საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხილვას. საპროცესო კოდექსში ცალცალკეა განხილული არბიტრაჟის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის, არბიტრაჟის კომპეტენციის, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობისა და აღსრულების, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის, მტკიცებულებათა მოპოვებასა და მოწმის დასწრების უქრუნველყოფაში სასამართლოს დახმარების შესახებ საქმეთა განხილვის პროცედურები.

ცალკე თავი ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოაქვს სააპელაციო სასამართლოს. საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საქმეს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოიტანება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. ამ საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს შეუძლია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები: მთლიანად დააკმაყოფილოს საარბიტრაჟო

გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობა; მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილოს ნაწილობრივ (მაგალითად ძირითადი თანხის ნაწილში, ხოლო პირგასამტეხლოს ნაწილში შეამციროს არბიტრაჟის მიერ დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა); უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ სასამართლო იღებს განჩინებას. ამ განჩინებასთან ერთად მხარეს ეძლევა სააღსრულებო ფურცელი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გამოტანილი განჩინება (მათ შორის მაშინ, როდესაც ის მიღებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ) საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ეს ნიშნავს, რომ ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან. ჩვენი აზრით, აღნიშნული დანაწესი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება,რაგდან პირს უსპობს გასაჩივრების უფლებას.

სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით. ეს საქმეები ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოებში განხილვას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის სახეზე უნდა იყოს „არბიტრაჟის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლები.

თავი XXVII

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი[1]

მოცემულ საქმეზე განმცხადებელია (მოსარჩელეა) ნებისმიერი პირი ან ორგანო რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ბავშვთან ურთიერთობის უფლება ნიშნავს ბავშვის განსაზღვრული დროით წაყვანას ისეთ ადგილას რომელიც არ არის მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. ხოლო ბავშვის არამართლზომიერ გადაადგილებაში ან არამართლზომიერ დაკავებაში იგულისხმება პირისათვის ან ორგანოსათვის ერთობლივად ან ინდივიდუალურად მიკუთვნებული მეურვეობის უფლების დარღვევა რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით სადაც ბავშვი ჩვეულებრივ, ცხოვრობდა უშუალოდ არამართლზომიერ გადაადგილებამდე ან არამართლზომიერ დაკავებამდე და რომელიც გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ფაქტობრივად გამოიყენებოდა ერთობლივად ან ინდივიდუალურად ან/და ამგვარად გამოყენებულ იქნებოდა, რომ არა არამართლზომიერი გადაადგილება ან არამართლზომიერი დაკავება. თავის მხრივ მეურვეობის უფლება ეს არის უფლება რომელიც შეეხება ბავშვზე მზრუნველობას და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას. ითვლება, რომ პირი ან ორგანო ახორციელებს მეურვეობას, თუ ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა საქართველოში ან ზემოთ ხსენებული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში მის არამართლზომიერ გადაადგილებამდე ან არამართლზომიერ დაკავებამდე და ეს პირი ან ორგანო ახორციელებდა მეურვეობას ერთობლივად ან ინდივიდუალურად, საქართველოს ან კონვენციის ხელშემკვრელი იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა გადაადგილებამდე ან დაკავებამდე. არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეების მიმართ გამოიყენება სასარჩელო წარმოების საერთო წესები იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია XLII[2] თავით. აღნიშნული თავი აწესებს მოცემულ საქმეთა გვარეობით განსჯადობას. გვარეობითი განსჯადობის წესიდან გამომდინარე, ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთირეთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს პირველი ინსტანციით განიხილავენ თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით. ზემოაღნიშნული თავის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს. ამ საქმეთა წარმოების თავისებურებაა ასევე ის, რომ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მიერ ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ აპელაციის წესით, შესაბამისად თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში. გასაჩივრები-

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: ლ. ნადიბაიძე „არამართალზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და მასთან ურთიერთობის უფლებების შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი". ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3, 13, 37-48. პრაქტიკული ასპექტით ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებაში ასახული განმარტებები საქმეზე №ას-349-325-2010.

სთვის დაწესებულია ჩვეულებრივ ორკვირიანი ვადა, რომელიც გამოიყენება სააპელაციო საჩივრების წარდგენის მიმართ.

განსახილველი თავი ზემოაღნიშნულ საქმეებზე ითვალისწინებს მოსარჩელის (განმცხადებლის) უფლებების დაცვის მთელრიგ ღონისძიებებს, რაც გამოიხატება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე განმცხადებლის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო ბრძანების მიღების შესაძლებლობაში. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია მიიღოს ბრძანება: ბავშვის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ, ბავშვის შესაბამის პირთან ან დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით ბავშვის ადგილსამყოფლის დადგენის შესახებ, ნებისმიერი სხვა ბრძანება, რომლის მიღებასაც განმცხადებელი მიზანშეწონილად მიიჩნევს ,,ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ'' ჰაგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე. ბრძანების მიღების მიზნით განმცხადებლის მიერ შეტანილ შუამდგომლობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს 48 საათში.

ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების ან არამართლზომიერი დაკავების ფაქტი დგინდება შემდეგი წესით: ბავშვი არამართლზომიერად იყო თუ არა გადაადგილებული ან დაკავებული, სარჩელის მიმღებ სასამართლოს შეუძლია უშუალოდ იხელმძღვანელოს ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს კანონმდებლობით, ან ამ სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილებით, ან მესამე სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, ეს გადაწყვეტილება აღიარებულია თუ არა ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს მიერ, ისე, რომ არ მიმართოს სპეციალურ პროცედურებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში გამოიყენებდა ამგვარი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისათვის ან დადასტურებისათვის. სასამართლოს შეუძლია ბავშვის დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებამდე მოსთხოვოს განმცხადებელს ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერ დოკუმენტი რომლითაც დასტურდება ბავშვის გადაადგილების ან დაკავების არამართლზომიერება. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია დაეხმაროს განმცხადებელს ამგვარი დოკუმენტის მოპოვებაში.

მოცემულ საქმეებზე სარჩელის მიღების შემდეგ საქართველოს არცერთი სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს მეურვეობის უფლების საკითხი არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან მის დაბრუნებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებამდე.

სპეციფიკით ხასიათდება სასამართლო განხილვა. კანონი სასამართლოს ავალდებულებს მოუსმინოს ბავშვს, თუ მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა. ბავშვში იგულისხმება თექვსმეტ წლამდე ასაკის პირი. ბავშვის მოსმენას უნდა დაესწროს ექსპერტი ან/და სოციალური მუშაკი. ამ საქმეთა თავისებურება ვლინდება შემცირებულ ვადებში მათ განხილვაში. კერძოთ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დაჩქარებული წესით, საქმის წარმოებაში მიღებიდან ექვსი კვირის განმავლობაში.

სასამართლო მაშინ იღებს გადაწყვეტილებას არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების შესახებ, როცა 1. ბავშვი არამართლზომიერად არის გადაადგილებული ან არამართლზომიერად არის დაკავებული და მისი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების თარიღიდან სარჩელის წარდგენის მომენტამდე გასულია 1 წელზე ნაკლები; 2. ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების თარიღიდან სარჩელის წარდგენის მომენტამდე გასულია ერთ წელზე მეტი და თვალნათლივ არ იქნა ნაჩვენები რომ ბავშვი ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში ამასთან გადაწყვეტილების მიღების ეს მოთხოვნები არ უზღუდავს სასამართლოს უფლებას,

საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის დაბრუნების შესახებ, თუ ამგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას. თავისებურებით ხასიათდება ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების შინაარსიც, რომლის სარეზოლუციო ნაწილი აუცილებლად უნდა შეიცავდეს მის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნებაზე როცა: 1. ბავშვის გადაადგილებიდან ან დაკავებიდან გასულია 1 წელზე მეტი და იგი ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში. 2. პირი ან ორგანო რომელიც ითხოვს ბავშვის დაბრუნებას ფაქტობრივად არ ანხორციელებდა მეურვეობის უფლებას ბავშვის საქართველოში არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მომენტისათვის ანდა დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა ბავშვის ასეთ გადაადგილებას ან დაკავებას. 3. ბავშვის ასაკი , მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა იძლევა იმის შესაძლებლობას რომ გათვალისწინებულ იქნეს მისი აზრი და იგი ცალსახად უარს აცხადებს დაბრუნებაზე. 4.არსებობს იმის სერიოზული რისკი რომ გარემო რომელშიც ბავშვი დაბრუნების შემთხვევაში აღმოჩნდება, მას ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის საფრთხეს შეუქმნის ან სხვაგვარად ჩააყენებს მას გაუსაძლის მდგომარეობაში.

მოცემულ საქმეებზე განმცხადებელი თავისუფლდება პროცესის ხარჯების ანაზღაურებისაგან, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას იმ პირს(ე.ი მოპასუხეს) რომელმაც ბავშვი არამართლზომიერად დააკავა ან გადაადგილა, ანდა რომელმაც ხელი შეუშალა ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებას, აკისრებს იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას რომლებიც გაიღო განმცხადებელმა, მათ შორის სამგზავრო ხარჯებს, ბავშვის ადგილსამყოფლის დასადგენად გაღებულ ნებისმიერ ხარჯს ან გადახდილ თანხას, განმცხადებლის მიერ წარმომადგენლისათვის გადახდილ ხარჯებს და ბავშვის დაბრუნების ხარჯებს.

თავი XXVIII

სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე

დისკრიმინაციის აღმოფხვრის გარანტიას წარმოადგენს კანონის წინაშე თანასწორობის დაცვის პრინციპი,რომლის თანახმადაც ,,თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციისგან.'' (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966/1976), 26-ე მუხლი). მოცემული მუხლის განმარტებისას, გაეროს **ადამიანის უფლებათა კომიტეტმა** განსაზღვრა, რომ ტერმინი დისკრიმინაცია მოცემული პაქტით განმარტებული არ არის და ამ შემთხვევაში, მისი შინაარსის გასაგებად უნდა მოხდეს საერთაშორისო კონვენციით (1965) ჩამოყალიბებული ,, რასობრივი დისკრიმინაციის'' განსაზღვრების განზოგადება (ასევე ,,ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციით'' (გაერო 1979) ,,ქალების წინაღმდეგ დისკრიმინაციის'' განმარტების განზოგადება, რომელიც იდენტურია ,,რასობრივი დისკრიმინაციის'' განმარტებისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,რელიგიისა და რწმენის საფუძველზე დისკრიმინაცია'' ზემოხსენებულთა იდენტურად არის განმარტებული ,,რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო დეკლარაციით'' (გაერო 1981)), კერძოდ: ,,ნებისმიერი განსხვავება, გამონაკლისი, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რასის, კანის ფერის, საგვარეულო, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, რომლებიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის საწყისებზე ცნობის, გამოყენების, ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას'' (საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (გაერო 1965) 1-ლი მუხლი).

აქვე კომიტეტი მიუთითებს, რომ თანასწორობის საფუძველზე უფლებათა და თავისუფლებათა სარგებლობა, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთგვაროვან მოპყრობას არ ნიშნავს. ამის მაგალითად კომიტეტი ასახელებს სიკვდილით დასჯის აკრძალვას 18 წელს მიუღწეველი პირებისა და ორსულთა მიმართ (სასიკვდილო განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის რომელიც ჩაიდინეს 18 წელს მიუღწეველმა პირებმა, და არ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი ფეხმძიმე ქალების მიმართ''. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966/1976). მე-6 მუხლი, მე-5 პუნქტი), არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას პენიტენციალურ სისტემაში (,,პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა მიმართ განხორციელებული მოპყრობის მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური რეაბილიტაცია. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები განცალკევებული უნდა იყვნენ სრულწლოვანებისაგან და უნდა იმყოფებოდნენ პირობებში, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკს და სამართლებრივ სტატუსს ,,საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966/1976). მე-10 მუხლი, მე-3 პუნქტი, პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას, მოქალაქეობის ცენზის დადგენისას (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966/1976), 25-ე მუხლი) და სხვა. ამდენად, დისკრიმინაცია თავისი არსით

„ერთგვაროვანთა“ განხვავებად არის განმარტებული და არა „ნებისმიერთა“ განსხვავებად[1].

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი. ამ კანონის მიღებამ მოითხოვა შესაბამისი საპროცესო ფორმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც განიხილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი. ამგვარი სარჩელის განხილვა ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის X IV9 თავით დადგენილი სპეციალური წესით. საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები კი, რომლებიც ამ თავში არ არის გათვალისწინებული წესრიგდება სამართალწარმოების საერთო წესებით. სპეციფიკა შეეხება სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის უფლების მქონე სუბიექტებს, სასამართლოსადმი მიმართვის ვადას, სასარჩელო მოთხოვნას (მოთხოვნიდან გამომდინარე განსჯადობასაც, თუმცა კი განსჯადობაზე სპეციალურად არაფერია დადგენილი), მტკიცების ტვირთს, სარჩელის წარმოებაში მიღებას, შესაგებლის წარდგენის ვადას, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

.

სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის უფლების მქონე სუბიექტია ნებისმიერი პირი, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. ხელმყოფი- შეიძლება იყოს ესა თუ ის პირი ან დაწესებულება. ამგვარი პირი ან დაწესებულება იქნება მოპასუხე საქმეში, თუკი მოსარჩელე ვარაუდობს, რომ მის მიმართ დისკრიმინაცია სწორედ ამ პირმა ან დაწესებულებამ განახორციელა. შესაძლოა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეს იხილავდეს სახალხო დამცველი ან სხვა პირი თუ ორგანო, მაგრამ ეს ვერ დააბრკოლებს სასამართლოში სარჩელის შეტანას. ცხადია, კონსტიტუციის 42-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის სავალდებულო წინაპირობა არც ის შეიძლება იყოს, რომ საქმე ჯერ სახალხო დამცველმა, სხვა პირმა ან ორგანომ განიხილოს. სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა შეზღუდულია დროითი ფარგლებით. კანონის თანახმად სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 3 თვის განმავლობაში. ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო მის მიერ დისკრიმინაციად მიჩნეული გარემოებების შესახებ. საინტერესოა, რა შედეგი დადგება, თუ დაინტერესებული პირი გაუშვებს სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის 3 თვიან ვადას. აღნიშნულზე საპროცესო კოდექსის შესაბამის თავში მითითებული არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ დროს საერთო წესები უნდა გამოვიყენოთ, დაუშვებელია სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის ვადის გასვლის გამო პირს უარი ეთქვას სარჩელის მიღებაზე, რადგან ზემოაღნიშნული სამთვიანი ვადა უფლების დაცვის ხანდაზმულობის მატერიალურ სამართლებრივი დანაწესია, რომელიც უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას უსპობს უფლების განხორციელებით დაინტერესებულ პირს და არა საპროცესო თვალსაზრისით სარჩელის სასამართლოში შეტანის დამაბრკოლებელი იურიდიული ფაქტი.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებით სასამართლოში შეტანილი სარჩელის საგანი ანუ მოთხოვნა შეიძლება იყოს: .

1). დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა;

2). მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. დასაშვებია სარჩელთა (მოთხოვნათა) გაერთიანებაც სსსკ-ის 3634 მუხლის მეორე ნაწილიდან და 182-ე მუხლიდან გამომდინარე და სარჩელის საგნად როგორც დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტის და მისი შედეგების აღმოფხვრის, ისე მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მითითება.

თუკი დაინტერესებული პირი მოითხოვს მარტოოდენ მორალური ზიანის ანაზღაურებას,

[1] დაწვრილებით იხილეთ: ზაზა ვაშაყმაძე, არჩილ მეტრეველი „რწმენის თავისუფლება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში“. ტ.1.თბ. 2013 გვ.42-43.

მხედველობაშია მისაღები,რომ მორალური ზიანი,მიუხედავად იმისა,რომ კანონი დასაშვებად მიიჩნევს მის მატერიალურ ანაზღაურებას, მაინც არაქონებრივი ზიანია შესაბამისად, მის საფუძველზე წარმოშობილი დავაც არაქონებრივია. ამრიგად, დაინტერესებული პირი რა მოცულობითაც არ უნდა მოითხოვდეს მის ანაზღაურებას, ეს დავა ვერ გახდება მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი. მე-14 მუხლიდან გამომდინარე მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს ქონებრივ დავას და ისიც იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს.

მტკიცების ტვირთი შემდეგნაირად ნაწილდება: სარჩელის შემტანს ეკისრება იმ ფაქტების წარდგენის (ანუ მითითების) და მტკიცების ტვირთი, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა. ამგვარი ფაქტების წარდგენის (მითითების) და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ მოპასუხეს ეკისრება მის მიერ დისკრიმინაციის განუხორციელებლობის მტკიცების ტვირთი.

შეკვეცილია სარჩელის წარმოებაში მიღების და ასევე ზოგიერთი სხვა საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა. კერძოდ, სასამართლო სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში იხილავს მის წარმოებაში მიღების საკითხს. სარჩელი უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 177-ე, 178-ე მუხლების მოთხოვნებს.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელზე დასაშვებია ხარვეზის დადგენა, თუკი სარჩელი სასამართლოს წარედგინა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაუცველად.

ამასთან სსსკ-ის 3634-ე მუხლის ფორმულირება ,,კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად'' ძალზედ ფართოა და მოითხოვს დაკონკრეტებას. მაგალითად, აზრს მოკლებულია იგივეობრივ სარჩელზე ხარვეზის დადგენა, ე.ი. როდესაც არსებობს ამავე საკითხზე კანონიერ ძალაში არსებული სასამართლო აქტი. შესაბამისად, სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა დაადგინოს სარვეზი, როდესაც ამგვარი ხარვეზის შევსების შესაძლებლობა არსებობს.

ხარვეზის შესავსებად მოსარჩელეს ეძლევა გონივრული ვადა. მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს ვადა არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები, ანუ მინიმუმ სამი დღე მაინც უნდა მიეცეს მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად. ვადის გონივრულობის კრიტერიუმს, კოდექსის ის თავი, რომელშიც დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელთა განხილვაზეა საუბარი, არ იძლევა. ჩვენი აზრით, სასამართლოებმა გონივრულობის კრიტერიუმად უნდა გამოიყენონ სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, რომლის თანახმადაც, საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა. დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის შედეგია სარჩელის წარმოებაში მიღება, ხოლო ხარვეზის აღმოუფხვრელობისა-სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა და სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოსარჩელისათვის დაბრუნება. ორივე საპროცესო მოქმედება სასამართლოს განჩინების საფუძველზე სრულდება. ამასთან გასაჩივრდება მარტოოდენ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება. გასაჩივრების ვადა შეადგენს 3 დღეს, ხოლო გასაჩივრების ფორმას წარმოადგენს კერძო საჩივარი.

წარმოებაში მიღებულ სარჩელზე (რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება მოპასუხეს თანდართული დოკუმენტებით) შესაგებლის წარდგენისათვის დადგენილია 10 დღიანი ვადა. საქმეზე გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება, იქნება ეს დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურება და დისკრიმინაციის მსხვერპლის სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება თუ დისკრიმინაციის მსხვერპლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესების დაცვით სააპელაციო (თბილისის ან ქუთაისის) სასამართლოში.

სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შემთხვევაში იგი განიხილება მიღებიდან

1 თვის ვადაში ზეპირი მოსმენით. კანონით განსაზღვრულია, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის შემდეგ სასამართლოს შეუძლია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1) მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს სააპელაციო საჩივარი. ასეთ დროს შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი, ან გამოტანილი იქნეს განჩინება, რომლითაც საქმე დაუბრუნდება ქვემდგომ სასამართლოს ხელახლა განსახილველად; 2) არ დააკმაყოფილოს სააპელაციო საჩივარი. ასეთ დროს უცვლელად რჩება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ზემოთ მითითებული კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლო საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს. ასეთ დროს საქმე ბრუნდება სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად.

დაბოლოს, გასათვალისწინებელია ადამიანის უფლება ევროპის სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა, რომელშიც განმარტებულია დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს წინააღმდეგ არსებობს 2015 წლის 12 მაისს მიღებული საინტერესო გადაწყვეტილება:

ამ საქმეზე **ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ** მიიჩნია, რომ ხელისუფლების ვალდებულებაა თავიდან აიცილოს კერძო პირების მიერ სიძულვილით მოტივირებული ძალადობა, ისევე, როგორც გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობის აქტს შორის შესაძლო კავშირი. ეს ვალდებულება შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ ასპექტში, მაგრამ ასევე შეიძლება, მიჩნეული იყოს მე-14 მუხლით გათვალისწინებულ ხელისუფლების პოზიტიურ ვალდებულებად, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს მე-3 მუხლით დაცული ფუნდამენტური უფლება. აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეულ საქმეზე ფაქტებისა და ბრალდების ბუნების გათვალისწინებით. სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის წარმოების ყველაზე შესაბამისი გზა იქნება მომჩივნების საჩივრის განხილვა კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით მე-14 მუხლთან ერთად.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლის ფარგლებში არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. აღნიშნული მინიმუმის შეფასება შედარებითია: ის დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, როგორიცაა მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები და, ზოგიერთ შემთხვევებში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა. გარდა ამისა, მე-3 მუხლი ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური არასათანადო მოპყრობით; ის, ასევე, მოიცავს ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებას. მოპყრობა დამამცირებლად შეიძლება დაკვალიფიცირდეს თუ ის მსხვერპლში იწვევს შიშს, ტკივილსა და არასრულფასოვნების განცდას, რამაც შეიძლება დაამციროს და შეურაცხჰყოს იგი. სტრასბურგის სასამართლო აცხადებს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა, როგორც ასეთი, მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს მაშინ, როდესაც იგი მიაღწევს სისასტიკის ზღვარს, როგორიც არის ადამიანის ღირსების შეურაცხჰყოფა. უფრო კონკრეტულად, ჰეტეროსექსუალი უმრავლესობის წინასწარ შეხედულებაზე დაფუძნებული მოპყრობა, რომელიც მიმართულია ჰომოსექსუალი უმცირესობის მიმართ, თავსდება მე-3 მუხლის ფარგლებში. კონვენციის 1 მუხლი, მე-3 მუხლთან ერთად აღებული, სახელმწიფოებს აკისრებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყონ, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები დაცულნი იყვნენ მე-3 მუხლით აკრძალული არასათანადო მოპყრობისაგან, რაც გულისხმობს, ასევე, კერძო პირების მიერ განხორციელებულ ამგვარ მოპყრობას. ეს ვალდებულება მოიცავს მესამე პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისაგან პირის ან პირების დაცვას, ისევე, როგორც გონივრული ნაბიჯების გადადგმას, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასათანადო მოპყრობა, რომლის თაობაზეც ხელისუფლების წარმომადგენლებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ. ძალადობრივი შემთხვევების გამოძიებისას,

სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს აკისრიათ ვალდებულება მიიღონ ყველა გონივრული ზომა,რათა გამოამჟღავნონ დისკრიმინაციული მოტივები. ხელისუფლებამ უნდა მიმართოს ყველა ღონეს,რაც გონივრულად საჭიროა,რათა შეაგროვოს და უზრუნველყოს მტკიცებულებები, გამოიყენოს ყველა პრაქტიკული საშუალება სიმართლის დასადგენად და მიიღოს სრულად დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილება.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს,რომ საზოგადოება გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა. ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ლგბტ საზოგადოების წევრების მიმართ მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ნეგატიური დამოკიდებულება. მართლაც, მსვლელობის მონაწილეთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის შეჯახებისას,ეს უკანასკნელნი საუბრობდნენ იმგვარი ენით,რაც განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო. კონტრდემონსტრანტთა ჰომოფობიური ნიუანსები აშკარად გამოჩნდა ზიზღით გაჯერებულ მათ ქმედებებში და ლგბტ დროშებისა და პოსტერების განადგურებაში. დამატებით,ისინი იმუქრებოდნენ სერიოზული ზიანის მიყენებით,მათ შორის იყო მკვლელობის მუქარაც,იყენებდნენ სიტყვებს,როგორიცაა ,,განადგურება'' და ,,ცოცხლად დაწვა''. სიტყვიერ თავდასხმებს ზოგიერთი მომჩივნის მიმართ მოჰყვა რეალური ფიზიკური თავდასხმა. ასეთ გარემოებებში,სასამართლო მიიჩნევს, რომ შეკითხვა, ზოგიერთი მომჩივნისათვის მიყენებული სხეულის დაზიანებამ მიაღწია თუ არა გარკვეული სიმძიმეს, ნაკლებად რელევანტური იყო. ცამეტივე მომჩივანი გახდა სიძულვილის ენის და აგრესიული ქმედების სამიზნე. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი *გარშემორტყმულნი იყვნენ გაბრაზებული პირებით,რომლებიც მკვლელობით იმუქრებოდნენ* და *ქაოსურად* ახორციელებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, *რითიც* მუქარის რეალობის დემონსტრაციას ახდენდენ და აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ ჰომოფობიური წინასწარი შეხედულება დამამძიმებელი ფაქტორის როლს თამაშობდა, სიტუაცია იწვევდა გაძლიერებულ შიშსა და შფოთვას. სიტყვიერი -და სპორადულად ფიზიკური- ძალადობის მიზანი აშკარად იყო მომჩივნების იმგვარად დაშინება, რომ მათ შეეწყვიტათ ლგბტ საზოგადოების მხარდაჭერის საჯაროდ გამოხატვა. მომჩივანთა ემოციური შფოთვის განცდა აგრეთვე გაამძაფრა იმ ფაქტმა, რომ პოლიციის დაცვა არ იყო თავის დროზე ან ადეკვატურად უზრუნველყოფილი. სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ მოპყრობა აუცილებლად გამოიწვევდა მომჩივნებში შიშის, ტკივილისა და დაუცველობის განცდას, რაც არ არის თავსებადი ადამიანის ღირსების პატივისცემასთან და აღწევს სისასტიკის ზღვარს კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში მე-14 მუხლთან ერთად აღებული.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს,რომ ადგილობრივი თვითმმართველობის და პოლიციის ორგანო წინასწარ კარგად იყო ინფორმირებული ლგბტ საზოგადოების განზრახვის თაობაზე, 2012 წლის 17 მაისს თბილისის ცენტრში გაემართათ მარში. ორგანიზატორებმა განსაკუთრებით თხოვეს პოლიციას დაცვის უზრუნველყოფა, რადგან წინასწარგანჭვრეტადი იყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური შეხედულების მქონე პირების მიერ დემონსტრაციის მიმართ პროტესტის გამოხატვა. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოწყვლად საზოგადოებასთან დაკავშირებით გამართულ საჯარო ღონისძიებასთან ასოცირებული რისკის თაობაზე და, შესაბამისად,ვალდებული იყო უზრუნველეყო გაძლიერებული სახელმწიფო დაცვა. თუმცა, მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების, მშვიდობიანი დემონსტრანტებისათვის უზრუნველეყო კერძო პირებისაგან გაძლიერებული დაცვა, შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ შეზღუდული რაოდენობის საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც თავდაპირველად იმყოფებოდნენ აქციაზე, როდესაც სიტყვიერი თავდასხმის განხორციელება დაიწყო, ჩამოშორდნენ შემთხვევის ადგილს და ამრიგად, მათ დაუშვეს დაძაბულობა ფიზიკურ დაპირისპირებად გადაქცეულიყო. იმ

დროს, როდესაც პოლიციის თანამშრომლებმა ჩარევა გადაწყვიტეს, მომჩივნებისა და დემონსტრაციის სხვა მონაწილეების მიმართ უკვე განხორციელებული იყო სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი. უფრო მეტიც, ნაცვლად იმისა, რომ პოლიციელებს ყველაზე აგრესიული კონტრდემონსტრანტები შეეკავებინათ იმ მიზნით, რომ მშვიდობიანი მსვლელობა გაგრძელებულიყო, მათ დააპატიმრეს და მოახდინეს ზოგიერთი მომჩივნის ევაკუაცია- იმ დაზარალებულების, რომელთა დასახმარებლადაც უხმეს მათ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ 2012 წლის 17 მაისის მსვლელობის დროს შიდა ხელისუფლებამ ცამეტი ინდივიდუალური მომჩივნისათვის ვერ უზრუნველყო ადეკვატური დაცვის მიწოდება.

სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ შიდა ხელისუფლებამ ცამეტი მომჩივნის მიერ არასათანადო მოპყრობის თაობაზე, ვერ უზრუნველყო სათანადო გამოძიების წარმოება. შესაბამისმა ხელისუფლებამ ყოვლისმომცველი და მნიშვნელოვანი გამოძიების განხორციელების ნაცვლად, გაურკვეველი მიზეზების გამო შეამცირა გამოძიების ფარგლები და გახსნა ორი ერთმანეთისგან განცალკევებული საქმე, რომელიც მხოლოდ ორი მომჩივნის ფიზიკურ დაზიანებებს შეეხებოდა. აღსანიშნავია, რომ გამოძიებას ორ წელზე მეტია მნიშვნელოვანი პროგრესი არ განუცდია და იგი კვლავ განხილვის ადრეულ სტადიაზეა, სადაც მომჩივნებს დაზარალებულის სტატუსიც კი არ აქვთ მინიჭებული. სასამართლოს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა ნორმებს, რომელთა მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი გამოძიების წარმოების დაწყება უფრო შესაბამისი იქნებოდა. სტრასბურგის სასამართლომ, ასევე, განაცხადა, რომ გამოძიებისათვის შესაძლებელი უნდა ყოფილიყო შესაძლო თავდამსხმელების სიის შემცირება. პირველ რიგში, ცნობილი ფაქტი იყო, რომ კონტრდემონსტრაციაში ორი რელიგიური ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას და, მეორე რიგში, შეჯახების ვიდეო ჩანაწერი ყველაზე აგრესიული თავდამსხმელების ნათელ კადრებს შეიცავდა.

ყველა მტკიცებულების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ დაადგინა, რომ 2012 წლის 17 მაისს მომჩივნებზე განხორციელებული თავდასხმა შეგულიანებული იყო მათ მიერ, ვისაც საქართველოში ლგბტ საზოგადოების მიმართ მტრული დამოკიდებულება აქვს. გარდა ამისა, ძალადობამ, რომელიც შედგებოდა სერიოზული მუქარისა და სიძულვილის ენისაგან და აგრეთვე, სპორადიკული ფიზიკური შეურაცხყოფისაგან, გამოიწვია შიში, შფოთვა და დაუცველობის განცდა, რაც საკმარისად მძიმე იყო იმისათვის, რომ მიეღწია კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ზღვარს მე-14 მუხლთან ერთად აღებული.

სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე, ადგილი ჰქონდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მე-3 მუხლის პოზიტიური ვალდებულების დარღვევას მე-14 მუხლთან ერთად აღებული.

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლთან დაკავშირებული მომჩივნების საჩივარი ეფუძნება ბრალდებებს, რომ მათ ფიზიკურ მთლიანობაზე კერძო პირების თავდასხმამ, ძალადობის პირისპირ პოლიციის პასიურობასთან ერთად, ჩაშალა მათი მშვიდობიანი აქცია. მე-11 მუხლის კონტექსტში, სასამართლო ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პლურალიზმი და დემოკრატია დაფუძნებულია მრავალფეროვნების/განსხვავებულობის აღიარებასა და პატივისცემაზე. განსხვავებული ინდივიდუალურობის მქონე პირებისა და ჯგუფების ჰარმონიული ურთიერთობა სოციალური ინტეგრაციის მისაღწევად უმნიშვნელოვანესია. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა პლურალიზმსა და შემწყნარებლობას. აღნიშნულ კონტექსტში, მან დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შემთხვევაში ინდივიდის ინტერესი უნდა დაექვემდებაროს ჯგუფის ინტერესს, თუმცა დემოკრატია არ ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობის შეხედულებები ყოველთვის უპირატესია: დაცული უნდა იყოს ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფს

უმცირესობების სამართლიან და სათანადო მოპყრობას და დომინანტების მიერ ძალადობის თავიდან არიდებას.

სტრასბურგის სასამართლომ დასაწყისში აღნიშნა, რომ ეს საკითხი მხარეებს შორის სადაოც კი არ არის და დაადგინა, რომ 2012 წლის 17 მაისს მომჩივანთა მშვიდობიანი მსვლელობის ჩაშლა, რომელიც ორგანიზებული იყო ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, უდავოდ წარმოადგენდა კონვენციის მე-11 მუხლში ჩარევას, რომელიც წაკითხული უნდა იქნეს მე-10 მუხლის შესაბამისი პრინციპების ფონზე. კონვენცია იცავს გამოხატვის საჯარო ფორმებს, მათ შორის, მშვიდობიანი შეკრების გამართვას და სხვადასხვა სექსუალური უმცირესობების ფუნდამენტალური უფლებების ხელშეწყობასა და ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ადგილობრივ ორგანოებს 2012 წლის 8 მაისს მიეცათ წინასწარი გაფრთხილება 2012 წლის 17 მაისს მშვიდობიანი მსვლელობის ორგანიზების განზრახვის თაობაზე, მათ ვერ მოახერხეს აღნიშული ცხრა დღის გამოყენება მოსამზადებელი სამუშაოსათვის. ისინი ვალდებულნი იყვნენ გამოეყენებინათ ნებისმიერი შესაძლო საშუალება, მაგალითად, დემონსტრაციასთან დაკავშირებით გაეკეთებინათ შემწყნარებელი, არაორაზროვანი, შემრიგებლური პოზიციის მქონე საჯარო განცხადებები, ისევე, როგორც პოტენციური სამართალდამრღვევები გაეფრთხილებინათ შესაძლო სანქციის თაობაზე. გარდა ამისა, ლგბტ მსვლელობის შედეგიდან აშკარა იყო, რომ დემონსტრაციის ადგილზე განლაგებული საპატრულო პოლიციის ოფიცრების რაოდენობა არ იყო საკმარისი. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო, რომ 2012 წლის 17 მაისის მსვლელობა, რომელიც ორგანიზებული იყო პირველი მომჩივნის მიერ და რომელშიც მონაწილეობას იღებდა დანარჩენი 13 მომჩივანი, მშვიდობიანად გამართულიყო.

შესაბამისად, ხელისუფლებამ დაარღვია კონვენციის მე-11 მუხლით მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება მე-14 მუხლთან ერთად.

მომჩივნები ასევე დაობდნენ, კონვენციის მე-5(1) მუხლის დარღვევით, მათ უკანონოდ შეეზღუდათ თავისუფლება, რაც გამოიხატა რომ მათი საპატრულო პოლიციის მანქანაში იძულებით განთავსებით და დემონსტრაციის ადგილიდან ევაკუაციით, თუმცა სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნულ საჩივრებზე არ მიიღო კონვენციის 35(1) მუხლიდან გამომდინარე, რადგან მომჩივნებს ამოწურული არ ჰქონდა შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

თავი XXIX

მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰაგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

2014 წლის 5 თებერვლის №1953-IIს დადგენილებით საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა კონვენცია (შემდგომში ტექსტში კონვენცია) მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის X II[3] თავი მართალია ეხება დასახელებული კონვენციით გათვალისწინებულ საქმეთა განხილვის თავისებურებებს,რეალურად მხოლოდ საქმის განხილვის მხოლოდ ორ თავისებურებას ეხება – კერძოდ ბავშვის პიროვნების ან/და ქონების დასაცავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში სასამართლო საქმეს განიხილავს სქმის წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა. ამრიგად, საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ისეთ თავისებურებას როგორიც არის საქმის აღძვრაზე უფლებამოსილი ორგანო და საქმის განხილვის შემცირებული ვადა, ზოგად საპროცესო ვადასთან შედარებით. სხვა შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის სავისებურებანი და სასარჩელო წარმოების საერთო წესები. კონვენციით განსაზღვრული ცენტრალური ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი. ბავშვის პიროვნების ან ქონების დასაცავად ცენტრალური ორგანოს მოთხოვნა ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ბავშვის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით, რომელიც ვალდებულია მოთხოვნის მიღებისთანავე განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „მშობლის პასუხისმგებლობა“ გულისხმობს მშობლის უფლებამოსილებას ან სხვა ანალოგიურ ურთიერთობას, რომელიც განსაზღვრავს მშობელთა, მეურვეთა ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთა იმ უფლებებს, უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, რომლებიც შეეხება ბავშვის პიროვნებას ან ქონებას. კონვენცია გამოიყენება ბავშვების მიმართ მათი დაბადების მომენტიდან მათ მიერ 18 წლის ასაკს მიღწევამდე. კონვენცია შედგება შვიდი თავისაგან და დეტალურად განსაზღვრავს კონვენციის გამოყენების სფეროს, იურისდიქციასთან, გამოსაყენებელ სამართლიან, ცნობასა და აღსრულებასთან, თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თავი XXX

პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებები

§1. სასამართლო დადგენილების ცნება და სახეები, სასამართლო გადაწყვეტილების არსი და მნიშვნელობა

1. **სასამართლო დადგენილების ცნება და სახეები**. სამოქალაქო საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელება წარმოუდგენელია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა შეფარდების გარეშე. სასამართლოს დადგენილებებში აისახება სასამართლოს დასკვნები საქმის აღძვრამდე და პროცესის მსვლელობისას წარმოშობილი ყველა მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი საკითხის შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება წერილობითი სახით გაფორმებული სასამართლოს (მოსამართლის) სამოქალაქო-საპროცესო აქტი – დოკუმენტია, რომელიც შეიცავს იმპერატიულ, ინდივიდუალურ-კონკრეტულ მითითებას (მსჯელობას) სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი ფაქტებისა და სამართალურთიერთობების შესახებ (როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო საკითხების გადაწყვეტის შესახებ).

სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებებს, როგორც საპროცესო დოკუმენტებს, ორ სახედ ჰყოფს: 1) სასამართლოს გადაწყვეტილება – ესაა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად წყდება (243-ე მუხლი) და 2) განჩინება – ესაა სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება (284-ე მუხლი). სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების არსებითად გადაწყვეტა. გადაწყვეტილება უშუალოდ მხარეთა (არასასარჩელო წარმოების საქმეებზე კი განმცხადებელთა) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების საბოლოოდ დაცვას ისახავს მიზნად.[1]

რაც შეეხება განჩინებას, განჩინებით ხდება სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს წამოჭრილი საპროცესო-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც წარმოიშობა სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის, სასამართლო გადაწყვეტილებათა და სასამართლოს სხვა აქტების აღსრულების დროს და სხვ.

2. **სასამართლო გადაწყვეტილება**. სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მატერიალური სამართლის ნორმების და სასამართლო სხდომაზე სამოქალაქო საქმის განხილვის შედეგად დადგენილი იურიდიული ფაქტების საფუძველზე.

გადაწყვეტილების მიღებით, სასამართლო წყვეტს მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივ დავას. სწორედ გადაწყვეტილებაში აისახება და გადაწყვეტილების გამოტანით მთავრდება სასამართლოს მიერ კონკრეტული ადრესატის – სადავო სამართალურთიერთოებების სუბიექტების (რომლებზეც ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები) მიმართ სამართლის შეფარდების პროცესი. სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცავს იმპერატიულ მითითებას სასამართლებრივი ნორმების იძულებითი განხორციელების შესახებ. ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ნებისმიერი აქტი, სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება კანონს და მისი მიღებით ფაქტობრივად ხდება კანონის აღსრულება. მასში გამოხატული მითითება (ბრძანება) სავალდებულოა ყველასათვის, ვისზეც ის კანონით ვრცელდება.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით არავითარი უფლე-

[1] გამონაკლისია დროებითი განკარგულება, რომელიც დროებითი დადგენილების (კერძოდ კი განჩინების) ფორმით მიიღება სსსკ 355-ე მუხლის საფუძველზე.

ბები და მოვალეობები არ წარმოიშობა. მაგალითად, არ არის სწორი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მხარეს რეგრესის უფლება მიენიჭოს,რამეთუ მხარეს ეს უფლება მინიჭებული აქვს კანონით და არა სასამართლოს მიერ.

ამიტომ საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებით წარმოიშვას რაიმე უფლება და მოვალეობა, უნდა გადაწყდეს კანონმდებლობის პოზიციიდან. კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილებას ანიჭებს იურიდიული ფაქტის მნიშვნელობას. გადაწყვეტილება სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია. მაგალითად ქორწინების შეწყეტის გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტია, ვინაიდან ამ ამ გადაწყვეტილებას უკავშირდება მეუღლეთა შორის არსებული სამართალურთიიერთობის შეწყვეტა.

ამრიგად, სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტია, რომელიც მრავალი საპროცესო ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის წინაპირობაა, აგრეთვე არის სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი, ე.ი. — მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის წინაპირობაა (წანამძღვარია).

გადაწყვეტილების სამართლებრივი (იურიდიული) ბუნება შეიძლება სწორად განისაზღვროს მართლმსაჯულების ამოცანებიდან გამომდინარე. ამ ამოცანების განხორციელება ხდება სასამართლოს საქმიანობაში. სასამართლოს გადაწყვეტილება მარლმსაჯულების აქტია, მისი მეშვეობით ხორციელდება დარღვეული ან სადავო უფლების დაცვა,მიუხედავად იმისა, სარჩელს დააკმაყოფილებს სასამართლო თუ არა. თუ უფლების ან კანონიერი ინტერესის დარღვევა დადასტურდება,მაშინ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით დაიცავს მოსარჩელის დარღვეულ უფლებას კანონით დადგენილი საშუალებებით. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში უფლება აღდგება იმ სახით, რა სახითაც ის მოსარჩელეს ეკუთვნის. თუ უფლების დარღვევა არ დადასტურდება, მაშინ სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით დაიცავს მოპასუხის ინტერესებს, რომელიც, შესაძლოა, დარღვეულიყო მოსარჩელის არასწორი მოქმედებებითა და მოსაზრებებით (არასწორი მტკიცებით).

აქედან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს მოდავე მხარეთა ინდივიდუალური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის აქტს.

სასამართლო გადაწყვეტილება სამართალშეფარდების აქტია. სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორია, ამასთან, სახელმწიფო ქმნის იმ აპარატსაც, რომელიც აუცილებლობის შემთხვევებში უზრუნველყოფს ნორმატიული მითითებების იძულებით განხორციელებას. სასამართლო ამ აპარატის ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის ნორმების იძულებით განხორციელებას. ეს კი მაშინაა აუცილებელი, როცა უფლების კუთვნილება საეჭვოა ვალდებული პირის მიერ მისი დარღვევის ან სადავოდ ქცევის შედეგად. სასამართლოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფს კონკრეტულ სიტუაციას, სამართლის ნორმასა და სახელმწიფო იძულებას შორის კავშირს. როცა ცალკეულ პირთა ქცევა ეწინააღმდეგება დადგენილ წესებს და ამ პირთა ნება მოდის სახელმწიფოს ნებასთან კონფლიქტში,აუცილებელია ნორმატიული მითითებების იძულებითი განხორციელება. კერძო (ავტონომიურ) ურთიერთობებში ერევა სახელმწიფო სამართალშეფარდებითი პროცესის მეშვეობით. სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით სახელმწიფო ვალდებულ პირთა ნების საწინააღმდეგოდ კარნახობს მათ თავის ნებას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ ამ პირთა ქცევა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ წესებს. გარკვეულწილად სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლის ნორმის მსგავსი თვისებები აქვს. ის გამოხატავს სახელმწიფოს ნებას და ისევე როგორც ნორმატიული აქტები, გადაწყვეტილებაც შედის ოფიციალური აქტების ჯგუფში. ისევე როგორც სამართლის ნორმა, სასამართლო გადაწყვეტილებაც იურიდიულად სავალდებულოა და სამართლებრივი რეგულირების მექა-

ნიზმის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს, ე.ი. თავისი თვისებებით სამართლის ნორმას უთანაბრდება. თუმცა გადაწყვეტილება არ მოქმედებს არც სამართლის ნორმის ნაცვლად, არც მის პარალელურად. თავისთავად, შეფარდებული ნორმის გარეშე გადაწყვეტილება ქცევის არც ზოგად და არც ინდივიდუალურ წესებს არ ადგენს. ამდენად, მართალია, სასამართლო გადაწყვეტილება სამართლის ნორმის მსგავსად იურიდიულად სავალდებულოა, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იურიდიული ნორმების საფუძველზე. გადაწყვეტილებაში ასახული იმპერატიული მითითება ინდივიდუალური ხასიათისაა. გადაწყვეტილებას ერთჯერადი მნიშვნელობა აქვს (შეეხება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და შეიცავს ინდივიდუალურ მითითებებს, რომლის ადრესატები არიან კონკრეტული პირები, ანუ გადაწყვეტილება სავალდებულოა იმათთვის, ვის მიმართაცაა იგი მიმართული). გადაწყვეტილება საბოლოო რგოლია იურიდიულ შემადგენლობაში და წარმოშობს ინდივიდუალური ხასიათის იურიდიულ შედეგებს. გადაწყვეტილება არ ადგენს განსაკუთრებულ წესებს, რომლებიც გამოსადეგი იქნებოდა სხვა შემთხვევებისათვისაც. სასამართლოს მიერ სამართლებრივი ნორმების განხორციელება წარმოადგენს სხვადასხვა ადამიანის მიმართ ერთნაირი (თანაბარი) მასშტაბის გამოყენებას.

სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათი მისი არსებითი თვისებაა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს თვისება როდი განსაზღვრავს ამ აქტის არსს. მთავარი, ძირითადი, განმსაზღვრელი ისაა, რომ გადაწყვეტილება მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი აქტია, რომელიც სასამართლოს საქართველოს სახელით გამოაქვს.

სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება სასამართლოს დადგენილებაა, რომლითაც დასტურდება სადავო უფლების, სადავო სამართალურთიერთობის არსებობა ან არარსებობა, მისი კონკრეტული შინაარსი, რომლის შედეგადაც სადავო ურთიერთობა (სადავო უფლება) გადაიქცევა უდავო ურთიერთობად (უდავო უფლებად), რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში იძულებით აღსრულდება, ანუ სასამართლო გადაწყვეტილება სადავო ურთიერთობებისათვის ხდება აქტი-რეგულატორი. სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისა და კანონიერ ძალაში მისი შესვლის მომენტიდან არის შესაძლებელი სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლების იძულებითი განხორციელება. სწორედ ამიტომ, სასამართლო გადაწყვეტილებაში აფიქსირებს საქმეზე დადგენილი სამართალურთიერთობის სუბიექტების ინდივიდუალური ქცევის ოპტიმალურ ვარიანტს.

გადაწყვეტილების შინაარსში აისახება სასამართლოს მიერ სამართლის შეფარდების მიზნით განხორციელებული საქმიანობის რამდენიმე ეტაპი:

1) სადავო ურთიერთობის შინაარსის დადგენა და მხარეთა შორის რეალურად არსებული და უდავო ურთიერთობის განსაზღვრა (სასამართლო გადაწყვეტილების საგანი);

2) სამართლის ნორმის დადგენა, რომლითაც წესრიგდება სადავო მატერიალური სამართალურთიერთობა (სასამართლო გადაწყვეტილების წყარო);

3) სასამართლოს მიერ დადგენილი სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლებამოვალეობათა მოცულობის დადგენა (განსაზღვრა). წინა ორი ეტაპის საფუძველზე, გადაწყვეტილების ტექსტში, შეფარდებული სამართლის ნორმის შესაბამისად აისახება სასამართლოს მითითება მხარეთა მიერ უფლებამოსილებათა განხორციელებისა და ვალდებულებათა შესრულების წესისა და ვადის შესახებ (მესამე ეტაპი).

იმ შემთხვევებში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმებში მათი შინაარსიდან გამომდინარე არ არის ზუსტად განსაზღვრული სამართალურთიერთობის შინაარსი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები კონკრეტდება სასამართლო გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადასახდელი ალიმენტის ოდენობა შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს სასამართლოს მიერ მხარეთა მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი მნიშვნელობა ისაა, რომ მისი მიღების შედეგად სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა ხდება ნათელი, მყარი, ზოგადსავალდებულო.

სასამართლო გადაწყვეტილება გამოიტანება ყველა სამოქალაქო საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, სამოქალაქო სამართალწარმოების სახის მიუხედავად.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი, მნიშვნელობა, დამახასიათებელი თვისებებიც თითქმის იგივეა, რაც სასამართლო გადაწყვეტილებისა, მიუხედავად დაუსწრებელი წარმოების გამარტივებულობისა და მიუხედავად იმისა, რომ კანონი უშვებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას მისი გამომტანი სასამართლოს მიერვე. დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც მართლმსაჯულების აქტია. რაც შეეხება მის შინაარსს, იგი სასამართლოს გამოაქვს სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისა.

სასამართლო გადაწყვეტილების არსი დამახასიათებელია ზემდგომი სასამართლოების აქტებისთვისაც, თუ მათ მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისას მიიღება ახალი გადაწყვეტილება.

სასამართლო დადგენილებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გადახდის (სასამართლო) ბრძანებას, რომლითაც კრედიტორის განცხადების საფუძველზე ხდება ფულადი დავალიანების გადახდევინება ან ქონების გამოთხოვა (ლიზინგის საგნის დაბრუნება). ამ აქტების არსი ვლინდება მათ სამართალშეფარდებით ძალაში, რომელიც მიმართულია სამართალურთიერთობების მონაწილეების მიერ სამართლის ნორმებით დადგენილი ვალდებულების იძულებით შესრულებაზე.

§2. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო გადაწყვეტილება

1. **სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერება**. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მთელ რიგ მოთხოვნებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია კანონიერება და დასაბუთებულობა.

კანონიერების ცნება მოიცავს გადაწყვეტილების იურიდიულ მხარეს.

სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერია იმ შემთხვევაში, როცა ის გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების ზუსტი დაცვით და მატერიალური სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც უნდა იქნეს შეფარდებული მოცემული სამართალურთიერთობის მიმართ, ან თუ გადაწყვეტილება კანონის არარსებობის შემთხვევაში ანალოგიის გამოყენების დროს ეფუძნება იმ კანონს, რომელიც მსგავს სამართალურთიერთობას აწესრიგებს, ან გამომდინარეობს კანონმდებლობის ზოგადი საწყისებიდან და არსიდან.

სხვა ქვეყნის სამართალს სასამართლო იყენებს კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

იმისათვის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერი იყოს, სასამართლომ მოქმედ კანონმდებლობაში უნდა გამოძებნოს სამართლის შესაბამისი ნორმა, რომელიც აწესრიგებს მოცემულ სამართალურთიერთობას და ეს ნორმა საქმეზე დადგენილ კონკრეტულ გარემოებებს შეუფარდოს.

სასამართლომ საქმის განხილვის დროს უნდა შეაფასოს სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის შინაარსი და, თუ აუცილებელია, გამოიყენოს კონსტიტუცია, როგორც პირდაპირი მოქმედების აქტი. სასამართლოს არა აქვს უფლება

გადაწყვეტილება დააფუძნოს გამოუქვეყნებელ ნორმატიულ აქტებზე, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს.

გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, რომლებითაც სასამართლო საქმის გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობდა.

თუ არ არსებობს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელ კანონს, ხოლო ასეთი კანონის არარსებობის დროს ეფუძნება კანონმდებლობის ზოგად საწყისებსა (პრინციპებს) და არსს, ან იყენებს კონსტიტუციას, როგორც პირდაპირი მოქმედების აქტს, რაც მოტივირებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში. ამასთან, დასაშვებია საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ანალოგიით.

გადაწყვეტილება არ ჩაითვლება კანონიერად, თუ ის მიღებულია მიზანშეწონილობის მოტივით, სამართლის ნორმების გათვალისწინების გარეშე.

არ შეიძლება გადაწყვეტილება კანონიერად მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლომ სწორად გამოიყენა მატერიალური კანონი დავის არსებითად გადასაწყვეტად, მაგრამ დაარღვია საქმის განხილვის პროცედურა ან გადაწყვეტილების გამოტანის ფორმა და წესი.

საპროცესო კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილება უკანონოდ ჩაითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა ან არასწორად განმარტა კანონი (აქ ფაქტობრივად საუბარია მატერიალური სამართლის კანონებზე – 393-ე მუხლი).

საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა ან არასწორი გამოყენება ასევე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთმა დარღვევამ საქმის არსებითად არასწორად გადაწყვეტა გამოიწვია (393-ე მუხლი).

393-ე მუხლისგან განსხვავებით, რომლის დროსაც უნდა შეფასდეს, არსებით საპროცესო დარღვევას აქვს თუ არა ადგილი, საპროცესო კოდექსით ცალკე (სპეციალურად) არის გამოკვეთილი, საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევის შემთხვევები, რომელთა დაშვებაც სასამართლოს მიერ, გამოიწვევს გადაწყვეტილების უპირობოდ გაუქმებას (394-ე მუხლი), კერძოდ, საპროცესო ნორმების დარღვევისას გადაწყვეტილება უპირობოდ უნდა გაუქმდეს შემდეგ შემთხვევებში: 1) თუ საქმე განიხილა სასამართლოს უკანონო შემადგენლობამ; 2) თუ საქმე განიხილა სასამართლომ საქმის მონაწილე რომელიმე პირის (ერთ-ერთი მხარის) გარეშე (მის დაუსწრებლად), რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; 3) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; 4) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; 5) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; 6) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერს რომელიმე მოსამართლე ან ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი (მითითებულნი); 7) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; 8) საქმეში არ არის სხდომის ოქმი. გარდა ამისა, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, თუ დარღვეულია პროცესის პრინციპები. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გათვალისწინებულია სსსკ-ს დასახელებულ 394-ე მუხლში, კერძოდ, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია (მიღებულია) საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის (საქვეყნოობის) წესები. სხვა შემთხვევები შეიძლება იყოს, მაგალითად, თუ საქმის განხილვისას დარღვეულია სამართალწარმოების ენის წესები, ან თუ

გადაწყვეტილების გამოტანისას (მიღებისას) დარღვეულია მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოების წესები და სხვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გადაწყვეტილება საპროცესო ნორმების დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს და უნდა გაუქმდეს, თუ სასამართლომ გადაწყვიტა (განიხილა) იმ პირთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საკითხი, რომლებიც არ იყვნენ ჩაბმული საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც წესი, კანონიერია თუ არა გადაწყვეტილება, შეიძლება დავადგინოთ (შევამოწმოთ) გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსის მიხედვით, რომელშიც დაფიქსირებულია სასამართლოს მიერ გამოკვლეული (დადგენილი) სამართალურთიერთობების იურიდიული კვალიფიკაცია.

როდესაც სასამართლო დავას წყვეტს ძალადაკარგული კანონის ან იმ კანონის საფუძველზე, რომელიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, სასამართლო ამით უშვებს შეცდომას, რომელიც იწვევს უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას.

სათანადო კანონის გამოუყენებლობას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო გადაწყვეტილებაში არ დაეყრდნო მატერიალური სამართლის იმ ნორმას, რომელიც უნდა გამოეყენებინა და საქმე გადაწყდა კანონსაწინააღმდეგოდ, ან გადაწყვეტილება დასაბუთებულია არასათანადო ორგანოს ან არასათანადო წესით გამოცემული აქტებით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან უფრო მეტი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს, ან, როცა სასამართლო მხარეს აკისრებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული.

სათანადო კანონის გამოუყენებლობა ხშირად მაშინ ხდება, როცა სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მხარეთა სამართალურთიერთობები და დავა გადაწყვიტა სხვა სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი კანონის საფუძველზე. მაგალითად, იმ პირთა შორის ქონების გაყოფის შესახებ დავის გადაწყვეტისას, რომლებიც საოჯახო ურთიერთობებში იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც მეუღლეთა საერთო საკუთრების საკითხებს აწესრიგებენ, მაშინ, როცა უნდა გამოყენებულიყო სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც საერთო წილობრივ საკუთრებას შეეხება; ან კიდევ, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართალურთიერთობების მიმართ, სასამართლომ გამოიყენა შრომის კანონმდებლობის ნორმები.

რაც შეეხება კანონის არასწორ განმარტებას, აღნიშნულს, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როცა სასამართლომ მცდარად (შეცდომით) განმარტა სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმის შინაარსი, რამაც გამოიწვია მხარეთა უფლება-მოვალეობების არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია.

2. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა. სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ეს ის მოთხოვნაა, რომელიც შეეხება საქმის ფაქტობრივ მხარეს.

გადაწყვეტილება უნდა მივიჩნიოთ დასაბუთებულად მაშინ, როცა მასში ასახულია მოცემული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებიც დადასტურებულია (დამტკიცებულია) სასამართლოს მიერ შემოწმებული იმ მტკიცებულებებით, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონის მოთხოვნებს მტკიცებულებათა შესახებობისა და დასაშვებობის შესახებ, ან დადასტურებულია (დამტკიცებულია) საყოველთაოდ ცნობილი გარემოებებით (ფაქტებით), რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ, აგრეთვე მაშინ, როცა გადაწყვეტილება შეიცავს სასამართლოს ამომწურავ დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ დადგენილი ფაქტებიდან (საუბარია მტკიცებულებებით დადასტურებულ სასამართლო დასკვნებზე, საქმის დადგენილი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ).

დასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ გადაწყვეტილება, როცა საქმის ფაქტობრივი გარე-

მოებების შესახებ სასამართლოს დასკვნები მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს შეესაბამება.

ფაქტობრივი გარემოებების შესახებ დასკვნები მოტივირებული უნდა იყოს გადაწყვეტილებაში მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებით. გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს ვარაუდს საქმის გარემოებების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ:

1) სრულად ასახავს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებს,და თითოეული ამ ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ სასამართლო ცალ-ცალკე მსჯელობს გადაწყვეტილებაში;

2) სასამართლოს დასკვნები საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტების (გარემოებების) არსებობის ან არარსებობის შესახებ ეფუძნება (ემყარება) სასამართლოს სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს. უშუალობის პრინციპის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების არასწორი შეფასება და გადაწყვეტილების დასაბუთება იმ მტკიცებულებებით, რომლებიც არ გამოკვლეულა სასამართლო სხდომაზე.

სასამართლოს არა აქვს უფლება იხელმძღვანელოს იმ მონაცემებით, რომლებიც მის მიერ მიღებულია (მოპოვებულია) სასამართლოს სხდომის გარეშე. ამ ცნობებს (მონაცემებს) არ შეიძლება ჰქონდეთ საპროცესო მნიშვნელობა.

3) გადაწყვეტილება ეფუძნება (ემყარება) მტკიცებულებებს ამ მტკიცებულებათა შესახებობისა და დასაშვებობის შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. თუ მაგალითად, კანონის თანახმად რაიმე გარემოება არ შეიძლება დადასტურდეს (დამტკიცდეს) მოწმეთა ჩვენებით, სასამართლოს უფლება აქვს ამ გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ თავისი დასკვნა დაასაბუთოს გადაწყვეტილებაში მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით (მითითებით).

სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს ის დასკვნა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს საქმის არსებითად განხილვის პროცესში შემოწმებული, გამოკვლეული და დადგენილი ყველა ფაქტიდან. თუ სასამართლო მტკიცებულებებს შეაფასებს თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთობლიობაში და დაადგენს, რომ ესა თუ ის წარმოდგენილი მასალა, მოწმის ჩვენება, სხვა მტკიცებულებები ვერ ადასტურებს იმ გარემოებებს,რომლებზეც,როგორც საფუძველზე,მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს,მან გადაწყვეტილებაში დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს თავისი დასკვნა ამის შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს ტრიადის – გარემოებების (ფაქტების), მტკიცებულებებისა და დასკვნების არსებობას. გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ: არასწორადაა განსაზღვრული (დადგენილი) იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებები; არ მტკიცდება ის გარემოებები, რომელთაც სასამართლო მიიჩნევს (თვლის) დადგენილად, გადაწყვეტილებაში ასახული სასამართლოს დასკვნები არ შეესაბამება საქმის გარემოებებს.

დაბოლოს, დასაბუთებულობისა და კანონიერების ცნებები ურთიერთდაკავშირებულია და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს კანონიერი.

3. სასამართლო გადაწყვეტილების სისრულე. კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ სხვა არსებითი მოთხოვნებიც, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს გადაწყვეტილება, კერძოდ, იგი უნდა იყოს სრული, განსაზღვრული, კანონით დადგენილი ფორმის შესაბამისად შედგენილი, უპირობო.

მოთხოვნა გადაწყვეტილების სისრულის თაობაზე ნიშნავს იმას,რომ გადაწყვეტილებაში პასუხი უნდა გაეცეს მოსარჩელის მიერ აღძრულ და სასამართლოს მიერ განხილულ

ყველა მოთხოვნას და ამ მოთხოვნების წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა შესაგებელს.

ამგვარი მოთხოვნის მიუხედავად, გამონაკლისის სახით დაშვებულია ე.წ. შუალედური (წინასწარი) გადაწყვეტილებების გამოტანა (სსსკ 246-ე მუხლი), რომლებშიც სასამართლო აღიარებს მხოლოდ მოსარჩელის უფლებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ისე, რომ არ წყვეტს საკითხს მიკუთვნებული მატერიალური სიკეთის მოცულობის შესახებ. კანონით (246-ე მუხლი) დადგენილია, რომ თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ. ასეთი შუალედური (წინასწარი) გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

თუ ერთ პროცესში სასამართლომ განიხილა მოსარჩელის რამდენიმე მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ან თუ პირვანდელ სარჩელთან ერთად აღძრული და განხილული იყო შეგებებული სარჩელი, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ამომწურავ დასკვნებს თითოეული განხილული მოთხოვნის თაობაზე. თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ რა წილი ეკუთვნის თითოეულ მათგანს, ან აღნიშნოს, რომ გადახდევინების უფლება სოლიდარულია. როცა გადაწყვეტილება რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ გამოდის, მაშინ სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა წილი უნდა შეასრულოს, ან აღნიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია (სსსკ 256-ე მუხლი). თუ გადაწყვეტილება არ არის სრული, ეს გამოიწვევს მის გაუქმებას ზემდგომი სასამართლოს მიერ, თუ გადაწყვეტილების ნაკლი არ შეიძლება აღმოიფხვრას სსსკ 261-ე მუხლის გამოყენებით (დამატებითი გადაწყვეტილება).

4. **გადაწყვეტილების განსაზღვრულობა**. განსაზღვრულობის, ანუ კატეგორიულობის მოთხოვნა ნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული: დაკმაყოფილდა სარჩელი თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე; თუ სარჩელი დაკმაყოფილდა, სახელდობრ, რა მიეკუთვნა მოსარჩელეს, მისი (მის სასარგებლოდ) რომელი უფლება აღიარა სასამართლომ, რა ევალება მოპასუხეს. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს, ვის ეკუთვნის უფლება, ვის ეკისრება ვალდებულება, რაში მდგომარეობს ამ უფლება-მოვალეობათა კონკრეტული შინაარსი, ანუ მკაფიოდ უნდა იყოს გადაწყვეტილი მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსის საკითხი. მოცემული მოთხოვნის დაცვა სასამართლოს მიერ, უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილების რეალურ აღსრულებას.

დაუშვებელია ისეთი გადაწყვეტილებების გამოტანა, რომელთა აღსრულებაც დამოკიდებულია გარკვეული პირობების დადგომაზე, ან, პირიქით, იმაზე, რომ გარკვეული პირობა არ დადგება (პირობითი გადაწყვეტილებები). გადაწყვეტილების უპირობობა ნიშნავს, რომ მისი სარეზოლუციო ნაწილი არ უნდა შეიცავდეს მითითებას იმაზე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე.

სასამართლო გადაწყვეტილების განსაზღვრულობა (კატეგორიულობა) მჭიდროდაა დაკავშირებული იმასთან, რომ დაუშვებელია ალტერნატიული გადაწყვეტილებების გამოტანა (მიღება). ის, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს გამოიტანოს ალტერნატიული გადაწყვეტილებები, ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს გადაწყვეტილებაში გაითვალისწინოს უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების სხვადასხვა საშუალება და მიანიჭოს მათ ერთნაირი მნიშვნელობა (გაუთანაბროს ისინი ერთმანეთს). მაგალითად, დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ამგვარი ფორ-

მულირება: „დაევალოს მენარდეს მოსარჩელისათვის ფულის დაბრუნება ან შეკვეთილი სამუშაოს სათანადოდ შესრულება“. თუმცა, კანონით დაშვებულია სასამართლოს მიერ **ე.წ. ფაკულტატური გადაწყვეტილებების გამოტანის** შესაძლებლობაც, მომავალში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაიოლების და მოსარჩელის ქონებრივი უფლებების რეალურად დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ფაკულტატურ გადაწყვეტილებაში სასამართლო ქონების ნატურით გადაცემის შესახებ აღსრულების ძირითად საშუალებასთან ერთად ერთბაშად ითვალისწინებს დამატებით (დამზღვევ) ვარიანტსაც, რომელიც იმუშავებს (გამოიყენება) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილების აღსრულება ძირითადი საშუალებით შეუძლებელია, ე.ი. როცა მიკუთვნებული ნივთი ნატურით არ აღმოჩნდება. ერთი მიკუთვნება იცვლება მეორით, იმის გათვალისწინებით, რომ პირველის აღსრულება, შესაძლოა, შეუძლებელი აღმოჩნდეს. ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში ყოველთვის უთითებს ამ ქონების ღირებულებას, ის გადახდება მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება (სსსკ 253-ე მუხლი, ალტერნატიული გადაწყვეტილება ქონების მიკუთვნების ან მისი ღირებულების ანუ მიკუთვნებული ქონების ფულადი ეკვივალენტის გადახდევინების შესახებ). ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაბამისი უფლების მინიჭებით სსსკ-ის 253-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ან ღირებულების გადახდევინება მოპასუხისაგან, დიდი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, რადგანაც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიაა. საუბარია კონკრეტული ქონების მიკუთვნების გადაწყვეტილებაზე, ამიტომ მიკუთვნებული ქონების ღირებულებას სასამართლო განსაზღვრავს მხარეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების და წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში (გადაწყვეტილების გამოტანის დღეს მოქმედი) მოცემულ რეგიონში არსებული საბაზრო ფასით. აუცილებლობის შემთხვევაში ქონების შესაფასებლად საქმეში შეიძლება ჩაებას სპეციალისტი. შესაძლებელია ისიც, რომ მხარეთა შორის მიღწეულ იქნეს იმ გარემოებათა ურთიერთაღიარება, რომელიც ქონების ღირებულებას ეხება. პროცესუალურად ეს აღიარება სასამართლოს მიერ ფორმდება და ფასდება სსსკ-ის 131-ე, 132-ე და 105-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით, სხვა მტკიცებულებებთან ერთად. იმ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რომელშიც არ არის განსაზღვრული ფულადი ეკვივალენტი, საკითხი გადაწყდება სასამართლო განჩინებით, რომლითაც შეიცვლება გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება (263-ე მული). როდესაც სასამართლო წყვეტს ნივთის გადაცემის საკითხს, მან უნდა დააკონკრეტოს ნივთი, მიუთითოს ნივთის ინდივიდუალური ნიშნები. თუ სასამართლო აკუთვნებს რამდენიმე ინდივიდუალურ ნივთს (საგანს), მან უნდა განსაზღვროს ერთობლიობაში ყველა ნივთის ღირებულება და ასევე თითოეული ნივთის ღირებულება ცალ-ცალკე, რამეთუ ნებისმიერი მათგანის არარსებობის დროს შეიძლება გადახდევინებულ იქნეს მისი ფულადი ეკვივალენტი. თუკი საუბარია ისეთი ნივთების მიკუთვნების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია ერთიანი გვაროვნული ნიშნებით, სასამართლო ადგენს (განსაზღვრავს) მათ საერთო ღირებულებას. სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების მომენტში ინფლაციური პროცესების გამო ქონების ნომინალური ღირებულების შეცვლა სასამართლოს მიერ გადახდევინებული თანხის ინდექსაციის გამოყენების საფუძველია. დაკარგვის ან ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის გამო კრედიტორისათვის ქონების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის დროს კრედიტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის შესახებ განცხადებით, მაგრამ თუ აღმასრულებელს აქვს ინფორმაცია, რომ ქონება იმყოფება მესამე პირებთან, მაშინ სააღსრულებლო მოქმედებები წარმოებს სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისად. სხვა შედეგები დგება, როდესაც

კრედიტორი და მოვალე ამტკიცებს, რომ აღსრულების საგანი ის ნივთი არ არის, რომელიც გადაწყვეტილებაშია მითითებული. თუ აღმასრულებელს ეჭვი გაუჩნდა გადაცემის საგანთან მიმართებაში, მას შეუძლია სასამართლოს წინაშე დასვას გადაწყვეტილების განმარტების საკითხი იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რომელი ნივთის შესახებ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება (262-ე მუხლი). თუ სასამართლომ არ შეასრულა სსსკ-ის 253-ე მუხლის მოთხოვნა და არ მიუთითა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიკუთვნებული ქონების ღირებულება, მაშინ გადაწყვეტილების ეს ხარვეზი შეიძლება შეივსოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით. მსგავს სიტუაციაში, გამოირიცხება მოვალის მიმართ კრედიტორის მიერ ფულადი ფორმით ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა მიკუთვნებული ქონების დაკარგვის დროს, რომელიც მოვალის ბრალით დაიკარგა. ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას კი, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რაც დაკავშირებული არ არის ქონების ან ფულადი თანხების გადაცემასთან, სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში შეუძლია (უფლება აქვს) მიუთითოს (გაითვალისწინოს მოსარჩელის უფლება), რომ, თუ მოპასუხე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს დადგენილ ვადაში, მოსარჩელეს უფლება აქვს ეს მოქმედება შეასრულოს თავისი ძალებით და საშუალებებით მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების, რომლებიც გასწია მოსარჩელემ, ანაზღაურებით. თუ აღნიშნული მოქმედება შეიძლება შეასრულოს მხოლოდ მოპასუხემ, სასამართლო გადაწყვეტილებაში დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს (სსსკ 254-ე მუხლი). მოცემულ სიტუაციაში გადაწყვეტილების აღსრულების ასეთი დამზღვევი ვარიანტის დადგენა შესაძლებელია, თუ მოსალოდნელია, რომ მოპასუხე თავს აარიდებს გადაწყვეტილების აღსრულებას. განსაზღვრულობის (კატეგორიულობის) მოთხოვნის დარღვევა იწვევს გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებას. თვითონ იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც გამოიტანა ასეთი გადაწყვეტილება, შეიძლება შეივსოს მხოლოდ ერთი ნაკლი – აღსრულების ფაკულტატური საშუალების მიუთითებლობა. ამრიგად, გადაწყვეტილებაში მოსარჩელის უფლებაზე მითითება გადაწყვეტილების აღსრულებისაგან მოპასუხის მიერ თავის არიდების შემთხვევაში თვითონ შეასრულოს ეს მოქმედება მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით, არ არის სასამართლოს ვალდებულება და ამას ადგილი შეიძლება ჰქონდეს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე მოსარჩელის აზრის გათვალისწინებით. ამრიგად, ფაკულტატური გადაწყვეტილების გამოტანა დაიშვება სსსკ 254-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც. საერთოდ რაიმეს მიკუთვნების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება ავალდებულებს მოვალეს შეასრულოს გარკვეული მოქმედებები ან თავი შეიკავოს მათი შესრულებისაგან. თუ მოვალე არ ასრულებს გადაწყვეტილებას ნებაყოფლობით, მას იძულებით აღასრულებს აღმასრულებელი, კერძოდ, ფულს და სხვა ქონებას ამოიღებს მოვალისაგან და გადასცემს კრედიტორს. იმ შემთხვევაში კი, როცა მოპასუხეს ეკისრება მოქმედების შესრულება, რომელიც არ არის დაკავშირებული ფულადი თანხის ან სხვა ქონების გადაცემასთან, შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტი იმ მოქმედებების ხასიათისდა მიხედვით, რომლებიც ეკისრება მოპასუხეს. 254-ე მუხლი არ შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა მოვალის ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მისი ნების საწინააღმდეგოდ აღსრულების ორგანოს მიერ სააღსრულებო წარმოებათა წესით. მოცემულ შემთხვევაში საუბარია არა ქონების ან ფულადი თანხის დაბრუნებასთან, მათ გადაცემასთან დაკავშირებული მოქმედებების შესახებ, არამედ ისეთი მოქმედებების შესახებ, რომელთა შესრულებაც, პირველ რიგში, შეუძლია თავად მოპასუხეს (მაგალითად, ღობის აღდგენა მიწის ნაკვეთებს შორის, ბავშვის გადაცემა, ამა თუ იმ ქონების რემონტის წარმოება და ა.შ.).

თავიანთი შინაარსით ის მოქმედებები, რომლებიც შეიძლება და უნდა შეასრულოს

მოპასუხემ გადაწყვეტილების აღსრულების წესით, ორ სახედ იყოფიან. პირველი ეს ის მოქმედებებია, რომელთა შესრულება შეუძლია არა მარტო თავად მოპასუხეს, არამედ აგრეთვე სხვა პირებსაც, თუნდაც როცა მოპასუხე უარს ამბობს მათ შესრულებაზე იძულებითი წესით. მეორე ის მოქმედებებია, რომელთა შესრულება მხოლოდ თავად მოპასუხეს შეუძლია, მაგალითად, ბავშვის გადაცემა, რომლის ადგილსამყოფელსაც ის მალავს, პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების, იმავე (შესაბამისი) წესით უარყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებაა უფლების დამრღვევი ან ისეთი მოქმედების აღკვეთა, რომელიც საფრთხეს უქმნის უფლების დარღვევას. ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილების დროს მოპასუხეს ევალება გარკვეული მოქმედებების შესრულებისაგან თავის შეკავება (აღეკვეთება ეს მოქმედება). კერძოდ, უფლების დაცვის ასეთი საშუალება გამოიყენება საავტორო და სხვა საქმეებზე სარჩელთა დაკმაყოფილების დროს. გადაწყვეტილებაში ასახული გარკვეული მოქმედებების შესრულების აკრძალვის დარღვევა აგრეთვე იწვევს 254-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს. 254-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მიეკუთვნება პირველი სახის მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ევალება მოპასუხეს.

სასამართლოს მიერ განსაზღვრული მოქმედებების შესრულების ვალდებულების არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობის დროს მოპასუხის (მოვალის) მიმართ გამოიყენება სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული ზომები.

254-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეეხება შემთხვევებს, როცა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით შესაბამისი მოქმედებები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მოპასუხის მიერ.

თუ მოპასუხესთან ერთად ეს მოქმედებები შეიძლება შეასრულოს მოსარჩელემაც (სამშენებლო სამუშაოები და ა.შ.), სასამართლო მიანიჭებს მოსარჩელეს უფლებას თვითონ ან შესაბამისი სამუშაო ძალის და სპეციალისტების გამოყენებით შეასრულოს მოქმედებები, რომელიც დაეკისრა მოპასუხეს, შემდგომში გაწეული ხარჯების მოპასუხისაგან გადახდევინებით. შესაძლებელია მსგავსი გადაწყვეტილებების აღსრულების სხვა ვარიანტების გამოყენებაც, რომლებიც გათვალისწინებულია სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისი ნორმებით.

იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხეს ეკისრება იმ მოქმედებების შესრულება, რომელთა შესრულებაც მოსარჩელეს არ შეუძლია მის ნაცვლად (მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იმ ცნობების უარყოფის განთავსება, რომლებიც ლახავენ მოსარჩელის პირად უფლებებს), სასამართლო დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას, ამ მოქმედებათა შესასრულებლად. თუ მოპასუხე დადგენილ ვადაში არ შეასრულებს აღნიშნულ მოქმედებას, მის მიმართ გამოყენებული იქნება სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები. თუ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული მოსარჩელის უფლებაზე თვითონ შეასრულოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული მოქმედებები მოპასუხის ხარჯზე, მაშინ მოსარჩელეს (კრედიტორს), რომელსაც სურს ამ მოქმედებების შესრულება, შეუძლია შემდეგში (გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ) განცხადებით მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის შესახებ (იხ. სსსკ 263-ე მუხლი).

5. სასამართლო გადაწყვეტილების ფორმა. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობით და ხელს უნდა აწერდეს ყველა მოსამართლე, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დადგენაში, თუ საქმე განხილულ იქნა კოლეგიურად, ანდა ერთპიროვნულად საქმის განმხილველი მოსამართლე. თუ საქმის განხილვაში მონაწილე ერთ-ერთი მოსამართლე მონაწილეობას იღებდა მის გამოტანაში (დადგენაში), მაგრამ ვერ შეძლო გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერა (მოულოდნელად გარდაიცვალა, მძიმედ ავად გახდა), მაშინ საქმე აღარ განიხილება თავიდან, ხოლო ორი მოსამართლის ხელმოწერის შემდეგ

განიმარტება (აღინიშნება), თუ რა მიზეზით არ არსებობს გადაწყვეტილებაზე მესამე ხელმოწერა. ეს წესი უნდა გამოვიყენოთ, თუ გადაწყვეტილებაზე ხემლმომწერი ორივე მოსამართლე ერთ აზრზე არიან საქმესთან დაკავშირებით, ხოლო თუ მათ შორის გაიყოფა ხმები, მაშინ, აუცილებელი გახდება გადაწყვეტილების გამოტანის (გამოცხადების) გადადება და გამოკლებული მოსამართლის ჩანაცვლება. გადაწყვეტილების ტექსტს უნდა ჰქონდეს გარკვეული რეკვიზიტები და შემადგენელი ნაწილები კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. გადაწყვეტილების შედგენის მიმართ დადგენილი წესების (მოთხოვნების) დაუცველობა, ზემდგომი სასამართლოს მიერ მის გაუქმებას იწვევს (მაგალითად, თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ საქმის განმხილველი მოსამართლე ან მოსამართლეები, ეს გამოიწვევს უპირობოდ მის გაუქმებას).

§3. სასამართლო გადაწყვეტილების ხარვეზის აღმოფხვრა. დამატებითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების განმარტება

1. **გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება**. სასამართლო გადაწყვეტილება მისი გამოტანის მომენტიდან შეუცვლელობის თვისებას იძენს. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის (გამოცხადების) შემდეგ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს არა აქვს მისი გაუქმების ან შეცვლის უფლება. თუ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლოს მიერ დაშვებულია შეცდომები, მაშინ უსწორო გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა შეიძლება მხოლოდ ზემდგომი სასამართლოს მიერ.

გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია მისი გაუქმება კანონით დადგენილი საფუძვლით, აგრეთვე, როდესაც საქმის წარმოების განახლების თაობაზე შესულია განცხადება, რომელსაც კანონის (სსსკ 424-ე მუხლი) თანახმად, განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილების (განჩინების ან გადაწყვეტილების) გამომტანი სასამართლო.

ამასთან, არსებითად სწორ გადაწყვეტილებაში ზოგჯერ არსებობს ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრის გარეშე არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სწორი აღსრულება და რომელთა გამოსწორებაც გადაწყვეტილების შინაარსის შეუცვლელად შეუძლია იმავე სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილების გამოსწორება შესაძლებელია სათათბირო ოთახში, ე.ი. მისი გამოტანის მომენტში. ეს მაშინ ხდება, როცა გადაწყვეტილების ჩამოყალიბების დროს მის ტექსტში დაშვებულია ცდომილება, გამოტოვებულია სიტყვები, ცალკეული სიტყვის ან გამონათქვამის, პროცესის მონაწილის სახელის, გვარის, მამის სახელის, სასამართლოს შემადგენლობის დაწერის დროს დაშვებულია უზუსტობა, რაც ართულებს საქმის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

რაც შეეხება აშკარა არითმეტიკულ შეცდომებს, ისინი, როგორც წესი, შეიძლება დაშვებულ იქნეს არითმეტიკული მოქმედების შესრულების დროს, გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრისას, რაც ხშირად განპირობებულია დიდი თანხით, რომელიც სარჩელის ფასს შეადგენს. სხვა საქმეა, თუ გაანგარიშება არასწორი აღმოჩნდა კანონის არასწორი გაგების გამო. ვთქვათ, თუ გადახდილი თანხის გაანგარიშება, მაგალითად, სახელმწიფო ბაჟის გაანგარიშება სახელმწიფო ბაჟის კანონის შეუსაბამო აღმოჩნდა, მაშინ დაშვებულ შეცდომაზე იმსჯელებს და შესაბამის ნაწილში გაადწყვეტილებას გააუქმებს (შეცვლის) მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო კანონით დადგენილი წესით და არა საქმეზე გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, რამეთუ ამ შემთხვევაში კანონის შინაარსი

არასწორად იქნა გაგებული (არასწორად იქნა კანონის ნორმა გამოყენებული).

გადაწყვეტილებაში არსებული ხარვეზის გამოსწორების საშუალებებია უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გამოსწორება, **დამატებითი გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების განმარტება, გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა**.

გადაწყვეტილების შედგენის მომენტში აღმოჩენილი უსწორობისა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება ხდება გადაწყვეტილების ტექსტში, რომელშიც შეტანილი შესწორების შესახებ კეთდება შენიშვნა „სწორია" მოსამართლეთა ხელმოწერების წინ (სსსკ 243-ე მუხლი).

მას შემდეგ კი, რაც გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდება, გადაწყვეტილებაში აღმოჩენილ უსწორობათა და შეცდომათა გამოსწორება სხვაგვარი (სსსკ 260-ე მუხლით დადგენილი) წესით ხდება მხარეთა მოთხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით, თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხის გადასაწყვეტად ტარდება სპეციალური ღია სასამართლოს სხდომა ასეთ დროს მხარეებს ეცნობებათ მოცემული საკითხის სასამართლო სხდომაზე განხილვის დრო და ადგილი 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესებით. მაგრამ სათანადო წესით დაბარებულ პირთა გამოუცხადებლობა საქმისწარმოების გადადების საფუძველი არაა, ანუ არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. სსსკ-ის 260-ე მუხლის სასამართლო შესაძლებლობას ანიჭებს აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს სასამართლო სხდომაზე, თუ სასამართლო ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, ანუ ამ მუხლში არ არის იმპერატიული მოთხოვნა იმისა, რომ სასამართლომ მოიწვიოს სხდომა. სასამართლოს უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს სხდომის მოწვევის საკითხი, თუ აღნიშნულს საჭიროდ მიიჩნევს. (სუსგ 2003 წ. №12, გვ. 3248). სასამართლო გადაწყვეტილების გასწორების შესახებ საკითხის განხილვის შედეგების მიხედვით სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში შედის შესწორება, ან განჩინებითვე უარს ამბობს სასამართლო მათ გამოსწორებაზე. გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების არარსებობის მოტივით გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანაზე უარის თქმის განჩინებაზე კერძო საჩივარი არ შეიტანება. თუმცა სასამართლოს მიერ დაშვებულ უსწორობებსა და არითმეტიკულ შეცდომებზე შეიძლება მიეთითოს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში. თუ სასამართლო გამოასწორებს უსწორობებს ან შეცდომებს, სააღსრულებო ფურცელი გამოიწერება გადაწყვეტილების საბოლოო ტექსტის გათვალისწინებით. უსწორობისა და შეცდომების გასწორებით არ უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილება არსებითად, არ უნდა შეიცვალოს სასამართლოს თავდაპირველი დასკვნა. მაგალითად, სასამართლოს განჩინებით არ შეიძლება შეიცვალოს ფულადი კომპენსაციის განსაზღვრის პრინციპში შეცდომა, რამეთუ ეს იქნებოდა თავად სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლა. კანონმდებელი სსსკ-ის 260-ე მუხლში გულისხმობს გადაწყვეტილებაში დაშვებული ისეთი უსწორობის და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორებას, რომელიც არსებითად არ შეცვლის მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს, .

უსწორობა ესაა ცდომილება მხარეთა გვარში, სახელში, მამის სახელში, ორგანიზაციის დასახელებაში და ა.შ.

აშკარა არითმეტიკული შეცდომა კი არის უზუსტობა გაანგარიშებაში, რომელიც თვალნათელია ნებისმიერი პირისათვის იმავე საწყისი (ამოსავალი) მონაცემებიდან გამომდინარე არითმეტიკული მოქმედების შედეგის შემოწმების დროს. გადასახდელი თანხის ოდენობაში, რიცხვებში შესწორებათა შეტანა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაშვებული უზუსტობა უბრალოდ შემთხვევითი შეცდომის შედეგია, რაც დაშვებულ იქნა გაანგარიშებაში,

მაგალითად, ციფრების დაწერის დროს გამოტოვებულია „0“, რაც ბუნებრივია, ამცირებს გადაწყვეტილებაში მითითებულ თანხას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კანონში გამოყენებული სიტყვა „აშკარა“ არავითარი დამატებითი აზრობრივი დატვირთვის მატარებელი არაა, ვინაიდან არ შეიძლება არსებობდეს ისეთი არითმეტიკული შეცდომა, რომელიც აშკარა არაა.

გადასახდელი თანხის არასწორად განსაზღვრა შესაძლოა იყოს როგორც არითმეტიკული შეცდომის, ისე არასათანადო კანონის გამოყენების შედეგი, რომელიც ითვალისწინებს გადასახდელი თანხების გაანგარიშების ისეთ წესს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ გამოდგება, ანუ შესაძლოა, სასამართლომ არსებითი შეცდომა დაუშვას გაანგარიშებაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სსსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება (მისი გამოყენება დაუშვებელია), რამეთუ ამ შემთხვევაში უკვე ფაქტობრივად მოხდებოდა გადაწყვეტილების არსის შეცვლა. ამგვარი შეცდომის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ სააპელაციო ან საკასაციო წესით. კანონით არ არის დადგენილი არანაირი დროითი ფარგლები უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების საკითხის განხილვისა, თუმცა მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილებებზე მოცემული საკითხის განხილვას იურიდიული მნიშვნელობა აქვს სააღსრულებო დოკუმენტის (ფურცლის) აღსასრულებლად წარდგენის ვადების ამოწურვამდე (გასვლამდე), აქედან გამომდინარე, იმდენად, რამდენადაც კანონი არ ადგენს ამ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის რაიმე ვადებს, უნდა გამოვიდეთ შემდეგი წესიდან: სასამართლო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა შეიძლება მანამდე, სანამ ის მიექცევა აღსასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ აღდგენილ იქნება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ვადა, მაშინ, შესაბამისად, გაგრძელდება ის ვადაც, რომლის განმავლობაშიც შეიძლება იქნეს შეტანილი შესწორებები მოცემული გადაწყვეტილების ტექსტში. ამდენად, შესწორება შეიძლება განხორციელდეს იძულებით აღსასრულებლად გადაწყვეტილების წარდგენის ვადების ფარგლებში. შესწორებათა შეტანა იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან იძულებითი წესით აღსრულებას, არ არის შემოფარგლული რაიმე დროითი ფარგლებით. გადაწყვეტილებაში შესწორებები შეიძლება შეტანილ იქნეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუ შესაბამისი ხარვეზები არ იყო გამოსწორებული (აღმოფხვრილი) ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ. აშკარა არითმეტიკული შეცდომის გასწორების შესახებ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს არითმეტიკულ შეცდომაზე და იგი არ უნდა შეეხოს იმ იურიდიულ საკითხებსა და პრინციპებს, რომლებიც გადაწყვეტილებით არის დადგენილ-განსაზღვრული. სასამართლო არ უნდა გასცდეს გადაწყვეტილებით დადგენილ გაანგარიშების წესს და უნდა იმსჯელოს ამ წესიდან გამომდინარე გაანგარიშებაზე და არ უნდა დაადგინოს გაანგარიშების ახალი წესი. იმდენად, რამდენადაც ზემდგომ სასამართლოებს ქვემდგომი სასამართლოების აქტების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების დროს უფლება აქვთ გამოიტანონ ახალი გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებათა შინაარსიც იმავე წესით შეიძლება გასწორდეს, რაც სსსკ-ის 260-ემუხლითაა დადგენილი.

2. **დამატებითი გადაწყვეტილება**. ყველა გადაწყვეტილება სრულ და ამომწურავ პასუხს უნდა იძლეოდეს სარჩელში დაყენებულ ყველა მოთხოვნაზე და, ამასთან, გადაწყვეტილ უნდა იქნეს სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი. თუ სასამართლო გადაწყვეტილებაში რომელიმე მოთხოვნაზე არ არის პასუხი გაცემული, მოსარჩელეს ისევ ექნება უფლება მიმართოს სასამართლოს სარჩელით ამავე მოთხოვნაზე, რამეთუ დამაბრკოლებელ ფაქტორს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა იმავე სარჩელზე (სსსკ 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

ამასთან, კანონი უფრო გაიოლებულ ფორმას ითვალისწინებს ამ საკითხის გადაწყვეტისა

და მოსარჩელეს ანიჭებს სასამართლოსაგან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, თუ მხარეებმა მისცეს ახსნა-განმარტებები ამ მოთხოვნის შესახებ და წარადგინეს შესაბამისი მტკიცებულებები.

დამატებითი გადაწყვეტილების (ან შეიძლება ითქვას გადაწყვეტილების დამატება) გამოტანა, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ისეთი ხარვეზის გამოსწორების საშუალებაა, როგორიც მისი დაუსრულებლობაა. დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომლებიც დადგენილია საქმის განხილვის დროს და მხოლოდ სსსკ 261-ე მუხლით პირდაპირ გათვალისწინებულ სამ შემთხვევაში, კერძოდ:

1) თუ სასამართლომ არ განიხილა, უპასუხოდ დატოვა რომელიმე მოთხოვნა (არ გამოიტანა მათ თაობაზე გადაწყვეტილება), თუმცა კი მათ თაობაზეც (დასამტკიცებლად) საქმის მონაწილეებმა წარადგინეს მტკიცებულებები და მისცეს ახსნა-განმარტებები და ყოველივე ეს ასახულია სასამართლო სხდომის ოქმში (მაგალითად, არ არის გადაწყვეტილი დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოთხოვნა, უპასუხოდ დარჩა შეგებებული სარჩელი, მოსარჩელის მიერ აღძრულ რამდენიმე მოთხოვნათაგან, ნაწილი უპასუხოდაა დატოვებული. ვთქვათ, აღძრული იყო მამობის დადგენისა და ალიმენტების გადახდევინების სარჩელი. სასამართლომ მამობის დადგენის სარჩელი (მოთხოვნა) დააკმაყოფილა, მაგრამ გადაწყვეტილებაში არაფერი უთქვამს ალიმენტების გადახდევინების თაობაზე. ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამოტანილ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება გადაუწყვეტელი მოთხოვნების მიმართ, რამეთუ განხილულ და სხვა ამდაგვარ შემთხვევებში ფაქტობრივად ერთმანეთს არ თანხვდება (არ ემთხვევა) სასამართლო განხილვის საგანი, ე.ი. ფაქტები და მტკიცებულებები და სასამართლო გადაწყვეტილების საგანი.

აღსანიშნავია, რომ სახეზე უნდა იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე მოთხოვნა და თითოეული მათგანი უნდა იყოს განხილვის საგანი სასამართლოში, რომ მის შესახებ საკითხი აღიძრას, მოყვანილი და გამოკვლეული იქნეს მტკიცებულები და ა.შ.

2) თუ სასამართლომ გადაწყვიტა უფლების შესახებ საკითხი (აღიარა მოსარჩელის შესაბამისი უფლება), არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, არ განუსაზღვრავს, თუ, სახელდობრ, რომელი ქონება უნდა გადაეცეს მოსარჩელეს, არ მიუთითებია მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს **(სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილების ნაცვლად გამოიტანა შუალედური გადაწყვეტილება, რითიც შეუძლებელი გახადა აღსრულება**). მაგალითად, სასამართლომ გაყო მეუღლეთა მიერ ერთად შეძენილი ქონება, ხოლო ქონების გაყოფის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ქონება იყოფა თანაბარ ნაწილად, მაგრამ არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელი ქონება (ნივთები) მიეკუთვნა მოსარჩელეს და რომელი – მოპასუხეს, თუმცა კი მოსარჩელე ითხოვდა არა მხოლოდ თავისი წილის განსაზღვრას საერთო საკუთრებაში, არამედ იმის განსაზღვრასაც, თუ კონკრეტულად რომელი ქონება უნდა გადაეცეს მას საკუთრებაში. კონკრეტული ქონება მხარეთა შორის ნაწილდება დამატებითი გადაწყვეტილებით.

3) თუ სასამართლომ არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი. აუცილებელი პირობა, რომელზედაც დამოკიდებულია დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, ერთიანი (საერთო) ფაქტობრივი საფუძვლის არსებობაა (იგულისხმება სასამართლო სხდომაზე დადგენილი გარემოებები და არსებითად გამოკვლეული მტკიცებულებები). სასამართლო ავსებს (ამატებს) საკუთარ გადაწყვეტილებას და მოჰყავს იგი განხილული საქმის შინაარსთან შესაბამისობაში. თუ ერთიანი (საერთო) ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს ან სასამართლოსაგან, თუ მან ძირითადი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ აღმოაჩინა

მასში სსსკ-ის 261-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი შემთხვევა (აღმოაჩინა გადაწყვეტილების არასრულყოფილება), ან ეს ხდება მხარეთა (საქმის მონაწილეთა) თხოვნით. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. მაგრამ დასაშვებია დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადების შეტანის საპატიო მიზეზით გაშვებული ვადის აღდგენა. სასამართლოს უფლება აქვს დამატებითი გადაწყვეტების გამოტანის საკითხის დასმის ვადა აღადგინოს სსსკ 65-ე, 66-ე, 68-ე მუხლებით დადგენილი წესით.

გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის 7 დღიანი საპროცესო ვადა ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო კი უფლებამოსილია გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება თავისი ინიციატივით ნებისმიერ დროს,თუ წარმოიშობა ამის საჭიროება. ნორმის არსიდან გამომდინარე, აღნიშნული პრეროგატივა სასამართლოს აქვს მხოლოდ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის უფლება აქვს მხოლოდ იმ სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

დამატებითი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის წესების დაცვით. აქედან გამომდინარე კი, სხდომის (საკითხის განხილვის) შესახებ უნდა ეცნობოთ საქმის მონაწილეთ. კანონი მათი გამოუცხადებლობის შედეგებსაც ითვალისწინებს, კერძოდ, საქმის მონაწილეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის განხილვასა და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას. სასამართლოს სხდომის მსვლელობა ოქმში აისახება. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი ისეთ შემთხვევაში, როცა სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი, განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვას და გადაწყვეტას.

თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, (მაგალითად, როცა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი აღძრულია სხვა საფუძვლებით, ვიდრე ეს კანონშია მითითებული), ის გამოიტანს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის განჩინებას, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა,თავად დამატებითი გადაწყვეტილება კი სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების დამოუკიდებელი ობიექტია (261-ე მუხლის მე-4 ნაწილის მითითება, რომ დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, არ უნდა გავიგოთ ვიწროდ, რადგან იგი ჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა და როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო გასაჩივრების ობიექტია). დამატებით გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა გამოითვლება სსსკ-ის 369-ე და 397-ე მუხლებით დადგენილი წესით, ეს ნიშნავს, რომ დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ან საკასაციო წესით ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად ან ცალკე (მისგან დამოუკიდებლად). დამატებითი გადაწვეტილება ცალკე საჩივრდება, როცა ძირითად გადაწყვეტილებაზე საჩივარი არ არის შეტანილი. თუ დამატებითი გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო ან საკასაციო წესით,მაშინ ასეთ შემთხვევაში ძირითადი გადაწყვეტილება არ შედის კანონიერ ძალაში. თუ ძირითად გადაწყვეტილებაზე შეტანილია სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი და ერთბაშად საქმის მონაწილე პირების ან სასამართლოს მიერ დასმულია დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი, სასამართლო თავდაპირველად გადაწყვეტს

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს, ხოლო შემდეგ გადააგზავნის საქმეს სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განსახილველად. ამ შემთხვევაში ზემდგომი სასამართლოს მიერ სრული მოცულობით მოწმდება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი გადაწყვეტილების კანონიერება, თუნდაც დამატებითი გადაწყვეტილება არც იყოს გასაჩივრებული, რამდენადაც იგი ძირითადი გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია, ამიტომ, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები ერთნაირად ეხება ორივე გადაწყვეტილებას.

დამატებითი გადაწყვეტილება გამოიტანება იმ საერთო წესების დაცვით, რომლებიც ძირითადი გადაწყვეტილების შინაარსსა და გამოტანის წესს განსაზღვრავენ. დამატებითი გადაწყვეტილება ძირითადი გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილია, ორივე ეს აქტი სადავო ურთიერთობათა მიმართ სამართლის შეფარდების ერთიან აქტს შეადგენს.

სასამართლოს არა აქვს უფლება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით არსებითად შეცვალოს ძირითადი გადაწყვეტილება (მისი შინაარსი). დამატებითი გადაწყვეტილება (ისევე როგორც ძირითადი გადაწყვეტილება) არ შეიძლება შეეხებოდეს იმ პირთა ინტერესებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საქმეში.

დამატებითი გადაწყვეტილებით არ შეიძლება გადაწყდეს ახალი საკითხები, ანუ ისეთი საკითხები, რომლებიც არ ყოფილა გამოკვლეული იმ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც გამოტანილ იქნა ძირითადი გადაწყვეტილება. დამატებითი გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს და უნდა დასაბუთდეს მხოლოდ იმ ფაქტობრივი მონაცემებით (გარემოებებით), რომლებიც მიღებულია (დადგენილია) მანამდე ჩატარებული ძირითადი სასამართლო განხილვის დროს. დამატებითი გადაწყვეტილების შინაარსი ეფუძნება განხილული საქმის მასალებს, დამატებით წარდგენილ მონაცემებს, მაგალითად გაწეული სასამართლო ხარჯების შესახებ, მასში აუცილებლად უნდა იყოს მითითება ძირითად გადაწყვეტილებაზე, დასახელდეს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლები, განხორციელდეს ფულადი მოთხოვნების შესახებ გაანგარიშება, აღინიშნოს გადასაცემი ქონება, მიეთითოს მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს.

3. **სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება**. გადაწყვეტილების განმარტება თავისი შინაარსით განსხვავდება დამატებითი გადაწყვეტილებისაგან იმით, რომ სასამართლო პასუხს იძლევა არა გადაუწყვეტელ მოთხოვნებზე, არამედ მხოლოდ განმარტავს ბუნდოვნად ჩამოყალიბებულ დებულებებს. გადაწყვეტილების განმარტების მიზანია მის აღსასრულებლად აუცილებელი პირობების შექმნა. ამიტომ, თუ სასამართლომ გადაწყვიტა უფლების საკითხი, მაგრამ არ მიუთითა გადასაცემი ქონება, გამოიტანება დამატებითი გადაწყვეტილება. თუკი სასამართლომ ქონება მიუთითა, მაგრამ საკმარისად სრულად არ განსაზღვრა მისი ინდივიდუალური ნიშნები, მას შეუძლია განმარტოს გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების განმარტების საჭიროების საკითხი დგება მაშინ, როცა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი მხარეთათვის გაურკვეველი და ბუნდოვანია, რის გამოც მისი აღსრულება გართულებულია. სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება (სსსკ 262-ე მუხლი) ხარვეზების გამოსწორების დამოუკიდებელი (ცალკე) საშუალებაა. ერთ-ერთ საქმეზე მითითებულია: აღნიშნული ნორმით განმარტების საგანი შეიძლება იყოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ბუნდოვანია და მხარისათვის გაუგებარია (სუსგ 2002 წ. №3. გვ. 476-479).

სხვა საქმეზე კი განმცხადებელს (რომელიც ითხოვდა გადაწყვეტილების განმარტებას) აინტერესებდა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი გულისხმობს თუ არა, რომ გ-მ მას უნდა დაუბრუნოს აუქციონზე ბინისათვის გადახდილი თანხა და გ-მ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად თ-ზე დაკისრებული თანხის გადახდის მოთხოვნით უნდა მიმართოს თუ არა სააღსრულებო ბიუროს სააღსრულებო წარმოებათა კანონის თანახმად ხელახალი აუქციონის ჩატარების მოთხოვნით. ასევე თ-ს განცხადების საფუძველზე მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა და ლუქი

რჩება თუ არა ძალაში.

საკასაციო სასამართლომ ეს განცხადება არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ განცხადების შინაარსის მიხედვით განმცხადებელს სურს მიიღოს იურიდიული კონსულტაცია გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებზე.

სსსკ-ის 262-ე მუხლი მიზანშეწონილად მიიჩნევს გადაწყვეტილების განმარტებას იმ შემთხვევაში, როცა იგი ბუნდოვანი და გაუგებარია მხარეთათვის.

გამომდინარე აღნიშნულიდან, იურიდიული კონსულტაციის მიცემა არ შეიძლება იყოს განმარტების ობიექტი და მხარემ უნდა მიმართოს იურიდიულ კონსულტაციას (სუსგ 2003 წ. №6. გვ. 1439-1440).

აღნიშნული ნორმა ადგენს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილებისა (განჩინების) და იმ განჩინების განმარტების წესს, რომელიც უნდა აღსრულდეს (მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება) და არ ითვალისწინებს ისეთი შუალედური განჩინების განმარტების შესაძლებლობას, რომლითაც საქმის წარმოება არ დამთავრებულა. ნორმის ამდაგვარად გაგება გამომდინარეობს 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომელიც გადაწყვეტილების განმარტებას უკავშირებს აღსრულებას და მისი მიზანია მოხდეს გადაწყვეტილების ზუსტად იმ შინაარსით აღსრულება, რასაც სასამართლო გულისხმობდა გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანისას. ამდენად, საპროცესო ნორმის საფუძველზე, იმ განჩინების განმარტება, რომელიც აღსრულებასთან არ არის დაკავშირებული და რომლითაც საქმის წარმოება არ დამთავრებულა, დაუშვებელია (სუსგ 2003 წ. №6. გვ. 1430).

სასამართლოს ან მოსამართლეს უფლება აქვს განჩინებით განმარტოს გამოტანილი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია (გაუგებარია), მაგრამ, ამასთან, არ შეიძლება შეიცვალოს გადაწყვეტილების შინაარსი. სასამართლოს არა აქვს უფლება განმარტებით თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს გადაწყვეტილების არსი, არამედ მხოლოდ უფრო სრული და გასაგები ფორმით უნდა ჩამოაყალიბოს იგი. თავდაპირველი ტექსტის უფრო სრულყოფილი (დასრულებული) ფორმით ჩამოყალიბება აუცილებელია მაშინ, როცა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სქემატურია, მისი ცალკეული ფორმულირებები მეტისმეტად შეკვეცილია (შემცირებულია, მოკლეა), ამის შედეგად გაძნელებულია სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის აღქმა მთლიანობაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლო იძულებულია განმარტოს საკუთარი დასკვნები. ფორმულირებათა სირთულისას, ბუნდოვანებისას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც დასკვნები არ არის დალაგებული ლოგიკური თანმიმდევრობით, როგორც წესი, აუცილებელია თავდაპირველი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის უფრო გასაგები ფორმით ჩამოყალიბება. ამ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს გადაწყვეტილების მნიშვნელობა (არსი), მისი მიზანი და არა შეივსოს ტექსტი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის უფრო სრულად და გასაგებად ჩამოყალიბებისას, რომლის განმარტებაც (გაგება) რთულია, სასამართლოს უფლება არა აქვს განმარტების გზით შეცვალოს (თუნდაც ნაწილობრივ) მისი შინაარხი და არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც არ არის ასახული სასამართლო გადაწყვეტილებაში (რომლებიც არ ყოფილა სასამართლო განხილვის საგანი), არამედ მხოლოდ უნდა ჩამოაყალიბოს სარეზოლუციო ნაწილი უფრო სრული და გასაგები ფორმით.

გადაწყვეტილების განმარტების საკითხი შეიძლება დასვან მხარეებმა (საქმის მონაწილეებმა – სსსკ 262-ე მუხლი), ან აღმასრულებელმა (იხ. სსსკ-ის 262-ე მუხლი და სააღსრულებო წარმოებათა კანონი). სასამართლო თავისი ინიციატივით გადაწყვეტილებებს არ განმარტავს.

იმდენად, რამდენადაც გადაწყვეტილების განმარტება ხდება მისი აღსრულების მიზნით, გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როცა გადაწყვეტილება

ჯერ არ არის აღსრულებული და ამასთან,ეს ხდება აღსრულების ხანდაზმულობის ვადების ფარგლებში (ამისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადებით). შესაბამისად, სსსკ 262-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია (განმარტება არ დაიშვება), თუ გადაწყვეტილება აღსრულებულია, თუნდაც არ იყოს გასული მისი იძულებითი აღსრულებისათვის გათვალისწინებული ვადა, ან გავიდა (ამოიწურა) გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად წარდგენის კანონით გათვალისწინებული ვადა და ეს ვადა არ არის აღდგენილი.

გადაწყვეტილების ნაწილობრივი აღსრულება არ აბრკოლებს მის განმარტებას აღუსრულებელ ნაწილში. ამდენად, თუ გადაწყვეტილება ნაწილობრივაა აღსრულებული, მაშინ განმარტება უნდა ეხებოდეს იმ ნაწილს, რომელიც არ აღსრულებულა, მაგრამ იმ პირობით, რომ გადაწყვეტილების აღსასრულებლად წარდგენის ვადა ჯერ კიდევ არ უნდა იყოს ამოწურული (გასული). შესაძლებელია გადაწყვეტილების განმარტების ვადის გაგრძელება, თუ გადაწყვეტილების აღსასრულებლადწარდგენის ვადა აღდგენილია. გადაწყვეტილების აღსრულების ან მისი იძულებითი აღსრულების ვადის გასვლის შემდეგ შეტანილ სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადებას (თუ ეს ვადა აღდგენლი არ არის) სასამართლო არ განიხილავს. იმ გადაწყვეტილების განმარტება, რომელიც იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარებ, არ არის შემოფარგლული რაიმე ვადით.

სსსკ 262-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ განმარტების საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ვინაიდან გადაწყვეტილების აღსრულება დაიშვება მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ამიტომ ლოგიკურად, ეს საკითხი უნდა დაისვას ამის შემდეგ. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია სხდომის ჩატარებაც განმარტების საკითხის გადასაწყვეტად. ასეთ დროს განმარტების განცხადება განიხილება სამოქალაქო პროცესის საერთო წესებით ღია სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ აღნიშნული სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას (ანუ არ შეიძლება იყოს საქმის გადადების საფუძველი).

გადაწყვეტილების განმარტებისას სასამართლოს არა აქვს უფლება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გაავრცელოს იმ პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საქმეში. სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება ფორმირდება სასამართლო განჩინების, როგორც ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით და უნდა პასუხობდეს მისი შინაარსისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას. განჩინება ერთვის საქმეს და სასამართლო გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილად განიხილება.

გადაწყვეტილების განმარტების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე მისი უკანონობისა და დაუსაბუთებლობის შემთხვევაში შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (აქ იგულისხმება როგორც გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინება, ისე განმარტებაზე უარის თქმის განჩინება).

კანონის თანახმად, გადაწყვეტილებას განმარტავს მისი გამომტანი სასამართლო, მიუხედავად იმისა, განხილულია თუ არა საქმე ამ სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით ან ახალი გადაწყვეტილება გამოტანილია ამ საქმის სააპელაციო და საკასაციო განხილვის დროს, მაგრამ არ არის სავალდებულო ეს საკითხი განიხილოს იმ შემადგენლობამ, რომელმაც განიხილა საქმე. ეს იმით აიხსნება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანასა და მის განმარტებას შორის ხანგრძლივი დრო (დიდი შუალედი) შეიძლება იყოს გასული და სასამართლოს შემადგენლობა (მათ შორის ერთპიროვნული მოსამართლე) შეიძლება შეცვლილ იქნეს. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილება უნდა განმარტოს იმ მოსამართლემ (სასამართლოს შემადგენლობამ), რომლის კომპეტენციასაც გადაეცა

ის საქმეები, რომლებიც გადაწყვეტილია საქმიდან გასული მოსამართლეების მიერ. თუ საკითხი ფაქტობრივად ეხება არა გადაწყვეტილების განმარტებას, არამედ მასში ცვლილებების შეტანას ან ისეთი მონაცემების დამატებას, რომლებზეც საუბარი არ ყოფილა გამოტანილ გადაწყვეტილებაში, სასამართლო განჩინებით უარს იტყვის მის განმარტებაზე. გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით შეტანილ განცხადებას სასამართლო განიხილავს შეტანიდან 1 თვის ვადაში.

262-ე მუხლით დადგენილი წესით გადაწყვეტილების განმარტებისაგან განსხვავდება გადაწყვეტილების ზეპირი განმარტებები მისი გამოცხადებისას (სსსკ 257-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

4. გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლა, გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება. გადაწყვეტილებაში ზუსტად უნდა იქნეს მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების ვადა, ე.ი. იმ მოქმედებათა შესრულების ვადა, რომელიც მხარეთა დარღვეული უფლებების დაცვის საშუალებებს წარმოადგენს. **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვადის შეცვლას.** გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა (რომლებიც აფერხებენ ან ართულებენ გადაწყვეტილების აღსრულებას) გათვალისწინებით ერთჯერადად 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, (გადადოს აღსრულების ვადა ან დაადგინოს ნაწილ-ნაწილ აღსრულებისათვის რამდენიმე ვადა).

გადაწყვეტილების აღსრულების გადადება წარმოადგენს და ნიშნავს მისი აღსრულების ვადის სასამართლოს განჩინებით გადატანას (აღსრულების გადავადებას), სხვა, უფრო გვიანი პერიოდისათვის, სხვა დროისათვის იმასთან შედარებით, რომელიც განსაზღვრულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილებაში ან დადგენილია კანონით (გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსასრულებლად), ხოლო განაწილვადება — პერიოდის დადგენას, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ სასამართლოს განჩინებით დადგენილ ვადებში. მაგალითად, ვალი ანაზღაურდება ნაწილობრივი (ნაწილ-ნაწილად) გადახდით სასამართლოს განჩინებით დადგენილ ვადებში. გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადება ნიშნავს, რომ აღსასრულებელი ნაწილები აღსრულდება დროის გარკვეული ინტერვალით და თითოეული ნაწილის აღსასრულებლად დგინდება გარკვეული ვადა. გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების ვადა მეტისმეტად ხანგრძლივი არ უნდა იყოს, თორემ ეს შეამცირებს სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანობას. სწორედ ამ კრიტერიუმის მიხედვით არის განპირობებული საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით, გადაწყვეტილების აღსრულების გადადების და განაწილვადების ვადის დაწესება. როგორც წესი, გადადება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა აღსრულების საგანი გაუყოფადია (დაუნაწილებადია), თუმცა გადადება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა აღსრულების საგანი გაყოფადია. განაწილვადება კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღსრულების საგანი გაყოფადია (მაგ., ფულადი თანხა და ა.შ.).

საყურადღებოა, რომ 263-ე მუხლი ითვალისწინებს არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით მხარის სასარგებლოდ მეორე მხარისთვის დაკისრებული ძირითადი თანხის, არამედ სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებასა და განაწილვადებასაც. სასამართლო ხარჯი სასამართლო გადაწყვეტილებით ეკისრება მხარეს და შესაბამისად, სასამართლო ხარჯის მიმართ გამოიყენება იგივე წესი, რაც დადგენილია 263-ე მუხლით, რადგან სასამართლო ხარჯები სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა განაწილდეს მხარეთა შორის, ე.ი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომელ მხარეს რა ოდენობით დაეკისრა სასამართლო

ხარჯი (სუსგ 2002 წ. №12, გვ. 2337-2339).

გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებაში მისი გამოტანის დროს. შესაძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანისა და კანონიერ ძალაში მისი შესვლის შემდეგაც, მაგრამ აღსრულებამდე. სსსკ 263-ე მუხლი გამოიყენება ამ უკანასკნელ შემთხვევაში. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადება შესაძლებელს გახდის ამ გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს ამგვარი დასკვნის გაკეთება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი წარმოადგენდა მტკიცებულებებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განაწილვადების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის გარანტიის თაობაზე და ეს მტკიცებულებები სათანადო წესის დაცვით გამოკვლეული იქნებოდა სასამართლოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ამგვარი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არ არის, სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადება შესაძლებელს გახდის ამ გადაწყვეტილების რეალურ აღსრულებას, სუბიექტური და დაუსაბუთებელია.

263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ სახის განჩინების მიღება მხარეთა თხოვნით შეუძლია გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახის განჩინების მიღება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუკი არსებობს ორივე მხარის თხოვნა. ამ სახის განჩინების მიღება დასაშვებია ერთ-ერთი მხარის თხოვნითაც. მითითებული სიტყვა იმ „მხარეთა თხოვნა" მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ამ სახის თხოვნის უფლება გააჩნია როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. აუცილებელი არ არის, რომ ერთდროულად არსებობდეს ორივე მხარის თხოვნა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გადაწყვეტილების აღსრულებას განაწილვადების თაობაზე განჩინების მიღებას საფუძვლად უნდა ედოს მხოლოდ მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებანი, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების რეალური შესრულება, რამეთუ განაწილვადება კრედიტორის რეალურ დაცვას აყოვნებს დროში და თავისთავად გარკვეულწილად ხელყოფს კრედიტორის კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს, ამიტომ ამ სახის ღონისძიების განხორციელების საფუძველი უნდა იყოს უკიდურესი და სერიოზული ხასიათის, კერძოდ, ქონებრივი და სხვა სახის (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, მოვალის ადგილზე არყოფნა და სხვა გარემოება) დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის გადაწყვეტილების აღსრულებას. (სუსგ 2003 წ. № 11, გვ. 2865). როდესაც ეს საკითხი წყდება გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების წესის, საშუალებებისა და ვადების შეცვლა ფიქსირდება სასამართლოს ცალკე განჩინებაში. **ზემოაღნიშნული მოქმედებების შესრულება სასამართლოს შეუძლია, მიუხედავად იმისა, სასამართლო პროცესამდე თუ სასამართლო პროცესის შემდეგ წარმოიშვა შესაბამისი გარემოებები.**

გადაწყვეტილების აღსრულების გადადების საკითხი შეიძლება დაისვას ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის დავებთან დაკავშირებით. პრაქტიკაში, აღსრულების გადადების განცხადება მოვალის მიერ ყველაზე უფრო ხშირად გამოსახლების გადაწყვეტილების აღსრულების დროს შეიტანება. განაწილვადება კი თავისი ბუნებით ქონებრივ დავებთან დაკავშირებით გამოიყენება. გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება აჭიანურებს კრედიტორის დარღვეული უფლების ან კანონიერი ინტერესის რეალურ დაცვას. ამიტომ, აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების საფუძველი განსაკუთრებული ხასიათის უნდა იყოს, ე.ი. მაშინ წარმოიშობა ამ ინსტიტუტის გამოყენების საფუძველი, როცა

სერიოზული დაბრკოლება და სირთულე ექმნება სააღსრულებო მოქმედების შესრულებას. მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გარდა, ასეთ საფუძველს მიეკუთვნება მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, მოვალის ყოფნა იმ ადგილისგან ძალზე მოშორებით, სადაც სრულდება სააღსრულებლო მოქმედებები და სხვა ყურადსაღები გარემოება.

დასაშვებია ასევე აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლა. მაგალითად, მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ იგნორირებულ იქნა მოსარჩელის განცხადება იმის თაობაზე, რომ გასაყოფი ნივთების ნაწილი მოპასუხემ გაყიდა და მოსარჩელეს მიაკუთვნა რამდენიმე ნივთი, რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის უკვე აღარ არსებობენ. აქ იმთავითვე საჭიროა სასამართლოს მიერ დაშვებული გადაწყვეტილების ხარვეზის გამოსწორება აღსრულების საშუალების შეცვლის გზით და მოსარჩელის სასარგებლოდ არარსებული ნივთების ღირებულების გადახდევინება. ზოგჯერ საქმის გარემოებათა გათვალისწინების გარეშე შეცდომით ხდება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრაც, რაც ასევე ხარვეზია, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია სსსკ 263-ე მუხლის გამოყენებით. და მაინც, სსსკ 263-ე მუხლი გათვლილია არა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ხარვეზების გამოსწორებაზე, არამედ იმ სიტუაციებზე, როცა წარმოიშობა ახალი გარემოებები, რომელიც გავლენას ახდენს აღსრულების წესსა და საშუალებაზე.

გადაწყვეტილების აღსრულების წესი და საშუალება, საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გამოტანის დროს ან განისაზღვროს კანონით. მაგრამ სსსკ-ის 263-ე მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ამ მუხლით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულება ხდება გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ე.ი. როცა იცვლება კანონით ან კიდევ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების წესი. კერძოდ, სააღსრულებლო მოქმედების შესრულების დროს შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც დადგენილი საშუალებით და წესით გადაწყვეტილების აღსრულება გართულებულია ან შეუძლებელია. აღსრულების წესის შეცვლის მაგალითია, როცა ვთქვათ, სასამართლო შეცვლის უცხოურ ვალუტაში თანხის გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების წესს და მოპასუხეს დააკისრებს გადახდას ლარებში (ეროვნულ ვალუტაში), რომელიც გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ოდენობის ეკვივალენტური იქნება.

გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება და წესი მსგავსი ცნებებია, ამიტომ, ჩვეულებრივ, მათ არ აცალკევებენ. თუმცა ტერმინი „საშუალება" უფრო მეტად გამოიყენება გადაწყვეტილების აღსრულების საბოლოო მომენტის განსაზღვრისათვის, როცა აღსრულების ერთი საგანი იცვლება მეორეთი (სხვა საგნით), მაგრამ გადაწყვეტილების არსი (ან შინაარსი) არ იცვლება, რამეთუ იგივე რჩება ფულადი (ღირებულებითი) ეკვივალენტი. მაგალითად, ნივთის ნაცვლად გადაიხდევინება მისი ფასი (ღირებულება); გადახდის ჩათვლის ნაცვლად, გადაიხდევინება ფულადი თანხა.

რა შეიძლება იყოს სსსკ 263-ე მულის გამოყენების საფუძველი? აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა, აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების გადადება და განაწილვადება განპირობებულია როგორც საქმის იმ კონკრეტული გარემოებებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში ან გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ რომლებიც არ გაითვალისწინა სასამართლომ, ისე იმ გარემოებებით, რომლებიც წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. ეს გარემოებები ადასტურებს იმას, რომ მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა არ იძლევა დადგენილ ვადებში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებას ან არსებობს საშუალება, რომელსაც სასამართლო მიიჩნევს (თვლის) ყველაზე უფრო ხელსაყრელად. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს მოვალის ან მისი ოჯახის წევრების ავადმყოფობა, ან ის, რომ მიკუთვნებული ქონება

ნატურის სახით არ არსებობს,ასევე სტიქიური უბედურება,ცხოვრების პირობების შეცვლა, სხვა საცხოვრებელ ადგილას გადასვლა და სხვა ყურადსაღები გარემოება.

გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების შეცვლა შეიძლება მდგომარეობდეს აღსრულების ერთი სახის მეორით შეცვლაში ან გარკვეულ ტრანსფორმაციაში, რაც ხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თავდაპირველი საშუალების შეცვლით.

აღსრულების შეცვლა დაუყოვნებელი აღსრულებით ასევე ნიშნავს გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების შეცვლას, მაგრამ კანონიერ ძალაში მის შესვლამდე.

გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების შეცვლას სასამართლო მიმართავს მაშინ, როცა მოვალე სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებს ნებაყოფლობით, რომლის აღსრულებაც დამოკიდებულია მოვალის მოქმედებებზე. მაგალითად, სასამართლოს იმ გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის დროს,რომელიც დაკავშირებულია ბავშვის დაბრუნებასა და სხვა პირისათვის მის გადაცემასთან, სასამართლოს, ისე, რომ ბავშვის ინტერესებს ზიანი არ მიადგეს, შეუძლია გამოიტანოს აღმზრდელობით, სამკურნალო, მოსახლეობის სოციალური დაცვის ან სხვა ანალოგიურ დაწესებულებაში ბავშვის დროებითი მოთავსების შესახებ განჩინება, რათა შემდგომ ბავშვი მოსარჩელეს გადაეცეს.

სასამართლო უფლებამოსილია, მხარეთა განცხადება 263-ე მუხლით გათვალისწინებულიმოქმედებების შესრულებასთან დაკავშირებით განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

სსსკ 263-ე მუხლით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესრულების საკითხი შეიძლება გადაწყდეს ასევე სასამართლოს მიერ სასამართლო სხდომაზე საქმის მონაწილეთა განცხადების საფუძველზე. თავისი ინიციატივით ამ საკითხს სასამართლო არ იხილავს. სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობებათ საქმის მონაწილეთ, თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ მის წინაშე დასმული საკითხის არსებითად გადაწყვეტას (არ არის საქმის გადადების საფუძველი) მართალია, გადაწყვეტილების აღსრულების ვადისა და წესის შეცვლა შესაძლებელია საქმის მონაწილეთა განცხადებით, მაგრამ, ამასთან, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოვალის, არამედ კრედიტორის ინტერესებიც. როგორც სსსკ-ის 263-ე მუხლშია მითითებული (იხ. ამ მუხლის 1-ლი ნაწილი) გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის საკითხს წყვეტს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო.ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ამ შემთხვევაში საუბარია იმ სასამართლოს შესახებ, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება,როგორც ეს გამომდინარეობს მაგალითად, სსსკ-ის 262-ე მუხლიდან. ეს არ არის შემთხვევითი, რამდენადაც გადაწყვეტილების განმარტება შეუძლია მხოლოდ იმ სასამართლოს, რომელმაც განსაზღვრა მისი შინაარსი, ე.ი. იმ სასამართლოს,რომელმაც გამოიტანა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება. რაც ეხება სსსკ-ის 263-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს, მართალია მათი გადაწყვეტა არ შეეხება გადაწყვეტილების არსს, მის შინაარსს, არამედ შეეხება ამ გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას და ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებიც წარმოიშვა მას შემდეგ,რაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. მაგრამ 263-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხები უნდა გადაწყვიტოს საქის არსებითად განმხილველმა (გადაწყვეტილების არსებითად გამომტანმა) სასამართლომ. ამიტომ მაგალითად, გამოირიცხება ამ საკითხების შესახებ იმ სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობა, რომელმაც საქმე პირველი ინსტანციით განიხილა, მაგრამ რომლის გადაწყვეტილებაც ზემდგომმა ინსტანციამ გააუქმა და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების ან განაწილვადების, მისი აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის საკითხი იმ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, რომლებიც აძნელებენ მის აღსრულებას, შეიძლება

დააყენოს კრედიტორმა ან მოვალემ, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს წინაშე.

გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების, აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების ან წესის შეცვლის შესახებ სასამართლოს განჩინება, ისევე როგორც სასამართლოს განჩინება ამ საკითხების შესახებ შეტანილი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრის შეტანით. აღსრულების გადადების თაობაზე მიღებული განჩინება, გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილია და შესასრულებლად სავალდებულოა. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს განჩინებაში უნდა მიეთითოს გადადების ან განაწილვადების მოქმედების ვადა, ხოლო განაწილვადების დროს, ამის გარდა, უნდა მიეთითოს პერიოდული გადასახდელების ოდენობაც (ლარებსა ან პროცენტებში), რომლებიც გადახდილი უნდა იქნეს კრედიტორისთვის მიკუთვნებული თანხის დაფარვის ანგარიშში (თანხის დასაფარად),. ამასთან, გადადების ან განაწილვადების მოქმედების ფარგლები, 263-ე მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ თარიღით და არა რაიმე მოვლენის დადგომით (მაგალითად მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლით, გამოჯანმრთელებით და ა.შ.).

5. **გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა**. სსსკ-ის 191-ე მუხლში მართალია საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგად წესზე, თუმცა სსსკ-ის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. უფლების სასამართლო წესით დაცვის უფლების განხორციელება მოითხოვს არა მხოლოდ კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას, არამედ მის აღსრულებასაც. იმ შემთხვევებში, როდესაც კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება კანონით, ხოლო აღსრულების დაყოვნება შემდგომში გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, კანონით დაიშვება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (სსსკ 271-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც გადაწყვეტილება არ არის მიქცეული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა ეწოდება გადაწყვეტილების რეალურად აღსასრულებლად სასამართლოს მიერ მიღებულ ზომებს (ღონისძიებებს). გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა ხდება ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი გადაწყვეტილება რეალურად აღსრულდეს კანონიერ ძალაში მისი შესვლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში მოცემულ განმარტებას საქმეზე № ას-1549-1452-2012 იმ ნაწილში, რომლითაც უზენაესი სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების უზრუნველყოფასაც. დაუსაბუთებელია უზენაესი სასამართლოს მოსაზრება, რომლის თანახმადაც „სსსკ-ის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილი იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ აკრძალული არ არის არცერთი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, შესულია თუ არა იგი კანონიერ ძალაში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე სავალდე-

ბულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედვე გვევლინება". ჩვენი აზრით, კანონმდებელმა სრულიად მართებულად ზედმეტად მიიჩნია დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებასთან ერთად ნორმაში ეხსენებინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაც. როგორც დაუყოვნებლივ აღსასრულებელი, ისე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება კრედიტორის ნებაზეა დამოკიდებული. დაუყოვნებლივ აღსასრულებელ და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას აღსრულებადობის თვალსაზრისით ერთნაირი სტატუსი გააჩნიათ – ორივე მათგანი ექვემდებარება აღსრულებას. სწორედ აღსრულების შესაძლებლობა განაპირობებს დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებაზე მისი უზრუნველყოფის საჭიროების არარსებობას. ამავე ფაქტორის გამო არ არის საჭირო და არ უნდა მოხდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის უზრუნველყოფაც. უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი სწორედ ის არის, რომ სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლა შესაძლოა დაგვიანდეს, რაც გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის მის აღსრულებას, რაც განაპირობებს კიდეც უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საჭიროებას.

სარჩელის უზრუნველყოფად მიღებული ღონისძიებები მოქმედებს სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივად აღსრულებამდე. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სარჩელის უზრუნველსაყოფის ღონისძიებათა არსიდან, რომელთა მიზანიცაა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების რეალური უზრუნველყოფა. ამიტომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხი იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როცა სასამართლომ არ უზრუნველყო სარჩელი. სასამართლოს ორი შესაძლებლობა აქვს, კერძოდ: გადაწყვეტილება მიაქციოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ან კიდევ უზრუნველყოს მისი აღსრულება. ყველა შემთხვევაში საკითხი წყდება საქმის გარემოებებისა და მოსარჩელის ნების გამოვლენის მიხედვით. თუ სასამართლო არ მიაქცევს გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, მაშინ მას შეუძლია უზრუნველყოს მისი აღსრულება.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა მოსარჩელის სასარგებლოდ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს (იხ. სსსკ 251-ე მუხლი). მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც. ორივე შემთხვევაში უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საშიშროება (საფრთხე). მეორე შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სსსკ XXIII თავით (რომელიც სარჩელის უზრუნველყოფას ეხება) დადგენილი წესების დაცვით.

ამდენად მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ არის მიქცეული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და არსებობს საფუძველი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობამ შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება კანონიერ ძალაში მისი შესვლის შემდეგ. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება შესაძლებელია მოსარჩელის (კრედიტორის) განცხადებით. გადაწყვეტილების დამდგენი (გამომტანი) სასამართლოს არა აქვს უფლება იმ პირის ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები ვის სასარგებლოდაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა მდგომარეობს სსსკ 198-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების მიღებაში და წარმოებს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან მის აღსრულებამდე.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღების

შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილ და განხილულ იქნეს საქმის არსებითად განხილვის დროსაც. ამ შემთხვევაში ეს საკითხი შევა იმ საკითხთა რიცხვში, რომელსაც განიხილავს (წყვეტს) სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს. აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ უნდა მიეთითოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში (ეს დასკვნა უნდა გამოვიტანოთ სსსკ-ის 251-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე). მაგრამ მსჯელობა (მოსაზრებები) ამ საკითხზე უნდა გაფორმდეს სასამართლოს განჩინების სახით,იმის გათვალისწინებით,რომ ასეთი სახით ეს სასამართლო აქტი შეიძლება გასაჩივრდეს ცალკე,სასამართლო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად, როგორც ეს გათვალისწინებულია სსსკ-ის 197-ე მუხლით.

თუ სასამართლოს აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღების შესახებ განცხადება სასამართლოში შევა ამ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მაშინ საქმის მონაწილე დაინტერესებული პირის თხოვნას სასამართლო განიხილავს XXIII თავით დადგენილი წესით,ე.ი. განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში მოპასუხისა და საქმის სხვა მონაწილეთა დაბარების (ინფორმირების) გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლომ უკვე მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მაშინ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღების თაობაზე საკითხის დაყენება გამოირიცხება, რამდენადაც სარჩელის დაკმაყოფილების დროს მის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიებები მოქმედებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

იმავდროულად შესაძლებელია სასამართლოსადმი მიმართვა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის (რომელიც უკვე მიღებული აქვს სასამართლოს) მეორით შეცვლის თაობაზე. მაგალითად,მოპასუხეს (მოვალეს) უფლება აქვს სასამართლოს წინაშე დააყენოს ფულადი თანხის გადახდევინების მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიების,როგორც არის მის ქონებაზე ყადაღის დადება,სასამართლოს ანგარიშზე მოსარჩელის (კრედიტორის) მიერ მოთხოვნილი თანხის შეტანით შეცვლის საკითხი (სსსკ-ის 196-ე მუხლის მე3 ნაწილი).

როდესაც იღებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, სასამართლოს უფლება აქვს მოსარჩელისაგან მოითხოვოს მოპასუხისათვის შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობა განიხილება სასამართლო სხდომაზე. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ვადები, ღონისძიებები და წესი მიეთითება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ან სასამართლოს განჩინებაში.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა წარმოებს სარჩელის უზრუნველყოფისათვის XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

როგორც ვხედავთ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტი სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების მნიშვნელოვანი სამართლწებრივი გარანტიაა.

§4. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი. აღსრულების წესი

სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია, ამიტომ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე კანონი ადგენს (აწესებს) სპეციალურ და მკაცრ მოთხოვნებს მისი შინაარსისა და ჩამოყალიბების მიმართ, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს.

მართებულად არის განმარტებული უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 ივნისის

გადაწყვეტილებაში საქმეზე № ას-361-341-11: „სსსკ-ის დანაწესით, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე-2 მუხლი), პირის სასამართლოსთვის მიმართვის უფლებასთან ერთად იგულისხმება სასამართლოს ვალდებულება, დასაბუთებულად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას. სსსკ–ის 249-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებას. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს სასამართლოს შემეცნებით მსჯელობას ფაქტების თაობაზე (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებით მსჯელობას დადგენილი ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად, გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება, იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი. პირის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლება, მისი სადავოდ ქცეული უფლების სამართლიანი სასამართლო განხილვისა, მოიცავს პირის უფლებას, იცოდეს, მის დავასთან დაკავშირებით, რომელ ფაქტებსა და კანონებზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება. კანონით გარანტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების სისტემა (აპელაცია, კასაცია) და დაინტერესებულ პირს, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით, შეუძლია გაასაჩივროს... სასამართლოს გადაწყვეტილება, გარდა კანონით ზუსტად გათვალისწინებული გამონაკლისისა. ამასთან, როდესაც პირი სადავოდ ხდის 1-ლი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არადამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ სააპელაციო პრეტენზიას. ზემოაღნიშნული უდევს საფუძვლად სსსკ-ის 390-ე მუხლის დანაწესს... კანონის აღნიშნული მუხლის დათქმა არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის შესაბამისადაც სააპელაციო სასამართლო ვალდებულია დასაბუთებული პასუხი გასცეს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს. სასამართლოს უპირველეს ფუნქციას სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და იმ პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოადგენს, რაც გააჩნია მოდავე მხარეს. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მკაფიო, უშეცდომოდ (წიგნიერად) დაწერილ, იურიდიულად სწორ ფორმულირებებს და ტექსტში არ უნდა იყოს დაშვებული გაუგებარი (ბუნდოვანი), რთული გამონათქვამები, მსჯელობები ან კონსტრუქციები, რომელიც ართულებს მის სწორ აღქმას.

სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც წესი, დგება ტექნიკური საშუალების გამოყენებით (კომპიუტერი).

სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა და შინაარსი მკაფიოდაა განსაზღვრული კანონით. სსსკ 249-ე მუხლში მითითებულია ის რეკვიზიტები, რომლებიც უნდა აისახოს გადაწყვეტილების ტექსტში. მოცემული მუხლი, ასევე სსსკ-ის 243-ე, 244-ე და 257-ე მუხლები განსაზღვრავენ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და ჩამოყალიბების წესს, აგრეთვე გადაწყვეტილების შინაარსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. დასახელებულ ნორმათა მიზანია სასამართლოს მიერ კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ეს ნორმები წარმოადგენენ უფლებათა სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციური უფლების საპროცესო გარანტიას. შინაარსობრივად სასამართლო გადაწყვეტილება ოთხი ნაწილისაგან შედგება, რომლებიც მკაცრი თანმიმდევრობით არის ჩამოყალიბებული; კერძოდ: **შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო**

და სარეზოლუციო ნაწილებისაგან, თითოეულ მათგანს თავისი შინაარსი და სპეციალური მნიშვნელობა (დანიშნულება) აქვს.

სასამართლო გადაწყვეტილების **შესავალ ნაწილში** მითითებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამოტანის დრო, ე.ი. მიეთითება ის დღე, როცა გადაწყვეტილება ხელმოწერილ იქნა. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოტანისას (სსსკ 257-ე მუხლი) გადაწყვეტილების (რომელსაც შემდგომ ეძლევა საბოლოო ფორმა) გამოტანის დღედ ითვლება მისი სარეზოლუციო ნაწილის ხელმოწერის დღე. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილი განისაზღვრება სასამართლო სხდომის ჩატარების ადგილით. ამის შემდგომ შესავალი ნაწილის ტექსტში მითითებულია გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება, სასამართლოს შემადგენლობა (მოსამართლეთა სახელები და გვარები), თუ საქმე განხილულ იქნა კოლეგიურად, ან მითითებული უნდა იყოს ცნობები მხოლოდ მოსამართლის შესახებ, თუ საქმე განხილულ იქნა ერთპიროვნულად, მონაცემები სასამართლო სხდომის მდივნის შესახებ, მხარეთა წარმომადგენლების (ადვოკატების) შესახებ. შესავალ ნაწილშივე მიეთითება საქმე, რომელიც განხილულ იქნა სასამართლო სხდომაზე, ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ (ღია თუ დახურულ) სასამართლო სხდომაზე იქნა განხილული საქმე, აგრეთვე დავის საგანი და ის პირები, რომელთა შორის არსებული დავაც გადაწყვიტა სასამართლომ (მხარეები). თუ საქმეში მონაწილეობდნენ მესამე პირები, გადაწყვეტილების ტექსტში შეიტანება ცნობები მათ შესახებ.

თუ გადაწყვეტილება დაუსწრებელია, მაშინ ამის შესახებ მიეთითება მის შესავალ ნაწილში.

გადაწყვეტილების **აღწერილობით ნაწილში** მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის (განმცხადებლის) მოთხოვა, მოკლედ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული მისი შინაარსი, აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ ამ მოთხოვნებს. მასში აისახება მოპასუხის პოზიციაც, კერძოდ, მისი შესაგებელი ან მისი დამოუკიდებელი მოთხოვნა (შეგებებული სარჩელი). თუ არსებობს ასეთი შესაგებელი, მაშინ გადაწყვეტილებაში მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სარჩელის უარყოფის მოტივები, აგრეთვე უნდა აისახოს საქმის მონაწილე სხვა პირების მოთხოვნები და ახსნა-განმარტებები (მაგალითად, ორივე სახის მესამე პირების მოთხოვნები და ახსნა-განმარტებები). მითითებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ დადაგენილი გარემოებები, რომლებსაც მხარეები ასახელებდნენ თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებელის დასასაბუთებლად, აგრეთვე, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, მოტივები რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და რომელთა საფუძველზე გამოაქვს ესა თუ ის დასკვნა. თუ მოსარჩელემ შეცვალა სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდა ან შეამცირა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, ამის შესახებ ასევე მიეთითება გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში.

მოთხოვნებისა და შესაგებელის, აგრეთვე საქმეზე მხარეთა მიერ გამოხატული პოზიციის დასასაბუთებლად მხარეთა ან საქმის მონაწილე სხვა პირთა მიერ დასახელებული გარემოებები, გადმოცემული (ჩამოყალიბებული) უნდა იყოს იმ სახით, რა სახითაც ისინი წარდგენილ იქნა სასამართლო სხდომაზე და აისახა სასამართლო სხდომის ოქმში ან სასამართლოში გაგზავნილ წერილობით განცხადებაში. ამდენად, აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნების ფაქტობრივ დასაბუთებას. აღწერილობით ნაწილში სახელდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რომლებიც ყოველმხრივად და სრულადაა გამორკვეული მტკიცებულებებით სასამართლო სხდომაზე. სასამართლო არ უნდა დასჯერდეს გადაწყვეტილებაში იმ მტკიცებულებების მარტოოდენ ჩამოთვლას, რომლითაც მტკიცდება (დასტურდება) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის გარემოება, არამედ ვალდებულია ჩამოაყალიბოს ამ მტკიცებულებების

შინაარსი. თუ, მაგალითად, თავის დასკვნებს სასამართლომ საფუძვლად დაუდო მოწმის ჩვენება,მაშინ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს,რომ გარკვეული გარემოება დასტურდება მოწმის ჩვენებით და გადმოცემული უნდა იყოს ჩვენებათა შინაარსი. როცა გარემოება დასტურდება წერილობითი მტკიცებულებით თავდაპირველად უნდა დასახელდეს, თუ რა სახის წერილობითი მტკიცებულებაა ეს (ცნობა,მოწმობა,აქტი და ა.შ.), შემდეგ მიეთითება მისი ინდივიდუალური ნიშნები (ვის მიერ და როდის გაიცა) და უნდა გადმოიცეს მისი შინაარსი. როცა ნივთიერი მტკიცებულებაა, აღინიშნება მისი ის ნიშნები, ხარისხი და თვისებები, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ კონკრეტული გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. თუ მტკიცებულებად გამოყენებულია ექსპერტის დასკვნა, მაშინ დაწვრილებით უნდა გადმოიცეს ის ფაქტები, რომელიც დადასტურებულია ექსპერტის დასკვნით და დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

პირობითად, აღწერილობითი ნაწილის შინაარსი შეიძლება დავყოთ ორ შემადგენელ ნაწილად: 1) სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები; 2) მტკიცებულებები (მათი ანალიზი), რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები (რომლებზეც სასამართლო აფუძნებს დადგენილი გარემოებების არსებობას). აღწერილობით ნაწილში სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა მოახდინოს იმ მოსაზრებების (დასკვნების) ანალიზი, რომელთა გამოც ის უარყოფს (არ იღებს) ამა თუ იმ მტკიცებულებას. უარყოფილი მტკიცებულებების ანალიზი დაწვრილებითი უნდა იყოს,რათა დამაჯერებლად იქნეს ნაჩვენები მათი ნაკლი და აშკარა იყოს სასამართლოს დასკვნების უდავობა. თუ სასამართლო შეაფასებს მტკიცებულებებს თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთობლიობაში და დაადგენს, რომ ესა თუ ის წარდგენილი მასალა, მოწმეთა ჩვენებები, სხვა ფაქტობრივი მონაცემები ვერ ადასტურებს იმ გარემოებებს, რომლებზეც, როგორც საფუძველზე, მხარეები თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებენ, მან გადაწყვეტილებაში დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს თავისი დასკვნა ამის შესახებ; **სამოტივაციო ნაწილი** უმნიშვნელოვანესია[1],რამეთუ ქმნის ფუნდამენტს სასამართლოს (მოსამართლის) დასკვნებისათვის განსახილველი საქმის არსის შესახებ. ის უნდა შეიცავდეს საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნების სამართლებრივ დასაბუთებას.

ჩვეულებრივ, სამოტივაციო ნაწილი იწყება სასამართლოს დასკვნით მოსარჩელის მიერ აღძრული მოთხოვნის შესახებ, კერძოდ: უნდა დაკმაყოფილდეს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ) თუ არა. სამოტივაციო ნაწილში მოცემულია მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების იურიდიული კვალიფიკაცია. სამოტივაციო ნაწილი მთავრდება მატერიალურ და საპროცესო ნორმებზე მითითებით,რომლებითაც სასამართლო (მოსამართლე) ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების გამოტანის დროს. იურიდიული კვალიფიკაციისას დადგინდება (განისაზღვრება) მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობები და მიეთითება ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი კანონი.

გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველი შეადგენს სასამართლოს მსჯელობას იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელსა, და შესაგებელს. გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს, თუ რატომ თვლის ის საქმის ამა თუ იმ გარემოებას დადგენილად და რის საფუძველზე მივიდა ის გარკვეულ დასკვნამდე მხარეთა ურთიერთობებთან მიმართებაში.

ფაქტობრივის გარდა,გადაწყვეტილებაში მითითებულია მისი სამართლებრივი საფუძველიც. გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი ნიშნავს, რომ დაადგენს რა საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს, სასამართლო იძლევა მხარეთა ურთიერთობების იურიდიულ

[1] არასწორია, როდესაც ამბობენ, რომ გადაწყვეტილების ნაწილებისაგან ყველაზე მთავარი მნიშვნელობა სამოტივაციო ნაწილს აქვს. სასამართლო გადაწყვეტილების ყველა ნაწილს თანავბარიო მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის განსაზღვრის დროს (დასაბუთებულობის განსაზღვრისათვის).

კვალიფიკაციას,რისთვისაც ის მიუთითებს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ შესაბამის კანონს. პირველ რიგში, სასამართლო ვალდებულია მიუთითოს მატერიალური სამართლის (სამოქალაქო, შრომის, საადგილმამულო) კონკრეტული ნორმა, ხოლო შემდეგ დაეყრდნოს საპროცესო სამართლის შესაბამის ნორმებს.

აუცილებლობის შემთხვევაში კანონის განმარტების მიზნით და იმ მიზნით, რომ სასამართლომ დაასაბუთოს ამ კანონის გამოყენება მოცემული სამართალურთიერთობის მიმართ, სამოტივაციო ნაწილში აისახება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი, რომელიც მიღებულია კონკრეტული საქმის განხილვის დროს გამოსაყენებელი საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ წარდგინების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ კანონი ყველა შემთხვევაში როდი მოითხოვს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის დაწვრილებით ჩამოყალიბებას (გადაწყვეტილების სრულად დასაბუთებას). მაგალითად,მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარების შემთხვევაში აღწერილობითი ნაწილში შეიძლება მითითებულ იქნეს მხოლოდ სარჩელის აღიარებისა და სასამართლოს მიერ ასეთი აღიარების მიღების შესახებ. როცა მოთხოვნა ხანდაზმულია, მიეთითება აღნიშნულის შესახებ (სასამართლო აღნიშნავს, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია) და აღარ იქნება საჭირო დამატებითი საპროცესო მოქმედებების შესრულება სასამართლოს მიერ.

სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმის განხილვის დროს სასამართლოს უფლება არა აქვს სარჩელის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებაში იმსჯელოს მოპასუხის ბრალის შესახებ, მას უფლება აქვს გადაწყვიტოს მხოლოდ ანაზღაურების ოდენობის (მოცულობის) შესახებ საკითხი. გადაწყვეტილების ტექსტში მითითებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი, როგორც მტკიცებულება,არამედ სამოქალაქო საქმეში არსებული მტკიცებულებებიც,რომლებიც ასაბუთებენ მიკუთვნებული თანხის ოდენობას (მაგალითად ის, რომ სასამართლომ გაითვალისწინა მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა და დაზარალებულის ბრალი).

გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები მეტყველებს საქმის განხილვის ხარისხზე. სწორედ ამიტომაა,რომ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაკლი, ხარვეზი (როცა სასამართლომ ზუსტი და სწორი დასკვნები არ გამოიტანა ფაქტების,გარემოებების,სამართალურთიერთობათა შინაარსის შესახებ) გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სასამართლო გადაწყვეტილების **სარეზოლუციო ნაწილი ბოლო**, დასკვნითი ნაწილია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ მასში კონცენტრირებული და საბოლოო სახით არის წარმოდგენილი სასამართლო განხილვის შედეგები; კერძოდ,სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დასკვნა. სარეზოლუციო ნაწილში ასახული სასამართლოს მითითება უნდა აღსრულდეს. ამიტომ იმაზე, თუ რამდენად ზუსტი იქნება ეს მითითებები, ე.ი. სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირება,დამოკიდებულია აღსრულების შესაძლებლობა და სააღსრულებო მოქმედებათა სისწორე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ტექსტი უნდა გამოირჩეოდეს ლაკონურობით, სიზუსტითა და იმპერატიულობით, იმის გათვალისწინებით, რომ სარეზოლუციო ნაწილის მონაცემები შეიტანება სააღსრულებო ფურცელში, თუ გადაწყვეტილება აღსრულებას საჭიროებს (მოითხოვს).

ეს ნაწილი უნდა შეიცავდეს:

1) სასამართლოს დასკვნას სარჩელის (არასასარჩელო წარმოების საქმეებზე განცხადების) მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

2) მითითებებს სასამართლო ხარჯების განაწილებაზე;

3) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბება მთავრდება გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე მითითებით (რომელ სასამართლოში, რა ვადაში, რა მისამართზე, ანუ სად, ვის შეუძლია გასაჩივრება, საჩივრის შეტანა. საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება სარეზოლუციო ნაწილში ჩაიწეროს: „სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“). „მითითება გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს, რომლის უგულვებელყოფით ირღვევა გადაწყვეტილების შინაარსისათვის განსაზღვრული სამართლებრივი დანაწესი. აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს მხარის მიერ თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის სასამართლო წესით დაცვის პროცესუალური უზრუნველყოფის მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა (სსსკ-ის 369-ე მუხლი), კანონმდებელმა იმპერატიულად გამოხატა თავისი ნება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მისი გასაჩივრების ვადასა და წესზე მითითების აუცილებლობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს პროცესუალური ვადების განსაზღვისას ერთ-ერთ უმთავრეს სამართლებრივ კრიტერიუმს. ამ იმპერატიული მოთხოვნის გარეშე დაუშვებელია გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევის კრიტერიუმების განსაზღვრა (იხ. უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-264-676-06).“ სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება მხოლოდ რეზულტატი, რომლამდეც მივიდა სასამართლო. არანაირი განმარტება გადასახდელ თანხებთან, ან იმ მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა შეასრულოს ვალდებულმა მხარემ, სარეზოლუციო ნაწილში არ დაიშვება. ყველა განმარტება ასახულია აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებში და მათი განმეორება აღარაა საჭირო.

იქიდან გამომდინარე, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ასახულია ამომწურავი დასკვნები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობენ აღწერილობით ნაწილში აღნიშნული გარემოებებიდან, ანუ სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, მასში მკაფიოდ (ზუსტად), კონკრეტულად და მოკლედ უნდა იყოს ფორმულირებული ეს დასკვნები: სახელდობრ, რა დაადგინა სასამართლომ თითოეულ მოთხოვნასთან დაკავშირებით ცალ-ცალკე (ერთ წარმოებაში რამდენიმე მოთხოვნის გაერთიანების შემთხვევაში) და ასევე შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით, რომელი მხარის სასარგებლოდ არის აღიარებული სადავო უფლება, კონკრეტულად რა მოქმედებები და ვის სასარგებლოდ უნდა შეასრულოს ამისთვის ვალდებულმა პირმა, რა თანხა უნდა გადაუხადოს ვალდებულმა პირმა უფლებამოსილ პირს. სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის დროს სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება, ვის და რაზე ეთქვა უარი სასამართლო გადაწყვეტილებით.

სარეზოლუციო ნაწილში ასახულია სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხიც, ე.ი. ვის, რა ოდენობით (რა თანხა) გადახდება ისინი, ვინ თავისუფლდება მათი გადახდისაგან, რა წესით უნდა განაწილდეს ხარჯები მხარეთა შორის, სახელდობრ, რომელი ხარჯების ანგარიშში გადაიხდევინება ისინი. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო ადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და (ან) ვადებს, ანდა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქცევს გადაწყვეტილებას, აგრეთვე მიიღებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, სარეზოლუციო ნაწილში აისახება ყველა ეს საკითხი.

249-ე მუხლში ასახული დებულებები განამტკიცებენ უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციური უფლების განხორციელების ფუნდამენტურ საპროცესო გარანტიებს.

კანონით (სსსკ 268-ე მუხლი) დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევები. კანონით (268-ე მუხლი) დადგენილია, **„ფაკულ-**

ტატური დაუყოვნებელი აღსრულების“ შემთხვევები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო არაა ვალდებული დაადგინოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, მას შეუძლია (უფლება აქვს) დაადგინოს დაუყოვნებლივ აღსრულება საქმის კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე და გადაწყვიტოს ეს საკითხი თავისი შეხედულებით, მხარეთა თხოვნით. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც დაუყოვნებლივ აღსრულება პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა სავალდებულოა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

ზოგიერთი კატეგორიის საქმის განხილვის თავისებურებანი გავლენას ახდენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსზე. მოცემულ გარემოებას ითვალისწინებს კანონი. მაგალითად, ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ უნდა მიუთითოს კონკრეტული გადასახდელი თანხა.

ქონების ნატურით მიკუთვნების გადაწყვეტილებაში (რომელთაც სასამართლო ავალდებულებს მოპასუხეს მოსარჩელისათვის ქონების გადაცემას), უნდა აღინიშნოს, ვის, კონკრეტულად რა ქონება გადაეცა, აგრეთვე რა ღირებულებისაა იგი, რათა შესაძლებელი იყოს ფულადი ეკვივალენტის გადახდევინება (ალტერნატიული ვალდებულება) ქონების არარსებობის შემთხვევაში (სსსკ 253-ე მუხლი). ქონების ღირებულების მითითება გადაწყვეტილებაში, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება, არის აღსრულების ალტერნატიული წესი. ამასთან უნდა მიუთითოს ქონების ნიშნები, რაც გადაცემის საგნის ინდივიდუალიზების საშუალებას მოგვცემს. თუ ეს აუცილებელია, მიეთითება მოცემული ნივთის ადგილსამყოფელი, თუ მაგალითად საუბარია ბინაზე საკუთრების უფლების შესახებ, უნდა მიეთითოს მისი ადგილსამყოფელის ზუსტი დასახელება, კერძოდ: ქალაქი, დაბა, ადგილი, ქუჩა, ბინის ნომერი და ა.შ. თუკი მოსარჩელეს მიეკუთვნება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ მიეთითება მისი წონა, ზომა, რაოდენობა. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა მაქსიმალურად ზუსტად იყოს განსაზღვრული გადასაცემი ნივთი, რათა გამოირიცხოს კრედიტორსა და მოვალეს შორის დავის წარმოშობის შესაძლებლობა, გაუგებარი არ იყოს, რომელ ნივთზეა საუბარი მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების დროს. სააღსრულებლო წარმოებათა კანონის თანახმად, კრედიტორისათვის სააღსრულებლო დოკუმენტში მითითებული საგნების მიკუთვნების შემთხვევაში აღმასრულებელი ამ საგანს ამოიღებს მოვალისგან და გადასცემს მას კრედიტორს. თუ კრედიტორი უარს იტყვის აღნიშნულ საგნებზე, ისინი უბრუნდება მოვალეს, ხოლო სააღსრულებო წარმოება წყდება. ასეთივე ალტერნატიულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს სსსკ 254-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რაც დაკავშირებული არ არის ქონების ან ფულადი თანხების გადაცემასთან, სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში შეუძლია მიუთითოს ის შედეგები, რომელიც დადგება, თუ მოპასუხე (მოვალე) არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოქმედებებს დადგენილ ვადაში (ანუ მიუთითოს აღუსრულებლობის შედეგები), ამასთან, მოსარჩელეს (კრედიტორს) შეიძლება მიენიჭოს მოპასუხის ხარჯზე ამ მოქმედებათა შესრულების შესაძლებლობა (სსსკ 254-ე მუხლი). რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, მის სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ უნდა იქნეს იმაზე, თუ რა წილი ეკუთვნის თითოეულ მათგანს, ან აღინიშნოს (თუ ეს გათვალისწინებულია მატერიალური კანონით), რომ გადახდევინების უფლება სოლიდარულია. თუ

გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა წილი უნდა შეასრულოს ან აღნიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია (სსსკ 256-ე მუხლი).

გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა უდავო წარმოების საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილი. ამ თავისებურებებზე ხშირად პირდაპირაა მითითებული კანონში, ან გამომდინარეობს მისგან. მაგალითად, სასამართლო შვილად აყვანის განცხადების განხილვის შემდეგ გამოიტანს განცხადების დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას ან მთლიანად უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე, ან არ დააკმაყოფილებს ნაწილობრივ სარჩელს მშვილებლის (მშვილებელთა) თხოვნას ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლებად მათი ჩაწერის შესახებ, აგრეთვე ბავშვის დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლის შესახებ ნაწილში.

აღიარებით სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს ასეთი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, თუ ეს აუცილებელია, მიუთითოს აღიარების სამართლებრივი შედეგები (მაგალითად, ქორწინების რეგისტრაციის სააქტო ჩანაწერის ანულირების შესახებ, ქორწინების ბათილად აღიარების შემთხვევაში).

სსსკ 252-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სარეზოლუციო ნაწილში მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია მიუთითოს გადასახდელი თანხის ხასიათზე (ხელფასი, მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ა.შ.) და აგრეთვე იმაზე, თუ ბანკში მოპასუხის რომელი თანხიდან უნდა ჩამოიწეროს დაკისრებული თანხა.

სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს გადაწყვეტილების აღსრულების განსაკუთრებული რეჟიმი ან ვადა, რის შესახებაც კეთდება სპეციალური ჩანაწერი სარეზოლუციო ნაწილში (სსსკ 251-ე მუხლი).

საპროცესო კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილების ფორმით გამოდის პირველი ინსტანციის სასამართლოს მხოლოდ ის დადგენილებები, რომლებითაც საქმე არსებითად წყდება, ხოლო ის საკითხები, რომლებიც გადაწყვეტილების შინაარსს შეადგენს, განსაზღვრულია სსსკ-ის 249-254-ე და 256-ე მუხლებით. ამიტომ დაუშვებელია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლოს დასკვნების ასახვა იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის არსებითად გადაწყვეტილი, ანუ რომლებზეც არ გამოიტანება დადგენილება არსებითად (სსსკ 279-ე, 280-ე, 272-278-ე მუხლები). ეს დასკვნები უნდა ჩამოყალიბდეს განჩინების ფორმით (284, 285-ე მუხლები) და გამოტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილებისაგან განცალკევებით.

2. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების გამოტანის საკითხებზე საუბარი გვქონდა ნაშრომის იმ თავში, სადაც მთავარ სხდომაზეა საუბარი და გაანალიზებული გვქონდა სსსკ-ის 257-ე მუხლი ამიტომ დაწვრილებით ამ საკითხს აქ აღარ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ რომ გადაწყვეტილების სრული ტექსტის გამოცხადების გადადების შემთხვევაში სასამართლომ იმავე სასამართლო სხდომაზე უნდა გამოაცხადოს გადაწყვეტილების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები და ამასთან, აცნობოს დაინტერესებულ პირებს თუ როდის შეუძლიათ საქმის მონაწილეთ და მათ წარმომადგენლებს გაეცნონ მოტივირებულ გადაწყვეტილებას. ეს თარიღი ჩაიწერება სასამართლო სხდომის ოქმში. სამოტივაციო ნაწილის გაცნობის მომენტიდან გადაწყვეტილება ჩაითვლება საბოლოო აქტად და მასზე შეიძლება შეტანილ იქნეს სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი. შესავალ და სარეზოლუციო ნაწილებს ხელს აწერს ყველა მოსამართლე ან ერთპიროვნული მოსამართლე და ისინი დაერთვის საქმეს. მოგვიანებით შედგენილი მოტივირებული გადაწყვეტილების ტექსტი სიტყვასიტყვით უნდა შეესაბამებოდეს საქმის განხილვის დამთავრების დღეს გამოცხადებულ შესავალ და სარეზოლუციო ნაწილებს.

3. გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და ვადის განსაზღვრა. აღსრულების უზრუნველყოფა. იმ ძირითად საკითხებთან ერთად, რომლებიც წყდება ნებისმიერი სამოქალაქო დავის განხილვის დროს, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ისეთი საკითხებიც რომელთა წარმოშობაც განპირობებულია საქმის კონკრეტული გარემოებებით, კერძოდ, როცა აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილებაში მიეთითოს და განისაზღვროს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესი.

კანონი (სსსკ-ის 251-ე მუხლი) სასამართლოს უფლებას ანიჭებს შეარჩიოს კონკრეტულ დავაზე პროცესის საბოლოო მიზნის (ეს არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება) მიღწევის საშუალება. ამიტომ სასამართლო, როდესაც დაასკვნის, რომ მიზანშეწონილია ოპტიმალურ ვადაში (რაც ნაკარნახევია საქმის კონკრეტული გარემოებებით), აღსრულების ამა თუ იმ საშუალებასა და წესის გამოყენება, ამის შესახებ მიუთითებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. მაგალითად, აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა განსაზღვროს ბავშვის ჩამორთმევის საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების წესი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს იმ ღონისძიებათა მიღებას, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის გადაცემას ერთი პირიდან მეორეზე, მაგალითად, ეს შეილება იყოს საბავშვო დაწესებულებაში მოთავსება.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო აქტის აღსრულების გარკვეულ წესსა და ვადაზე მითითების აუცილებლობა რიგ შემთხვევაში ნაკარნახევია საქმის თავისებურებებით, რომელიც მოითხოვს დამატებით სასამართლო დანაწესებს (გადაწყვეტილების დაზუსტებას), რაც უზრუნველყოფს მოსარჩელის, ხოლო რიგ შემთხვევაში აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირების უფლებათა და კანონიერი ინტერესების უფრო სრულად დაცვას.

პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების დროს სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითოს პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფის საშუალება და თუ ეს აუცილებელია, ჩამოაყალიბოს ასეთი უარყოფის ტექსტი, რომელშიც უნდა მიეთითოს, რომელი ცნობები ლახავს პატივს და ღირსებას, როდის და ვინ გაავრცელა ისინი, აგრეთვე განისაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ასეთი უარყოფა.

თუ სსსკ-ის 268-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, ამის თაობაზე მიეთითება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, ხოლო აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რატომ არის აუცილებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

რაც ეხება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ღონისძიებათა მიღების საკითხს, აღნიშნულზე სახელმძღვანელოში უკვე იყო საუბარი, ამიტომ აღარ შევჩერდებით, ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ სააღსრულებლო წარმოების აღძვრის დროს, ქონებრივ გადასახდელებზე სააღსრულებლო დოკუმენტის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, კრედიტორის განცხადების საფუძველზე აღმასრულებელს უფლება აქვს აღწეროს და დააყადაღოს მოვალის ქონება, რის თაობაზეც მიეთითება სააღსრულებო წარმოების დროს შედგენილ აქტში (ოქმში), (იხ. სააღსრულებო წარმოებათა კანონი).

4. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ზოგადი წესის მიხედვით გადაწყვეტილების აღსრულება ხდება კანონიერ ძალაში მისი შესვლის შემდეგ, გარდა დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევებისა.

დაუყოვნებლივ აღსრულება იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტილება მოქმედებას იწყებს დაუყოვნებლივ, მისი გამოტანის შემდეგ, ასეთ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დაუყოვნებლივ გაიცემა. კანონით, როგორც აქამდე აღინიშნა, გათვალისწინებულია „ფაკულტატური დაუყოვნებელი აღსრულება", გარდა 268-ე მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

სსსკ-ის 268-ე მუხლით გათვალისწინებული დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები გამოიტანება ისეთ საქმეებზე, რომლებიც პირთა უმნიშვნელოვანეს ინტერესებს შეეხება, ესენია:

1) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ; 2) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახდელების დაკისრების შესახებ; 3) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ; 4) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ; 5) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სასამართლოს შეუძლია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები ასევე ყველა სხვა საქმეზე, მხოლოდ მაშინ, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს (იგულისხმება კრედიტორი) მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან, თუ თავად გადაწყვეტილების აღსრულება საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდება. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავისი მოქმედების მიზეზები, კერძოდ, უნდა მიუთითოს სსსკ-ის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტში აღნიშნული განსაკუთრებული გარემოებების არსებობაზე. ამასთან, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში (268-ე მუხლის მე-2 ნაწილი). გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას (268 მუხლის მე-3 ნაწილი). მოწინააღმდეგე მხარისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის დადგენის გარეშე სასამართლოს არა აქვს იურიდიული საფუძველი მოახდინოს გადაწყვეტილების აღსრულება (სუსგ 2003 წ. № 1, გვ. 225). 268-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

კანონი (სსსკ 269-ე-270-ე მუხლები) ითვალისწინებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვის წესს. დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ ცალკე განჩინების გამოტანის წესის არსი ისაა, რომ დაცულ იქნეს მოპასუხის (ვის წინააღმდეგაცაა გამოტანილი დაუყოვნებლივ აღსრულებული გადაწყვეტილება) ინტერესები, ვინაიდან ის ასაჩივრებს ჯერ დაუყოვნებლივ აღსრულების განჩინებას (დაუყოვნებლივ აღსრულებას) და არა მთლიანად გადაწყვეტილებას.

თუ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაწყვეტილების მიქცევის საფუძვლები არ არსებობს, სასამართლოს უფლება აქვს სარჩელის უზრუნველყოფისათვის დადგენილი წესების დაცვით მიიღოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები (სსსკ 271-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, დაუყოვნებლივი აღსრულება გამონაკლისია აღსრულების ზოგადი წესებიდან. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დაუყოვნებლივ აღსრულებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო და საკასაციო წესით. თუკი შემდგომში გადაწყვეტილება გაუქმდება, ან საქმის ხელახლა განხილვის დროს სარჩელი არ დაკმაყოფილდება, ან სარჩელი განუხილველი დარჩება, ან საქმისწარმოება შეწყდება, კანონით გათვალისწინებული წესით და შემთხვევებში დაიშვება გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება.

დაუყოვნებლივ აღსრულდება ყველა გადაწყვეტილება, რომლითაც გადახდევინებულია ალიმენტები, საალიმენტო სამართალურთიერთობათა სუბიექტური შემადგენლობისა და

ალიმენტების ოდენობის განსაზღვრის საშუალების მიუხედავად.

ალიმენტების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე გავლენას არ ახდენს ის გარემოება, რომ მოსამართლის მიერ სამოქალაქო კოდექსითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამოტანილ იქნა განჩინება ალიმენტის გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ასეთი გადაწყვეტილების გამოტანამდე (დროებითი განჩინება ალიმენტის გადახდევინების შესახებ). ამასთან, ალიმენტის როგორც სარჩოს ჩათვლა (გაქვითვა) და უკუგადახდევინება დაუშვებელია (ზოგიერთი შემთხვევის გარდა), შესაბამისად, დროებითი გადახდევინების შესახებ განჩინების საფუძველზე ზედმეტად გადახდილი ალიმენტის თანხა მისი მიმღებისაგან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

თუ გადასახდელის ოდენობა სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა უფრო დიდი მოცულობით, ვიდრე ეს მითითებული იქნა დროებითი გადახდევინების შესახებ განჩინებაში, არსებული სხვაობა, თუ მისი დადგენა შეიძლება საქმის არსებითად განხილვის დროს, სასამართლო გადაწყვეტილებით გადაიხდევინება ცალკე თანხის სახით, ხოლო თუ ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს — ეს თანხა მიეკუთვნება ალიმენტის დავალიანებას.

როდესაც სასამართლო განიხილავს მუშაკისათვის არაუმეტეს სამი თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხს, მან უნდა მიუთითოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაუყოვნებლივ გადასახდევინებელი თანხის ოდენობა.

თუ სამუშაოზე აღდგენილი მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა დაკარგული ხელფასის (იძულებითი განაცდურის) გადახდევინება გადაწყვეტილება ასევე ამ ნაწილშიც დაუყოვნებლივ აღსრულდება სსსკ-ის 268-ე მუხლში მითითებული თანხის ფარგლებში.

რაც ეხება სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივ აღსრულებას, ისინი დაუყოვნებლივ აღსრულდება სააღსრულებო წარმოებათა კანონით დადგენილი წესით, რომლის თანახმადაც აღსრულება დასრულებულად ითვლება განთავისუფლებამდე მუშაკზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად მუშაკის ფაქტობრივად დაშვების მომენტიდან, რაც მოსდევს გათავისუფლების შესახებ უკანონო განკარგულების გაუქმების შესახებ ბრძანების გამოცემას.

სააღსრულებო წარმოებათა კანონი დაუყოვნებლივ აღსრულებას ითვალისწინებს არა მხოლოდ უკანონოდ გათავისუფლებული (დათხოვნილი) მუშაკის მიმართ, არამედ მათი არასწორად გადაყვანის დროსაც. ამიტომ სამუშაოზე აღდგენის შესახებ დაუყოვნებლივ აღსასრულებელ სასამართლოს გადაწყვეტილებაში იგულისხმება არა მხოლოდ მუშაკის უკანონოდ გათავისუფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, არამედ მის უკანონო გადაყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებიც.

სამუშაოზე აღდგენის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შედეგები განსაზღვრულია სააღსრულებო წარმოებათა კანონით.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა აღსრულება საერთო წესებს ექვემდებარება. ამიტომ, როდესაც გამოიტანს დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებას, სასამართლომ იმავდროულად უნდა გამოწეროს სააღსრულებო ფურცელი და ჩააბაროს იგი კრედიტორს მისი თხოვნით. როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს რამდენიმე მოთხოვნას, რომელთაგან ნაწილი მიქცეულია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, ხოლო დანარჩენი ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულება გადაწყვეტილებით არ არის გათვალისწინებული, სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე მხოლოდ ერთ ნაწილში. მაგალითად, მამობის დადგენისა და ალიმენტების გადახდევინების შესახებ სარჩელთა (მოთხოვნათა) დაკმაყოფილების დროს, მიეთითება იმაზე, რომ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულდება ალიმენტების გადახდევინების

ნაწილში.

თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული მის დაუყოვნებლივ აღსრულებაზე, მაშინ ეს შეიძლება გამოსწორდეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის შესახებ ცალკე განჩინების გამოტანის გზით. ასეთი განჩინება გამოიტანება სსსკ-ის 263-ე მუხლით დადგენილი წესით.

სსსკ-ის 268-ე მუხლის 1-ლ ნაწილში დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა სანიმუშო ჩამონათვალია მოცემული, რადგან აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტით დასაშვებია პრაქტიკურად ყველა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, რომელიც კი კანონიერ ძალაში არ არის შესული. მაგრამ დაუყოვნებლივ აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლისის წესით, თუ სახეზე იქნება კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოებები. პირველყოვლისა, ამისათვის აუცილებელია მოსარჩელის განცხადება. თავის განცხადებაში მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების აუცილებლობა და წარადგინოს განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელთა გამოც სასამართლო აქტის აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება მოსარჩელისთვის მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს ან საერთოდ თავად აღსრულება გახდეს შეუძლებელი.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ აუცილებელი არ არის ზიანის ცნება მაინცდამაინც დაკავშირებული იყოს ქონებრივ დანაკარგებთან. მაგალითად, იმ პირებისაგან ბავშვის დაბრუნების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების დროს, რომლებიც არასრულწლოვანს კანონიერი საფუძვლის გარეშე ამყოფებენ თავისთან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება საფრთხეს უქმნის ბავშვის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს.

სახელმწიფო ჯილდოს ერთ-ერთი პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრისათვის გადაცემის დროს, რომლითაც მამკვიდრებელი იყო დაჯილდოვებული, კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გადაწყვეტილების აღსრულების პერსპექტივამ შეიძლება ამ საოჯახო რელიქვიის დაკარგვა ანდა დაზიანება გამოიწვიოს, რასაც მემკვიდრისათვის ქონებრივზე უფრო მეტი ღირებულება (მნიშვნელობა) აქვს. სასამართლო პრაქტიკისათვის ყოველთვის ის უნდა იყოს ამოსავალი, რომ გარემოებები, რომლებიც კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საშუალებას იძლევა, განსაკუთრებული ხასიათის უნდა იყოს და გამონაკლისს წარმოადგენდეს.

ამასთან, დაუშვებელი უნდა იყოს დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის გადაწყვეტისადმი სუბიექტური მიდგომა, ხოლო ამ საკითხის თაობაზე მიღებულ განჩინებაში უნდა მეითითოს შესაბამისი მოტივები ანუ უნდა მეითითოს მიზეზები და განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გამოც სასამართლო მივიდა დაუყოვნებლივ აღსრულების წესის გამოყენების აუცილებლობის შესახებ დასკვნამდე. მაგალითად, მშვილებლის თხოვნით სასამართლოს უფლება აქვს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქციოს შვილად აყვანის გადაწყვეტილება, თუ სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გამოც გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს აღსრულების შეუძლებლობა, ვთქვათ საჭიროა დროული გოსპიტალიზაცია მკურნალობის კურსის ჩასატარებლად და (ან) ოპერატიულად ჩარევისათვის და დაყოვნება საფრთხეს უქმნის პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხზე გამოტანილი განჩინება, მიუხედავად იმისა, გამოტანილია თუ არა იგი გადაწყვეტილების მიღების დროს ან შემდგომში, დაკმაყოფილებულია თუ არა მოსარჩელის განცხადება დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე, თუ ამაზე მას უარი ეთქვა, შეიძლება გასაჩივრდეს. იმავდროულად,

კერძო საჩივრის შეტანა არ აჩერებს იმ განჩინების მოქმედებას, რომლითაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მიქცეულია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად (იხ. 270-ე მუხლი).

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამ შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე, რომელზეც ეს საქმე იხილება არსებითად, მოსარჩელის განცხადების განხილვის შემდეგ, შესაძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად. თუმცა სასამართლოს მსჯელობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ საკითხის გადაწყვეტასთან მიმართებაში, უნდა გაფორმდეს ცალკე სასამართლო აქტის სახით, სახელდობრ, განჩინებით. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დროს ასეთი განჩინება არ გამოიტანება.

კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის განცხადება განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი განიხილება სასამართლო სხდომაზე ყველა პირის დაბარებით, ვინც საქმეში მონაწილეობს. იმ პირთა გამოუცხადებლობა, რომელთაც სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობათ, არ დააბრკოლებს მოსარჩელის განცხადებაში დაყენებული საკითხის განხილვას და გადაწყვეტას (იხ. 269-მუხლი).

გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ განცხადების განხილვის დროს, სასამართლომ ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს მოპასუხის ინტერესებიც.

ამ მიზნით შესაძლებელია მოსარჩელეს წაეყენოს იმ ღონისძიებათა (ზომების) მიღების მოთხოვნა, რომლებიც მიმართულია გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველსაყოფად სააპელაციო ან საკასაციო წესით მისი გაუქმების შემთხვევაში. მაგალითად, მოსარჩელისაგან მოთხოვნილ იქნეს შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ან ფულადი თანხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა, საბანკო გარანტიის, თავდებობის ან სხვა ფინანსური უზრუნველყოფის წარმოდგენა. გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფის ოდენობის (მოცულობის) და საშუალების შესახებ საკითხს სასამართლო წყვეტს საკუთარი ინიციატივით, მაგრამ, როგორც წესი, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით. მოსარჩელის უარი შეასრულოს სასამართლოს მოთხოვნა უზრუნველყოს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება მისი გაუქმების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაწყვეტილების მიქცევის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

§5. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

1. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის სამართლებრივი შედეგები. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მისი სამართლებრივი მოქმედებაა, რაც იმაში ვლინდება, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ხდება უფლებებისა და მათ საფუძვლად არსებული ფაქტების არსებობის ან არარსებობის საბოლოოდ დადგენა, ხოლო კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი უფლებები უდავოდ უნდა განხორციელდეს უფლებამოსილი პირის მოთხოვნით. სასამართლო

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი არის ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ახდენს კონკრეტული ურთიერთობების სანქციონირებას, რომლის აბსტრაქტული გამოხატულება მოცემულია სამართლის ნორმაში.

სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ როდის შედის კანონიერ ძალაში სასამართლოს გადაწყვეტილებები.

გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვლინდება რიგ სამართლებრივ თვისებებში. მათგან პირველია ისეთი თვისება, როგორიცაა **გადაწყვეტილების უდავოობა**, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრება. აქედან გამომდინარე, სასამართლოსათვის უდავოობა ნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს არა აქვთ უფლება შეამოწმონ ასეთი გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (განჩინებით) დამთავრებული საქმის განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძვლები. ეს თვისება გადაწყვეტილებას ანიჭებს სტაბილურობის თვისებას, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვაში სამართლებრივი ურთიერთობების სიმტკიცეს.

გადაწყვეტილებას რომ ეს თვისება არ ჰქონდეს, მხარეებს უფლება ექნებათ დაუსრულებლად გაასაჩივრონ ერთი და იგივე გადაწყვეტილება დროითი ფარგლებით რაიმე შეზღუდვის გარეშე, ხოლო სასამართლო იძულებული იქნება შეამოწმოს იგი სააპელაციო და საკასაციო წესით, რაც შეუძლებელს გახდის აღსრულებას.

ამდენად, უდავოობის თვისებას აბსოლუტური ხასიათი აქვს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების მიმართ, რამეთუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმისწარმოება შესაძლებელია განახლდეს.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შემდეგი თვისებაა **განსაკუთრებულობა**. სასამართლო გადაწყვეტილების განსაკუთრებულობაში იგულისხმება, რომ საქმის მონაწილეთ და მათ უფლებამონაცვლეებს აღარ აქვთ უფლება ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს სარჩელით ან განცხადებით საქმეზე იმავე მხარეებს (ან მათ უფლებამონაცვლეებს) შორის იმავე საგანზე (იმავე მოთხოვნით) და იმავე გარემოებებზე (სარჩელის საფუძველი) დაყრდნობით. მხარეებსა (საქმის მონაწილეებს) და მათ უფლებამონაცვლეებს არა აქვთ უფლება სადავო გახადონ სხვა პროცესში, სხვა სარჩელზე (განცხადებაზე) სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და სამართალურთიერთობები. სასამართლოსათვის ეს ნიშნავს, რომ მას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არა აქვს უფლება მიიღოს და განიხილოს იგივეობრივი სარჩელები. თუ იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა პერიოდული გადასახდელები (გადაწყვეტილება კი მისი გამოტანის მომენტისათვის იყო კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი), შეიცვალა ის გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადასახდელების ოდენობასა ან მათ ხანგრძლივობაზე (ე.ი. გადაწყვეტილებამ დაკარგა დასახელებული თვისებები), თითოეულ მხარეს უფლება აქვს ახალი სარჩელით მოითხოვოს გადასახდელების ვადებისა და ოდენობის შეცვლა (ახალი გდაწყვეტილების გამოტანა). ეს არ იქნება იგივეობრივი მოთხოვნის დაყენება, რამეთუ ამ შემთხვევაში სასამართლო განხილვის საგანია ახალი მოთხოვნა. ამ დროს უნდა მოხდეს ახალი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც კანონიერ ძალაში შევა საერთო წესით. მაგრამ ამ ახალმა გადაწყვეტილებამ არ უნდა შეცვალოს და არ უნდა გააუქმოს ძველი გადაწყვეტილება. ეს განპირობებულია პერიოდული ხასიათის გადასახდელების ოდენობის ან გადახდის ხანგრძლივობის შეცვლის აუცილებლობით. არ დაიშვება წინა გადაწყვეტილების რევიზია. იმავდროულად, თუ მხარეთა შორის არსებულ

განგრძობად სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (პერიოდული გადასახდელების დაკისრება და ა.შ.) შეიცვალა გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება გადაწყვეტილება, თითოეულ მხარეს ახალი სარჩელის აღძვრით უფლება აქვს მოითხოვოს ახალი გადაწყვეტილების გამოტანა.

გადახდის მოცულობის განსაზღვრაზე და გადახდის ხანგრძლივობაზე გავლენის მომხდენი გარემოებების შეცვლას მიეკუთვნება გარემოებები, რომლებიც უკავშირდება ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის შეცვლას და შრომისუნარიანობის დაკარგვის მოცულობის შეცვლას, ე.ი. ის გარემოებები, რომელთა დადგომაც მოითხოვს საქმის ხელახლა არსებითად განხილვას, რამეთუ იცვლება სადავო სამართლებრივი ურთიერთობების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება.

იგივეობრივი სარჩელის წარდგენა და განხილვა დაუშვებელია, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან მორიგების გამო.

სასამართლოსადმი ხელმეორედ მიმართვა დაუშვებელია სსსკ 272-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა საფუძვლებითაც საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაშიც. გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია იმ პირთა სარჩელებზე, რომლებიც გამოდიან სხვა ფიზიკურ პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, სავალდებულოა იმ პირთათვის, რომელთა ინტერესების დასაცავადაც აღიძრა სარჩელი, დაწყებულ და განხილულ იქნა საქმე. გადაწყვეტილების ამ თვისების მნიშვნელობა ისაა, რომ ის კრძალავს დაუსრულებელ დავას ერთსა და იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, იმით რომ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების სტაბილურობას და გადაწყვეტილებაში ასახული მითითებების იძულებით განხორციელებას.

გადაწყვეტილების ისეთი თვისება, როგორიც **სავალდებულოობაა**, ფართო გაგებით ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მოქმედება ვრცელდება ყველა პირზე, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მათი უფლებები და ინტერესები სასამართლო განხილვის საგანი. გადაწყვეტილება გავლენას ახდენს იმ პირთა ქცევაზეც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საქმეში, მაგრამ რომლებსაც ასე თუ ისე შეეხებათ გადაწყვეტილება (სსსკ-ის მე-10-ე მუხლი).

სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობაში ასევე იგულისხმება მისი ისეთი თვისება, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ორგანო და პირი ვალდებულია თავისი მოქმედებები დაუმორჩილოს სასამართლო გადაწყვეტილებას, მათ არა აქვთ უფლება გააუქმონ ან შეცვალონ იგი, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ საკითხთან დაკავშირებით გამოიტანონ ახალი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო იქნება. ისინი ვალდებული არიან ხელი შეუწყონ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, შეასრულონ აღმასრულებლის მოთხოვნები და არა აქვთ უფლება თავიანთი ქმედებები გაამართლონ იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არასწორია. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან შეასრულონ აუცილებელი მოქმედებები კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი უფლებების გასაფორმებლად და რეგისტრაციისათვის; მაგალითად, თუ სასამართლო დაადგენს მამობას, ამის საფუძველზე სარ-ო ვალდებულია გასცეს ბავშვის დაბადების მოწმობა, რომელშიც მამად ჩაიწერება მოპასუხე. ასევე ეს ორგანო ვალდებულია გასცეს განქორწინების მოწმობა, ნოტარიუსი ვალდებულია გასცეს სამკვიდრო მოწმობა და ა.შ.

გადაწყვეტილების (განჩინების, დადგენილების) სავალდებულოობა დაინტერესებულ პირებს არ ართმევს შესაძლებლობას მიმართონ სასამართლოს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომელთა შესახებ დავა არ იყო განხილული და გადაწყვეტილი (მაგალითად, თუ სუბიექტს შეეძლო საქმეში შესვლა დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე

მესამე პირად, მაგრამ ვერ მოასწრო ეს მხარეთა პაექრობის დაწყებამდე, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს დამოუკიდებელი სარჩელით. სხვა მაგალითი: თუ მხარეებს შორის უკვე გადაწყვეტილ იქნა დავა და შემდეგ შეიცვალა სარჩელის საგანი ან საფუძველი, იმავე მხარეებს უფლება აქვთ აღძრან ერთმანეთის მიმართ ახალი მოთხოვნები). კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობა, თავის მხრივ, განპირობებულია კანონის ზოგადსავალდებულოობით, რომლის საფუძველზეც გამოტალ იქნა გადაწყვეტილება. კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო დადგენილებათა სავალდებულოობას ყველა იმ პირისათვის აქვს მნიშვნელობა, რომელთა მოქმედებებსაც განსაზღვრავს სასამართლო დადგენილებით დადასტურებული უფლებები სხვა პირებთან ურთიერთობაში.

კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ახასიათებს **პრეიუდიციულობის თვისება**. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიუდიციულობას განაპირობებს მასში ასახული ფაქტების შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნების ჭეშმარიტება, აგრეთვე იგივეობრივი საქმის (სარჩელის) სასამართლოში განმეორებით აღძვრისა და განხილვის დაუშვებლობა. სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა საქმის მონაწილეთა მიმართ გულისხმობს, რომ საქმის მონაწილეებსა და მათ უფლებამონაცვლეებს არა აქვთ უფლება სადავო გახადონ (უარყონ), ხოლო სასამართლოს მიმართ გულისხმობს, რომ მას უფლება არა აქვს გამოიკვლიოს სხვა პროცესში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართალურთიერთობები.

გადაწყვეტილების ამ თვისებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დადგენილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული ფაქტები და სამართალურთიერთობები არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს და განმეორებით, ხელახლა იქნეს გამოკვლეული (შემოწმებული) სხვა საქმის განხილვის დროს, რომელშიც იგივე პირები მონაწილეობენ.

იმ პირთათვის, რომლებიც არ მონაწილეობდნენ წინა პროცესში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებსა და სამართალურთიერთობებს პრეიუდიციული მნიშვნელობა არა აქვთ, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მათზე არ ვრცელდება და მათ შეუძლიათ დადგენილი ფაქტები სადავოდ აქციონ სხვა პროცესში, რომელშიც თავიანთ უფლებებსა და ინტერესებს იცავენ.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი სამართალურთიერთობები და იურიდიული ფაქტები (რომლებიც საფუძვლად უდევს მხარეთა მოთხოვნებს) არსებულად ითვლება, ანუ მხარემ ხელახლა აღარ უნდა დაამტკიცოს მათი არსებობა მანამ, სანამ მოქმედებს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, ე.ი. სანამ გადაწყვეტილება არ გაუქმებულა. მეორე მხარეს, რომელიც უარყოფს მოსარჩელის მოთხოვნებს, არა აქვს უფლება სასამართლოს მიერ მანამდე უკვე დადგენილი ფაქტებისა და გარემოებების უარსაყოფად წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე სასამართლოსაგან მოითხოვოს ამ მტკიცებულებათა გამოკვლევა და საქმეზე დართვა.

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა პრეიუდიციული კავშირის მაგალითია ძირითად და სარეგრესო სარჩელებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ურთიერთმოქმედება. ვთქვათ, თუ სასამართლო დაადგენს დაზარალებულისადმი რამდენიმე პირის მიერ ზიანის ერთობლივად მიყენების ფაქტს და თავისი გადაწყვეტილებით ზიანის მიმყენებლებს ცნობს სოლიდარულ მოპასუხებად, მაშინ იმ პირს, რომელმაც სრულად აანაზღაურა ზიანი, აქვს რეგრესის უფლება დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართ, გადახდილი ანაზღაურების ოდენობით. სარეგრესო სარჩელის განხილვისას, სასამართლოსთვის უკვე ამოსავალი იქნება ის, რომ წინა გადაწყვეტილებით დადგენილია ვალდებულებითი სამართალურთიერთობების არსებობა დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებლებს შორის და მოპასუხეებს აკისრიათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.

სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე უფრო ხშირად საუბარია აღიარებით სარჩელზე

გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების პრეიუდიციის შესახებ, რომელსაც ასეთი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებით სარჩელზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებისათვის. მაგალითად, მამად ცნობა სასამართლო გადაწყვეტილებით ნიშნავს, რომ ეს პირი სადავოდ ვეღარ გახდის მამობას სხვა პროცესში. მაგალითად, მისგან ალიმენტის გადახდევინების შესახებ პროცესში.

გადაწყვეტილების პრეიუდიციული მოქმედება ზღვარდაუდებელი როდია, ის ყოველთვის შემოფარგლულია სასამართლოს მიერ კონკრეტულად დადგენილი ფაქტითა და სამართალურთიერთობით და მოცემული საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრით (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ" პუნქტი). აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა ექნება ორი პირობის არსებობისას:

1) სხვა პროცესში სასამართლო განიხილავს იმ ფაქტებსა და სამართალურთიერთობებს, რომლებიც უკვე დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით;

2) აღნიშნულ პროცესში მონაწილეობენ იგივე პირები, რომლებიც წინა პროცესში მონაწილეობდნენ და მათ მიმართ არის გადაწყვეტილება გამოტანილი.

თუ აღნიშნულ ფაქტებსა და სამართალურთიერთობებს ახალ პროცესში სადავოს ხდიან სხვა პირები, სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე.

ზემოთ განხილული თვისებები, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილება იძენს კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, კერძოდ კი: უდავოობა, განსაკუთრებულობა, სავალდებულოობა და პრეიუდიციულობა, ქმნიან იმ საფუძველს, რომელზეც აღმოცენდება ისეთი მნიშვნელოვანი თვისება, როგორიც **აღსრულებადობაა**. სწორედ ამ თვისების განხორციელების დროს მიიღწევა მართლმსაჯულების საბოლოო მიზანი კონკრეტულ საქმეზე – სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების დარღვეული ან სადავო უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური დაცვა.

აღსრულებადობა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობაა ვალდებული პირის ნების საწინააღმდეგოდ.

სსსკ-ის 267-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში დაიშვება ამ წესიდან გადახვევა (იხ. სსსკ-ის 268-ე მუხლი).

ყველა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება სავალდებულოა, მაგრამ ყველას იძულებითი აღსრულება როდია შესაძლებელი. აღსრულებადობის თვისება აქვთ მხოლოდ მიკუთვნებით სარჩელებზე გამოტანილ გადაწყვეტილებას, რამეთუ სწორედ მასშია ასახული ის მითითება, რომელიც მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულებას ავალდებულებს უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელის გამო გამოტანილ გადაწყვეტილებას, როგორც წესი, ის არ მოითხოვს რაიმე კონკრეტული მოქმედებების განხორციელებას სადავოდ ქცეული უფლებების დასაცავად. მისი სავალდებულოობისათვის საკმარისია სასამართლოს მიერ გარკვეული ფაქტების (გარემოებების) ან სამართალურთიერთობების აღიარება (მაგალითად, მამობის დადგენა).

აღიარებით სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება არ არის სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი და არ საჭიროებს იძულებით განხორციელებას.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იძენს **შეუცვლელობის** თვისებას (სსსკ-ის 265-ე მუხლი). შეუცვლელობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს არ შეუძლია თვითონ გააუქმოს ან შეცვალოს გადაწყვეტილება, რაც უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილების სიმტკიცეს.

2. სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლები. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება ზღვარდაუდებელი არ არის. გადაწყვეტილების კანონიერ ძალას აქვს

ობიექტური და სუბიექტური ფარგლები და არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საქმეში და ფაქტებსა და სამართალურთიერთობებზე, რომლებიც არ ყოფილა განხილვის საგანი. სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც სამართლის შეფარდების აქტი, ყოველთვის კონკრეტულ უფლებებსა და კანონიერ ინტერესს ეხება. ნორმატიული აქტისაგან განსხვავებით გადაწყვეტილებას აქვს ზემოქმედების მკაცრად ინდივიდუალიზებული ობიექტი – მატერიალური სამართალურთიერთობა ან იურიდიული ინტერესი.

ობიექტური ფარგლების მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მხოლოდ იმ სადავო სამართალურთიერთობებსა და იურიდიულ ფაქტებზე(მატერიალურ სამართლებრივ მოთხოვნაზე),რომლებიც დაადგინა სასამართლომ საქმის განხილვის დროს. ყველა სხვა ურთიერთობაზე,რომელიც არ წარმოადგენს გადაწყვეტილების საგანს,აგრეთვე, ფაქტობრივ გარემოებებზე,რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ წარმოიშვა,მისი კანონიერი ძალა არ ვრცელდება. გადაწყვეტილებით დადგენილი ობიექტური ფარგლები შემდეგ აღარ შეიძლება შეიცვალოს, რაც უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების სავალ-დებულოობით. სასამართლოს აქვს ერთადერთი შესაძლებლობა გადაწყვეტილებით უკვე დადგენილი ფარგლების კორექტირებისა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის სახით.

სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედების **სუბიექტური ფარგლები** ვრცელდება მასში მითითებულ პირთა წრეზე (საქმის მონაწილეებზე), რომლებიც სასამართლოს მიერ გამოკვლეული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები იყვნენ, ესენი არიან მხარეები, ორივე სახის მესამე პირი, როგორც სათანადო ისე არასათანადო მხარე პროცესში მათი ერთდროულად მონაწილეობის შემთხვევაში. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მათ უფლებამონაცვლეებზეც. სუბიექტური ფარგლები გვაძლევს სა-სამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული მითითების პერსონიფიცირების შესაძლებლობას.

ფართო გაგებით, როგორც ეს დადგენილია სსსკ-ის მე-10-ე მუხლით (სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა),სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება არ არის შეზღუდული სუბიექტური ფარგლებით. მაგრამ გადაწყვეტილების, როგორც სამართალ-შეფარდების აქტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომელთა უფლებები და მოვალეობებიც გახდა სასამართლო განხილვის საგანი და აისახა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. ამიტომაა, რომ გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, თუ სასამართლომ გადაწყვიტა იმ პირთა უფლებამოვალეობების საკითხი, რომლებიც არ იყვნენ ჩაბმული საქმეში მონაწილეობის მისაღებად და არ იყვნენ სასამართლოს მიერ გამოკვლეული სამართალურთიერთობის სუბიექტები. ამრიგად,სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები ნიშნავს,რომ კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის შედეგით, სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიულად დაინტერესებულ პირებზე მხოლოდ იმ პირობით,თუ ეს პირები ჩაბმული იყვნენ საქმეში მონაწილეობის მისაღებად,ან პროცესში შევიდნენ საკუთარი ინიციატივით. დაბოლოს, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტურ ფარგლებთან. მაგალითად, გადაწყვეტილებაში ასახულ იურიდიული ფაქტებისა და სამართალურთიერთობების შესახებ სასამართლოს დასკვნებს პრეიდუციული მნიშვნელობა აქვს სხვა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებისათვის მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთა მიმართაც გამოტანილ იქნა ეს დასკვნა და რომ-ლებიც მონაწილეობდნენ თავდაპირველად (მანამდე) განხილულ საქმეში.

§6. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება

1. ზოგადი დებულებანი. განჩინებით საქმე არსებითად ვერ გადაწყდება. განჩინებით სასამართლო (მოსამართლე) არსებითად წყვეტს მხოლოდ საპროცესო (პროცედურულ) საკითხებს, ადგენს პროცედურული თანმიმდევრობის მომენტებს სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიიდან დაწყებული საქმის მთელი წარმოების განმავლობაში. ისევე როგორც გადაწყვეტილება, განჩინებაც სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეული განჩინება საპროცესო-სამართლებრივ ფაქტს წარმოადგენს, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს საპროცესო ურთიერთობებს.

2. განჩინებათა კლასიფიკაცია. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებათა კლასიფიკაციის კრიტერიუმია მათი მიმართება საქმის მთვარი საკითხისადმი, სამოქალაქო საქმის არსებითად გადაწყვეტისადმი. ამ კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ სასამართლო განჩინებათა ხუთი სახე:

1. განჩინებები, რომლებითაც მთავრდება პროცესი დავის მოწესრიგებით. მათ მიეკუთვნება: 1) საქმისწარმოების შეწყვეტის განჩინება გამოტანილი მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო; 2) მხარეთა მორიგების დამტკიცების განჩინება. თუ მხარეები მორიგდნენ ან მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ერთდროულად, მორიგების დამტკიცებასთან და მოსარჩელის ამგვარი უარის მიღებასთან ერთად თავისი განჩინებით აუქმებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას და წყვეტს საქმისწარმოებას. გადაწყვეტილება ამგვარი განჩინებებისაგან იმით განსხვავდება, რომ გადაწყვეტილებით სასამართლო არსებითად წყვეტს მხარეთა შორის წამოჭრილ დავას.

2. განჩინებები, რომლებიც აფერხებენ პროცესის წარმოშობას ან ამთავრებენ პროცესს (წყვეტენ საქმისწარმოებას) დავის გადაწყვეტის (მოწესრიგების) გარეშე, როცა არ არსებობს კანონიერი საფუძველი საქმის აღსაძვრელად და სასამართლო განხილვისათვის. მათ მიეკუთვნება: 1) სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება; 2) საქმისწარმოების შეწყვეტის განჩინება სსსკ-ის 272-ე მუხლში მითითებული საფუძვლებით („გ" და „დ" პუნქტების გარდა); 3) სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინება.

ამ სახის განჩინებებით დავის არსებითად გადაწყვეტა არ ხდება. მათი შინაარსი შეეხება მხოლოდ იმას, რომ სხვადასხვა საფუძვლის გამო დაუშვებელია (შეუძლებელია) დავის განხილვა და გადაწყვეტა მოცემულ სასამართლოში ან სასამართლო ორგანოებში საერთოდ. ამაშია ამგვარი განჩინებების არსებითი განსხვავება სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან, რომლითაც საქმე არსებითად წყდება.

3. განჩინებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ნორმალურ მსვლელობას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე (მოსამზადებელი განჩინებები). მათ მიეკუთვნება: 1) საქმის მოძრაობის საკითხებზე მიღებული განჩინებები (სარჩელის მიღებისა და მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის დანიშვნის; საქმის განხილვის გადადების; ვადის აღდგენის ან გაგრძელების; საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის; სარჩელთა გაერთიანებისა და გამოყოფის შესახებ); 2) პროცესში ახალი პირების ჩაბმის ან პროცესის მონაწილეთა შეცვლის თაობაზე მიღებული განჩინებები (მესამე პირთა ჩაბმის ან დაშვების; სათანადო მოსარჩელის ინფორმირების; საქმეში სათანადო მოპასუხის ან თანამოპასუხის ჩაბმის; სასამართლოს შემადგენლობის, თარჯიმნის ან სხდომის მდივნის აცილების საკითხის გადაწყვეტის შესახებ და სხვა); 3) მტკიცებულებითი მასალის შეგროვების შესახებ მიღებული განჩინებები (მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დაშვების; ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; ადგილზე დათვალიერების წარმოების; წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვისა თუ საქმეზე დართვის; მოწმეთა დაბა-

რების შესახებ და სხვა); 4) სარჩელის უზრუნველსაყოფად, საქმის დახურულ სხდომაზე განსახილველად, ჯარიმის დაკისრების თაობაზე მიღებული განჩინებები. ყველა ეს განჩინება შეეხება მხოლოდ პროცესის მსვლელობისას წარმოშობილ კერძო საკითხებს. სასამართლოს განკარგულებები, რომლებიც გაიცემა აღნიშნული განჩინებების ფორმით, უზრუნველყოფენ სამოქალაქო საქმის (პროცესის) ნორმალურ კანონიერ მსვლელობას, ხელს უწყობენ საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების გამოტანას.

4. გამოტანილი გადაწყვეტილებისა და მისი აღსრულების შესახებ მიღებული განჩინებები. მათ მიეკუთვნება განჩინებები გადაწყვეტილების განმარტების, მისი დაუყოვნებლივ აღსრულების, იმ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც არ არის გადაცემული (მიქცეული) დაუყოვნებლივ აღსასრულებლად; აშკარა არითმეტიკული შეცდომების გამოსწორების, გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების, აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის, სასამართლოს მიერ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის, სააღსრულებო წარმოების შეჩერების, სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის, გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ და სხვ.

ამ განჩინებათაგან ზოგიერთის მეშვეობით ხდება გამოტანილი გადაწყვეტილების განმარტება, ზოგი კი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში აზუსტებს გადაწყვეტილების შინაარსსა და მისი აღსრულების წესს, ზოგიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების სწრაფ და რეალურ აღსრულებას. მაგრამ ასეთი განჩინებების გამოტანით არ შეიძლება გაუქმდეს ან არსებითად შეიცვალოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. საქმის დამთავრებასთან დაკავშირებულია სასამართლოს მიერ ნივთიერ მტკიცებულებათა დაბრუნებისა და სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ განჩინებათა გამოტანა.

5. განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საქმისწარმოების განახლების შესახებ გამოტანილ სასამართლოს განჩინებებს, აგრეთვე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საკითხზე გამოტანილ განჩინებებს, რამეთუ მათთან დაკავშირებულია აღნიშნული სასამართლო დადგენილებების გამომტანი სასამართლოს შესაძლებლობა, თვითონ, ზემდგომი სასამართლო ინსტანციების ჩარევის გარეშე, გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება.

სასამართლომ განჩინება შეიძლება გამოიტანოს სამოქალაქო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

განჩინებები გამოტანის (მიღების) ფორმისა და წესის მიხედვით შეიძლება არსებობდეს ცალკე საპროცესო დოკუმენტის ან სასამართლოს ზეპირი მითითების სახით, რომელიც სიტყვასიტყვით შეიტანება სასამართლოს სხდომის ოქმში. ზეპირი დადგენილებები მიიღება მარტივ საკითხებზე მათი ადგილზე განხილვის შემდეგ სათათბირო ოთახში მოსამართლის გაუსვლელად. ცალკე დოკუმენტის სახით (სათათბირო ოთახში) განჩინებები მიიღება ყველა მნიშვნელოვან (რთულ) საპროცესო საკითხზე, აგრეთვე ნებისმიერ იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო თავისი შეხედულებით ასეთ საკითხს წყვეტს სათათბირო ოთახში. საკითხის სირთულის ხარისხი დამოკიდებულია საქმის გარემოებებსა და მოსამართლის შეხედულებაზე. სათათბირო ოთახში გამოიტანება ისეთი განჩინებები, რომლებიც მოითხოვენ დაწვრილებით მოტივირებას ან რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ აზრთა სხვადასხვაობა მოსამართლეთა შორის, ან რომლებიც საჭიროებენ ერთსა და იმავე საკითხზე საქმის მონაწილეთა სხვადასხვა მოსაზრების ანალიზსა და განხილვას, ასევე რომელთათვისაც გამოტანის ასეთი წესი უშუალოდაა გათვალისწინებული საპროცესო კოდექსით. მაგალითად, მოსამართლის აცილების საკითხი სსსკ-ის 34-ე მუხლის თანახმად შეიძლება გადაწყდეს სათათბირო ოთახში.

განჩინება სასამართლოს სათათბირო ოთახში გამოაქვს იმავე წესით, როგორც გადაწყვეტილება (სსსკ-ის 27-ე, 34-ე მუხლები). სათათბირო ოთახში გამოტანილი განჩინებები უნდა ჩამოყალიბდეს ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით. ერთპიროვნული

მოსამართლის მიერ მიღებულ განჩინებას ხელს აწერს ეს მოსამართლე, ხოლო თუ იგი მიღებულია კოლეგიური სასამართლოს მიერ, მას ხელს აწერს ყველა მოსამართლე. თითოეულ მოსამართლეს აქვს განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება. სათათბირო ოთახში მიღებული განჩინებების სარეზოლუციო ნაწილი ცხადდება თათბირის შემდეგ. მხარეებს განემარტება ამ განჩინების შინაარსი, მისი გასაჩივრების ვადა და წესი. განჩინება სრულ და დასაბუთებულ პასუხს უნდა იძლეოდეს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლომ უნდა მოამზადოს დასაბუთებული განჩინება. თითოეული განჩინება, რომლითაც ხდება საქმის მონაწილეთა შუამდგომლობის დაკმაყოფილება ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, მოტივირებულ უნდა იქნეს და პასუხობდეს 285-ე მუხლით დადგენილ რეკვიზიტებს.

განჩინება, ისევე როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება, შედგება ოთხი ნაწილისაგან: შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

სათათბირო ოთახში გაუსვლელად ანუ ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებები (ე.წ. საოქმო განჩინებები) შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში და მათში მიეთითება: საკითხი, რომლის შესახებაც გამოტანილია განჩინება (მაგალითად, ახალი მტკიცებულებების გამოთხოვის ან საქმეზე დართვის შესახებ, უწყებრივად არაქვემდებარეობის გამო საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ და სხვ.), მოტივები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა (მათ შორის კანონებზე მითითება) და თვით განჩინების შინაარსი (სარეზოლუციო ნაწილი). განჩინება რომელსაც სასამართლო იღებს ადგილზე თათბირით, უნდა გამოცხადდეს მიღებისთანავე. თავმჯდომარე, ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა განჩინება განმარტავს განჩინების შინაარსს, მისი გასაჩვრების წესს და ვადას, რაც აისახება სხდომის ოქმში. სასამართლოს იმ განჩინებაში, რომელიც ფორმის მიხედვით დამოუკიდებელ საპროცესო დოკუმენტს წარმოადგენს, გარდა ამისა, აღინიშნება (მიეთითება) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი, ე.ი. სასამართლო სხდომაზე განჩინების გამოცხადების ზუსტი თარიღი და სასამართლო სხდომის ადგილი, განჩინების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივნის გვარი, მხარეები და დავის საგანი, აგრეთვე მისი გასაჩივრების წესი და ვადა.

განჩინების აღწერილობით ნაწილში სასამართლომ მოკლედ, მაგრამ სრულად და მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს საკითხის არსი და მისი განხილვის შედეგები.

აღწერილობითი ნაწილის ლოგიკური გაგრძელებაა სამოტივაციო ნაწილი, რომელშიც მითითებულია კანონზე. სასამართლოს განჩინებაში, ისევე როგორც გადაწყვეტილებაში, მითითებული უნდა იქნეს გარემოებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და კანონები, რითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. სსსკ-ის 285-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, განჩინებაში მოცემული უნდა იყოს მისი ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთება. ფაქტობრივი დასაბუთებისას სასამართლომ უნდა მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარება სასამართლო დასკვნები. ასევე მითითებული უნდა იქნეს იმ კანონებზეც, რომელთა საფუძველზეც იურიდიულად შეფასდა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იურიდიული დასაბუთება). განჩინების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, რა გამოარკვია და დაადგინა სასამართლომ და რატომ გადაწყვიტა საკითხი ამგვარად, ე.ი. საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ განჩინების კანონიერებასა და დასაბუთებულობაში.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ასახულია სასამართლოს საბოლოო დასკვნა განსახილველი საკითხის თაობაზე, განჩინების აღსრულების ვადა და წესი, აგრეთვე განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობასა თუ გასაჩივრების დაუშვებლობაზე მითითება.

3. განჩინების თვისებები. განჩინება, როგორც მართლმსაჯულების აქტი სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად სავალდებულოა იმ პირებისათვის,რომელთა მიმართაც ის არის გამოტანილი და მისი გამომტანი სასამართლოსათვის (მოსამართლისთვის),მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, მას არ ახასიათებს ისეთი სპეციფიკური თვისება, როგორიც შეუცვლელობაა. სასამართლო ზოგჯერ შეიძლება დაუბრუნდეს საპროცესო საკითხს ხელმეორედ, ანუ განიხილოს და გადაწყვიტოს ისეთი საკითხი, რომელიც უკვე გამოტანილი განჩინების საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს მეუღლეთა ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით უფლება აქვს შეცვალოს შესარიგებლად მიცემული ვადა და განიხილოს საქმე ამ ვადის ამოწურვამდე (გასვლამდე). თუ გადაწყვეტილება ზოგადსავალდებულოა, განჩინება შეიძლება იყოს პერსონალურად სავალდებულო სასამართლოს შემადგენლობისათვის. მაგალითად, მოსამართლისათვის განცხადებული აცილების დაკმაყოფილების შესახებ განჩინება ინდივიდუალური ხასიათისაა, მასში პერსონალური ვალდებულება პირველ ადგილზე დგას.

განსაკუთრებულობის თვისება დამახასიათებელია მხოლოდ განცხადების მიღებაზე უარის თქმის განჩინებებისათვის (სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" და „დ" ქვეპუნქტები) და საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებისათვის (272-ე მუხლი). განცხადების განუხილველად დატოვების განჩინება დროებით აფერხებს საქმის განხილვას (ამ გარემოებათა აცილება შესაძლებელია),ამიტომ მისი განსაკუთრებულობა ფარდობითი ხასიათისაა. განჩინებებს არ ახასიათებთ პრეიუდიციულობის თვისება, რაც გამომდინარეობს სსსკ-ის 106-ე და 266-ე მუხლებიდან. ამიტომ განჩინების პრეიუდიციულობის ნაწილში არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მოცემული განმარტება საქმეზე №ას-1142-1388-05,რომლის თანახმადაც, ,,საპროცესო კანონმდებლობა, როგორც წესი, გადაწყვეტილებაში გულისხმობს როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების ასევე განჩინებას და დადგენილებას... განსხვავება სასამართლო დადგენილების პროცესუალურ ფორმაშია. პრეიუდიციულად დამტკიცებულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც სასამართლო გადაწყვეტილებით, ისე სასამართლო განჩინებით დადგენილი ფაქტები". იმ შემთხვევაში,როდესაც განჩინებაში ასახული მითითება საჭიროებს იძულებით განხორციელებას, კანონმდებელი აღჭურავს მას აღსრულებადობის თვისებით. კერძოდ, ესაა სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს (სსკ-ის 195-ე მუხლი). საკმაოდ სპეციფიკურია განჩინებათა უდავოობაც, რამეთუ ყველა ისინი როდი შეიძლება იყოს სააპელაციო და საკასაციო შემოწმების დამოუკიდებელი ობიექტი. განჩინებათა უმტესობის გასაჩივრება ხდება გადაწყვეტილებებთან ერთად გადაწყვეტილებებზე შეტანილი საჩივრით. აქედან გამომდინარე, უდავოობის თვისება ასეთ განჩინებებს არა აქვთ. ასეთ დროს თავად სასამართლო გადაწყვეტილებას (და არა განჩინებას) ახასიათებს უდავოობა.

თავი XXXI

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

§1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი და მნიშვნელობა

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი ცნობილია მსოფლიოს მრავალი სამართლებრივი სისტემისათვის. მაგალითად, ინგლისში საქმეთა დაუსწრებელი განხილვა დომინირებს როგორც მაღალ სასამართლოში, ისე საგრაფოების სასამართლოებში. ჩვენში აღნიშნული მოვლენის, ინსტიტუტის შემოღების სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული მიზეზები შემდეგია: მხარე რწმუნდება, რომ უიმედოა უფლების დაცვა, ასევე ამის მიზეზია თავისუფალი დროის უქონლობაც აუცილებელი ფორმალობების შესასრულებლად, სამართალწარმოების დეტალების არცოდნაც, როცა მხარეს არ ჰყავს ადვოკატი. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის სამოქალაქო პროცესშიც.

დაუსწრებელი წარმოებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების, მხარეთა მოქმედებების (უმოქმედობის) გამო მხარეთა პასუხისმგებლობის დონის ამაღლების დამატებით გარანტიას, ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის დაჩქარებას, განტვირთავს სასამართლოებს. დაუსწრებელი წარმოება სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის გამარტივებული ვარიანტია, როცა სხდომაზე არ ცხადდებიან სათანადო წესით დაბარებული მხარეები, რომლებმაც არ შეატყობინეს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები, ან როცა მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს სარჩელის წინააღმდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. პროცესის გამარტივების ამოცანაა საპროცესო ფორმის (საპროცესო ფორმით გათვალისწინებული წესების) გამარტივება.

კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას სასამართლოს უფლება აქვს მხარის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, თუ მას ხელთ აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მხარეს გაეგზავნა უწყება სათანადო წესით, ხოლო ამ მხარისაგან არ შესულა შეტყობინება თავისი გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიოობის თაობაზე, ასევე მაშინ, თუ მოპასუხემ არ წარმოადგინა შესაგებელი. ერთ-ერთ საქმეზე მხარე ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ წარმოდგენილ ცნობაში პოლიკლინიკად მოხსენებული სამედიცინო დაწესებულება წარმოადგენს შპს-ს, რომლის სახელით მოქმედების, მათ შორის ცნობის გაცემის უფლებაც მეწარმეთა კანონის თანახმად, ეკუთვნის მხოლოდ დირექტორს, ცნობა კი გაცემულია არაუფლებამოსილი პირის, კერძოდ, მკურნალი ექიმის მიერ და მას იურიდიული ძალა არ გააჩნია. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ ჩათვალა წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა მტკიცებულებად, რადგან იგი გაცემული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ (სუსგ 2004 წ. № 2, გვ. 334). ხოლო სხვა ანალოგიურ საქმეზე აღნიშნულია, რომ ცნობაზე უნდა იყოს პოლიკლინიკის ბეჭედი, ცნობაზე ასევე უნდა იყოს დირექტორის ხელმოწერა, მკურნალი ექიმის ხელის მოწერასთან ერთად (სუსგ 2004 წ. №2, გვ. 564). მხარის გამოუცხადებლობისას სასამართლოები ზოგჯერ ყურადღებას აქცევენ პროცესის სტადიასაც. ერთ-ერთ საქმეზე განმარტებულია: რადგან სხდომის დღე კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო მოპასუხისათვის, სასამართლო უფლებამოსილი იყო

გაეგრძელებინა სხდომა და ვინაიდან სასამართლოს მოსმენილი ჰქონდა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შესწავლილი ჰქონდა წარმოდგენილი მტკიცებულებები, პაექრობის სტადიაზე არ იქნებოდა მიზანშეწონილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და სასამართლომ მართებულად გამოიტანა დასაბუთებული გადაწყვეტილება (სუსგ 2002 წ. №8. გვ. 1287-1288). გადაწყვეტილების ტექსტში მითითებულ უნდა იქნეს, რომ ის დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა. ამას მნიშვნელობა აქვს გასაჩივრების წესის განსაზღვრისათვის.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემოღება განპირობებულია პროცესში შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის საწყისების აბსოლუტური სახით აღორძინებით, რომლებიც გამორიცხავენ სასამართლოს ჩარევას (კონტროლს) კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში. სასამართლო პროცესზე მოპასუხის გამოუცხადებლობა კანონით გაუთვალისწინებელი ერთ-ერთი ხერხია მოსარჩელის წინააღმდეგ უფლებების დასაცავად, რომელიც აბრკოლებს (აფერხებს) მოსარჩელის უფლებების აღდგენას, აჭიანურებს საქმის განხილვის პროცესს და მნიშვნელოვნად ამცირებს სასამართლო პროცედურის ეფექტიანობას. დაუსწრებელი წარმოება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლო პროცესში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობისადმი მხარის ნეგატიურ დამოკიდებულებაზე, მხარის პასიურობაზე რეაგირების ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს საქმეთა სწრაფად და ეფექტიანად განხილვას.

ამასთან, ამა თუ იმ მხარის გამოუცხადებლობა, ან მოპასუხის მიერ სარჩელზე შესაგებლის წარმოუდგენლობა სასამართლოს როდი აკისრებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების უპირობოდ გამოტანის ვალდებულებას. კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს არა თუ უფლება აქვს არ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ ვალდებულიც კი არის აღნიშნულზე, თუნდაც პირი სათანადოდ იყოს გაფრთხილებული სხდომის შესახებ, ან მოპასუხეს სათანადოდ ჩაბარდეს სარჩელი. სასამართლოს უფლება (და თუნდაც ვალდებულება) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის პრინციპიდან. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა-არგამოტანის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო აფასებს ერთობლიობაში ყველა გარემოებას, ითვალისწინებს გამოუცხადებლობის, ან შესაგებლის წარუდგენლობის საპატიოობის განმსაზღვრელ საქმის მასალებს, ითვალისწინებს საქმეში მონაწილე და სხდომაზე გამოცხადებული მხარის მოსაზრებას თუ ნებას, სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანებს. სასამართლოსთვის ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ მას ეკისრება კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება. გათვალისწინებული უნდა იქნეს სსსკ-ის 207-ე მუხლის მოთხოვნებიც. კერძოდ, ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს არა აქვს უფლება სავალდებულოდ ცნოს მხარეთა მონაწილეობა სასამართლო სხდომაში, თუკი მათ თხოვნით მიმართეს სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენის, ე. ი. მხარეთა დასწრების გარეშე განხილვაზე.

§2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები და წესი

დაუსწრებელი წარმოების წესებით სამოქალაქო საქმის განსახილველად აუცილებელია კანონით გათვალისწინებული პირობებისა და წესების დაცვა.

პირველი უმნიშვნელოვანესი პირობა ვიდრე დაინიშნება სასამართლო სხდომა, არის საქმის მომზადების სტადიაზე შესაგებელის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრა მოპასუხისათვის. სასამართლომ მოპასუხეს უნდა დაუნიშნოს ვადა იმისათვის, რომ მან წერილობით

შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართულ დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. სასამართლო აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. ყურადღება უნდა მიექცეს რომ შესაგებლის წარმოდგენის ვადა სარჩელის მიღების განჩინებით[1] უნდა იყოს დადგენილი თვითონ მოსამართლის მიერ. შესაბამისად ამ ვადის დადგენა მოსამართლის თანაშემწეს ან სასამართლოს კანცელარიას არ შეუძლია. ეს იქნება კანონის დარღვევა. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მოპასუხე შესაგებელის წარდგენისათვის სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შესაგებლის ნაცვლად წარადგენს შეგებებულ სარჩელს, რომლიდანაც იკვეთება მის მიერ არა მხოლოდ შემხვედრი მოთხოვნის აღძვრა, არამედ ისიც, რომ არ ეთანხმება პირვანდელ სარჩელს. ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია. მთავარი ის კი არ არის რომ მოპასუხემ წარადგინოს შესაგებელი იუსტიციის საბჭოს მიერ დადგენილ ფორმაში, არამედ მთავარია მან გამოხატოს ნება წერილობითი ფორმით, რომ არ ეთანხმება სარჩელს. 2013 წლის 30 მაისის განჩინებაში საქმეზე №2ბ/745-13 თბილისის სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა: „კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შესაგებლის წარსადგენად სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში მოპასუხის მიერ სასამართლოში შეტანილი იქნა შეგებებული სარჩელი, რომლის ნაწილიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე შესაგებელს წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლო ზედმეტად ფორმალურად მიუდგა საკითხს და სათანადო ყურადღება არ გაამახვილა შეგებებული სარჩელის შინაარსზე, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა შესაგებელი სარჩელზე.“ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საქმეზე წარდგენილი შეგებებული სარჩელი შინაარსით პასუხობს ასევე სსსკ-ის 201-ე მუხლით დადგენილ იმ მოთხოვნებს, რომელსაც კანონმდებელი მოპასუხის პასუხს (შესაგებელს) უყენებს – მოპასუხემ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა რომ იგი არ ცნობდა სარჩელს და ამასთან, სარჩელის საწინააღმდეგოდ მიუთითა თავის არგუმენტაციაზე.“ თუ წარმოდგენილი იქნა შესაგებელი, მაშინ სასამართლოს ვალდებულება არის მხარეს არა მხოლოდ ფორმალურად შეატყობინოს საქმის განხილვის დღე და ადგილი, აგრეთვე ისიც, რომ მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. აქედან გამომდინარე, საქმის მასალებში უნდა იყოს უტყუარი ინფორმაცია მხარისათვის არა მხოლოდ უბრალოდ უწყების ჩაბარების შესახებ, არამედ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უწყებაში გამოუცხადებლობის შედეგებზე მითითებაც (სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი). აქ მოქმედებს სსსკ-ის VIII თავით დადგენილი საერთო წესები. მაგალითად, დარღვეულად ჩაითვლება სსსკ 233-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. თუ კი სასამართლოს სხდომა გადაიდო, მაგრამ აღნიშნული დღის სხდომის ოქმში არ არის დაფიქსირებული გადადების ზუსტი თარიღი (სუსგ 2002 წ. №3, გვ. 473-475).

[1] მართალია არსებული პრაქტიკის მიხედვით მოსამართლეს აღარ გამოაქვს სარჩელის მიღების შესახებ განჩინება, მაგრამ ამგვარი განჩინების გამოტანის შესაძლებლობა არც აკრძალულია. უფრო მეტიც, სავალდებულო უნდა იყოს, რადგან სწორედ მასში უნდა აისახოს შესაგებლის წარმოდგენის ვადა. მითუმეტეს, რომ კანონით ამგვარ ვადას განსაზღვრავს მხოლოდდამხოლოდ სასამართლო.

თითოეული მხარის უფლებაა იცოდეს სასამართლო სხდომის შესახებ, მონაწილეობა მიიღოს თავისი საქმის განხილვაში. ამიტომ სასამართლო ვალდებულია სხდომის თაობაზე გააფრთხილოს მხარე და მისი წარმომადგენელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხარე (მისი წარმომადგენელი) სხდომაზე მოწვეული არ არის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, 233-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია იმის გამო, რომ მხრისათვის აუცილებლად უნდა იყოს ცნობილი სხდომის თაობაზე, ამ უფლების დაცვის გარანტიაა 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. აღნიშნული ნორმის დარღვევით იმ შემთხვევაში იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონდარღვევით გამოტანილი, თუ არც მხარემ და არც წარმომადგენელმა არ იცოდა სხდომის თაობაზე. სხდომის განხილვის თარიღის თაობაზე საკმარისია იცოდეს მხარემ, ან მისმა წარმომადგენელმა, თუ მხარე საქმეს მისი მეშვეობით აწარმოებს სასამართლოში.

მხარემ, თუ იგი ობიექტური მიზეზის გამო ვერ შეძლებს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას, ამის თაობაზე დროულად უნდა აცნობოს სასამართლოს. არა მარტო სასამართლოა ვალდებული მხარე გააფრთხილოს სხდომის თაობაზე, არამედ მხარეებიც და მათი წარმომადგენლებიც, სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტით ვალდებული არიან აცნობონ სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. მხარემ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის თაობაზე, რათა აღნიშნული გარემოება მოწინააღმდეგე მხარესაც დროულად ეცნობოს. (სუსგ 2003 წ. № 11, გვ. 2868-2869).

კანონის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვა შესაძლებელია, თუ უცნობია გამოუცხადებლობის მიზეზები (არ მოიპოვება საქმეში შესაბამისი ინფორმაცია), ან თუ სასამართლო გამოუცხადებლობის მიზეზს არასაპატიოდ მიიჩნევს ან თუ მხარე (როგორც წესი, მოპასუხე) შეგნებულად (განზრახ) აჭიანურებს საქმისწარმოებას. თუმცა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, როცა საქმეში არ მოიპოვება ინფორმაცია უწყების ჩაბარების შესახებ ან უწყებაში მითითებული არ იყო გამოუცხადებლობის შედეგები, კერძოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, ასეთი პროცედურის გამოყენება დაუშვებელია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მხარე სხვადასხვა გარემოების გამო შეიძლება არ ესწრებოდეს სხდომას. მაგალითად, გამოუცხადებლობა გამოწვეულია ისეთი მიზეზებით, რომელთა შესახებაც სასამართლოს ეცნობა და მან საპატიოდ მიიჩნია ისინი; ან კიდევ, მხარე პროცესზე არ მოვიდა, მაგრამ პროცესს ესწრება მისი წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევებში დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

სსსკ-ის 232-ე მუხლის თანახმად გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც სასამართლოს სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე. პრაქტიკაში საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთ შემთხვევად სასამართლოები მიიჩნევენ მხარის მიერ სხდომის დარბაზის თვითნებურად დატოვებას.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ სხდომის დატოვება გამოიწვია მხარის აღელვებამ, ვინაიდან სასამართლომ უკანონოდ უთხრა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, საპატიოდ არ მიიჩნია, რადგან თუ მხარე არ ეთანხმებოდა აღნიშნულ განჩინებას, მას შეეძლო იგი საკასაციო სასამართლოში გაესაჩივრებინა ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად, ამდენად, სასამართლოს მოცემულ შემთხვევაში უფლება ჰქონდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ. (სუსგ 2002 წ., № 11, გვ. 2130). ამრიგად, სხდომის მიტოვება ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად, რომლითაც გამოუცხადებლობა იყო გამოწვეული.

მოპასუხის გამოუცხადებლობისას, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება დადგენილი წესით, დაუსწრებელი წარმოების წესით საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის პირობაა მოსარჩელის შუამდგომლობა ამის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაფიქსირებულ იქნეს მოსარჩელის წერილობით განცხადებაში ან აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში. სუბიექტური თვალსაზრისით, მოსარჩელე ასეთ შუამდგომლობას მაშინ აყენებს, როცა ის დარწმუნებულია თავისი პოზიციის სისწორეში, დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებების გათვალისწინებით თავისი მოთხოვნის იურიდიულ მართებულობაში, სურს აღძრულ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების სწრაფად მიღება და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ მოსარჩელე არ ელის მოპასუხისაგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნის დაყენებას. თუ პროცესზე გამოცხადებული მოსარჩელე არ შუამდგომლობს დაუსწრებელი წარმოების პროცედურის განხორციელებაზე, საქმის განხილვა გადაიდება, ხოლო გამოუცხადებელ მოპასუხეს განმეორებითი შეტყობინება გაეგზავნება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ. მოპასუხის გამოუცხადებლობისას სასამართლო განუმარტავს მოსარჩელეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნის დაყენების უფლებას, იმას, თუ რას წარმოადგენს ეს აქტი და რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება მის გამოტანას. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოდის, თუ მოპასუხეს გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ამის თაობაზე საქმეში არსებობს შესაბამისი ინფორმაცია, მაგრამ მოპასუხემ არ ახსნა გამოუცხადებლობისას ამის მიზეზები ან ეს მიზეზები არ არის საპატიო.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განიხილა რა მოპასუხის შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ, არ მიიღო არანაირი განჩინება, არ დაუდგენია არც საქმის განხილვის გადადება და არც საქმის განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლომ ამ საქმეზე განმარტა: დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ პირობას იმის ვარაუდიც წარმოადგენს, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი, ამიტომ დაკარგა ინტერესი, რომ დაიცვას თავი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოპასუხის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს შეუქმნის რწმენას, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი და დაკარგა სარჩელისაგან თავის დაცვის ინტერესი, ლოგიკურია და გამართლებულია, მაგრამ იმ მოპასუხის მიმართ, რომლის გამოუცხადებლობამაც სასამართლოს ვერ შეუქმნა ამგვარი რწმენა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გაუმართლებელი იქნება.

მოცემულ შემთხვევაში, როცა სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ სასამართლოში მოპასუხის გამოუცხადებლობის მიზეზი იყო მისი იურისტის ავადმოფობა (თუმცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სათანადო წესით მასთან არ იყო გაფორმებული), იგი დაინტერესებული იყო სარჩელის არსებითი განხილვით და ამიტომ მოითხოვდა მისი განხილვის გადადებას თვის ბოლოსათვის, სასამართლო ვალდებული იყო, გადაედო საქმის განხილვა სხვა დროისათვის, რადგან მისთვის ნათლად იყო ცნობილი, რომ მოპასუხე არ ცნობდა სარჩელს და სარჩელისაგან თავის დაცვას აპირებდა რწმუნებულის მეშვეობით. ასეთ ვითარებაში სასამართლო უფლებამოსილი არ იყო, გამოუცხადებელი მოპასუხის წინააღმდეგ მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 241-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხეს გააჩნდა ამ მუხლში აღნიშნული სხვა საპატიო მიზეზი, რომელიც აბრკოლებდა მისი მარწმუნებლის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას. სსსკ-ის 93-ე მუხლის შესაბამისად კი მხარეს შეეძლო წარმომადგენლის მეშვეობით ეწარმოებინა საქმე სასამართლოში. ამრიგად, არ არსებობდა მოცემულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებმოპასუხის მიერ შეტანილი საჩივარი ზემოთ მითითე-

ბული გარემოებების გამო სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა (სუსგ 2002 წ. №6. გვ.929-932).

სსსკ-ის 230-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის შუამდგომლობით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მოითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე, ე.ი. ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად ჩათვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სარჩელის დაკმაყოფილებას. ეს გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდნენ სასარჩელო მოთხოვნას. ანუ უკავშირებს თუ არა კანონი ამ დამტკიცებულად ჩათვლილ გარემოებებს იმ შედეგს, რომლის დადგომაც სურს მოსარჩელეს.

მითითებული ნორმის თანახმად, იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მან წინასწარ უნდა შეაფასოს იურიდიულად სარჩელში მითითებული და მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ვერ ამართლებენ მოთხოვნას, მაშინ სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს სარჩელს, მან უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ. (სუსგ 2002 წ., №12, გვ. 2387).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამოცხადებული მოსარჩელის წინააღმდეგ დაუშვებელია, თუნდაც სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. გამოცხადებული მხარის საწინააღმდეგოდ შეიძლება მხოლოდ დასწრებული გადაწყვეტილების მიღება.

იმ შემთხვევაში, როცა სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს, მაშინ მოსარჩელის წინააღმდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი დასწრებული გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარის მონაწილეობის გარეშე.

სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა სასარჩელო მოთხოვნას ნიშნავს იმას, რომ სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები გამოიწვევს თუ არა იმ შედეგს, რომლის დადგომასაც მოითხოვს მოსარჩელე. იურიდიულად გამართლებულია თუ არა მოთხოვნა, აღნიშნული ნორმის (230-ე მუხლის მე-2 ნაწილის) დანაწესის შესაბამისად უნდა შემოწმდეს იმის მიხედვით, არის თუ არა იგი კანონიერი, შეიძლება თუ არა სასამართლოში ასეთი სასარჩელო მოთხოვნა წარდგენილ იქნეს და იგი დაკმაყოფილდეს კანონმდებლობის შესაბამისად. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი გულისხმობს ორი პირობის ერთობლიობას: პირველი – გამოუცხადებელი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო წესითაა გაფრთხილებული; და მეორე – მოთხოვნა ზოგადად გამართლებულია, ანუ კანონიერია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და არ არის აუცილებელი იმ მტკიცებულებების არსებობა, რომელიც მოთხოვნის საფუძველია, წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ სანქციის პრეზუმფციის პრინციპი (სუსგ 2004 წ. №1, გვ. 162). ამიტომ მხოლოდ მითითება სსსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილზე არ არის საკმარისი. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, სარჩელში მითითებული გარემოებები, რა

ნაწილში ამართლებენ იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას. შეიძლება ასეც ითქვას, სარჩელში მითითებული გარემოებები მაშინ უნდა ჩაითვალოს დამტკიცებულად, მაშინ აქვს ამას აზრი, თუ მათ საფუძველზე კანონი ამ გარემოებებს (იურიდიულ ფაქტებს) უკავშირებს სამართლებრივი შედეგის დადგომას, იმ მიზანს, რაც მოსარჩელეს აქვს. ჩვენს პოზიციას ამყარებს 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც მოპასუხის გამოუცხადებლობისას შეიძლება არც დაკმაყოფილდეს სარჩელი. ცხადია, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლება არ ექნებოდა სასამართლოს, სარჩელში მითითებული გარემოებები უპირობოდ დამტკიცებულად რომ ითვლებოდეს მოპასუხის გამოუცხადებლობისას. ამრიგად, მხოლოდ მოპასუხის გამოუცხადებლობა არაა საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლომ სხვა გარემოებების შეუმოწმებლად მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა სასარჩელო მოთხოვნას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას შეიძლება სასამართლომ არ იმსჯელოს სსსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნაზე (თუმცა სასურველია აღნიშნულ გარემოებაზე სასამართლომ მიუთითოს), მაგრამ იგულისხმება, რომ სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. საჩივრის განხილვისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს როგორც დაუსწრებლობის მიზეზები, ასევე ის გარემოება, რომ შეესაბამება თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მითითებული ნორმის მოთხოვნას.

რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობას მოსარჩელის გამოუცხადებლობისას, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, აქ მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თუ მოპასუხე არ დააყენებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შუამდგომლობას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს (იგულისხმება თავისი ინიციატივით) დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

როგორც ჩანს, კანონი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას არ უკავშირებს ამა თუ იმ მხარის რამდენჯერმე გამოუცხადებლობას. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება სასამართლომ გამოიტანოს მხარის პირველივე გამოუცხადებლობისას.

საპროცესო თანამონაწილეობა არ წარმოადგენს დაუსწრებელ გადაწყვეტილების გამოტანის დამბრკოლებელ ფაქტორს ერთ-ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების არსებობისას. მითუმეტეს, რომ თითოეული თანამონაწილე (თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე) მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. თუმცა „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს საპროცესო თანამონაწილეობის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას"[1]. პრაქტიკაში ამგვარი შესაძლებლობის განხორციელება რთულია.

როცა თანამონაწილეობა პასიურია (როცა ერთი მოსარჩელეა და რამდენიმე მოპასუხე), ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა დამოკიდებულია თანამოპასუხეთა მატერიალურ-სამართლებრივ კავშირებზე. როცა თანამონაწილეობა სავალდებულოა (მაგალითად, დავის საგანია მოვალეთა საერთო საკუთრებაში არსებული ქონება), სასამართლოს არა აქვს გამოუცხადებელი მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფლება. თუკი საქმე შეიძლება გან-

[1] ნ. ყურუა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2001. გვ. 8-9.

ცალკევდეს და მოთხოვნები ცალკეულ მოპასუხეთა მიმართ შეიძლება განხილულ და განხორციელებულ იქნეს ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, მაშინ რომელიმე მოპასუხის გამოუცხადებლობისას სამართლებრივად დაუბრკოლებლად შეიძლება იქნეს გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. კანონით არ არის გათვალისწინებული დაუსწრებელი წარმოების შესაძლებლობა არც ზოგიერთი მოსარჩელის (აქტიური თანამონაწილეობისას) გამოუცხადებლობის დროს.

§3. დაუსწრებელი წარმოების წესი და დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი

1. **დაუსწრებელი წარმოების წესი**. თუ მოპასუხემ შეიტანა შესაგებელი, მაშინ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება სასამართლო სხდომაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. ამ საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია არა მარტო მთავარ სხდომაზე, არამედ ასევე მოსამზადებელ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. ამ საფუძველით კანონით რაიმე სპეციალური პროცედურა დაუსწრებელი წარმოებისა, არ არის განსაზღვრული. მოსამართლე ასეთ დროს ასრულებს იმ მოქმედებებს და იმ თანმიმდევრობით, რაც ჩვეულებრივი სასამართლო განხილვის დროს არის გათვალისწინებული (210-228-ე მუხლები, 243-ე მუხლი,), იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის არის დადგენილი კანონით. სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილეთა გამოცხადების შესახებ საკითხის გარკვევის დროს განიხილება ჩვეულებრივი ან დაუსწრებელი წარმოების წესით სხდომის გაგრძელების შესაძლებლობა. სასამართლო (მთავარი) სხდომის უმნიშვნელოვანესი ნაწილის – საქმის არსებითად განხილვის სპეციფიკა დაუსწრებელ წარმოებაში მდგომარეობს მტკიცებულებათა გამოკვლევის ფარგლების შეზღუდვაში. ფაქტობრივად, სასამართლო გადაწყვეტილებას ამყარებს იმ ინფორმაციაზე, რაც მხარეებმა წარუდგინეს მას. ამასთან, მოსარჩელეს უფლება არა აქვს შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი,[1] გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნების მოცულობა. ვფიქრობთ, რომ ეს დებულება უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს, კერძოდ, ის უნდა გამოვიყენოთ ისეთი შემთხვევების მიმართაც, როცა ხდება სარჩელის ელემენტების მნიშვნელოვნად გაფართოვება ახალი ფაქტების დამატების გზით, რაც ჩვეულებრივ სარჩელის შეცვლად არ ითვლება კანონის (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი) პირდაპირი მითითებით. ამდენად, მოსარჩელე შეზღუდულია დისპოზიციურ უფლებამოსილებათა განხორციელებაში, რამეთუ დაუსწრებელი წარმოების ფარგლები მოპასუხისათვის აღნიშნულია სასარჩელო განცხადების ასლში, რომელიც მას ჩაბარდა უწყებასთან ერთად.

ნებისმიერ ცვლილებას სასარჩელო მოთხოვნებში მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეთ არსებობის უფლება, როცა ამის შესახებ ცნობილია მოწინააღმდეგე მხარისათვის და მას მიეცა შესაგებლისა და ახსნა-განმარტებების წამოყენების უფლება, ანუ ამგვარი დანაწესით სრულად არის დაცული მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის საწყისი.

სსკ-ის 232[1]-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგებს. სპეციფიურობით ხასიათდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და საქმის წარმოება ასეთ შემთხვევაში. მოცემული ნორმის თანახად, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) ვადაში წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია

[1] ნ. ყურუა. დასახ. ნაშრ. გვ. 7.

არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქვე ყურადღებას მივაქცევთ კანონმდებლობის ხარვეზზე, კერძოდ, 232[1]-ე მუხლი მითითებითი ნორმაა. იგი მიუთითებს 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგებზე. საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი კოდექსში აღარ არსებობს. ამიტომ რეალურად, უნდა ვიგულისხმოთ 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში შესაგებლის (პასუხის) წარუდგენლობის შემთხვევა.

2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი. სსსკ-ის 234-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს სსსკ-ის 249-ე მუხლით დადგენილი წესების (მოთხოვნების) შესაბამისად, მაგრამ სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე. **დაუსწრებელი გადაწყვეტილების ეს თავისებურება ბუნებრივიცაა, ვინაიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილება ესაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას ან შესაგებლის წარუდგენლობას და არა საქმის მასალებს[1] (ესაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ ან შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო მოპასუხის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება) და ამიტომ მისი შინაარსი ყალიბდება დასაბუთების (მოტივაციის) გარეშე.**

კანონი მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოსარჩელეს უქმნის ერთ უპირატესობას – სარჩელში მითითებული გარემოებები ითვლება დამტკიცებულად.

მოპასუხის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში არ აისახება მოპასუხის მოსაზრებები, რამეთუ მოპასუხე არ გამოცხადებულა. სარჩელის ირგვლივ მოპასუხის მიერ გამოთქმული წერილობითი პოზიცია, თუ იგი წარდგენილი იყო სასამართლოში, გადმოიცემა ისე, რომ მიეთითება, იგი გამოკვლეულ იქნა პროცესში მოპასუხის მონაწილეობის გარეშე. იმ დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, რომელიც გამოტანილია მოპასუხის წინააღმდეგ, მიეთითება, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

სარეზოლუციო ნაწილში, გარდა სარეზოლუციო ნაწილისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა აისახოს პერსონიფიცირებული ჩანაწერი: „საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მხარემ შეიძლება შეიტანოს 10 დღის განმავლობაში, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში".

სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის საჯაროდ ცხადდება.

სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას აცხადებს სსსკ-ის 257-ე მუხლით დადგენილი წესით.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში მხარეს ეგზავნება <u>დაუსწრებელი ग</u>ადაწყვეტილების ასლი (სსსკ-ის 235-ე მუხლი).

[1] სასამართლო არ იკვლევს მტკიცებულებათა არც უტყუარობას და არც სიყალბეს. სსსკ-ის 234-ე მუხლი სსსკ-ის 249-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მოითხოვს შეცვლას, ვინაიდან თავის დროზე 234-ე მუხლის შინაარსი ჩამოყალიბდა 249-ე მუხლის გათვალისწინებით. 249-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, ის მონაცემები, რომლის გარეშეც უნდა ჩამოყალიბდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი, სამოტივაციო ნაწილიდან აღწერილობით ნაწილშია გადატანილი, ამიტომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს 249-ე მუხლის მოთხოვნებს, ოღონდ უნდა ჩამოყალიბდეს აღწერილობითი ნაწილის გარეშე.

§4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელ მხარეს შეუძლია გაასაჩივროს კანონიერ ძალაში შეუსვლელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში[1]. ეს არის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ (236-ე მუხლი). ასეთი შესაძლებლობა არსებობს 10 დღის განმავლობაში და მისი გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს კანონით დადგენილ ვადაში მისი შეტანა. ამის გარკვევის მიზნით სასამართლომ უნდა დაადგინოს, სსსკ-ის 237-ე მუხლის შესაბამისად თუ როდის გაეგზავნა და ჩაბარდა საჩივრის ავტორს მის წინააღმდეგ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი, როდის იქნა საჩივარი შეტანილი, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისას უტყუარად უნდა დაადგინოს გამოუცხადებლობის მიზეზები, სსსკ-ის 233-ე მუხლის შესაბამისად ხომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძველი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების საკითხი. თუკი დადგინდება, რომ გამოუცხადებლობა განპირობებული იყო საპატიო მიზეზებით, მაშინ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. (სუსგ 2003 წ. №4, გვ. 951-952).

10 დღის ფარგლებში საჩივრის შეტანა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 233-ე მუხლი (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა). მაგალითად, 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" პუნქტით დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ვთქვათ მოპასუხეს არ გაეგზავნა სარჩელის ასლი.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად შეიძლება დაედოს ვარაუდი იმის შესახებ, რომ გამოუცხადებელი მოპასუხე აღიარებს, ცნობს მის წინააღმდეგ წამოყენებულ მოთხოვნებს., ასეთი ვარაუდი არ წარმოიშობა, თუ მხარეს არ ჩაბარებია სარჩელის ასლი თანდართული მასალებით და იგი კანონით გათვალისწინებული წესით არ იყო მოწვეული სასამართლო სხდომაზე.

თუ სასამართლოს მხრივ არ იყო დაცული ზემოთ მითითებული არც ერთი პირობა, მას არ შეიძლება წარმოეშვას იმის ვარაუდის საფუძველი, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი და მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. გამოუცხადებელი მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ვარაუდი არ წარმოიშობა არა მარტო მაშინ, როცა მას არ ჩაბარებია სარჩელი, თანდართული მასალები და არ იყო მოწვეული სასამართლო სხდომაზე დადგენილი წესით, არამედ მაშინაც, თუკი მას დადგენილი წესით ჩაბარდა სარჩელი თანდართული მასალებით და სასამართლო პროცესზე მოწვეული იყო დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა პროცესზე, რის შესახებაც დროულად არ აცნობა მხარემ სასამართლოს.

ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია: ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო პროცესზე მოპასუხე ვერ გამოცხადდებოდა, ვინაიდან იგი არ იყო მოწვეული სათანადო წესის დაცვით, არ იცოდა სხდომის დღე, ამასთან იყო ავად, ამიტომ მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელი იყო და მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო. ნაცვლად ამისა, სასამართლომ მოპასუხის

[1] ამრიგად, დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირს არა აქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება (სუსგ 2003 წ. №8. გვ. 2031).

წინააღმდეგ მიიღო მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ მოპასუხეს სსსკ-ის 70-78-ე მუხლების დაცვით გაეგზავნა სასამართლო პროცესზე მოწვევის თაობაზე უწყება, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა საცხოვრებელ ბინაში და მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ მოცემულ შემთხვევაშიც დაარღვია კანონის მოთხოვნა. (სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 76-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ, როცა საჩივრით მიმართა სასამართლოს, მან თავის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ბათუმი №... და ქ. თბილისი .... სასამართლომ პროცესზე მოწვევის უწყება ქ. ბათუმში გაგზავნა, მაგრამ (იმ დროისათვის ადრესატი მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა) არ გაუგზავნია ქ. თბილისში, რის გამოც მოპასუხისათვის ცნობილი არ იყო სხდომის დღე.

სსსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი წინადადების შესაბამისად, სასამართლო უწყება დასაბარებელ პირს უნდა ჩაბარდეს მხარის მიერ მითითებული მისამართის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს უწყება მის მიერ მითითებული მისამართის მიხედვით არა თუ ჩაბარდა, არამედ არც კი გაგზავნია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსსკ-ის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული პირობა, რაც მოპასუხის წინააღმდეგ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია (სუსგ 2004 წ. № 4, გვ. 923-924).

სსსკ 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობა, სარჩელის აღძვრის წინაპირობის არარსებობაში იგულისხმება ამავე კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები და არა 178-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. (სუსგ 2002 წ. 8, გვ. 1340).

სსსკ-ის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტის თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

დაუძლეველი ძალა ეს ისეთი მოვლენაა, რომლის თავიდან აცდენა პირს არ შეუძლია და ეს მოვლენები შეუძლებელს ხდის მის გამოცხადებას სასამართლოში. ეს მოვლენებია სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი და ა.შ.), სოციალური მოვლენები (ომი, აჯანყება, სახელმწიფო ხელისუფლების აქტები და ა.შ.).

233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, თუ მხარე არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესით, ხოლო თუ სასამართლო მაინც გამოიტანს გადაწყვეტილებას, ეს იქნება ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, ე.ი. ასეთი გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი).

მხარის გაფრთხილებას გამოუცხადებლობის შედეგებზე კანონი მიიჩნევს სავალდებულოდ. (სუსგ 2002 წ. № 12, გვ. 2278-2279).

საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის არსებითად განახლების შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელებას; საჩივრის შემტანი მხარის დასახელებას; დამავჯერებელ არგუ-

მენტაციას,ანუ იმ გარემოებების ჩამონათვალს,რომლებიც ადასტურებენ (ასაბუთებენ),რომ სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობა ან პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს; საჩივრის შემტანი პირის თხოვნას, თუ რა ფარგლებში (რა მოცულობით) უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილება; საჩივარზე თანდართული მასალების ჩამონათვალს. საჩივარს ხელს უნდა აწერდეს მხარე ან მისი წარმომადგენელი. თუ საჩივარს ხელს აწერს წარმომადგენელი, აუცილებელია მინდობილობის დართვა. სავალდებულოა საჩივრის შეტანის თარიღის მითითება. საჩივარი სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლით, რამდენი მხარეც მონაწილეობს საქმეში. აღნიშნულ საჩივარზე სახ. ბაჟი არ გადაიხდევინება, რაც ზოგავს მხარის ხარჯებს მართლმსაჯულების ასეთი აქტის გაუქმების მოთხოვნისას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის რეკვიზიტების ჩამონათვალში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მოტივებს. მხარემ უნდა მიუთითოს იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებები გამოუცხადებლობის ან შესაგებლის წარუდგენლობის მიზეზების საპატიოობის დასადასტურებლად. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ფაქტებიხდომილებები (სტიქიური უბედურება,კატასტროფა,ომი); ფაქტები-მოქმედებები (ავადმყოფობა, ხანგრძლივი მივლინება, იძულებითი გადაადგილება და სხვ.), ფაქტი-მდგომარეობა (უგზო-უკვლოდ დაკარგულად ყოფნა). მტკიცებულებებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება (სსსკ-ის 102-ე მუხლი). საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების გამოყენება ხდება მტკიცებულებების გარეშე. საპატიო მიზეზის არსებობა ასევე უნდა დადგინდეს სსკ-ის 215- ემუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

ამდენად, საჩივრის შინაარსში უნდა აისახოს არა მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსის მქონე იურიდიული მოტივები, არამედ ისეთი მოტივები, რომელთაც საპროცესოსამართლებრივი შინაარსი აქვთ.

კანონით არ არის განსაზღვრული, თუ შეტანიდან რა ვადაში უნდა იქნეს განხილული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი.

3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის განხილვის წესი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში საუბარი არაა საქმის არსებითად განხილვის შესახებ, ამდენად საჩივრის განხილვის პროცედურა მაქსიმალურად გამარტივებულია. თვით საქმეს, რომელიც განხილულ იქნა დაუსწრებელი წარმოების წესით,ასეთ დროს მოსამართლე ჯერ არ ეხება. კანონით (239-ე მუხლი) დადგენილია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლე საჩივრის მიღების საკითხს წყვეტს მხარეთათვის შეუტყობინებლად. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს საჩივრის დასაშვებობის თაობაზე, რის გარეშეც შეუძლებელია თვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებაც კი (სუსგ 2004 წ. №1. გვ. 37). თუ საჩივრის მიღება სასამართლოს არ მიაჩნია დასაშვებად მას გამოაქვს ამის შესახებ განჩინება, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, თუ მოსამართლე მიიღებს საჩივარს,ამის თაობაზე მან განჩინება უნდა გამოიტანოს,რომელშიც უნდა აღინიშნოს საქმის ხელახლა განხილვის დღე, რის შესახებაც სასამართლომ უნდა შეატყობინოს მხარეებს. სასამართლოს ასეთ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება. საჩივრის მიღების შემთხვევაში მოსამართლე ეცნობა საჩივრის არსს (შინაარსს) და გამოუცხადებელი მხარის მიერ წარდგენილი მასალების შინაარსს. აანალიზებს ამ მხარის მიერ საჩივარში ასახულ მოსაზრებებს (დასკვნებს), კერძოდ, გამოუცხადებლობის მიზეზი იყო თუ არა საპატიო ანდა არსებობდა თუ არა შესაგებლის წარუდგენლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და არსებობს თუ არა შესაბამისი ფაქტები და მტკიცებულებები.

საჩივრის განხილვის შედეგად, სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომლითაც ან აკ-

მაყოფილებს მხარის თხოვნას და აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ან არ აკმაყოფილებს ამ თხოვნას. განჩინება გამოიტანება ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით, საერთო მოთხოვნების დაცვით (სსსკ-ის 285-ე მუხლი). საჩივრის დაკმაყოფილების განჩინებაში უნდა აღინიშნოს საქმის ხელახლა განხილვის დღე, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს. სასამართლოს ასეთ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება. ამ განჩინებაში დაწვრილებით უნდა იყოს შეფასებული ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

ასეთი საფუძვლების ჩამონათვალი მოცემულია სსსკ-ის 233-ე და 241-ე მუხლებში. იგი ამომწურავი არ არის. გათვალისწინებული უნდა იქნეს230-ე მუხლის მე-2 ნაწილიც. ამ ნორმის ისტორიას თუ გავითვალისწინებთ (თავდაპირველად იგი არ არსებობდა და მოგვიანებით დაემატა 230-ე მუხლს, ხოლო 233-ე და 241-ე მუხლებში 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით კანონმდებელს აღარ შეუტანია ცვლილება და შესაბამისად, 230-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა ზემოთაღნიშნულ ნორმებში არ არის დასახელებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად) იგი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების დამოუკიდებელი საფუძველია. ამასთან, სსსკ-ის 230-ე, 233-ე და 241-ე მუხლების იმპერატიული მოთხოვნაა დაუსწრებელი გადაწყვეტილების უპირობოდ გაუქმება აღნიშნული ნორმებით დადგენილი საფუძლების არსებობისას. თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ შესაგებლის წარუდგენლობისათვის გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ საფუძვლით, რომ შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, მაგრამ ასეთ დროს სასამართლო საქმეს კი არ განაახლებს, როგორც ეს ზემოთ განხილულ შემთხვევაში დავინახეთ, არამედ მოპასუხეს აღუდგენს პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის სსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადას.

§5. სასამართლოს უფლებამოსილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისას

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილება ეს არის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ასეთი საჩივრის განხილვის შედეგად. ამ უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სსსკ-ის 240-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც სასამართლოს აქვს ორი უფლებამოსილება.

სასამართლოს, რომელმაც განიხილა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, უფლება აქვს თავისი განჩინებით:

1) თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, არ დააკმაყოფილოს საჩივარი და ძალაში დატოვოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამასთან, სასამართლო განჩინებაში მიუთითებს მხარისათვის უარის თქმის (მისი მოსაზრებების უარყოფის) მოტივებს.

სასამართლო არ დააკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად დატოვებს გამოტანილ გადაწყვეტილებას, თუ მხარის გამოუცხადებლობის ან შესაგებლის წარუდგენლობის მიზეზს არასაპატიოდ მიიჩნევს. განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის ან საკასაციო წესით დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად (იხილეთ სსსკ-ის 240-ე მუხლი).

2) გააუქმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, განაახლოს საქმის არსებითად განხ-

ილვა (დაიწყოს სარჩელის განხილვა) და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, ან მოპასუხეს აღუდგინოს შესაგებლის წარდგენის ვადა, ანუ, თუ არსებობს შესაბამისი საფუძვლები, სასამართლო აკმაყოფილებს საჩივარს. სსსკ 240-ე მუხლის და 241-ე მუხლის შესაბამისად, თუ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, სასამართლოს შეუძლია მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს როგორც ერთ სასამართლო სხდომაზე, ისე სხვადასხვა სასამართლო სხდომაზე, როგორც ერთი გადაწყვეტილებით, ისე ორი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით.

თუ მხარეები წინააღმდეგნი არ არიან, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის განხილვის საკითხი ერთ სასამართლო სხდომაზე მოხდეს (სასამართლო თუ მივა დასკვნამდე, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს), მაშინ სასამართლოს შეუძლია მიიღოს ახალი გადაწყვეტილება და ყოველივე ეს ერთ გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბოს.

იმ ვითარებაში, როცა პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის განხილვა მიმდინარეობს სსსკ 240-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, ერთ სასამართლო სხდომაზე მიიღოს განჩინება პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და გააგრძელებს რა საქმის არსებითად განხილვას, ამის შემდეგ მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას სარჩელთან დაკავშირებით, მაგრამ ამ წესის დაუცველობა არ წარმოადგენს სსსკ 240-ე მუხლის დარღვევას და თავისთავად არ წარმოადგენს ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. თუ მხარეები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრისა და საქმის არსებითად ერთად განხილვის წინააღმდეგნი არიან, მაშინ სასამართლოს (იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს სსსკ 241-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები) შეუძლია მიიღოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და საქმის არსებითად განხილვა დანიშნოს სხვა დროისათვის. ზემოხსენებულ არც ერთ შემთხვევაში არ დაირღვევა სსსკ 240-ე მუხლის და 241-ე მუხლის მოთხოვნები (სუსგ. 2002 წ. №2, გვ. 172-176). დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია მხარის გამოუცხადებლობის ან შესაგებლის წარუდგენლობის საპატიოდ მიჩნევა სასამართლოს მიერ. საჩივარში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მხარემ უნდა მიუთითოს სასამართლოში გამოუცხადებლობის ან შესაგებლის წარუდგენლობის რა საპატიო მიზეზი ჰქონდა და რომ მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა ამის შესახებ სასამართლოსათვის. მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. სსსკ 241-ე მუხლით დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეულ იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მოყვანილი საპროცესო ნორმის მიხედვით კანონმდებელი საპატიოდ ისეთ მიზეზს მიიჩნევს, რომელიც გამორიცხავს მხრის მიერ ნებისმიერი ფორმით (წერილობითი განცხადებით, ზეპირად, ტელეფონით, ელფოსტით და ა.შ.). სასამართლოს ინფორმირების საშუალებას.

ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია: ცნობის შინაარსიდან არ დასტურდება, რომ მხარე (წარმომადგენელი) ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ვერ გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე ან ვერ შეატყობინებდა ამის შესახებ სასამართლოს. ცნობის მიხედვით მას არ ჰქონდა დანიშნული წოლითი რეჟიმი და საჭიროებდა ამბულატორიულ მკურნალობას, რაც არ უსპობდა საშუალებას შეეტყობინებინა სასამართლოსათვის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი. (სუსგ 2003 წ. № 9, გვ. 2322).

თუ სასამართლო დაადგენს ამა თუ იმ საფუძვლის უტყუარობას, აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. სსსკ-ის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, რომლებიც საერთოა როგორც მოპასუხის, ისე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის.

ამასთან ერთად, სსსკ 230-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებული მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამატებით საფუძველს:

თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე, მაგრამ არ გამოცხადდა მოპასუხე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, მაგრამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას.

ამრიგად, მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანისათვის კანონით გათვალისწინებული საერთო პირობების გარდა, დამატებით უნდა შეამოწმოს და შეაფასოს, ამართლებენ თუ არა სარჩელში მითითებული და მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას.

თუ გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში არაა მითითებული სსსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სასამართლომ არ იხელმძღვანელა ამ მუხლის დანაწესით. მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ საჩივრის განხილვისას სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს იმის შემოწმებას, ნამდვილად ამართლებენ იურიდიულად თუ არა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელის მოთხოვნას. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ისინი ამართლებენ იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას, მაშინ სასამართლოს უხელმძღვანელებია სსსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესით. მაგრამ თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს გარემოებები თუმცა არ ამართლებენ იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას, მაგრამ მიუხედავად ამისა სასამართლომ მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ეს უკვე იურიდიულად მიუთითებს იმას, რომ სასამართლომ დაარღვია სსსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რასაც მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

თავის მხრივ, სასამართლომ, რომელსაც გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ, თავის ამ გადაწყვეტილებაში ყოველთვის უნდა მიუთითოს, თუ რომელი კანონის (ნორმის) საფუძველზეა გამართლებული ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა (სუსგ 2002 წ. №7. გვ. 1192-1195).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმის არსებითად განხილვა განახლდება და იგი წარმოებს საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით. საქმის ხელახლა აღძვრა არ არის საჭირო. რაც შეეხება პირველად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით შეტანილი საჩივრის განხილვის პროცედურას, მას სასამართლო განიხილავს სასამართლო სხდომაზე. ეს ნიშნავს, რომ მხარეებს უნდა ეცნობოს სხდომის დრო და ადგილი. ამასთან, მხარეთა (ან ერთ-ერთი მათგანის) გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივრის განხილვის სტადიაზე მხარის გამოუცხადებლობა არ არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა განახლდება სარჩელის განხილვა, ხოლო მხარე არ გამოცხადდება სხდომაზე.

მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, თუ მის მიმართ ერთხელ უკვე გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ე.ი. მხარეს უფლება არა აქვს შეიტანოს საჩივარი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების

გაუქმებისა და საქმის განახლების ან შესაგებლის წარდგენის ვადის აღდგენის შესახებ.

სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე[1] შეიძლება მხოლოდ სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის შეტანა, სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის შეტანისთვის დადგენილ ვადაში.

§6. დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება კანონით დადგენილ 10 დღიან ვადაში, ის შედის კანონიერ ძალაში და შეიძლება აღსრულდეს.

კანონიერ ძალაში შესულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ყველა თვისება ახასიათებს – უდავოობა, განსაკუთრებულობა, სავალდებულოობა, პრეიუდიციულობა, აღსრულებადობა.

ზოგიერთი პრაქტიკოსის აზრით, კანონიერ ძალაში შესულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას არ შეიძლება გააჩნდეს პრეიუდიციულობის თვისება, რადგან ასეთი გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება მხარის გამოუცხადებლობას და არა საქმის მასალებს. აღნიშნულ აზრს ვერ დავეთანხმებით ვინაიდან მაგალითად, მოპასუხის გამოუცხადებლობისას სასამართლომ უნდა აღნიშნოს, თუ რომელი ფაქტები და და ურთიერთობა მიიჩნია დადგენილად (დადასტურებულად). მოსარჩელის გამოუცხადებლობისას კი სადავო ურთიერთობა არარსებულად ითვლება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისი არსით დაუსწრებელი გადაწყვეტილება თითქმის არაფრით არ განსხვავდება საქმის ჩვეულებრივი წესით განხილვის დროს გამოტანილი გადაწყვეტილებისაგან. სხვადასხვაგვარია მხოლოდ ამ გადაწყვეტილებათა სამართლებრივი შედეგები, როგორიცაა, მაგალითად, მათი კანონიერ ძალაში შესვლის წესი, გასაჩივრების ვადა, საშუალება და წესი; თუმცა დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც მართლმსაჯულების აქტის არსზე ეს ფაქტორები გავლენას არ ახდენენ.

დასაშვებია კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება. ამასთან, ამ საკითხისადმი საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა. მნიშვნელობა აქვს, თუ კონკრეტულად რომელი საფუძვლით მოითხოვს პირი საქმის განახლებას.

ერთ-ერთ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად განმცხადებელმა დაასახელა სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის ძალითაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის ეს მოსაზრება, ვინაიდან სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოპასუხეს თუნდაც სცოდნოდა ახლად აღმოჩენილად მიჩნეული გარემოება და წერილობით, შესაგებლის სახით დაეფიქსირებინა სასარჩელო მოთხოვნის საწინააღმდეგო არგუმენტი, იგი ვერ შეცვლიდა სასამართლო გადაწყვეტილებას, ვინაიდან მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო მიღებული დაუსწრებელი

[1] განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება განსხვავდება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებისგან. განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებად ითვლება ერთი და იმავე მხარის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება, ხოლო მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანება მაშინ, როცა იგი არ არის მიღებული ერთი და იმავე მხარის მიმართ. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრდება სსსკ-ის 237-ე მუხლით დადგენილი წესით.

გადაწყვეტილებით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს დამტკიცებულად უნდა ჩაეთვალა, რაც მოცემულ შემთხვევაში ამგვარადაც მოხდა.

აღნიშნული გამომდინარეობს სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილიდან. ამ ვითარებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ გამოუცხადებელმა მოპასუხემ დაკარგა ინტერესი სარჩელისადმი და აღიარებს მის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში მხარის წარმომადგენლის საქმის სასამართლო განხილვაზე არასაპატიო გამოუცხადებლობა საკმარის კანონიერ საფუძველს წარმოადგენდა სარჩელში მითითებული გარემოებების დამტკიცებულად ცნობისათვის და ამ გარემოებების მოპასუხის მიერ აღიარებულად მიჩნევისათვის (სუსგ 2004 წ. №3, გვ. 763-764).

თავი XXXII

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების და განჩინების გასაჩივრება სააპელაციო წესით

§1 სააპელაციო[1] წარმოების ზოგადი დახასიათება (პრინციპები, ცნება, აპელაციის სახეები)

სასამართლო დადგენილებათა სააპელაციო წესით გასაჩივრების საკითხის ანალიზისას, აუცილებელია განვიხილოთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ის პრინციპები, რომელთა განხორციელების გარეშეც სააპელაციო წარმოებას აზრი ეკარგება. ეს პრინციპები განუყოფლადაა დაკავშირებული აპელაციის ცნებასთან და განსაზღვრავენ აპელაციის ინსტიტუტის არსს.

პირველ ყოვლისა, საუბარია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების შესახებ, რამეთუ სწორედ ეს პრინციპები უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, თავისი შეხედულებით განკარგოს მინიჭებული უფლებები. შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპები მხარეთა ინიციატივისა და აქტიურობის განმსაზღვრელია.

დისპოზიციურობის პრინციპი სააპელაციო წარმოებაში იმაში ვლინდება, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვის დროს შებოჭილია (შეზღუდულია) სააპელაციო საჩივრის ფარგლებით, ე.ი. საქმის განხილვა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმება სააპელაციო სასამართლოს მიერ ხორციელდება იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის მიერ. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო შებოჭილია საჩივრის ფარგლებით და კანონი არ ითვალისწინებს არცერთ გამონაკლის შემთხვევას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს გასცდეს საჩივრის ფარგლებს. დისპოზიციურობის პრინციპი გამოხატულებას ჰპოვებს მხარეთა მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელებაშიც, როგორიცაა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა, შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანა, სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის გამოხმობა, მორიგება.

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გარდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა თავის საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელონ ზეპირობისა და წერილობითობის პრინციპებით. სააპელაციო წარმოებაში წერილობითი საწყისი შემდეგში ვლინდება — სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ, შეგებებული აპელაცია[2] სასამართლოში წერილობითი ფორმით შეიტანება, ასევე წარმოებს სასამართლო სხდომის ოქმი, სააპელაციო სასამართლოს დადგენილებები წერილობითი ფორმით გამოიტანება. სააპელაციო წარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო პროცესის დანარჩენი პრინციპებიც.

აპელაციის ინსტიტუტის გამოკვლევა შეუძლებელია მისი ცნებისა და ნიშნების განსაზღვრის გარეშე.

[1] ლათ. appellatio მომდინარეობს სიტყვიდან appellare — მიმართვა, საჩივარი

[2] კრიტიკას იმსახურებს და ეჭვს იწვევს შეგებებული სააპელაციო და საკასაციო საჩივრის ინსტიტუტის არსებობის მართლზომიერება სამოქალაქო პროცესში, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოდის გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ინსტიტუტთან (იხ. სსსკ-ის 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ ქვეპუნქტი" და ამავე მუხლის მეორე ნაწილი). შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარმოადგენს ჩვეულებრივ სააპელაციო საჩივარს და მას წარედგინება იგივე მოთხოვნები, რაც სააპელაციო საჩივარს.

მასზე ვრცელდება დასაშვებობის ყველა ის პირობა, რაც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრისათვის, გარდა სსსკ 369-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გასაჩივრების ორკვირიანი ვადისა.

აპელაციის მიზანია საქმის ხელახლა გადაწყვეტა, ე.ი. საქმის ხელმეორედ (განმეორებით) მთლიანად ან ნაწილობრივ არსებითად განხილვა. იმ საკითხის გადაწყვეტა, საქმის ხელმეორედ განხილვა მთლიანად უნდა მოხდეს თუ ნაწილობრივ, ხდება სააპელაციო საჩივრის შინაარსისდა მიხედვით. იმისათვის, რომ დასაშვები იყოს აპელაციაში საქმის (მოთხოვნის) ხელმეორედ განხილვა, აუცილებელია ეს მოთხოვნა დაყენებული იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელით ან შეგებებული სარჩელით. თუ ესა თუ ის მოთხოვნა პირველ ინსტანციაში წამოყენებული არ ყოფილა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის სახით, ზემდგომი (სააპელაციო) სასამართლო ვერ იმსჯელებს ასეთი მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. აპელაცია გულისხმობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას, იმ მოთხოვნების ხელმეორედ განხილვას, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ახლად წამოყენებული მოთხოვნების სააპელაციო სასამართლოში განხილვა დაუშვებელია. ახალი მოთხოვნები შეიძლება იყოს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის საგანი.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში სააპელაციო გასაჩივრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეებსა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს უფლება აქვთ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით სააპელაციო საჩივრით მიმართონ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი დადგენილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით(მოთხოვნით).

საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირის მიერ სააპელაციო ინსტანციაში სააპელაციო საჩივრის შეტანა ავალდებულებს სასამართლოს შეამოწმოს ქვემდგომი სასამართლოს დადგენილების კანონიერება და დასაბუთებულობაც საქმის წარმოების იმ წესებით, რომლებიც გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა წარმოებისას, ე.ი. სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს ხელმეორედ არსებითად განიხილოს საქმე (სსსკ-ის 372-ე და 380-ე მუხლები).

საქმის ხელმეორედ არსებითად განხილვა ნიშნავს, რომ საქმე მხარის ან დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის ინიციატივით, როცა ისინი არ ეთანხმებიან გამოტანილ (მიღებულ) გადაწყვეტილებას, ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით, განსახილველად გადაიტანება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელმეორედ განხილვის დროს ითვლება, რომ მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება თითქოსდა არც არსებულიყოს.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ხელახლა იკვლევს საქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ მხარეს. სსსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ამოწმებს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. **ამასთან, თუ მოცემული არ გვექნება ფაქტობრივი საფუძველი, შესაბამისად, არც სამართლებრივი საფუძველი არ გვექნება, რის გამოც დადგენილად არ უნდა იქნეს მიჩნეული რაიმე.** საქმის განხილვის შედეგად სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვოს, ან ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც თავისი შინაარსით იქნება სრულიად საპირისპირო (განსხვავებული) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან, ანდა დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში.

აპელაციისათვის, როგორც სასამართლო დადგენილებათა გასაჩივრების საშუალებისათვის, დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1) აპელაცია (სააპელაციო საჩივარი) შეიტანება კანონიერ ძალაში შეუსვლელ სა-

სამართლო გადაწყვეტილებაზე;

2) სააპელაციო საჩივრის საფუძველზე საქმე განსახილველად გადაეცემა ზემდგომ სასამართლოს;

3) აპელაციის შეტანა განპირობებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანით,რაც სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის აზრით გამოიხატება ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენაში, ან კანონის არასწორად შეფარდებაში (გამოყენებაში), ან მხარეთა მიერ არასრულად წარდგენილ მასალაში, ამდენად, საუბარია დაინტერესებული პირის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე მისი დაუსაბუთებლობისა და უკანონობის გამო;

4) სააპელაციო ინსტანციის სასამართლო, საქმის გადასინჯვის დროს, განიხილავს როგორც ფაქტის საკითხებს,ისე სამართლის საკითხებსაც,ე.ი. მას უფლება აქვს შეამოწმოს საქმის როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მხარეები იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც ამას ახორციელებს პირველი ინსტანციის სასამართლო;

5) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმის განხილვის შედეგად,როგორც წესი, არა აქვს უფლება საქმე დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში,ვალდებულია გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება;

6) სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება ჩერდება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს);

7) სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება საქმის გადასინჯვის დროს შეზღუდულია სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით (tantum devolutum quantum appellatum – რამდენიც საჩივარია, იმდენი გადაწყვეტილებაა) და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საგნით. ახალი მოთხოვნები, რომლებიც არ ყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საგანი,არ შეიძლება წარდგენილი იქნეს სააპელაციო წარმოებაში.[1]

ეს ნიშნები აპელაციის ზოგად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს.

სამოქალაქო პროცესის თეორიაში გამოიკვეთება აპელაციის ორი სახე – სრული აპელაცია და არასრული აპელაცია.

არასრული აპელაცია წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვას იმ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი იყო საქმის მონაწილეთა მიერ. არასრული აპელაციის ზოგადი წესის მიხედვით სააპელაციო სასამართლოში სასამართლო განხილვისას ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითება (მათი წარდგენა) არ დაიშვება, მაგრამ გარკვეული პირობების არსებობისას ახალ მტკიცებულებებზე ან გარემოებებზე მითითება დასაშვებია. ამრიგად, არასრული აპელაციის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო საქმეს როგორც წესი, განიხილავს იმ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც უკვე იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანი (ანუ რომლებიც გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ).

არასრული აპელაციის დროს კანონით დადგენილ შემთხვევებში სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს საქმე დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა არსებითად განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად (სსსკ-ის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

სრული აპელაცია წარმოადგენს საქმის გადასინჯვას მთლიანად არა მხოლოდ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი

[1] Борисова Е. А. Апелляция в гражданском (арбитражном) процессе. М. 2000

ნებისმიერი ახალი მტკიცებულების საფუძველზე. საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ნებისმიერი ახალი მტკიცებულებაც (ახალი ფაქტობრივი მონაცემები, ახალი მოსაზრებები და ახსნა-განმარტებები). მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები (სსსკ-ის 380-ე მუხლი), ამიტომ მას არა აქვს უფლება საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში, არამედ თვითონ უნდა მიიღოს (გამოიტანოს) გადაწყვეტილება არსებითად, გამოკვლეული მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტების საფუძველზე. სრული აპელაციის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ამოწმებს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, არამედ თავად საქმესაც, ვინაიდან ხელახლა განიხილავს მის ფაქტობრივ და სამართლებრივ მხარეებს. სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო იკვლევს საქმის ფაქტობრივ მხარეს სრული მოცულობით ე.ი. ახორციელებს იმავე მოქმედებებს საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად, მტკიცებულებათა შესაფასებლად, რასაც პირველი ინსტანციის სასამართლო. ამრიგად, სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო ახორციელებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის სისწორის შემოწმებას (მოცემულ შემთხვევაში საქმე ხელახლა განმეორებით განიხილება), ხოლო არასრული აპელაციის დროს – პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია არასრული აპელაცია

სსსკ-ის 372-ე მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება სააპელაციო ინსტანციაში მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს საპროცესო კოდექსის მეორე წიგნით (რომლის სახელწოდებაა „საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში") გათვალისწინებული ნორმებით. ამასთან ერთად, არსებობს ზოგიერთი არსებითი განსხვავებაც აღნიშნულ წარმოებათა შორის, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზნით, რომელიც დგას პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების წინაშე.

გარდა ამისა, სააპელაციო წარმოების შეპირისპირება საკასაციო წარმოებასთან იმას ადასტურებს, რომ მათ შორის განსხვავების გარდა, არსებობს მრავალი საერთო ნიშანიც (გასაჩივრების უფლების სუბიექტი და ობიექტი, გასაჩივრების წესი, გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების საფუძვლები, სასამართლოს სხვადასხვა განჩინების დამოუკიდებლად გასაჩივრება, საქმის განხილვისას ზოგიერთი საერთო წესის გამოყენება და სხვა) და ა.შ.

სწორედ მოცემული გარემოებით აიხსნება მრავალი მითითებითი ნორმის არსებობა საპროცესო კოდექსის იმ თავებში, რომლებიც ეხება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმეთა წარმოებას (იხ. მაგალითად სსსკ-ის 372-ე და 399-ე მუხლები).

§2. რიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება და მისი განხორციელების წესი

სამოქალაქო პროცესში სააპელაციო გასაჩივრების უფლება წარმოადგენს სააპელაციო წარმოების აღძვრის (მეორე ინსტანციის სასამართლოში წარმოების აღძვრის) უფლებას პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით.

სააპელაციო გასაჩივრების უფლება ამ უფლების მქონე სუბიექტს წარმოეშობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან (სსსკ-ის 364-ე მუხლი).

საპროცესო ვადის დენა ზოგადი წესის მიხედვით იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი). ამიტომ სააპელაციო გასაჩივრების ვადის განმავლობაში სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებაც 364-ე მუხლში მითითებულ პირებს წარმოეშობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების საბოლოო ფორმით მიღების და გამოცხადების (თუ მხარე ესწრება დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას) დღის შემდგომი დღიდან ან დასაბუთებული გადაწყვეტილების მხრისათვის გადაცემის (ჩაბარების) დღის მომდევნო დღიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება სსსკ-ის 70-78-ე მუხლების ან 259[1]-ე მუხლის შესაბამისად, ასევე 259[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. მოცემული ნორმის დანაწესის მიხედვით, თუ მხარე არ გამოცხადდება სასამართლოში ამავე ნორმით გათვალისწინებულ ვადებში (ეს არის არა უადრეს მე-20 და არა უგვიანეს 30-ე დღე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან) და არ ჩაიბარებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, მაშინ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ნორმაში მითითებულ სიტყვებში „ვადის ათვლა დაიწყება... 30-ე დღეს", არ იგულისხმება ვადის დინების დაწყება. 30-ე დღე არის მხოლოდ ის გარემოება (მოვლენა), რომლითაც განსაზღვრულია ვადის დასაწყისი. შესაბამისად, ვადა დენას იწყებს 30-ე დღის მომდევნო დღიდან. სამწუხაროდ, ვადის გამოთვლის ამ ელემენტარულ წესს ზოგჯერ არღვევენ სასამართლოები, რის გამოც 2014 წლის 30 დეკემბერს საქმეზე № ას-1161-1106-2014 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა: „სსსკ-ის 259[1]-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება.

ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სსსკ-ის 259[1]-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა აწესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი აწესრიგებს იმავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი...

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასამართლოს მიერ პროცედურული წესის, განსაკუთრებით კი გასაჩივრების უფლების გამოყენების ვადების განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ, შესაძლოა, ხელყოს სასამართლოსადმი წვდომის უფლება... ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია „სასამართლოს უფლება", განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ... სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს... ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ დასახული აქვს ლეგიტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის (LiaKopoulou v.Creece, 20627/04, §17, 2006, ECHR) ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები". ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასამართლომ

ვადის შემზღუდველი პროცედურული ნორმა ისეთნაირად არ უნდა განმარტოს, რომ ხელი შეუშალოს მომჩივანის საჩივრის გამოკვლევას, რადგან ამის შედეგად ამ უკანასკნელის სასამართლოს ეფექტური დაცვის უფლება დაირღვევა (Georgiy Nicolayevich Mikhaylov v. Russia, 4543/04, § 57, 2010, ECHR). როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (Legal certainty), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პროცედურული მოთხოვნის არაგონივრულ კონსტრუქციას, რადგან ეს გამოიწვევს ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევას. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა არასწორად ჩამოართვას მომჩივანს თავისი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (Mirigall Escolano and Others v. Spain. 38366/97, § 33, 200, ECHR).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1]-ე მუხლი, როგორც სპეციალური ნორმა, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტად მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს განსაზღვრავს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე მუხლი კი არის ზოგადი ნორმა, რომელიც მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც იმავე კოდექსის სპეციალური ნორმა განსხვავებულ ქცევის წესს არ ადგენს.

სსსკ-ის 259[1]-ე მუხლის განმარტება უნდა მოხდეს ამავე კოდექსის მე-60 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით. სსსკ-ის მე-60 მუხლი აწესრიგებს ამავე კოდექსის სხვადასხვა ინსტიტუტებით გათვალისწინებული საპროცესო ვადის დენის დასაწყისის მომენტს და შესაბამისად ვრცელდება სსსკ-ის 259[1]-ე მუხლით დადგენილ ვადებზეც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1]-ე მუხლით განსაზღვრულ გასაჩივრების წესს საფუძვლად უდევს გადაწყვეტილების ჩაბარების ინსტიტუტი, კერძოდ, სასამართლო შეტყობინების (უწყების) ჩაბარების მსგავსად, გასაჩივრების უფლების მქონე მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაში იგულისხმება როგორც უშუალოდ ამ მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ჩაბარება, ასევე ამ გადაწყვეტილების ჩაბარების ფიქცია, რომელიც მიუთითებს, რომ გასაჩივრების უფლების მქონე მხარემ ჩაიბარა გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1]-ე მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს", მიგვითითებს ფიქციაზე, რომლის თანახმად კანონი ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაინტერესებული მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებისათვის. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება საპროცესო მოქმედების შესრულების ზუსტ კალენდარულ თარიღს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი) რომლის ათვლის საპროცესო წესი მოცემულია ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილით.

შესაბამისად, გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ინსტიტუტი მოიცავს როგორც უშუალოდ დაინტერესებული მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისთვის) გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, ასევე ამ ჩაბარების ფაქტის არსებობის ფიქციასაც, რაზეც ვრცელდება საპროცესო ვადის გამოთვლის ერთიანი საპროცესო წესი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი).

საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხიც: სსსკ-ის 259[1]-ე მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს, დადგენილ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას იმავე ვადაში მზად

ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად.

სსსკ-ის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით,რომლის თანახმადაც 14 დღის ვადაში უნდა მომზადდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად, არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც სასამართლო, მიმართვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს ვერ შეძლებს მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებას. მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ 30-ე დღეს მზად არ არის დასაბუთებული გადაწყვეტილება, მან ამავე დღეს უნდა დააფიქსიროს აღნიშნული და მოითხოვოს გადაწყვეტილების გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დაეყრდნობა გადაწყვეტილების დადგენილ ვადებში მოუმზადებლობას, თუკი დაგვიანებით წარადგენს საჩივარს.

მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ მხარე ან მისი წარმომადგენელი კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს სასამართლოს გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე, ხოლო სასამართლო ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებას, აღნიშნული მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება და ვერც გასაჩივრების ვადის 30-ე დღიდან ათვლას გამოიწვევს... ამ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა გადაწყვეტილების რეალურად ჩაბარების მომენტიდან უნდა აითვალოს (იხ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-941-884-2012).

ამასთან ერთად, სააპელაციო გასაჩივრების უფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება განსაზღვრული წესი და წინაპირობები[1] (თუ არსებობს სააპელაციო გასაჩივრების უფლების სუბიექტი და ობიექტი, დაცულია საჩივრის შეტანის წესი და ა.შ.).

საყურადღებოა,რომ სსსკ-ის XLV თავს ეწოდება „აპელაციის დასაშვებობა". სააპელაციო გასაჩივრების დასაშვებობის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტური წინაპირობაა იმ ობიექტის არსებობა, რომლის გამოც (რომელზეც) შეიტანება აპელაცია.

სააპელაციო გასაჩივრების უფლების ობიექტია პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება.

დასაშვებია გადაწყვეტილების როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ გასაჩივრება. თუ მხარე ნაწილობრივ ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, მაშინ საჩივარში უნდა მიეთითოს, რა ნაწილი საჩივრდება გადაწყვეტილება.

თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი იყო დამატებითი გადაწყვეტილება, მაშინ ის ასევე შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

გამარტივებული წარმოების წესით მიღებული სასამართლო ბრძანება არ შეიძლება იყოს სააპელაციო გასაჩივრების ობიექტი, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება კი მიეკუთვნება სააპელაციო გასაჩივრების ობიექტს (სსსკ-ის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილი

---

[1] სააპელაციო გასაჩივრების წინაპირობებში იგულისხმება სააპელაციო გასაჩივრების უფლების განხორციელების წინასწარი პირობები. იმისთვის, რომ დაიწყოს სააპელაციო წარმოება, აუცილებელია რიგი წინაპირობების, მათ შორის ობიექტური, სუბიექტური და ფორმალური წინაპირობების არსებობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესი. აღნიშნული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო კომპეტენცია.

საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს კომპეტენტურ (განსჯად) სასამართლოს, იმას, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოს შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს დავა, რომელიც წარმოიშობა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან. საქართველოს სასამართლოები განიხილავენ მათ საერთაშორისო კომპეტენციაში შემავალ საქმეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. თუ საქმე არ შედის საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაში, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს და გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ (სსსკ-ის 186-ე მუხლის „ე" პუნქტი – საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის). (სუსგ 2004 წ. №4, გვ. 873).

და სსსკ-ის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილი). გამარტივებული წარმოება დარღვეული უფლების აღდგენის სპეციფიკური ფორმაა, გააჩნია რიგი დამახასიათებელი ნიშნები, რაც მას განასხვავებს სამოქალაქო სამართლწარმოების სხვა სახეებისაგან. გამარტივებული წარმოების თავისებურებაა არა ბრძანების სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება, არამედ მისი გაუქმება კერძო საჩივრით. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პირველი ინსტაციის სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება როდი შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით (პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლების შეზღუდვა).

მაგალითად, სსსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო **დავის საგნის** ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე არის შეტანილი სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო საჩივრის ღირებულება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ერთ-ერთი პირობაა.

ამიტომ, თუ მოთხოვნის თანხა (სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება) ქონებრივ-სამართლებრივ დავებში არ აღემატება 1000 ლარს, მაშინ სსსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, რაც ნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, ე.ი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შევა კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი)[1]. არაქონებრივ-სამართლებრივი ხასიათის დავის დროს სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა არ წარმოებს.

სასარჩელო მოთხოვნის თანხით სააპელაციო გასაჩივრების უფლების შეზღუდვის გარდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს მითითებას სასამართლო აქტებზეც, რომელთა სააპელაციო წესით გასაჩივრება საერთოდ დაუშვებელია. მაგალითად, პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო წესით დაუშვებელია (სსსკ-ის 366-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება ასევე იმ გადაწყვეტილებაზე, რომლის გამოცხადების შემდეგ მხარემ სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადა უარი სააპელაციო გასაჩივრებაზე (სსსკ-ის 370-ე მუხლი).

სააპელაციო გასაჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებები, მაგრამ ამასთან აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო გასაჩივრების ძირითადი ობიექტია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო სასამართლო განჩინებათა დამოუკიდებლად, აპელაციის წესით გასაჩივრებას საგამონაკლისო ხასიათი აქვს. ერთადერთი ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია სსსკ-ის 240-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

სსსკ-ის 414-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს განჩინებათა გასაჩივრება ხდება კერძო საჩივრის ან საჩივრის შეტანით, თუ ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. საპროცესო კოდექსის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ განჩინებათა გასაჩივრება კერძო საჩივრით ან საჩივრით დასაშვებია, როცა სასამართლოს განჩინება საქმის შემდგომ წარმოებას აფერხებს (აბრკოლებს).

პირველი ინსტანციის სასამართლოს სხვა დანარჩენ განჩინებაზე კერძო საჩივარი (საჩივარი) არ შეიტანება, ასევე არ ხდება მათი დამოუკიდებლად სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება, თუმცა აღნიშნული განჩინებები შეიძლება სადავო გახდეს და მის შესახებ ე.ი. განჩინების უსწორობისა და გაუქმების შესახებ მიეთითოს თვით საა-

[1] სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს „პროცესის ხარჯების" თავით დადგენილი წესით, კერძოდ, სსსკ-ის 41-ე მუხლის მიხედვით.

პელაციო საჩივარში (სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილი), ან შეგებებულ სააპელაციო საჩივარში. მოქმედი საპროცესო კანონის თანახმად, შეგებებულ სააპელაციო საჩივარს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, წაეყენება იგივე მოთხოვნები, რაც სააპელაციო საჩივარს. იგი უშუალოდაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შეტანილი უნდა იყოს ძირითადი საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც ძირითადი აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი.

სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ ამ ძირითად გადაწყვეტილებასთან (განჩინებასთან) ერთად შეიძლება გახდეს სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გასაჩივრება არც არის მიზანშეწონილი, თუკი მხარე ეთანხმება სააპელაციო წესით გასაჩივრებულ ძირითად გადაწყვეტილებას. (სუსგ 2003 წ. №8, გვ. 2116-2177).

სააპელაციო გასაჩივრების (უფრო სწორად, სააპელაციო საჩივრის) დასაშვებობის ობიექტურ წინაპირობებს მიეკუთვნება ასევე აპელაციის ვადის დაცვაც. ეს იმით აიხსნება, რომ სააპელაციო წარმოება არ შეიძლება წარმოიშვას, თუ სააპელაციო გასაჩივრების ვადა გაშვებულია. სსსკ-ი არ უშვებს აპელაციის გაშვებული ვადის არც აღდგენის, არც გაგრძელების შესაძლებლობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლით ქარწყლდება აპელაციის უფლებაც, რის შედეგადაც სასამართლო გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, ხდება საბოლოო და სააპელაციო გასაჩივრებას უკვე აღარ ექვემდებარება. ვადის გაშვებით შეტანილი სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს მიერ რჩება განუხილველი დაუშვებლობის გამო. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინებაზე დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა (სსსკ-ის 374-ე მუხლი).

აუცილებელია ასევე განისაზღვროს **სუბიექტი** — უფლებამოსილი პირი. სსსკ-ის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება მხოლოდ ამისთვის უფლებამოსილ პირს გააჩნია. სააპელაციო გასაჩივრების დასაშვებობის **სუბიექტური წინაპირობაა** სუბიექტების გარკვეული წრის არსებობა, რომელთაც უფლება აქვთ შეიტანონ აპელაცია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

იმ სუბიექტებს, რომელთაც სააპელაციო გასაჩივრების უფლება აქვთ, მიეკუთვნება მხარეები და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები.

სააპელაციო გასაჩივრების უფლება აქვთ სახელშეკრულებო წარმომადგენლებსაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული უფლებამოსილება დათქმულია სასამართლოში საქმის წარმოებაზე მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში (სსსკ-ის 98-ე მუხლი). კანონიერი წარმომადგენლები არ არიან შებოჭილნი სასამართლოში საქმის წარმოებაზე მათ მიერ წარმოდგენილი პირების მინდობილობით. სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრების საკითხი თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში მათ თვითონ უნდა გადაწყვიტონ.

სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეთა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირთა უფლებამონაცვლეებსაც (სსსკ-ის 92-ე მუხლი).

გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტები სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრების უფლებას ახორციელებენ სააპელაციო საჩივრის შეტანით. იმ პირებს, რომლებიც სრულად დაკმაყოფილდნენ მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებით და იმ პირებს, რომლებიც არ იქნენ ჩაბმული საქმეში მონაწილეობის მისაღებად, გარდა საქმეში ჩაუბმელი ისეთი პირებისა, რომელთა უფლებებს უშუალოდ შეეხო გამოტანილი

გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არა აქვთ. საქმეში ჩაუბმელ პირებს, რომელთა უფლებებს უშუალოდ შეეხო გადაწყვეტილება (ანუ რომელთა უფლება-მოვალეობებიც მხარეების მიმართ განსაზღვრა გადაწყვეტილებამ) იმიტომ აქვთ ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, რომ გადაწყვეტილება მათ აქცევს პროცესში ერთ-ერთ მხარედ (მოსარჩელედ, მოპასუხედ, მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით). მაგრამ თუ ასეთი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, ასეთ პირს შეუძლია სსსკ-ის 422-ე მუხლის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

სააპელაციო საჩივრის შემტან პირს აპელანტი ეწოდება. აპელანტის მოწინააღმდეგეა სააპელაციო საჩივრის მიხედვით ასეთად დასახელებული პირი. სააპელაციო წარმოებაში აპელანტი შეიძლება გახდეს როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე, ე.ი. ის, ვინც შეიტანს სააპელაციო საჩივარს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობისა და უკანონობის მოტივით. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს შეიტანოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

რაც შეეხება **ფორმალურ წინაპირობებს,** კანონით მოწესრიგებულია სააპელაციო საჩივრის შეტანის წესი. კერძოდ, წერილობითი ფორმით შედგენილი სააპელაციო საჩივარი, რომელიც უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 177-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს, შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ იმ სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა (სსსკ-ის 367-ე მუხლი).

კანონი არ ითვალისწინებს სააპელაციო საჩივრის უშუალოდ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში შეტანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: თუ დაინტერესებული პირი კანონის (სსსკ-ის 367-ე მუხლი) მოთხოვნათა დარღვევით სააპელაციო საჩივარს შეიტანს უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში, მაშინ აპელაციის ასეთი წესით შეტანამ უნდა წარმოშვას თუ არა რაიმე იურიდიული შედეგი, ე.ი. სააპელაციო საჩივარი უნდა ჩაითვალოს თუ არა შეტანილად. ან როგორ უნდა მოიქცეს მსგავს შემთხვევებში სააპელაციო სასამართლო. აღვნიშნავთ, რომ სსსკ-ის 367-ე მუხლი მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შეტანას გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, თუმცა არ ადგენს ამ წესის დარღვევის იურიდიულ შედეგებს. მიგვაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში შეტანის შემთხვევაში, თუ მისი შეტანა კანონით დადგენილ ვადაში განხორციელდა, გასაჩივრების ვადა გაშვებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან აპელანტმა გამოხატა ვადაში აპელაციის შეტანის ნება. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მარტოოდენ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე ვერ შეამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით, თუ მას ხელთ არ ექნება მთლიანად საქმე, გარდა ამისა, საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ქვემდგომი სასამართლოდან საქმის გამოთხოვის მექანიზმს და შესაძლებლობას, ამიტომ უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში შეტანილი სააპელაციო საჩივარი ამ სასამართლომ უნდა გადაუგზავნოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, რომელიც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას მთლიანად საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო საჩივრის შინაარსი უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 368-ე მუხლის მოთხოვნებს. სააპელაციო საჩივარში აუცილებელია მიეთითოს: სასამართლო, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი (იგულისხმება სააპელაციო სასამართლო); აპელანტი (კანონი არ ითხოვს საჩივარში მოწინააღმდეგე მხრის დასახელებას) და მისი მისამართი (ადგილსამყოფელი). საჩივარს ხელს აწერს აპელანტი ან სპეციალური უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში მისი წარმომადგენელი. ამ ზოგად რეკვიზიტებთან ერთად სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს სპეციალურ რეკვიზიტებსაც. მათ მიეკუთვნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სავალდებულოდ და ზუსტად დასახელება და მითითება

ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე, ასევე მიეთითება გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. სააპელაციო საჩივარში აუცილებლად უნდა მიეთითოს, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და რა ფარგლებში საჩივრდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება – მთლიანად თუ მხოლოდ ნაწილობრივ. თუ ნაწილობრივ საჩივრდება, მაშინ უნდა მიეთითოს სახელდობრ რომელ ნაწილში, ე.ი. სახელდობრ სასამართლოს რომელი მოსაზრებები საჩივრდება და კონკრეტულად რას მოითხოვს აპელანტი (მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას თუ საქმის ხელახლა განსახილველად დააბრუნებს).

სააპელაციო სასამართლოს, მიუხედავად აპელანტის მოთხოვნისა, შეუძლია უცვლელად დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა კი აპელანტი მის გაუქმებას მოითხოვდა სააპელაციო საჩივარში. სააპელაციო საჩივარში უნდა მიეთითოს გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ (ასაბუთებენ) ამ გარემოებებს (აპელანტის მოთხოვნებს). სააპელაციო საჩივარი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, ხომ არ სურს აპელანტს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა. აუცილებელია საჩივარს დაერთოს წერილობითი მასალების ნუსხა. თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს, მაშინ მას უნდა დაერთოს მინდობილობა, ან წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, თუ საქმეში ასეთი დოკუმენტები არ არის.

სააპელაციო საჩივარი, აგრეთვე დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. სააპელაციო საჩივარზე გადაიხდევინება სახ. ბაჟი.

სააპელაციო საჩივრის მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეასრულოს რიგი მოქმედებები იმ მიზნით, რათა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა საჩივარი სსსკ-ის 368-ე მუხლის (სააპელაციო საჩივრის შინაარსი), 369-ე მუხლის (სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა) მოთხოვნებს და გადახდილია თუ არა სახ. ბაჟი აღნიშნულ საჩივარზე. ანუ სასამართლო ამ ნორმების გათვალისწინებით ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას.

სააპელაციო საჩივრის შინაარსისა და მისი შეტანის წესის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაუცველობა იწვევს 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული შედეგების დადგომას. კერძოდ, აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება იმ შემთხვევაში, როცა:

1) საჩივრის შინაარსი ერთ შემთხვევაში არ შეესაბამება 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებს (მაგალითად, სააპელაციო საჩივარში არ არის მითითებული გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს გადაწყვეტილება);

2) საჩივარი არ არის ხელმოწერილი მისი შემტანი პირის მიერ;

3) საქმეში არ მოიპოვება, ხოლო სააპელაციო საჩივარს არ ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

4) არ არის წარმოდგენილი საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლები;

5) საჩივარზე არ არის გადახდილი სახ. ბაჟი. თუ ბაჟი გადახდილია და განუხილველად რჩება საჩივარი სხვა რომელიმე საფუძვლით, მაშინ დაუშვებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინებით სასამართლომ უნდა დაადგინოს გადახდილი სახ. ბაჟის დაბრუნება. შესაძლოა მხარემ გადაიხადოს სახ. ბაჟის ნაწილი და სასამართლოში სახ. ბაჟის ნაწილის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენისას არ მოითხოვოს დარჩენილი თანხის გადახდის გადავადება, ან ხარვეზის ვადის გაგრძელება, თუმცა ასეთი მოთხოვნის არარსებობის მიუხედავად სასამართლო ვალდებულია საკითხს არ მიუდგეს

უკიდურესად ფორმალურად და გააფრთხილოს აპელანტი იმ სამართლებრივი შედეგების თაობაზე,რაც მოჰყვება ბაჟის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ შესაბამისი საპროცესო მოქმედების განხორციელებას, რამეთუ ბაჟის ნაწილის გადახდა უკვე ისედაც მიანიშნებს მხარის ინტერესზე, იდავოს სასამართლოში. ამგვარი გაფრთხილება ხდება ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინებით.

თუ არსებობს თუნდაც ერთ-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი საფუძველი, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას და ავალებს აპელანტს შეავსოს ხარვეზი. სასამართლო აპელანტს უნიშნავს ხარვეზის შევსების ვადას.

იმ შემთხვევაში, თუ აპელანტი დადგენილ ვადაში შეასრულებს ხარვეზის დაწესების განჩინებაში ასახულ მითითებებს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შევსების (გამოსწორების) შესახებ,მაშინ საჩივარი შეტანილად ითვლება სააპელაციო სასამართლოში მისი თავდაპირველად წარდგენის (შემოსვლის) დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არ ჩაითვლება შეტანილად (აღარ მიიღება). ამასთან, შესაძლოა აპელანტმა იშუამდგომლოს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ სხვადასხვა საფუძვლით,რომელიც არ ემსახურება საქმის გაჭიანურებას. ასეთ დროს დაუშვებელია მისი შუამდგომლობის არგაზიარების შემთხვევაში საჩივრის პირდაპირ განუხილველად დატოვება, თუ მას არ გაუგრძელდება ხარვეზის შევსების ვადა. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ შეუძლია სასამართლოს იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე. ერთ-ერთ საქმეზე განმარტებულია: სსსკ-ის 368-ე მუხლით დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მექანიზმი გულისხმობს ვითარებას, როცა ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით ნათელია, რომ მხარემ არ შეავსო და არც აპირებს ხარვეზის შევსებას. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტი უარს კი არ ამბობს სახ. ბაჟის გადახდაზე, არამედ მოითხოვს მისი ნაწილის გადავადებას. შუამდგომლობის არგაზიარების გამო საჩივრის განუხილველად დატოვების შემთხვევაში კი მას ერთმევა საშუალება განახორციელოს ხარვების შევსება. სხვა საქმეზე კი განმარტებულია: სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია საპროცესო მოქმედებების შესრულების დრო და თანმიმდევრობა, რომლის დაცვასაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. აღნიშნული კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, სახ. ბაჟი გადახდილი უნდა იქნეს სააპელაციო საჩივრის შეტანისთანავე. ამავე კოდექსის 368-ე და 374-ე მუხლების თანახმად, თუკი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ პირობა არ არსებობს და სააპელაციო საჩივარში ხარვეზი არ არის აღმოფხვრილი, სააპელაციო სასამართლო განუხილველად ტოვებს საჩივარს. აქედან გამომდინარე,აპელანტის შუამდგომლობა სახ. ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების სტადიაზე და განხილვის შედეგის გათვალისწინებით გადაწყვეტოს, გაათავისუფლოს აპელანტი სახ. ბაჟის გადასახადისაგან და სააპელაციო საჩივარი მიიღოს განსახილველად თუ არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა და სააპელაციო საჩივარი დატოვოს ხარვეზზე, რაც უნდა ეცნობოს აპელანტს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ჯერ უნდა ემსჯელა აპელანტის სახ. ბაჟისაგან გათავისუფლების შუამდგომლობაზე და მხოლოდ მას შემდეგ, თუკი არ დააკმაყოფილებდა შუამდგომლობას, უნდა მიეცა აპელანტისათვის ხარვეზის შევსების ვადა. სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დაეტოვებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აპელანტისათვის ცნობილი გახდებოდა მისი შუამდგომლობის განხილვის შედეგი და მიუხედავად ამისა, დანიშნულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს. მოცემულ შემთხვევაში სახ. ბაჟისაგან გათავისუფლების საკითხის გადაუწყვეტლად ხარვეზის მიცემამ და აპელანტის შუამდგომლობის მხოლოდ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ეტაპზე განხილვამ აპელანტს, ფაქტობრივად, წაართვა უფლება, სააპელაციო საჩივრის

დასაშვებობის შემოწმების სტადიაზე, სარჩელის განუხილველად დატოვებამდე, სცოდნოდა თავისი შუამდგომლობის განხილვის შედეგი, ამ ეტაპზე გადაეხადა სახ. ბაჟი და თავიდან აეცილებინა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა ამისათვის მნიშვნელობის მქონე წინარე საკითხების თანმიმდევრული გარკვევის გარეშე, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის აღმოფხვრის დაგვიანებაზე და ამის შედეგად სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში ხარვეზი აღმოფხვრილია, ამ ეტაპზე აღარ არსებობს სააპელაციო საჩივრის მიღების დამაბრკოლებელი გარემოება, (სუსგ. 2005 წ. №3, სამოქალაქო პროცესი, გვ. 130-131). სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ შეტყობინება მხარეებს (მათ წარმოდგენებს) აცნობოს ტელეფონით, თუ ხარვეზი შეეხება 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა"-„გ", „ზ" და „თ" ქვეპუნქტებით, ასევე მე-2–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს, ან თუ სააპელაციო საჩივარს არ ერთვის სახ. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი წესით ინფორმირების შემთხვევაში ხარვეზის შესახებ განჩინება სატელეფონო შეტყობინების განხორციელების დღეს ჩაბარებულად ითვლება. სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით.

368-ე მუხლის მე-5 ნაწილის არსიდან გამომდინარეობს, რომ ხარვეზის შევსებისათვის დანიშნული ვადა გონივრული უნდა იყოს. შესაბამისად მოცემულ ნორმაში განმტკიცებულია სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში კანონით მისთვის მინიჭებული თავისუფალი მიხედულების ფარგლებში აპელანტს დაუნიშნოს ხარვეზის შევსების ვადა. სასამართლოსათვის ამგვარი დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზანია სამოქალაქო სამართალწარმოების წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება. ეს არის სამოქალაქო საქმის სწორად და დროულად განხილვა და გადაწყვეტა.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების პროცედურას სპეციალურად ეხება სსსკ-ის 374-ე მუხლი, რომელიც სააპელაციო სასამართლოს ავალებს სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა-დაუშვებლობის საკითხი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება განსახილველად მისი მიღების თაობაზე. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ვინაიდან აფერხებს (აბრკოლებს) საქმის შემდგომ მოძრაობას. როგორც სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების, ისე საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებები შეიძლება მიიღოს სააპელაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახ. ბაჟი.

სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, როცა იგი შეტანილია კანონით დადგენილი სააპელაციო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნევა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილული მოთხოვნის საგნის ან საფუძვლის შეცვლის შემთხვევაშიც (381-ე მუხლი).

საქმე იმაშია, რომ სააპელაციო საჩივარში არ შეიძლება აისახოს მოთხოვნები, რომლებიც არ იყო აღძრული პირველი ინსტანციის სასამართლოში.

აპელაციის არსი მდგომარეობს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის

ხელმეორედ განხილვაში (საქმის სააპელაციო განხილვის დროს სასამართლო თვითონ არკვევს და ადგენს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და არა მხოლოდ ამოწმებს, რამდენად სწორად არის ისინი დადგენილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ).

მოთხოვნის საგნის ან საფუძვლის შეცვლა კი გამოიწვევს ერთი და იმავე საქმის არა ხელმეორედ (განმეორებით) განხილვას, არამედ სრულიად ახალი საქმის განხილვას, რაც აპელაციის არსს ეწინააღმდეგება. 381-ე მუხლი, კრძალავს თავდაპირველი მოთხოვნის შეცვლას ახალი მოთხოვნით, ახალი მოთხოვნის აღძვრის შესაძლებლობას.

მოთხოვნის საგნის ან საფუძვლის შეცვლის აკრძალვა ასევე იმით აიხსნება, რომ **სააპელაციო გასაჩივრების საფუძველია „ორმაგი განსჯადობის" წესი**. ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე საქმე განხილული უნდა იქნეს ორჯერ, კერძოდ: ერთხელ (პირველად) – პირველი ინსტანციის სასამართლოში, მეორედ – სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ახალი მოთხოვნის განხილვა, რომელიც არ განხილულა პირველი ინსტანციის სასამართლოში, არღვევს მოცემულ წესს, ეწინააღმდეგება აპელაციის შინაარსს. დაუშვებელია აგრეთვე დავის საგნის გადიდება და შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში.

თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია დადგენილ ვადაში და კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით, მოსამართლე ვალდებულია განსახილველად მიიღოს იგი.

სსსკ-ის 373-ე მუხლის შესაბამისად, ვადაში და სსსკ-ის 368-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შეტანილი საჩივრის მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლო მოწინააღმდეგე მხარეს გადაუგზავნის სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას ამ საჩივარზე წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს სააპელაციო სასამართლოს წარუდგინოს წერილობითი შესაგებელი სააპელაციო საჩივრის საპირისპიროდ. სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ შეტანილ შესაგებელს შეიძლება დაერთოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ამ შესაგებელში მითითებულ გარემოებებს. შესაგებელი და მასზე დართული დოკუმენტები სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენი პირიც მონაწილეობს საქმეში.

სააპელაციო შესაგებელი უნდა პასუხობდეს 177-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, შესაგებლის წარუდგენლობის საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. ამ საკითხში სასამართლო პრაქტიკა შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს 372-ე მუხლის დანაწესმა, პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის წესების სააპელაციო სასამართლოში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. სააპელაციო წარმოებას გააჩნია თავისებურებები. შესაბამისად, სააპელაციო წარმოება არ შეიძლება იყოს პირველ ინსტანციაში საქმის წარმოების მთლიანად და სრულად იდენტური, რამეთუ ასეთ შემთხვევაში წაიშლება ზღვარი დასახელებულ ინსტანციებს შორის, მოხდება აპელაციის ამოცანებისა და დანიშნულების ნიველირება. აპელაციის ამოცანა და დანიშნულება არის გასაჩივრებული სასამართლო აქტის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. გასათვალისწინებელია სააპელაციო შესაგებლის ბუნებაც. ის მიმართულია სწორედ სასამართლო აქტის კანონიერება-დასაბუთებულობასთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარში ასახული მოსაზრებების წინააღმდეგ და თავისთავად მისი წარუდგენლობა ხელს არ უშლის ს�ააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული სასამართლო აქტის კანონიერება-დასაბუთებლობა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის მიხედვით, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ აძლევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებას. ამასთან, პირველ ინსტანციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანება მოპასუხის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო. სააპელაციო სასამართლოში მხარეები

საპროცესო სტატუსს არ იცვლიან – მხოლოდ იმის მიხედვით, თუ ვინ არის აპელანტი, მეორე მხარე იწოდება მოწინააღმდეგედ. თუკი დასაშვებად მივიჩნევთ, რომ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელაციაშიც უნდა გამოვიდეს პირველი ინსტანციის მსგავსად, მაშინ გამოვა, რომ აპელაციაში იმ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ უნდა იქნეს იგი გამოტანილი, რომელიც მოპასუხეა საქმეზე. ამისთვის კი საჭირო გახდება კანონის დიფერენტირებულად გამოყენება აპელაციაში. საყურადღებოა სსსკ-ის 376-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც ჯერ კიდევ სააპელაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის სტადიაზე, ე.ი. აპელაციის განსახილველად მიღების განჩინებით სააპელაციო სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს...

ამრიგად, საქმის ზეპირი განხილვის დროის განსაზღვრა წინ უსწრებს სააპელაციო საჩივრის გაგზავნას მოწინააღმდეგე მხარისათვის. შესაბამისად, თუ სხდომა სასამართლომ აუცილებლად უნდა დანიშნოს ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, მაშინ როგორღა გამოაქვს შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საყურადღებოა სსსკ-ის 379-ე მუხლიც. სრულიად შესაძლებელია შესაგებლის წარდგენის ვადა უფრო მცირე იყოს, ვიდრე შეგებებული აპელაციის წარდგენის ვადა. გამოდის, რომ შესაგებლის წარუდგენლობით მხარეს ესპობა შეგებებული აპელაციის უფლებაც.

სააპელაციო შესაგებელი უნდა შეიცავდეს 373-ე მუხლით გათვალისწინებულ დაწვრილებით მონაცემებს. სსსკ-ის 379-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს ასევე წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარიც, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. ე.ი. თავდაპირველი მთავარი აპელაციის (appel principal) წინააღმდეგ შეიტანოს მასთან დაკავშირებული კონტრაპელაცია, შემხვედრი აპელაცია (appel incident). თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კანონი შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას უკავშირებს დროით ფარგლებს, კერძოდ იგი წარდგენილ უნდა იქნეს 10 დღის განმავლობაში სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ, შეგებებული სააპელაციო მოთხოვნის უფლება ქარწყლდება, ანუ ქარწყლდება მხარის იურიდიული ინტერესის დაცვის შესაძლებლობა. უნდა დავაზუსტოთ, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს სააპელაციო საჩივრის ასლის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში და არა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის დადებითად გადაწყვეტის დღიდან 10 დღის განმავლობაში. ამასთან, თუ სააპელაციო საჩივარზე (იგულისხმება ძირითადი სააპელაციო საჩივარი და არა შეგებებული სააპელაციო საჩივარი) უარს იტყვის აპელანტი ან სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩება, მაშინ აღარ იქნება განხილული შეგებებული სააპელაციო საჩივარიც. ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც არის საყურადღებო. საჩივრის უფლება პირმა შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ ერთხელ. შესაბამისად, თუ რომელიმე მხარემ დაუკმაყოფილებელ ნაწილში გაასაჩივრა გადაწყვეტილება და მისი საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო, ასეთ მხარეს აღარ აქვს შეგებებული აპელაციის უფლება.

§3. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის (სააპელაციო საჩივრის) განხილვის საპროცესო წესი

სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლო ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო ინსტანცია არსებითად მეორე ინსტანციის სასამართლოა, სააპელაციო სასამართლოში სასამართლო განხილვა (პროცესის ჩატარება) ხორციელდება პირველი ინსტანციის სასამართლოებში სხდომის ჩატარებისათვის (საქმეთაწარმოებისათვის) სამოქალაქო

საპროცესო კანონით დადგენილი წესებით, XLVI თავით დადგენილი ცვლილებებითა და დამატებებით (სსსკ-ის 372-ე მუხლი), ამასთან სააპელაციო სასამართლო არა მხოლოდ იხილავს და წყვეტს განმეორებით იმ საქმეს, რომელზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, არამედ ამოწმებს ამ გადაწყვეტილების კანონიერებას და დასაბუთებულობას.

იმდენად, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება ხორციელდება საქმის ხელმეორედ არსებითად განხილვის გზით, სააპელაციო ინსტანციაში საქმეთა წარმოება სამოქალაქო პროცესის იმავე პრინციპებზეა აგებული, რაზეც აგებულია საქმეთაწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სრული მოცულობით მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რამეთუ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებაზე, ამგვარი შემოწმება ხორციელდება როგორც საქმეში არსებული მასალებისა და დადგენილი ფაქტების საფუძველზე, ისე ახალი ფაქტების დადგენისა და საქმეზე ახალი მტკიცებულებების გამოკვლევის გზით. მხარეებს, საქმის მონაწილე სხვა პირებს შეუძლიათ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარადგინონ ნებისმიერი ახალი მტკიცებულება, ამ მტკიცებულებათა შესახებობისა და დასაშვებობის და 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. როდესაც ახორციელებს პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს გამოიკვლიოს როგორც საქმეში არსებული გარემოებები და მტკიცებულებები, ისე საქმეზე დაადგინოს ახალი ფაქტები და გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები[1] (სსსკ-ის 380-ე მუხლი) და ამის საფუძველზე გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება. მითითებული ნორმის თანახმად, მხარეს შეუძლია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოადგინოს ახალი მტკიცებულებები. ამასთან, დასახელებული ნორმით შეზღუდულია აპელაციის სტადიაზე ახალ მტკიცებულებათა და გარემოებათა წარდგენა. კერძოდ, ახალი ფაქტები (გარემოებები) და ახალი მტკიცებულებები, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ მიიღება. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლების შესახებ საკითხთან.

ახალი ფაქტების (გარემოებების) დადგენა და ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა შესაძლებელია, თუ დაცული იქნება ორი პირობა: 1) ახალი მტკიცებულებების წარმდგენმა პირმა აუცილებლად უნდა დაასაბუთოს: თუ რატომ, რა საპატიო მიზეზით არ იყო წარდგენილი თავის დროზე პირველი ინსტანციის სასამართლოში მოცემული ფაქტები და მტკიცებულებები; რატომ ვერ შეძლო ასეთი მოთხოვნის დაყენება პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას;

2) სააპელაციო სასამართლომ პირის ახსნა-განმარტება პირველი ინსტანციის სასამართლოში მოცემული ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის შეუძლებლობის შესახებ უნდა დააკმაყოფილოს.

ამრიგად, აპელანტის მითითება ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც არ იყო წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში, დაიშვება მხოლოდ აპელანტის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ მტკიცებულებათა წარდგენის შეუძლებლობის

[1] ახლად ითვლება ის მტკიცებულებები და გარემოებები (ფაქტები), რომლებიც არ იყო მითითებული და არ განხილულა, არ გამოკვლეულა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რასაც ადასტურებს სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთების შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლო მიიღებს და გამოიკვლევს ახლად წარდგენილ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, თუ მიიჩნევს, რომ ისინი არ შეიძლება წარდგენილი ყოფილიყო პირველი ინსტანციის სასამართლოში, ანუ მხარეს არ შეეძლო წარედგინა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (სსსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ვინაიდან ახალ მტკიცებულებათა დაშვების საკითხს მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, სასამართლოს დასკვნა (მოტივები) აღნიშნულის შესახებ უნდა აისახოს განჩინებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებათა წარდგენის შეუძლებლობაში უნდა ვიგულისხმოთ მაგალითად ისეთი შემთხვევები, როცა პირველი ინსტანციის სასამართლომ უკანონოდ უთხრა უარი მხარეს ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაზე.

მტკიცებულებათა გამოკვლევაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს უკანონო უარის მაგალითია, როცა: სასამართლომ „შეცდომით მიიჩნია, რომ გარემოებები, რომელთა დასადასტურებლადაც მხარემ ითხოვა მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების გამოკვლევა, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით და უარი თქვა მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების გამოკვლევაზე"; სასამართლომ „უარი თქვა მტკიცებულებათა გამოკვევაზე, რადგან შეცდომით დაასკვნა, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც მხარემ ითხოვა მათი გამოკვლევა, არა აქვთ მნიშვნელობა საქმისათვის" და ა.შ.

პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაზე უარის გარდა, პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებათა წარდგენის შეუძლებლობაში ასევე იგულისხმება: მტკიცებულების გამოჩენა მას შემდეგ, რაც საქმე განხილულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოში; უშუალოდ მხარის მიერ მტკიცებულების გამოთხოვის (მოპოვების) შეუძლებლობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს უარი აღმოუჩინოს დახმარება მხარეს ამ მტკიცებულებათა გამოთხოვაში.

ამრიგად, სააპელაციო წარმოებაში მხარეებს მინიჭებული აქვთ უფლება სააპელაციო ინსტანციაში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები (მაგალითად, იშუამდგომლონ ახალ მოწმეთა დაბარებაზე), თუ დაცული იქნება გარკვეული პირობები, ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მინიჭებული აქვს ამ მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს არა მხოლოდ გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები, არამედ დაადგინოს ახალი ფაქტები.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო ინსტანციის უფლება დაადგინოს ახალი ფაქტები აუცილებლად როდია დამოკიდებული ახალი მტკიცებულებების გამოკვლევაზე, რამეთუ სასამართლოს შეუძლია ახალი ფაქტები დაადგინოს საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების საფუძველზეც, რომელთაც თვითონ მისცემს შეფასებას. აღნიშნულის დასადასტურებლად შეიძლება დასახელდეს სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

საპროცესო კოდექსის იმ თავებში, რომლებიც სააპელაციო წარმოებას ეხება, არ არის გათვალისწინებული, რა სახის მტკიცებულებები შეიძლება იქნეს წარდგენილი სააპელაციო ინსტანციაში და გამოკვლეული მის მიერ. ცალკეულ ნორმაში მოხსენიებულია დოკუმენტები (მაგ., სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტი, 373-ე მუხლი) ან საერთოდ (ზოგადად) მტკიცებულებები (მაგ.: სსსკ-ის 380-ე მუხლი).

იქიდან გამომდინარე, რომ სააპელაციო წარმოება წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში დადგენილი საქმეთა წარმოების წესებით საქმის განმეორებით განხილვას, უნდა ჩავთვალოთ, რომ სააპელაციო წესით შეიძლება გამოკვლეულ იქნეს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის,

იმ მტკიცებულებათა გარდა, რომლებიც კანონის დარღვევითაა მოპოვებული, არ გააჩნიათ იურიდიული ძალა და არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას (სსსკ-ის 103-ე მუხლი).

382-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის. ამასთან, ეს მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიღოს 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. კანონის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ.

სააპელაციო წარმოების, როგორც საქმის ხელმეორედ არსებითად განხილვის თავისებურება აისახება სააპელაციო წარმოებაში დისპოზიციურობის პრინციპის გამოყენებაზე.

საპროცესო კოდექსის იმ თავებით, რომლებიც სააპელაციო წარმოებას ეხება, დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების ფარგლები. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერებასა და დასაბუთებულობას სააპელაციო სასამართლო სრული მოცულობით არ ამოწმებს, თუმცა როგორც ითქვა სააპელაციო ინსტანციაში სრული მოცულობით მოქმედებს სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა პრინციპი. ასევე საქმის მონაწილენი ახორციელებენ კანონით მინიჭებულ ყველა უფლება-მოვალეობას, სააპელაციო წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, მხარეებს უფლება აქვთ სააპელაციო ინსტანციაში (წარმოებაში) განახორციელონ ისეთი დისპოზიციური წესები, როგორიცაა საქმის მორიგებით დამთავრება, მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე, მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს სარჩელი. აპელანტს უფლება აქვს უარი თქვას სააპელაციო საჩივარზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე და სხვა.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვა სააპელაციო საჩივარში დადგენილ ფარგლებში, ხელშეუვალი ნიშანია, რაც ახასიათებს სააპელაციო წარმოებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვის დროს შეზღუდულია (შემოფარგლულია, შებოჭილია) სააპელაციო საჩივრის მოსაზრებით (დასაბუთებით), ე.ი. განიხილავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა შესახებაც საუბარია სააპელაციო საჩივარში.

ფაქტისა და სამართლის იმ საკითხებით, რომლებიც დაყენებულია სააპელაციო საჩივარში, სააპელაციო წარმოების შეზღუდვის შესახებ წესი, სათავეს იღებს რომის სამართლის დებულებებიდან.

მოცემული წესის გამოყენება არ არის დამოკიდებული აპელაციის სახეზე (კერძოდ იმაზე, სრულ აპელაციასთან გვაქვს საქმე თუ არასრულთან), რამეთუ აპელაციის სახეების განსხვავება ხდება: 1) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობის მიხედვით და 2) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებების მიხედვით.

სააპელაციო საჩივრის ფარგლებში იგულისხმება ის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც აპელანტი აყენებს საჩივარში და სააპელაციო სასამართლოს შეზღუდვა საჩივრის ფარგლებით, ამ მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნით შეზღუდვას გულისხმობს, რაც ეხება საჩივარში მითითებულ სამართლებრივ საფუძვლებს, სააპელაციო სასამართლო მათში შეზღუდული არ არის და თავის გადაწყვეტილებაში ის სამართლებრივი საფუძველიც შეუძლია მიუთითოს, რომელსაც მხარე საჩივარში არ ეფუძნება.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში (tantum devolutum quantum appellatum) საქმის განხილვის შესახებ წესი უშუალოდ და მჭიდროდაა დაკავშირებული საუარესოდ შებრუნების აკრძალვის (დაუშვებლობის)

შესახებ წესთან (non reformatio in pejus), რაც გამოხატულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც (სსსკ-ის 377-ე მუხლი) და სასამართლო პრაქტიკაშიც.

მაგალითი: სარჩელში დაყენებულ იქნა რამდენიმე, მათ შორის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია 2000 ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი. მოსარჩელე არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას მოთხოვნათა დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე ითხოვა მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხის გადიდება (გაზრდა) 5000 ლარამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის 2000 ლარის ოდენობით ანაზღაურების ნაწილში გაუქმდა. დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

საკასაციო საჩივარში კასატორმა მიუთითა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევაზე.

იმდენად, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო მხოლოდ მოსარჩელის მიერ, მის მიერ შეტანილ იქნა სააპელაციო საჩივარი, რომელშიც მან ითხოვა მორალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხის გაზრდა, ხოლო მოპასუხეს არ შეუტანია სააპელაციო საჩივარი მოსარჩელის სასარგებლოდ 2000 ლარის გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებაზე. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 377-ე მუხლის დარღვევით მოპასუხის სააპელაციო საჩივრის არსებობის გარეშე არამართლზომიერად გააუქმა მოსარჩელის სასარგებლოდ 2000 ლარის გადახდევინების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან განახორციელა საუარესოდ შებრუნება.

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში მიიღო 2000 ლარის გადახდევინების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე ახალი გადაწყვეტილება. სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში საუარესოდ შებრუნების აკრძალვაში (დაუშვებლობაში) იგულისხმება განსასჯელის მდგომარეობის დამძიმების, გაუარესების დაუშვებლობა, როცა სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი შეაქვს განსასჯელს, მის დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს და ბრალდების მხარე (საჯარო ან კერძო ბრალმდებელი) სადავოდ არ ხდის აღნიშნულ საკითხს. **სამოქალაქო პროცესში საუარესოდ შებრუნების აკრძალვას შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი შინაარსი: იმ მხარის მდგომარეობა, რომელმაც გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, არ უნდა გაუარესდეს იმასთან შედარებით, რასაც მან მიაღწია პირველი ინსტანციის სასამართლოში.**

ერთ-ერთ საქმეზე მხარე სააპელაციო საჩივრის საფუძველზე მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც მას სადავო სახლის ის ნაწილი გამოეყო, რომელიც, მისი მოსაზრებით, მის ინტერესს არ შეესაბამებოდა. სააპელაციო სასამართლომ კი ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს უარი უთხრა დაკმაყოფილებაზე.

სსსკ-ის 377-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით. აქედან გამომდინარე, სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ თუ იურიდიულ დასაბუთებულობას ამოწმებს მხოლოდ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებაში. ამავე კოდექსის 384-ე მუხლი კი ადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლებს. აღნიშნული მუხლით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს არა აქვს უფლება, გასაჩივრებული გადაწყვეტილება

იმ ნაწილშიც შეამოწმოს და გააუქმოს, რომლის თაობაზეც სააპელაციო საჩივარში არ არის მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება აპელანტის მდგომარეობის საუარესოდ შებრუნება, რაც დაუშვებელია (იხ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წ. 19 ივლისის №3 კ – 846 – 02 და ამავე პალატის 2002 წ. 1 ნოემბრის 3 ე – 878 – 02 განჩინებები; ჟურნალი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი" 2002 წ. №10, გვ. 1976; 2003 წ. №1, გვ. 107). განსახილველ შემთხვევაში მხარე მართალია მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, მაგრამ არა იმ მიმართებით, რითაც მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი საერთოდ არ დაკმაყოფილდა, რითაც სასამართლომ მოახდინა აპელანტის მდგომარეობის საუარესოდ შებრუნება, რაც დაუშვებელია (სუსგ 2005 წ. №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 108-109).

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სააპელაციო საჩივარში მოცემულ ფარგლებში საქმის განხილვის შესახებ წესი გამოიყენება ყოველთვის, თუ კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას მოცემული წესის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

იმდენად, რამდენადაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა (სასამართლო სხდომა) ხორციელდება (ტარდება) იმავე წესებით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა წარმოებისას (აპელაციაში სრულდება ყველა აუცილებელი საპროცესო მოქმედება, საქმის მონაწილეებსაც ისეთივე წესით ატყობინებენ პროცესის შესახებ, როგორც პირველ ინსტანციაში და ა.შ.), საქმის მომზადებისა და განხილვის ვადები, ასევე საქმის მონაწილეთა და მათ წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის შესახებ საკითხები წყდება სსსკ-ის შესაბამისი ნორმებით დადგენილი წესით (იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში არ გამოცხადდება მხარე და პროცესის სხვა მონაწილე, დადგება იგივე შედეგები, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში).

სააპელაციო საჩივრის და მთლიანი საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლო იწყებს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას, რა დროსაც საქმის სწრაფად (დროულად) და სწორად განხილვის უზრუნველსაყოფად ასრულებს სსსკ-ის 203-ე და 373-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ მოქმედებას. ამრიგად, საქმის მომზადება უნდა პასუხობდეს სსსკ-ის მე-200 მუხლით გათვალისწინებულ მიზანს. საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად. მომხსენებელ მოსამართლეს შეუძლია შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა საპროცესო მოქმედებები. მას შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა (205-ე მუხლი).

სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების შემდეგ დგება სამოქალაქო პროცესის მომდევნო სტადია – სასამართლო განხილვა.

სასამართლო განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ხორციელდება XXV თავით დადგენილი წესით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სასამართლო განხილვისათვის, სააპელაციო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო სხდომის მდივანი აწარმოებს ოქმს სსსკ-ით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს, სასამართლო განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში შეიძლება დავყოთ ოთხ შემადგენელ ნაწილად: 1) მოსამზადებელი ნაწილი; 2) საქმის არსებითად განხილვა; 3) სასამართლო პაექრობა; 4) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილების მიღება და გამოქვეყნება (გა-

მოცხადება).

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა მთავრდება შესაბამისი სასამართლო დადგენილების გამოტანით. სააპელაციო სასამართლოს დადგენილების გამოტანა და მისი გამოცხადება იმავე წესით ხდება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, ამ სასამართლოს მიერ განხორციელებული უფლებამოსილების მიხედვით, შეიძლება გამოტანილ იქნეს სააპელაციო გადაწყვეტილების ფორმით, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და განჩინების ფორმით.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სააპელაციო გადაწყვეტილებისა და განჩინების შინაარსი უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 389-ე და 390-ე მუხლების მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლოში დასაშვებია საქმის როგორც ზეპირი განხილვა, ისე მისი განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე. საქმის ზეპირი განხილვის დროის დანიშვნა (განსაზღვრა) იმავე განჩინებით ხდება, რომლითაც განსახილველად იქნა მიღებული სააპელაციო საჩივარი (376-ე მუხლი). ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის პროცედურის თავისებურება განსაზღვრულია 383-ე მუხლით. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე ხდება 376[1]-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით. მოცემული ნორმა ორი ნაწილისაგან შედგება. ნორმის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობის არსებობისას სასამართლო თვითონ არის უფლებამოსილი საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, ხოლო მეორე ნაწილით გათვალისწინებული პირობის არსებობისას კი სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა შეუძლია მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით. ასეთი თანხმობის გამოხატვის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა იმყოფებოდეს საქმის მასალებში. სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ იმპერატიული მოთხოვნის დარღვევა და ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე უნდა დაკვალიფიცირდეს სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მიერ საქმის განხილვად. ასევე სსსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევად. ეს კი გადაწყვეტილების უპირობოდ გაუქმების საფუძველია სსსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად.

აპელანტს უფლება აქვს უარი თქვას სააპელაციო საჩივარზე (378-ე მუხლი) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის დროს სასამართლოს გამოაქვს განჩინება **სააპელაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ**. სააპელაციო (ისევე როგორც საკასაციო) საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეებს ერთმევათ სასამართლო აქტის სააპელაციო (საკასაციო) წესით კვლავ გასაჩივრების უფლება. სააპელაციო წარმოება ამ საფუძვლით წყდება მხოლოდ მოცემულ სააპელაციო საჩივარზე. შესაბამისად, წარმოება გრძელდება იმ აპელაციაზე, რომლითაც გასაჩივრდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოწინააღმდეგე მხარის მიერ (ვგულისხმობთ მოწინააღმდეგის მიერ დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრის შეტანას აპელანტის საჩივრის პარალელურად. აქედან გამონაკლისია შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რომლის განხილვა აღარ ხდება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში – 379-ე მუხლი).

ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 272-ე მუხლით დადგენილი საფუძვლების არსებობისას უფლება აქვს შეწყვიტოს საქმისწარმოებაც, სააპელაციო წარმოების შეწყვეტა უნდა განვასხვავოთ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტისაგან. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო სააპელაციო წარმოების შეწყვეტა არ ნიშნავს საქმის წარმოების შეწყვეტასაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება მხარეს აქვს გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც გამოტანილია მის წინააღმდეგ. ამიტომ, თუ მაგალითად, მოპასუხეა აპელანტი და იგი უარს ამბობს

სააპელაციო საჩივარზე, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სააპელაციო წარმოება და არა საქმისწარმოება და იმავდროულად, სააპელაციო წარმოების შეწყვეტის განჩინებით უცვლელად უნდა დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია მოსარჩელის სასარგებლოდ. მოსარჩელის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა კი იმავდროულად ნიშნავს სარჩელზე უარის თქმასაც იმ ნაწილში, რაც მის მიერ არის გასაჩივრებული, რამაც უნდა გამოიწვიოს მოთხოვნათა ამ ნაწილში საქმისწარმოების და არა სააპელაციო წარმოების შეწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო საჩივარზე (გასაჩივრებაზე) უარის თქმა შესაძლებელია არა მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში, არამედ პირველ ინსტანციაშიც (იხ. სსსკ-ის 370-ე მუხლი), რაც იწვევს არა სააპელაციო წარმოების შეწყვეტას, არამედ სააპელაციო საჩივარი ამის შემდეგ აღარ დაიშვება. სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მხარეს. წარმომადგენელს კი იმ შემთხვევაში — თუ ეს პირდაპირ იქნება დათქმული მინდობილობაში.

§4. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილება

სამოქალაქო პროცესში სააპელაციო ინსტანციის უფლებამოსილებები შედგება იმ უფლებებისა და მოვალეობებისგან, რომლებიც მას აქვს კანონიერ ძალაში შეუსვლელ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში კანონით დადგენილ საპროცესო მოქმედებათა შესრულებისას. ეს უფლება-მოვალეობები შეიძლება განხორციელდეს სააპელაციო წესით საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შედეგად.

სსსკ-ის 384-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

სააპელაციო ინსტანციას სააპელაციო წესით საქმის განხილვის შედეგად უფლება აქვს:

1) უცვლელად დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილოს, თუ მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება კანონიერი და დასაბუთებულია. როდესაც არ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს, სასამართლო ვალდებულია თავის განჩინებაში მიუთითოს ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც სააპელაციო საჩივარში ასახული მოსაზრებები (მსჯელობა) მიჩნეულია არასწორად (უსაფუძვლოდ) და არ წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. უფრო კონკრეტულად კი, სააპელაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, როცა საქმის განხილვის დროს გამოარკვევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად და სწორად გამოიკვლია საქმის ყველა გარემოება, გამოიკვლია, შეაფასა საქმეზე მტკიცებულებები, დადგენილი ფაქტების მიმართ სწორად გამოიყენა (შეუფარდა) სამართლებრივი ნორმა. ერთ-ერთ საქმეზე განმარტებულია: სსსკ-ის 390-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით. ზემოხსენებული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული იმდაგვარად, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. კანონის ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს. 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების

შესახებ. „მოკლე დასაბუთება“ არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში თავისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის პრეტენზია გასაჩივრებულ გადაწყვტილებაზე არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი კუთხით არ შეუფასებია. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს, თუ რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და მათ სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 105-ე მუხლზე და განმარტა: აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლოს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია ცალკეული მტკიცებულება არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა სასამართლო. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და მათ იურიდიულ შეფასებათა თაობაზე და გადაწყვიტოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში (საქმე №ას-452-427-2011).

2) თუ საქმის განხილვის დროს სააპელაციო ინსტანციის სასამართლო დაადგენს ახალ ფაქტობრივ გარემოებებს, საქმეზე გამოიკვლევს ახალ მტკიცებულებებს, გამოიყენებს სხვა სამართლებრივ ნორმას, მაშინ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღოს (გამოიტანოს) ახალი გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში აუცილებელია გვახსოვდეს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს არა აქვს უფლება გააუარესოს იმ პირის მდგომარეობა, ვინც შეიტანა სააპელაციო საჩივარი, გარდა შეგებებული საა-

პელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევისა.

სსსკ-ის 386-ე მუხლში მითითებულია, რომ თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით არ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს (ე.ი. უცვლელად ტოვებს გადაწყვეტილებას გასაჩივრებულ ნაწილში) ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

გადაწყვეტილების შეცვლა ეს არის მიკუთვნებული თანხის რაოდენობრივი შეცვლა (მოთხოვნის ოდენობის, მოცულობის გაზრდა ან შემცირება), აგრეთვე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ნებისმიერი სხვაგვარი შეცვლა (მაგალითად, აღსრულების ვადის, სასამართლო ხარჯების განაწილების შეცვლა).

გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლო იღებს ახალ გადაწყვეტილებას. **ახალი გადაწყვეტილება** არის მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების სხვაგვარად (განსხვავებულად) განსაზღვრა. ახალი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საპირისპიროა. ასეთ დროს სააპელაციო სასამართლოს თავისი, პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებული აზრი (მოსაზრება) აქვს მოცემულ სადავო საკითხზე.

3) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს სასამართლო განხილვა ან განუხილველად დატოვოს განცხადება (საჩივარი), თუ სახეზე იქნება სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, ან შეაჩეროს საქმის წარმოება.

სააპელაციო წარმოების მომწესრიგებელ ნორმებში (სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-2 ნაწილში და სხვა), არ არის მითითებული ის საფუძვლები, რომლებითაც სააპელაციო ინსტანციას შეუძლია საქმის წარმოების შეწყვეტა ან განცხადების განუხილველად დატოვება. სისტემატიკური განმარტების გზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი შედეგები შეიძლება დადგეს იმავე საფუძვლებით, რაც პირველი ინსტანციის ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში (სსსკ-ის 272 და 275-ე მუხლები).

ამრიგად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს (ფაქტობრივი სასამართლო) უფლება აქვს შეწყვიტოს საქმის წარმოება. რაც ეხება განცხადების განუხილველად დატოვებას, სსსკ 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა კანონით დადგენილი წესით მოწვეული არცერთი მხარე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 275-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. სსსკ-ის 275-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტი დაფუძნებულია ამავე კოდექსის 231-ე მუხლის დებულებებზე. ამდენად, შესაძლებელია მხარეთა ან რომელიმე მხარის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი (სარჩელი) განუხილველად დატოვოს თავისი ინიციატივით.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ითქვას, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, მხოლოდ კანონით იმპერატიულად განსაზღვრულ შემთხვევებში აქვს უფლება დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში. კანონის ამგვარ ნორმებს აქვთ კონკრეტული შინაარსი, ე.ი. მათში ჩამოთვლილია კონკრეტული შემთხვევები., რომლის დროსაც საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში სააპელაციო სასამართლოს ვალდებულებაა (იხ. სსსკ-ის 385-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, რამდენადაც მისი ხელმეორედ განხილვაა აუცილებელი თუ: ა) ადგილი აქვს სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს (საპროცესო დარღვევებს); ბ) გასაჩივრებული გადაწყვეტილებით (იგულისხმება

განჩინება) გადაწყვეტილია მხოლოდ სარჩელის დასაშვებობის საკითხი. როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს აზრით სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები (რომლებიც დადგენილია სსსკ-ის 180-ე, 186-ე მუხლებით) არ არსებობს, მას გამოაქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება. თუ პირველმა ინსტანციამ არასწორად მიიჩნია დაუშვებლად სარჩელი და არ მიიღო იგი, ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. გ) საჩივრდება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება; დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილ საჩივარს მისი დაუშვებლობის მიზეზით (იგულისხმება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის თქმის განჩინება, რომელიც დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად სააპელაციო წესით საჩივრდება).

აქედან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების დროს სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით (სსსკ-ის 377-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები).

4) იმდენად, რამდენადაც ქართული სააპელაციო წარმოება ატარებს არასრული აპელაციის ხასიათს, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გააჩნია ისეთი უფლებამოსილება, როგორიცაა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად (სსსკ-ის 385-ე მუხლი). როდესაც სააპელაციო სასამართლო საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად, მან ამასთან უნდა მიუთითოს რა შეცდომები დაუშვა სასამართლომ და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას დაუშვა შეცდომა.

მოცემული უფლებამოსილების არსებობა იმით აიხსნება, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არასრული აპელაციის პირობებში როგორც ასეთი, არ ხდება საქმის არსებითად ახალი განხილვა. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ამოწმებს, სწორად განხორციელდა თუ არა საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგალითად, შესრულდა თუ არა აუცილებელი მოქმედებები მტკიცებულებათა შეგროვების, დადგენის, შემოწმების მიზნით და ა.შ. შესაბამისად, არასრული აპელაციის ზოგადი წესის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს არ დაიშვება მითითება ახალ ფაქტებზე, გარემოებებზე, მტკიცებულებებზე, რომლებიც არ ყოფილა განხილული, არ გამოკვლეულა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და არ იყო მითითებული სააპელაციო საჩივარში ან სააპელაციო შესაგებელში.

თუ მხარეებს მეორე ინსტანციის სასამართლოში წარმოეშობათ იმის აუცილებლობა, რომ მიუთითონ (დაეფუძნონ) ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც მოითხოვს საქმის ხელახლა გამოკვლევას, მაშინ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს ამ შემთხვევაში გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე პირველი ინსტანციით ხელახლა განსახილველად.

მოცემული უფლებამოსილების არსებობა ხელს უწყობს იმას, რომ სააპელაციო სასამართლო არ მოქმედებდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს როლში და არ გადაწყვიტოს ის, რაც არ ყოფილა გადაწყვეტილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. სააპელაციო სასამართლოს უფლება დააბრუნოს საქმე სასამართლოში ხელახლა განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად, ორ სასამართლო ინსტანციაში საქმის თანმიმდევრულად განხილვის გარანტიაა.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი – ყოველთვის უნდა დააბრუნოს თუ არა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეთა მიერ ახალ მტკიცებულებათა წარდგენის ან ახალ გარემოებებზე დაყრდნობის (მითითების) შემთხვევაში?

აღვნიშნავთ, რომ ჯერ ერთი, ახალი მტკიცებულებები, ან გარემოებები (ფაქტები), რომ-

ლებიც მითითებულია სააპელაციო საჩივარში ან სააპელაციო შესაგებელში, შეიძლება გამოკვლეულ იქნეს სასამართლო განხილვის დროს, რის შედეგადაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს საქმეზე ახალი გადაწყვეტილება, რადგან მას უფლება აქვს საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები თვითონაც დაადგინოს. კერძოდ, სსსკ-ის 382-ე მუხლით სააპელაციო სასამართლო გამოიკვლევს როგორც ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ისე შეუძლია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები გაიზიაროს მთლიანად ან ნაწილობრივ, ე.ი. სააპელაციო სასამართლო ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და მას სრული უფლება აქვს ყოველმხრივ გამოიკვლიოს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებანი და დაადგინოს საქმეზე ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილით მინიჭებული უფლება და საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით თვითონ გამოიკვლიოს საქმეში არსებული მტკიცებულებანი, მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, თუ არ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა გაჭიანურებულია, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არსებითად თვითონ გადაწყვიტოს დავა. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილია საქმეთა განხილვის საპროცესო ვადები, რაც ითვალისწინებს სამოქალაქო დავების დროულ, გონივრულ ვადაში განხილვასა და გადაწყვეტას. (სუსგ 2002 წ. № 8, გვ. 1447-1448).

მეორე, როგორც დავინახეთ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მხოლოდ კანონით იმპერატიულად განსაზღვრულ შემთხვევებში აქვს უფლება დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ, იმისდა მიხედვით, თუ რა საფუძვლით აუქმებს გადაწყვეტილებას, თვითონ უნდა განსაზღვროს, უნდა გადაიგზავნოს საქმე ხელახლა განსახილველად თუ არა.

სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 372-ე და 385-ე მუხლების საფუძველზე უფლებამოსილია არ დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე ხელახლა განსახილველად და საპროცესო ეკონომიის მოსაზრებებით, როგორც უფლების დაცვის საყოველთაოდ აღიარებულმა გარანტმა, თვითონ გამოიტანოს არსებითად გადაწყვეტილება, თავად იმსჯელოს აპელანტის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, საქმის უკან დაბრუნების გარეშე გადაწყვიტოს დავა, თუ მიიჩნევს, რომ ეს „სასარგებლო" იქნება შესაბამისი საქმის განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტი ჯერ კიდევ არ ადასტურებს გაუქმებული სასამართლო აქტის უსწორობას.

§5. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილებანი

სააპელაციო წარმოების მომწესრიგებელი ნორმებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო ინსტანციას გამოაქვს ორი სახის დადგენილება: სააპელაციო განჩინება და სააპელაციო გადაწყვეტილება.

სააპელაციო განჩინების ფორმით სააპელაციო ინსტანციას სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამოაქვს დადგენილება შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს სააპელაციო ინსტანციის სასამართლო დაასკვნის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა საქმე და

გამოიტანა კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, მაშინ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი რჩება, ხოლო სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდება. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს დადგენილება გამოიტანება განჩინების ფორმით. სასამართლო დადგენილების ასეთი ფორმა სრულად შეესაბამება სსსკ-ის 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, სსსკ-ის 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 390-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულებებს, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლო თვითონ არსებითად არ წყვეტს იმ საქმეს, რომელიც მანამდე სწორად გადაწყვიტა პირველი ინსტანციის სასამართლომ და რომელიც სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა, არამედ გასაჩივრებული სასამართლო აქტის მხოლოდ კანონიერებას ადასტურებს თავისი განჩინებით.

2) როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უქმდება მთლიანად ან ნაწილობრივ და საქმის წარმოება წყდება, ან განცხადება (საჩივარი) განუხილველი რჩება.

3) როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაყვეტილება უქმდება და საქმე უბრუნდება იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

რაც ეხება სააპელაციო გადაწყვეტილების გამოტანას, საქმის არსებითად განხილვის შედეგად სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გაუქმების შემთხვევაში.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, რომელიც თავისი შინაარსით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საპირისპიროა და რომელსაც სააპელაციო გადაწყვეტილება ეწოდება. მოცემულ შემთხვევაში, ანუ როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად არასწორად მიაჩნია, სააპელაციო სასამართლო მთლიანად ან ნაწილობრივ აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და თვითონ წყვეტს საქმეს არსებითად, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

როდესაც სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო ან დაუსაბუთებელია, თვითონ უნდა გამოასწოროს დაშვებული შეცდომა, ე.ი. მიიღოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, როგორც საქმეში არსებული მასალების, ისე სააპელაციო ინსტანციაში დამატებით წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე. ამასთან გასათვალისწინებელია სსსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი შეზღუდვა.

სააპელაციო გადაწყვეტილება თავისი ფორმითა და შინაარსით უნდა პასუხობდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (სსსკ-ის 249-ე მუხლი), სსსკ-ის 389-ე მუხლით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ახალ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლო იღებს იმ შემთხვევებში, როცა მაგალითად, 1) პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განსაზღვრა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები; 2) როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებები, არ იყო დამტკიცებული ან კიდევ დადასტურდა დაუშვებელი, ან ისეთი მტკიცებულებებით, რომლებიც არ შეეხება საქმეს, ასევე დადასტურდა ურთიერთსაწინააღმდეგო (ურთიერთგამომრიცხავი) მტკიცებულებებით; 3) როცა პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვის დროს დაუშვა მატერიალური და (ან) საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა; 4) ყველა სხვა შემთხვევაში, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება დარჩეს ძალაში მისი დაუსაბუთებლობის ან (და) უკანონობის მოტივით.

ახალი გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება ეხებოდეს გადაწყვეტილების სარეზოლუ-

ციო ნაწილს, მაგალითად სასამართლო ხარჯების განაწილებას, მოთხოვნების ზოგიერთ იმ ნაწილს, რომელთა დაკმაყოფილებაზეც შეიძლება მხარეს უარი ეთქვას, ან პირიქით, ისინი შეიძლება დააკმაყოფილოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ.

დაბოლოს, სსსკ-ის 387-ე მუხლით გათვალისწინებულია მხარის გამოუცხადებლობის საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა,რომელიც სააპელაციო სასამართლოს დადგენილებებს მიეკუთვნება. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთგვარად სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების სუროგატია. დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში შეიძლება მიღებული იქნეს როგორც აპელანტის ისე მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. აპელანტის გამოუცხადებლობა სააპელაციო სასამართლოში,პირველ რიგში,გულისხმობს იმას,რომ მან ინტერესი დაკარგა პირველ ინსტანციაში მის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე და მის მიერვე შეტანილი სააპელაციო საჩივრის მიმართ. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ ახორციელებს სააპელაციო საჩივრის განხილვას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების რევიზიას. (სუსგ. 2003 წ. №1, გვ. 196-197).

§6. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გაუქმების საფუძვლები

იმდენად, რამდენადაც საუბარია სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და შემოწმების შესახებ, სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები საკასაციო წესით სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების ანალოგიურია (იხ. სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები).

ზოგადად შეიძლება ითქვას,რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს როცა პირველი ინსტანციის სასამართლომ: 1) იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებები არასწორად განსაზღვრა; 2) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ის გარემოებები, რომელთაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, არ არის დამტკიცებული; 3) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები არ შეესაბამება საქმის გარემოებებს; 4) დარღვეულია მატერიალური სამართლის ან საპროცესო სამართლის ნორმები ან არასწორად არის ისინი გამოყენებული.

პირველი სამი საფუძველი ადასტურებს,რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განიხილა საქმის ფაქტობრივი მხარე, ე.ი. ადასტურებს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობას, ხოლო მეოთხე საფუძველი მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის ხარვეზზე, ე.ი. მის უკანონობაზე.

თუ სააპელაციო წარმოებაში გამოვლინდება ზემოთჩამოთვლილი დარღვევები, დაშვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, სააპელაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ან დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

თუ დარღვეულია სსსკ-ის 394-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო სამართლის ნორმები (იხ. ასევე 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი), სააპელაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად (სსსკ-ის 385-ე მუხლი). ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს საქმის დაბრუნების გარეშეც, თვითონ მიიღოს (გამოიტანოს) ახალი გადაწყვეტილება (385-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

იმ შემთხვევაში, როდესაც არ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს, სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 390-ე მუხლიდან გამომდინარე თავის დადგენილებაში (რომელიც განჩინების ფორმით მიიღება) უნდა მიუთითოს ის მოტივები, რომლებითაც სააპელაციო საჩივრის მოსაზრებები მის მიერ მიჩნეულია არასწორად და რომლებიც არ წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს.

მაგალითად, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია კანონით დადგენილი საქმის განხილვის საპროცესო ვადები, ამგვარი არგუმენტი არ შეიძლება გახდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც არ შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს არსებითად სწორი გადაწყვეტილება მარტოოდენ ფორმალური მოსაზრებებით. ამ შემთხვევაში მითითება სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად, არასწორად გადაწყდა საქმე, იქნება სწორედ ის მოტივი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ უნდა მიუთითოს და რომელიც საფუძვლად უნდა დაუდოს თავის განჩინებას სააპელაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დროს. 390-ე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსსაც. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს: სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) შემომტანი პირის მოთხოვნას; საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას; მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

§7. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების სააპელაციო წესით გასაჩივრება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში განჩინებათა გასაჩივრების ოთხი გზა არსებობს: დამოუკიდებლად გასაჩივრება სააპელაციო (საკასაციო) წესით, გასაჩივრება საჩივრით, გასაჩივრება კერძო საჩივრით, განჩინების გასაჩივრება სააპელაციო ან საკასაციო საჩივრით გადაწყვეტილებასთან (ან განჩინებასთან – მაგალითად: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ) ერთად. მაგრამ გასაჩივრების გზის არჩევა მხარეთა ნებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ ეს განისაზღვრება კანონის პირდაპირი მითითების შესაბამისად. როდესაც კანონი დასაშვებად მიიჩნევს განჩინების დამოუკიდებლად, სააპელაციო წესით გასაჩივრებას, ასეთ დროს **სასამართლოს განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება და განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული წესით**.

ამრიგად, სააპელაციო გასაჩივრების (ისევე როგორც საკასაციო გასაჩივრების) დამოუკიდებელი ობიექტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში არის განჩინება.

სამოქალაქო საპროცესო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ მხარე არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებას, რომლის რაიმე სახით გასაჩივრება დამოუკიდებლად (ცალკე) არ დაიშვება, მას შეუძლია განჩინების საწინააღმდეგო მოსაზრებები ასახოს სააპელაციო საჩივარში ანუ სააპელაციო საჩივრით მოითხოვოს როგორც

ძირითადი გადაწყვეტილების, ისე ამგვარი განჩინების გაუქმება.

კანონი შეიცავს ერთადერთ პირდაპირ მითითებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების დამოუკიდებლად (სააპელაციო წესით) გასაჩივრების შესაძლებლობაზე (სსსკ-ის 240-ე მუხლი), რომელიც საჩივრდება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

აღნიშნული განჩინების სააპელაციო წესით გასაჩივრება შეუძლია მხარეს სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადაში.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, განჩინებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად უფლება აქვს:

1) პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება უცვლელი დატოვოს, ხოლო საჩივარი არ დააკმაყოფილოს;

2) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, თუ ის უკანონოა და არსებითად გადაწყვიტოს საკითხი კანონის საფუძველზე, ვინაიდან მასში მოქმედებს (გამოიყენება) პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების წესი;

3) სააპელაციო ინსტანციას, განჩინების გაუქმების შემთხვევაში, ისევე როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის დროს, უფლება აქვს დააბრუნოს საკითხი (საქმე) ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი სააპელაციო ინსტანციის განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით და მისი კანონიერ ძალაში შესვლა განისაზღვრება სსსკ-ის 264-ე მუხლით დადგენილი წესით.

თავი XXXIII

საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში

§ 1. არსი, კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო გადაწყვეტილებისა და განჩინების გასაჩივრების ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება

1. კასაციის[1] არსი და მნიშვნელობა

ნორმალურ ცივილიზებულ საზოგადოებაში სასამართლო სისტემა ყოველთვის მოიცავს სათანადო იურისდიქციის მქონე ორი სახის ორგანოს, რომელთაგან ერთი განიხილავს და წყვეტს სამოქალაქო საქმეს არსებითად, მეორე – ამოწმებს მიღებული (გამოტანილი) მართლმსაჯულების აქტების სისწორეს.

საქართველოში ქვემდგომი სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების სისწორეს აკონტროლებს სააპელაციო (მეორე ინსტანციის) და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები. ამასთან სააპელაციო და საკასაციო წესით გადაწყვეტილებათა გადასინჯვა სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმების ჩვეულებრივი საშუალებაა. იმ სტადიებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ხდება კანონიერ ძალაში შესული დადგენილებების გადასინჯვა, კასაციის სტადია არ არის ექსტრაორდინალური (განსაკუთრებული). მაგალითად, საქმის წარმოების განახლება გადაწყვეტილების გადასინჯვის განსაკუთრებული წესია.

სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა სისწორის შემოწმებისათვის სამოქალაქო პროცესში არსებობს პროცესის სამი დამოუკიდებელი სტადია:

1) კანონიერ ძალაში შეუსვლელი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრება სააპელაციო წესით;

2) საკასაციო წარმოება;

3) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება.

კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრება სასამართლო აქტების კანონიერების შემოწმების ყველაზე სწრაფი და ხელმისაწვდომი საშუალებაა. გასაჩივრების უფლების განხორციელება თავად ამ უფლების მქონე პირთა ნებაზეა დამოკიდებული.

დადგენილი წესის დაცვით და დადგენილ ვადაში საკასაციო საჩივრის შეტანა გამოიწვევს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის სავალდებულო განხილვას.

კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხარეებს, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს, განმცხადებელს. ამასთან, საკასაციო გასაჩივრებას ყველა სასამართლო გადაწყვეტილება როდი ექვემდებარება.

გასაჩივრების ინსტიტუტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გასაჩივრების სუბიექტებს უფლება აქვთ კანონით დადგენილ ვადაში შეიტანონ საჩივარი პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელ გადაწყვეტილებაზე და განჩინებაზე. საჩივრის საფუძველზე საქმეს ამოწმებს ზემდგომი სასამართლო, რომელიც ან

[1] თეორიასა და პრაქტიკაში ტერმინი „კასაცია“ გამოიყენება როგორც საკასაციო წარმოების სტადიის მნიშვნელობით, ისე საკასაციო საჩივრის მნიშვნელობით.

ადასტურებს გასაჩივრებული აქტის სისწორეს ანუ უფლება აქვს უცვლელი დატოვოს სასამართლოს დადგენილება, ან აუქმებს მას.

გასაჩივრების უფლების მქონე პირთათვის, გასაჩივრების უფლება გარანტირებულს ხდის თავიანთი სამართლებრივი პოზიციის დაცვის შესაძლებლობას, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც. ეს უფლება მათ აძლევთ შესაძლებლობას მიაღწიონ სასამართლო დადგენილების გაუქმებას, რომელიც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ამრიგად, სასამართლო დადგენილებათა გადასინჯვის მიზანია:

1) სასამართლო საქმიანობის მართლზომიერებაზე, მართლმსაჯულების აქტების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე კონტროლის განხორციელება;

2) სამოქალაქო-საპროცესო სანქციების მეშვეობით სამართალდარღვევათა აღკვეთა;

3) ხელახლა განსახილველად დაბრუნებული საქმის სწორად გადასაწყვეტად აუცილებელი და საკმარისი ზომების (ღონისძიებების) მიღება ქვემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

4) შემდგომში სასამართლოთა საქმიანობაში შეცდომების თავიდან ასაცილებლად ღონისძიებათა მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკასაციო[1] გადასინჯვა წარმოადგენს ბოლო, მესამე ინსტანციის სასამართლოს საქმიანობას, რომლის მიზანია კანონიერ ძალაში შეუსვლელი გასაჩივრებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმება. მხარეთა მიმართ კასაციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ეძლევათ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების თავიანთ სასარგებლოდ შეცვლის შესაძლებლობა. რაც ეხება საზოგადოებრივ ინტერესს, სასამართლო გადაწყვეტილების საკასაციო გასაჩივრება ემსახურება უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, აგრეთვე სამართლისა და მართლმსაჯულების განვითარებას.

მართლმსაჯულების აქტების გადასინჯვა საპროცესო საქმიანობის დამოუკიდებელი მიმართულებაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში. აღნიშნულ საქმიანობას ამა თუ იმ ხარისხით ყველა ინსტანციის სასამართლო ახორციელებს, მაგრამ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის ეს საქმიანობის ძირითადი სახეა და წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის დამოუკიდებელ საპროცესო ფუნქციას.

საკასაციო წარმოება სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი სტადიაა, რომლის წინაშეც პირველყოვლისა დგას, მთელი სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის საერთო ამოცანები. ამასთან, პროცესის მოცემულ სტადიას გააჩნია თავისი სპეციფიკური მიზნები. მაოგან მთავარია სასამართლო ხელისუფლების მიერ გამოტანილი აქტის (მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების და განჩინების) კანონიერების შემოწმება და ამით არასწორი დადგენილებების კანონიერ ძალაში შესვლისა და აღსრულების თავიდან აცილება. გარდა ამისა, საკასაციო წარმოების ამოცანაა სასამართლო შეცდომის გამოვლენა და აცილება კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების კანონიერებისა და დასაბუთებულობის უზრუნველყოფის მიზნით. დაბოლოს, მისი ამოცანაა საპროცესო მეთოდებით მართლმსაჯულების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის გარეშე.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს სასამართლო გადაწყვეტილებათა სისწორე სამართლებრივი კუთხით.

საკასაციო წარმოება დაინტერესებულ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საიმედო გარანტიაა. მაგრამ ამასთან, გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლება სამოქალაქო პროცესში დამოკიდებულია საჩივრის დასაშვებობის პირობების არსებობაზე.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლო შეცდომების დროულად გამოსწორება, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობა.

---

[1] კასაცია – წარმოსდგება ლათინურიდან cassatio – ნიშნავს: გაუქმება, მოსპობა, განადგურება.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს კონტროლს ქვემდგომი სასამართლოების საქმიანობაზე და მათ ხელმძღვანელობას თავისებურებები გააჩნია. კონტროლი და ხელმძღვანელობა ხორციელდება სპეციფიკური ფორმით – ძირითადად საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ კონკრეტულ განხილულ საქმეზე განჩინებათა გამოტანის გზით და შეხამებული უნდა იყოს კონსტიტუციაში გამოხატულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპთან.

კასაციის არსი მდგომარეობს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებაში.

კასაციის განსხვავება აპელაციისაგან საქართველოს სამოქალაქო პროცესში მის რამდენიმე თავისებურებაში მდგომარეობს. **პირველ ყოვლისა,** საკასაციო ინსტანციის სასამართლოს არა აქვს უფლება გამოიკვლიოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების მიმართ, რომელიც ასახულია პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან სხდომათა ოქმებში. მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მითითება იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე,რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება (სსსკ-ის 407-ე მუხლი). საკასაციო ინსტანცია უნდა შემოიფარგლოს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტებით, თუ წამოყენებული არ იქნება დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. ამის გამო, საკასაციო საქმის წარმოებისათვის დამახასიათებელია: ა) ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების არარსებობა; ბ) საკასაციო სასამართლოს დამოკიდებულება სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად (დადგენილად) ცნობილ ფაქტებზე.

მეორე, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია. დასაშვებია მხოლოდ შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანა, მიუხედავად იმისა, მოწინააღმდეგე მხარეს (იგულისხმება შეგებებული საკასაციო საჩივრის შემტანი პირი) აქვს თუ არა უარი ნათქვამი საკასაციო საჩივრის შეტანაზე.

მესამე, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით უფლება აქვს გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში, თუ გამოვლენილი საპროცესო დარღვევები არ შეიძლება გამოსწორდეს თავად საკასაციო სასამართლოს მიერ (მაგალითად, სსსკ-ის 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, როცა სასამართლო სხდომის ოქმი არ არსებობს საქმეში).

თუკი სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ საქმის გადაწყვეტის დროს დაარღვია ან არასწორად გამოიყენა მატერიალური სამართლის ნორმები,მაშინ დაშვებული სასამართლო შეცდომა თავად საკასაციო სასამართლომ უნდა გამოასწოროს.

მეოთხე, განსხვავებით სააპელაციო სასამართლოსაგან, რომელიც გადაწყვტილებას ამოწმებს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი (იურიდიული) მხრივ, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილების კანონიერებას. სსსკ-ის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საკასაციო წარმოებაში სამოქალაქო სამართლებრივი დავა ხელმეორედ განიხილება მხოლოდ სამართლებრივ ასპექტში (სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლები). საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილების მხოლოდ იურიდიულ მხარეს, კანონის დარღვევით ხომ არაა გამოტანილი გასაჩივრებული გადაწყვეტილება. რაც შეეხება დავის საგნის შეცვლას ან მოსარჩელის მოთხოვნის გადიდებას, როგორც წესი, ყოველთვის დაკავშირებულია ახალი ფაქტების დადგენასთან და,

აქედან გამომდინარე, ახალი მტკიცებულებების გამოკვლევასთან, შემოწმებასა და შეფასებასთან, რაც საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია (სსსკ-ის 406-ე მუხლი) (სუსგ 2005 წ. №4, სამოქალაქო პროცესი, გვ. 88). სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ კონსტატირებული სამოქალაქო საქმის ფაქტობრივი საფუძველი საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის სავალდებულო რჩება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის კანონიერება სადავოდ არის ქცეული დასაშვები და დასაბუთებული საჩივრით (407-ე მუხლი).

კასაციისაგან განსხვავებით რევიზია, როგორც მართლმსაჯულების აქტების გადასინჯვის ფორმა ჩვეულებრივ, ტოტალიტარულ სახელმწიფოებში გამოიყენება და მისთვის დამახასიათებელია ის, რომ სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილების სისწორეს და მხედველობაში არ იღებს საჩივრის შემტანის მოსაზრებებსა და სურვილებს.

ქართულ სამართალწარმოებაში ჩამოყალიბებულია კანონიერ ძალაში შეუსვლელი გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის თავისებური სისტემა. მაგალითად, თანამედროვე ქართული კასაციისათვის დამახასიათებელია როგორც აპელაციის, ისე კლასიკური კასაციის და ასევე რევიზიის (იხილეთ სსსკ-ის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) თვისებებიც, რომელიც საკმაოდ ეფექტიანია გამოვლენილი სასამართლო შეცდომების აღმოსაფხვრელად.

ქართული კასაციის დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ საერთო წესით, საკასაციო ინსტანციის სასამართლო არ ახდენს ქვემდგომი სასამართლოს მუშაობის (საქმიანობის) დუბლირებას.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში ქართული კასაციის არსი (თავისებურებანი) რამდენიმე ნორმატიულად განმტკიცებულ დებულებამდე დაიყვანება, კერძოდ, ესენია:

1. კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებების გასაჩივრების თავისუფლება. ეს უფლება მინიჭებული აქვთ მხარეებს და საქმის მონაწილე სხვა პირებს. მართალია, კანონი მხარეებს ანიჭებთ კანონიერ ძალაში შეუსვლელ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლებას (თავისუფლებას), მაგრამ გათვალისწინებულ უნდა იქნეს საჩივრის დასაშვებობის პირობები.

2. თავის უფლებამოსილებებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას საკასაციო ინსტანცია ახორციელებს კანონით იმპერატიულად დადგენილ ფარგლებში (კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით). სასამართლო საკასაციო წესით ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას (მის შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან) საკასაციო საჩივარსა და შეგებებულ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან გამომდინარე საკასაციო საჩივრის (შესაბამისად შეგებებული საკასაციო საჩივრის) ფარგლებში (გასაჩივრებულ ნაწილში), ამდენად, ეს ნიშნავს, მას არა აქვს უფლება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე) შეამოწმოს სრული მოცულობით (გაუსაჩივრებელ ნაწილში), აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთაც არ გაასაჩივრეს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელზეც კასაცია შეტანილი არ არის, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს. ამასთან, მისი განხილვის საგანია მხოლოდ და მხოლოდ აპელაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (განჩინებები) და არა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო წარმოების ამოცანები განსაზღვრულია სსსკ-ის 404-ე მუხლში სასამართლო გადაწყვეტილებათა შემოწმებისა და საქმის განხილვის ფარგლების დადგენის მეშვეობით. ამასთან, სსსკ-ის 404-ე მუხლითვე დადგენილ გამონაკლის შემთხვევაში, კერძოდ, როცა საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს კანონიერების ინტერესებიდან გამომდინარე უფლება აქვს გასცდეს საჩივრის (შეგებებული საკასაციო საჩივრის) სამართლებრივ საფუძვლებს

და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეამოწმოს სრული მოცულობით (ანუ უფლება აქვს თავისი ინიციატივით, თავისი შეხედულებით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები). კერძოდ, სასამართლოს საჩივარში ასახული მოსაზრებების მიუხედავად (იმისდა მიუხედავად, ასახულია თუ არა საჩივარში მითითება კანონის დარღვევაზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ) აუქმებს გადაწყვეტილებას, თუ საქმე განხილულია სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მიერ, მათ შორის, როცა საქმე განხილულია ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, მაშინ როცა ის კოლეგიურად უნდა გადაწყვეტილიყო (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ასევე როცა ის შეიცავს დასკვნებს იმ პირთა უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც სასამართლომ არ ჩააბა საქმეში მონაწილეობის მისაღებად და სსსკ-ის 394-ე მუხლში მითითებულ სხვა შემთხვევებში. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო არ შემოიფარგლება საკასაციო საჩივრის საფუძვლებით და გადაწყვეტილების სისწორეს ამოწმებს ფაქტობრივი კუთხით (გადაწყვეტილების დასაბუთებულობა) და სამართლებრივი კუთხით (გადაწყვეტილების კანონიერება).

3. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ასევე მინიჭებული აქვს ფართე უფლებამოსილებანი სასამართლოს შეცდომების აღმოსაფხვრელად (სსსკ-ის 411-ე, 412-ე მუხლები). მას უფლება აქვს ზოგიერთ შემთხვევაში საქმეზე გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მაგრამ ამასთან, ის ყოველთვის რჩება მაკონტროლებელ სასამართლო ორგანოდ.

სსსკ-ში საკასაციო წარმოება შეადგენს დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც მოიცავს როგორც კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებების გასაჩივრებას (სსსკ-ის 391-397 მუხლები), ისე თავად გადასინჯვას, რომელსაც მესამე ინსტანციის სასამართლო ახორციელებს (სსსკ-ის 399-ე – 413-ე მუხლები).

სამოქალაქო პროცესში გადაწყვეტილებათა საკასაციო გადასინჯვის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ:

1. ეს საშუალება უზრუნველყოფს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მუშაობაში კანონიერების დაცვას.

2. ეს არის სასამართლო ხელისუფლების აქტებისაგან ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ეფექტიანი საშუალება.

3. საკასაციო წარმოების მასალები მოქმედი სამართლისა და მისი განხორციელების პრაქტიკის სამეცნიერო ანალიზის ბაზას ქმნის.

2. გასაჩივრების ფორმების სახეები

ყველა საზოგადოებაში სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების სისტემა აგებული უნდა იყოს მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. სასამართლო მოწყობის მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე უფრო ტიპურია გასაჩივრების სააპელაციო და საკასაციო ფორმები.

სააპელაციო სისტემა წარმოიშვა დიდი ხნის წინათ რომის იმპერიაში (გასაჩივრების ამ ფორმის სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „appellatio"- „ვინმესთვის მიმართვა", მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება მიმართვა ზემდგომი სასამართლო ორგანოსადმი). აპელაციის შეტანის დროს საქმე გადადის შესაბამის ზემდგომ სასამართლოში, რომელიც ხელახლა (თავიდან) განიხილავს მას გასაჩივრებული ნაწილის ფარგლებში, ვინაიდან მოქმედებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, ე.ი. იკვლევს მტკიცებულებებს, აფასებს მათ, ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს, იყენებს (უფარდებს) სამართლის სათანადო ნორმას და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება. თუმცა, პრაქტიკაში, სააპელაციო ინსტანცია, როგორც წესი, კმაყოფილდება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ

შეგროვილი მასალების ხელახლა შეფასებით, რის შედეგადაც მისი როლი და მნიშვნელობა, რომელიც იდეაში უნდა მდგომარეობდეს, საქმის სრულად და კვალიფიციურად გადასინჯვაში, ნაკლებია.

რაც ეხება საქმეთა გადასინჯვის საკასაციო სისტემას, ის წარმოიშვა საფრანგეთში, ხოლო შემდეგ აითვისა მრავალმა სახელმწიფომ. საკასაციო სისტემის დროს (მათ შორის ჩვენშიც) საქმეთა განხილვა საკასაციო წესით, თავმოყრილია მთელი ქვეყნისათვის ერთიან სასამართლო ორგანოში.

საკასაციო სასამართლო სრულიადაც (საერთოდ) არ ამოწმებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რამეთუ მათი დადგენა პროცესში ითვლება პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების პრეროგატივად. ის საქმეს ამოწმებს მხოლოდ ქვემდგომი სასამართლოების მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების დაცვის თვალსაზრისით და მხოლოდ საჩივარში მითითებული მიზეზების (კასაციის მიზეზის) ფარგლებში. სხვა, თუნდაც კანონის ძალზედ მნიშვნელოვანმა და აშკარა დარღვევებმა არ შეიძლება გავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე, ვინაიდან კასატორი (საჩივრის შემტანი პირი) მათ არ ეფუძნება. საკასაციო სასამართლოს შეუძლია: თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ან ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან გააუქმოს იგი და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო გადასინჯვის თავმოყრა მთელს ქვეყანაში ერთადერთ სასამართლო ორგანოში, კონტროლის საგნის არსებითი შეზღუდვა, საკასაციო სასამართლოს საქმიანობის ფორმალიზმის მაღალი დონე იმითაა განპირობებული, რომ აღნიშნული დაწესებულების ძირითადი ამოცანა მდგომარეობს კონკრეტულ საქმეებზე დაშვებული სასამართლო შეცდომების გამოსწორებაში.

ზოგიერთ სახელმწიფოში (გერმანია, ავსტრია და სხვა) მოქმედებს საქმეთა გადასინჯვის სარევიზიო წესი. სარევიზიო სასამართლო აღჭურვილია ძალზე ფართო უფლებამოსილებებით, არ არის შებოჭილი საჩივარში მითითებული მიზეზებით, ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლია არ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად და ხელახლა თვითონ გადაწყვიტოს დავა.

ამრიგად, როდესაც ზემდგომი სასამართლოები განიხილავენ საჩივრებს, ისინი ამოწმებენ ქვემდგომი სასამართლოების დადგენილებათა (გადაწყვეტილებათა და განჩინებათა) კანონიერებასა და დასაბუთებულობას, ასწორებენ მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს, ხელს უწყობენ მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას და უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

უფრო კონკრეტულად საკასაციო წარმოების შინაარსი შეიძლება აიხსნას საპროცესო უფლებებისა და მოქმედებების ანალიზის გზით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლებას, საკასაციო საჩივრის განხილვის წესს, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებას, სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმების საფუძვლებს. გარდა ამისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სასამართლო განჩინებათა გასაჩივრების თავისებურებებზე.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას საკასაციო სასამართლოს ძირითად ამოცანას, რომელიც მდგომარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმებაში და ამ გზით აღმოჩენილი შეცდომების აღმოფხვრაში. გარდა ამისა, არსებობს სხვა, საკასაციო კონტროლის არანაკლებ სერიოზული ამოცანა — ქვემდგომი სასამართლოების საქმიანობის საპროცესო ხელმძღვანელობა. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილებათა საკასაციო გადასინჯვა ძლიერ გავლენას ახდენს ადგილებზე მართლმსაჯულების მდგომარეობაზე და ერთიანი სასამართლო პოლიტიკისა და პრაქტიკის

ფორმირების (ჩამოყალიბების) უმნიშვნელოვანესი მეთოდია.[1]

3. სასამართლო გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება და გასაჩივრების სუბიექტები

სამოქალაქო სამართალწარმოებაში კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებების საკასაციო გასაჩივრების უფლება წარმოადგენს მხარეთა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირთა კანონით დადგენილ შესაძლებლობას (უფლებას), საკასაციო საჩივრით მესამე ინსტანციის სასამართლოში მოითხოვონ კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების გადასინჯვა (საკასაციო წარმოების აღძვრა).

აღნიშნული უფლება სასამართლო წესით დაცვის უფლების (კონსტიტუციის 42-ე მუხლი) სახესხვაობაა და მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეშვეობით ხდება ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების დარღვეული უფლებების დაცვა, რომელიც არ დაიცვა სასამართლო ხელისუფლებამ. ე.ი. ეს არის სასამართლო ხელისუფლების უკანონო აქტისაგან დაცვა.

კანონი ადგენს საკასაციო საჩივრის შეტანის საფუძვლებს, რამდენადაც დაინტერესებულ პირს ყველა შემთხვევაში, როცა კი თვლის, რომ სასამართლომ გამოტანილი გადაწყვეტილებით დაარღვია მისი უფლება, როდი აქვს საჩივრის შეტანის უფლება (უფლების სადავოდ ქცევა არ შეიძლება იყოს საკასაციო გასაჩივრების მიზეზი, რამდენადაც უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანით სასამართლო ყოველთვის არღვევს და არა სადავოდ ხდის სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებებს).

საკასაციო გასაჩივრების უფლება გასაჩივრების უფლების მქონე პირებს წარმოეშობა გადაწყვეტილების საბოლოო ფორმით გამოტანის მომენტიდან, როცა მხარე ესწრება საბოლოო ფორმით გადაწყვეტილების გამოცხადებას (იგულისხმება დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა), ან დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების (გადაცემის) მომენტიდან, როცა მხარეთა თანდასწრებით მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი იქნა გამოცხადებული. გასათვალისწინებელია ასევე 259-ე პრიმა მუხლი. საკასაციო გასაჩივრების ვადის განმავლობაში დაიშვება საჩივარზე უარის თქმა. საკასაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის დროს ასევე შესაძლებელია საჩივარზე უარის თქმა, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის გამოხმობა და მორიგება, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

საკასაციო გასაჩივრების უფლება მინიჭებული აქვს იმ პირს, რომელიც პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულია (აღიარებულია) მხარედ. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მხარემ მიიღო თუ არა რეალური მონაწილეობა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სხდომაში, მთავარია და მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იგი ჩაბმული (დაშვებული) იყო პროცესში მხარედ. უფრო მეტიც, გასაჩივრების უფლება ეკუთვნით აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებიც ფორმალურად არ იქნენ ჩაბმული საქმეში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ სინამდვილეში (რეალურად) მხარეთა მდგომარეობაში არიან ჩაყენებული (მხარეთა მდგომარეობა უკავიათ) იმით, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრა (გადაწყვიტა მათი უფლება-მოვალეობების შესახებ საკითხი) მათი უფლებები და მოვალეობები (რითაც აქცია ეს პირები მხარედ). მაგალითად, სასამართლომ დაარღვია სააღსრულებო წარმოებათა კანონით დადგენილი წესი სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის შესახებ და ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ საქმის მომზადების დროს არ ჩააბა სავალდებულო (აუცილებელი) თანამოპასუხეები, მაგრამ გამოიტანა მათი ინტერესების შემლახავი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში ეს პირები სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსის მიხედვით, ხდებიან საქმის მონაწილე

[1] Пучинский В.К. Кассационное производство в советском гражданском процессе. М. 1973. გვ. 5.

პირები და იძენენ გასაჩივრების უფლებას, ვინაიდან მათ მიმართ დადგა გადაწყვეტილება. ამ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა არსებითად შელახავდა მათ უფლებებს.

სსსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის შეტანა შეუძლიათ აგრეთვე საქმის მონაწილე პირთა (მხარეთა, მესამე პირთა) უფლებამონაცვლებსაც.

სასამართლო (სახელშეკრულებო) წარმომადგენელს იმ პირობით აქვს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება, თუ მისი ეს უფლებამოსილება დადასტურებულია (დათქმულია) სპეციალური მინდობილობით.

კანონიერ წარმომადგენელს კი საკასაციო საჩივრის შესატანად სპეციალური უფლებამოსილება არ მოეთხოვება. კანონიერ წარმომადგენელს წარმოდგენილი პირის სახელით შეუძლია ყველა იმ საპროცესო მოქმედების შესრულება, რომელთა შესრულების უფლებაც აქვთ წარმოდგენილ პირებს, მათ შორის უფლება აქვთ დამოუკიდებლად გაასაჩივრონ გადაწყვეტილება, სპეციალური მინდობილობის უქონლადაც.

4. საკასაციო საჩივრის შეტანის წესი

საკასაციო გასაჩივრების უფლების განხორციელება და საჩივრის შეტანა დადგენილი წესის დაცვით უნდა მოხდეს, კერძოდ, აუცილებელია:

1) საკასაციო საჩივრის შედგენა სსსკ-ის 396-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ საჩივრის შინაარსს განსაზღვრავს თავად კასატორი, კანონი კი (396-ე მუხლი) აწესებს აუცილებელ მოთხოვნებს.

2) საკასაციო საჩივრის იმდენი ასლის წარდგენა, რამდენიც საქმის მონაწილეა.

3) სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გასაჩივრების სუბიექტმა უნდა დაიცვას სასამართლოსადმი მიმართვის წესები.

ზემოთჩამოთვლილი პირობების გარდა, კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში საკასაციო საჩივარი უნდა შეიტანოს კანონით დადგენილ ვადაში იმისათვის, რომ აღნიშნულმა სასამართლომ საჩივარი საქმეთან ერთად გადაგზავნოს მესამე ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო საჩივარი საპროცესო დოკუმენტია, რომელიც უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს:

1) კასატორის დასახელებას და მისამართს;

2) იმ გადაწყვეტილებაზე მითითებას, რომელიც საჩივრდება და ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე მითითებას;

3) მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და რაში მდგომარეობს საჩივრის შემტანი პირის თხოვნა;

4) მითითებას საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის დამადასტურებელ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, თუ საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება.

5) საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას. ამასთან, დაუშვებელია ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა საკასაციო სასამართლოში.

6) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი (იგულისხმება საკასაციო სასამართლო); 7) მითითებას, თუ რა ნაწილში საჩივრდება გადაწყვეტილება; 8) მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა კასატორი გადაწყვეტილების გაუქმებას თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი).

საჩივარს ხელს აწერს კასატორი ან მისი წარმომადგენელი. წარმომადგენლის მიერ შეტანილ საჩივარს უნდა დაერთოს ამ წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა ან უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა

დოკუმენტი), თუ საქმეში არ მოიპოვება ასეთი დოკუმენტი.

თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მისი შინაარსისადმი 396-ე მუხლით წაყენებულ მოთხოვნებს, ან სახ. ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო განჩინებას გამოიტანს და კასატორს ავალებს, შეავსოს საჩივრის ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველი დარჩება.

საჩივრის შეტანის წესი იმაში მდგომარეობს, რომ კასატორს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით.

საკასაციო საჩივარი შეიძლება შეცდომით შეტანილ იქნეს უშუალოდ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. საჩივრის შეტანა უშუალოდ საკასაციო ინსტანციაში არ წარმოადგენს საჩივრის განხილვის დამაბრკოლებელ ფაქტორს. თუმცა, თუ საკასაციო სასამართლოს არ ექნება მთლიანად სამოქალაქო საქმე, არ ექნება არც იმის შესაძლებლობა, რომ სწორად განსაზღვროს, აქვს თუ არა პირს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, იმ ოდენობით არის თუ არა შეტანილი სახ. ბაჟი, რასაც მოითხოვს კანონი, წარდგენილია თუ არა საჭირო რაოდენობით საკასაციო საჩივრის ასლები. სააპელაციო სასამართლოდან საქმის გამოთხოვა კი ამ გარემოებათა შესამოწმებლად აგრეთვე შეუძლებელია (არ დაიშვება). ამიტომ უშუალოდ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შეტანილი საჩივარი, უნდა გადაეგზავნოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სსსკ-ის 398-ე მუხლში მითითებული მოქმედებების შესასრულებლად (საქმის გადაგზავნა საკასაციო სასამართლოში).

ამ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის დაცვა განისაზღვრება ზემდგომ (საკასაციო) სასამართლოში საჩივრის შეტანის მომენტის მიხედვით.

5. საკასაციო გასაჩივრების ვადა

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება საბოლოო ანუ დასაბუთებული სახით (ფორმით) გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან (თუ მის გამოცხადებას ესწრება კასატორი – სხვა შემთხვევაში მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან – 397-ე მუხლი). 397-ე მუხლში მოცემულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთი პირობა – კასაციის შეტანის ვადის დაცვის აუცილებლობა. საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით და იგი 21 დღეს შეადგენს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლისას 397-ე მუხლის გარდა, 259[1]-ე მუხლიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში, თუ სხდომის ოქმიდან არ ჩანს, დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნა გამოცხადებული თუ მხოლოდ მისი სარეზოლუციო ნაწილი ან სხვაგვარად ეჭვის ქვეშ დგება დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების საკითხი, როცა სსსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ასევე ამავე კოდექსის 288-ე მუხლის „ძ" პუნქტის შესაბამისად – სხდომის ოქმში განმარტებული არ არის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, მაშინ მხარეს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ყოველთვის უნდა ჰქონდეს მის მიერ ამ გადაწყვეტილების ასლის მიღების დღიდან. იმ შემთხვევაში კი, თუ საქმის მასალებით ვერ ხერხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის მხარეზე ჩაბარების ზუსტი თარიღის დადგენა, ზოგადსამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირის სასარგებლოდ, ანუ გასაჩივრების ვადა არ უნდა იქნეს მიჩნეული გასულად. (სუსგ 2003 წ. №6, გვ. 1588).

გასაჩივრების ვადის განმარტებაში იგულისხმება არა მხოლოდ ვადის მითითება, არამედ

პროცესის მონაწილეებს ასევე უნდა ეცნობოთ ვადის დინების დასაწყისზე (სუსგ 2003 წ. №9. გვ. 2534).

კანონით დადგენილი ვადა არ შეიძლება შეამციროს ან გააგრძელოს ან აღადგინოს სასამართლომ თავისი დადგენილებით.

საკასაციო ინსტანციას (სასამართლოს) წარმოადგენს საკასაციო პალატა.

397-ე მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან, გულისხმობს ორ გარემოებას:

1) პირველ რიგში, სსსკ-ის 257-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში აღნიშნული ვადა გამოითვლება არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტიდან, არამედ სრული ტექსტის გამოცხადების მომენტიდან (ეს თარიღი შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში და მხარეებს ეცნობება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დროს);

2) მეორე ის, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის დროს, როგორც დამატებითი, ისე ძირითადი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გამოითვლება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შეტანილი საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩება განუხილველი.

6. საკასაციო გასაჩივრების ობიექტი

საკასაციო გასაჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება.

ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ცალკეული გამონაკლისი შემთხვევა (აკრძალვა), როცა გადაწყვეტილების გასაჩივრება არ დაიშვება. კერძოდ, დაუშვებელია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება (სსსკ-ის 392-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ.

სსსკ-ის შესაბამისად, გასაჩივრების საშუალებაა მხოლოდ საკასაციო საჩივარი. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი შეტანილია მთლიან გადაწყვეტილებაზე, თუ ის არ გაუქმებულა, კანონიერ ძალაში შედის მხოლოდ საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შემდეგ.

საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ საკასაციო საჩივარი შეიტანონ სსსკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად გამოტანილ დამატებით გადაწყვეტილებაზეც.

და ბოლოს, დასაშვებია ცალკეულ განჩინებათა (მაგალითად დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელი დატოვების თაობაზე) საკასაციო წესით დამოუკიდებლად გასაჩივრება.

სსსკ-ის 420-ე, 404-ე მუხლის მე-2 ნაწილით საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. ამ ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს განჩინების კანონიერება.

სსსკ-ის 404-ე მუხლი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლებს და ადგენს, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასთან ერთად საკასაციო სასამართლო მხარის მოთხოვნის შემთხვევაში შეამოწმებს იმ განჩინებების დასაბუთებასაც, რომლებიც მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და დამოუკიდებლად არ საჩივრდება. 420-ე მუხლი განსაზღვრავს კერძო საჩივრის სამარ-

თალწარმოების ზოგად წესსა და პირობებს, ხოლო 404-ე მუხლი სპეციალურ ნორმას წარმოადგენს, შესაბამისად არეგულირებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის განხილვის თავისებურებებს – საკასაციო საჩივრის ფარგლებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით. ასეთ დროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება იმ განჩინებებთან ერთად, რომელიც წინ უსწრებს ამ გადაწყვეტილებას, შესაბამისად კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის გამოყენებისას უნდა ასაბუთოს არაკანონიერი გასაჩივრებული განჩინების გავლენა საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერებაზე (სუსგ 2008 №12, გვ. 54-55).

7. საჩივრის დასაშვებობის შემოწმება საკასაციო სასამართლოს მიერ

კანონში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, რაც წაეყენება საჩივრის შინაარსსა და საჩივრის წარდგენის (შეტანის) წესს, იურიდიული მნიშვნელობა აქვს. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობას საპროცესო შედეგები მოსდევს. კერძოდ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნევა. საკასაციო საჩივარი დასაშვებობის ორ ეტაპს გადის. საკასაციო სასამართლო პირველ ყოვლისა ამოწმებს 396-ე მუხლით გათვალისწინებულ კასაციის ფორმალურ წინაპირობებს (იხ. 401-ე მუხლის პირველი ნაწილი). ანუ არის თუ არა კასატორის მიერ დაცული ფორმალური წინაპირობები და ამ თვალსაზრისით არის თუ არა დასაშვები კასაცია. 397-ე მუხლის წინაპირობების შემოწმებაზე კანონში (401-ე მუხლში) არაფერია ნათქვამი, თუმცა უდავოა, რომ ფორმალურ წინაპირობებს ამ ნორმის დაცვაც მიეკუთვნება (იხ. 396-ე მუხლის მესამე ნაწილი). კონკრეტულად უნდა ითქვას, რომ **პირველ რიგში, საკასაციო საჩივარი სრულყოფილი უნდა იყოს. საკასაციო საჩივარი შედგენილი და წარდგენილი უნდა იქნეს სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუ საკასაციო საჩივარი შედგენილია სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ეს ნიშნავს, რომ სასამართლოში წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო საჩივარი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ კანონის რომელი დარღვევით არის გამოტანილი გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) ანუ საკასაციო საჩივარი 393-ე მუხლის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.**

საკასაციო სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ კასატორმა შეასრულა საკასაციო სასამართლოსადმი უფლების დასაცავად მიმართვის პირობები და საჩივარი შეიტანა 21 დღიან ვადაში, კერძოდ უნდა დარწმუნდეს: აქვს თუ არა საჩივრის შემტან პირს საკასაციო გასაჩივრების უფლება, შევიდა თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში და ექვემდებარება თუ არა ის საკასაციო წესით გასაჩივრებას; გადახდილია თუ არა სახ. ბაჟი, როცა მისი გადახდა კანონითაა გათვალისწინებული, რადგან ყოველივე ეს წარმოადგენს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის (დასაშვებად მიჩნევის) აუცილებელ პირობებს.

თუ საკასაციო საჩივარს ხელს არ აწერს კასატორი, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე, საჩივარი შეტანილია თანდართული წერილობითი მასალების ნუსხის გარეშე, არ არის გადახდილი სახ. ბაჟი და სხვა, ანუ თუ საჩივარი არ პასუხობს სსსკ-ის 396-ე მუხლის თუნდაც ერთ მოთხოვნას, სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება და კასატორს დაუნიშნოს ვადა ხარვეზის შესავსებად. საკასაციო საჩივრის ხარვეზის შევსების ვადა სასამართლომ უნდა დანიშნოს კასატორის მიერ ხარვეზის შევსების (ცნობების, დოკუმენტის ასლების და საჩივარზე დასართავი სხვა აუცილებელი მასალების მიღების) რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით.

თუ კასატორი დროულად (სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში) შეასრულებს ხარვეზის განჩინებაში ასახულ მითითებებს (დავალებას), ანუ შეავსებს ხარვეზს, მაშინ საჩივარი შეტანილად ითვლება სასამართლოში თავდაპირველად წარდგენის (შეტანის) დღიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშვება და დაუშვებლობის გამო განუხილველი დარჩება (ანუ შეტანილად არ ჩაითვლება). სსსკ-ის 396-ე მუხლის

მე-3 ნაწილის თანახმად, ასეთივე შედეგი (საჩივრის განუხილველად დატოვება) დადგება მაშინაც, როცა საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით (სსსკ-ის 397-ე მუხლით) დადგენილ ვადაში.

კასატორის მიერ საკასაციო გასაჩივრების 21 დღიანი ვადის დაცვის შემოწმების დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ აღნიშნული ვადის დენის დასაწყისად სსსკ-ის მე-60 და 397-ემუხლების შესაბამისად ითვლება საბოლოო ფორმით (იგულისხმება დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადება) გადაწყვეტილების გამოტანის (გამოცხადების) დღის მომდევნო დღე, თუ ამ საბოლოო (დასაბუთებული) გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება კასატორი, ან მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემის (ჩაბარების) დღის მომდევნო დღე, როცა დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა გადადებული იყო სსსკ-ის 257-ე მუხლის შესაბამისად. საკასაციო გასაჩივრების ვადის კასატორის მიერ დაცვის შემოწმების დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სსსკ-ის 259[1]-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის ათვლის წესი.

საკასაციო სასამართლომ კასაცია დაუშვებლად უნდა მიიჩნიოს, თუ ის შეიტანა არასათანადო პირმა, (პირმა, რომელსაც შესაბამისი უფლება არ აქვს), ან შეტანილია ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება (არ შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით). ასეთი საჩივარი არ შეიძლება იყოს საკასაციო წარმოების აღძვრის საფუძველი. ამიტომ საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა (სსსკ-ის 401-ე მუხლი), კერძოდ, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით (ეს მუხლი ეხება საკასაციო საჩივრის შინაარსს). თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს 396-ე მუხლის მოთხოვნებს, ანუ თუ სასამართლო ამ მუხლის წინაპირობების არსებობას დაადასტურებს, ამ შემთხვევაში სასამართლო იღებს წარმოებაში საკასაციო საჩივარს სსსკ-ის 391-ე მუხლის (რომელიც საკასაციო საჩივრის შეტანას ეხება) საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად. ამით იწყება კასაციის დასაშვებობის მეორე ეტაპი. 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით საკასაციო საჩივრის შეტანის შემოწმებას და საჩივრის წარმოებაში მიღებას 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად მომხსენებელი მოსამართლე ერთპიროვნულად წყვეტს ზეპირი განხილვის გარეშე. რაც შეეხება დასაშვებობის ზემოაღნიშნულ მეორე ეტაპს – საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებას 391-ე მუხლის საფუძველზე, 401-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს საკითხი უზენაესი სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ უნდა განიხილოს. ნორმის თანახმად, კოლეგია უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის (ზეპირი განხილვის) გარეშე. დასახელებული ნორმა არ მიეკუთვნება იმპერატიულ ნორმათა კატეგორიას და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს სასამართლოს ალტერნატიული ვალდებულება, 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განიხილოს მხარეთა დასწრებით ან მათ დაუსწრებლად. **სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებულია საკასაციო საჩივრის შეტანის წანამძღვრები და მითითებულია საჩივრის დასაშვებობის ზოგიერთ პირობაზე.** აღნიშნული ნორმის თანახმად საკასაციო საჩივარი არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე. საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ: **ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.** დასაშვებობის მოცემული პირობის გამოყენებას საფუძვლად ყოველთვის სამართლის საკითხი უდევს. სხვაგვარად რომ ითქვას, საუბარია სამართლებრივი ნორმის არასწორი განმარტების, არასწორი გამოყენების ან იმ სამართლებრივი ნორმის გამოუყენებლობის

შესახებ, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს, ე.ი. კანონის დარღვევის შესახებ (393-394-ე მუხლები). სამოქალაქო საქმეს მნიშვნელობა აქვს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, თუ ის გადაწყვეტილება რომელიც საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს ეხება სამართლის საკითხს, რომელიც მოითხოვს დაზუსტებას და განმარტებას საკასაციო სასამართლოს მიერ იმის გამო, რომ სამართლის აღნიშნულ საკითხს აქვს უდიდესი მნიშვნელობა და საზოგადოებრივ ინტერესებზე (მაგალითად ეკონომიკაზე) ახდენს ზეგავლენას. ამ მოსაზრებიდან და მართლმსაჯულების მიზნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს აქვს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის – **„სამართლის შექმნის"** უფლებამოსილება. საქმის მნიშვნელობა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, კასაციის დასაშვებობის ორი კრიტერიუმია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე კრიტერიუმი „და" კავშირით არის გაერთიანებული, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კუმულატიურ წინაპირობას კი არ წარმოადგენს, არამედ საკმარისია სახეზე იყოს ერთ-ერთი ამ კრიტერიუმთაგანი. ამასთან, საქმის მნიშვნელობა სამართლის განვითარებისათვის ნიშნავს, რომ იგი მნიშვნელოვანია ასევე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. ამდენად ეს ორი კრიტერიუმი ერთმანეთს განაპირობებს. საქმეს მნიშვნელობა ექნება სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ასევე იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება და ამასთან, ამ საკითხთან დაკავშირებით უზენაეს სასამართლოს არა აქვს გამოტანილი გადაწყვეტილება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც შესაძლოა წარმოიშვას სამართლებრივი საკითხის გარკვევის საჭიროება, „როცა არა მხოლოდ ცალკეული სასამართლო ან სამართალმცოდნე არ ეთანხმება უზენაესი სასამართლოს შეხედულებას კონკრეტულ საკითხზე ან წარმოდგენილია ახალი არგუმენტები, რომლებმაც შესაძლოა უბიძგონ უზენაეს სასამართლოს საკუთარი მოსაზრებების გადამოწმებისაკენ" (იხ. ცენო რაიჰენბეჰერი, შალვა პაპუაშვილი, „სამართლის განვითარება" – სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის. ჟ. მართლმსაჯულება და კანონი, 2005წ. №4, გვ. 72-79). რაც ეხება ცალ-ცალკე თითოეული ზემოაღნიშნული კრიტერიუმის განხილვას, **სამართლის განვითარებისათვის** საქმეს მნიშვნელობა ექნება და მაშასადამე, კასაცია დასაშვები იქნება, როცა სადავო სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. სამართლის განვითარებისათვის საქმის მნიშვნელობის საფუძვლით საკასაციო საჩივარი დაიშვება, როცა: 1. საქმის საფუძველზე ყალიბდება მატერიალურ-სამართლებრივი ან საპროცესო-სამართლებრივი ნორმის განმარტების ზოგადი პრინციპები (მაგალითად: სააპელაციო სასამართლომ განმარტა კანონი ხოლო უზენაესი სასამართლოს მიერ ამგვარი განმარტება ჯერ არც აღიარებულია და არც უარყოფილი. ამასთან, გადასაწყვეტი სამართლებრივი საკითხი უნდა იძლეოდეს ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. 2. აუცილებელია კანონის ხარვეზის აღმოფხვრა (იხ. ცენო რაიჰენბეჰერი, შალვა პაპუაშვილი დასახ. ნაშრომი; თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ. 2007წ. გვ. 678).

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის საქმეს მნიშვნელობა ექნება და შესაბამისად, კასაცია დასაშვები იქნება, როდესაც საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი განსხვავებების დანერგვა ან შემდგომში მათი არსებობა. ამასთან, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ზოგადად სასამართლო პრაქტიკისათვის. როდესაც ერთი და იგივე სამართლებრივ საკითხს ან ერთი და იგივე ნორმას სხვადასხვა სასამართლო ინსტანცია სხვადასხვაგვარად იგებს, ყალიბდება არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა. ამიტომ, „ამ განსხვავებულობით დასაბუთებული საკასაციო საჩივარი

დაშვებული უნდა იქნეს" (თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი დასახ. ნაშრომი, გვ. 680). იგულისხმება სამართლის ნორმის (სამართლებრივი საკითხის) სხვადასხვაგვარად გაგება საერთო სასამართლოების სისტემის ქვედა რგოლის (რაიონული, საქალაქო, სააპელაციო) სასამართლოს მიერ, როდესაც არ არსებობს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკა (თუნდაც ერთი გადაწყვეტილება) ამ საკითხზე. ხოლო როდესაც აღნიშნულ საკითხზე უკვე არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, მაშინ საკასაციო საჩივრის დაშვება შესაძლებელია 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანმადე არსებული პრაქტიკისაგან. ასეთი პრაქტიკა შესაძლოა ჩამოყალიბებული იყოს როგორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციულ საქმეებზე და მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული მოცემული საქმისათვის. კასაციის დასაშვებობის ეს წინაპირობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას სამართლის წყაროს მნიშვნელობა აქვს. უზენაესი სასამართლოს დანიშნულება ერთგვაროვანი (ერთიანი) სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფა და დაცვაა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს განსხვავებული, სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რამაც თავის მხრივ შეიძლება ხელი შეუწყოს სამართლის შემდგომ განვითარებას.

391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კასაციის დასაშვებობის წინაპირობაში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც სამართლის ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული განმარტება ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს განმარტებას (პრაქტიკას) ამავე ნორმის (სამართლებრივი საკითხის) თაობაზე. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებული (საწინააღმდეგო) პოზიციის დაკავება სააპელაციო სასამართლოს მიერ, გავლენას უნდა ახდენდეს საქმის შედეგზე. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (ნორმის განმარტება) რომელი კატეგორიის საქმეზე ჩამოყალიბდა (რომელ სამართლებრივ ურთიერთობას ეხება იგი). საკმარისია არსებობდეს უზენაესი სასამართლოს თუნდაც ერთი გადაწყვეტილება მოცემული სამართლებრივი საკითხის თაობაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეწინააღმდეგებოდეს უზენაესი სასამართლოს უახლეს პრაქტიკას (უახლეს გადაწყვეტილებას). როდესაც საუბარია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების განსხვავებულობაზე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან „მოცემული კრიტერიუმისათვის მნიშვნელობა არა აქვს განსხვავება ეხება მატერიალურ-სამართლებრივ თუ პროცესუალურ-სამართლებრივ საკითხებს. ორივე შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებია. ასევე აუცილებელი არ არის, რომ სააპელაციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ერთი და იგივე ნორმას ეხებოდეს. საკმარისია რომ სხვადასხვა ნორმას საფუძვლად ერთი და იგივე სამართლებრივი პრინციპი ედოს" (ცენო რაიჰენბეჰერი, შალვა პაპუაშვილი დასახ. ნაშრომი). ამრიგად საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევა 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე მიზნად ისახავს ერთგვაროვან (ერთიანი) სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფას და დაცვას ამა თუ იმ სამართლებრივი ნორმის განმარტებისას. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას, სამართლის ნორმების ერთნაირად გაგებას და შეფარდებას (გამოყენებას). სააპელაციო სასამართლოს ნებისმიერი სამართლებრივი შეცდომა არ შეიძლება გახდეს კასაციის დაშვების საფუძველი. სახეზე უნდა იყოს კანონის უხეში დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ კონკრეტულ შემთხვევას ეხება მართლმსაჯულებისადმი უნდობლობას იწვევს. მსგავს შემთხვევებში იქმნება იმის საფრთხე, რომ სააპელაციო სასამართლო ამ შეცდომას კვლავ გაიმეორებს ან სხვა სასამართლოები მიბაძავენ მას.

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. მოცემული ნორმის (კრიტერიუმის) გათვალისწინებით და მის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ საჩივრის დაშვება-არდაშვების საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ ორ მომენტს უნდა მიაქციოს ყურადღება: 1. განხილულია თუ არა საქმე მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და შეეძლო თუ არა არსებითად ემოქმედა ამგვარ საპროცესო დარღვევას საქმის განხილვის შედეგზე. რეალურად აქვს თუ არა ადგილი მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევებს, რომელთა გამოც მიღებულ იქნა უკანონო გადაწყვეტილება, ეს საკითხი უნდა გაირკვეს საქმის განხილვის შედეგად მას შემდეგ, რაც დასაშვებად იქნება მიჩნეული საჩივარი. ამიტომ თავისთავად, მოცემული საფუძვლით კასაციის დასაშვებად მიჩნევა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას. საპროცესო კოდექსი არ განმარტავს, რა იგულისხმება მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევაში. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს საქმის განხილვის შედეგზე ამგვარი დარღვევის შესაძლო ზეგავლენის მოხდენაზე. საპროცესო კოდექსი ამით ამ საკითხში უზენაეს სასამართლოს უტოვებს უფლებას შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საპროცესო დარღვევა რამდენად მნიშვნელოვანია, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამგვარი შეფასებისას განმსაზღვრელი უნდა იყოს მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა საპროცესო დარღვევასა და საქმის განხილვის შედეგს (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას) შორის. ,,საპროცესო სამართალი მატერიალური სამართლით მინიჭებული უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის ფორმაა. სამოქალაქო პროცესი განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესს. სამოქალაქო პროცესის ამოცანას წარმოადგენს დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლებების დაცვა, სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნქციას კი – დავის სწორი და დროული გადაწყვეტა. საპროცესო სამართალი ადგენს პროცედურას, თუ როგორ უნდა მოხდინოს სასამართლომ საქმის გარემოებების შესწავლა, მტკიცებულებების გამოკვლევა და მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ პროცესუალური ნორმების დანიშნულება საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებაა. იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე სწორი შედეგია დამდგარი, მხოლოდ პროცესუალური ნორმის დარღვევის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება არამართებულია. ეს პრინციპი სსსკ-ში არაერთგზისაა განმტკიცებული, მათ შორის 391-ე მუხლში. ამ ნორმიდან გამომდინარე ყოველ განსახილველ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ და რა შედეგი დადგებოდა მხარისათვის, სასამართლოს დავა პროცესუალური ნორმის დარღვევის გარეშე რომ განეხილა. სასამართლომ დავის განხილვისას მკაცრად უნდა დაიცვას კანონით განსაზღვრული საპროცესო ფორმები, მათ შორის პროცესში მონაწილე მხარეთა ჩანაცვლების პროცედურები. სსსკ-ი შეიცავს კანონის დარღვევის ფორმალურ ჩამონათვალს, სასამართლო აქტების დაუსაბუთებლობის და უკანონობის ნიშნებს (393ე მუხლი). ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საპროცესო ნორმის დარღვევა შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ეს დარღვევა ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებსა და ამოცანებს, დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვას (სუსგ 2008, №12, გვ. 160-161).“ მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას, რომელსაც არსებითად შეეძლო ემოქმედა საქმის შედეგზე ადგილი ექნება მაგალითად მაშინ, როცა სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მხარის უმნიშვნელოვანესი საპროცესო უფლებები და პროცესის პრინციპები. მართალია განსახილველ ნორმაში საუბარია ისეთ მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევებზე, რომლებსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, მაგრამ ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე

არსებითი გადაწყვეტილების მიღებაზე. ამიტომ ვერ დავეთანხმებით პოზიციას (ცენო რაიჰენბეჰერი, შალვა პაპუაშვილი დასახ. ნაშრომი), რომლის თანახმადაც „ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებული ვერ იქნება, თუ საპროცესო დარღვევა დაშვებულია მაგალითად, მხარეთა შორის სასამართლო ხარჯის განაწილების გადაწყვეტილების მიღებისას". ჩვენი აზრით, მსგავს შემთხვევაში, კასაცია შეიძლება დაშვებული და დაკმაყოფილებული იქნეს ხარჯების ნაწილში ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩეს. მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანად, მაშინ როცა აპელანტი დავის არსებითი მხარის გარდა ასევე ითხოვდა ზედმეტად (შეცდომით) გადახდილი ბაჟის ნაწილშიც გადაწყვეტილების შეცვლას. მსგავს შემთხვევებში კასაცია დასაშვები და დასაკმაყოფილებელია შეცდომით (ზედმეტად) გადახდილი ბაჟის ნაწილში.

დაბოლოს, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ" ქვეპუნქტი განსხვავდება 393-ე მუხლის მესამე ნაწილის და 394-ე მუხლისაგან იმით, რომ მასში საუბარია საპროცესო დარღვევის საფუძვლით მხოლოდ კასაციის დასაშვებობაზე, მაშინ როცა 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საპროცესო დარღვევების არსებობა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. აქ იგულისხმება სსსკ-ის 240-ე, 242-ე და 387-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები. კანონის არცერთი ზემოაღნიშნული იმპერატიული წინაპირობა, რომელიც სახეზე უნდა იყოს ყველა სხვა შემთხვევაში, კასაცია დასაშვებად რომ იქნეს მიჩნეული, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება. არც დავის საგნის ღირებულებაა აუცილებელი საჩივრის დასაშვებად მიჩნევისათვის, არც საქმის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა და არც კონკრეტული დავის საგნის არსებობა.

მართალია 391-ე მუხლი კასაციის ღირებულებას არ უკავშირებს მის დასაშვებობას, მაგრამ ქონებრივ დავებში საჩივრის ღირებულების განსაზღვრაზე მაინც ამახვილებს ყურადღებას, ვინაიდან საჩივრის ღირებულების განსაზღვრა აუცილებელია სახ. ბაჟის ზუსტად განსაზღვრისათვის. კასატორმა საჩივრის ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს, **პრაქტიკაში სასამართლო ავალებს მხარეს საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას, ანუ სასამართლო უდგენს ხარვეზს და აძლევს ვადას საკასაციო საჩივრის ღირებულების სარწმუნოდ დასადასტურებლად და ამ ღირებულების შესაბამისად სახ. ბაჟის გადასახდელად.** თუ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნება მიჩნეული, მაშინ საკასაციო სასამართლო იღებს განჩინებას საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ (სსსკ-ის 403-ე მუხლი). საკასაციო წარმოების მომწესრიგებელი ნორმები განსაზღვრავს, თუ რა შედეგი დადგება საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის შემთხვევაში. კერძოდ, სსსკ-ის 401-ე მუხლის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახ. ბაჟის 70%. თუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება დაუშვებლობის გამო საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ამ განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

კანონის მოთხოვნათა დაცვით შეტანილი საჩივარი სასამართლომ წარმოებაში უნდა მიიღოს. საჩივრის მიღების შემდეგ სასამართლო ვალდებულია შეასრულოს კანონში მითითებული რიგი საპროცესო მოქმედებები: ა) საკასაციო საჩივრისა და თანდართული წერილობითი მასალების ასლები უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს, რომელსაც დაუნიშნავს ვადას საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხის გასაცემად. ბ) საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების განჩინებით უნდა განსაზღვროს საკასაციო წესით საქმის ზეპირი განხილვის დრო და ადგილი, რის შესახებაც უნდა შეატყობინოს მხარეებს ამ განჩინების

მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. თუ საქმე გადაეცემა დიდ პალატას, სასამართლომ მხარეებს უნდა აცნობოს ასევე დიდ პალატაში საქმის გადაცემისა და მისი განხილვის თარიღის შესახებ. ამ მოქმედებათა შესრულება უზრუნველყოფს საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის ყოველმხრივ და სწრაფად განხილვას (საჩივარზე შეტანილი წერილობითი პასუხი შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად შემოწმდეს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება). წერილობითი პასუხის შეტანის შესაძლებლობა საკასაციო სასამართლოში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების გამოხატულებაა.

§2. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის (წარმოების) წესი

1. ზოგადად

კასაციის სტადიაზე სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა საქმიანობა სამოქალაქო-საპროცესო სამართლის იმავე საერთო პრინციპებზეა აგებული, რა პრინციპებიც მოქმედებს პირველი ინსტანციის სასამართლოში და პროცესის სხვა სტადიებზე. ამასთან, საკასაციო წარმოებას, რომელიც წარმოადგენს პროცესის დამოუკიდებელ სტადიას, თავისი სპეციფიკური მიზნები, სასამართლო განხილვის საგანი, შინაარსი გააჩნია, რაც მას პროცესის სხვა სტადიებისაგან განასხვავებს. კერძოდ, საკასაციო წარმოება განსხვავდება თავისი მიზნით პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა წარმოებისაგან. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს წინაშე დგას მხარეთა შორის წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი დავის და სხვა სამართლებრივი საკითხის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტის ამოცანა. რაც ეხება საკასაციო წარმოებას, მისი მთავარი ამოცანა (მიზანი) არის არა საქმის არსებითად გადაწყვეტა (განხილვა), არამედ ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება. კანონიერების შემოწმება ხორციელდება საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

ახალი მტკიცებულებების წარდგენა საკასაციო წარმოებაში დაშვებული არ არის.

სსსკ-ის 399-ე მუხლში მითითებულია, რომ საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში (შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოში – იხილეთ სსსკ-ის 372-ე მუხლი) საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების თავი შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სპეციფიკურმა ამოცანებმა და ამ სასამართლოს საქმიანობის სპეციფიკამ გარკვეულწილად გავლენა მოახდინა პროცესის ამ სტადიაზე ზოგიერთი პრინციპის მოქმედებაზე, მაგალითად, კასაციის სტადიაზე გარკვეულწილად შეზღუდულია შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება. არასრული სახითაა დაცული უშუალობისა და ზეპირობის პრინციპებიც (იხ. მაგ, სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რაც ასევე აიხსნება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის სპეციფიკით. საკასაციო სასამართლო, ქვემდგომი სასამართლოებისაგან განსხვავებით, მისთვის საჭირო ცნობებს საქმის გარემოებების შესახებ, როგორც წესი, იღებს საქმეში არსებული წერილობითი მასალებიდან, ოქმებიდან (იხ. მაგ., სსსკ-ის 407-ე მუხლი). ზოგიერთ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლოს თვითონ საქმის ზეპირი განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ, შეუძლია მხარეთა დაუსწრებლად (მათი მონაწილეობის, დასწრების გარეშე) განიხილოს საქმე, ანუ დაადგინოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განხილვა თავისი განჩინებით და ამ წესით გამოიტანოს გადაწყვეტილება. 408-ე მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში

მხარეებს მხოლოდ წინასწარ უნდა აცნობოს ამის შესახებ (ეს ხდება განჩინებით, რომლითაც საკასაციო სასამართლომ დაადგინა საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განხილვა).

ამასთან ერთად, საკასაციო წარმოების სტადიაზე სრული მოცულობით მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების უმრავლესობა, სახელდობრ: მართლმსაჯულების მხოლოდ სასამართლოს მიერ განხორციელების პრინციპი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპი, კოლეგიურობის, კანონიერების, დისპოზიციურობის პრინციპები.

როდესაც საკასაციო სასამართლო საჩივარს ღია სასამართლო სხდომაზე განიხილავს, საქვეყნოობის პრინციპიდან გამონაკლისს შეიძლება ადგილი ექნეს იმ შემთხვევაში, როცა ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს, აგრეთვე სსსკ-ის მე-9 მუხლში მითითებულ სხვა შემთხვევაში. ამრიგად, სასამართლო განხილვის დახურვა დაიშვება იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც ეს ხდება ქვემდგომ სასამართლოებში.

კანონიერ ძალაში შეუსვლელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის გამო საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში კანონით დადგენილი ეტაპების დაცვით მიმდინარეობს.

2. საქმის ზეპირი განხილვა (408-ე მუხლი)

საქმეთა საკასაციო განხილვის საპროცესო წესს ქვემდგომ სასამართლოებში სამართალწარმოებასთან შედარებით, არსებითი თავისებურებანი გააჩნია, ეს თავისებურებანი გამომდინარეობს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს წინაშე მდგომი ამოცანების სპეციფიკიდან, რომელიც მაკონტროლებელი ორგანოა, რომელმაც უნდა შეამოწმოს ქვემდგომი სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, რომელშიც კანონით (სსსკ-ის 25-ე მუხლი) განსაზღვრულ შემთხვევაში დასაშვებია საქმის ერთპიროვნულად განხილვა, საქმე საკასაციო წესით ყოველთვის კოლეგიურად – სამი მოსამართლის შემადგენლობით (რომელთაგან ერთ-ერთი სხდომას თავმჯდომარეობს) განიხილება. კოლეგიური წესით განიხილება საქმე უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაშიც. ოღონდ განსხვავებულია დიდი პალატის შემადგენლობა (მოსამართლეთა რაოდენობა). შემოსულ საჩივარს, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმის ყველა მასალას ეცნობა სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც „მომხსენებელი მოსამართლე" ეწოდება.

სასამართლოს წევრი ვალდებულია გულდასმით შეისწავლოს მიღებული საქმე და მოამზადოს დეტალური მოხსენება.

მოხსენებისათვის მომზადება დიდ ყურადღებას მოითხოვს. საქმის არსებითად შესასწავლად აუცილებელია საქმეში არსებული ყველა მასალის თანმიმდევრულად შესწავლა, მოქმედი ნორმატიული მასალისა და განსახილველ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება, იმის გარკვევა, თუ რამდენად დასაბუთებულია საკასაციო საჩივარში დაყენებული მოსაზრებები (კასაციის მიზეზები) და მოთხოვნები.

საქმის არსებითად განხილვამდე უნდა გაირკვეს, კვლავ მოითხოვს თუ არა კასატორი თავისი საჩივრის განხილვას, უარს ხომ არ ამბობს მოსარჩელე სარჩელზე, ხომ არ სურთ მხარეებს მორიგება.

დისპოზიციურობის პრინციპი საკასაციო ინსტანციის სასამართლოშიც მოქმედებს, ამიტომ საქმის მონაწილეებს შეუძლიათ განკარგონ თავიანთი საპროცესო და მატერიალური უფლებები. კასატორს უფლება აქვს უარი თქვას საჩივარზე სასამართლო განხილვის დროსაც. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომლითაც შეწყვეტს საკასაციო წარმოებას, თუ გადაწყვეტილება სხვა პირებს არ გაუსაჩივრებიათ. სსსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად, საქმეთა განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს სააპელა-

ციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების დაცვით, ხოლო თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა, სსსკ-ის 372-ე მუხლის თანახმად, წარმოებს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების დაცვით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ საქმე სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა შეწყვიტოს. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, მხარეებს უფლება აქვთ მორიგდნენ. სანამ სასამართლო ამ საფუძვლებით შეწყვეტდეს საქმისწარმოებას, იგი ვალდებულია განუმარტოს მხარეებს ამ საპროცესო მოქმედებათა შედეგები.

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების დროს საკასაციო ინსტანცია **აუქმებს** გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და წყვეტს საქმის წარმოებას.

საკასაციო საჩივრის განხილვა (საქმის ზეპირი განხილვა), იწყება საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი იმ წევრის (მოსამართლის) მოხსენებით, რომელიც წინასწარ გაეცნო საქმის მასალებს (რომელმაც შეისწავლა და მოამზადა იგი). მომხსენებელი თავის ზეპირ მოხსენებაში გადმოსცემს საქმის გარემოებებს, **ანუ როგორც კანონში (სსსკ-ის 408-ე მუხლში) არის მითითებული – სასამართლოს მოახსენებს საქმის ვითარებას,** სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსს (საფუძვლებს), კასატორის მოსაზრებებს (ანუ საკასაციო საჩივრის შინაარსს) და საჩივრის მიმართ შეტანილ მოწინააღმდეგე მხარის პასუხს (იხ. მე-400 მუხლი), აგრეთვე ყველა სხვა მონაცემს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ და რომლებიც აუცილებლად უნდა განიხილოს სასამართლომ სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორის შესამოწმებლად. მოხსენება შეძლებისდაგვარად მოკლე, მაგრამ სრული უნდა იყოს.

მოხსენების შემდეგ სასამართლო ისმენს მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებს. სასამართლო მათ აძლევს სიტყვას განცხადებების დაფიქსირებისა და დასაბუთების მიზნით.

ამასთან, დაცული უნდა იქნეს სსსკ-ით დადგენილი წესებით განსაზღვრული საქმის მონაწილეთა სხდომაზე გამოსვლის რიგითობა.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე არ ხდება მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვა, არ ტარდება ადგილზე დათვალიერება, არამედ მთელი განხილვა ეფუძნება საქმეში არსებული მასალების ანალიზს. საქმის მონაწილე პირები და მათი წარმომადგენლები ახსნა-განმარტებას იძლევიან გასაჩივრებული გადაწყვეტილების მართლზომიერების შესახებ.

პირველი (თავდაპირველად) გამოდის კასატორი ან მისი წარმომადგენელი. **იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა, პირველად მოსარჩელე გამოდის**. ცალკეული პირები, რომელთაც მიმართეს სასამართლოს სხვა პირთა უფლებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, თუ მათ არ გაასაჩივრეს გადაწყვეტილება, გამოდიან მხარეთა და მესამე პირთა შემდეგ.

საქმის მონაწილეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, საკასაციო ინსტანციის სასამართლო განიხილავს და ამოწმებს (იკვლევს) საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება (გამოკვლევა) ხდება კანონით ქვემდგომი სასამართლოებისათვის დადგენილი წესით.

საკასაციო ინსტანციას უფლება აქვს გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება საქმეზე, თუ არ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების ისეთი დარ-

ღვევით არის დადგენილი,რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა **დამატებითი გამოკვლევა**[1] (სსსკ-ის 411-ე მუხლი), საქმე უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს. ხოლო თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევის გარეშეა დადგენილი, მაშინ საკასაციო სასამართლო ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ (დამტკიცებულად ცნობილ) გარემოებებს, თუ წამოყენებული არ იქნა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შედავება (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი). **(საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა და დადგენა საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევით სააპელაციო სასამართლოს მიერ, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა)**.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს,როგორც ეს მოქმედი კანონიდან გამომდინარეობს, უფლება არა აქვს თვითონ დაადგინოს მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის ფაქტები (გარემოებები) და მათ საფუძველზე გადაწყვიტოს საქმე.

თუმცა კანონი არ უკრძალავს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს დაადგინოს საპროცესო ფაქტები და მათ საფუძველზე დამოუკიდებლად (თვითონ, თავისი ინიციატივით) გამოიყენოს (შეუფარდოს) საპროცესო ნორმები (იხ. სსსკ-ის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კერძოდ, საკასაციო სასამართლოს შეუძლია დაეყრდნოს თავის მიერ დადგენილ საპროცესო ფაქტებს და უარყოს საკასაციო საჩივრის მიზეზები (მოსაზრებები). თუ დავუშვათ, საკასაციო საჩივარი ემყარება ერთი რომელიმე სახის საპროცესო დარღვევას, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე თავისი ინიციატივით შეამოწმოს (დაადგინოს) საპროცესო დარღვევის ფაქტები (საპროცესო დარღვევები) და ყურადღება გაამახვილოს სხვა სახის საპროცესო დარღვევებზეც. მაგალითად, თუ მხარე ითხოვს მემკვიდრის სასარგებლოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას იმ მიზეზით, რომ იგი პროცესზე მოწვეული არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება დამატებით სხვა საპროცესო დარღვევათა საფუძველზეც გამოიტანოს, კერძოდ, მიუთითოს, რომ სასამართლომ ისე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მემკვიდრის სასარგებლოდ, რომ მანამდე არ გადაუწყვეტია საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი მემკვიდრის მიმართ (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე უფლებამონაცვლედ არ სცნო), რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა,ამართლებდა თუ არა იურიდიულად მოთხოვნას სარჩელში მითითებული გარემოებები, შეიცავდა თუ არა უწყება სრულყოფილ რეკვიზიტებს 70-78-ე მუხლების შესაბამისად და ა.შ.

საკასაციო შემოწმების კრიტერიუმებია სსსკ-ის 393-394-ე მუხლებით დადგენილი გადაწყვეტილების გაუქმებისა და შეცვლის საფუძვლები. საკასაციო ინსტანციის სასამართლო სასამართლო სხდომის ოქმის და გადასასინჯი საქმის სხვა მასალების გათვალისწინებით ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, ე.ი. არკვევს სახეზეა თუ არა სამართლებრივი ხასიათის სასამართლო შეცდომები (393-394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები) და საბოლოოდ გადაწყვეტილების გაუქმების აღნიშნულ საფუძველთა აღმოჩენასთანაა დაკავშირებული საკასაციო გადასინჯვის შედეგები მთლიანად.

---

[1] კანონში ხაზი ესმება მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის საჭიროებას, რაც გულისხმობს მტკიცებულებათა გამოსაკვლევად სასამართლოს მიერ დამატებითი მოქმედებების განხორციელების საჭიროებას. ეს კი არ შედის საკასაციო სასამართლოს ფუნქციებში და უფლებამოსილებებში. ხოლო თუ საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, მაშინ ჩვეულებრივ, საერთო წესით, საკასაციო სასამართლო თვითონ იკვლევს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

3. განჩინების გამოტანა

მოსამართლეთა თათბირი (ყველა საკითხის განხილვა სათათბირო ოთახში), განჩინების გამოტანა და მისი გამოცხადება იმავე წესების დაცვით ხდება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოშია დადგენილი (იხ. სსსკ-ის 27-ე, 28-ე, ასევე 243-ე და 257-ე მუხლები).

ანუ ზუსტ შესაბამისობაში იმ წესებთან, რომლებიც აწესრიგებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ანალოგიურ საქმიანობას, ე.ი. საიდუმლოების პირობებში, რაც უზრუნველყოფს როგორც მთლიანად სასამართლოს, ისე თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობას.

სათათბირო ოთახში საკასაციო სასამართლო განიხილავს შემოწმებულ მასალებს (მსჯელობს მათ შესახებ), შემდეგ გამოაქვს და აცხადებს განჩინებას, რომელიც დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და შემდგომ საკასაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ყველა საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია განჩინების გამოსატანად, წყდება ხმათა უმრავლესობით.

სათათბირო ოთახში მოსამართლეები ვალდებული არიან გადაწყვიტონ (განიხილონ) შემდეგი საკითხები: სრულად გამოიკვლია თუ არა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები; დამტკიცებულია თუ არა ის გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია; შეესაბამება თუ არა გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები საქმის გარემოებებს; დარღვეული ხომ არ არის მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები; სწორად არის თუ არა ეს ნორმები გამოყენებული; დასაბუთებულია თუ არა საკასაციო საჩივარი (კასატორის მოსაზრებები).

ამ საკითხების განხილვის შემდეგ საკასაციო ინსტანციის სასამართლო იწყებს განჩინების ჩამოყალიბებას.

განჩინება ყალიბდება წერილობითი ფორმით თავმჯდომარის ან სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მიერ და ხელს აწერს ყველა ის მოსამართლე, ვინც განჩინების გამოტანაში მონაწილეობდა, მათ შორის ის მოსამართლეც, რომელიც განსხვავებულ აზრზე დარჩა. სასამართლოს იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება განჩინებაში ჩამოყალიბებულ უმრავლესობის დასკვნებს (მოსაზრებებს) შეუძლია ჩამოაყალიბოს და განჩინებას დაურთოს თავისი განსხვავებული აზრი. ის ვალდებულია ხელი მოაწეროს განჩინებას.

მიღებული განჩინება ცხადდება სასამართლო სხდომის დარბაზში. ეს წესი არ გამოიყენება, თუ სასამართლო საქმეს სსსკ-ის 408-ე მუხლის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე იხილავდა.

საქმეში არსებულ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მასალებს საკასაციო ინსტანცია თავისი შინაგანი რწმენით აფასებს, რა დროსაც ხელმძღვანელობს სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი ყველა სასამართლოსთვის ერთიანი და ზოგადი წესით. მტკიცებულებათა არავითარი „განსაკუთრებული სახის შემოწმება“ ან „კრიტიკული“ შეფასება საპროცესო სამართალში არ არსებობს. იმ საკითხს, რამდენად სწორად აქვს შეფასებული მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოს, საკასაციო სასამართლო ამოწმებს მტკიცებულებათა მხოლოდ საკუთარი, დამოუკიდებელი შეფასების გზით. არსებობს სპეციფიკა საკასაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების პირობებში, არსებობს ასევე არსებითი განსხვავება მტკიცებულებათა შეფასების მიზნებში, მაგრამ თავად შეფასების უფლებას, როგორც საქმის გარემოებათა შემეცნების ინსტრუმენტს, საკასაციო სასამართლო იყენებს ისევე თავისუფლად, როგორც ქვემდგომი სასამართლო. მტკიცებულებათა საკუთარი თავისუფალი შეფასების საფუძველზე საკასაციო სასამართლო ან ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, ან მას მცდარად მიიჩნევს და ასეთ შემთხვევაში აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად იმისათვის, რომ ხელახლა შემოწმდეს და უტყუარად დადგინდეს მხარეთა შორის სინამდვილეში (რეალურად) არსებული სამართლებრივი ურთიერთობები.

§3. საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება

სამოქალაქო სამართალწარმოებაში საკასაციო ინსტანციის სასამართლო აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით,რაც ეფექტიანს ხდის მის საქმიანობას დაშვებული სასამართლო შეცდომების აღმოფხვრის საკითხში. საკასაციო სასამართლოს უფლება საკასაციო საჩივრის განხილვის დროს გათვალისწინებულია სსსკ-ის 404-ე, 409-ე, 410-ე, 411-412-ე მუხლებით და სასამართლოს არ აქვს უფლება გასცდეს კანონით დადგენილ ფარგლებს.

საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებებში სსსკ-ის 404-ე, 409-ე, 410-ე, 411-ე, 412-ე მუხლის შინაარსიდან (არსიდან) გამომდინარე, იგულისხმება უფლება, რომლის საფუძველზეც ეს სასამართლო განსაზღვრავს საქმის შემდგომ საპროცესო მდგომარეობას.

ამრიგად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილება მისი უფლებების სისტემაა. ეს უფლებები მას კანონით დადგენილი იმ საპროცესო მოქმედებების შესრულების შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც მან უნდა განახორციელოს (შეასრულოს) კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების მიმართ, საკასაციო საჩივრის საფუძველზე ამ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების დროს. ეს არის იმ უფლება-ვალდებულებების სისტემა, რომლითაც ეს სასამართლო არის აღჭურვილი საკასაციო საჩივრის განხილვის შემდეგ (განხილვის შედეგად) სასამართლო აქტის მიღების დროს.

საკასაციო წესით საქმის განხილვის შედეგად, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს:

1) უცვლელად დატოვოს გადაწყვეტილება, ხოლო საჩივარი – არ დააკმაყოფილოს (410-ე მუხლი);

2) გააუქმოს გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ და დაუბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს. ამ შემთხვევაში საქმე ხელახლა შეიძლება განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სხვა ან იმავე მოსამართლეთა შემადგენლობამ (412-ე მუხლი);

3) გააუქმოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს საქმის წარმოება ან განუხილველად დატოვოს განცხადება (საჩივარი); საკასაციო სასამართლოს, კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობისას შეუძლია ასევე შეაჩეროს საქმისწარმოება.

4) გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ისე,რომ არ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად,თუ არ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (იხ. 411-ე მუხლი).

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ეს უფლებამოსილებები, მათი კონკრეტული შინაარსი, შემდეგში მდგომარეობს:

1. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად საკასაციო სასამართლოში, წარმოებს კანონში (სსსკ-ის 393-394-ე მუხლები) მითითებული საფუძვლებით.

საკასაციო ინსტანციის მოცემული უფლებამლოსილება გამოიყენება გადაწყვეტილების მთლიანად და ნაწილობრივ გაუქმების დროს, თუ აღმოჩნდება, რომ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. კერძოდ,სააპელაციო სასამართლოს მიერ არასრულად არის გამორკვეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. იგულისხმება მტკიცების საგნის არაზუსტად განსაზღვრა, რის შედეგედაც სააპელაციო სასამართლომ

გადაწყვეტილება მიიღო მნიშვნელოვანი იურიდიული ფაქტების გაუთვალისწინებლად; არ არის დამტკიცებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს. იგულისხმება შემთხვევები, როცა სააპელაციო სასამართლო საერთოდ, მტკიცებულებათა გარეშე, დადგენილად მიიჩნევს ფაქტს, ემყარება ისეთ მტკიცებულებებს, რომელთა ერთობლიობაც სინამდვილეში არ (ვერ) ადასტურებს ფაქტს საკმარისი სისრულით, ან, თავის დასკვნებს ადასტურებს მტკიცებულებებით, რომელთა შეფასებაც (უტყუარობა) საეჭვოა; გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არ შეესაბამება საქმის გარემოებებს. აქ მხედველობაში გვაქვს ლოგიკური წინააღმდეგობა საბოლოო დასკვნებსა და იმ გარემოებებს შორის, რომლებიც თავადვე სააპელაციო სასამართლომ სრულიად საფუძვლიანად (დასაბუთებულად) დადგენილად ცნო. ასეთ დროს სააპელაციო სასამართლოს სწორად აქვს დადგენილი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები საქმეზე, მაგრამ ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასებაა არასწორი. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, საქმის დაბრუნება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ საჭიროა სწორად დადგენილი ფაქტების სწორი იურიდიული კვალიფიკაცია (სამართლებრივი შეფასება) არ შეიძლება. ასეთ დროს სააპელაციო სასამართლოს შეცდომას ასწორებს და სამართლებრივ შეფასებას იძლევა თვითონ საკასაციო სასამართლო.

ბ) სახეზეა სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების უპირობო (უცილობელი) საფუძვლები, გარდა სსსკ-ის 394-ე მუხლის „გ" და „ე" ქვეპუნქტებისა.

გ) სახეზეა არსებითი საპროცესო დარღვევები ან საპროცესო სამართლის ნორმები არასწორადაა გამოყენებული (იხ. სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს გააუქმოს გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ, თუ ის მთლიანად ან ნაწილობრივ უკანონოა და საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებული დარღვევები არ შეიძლება გამოსწორდეს საკასაციო წესით (საკასაციო ინსტანციის მიერ – იხ. სსსკ-ის 412-ე მუხლი). მაგალითად, თუ აღმოჩნდება, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა სარჩელის აღძვრის უფლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეიტანა სარჩელი (განცხადება), ხოლო სასამართლომ არსებითად განიხილა და გადაწყვიტა საქმე. სხვა მაგალითი: სააპელაციო სასამართლომ დავის განხილვის დროს არ გამოარკვია საქმისათვის არსებითი ყველა გარემოება, ანდა ამ გარემოებათა დასადასტურებლად (დასამტკიცებლად) გადაწყვეტილებაში არ მოიყვანა აუცილებელი მტკიცებულებები. საკასაციო ინსტანცია ვალდებულია გააუქმოს ასეთი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს

ამასთანავე საკასაციო წესით ხდება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული სსსკ-ის 272-ე მუხლის დარღვევების აღმოფხვრა.

გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმების შედეგები სხვადასხვაა (განსხვავებულია) და დამოკიდებულია საქმეზე დაშვებულ დარღვევაზე. ერთ შემთხვევაში საქმე ბრუნდება ხელახლა განსახილველად, ხოლო მეორე შემთხვევაში – საქმისწარმოება წყდება, ან ხდება სარჩელის განუხილველად დატოვება.

გადაწყვეტილების გაუქმების დროს, საკასაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია განიხილოს საკითხი იმის შესახებ, თუ სასამართლოს რომელ შემადგენლობას უნდა დაუბრუნდეს (გადაეცეს) საქმე არსებითად ხელახალი განხილვისათვის.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება გადაწყვეტილების გაუქმების დროს გადასცეს საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს სხვა ან იმავე შემადგენლობას (იხ. სსსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საკასაციო ინსტანციის სასამართლომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების

გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოსთვის სავალდებულოა. საკასაციო წესით საქმის განმხილველი სასამართლოს განჩინებაში ასახული სამართლებრივი შეფასება, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნების შემთხვევაში, სავალდებულოა მოცემული საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის. თუმცა კი, ამგვარი შეფასების სავალდებულოობა შეზღუდულია გარკვეული ფარგლებით. პირველ რიგში, საკასაციო წესით საქმის განმხილველ სასამართლოს, არა აქვს უფლება წინასწარ გადაწყვიტოს ამა თუ იმ მტკიცებულების უტუაყრობის ან საეჭვოობის საკითხი, ამა თუ იმ მტკიცებულების უპირატესობის საკითხი სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი საქმის ხელახალი განხილვის დროს. მეორეც, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს არა აქვს უფლება სააპელაციო სასამართლოს მისცეს მითითებები საქმეზე წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების შეგროვების აუცილებლობის შესახებ, თუ ამაზე არ მიუთითეს საქმის მონაწილე პირებმა. საკასაციო ინსტანციას უფლება აქვს მიუთითოს ზოგიერთი საპროცესო მოქმედების (ექსპერტიზის დანიშვნის, საქმეში სათანადო მოსარჩელის ან მოპასუხის ჩაბმის, საქმეში არსებული მტკიცებულებების დამატებითი შემოწმების და ა.შ.) შესრულების აუცილებლობაზე. სსსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომლის გამოც აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად. ის განჩინებაში უთითებს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და სხვა რა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ.

მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევის დროს გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობა ზოგჯერ შეიძლება ეხებოდეს არა მთელს გადაწყვეტილებას, არამედ მხოლოდ მის განსაზღვრულ ნაწილს. გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმების დროს ზემდგომმა სასამართლომ მაქსიმალური წინდახედულება უნდა გამოიჩინოს, მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ განსხვავებულად შეიძლება მივუდგეთ ერთიანი გადაწყვეტილების მხოლოდ ისეთი ნაწილების შეფასებას, რომლებიც არ იმყოფება მჭიდრო სამართლებრივ და ლოგიკურ ურთიერთკავშირში. სააპელაციო სასამართლოს მცდარი პასუხი (არასწორი გადაწყვეტა) ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთ-ერთ საკითხზე იწვევს გადაწყვეტილების არა ნაწილობრივ, არამედ სრულ გაუქმებას.

2. გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უცვლელად ტოვებს, ხოლო საჩივარს არ აკმაყოფილებს იმ შემთხვევაში, როცა დაასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო საჩივრის მოტივები არაარსებითია (უმნიშვნელოა) საქმისათვის.

საკასაციო წესით საქმის შემოწმების დროს, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გამოავლინოს ცალკეული საპროცესო დარღვევები, რომელთაც არ მოუხდენიათ გავლენა გამოტანილი გადაწყვეტილების სისწორეზე. გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დროს, საკასაციო ინსტანცია, დაადგენს რა, რომ საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დაშვებული სამართლის ნორმების დარღვევები არ არის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, ვალდებულია ასეთ შემთხვევაში ამ დარღვევებზე (სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მუშაობაში გამოვლენილ ხარვეზებზე) მიუთითოს საკასაციო განჩინებაში.

სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს

საკასაციო საჩივარს და გადასინჯულ გადაწყვეტილებას უცვლელად ტოვებს შემდეგ შემთხვევაში:

ა) თუ საკასაციო შემოწმების დროს არ აღმოჩნდა როგორც არსებითი, ისე არაარსებითი დარღვევები.

ბ) თუ გამოვლინდა არაარსებითი დარღვევები. ანუ 410-ე მუხლის ზუსტი ფორმულირება რომ მოვიშველიოთ, როცა: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა;

გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას (იგულისხმება შემთხვევა, როცა სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მათ საფუძველზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუნდაც სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითოს კანონები (იხ. სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა).

სამართლის ნორმის ნებისმიერი დარღვევა როდი იწვევს გადაწყვეტების გაუქმებას კასაციის მიერ. დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლოს არსებითად სწორი გადაწყვეტილების გაუქმება დაუშვებელია მარტოოდენ ფორმალურ საფუძვლებზე დაყრდნობით (ფორმალური მოსაზრებებით).

ის გადაწყვეტილება, რომლის გამოტანის დროსაც ფორმალურად დაირღვა სამართლებრივი მოთხოვნები, არსებითად სწორად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუკი იგი უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართალწარმოების საბოლოო მიზნების მიღწევას. მაგალითად, თუ სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა მატერიალური სამართლის ნორმაზე, მაგრამ ფაქტობრივად საქმე ამ ნორმის შესაბამისად გადაწყვიტა, გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ იქნება მოტივირებული. მიუხედავად ამისა, საქმე არსებითად სწორად გადაწყვეტილად ჩაითვლება. გარდა ამისა, საქმის განხილვა შეიძლება ისეთ ეტაპზე დასრულდეს, როცა სასამართლოს საერთოდ არ ესაჭიროება მატერიალური სამართლის ნორმის გამოყენება, რის გამოც საქმის განხილვის სისწორე აღნიშნულ ფაქტორზე დამოკიდებული არ იქნება. მაგალითად, სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში.

საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა წაეყენება არა მარტო სასამართლოს შემაჯამებელ აქტებს, არამედ მის ყველა აქტს.

3. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმისწარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს საქმისწარმოება ან განუხილველი დატოვოს განცხადება იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომმა სასამართლომ, მაგალითად, დაარღვია სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლები ე.ი. განმცხადებელმა არ შეასრულა სარჩელის წარდგენის უფლების მართლზომიერად განხორციელების პირობები, ხოლო სასამართლომ ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია.

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა ან განცხადების განუხილველად დატოვება წარმოებს მხოლოდ სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საქმისწარმოების შეწყვეტა და განცხადების განუხილველად დატოვება ზემდგომი სასამართლოს მიერ, პრაქტიკულად არ განსხვავდება პირველი ინსტანციის სასამართლოს ანალოგიური საპროცესო მოქმედებისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზემდგომი სასამართლო სამოქალაქო საქმის დამთავრების ასეთ ფორმას იყენებს იმ გარემოების სავალდებულო

გათვალისწინებით, რომ საქმისწარმოების შეწყვეტის ან განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებაც და ამიტომ სსსკ-ის შესაბამისად სასამართლო ვალდებულია სათანადო შემთხვევებში განიხილოს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხი. სხვა თავისებურება საკასაციო ინსტანციაში საქმის წარმოების შეწყვეტას ან განცხადების განუხილველად დატოვებას არ გააჩნია.

4. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა

საკასაციო ინსტანციას შეუძლია (უფლება აქვს) თავისი განჩინებით **გააუქმოს** სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ისე, რომ არ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში, თუ სახეზე არ არის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (იხ. სსსკ-ის 411-ე მუხლი). 411-ე მუხლში მითითებული სიტყვები „საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას". . . გულისხმობს სწორედ ახალი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

სსსკ-ის 411-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის (ისე, რომ საქმე არ დააბრუნოს ხელახლა განსახილველად) უფლება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს აქვს იმ შემთხვევაში, თუ:

საქმეზე არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი შეგროვება (შეკრება) ან შემოწმება (გამოკვლევა), საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია სრულად და სწორად, საპროცესო ნორმათა დარღვევის გარეშე, მაგრამ დაშვებულია შეცდომები მატერიალური სამართლის ნორმათა გამოყენებაში (394-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი და 412-ე მუხლი). რაც ეხება 394-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის დარღვევას სააპელაციო სასამართლოს მიერ, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს გადაწყვეტილების თვითონ მიღების შესაძლებლობას, ასეთ დროს საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ამავე ახალი გადაწყვეტილებით უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, რადგან საქმე უწყებრივად არ ექვემდებარებოდა სასამართლოს.

ახალი გადაწყვეტილება ნიშნავს დავის პრინციპულად სხვაგვარ მატერიალურ-სამართლებრივ გადაწყვეტას. ახალი გადაწყვეტილება გამოიტანება, როცა ქვემდგომი სასამართლოს შეცდომა მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებაში იმდენად მნიშვნელოვანია (არსებითია), რომ მის აღმოსაფხვრელად საჭიროა გასაჩივრებული გადაწყვეტილების „გამოცვლა". სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ახალი გადაწყვეტილებით შეცვლით, ზემდგომი ინსტანცია, აზუსტებს მოპასუხისაგან გადასახდელი თანხის ოდენობას, კორექტირებას უწევს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა წარმოებდეს პერიოდული გადახდები, ცვლის მოვალეთა პასუხისმგებლობის ფორმას, მაგალითად, იყენებს სოლიდარულ პასუხისმგებლობას წილობრივის ნაცვლად და პირიქით, წილობრივს სოლიდარულის ნაცვლად და ა.შ.

საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, თვითონ დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ამ გარემოებებიდან გამომდინარე გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ისე, რომ არ გადააგზავნოს საქმე სააპელაციო სასამართლოში განსახილველად.

ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, ქართული საკასაციო სისტემის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას შეადგენს. როდესაც ამ უფლებას იყენებს, ზემდგომი სასამართლო, ისე რომ ამით არ ხელყოფს საქმის მონაწილეთა საპროცესო უფლებებს, უზრუნველყოფს დავის საბოლოო სწორად გადაწყვეტას. ეს უფლებამოსილება ეფექტიანი

საშუალებაა ფორმალიზმისა და ქაოსის საწინააღმდეგოდ, ამით კი, ხელი ეწყობა სამოქალაქო პროცესის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. თუმცა, ამ ამოცანების განხორციელება მართლმსაჯულებაში მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი, თუ აღნიშნული უფლებამოსილება გამოყენებული იქნება კანონით დადგენილი ფარგლების ზუსტი დაცვით. დაუშვებელ შემთხვევებში, დავის ხელახლა გადაწყვეტა ზემდგომი სასამართლოს მიერ, იწვევს საპროცესო გარანტიების დარღვევას.

სათანადო საფუძვლების არსებობის დროს ზემდგომ სასამართლოს არა მხოლოდ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიცაა საქმეზე გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.

ტერმინი **„ახალი გადაწყვეტილება"** საკასაციო სასამართლოსთან მიმართებაში იმ გაგებით იხმარება, რომ ის პრინციპულად სხვა გადაწყვეტილებაა, ვიდრე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ახალი გადაწყვეტილებით არსებითად წყდება დავა. რაც ეხება ამ საპროცესო დოკუმენტის ნამდვილ დასახელებას, ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, საკასაციო ინსტანციის მიერ გამოტანილ აქტს ეწოდება არა გადაწყვეტილება, არამედ განჩინება.

ახალ გადაწყვეტილებაში იგულისხმება საკასაციო ინსტანციის ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებისგან დიამეტრალურად საწინააღმდეგოა თავისი შინაარსით (მაგალითად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, ხოლო საკასაციო სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ან უარყოფითი გადაწყვეტილების ნაცვლად, გამოიტანა დადებითი გადაწყვეტილება და ა.შ.). ეს ნიშნავს, რომ ის თავისი შინაარსით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპირისპიროა, რამდენადაც **ახალი გადაწყვეტილებით იცვლება სასამართლოს ძირითადი დასკვნა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ**.

ახალი გადაწყვეტილება – ეს სხვაგვარი (განსხვავებული) მსჯელობაა თავად სადავო უფლების არსებობის შესახებ. ახალი გადაწყვეტილების გამოტანის დროს ზემდგომი სასამართლო საკუთარი გადაწყვეტილებით ცვლის ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ამავე დროს უქმდება იმავდროულად ახალი გადაწყვეტილებითვე..

ახალი გადაწყვეტილება იმ შემთხვევებში გამოიტანება, როცა სააპელაციო სასამართლომ შეცდომა დაუშვა მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებაში, მაგრამ თუ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის გარემოებები, თავად საკასაციო ინსტანციას არა აქვს უფლება დაადგინოს ახალი ფაქტები და სამართალურთიერთობები და ასეთ შემთხვევაში გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტობრივი სასამართლო ანუ ფაქტების დამდგენი ინსტანცია. კითხვაზე იმის შესახებ, საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არის თუ არა ახალი, სწორად შეიძლება ვუპასუხოდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შეპირისპირებული იქნება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება ახალი იქნება, რამდენადაც ის თავისი შინაარსით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპირისპიროა – თავდაპირველ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ საკასაციო სასამართლო ცვლის თავისი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ე.ი. გამოაქვს თავისი შინაარსით თავდაპირველი გადაწყვეტილების საპირისპირო (ახალი) გადაწყვეტილება.

ახალი გადაწყვეტილების გამოტანის უფლება საკასაციო სასამართლოს იმისდა მიუხედავად ეკუთვნის, თუ ვისი საჩივრით შევიდა საქმე საკასაციო ინსტანციაში.

ახალი გადაწყვეტილების გამოტანის დროს საკასაციო სასამართლო ვალდებულია შესაბამისად (ახლებურად) შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც, ანუ ახლებურად უნდა გადაწყვიტოს მათი განაწილების საკითხიც, ხოლო თუ სააპელაციო სასამართლოს

გადაწყვეტილება ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის მომენტისათვის უკვე აღსრულებული იყო,მაშინ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს (იმსჯელოს) გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხი.

დაბოლოს, საუარესოდ შებრუნების აკრძალვის ინსტიტუტმა სრულიად სამართლიანად, მყარად დაიმკვიდრა ადგილი როგორც სააპელაციო სასამართლოთა, ისე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაში.

§4. გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

გადაწყვეტილებათა გაუქმების საფუძვლები კანონში (393-394-ე მუხლები) მითითებული გარემოებებია, რომელთა არსებობის დროს საკასაციო სასამართლო ვალდებულია გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო პროცესში გადაწყვეტილების, როგორც სამართლის შეფარდების აქტის მიმართ კანონი აწესებს კანონიერებისა და დასაბუთებულობის მოთხოვნას, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა,მოთხოვნის შეუსრულებლობის მიზეზის მიუხედავად,იწვევს სასამართლო შეცდომას.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება. „გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი (კანონიერების) მხარის შემოწმება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების გარეშე. . . საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა,მას შეუძლია მხოლოდ შეამოწმოს ერთ შემთხვევაში – დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი მხარე და მეორე შემთხვევაში – ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულობა" (იხ. თ. თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ. 2011წ. გვ. 351-357). ამრიგად, გადაწყვეტილების გაუქმების პირობაა მისი უკანონობა (სამართლებრივი დაუსაბუთებლობა).

თუ განვაზოგადებთ საკასაციო წესით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს (393-394-ე მუხლები) შეიძლება დავასკვნათ, რომ საკასაციო წესით გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს როცა:

1) არასწორადაა განსაზღვრული იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებები,რომელთაც საქმისათვის აქვთ მნიშვნელობა. იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა სავალდებულოა საქმის სწორად გადასაწყვეტად.

2) არ არის დამტკიცებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, რომელთაც სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს.

3) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები არ შეესაბამება საქმის გარემოებებს.

ერთი მხრივ, საქმის ფაქტობრივი მხარის დადგენის დროს სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომები, როგორც წესი, სასამართლოს მიერ სამართალწარმოების (პროცესის) წესების დარღვევის შედეგია, მეორე მხრივ – საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენამ შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება.

უკანონოა გადაწყვეტილება, რომლითაც არასწორადაა დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები (აღსანიშნავია,რომ სასამართლო შემეცნების ნებისმიერ ეტაპზე დაშვებულმა დარღვევამ შეიძლება აქციოს გადაწყვეტილება უკანონოდ). ასეთი სახის დეფექტები სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად:

1) იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებების არასწორად განსაზღვრა ნიშნავს, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია მატერიალური სამართლის ნორმით (ნორმებით) გათვალისწინებული ყველა იურიდიული (მტკიცებულებითი) ფაქტი, რომელთა არსებობა ან არარსებობა გავლენას ახდენს საქმის შედეგზე, ანდა გამოიკვლია ასეთი ნორმით გაუთვალისწინებელი იურიდიული ფაქტები. საქმისათვის არსებითი გარემოებების დადგენისას დაშვებული ხარვეზი (დარღვევა) ანდა მატერიალური სამართლის ნორმით გაუთვალისწინებელი გარემოებების გამოკვლევა, განპირობებულია მტკიცების საგნის არასწორი განსაზღვრით. თანამედროვე სამოქალაქო პროცესში ქვემდგომ სასამართლოს არ მოეთხოვება „საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად გამორკვევა". ამიტომ, სასამართლო გადაწყვეტილების უკანონობას არ განაპირობებს საქმის გარემოებების არასრულად გამორკვევა. სასამართლომ მხოლოდ სწორად უნდა განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთაც იურიდიული მნიშვნელობა აქვთ მხარეთა მიერ დაყენებულ მოთხოვნებთან და შესაგებელთან მიმართებაში. მტკიცების საგნის არასწორი განსაზღვრა იწვევს სასამართლო გადაწყვეტილების უკანონობას და მისი გაუქმების საფუძველია.

2) იმას, რომ არ მტკიცდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთაც სააპელაციო სასამართლო დადგენილად თვლის, ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როცა გადაწყვეტილებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები არ არის დადასტურებული (დამტკიცებული), კანონში მითითებული მტკიცებულებებით ან დადასტურებულია საეჭვო ან ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებით (ანუ ეს გარემოებები სათანადო წესით და სათანადო საშუალებებით უნდა დამტკიცდეს და დადგინდეს). იმის მიზეზი, რომ არ არის დამტკიცებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების წესების დარღვევა. ასე, მაგალითად, საკასაციო სასამართლოში შეიძლება დადგინდეს, რომ მოწმის ჩვენება ან წერილობითი მტკიცებულება საეჭვოა (უტყუარი არ არის), ხოლო არაპირდაპირი მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნა, სარწმუნო არ არის.

3) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა საქმის გარემოებებთან, დაშვებული იქნება იმ შემთხვევებში, როცა სასამართლომ დადგენილი ფაქტების საფუძველზე გამოიტანა არასწორი დასკვნა მხარეთა ურთიერთობების შესახებ, ანუ როცა სასამართლომ გამოიტანა სხვაგვარი არასწორი დასკვნა საქმის გარემოებათა შესახებ. მაგალითად, სასამართლომ შეცდომით მიიჩნია რომელიმე გარემოება ისეთ გარემოებად, რომელიც არ არის დადგენილი, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებები საწინააღმდეგოს ადასტურებს. ამგვარ შეუსაბამობას შესაძლოა, ადგილი ექნეს იმ შემთხვევებში, როცა მოცემული ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმა მხოლოდ ზოგადი ფორმით განსაზღვრავს იმ ვითარებას, რომლის დროსაც დგება ესა თუ ის შედეგი (ასეთია მაგალითად განქორწინების საქმეები და სხვა). ყველაზე უფრო ხშირად სწორედ ასეთი სახის საქმეებში ვლინდება მხარეთა ურთიერთობის შესახებ დასკვნის წინააღმდეგობა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებთან, ანუ ასეთ შემთხვევებში სასამართლოს არ გამოაქვს ლოგიკური დასკვნები საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან.

სამოქალაქო პროცესში **უკანონოდ** მიიჩნევა გადაწყვეტილება შესაფარდებელი მატერიალური სამართლის ნორმის ან საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში. გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი უკანონობის სახეები (იხ. სსსკ-ის 393-ე მუხლი) დაკავშირებულია სამართალშეფარდებითი საქმიანობის ეტაპებთან. კანონით განსაზღვრულია შემთხვევები, როცა ადგილი აქვს მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევას და მოცემულია, საპროცესო დარღვევათა ჩამონათვალი, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების უპირობო საფუძვლებია.

გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია როგორც მატერიალური სამართლის ნორმების

არასწორი გამოყენება, ისე საპროცესო სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება.

დარღვეულია თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მატერიალური სამართლის ნორმები, ამის განსაზღვრა რთულია. სირთულეს განაპირობებს ის, რომ მოსამართლემ უნდა გამიჯნოს ფაქტის საკითხი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც არ შეიძლება შემოწმდეს საკასაციო წესით და სამართლის საკითხი, რომელიც შეიძლება გადაიხედოს საკასაციო წესით. ამგვარი გამიჯვნა რთულია, რადგან სამართლის საკითხი უშუალოდ ახდენს გავლენას და მჭიდროდ არის დაკავშირებული ფაქტის საკითხთან. სამართლის საკითხს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში თუ ის ეხება ამა თუ იმ შემთხვევაში სამართლის ნორმის გამოყენების (შეფარდების) შესახებ განმარტებას ან ლოგიკის საყოველთაოდ აღიარებულ კანონებს. სამართლის საკითხის შესახებ საუბარია მაშინ, როცა მტკიცების პროცესში სასამართლომ არასწორად გამოიყენა ლოგიკის კანონები, რის შედეგადაც მის მიერ არასწორად იქნა გამოყენებული სამართლის შესაბამისი ნორმა.

მატერიალური სამართლის ნორმები შეიძლება სხვადასხვა სახით დაირღვეს. მატერიალური სამართლის ნორმები დარღვეულად ან არასწორად გამოყენებულად ითვლება, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება მიჩნეული უნდა იქნეს უკანონოდ და უნდა გაუქმდეს, თუ სასამართლომ:

1) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიტანა გადაწყვეტილება რომელიმე კანონზე მითითების გარეშე;

2) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (მაგალითად საქმე გადაწყვიტა შრომის სამართლის ნორმების საფუძველზე სამოქალაქო სამართლის ნორმების ნაცვლად);

3) არასწორად განმარტა კანონი (იხ. 393-ე მუხლი), ე.ი. სწორად შეარჩია სამართლის ნორმა, სწორად გამოიყენა იგი განსახილველი სამოქალაქო საქმის მიმართ, თუმცა არასწორად გაიგო მისი არსი და ამით, დაუშვა სასამართლო შეცდომა.

ამრიგად, მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევა ან არასწორი გამოყენება ნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორი დასკვნა გამოიტანა მხარეთა სამართალურთიერთობების შესახებ, არასწორი კვალიფიკაცია მისცა საქმის გარემოებებს, არასწორად განსაზღვრა გამოსაყენებელი კანონი ან ზუსტად ვერ გაიგო მისი აზრი.

სსსკ-ის 411-ე მუხლიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ არ უნდა დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად იმ შემთხვევაში, როცა დაშვებულია შეცდომა მატერიალური სამართლის ნორმათა გამოყენებაში, არამედ ასეთ დროს უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება. **მაგრამ ამ შემთხვევაში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილი და გამოკვლეული უნდა იყოს სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი (იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, დასახ. ნაშრომი, გვ. 730).**

393-ე მუხლით გათვალისწინებულ პირველ შემთხვევას (არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა) ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო გადაწყვეტილებაში არა მხოლოდ არ მიუთითებს მატერიალური სამართლის ნორმას, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არამედ აგრეთვე მაშინ, როცა სასამართლო წყვეტს საქმეს მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა საწინააღმდეგოდ. მოცემულ დარღვევას საკასაციო ინსტანცია ხვდება მაშინაც, როცა სასამართლომ გამოიყენა გაუქმებული კანონი ანდა კანონქვემდებარე აქტის ის ნორმები, რომლებიც ნორმატიული აქტების იერარქიაში, იერარქიით მეტი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის ნორმებს ეწინააღმდეგება ან გამოცემულია ნორმატიული აქტების მიღების უფლების მქონე ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის დარღვევით.

არასათანადო კანონის გამოყენებაც აგრეთვე მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევაა. ამ დარღვევის არსი ისაა, რომ საქმის გადაწყვეტის დროს სასამართლო ხელმძ-

ღვანელობა არა იმ ნორმით, რომელიც სადავო ურთიერთობას აწესრიგებს, არამედ სხვა ნორმით, რომლის შეფარდებაც (გამოყენება) საქმეზე დადგენილი გარემოებების მიმართ არ შეიძლება. ამგვარი დარღვევა, როგორც წესი, განპირობებულია მხარეთა ურთიერთობების არასწორი იურიდიული კვალიფიკაციით. მაგალითად, სასამართლო იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც სამოქალაქო სამართლის ნორმებით წესრიგდება, იყენებს შრომის სამართლის ნორმებს, ან პირიქით. **არასათანადო კანონების გამოყენების შესახებ შეიძლება ვისაუბროთ სასამართლოს მიერ დროში ან სივრცეში კანონის მოქმედების ფარგლების დარღვევის დროსაც.**

კანონის არასწორ **განმარტებას** სასამართლო უშვებს იმ შემთხვევაში, როცა იყენებს იმ კანონს, რომელიც უნდა გამოიყენოს, მაგრამ მისი შინაარსი და აზრი არასწორად არის გაგებული, რის შედეგადაც გადაწყვეტილებაში სასამართლოს არასწორი დასკვნა გამოაქვს მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. **მაგალითად, სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ესა თუ ის მატერიალური ნორმა, ამ ნორმაზე დაყრდნობით არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც არასწორად განმარტა კანონი. ამგვარი დარღვევა შეიძლება დაშვებულ იქნეს სასამართლოს მიერ მატერიალური სამართლის ნორმების განვრცობითი ან შეზღუდვითი განმარტების დროსაც.**

მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევა არსებითი ხასიათის დარღვევაა და როგორც წესი, ყოველთვის იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას.

როგორც ზემოთ ითქვა, გადაწყვეტილების კანონიერების მოთხოვნის დაუცველობა წარმოშობს სასამართლო შეცდომას. არსებითი შეცდომები უნდა აღმოიფხვრას (აცილებულ იქნეს) სსსკ-ით დადგენილი წესით, მათ შორის გადაწყვეტილების საკასაციო გადასინჯვის დროსაც. არაარსებითი შეცდომები გავლენას არ ახდენს გადაწყვეტილების სტაბილურობაზე. ქართულ სამოქალაქო პროცესში მოქმედებს წესი, რომლის შესაბამისადაც სააპელაციო სასამართლოს არსებითად სწორი გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს მარტოოდენ ფორმალური მოსაზრებების (ანუ არაარსებითი შეცდომების) საფუძველზე, კერძოდ, იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას (იხ. 410-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი. ამასვე ცხადყოფს 393-ე მუხლის მესამე ნაწილის შინაარსის ანალიზი). ანუ როცა სასამართლომ სწორად გამოიკვლია საქმის გარემოებები, მათ საფუძველზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არ დაასაბუთა საკმარისად (იხ. 394-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (393-394-ე მუხლები) დადგენილია მეცნიერულად დასაბუთებული, კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლოს გადაწყვეტილებათა გაუქმების საფუძვლების დასრულებული სისტემა. ამასთან, როგორც დავინახეთ, მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებისას დაშვებული ყველა სასამართლო შეცდომა, რომელიც იწვევს გადაწყვეტილების საკასაციო (სააპელაციო) წესით გაუქმებას, უკანონობის შემთხვევებს გულისხმობს. რამდენადმე სხვაგვარი მიდგომაა საჭირო საპროცესო დარღვევათა შემთხვევების (საფუძვლების) განხილვისას. საპროცესო დარღვევები (ანუ საპროცესო სამართლის ნორმათა არასწორი გამოყენება), სხვაგვარად კლასიფიცირდება, რაც ორი გარემოებით აიხსნება:

1) სასამართლო სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს, ჩვეულებრივ, ახორციელებს ერთ-ორ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას და იმავდროულად რამდენიმე ათეულ სამოქალაქო საპროცესო ნორმას;

2) სამოქალაქო საპროცესო ნორმები აწესრიგებს არა მხოლოდ საქმის გადაწყვეტას (განხილვას), არამედ აგრეთვე მთელს სასამართლო საქმიანობასაც, რის შედეგადაც ნორმათა ამა თუ იმ სახით განხორციელება ყოველთვის უშუალოდ როდი აისახება სასამართლო

გადაწყვეტილების სისწორეზე.

ამრიგად, უკანონო იქნება აგრეთვე საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროს დაშვებული საპროცესო დარღვევები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ასე, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარემ შესაძლოა არ გამოაცხადა, რომ სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად (სსსკ-ის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თათბირის დროს შესაძლოა დარღვეული იქნა ხმის მიცემის წესი (სსსკ-ის 27-ე და 243-ე მუხლი) და ა.შ. როგორც ითქვა, არ შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს არსებითად სწორი გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური მოსაზრებებით. ეს მოთხოვნა (პრინციპი) დაცული უნდა იქნეს საპროცესო ნორმათა დარღვევის შეფასებისას. სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა ან არასწორი გამოყენება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იყოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევამ გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია საქმის არასწორი გადაწყვეტა.

ამასთან კანონით გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების უპირობო საპროცესო საფუძვლები (იხ., სსსკ-ის 394-ე მუხლი), რომლებიც საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აუცილებელ გაუქმებას იწვევს. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების უპირობობა (ანუ როგორც 394-ე მუხლის სათაურშია მითითებული – **აბსოლუტურობა**) იმას ნიშნავს, რომ დაინტერესებულ პირს არ სჭირდება იმის დამტკიცება, რომ შესაბამისმა საპროცესო დარღვევებმა გამოიწვიეს ან შეეძლოთ გამოეწვიათ საქმის არსებითად არასწორი გადაწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ ყველა საპროცესო შეცდომა და დარღვევა, დარღვევის მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით სამ ჯგუფად (კატეგორიად) იყოფა:

1) **არაარსებითი (ფორმალური) ანუ უმნიშვნელო** დარღვევები, რომლებიც არსებითად სწორი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს. ეს დარღვევები გავლენას არ ახდენს და არც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ გადაწყვეტილების სტაბილურობაზე, სასამართლოს საბოლოო დასკვნებზე და მათზე საკასაციო ინსტანციამ რეაგირება უნდა მოახდინოს საკასაციო განჩინებაში ისე, რომ არ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება.

ასე მაგალითად, საპროცესო წესების დარღვევა სამოქალაქო საქმეთა განხილვის ვადების შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, კამათში საქმის მონაწილეთა გამოსვლის წესის შესახებ. ამ დარღვევებმა შეიძლება არც გამოიწვიოს გადაწყვეტილების გაუქმება, თუ მათ გავლენა არ მოუხდენიათ მხარეთა და განმცხადებელთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ სასამართლოს საბოლოო დასკვნაზე.

2) არსებითი დარღვევა, რომელმაც გამოიწვია ან საქმის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეეძლო გამოეწვია საქმის არასწორი გადაწყვეტა (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მაგალითად, სასამართლომ არ გააფრთხილა მოწმე ყალბი ჩვენების მიცემის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა. ამგვარი კატეგორიის დარღვევების განხილვისას სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე საპროცესო ნორმის არასწორი გამოყენება (დარღვევა) კონკრეტული პირობების მიხედვით შეიძლება იყოს ან არსებითი ან ფორმალური. საკასაციო ინსტანციამ ზუსტად უნდა შეაფასოს ეს მომენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ამგვარი დარღვევები ყოველთვის არ იწვევს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, მათ **გადაწყვეტილების გაუქმების პირობითი საფუძვლები** შეიძლება ვუწოდოთ.

ამრიგად, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა ან არასწორი გამოყენება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ დარღვევამ გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია საქმის არასწორი გადაწყვეტა. საკითხი იმის შესახებ, გამოიწვია თუ არა, ან შეეძლო თუ არა რომ გამოეწვია საპროცესო დარღვევას საქმის

არასწორად გადაწყვეტა, აქედან გამომდინარე კი, გადაწყვეტილების გაუქმება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყდება სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განხილვის დროს. ერთი და იგივე საპროცესო დარღვევამ საქმის გარემოებების მიხედვით შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა საპროცესო შედეგი და ყოველთვის არ გამოიწვიოს გადაწყვეტილების გაუქმება;

3) **გადაწყვეტილების გაუქმების უპირობო საფუძვლები,** ანუ დარღვევები, რომლებიც გადაწყვეტილების უპირობოდ გაუქმების მიზეზებია მიუხედავად საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტისა. გაუქმების უპირობო საფუძვლები, საქმის გარემოებების მიუხედავად, არსებითი დარღვევებია, და თუ კანონში მითითებულ საპროცესო ნორმათა დარღვევის შემთხვევებს დაადგენს, საკასაციო სასამართლო ვალდებულია გააუქმოს გადაწყვეტილება იმ საკითხის შემოწმების გარეშე, მოახდინა თუ არა მოცემულმა დარღვევამ გავლენა გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ქვემდგომი (როგორც პირველი, ისე სააპელაციო) სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების უპირობო საფუძვლების ჩამონათვალი მოცემულია სსსკ-ის 394-ე მუხლში. ამ საფუძვლებს კანონი (394-ე მუხლი) საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძვლებს უწოდებს. აბსოლუტურ საფუძვლებს საპროცესო ნორმათა არსებითი დარღვევის შემთხვევებიც შეიძლება ვუწოდოთ, რადგან მასში სწორედ არსებითი საპროცესო დარღვევის შემთხვევებზეა საუბარი. ამასთან არა მხოლოდ საკასაციო საჩივარს ედება საფუძვლად აღნიშნული დარღვევები, არამედ ამ საფუძვლების გათვალისწინებით უნდა იმოქმედოს სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას (იხ. 377-ე მუხლი). სსსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის (ანუ უპირობოდ) უნდა გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ:

1) საქმე განიხილა სასამართლოს უკანონო შემადგენლობამ. მაგალითად, სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ არაერთგზის განიმარტა, რომ საქმის განხილვა არაგანსჯადი სასამართლოს მიერ, იწვევს სამართალწარმოების განსხვავებულ პრინციპებზე აგებას და საქმის განხილვას სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მიერ, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სასამართლოს უკანონო შემადგენლობა სახეზე იქნება მაშინაც, როდესაც დაირღვევა სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული იმპერატიული წესი და კოლეგიური შემადგენლობის ნაცვლად საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს მოსამართლე. ამიტომ გადაწყვეტილება უპირობოდ უნდა გაუქმდეს. იმდენად რამდენადაც არ იქნა დაცული განსაზღვრულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვის უფლების მიმნიჭებელი ნორმები, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქმე კანონით გათვალისწინებულმა სასამართლომ განიხილა. „საერთო სასამართლოების ორგანული კანონით განისაზღვრა სააპელაციო სასამართლოს პალატები, მათი შექმნის, მოსამართლის სხვა პალატის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობის წესი. ამ წესის დარღვევით საქმის განხილვა შესაბამისად იწვევს საქმის განმხილველი სასამართლოს არაკანონიერ შემადგენლობას, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. მითითებული კანონის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელებაში შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს შეიძლება დაევალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა პალატაში.

ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია: სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სსსკ-ის 372-ე, მე-200 მუხლების თანახმად საქმეს ამზადებდა მოსამართლე, რომელიც თავმჯდომარეობდა

სხდომას, რომელიც გადაიდო. გადადების თარიღისათვის კი საქმე განიხილა სრულიად სხვა შემადგენლობამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის მოსამართლეები ისე, რომ არ არის მითითებული, თუ რამ განაპირობა მოსამართლეთა მთელი შემადგენლობის შეცვლა, მით უმეტეს, რომ მოსამართლეთა მიმართ აცილება სხდომის დღისათვის დაყენებული არ ყოფილა.

ამდენად, არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა უნდა იქნეს განხილული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

2) საქმე სასამართლომ განიხილა საქმის მონაწილე რომელიმე პირის დაუსწრებლად, რომელსაც არ ეცნობა სასამართლო სხდომის დრო და ადგილი, ან მისი კანონიერი (და არა სახელშეკრულებო) წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;

3) გადაწყვეტილება გამოტანილია სასამართლოსადმი უწყებრივად არაქვემდებარე საქმეზე;

4) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;

5) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული. **დაუსაბუთებლად მიიჩნევა გადაწყვეტილება იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლომ არ დაადგინა მოთხოვნის იურიდიული საფუძვლიანობა, ე.ი. სარჩელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის (დათქმის-თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად) შესაბამისადაა თუ არა წარდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ დავის გადაწყვეტისას პირველ რიგში უნდა დაადგინოს მოთხოვნის იურიდიული საფუძველი, ე.ი. კანონით გათვალისწინებული რა ინტერესის დაცვას, ან რა უფლების აღდგენას ითხოვს მხარე და მას აქვს თუ არა ამ მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნული საკითხის განხილვისას უნდა გამოარკვიოს დავაში სათანადო მხარე (მოსარჩელე, მოპასუხე) არის თუ არა ჩაბმული** (სუსგ 2002 წ. №3, გვ. 487).

6) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

7) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერს რომელიმე ის მოსამართლე, რომელიც გადაწყვეტილებაში არის აღნიშნული (მითითებული). აქ კანონმდებელს ჩვენი აზრით უნდა დაემატებინა, რომ არა მხოლოდ ის შემთხვევა ჩაითვლება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად, როცა მას ხელს არ აწერს მისი მიმღები მოსამართლე (მოსამართლეები), არამედ უნდა გაუქმდეს გადაწყვეტილება მაშინაც, როცა მას ხელს აწერს არა ის მოსამართლე (მოსამართლეები), რომლებიც მასშია აღნიშნული (მითითებული);

8) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ (იგულისხმება ერთი და იგივე მოსამართლის მონაწილეობა ერთი და იმავე საქმეზე სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში, რასაც დაუშვებლად მიიჩნევს სსსკ-ის 29-ე მუხლი);

9) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნული საფუძვლები პირველი ინსტანციის სასამართლოს სააპელაციო წესით გაუქმების საფუძველიცაა, ამიტომ არა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის არარსებობა, არამედ, საერთოდ, სასამართლო სხდომის ოქმის არარსებობა, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ,,არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც სასამართლო პრაქტიკა სასამართლო სხდომის ოქმის გაუმართაობას მის არარსებობას არ უთანაბრებს. თუ სხდომის ოქმი არასრულია ან არასწორ მონაცემებს შეიცავს, საპროცესო

კანონმდებლობით გათვალისწინებულია მასზე შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა. რაც შეეხება სხდომის ოქმის არ არსებობას, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იმ მიზეზითაა, რომ ირღვევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ემუხლის იმპერატიული დანაწესი თითოეულ საპროცესო მოქმედებაზე ოქმის შედგენის სავალდებულობის შესახებ, გარდა ამისა, სხდომის ოქმის გაცნობის გარეშე შეუძლებელია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცულობის შემოწმება" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წ. 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე № ას-308-290-2010).

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, სამოქალაქო-საპროცესო ნორმათა აღნიშნული დარღვევები დაკავშირებულია მართლმსაჯულების პრინციპების და სასამართლო წესით უფლების დაცვის კონსტიტუციური უფლების დარღვევასთან (კონსტიტუციის 42-ე მუხლი). ამიტომ, სრულიად მართებულად კვალიფიცირდება აღნიშნული დარღვევები სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმების უპირობო საფუძვლებად.

აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, სსსკ-ის 394-ე მუხლით დადგენილი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები არ უნდა მივიჩნიოთ ამომწურავ ჩამონათვალად. შესაბამისად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს გააუქმოს გადაწყვეტილება სხვა საფუძვლებითაც. მაგალითად, როდესაც საქმის განხილვის დროს დარღვეული იყო სამართალწარმოების ენის წესები (პრიცნიპები), სასამართლომ გადაწყვიტა (განიხილა) იმ პირთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საკითხი, რომლებიც არ იქნენ ჩაბმული საქმეში მონაწილეობის მისაღებად, გადაწყვეტილების გამოტანის დროს დარღვეული იქნა მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოების შესახებ წესები, გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

სსსკ-ის 394-ე მუხლში ჩამოთვლილი საფუძვლებით სასამართლო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს მთლიანად და საქმე დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველად ქვემდგომ სასამართლოს.

გადაწყვეტილების უპირობო გაუქმების საფუძვლების ჯგუფში აერთიანებენ აგრეთვე სარჩელის წარდგენის (აღძვრის) უფლების დარღვევის შემთხვევებს და მოცემული უფლების მართლზომიერად განხორციელების პირობების დაცვას.

მაგალითად, საკასაციო ინსტანციის სასამართლომ, როცა ის დაადგენს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დარღვევებს (რომელმაც იმის ნაცვლად, რომ შეეწყვიტა საქმისწარმოება ანდა დაეტოვებინა განცხადება განუხილველად, არსებითად განიხილა საქმე), ყველა შემთხვევაში უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს საქმის წარმოება ან განუხილველად დატოვოს განცხადება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევა ასევე წარმოადგენს გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების უპირობო (აბსოლუტურ) საფუძვლებს. თუმცა ამ შემთხვევებში სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა არ წარმოშობს საქმის ხელახლა განხილვის აუცილებლობას, არამედ იწვევს გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის დამთავრებას. სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლში მითითებული საფუძვლებით სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს საკასაციო წესით და იმავდროულად საკასაციო სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება ან განცხადება დატოვოს განუხილველი.

დაბოლოს, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების არსებობას ან არარსებობას საკასაციო ინსტანცია ადგენს საკასაციო საჩივრის განხილვის დროს. სასამართლო გადაწყვეტილების უკანონობის შესახებ საკასაციო სასამართლოს დასკვნები უტყუარი უნდა იყოს. ამისათვის საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება და საქმის მასალები. ასეთ შეფასებას თავისებურებები გააჩნია. იგი სულ

სხვა მიზანს ისახავს, ვიდრე ქვემდგომ სასამართლოში. საკასაციო სასამართლო, როგორც წესი, არ ადგენს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, მისი მთავარი ამოცანაა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. სწორედ ამ მიზნით აფასებს საკასაციო სასამართლო მტკიცებულებებსა და საქმის მასალებს.

§5. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება და მასში ასახული სამართლებრივი შეფასების სავალდებულოობა

1. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების შინაარსი

საკასაციო ინსტანცია თავის მოსაზრებებსა და დასკვნებს გადასინჯული გადაწყვეტილების მართლზომიერების (სისწორის) შესახებ, აყალიბებს საკასაციო განჩინებაში, რომელიც წარმოადგენს დადგენილებას, რომლითაც წყდება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადასინჯული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარება და კანონიერ ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან.

თავისი შინაარსით ეს საპროცესო აქტი, ისევე როგორც ყველა სხვა სასამართლო გადაწყვეტილება (დადგენილება) ოთხი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს, კერძოდ: შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების **შესავალი ნაწილი** ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებისა და განჩინების შესავალ ნაწილთან შედარებით, უფრო მოცულობითია. მასში უნდა მიეთითოს:

1) განჩინების გამოტანის თარიღი (დრო) და ადგილი;

2) განჩინების გამომტანი სასამართლოს სახელწოდება (დასახელება) (იგულისხმება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სახელწოდება);

3) საკასაციო სასამართლოს შემადგენლობა და ის, მოსამართლეთაგან რომელმა მოახსენა საქმე;

4) საკასაციო წარმოების მონაწილე პირები (კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე და სხვა);

5) გასაჩივრებული სასამართლო აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება) და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება, ანუ რომელი სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება, გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი;

6) შესავალ ნაწილში მიეთითება დავის საგანი და კასატორის მოთხოვნა;

7) საქმის განხილვის ფორმა.

განჩინების შესავალი ნაწილის ამ რეკვიზიტებს კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვთ, რამდენადაც ისინი საკასაციო ინსტანციის სასამართლოს წერილობით მსჯელობას (მოსაზრებებს) და დასკვნებს მართლმსაჯულების აქტის თვისებას ანიჭებენ.

განჩინების **აღწერილობით ნაწილში** თავდაპირველად აუცილებელია მოკლედ გადმოიცეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი, დავის არსი. გადაწყვეტილების შინაარსის გადმოცემა უნდა დავიწყოთ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან, შემდეგ მოკლედ უნდა მიეთითოს მოტივები, რომლებითაც გადაწყვეტილების მიღების დროს ხელმძღვანელობდა სასამართლო.

გადაწყვეტილების შინაარსის გადმოცემის შემდეგ უნდა მიეთითოს: საკასაციო საჩივრის არსი (შინაარსი), ასევე საქმის მასალების შინაარსი; საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები. საჩივრის შინაარსის გადმოცემის დროს უნდა მიეთითოს არა მხოლოდ კასატორის თხოვნა, არამედ აგრეთვე მოსაზრებებიც, რომელთა გამოც კასატორი უკანონოდ მიიჩნევს გადაწყვეტილებას (კა-

საციის მიზეზები).

განჩინების **სამოტივაციო ნაწილში** საკასაციო ინსტანციის სასამართლომ უნდა მიუთითოს დასკვნები და საფუძვლები (მოტივები), რომელთა გამოც ის მივიდა გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების, გაუქმების და საქმის დაბრუნების ან ახალი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობის შესახებ დასკვნამდე. შესაბამისადვე უნდა იყოს არგუმენტირებული სასამართლოს დასკვნაც საქმის წარმოების შეწყვეტის ან განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. განჩინების ამ ნაწილში საკასაციო ინსტანციის სასამართლო აფასებს საქმის განხილვის დროს დაშვებულ სასამართლო შეცდომებს, თუ ეს აუცილებელია – განმარტავს ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არასწორად იქნა გამოყენებული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების და სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნების დროს გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იყოს სწორედ საკასაციო განჩინების სამოტივაციო ნაწილში და რომლებიც სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელიც ხელახლა განიხილავს მოცემულ საქმეს სააპელაციო ინსტანციით. ამ საკითხზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების (უკანონობის) შესახებ დასკვნები საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს საქმეში არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე. ანუ ეს დასკვნები უნდა დადასტურდეს საქმეში არსებული მასალების ანალიზით, მტკიცებულებათა გამოკვლევით და შეფასებით. ამის შემდეგ კი, საკასაციო სასამართლომ თავისი დასკვნები უნდა შეუპირისპიროს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს. ასეთი შეპირისპირება მოგვცემს სწორედ საშუალებას ვიმსჯელოთ სააპელაციო სასამართლოს დასკვნების სისწორის თუ უმართებულობის თაობაზე.

საკასაციო ინსტანცია ვალდებულია ფაქტობრივი მონაცემების შემდეგ განჩინების სამოტივაციო ნაწილში ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებაც. იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორად გამოიყენა სააპელაციო სასამართლომ მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ნორმები (კანონები) და მიუთითოს ნორმები (კანონები), რომლებითაც თვითონ ხელმძღვანელობდა საქმეზე განჩინების გამოტანის დროს. საკასაციო ინსტანციას უფლება აქვს განჩინებაში მიუთითოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს და ამავე სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი იწყება იმაზე მითითებით, რომ სასამართლომ შეამოწმა, განიხილა (იმსჯელა მათზე) და გამოიკვლია მტკიცებულებები, აგრეთვე იწყება სასამართლოს დასკვნით შეტანილი საჩივრის დასაბუთებულობის შესახებ. ამის შემდეგ გადმოიცემა გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების, გაუქმების და საქმის დაბრუნების ან ახალი გადაწყვეტილების გამოტანის, საქმისწარმოების შეწყვეტის ან განცხადების განუხილველად დატოვების საფუძვლები.

საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს არა აქვს უფლება შემოიფარგლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე ზოგადი მითითებით. მას არა აქვს უფლება უმოტივაციოდ უარყოს საჩივრის მოსაზრებები, არამედ სასამართლო ვალდებულია მიუთითოს მოტივები, რომელთა გამოც საჩივრის მოსაზრებები მიჩნეულია დაუსაბუთებლად ან ის, რომ საჩივრის მოსაზრებები გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს არ წარმოადგენს.

ხალახლა განსახილველად საქმის დაბრუნების შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვალდებულია თავისი განჩინების სამოტივაციო ნაწილში, შეჯიბრებითობის პრინციპის

გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიუთითოს იმის შესახებ, საქმის რომელი გარემოებების გარკვევა იყო საჭირო და რომელი გარემოებების გარკვევაა მომავალში აუცილებელი, რომელი მტკიცებულებები უნდა გამოითხოვოს, აგრეთვე სხვა რომელი მოქმედება უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ. გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში ზემდგომმა სასამართლომ უნდა მიუთითოს, სახელდობრ რაში მდგომარეობს სააპელაციო სასამართლოს შეცდომა.

საკასაციო სასამართლოს განჩინებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კონკრეტულ საქმეთა სწორად გადაწყვეტისათვის, არამედ ფართო გაგებით, სასამართლო პრაქტიკისათვის სახელმძღვანელო აქტს წარმოადგენს. ამის გამო კი, საკასაციო ინსტანციას არა აქვს უფლება დუმილით გვერდი აუაროს პროცესის ნორმათა ისეთ დარღვევებსაც, რომლებიც მიჩნეულია ფორმალურ დარღვევებად, რაც არ წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს.

სამოტივაციო ნაწილიდან სარეზოლუციო ნაწილზე გადასვლის დროს მიეთითება, რომელი კანონებით იხელმძღვანელა საკასაციო სასამართლომ.

საბოლოოდ განჩინების **სარეზოლუციო ნაწილში** უნდა მიეთითოს, რა გადაწყვიტა (რა დასკვნები გამოიტანა) საკასაციო სასამართლომ საჩივარზე. სასამართლოს დასკვნები უნდა გამომდინარეობდეს განჩინების სამოტივაციო ნაწილიდან და განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. (იხ. სსსკ-ის 409 – 412 მუხლები).

სარეზოლუციო ნაწილში განისაზღვრება, მთლიანად თუ ნაწილობრივ უქმდება გადაწყვეტილება. როგორც გადაწყვეტილების გაუქმების, ისე მისი უცვლელად დატოვების შემთხვევაში, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს, რომელი სასამართლოს გადაწყვეტილება და რომელ საქმეზე უქმდება ან რჩება უცვლელი.

გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების შემთხვევაში ზუსტად მიეთითება, რომელ ნაწილში უქმდება გადაწყვეტილება და რომელში რჩება უცვლელად. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება გაუქმდება და საქმე დაბრუნდება ხელახლა განსახილველად, აუცილებელია მიეთითოს, შესაბამისი სასამართლო, ანუ თუ რომელ სასამართლოს უბრუნდება (გადაეცემა) და რომელ შემადგენლობას (პალატას) საქმე ხელახლა განსახილველად. გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, შესაბამისად ხდება სასამართლო ხარჯების განაწილების კორექტირება.

თუ საკასაციო ინსტანცია გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, სარჩელს დატოვებს განუხილველად ან შეწყვეტს წარმოებას იმ საქმეზე, რომელზეც გადაწყვეტილება აღსრულდა, სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების თაობაზე ან კიდევ ამ საკითხის სააპელაციო სასამართლოს განსახილველად და გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ. განჩინების ამ ნაწილშივე სასამართლო ვალდებულია მიუთითოს კასატორისათვის საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, თუ საჩივარი დაკმაყოფილდება.

აღნიშნული წესები ვრცელდება საკასაციო სასამართლოს ყველა განჩინებაზე.

თუ ეს აუცილებელია, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით გაასწოროს გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ საკასაციო განჩინებაში დაშვებული არითმეტიკული შეცდომები, აგრეთვე განმარტოს ეს განჩინება მისი ტექსტუალური ბუნდოვანების შემთხვევაში. საკასაციო წესით საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების გადადების ან მისი აღსრულების საშუალების შეცვლის საკითხი.

2. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებაში ასახული სამართლებრივი შეფასების სავალდებულოობა

გადაწყვეტილების გაუქმებისა და ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნების შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვალდებულია განჩინების სამოტივაციო ნაწილს საფუძვლად დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსთვის (იხ. სსსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ზემდგომი სასამართლოს ხელმძღვნელი როლის უზრუნველყოფის მიზნით, კანონი, მის სამართლებრივ შეფასებებს ანიჭებს სავალდებულო მნიშვნელობას იმ სასამართლოსათვის, რომელსაც დაევალა საქმის ხელახლა განხილვა გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად. ასეთი სამართლებრივი შეფასება (მითითებები) წარმოადგენს მართლმსაჯულების ხელმძღვანელობის კონკრეტულ საპროცესო საშუალებებს. სამართლებრივი შეფასების მიზანია საქმის მონაწილეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობების უფრო ღრმა და ყოველმხრივი გამოკვლევა რაც უნდა პასუხობდეს სამ პირობას:

1) შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ საკასაციო ინსტანციის უფლებამოსილებებს;

2) შეესაბამებოდეს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმებს;

3) არ უნდა არღვევდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს.

დასახელებული მოთხოვნებით (პირობებით) საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლების შეზღუდვა აიხსნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპის მოქმედებით, აგრეთვე მოსამართლეთა შინაგანი რწმენის თავისუფლებით მტკიცებულებათა შეფასების დროს.

ამიტომ, კანონმდებლობის არსიდან თუ ვიმსჯელებთ, კანონი კრძალავს რიგ საკითხებზე მითითებათა მიცემას, ასევე აკრძალულია წინასწარ განსაზღვრა ახალი გადაწყვეტილების შინაარსისა (ანუ იმის წინასწარ განსაზღვრა, დადგენა, თუ რა შინაარსის უნდა იყოს ახალი გადაწყვეტილება). მაგალითად, ზემდგომ სასამართლოს არ აქვს უფლება წინასწარ გადაწყვიტოს და ქვემდგომ სასამართლოს მისცეს მითითებები:

1) ამა თუ იმ მტკიცებულების უტყუარობის ან საეჭვოობის შესახებ;

2) ერთი მტკიცებულების უპირატესობის შესახებ სხვა მტკიცებულებათა მიმართ;

3) აგრეთვე მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი (მიღებული) საქმის ხელახლა განხილვის დროს.

მაგრამ საკასაციო პალატას გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში, შეუძლია:

1) დაასახელოს საქმის გარემოებების დადგენის კონკრეტული გზები და საშუალებები, კერძოდ: რომელი ფაქტები უნდა შევიდეს მტკიცების საგანში, რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ისინი და ა.შ.

2) დაასახელოს სამოქალაქო საპროცესო კანონის დარღვევები. ამასთან, მართლზომიერი იქნება მითითება საქმის ხელახლა განხილვის დროს საქმეთა გაერთიანების ან გამოყოფის აუცილებლობაზე და სხვა;

3) განმარტოს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კონკრეტული საქმის განხილვის დროს.

ასეთ მითითებათა სავალდებულობას, ძირითადად, განაპირობებს მათი სისწორე და დამაჯერებლობა. თავისი არსით, ეს მითითებები ზემდგომი სასამართლოს დამაჯერებელი რეკომენდაციებია, რომლებითაც საკასაციო სასამართლო ეხმარება ქვემდგომ სასამართლოს დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში.

კანონით დადგენილი საკასაციო ინსტანციის მითითებათა სავალდებულობა ნიშნავს, რომ საქმის ხელახლა განხილვის დროს ქვემდგომმა სასამართლომ აუცილებლად უნდა

შეასრულოს ზემდგომი სასამართლოს მითითებები. ამ მითითებათა შეუსრულებლობა ისევ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას და შესაბამისად, მის გაუქმებას გამოიწვევს. ამრიგად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, საქმის არსის მიხედვით, თავად ზემდგომი სასამართლოს მითითებათა შეუსრულებლობის ფაქტი კი არ არის, არამედ საქმეში ხარვეზების არსებობაა, რომლებიც არ გამოასწორა (არ აღმოფხვრა) ქვემდგომმა სასამართლომ ზემდგომი სასამართლოს რეკომენდაციების შეუსრულებლობის შედეგად. ეს დარღვევები შეიძლება ეხებოდეს გადაწყვეტილების როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ მხარეებს. ამიტომ ზემდგომი სასამართლოს სავალდებულო მითითებათა შეუსრულებლობის დროს, გადაწყვეტილების ხელმეორედ გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს გადაწყვეტილების უკანონობა და არა თავისთავად ზემდგომი სასამართლოს მითითებათა შეუსრულებლობის ფაქტი.

აქედან გამომდინარეობს, რომ საკასაციო ინსტანცია, გადაწყვეტილების ხელმეორედ გაუქმების შემთხვევაში, თავის განჩინებაში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მითითებით მის მითითებათა შეუსრულებლობაზე. აუცილებელია, რომ მან ქვემდგომ სასამართლოს ხაზგასმით მიანიშნოს, თუ რატომ გამოიწვია მათმა შეუსრულებლობამ კვლავ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა.

უზენაესი სასამართლოს მითითებები ფაქტებისა და მტკიცებულებების გამოკვლევის თაობაზე სააპელაციო სასამართლომ უნდა შეასრულოს იმ შემთხვევაში, თუ საქმეს არსებითად განიხილავს. შესაბამისად მითითებების შესრულების ვალდებულება ვერ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როცა სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას და მისი შინაარსი ყალიბდება დასაბუთების გარეშე.

როდესაც ზემდგომი სასამართლოს მითითებათა სავალდებულობაზე ვსაუბრობთ, ავტორთა ნაწილს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებაც გააჩნია. ისინი აღნიშნავენ, რომ ვინაიდან ზემდგომ სასამართლოს არ აქვს უფლება წინასწარ გადაწყვიტოს მტკიცებულებათა უტყუარობის ან საეჭვოობის, მტკიცებულებათა უპირატესობის საკითხები სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში, აგრეთვე ქვემდგომ სასამართლოს მიუთითოს, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საქმის ხელახლა განხილვის დროს, აქედან გამომდინარეობს, რომ სავალდებულო მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს კონკრეტულ საქმეზე ზემდგომი სასამართლოს მიერ მიცემულ კანონის განმარტებას. კანონის განმარტება – მისი გამოყენების (შეფარდების) ერთ-ერთი მომენტია და თუ ზემდგომ სასამართლოს არა აქვს უფლება წინასწარ გადაწყვიტოს გადაწყვეტილების შინაარსის შესახებ საკითხი, მაშინ მას არა აქვს უფლება წინასწარ გადაწყვიტოს კანონის განმარტების საკითხიც. კონკრეტულ საქმეზე კანონის განმარტების არსი მდგომარეობს არა პირდაპირ ზეგავლენაში (იძულებაში), არამედ იმაში, რომ ისე, რომ არ შეიზღუდოს ქვემდგომი სასამართლოს დამოუკიდებლობა, ასე ვთქვათ კონსულტაციით დაეხმაროს მას თავად სწორად გაიაზროს ამა თუ იმ სამართლებრივი (იურიდიული) ნორმის შინაარსი.[1]

[1] Гражданский процесс. 3-е издание. Под ред. В.В. Яркова. М. 2000 წ. გვ. 423.

თავი XXXIV

კერძო საჩივარი

§1. სასამართლოს განჩინებათა კლასიფიკაცია მათი გასაჩივრების შესაძლებლობის მიხედვით

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ პროცედურულ საკითხებზე გამოტანილი განჩინების ცალკე გასაჩივრება მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, შესაძლებელია: კერძო საჩივრით და საჩივრით. ერთადერთი გამონაკლისი როცა საჩივრით (და არა კერძო საჩივრით) საჩივრდება განჩინება დადგენილია სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებათა მიმართ (იხ. სსსკ-ის 194-ე მუხლი). ამ საჩივრის განხილვის სპეციფიკა ის არის, რომ თვითონ გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს ეძლევა მისი კორექტირების შესაძლებლობა, ანუ თვითონ მსჯელობს მის დასაშვებობასა და დასაბუთებულობაზე (იხ. 197[1]-ე მუხლი) და თუ დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, აკმაყოფილებს მას. სხვა შემთხვევაში საჩივარს საქმის მასალებთან ერთად გზავნის ზემდგომ სასამართლოში, რომელშიც საჩივარი განიხილება კერძო საჩივრისათვის 419-420-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამიტომ ნაშრომის ამ თავში კერძო საჩივრის გვერდით საჩივარსაც მოვიაზრებთ მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქმის განხილვის პროცესში სასამართლოს, როგორც ცნობილია, შეუძლია სხვადასხვაგვარი (მოსამზადებელი, საგანმკარგულებლო და ა.შ.) განჩინების გამოტანა. თუ კანონმდებელი მხარეს მიანიჭებდა თითოეული მათგანის ცალკე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრისაგან დამოუკიდებლად გასაჩივრების შესაძლებლობას, ეს გააჭიანურებდა საქმის არსებითად განხილვას. იმავდროულად, ზოგიერთ განჩინებას საქმის მონაწილე პირთათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი დამოუკიდებლად გასაჩივრების უფლების არარსებობა კი ამ პირთა უფლებების და ინტერესების არსებითად შელახვის ტოლფასი იქნებოდა, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები ითვალისწინებს არა მხოლოდ გადაწყვეტილებათა, არამედ აგრეთვე განჩინებათა დამოუკიდებლად გასაჩივრების შესაძლებლობას, რომლებიც სასამართლოს გამოაქვს საქმის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტის დროს. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კანონი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შეუსვლელ სასამართლოს განჩინებაზე შეტანილი საჩივრების სპეციფიკას. **საჩივარს, რომლის მეშვეობითაც ცალკე, გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად საჩივრდება განჩინება, სააპელაციო და საკასაციო საჩივრისაგან განსხვავებით კერძო საჩივარი ეწოდება**. ამასთან, კანონში მითითებულია, რომ ასეთი საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად აპელაციისა და კასაციისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით (იხ. სსსკ-ის 420-ე მუხლი). სსსკ-ის 420-ე მუხლში საუბარია კერძო საჩივრის განხილვის წესზე და არ მიეთითება, კერძო საჩივრის შეტანისას, უნდა აკმაყოფილებდეს თუ არა მისი შინაარსი შესაბამისად ზემდგომ სასამართლოებში შეტანილი სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შინაარსისათვის გათვალისწინებულ წესებს (მოთხოვნებს), თუმცა, ჩვენი აზრით, კერძო საჩივრის შინაარსი სააპელაციო და საკასაციო საჩივრებისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს (წესებს) უნდა შეესაბამებოდეს. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ თვით სსსკ-ის 420-ე მუხლის შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში კანონი პირდაპირ უთითებს განჩინებაზე შეტანილი საჩივრის ზოგიერთ რეკვიზიტზე (იხ. მაგალითად სსსკ-ის 194-ე მუხლი). კანონმდებლობით დადგენილია განჩინებათა გასაჩივრების სხვადასხვა წესი იმისდა მიხედვით, რომელი სასამართლო ორგანოს მიერ არის ისინი გამოტანილი და როგორია მათი საპროცესო მნიშვნელობა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს განჩინებათა გასაჩივრება, მნიშვნელოვნად განსხვავდება სასამართლო გადაწყვეტილებათა სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრებისაგან. გადაწყვეტილებისა და განჩინების გასაჩივრების თავისებურებებს განაპირობებს გასაჩივრების ობიექტის არსი.

როგორც ცნობილია, განჩინება სასამართლო დადგენილებაა, რომლითაც არ ხდება საქმის არსებითად გადაწყვეტა. ძირითადად განჩინებებით წყდება საპროცესო საკითხები, რომლებიც წარმოიშობა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს. ამიტომ განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივრის საფუძველზე აღძრულ წარმოებაში არ მოწმდება საქმის არსებითად გადაწყვეტის სისწორე.

გარდა ამისა, ზემდგომი სასამართლოები ამოწმებენ სამართალწარმოების კერძო საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის კანონიერებასა და დასაბუთებულობას. ამის გამო კი სრულიად ლოგიკურია, როდესაც გასაჩივრებას ვუწოდებთ **„კერძოს“**.

განჩინებები სასამართლოს გამოაქვს ყველა საპროცესო სტადიაზე. ზოგიერთი მათგანი მოსამართლეს მანამდე გამოაქვს, სანამ სასამართლო არსებითად გადაწყვეტს საქმეს (მაგალითად, განცხადების მიღებაზე უარის, სასარჩელო მოთხოვნათა უზრუნველყოფის, სასამართლო ხარჯების შესახებ განჩინებები და სხვ). ამიტომ დაინტერესებულ პირს, ვისი უფლებებიც ან კანონიერი ინტერესი ნამდვილად ან სავარაუდოდ დაირღვა ამა თუ იმ განჩინების გამოტანით, უნდა მიენიჭოს გასაჩივრების უფლება, თუმცა კი საქმის წარმოება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ანუ მათი გასაჩივრება ხდება გადაწყვეტილების არსებითად გამოტანამდე.

განჩინების გასაჩივრების უფლება ხორციელდება კერძო საჩივრის (ან განჩინებაზე საჩივრის) შეტანით.

სასამართლო გადაწყვეტილებაში, როგორც საბოლოო დადგენილებაში, არა მხოლოდ საქმის განხილვის შედეგები, არამედ მართლმსაჯულების განხორციელებისას შესრულებული საპროცესო მოქმედებებია ასახული. ამასთან, გადაწყვეტილების შინაარსში აისახება მრავალი, მაგრამ არა ყველა შესრულებული საპროცესო მოქმედება და აქტი, რის გამოც აუცილებელია ნორმატიული სიზუსტე იმ საკითხში, თუ რომელ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ყველა განჩინების გასაჩივრება როდი დაიშვება გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად. პირველ რიგში კანონი არ უშვებს უზენაესი სასამართლოს განჩინებათა გასაჩივრებას. სსსკ-ის 414-ე მუხლის ზოგადი არსიდან (აზრიდან) გამომდინარე, სასამართლოს ყველა განჩინება გასაჩივრების უფლების თვალსაზრისით იყოფა განჩინებებად, რომელთა გასაჩივრებაც შეიძლება გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად, ცალკე და განჩინებებად, რომელთა გასაჩივრებაც არ დაიშვება. მართალია ამ განჩინებებზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება, მაგრამ მათი გაუქმების მოთხოვნა შეიძლება აისახოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარში.

გარდა ამისა, საერთოდ არ დაიშვება ზოგიერთი განჩინების გასაჩივრება, მაგალითად ასეთია საქმის განხილვის გადადების განჩინება.

ძირითადად, კერძო წესით შეიძლება გასაჩივრდეს დამოუკიდებელი საპროცესო დოკუმენტის სახით გაფორმებული განჩინებები. გადაწყვეტილებასთან ერთად, ძირითადად საჩივრდება საოქმო განჩინებები, რომლებიც არ ფორმდება დამოუკიდებელი საპროცესო დოკუმენტის სახით, მიიღება სასამართლო სხდომაზე და ასახულია სასამართლო ოქმში.

სსსკ-ის 414-ე მუხლის შესაბამისად, განჩინებათა ასეთი დამოუკიდებელი გასაჩივრება კერძო წესით დასაშვებია მხარეების მიერ, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება და ასევე საქმის სხვა ნებისმიერი მონაწილის მიერ, თუ უშუალოდ მათ ეხებათ განჩინება, იმ შემთხვევაში, როცა: **ეს პირდაპირ გათვალისწინებულია სსსკ-ით**. თუ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის ანალიზის მოვახდენთ, დავინახავთ, რომ კანონი მაშინ ითვალისწინებს განჩინების

გასაჩივრების შესაძლებლობას, **როცა განჩინება აბრკოლებს საქმის შემდგომ მოძრაობას (განხილვას)**. ამიტომ აუცილებელია განჩინების შინაარსის სწორად შეფასება.

მაგალითად, ეჭვგარეშეა, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის ან განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებები, აბრკოლებს პროცესის შემდგომ განვითარებას და ამიტომ, დასაშვებია მათი გასაჩივრება გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად. ასეთ განჩინებებს მიეკუთვნება აგრეთვე განცხადების (სარჩელის) მიღებაზე უარის თქმის განჩინება.

სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ იმ საფუძვლის გამოყენება, რომელიც გულისხმობს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში გასაჩივრებას, მოითხოვს საკანონმდებლო ფორმულირებათა (კანონში ფორმულირებულ დებულებათა) ზუსტ განმარტებას. მაგალითად, სსსკ-ი დასაშვებად მიიჩნევს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებზე გამოტანილი ყველა განჩინების გასაჩივრებას (იხ. სსსკ-ის 194-ე მუხლი).

მაგრამ სსსკ-ის 187-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას.

ანალოგიური წესითვე, სსსკ-ის 68-ე მუხლში განმტკიცებულია მხოლოდ გადაცილებული (გაშვებული) საპროცესო ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ განჩინებათა გასაჩივრების უფლება, ეს ნიშნავს, რომ საწინააღმდეგო შინაარსის მქონე განჩინების დამოუკიდებლად გასაჩივრება არ დაიშვება.

სსსკ-ის 274-ე მუხლის თანახმად გასაჩივრდება საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება, მაგრამ საქმის შეწყვეტაზე უარის განჩინების გასაჩივრება, ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, არ დაიშვება.

სსსკ-ის 194-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება უნდა პასუხობდეს განჩინებისათვის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნულ ნორმაში მართალია პირდაპირ არ არის მითითებული, რომ დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრება, მაგრამ ამ დებულების შინაარსის ზუსტი განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინება უნდა პასუხობდეს 285-ე მუხლის მოთხოვნებს, ამ მუხლის შესაბამისად, მასში უნდა მეეთითოს განჩინების გასაჩივრების თაობაზე. შესაბამისად, 197-ე მუხლი რომც არ არსებულიყო, რომელიც ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრებას, 194-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე დასაშვებად უნდა მიგვეჩნია სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრება.

უამრავი მაგალითი შეიძლება დასახელდეს იმისა, თუ როდის არის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული განჩინებათა დამოუკიდებლად გასაჩივრების უფლება.

სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებათა შორის არსებობს აგრეთვე განჩინებები, რომლებიც უშუალოდ არ ახდენს გავლენას საქმის არსებითად გადაწყვეტის სისწორეზე და რომელთა გასაჩივრებაც გადაწყვეტილების გამოტანამდე არ არის აუცილებელი. მაგალითად, სსსკ-ის 134-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამა თუ იმ წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის შესახებ განჩინება არ შეიძლება გასაჩივრდეს ცალკე, ე.ი. გადაწყვეტილების გამოტანამდე, რადგან შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ მტკიცებულებას არ გააჩნია შესახებობის თვისება და მის გარეშეც სასამართლოს ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები, რათა გამოეტანა კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ასეთი განჩინებები არ შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად.

თუკი მხარე ან მესამე პირი, რომელიც ითხოვდა წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვას, გამოტანილ გადაწყვეტილებას ჩათვლის კანონშეუსაბამოდ, მაშინ მას შეუძლია სააპელაციო და საკასაციო საჩივარში მიუთითოს ამ მტკიცებულების გამოთხოვაზე

უსაფუძვლო უარზე, როგორც დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთ მიზეზზე და გადაწყვეტილებაზე შეტანილ სააპელაციო (საკასაციო) საჩივარში მოითხოვოს სადავო განჩინების გაუქმებაც.

გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად არ შეიძლება გასაჩივრდეს ის განჩინებებიც, რომლებიც არ აბრკოლებს საქმის მოძრაობას (მაგალითად განცხადების წარმოებაში მიღების და სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების, მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის დანიშვნის განჩინებები და სხვ). თუ მხარეები და საქმის მონაწილე სხვა პირები ამ განჩინებებს კანონშეუსაბამოდ მიიჩნევენ, მათ შეუძლიათ ეს განჩინებები სადავოდ აქციონ სააპელაციო და საკასაციო საჩივარში.

არ დაიშვება საქმის განხილვის გადადების განჩინების გასაჩივრებაც, რადგან ეს განჩინება არ აბრკოლებს საქმის შემდგომი განხილვის (მოძრაობის) შესაძლებლობას, რადგან საქმე მოსასმენად ინიშნება გარკვეული დროისათვის (გარკვეული თარიღისათვის).

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ძირითადად მითითებულია სასამართლო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად განჩინებათა გასაჩივრების შესაძლებლობის შემთხვევები. კერძო საჩივრის (ან განჩინებაზე საჩივრის) შეტანის უფლების მქონე პირთა (განჩინების გასაჩივრების სუბიექტთა) შემადგენლობა (წრე) განპირობებულია მათი იურიდიული დაინტერესებით. მოცემულ შემთხვევაში იურიდიული ინტერესი მათთვის წარმოიშობა როგორც კონკრეტულ საქმეზე სამოქალაქო პროცესის დაწყებამდე, ისე სამართალწარმოებაშიც.

პირველ შემთხვევაში დაინტერესებული პირები ხდებიან საქმის მონაწილე პირები, მეორე შემთხვევაში – კერძო საჩივრის (ან საჩივრის) შეტანის უფლებას იძენენ ფიზიკური პირები და ორგანიზაციები, რომელთაც ამ განჩინებით ეკისრებათ სამოქალაქო საპროცესო პასუხისმგებლობა (კანონის, კერძოდ კი – სსსკ-ის 414-ე მუხლის მე-2 ნაწილის ენით რომ ვთქვათ – **კერძო საჩივრის უფლება აქვთ „აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება“**) მაშინაც კი, თუ ისინი არ მონაწილეობენ საქმის განხილვაში (არ არიან პროცესის და საქმის მონაწილენი). ამდენად, სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების სუბიექტებისაგან განსხვავებით, გაფართოებულია კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტების წრე. რაც ეხება დანარჩენ საკითხებს, კერძო გასაჩივრება ხორციელდება ისევე, როგორც სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება, რაც ნიშნავს, რომ კერძო საჩივრის რეკვიზიტები იგივეა, რაც სააპელაციო და საკასაციო საჩივრის. კერძო საჩივარზე (საჩივარზე) გადაიხდევინება სახ. ბაჟი.

ასეთია კანონიერ ძალაში შეუსვლელი განჩინებების გასაჩივრების ძირითადი თავისებურებანი, ამ თავისებურებათა გამო გასაჩივრებას ეწოდება არა სააპელაციო (საკასაციო), არამედ კერძო.

§2. კერძო საჩივრის განხილვა

კერძო საჩივრის განხილვამდე ჯერ უნდა შემოწმდეს მისი დასაშვებობა. სსსკ-ის 416-ე მუხლში მოცემულია კერძო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთი პირობა. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. სსსკ-ის 415-ე მუხლი ადგენს კერძო საჩივრის დასაშვებობის სხვა პირობასაც, იმას, რომ კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, (მოთხოვნით მხარემ განჩინების გამომტან სასამართლოს უნდა მიმართოს).

სსსკ-ის 414-ე მუხლის მეორე ნაწილით, კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს,

რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება,აგრეთვე იმ პირებსაც,რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. ე.ი გაფართოებულია საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილთა წრე აპელანტისა და კასატორისაგან განსხვავებით. თუმცა მართალია იქაც დავინახეთ, რომ აპელაციისა და კასაციის უფლება იმასაც აქვს, ვინც მხარედ აქცია გადაწყვეტილებამ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში აპელაცია-კასაციის უფლება არა აქვს დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირს. ამასთან ამ უკანასკნელს აქვს კერძო საჩივრის უფლება. მაგალითი: მოპასუხე ითხოვს საქმის შეწყვეტას, მოსარჩელის გარდაცვალების და უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობის გამო. მოსარჩელის სახელშეკრულებო წარმომადგენელს მინდობილობითა და დავალების ხელშეკრულებით მინიჭებული აქვს უფლება, წარმოდგენილი პირის გარდაცვალების შემდეგაც გააგრძელოს თავისი უფლებამოსილებები. იგი წარადგენს დოკუმენტს, რომელსაც ანდერძს უწოდებს და როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრე ითხოვს საქმეში უფლებამონაცვლედ ჩართვას. სასამართლომ არც საქმე შეწყვიტა და არც მოსარჩელის წარმომადგენელი ჩართო მის უფლებამონაცვლედ. ე. ი. არცერთი შუამდგომლობა დააკმაყოფილა და შეაჩერა საქმე უფლებამონაცვლის ჩართვამდე. საქმის შეწყვეტაზე უარი არ საჩივრდება. საჩივრდება საქმის შეჩერების განჩინება და უფლებამონაცვლედ ჩართვაზე უარის განჩინება. მოპასუხემ გაასაჩივრა საქმის შეჩერების განჩინება და მიიჩნია, რომ საქმე შესაწყვეტი იყო. მოსარჩელის წარმომადგენელს არ გაუსაჩივრებია უფლებამონაცვლედ მის ჩართვაზე უარის განჩინება. ზემდგომმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის კერძო საჩივარი და დაუბრუნა საქმე ქვემდგომ სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ქვემდგომმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და შეწყვიტა საქმე. ამჯერად საქმის შეწყვეტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელის წარმომადგენელმა. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველი უნდა დარჩეს სსსკ-ის 419-ე მუხლის გათვალისწინებით. კერძო საჩივრის ავტორმა თავის დროზე სადავო არ გახადა უფლებამონაცვლედ მის ჩართვაზე უარის განჩინება. შესაბამისად ეს განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში. აქედან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორი არ არის არც მხარე, არც უფლებამონაცვლე, ე.ი. არ არის ის პირი, ვისაც ეხება ან ვის მიმართაც არის განჩინება გამოტანილი.

კერძო საჩივარი წერილობითი ფორმით, როგორც წესი ნაბეჭდი სახით შეიტანება გადაწყვეტილების (იგულისხმება განჩინება) გამომტან სასამართლოში (იხ. 415-ე მუხლი).

გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 414-419-ე მუხლებით, კერძო საჩივრის განხილვა წარმოებს კერძო საჩივრის განმხილველი ზემდგომი (სააპელაციო თუ საკასაციო) სასამართლოებისათვის დადგენილი წესით (სსსკ-ის 420-ე მუხლი). მითითებული მუხლები არ ითვალისწინებს, თუ რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს კერძო საჩივარი (კერძო საჩივრის შინაარსი). ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სსსკ-ის 368-ე და 396-ე მუხლებით (სუსგ. 2005 წ. №4. სამოქალაქო პროცესი, გვ. 13).

კანონით (სსსკ-ის 419-ე მუხლით) დადგენილია მხოლოდ ზემდგომ სასამართლოებში კერძო საჩივრის განხილვის წესი. კერძო საჩივრის განხილვას განჩინების გამომტან სასამართლოში კანონი არ ითვალისწინებს. გამონაკლისია სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებაზე შეტანილი საჩივარი (197[1]-ე მუხლი). ამასთან, კანონი არ ადგენს ამგვარი საჩივრის განხილვის რაიმე განსაკუთრებულ წესს. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გამომტან სასამართლოში საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის, ანუ მხარეთა პროცესზე (სხდომაზე) მოწვევის გარეშე. ერთადერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება და წესი, რაც კანონმა განუსაზღვრა სასამართლოს, არის სსსკ-ის 197[1]-ე მუხლით დადგენილი დებულება. კერძოდ, სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღება ხდება შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. ეს ნიშნავს,

რომ უნდა შემოწმდეს საჩივრის დასაშვებობა სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების დასაშვებობის მსგავსად.

საჩივრის დასაშვებობაში, სხვა საკითხებთან ერთად ისიც იგულისხმება, გადახდილია თუ არა სახ. ბაჟი. აქედან გამომდინარე, ცხადია, საჩივარი დასაშვებად რომ იქნეს მიჩნეული, აუცილებელია სახ. ბაჟის წინასწარ შეტანა (როგორც ამას ითხოვს სსსკ-ის 52-ე მუხლი).

ვინაიდან საჩივარი იმ სასამართლოში შედის, რომელმაც მიიღო გასაჩივრებული განჩინება და ამ სასამართლოსვე აქვს უფლება დააკმაყოფილოს იგი, ცხადია სახ. ბაჟიც ამ სასამართლოში უნდა იქნეს გადახდილი, ამასთან — წინასწარ.

თუ საჩივარზე არ არის გადახდილი სახ. ბაჟი, ანუ საჩივარს თან არ ახლავს ბაჟის გადახდის ქვითარი და ამასთან, საჩივრის შემტანი არ თავისუფლდება სახ. ბაჟის გადახდისაგან, ანდა არ არსებობს მისი გადახდის გადადების ან გათავისუფლების საფუძველი, სასამართლო ვალდებულია, სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების მსგავსად, მისცეს ვადა საჩივრის ავტორს ხარვეზის შესავსებად და თუ მითითებულ ვადაში არ იქნება ხარვეზი გამოსწორებული, სასამართლომ საჩივარი უნდა მიიჩნიოს დაუშვებლად.

საჩივრის ხარვეზის შევსების თაობაზე განჩინება მიიღება სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების პირობების შესაბამისად. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თუ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე არ არის გადახდილი სახ. ბაჟი, სასამართლო იღებს განჩინებას ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს უნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სარჩელი არ დაიშვება (არ მიიღება). ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ხარვეზის შესავსებად გამოტანილ განჩინებაზე საჩივრის შეტანა დაუშვებელია. შესაბამისად საჩივარზე ხარვეზის გამოსასწორებლად მხარეს უწესდება ვადა და განემარტება, რომ მითითებულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მისი საჩივარი მიჩნეული იქნება დაუშვებლად, ხოლო წინამდებარე განჩინება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ამდენად ამგვარი საჩივარი განხილული რომ იქნეს, იგი ჯერ დასაშვები უნდა იყოს. დასაშვებობის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ შეიძლება მსჯელობა მის დასაბუთებულობაზე.

თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, ის აკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარს არ დააკმაყოფილებს. ასეთ დროს სასამართლომ საჩივარი განჩინების საფუძველზე საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს 5 დღის ვადაში მისი მიღებიდან. მაგრამ, მანამ, სანამ სასამართლო საჩივარს ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის, მან უნდა იმსჯელოს საჩივრის თაობაზე. მხოლოდ ამ პროცედურების გავლის შემდეგ ზემდგომი სასამართლო საჩივრის თაობაზე გამოიტანს განჩინებას.

თუ გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს არ განუხილავს შეტანილი საჩივრის დასაშვებობის და დასაბუთებულობის საკითხი, ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილი არ არის, მოცემულ საჩივარზე მიიღოს გადაწყვეტილება.

სასამართლოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ 197[1]-ე მუხლის სიტყვებს: „თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს,“ ე.ი. სასამართლო ვალდებულია თავის განჩინებაში როგორც საჩივრის დაკმაყოფილების, ისე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საქმის ზემდგომი სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, ჯერ იმსჯელოს საჩივრის როგორც დასაშვებობაზე, ისე დასაბუთებულობაზე და ისე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. **ასეთი წესის არსებობა ლოგიკურიცაა, ვინაიდან საჩივარი (კერძო საჩივარი), საპროცესო სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ზოგადად, წარმოადგენს მოსამართლის თვითკონტროლის მექანიზმს. ამიტომ განჩინების მიმღებ მოსამართლესაც უნდა ჰქონდეს საკუთარი შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე,**

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილი ნებისმიერი განჩინება საჩივრით ჯერ უნდა გასაჩივრდეს იმავე სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა ეს განჩინება, ხოლო შემდგომ კი, მისი არდაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნოს ზემდგომ სასამართლოს განსახილველად.

რაც ეხება კერძო საჩივრის (ან საჩივრის) განხილვას ზემდგომ სასამართლოებში, კერძო საჩივარი (საჩივარი) სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში ისეთივე წესით განიხილება, რა წესითაც განიხილება საქმეები სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე, მაგრამ ზემდგომი სასამართლო მატერიალურ სამართლებრივი დავის არსს (შინაარსს) არ ეხება, არამედ ამოწმებს მხოლოდ სასამართლოს მიერ შესრულებულ საპროცესო მოქმედებათა კანონიერებას.

მართალია სსსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, მაგრამ კერძო საჩივრის განხილვას ზემდგომ სასამართლოებში ახასიათებს რიგი სპეციფიკური ნიშნები, რაც არსებითად განასხვავებს მას სააპელაციო და საკასაციო წარმოებისაგან. ამასთან, გასაჩივრების ობიექტის სპეციფიკა განსაზღვრავს გასაჩივრების ზოგიერთ თავისებურებასაც.

სპეციფიკა იმაში ვლინდება, რომ ზემდგომ სასამართლოს უმრავლეს შემთხვევაში შესამოწმებლად სჭირდება საქმის არა ყველა მასალა, არა საქმე მთლიანად, არამედ საქმის მხოლოდ ნაწილი. ამიტომ მოსამართლემ, რომელმაც გამოიტანა განჩინება და მიიღო საჩივარი ამ განჩინებაზე საქმის სასამართლო განხილვის დამთავრებამდე (საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე), უნდა გამოყოს ის საპროცესო დოკუმენტები, რომლებიც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას, ცალკე დამოუკიდებელ წარმოებად და საქმის ამ ნაწილში განიხილოს საჩივარი სსსკ-ის 197[1]-ე მუხლით დადგენილი წესით და ამავე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივარი ან 417-ე მუხლით დადგენილი წესით კერძო საჩივარი შესაბამის მასალებთან ერთად გადააგზავნოს ზემდგომ სასამართლოში.

იმ შემთხვევაში, როცა კერძო საჩივარი შესულია სასამართლოში საქმისწარმოების დამთავრების შემდეგ (განჩინება საქმისწარმოების შეწყვეტის ან განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ) ანდა როცა კერძო საჩივართან ერთად საქმის ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის მომენტისათვის სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, ზემდგომ სასამართლოში იგზავნება მთლიანად საქმე კერძო საჩივართან ერთად.

კერძო საჩივრის დროს ახალი მტკიცებულებების წარდგენა დასაშვებია და იგი სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს. (სუსგ 2003 წ. № 8, გვ. 1972).

კერძო საჩივრის (აგრეთვე განჩინებაზე შეტანილი საჩივრის) შემოწმების კრიტერიუმებია განჩინების უკანონობის ან დაუსაბუთებლობის შემთხვევები, რომლებიც უნდა გამოავლინოს ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ განჩინებისა და საქმის მასალების ანუ დოკუმენტების შემოწმების დროს.

როგორც წესი, განჩინებათა უკანონობა წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის ან არასწორად გამოყენების შედეგს, ხოლო განჩინება დაუსაბუთებლად მიიჩნევა იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებების არასრულად გამორკვევის შემთხვევაში, რომლებიც აუცილებელია განჩინების (რომელიც გასაჩივრებულია) გამოსატანად, ანდა განჩინებაში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნების საქმის გარემოებებთან შეუსაბამობის შემთხვევაში. თუ კერძო საჩივარს ცნობს მოწინააღმდეგე მხარე, ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კერძო საჩივარში მითითებული გარემოებანი სინამდვილეს შეესაბამება. განჩინებათა გადასინჯვის განმასხვავებელი ნიშანი აგრეთვე მდგომარეობს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებებშიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს ზემდგომი სასამართლოს უფლე-

ბამოსილებებს ანუ თუ რა გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია მას კერძო საჩივრის (საჩივრის) განხილვის შედეგად. კანონის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კერძო საჩივრის (საჩივრის) განმხილველ ზემდგომ სასამართლოს უფლება აქვს:

1) უცვლელი დატოვოს სასამართლოს განჩინება, ხოლო საჩივარი, შესაბამისად, არ დააკმაყოფილოს. მოცემული უფლებამოსილება ხორციელდება გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემთხვევაში ან თუ აღმოჩნდება არაარსებითი დარღვევები.

2) გააუქმოს სასამართლოს განჩინება და სადავო საპროცესო საკითხი გადასცეს ქვემდგომ სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამ უფლებამოსილებას სასამართლო ახორციელებს განჩინების დაუსაბუთებლობის,აგრეთვე არსებითი საპროცესო დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, ან როცა არსებობს გაუქმების უპირობო საფუძვლები (სსსკ-ის 385-ე, 394, 412-ე მუხლები). ზოგჯერ კანონი პირდაპირ მიუთითებს, თუ ვის აქვს საპროცესო საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება. ასეთ დროს ცხადია ზემდგომი სასამართლო თვითონ ვერ გადაწყვეტს საპროცესო საკითხს და იგი გადასაწყვეტად ზემოაღნიშნულ შემთხვევებში უნდა დაუბრუნოს ქვემდგომ სასამართლოს. მაგალითად, გადაწყვეტილების განმარტების საკითხი მისი გამომტანი სასამართლოს პრეროგატივაა (262-ე მუხლი. იხ. ასევე 263-ე მუხლი და სხვა).

3) სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ზემდგომი სასამართლო აუქმებს სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას მთლიანად ან ნაწილობრივ და თვითონ წყვეტს საპროცესო საკითხს. მოცემულ უფლებამოსილებას სასამართლო ახორციელებს იმ აუცილებელი პირობის შემთხვევაში,რომ საქმეში არსებობს ყველა აუცილებელი მტკიცებულება საკითხის არსებითად გადასაწყვეტად. მაგალითად,გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოსაგან განსხვავებით ზემდგომმა სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი და გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. პრაქტიკაში ამ უფლებამოსილების არსებობა აიხსნება საპროცესო ეკონომიურობის პრინციპით.

კერძო საჩივრის (საჩივრის) განმხილველი სასამართლო შებოჭილია საჩივრის ფარგლებით და მასში ასახული მოსაზრებებით,მაგრამ კანონიერების ინტერესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს,შეუძლია იხელმძღვანელოს სსსკ-ის 396-ე და 404-ე მუხლებით და უფლება აქვს აღმოფხვრას ან მოითხოვოს იმ საპროცესო დარღვევათა აღმოფხვრაც, რომლებიც არ არის მითითებული საჩივარში. შესაბამისად, ზემდგომ სასამართლოს შეუძლია ქვემდგომი სასამართლოს მოქმედებები მიიჩნიოს უკანონოდ იმ მოსაზრებების საფუძველზეც, რომლებიც არ არის ასახული საჩივარში.

სსსკ-ის 419-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. კერძო საჩივრის (ან საჩივრის) თაობაზე გამოტანილი ზემდგომი სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება (არც კერძო საჩივრით და არც საკასაციო წესით),რაც ნიშნავს,რომ მისი განჩინება საბოლოოა (ზემდგომ სასამართლოში საბოლოოდ წყდება კერძო საჩივრის საკითხი), კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ მისი გამოტანის შემდეგ და შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ საქმის წარმოების განახლების წესით.

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ზემდგომ სასამართლოში იგულისხმება სააპელაციო სასამართლო, თუ კერძო საჩივარი შეტანილია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინებაზე და საკასაციო სასამართლო, თუკი კერძო საჩივარი შეტანილია სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე. ამდენად, ზემდგომმა სასამართლომ კერძო საჩივართან დაკავშირებით საბოლოო განჩინება უნდა გამოიტანოს.

თავი XXXV

საქმის წარმოების განახლება

§1. საქმის წარმოების განახლების ცნება, მნიშვნელობა და სახეები

სამოქალაქო საპროცესო სამართალი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა (განჩინებათა) გაუქმების განსაკუთრებულ წესს საქმის წარმოების განახლების სახით (სსსკ-ის 421-432-ე მუხლები). ე.ი. საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ისეთი საქმეებისა, რომელთა წარმოება დამთავრებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით.

სსსკ-ის 265-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებაში არ იგულისხმება არც გადაწყვეტილების აღსრულების გადადება, არც აღსრულების განაწილვადება და არც აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებაში და შეცვლაში ასევე არ იგულისხმება გადაწყვეტილების განმარტება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეცვლა ასევე არ შეიძლება გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის წესის (სსსკ-ის 267-ე მუხლის) შესაბამისად.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და შეცვლის შესაძლებლობას საპროცესო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შემთხვევაში. ამ მოტივით საქმის განხილვა კი დასაშვებია კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში (სსსკ-ის 421-ე, 432-ე მუხლები). (სუსგ, 2003 წ. № 10, გვ. 2579).

კერძოდ, სასამართლო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მისი გამოტანის დროს არსებობდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომლებიც არ იყო ცნობილი და არც შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო ერთ-ერთი ან ორივე მხარისათვის. მოცემულ გარემოებებს ახლად აღმოჩენილი გარემოებები ეწოდება.

ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება საქმის იმ გარემოებებს, რომლებიც ცნობილი და დადგენილი იყო სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტში, ხდება უკანონო, დაუსაბუთებელი, არასწორი, საქმის გარემოებებისადმი შეუსაბამო. ამიტომ, მსგავსი სასამართლო გადაწყვეტილებები არ შეიძლება დატოვებულ იქნეს კანონიერ ძალაში.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მოცემული ინსტიტუტი იმ შემთხვევებში გამოიყენება, როცა გადასინჯვის აუცილებლობა წარმოიშობა საქმისათვის არსებითი გარემოებების აღმოჩენის გამო, რომლებიც არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო სასამართლო დადგენილებათა გამოტანის დროს.

არ შეიძლება დატოვებულ იქნეს კანონიერ ძალაში აგრეთვე გადაწყვეტილებები, რომელთა ბათილობის საფუძველიც არსებობს სსსკ-ის 422-ე და 422-ე პრიმა მუხლების შესაბამისად. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უნდა გაბათილდეს შემდეგ შემთხვევაში: 1) თუ მის მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება

არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; კანონმდებელი ამ კატეგორიის მოსამართლეში მოიაზრებს სსსკ-ის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებში მითითებულ მოსამართლეს. კერძოდ იმ მოსამართლეს, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვაში და მონაწილეობა მიიღო ამავე საქმის სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში განხილვის დროს, რომელიც მონაწილეობდა საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვაში და მონაწილეობა მიიღო ამავე საქმის პირველი ან საკასაციო ინსტანციაში განხილვის დროს, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციაში და მონაწილეობა მიიღო ამ საქმის ქვედა ინსტანციაში განხილვის დროს; საქმე განიხილა ისეთმა შემადგენლობამ, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები იყვნენ, ანდა, თუ მოსამართლე თვითონ იყო მხარე ან ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები, ან ვალდებულებები აკავშირებდა და ა.შ. (სუსგ 2003 წ., №12, გვ. 3235).

2) ერთ-ერთი მხარე, ან თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე (საუბარია სწორედ კანონიერ და არა გარიგებით წარმომადგენელზე); აღნიშნული ნორმა უფლებას აძლევს საქმეში მონაწილე მხარეს მოითხოვოს საქმის წარმოების განახლება, თუ შეილახა მისი, როგორც მხარის უფლება მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, განახორციელოს საპროცესო მოქმედებები, დაიცვას თავისი უფლებები.

აღნიშნული უფლების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსსკ-ის 266-ე და 106-ე მუხლების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

106-ე მუხლის თანახმად, დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვაში მონაწილე მხარისათვის. პირი, რომელზეც ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, არის საქმეში მონაწილე მხარე. სსსკ-ის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეში იგულისხმება პირი, ვინც მოცემული კონკრეტული საქმის განხილვაში მონაწილეობდა და წარმოადგენდა მოპასუხეს ან მოსარჩელეს.

სსსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.

განმცხადებელს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, თუ მიაჩნია, რომ ამ პირის მიერ ირღვევა კანონით დაცული უფლებები მოსარჩელისა.

სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვაში (პროცესში) მხარედ ჩაბას პირი, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს მისი გადაწყვეტილება, განაახლოს საქმის წარმოება სსსკ-ის 422-ე მუხლის საფუძველზე, როდესაც აშკარაა, რომ დავა არ უნდა განხილულიყო პირის მონაწილეობის გარეშე, მაგრამ საპროცესო ნორმათა დარღვევით პირი არ იქნა ჩაბმული საქმის განხილვაში, რითაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამ მის ინტერესებს შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს.

თუ გადაწყვეტილების იურიდიული ძალა არ ვრცელდება განმცხადებელზე, შესაბამისად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა უსაფუძვლოა (სუსგ 2004 წ. №1, გვ. 4-5).

3) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ

ეხება მიღებული გადაწყვეტილება,არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; ერთ-ერთ საქმეზე განმარტებულია: კანონმდებელს მხედველობაში ჰყავს ისეთი მხარე, რომელიც ჩაბმულია, მონაწილეობს საქმეში,მაგრამ საქმის განხილვაში არ იყო მოწვეული,კანონმდებელი ასეთ მხარედ იმასაც გულისხმობს, რომელიც საერთოდ არ იყო ჩაბმული საქმეში, მაგრამ მას შეეხო გადაწყვეტილება, ანუ გადაწყვეტილება გამოვიდა მის წინააღმდეგ, (იგულისხმება რომ სასამართლოსთვის ცნობილია ასეთი პირის არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სასამართლოსთვის ამ პირის არსებობა არ იყო ცნობილი გადაწყვეტილების გამოტანისას საქმის განახლება არ დაიშვება).

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ საქმეში მოპასუხედ მოიწვია მხოლოდ სამი სოლიდარული მოვალე,რისი უფლებაც მას სსსკ-ის მე-3 მუხლის პრინციპებიდან გამომდინარე ჰქონდა. განმცხადებელი ამ პირებთან ერთად სოლიდარული მოვალეც რომ იყოს, მისი მოწვევა მხარედ საქმეში დაუშვებელი იქნებოდა, ვინაიდან სოლიდარული მოვალეებიდან მოპასუხის არჩევის უფლება აქვს კრედიტორს (სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლი) და სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ მას უფლებას არ ართმევს ახალი სარჩელი შეიტანოს დანარჩენ მოვალეთა მიმართაც (სკ-ის 469-ე მუხლით (სუსგ 2003 წ. № 8, გვ. 2178-2179).

სხვა საქმეზე კი განმარტებულია: მხარისა და მისი წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე მოწვევის აუცილებლობა ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლო სხდომაზე მოხდეს მხარის კანონით დაცული ინტერესების რეალიზაცია. იმ შემთხვევაში, როცა მხარე ... წარმომადგენლის მეშვეობით (სათანადო სრულყოფილი რწმუნების საფუძველზე) ახორციელებს თავისი უფლებების დაცვას, საფრთხე იმის შესახებ, რომ მხარე სასამართლო პროცესზე დაუცველი აღმოჩნდება, გამორიცხულია.

საქმის განხილვაში შესაძლებელია მოწვეულ იქნეს როგორც წარმომადგენელი, ისე წარმომადგენლობის გაცემის უფლების მქონე პირი, მაგრამ წარმომადგენლობის უფლებამოსილების გამცემი პირის მოუწვევლობა არ იწვევს სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტში მითითებულ შედეგებს, ვინაიდან ... პირის ინტერესები დაცულია მისი წარმომადგენლის მოწვევითაც. მითუმეტეს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმის ზეპირი განხილვის გარეშეც მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება და საერთოდ არ მოიწვიოს არც მხარეები და არც მათი წარმომადგენლები (სუსგ 2003 წ. № 10, გვ. 2675-2676).

4) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების ან გარდაცვალების, აგრეთვე დაბადების ან გარდაცვალების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი დაინტერესებული პირის განცხადებით, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განაცხადების წარდგენის მომენტისათვის არსებობს სამოქალაქო აქტის ორი სხვადასხვა ჩანაწერი და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია მცდარი მონაცემები. ზემოაღნიშნული წესით განცხადების წარდგენაზე არ ვრცელდება სსსკ-ის 426-ე მუხლით დადგენილი ვადები.

ამრიგად, სსსკ-ის 421-ე მუხლით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლების (განცხადების დასაშვებობის) შემდეგი სახეებია დადგენილი: 1) შემთხვევები, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილობის წანამძღვრები (422-ე და 422-ე პრიმა მუხლის მიხედვით) 2) შემთხვევები, როდესაც არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის წანამძღვრები 423-ე მუხლის მიხედვით. ეს ორი სახე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემთხვევით არ არის ცალ-ცალკე გამოყოფილი. საქმის განახლების სახეები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმით, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

საქმის განახლების საკითხის დაყენებისას უნდა შეფასდეს ამ გარემოებათა გავლენა საბოლოო შედეგზე, მაშინ როცა გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლის არსებობა ყოველთვის იწვევს გადაწყვეტილების უკანონობას და შესაბამისად, საქმის უპირობოდ განახლებას.

საქმის წარმოების განახლების სტადიაზე ხდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილების კანონიერების შემოწმება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლის, ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა არსებობის ფონზე, რომლებიც არსებობდა საქმის განხილვის მომენტში და არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ საქმის სწორად გადასაწყვეტად. სასამართლო დადგენილებათა გადასინჯვა საქმის წარმოების განახლების წესით სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტის კანონიერების შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა. საქმის წარმოების განახლება სამოქალაქო პროცესის განსაკუთრებული (საგამონაკლისო) სტადიაა. მის განსაკუთრებულობას განაპირობებს სასამართლო დადგენილების გაუქმების სპეციალური საფუძვლების არსებობა. პროცესის სამი სტადია (აპელაცია, კასაცია, საქმის წარმოების განახლება), მოწოდებულია ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას, კანონიერი და დასაბუთებული დადგენილებების გამოტანას. ამასთან ის, რომ ამ სტადიების წინაშე ზოგიერთი საერთო ამოცანა დგას, არ გამორიცხავს მათ შორის არსებითი განსხვავების არსებობას.

სააპელაციო და საკასაციო წესით სასამართლო დადგენილებათა გაუქმების საფუძვლებისაგან განსხვავებით, სასამართლო გადაწყვეტილება, ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძვლების (ანუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა) აღმოჩენამდე ითვლება კანონიერ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებად, რამდენადაც შეესაბამება გადაწყვეტილების გამოტანის (მიღების) მომენტისათვის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს.

ისეთი განცხადება, რომლითაც პირს უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტი და მოითხოვს მის გაუქმებას (მაგრამ არა საქმის განახლებას შესაბამისი საფუძვლების მითითებით) თავისი შინაარსით წარმოადგენს საჩივარს ზედამხედველობის წესით. ამგვარი საჩივრების შეტანა კი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის და შესაბამისად, არ განიხილება.

ამიტომ მსგავსი გადაწყვეტილების უკანონობა და დაუსაბუთებლობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ან გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლების არსებობის შედეგად.

სასამართლო გადაწყვეტილებათა და განჩინებათა გადასინჯვა გადაწყვეტილების ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, სამოქალაქო სამართალწარმოების ის სტადიაა, რომელშიც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ასევე გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლების გათვალისწინებით მოწმდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილებების კანონიერება და დასაბუთებულობა.

სამოქალაქო პროცესის მოცემული სტადიის თავისებურება მდგომარეობს როგორც კანონიერ ძალაში მყოფ სასამართლო დადგენილებათა გაუქმების საფუძვლებში, ისე გადასინჯვის (საქმის განახლების) წესში.

§2. ახლად აღმოჩენილი გარემოების ცნება და მისი განსხვავება ახალი გარემოებისაგან

ახლად აღმოჩენილი გარემოებები იურიდიული ფაქტებია, რომლებიც არსებობდა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მომენტში და დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ საქმის გადასაწყვე-

ტად, მაგრამ ეს გარემოებები არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო არც განმცხადებლის და არც სასამართლოსათვის. ამ გარემოებებზე (ფაქტებზე) დამოკიდებულია მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებათა წარმოშობა, შეცვლა, ან შეწყვეტა. ასეთი გარემოება უნდა შეეხებოდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამთავრებულ საქმეზე განხილულ სამართლებრივ ურთიერთობას და ზეგავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს გადაწყვეტილებაზე. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი შეიძლება იყოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ აღმოჩენილი მტკიცებულებები, რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გახდა მხარისათვის ცნობილი და ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ახალი მტკიცებულებები შეიძლება იმას ადასტურებდეს,რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ესა თუ ის იურიდიული ფაქტი,რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას.

იმდენად,რამდენადაც ახლად აღმოჩენილი გარემოებებია ფაქტები,რომლებზეც დამოკიდებულია მხარეთა უფლება ვალდებულებათა წარმოშობა, შეცვლა, ან შეწყვეტა, ისინი აუცილებელია განვასხვავოთ სასამართლო მტკიცებულებებისაგან, რომელთა მიზნობრივი მნიშვნელობაც (დანიშნულება) შემოიფარგლება იურიდიული ფაქტების დადგენით (დადასტურებით). ამრიგად, ახალი მტკიცებულებების აღმოჩენა, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, წარმოადგენს საქმის განახლების მიზეზს. სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში საუბარია ამგვარ მტკიცებულებებზე. გარდა ამისა, საქმის განახლებისათვის აუცილებელია, რომ გარემოებას (ან გარემოებებს) ასევე მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ საქმისათვის. ეს ნიშნავს, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოება და მტკიცებულება სასამართლოსათვის ცნობილი რომ ყოფილიყო გადაწყვეტილების მიღების დროს,მაშინ ის მიიღებდა სხვაგვარ (ამ გადაწყვეტილების საპირისპირო) გადაწყვეტილებას.

გადასინჯული სასამართლო დადგენილების უკანონობა და დაუსაბუთებლობა მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილი გარემოებების შედეგია, რომელთა გათვალისწინებაც სასამართლოს არ შეეძლო სასამართლო დადგენილების გამოტანის მომენტში,რამდენადაც ისინი არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო არც განმცხადებლის, არც სასამართლოსათვის და მათ შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ სასამართლო დადგენილების გამოტანის შემდეგ.

ახლად აღმოჩენილი გარემოებები უნდა განვასხვავოთ იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტებისაგან, რომლებიც წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ამიტომ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებებს არ მიეკუთვნება გარემოებები, რომლებიც წარმოიშვა გადაწყვეტილების მიღების (გამოტანის) შემდეგ. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების მომენტში არსებული გარემოებების შეცვლა, ამ გადაწყვეტილებას არასწორ გადაწყვეტილებად არ აქცევს და **ასეთი გარემოებები შეიძლება იყოს მხოლოდ ახალი სარჩელის აღძვრის და არა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი. გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოტანის მომენტში არსებულ ფაქტებს. შემდგომში წარმოშობილი ფაქტები არ შეიძლება ადასტურებდეს გადაწყვეტილების უკანონობას**. მაგალითად, სკ-ის 1221-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად მოპასუხის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება მისგან ალიმენტების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, გადასახდელის (ალიმენტის) ოდენობის შემცირების შესახებ ახალი სარჩელის აღძვრის და არა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის (საქმის წარმოების განახლების) საფუძველია. ამ ნორმის თანახმად ახალი გარემოებების საფუძველზე ახალი სარჩელით თითოეულ მხარეს აქვს უფლება

მოითხოვოს ალიმენტის ოდენობის შეცვლა.

ახლად აღმოჩენილი არ იქნება აგრეთვე ის გარემოებაც, რომელიც საქმის განხილვის დროს რეალურად არ არსებობდა, და რომლის შესახებაც არ შეიძლება ცნობილი ყოფილიყო საქმის განხილვის დროს მხარისათვის, რომელმაც ამის შესახებ განაცხადა შემდგომში, რის შედეგადაც მოცემული გარემოება ცნობილი არ იყო სასამართლოსათვის და არ გამოკვლეულა მის მიერ ამ მიზეზით. ახლად აღმოჩენილი გარემოების კლასიკური მაგალითია ერთ-ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ ანდერძის აღმოჩენა კანონისმიერ მემკვიდრეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. მოცემული გარემოების არსებობის შემთხვევაში საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიძლება მივიჩნიოთ სწორ გადაწყვეტილებად და ექვემდებარება გადასინჯვას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების (სასამართლო დადგენილებათა გადასინჯვის) საკითხის გადასაწყვეტად კანონი არ მოითხოვს სასამართლოს მიერ კანონის გამოყენების სისწორის, ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების, მტკიცებულებათა შეფასების სისწორის შემოწმებას. სასამართლოს მთავარი ამოცანაა – გამოარკვიოს, არსებობს თუ არ არსებობს სახეზე ახლად აღმოჩენილი გარემოებები მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში და დაადგინოს, მოახდინეს თუ არა მათ გავლენა გამოტანილი სასამართლო დადგენილების სისწორეზე.

გარემოებები, რომლებიც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების (სასამართლოს დადგენილების გადასინჯვის) საფუძველი გახდა, უნდა დამტკიცდეს, რამდენადაც (საქმის წარმოების განახლების შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) განმხილველი სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობაში.

ამრიგად, ახლად აღმოჩენილი გარემოება ეს არის:

1) იურიდიული ფაქტი, რომელიც რეალურად არსებობდა საქმის განხილვის მომენტში;

2) იურიდიული ფაქტია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული საქმისათვის, ე.ი. იწვევს სამართალურთიერთობის (უფლებებისა და მოვალეობების) წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას;

3) გარემოება (იურიდიული ფაქტი), რომელიც ცნობილი არ იყო და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო საქმის განხილვის დროს არც იმ პირისათვის, რომელმაც ამის შესახებ განაცხადა შემდგომში, არც საქმის განმხილველი სასამართლოსათვის. თუკი ახლად აღმოჩენილი გარემოება ცნობილი იქნებოდა სასამართლოსათვის გადაწყვეტილების გამოტანის დროს, მაშინ ის აუცილებლად მოახდენდა გავლენას მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილ საბოლოო დასკვნებზე.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილება ვერ დაედება საფუძვლად სასარჩელო წესით განხილულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას.

§3. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები და საგანი

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები.

კანონით (სსსკ-ის 423-ე მუხლი) დადგენილია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველთა ამომწურავი ჩამონათვალი.

ამ ნორმის იმპერატიული მოთხოვნა ასეთია: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია (შესაძლებელია), თუ სახეზე იქნება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული, მხოლოდ კანონში მითითებული საფუძვლები და პირობები, კერძოდ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილებათა და განჩინებათა გადასინჯვის საფუძვლებია:

1) აღმოჩნდა იმ დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება. თავისთავად დოკუმენტის სიყალბე ვერ გახდება საქმის განახლების საფუძველი, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქმის განახლების მომთხოვნი მხარის სასარგებლოდ ვერ გამოვიდოდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება. ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნულია: „ცნობის სიყალბე კანონით დადგენილი წესითაც რომ ყოფილიყო დადასტურებული, იგი მაინც ვერ გახდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების საფუძველი, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეყრდნობა მხოლოდ ამ ცნობას. მხარის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი დადასტურებულია სხვა მტკიცებულებებითაც".

2) დადგენილია მოწმის ცრუ ჩვენება, ექსპერტის ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; კანონში საუბარია მოწმეთა, ექსპერტთა მიერ ამ სიყალბის თუ სიცრუის შეგნებულად ჩადენაზე. კანონის ეს სიტყვები სრულიად ზედმეტია, ვინაიდან სიყალბე და სიცრუე ისედაც გულისხმობს (მოიცავს) შეგნების მომენტს.

3) ამ საქმეზე დადგენილია მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

4) სასამართლოს განაჩენი, განჩინება ან სხვა ორგანოს (სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს) დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო სასამართლოს მოცემული გადაწყვეტილების გამოტანას, გაუქმდა. სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით საქმის წარმოების განახლება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუქმდა გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველია, ე.ი. ამ გადაწყვეტილების (საფუძვლის) გარეშე გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული.

ადრე არსებული საზედამხედველო წარმოებისგან განსხვავებით საქმის განახლების საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმი იმპერატიულად განსაზღვრავს საქმის წარმოების განახლების საფუძვლებს, რაც გამორიცხავს სხვა ნებისმიერი მოტივით და საფუძვლით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვას (სუსგ 2002 წ. № 12, გვ. 2529).

5) მხარე წარმოუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ.

6) მხარისათვის ცნობილი გახდა საქმისათვის არსებითი ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც მისთვის არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო და რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი და შესაბამისად, წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ცნობილი გარემოება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ახლადაღმოჩენილ გარემოებად, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა საშუალება აღნიშნული ცნობები სასამართლოში წარედგინა საქმის განხილვის დროს.

ამრიგად, სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტში მითითებული საფუძვლები კიდეც რომ დადასტურდეს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შეიძლება მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობის არარსებობისას – თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა

მიეთითებინა ახალ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე. ამრიგად, სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტში მითითებული საფუძვლები კიდეც რომ დადასტურდეს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შეიძლება მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობის არარსებობისას – თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეთითებინა ახალ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე და თუ საქმის განხილვის დროს მათი წარდგენის შემთხვევაში გამოვიდოდა განმცხადებლისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება.

აქედან გამომდინარე, საქმის წარმოების განახლების საფუძვლებისა (423-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და სამართლებრივი წანამძღვრების არსებობისას შესაძლებელია მოხდეს საქმის წარმოების განახლება.

საქმის მასალებით უნდა დადგინდეს ის გარემოება, რომ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისას მიეთითებინა ახალ გარემოებებზე.

თუ ამ გარემოებაზე საქმის განხილვის დროს მხარე მიუთითებს, მაგრამ შესაბამის მტკიცებულებას ვერ წარადგენს თავისი ბრალის გარეშე, ხოლო შემდეგში ასეთ მტკიცებულებას წარადგენს, იგი შეიძლება დასაშვებად მიიჩნიოს სასამართლომ და შემდეგ იმსჯელოს მის საფუძვლიანობაზე.

რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის განახლებას დასახელებული საფუძვლით, ერთ-ერთ საქმეზე ამასთან დაკავშირებით განმარტებულია შემდეგი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოპასუხეს თუნდაც სცოდნოდა ახლადაღმოჩენილად მიჩნეული გარემოება და წერილობით, შესაგებლის სახით დაფიქსირებინა სასარჩელო მოთხოვნის საწინააღმდეგო არგუმენტი, იგი ვერ შეცვლიდა სასამართლო გადაწყვეტილებას, ვინაიდან, მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს დამტკიცებულად უნდა ჩაეთვალა, რაც მოცემულ შემთხვევაში ამგვარადაც მოხდა.

აღნიშნული მომდინარეობს სსსკ-ის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან, რომლის ძალითაც თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამ ვითარებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ გამოუცხადებელმა მოპასუხემ დაკარგა ინტერესი სარჩელისადმი და აღიარებს მის წინააღმდეგ მიმართულ მოთხვნას. მოცემულ შემთხვევაში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობა საქმის სასამართლო განხილვაზე საკმარის კანონიერ საფუძველს წარმოადგენდა სარჩელში მითითებული გარემოებების დამტკიცებულად ცნობისათვის და ამ გარემოებების მოპასუხის მიერ აღიარებულად მიჩნევისათვის (სუსგ 2004 წ. № 3, გვ. 763-764).

7) **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** გადაწყვეტილებათა არსებობის გამო შიდასახელმწიფოებრივ დონეზე „საქმეთა გადასინჯვისა და საქმისწარმოების განახლების შესახებ" ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №R (2000)2 რეკომენდაციის გათვალისწინებით, სსსკ-ის შესაბამისად სასამართლო აქტის გადასინჯვის საფუძველია **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** კანონიერ ძალაში შესული ისეთი გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის** ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, ე.ი კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევამ გავლენა მოახდინა განმცხადებლის საქმის გადაწყვეტის სისწორეზე.

ამრიგად, საუბარია არა ახალი, არამედ სწორედ ახლად აღმოჩენილი გარემოების შესახებ, რომელიც საქმის განხილვის დროს ობიექტურად არსებობდა, ამ ფაქტებს უკვე ადგილი ჰქონდათ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მომენტში, მაგრამ არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო მხარისათვის, ხოლო აქედან გამომდინარე, სასამართლოსთვისაც. ახალი გარემოება, რომელიც წარმოიშვა საქმის განხილვის შემდეგ, აგრეთვე შემდგომში შეცვლილი გარემოება (ასევე ახალი), არ არის საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებში იგულისხმება მხარეთა სადავო ურთიერთობებისათვის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები. გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა ამ იურიდიული ფაქტების გაუთვალისწინებლად. თუკი ეს ფაქტები ცნობილი იქნებოდა საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, მაშინ მათი გათვალისწინებით საქმეზე გამოტანილი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მტკიცებულებათა (დოკუმენტებისა ან ნივთიერ მტკიცებულებათა) და ამ მტკიცებულებათა გამოკვლევის ფალსიფიკაცია ასევე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის (განახლების) საფუძველია, რადგან შეიძლება ასეთმა გარემოებამ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვიოს. საქმის გადასინჯვის საფუძველთა ამ ჯგუფს კანონი მიაკუთვნებს შეგნებულად არასწორ თარგმანსაც, რამაც მცდარი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია. მაგრამ ამისათვის აუცილებელია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც დაადასტურებს მოწმის, ექსპერტის, ან თარჯიმნის ყალბ ჩვენებას, ან ყალბ დასკვნას, ან არასწორ თარგმანს ანუ რომლითაც დადგინდება სასამართლო დადგენილებათა გადასინჯვის (საქმის წარმოების განახლების) საფუძვლები. ასეთივე მნიშვნელობა აქვს განაჩენს, რომელიც ადასტურებს საქმის მონაწილე რომელიმე პირის მიერ ყალბი დოკუმენტების გამოყენების ფაქტს. ფალსიფიკაცია გადაწყვეტილების გადასინჯვას გამოიწვევს მხოლოდ იმ პირობით, თუ უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია.

ამიტომ საქმის წარმოების განახლების საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლო აუცილებლად უნდა დარწმუნდეს, რომ სასამართლოს განაჩენით დადგენილმა გარემოებებმა გავლენა მოახდინეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სისწორეზე. აქედან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი ვერ გახდება განაჩენით დადგენილი ამა თუ იმ მტკიცებულებითი მასალის ფალსიფიკაციის (სიყალბის) ფაქტი, თუ იურიდიული ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას, დასტურდება სხვა უტყუარი მასალებით (დოკუმენტებით).

კანონი მოითხოვს, რომ სამართალწარმოება ხორციელდებოდეს საპროცესო სამართლის ნორმებთან ზუსტ შესაბამისობაში. ნებისმიერი არსებითი დარღვევა ამ ნორმებისა, განაპირობებს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობას. მაგრამ განსაკუთრებით დიდ ზიანს მართლმსაჯულებას აყენებს საქმის მონაწილეთა, მათ წარმომადგენელთა, ან მოსამართლეთა დანაშაულებრივი მოქმედებები, ჩადენილი საქმის განხილვის დროს. ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილების, როგორც მართლმსაჯულების აქტის სრული დისკრედიტირება ხდება. ამიტომ აუცილებელია მისი ანულირება, ხოლო საქმე ხელახლა უნდა იქნეს განხილული. მაგალითად, ხელწერილის საფუძველზე, რომელიც მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობას ადასტურებს, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ გარკვეული თანხის გადახდა. თუ მოგვიანებით განაჩენით დადგინდება, რომ მოსარჩელემ ხელწერილი მოიპოვა თაღლითობის ან გამოძალვის გზით, მაშინ წარმოიშობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის აუცილებლობა.

კანონის ერთმნიშვნელოვანი აზრის მიხედვით, საქმის მასალების დანაშაულებრივი ფალსიფიკაცია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების

საფუძველია, თუ მოცემული გარემოებები დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ამდენად, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით დადასტურების შემთხვევაში ჩაითვლება დოკუმენტის გაყალბება და დანაშაულებრივი ქმედება ახლად აღმოჩენილ გარემოებად. ხოლო ეს მტკიცებულებები სასამართლოს უნდა წარუდგინოს მხარემ (დაინტერესებულმა პირმა). ნებისმიერი სხვა აქტი, მაგალითად, საგამოძიებო ან პროკურატურის ორგანოების დადგენილებები სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, არ წარმოადგენს სამოქალაქო საქმის გადასინჯვის საბაბს. საქმის გადასინჯვის საბაბი არის მხოლოდ უდავოდ ჩადენილი დანაშაული, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

აქედან გამომდინარეობს, რომ დაინტერესებულ პირთა განცხადებები მტკიცებულებათა სიყალბის ან სამოქალაქო პროცესის მონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი შემოწმების ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის (პირის ბრალდების) საფუძველი, მაგრამ ეს არ არის სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი მანამ, სანამ ისინი არ დადასტურდება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მტკიცებულებად გარდა განაჩენისა მიიჩნევა ასევე სასამართლო თუ საგამოძიებო ორგანოების დადგენილებები სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გარდაცვალების, ამნისტიის ან სხვა ამგვარი მიზეზების გამო. ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ მტკიცებულებები შეკრებილია და რომ არ ყოფილიყო ზემოთ აღნიშნული გარემოებები, სისხლის სამართლის წარმოება არ შეწყდებოდა მტკიცებულებათა უკმარისობის გამო.

გამოძიების გაჭიანურება არ ნიშნავს, რომ მტკიცებულებები შეკრებილია და გამოძიების ჩატარება არ ხორციელდება, არამედ პირიქით, მიუთითებს სწორედ მტკიცებულებათა უკმარისობაზე. (სუსგ 2003 წ. №11, გვ. 3058). **კანონის (სსსკ-ის 423-ე მუხლი) ანალიზი ცხადყოფს, რომ ზემოაღნიშნულ პირთა დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტის დადგენა კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით იმ სამართლებრივი შედეგების მიუხედავად, რომლებიც მათ გამოიწვიეს გამოტანილი გადაწყვეტილებისათვის, ყოველთვის საფუძველია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამ გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის.**

ზოგჯერ მართლმსაჯულების აქტების ურთიერთსავალდებულობის გამო დავის გადაწყვეტა ეფუძნება სხვა საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას, განჩინებას ან დადგენილებას. მაგალითად — სარეგრესო სარჩელის განხილვის დროს, სასამართლო ხელახლა როდი ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ მისთვის ამოსავალია თავდაპირველი სარჩელის განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი გადაწყვეტილების შემდგომში გაუქმება ძირითად (ამოსავალ) საფუძველს გამოაცლის მეორე გადაწყვეტილებას და განაპირობებს რეგრესული სარჩელის გამო განხილული საქმის გადასინჯვის აუცილებლობას.

ასეთივე მდგომარეობას ექნება ადგილი, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება მისთვის სავალდებულო დადგენილებას, რომელიც არასასამართლო ორგანოს მიერაა გამოტანილი.

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი სასამართლოს მიმართავს ზემოაღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების გადასინჯვის თხოვნით, მაშინ სასამართლოს ხელთ უნდა ჰქონდეს სასამართლოს ან სხვა ორგანოს შესაბამისი აქტი, რომელიც ადასტურებს (რომლითაც დგინდება) ეს გარემოებები, ანუ გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტი.

სსსკ-ის 423-ე მუხლში არ არის მითითებული, თუ როგორ უნდა დადგინდეს ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტში მითითებული გარემოებები. აღვნიშნავ, რომ ეს გარემოებები უნდა დადგინდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, განაჩენით, განჩინებით ან სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის

ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილებით.

თუ სასამართლოს წარედგინა შესაბამისი აქტის ასლი, მაშინ აუცილებელია სათანადო წესით მისი დადასტურება (დამოწმება). სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს და საქმის წარმოება განახლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ სასამართლოს ან სხვა ორგანოს დადგენილება თავის დროზე ნამდვილად გამოყენებულ იქნა და ნამდვილად საფუძვლად დაედო მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას.

სსსკ-ის 423-ე მუხლში მოცემული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველთა ჩამონათვალი, ამომწურავია და არ შეიძლება განივრცოს, ფართოდ განიმარტოს. ამასთან, სსსკ-ის 423-ე მუხლის ანალიზისა და გამოყენების დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ის გარკვეულწილად მოძველდა და საჭიროებს დამატებების შეტანას შემდეგ მოსაზრებათა გამო.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტები ან მათი ცალკეული დებულებები, ძალას კარგავენ. კონსტიტუციის შეუსაბამოდ ცნობილი ძალაში შეუსვლელი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები არ შეიძლება ამოქმედდეს და გამოყენებულ იქნეს. სასამართლოს ან სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებები, რომლებიც არაკონსტიტუციურად აღიარებულ აქტებს ეფუძნება, არ შეიძლება აღსრულდეს და უნდა გადაისინჯოს კანონით დადგენილ შემთხვევებში. ისმის კითხვა, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ასეთ სიტუაციაში? შეიძლება თუ არა სსსკ-ის შესაბამისად, ამ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტის გადასინჯვა, თუ შეიძლება, მაშინ რა საფუძვლებით და რა წესით? მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ იძლევა პასუხს ამ შეკითხვებზე. კანონის ხარვეზი აუცილებლად უნდა შეივსოს.

მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ ნორმატიული სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად აღიარებას, რომელიც სასამართლომ საფუძვლად დაუდო გადაწყვეტილებას ან დადგენილებას კონკრეტულ საქმეზე, მოცემულ შემთხვევაში აქვს ახლად აღმოჩენილი გარემოების ნიშნები და თავისი სამართლებრივი ბუნებით სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტში მოცემული საფუძვლების მსგავსია. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განჩინებების, დადგენილებების გადასინჯვის (საქმის წარმოების განახლების) საფუძველთა ჩამონათვალი უნდა გაფართოვდეს.

დაუშვებელია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლება იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო აქტი მიღებულია სასამართლო შეცდომის შედეგად, რომელიც არ იყო გამოვლენილი და არც შეიძლება გამოვლენილი ყოფილიყო ადრევე.

ყველა შეცდომა, რომელსაც სასამართლო უშვებს სასამართლო აქტის გამოტანის დროს, რამდენიმე ძირითად მომენტამდე დაიყვანება, კერძოდ, სასამართლო შეცდომა სახეზეა, როცა: არასრულადაა გამორკვეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები; საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომლებიც სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, არ არის დამტკიცებული (არ მტკიცდება); გადაწყვეტილებაში ასახული სასამართლოს დასკვნები, არ შეესაბამება საქმის გარემოებებს; დარღვეულია ან არასწორადაა გამოყენებული მატერიალური ან საპროცესო სამართლის ნორმები. ასეთი შეცდომების გამოვლენა და გამოსწორება ხდება კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო აქტების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებისას. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების გადასინჯვის მექანიზმი, სრულიადაც არ არის მომარჯვებული (მისადაგებული) ამ ამოცანათა შესრულებაზე, ამიტომ მისმა გამოყენებამ ამ მიზნებით შესაძლოა სასამართლო წესით უფლებების დაცვის უფლების

გარანტიების განმტკიცება კი არ გამოიწვიოს, არამედ მათი დარღვევა. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული საფუძვლით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმა არ არღვევს კონსტიტუციის 42-ე მუხლში განმტკიცებულ **ადამიანის უფლებათა სასამართლო** წესით დაცვის გარანტიას.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ მცდარი (არასწორი) სასამართლო აქტების გადასინჯვის შესაძლებლობის არარსებობა ლახავს და ზღუდავს უფლებათა სასამართლო წესით დაცვის უფლებას (ყველას (თითოეული პირის) უფლებას) და ასეთი ვითარება კი შეუთავსებელია გადაწყვეტილებათა სამართლიანობის (კანონიერებისა და დასაბუთებულობის) პრინციპთან და სასამართლოში სამართალწარმოების ამოცანებთან. სამართალწარმოება კი ხორციელდება სწორედ დარღვეული ან სადავო უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

კანონმდებელი, როდესაც ის ადგენს მართლმსაჯულების განხორციელების წესს, ვალდებულია გაითვალისწინოს ასეთი შეცდომების გამოსწორების მექანიზმი (პროცედურა).

მაგრამ შეცდომათა გამოსასწორებლად, არასწორი (მცდარი) სასამართლო აქტების გასაუქმებლად და შესაცვლელად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა ნებისმიერი მექანიზმი (პროცედურა), არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ეფექტიანად გადაიჭრას სასამართლოს წინაშე დასმული ამოცანები, რომლებიც გარანტირებულს ხდის უფლებათა სასამართლო წესით დაცვის უფლებას.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს არც უზენაესი სასამართლოს დადგენილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების და შეცდომათა გამოსწორების სპეციალურ პროცედურას.

დაბოლოს, სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლებს რიგი საერთო ნიშნები აქვთ.

პირველ რიგში, ახლად აღმოჩენილი გარემოებებია იურიდიული ფაქტები, რომლებიც არსებობდა საქმის გადაწყვეტის (განხილვის) მომენტში. სასამართლო დადგენილების გამოტანის შემდეგ წარმოშობილი გარემოებები, ახლად აღმოჩენილ გარემოებებს არ მიეკუთვნება. კერძოდ, საქმის გარემოებათა შეცვლა სასამართლოს დადგენილების გამოტანის შემდეგ არ შეიძლება ადასტურებდეს მის უსწორობას, არამედ მხოლოდ ახალი სარჩელის საფუძველია. სასამართლო დადგენილება უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოტანის მომენტში არსებულ ფაქტებს.

მეორე ის, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოება არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო საქმის განხილვის დროს მხარისათვის, რომელმაც შემდგომში განაცხადა ამ ფაქტების შესახებ. ეს ნიშნავს ასევე იმას, რომ მოცემული გარემოებები არ იყო ცნობილი არც სასამართლოსათვის.

მესამე, ახლად აღმოჩენილი გარემოებები არსებითი მნიშვნელობის უნდა იყოს საქმისათვის (მის გადასაწყვეტად). ეს ნიშნავს, რომ თუ ეს ფაქტები სასამართლოსთვის ცნობილი იქნებოდა გადაწყვეტილების გამოტანის დროს, მაშინ სასამართლოს უნდა გამოეტანა სხვაგვარი (საპირისპირო) გადაწყვეტილება (მთლიანად ან ნაწილობრივ).

ამრიგად, 423-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების საფუძველი შეიძლება იყოს არა ყველა ახლად აღმოჩენილი გარემოება, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოება, რომელიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

2. გადაწყვეტილების ბათილობის, ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საგანი (ობიექტი).

როგორც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ისე

გადაწყვეტილების ბათილობის საგანი (ობიექტი), როგორც წესი, პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული **გადაწყვეტილებაა**. შეიძლება აგრეთვე გადასინჯულ იქნეს პროცესის დამთავრების შესახებ **განჩინებაც,** პირველი ინსტანციის სასამართლოს სხვაგვარი განჩინება, არ არის საქმის წარმოების განახლების საგანი, რამდენადაც მათში ასახული სასამართლოს დასკვნები **შეუქცევადი ხასიათის არ არის და არ არის საბოლოო,** სასამართლოს უფლება აქვს გააგრძელოსსაქმის განხილვა და მოახდინოს მათი კორექტირება საქმის განხილვის პროცესში, განჩინების წინასწარი გაუქმების გარეშე. ამდენად, სასამართლოს განჩინება საქმის განახლების ობიექტი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ექვემდებარება გასაჩივრებას. საქმის წარმოების განახლების საგანია ისეთი განჩინებები, რომლებშიც ასახულია საბოლოო მსჯელობა კონკრეტულ უფლებებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში (მაგალითად, საქმის წარმოების შეწყვეტის (ვთქვათ მორიგების დამტკიცების) ან განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საგანია აგრეთვე ზემდგომი სასამართლო ინსტანციების (სააპელაციო, საკასაციო) განჩინებები და გადაწყვეტილებები, რომლებითაც გაუქმდა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საქმის განახლების ობიექტების ასეთი ფართე განმარტება გამომდინარეობს სსსკ-ის 424-ე მუხლიდან. მაგრამ აქაც მხედველობაშია მხოლოდ ისეთი აქტები, რომლებითაც მთავრდება სამართალწარმოება, ე.ი. განჩინება ან გადაწყვეტილება, განცხადების განუხილველად დატოვების, საქმისწარმოების შეწყვეტის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, რომელიც გამოტანილია დავის არსებითად გადაწყვეტის შედეგად, ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნების გარეშე. ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნების შესახებ განჩინების გადასინჯვას არავითარი აზრი არ აქვს, რამდენადაც ის არ აბრკოლებს საქმის განხილვის შესაძლებლობას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გათვალისწინებით.

სპეციალურ გადასინჯვას არ საჭიროებს (არ მოითხოვს) ზემდგომი სასამართლოს განჩინებები, რომლებითაც თავის დროზე დასაბუთდა (ძალაში დარჩა) ის გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში ეჭვქვეშ დადგა. მოქმედი კანონმდებლობით მსგავს სიტუაციებში ხდება მხოლოდ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა და მისი გაუქმების შემთხვევაში ზემდგომი სასამართლოების განჩინებები ძალას კარგავს ავტომატურად.

ერთ-ერთ საქმეზე განმარტებულია: სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ბათილად ცნობა ან ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო მათი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ეხება სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებებს და განჩინებებს, რომლებითაც საქმის წარმოება მთავრდება ახალი გადაწყვეტილების გამოტანით, ან საქმის წარმოების შეწყვეტით, ან სარჩელის განუხილველად დატოვებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის წარმოების განახლების მიზნით გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო მისი გაუქმების ობიექტი შეიძლება იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები და განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტისა თუ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, აგრეთვე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, აგრეთვე განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტისა და სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

განჩინების ბათილობის საფუძვლების არსებობისას შესაძლებელია ასევე საკასაციო წარმოების განახლება. მოცემულ შემთხვევაში განცხადების ავტორი მოითხოვს უზენაესი სასამართლოს განჩინების კანონიერების შემოწმებას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ

სსსკ-ი არ ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს განჩინების დასაბუთებულობისა და კანონიერების შემოწმების მიზნით გასაჩივრების შესაძლებლობას. რაც ეხება ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო აღნიშნული განჩინების გაუქმებით საქმის წარმოების განახლების მოთხოვნას, პალატა განმარტავს, რომ ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მიზნით მითითებული განჩინება არ არის გაუქმების ობიექტი, რადგან ამ განჩინებით სარჩელისა გამო საქმის წარმოება არ დამთავრებულა, არამედ უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც დამთავრდა საქმის წარმოება და კანონიერ ძალაში შევიდა უზენაესი სასამართლოს განჩინებით უცვლელად დატოვების შემდეგ. ე.ი. ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო უზენაესი სასამართლოს განჩინების გაუქმებით შეუძლებელია საქმის წარმოების განახლება, რადგან არსებობს კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ეს კი იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, მხოლოდ ამ გადაწყვეტილების გაუქმებისასაა შესაძლებელი საქმის წარმოების განახლება (სუსგ 2003 წ. № 1, გვ. 83).

§4. სასამართლოები, რომლებიც გადასინჯავენ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ან გადაწყვეტილების ბათილობის გამო

სსსკ-ის 424-ე მუხლში მითითებულია სასამართლოები, რომლებშიც შეიტანება განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სსსკ-ის 424-ე მუხლის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ზოგადი წესის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. ამიტომ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, პირმა განსჯადობის წესების დაცვით ამ სასამართლოებს უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელმა სასამართლომ უნდა გადასინჯოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის განჩინება ან გადაწყვეტილება, წყდება იმ სამართლებრივი შედეგების მიხედვით, რომლებიც დგება ამ სასამართლო დადგენილებათა გამოტანის შედეგად ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებებისათვის. კერძოდ, გადაწყვეტილების ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებათა და განჩინებათა გადასინჯვა, რომლითაც შეიცვალა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოტანილ იქნა ახალი გადაწყვეტილება, წარმოებს იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც შეცვალა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება.

სწორედ ამას ნიშნავს სსსკ-ის 424-ე მუხლის მესამე წინადადებაში მოცემული დებულება, რომლის თანახმადაც სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი (ე.ი. განცხადება) მის

მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლომ განჩინებით ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა და გადასინჯული უნდა იქნეს თავად გადაწყვეტილება, მაშინ ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის ვალდებულება როგორც ითქვა, მის გამომტან სასამართლოს აკისრია.

თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოთა განჩინებები, რომლებითაც შეწყდა საქმისწარმოება ან განცხადება განუხილველად დარჩა, გადაწყვეტილების ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც შეწყვიტა საქმის წარმოება ან განუხილველად დატოვა განცხადება.

§5. საქმის აღძვრის წესი

გადაწყვეტილების ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გადასინჯვის შესახებ საქმის აღძვრის წესში იგულისხმება პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ სასამართლოს მიმართონ სასამართლო დადგენილების გადასინჯვის შესახებ განცხადებით და ასეთი განცხადებით მიმართვის ვადები.

გადაწყვეტილების ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის უფლება მინიჭებული აქვს მხარეებს, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს. მოცემული წარმოების აღძვრის უფლება აქვთ საქმის მონაწილე პირთა უფლებამონაცვლეებსაც. საკითხი, თუ ვინ შეიძლება შეიტანოს ასეთი განცხადება დაკონკრეტებულია 423-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებში. სსსკ-ის 364-ე, 391-ე და 425-ე მუხლების გათვალისწინებით ასეთი განცხადების შეტანის უფლება დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს არ გააჩნიათ. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შეუძლია შეიტანონ, აგრეთვე იმ პირებმა, რომლებიც მართალია არ იყვნენ ჩაბმული საქმეში არც მხარედ და არც მესამე პირად, მაგრამ კანონიერ ძალაში შესულმა გადაწყვეტილებამ განსაზღვრა მისი უფლება-მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ და მაშასადამე სასამართლო გადაწყვეტილებამ აქცია იგი ერთ-ერთ მხარედ, რომლის შესახებ მხოლოდ ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ გაიგო.

წარმოება საქმის განახლებასთან დაკავშირებით, შეიძლება აღიძრას მხოლოდ კანონით დადგენილ ვადებში.

სსსკ-ის 426-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების შეტანისათვის დადგენილია ერთთვიანი ვადა, რომლის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადის გამოთვლა საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაშია დამოკიდებული გადასინჯვის საფუძველზე.

კერძოდ, სსსკ-ის 426-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ გადაწყვეტილების

ბათილად ცნობის შესახებ განცხადება ემყარება იმას, რომ ერთ-ერთი მხარე ან, თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში (422-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), მაშინ განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა გამოითვლება იმ დღიდან, როცა მხარეს, ან თუ იგი ქმედუუნაროა, მის კანონიერ წარმომადგენელს ეცნობა გადაწყვეტილება.

აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა ეს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და მისი მიღებისას მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში, ხოლო თუ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში, მაშინ მხარეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, რომელთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრაზეც გავლენა მოახდინა ამ გადაწყვეტილებამ, შეუძლიათ მისი სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება და არა განცხადების შეტანა საქმის წარმოების განახლების შესახებ. ამდენად, თუ მხარისთვის ან მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ცნობილი იყო ეს გადაწყვეტილება (ჩაბარდათ მათ ეს გადაწყვეტილება), რომლის მიღების დროსაც ისინი არ მოიწვიეს და იგი არ გაუსაჩივრებიათ კანონიერ ძალაში შესვლამდე, მაშინ დაუშვებელია საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლის არსებობა. ამიტომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ საუბარია სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე, მაშინ ამ საფუძვლების არსებობა იწყება სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, თუ საუბარია „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძვლებზე – სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, რომლებიც აუქმებენ მანამდე გამოტანილ სასამართლოს გადაწყვეტილებას, განაჩენს, განჩინებას ან სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დადგენილებას, რომელსაც ეფუძნებოდა სასამართლოს განჩინება, გადაწყვეტილება; ან სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ახალი დადგენილების მიღების დღიდან, რომელიც თავისი შინაარსით იმ განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების საპირისპიროა, რომლებსაც ეფუძნებოდა გადასინჯული გადაწყვეტილება ან განჩინება.

როდესაც ახალი გარემოების სახით განმცხადებელი უთითებს **ადამიანის უფლებათა ევრო სასამართლოს** კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე), რომელმაც დაადგინა **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის** ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა და ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში. სამთვიანი ვადის დენა დაიწყება დასახელებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომდევნო დღიდან. ევროპის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძლაში შესვლა განისაზღვრება **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის** 28-ე, 42-ე და 44-ე მუხლებში ასახული დებულებების გათვალისწინებით.

სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5

წლის გასვლის შემდეგ,რომელიც ეჭვქვეშ დადგა,გარდა სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის დროსაც ამგვარი შეზღუდვა არ მოქმედებს და შესაბამისად, განცხადების შეტანის ვადა იწყება **ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს** გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან, ასევე 422[1]-ე მუხლისა. აღსანიშნავია,რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით №3/1/531 ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება სსსკ-ის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.[1]

მართალია 426-ე მუხლის თანახმად,განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადის გაგრძელება არ შეიძლება,მაგრამ განმცხადებლის მიერ საპატიო მიზეზით გაშვებული ერთთვიანი ვადა შეიძლება აღდგენილ იქნეს მისივე თხოვნით საერთო წესით (იხ. სსსკ-ის 65-ე მუხლი).

კანონი (427-ე მუხლი) ადგენს გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ წარმოების აღძვრის თაობაზე შეტანილი განცხადების შინაარსს, მაგრამ არ შეიცავს მოთხოვნას ამ განცხადების ფორმის მიმართ. მაგრამ მოცემული წარმოების მომწესრიგებელი ნორმების ზოგადი აზრიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი განცხადება შეიტანება წერილობით. რაც ეხება შინაარსს, სსსკ-ის 427-ე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტების გარდა, განცხადება უნდა შეიცავდეს საქმისა და გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელებას, განცხადების შემტანი პირის დასახელებას და მითითებას იმ კონკრეტულ გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაზე, რომელიც უნდა გადაისინჯოს. საქმის განახლების საფუძვლებზე მითითების გარდა,უნდა მიეთითოს მტკიცებულებებიც,რომლებიც ამ საფუძვლების არსებობას ადასტურებს. განცხადების დასკვნით ნაწილში უნდა ჩამოყალიბდეს განმცხადებლის მოთხოვნა და მიეთითოს განცხადებას თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს მისი შემტანი პირი ან მისი წარმომადგენელი. წარმომადგენლის მიერ შეტანილ განცხადებას უნდა დაერთოს მინდობილობა ან წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

ჩვენ მხოლოდ იმ რეკვიზიტებზე გავამახვილეთ ყურადღება, რასაც სსსკ-ის 427-ე მუხლი პირდაპირ არ მოითხოვს.

§6 ბათილობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საპროცესო წესი

საქმის განახლების შესაძლებლობის საკითხის განხილვამდე,სასამართლომ პირველ ყოვლისა განცხადების დასაშვებობა უნდა შეამოწმოს (იხ. 429-ე მუხლი). ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის შემოწმებისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს,განცხადება შეტანილია თუ არა კანონით დადგენილ ვადაში,შეტანილია თუ არა იგი დაინტერესებული პირის მიერ,ხელმოწერილია თუ არა უფლებამოსილი პირის მიერ,აკმაყოფილებს თუ არა 427-ე მუხლით დადგენილი განცხადების შინაარსს, განმცხადებელმა მიმართა თუ არა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და სხვა. სასამართლომ უნდა იმსჯელოს,დასაშვებია თუ არა განცხადება და თუ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს,მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იმსჯელოს

[1] საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საექსპერტო შეფასება შ. ქურდაძის მიერ, გამოქვეყნდა ჟურნალში: „ადვოკატი".

ისეთი განცხადების საფუძვლიანობაზე 422-ე და 423-ე მუხლების შესაბამისად, ანუ ამის შემდეგ შეაფასოს, არის თუ არა საფუძველი საქმის წარმოების განახლებისა.

სსსკ-ის 429-ე მუხლი არ ადგენს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების წესს. ის განჩინებები, რომლებზეც კანონით არაა გათვალისწინებული კერძო საჩივრის შეტანა, სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შეიძლება გასაჩივრდეს. საქმის წარმოების განახლების შემდეგ სარჩელზე (სარჩელებზე) მიღებული უნდა იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული ამ საქმის განხილვასთან, რადგან განცხადების დაუშვებლად მიჩნევის შემთხვევაში, იგი განუხილველი რჩება. ამდენად, დასაშვებობის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, ასევე სხვა საკითხზე მიღებული განჩინებები წინ უსწრებენ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას და ისინი შეიძლება გასაჩივრდეს სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. თუ სასამართლო განცხადებას დასაშვებად მიიჩნევს, უნდა გამოარკვიოს განცხადებაში მითითებული საქმის წარმოების განახლების საფუძვლები აკმაყოფილებს თუ არა სსსკ-ის 423-ე (ასევე 422-ე – ხაზი ჩვენია) მუხლში მითითებულ მოთხოვნებს. (სუსგ 2002 წ. № 11, გვ. 2208-2210).

სსსკ-ის 430-ე მუხლის თანახმად, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებას სასამართლო განიხილავს ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გამორკვევას.

სსსკ-ის 425-ე მუხლის თანახმად, სასამართლო განხილვა წარმოებს სამოქალაქო სამართალწარმოების საერთო წესების შესაბამისად (საერთო წესების დაცვით), პირველ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც – LII თავში (რომლის სახელწოდებაა „განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი“) არის დადგენილი.

ზეპირი განხილვის შემთხვევაში განმცხადებელს და საქმის მონაწილე პირებს ეცნობებათ სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ. საქმის წარმოების განახლების მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებულია ამ პირთა გამოუცხადებლობის შედეგები: სამართალწარმოებას (განცხადების განხილვას) ვერ დააბრკოლებს ამ პირთა გამოუცხადებლობა.

სასამართლო სხდომაზე სასამართლომ საქმის მასალებიდან და მტკიცებულებებიდან გამომდინარე, რომლებიც მას წარედგინა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებასთან ერთად, უნდა დაადგინოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა არსებობა, კერძოდ, უნდა დაადგინოს, არსებობს (სახეზეა თუ არა) თუ არა სინამდვილეში ახლად აღმოჩენილი გარემოება და გადაწყვიტოს (განსაზღვროს) რამდენად არსებითია იგი, იწვევს თუ არა საქმის გადასინჯვის აუცილებლობას, ანუ რამდენად ახდენს ეს გარემოება გავლენას გადაწყვეტილების (განჩინების) სისწორეზე.

საქმის მონაწილე პირებს საქმის განხილვამდე და სასამართლო სხდომაზეც უფლება აქვთ წარადგინონ მტკიცებულებები საქმის წარმოების განახლების საფუძვლების დასადასტურებლად ან უარსაყოფად. ამ მტკიცებულებებს სასამართლო იკვლევს და აფასებს სამოქალაქო სამართალწარმოების საერთო წესებით.

ამ საკითხების გადაწყვეტის (საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის) შედეგების მიხედვით სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

განცხადების განხილვის შემდეგ, სასამართლო ან აკმაყოფილებს განცხადებას და აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და განჩინებას, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია ან უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე,

თუ აღმოჩნდება რომ განცხადება (მოთხოვნა) უსაფუძვლოა. ორივე შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. ასეთი განჩინებების გასაჩივრება დასაშვებია იმიტომ, რომ ისინი აბრკოლებენ საქმის შემდგომ მოძრაობას. საქმის წარმოების განახლების შესახებ განჩინების გაუქმება თავისთავად უკვე საფუძველია შემდეგ მიღებული განჩინების (განჩინებების) გაუქმებისა.

გადაწყვეტილების და განჩინების გაუქმების შემთხვევაში, საქმის წარმოება, რომელზეც ეს გადაწყვეტილება (განჩინება) იყო გამოტანილი, სრულად განახლდება, რომლის ხელმეორედ (თავიდან) განხილვა კონკრეტული პირობების მიხედვით შეიძლება დაიწყოს საქმის მომზადების ან სასამართლო განხილვის (მთავარი სხდომის) სტადიიდან. საქმის არსებითად განხილვა ხდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის საერთო წესებით, არსებული ყველა მტკიცებულების, მათ შორის იმ ახალი მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ ახლად აღმოჩენილი გარემოების ან გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლის არსებობას.

თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება და განჩინება აღსრულებული იყო, ხოლო საქმის ხელახლა განხილვის შედეგად სასამართლო სრულიად სხვა დასკვნებს გამოიტანს,მაშინ მან მხარის თხოვნით უნდა განიხილოს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხი.

თუ შეტანილია საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება და გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული, მაშინ ეს განცხადება ვერ შეაჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს განჩინებით დროებით შეაჩეროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება ასეთ შემთხვევაში იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების განახლების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს (სსსკ-ის 432-ე მუხლი).

თავი XXXVI

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საჩივრის შეტანის და საქმის წარმოების წესი[1]

§1 ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს შექმნის ისტორია და ზოგადი დახასიათება

პოლიტიკური ხასიათის მქონე ფუძემდებლურ უფლებებსა და თავისუფლებებს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან გარანტირებული გახადონ ამ უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების მხარეები ყველასთვის, ვინც მათ იურისდიქციაში იმყოფება, უზრუნველყოფენ კონვენციის 1-ლი კარით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

კონვენციის მხარეთა მიერ თავიანთ თავზე აღებული ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა კონვენციის დაცვის კონტროლის მექანიზმი. ამ მექანიზმის შემადგენელი ნაწილებია **ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო** (შემდგომში ტექსტში შემოკლებით აღინიშნება როგორც სასამართლო,[2] სტრასბურგის სასამართლო, ან ევროპის სასამართლო).

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო დაარსდა 1959 წელს. იმავე წელს შედგა მოსამართლეთა პირველი არჩევნები. მანამდე შეუძლებელი იყო შემდგარიყო მოსამართლეთა არჩევნები იმ მიზეზით, რომ კონვენციის 56-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს წევრთა პირველი არჩევნების ჩატარება შესაძლებელი იყო მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების მონაწილე რვა სახელმწიფო აღიარებდა **ადამიანის უფლებათა სასამართლოს** იურისდიქციის სავალდებულობას. კონვენციის მონაწილე მერვე სახელმწიფო, რომელმაც სასამართლოს იურისდიქცია აღიარა, 1958 წელს გახდა ავსტრია. **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს**, ასევე ევროპის საბჭოს ადგილსამყოფელია საფრანგეთი (ქ. სტრასბურგი).

კონვენციის დაცვაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების – ევროპის კომისიისა და ევროპის სასამართლოს საქმიანობა ხორციელდება ერთადერთი მიზნით: ეს არის დარღვეული უფლებისა და თავისუფლების დაცვა.

თავდაპირველად პირის საჩივარი განიხილებოდა **ადამიანის უფლებათა კომისიის** მიერ. განხილვის შედეგად ან არ მიიღებოდა საჩივარი კონვენციით განსაზღვრული საფუძვლით, ან მიიღებოდა საჩივარი. მიღების შემთხვევაში კომისია ვალდებული იყო მიეღო ზომები კონფლიქტის მორიგებით მოწესრიგებისათვის.

თუ მხარეები კომისიის დახმარებით ვერ შეძლებდნენ სადავო საკითხის მორიგებით გადაწყვეტას, მაშინ კომისია ადგენდა მოხსენებას, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ფაქტები და რომელიც შეიცავდა იმის შეფასებას, წარმოადგენენ თუ არა მოცემული ფაქტები მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის შესაბამისად საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების დარღვევის დამადასტურებელ გარემოებებს. მოხსენება ეგზავნებოდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რის შემდეგაც სამი თვის გასვლის შემდეგ კომისიას ან კონვენციის მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოს შეეძლოთ მიემართათ **ადამიანის უფლებათა სასამართლოსათვის**. თუ ეს არ მოხდებოდა, მაშინ გადაწყვეტილებას იმ საკითხზე, დაირღვა თუ არა კონვეცია, იღებდა მინისტრთა კომიტეტი.

დადებითი პასუხის შემთხვევაში მინისტრთა კომიტეტი ადგენდა ვადას, რომლის განმავ-

[1] ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ლიტერატურაში აღნიშნული სასამართლოს მნიშვნელობაზე ყურადღება პირველად პროფესორმა ავთანდილ კობახიძემ გაამახვილა. იხ. ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2003წ.

[2] ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სტრასბურგის სასამართლოსაც უწოდებენ.

ლობაშიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. იმ შემთხვევაში, როდესაც კონვენციის მონაწილე შესაბამისი სახელმწიფო დადგენილ ვადაში არ იღებდა გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მინისტრთა კომიტეტი წყვეტდა, თუ რა წესით უნდა შესრულებულიყო თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება, რის შესახებაც აქვეყნებდა შესაბამის მოხსენებას.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს საქმის განსახილველად მიღების უფლება მხოლოდ მას შემდეგ ჰქონდა, რაც **ადამიანის უფლებათა კომისია** დაადგენდა, რომ კონფლიქტის (დავის) მორიგებით მოწესრიგებისკენ მიმართული ძალისხმევა შესაბამისი მოხსენების ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისათვის გაგზავნის შემდეგ სამი თვის განმავლობაშიც უშედეგო.

სასამართლო თავის საქმიანობას სესიაზე ახორციელებდა. რეგლამენტსა და პროცედურის წესებს თავად სასამართლო ადგენდა. პირველი რეგლამენტი 1959 წელს იქნა მიღებული.

№9-ე ოქმის შესაბამისად, რომელიც ძალაში 1994 წლის 1-ლ ოქტომბერს შევიდა, ისეთ შემთხვევაში, როცა **ადამიანის უფლებათა კომისიამ** დაასკვნა, რომ აუცილებელია საჩივრის მიღება და მისი შემდგომი განხილვა სასამართლოს მიერ, სასამართლოსთვის საქმის გადაცემის უფლება მიენიჭა ასევე ფიზიკურ პირსაც, პირთა ჯგუფს ან არასამთავრობო ორგანიზაციას.

ამ შემთხვევაში სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტს, რომელთაგან ერთს წარმოადგენდა იმ სახელმწიფოსაგან არჩეული მოსამართლე, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი, უფლება ჰქონდა ერთხმად მიეღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქმე არ გადაეცემა სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა მიეღო მინისტრთა კომიტეტს.

უფლების სამართლებრივი წესით დაცვის ეფექტიანობის ამაღლების, ასევე საქმის განხილვის საპროცესო ვადების შემცირების მიზნით განხორციელდა ევროპაში **ადამიანის უფლებათა დაცვის** კონტროლის მექანიზმის რეფორმა.

1994 წლის 11 მაისს ხელი მოეწერა კონვენციის № 11 ოქმს „კონვენციის შესაბამისად შექმნილი კონტროლის მექანიზმის რეორგანიზაციის შესახებ". ოქმი ითვალისწინებს **ადამიანის უფლებათა ერთიანი მუდმივი ევროპის სასამართლოს** შექმნას.

№11 ოქმი ძალაში შევიდა 1998 წლის 1-ლ ნოემბერს და კონვენციის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამავე თარიღიდან მოქმედება შეწყვიტა № 9 ოქმმა.

№11 ოქმის შესაბამისად შეიცვალა მუხლების ნუმერაცია და შემოღებული იქნა კონვენციის მუხლების სათაურები:

კონვენციის II კარს ეწოდება „**ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო**" და მოიცავს მე-19-51-ე მუხლებს.

ერთიანმა სასამართლომ შეცვალა მანამდე მოქმედი კონტროლის ორი ორგანო: **ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო**.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დაკარგა კონვენციის დარღვევის არსებობის შესახებ საკითხის გადაწყვეტის უფლება. კონვენციის 32-ე მუხლის შესაბამისად, ყველა საკითხი, რომელიც ეხება კონვენციისა და კონვენციის ოქმების დებულებათა განმარტებასა და გამოყენებას, რომლებიც (საკითხები) კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გადაეცეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, იმყოფება **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** გამგებლობაში.

ამასთან ერთად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუნარჩუნდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე (აღსრულებაზე) ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება.

2000 წლის ბოლოს **ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული მექანიზმის** მორიგი რეფორმირებისთვის სამუშაოები დაიწყო, რაც დასრულდა კონვენციის №14 ოქმის მიღებით, რომელიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 114-ე სესიის მიმდინარეობისას იქნა ხელმოწერილი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ ქ. სტრასბურგში 2004 წლის 12-13 მაისს.

როგორც აღნიშნული დოკუმენტის მე-19 მუხლშია მითითებული, ოქმი ძალაში შედის თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას, იმ თარიღიდან დაწყებული, როცა კონვენციის თითოეულმა მხარემ გამოხატა თავისი თანხმობა შებოჭილი იყოს ოქმით მე-18 მუხლის დებულებების შესაბამისად. კონვენციის მხარეს თანხმობის გამოხატვა შეუძლია ხელმოწერით რატიფიკაციის მიღების ან მოწონების შესახებ დათქმის გარეშე, ან ხელმოწერით შემდგომში სავალდებულო რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების პირობით, რომელსაც მოსდევს რატიფიკაცია, მიღება ან მოწონება.

დღეისათვის №14 ოქმი რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ.

№14 ოქმით გათვალისწინებული ცვლილებები მდგომარეობს შემდეგში:

1. სრულყოფილი იქნა საჩივრების მიღების მექანიზმი ერთპიროვნული მოსამართლის მიერ საჩივრის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის შემოღებით და სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტებისათვის საჩივარზე არსებითად დადგენილების გამოტანის უფლების მინიჭებით;

2. შემოღებული იქნა დამატებითი კრიტერიუმი, რომელიც **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** საჩვრის დაუშვებლად ცნობის უფლებას აძლევს განმცხადებლის მიერ განცდილი ზიანის „მნიშვნელოვნების" მიხედვით;

3. ადამიანის უფლებათა ევროპის საბჭოს კომისარს მიენიჭა საქმის განხილვაში მესამე მხარედ მონაწილეობის უფლება;

4. ექვსიდან ცხრა წლამდე გაიზარდა ევროპის სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა ხელახლა არჩევის უფლების გარეშე;

5. შეიქმნა კონვენციისადმი ევროპის კავშირის მიერთების იურიდიული შესაძლებლობა.

ევროპის სასამართლოს მოსამართლეები. სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეების რაოდენობა ყოველთვის იყო და არის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობის ტოლი. დღეისათვის კონვენცია რატიფიცირებულია 50-მდე სახელმწიფოს მიერ.

კონვენციის 23-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლეები აირჩევიან 9 წლის ვადით. დაუშვებელია მათი ხელახლა არჩევა. მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა ეწურება მის მიერ 70 წლის ასაკს მიღწევის შემდეგ.

მოსამართლეს უნდა გააჩნდეს ყველაზე მაღალი მორალური თვისებები, აკმაყოფილებდეს მაღალ სასამართლო თანამდებობაზე დანიშვნისათვის წამოყენებულ მოთხოვნებს, ან იყოს საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტის მქონე სამართალმცოდნე.

თანამდებობაზე ყოფნისას, მოსამართლეებმა არ უნდა განახორციელონ მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან მათი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე მოთხოვნებთან შეუთავსებელი არავითარი საქმინობა სრული სამუშაო დღის განმავლობაში. მოსამართლეები სასამართლოს მუშაობაში მონაწილეობენ პირადად.

კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფოდან მოსამართლეს ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა ხმათა უმრავლესობით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისგან შემდგარი სიიდან.

მოსამართლე შეიძლება გადაყენებული იქნეს თანამდებობიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სხვა მოსამართლეები ხმათა უმრავლესობით (ორი მესამედით) მიიღებენ

გადაწყვეტილებას იმის შესახებ,რომ იგი აღარ შეესაბამება მოსამართლისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

ევროპის სასამართლოს კომპეტენცია. სასამართლოს კომპეტენცია ეფუძნება მხოლოდდამხოლოდ ევროპის კონვენციას. სასამართლოს კომპეტენციაა ყველა იმ საკითხის განხილვა, რომელიც შეეხება კონვენციასა და კონვენციის ოქმების დებულებათა გამოყენებასა და განმარტებას. ეს საკითხები სასამართლოს განსახილველად შეიძლება გადაეცეს დაინტერესებული პირის სასამართლოსადმი მიმართვის გზით. დაინტერესებული პირია ის, ვინც ამტკიცებს, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციითა და კონვენციის ოქმებით აღიარებული მისი უფლებები.

კონვენციით განმტკიცებულ უფლებებს შორის არის: სიცოცხლის უფლება; სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება; კერძო და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება; უფლების სამართლებრივი წესით დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება და სხვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

შრომითი, საპენსიო და სხვა სოციალური უფლებები, საბინაო უფლებები სასამართლოს კომპეტენციის მიღმა იმყოფებიან, რამეთუ მათი დაცვა ხდება ევროპის სოციალური ქარტიით, რომლითაც გათვალისწინებულია კონტროლის ცალკე საკუთარი სისტემა.[11]

ამასთან, ევროპის სასამართლო არცთუ იშვიათად განიხილავს საქმეებს, რომლებშიც დავის საგანს წარმოადგენს სახელდობრ, პენსიის ოდენობის გადაანგარიშების, პენსიის გადახდის დავალიანების, სხვა სოციალური გასაცემის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები. ამასთან, სასამართლოსთვის ამოსავალია ის, რომ „მოთხოვნა", პენსიის შესახებ მოთხოვნაც კი, შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრებას კონვენციის №1 ოქმის 1-ლი მუხლის აზრით. მაგალითისთვის შეიძლება დასახელდეს 2003 წლის 24 ივლისს მიღებული დადგენილება საქმეზე „რიაბიხი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ", ასევე 2004 წლის 18 ნოემბერს მიღებული დადგენილება საქმეზე „პრავედნაია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ".

ევროპის სასამართლოს კომპეტენციაში შედის არა მხოლოდ კონფლიქტების განხილვა, არამედ აგრეთვე საკონსულტაციო დასკვნების გამოტანაც. ასეთი დასკვნების გამოტანა ხდება მინისტრთა კომიტეტის თხოვნით იურიდიულ საკითხებზე, რომლებიც შეეხება კონვენციისა და კონვენციის ოქმების დებულებათა განმარტებას. სასამართლოს საკონსულტაციო ხასიათის დასკვნა არ უნდა შეეხებოდეს არც კონვენციის 1-ლი კარითა და კონვენციის ოქმებით განსაზღვრული უფლებების ან თავისუფლებების შინაარსისა და მოცულობის საკითხს, არც სხვა საკითხებს, რომელთა განხილვაც შედის სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციაში კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიმართვის განხილვის დროს.

სასამართლოს საკომსულტაციო ხასიათის დასკვნები მოტივირებული უნდა იყოს.

ევროპის სასამართლო არ განიხილავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შედასახელმწიფოებრივი სამართლის გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როდესაც დავის საგანია ფაქტობრივი და სამართლებრივი ხასიათის შეცდომები, რომლებიც განმცხადებლის აზრით, დაუშვა სახელმწიფო სასამართლომ, თუკი ამგვარი შეცდომების მიუხედავად, არ დარღვეულა კონვენციის და კონვენციის ოქმების დებულებანი, ე.ი. სასამართლოს შეცდომას არ გამოუწვევია კონვენციის დარღვევა.

სასამართლოს ორგანიზაცია და მუშაობა. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო მუშაობს მუდმივობის საწყისებზე და არა სასესიო საფუძველზე, როგორც ეს ადრე იყო.

სასამართლოს მუშაობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. სასამართლოს თავმჯდომარეს ეხმარებიან მოადგილეები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ცვლიან თავმჯდომარეს,

---

[1] იხ. მაგალითად, **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** 2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „აუნოლა ფინეთის წინააღმდეგ", საჩივარი №30517/96

აგრეთვე სასამართლოს სექციებს ხელმძღვანელობენ. თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები აირჩევიან სამი წლის ვადით სასამართლოს პლენარულ სხდომაზე.

სასამართლოს თავმჯდომარეს მოვალეობების შესრულებაში, რაც გამოიხატება სასამართლოსა და სასამართლოს მოსამსახურე ქვედანაყოფების ხელმძღვანელობაში, ეხმარება ბიურო.

ბიურო შედგება სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) და სასამართლოს სექციების თავმჯდომარეებისაგან.

სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია ბიუროს გადასცეს ნებისმიერი ადმინისტრაციული ან სასამართლოს კომპეტენციაში არმყოფი საკითხი, ე.ი. საკითხი, რომელიც შედის ბიუროს კომპეტენციში. სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გადაცემულ საკითხზე ბიუროს შეუძლია მოხსენების წარდგენა სასამართლოს პლენარულ სხდომაზე.

პლენარულ სხდომებზე წყდება რიგი სხვა ორგანიზაციული საკითხებიც: იქმნება სასამართლოს პალატები; აირჩევიან პალატების თავმჯდომარეები; მდივნი- სასამართლოს კანცლერი, კანცლერის (მდივნის) ერთი ან რამდენიმე მოადგილე; მიიღება სასამართლოს რეგლამენტი.[11]

სასამართლოს გააჩნია სამდივნო, რომლის უფლებებს, მოვალეობებსა და ორგანიზაციას განსაზღვრავს სასამართლოს რეგლამენტი. სასამართლოს ემსახურებიან სამართლის რეფერენტები.

რეგლამენტის შესაბამისად, ევროპის სასამართლო ქმნის:

სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტებს, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატებს, სექციებს, 17 მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატას.

კომიტეტი განიხილავს ინდივიდუალური საჩივრის დასაშვებობის საკითხს. სექციები იქმნება სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით სამი წლის ვადით. თითოეული მოსამართლე წარმოადგენს რომელიმე სექციის წევრს. მუდმივ საფუძველზე მოქმედებს სასამართლოს ოთხი სექცია. სექციების წევრთაგან იქმნებიან პალატები. პალატები განიხილავენ და წყვეტენ საქმეებს. დიდ პალატას გამოაქვს საქმეებზე გადაწყვეტილებები, განიხილავს შეკითხვებს საკონსულტაციო ხასიათის დასკვნების თაობაზე.

იმ სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე, რომლის ქვეყნიდანაც შემოსულია საჩივარი, ყოველთვის მონაწილეობს პალატებსა ან დიდ პალატაში ამ საჩივრის განხილვის დროს. თუკი ასეთი მოსამართლე არ არსებობს ან თუკი მას არ შეუძლია სხდომაში მონაწილეობა, მაშინ სახელმწიფო ნიშნავს პირს, რომელიც მოსამართლედ გამოვა საქმეზე.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს იღებს ევროპის საბჭო.

§2. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსადმი მიმართვის წესი

დაინტერესებული პირები. სასამართლოსადმი საჩივრით ან ინდივიდუალური საჩივრით მიმართვა შეუძლია: კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოს მიერ კონვენციისა და კონვენციის ოქმების დებულებათა დარღვევის ვარაუდი;[22] .

[1] მოქმედი რეგლამენტი მიღებულია 1998 წლის 4 ნოემბერს. მასში შესულია ზოგიერთი შესწორება, ცვლილება და დამატება.

[2] 1982 წელს სკანდინავიის ქვეყნებმა, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა საჩივარი თურქეთის წინააღმდეგ შეიტანეს სამხედრო რეჟიმის დროს შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს საქმე მორიგებით დამთავრდა, რომლის შესაბამისადაც თურქეთის მთავრობა დათანხმდა თავის შიდა სამართალსა და თურქეთის

ფიზიკურ პირს, არასამთავრობო ორგანიზაციას, კერძო პირთა ჯგუფს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი წარმოადგენენ კონვენციის მონაწილე ერთერთი სახელმწიფოს მიერ კონვენციითა და კონვენციის ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლს.[11] .

როგორც წესი, საქმის განხილვის დროს განმცხადებლის ინტერესებს იცავს ადვოკატი. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს (მოპასუხის) სახელით სასამართლოში გამოდის წარმომადგენელი–სახელმწიფოს რწმუნებული, რომელსაც უფლება აქვს ისარგებლოს ადვოკატის და მრჩევლის დახმარებით.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქართველოს წარმომადგენლის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია: საქართველოს წინააღმდეგ აღძრული საქმეების სასამართლოში განხილვის დროს საქართველოს ინტერესების დაცვა. ამ ამოცანის განსახორციელებლად წარმომადგენელს უფლება აქვს საქმეში ჩაებას საქარველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები, აგრეთვე ადვოკატები; საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფისათვის შესაბამისი ზომების მიღება, თუკი სასამრთლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება უკავშირდება საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას; დარღვეული უფლებების აღსადგენად, განმცხადებლისათვის სამართლიანი ფულადი კომპენსაციის გადახდის ჩათვლით სასამართლოსა და მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქართველოს წარმომადგენლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კონფლიქტის (დავის) სასამართლომდე მოწესრიგების ღონისძიებათა მიღება. თუკი განაცხადებიდან იკვეთება კონვენციისა და კონვენციის ოქმების დებულებათა დარღვევა, მაშინ წარმომადგენელი სთავაზობს განმცხადებლს დავის მორიგებით[12] მოწესრიგებას, რომელიც მოიცავს მათ შორის განმცხადებლისათვის სამართლიანი ფულადი კომპენსაციის გადახდასაც.

სასამართლოში შეტანილი საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს დასაშვებობის პირობებს, არ უნდა იყოს დარღვეული მისი გაფორმებისა და გაგზავნის წესები. სხვა შემთხვევაში იგი არ მიიღება.

დაინტერესებული პირის **საჩივრის დასაშვებობის პირობები** განსაზღვრულია კონვენციის 35-ე მუხლით. დასაშვებობის სამი პირობა არსებობს: 1. ამოწურული უნდა იყოს უფლების სამართლებრივი წესით დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები; 2. დაცული უნდა იყოს სასამართლოსადმი მიმართვის ვადა და 3. საჩივრის შეტანის წესები.

უფლების სამართლებრივი წესით დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა. საქმის განსახილველად მიღება სასამართლოს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, რაც ამოწურული იქნება უფლების სამართლებრივი წესით დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

მოცემული მოთხოვნა ეფუძნება კონვენციის მე-13 მუხლს, რომლის თანახმადაც ყველას, ვისი კონვენციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებებიც არის დარღვეული, აქვს სახელმწიფო ორგანოში უფლების სამართლებრივი წესით დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება მაშინაც კი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინეს ოფიციალურად მოქმედმა პირებმა.

პრაქტიკაში მე-3 მუხლის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ ევროპის კომისიისათვის მოხსენების რეგულარულად წარდგენას (იხ. Гомъен Д, Харрис Д, Зваак Л. Европейская конвенция о правах человека и европейская социальная хартия; право и практика М 1998,55-56)

[1] მსხვერპლის სტატუსი უნდა დაადასტუროს სასამართლომ.

[2] ზოგჯერ ქართულ ლიტერატურაში საუბარია დავის „მეგობრულ" მოწესრიგებაზე. უფრო ზუსტ ტერმინად დავის მორიგებით მოწესრიგება მიგვაჩნია.

ევროპის სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ საკითხი იმის შესახებ, უფლების დაცვის თუ რომელი საშუალებები უნდა იყოს ამოწურული, განისაზღვრება შიდასახელმწიფოებრივი სამართლით და წყდება სახელმწიფო ორგანოების მიერ. თუკი უფლების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით არსებობს უფლების დაცვის რამდენიმე საშუალება, მაშინ განმცხადებელმა უნდა განმარტოს, თუ რატომ აირჩია მან უფლების დაცვის ესა თუ ის საშუალება. საკითხი იმის შესახებ, რომ განმცხადებელმა არ ამოწურა უფლების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, მოპასუხე სახელმწიფომ უნდა დასვას. მასვე ევალება ამტკიცოს, რომ არსებობს უფლების დაცვის კონკრეტული და საკმარისი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები.

თუკი სახელმწიფო ორგანოები (ადმინისტრაციული ორგანოები, სახელმწიფო სასამართლოები) არ აღადგენენ პირის დარღვეულ უფლებას ან დაზარალებულ მხარეს არ მიაკუთვნებენ სამართლიან კომპენსაციას, **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** უფლება აქვს მიიღოს განმცხადებლის შესაბამისი საჩივარი და განიხილოს დარღვეული უფლების აღდგენის და სამართლიანი კომპენსაციის მიკუთვნების საკითხი.

თუკი დაზარებულ მხარეს არ გამოუყენებია უფლების სამართლებრივი წესით დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, მაშინ მისი განცხადება არ შეიძლება განიხილოს სასამართლომ, რამეთუ კონვენციით გათვალისწინებული **ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი** იმავე უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივ მექანიზმთან მიმართებაში წარმოადგენს დამატებით მექანიზმს.

საქართველოს მოქალაქისათვის უფლების სამართლებრივი წესით დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა ნიშნავს, რომ მისი საქმე განსჯადობის წესებისდა მიხედვით თავდაპირველად განხილული უნდა იქნეს საერთო იურისდიქციის მქონე პირველი ინსტანციის (რაიონული/საქალაქო) სასამართლოს, შემდეგ კი სააპელაციო და ბოლოს საკასაციო სასამართლოს მიერ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია საქმის წარმოების განახლების ინსტიტუტი, როგორც უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალება. თუმცა, ამ სტადიის ამოწურვა არ არის აუცილებელი.

ამდენად, დაინტერესებული პირის მიმართვა სასამართლოსადმი საჩივრით კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის გადასინჯვისა და საქმის განახლების მოთხოვნით არ წარმოადგენს სავალდებულო პირობას.

ამის გამო კი, უფლების სამართლებრივი წესით დაცვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები ამოწურულად ითვლება მაშინ, როდესაც მიიღება სასამართლოს საბოლოო აქტი, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით ვეღარ გასაჩივრდება. ასეთი შეიძლება იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაც, თუკი მისი გასაჩივრება აღარ არის დასაშვები.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსადმი მიმართვის ვადის დაცვა. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსადმი მიმართვის ვადაა ექვსი თვე, საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.

საჩივრის. შეტანის წესი. საჩივრის შეტანის წესი, მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს საჩივარი, განსაზღვრულია **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** რეგლამენტით.

განმცხადებელს უფლება აქვს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით შეიტანოს ინდივიდუალური საჩივარი. სასამართლოს საჩივარი წერილობითი ფორმით წარედგინება. საჩივარს ხელს აწერს განმცხადებელი ან მისი წარმომადგენელი. სასამართლოსადმი მიმართვა შეიძლება გაიგზავნოს ფაქსით, ტელეგრამით, რომლებშიც მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს ინდივიდუალური საჩივრის საგანი. ასეთი მიმართვიდან ხუთი დღის განმავლობაში

განმცხადებელმა სასამართლოში უნდა გააგზავნოს საჩივრის ხელმოწერილი ორიგინალი.

საჩივრის შესადგენად სასამართლოს სამდივნოს აქვს ფორმულარი,რომელიც შეიძლება გაეგზავნოს განმცხადებელს შესავსებად. პირველი შეტყობინების გაგზავნა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სამომავლოდ შესატანი საჩივრის საგანი,მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი მიმართვის ექვსთვიანი ვადის დასაცავად.

საჩივარი უნდა შეიცავდეს მანაცემებს განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლის შესახებ. მასში მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს ფაქტები, კონვენციის დარღვევები, რომელთაც განმცხადებლის აზრით ადგილი ჰქონდათ და შესაბამისი მოსაზრებები; საჩივარში უნდა მიეთითოს,რომ დაცულია საჩივრის დასაშვებობის მოთხოვნები,უნდა მიეთითოს საჩივრის საგანი. საჩივრს უნდა დაერთოს საჩივრის საგანთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტების ასლები. საჩივარი შეიძლება შედგეს ქართულ ენაზე. მას შემდეგ,რაც დაშვებული იქნება საჩივარი, საჩივრის საფუძვლიანობის დამადასტურებელი ან საჩივრის საფუძვლიანობის გამაქარწყლებელი დოკუმენტები შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. სასამართლოს ოფიციალური ენაა ფრანგული და ინგლისური. სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს გადაწყვიტოს და შემდგომში გამოიყენოს კონვენციის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს ოფიციალური ენა მას შემდეგაც, რაც საჩივარი დასაშვებად გამოცხადდა.

საჩივრის შეტანის წესი მკაფიოდ არის განსაზღვრული პრაქტიკულ ინსტრუქციაში, რომელსაც ეწოდება ,,საჩივრის შეტანა''. ინსტრუქცია ავსებს სასამართლოს რეგლამენტის 45-ე და 47-ე მუხლებს. ინსტრუქცია ხელმწერილია 2003 წლის 1-ლ ნოემბერს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

საჩივრის შეტანა უფასო პროცედურაა.

საჩივარი არ უნდა იყოს ანონიმური, მას ხელს აწერს განმცხადებელი ან მისი წარმომადგენელი. სასამართლო არ იღებს განსახილველად საჩივარს, თუ იგი სასამართლოს მიერ უკვე განხილული საჩივრის ანალოგიურია, ან წარმოადგენს საერთაშორისო განხილვის ან მოწესრიგების სხვა (სხვაგვარი) პროცედურის საგანს და თუ იგი არ შეიცავს საქმესთან შემხებლობაში მყოფ ახალ ფაქტებს (კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

თუკი დაინტერესებული პირი მოითხოვს სასამართლოს მიერ მისთვის სამართლიანი კომპენსაციის მიკუთვნებას სახელმწიფოს მიერ მისი უფლებების დარღვევისათვის, მაშინ შესაბამისი მოთხოვნა წერილობით უნდა ჩამოყალიბდეს. რეგლამენტით არ არის გათვალისწინებული მითითება ინდივიდუალურ საჩივარში კომპენსაციის შესახებ მოთხოვნაზე. ასეთი **ª**ოთხოვნა შეიძლება ჩამოყალიბდეს წერილობით ახსნა-განმარტებებში ან ცალკე სახით არსებულ საპროცესო დოკუმენტში. განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ანგარიში და მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტები.

§3. საჩივრის მიღების და საქმის განხილვის წესი

საჩივრის მიღება. დაინტერესებული პირის ინდივიდუალურ საჩივარს თავდაპირველად მომხსენებელი მოსამართლე განიხილავს,რომელიც მოხსენებასთან ერთად ინდივიდუალურ საჩივარს აგზავნის კომიტეტში.

მოსამართლეთა კომიტეტს შეუძლია საჩივრი დაუშვებლად გამოაცხადოს ან ამორიცხოს იგი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან. კომიტეტის ამგვარი გადაწყვეტილება საბოლოოა.

თუკი კომიტეტი არ მიიღებს საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტილებას, მაშინ ამ საკითხს გადაწყვეტს პალატა.

საჩივრის დასაშვებობის თუ დაუშვებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება

დასაბუთებული უნდა იყოს.

სასამართლო ინდივიდუალურ საჩივარს დაუშვებლად აცხადებს, თუკი მას კონვენციის ან კონვენციის ოქმების დებულებებთან შეუთავსებლად მიიჩნევს. ,,შეუთავსებლობა'' ნიშნავს, რომ სასამართლოს არ გააჩნია საჩივარში დასმული საკითხის განხილვის კომპეტენცია.

დაუშვებლად ცხადდება აშკარად დაუსაბუთებელი საჩივარი. მაგალითად, განმცხადებელი ითხოვს შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო აქტის გადასინჯვას და გაუქმებას.

საჩივარი მაშინაც ცხადდება დაუშვებლად, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ განმცხადებელმა ბოროტად ისარგებლა საჩივრის შეტანის უფლებით.

უფლების ბოროტად სარგებლობად სასამართლო მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საჩივარი შეიცავს შეურაცხმყოფელ განცხადებებს მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ, როცა საჩივარი შეტანილია პროპაგანდის მიზნით ან განმცხადებელს სურს გახდეს ცნობილი პირი, განმცხადებელი არ პასუხობს სასამართლო სამდივნოს რიგ საკითხებზე მისი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.[11]

ინდივიდუალურ საჩივარს, რომელიც კომიტეტს არ გამოუცხადებია დაუშვებლად ან მომხსენებელმა მოსამართლემ უშუალოდ პალატაში გააგზავნა, განიხილავს პალატა, რომელსაც ქმნის სექციის თავმჯდომარე საქმის განხილვის მიზნით.

საქმის განხილვა. საჩივრის დასაშვებად გამოცხადების შემდეგ სასამართლო საქმეს განიხილავს დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით და თუ აუცილებელია, იკვლევს საქმის გარემოებებს. ამისათვის დანტერესებული სახელმწიფო ქმნის ყველა საჭირო პირობას. პალატას ან მის თავმჯდომარეს შეუძლია მხარეებს შესთავაზოს დამატებითი მტკიცებულებებისა და წერილობითი ახსნა-განმარტებების წარდგენა. ახსნა-განმარტებების წარდგენის ვადა ერთნაირია ორივე მხარისათვის, თუკი მიღებული არ იქნება სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქმის განხილვამდე სასამართლო იღებს ზომებს კონფლიქტის (დავის) მორიგებით (მეგობრულად) მოწესრიგებისათვის. მოცემული პროცედურა კონფიდენციალურია. თუკი მორიგება შედგება, მაშინ საქმე ამოირიცხება ნუსხიდან დადგენილების გამოტანის საფუძველზე. დადგენილებაში მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს ფაქტები და მიღწეული გადაწყვეტილებები.

სასამართლოს სხდომები ღიაა, თუკი განსაკუთრებულ გარემოებათა გამო სასამართლო არ მიიღებს სხაგვარ გადაწყვეტილებას. საქმის წარმოება შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი, რასაც განსაზღვრავს პალატის თავმჯდომარე.

თუკი სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენცია ან კონვენციის ოქმები, ხოლო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შიდა სამართალი უშვებს ამ დარღვევის შედეგების მხოლოდ ნაწილობრივ აღმოფხვრის შესაძლებლობას, სასამართლო საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს მიაკუთვნებს სამართლიან კომპენსაციას.

როგორც წესი, სამართლიანი კომპენსაციის მიკუთვნება სასამართლოს მიერ ხდება მატერიალური ზიანის, არამატერალური ზიანის, სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქმის განხილვა მთავრდება პალატის მიერ დადგენილების გამოტანით, რომლის შინაარსიც უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მოთხოვნებს. სასამართლოს ყველა დადგენილება გამოიტანება ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე და ქვეყნდება საამართლოს ოფიციალურ კრებულებში.

დადგენილების გამოტანის თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, გამონაკლის შემთხვევებში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს სასამართლოს სამდივნოში შეიტანოს მიმართვა (თხოვნა) დიდი პალატის განსახილველად საქმის გადაცემის შესახებ საქმის გადასინჯვის

[1] Гомъен Д. Харрис Д, Зваак Л. დასახ. ნაშრომი, გვ. 85

მიზნით.

დიდი პალატის ხუთი წევრისაგან შემდგარი კოლეგია იღებს მიმართვას, თუკი საქმე ეხება ზოგადი მნიშვნელობის სერიოზულ საკითხებს, კონვენციის ან კონვენციის ოქმების დებულებების განმარტებას ან გამოყენებას.

თუ კოლეგია მიიღებს მიმართვას, მაშინ დიდი პალატა საქმეზე გამოიტანს თავის დადგენილებას, რომელიც საბოლოოა.

იმ შემთხვევაში, როცა მხარეები არ აცხადებენ, რომ ისინი მოითხოვენ საქმის გადაცემას დიდ პალატაში ან ასეთი მიმართვის შეტანის ვადა ამოიწურა, ან დიდმა პალატამ არ მიიღო მიმართვა, პალატის დადგენილება საბოლოოა.

შესაძლოა შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როცა პალატის მიერ განსახილველად მიღებული საქმე განსახილველად გადაეცეს დიდ პალატას- ეს არის იურისდიქციის დათმობა დიდი პალატის სასარგებლოდ. ამგვარი დათმობა შესაძლოა სახეზე იყოს მაშინ, როცა განიხილება სერიოზული საკითხი, რომელიც ეხება კონვენციის ან კონვენციის ოქმების დებულებათა განმარტებას, როცა საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს სასამართლოს მიერ მანამდე გამოტანილ დადგენილებასთან. იურისდიქციის დათმობის ერთ-ერთი პირობაა მხარეთა თანხმობა დიდი პალატის განსახილველად საქმის გადაცემაზე.

საქმეზე გამოტანილი სასამართლოს დადგენილებანი დასაბუთებული უნდა იყოს. თუკი დადგენილება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთხმად შეჯერებულ აზრს (ერთიან აზრს), მაშინ მოსამართლეს უფლება აქვს გამოთქვას განსხვავებული აზრი.

საბოლოო დადგენილებანი სავალდებულოა აღსასრულებლად მოპასუხე სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ. სასამართლოს დადგნილების აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

საქმის წარმოების შეწყვეტა. საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია საქმის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღება, თუ:

1) განმცხადებელს აღარ სურს თავისი საჩივრის განხილვა;

2) დავა მოწესრიგდა;

3) სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა საფუძვლით (მიზეზით), როცა საჩივრის განხილვა, საჩივრის განხილვის გაგრძელება გაუმართლებელია.

სასამართლო აგრძელებს საჩივრის განხილვას, თუ ამას მოითხოვს კონვენციითა და კონვენციის ოქმებით გარანტირებული **ადამიანის უფლებათა დაცვა**. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მიიღოს განსახილველ საქმეთა ნუსხაში საჩივრის აღდგენის გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება გამართლებულია გარემოებებით.

§4 ადამინის უფლებათა ევროპის სასამართლოს დადგენილებათა აღსრულება

საჩივრის შეტანით დაწყებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პროცედურა არ მთავრდება სასამართლოს დადგენილების გამოტანით, ის გრძელდება კონვენციის მონაწილე მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დადგენილების აღსრულების მომენტამდე.

სასამართლოს დადგენილების აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს საკანონმდებლო სამუშაოთა ჩატარებაზე კონტროლის ფორმით, თუკი დადგინდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა.

ზედამხედველობა შეიძლება ასევე განხორციელდეს განმცხადებლისათვის სასამართლოს მიერ მიკუთვნებული სამართლიანი ფულადი კომპენსაციის გადახდის უზრუნველყოფით. არც სასამართლოს, არც მინისტრთა კომიტეტს არა აქვს უფლება დაავალდებულოს სახელმწიფო, შეცვალოს ან გააუქმოს მოქმედი კანონმდებლობა, გადასინჯოს სასამართლო გადაწყვეტილება. სასამართლო მარტოოდენ ადგენს კონვენციისა და კონვენციის ოქმების დებულებათა დარღვევას და მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს დარღვევის შედეგების აღმოფხვრის (თავიდან აცილების) ვალდებულებას.

მაგალითად, 2002 წლის 7 მაისის დადგენილებაში სასამართლომ დააფიქსირა: განმცხადებელს უფლება აქვს ამტკიცოს, რომ ის წარმოადგენს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ადგილი აქვს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და კონვენვენციის №1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის მსხვერპლს; ადგილი აქვს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და კონვენციის №1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას, რამეთუ „რამდენიმე წლის განმავლობაში საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გდაწყვეტილებების აღსასრულებლად საჭირო ზომების მიუღებლობით, ხელისუფლების ორგანოებმა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს აზრი დაუკარგეს; მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია განმცხადებელს დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში გადაუხადოს 3000 ევრო მორალური ზიანის კომპენსაციის სახით და პროცენტები წლიური განაკვეთით 23%-ის ოდენობით სამთვიანი ვადის გასვლის მომენტიდან ფაქტობრივად გადახდის მომენტამდე პერიოდში.[1] სასამართლოს მიერ განსაზღვრული გადასახდელი თანხის გადახდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მინისტრთა კამიტეტი აკონტროლებს სასამართლოს დადგენილების აღსრულებას. თუ მოპასუხე სახელმწიფო არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, მაშინ მინისტრთა კომიტეტს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული. თავის მხრივ სახელმწიფო ინფორმაციას აწვდის (აუწყებს) მინისტრთა კომიტეტს იმის შესახებ, რომ შესაბამისი ვალდებულებები შესრულდა. მაგალითად, განმცხადებელს გადაუხადა სასამართლოს მიერ მიკუთვნებული ფულადი კომპენსაცია. გადახდის ფაქტი და თარიღი რეგისტრირდება სამდივნოს მიერ და თუკი სასამართლოს დადგენილებით დადგენილი გადახდის ყველა პირობა შესრულდა, მაშინ დადგენილება იხსნება მინისტრთა კომიტეტის კონტროლიდან.

როგორც წესი, მინისტრთა კომიტეტი იშვიათად განიხილავს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ სამართლიანი ფულადი კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგან სახელმწიფოები სამართლიანი ფულადი კომპენსაციის გადახდის ნაწილში დროულად ასრულებენ სასამართლოს დადგენილებას. საქმე რთულდება მაშინ, როდესაც სასამართლოს დადგენილების აღსრულების ერთადერთ ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს საკანონმდებლო რეფორმების განხორციელება.

მინისტრთა კომიტეტს არა აქვს უფლება აიძულოს მოპასუხე სახელმწიფო შეცვალოს კანონმდებლობა, ან სახელმწიფოში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა. ასეთი მოქმედებები თავად მოპასუხე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ანალოგიური სამართლებრივი შემთხვევების წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. მოპასუხე სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რომ ანალოგიურ სამართლებრივ შემთხვევაში ევროპის სასამართლო მის სასარგებლოდ არ განიხილავს საქმეს.

ევროპის სასამართლოს იმ დადგენილებების შესრულება, რომლებიც საქართველოს ეხება, აუცილებლობის შემთხვევაში გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან კერძო (კონკრეტული)

---

[1] Дело „бурдов против Россий" по жалобе №59498/00 от 7 мая 2002 г (Постановленис суда по существу дела и в отношении справедливой компенсации).

ხასიათის ზომების მიღებას, რომელთა მიზანია კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დარღვევების და ამ დარღვევათა შედეგების აღმოფხვრა განმცხადებლისათვის, აგრეთვე ზოგადი ხასიათის ზომების მიღებას, რომელთა მიზანია მსგავსი დარღვევების თავიდან აცილება (პრევენცია).

კონვენცია არ ითვალისწინებს რაიმე სანქციას სასამართლოს დადგენილების შეუსრულებლობისათვის. ევროპის საბჭოს წესდება ამგვარ სანქციებს ითვალიწინებს. წესდების მე-3 მუხლის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა პატივისცემა წარმოადგენს მთავარ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოში მონაწილეობას. მე-8 მუხლი მინისტრთა კომიტეტს ევროპის საბჭოს წევრობის შეჩერების ან ევროპის საბჭოდან ადამიანის უფლებათა დარღვევაში ბრალეული ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს გარიცხვის უფლებასაც კი ანიჭებს. სასამართლოს დადგენილების შეუსრულებლობა, სასამართლოს დადგენილების შესრულებაზე უარი მინისტრთა კომიტეტმა შესაძლოა მიიჩნიოს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევად, რამაც თავის მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული სანქციების დაკისრება და გამოყენება.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს დადგენილების შესრულებაზე მოპასუხე სახელმწიფოს მიერ უარის თქმის არცერთი შემთხვევა დაფიქსირებულა დღემდე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოს არ შესძლებია სასამართლოს დადგენილების შესრულება, მას შეუტყობინებია სასამართლოსთვის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის იმის შესახებ, რომ ანალოგიურ დარღვევებს ადგილი ექნება „შიდა საკანონმდებლო რეფორმის დასრულებამდე".[11] .

ამასთან ერთად, ევროპის საბჭოს ორგანოები კონვენციის ნორმების დამრღვევი სახელმწიფოს მიერ სასამართლოს დადგენილების აღსრულების და მომავალში ანალოგიური დარღვევეის თავიდან აცილების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების დაჩქარების მიზნით იღებენ რეზოლუციებს, რომლებშიც სახელმწიფოს წინადადება ეძლევა (ეთხოვება) შეიტანოს, მიიღოს ესა თუ ის ცვლილება შიდა კანონმდებლობაში. მაგალითად, 2006 წლის 2 ოქტომბერს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც გაფრთხილდა დიდი ბრიტანეთი, იტალია, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა ადამინის უფლებათა ევროპის სასამართლოს დადგენილებათა შესრულების დაყოვნებაზე. მინისტრთა კომიტეტს მიუღია ხოლმე შუალედური რეზოლუცია სასამართლო პროცედურებში (სამოქალაქო პროცესში) სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევის თაობაზე.

§5. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა მნიშვნელობა

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსადმი მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მიმართვა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა უზრუნველყოფის დამატებით საერთაშორისო გარანტიას, **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის დამატებით მექანიზმს** წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როცა ამგვარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა არ მოხდა საქართველოს შესაბამისი სასამართლოების მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსადმი მოქალაქეთა მიმართვის შესაძლებლობა საქართველოს სასამართლოთა პასუხისმგებლობას ამაღლებს იმ საქმეთა გადაწყვეტის საკითხში, რომლებშიც ადგილი აქვს კონვენციისა და კონვენციის ოქმების დებულებათა დარღვევას.

საქართველოს მიმართ მიღებული **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** <u>გადაწყვეტილებები</u> და დადგენილებები ხელს უწყობენ ადამიანის უფლებებისა და საქა-

[1] Гомъен Д., Харрис Д. Зваак Л. დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

რთველოს მოქალაქეთა თავისუფლებების ნორმატიულ-სამართლებრივი მოწესრიგების სრულყოფას.

დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საქართველოს მიმართ, არამედ კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოების მიმართაც მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს, რამეთუ ევროპის სასამართლოს მიერ ერთი რომელიმე სახელმწიფოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ან დადგენილება ასეთივე შინაარსისა იქნება კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილ ანალოგიურ საჩივარზე.

ამის გამო კი, კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ უნდა იცოდეს ევროპის სასამართლოს პრაქტიკა, რათა გაითვალისწინოს ის შიდა კანონმდებლობის რეფორმირების და შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს.

ევროპის სასამართლოს პრაქტიკის გავლენა საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოთა მიერ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაზე. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** დადგენილებანი, რომლებშიც მოცემულია კონვენციის დებულებათა განმარტებანი, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნენ კონკრეტულ საქმეებში **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის** ნებისმიერი სახით დარღვევის თავიდან ასაცილებლად. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებაში საქმეზე №2/24912-15 აღნიშნულია: კონვენციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების ავთენტურ და ავტორიტეტულ განმარტებას იძლევა **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს** პრეცედენტული სამართალი. სწორტედ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და კონვენციის ნორმათა შეფასებები იძლევა ამ ზოგადი შინაარსის და ხშირ შემთხვევაში კონკრეტიკას მოკლებული (გარკვეულწილად არათვითშესრულებადი) სამართლებრივი დეფინიციების სწორად აღქმის, გააზრებისა და შემდგომ, შეფარდების შესაძლებლობას. ვინაიდან კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე რთულია კონვენციის დებულებათა სწორად განმარტება და გამოყენება. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი ეროვნული სასამართლოს მიერ, როგორიც მინიმუმ, აღქმული უნდა იქნეს სამართლის შემეცნების წყაროდ (თუ უშუალოდ სამართლის წყაროდ არა). აღნიშნული გამომდინარეობს როგორც უშუალოდ კონვენციიდან, ასევე ქართული კანონმდებლობის რიგი სამართლებრივი აქტებიდან (მაგ: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი). სასამართლოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ისეთნაირად უნდა იმოქმედონ, რომ უზრუნველყონ **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში** საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულება.

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლოები საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტისას უთითებენ და ეყრდნობიან ევროპის სასამართლოს პრეცენდენტებს. მაგალითად, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის (ცილისწამების) საქმეებზე ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1332-1258-2012. ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლოთა ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** პოზიციის შესაბამისად პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა უნდა გამიჯნონ ფაქტების შესახებ მტკიცება შეფასებითი მსჯელობის და აზრისაგან. ფაქტის მტკიცების სინამდვილესთან შესაბამისობის შემოწმება შესაძლებელია, ხოლო მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება—შეუძლებელი. ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზ-

რების სისწორის დამტკიცება დაევალოს.[11] ევროსასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით აღსრულების პროცესში კონვენციის მე-6 მუხლის დებულებების დარღვევა დადგინდა და საინტერესო განმარტებები ჩამოყალიბდა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის №ბს-476-464(კ-13) გადაწყვეტილებაში.

სასამართლოთა საქმიანობის მიზანია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და მოქალაქეთა თავისუფლებების დარღვევის პრევენცია.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები და დაადგენილებები კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საკუთარი კანონმდებლობის რეფორმირების პროცესში.

ევროპის სასამართლოს პრაქტიკის გავლენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის რეფორმირების პროცესზე. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიერ საქართველოს მოქალაქეთა საჩივრებზე მიღებული დადგენილებებიდან, რომლებიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საქმართალწარმოებას, შეიძლება გამოიკვეთოს ის დადგენილებები, რომლებიც შეეხება 1) საქმის განხილვის ინიცირების უფლებას; 2) სასამართლო აქტების აღსრულებას; 3) სასამართლო განხილვის ხანგრძლივობას (ვადებს). ევროპის სასამართლოს დადგენილებებში მიეთითება საქართველოს მიერ **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის** მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევაზე. დასახელებული მუხლის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

გარდა ამისა, ევროპის სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საპროცესო კანონით დადგენილი უნდა იყოს უფლების სასამართლო წესით დაცვის ეფექტიანი საშუალებები კონვენციის 35-ე მუხლის არსიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით ზოგიერთ ქვეყანას სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე, რაც საქართველოსთვისაც საყურადღებოა.

სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი „სხვა ყველაფერთან ერთად, მოითხოვს, რომ სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს სადავო;" რომ არცერთ მხარეს არ შეეძლოს „მოითხოვოს საბოლოო და კანონიერ ძალაში შესული დადგენილების გადასინჯვა მარტოოდენ საქმის განმეორებითი (ხელმეორედ) მოსმენის ჩატარებისა და სასამართლოს ახალი დადგენილების მიღების მიზნით" (ევროპის სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის დადგენილება „რიაბახი რუსეთის წინააღმდეგ;" 2004 წლის 18 ნოემბრის დადგენილება „პრავედნაია რუსეთის წინააღმდეგ"; 2006 წლის 21 სექტემბრის დადგენილება „ბარშევსკაია რუსეთის წინააღმდეგ").

კონვენციის მე-6 მუხლი ირღვევა მაშინაც, როდესაც სასამართლო უკანონოდ ეუბნება უარს მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკითხში კანონით დადგენილი შეღავათის გამოყენებაზე. მაგალითად, ამ საფუძვლით საქმეზე №38736/04 „საფეხბურთო კლუბი მრეტები საქართველოს წინააღმდეგ",[21] სტრასბურგის სასამართლომ. დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. სტრასბურგის სასამართლო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის ან აღსრულების არსებითად დაგვიანების, დაყოვნების შემთხვევებს.

---

[1] სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ **ადამიანის უფლებათა სასამართლოს** პრეცედენტული პრაქტიკის დეტალური ანალიზი იხილეთ ნაშრომში: მ. გოგიშვილი **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო** და სიტყვის თავისუფლება. თენგიზ ლილუაშვილის 75 წლის იუბილისადმი მიძღვნილიმ კრებული, გვ. 211-233.

[2] საკითხი ეხებოდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას საქართველოს მიერ, რადგან საჩივრის ავტორს კონვენციის დასახელებული მუხლის დარღვევით უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე

როგორც სტრასბურგის სასამართლო მიუთითებს, სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად განხილვის უფლება ილუზორული იქნება, თუკი ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა დაუშვებს, რომ კანონიერ ძალაში შესული და აღსასრულებლად სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩეს ერთ-ერთი მხარის მიმართ. ეს ზიანს მიაყენებს მხარის ინტერესებს. წარმოუდგენელია, შეუძლებელია, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც დეტალურად აღწერს მხარეთა საპროცესო გარანტიებს-ეს არის სამართლიანი, საჯარო და გონივრულ ვადაში ჩატარებული განხილვა არ ითვალისწინებდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის დაცვას. ნებისმიერი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება მიჩნეული უნდა იქნეს ,,სასამართლო განხილვის'' შემადგენელ ნაწილად კონვენციის მე-6 მუხლის არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე.

სტრასბურგის სასამართლოს მოცემული პოზიციის გათვალისწინებით, ქართულმა სასამართლოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო განხილვის ვადების გამოთვლა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა დაიწყოს სარჩელის სასამართლოში შეტანის დღიდან და მთავრდება სასამართლო აქტის აღსრულების მომენტში. კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ,,სასამართლო განხილვის'' შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კი, აღსრულების გადავადების და განწილვადების, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის საკითხთა განხილვისას, აგრეთვე აღმასრულებლის ქმედებაზე შეტანილი საჩივრის (სარჩელის) განხილვისას სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ აუცილებელია დაცული იქნეს გინივრულ ვადებში სასამართლო გადაწყვეტილებების ასრულების შესახებ კონვენციის მოთხოვნები.

სამოქალაქო საქმის განხილვის ხანგრძლივი ვადების შემოღება და გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების განსახორციელებლად უფლების სამართლებრივი წესით დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების და მექანიზმების უქონლობა ასევე არღვევს კონვენციის მოთხოვნებს.

სტრასბურგის სასამართლოს სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ,,დავის განხილვის ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების გათვალისწინებით, **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმების თვალსაზრისით. კერძოდ კი, ეს კრიტერიუმებია: საქმის სირთულე, განმცხადებლისა და ხელისუფლების ორგანოთა ქცევა და ის, თუ რა ინტერესი გააჩნია განმცხადებელს დავის შედეგების მიმართ.''

სასამართლო ხელისუფლების ქცევის თაობაზე სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ თავიანთი სასამართლო სისტემის ისეთნაირად ორგანიზების (მოწყობის) ვალდებულება, რომ ყველასათვის იყოს გარანტირებული საბოლოო გადაწყვეტილების გონივრული ვადის ფარგლებში გამოტანის უფლება. ,,იმ საშუალებების შემოღება, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ ვალდებულების განხორციელების მექანიზმს იქნება ეს მოსამართლეთა რიცხოვნობის გაზრდა, საქმეთა განხილვის ვადების დადგენა, თუ სხვა მეთოდი, სახელმწიფოს მიხედულებაზეა დამოკიდებული. თუკი სახელმწიფო დაუშვებს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი ,,გონივრული ვადის'' დარღვევით, არ მიიღებს არავითარ ზომებს განხილვის დასაჩქარებლად, ის პასუხს აგებს ამ დარღვევისათვის'' (2004 წლის 23 სექტემბრის დადგენილებები, ,,კორმაჩევა რუსეთის წინააღმდეგ,'' ,,ემანაკოვა

რუსეთის წინააღმდეგ,'' 2005 წლის 9 ივნისის დადგენილება ,,ვაიხმნა რუსეთის წინააღმდეგ,'' 2002 წლის 23 ივნისის დადგენილება ,,ზიმანენკო რუსეთის წინააღმდეგ,'' 2006 წლის 22 ივნისის დადგენილება ,,კირსანოვა რუსეთის წინააღმდეგ,'' 2007 წლის 22 თებერვლის დადგენილება ,,კოლომიეცი რუსეთის წინააღმდეგ'').

ავღნიშნავთ, რომ საქმის განხილვა გონივრულ ვადაში, შესაბამის საკანონმდებლო მექანიზმებთან ერთად, პირველ ყოვლისა თითოეულ მოსამართლეზეა დამოკიდებული. თითოეული მოსამართლე პირადი და მაღალი პასუხისმგებლობით უნდა იხილავდეს საქმეს დადგენილ ვადებში. სასამართლოს საქმიანობაში უნდა გამოირიცხოს საქმის გაჭიანურების ფაქტები. რეგულარულად უნდა განზოგადდეს საქმეთა განხილვის ვადების დაცვის პრაქტიკა, უნდა გამოვლინდეს ვადების დარღვევის მიზეზები და მიღებული იქნეს ზომები დარღვევათა თავიდან ასაცილებლად. სასამართლოთა თავმჯდომარეებმა უნდა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები სასამართლოთა აპარატის თანამშრომელთა მუშაობის ორგანიზების გასაუმჯობესებლად, მათი პროფესიული დონის ასამაღლებლად, მათ მიერ საშემსრულებლო დისციპლინის დასაცავად. მოსამართლეს მის მიერ საპროცესო კანონის უხეში და სისტემატიური დარღვევისათვის, რამაც გამოიწვია საქმეთა განხილვის და გადაწყვეტის ვადების გაუმართლებელი დარღვევა და არსებითად შელახა სასამართლო პროცესის მონაწილეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი თვით მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

დასახელებულ ღონისძიებათა გარდა საყურადღებოა სამოქალაქო დავების სასამართლო წესით განხილვის ხანგრძლივობის პრობლემის გადასაწყვეტად კანონმდებლის მიერ გატარებული სხვა ღონისძიებებიც. სახელდობრ, სამოქალაქო პროცესში შემოღებული იქნა ელექტრონული მართლმსაჯულების ელემენტები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს კანონი, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა და გადაწყვეტის უფლების რეალურად განხორციელებას, გაითვალისწინებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საქმის სასამართლო განხილვის გაჭიანურებისათვის.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს შიდა კანონმდებლობის, ასევე ორგანიზაციათა და თანამდებობის პირთა სამართალშეფარდებითი საქმიანობის სრულყოფა კონვენციის დებულებებისა და **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს** მიერ კონვენციის დებულებათა გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს..

საქართველოს სასამართლოების მიერ გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი საჯარო განხილვა სამოქალაქო საქმეთა სწორად და დროულად განხილვისა და გადაწყვეტის, ეროვნული სასამართლოების მიერ სამოქალაქო უფლებათა ეფექტიანად დაცვის საწინდარია. **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის** დარვევის შემთხვევაში ამოქმედდება ამავე კონვენციით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები.

დანართი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი

მუხლი 1.

დასახელებული მუხლი პასუხს იძლევა ორ შეკითხვაზე: 1. რომელი ნორმატიული აქტები წარმოადგენენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს და 2. როგორ მოქმედებენ დროში სამოქალაქო საპროცესო ნორმები.

აღნიშნული მუხლი პირველ შეკითხვაზე ზოგად პასუხს იძლევა. მასში საუბარია როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე, ისე ზოგადად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაზე, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება სამოქალაქო საქმეთა წარმოება, ანუ განხილვა საერთო სასამართლოებში. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ამგვარი ფორმულირება გამართლებულია, ვინაიდან სამოქალაქო საქმის წარმოების (განხილვის) წესის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტების (სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროების) ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა და ყველა მათგანის ნორმაში ასახვა მიზანშეუწონელია. პირველ ყოვლისა, ამ ჩამონათვალის სათავეში დგას საქართველოს კონსტიტუცია, რომლის დებულებები ქმნიან საერთო სასამართლოთა მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის საპროცესო წესის საფუძველს.

ნორმის 1-ლ ნაწილში მითითებულ ,,საერთო სასამართლოებში", რომლებიც საერთო სასამართლოების სისტემას ქმნიან, იგულისხმება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სასამართლოები–რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო. საერთო სასამართლოები მათ ეწოდებათ იმიტომ, რომ განიხილავენ სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ნებისმიერ საქმეს, რომელთა განხილვაც არ შედის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საერთო სასამართლოთა საქმიანობას აწესრიგებს სამოქალაქო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, სარჩელის წარდგენიდან დაწყებული, საქმის განახლებით დამთავრებული.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის, ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-8 მუხლისა და სსსკ-ის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე უნდა გამოვიტანოთ კატეგორიული დასკვნა: ავტონომიური რესპუბლიკათა კანონებით სამოქალაქო საქმეთა განხილვის (წარმოების) წესის განსაზღვრა დაუშვებელია. შესაბამისად არც ავტონომიურ რესპუბლიკებს, არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არ აქვთ უფლება მიიღონ საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების წესის განმსაზღვრელი კანონები ან რაიმე სხვა სახის ნორმატიული აქტი. საერთო სასამართლოთა მიერ სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის წესის თაობაზე ზემოაღნიშნულ ორგანოთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტების გამოყენება დაუშვებელია, ხოლო ასეთი ნორმატიული აქტების შესაბამისად გამოტანილი სასამართლო აქტი უნდა გაუქმდეს, როგორც სამოქალაქო საპროცესო კანონის დარღვევით მიღებული აქტი.

ამასთან, თავად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომელთაც ასეთ შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ შიდასახელმწიფოებრივი აქტების მიმართ და საერთო სასამართლოების შესახებ კანონს, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს ორგანულ კანონს.

ხაზგასასმელია, რომ კონკრეტული საპროცესო ნორმა მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ, როცა იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მსგავს ნორმას, რომლის თანახმადაც სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. ამასთან, არსებობს სსსკ-ის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი. სსსკ-ის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი საქმის განმხილველ სასამართლოს, რომლის აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისთვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ავალებს შეაჩეროს საქმის განხილვა ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება. საქართველოს კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა, მოქმედებს პირდაპირ და გამოიყენება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ამ დებულების შესაბამისად სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა შეაფასოს სასამართლოში დავის საგნად ქცეული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონის ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტის შინაარსი და ყველა აუცილებელ შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კონსტიტუცია, როგორც პირდაპირ მოქმედი აქტი.

ამავე დროს, სსსკ-ის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით საინტერესოა საკითხი, რა შემთხვევაში იყენებს საერთო სასამართლო კონსტიტუციას, როგორც პირდაპირი მოქმედების აქტს და რა შემთხვევაში უნდა მიმართოს მან საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციურობის საკითხის შესამოწმებლად.

აშკარაა რომ, სსსკ-ის მე-6 მუხლის გამოყენების აუცილებელი პირობაა კანონის არსებობა, რომელიც უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, მაშინ როცა კონსტიტუციის პირდაპირი გამოყენება შესაძლებელია როგორც მისი საწინააღმდეგო კანონის არსებობის შემთხვევაში, ასევე კანონის არარსებობის დროსაც, ასევე სხვა შემთხვევებშიც. კერძოდ, საქმის გადაწყვეტისას სასამართლო კონსტიტუციას იყენებს უშუალოდ:

ა) როცა კონსტიტუციის ნორმით გათვალისწინებული დებულებები, ნორმის არსიდან გამომდინარე, არ საჭიროებენ დამატებით მოწესრიგებას და ამ დებულებებში არ არის მითითებული, რომ ნორმის გამოყენება შესაძლებელია იმ პირობით, თუ მიღებული იქნებ ადამიანის და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების, მოვალეობების და სხვა დებულებების მომწესრიგებელი საქართველოს კანონი;

ბ) როცა სასამართლო დაასკვნის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას;

გ) როცა სასამართლო დარწმუნდება, რომ საქართველოს კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული საქართველოს კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის შესაბამის დებულებებს;

დ) როდესაც საქართველოსა და ავტონომიურ რესპუბლიკათა ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკათა მიერ მიღებული კანონი ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, ეწინაღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ხოლო საქართველოს კანონი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სასამართლოს მიერ განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობანი, არ არსებობს.

სსსკ-ის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში იგულისხმება კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება. ცხადია, კანონის კონსტიტუციურობას ვერ განსაზღვრავს საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლო. ამიტომ, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირება არაზუსტია, რადგან მასში აქცენტი კეთდება არა კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებაზე, არამედ კონსტიტუციასთან კანონის შეუსაბამობასა და წინააღმდეგობაზე, რაც სრულიად სხვადასხვა შემთხვევებია. შესაბამისად, თუ კანონი ეწინააღმდეგება ან არ შეესაბამება კონსტიტუციას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს კონსტიტუცია, ხოლო თუ საჭიროა კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება, მაშინ გამოყ-

ენებული უნდა იქნეს მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

იმ შემთხვევაში, როცა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი მითითებით ნორმას წარმოადგენს, საერთო იურისდიქციის სასამართლომ საქმის განხილვის დროს უნდა გამოიყენოს კონკრეტული სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობა კანონის ამა თუ იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ არ წარმოადგენს დანარჩენ ნაწილში კანონის გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორს.

უშუალოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონსტიტუციის შემდეგი ნორმები:

– ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე;

– დაუშვებელია სასტიკი, არაადამიანური .... მოპყრობა;

– ყველას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელშეუხებლობის, ღირსების დაცვის უფლება;

– ყველას აქვს მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების უფლება. ამ უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე;

– ყველას აქვს მშობლიური ენით სარგებლობის და ურთიერთობის, ენის თავისუფლად არჩევის უფლება;

– დაუშვებელია პირის იძულება გამოხატოს თავისი აზრი;

– ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს (42-ე მუხლი);

– ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც მისი საქმე განეკუთვნება;

– დაცვის უფლება გარანტირებულია;

– კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვთ;

– არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელ პირთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით;

– ყველას აქვს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურების უფლება;

– სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულების, საკონსტიტუციო კონტროლის და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო. სპეციალური და საგანგებო სასამართლოების შექმნა აკრძალულია;

– მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს;

– მოსამართლე ხელშეუხებელია;

– დაუშვებელია მოსამართლის ჩამოცილება საქმისაგან;

– საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ხორციელდება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

– სამართალწარმოება ხორციელდება შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის საწყისებზე;

კონსტიტუციით დადგენილია სხვა ფუძემდებლური ნორმებიც, რომლებიც სამოქალაქო საქმეთა წარმოებას ეხება და უშუალოდ გამოიყენება (მაგალითად, სამართალწარმოების ენასთან, საქმის განახლებასთან, გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებული ნორმები და სხვა.)

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს 2009 წლის ორგანული კანონი ადგენს საერთო სასამართლოთა სისტემას, და საერთო სასამართლოთა სისტემის ერ-

თიანობის უზრუნველმყოფელ მექანიზმს, ფუნქციონირების პრინციპებს, მოსამართლეთა სტატუსის საფუძვლებს, მოსამართლეთა უფლებამოსილებებს, საქართველოს სასამართლოთა შექმნისა და გაუქმების წესს. შესაბამისად, ეს კანონიც ასევე არის სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყარო.

3. სამოქალაქო პროცესის წყაროა სტრასბურგის 1998 წლის 8-10 ივლისის „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია". ეს ქარტია ადგენს მოსამართლის მიმართ და მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის წესს და უფლებამოსილებით მოსამართლის აღჭურვის წესს, მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების წესს, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიებს, მათი უფლებამოსილების ვადებს, მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლებს, მათი გამოყენების წესს, მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას და სხვა.

4. საქმის განხილვის წესები შეიძლება დადგინდეს მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებით (მაგალითად, ასეთია 1954 წლის 1-ლი მარტის ჰააგის კონვენცია სამოქალაქო პროცესის საკითხებზე) და ორმხრივი შეთანხმებებით.

სასამართლოებმა მართლმსაჯულების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინონ, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს მიეკუთვნება მისი ისეთი პრინციპები და ნორმები, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო პაქტებში, კონვენციებსა და სხვა დოკუმენტებში (კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში). ჩვენ დავასახელეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებელი საერთაშორისო პაქტების, კონვენციების და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების მხოლოდ სანიმუშო და არასრული ჩამონათვალი.

საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომელთა შესახებაც გვაქვს საუბარი, როგორც წესი, მატერიალურ – სამართლებრივი ხასიათის ნორმებია. იმავდროულად, საერთაშორისო პაქტებში, კონვენციებსა და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში ზოგჯერ ასახულია საკმაოდ მნიშვნელოვანი საპროცესო ნორმებიც, რომლებიც შესაბამის შემთხვევებში შეიძლება გამოყენებული იქნეს და უნდა იქნეს კიდეც გამოყენებული საქართველოს ტერიტორიაზე.

5. წყაროთა შორის მნიშვნელოვანია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონები. ამ კანონებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა სხვა სასამართლოთათვის მათ მიერ საქმეთა, მათ შორის სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს. ჯერჯერობით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვას, თუ გადაწყვეტილება ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ აქტებს. დასახელებულ კანონებში ასევე საუბარია საქმის წარმოების შეჩერებაზე საერთო სასამართლოს მიერ კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების მიზნით მიმართვის შემთხვევაში და სხვა.

6. სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესის უშუალოდ დამდგენ ძირითად ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს თავად სსსკ-ი წარმოადგენს, თუმცა, როგორც დავინახეთ სსსკ-სთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მოიცავს მთელ რიგ სხვა კანონებსაც (ან სხვადასხვა კანონში ასახულ ცალკეულ საპროცესო ნორმას). სწორედ ამიტომ არის, რომ სსსკ-ის 1-ლ მუხლში სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან ერთად ნახსენებია საპროცესო კანონმდებლობაც. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში იგულისხმება საერთო იურისდიქციის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების

განხორციელების წესის განმსაზღვრელი საპროცესო ნორმები. მაგალითად, ასეთ ნორმებს შეიცავს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი. სამოქალაქო საპროცესო ნომები ასახულია საომარი მდგომარეობის და საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონებშიც. მაგალითად, დასახელებული კანონების მე-12 მუხლის თანახმად პარლამენტს უფლება აქვს ცალკეულ ადგილებში (იგულისხმება იმ სასამართლოთა მიერ მართლმსაჯულების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევა, რომლებიც მოქმედებენ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა—ხაზგასმა ავტორისეულია) შეცვალოს სასამართლოებში განსახილველ სამოქალაქო საქმეთა ტერიტორიული განსჯადობა.

7. სსსკ-ის 1-ლი მუხლის 1-ლ ნაწილში იმაზე მითითება, რომ სასამართლო საქმეს განიხილავს სსსკ-ით დადგენილი წესით, არ გამორიცხავს საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივ კანონებში მოცემული საპროცესო ნორმების გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მატერიალურ-სამართლებრივ აქტებსაც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსს, მეწარმეთა შესახებ კანონს, შრომის კოდექსს, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონს და სხვა, რადგან ეს საკანონმდებლო აქტებიც შეიცავენ სამოქალაქო საპროცესო ნორმებს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა, თავისი სამართლებრივი ბუნებით, სამოქალაქო საპროცესო ნორმას წარმოადგენს, რამეთუ განსაზღვრავს მტკიცებულების საკმარისობას (მაგრამ არა დასაშვებობას- ის არ კრძალავს მოწმის ჩვენების გამოყენებას) სამოქალაქო პროცესში. ამავე დროს, მატერიალურ-სამართლებრივ კანონებში ასახული საპროცესო ნორმები, შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს სსსკ-ის დებულებებს. ასეთ შეთხვევაში, ცალსახად იმის თქმა, რომ გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, დაუშვებელია. ჯერ ერთი, გათვალისწინებული უნდა იქნეს ნორმატიული აქტების იერარქია. მეორე, გათვალისწინებული უნდა იქნეს მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის კანონში ასახული ის ნორმებიც, რომლებიც ამა თუ იმ კატეგორიის სამოქალაქო საქმის (მაგალითად განქორწინების, ალიმენტის გადახდევინების და სხვა) განხილვის საპროცესო თავისებურებებს აწესრიგებს. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს მატერიალურ-სამართლებრივ კანონში მოცემული საპროცესო ნორმა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად; მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შესარიგებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. ცხადია ამ ნორმით გათვალისწინებული 6 თვიანი ვადა არ შეესაბამება სსსკ-ის 59-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმის განხილვის ვადებს. გარდა ამისა, სსსკ-ის მე-200 და 223-ე მუხლების თანახმად საქმის მომზადებისა და მთავარ სხდომაზე განხილვის სტადიების მიზანია საქმის განხილვის დაჩქარება და სწრაფად – ერთ სხდომაზე საქმის დამთავრება. ამასთან, სსსკ-ის 216-ე მუხლის თანახმად, საქმის გადადება დასაშვებია კანონით (იგულისხმება როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ-სამართლებრივი კანონი) გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხოლო სსსკ-ის 218-ე მუხლი მოსამართლეს ავალებს ყველა ზომის მიღებას მხარეთა შესარიგებლად. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქმის განხილვისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმის კატეგორია და ამ საქმის განხილვის საპროცესო თავისებურებები. განქორწინების საქმეებზე, საქმის მომზადების და მთავარ სხდომაზე განხილვის მიზანი არ შეიძლება იყოს ამ კატეგორიის საქმეთა დაჩქარება და სწრაფად განხილვა.

საყურადღებოა მატერიალურ-სამართლებრივ კანონებში ასახული საპროცესო ნორმებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოცემული ნორმების ურთიერთმიმართების საკითხი სხვა მხრივაც. კერძოდ – სხვა შემთხვევაში კანონთა შორის წინააღმდეგობის საკითხი

უნდა გადაწყდეს ნორმატიული აქტების შესახებ კანონით დადგენილი მექანიზმების და წესების შესაბამისად.

რაც შეეხება თავად მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს, ასეთია ის ნორმები, რომლებიც სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესს არ განსაზღვრავენ. მიუხედავად ამისა, ასეთ ნორმებს სამოქალაქო პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. მატერიალური ნორმები გავლენას ახდენენ სამოქალაქო საპროცესო სამართალზე. ამიტომ საპროცესო საკითხების გადაწყვეტა ხშირად მათი გათვალისწინებით არის შესაძლებელი. მაგალითად, სათანადო და არასათანადო მხარის განსაზღვრა, საპროცესო უფლებამონაცვლეობის დასაშვებობა-დაუშვებლობის განსაზღვრა და სხვა, ხდება სწორედ მატერიალური სამართლიდან გამომდინარე.

8. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალა იმაში გამოიხატება, რომ იგი სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ყველა დაწესებულების, სასამართლოს ორგანოებისა და პირებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და ძალაში შედის დაუყოვნებლივ, გამოცხადების მომენტიდან. იგი მოქმედებს უშუალოდ და არ საჭიროებს დადასტურებას სხვა ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ. აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალა არ შეიძლება გაქარწყლდეს არაკონსტიტუციურად მიჩნეული აქტის განმეორებითი მიღებით.

არაკოსნსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ცალკეული დებულება, ძალას კარგავს. კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიჩნეული, ძალაში შეუსვლელი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ამოქმედება ან გამოყენება დაუშვებელია. არაკონსტიტუციურად ცნობილ აქტებზე დაფუძნებული სასამართლოთა და სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებები, არ შეიძლება აღსრულდეს და უნდა გადაისინჯოს კანონით დადგენილ შემთხვევებში. თუ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა შექმნის ხარვეზს და ამის გამო სამართლებრივად მოუწესრიგებელი დარჩება რომელიმე საკითხი მაშინ უშუალოდ უნდა იქნეს გამოყენებული კონსტიტუცია.

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ცალკეული იმ სახის გადაწყვეტილების მიღების შედეგები, რომელთაც (ე.ი. ამ გადაწყვეტილებებს) უშუალო მნიშვნელობა აქვთ სასამართლოთა საქმიანობისათვის. კერძოდ, ნორმატიული აქტის ან საერთაშორისო ხელშეკრულების ან მათი ცალკეული დებულების კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიჩნევა სხვა იმ ნორმატიული აქტის გაუქმების საფუძველია, რომელიც ეფუძნება (ან შეიცავს ისეთივე დებულებებს, რომლებიც წარმოდგენდა დავის საგანს საკონსტიტუციო სასამართლოში) არაკონსტიტუციურად მიჩნეულ ნორმატიულ აქტს ან საერთაშორისო ხელშეკრულებას. ამ ნორმატიული აქტის ან საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები არ შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ, სხვა რომელიმე ორგანომ ან თანამდებობის პირმა.

თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აქტის გამოცემა არ შედიოდა მისი გამომცემის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს კომპეტენციაში, აქტი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული დღიდან.

თუ საკონსტიტუციო სასამართლომ კონკრეტულ საქმეში გამოყენებული კანონი ცნო კონსტიტუციის შეუსაბამოდ, მაშინ მოცემული საქმე მიზანშეწონილია გადაისინჯოს კონკრეტული ორგანოს მიერ.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული განმარტება, წარმოადგენს ოფიციალურ განმარტებას და სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ნებისმიერი პირისათვის.

9. სსსკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო ნორ-

მის დროში მოქმედების ფარგლებს. თუ სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში სამოქალაქო საპროცესო კანონი შეიცვალა, გამოყენებული უნდა იქნეს ახალი კანონი, იმის მიუხედავად, თუ როდის დაიწყო (აღიძრა) მოცემული სამოქალაქო საქმე. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, თუ სასამართლოში საქმე აღიძრა ახალი საპროცესო კანონის ძალაში შესვლამდე, მაშინ სასამართლო ვალდებულია გამოიყენოს ახალი საპროცესო კანონი, იმის მიუხედავად, თუ როდის აღიძრა მოცემული საქმე – ახალი საპროცესო კანონის ძალაში შესვლამდე, თუ ძალაში შესვლის შემდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა ახალ საპროცესო კანონში ამის თაობაზე არსებობს შესაბამისი დათქმა. მაგალითად ასეთი დათქმები მოცემულია სსსკ-ის გარდამავალ დებულებებში. მოცემულ ნორმაში დასახელებულია სამი შემთხვევა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება კანონის დროში მოქმედების საკითხი—საქმის განხილვა, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება და გადაწყვეტილების აღსრულება. საქმის განხილვაში იგულისხმება საქმეთა არსებითად განხილვა და გადაწყვეტა საერთო სასამართლოებში (იხ. სსსკ-ის 210-263-ე მუხლები), მათ შორის მაგისტრატ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა (იხ. მე-14 მუხლი).

ცალკეულ საპროცესო მოქმედებაში იგულისხმება საქმის წარმოების ამა თუ იმ ეტაპზე კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულების დროს ახალი საპროცესო კანონის გამოყენება. მაგალითად, პირველი ინსტაციის სასამართლომ გამოიყენა საქმის განხილვის დროს მოქმედი საპროცესო კანონი, ხოლო აპელაციის სტადიაზე საქმის განხილვის მომენტში მიღებული იქნა ახალი კანონი. სწორედ ახალი კანონით უნდა იხელმძღვანელოს სააპელაციო სასამართლომ.

რაც შეეხება გადაწყვეტილების აღსრულების დროს მოქმედი კანონის გამოყენებას, აქ შეიძლება ითქვას შემდეგი: აღსრულების მომწესრიგებელი კანონმდებლობაც საპროცესო კანონმდებლობას მიეკუთვნება. ამიტომ თუ გადაწყვეტილება მიღებული იქნა გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის მოქმედი კანონის საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების დროისათვის მიღებული იქნა ახალი კანონი, მაშინ ახალი კანონის ნორმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

მუხლი 2

1. მოცემული ნორმა სრულად შეესაბამება კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომლის თანახმადაც ყველასთვის გარანტირებულია უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვა. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სამოქალაქო და სხვა უფლებების, ასევე კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას წარმოადგენს. ასეთი უფლება გააჩნია ნებისმიერ პირს. ხოლო ის, ვინც იყენებს და ახორციელებს ამ უფლებას ესე იგი განცხადებით მიმართავს სასამართლოს, დაინტერესებულ პირად იწოდება. მე-2 მუხლის გარდა ასეთ სუბიექტებზე ყურადღება მახვილდება სსსკ-ის 79-ე მუხლშიც, რომლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირის განცხადებით.

მე-2 მუხლი უნდა განიმარტოს სსსკ-ის მე-3, 79-ე, 84-ე, 85-ე და 186-ე მუხლთან სისტემურ კავშირში.

პირველ ყოვლისა, თუ დარღვეულია დაინტერესებული პირის უფლება, თავისუფლება ან კანონიერი ინტერესი არ არსებობს მათი დარღვევის საფრთხე, დაინტერესებული პირი თვითონ წყვეტს, ისარგებლოს თუ არა სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით.

მეორე, დაინტერესებულ პირებად სამოქალაქო საპროცესო თვალსაზრისით ითვლებიან ის პირები, რომლებიც სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი არიან. ცხადია სარჩელში განმცხადებელი თავად უთითებს, რომ გააჩნია იურიდიული

ინტერესი კონკრეტულ საქმეში, თუმცა შეიძლება სცდებოდეს იგი მატერიალური უფლების კუთვნილების საკითხში და მაშასადამე, არ გააჩნდეს იურიდიული ინტერესი. თუ სასამართლო პროცესის საწყის ეტაპზე ვარაუდობს, რომ განმცხადებელს არ გააჩნია რეალური სამართლებრივი ინტერესი საქმის შედეგისადმი, ეს ფაქტორი არ შეიძლება გახდეს განცხადების მიუღებლობის საფუძველი, არამედ ეს წარმოადგენს განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, ე.ი. სასამართლომ საქმის არსებითად განხილვის შედეგად უნდა დაასკვნას, აქვს თუ არა პირს იურიდიული ინტერესი და აღნიშნულის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება. თუ პირს არ გააჩნია რეალური იურიდიული ინტერესი, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე შესაძლებელია ამის გამო კიდევ ერთი საპროცესო მოქმედების შესრულება–ეს არის არასათანადო მხარის შეცვლა სათანადო მხარით. (არასათანადო მხარის სათანადო შეცვლის საკითხის დასმა). თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სსსკ-ის 84-ე და 85-ე მუხლები არ არის იმპერატიული...

2. სსსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოში დაცვის საგანს წამოადგენს არა მხოლოდ უფლებები და თავისუფლებები, არამედ კანონიერი ინტერესებიც (კანონით დაცული ინტერესები). კანონიერი ინტერესი ზოგჯერ დამოუკიდებლად (ცალკე) დაცვის საგანია, კერძოდ, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის საქმეებზე (უდავო წარმოების საქმეები), ასევე აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაშიც.....

დაცული შეიძლება იქნეს ნებისმიერი კანონიერი ინტერესი, მათ შორის არაქონებრივი ინტერესებიც, მაგალითად, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია.

3. სსსკ-ის მე-2 მუხლის ლოგიკური ანალიზი და სსსკ-ის სხვა ნორმებთან სისტემურ კავშირში მისი განმარტება ცხადყოფს, რომ დაინტერესებულ პირს ევალება სასამართლოსადმი მიმართვის დროს დაიცვას სასამართლოსადმი მიმართვის წესი (კანონით დადგენილი წესი). კანონით დადგენილი წესის დაცვა იმაში მდგომარეობს, რომ დაინტერესებულმა პირმა დაიცვას და შეასრულოს სსსკ-ის მოთხოვნები, რომლებიც შეეხება უწყებრივ ქვემდებარეობას (სსსკ-ის მე-11 და მე-12 მუხლები), განცხადების ფორმასა და შინაარსს (177-ე, 178-ე, 238-ე და სხვა მუხლები), აგრეთვე სასამართლოსადმი მიმართვას განსჯადობის წესის დაცვით.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება პროცესის სხვა სტადიებზე შეიძლება განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული სხვა საპროცესო ფორმით (სააპელაციო, საკასაციო ან კერძო საჩივრის შეტანით, საქმის განახლების შესახებ განცხადების შეტანით).

4. მე-2 მუხლში საუბარია სასამართლოსადმი მიმართვის ფორმაზეც-ეს არის განცხადება. განცხადებაში იგულისხმება სარჩელი, ნებისმიერი საჩივარი, ნებისმიერი შუამდგომლობა. სასამართლოსადმი მიმართვის ფორმა (რომელზეც ამ ნორმის გარდა საუბარია ასევე მე-3 და 177-ე მუხლებში) დამოკიდებულია სამოქალაქო სამართალწარმოების სახეზე. სასარჩელო წარმოების საქმეები, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები, გამარტივებული წარმოების საქმეთა ნაწილი აღიძვრება სასარჩელო განცხადებით; გამარტივებული წარმოების წესით განსახილველი ზოგიერთი საქმე, ასევე უდავო წარმოების საქმეები აღიძვრება განცხადებით. განცხადების შეტანა შეიძლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც. განცხადების შეტანა სასამართლოში შეიძლება როგორც უშუალოდ, ისე ფოსტის მეშვეობითაც.

5. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება (უფლების სასამართლო წესით დაცვა) უზრუნველყოფილია იურიდიული გარანტიებით, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებით, უფლების დაცვის სასამართლო ფორმის ხელმისაწვდომობით, სასამართლო ხარჯებში შეღავაღის მოპოვების შესაძლებლობით, სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობით და სხვა. ერთ-ერთ იურიდიულ გარანტიაზე

საუბარია მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმადაც განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ სსსკ-ის დადგენილი საფუძვლებითა და წესებით. სწორედ ამგვარი გარანტიების უზრუნველყოფით არის ნაკარნახევი და განპირობებული განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალის განსაზღვრა (186-ემუხლი).

6. სასამართლო წესით უფლების დაცვის გარანტიის თვალსაზრისით საყურადსაღებია საქართველოს მატერიალური სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი საპროცესო წესიც, რომლის თანახმადაც დაუშვებელია სამოქალაქო საქმის განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა. აღნიშნული დაუშვებელია იმის მიუხედავად, თუ როგორი ფორმით იქნება უარი გამოხატული – ზოგადი ფორმით, ზეპირად, წერილობით თუ რომელიმე კატეგორიის საქმეზე. გარდა ამისა, არც დაინტერესებულ პირს შეიძლება წაერთვას (რა ფორმითაც არ უნდა იყოს) სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ამ უფლებაზე მან ნებაყოფლობითაც რომ თქვას უარი, ამგვარი უარი ბათილად ჩაითვლება, რომ აღარაფერი ვთქვათ ძალადობით ან მუქარით უარის თქმის დაუშვებლობაზე. არც გარიგებით შეიძლება აეკრძალოს პირს სასამართლოსადმი მიმართვა თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, ის ფაქტორი, რომ დაინტერესებული პირი თვითონ, თავისი შეხედულებით წყვეტს მიმართოს თუ არა სასამართლოს მხოლოდდამხოლოდ დისპოზიციურობის პრინციპით არის ნაკარნახევი და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოიაზრებდეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამორიცხვის ან შეზღუდვის შესაძლებლობას. ამასათან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს ისეთ ინსტიტუტებს, როგორიც არის სააპელაციო და საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმა, მორიგება, სარჩელზე უარის თქმა. ეს ინსტიტუტები განსხვავდება სასამართლო წესით უფლების დაცვაზე უარის თქმისაგან (სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე უარის თქმისაგან). დასახელებული წესების არსებობა დაინტერესებულ პირს არ ართმევს უფლებას დადოს ხელშეკრულება ქონებრივი დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე, ანდა უარი თქვას სარჩელზე, თუ მიზანშეუწონლად მიიჩნევს საქმის არსებითად განხილვას. ასეთ შემთხვევაში შეწყდება საქმის წარმოება (სსსკ-ის 272-ე მუხლი). არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემა მხარეებს შეუძლიათ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. არბიტრაჟისთვის დავის გადაცემა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე უარის თქმად.

7. მართალია უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელებისათვის კანონი ითვალისწინებს და ადგენს შესაბამის პირობებს, მაგრამ ეს პირობები არ შეიძლება ჩაითვალოს უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციური უფლების შემზღუდავ პირობებად. მათი დაწესებით კანონმდებელი მხოლოდ აწესრიგებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელების პროცედურას. მართლმსაჯულების ძირითადი კონსტიტუციური მიზანია პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

მაგალითად, სამართლებრივი კონფლიქტი ან საკითხი, რომელიც მოითხოვს სასამართლო წესით გადაწყვეტას დაინტერესებული პირის მონაწილეობით, შეიძლება განეკუთვნებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას. ამიტომ, უწყებრივი ქვემდებარეობიდან გამომდინარე, ამ საქმეს ვერ განიხილავს საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლო. ამასთან, იგულისხმება, რომ განსაზღვრული კატეგორიის საქმეების გადაწყვეტაზე სპეციალიზირებული სასამართლოები სწრაფად და ოპერატიულად გადაწყვეტენ დავას, თავიანთ უწყებრივ ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეებზე ეფექტიანად დაიცავენ პირთა უფლებებს, თავისუფლებებს და კანონიერ ინტერესებს. სხვა მაგალითი: სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, დაინტერესებულ პირს არა აქვს უფლება განმეორებით მიმართოს სასამართლოს, თუ მან უკვე განახორციელა უფლება და სადავო საკითხთან დაკავშირებით არსებობს მხარეთათვის სავალდებულო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება). დაცული უნდა იქნეს სხვა წესებიც, რომლებიც განსაზღვრავენ კომპეტენციათა გამიჯვნას თავად საერთო სასამართლოთა შორის, საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ პირის რეალური იურიდიული ინტერესი, უზრუნველყოფენ მეორე მხარის უფლებების დაცვას და ა.შ.

8. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის. ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებშიც კი (კონსტიტუციის 46-ე მუხლი). მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კანონმდებელს სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით და კონსტიტუციის 46–ე მუხლის და ამ მუხლში მითითებული კონსტიტუციის სხვა მუხლების მოთხოვნათა დაცვით არა აქვს უფლება შეზღუდოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელების კონკრეტული საშუალებები. თუმცა ურთიერთობათა ამგვარი სამართლებრივი მოწესრიგების შემთხვევები ძალზედ იშვიათად გვხვდება.

მაგალითად, თუ სკ-ის 1143-ე მუხლის თანახმად, დამაბრკოლებელი გარემოებების საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ დაქორწინებით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, სკ-ის 1144-ე მუხლის თანახმად, იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრა შეუძლია მეუღლეს (მეუღლეებს), ე.ი ასეთ სარჩელს ვერ აღძრავს ნებისმიერი პირი, რომელთა, ვისი უფლებაც დაირღვა ამ დაქორწინებით. სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლების მქონე სუბიექტთა წრის შეზღუდვის მიზანი მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობს თავად მეუღლეთა უფლებების დაცვაში, რომელთაც შესაძლოა არ სურდეთ ამგვარი მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის არძვრა. ამასთანავე, დაინტერესებულ პირს არ ერთმევა დაქორწინებით დარღვეული კონკრეტული უფლების (მაგალითად, სამემკვიდრეო უფლებების) დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, თუმცა სასამართლოსადმი მიმართვა პრაქტიკულად აზრს მოკლებულია, როცა პირს არ აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა (საფუძველი) სადავო გახადოს ქორწინება ბათილობის მოტივით.[11] საერთაშორისო სამართლის რიგი უმნიშვნელოვანესი წყაროები (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ასევე რეგიონალური მნიშვნელობის – კერძოდ ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია**), განსაზღვრავენ რა ადამიანის იმ ძირითად უფლებებს რომლებიც კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განუსხვისებელია ყოველი გონიერი არსებისაგან, ადგენენ მათი დაცვის გარანტიებსა და ასეთი დაცვის

[1] გარდა ზემო აღნიშნულისა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირის მიერ სასამართლოში შეტანილი განცხადებები შინაარსობრივად ერთგვაროვანია და თითოეული მათგანი წარმოადგენს მხოლოდამხოლოდ დავის გაგრძელებისა და საქმის სასამართლოს წარმოებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობას. ეს კი სცდება მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს. პირი ბოროტად არ უნდა იყენებდეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. ეს მაშინ ხდება, როცა განცხადება ან საჩივარი მიზნად არ ისახავს მხარის კანონიერი უფლების დაცვას და ლახავს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. ასეთ შემთხვევებში სასამართლოები მიზანშეუწონლად და მართებულად მიიჩნევენ მხარისათვის სსსკ-ის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლების შეზღუდვას, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასამართლოში კონკრეტულ დავაზე შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპონდენცია (განცხადება, საჩივარი) დარჩება რეაგირების გარეშე (უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1086-1115-2011).

განხორციელების საზედამხედველო მექანიზმებს, ერთ-ერთ უმთავრეს უფლებად, სწორედ სასამართლოსადმი მიმართვის, ასევე სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოთი პირის უზრუნველყოფის ვალდებულებას აწესებენ. **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს** განმარტებით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არ არის აბსოლიტური. სახელმწიფოს, უფლება აქვს დაადგინოს შეზღუდვები სარჩელის სამართალწარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა ამავე დროს დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამა თუ იმ ხასიათის შეზღუდვის გამოყენებით არ მოხდება სასამართლოსადმი მიმართვის არსის ხელყოფა (CASE OF JEDAMSKI AND JEDAMSKA V. POLAND) ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს უყალიბდება რწმენა, რომ **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს** მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტი, სასამართლოსადმი მიმართვის წინაპირობად სწორედაც რომ უშვებს გარკვეული ვალდებულებების დაწესების შესაძლებლობას. **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის** მე-6 მუხლი ითვალისწინებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას; თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც როგორც თეორიული უფლება და მან არ უნდა უზრუნველყოს მხოლოდ უფლების აღიარება საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით. საქმეში AAPOSTOL V. GEORGIA, **ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ** განმარტა: სასამართლოსადმი საჩივრით მიმართვის უფლება ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (ვინაიდან აღსრულება სასამართლო სამართალწარმოების განუყოფელი ნაწილია).

სასამართლოსადმი დაინტერესებული პირის (მოსარჩელის, განმცხადებლის) მიმართვა არ არის საკმარისი სამოქალაქო პროცესის (საქმის) აღსაძვრელად. ამისათვის აუცილებელია სასამართლომ კანონით დადგენილი წესით (სსსკ-ის მუხლები) მიიღოს განცხადება.

9. მომენტი, რომლიდანაც სასამართლო შეუდგება სამოქალაქო საქმის განხილვას დაინტერესებული პირის განცხადებით, ემთხვევა დაინტერესებული პირის განცხადების მიღების თარიღს და არა სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებას. ეს დასკვნა ეფუძნება სსსკ-ის მე-2, 200-209-ე მუხლების სისტემატიკურ განმარტებას.

10. საყურადღებოა შემდეგი საკითხიც: სსსკ-ის მე-2 მუხლში მითითებულია ის სუბიექტები, რომელთაც აქვთ სასამართლოში სამოქალაქო საქმის აღძვრის უფლება. ამასთან, აქცენტი გადატანილია მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. რეალურად კი, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა ორი ჯგუფი შეიძლება გამოიკვეთოს: 1) ის პირები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების დასაცავად და 2) პირები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავიანთი სახელით სხვა პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების ან სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად.

ცხადია, ზოგადი წესის მიხედვით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, სამოქალაქო საქმის აღძვრის ინიციატივა უნდა გააჩნდეს საკუთარი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვით დაინტერესებულ პირს. ამიტომ, პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან მოსარჩელეები, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები, განმცხადებლები უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებზე. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე სასამართლო სამოქალაქო საქმეს, როგორც წესი, აღძრავს სწორედ ამ პირთა ინიციატივით. ყველა ეს პირი მატერიალურად არის დაინტერესებული საქმის შედეგით. მათ ამგვარი ინტერესი რომ გააჩნიათ, ამ საკითხის დადგენა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში საკმაოდ მნიშვნელოვანია (აუცილებელია), რადგან თუ მათ არ ექნებათ ამგვარი ინტერესი, მაშინ გამოვა, რომ სარჩელი, განცხადება ამ პირებს აღძრული აქვთ სხვა პირის უფლებების დასაცავად. სხვა პირის უფლებების

დასაცავად კი სარჩელის აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. სწორედ ამ მიზნით არის სსსკ-ის 178-ე მუხლით შემოღებული წესი, რომელიც მოსარჩელეს ავალდებულებს სარჩელში მიუთითოს დავის საგანი, ანუ რაში გამოიხატება თავისი უფლებების, თავისუფლებების და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დარღვევა ან დარღვევის საფრთხის არსებობა.

მეორე ჯგუფი მოიცავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს და პროკურორს. ისინი იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს ან იმ ფიზიკურ პირთა უფლებებს, თავისუფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რომელთაც ამა თუ იმ განსაკუთრებული მიზეზთა გამო თავად არ აქვთ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში საქმე აღიძვრება მათი განცხადებით. ამასთან, ამ ორგანოებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ყოველთვის როდი აქვთ, არამედ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს არის ე.წ საპროცესო მოსარჩელის ინსტიტუტი, ე.ი იმ სუბიექტებზეა საუბარი, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავისი სახელით სხვა პირთა უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

თუ საპროცესო მოსარჩელეს არ გააჩნია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სხვა პირთა ინტერესების დასაცავად, მაშინ ამ საფუძვლით სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული, ან საქმის წარმოება შეწყდეს. მართალია სსსკ-ის 186-ე და 272-ე მუხლებში ცალკე გამოკვეთილი ეს საფუძველი არ არის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის და 187-ე მუხლის ნაწილის ანალოგიით სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ან საქმის შეწყვეტა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს უფლება აქვთ აღძრან მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ (სკ-ის 1206-ე მუხლი), ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ (სკ-ის 1142-ე, 1143-ე მუხლები), სარჩელები და სხვა. ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს (სკ-ის 1145-ე მუხლი). პროკურორს უფლება აქვს აღძრას სარჩელი რეკეტული ქონების ჩამორთმევის შესახებ სარჩელი და სხვა.

შეიძლება გამოიკვეთოს სუბიექტთა ზემოაღნიშნული ორივე ჯგუფისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები: ყველა ამ სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ან განცხადებით, აქვთ საპროცესო ინტერესი, წარმოადგენენ საქმის მონაწილე პირებს და აღჭურვილი არიან ფართო საპროცესო უფლებებით, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ დაუმტკიცონ სასამართლოს მოთხოვნის საფუძვლიანობა. მათ აგრეთვე აქვთ განკარგვითი (დისპოზიციური) უფლებები: მათ უფლება აქვთ უარი თქვან სარჩელზე, შეცვალონ სარჩელის საგანი ან საფუძველი, შეამცირონ ან გაადიდონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. ორივე ჯგუფისათვის საერთოა ისიც, რომ ყველა მათგანი პროცესში გამოდის თავისი სახელით.

რაც შეეხება კანონიერ და სახელშეკრულებო წარმომადგენლებს, ისინი პროცესში არ გამოდიან თავიანთი სახელით. ამიტომ სარჩელი მათ მიერ შეიტანება წარმოდგენილ პირთა სახელით. მაგალითად, ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნით აღძრულ საქმეზე კანონიერ წარმომადგენელს თავისი სახელით რომ შეჰქონდეს სარჩელი, მაშინ მისი გარდაცვალება საქმის შეწყვეტას გამოიწვევდა. კანონიერ წარმომადგენელთა უფლებები პროცესში, განსაზღვრულია სსსკ-ის 101–ე მუხლით. რაც შეეხება საპროცესო მოსარჩელეებს, სსსკ-ის მოუწერიგებელია ამ პირთა, როგორც საპროცესო მოსარჩელეთა უფლებები. ჩვენი აზრით, ის პირები, ვინც სარჩელს აღძრავენ თავიანთი სახელით სხვა პირთა ინტერესებს დასაცავად (საპროცესო მოსარჩელეები), სარგებლობენ მოსარჩელის ყველა საპროცესო უფლებებით და ეკისრებათ მოსარჩელის ყველა ვალდებულება, გარდა მორიგების უფლების და სახ. ბაჟის გადახდის ვალდებულებისა (სახ. ბაჟის შესახებ კანონი) და ა.შ.

მუხლი 4.

1. შეჯიბრებითობის პრინციპი ქმნის ხელსაყრელ პირობებს და გარანტიებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენისა და სასამართლოს მიერ კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

სამოქალაქო სამართალწარმოების აგებას შეჯიბრებითობის საწყისზე განაპირობებს ურთიერთსაპირისპირო მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესების მქონე მხარეთა არსებობა სამოქალაქო პროცესში. სასამართლოს მიერ განცხადების (სარჩელის) მიღება მხოლოდ დავის სასამართლოში აღძვრაზე მიანიშნებს და ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. ამიტომ, არსებობს თუ არა სინამდვილეში მხარეთა შორის მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოადგენს თუ არა მოპასუხე მოსარჩელის უფლების დამრღვევს, მოსარჩელემ უნდა დაუმტკიცოს სასამართლოს. მოპასუხე კი მიზნად ისახავს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას მოსარჩელის უსაფუძვლო მოთხოვნისაგან. ამ მიზნით, მან უნდა დაასაბუთოს თავისი შესაგებლის საფუძვლიანობა მოსარჩელეს რომ უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შეჯიბრებითობის პრინციპი უზრუნველყოფს ფაქტობრივი და მტკიცებითი მასალის სრულად წარდგენას საქმეში, აგრეთვე ამგვარი მასალის დეტალურად და სრულად გამოკვლევას. ყოველივე ეს აუცილებელია სამოქალაქო საქმის სრულად და სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის, საქმის გარემოებების, მტკიცებულებების, საქმის შედეგით დაინტერესებული პირების უფლება-მოვალეობების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევისათვის.

2. განსახილველი ნორმის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა (იგულისხმება მოვალეობებიც) და შესაძლებლობებით. ამგვარი თანაბრობიდან გამონაკლისი შეიძლება დადგენილი იყოს კანონით ან ასეთი გამონაკლისი განპირობებული იყოს იმით, რომ თითოეულ მხარეს განსხვავებული საპროცესო ფუნქცია გააჩნია სამართალწარმოებაში. ამასთან, თითოეული მხარე თავისი საპროცესო ფუნქციის შესაბამისად სრულად სარგებლობს ყველა იმ შესაძლებლობით, რომელიც აუცილებელია თანასწორობის საწყისებზე შეჯიბრებითობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს, თავისი საპროცესო მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით—ცნოს სარჩელი (მე-3 მუხლი); ზოგიერთი პირი თავისუფლდება პროცესის ხარჯის გადახდის ვალდებულებისაგან (46-ე მუხლი).

3. შეჯიბრებითი პროცესის სავალდებულო დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საქმის გარემოებათა დამტკიცების და მტკიცებულებათა წარდგენის უფლება და მოვალეობა პროცესუალურად თანასწორ მხარეებს გააჩნიათ (83-ე მუხლი, 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 103-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეებზე (შეჯიბრებით სამოქალაქო პროცესში) სასამართლოს არ უნდა ეკისრებოდეს მტკიცებულებათა შეგროვების და საქმის გარემოებათა მტკიცების ტვირთი (მოვალეობა). ეს იმიტომ, რომ შეჯიბრებითი პროცესის მიზანი არ არის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. მტკიცების ტვირთის სასამართლოსათვის რეალურად დაკისრება გამოიწვევდა იმას, რომ სასამართლო, რომელსაც მტკიცების საკითხში დიდი შესაძლებლობები აქვს, მიუკერძოებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, იძულებული იქნებოდა რომელიმე მხარის ინტერესების დასაცავად, თანაც ეს მხარე შესაძლოა სულაც არ ყოფილიყო მართალი დავაში. ფაქტობრივად ამას ჰქონდა ადგილი მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლამდე.

დღეს კი, მტკიცების ტვირთი გადატანილია მხარეებზე. ეს განპირობებულია მტკიცების პროცესის სირთულით. ყოველთვის როდია შესაძლებელი წარსულში მომხდარი ფაქტების უტყუარად დადგენა თუნდაც სასამართლოს მიერ, სამართალწარმოების სახის მიუხედავად. შემთხვევით არ ადგენს კანონი სისხლის სამართლის პროცესში უდანაშაულობის

პრეზუმფციას, ხოლო სამოქალაქო პროცესში დაზარალებული მხარის ინტერესების დასაცავად არსებობენ მტკიცებულებითი პრეზუმციები, ე.ი. განსაზღვრული ფაქტის არსებობა ივარაუდება მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტის დამტკიცების შემთხვევაში. სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორი განაპირობებს მთლიანად სსსკ-ის მე-4 მუხლის და კონკრეტულად მისი მე-2 ნაწილის არსებობას.

4. შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, საქმის მონაწილე პირები, თუ მათ სურთ მიაღწიონ თავიანთვის ან იმ პირთათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას, რომელთა უფლებების დასაცავადაც აღძრულია სარჩელი, ვალდებულები არიან სასამართლოს წარუდგინონ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტები, მიუთითონ მტკიცებულებებზე ან წარუდგინონ სასამართლოს ამ ფაქტების დამადასტურებელი ან გამაქარწყლებელი მტკიცებულებები, აგრეთვე საკუთარი პოზიციის მართებულებაში სასამართლოს დარწმუნების მიზნით შეასრულონ კანონით გათვალისწინებული სხვა საპროცესო მოქმედებანი.

კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფისათვის სამოქალაქო პროცესში[1]

2012 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი მრავალი ცვლილება. არსებითად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მრავალი საპროცესო ნორმა. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების სასამართლოში რეგისტრაციის და მოპასუხისათვის მისი ჩაბარების წესები, რომლებსაც ასევე შეეხო განხორციელებული ცვლილებები. ნებისმიერი სიახლის დანერგვის შემდეგ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რამდენად ეფექტურია ახალი წესი და რამდენად სწორად მკვიდრდება იგი სასამართლო პრაქტიკაში, ახალი წესების საფუძველზე სასამართლო რამდენად სწორად და ეფექტიანად უზრუნველყოფს სამართლის სუბიექტების უფლებების დაცვას, ერთი სიტყვით, რამდენად დაცულია კანონის მოთხოვნები და სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არა სასამართლო პრაქტიკა. კანონიერების პრინციპის დაცვა და სათანადო სიმაღლეზე აყვანა კანონმდებლისა და სასამართლოს მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს, რამეთუ კანონიერების პრინციპის უპირობო დაცვა პროცესში ყველა სხვა პრინციპის განხორციელების და დაცვის გარანტიაა. ამიტომ, შევეცდებით, ამ სტატიის ფარგლებში ჩვენი ხედვა ჩამოვაყალიბოთ სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, პროცესში კანონიერების პრინიციპის უზრუნველყოფის მიზნით, რამაც შესაძლოა ინტერესი გამოიწვიოს სასამართლო პრაქტიკაში და საფუძვლად დაედოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების სრულყოფასაც კანონმდებლის მიერ.

სიახლეთა პრაქტიკაში სწორად დანერგვას ემსახურება სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალურ საკითხებზე 2012 წელს გამოცემული პრაქტიკული სახელმძღვანელოც, რომელიც მომზადებული იქნა სამივე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა მიერ. ამ სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ იგი ორიენტირებულია პრაქტიკაზე და მისი გამოცემა ხელს შეუწყობს მართლსაჯულების დროულად და ეფექტურად განხორციელებას, საქმის წარმოების ერთგვაროვანი მიდგომისა და პრაქტიკის დამკვიდრებას, მოქალაქეთა მიერ თავიანთი უფლებების უკეთ განხრციელებას. ცხადია, სასამართლოს სისტემის შიგნით უამრავი სასარგებლო დოკუმენტი მუშავდება და გამოიცემა მრავალი სახის საინფორმაციო ბროშურა, ვებ-გვერდებისა და მასმედიის საშუალებით ვრცელდება ინფორმაცია სამართლებრივ საკითხებზე, რაც უთუოდ ხელს უწყობს პირთა ინფორმირებას მართლმსაჯულების განხორციელების აქტუალურ საკითხებზე, თუმცა მარტოოდენ ეს ინფორმაცია ვერ შექმნის სრულყოფილ წარმოდგენას სიახლეთა არსისა და კანონთან პრაქტიკის შესაბამისობის თაობაზე. ამიტომ აუცილებელია სიახლეთა სიღრმისეული გაანალიზება.

მითუმეტეს, როგორც არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, სამართალწარმოებაში სიახლეები არასწორად დამკვიდრდა, რაც სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტების არსებით საპროცესო და მატერიალურ უფლებათა მასიურ დარღვევას განაპირობებს. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის კანონში შესულ ცვლილებათა საკანონმდებლო ფორმულირებების დაუხვეწაობა და მეორე მხრივ, თუნდაც ამგვარი დაუხვეწავი ნორმების მიუხედავად, სასამართლოთა მიერ მათი არასწორი განმარტება და გამოყენება. კერძოდ, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში ტექსტში შემოკლებით სსკ) 183-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციის წესს. რეგისტრაციის განხორციელება სასამართლოს კანცელარიის ფუნქციაში შედის. სსკ-ის 184-ე მუხლი კი სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარების პროცე-

[1] 2013 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „მართლმსაჯულება და კანონი"

დურას აწესრიგებს. ამ ნორმათა თანახმად განსაზღვრულია სუბიექტთა წრე, რომელთაც თავად ევალებათ სასამართლო გზავნილის (რომელშიც კანონი გულისხმობს სარჩელის და თანდართული დოკუმენტის ასლებს) მოპასუხისათვის ჩაბარება. სსკ-ის 185-ე მუხლი კანონიდან ამოღებულ იქნა, ხოლო 186-ე მუხლით კი განისაზღვრა 5 დღიანი ვადა, რომ-ლის განმავლობაშიც სათანადო საფუძვლების არსებობისას მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს,მოსამართლე აღარ იღებს სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებას. მას ევალება უარყოფით შემთხვევაში გამოიტანოს მხოლოდ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება. თუ სარჩელი აკმაყოფილებს სსკ-ით გათვალისწინებულ დასაშვებობის პირობებს, იგი ითვლება განსახილევლად მიღებულად. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მოპასუხისათვის გადასაცემი გზავნილი, რომლის მოპასუხისათვის ჩაბარებაც ევალებათ სსკ-ის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს, მოიცავს: სარჩელს; სარჩელზე თანდართულ დოკუმენტებს; სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ ხელმოწერილი გზავნილის ფორმას,რომლითაც მოპასუხეს განესაზღვრება ვადა შესაგებლის წარმოსადგენად. რაც შეეხება სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ განხ-ორციელებულ ღონისძიებებს,მოსარჩელეს გადაეცემა ყველა დასახელებული დოკუმენტის გზავნილი (კონვერტი) მოპასუხისათვის ჩასაბარებლად.

სარჩელის განსახილევლად მიღების შემდეგ სასამართლო ახორციელებს ისეთ მოქ-მედებებს, როგორიც არის: მოსარჩელესთან ან წარმომადგენელთან ტელეფონის ნომერზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე დაკავშირება; სარჩელის მიღების შესახებ მოსარჩელის ინფორმირება; გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში 2 თვის ვადაში წარმოდგენის ვალდებულების განმარტება; მოსარჩელის ინფორმირების შესახებ აქტის შედგენა, რომელიც დაერთვის საქმეს.

ერთი შეხედვით, თითქოსდა, ამ წესებში უჩვეულო არაფერია და რაიმე სამართლებრივ პრობლემასაც არ უნდა წარმოშობდეს, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ არსებით საპრო-ცესო წესს,რომელიც ვადაში შესაგებლის (პასუხის) წარმოუდგენლობის გამო მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ეს წესი ასახულია სსკ-ის 232-ე პრიმა მუხლში. თავის მხრივ, აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობაა 201 –ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუს-რულებლობა მოპასუხის მიერ. ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყოდეთ,აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი უზუსტობის შესახებ. სახელდობრ, 232-ე პრიმა მუხლი მიუთითებს 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენ-ლობაზე. ცვლილებათა შედეგად ამგვარი ქვეპუნქტი 201-ე მუხლს აღარ გააჩნია. თუმცა ამ ნორმაში დარჩა არსებითი და იმპერატიული წესი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ ... პრობლემის თავი და თავი სწორედ ამ დანაწესშია. ვინ უნდა ვიგულისხმოთ სასამართლოში? ამ ერთი შეხედვით თითქოსდა ბანალურ კითხვაზე პასუხის სწორად გაცემაზე დამოკიდებულია საკითხის მართებული გადაწყვეტა. საქმე იმაშია, რომ ნორმაში ხაზი ესმება სასამართლოს მიერ შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრას მოპასუხისათვის. მოპასუხის და საერთოდ, მხარის სტატუსს სუბიექტი იძენს სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ. სხვა საპროცესო სამართლებრივ შედეგებთან ერთად, ერთ-ერთი შედეგი სწორედ ეს არის. შესაბამისად, სასამართლოს ცნებაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს სასამართლოს კანცელარია. მითუ-მეტეს, რომ მოქმედი ნორმების თანახმად, კანცელარიას ევალება სარჩელის მარტოოდენ ფორმალური გამართულობის კონტროლი დ არცერთი ნორმით არ აქვს მინიჭებული

მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრის ფუნქცია. ეს მოსაზრება შეიძლება გამყარებული იქნეს იმითაც, რომ სსკ-ის 201-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ შესაგებლის წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ბუნებრივია, საკითხი იმის შესახებ, რთული კატეგორიისა არის თუ არა საქმე, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, მას შემდეგ, რაც მას გადაეცემა სარჩელი და სწორედ სასამართლომ უნდა განსაზღვროს საქმის სირთულიდან გამომდინარე შესაგებლის წარმოდგენის ოპტიმალური ვადა. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

1. მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოდგენის ვადა, რაც წარმოებაში მიიღება სარჩელი; ე.ი. როდესაც პირი მიიღებს მოპასუხის სტატუსს. შესაგებლის წარმოდგენისათვის ვადის განსაზღვრა საპროცესო ურთიერთობაა. როგორც ცნობილია, საპროცესო ურთიერთობა მხარეებს შორის არ წარმოიშობა. საპროცესო ურთიერთობა წარმოიშობა ცალ-ცალკე თითოეულ მხარესა და სასამართლოს შორის, მას შემდეგ, რაც სარჩელი იქნება წარმოებაში მიღებული.

2. კანცელარიას არ აქვს უფლება მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადასაცემ კონვერტში, რომელშიც მოთავსებულია სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, განათავსოს სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ ხელმოწერილი გზავნილის ფორმა, რომლითაც მოპასუხეს განესაზღვრება ვადა შესაგებლის წარმოსადგენად.

დღეს კი ამგვარი პრაქტიკაა ჩამოყალიბებული: სარჩელი დარეგისტრირებულია, იგი ჯერ არ გადასცემია მოსამართლეს, სარჩელი წარმოებაში არ არის მიღებული, სუბიექტს არ შეუძენია მოპასუხის სტატუსი, ხოლო კანცელარია ითავსებს სასამართლოს ფუნქციას და წინასწარ განსაზღვრავს შესაგებლის წარმოდგენის ვადას. ამასთან, როგორც პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, სასამართლო კანცელარია გზავნილში ყოველთვის განსაზღვრავს შესაგებლის შეტანის სტანდარტულ ვადას. ეს არის ათი დღე. ყოველივე აღნიშნულიდან კიდევ ერთი არსებითი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: სასამართლოებს გამოაქვთ უკანონო დაუსწრებელი გადაწყვეტილებები შესაგებლის ვადაში წარმოუდგენლობის საფუძვლით, მაშინ როცა ამგვარი ვადა სასამართლოს განსაზღვრული არ ჰქონია. პრაქტიკის გაცნობა ცხადყოფს, რომ შესაგებლის წარმოუდგენლობის საფუძვლით მასიურად გამოდის დაუსწრებელი გადაწყვეტილებები. ამგვარი გადაწყვეტილებებით ხდება პროცესის სუბიექტების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა და პერსპექტივაში, თუ ძალაში დარჩება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ექვემდებარება იძულებით აღსრულებას მოვალის მიმართ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით საბოლოოდ ხდება სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა.

უნდა აღინიშნოს სასამართლო პრაქტიკაში არსებული კიდევ ერთი საპროცესო მოქმედების შესახებ, რომლის შესრულებაც ლოგიკას და კანონიერ საფუძველს არის მოკლებული. კერძოდ, სსკ-ის 201-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის წარმოდგენის მაქსიმალური ვადა (14 დღე, ხოლო რთული კატეგორიისა საქმეებზე – 21 დღე) გაგრძელებას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. ამდენად, საპატიო მიზეზის არსებობისას დასაშვებია შესაგებლის წარმოდგენის ვადის გაგრძელება. რასაც რეალურად ახორციელებენ კიდეც პრაქტიკაში სასამართლოები მოპასუხის განცხადების საფუძველზე. ამ მოქმედების ულოგიკობა იმაში გამოიხატება, რომ არსებული პრაქტიკის მიხედვით, შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრა არ ხდება სასამართლოს მიერ, ამას ახორციელებს კანცელარია. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ თუ სასამართლოს არ განუსაზღვრავს შესაგებლის წარმოდგენის ვადა, მაშინ რომელი ვადის გაგრძელება ხდება მის მიერ? როგორც ცნობილია, სამოქალაქო პროცესში არსებობს კანონით დადგენილი ვადა და სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა. სსკ-ის 64-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადას აგრძელებს

თავად სასამართლო. შესაგებლის წარმოდგენის ვადა მიეკუთვნება სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის კატეგორიას. უდავოა, რომ ამ ვადის გაგრძელების მოთხოვნით მოპასუხე ვერ მიმართავს სასამართლოს კანცელარიას. ეს იქნებოდა აბსურდული. რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს ჩვენს პოზიციას, რომ კანცელარიის მიერ შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრა პრინციპულად არასწორი მოქმედებაა და არ გამომდინარეობს მოქმედი საპროცესო ნორმების და ინსტიტუტების იურიდიული ბუნებიდან.

გვსურს შევეხოთ თავად იმ ინსტიტუტის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დარჩენის მიზანშეუწონლობის საკითხსაც, რომელიც ავალდებულებს გარკვეულ შემთხვევებში მოსარჩელეს ჩააბაროს სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხეს. საქმე იმაშია, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანისას მოსარჩელეს ევალება სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რომლის შეტანაც წინასწარ ხდება. თავის მხრივ, სახ. ბაჟის გადახდევინებას პროცესში სხვა ყელაფერთან ერთად საკომპენსაციო მნიშვნელობაც აქვს. ეს ნიშნავს, რომ ბაჟის გადახდით მხარე ანაზღაურებს იმ დანახარჯებს, რასაც სახელმწიფო ხარჯავს მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით. საპროცესო კოდექსის უბრალო გაცნობაც კი თვალნათელს ხდის, რომ კანონმდებლობით არცთუ ისე მცირე ბაჟებია დადგენილი. კანონით დადგენილი ბაჟის ოდენობა სრულიად საკმარისი უნდა იყოს გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარების უზრუნველსაყოფადაც. ამასთან, ყველა შემთხვევაში, მიზანშეწონილია გზავნილს მოპასუხეს აბარებდეს სწორედ სასამართლო, მიზანშეწონილია გზავნილის ჩაბარებასთან დაკავშირებულ საპროცესო ურთიერთობებში ერთვებოდეს სწორედ სასამართლო, ხოლო მხარე განიტვირთოს გზავნილის ჩაბარების ვალდებულებისაგან. ამით კანონით დადგენილი წესით გზავნილის ჩაბარებაზე და შეტყობინებისა და დაბარების ინსტიტუტზე სასამართლოს მხრიდან კონტროლის განხორციელების სრულყოფილი მექანიზმი შეიქმნება. ეს ყოველივე აამაღლებს სასამართლოს ავტორიტეტსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას:

1. იმდენად, რამდენადაც ნებისმიერ საქმეზე სავადებულოა საქმის მომზადება, მიზანშეწონილია საქმის მომზადების სტადიის, როგორც უმნიშვნელოვანესი პროცედურის დაწყების გაფორმება მოხდეს სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით. ამავე განჩინებით სასამართლომ უნდა განუსაზღვროს მოპასუხეს შესაგებლის წარმოდგენის ვადა. თუ ჩვენ გვსურს, ეფექტურად იმუშაოს ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ინსტიტუტმა, ვფიქრობთ ეს რეკომენდაცია მისაღები უნდა იყოს. მითუმეტეს, რომ საპროცესო კოდექსის არსებული რედაქცია არცერთი ნორმით არ კრძალავს ამგვარი განჩინების გამოტანის შესაძლებლობას. განჩინება ხომ ისეთი დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება და მიიღება პროცედურულ საკითხებზე. ამით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ლეგიტიმურობაც აღარ დადგება ეჭვქვეშ და უსაფუძვლოდ და უკანონოდ აღარ შეილახება მოპასუხეთა უფლებები და ინტერესები. თუნდაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება არც იქნეს გამოტანილი, ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, მხარე კარგავს ფაქტებზე მითითების და მტკიცებულებათა წარდგენის უფლებას და მას მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე შეუძლია იმსჯელოს. ეს კი, თავის მხრივ, არღვევს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს.

2. დაუშვებელია სასამართლოს კანცელარიისათვის მართლმსაჯულების ფუნქციის რაიმე სახით დელეგირება. შესაბამისად, მას არცერთ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრის უფლება. მითუმეტეს, რომ არსებული ახალი ნორმებით მას ამგვარი უფლება მინიჭებული არ აქვს და დამკვიდრებული პრაქტიკა მხოლოდ მოქმედი ნორმების თვითნებური, მეცნიერულ და კანონიერ საფუძველს მოკლებული ინტერპრეტირების შედეგია, რაც საზიანოა მხარეთათვის და მართლმსაჯულებისათვის.

3. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ განხილული ინტიტუტი შენარჩუნებული იქნება,

მაშინ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვაგვარი, კანონის შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლში მითითებულია, რომ კანცელარია ახდენს სარჩელის რეგისტრაციას და კანცელარიავე გადასცემს მოსარჩელეს გზავნილს მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. ამ ნორმაში არ არის დაკონკრეტებული, თუ როდის გადაეცემა მოსარჩელეს გზავნილი მოპასუხისთვის ჩასაბარებლად. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა მოხდეს სარჩელის რეგისტრაციისთანავე, როგორც ეს დამკვიდრდა პრაქტიკაში. ეს ნორმის არასწორი განმარტებაა. საკითხის სწორად განსაზღვრაში, სასამართლოებს შეიძლება დაეხმაროს 184-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, სარჩელის ჩაბარებაზე ვალდებულ პირს მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სასამართლო გზავნილის (სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე. ამ ნორმის საფუძველზე, მიზანშეწონილი იქნება, მას შემდეგ გადაეცეს მოსარჩელეს გზავნილი მოპასუხისთვის ჩასაბარებლად, რაც სარჩელი მიღებული იქნება წარმოებაში. ასეთ დროს რაიმე სამართლებრივ პრობლემას აღარ შექმნის მოსარჩელის გამოცხადება სასამართლოში და თუნდაც კანცელარიაში ამ გზავნილის მიღება, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს ყველაფერთან ერთად მოსამართლის განჩინებაც მოპასუხისათვის შესაგებლის ვადის განსაზღვრის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისაგან ყველა შემთხვევაში უნდა შეიკავონ თავი სასამართლოებმა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების (№31531)

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა[1]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ საქართველოს კონ-სტიტუციის შეუსაბამოდ მიჩნეული სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი 5-წლიანი ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც დაუშვებელი იყო გადაწყვეტილების ბა-თილობის საფუძვლით საქმის განახლება, აღმკვეთ ვადას წარმოადგენს. ამგვარი ვადის დაწესება,ზოგადად, განპირობებულია სამოქალაქო პროცესში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების სტაბილურობის პრინციპის არსებობით. აღნიშნული პრინციპიდან გადახვევა გამართლებულია ისეთ შემთხვევებში, როცა სახეზეა გარემოებები, რომლებიც საკმარის საფუძველს ქმნიან სასამართლო აქტის გაბათილებისათვის (გაუქმებისათვის), ხოლო აქტის გაბათილება (გაუქმება) და მისი სამართლებრივი შედეგები მატერიალური თუ საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის თანაზომიერია. კანონიერ ძალაში შე-სული გადაწყვეტილებებით დამთავრებული საქმის განახლება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში მხოლოდ ისეთი საფუძვლებით (დარღვევების გამო) ხდება, რომლებიც გავლენას ახდენენ საქმის შედეგზე. ამ დარღვევათა გამოსწორების გარეშე ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა და დაცვა, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის დაცვა. ცხადია, სა-სამართლო გადაწყვეტილებათა სტაბილურობის პრინციპმა არ შეიძლება შეზღუდოს დარ-ღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღდგენის შესაძლებლობა. მით უმეტეს ისეთ შემთხვევებში,როდესაც პირისათვის უცნობია ისეთი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა ამ პირის უფლება-მოვალეობები ისე, რომ თავად ამ პირს პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს, 5-წლიანი ვადა იქნება დადგენილი, თუ – უფრო ხანგრძლივი ვადა, რომლის შემდეგაც აღარ დაიშვება სასამართლო აქტის გაბათილება. ამ თვალსაზრისით, მართებულია სა-კონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება და სადავო მუხლის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიჩნევა. ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია, ყურადღების გამახვილება უფლების დაცვის შესაძლებლობის საკითხზე, თუნდაც სადავო ნორმის მოქ-მედების პირობებში. ამ შემთხვევაში აუცილებელია,გაიმიჯნოს,რომელი უფლების დაცვის შესაძლებლობას ზღუდავს სადავო ნორმა – საპროცესო თუ მატერიალური უფლებების დაცვას? ცხადია, სადავო ნორმით შეზღუდულია მხოლოდ საპროცესო უფლება – ვადის გასვლის გამო საქმის განახლების მიზნით შესასრულებელი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება. მაგრამ, ამასთან, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმ პირისათვის,რომელიც არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე და რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს მატერიალური უფლებების დასაცავად.

ამ თვალსაზრისით, სადავო ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის საწინააღმდეგო ნორმად. დაინტერესებულ პირს არ ერთმევა შესაძლებლობა, სარჩელის შეტანის გზით, სადავო გახადოს გასაბათილებელი გადაწყვეტილებით (სხვა პროცესში, სხვა მხარეებს შორის გამოტანილი გადაწყვეტილებით) დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები. ამ შემთხვევაში მოქმედებს სამოქალაქო პროცესის ის წესი, რომლის თანახმადაც

[1] გამოქვეყნდა ჟურნალში „ადვოკატი“

პროცესში ჩაუბმელი პირებისათვის არ შეიძლება პრეიუდიციული მნიშვნელობისა იყოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილება თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით, შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომელსაც,ამასთან,არ შეიძლება მიენიჭოს წინასწარ დადგენილი ძალა და უნდა შეფასდეს ახალ პროცესში სხვა მასალებთან ერთობლიობაში. სხვა თვალსაზრისით, ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დადებითად შეიძლება შეფასდეს, რამეთუ მან გააფართოვა საპროცესო უფლების და, აქედან გამომდინარე, მატერიალური უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ცხადია, დროში შეუზღუდავად გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნის იურიდიული შესაძლებლობის გაფართოების პირობებში დარღვეული უფლებების აღდგენა უფრო გაიოლდება.

საექსპერტო შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №22558 გადაწყვეტილებაზე[1]

მოცემული გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში ტექსტში- სსსკ) 212-ე მუხლის მე-9 ნაწილი, გარდა იმ ნორმატიული შინაარსისა, რომელიც შეეხება სხდომაზე დამსწრის გაძევების შესახებ განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებას.

დასაწყისში ზოგადად უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აწესრიგებს სასამართლო პროცესს. ამ მიზნით, პროცესის მონაწილე პირებს (მათში მოაზრება მხარეები, მესამე პირები, დამხმარე პირები) კანონი უფლებებსაც ანიჭებს და შესაბამისი ნორმებით განსაზღვრულ ვალდებულებებსაც აკისრებს. მათ შორის მოიაზრება სათანადო წესრიგის დაცვის ვალდებულებაც. პროცესის მონაწილეთა და მათ წარმომადგენელთა გარდა, ამგვარი ვალდებულება სხდომის დარბაზში დამსწრე ნებისმიერ პირსაც ეკისრება, ხოლო სხდომის თავმჯდომარეს, რომლის განკარგულებებიც სავალდებულოა პროცესის მონაწილე და ასევე პროცესში არამონაწილე, მაგრამ სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ნებისმიერი პირისათვის, მინიჭებული აქვს წესრიგის უზრუნველყოფის უფლებამოსილება (სსსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 211-ე მუხლი).

სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულია სასამართლო დარბაზში წესრიგის დამრღვევის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევება ან დაჯარიმება, თუნდაც ეს იყოს პროცესის მონაწილე ან მისი წარმომადგენელი, როგორც იმ დამრღვევზე ზემოქმედების ერთ-ერთი ღონისძიება, ვინც არ ემორჩილება თავმჯდომარის განკარგულებებს, მიზნად ისახავს წესრიგის უზრუნველყოფას ისეთ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებებით აღნიშნულის მიღწევა შეუძლებელია. გაძევებისა და დაჯარიმების შესაძლებლობას სსსკ-ის 212-ე მუხლი განამტკიცებს მხოლოდ და მხოლოდ ზემოქმედების უკიდურესი ღონისძიების სახით. შესაბამისად,მოცემული ნორმა არ იძლევა პროცესის მონაწილეთათვის საპროცესო უფლებების რაიმე სახით თვითნებური, დაუსაბუთებელი ჩამორთმევის შესაძლებლობას,არ ლახავს პროცესის მონაწილის

უფლებას დაიცვას თავისი უფლებები სასამართლო წესით, არ ირღვევა კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული უფლება, არამედ მარტოოდენ გამოირიცხება პროცესის მონაწილის მიერ თავისი უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

[1] გამოქვეყნდა ჟურნალში „ადვოკატი"

სსსკ-ის 212-ე მუხლის მიზანია, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა, სამოქალაქო პროცესში მონაწილე ნებისმიერი დაინტერესებული პირის უფლების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სასამართლო სხდომაზე დადგენილი წესრიგის დარღვევის აღკვეთა სასამართლო სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა მხრიდან. ამრიგად, თავისთავად მოცემული ნორმა არ შეიძლება არღვევდეს კონსტიტუციურ უფლებებს.

კონკრეტულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტები სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილის კონსტიტუციის 42-ე მუხლთან წინააღმდეგობაში მყოფად მიჩნევისას ეფუძნება შემდეგ ძირითად მოტივებს: „გაძევების ან/და დაჯარიმების შესახებ სასამართლოს განკარგულებაზე არ დაიშვება არც კერძო საჩივრის შეტანა და არც მისი გასაჩივრება საქმეზე გამოტანილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად. კერძოდ, სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზემდგომ ინსტანციებში სასამართლოს განხილვის საგანი შესაძლებელია იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას ან/და შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. სადავო ნორმა აწესებს რა სასამართლო სადმი უპატივცემულობის შემთხვევაში მოსამართლის მიერ განკარგულების და არა განჩინების გამოტანას და გამოტანილი განკარგულების გასაჩივრების პირდაპირ აკრძალვას, გამორიცხავს კანონმდებლობის ნებისმიერ ფართო, იმგვარ განმარტებას, რაც პირს შესაძლებლობას მისცემდა, მოეთხოვა აღნიშნული განკარგულების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადასინჯვა. სადავო ნორმებით დადგენილი რეგულაცია სრულად გამორიცხავს პირის მიერ გასაჩივრების უფლებით სარგებლობას" (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების 56-ე და 57-ე პუნქტები).

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მსჯელობას ვერ დავეთანხმებით. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნები არ გამომდინარეობს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმათა ანალიზის შედეგად. მართალია, საერთო სასამართლოთა პრაქტიკაში ხშირად აღრეულა ტერმინოლოგია და სასამართლოთა ნაწილს სსსკ-ის 212-ე მუხლის სადავო ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოაქვს განკარგულება, ნაწილს კი – საოქმო განჩინება, ერთი რამ აუცილებელია, რომ განკარგულებად წოდებული სასამართლო აქტი ის დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება. ასეთი აქტები კი სსსკ-ის 284-ე მუხლის თანახმად, განჩინების ფორმით მიიღება. ამ საპროცესო დოკუმენტის საპროცესო კანონებში განკარგულების სახელით მოხსენიება, ჩემი აზრით, მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ იგი არ ეხება და არ უკავშირდება უშუალოდ კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვის დროს წამოჭრილ საპროცესო საკითხებს, არამედ მიიღება დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე განკარგულების შინაარსს არ იცნობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ კი 285-ე მუხლში საუბარია განჩინების შინაარსზე. ამ მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, განჩინების შინაარსისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნაა მისი გასაჩივრების წესსა და ვადაზე მითითება. თუკი საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობას დამაჯერებლად მივიჩნევთ და განკარგულებას ცალკე საპროცესო დოკუმენტად და აქტად ჩავთვლით, მაშინ საინტერესოა, განკარგულების გასაჩივრებით დაინტერესებულმა პირმა და გასაჩივრებისას ამ განკარგულების კანონიერება-დასაბუთებულობის შემმოწმებელმა სასამართლომ, როგორ უნდა განსაზღვროს განკარგულების კანონიერება, თუნდაც ისეთ პირობებში, როდესაც განკარგულების გასაჩივრების დაუშვებლობა ანტიკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ხომ განკარგულების,

როგორც ცალკე არსებული საპროცესო დოკუმენტის შინაარსს არ განსაზღვრავს.

ამრიგად, ცხადია, რომ განკარგულება თავისი იურიდიული ბუნებით სასამართლო განჩინებაა. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს მორიგი დასკვნა: ისევე როგორც პროცესის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი განჩინება, გაძევებისა და დაჯარიმების შესახებ გამოტანილი განკარგულებაც (განჩინება) ექვემდებარება გასაჩივრებას. სამოქალაქო პროცესში ე.წ. ,,ხელშეუხებელი'' განჩინებები არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, მცდარია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, თითქოსდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული სადავო ნორმა გამორიცხავს გაძევების და/ან დაჯარიმების განკარგულების გასაჩივრებას. აღნიშნული განკარგულების (განჩინების) გასაჩივრება სამოქალაქო პროცესის ბუნებიდან და გასაჩივრების პრინციპებიდან გამომდინარე (სსსკ-ის 377-ე, 404-ე, 414-ე და სხვა მუხლები), არ გამოირიცხებოდა არც საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილების მიღებამდე. კერძოდ, ეს შესაძლებელი იყო შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად. ამას მოწმობს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საერთო სასამართლოებში განვითარებული პრაქტიკაც, როცა დაჯარიმების და/ან გაძევების განკარგულებებში (განჩინებებში) ეთითება შემაჯამებელ აქტთან ერთად ამ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობაზეც.სა

ამრიგად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედების პირობებშიც კი დასაშვები იყო ზემოაღნიშნული განჩინების (განკარგულების) გასაჩივრება შემაჯამებელ აქტთან ერთად. ისეთ დროს კი, როდესაც განჩინება საჩივრდება შემაჯამებელ აქტთან ერთად, განჩინების კანონიერება – დასაბუთებულობის შემოწმების საკითხი – გადაიწევს ხოლმე დროში მოგვიანებით და პროცესის მომდევნო ეტაპებზე, თუმცა, რადგან განჩინება მაინც საჩივრდება, არ ილახება სასამართლო წესით უფლების დაცვის კონსტიტუციური უფლება (კონსტიტუციის 42-ე მუხლი).სამართლო

პრაქტიკა აქ პრობლემა უფრო სხვა რამეშია. კერძოდ, სამოქალაქო პროცესში ღიად რჩება დაჯარიმების განჩინების სხდომაზე დამსწრე პირთა (ანუ პროცესში არამონაწილე პირთა) და, ასევე, იმ პირთა მიერ გასაჩივრების საკითხი, რომელთა სასარგებლოდაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება. როგორც ცნობილია, განჩინებას შემაჯამებელ სასამართლო აქტთან ერთად ასაჩივრებს ის, ვის წინააღმდეგაც გამოვიდა გადაწყვეტილება. ის, ვინც მოიგო პროცესი, სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ გაასაჩივრებს. ამავე დროს, პროცესის მომგები მხარე შეიძლება დაჯარიმებული იყოს პროცესის განმავლობაში. აქ ვერ გამოგვადგება 414-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, გაფართოებულია განჩინების გასაჩივრებით დაინტერესებულ პირთა წრე, რადგან ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კერძო საჩივარი შეიტანება განჩინებაზე მხოლოდ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში. თუკი სამოქალაქო პროცესი პირთა უფლებების დაცვას ემსახურება, ვფიქრობ, სამართლებრივი თვალსაზრისით, დიდი ცოდვა არ იქნება, თუკი სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ კანონის ანალოგიას დავეყრდნობით, რომელიც საპროცესო კანონში ხარვეზისას სასამართლოს სამოქალაქო პროცესის მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს და ანალოგიით გამოვიყენებთ სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-11 ნაწილს. შესაძლოა, ეს არ იყოს საუკეთესო გამოსავალი, რადგან ერთი და იმავე განჩინების სხვადასხვა წესით გასაჩივრება (შემაჯამებელ აქტთან ერთად და ცალკე საჩივრით) არასასურველია, თუმცა ესეც ნაკარნახევია პირთა საპროცესო სტატუსით და მათი უფლებების ამა თუ იმ სახით დაცვის აუცილებლობით. იმედია, სამომავლოდ კანონმდებელი ამ უხერხულობას დაძლევს სათანადო რეგულაციის შემოღებით, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საკითხში არსებულ პრობლემებს და საკანონმდებლო ხარვეზებს ვერ მოხსნის.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები[1]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სამოქალაქო პროცესში რამდენიმე საფუძვლით არის შესაძლებელი. ამ საფუძველთაგან ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მარტოოდენ შესაგებლის წარუდგენლობის საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პრობლემაზე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში ტექსტში შემოკლებით სსსკ) 2321 -ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას შესაგებლის წარუდგენლობის საფუძვლით. მოცემული ნორმის გამოყენების წინაპირობაა სსსკ-ის 201-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა მოპასუხის მიერ. საუბარია სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობაზე მოპასუხის მიერ. სამწუხაროა, რომ ზემოაღნიშნული იმპერატიული წესის არსებობის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკაში ყოველთვის როდი ხდება შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრა მოპასუხისათვის სასამართლოს მიერ. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით მოსარჩელეს თავად ევალება სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარების უზრუნველყოფა, ამგვარ ვადას განსაზვრავს სასამართლოს კანცელარია. ასეთ შემთხვევაში, სარჩელის ერთი ეგზემპლარი რეგისტრირდება კანცელარიის მიერ, ხოლო სარჩელის მოპასუხისათვის განკუთვნილი ეგზემპლარი თავსდება კონვერტში და გადაეცემა მოსარჩელეს. ამავე კონვერტში კანცელარია ათავსებს შესაბამისი მოხელის მიერ ხელმოწერილ გზავნილს, რომელშიც მოპასუხეს განესაზღვრება შესაგებლის წარდგენის ვადა. აღსანიშნავია, რომ ეს ვადა ყოველთვის ერთნაირად-10 დღის ვადით განისაზღვრება კანცელარიის მიერ. მოსარჩელეს კანცელარია უცხადებს, რომ სასამართლო აცნობებს სარჩელის მიღების შესახებ, რის შემდეგაც მოსარჩელე ვალდებულია თავად ჩააბაროს სარჩელი მოპასუხეს. სამწუხაროა ის, რომ ამ წესით (კანცელარიის მიერ) განსაზღვრული შესაგებლის წარდგენის ვადის მოპასუხის მიერ დარღვევისას მასობრივად გამოაქვთ სასამართლოებს დაუსწრებელი გადაწყვეტილებები.

სამოქალაქო საპროცესო მეცნიერებაში აღიარებულია, რომ სასამართლო საპროცესო ურთიერთობის სავალდებულო სუბიექტია, ე.ი. მის გარეშე საპროცესო ურთიერთობა არ წარმოიშობა. კანცელარიის მიერ შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრა საპროცესო ურთიერთობების მიღმა ტოვებს სასამართლოს. შესაგებლის შეტანის ვადის განსაზღვრაც, როგორც ფაქტი, ხდება საპროცესო ურთიერთობების მიღმა. საპროცესო ურთიერთობების მიღმა მომხდარი ფაქტი კი არ არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი და შესაბამისად, ამგვარ ფაქტს ვერ დაუკავშირდება მოპასუხისათვის უარყოფითი სამართლებრივი შედეგი- მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. შესაძლებელია სხვა არგუმენტების მოხმობაც,[2] თუმცა ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ კანცელარიის მიერ შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრის შემთხვევაში დაუშვებელია მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუნდაც მან არ წარადგინოს შესაგებელი.

სასამართლო პრაქტიკაში არასწორად წყდება შესაგებლის წარუდგენლობის საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი სააპელაციო სასამართლოშიც.

[1] გამოქვეყნდა ევროპის სასწავლო უნივერსისტეტის სპეციალურ გამოშვებაში 2015 წელს.

[2] დაწვრილებით აღნიშნულზე იხილეთ: შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი „კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფისათვის სამოქალაქო პროცესში“ ჟ. „მართმსაჯულება და კანონი“ №2(37)'13, 34-39.

სააპელაციო სასამართლოს მრავალჯერ გამოუტანია დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, რაც მართებული არ არის. როგორც ჩანს პრობლემას ქმნის სსსკ-ის 372-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმადაც საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, X VI თავში განთავსებული ნორმა, კერძოდ კი 387-ე მუხლი უშვებს აპელაციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას და ისიც მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში. როგორც ჩანს არასწორი პრაქტიკის დანერგვას ხელს უწყობს უზენაესი სასამართლოსეული განმარტებებიც, რომლებიც ხშირად ბრმად არის გაზიარებული ქვემდგომი სასამართლოების მიერ. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებაში განმარტებულია სსსკ-ის 387-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესსი, რომლის თანახმადაც „ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ" და აღნიშნულია: „აღნიშნული ნორმით დადგენილი „ყველა სხვა შემთხვევა" ... გულისხმობს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასაც."[1]

ჩვენი აზრით უზენაესი სასამართლოს მიერ სსსკ-ის 387-ე მუხლის ზემოაღნიშნული დანაწესი არ არის განმარტებული ნორმის განმარტების ისტორიული, სისტემატიკური და ლოგიკური ხერხების გამოყენებით. კერძოდ, სსსკ-ის 387-ე მუხლი იმთავითვე, კოდექსის მიღების დროიდანვე იყო შემოღებული. ხოლო შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ინსტიტუტი მოგვიანებით შემოვიდა პროცესში. სსსკ-ის 387-ე მუხლი ეხება გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. შესაბამისად, დებულება ყველა სხვა შემთხვევაში პირველი ინსტანციის წესების გამოყენების შესახებ, შეეხება სწორედ მხარეთა გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით პირველ ინსტანციაში არსებულ წესებს. მაგალითად, ორივე მხარის გამოუცხადებლობისას საქმის განუხილველად დატოვებას და ა.შ. 387-ე მუხლის განხილვა სისტემაში 201-ე და 2321 -ე მუხლებთან ასევე ადასტურებს სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტების მცდარობას. დასახელებული მუხლები (201-ე და 232[1]-ე) ითვალისწინებენ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წესს. მხარეები თავიანთ საპროცესო სტატუსს არ იცვლიან არც ზემდგომ ინსტანციაში- ისინი რჩებიან მოსარჩელედ და მოპასუხედ. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ აპელაციაში დასაშვებია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესაგებლის წარუდგენლობისას, მაშინ გამოვა, რომ დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ საკითხს, რადგან ასეთი გადაწყვეტილება უნდა გამოვიტანოთ იმ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, რომელიც მოპასუხეა. გარდა ამისა, პირველ ინსტანციაში შესაგებელი შეიტანება სარჩელზე. აპელაციაში კი-სააპელაციო საჩივარზე. პირველ ინსტანციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოდის სარჩელზე და არა სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობისას, ისიც თუ შესაგებლის ვადა სასამართლომ განსაზღვრა. განსხვავებულია სააპელაციო საჩივარზე და სარჩელზე შეტანილი შესაგებლის შინაარსი. ეს უკანასკნელი გაცილებით რთული და დეტალურია. განსხვავებულია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოთა დანიშნულებაც. ამ უკანასკნელის მიზანია გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. აპელაციის ამ მიზნი-

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1532-1435-2012

დან გამომდინარე დაუშვებელია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოთა დაანიშნულების ნიველირება და პირველ ინსტანციაში დადგენილი საქმის განილვის ყველა წესის გადმოტანა აპელაციაში. ამრიგად,არალოგიკურია აპელაციაში შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება.

მეტად მტკივნეულია სახ. ბაჟის საკითხიც,რომლის გადახდევინებაც განსხვავებულად ხდება სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკაში. ეს კი საბოლოოდ გავლენას ახდენს სასამართლო წესით პირის უფლების დაცვაზე. საუბარია იმაზე,რომ ხშირ შემთხვევაში დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებაზე წარდგენილ საჩივარზე საჩივრის ავტორისაგან სააპელაციო სასამართლო მოითხოვს ბაჟის გადახდას დავის ღირებულების 4%-ის ოდენობით,რაც გაუმართლებელია. საქმე იმაშია,რომ მართალია ასეთ დროს სადავო ხდება დაუსწრებელი გადაწყვეტილება,მაგრამ პირველ რიგში საჩივრდება განჩინება,რომლითაც არ დაკმაყოფილდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივარი. მართალია ეს განჩინება საჩივრდება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად,მაგრამ მთავარი ის არის,რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ასეთ დროს ხდება არა დავის მატერიალურ სამართლებრივი მხარე, არამედ საპროცესო სამართლებრივი მხარე. დავის მატერიალური მხარის განხილვა მხოლოდ იმ თვალსაზრისით ხდება,რამდენად იყო იურიდიულად გამართლებული მოსარჩელის მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაშივ კი იურიდიული გამართლებულობის საკითხის სწორი შეფასება თავის მხრივ შესაძლებლობას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ,საპროცესო თვალსაზრისით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მართებულობა. ე.ი. ისევ მივდივართ პროცედურული საკითხის-დაუსწრებელი გადაწყვეტილების მართებულად გამოტანის საკითხის შეფასებამდე.

ამრიგად,მსგავს საჩივრებზე გაუმართლებელია ბაჟის გადახდევინება 4%-ის ოდენობით. მართებული იქნება აპელაციის სტადიაზე დადგენილი ბაჟის მინიმალური ოდენობის დაკისრება აპელანტისათვის 150 ლარის ოდენობით.

საყურადღებოა კიდევ ერთი პრობლემური საკითხიც. სასამართლო პრაქტიკაში მართებულად აღინიშნება,რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი პირობა არის დავისადმი ინტერესის დაკარგვა მხარის მიერ. ინტერესი დავისადმი შეიძლება დაკარგოს როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხემ. ასეთ დროს ერთი ან მეორე მხარე არ გამოცხადდება პროცესზე, ხოლო თუ ეს მხარე მოპასუხეც არის, თავიდანვე არ წარადგენს შესაგებელს სარჩელზე. ასეთ დროს შეიძლება ითქვას,რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი,ხოლო თუ მოსარჩელე კარგავს ინტერესს დავისადმი,შეიძლება ითქვას,რომ მან უარი თქვა სარჩელზე. მართალია ასეთ დროს გამოდის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ცხადია არ მიეთითება,რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე ან მოპასუხემ ცნო სარჩელი,მაგრამ ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხარჯების ნაწილში მხარეებზე სარჩელზე უარის თქმის ან სარჩელის ცნობის ანალოგიურად გავრცელდეს სსსკ-ის 49-ე მუხლით დადგენილი შეღავათი. ჩვენი აზრით, შესაძლებელია სასამართლოებმა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე სსსკ-ის მე-7 მუხლზე დაყრდნობით ანალოგიით გამოიყენონ სსსკ-ის 49-ე მუხლი. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარისათვის არ იქნება სტიმულის მიმცემი დავის მიმართ ინტერესის დაკარგვა. იგი იძულებული იქნება,იმისათვის რომ მიიღოს შეღავათი ბაჟში, გამოცხადდეს პროცესზე და იქ თქვას უარი სარჩელზე ან ცნოს სარჩელი. მხარემ უნდა იცოდეს, რომ თუ ის აღარ იდავებს და დაზოგავს სასამართლოს დროს და ხარჯებს, საპროცესო ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე ექნება შეღავათი სასამართლო

ხარჯების ნაწილში მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტიების გამოტანისას. სხვა შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნება მხარის დასჯა, სანქცია მხარის წინააღმდეგ, რომლის გამოტანის დროსაც მხარისათვის დადგება არა მხოლოდ საქმის უარყოფითი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, არამედ მას დაეკისრება სასამართლო ხარჯიც, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ შეიძლება ატარებდეს მხარის მიმართ გამოყენებული სანქციის (დასჯის) ხასიათს.